K 36015
4

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს ისტორიის და კულტურის ძეგლთა კონსერვაციაში

ეროვნული
ბიბლიოთეკა



F 13.781
4

ეროვნული
ბიბლიოთეკა



საქართველოს მეცნიერებათა
ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის
ივანე აბაშიძის სახელობის
მთავარი სამეცნიერო რედაქცია





საქართველოს ისტორიისა და კულტურის
ძეგლთა აღწერილობის რედაქცია

სარედაქციო საბამომცემლო სამეცნიერო საბჭო:

ზურაბ აბაშიძე, ნუგზარ ანდღულაძე, მალაქია დვალი, მარიამ ლორთქიფანიძე, როინ მეტრეველი, დავით მუსხელიშვილი, თამაზ სანიკიძე, ავთანდილ საყვარელიძე, თეიმურაზ საყვარელიძე, კიაზო ფიცხელაური, ვახტანგ ჯაფარიძე, ოთარ ჯაფარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნის მთავარი რედაქტორი თამაზ დვალი

რეცენზენტი დიმიტრი თუმანიშვილი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქციის საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის რედაქციასთან თანამშრომლობით წიგნისათვის მასალები მოამზადეს:

ისტორიის ძეგლების – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის (ამჟამად ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი) სამეცნიერო ინფორმაციისა და ძეგლთა ნუსხის განყოფილებამ,

არქეოლოგიის ძეგლების – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ო. ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის (ამჟამად საქართველოს ეროვნული მუზეუმის ო. ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიის ცენტრი) არქეოლოგიურ ძეგლთა ნუსხის განყოფილებამ,

არქიტექტურისა და მონუმენტური ხელოვნების ძეგლების – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის საქართველოს ძეგლთა აღწერილობის განყოფილებამ (ამჟამად გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის ძეგლთა აღწერილობისა და სამეცნიერო ინფორმაციის ჯგუფი)

წიგნის გამოცემა შესაძლებელი გახდა „საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდის“ დაფინანსებით

ეროვნული
ბიბლიოთეკა



1-ი საქართველოს ისტორიის და კულტურის ძეგლთა ადნერილობა

გურჯაანის,
დედოფლისწყაროს,
ყვარლის
მუნიციპალიტეტები

თბილისი 2013

ეროვნული
ბიბლიოთეკა

GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES

GEORGIAN ENCYCLOPAEDIA
IRAKLI ABASHIDZE CHIEF EDITORIAL BOARD

EDITORIAL BOARD OF THE DESCRIPTION OF
THE MONUMENTS OF GEORGIAN HISTORY
AND CULTURE

K 36.015
4

DESCRIPTION OF THE MONUMENTS OF GEORGIAN HISTORY AND CULTURE

BOOK 1-I

TBILISI 2013

საქართველოს ...
ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქციისაგან

ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქციის საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის რედაქციამ, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების [illegible] და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის ძეგლთა აღწერილობისა და სამეცნიერო ინფორმაციის ჯგუფთან თანამშრომლობით, გამოსაცემად მოამზადა სამეცნიერო-ენციკლოპედიური ხასიათის მრავალტომიანი გამოცემის – „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის“ რიგით მესამე წიგნი, რომელიც ეძღვნება კახეთის ისტორიისა და კულტურის ძეგლებს.

რედაქციის გადაწყვეტილებით, წიგნის გამოცემა გადაწყდა ორ ნაწილად, რაც განაპირობა ძეგლების სიმრავლემ და აქედან გამომდინარე, ტექსტობრივი და საილუსტრაციო მასალის დიდმა მოცულობამ. წიგნის შემადგენელი ნაწილების თანაზომიერების დაცვის გამო წიგნში მუნიციპალიტეტები განლაგდა არა ანბანური რიგით, არამედ მასალის მოცულობის შესაბამისად, ამიტომ პირველ ნაწილში მოთავსდა გურჯაანის, დედოფლისწყაროს და ყვარლის მუნიციპალიტეტები, ხოლო მეორეში – თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს და სიღნაღის მუნიციპალიტეტები. „აღწერილობის“ მესამე წიგნში არ შედის ახმეტის მუნიციპალიტეტის ძეგლები, რადგან ისინი, დუშეთის, თიანეთის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების ძეგლებთან ერთად, შესულია „აღწერილობის“ მეორე წიგნში, რომელიც მიეძღვნა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიისა და კულტურის ძეგლებს. რედაქციის ამ გადაწყვეტილებას, ვფიქრობთ, ობიექტური საფუძველი გააჩნდა, რადგან ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დიდი ნაწილი (თუშეთი), აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ერთ-ერთი კუთხეა და, როგორც საცხოვრებელი, სამეურნეო და საკულტო ნაგებობების ხუროთმოძღვრებით, ისე მათი სოციალურ-იდეოლოგიური დანიშნულებით, ამ მხარის დანარჩენ ნაწილებთან ერთ წრეშია მოქცეული, მისი განცალკევება მიზანშეუწონლად ჩაითვალა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში კახეთში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, ინტენსიურად მიმდინარეობდა ხუროთმოძღვრული ძეგლების სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები. ხშირად ასეთ სამუშაოებს აწარმოებდნენ ადგილობრივი მაცხოვრებლებიც, რედაქცია კი მოკლებული იყო სათანადო ინფორმაციას. ამიტომ, შესაძლოა, ამა თუ იმ ძეგლის აღწერილობაში მისი აღდგენისა თუ შეკეთების ფაქტი არ იყოს აღნიშნული, რადგან ზემოაღნიშნულის დაზუსტება მოითხოვდა ძეგლების ხელახალ მონახულებას, რაც მთელ რიგ სირთულეებთან, და რაც მთავარია, დროის დიდ დანახარჯთან იყო დაკავშირებული. ყოველივე ეს კი, წიგნის დროულ მომზადებასა და გამოცემის შეფერხებას გამოიწვევდა.

წიგნის ორივე ნაწილში შემავალი მუნიციპალიტეტები განლაგებულია ანბანური რიგით. თითოეული მუნიციპალიტეტის ძეგლთა აღწერილობას წინ უძღვის რუკა-სქემა, რომელზეც დატანილია ძირითადი მდინარეები, გზები და ის დასახლებული პუნქტები, სადაც არის ისტორიის და კულტურის ძეგლი.

თითოეულ მუნიციპალიტეტს და ქალაქს თან ახლავს მოკლე საცნობარო სტატია. ასევე სტატია ახლავს იმ სოფლების ნაწილს, რომლებზედაც ისტორიული ცნობები მოიპოვება. ქალაქებსა და სოფლებში არსებული ძეგლები ასევე ანბანზეა განლაგებული.

წიგნში ყოველ ერთეულს (მუნიციპალიტეტი, ქალაქი, სოფელი, ძეგლი) მინიჭებული აქვს საკუთარი ნომერი (ინდექსი): მუნიციპალიტეტს – ლათინური ციფრი (მაგალითად: I – გურჯაანის მუნიციპალიტეტი; II – დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი და ა. შ.), ხოლო ქალაქს, სოფელს, ძეგლს ან კომპლექსს – არაბული ციფრი. მოგვყავს მაგალითი, თუ როგორ იშიფრება ამა თუ იმ ძეგლის ინდექსი: II. 027

ნიშნავს – დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი (II), ნაზარლების ნამოსახლარები და სამაროვანი (027); ან III. 068 ნიშნავს – ყვარლის მუნიციპალიტეტი (III), ღვთისმშობლის ეკლესია (068).

კომპლექსში შემავალი ცალკეული ძეგლები (იქნება ეს ცალკე მდგარი ნაგებობა, კედლის მხატვრობა თუ მცირე ფორმის არქიტექტურის ძეგლი) მოცემულია დაყოფითვეა მოცემული რომელიმე ძეგლის პარალელურად ხმარებული ან ცნობილი ძველი სახელწოდება (მაგალითად: I. 059. თამარის ეკლესია, ფ რ თ ა მ ო ქ ც ე უ ლ ი ს ა ყ დ ა რ ი; ან I. 087. წმ. გიორგის ეკლესია, ს ა მ კ ა რ ი ა ნ ი; ან II. 025. წმ. გიორგის ეკლესია, ზ ღ მ უ რ დ ლ ი ს ე კ ლ ე ს ი ა და ა.შ.).

თუ რაიონის ტერიტორიაზე მდებარეობს ე. წ. ცალკე მდგარი ძეგლი, რომლის „მიმაგრება" რომელიმე ადმინისტრაციულ ერთეულთან ძნელდება, ან არ არის სასურველი, იგი მუნიციპალიტეტის სოფლების რიგში განთავსებულია ანბანზე.

ძეგლის სახელწოდების შემდეგ მოცემულია დეფინიცია – თუ რა კატეგორიის ძეგლია იგი (მაგალითად: ისტ., არქეოლ., არქიტ., მონუმ. ხელოვნ. ძეგლი და სხვ. კატეგორიების ჩამოთვლისას უპირატესობა ეძლევა ძეგლის მთავარ მახასიათებელს).

წიგნს ერთვის: მრავალრიცხოვანი გრაფიკული ილუსტრაცია (ანაზომები, ნახაზები) და ფოტოსურათები; ანბანზე განლაგებული და დანომრილი, მთლიანად რეგიონის, ცალკეული ძეგლების ან ამა თუ იმ საკითხის შესახებ არსებული ბიბლიოგრაფია. გამოცემაში, ცალკეული სტატიის ბოლოს, ადგილის ეკონომიის მიზნით, მოცემულია იმ ბიბლიოგრაფიული ერთეულის ნომერი, რომელიც აღნიშნულ სტატიას ეკუთვნის (მაგალითად, – ბიბლ.: 30 ბ. აქ პირველი რიცხვით აღნიშნულია ბიბლიოგრაფიულ ნუსხაში მოცემული ბიბლიოგრაფიული ერთეულის რიგითი ნომერი – 29. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები; ასო ბ აღნიშნავს გამოცემის ტომს ან წიგნს. ე. ი. წგ. 2.

წიგნს ასევე დართული აქვს ანბანზე განლაგებული საძიებლები – პირთა, გეოგრაფიული და ეთნიკური სახელებისა, სახელიანი ძეგლების, მოხატული ეკლესიების და ეკლესიების ქრონოლოგიური საძიებლები.

რედაქცია დარწმუნებულია, რომ წინამდებარე წიგნი, ისევე როგორც მთელი გასრულებული გამოცემა, დიდ როლს შეასრულებს ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისა და ჩვენი სულიერი კულტურის პროპაგანდის საშურ და აუცილებელ საქმეში, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ვფიქრობთ, წიგნი საინტერესო იქნება, როგორც მკვლევართათვის, ისე ხელოვნებითა და ისტორიით დაინტერესებული საზოგადოებისათვის.

მიუხედავად ჩვენი მცდელობისა, რაც შეიძლება სრულად წარმოგვეჩინა წიგნში შემავალი მუნიციპალიტეტების ძეგლები, ალბათ მაინც გამოგვრჩა რომელიმე ძეგლი ან მოვლენა. ვიმედოვნებთ, რომ საზოგადოების, დაინტერესებული პირების, განსაკუთრებით ადგილობრივი მმართველობის ორგანოების დახმარებით, შესაძლებელი გახდება მასალის შევსება და გამოვლენილი ძეგლები შევა აღწერილობის ბოლო, სპეციალურ, დამატებით წიგნში.

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნი 1-ი

გურჯაანის, დედოფლისწყაროს, ყვარლის მუნიციპალიტეტები



სოფ. გურჯაანი, ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია (I-049), ხედი აღმ-იდან



კახეთი საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ისტორიული მხარეა, მისი ისტორია, საქართველოს სხვა კუთხეებთან დამოკიდებულებისა და თვითმყოფადობის გათვალისწინებით, მეტად საინტერესო და მრავალფეროვანია.

სახელწოდება „კახეთი“ პირველად ძველ ქართულ საისტორიო წყაროში – “მოქცევაი ქართლისაის“ ქრონიკაში გვხვდება. ლეონტი მროველის (XI ს.) თხზულებაში მოტანილი ლეგენდის თანახმად, ქართველთა წინაპარს ქართლოსს ხუთი შვილი – მცხეთოსი, გარდაბოსი, კახოსი, კუხოსი და გაჩიოსი ჰყოლია. მამის გარდაცვალების შემდეგ შვილებს მისი სამფლობელო დაუნაწილებიათ. კახოსს რგებია მიწა-წყალი „კავკასიასა და კახეთის მთას შორის, არაგვიდან ვიდრე ტყეტბამდე, რომელ არს საზღვარი ჰერეთისა“. ისტორიული კახეთი დღევანდლისგან განსხვავებულ ტერიტორიას მოიცავდა. საკუთრივ კახეთის გარდა, მის შემადგენლობაში შედიოდა: კუხეთი, უფრო სამხრეთით – მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე გარდაბნის ქვეყანა; ჩრდილოეთით – ხევი, თუშ-ფშავ-ხევსურეთი, დურძუკეთი და ღლიღვეთი, ანუ კავკასიის მთიანეთი, რომელსაც ქართული წყაროებით „მთიულეთი კახეთისა“ ეწოდებოდა.

აღმოსავლეთიდან კახეთს ჰერეთის სამთავრო ესაზღვრებოდა. მათ შორის საზღვარი ეჯინისა და გავაზის დასავლეთით, ალაზნის ველს მიუყვებოდა. დასავლეთით საზღვარი მდინარე ქსანზე გადიოდა, სამხრეთ-დასავლეთით კი – მდინარე მტკვარზე. ისტორიულ პროცესში კახეთი, კულტურულად და პოლიტიკურად თანდათან ფარავს ჰერეთს. საერთოდ, როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, ტერმინებს „კახეთს“, „კუხეთსა“ და „ჰერეთს“ სხვადასხვა დროს სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდა, შესაბამისად, „ქვეყანათა“ საზღვრებიც საკმაოდ ძნელად დასადგენი და არამყარია.

კახეთის ცალკეულ მხარეებს ეწოდებოდა: გარეკახეთი (მდ. ივრის შუა წელი), ქიზიყი (მდ. ივრის ქვემო წელი), შიგნიკახეთი (მდ. ალაზნის მარჯვენა სანაპირო) და გაღმამხარი (მდ. ალაზნის მარცხენა სანაპირო). უძველეს დროს კახეთი გაცილებით მცირე ტერიტორიას მოიცავდა (მდ. ივრის ზემო წელი, თიანეთსა და უჯარმას შორის), რომლის ცენტრი ჩელეთი იყო, IV საუკუნიდან – უჯარმა, XI საუკუნიდან – თელავი, XV საუკუნიდან – გრემი, XVII საუკუნის II ნახევრიდან ისევ თელავი. საქართველოს დღევანდელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით კახეთი მოიცავს მდ. ივრის შუა და ქვემო დინებისა და მდ. ალაზნის აუზს – ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს და სიღნაღის მუნიციპალიტეტებს.

კავკასიის გეოკლიმატური პირობები და მისი ბუნებრივი სიმდიდრე ათასწლეულების განმავლობაში განსაზღვრავდა და არეგულირებდა აქ მთისა და ბარის მოსახლეობის სამეურნეო ცხოვრების ძირითად მიმართულებებს. ამ მატერიალურ ბაზაზე წარმოიშვა კავკასიაში (მათ შორის კახეთში) ერთიმეორესთან მრავალმხრივ დაკავშირებული, არქეოლოგიური კულტურები, ჩამოყალიბდა აქ მცხოვრებ ადამიანთა უნიკალური ყოფა-ცხოვრებითი ერთიანობა.

კავკასია ადამიანის ისტორიის დასაბამიდან წარმოადგენდა ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი, ძირითადი გზების გზაჯვარედინს, რაც ხან ხელს უწყობდა ადგილობრივი კულტურების წინსვლას, ხანაც აფერხებდა მას: თუმცა, გარე სამყაროს ინტერესი კავკასიის მიმართ არ განისაზღვრებოდა მხოლოდ აქ გამავალი სატრანზიტო გზების მნიშვნელობითა და საჭიროებით.

დაწინაურებული მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის ფონზე კავკასიაში იყო ისეთი ბუნებრივი სიმდიდრე (ლითონის უმდიდრესი ნედლეული და ამ ბაზაზე განვითარებული ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიული წარმოება), რომელიც მისი განვითარების უმთავრეს ბერკეტად და მის მიმართ მთელი გარე სამყაროს გაცხოველებული ინტერესის ფაქტორად იქცა. ათასწლეულების განმავლობაში სამეურნეო ცხოვრების სწორედ ეს მიმართულება უნდა ყოფილიყო კავკასიური კულტურის განვითარებისათვის უმთავრესი ბიძგის მიმცემი.

მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში მდებარე კახეთის მხარე გეოგრაფიულად გამოცალკევებულია მდინარეების – ივრისა და ალაზნის ოროგრაფიული სისტემით და მატერიალური კულტურის მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება, ზოგადად იგი უძველესი სამხრეთ კავკასიური კულტურების განუყოფელი ნაწილია და მხოლოდ მათთან ერთად, ერთ სისტემაში უნდა იქნას განხილული.

კახეთი მდიდარია როგორც მეტალურგიული წარმოებისათვის საჭირო ნედლეულით, ისე ნოყიერი ნიადაგებით, ნიადაგისეული

საფარით – ტყის მასივებით, საძოვრებით და წყლის რესურსებით. ყოველივე ეს, ზომიერ ჰავასთან ერთად, ადამიანის საცხოვრებლად და მისი სამეურნეო ცხოვრების განვითარებისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებს ქმნის.

როგორც ჩანს, კავკასიის ეს კუთხე ოდითგანვე გამოირჩეოდა ცხოვრებისთვის ხელსაყრელი პირობებით.

ამის საუკეთესო მანიშნებელი უნდა იყოს კახეთის სხვადასხვა მხარეში, უფრო კი იორის ხეობაში (ვაშლოვნის ნაკრძალი, ტარიბანას ველი, დავითგარეჯის უდაბნო, გომბორის ქედის სამხრეთი ფერდები), აღმოჩენილი განმარხებული ცხოველების ძვლები, რომელთა შორის ინდივიდების მთელი ნონჩხებიც გვხვდება (სპილო, მარტორქა და სხვ.). განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დავითგარეჯის უდაბნოში, ლავრის სამონასტრო კომპლექსის მახლობლად აღმოჩენილი პრიმატის კბილი, რომლის ასაკიც მეოტური პერიოდით განისაზღვრება.

ამ თვალსაზრისით ისიც მნიშვნელოვანია, რომ ვაშლოვნის ნაკრძალის ტერიტორიაზე მასიური ტყის სახით, ცოცხლად არის გადარჩენილი მილიონობით წლის წინანდელი ხის ჯიშები, რაც მსოფლიო მასშტაბით უნიკალური მოვლენაა.

კახეთში საუკეთესო ბუნებრივი პირობები იყო ქვის ხანის ადამიანის ცხოვრებისთვისაც. ამაზე უმთავრესად მიგვითითებს იორის ხეობაში, გომბორის ქედის სამხრეთ ფერდობებზე და იორის ზეგანზე აღმოჩენილი ქვის ხანის ადამიანის რამდენიმე ათეული ღია სადგომი, სადაც მრავლად გამოვლინდა კაჟისგან დამზადებული იარაღები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფ. ზიართან აღმოჩენილი ადრინდელი ქვის ხანის ადამიანის ნაბინავარი, სადაც კულტურული ფენა დაურღვეველად, თავდაპირველ მდგომარეობაშია გადარჩენილი. მონაპოვარი მასალის მიხედვით, კახეთის ტერიტორიაზე ქვის ხანაში ადამიანი მუდმივად სახლობდა. აქ მისი ცხოვრების კვალი დაახლოებით ძვ. წ. 2 მილიონ 300 ათას წელსა და 10.000 წელს შორის უნდა განისაზღვროს.

კახეთში ქვის ხანის ძეგლებიდან ნეოლითის (ახალი ქვის ხანა) ხანის ძეგლები ჯერჯერობით არ არის გამოვლენილი. ამ მხარეში მათ არსებობაზე მხოლოდ რამდენიმე შემთხვევითი აღმოჩენა მიგვანიშნებს. საზოგადოების განვითარების შემდგომი საფეხურის, ენეოლითის (სპილენძ-ქვის ხანა) ხანის ნამოსახლარები კახეთში აღმოჩენილია მდ. ალაზნის მარცხენა ნაპირზე, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, სოფ. წითელგორის მახლობლად; გურჯაანის მუნიციპალიტეტში – სოფ. ჯიმითთან და სოფ. ჭერემთან. აქ აღმოჩენილია შენობათა მცირე კვალი და დიდძალი არქეოლოგიური მასალა (ხელით ნაძერწი თიხის ჭურჭელი და ნახეხ-ნაპრიალები ქვის იარაღი), რომლებიც დათარიღებულია ენეოლითური ხანის დასასრულით. ამ ძეგლებზე



ალაზნის ველი. წინა პლანზე: სოფ. ვეჯინი და ველაწმინდის ტაძარი

გამოვლინდა წმინდა სპილენძისგან დამზადებული ნივთის ერთადერთი ფრაგმენტიც, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ მხარეში მეტალურგიულ წარმოებას შესაძლოა ძვ. წ. ექვსი ათასი წლის წინ ჩაეყარა საფუძველი.



ვაშლოვნის ნაკრძალი (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი). ალესილები

დავითგარეჯის უდაბნოს სამხრეთით, მტკვრის მარცხენა ნაპირას, ჯანდარის ტბის პირას, აზერბაიჯანისა და საქართველოს საზღვარზე, აღმოჩნდა თიხის მრგვალი და ოთხკუთხა შეწნობებიანი დიდი ნამოსახლარი. მოპოვებული მაღალხარისხოვანი თიხის ჭურჭელი, რომლის უმეტესობა სამეთუნეო მორგვზეა დამზადებული (მცირე ტერაკოტული ქანდაკებები, თიხის საბეჭდავები და წმინდა სპილენძისაგან დამზადებული იარაღები), იმაზე მიგვანიშნებს, რომ აქ ძვ. წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევარში შესაძლოა მესოპოტამიიდან ემიგრირებული ხალხის დიდი ჯგუფი სახლობდა საკმაოდ დიდი დროის განმავლობაში.

კავკასიაში სპილენძ-ქვის ხანის ეპოქის შემდგომი პერიოდი (ადრინდელი ბრინჯაოს ხანა) ძვ. წ. IV ათასწლეულის მეორე და III ათასწლეულის პირველი ნახევრით თარიღდება. ამ დროს სამხრეთ კავკასიის მთელ ცენტრალურ ნაწილში გავრცელებულია ე. წ. მტკვარ-არაქსის კულტურა, რომელშიც ერთიანდება იორ-ალაზნის აუზიც, დღევანდელი კახეთის ტერიტორია.

კახეთში ამ დროის ბევრი ნამოსახლარია ცნობილი, თუმცა ისინი ჯერჯერობით სრულად გამოკვლეული არ არის. უკეთ არის შესწავლილი აქ გამოვლენილი სამარხეული ძეგლები. ძირითადად გათხრილია გორასამარხები დიდი ქვაყრილით, რომლის ცენტრალური ნაწილის ქვეშ უორმოო, საოჯახო, კოლექტიური სამარხებია განლაგებული, ხშირად მიცვალებულების ფერფლით. ზოგჯერ დასაკრძალავ დარბაზებს აღმოსავლეთის მხრიდან მიშენებული აქვს ქვის ფილებით ნაგები გრძელი დერეფნები – დრომოსები, რომლებშიც შეწირული ადამიანების მთლიანი ჩონჩხები ან ჩონჩხების ნაწილებია მოთავსებული. კახეთში შესწავლილია იმდროინდელი გრანდიოზული კატაკომბური სამარხებიც, რომლებიც ქვის დიდი ყრილის ქვეშ არის განლაგებული.

სამარხებში დიდი რაოდენობით გვხვდება მიცვალებულისათვის ჩატანებული მაღალხარისხოვანი თიხის ჭურჭელი, შედარებით იშვიათად – ბრინჯაოს იარაღი და სამკაული. ამ დროიდან სამარხეულ ინვენტარში გვხვდება ოქროს ნივთებიც, ძირითადად, სა საფეთქლე ხვიების სახით.

ცნობილია, რომ ადრინდელი ბრინჯაოს ხანის ე. წ. მტკვარ-არაქსის კულტურის შემდგომ, ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებში და მის მეორე ნახევარში, სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში მის ადგილს იმკვიდრებს ე. წ. მარტყოფული და ალაზან-ბედენური (ადრინდელი ყორღანული) კულტურები, რ-ებიც მთლიანად მოიცავს თანამედროვე აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიას (კახეთის ჩათვლით) და დღევანდელი სომხეთის ჩრდილო ნაწილს.

კახეთი ამ კულტურების გავრცელების ერთ-ერთი ძირითადი მხარეა და ნიშანდობლივია, რომ პირველად სწორედ კახეთის მასალების მიხედვით დაისვა საკითხი ადრინდელი ბრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსული და მარტყოფული კულტურების ქრონოლოგიური და გენეტიკური სიახლოვის შესახებ. ამ ორი ჯგუფის ძეგლების ქრონოლოგიური სიახლოვე დაადასტურა იორის ზემო დინებაში, სიონის ნამოსახლარზე აღმოჩენილმა მასალებმა, სადაც მათთვის დამახასიათებელი



ქვის ხანის ადამიანის კაჟის იარაღები

კერამიკული ნაკეთობანი ერთი და იმავე კულტურულ ფენაში აღმოჩნდა. შემდგომ უკვე მათ გენეტიკურ კავშირზე საუბრის საფუძველი მოგვცა ანანაურის



ფნორი. ლომის ჭანდაკება. ოქრო, ძვ.წ. III ათასწლეულის დასასრული. საქართველოს ეროვნული მუზეუმი

გორასამარხების კერამიკულმა მასალამ, ვინაიდან ეს ნაკეთობები ერთდროულად შეიცავდა ორივე კულტურის დამახასიათებელ ნიშნებს.

კახეთში როგორც მარტყოფული, ისე ალაზან-ბედენური კულტურების სამარხეული მასალა განსაკუთრებული სიმდიდრით გამოირჩევა. ამ დროის სამარხებში, როგორც წესი, მოზრდილ მიწისზედა ან ორმოში არსებულ დასაკრძალავ დარბაზზე მოზვინულია ქვისა და მიწის დიდი ბორცვი, რომელიც სიმაღლით ზოგჯერ 20 მეტრს აღწევს, მისი დიამეტრი კი 200-250 მეტრამდეა. არის მათი თანადროული, შედარებით მცირე ზომის გორასამარხებიც, რომელთა კონსტრუქცია ჩვეულებრივ, დიდი გორასამარხების იდენტურია. სამარხის ყრილის ქვეშ გამართულია ხის დიდი მორებით ნაგები, მიწისზედა, ჯარგვალური დასაკრძალავი დარბაზი (ხშირად 10×10 მ), რომლის იატაკი და გადახურვა ხის მორების რამდენიმე ფენისგან შედგება. იატაკზე, ზოგჯერ, გეომეტრიული სახეებით, სხვადასხვა ფერად შეფერადებული ტყავია დაფენილი,გადახურვას კი სქლად ნაქსოვი ჭილოფი ფარავს. ზოგჯერ დასაკრძალავი დარბაზი მოზრდილ ორმოშია მოწყობილი, რომლის კედლები ვერტიკალურად მდგარი, მსხვილი მორებით არის გამოყვანილი. ხშირია დასაკრძალავი დარბაზის გადახურვაზე ადამიანის მსხვერპლშეწირვა, უმეტესწილად სრულიად უინვენტაროდ.

ამ დროის განათხარი სამარხების უმეტესობა კახეთში ძველადვეა გაძარცული, მაგრამ მაინც მოხერხდა დაკრძალვის წესჩვეულების სურათის აღდგენა.

მარტყოფული და ბედენური კულტურის დასაკრძალავი დარბაზების ცენტრალურ ნაწილში ხის მოზრდილი, ოთხთვალა ურემი იდგმებოდა, რომელზეც ჭილოფში გახვეული, დამწვარი მიცვალებულის ფერფლი და მისი პირადი ნივთები (განსაკუთრებით მაღალხარისხოვანი თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს იარაღი, სამკაული და სხვ.) ეწყობოდა.

როგორც მარტყოფული პერიოდის, ისე ალაზან-ბედენური დროის სამარხებში, ადამიანის მსხვერპლშეწირვა დასაკრძალავი დარბაზის კუთხეებშიც დასტურდება. ჩონჩხები გვერდზე მწოლიარე, კიდურებმოხრილი, უინვენტაროდ არის წარმოდგენილი. ამ დროის დიდ სამარხებში მიცვალებულისთვის ნატანებული ინვენტარი განსაკუთრებით მდიდრულია – ეს არის ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს მრავალფეროვანი ნაკეთობები, ძვირფასი ქვებისა და ფაიფურის მძივები, ბრინჯაოს ცული, ხანჯალი, სამკაული, ბრინჯაოს სამკაპა, ბრინჯაოს სარკე, ბრინჯაოს ფიალა, ბრინჯაოს ხანჯალი, ბრინჯაოს ც



აფენი. ანანაურის გორასამარხი. გულსაკიდი. ოქრო. ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანა. საქართველოს ეროვნული მუზეუმი

სამარხებში კი მიცვალებული დასვენებულია დასაკრძალავი ორმოს ფსკერზე. ი შ ვ ი ა თ ა დ – ხის სარეცელზე. სამარხებში განსაკუთრებით დიდი რაოდენობით არის ჩატანებული მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი. მიცვალებულებს ასევე დიდი რაოდენობით ატანდნენ საგზალს სხვადასხვა ზომის შავპრიალა თიხის ჭურჭლით. ძალიან იშვიათია წითლად გამომწვარი თიხის ჭურჭელი. სამარხებში მიცვალებულებს ატანდნენ აგრეთვე ბრინჯაოს მახვილებს, ბრინჯაოს ჭურჭელს, სხვადასხვა სახის ქვის მძივებს, კაჟისა და ობსიდიანის ისრისპირებს, ვერცხლისა და ოქროს მრავალნაირ სამკაულს და სხვა. ამ დროის სამარხებში მიცვალებულის კრემაცია არ დადასტურებულა.

კახეთის აღმოჩენებთან ერთად ზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ აქ პირველად გამოვლინდა თრიალეთური სამოსახლოები, რამაც ამ კულტურის გააზრების სრულიად ახალი მიმართულებები წარმოაჩინა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფ. თავწყაროსთან ქართულ-გერმანულმა ექსპედიციამ დაიწყო არქეოლოგიური ძეგლის „ტახტიფერდას“ შესწავლა. იგი ივრისა და ალაზნის აუზების დამაკავშირებელი გზების გადაკეცთაზე მდებარეობს და ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი სტრატეგიული ობიექტია. მისი ცენტრალური, შემაღლებული ადგილი და ჩრდილო ფერდი დიდი სამლოცველოა. ქვედა ფენა შუა ბრინჯაოს ხანისაა. იგი ხის კონსტრუქციების გალავნით არის დაცული. ზედა ფენა კი ძვ.წ. II ათასწლეულის ტაძარია. იგი შემოსაზღვრულია სათაედაცვო კედლით (სიგანე 5 მ), რომელსაც ორი, ოთხკუთხა კოშკით დაცული კარიბჭე დასავლეთიდან აქვს. მისი საძირკვლის ქვის დიდი ლოდებით არის ნაგები. ზედა ნაწილი კი ხის მორების ბადურ წყობას წარმოადგენს, რომელთა შორის ღიობები წვრილი ქვა-ღორღით არის შევსებული. არსებითია, რომ ივრის ზეგანსა და გარეჯის მრავალმთაში ამ დროის ქვედა დასახლება მსგავსი კონსტრუქციის გალავნებითაა დაცული. უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ეს საფორტიფიკაციო ნაგებობები გეგმარებით, მასშტაბურობით და სამშენებლო ტექნიკით წინა აზიის თანადროული ცივილიზაციების შესაბამისი ძეგლების იდენტურია.

როგორც ჩანს, ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრის მიწურულს, ჩვენში მკვიდრდება საფორტიფიკაციო ნაგებობების მშენებლობის წინააზიური ტრადიციები, რომლებიც ძვ. წ. II ათასწლეულის განმავლობაში სამხრეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილის კულტურებისთვის დამახასიათებელი ხდება.

კახეთში აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის შედეგად კავკასიოლოგიურ მეცნიერებაში ერთმანეთს გენეტიკურად დაუკავშირდა ორი დიდი ეპოქა – შუა და გვიანდელი ბრინჯაოს ხანა. ეს მიღწეულ იქნა მათ შორის დამატებითი განვითარების სამი შუალედური რგოლის გამოყოფის შედეგად, რის საფუძველზეც შემუშავდა სამხრეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილის ძვ. წ. II ათასწლეულის კულტურების თანამიმდევრობის სრულიად ახალი ქრონოლოგიური სქემა.

კახეთში აღმოჩენილია ამ დროის როგორც ნამოსახლარების, ისე სამლოცველოებისა და სამაროვნების მთელი სერია.

გვიანდელი ბრინჯაოს ხანის ადრინდელ საფეხურზე გორასამარხთა კონსტრუქციები მხოლოდ მდიდრულ სამარხებს ახასიათებს. მასობრივად კი ამ პერიოდიდან მთელ ცენტრალურ ამიერკავკასიაში, მათ შორის კახეთშიც, ორმოსამარხებია გავრცელებული. შუა ბრინჯაოს ხანის დასასრულიდან მოკიდებული, მთლიანად გვიანდელი ბრინჯაოს ადრინდელი რკინის ხანაში, სამხრეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილის კულტურისთვის, მათ შორის კახეთშიც, სამარხები მხოლოდ ინჰუმაციურია და ინდივიდუალური. ძალიან იშვიათია წყვილადი დაკრძალვა. როგორც წესი, კიდურებმოხრილი მიცვალებულები დასვენებული არიან მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, სამარხი ორმოს ფსკერზე, იშვიათად – ხის სარეცელზე.

გვიანდელი ბრინჯაოს ხანის ადრინდელი საფეხურის სამარხეული მასალა წარმოდგენილია, ძირითადად, შავპრიალა თიხის ჭურჭლით, რომელიც როგორც ტექნოლოგიური თვალსაზრისით, ისე გარეგნული სახით აგრძელებს შუა ბრინჯაოს ხანის ადგილობრივ ტრადიციებს, თუმცა ამ დროს ჩნდება შემკობის თავისებური წესიც, კერძოდ, გამოწვის შემდეგ შავზედაპირიანი თიხის ჭურჭლის თეთრი ან წითელი საღებავით შემკობა. ამ დროიდან შედარებით ხშირია სამარხში უხეშზედაპირიანი თიხის ჭურჭლის ჩატანების ტრადიცია, რომელიც პირველად შუა ბრინჯაოს ხანის დასასრულს იჩენს თავს. მათი კეცი უმეტესწილად კვლავ წმინდაა და ორფენოვნად გამომწვარი, ზედაპირი დაღარული აქვს კონცენტრული ხაზებით, რაც სწრაფადმბრუნავი სამეთუნეო ჩარხის კვალს წარმოადგენს. ეს კი სამეთუნეო წარმოებაში უდიდესი წინსვლის ნიშანია. სწორედ ამგვარად შემკული ჭურჭელია გვიანდელი ბრინჯაო-ადრინდელი რკინის ხანისთვის ძირითადი დამახასიათებელი ნაწარმი. გვიანდელი ბრინჯაოს ხანის პირველ საფეხურზე ბრინჯაოს საბრძოლო იარაღი, ჯერ კიდევ ატარენებს წინააზიური პროტოტიპების სახეს, რომლებიც კავკასიაში შუა ბრინჯაოს ხანის IV საფეხურზე ჩნდება. გვიანდელი ბრინჯაოს ხანის მეორე საფეხურზე კი მათ საფუძველზე უკვე ტიპური კავკასიური საბრძოლო იარაღის ფორმები ყალიბდება. მსგავსი სურათი გვაქვს ლითონის სამკაულის მიხედვითაც.

კახეთში ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანების მრავალი ძეგ-



ზემო ბოდბე, სამარხეული კომპლექსის ინვენტარი. შუა და გვიანდელ ბრინჯაოს ხანებს შორის გარდამავალი პერიოდი

ლია (ნამოსახლარი, სამლოცველო, სამარხეული კომპლექსი) შესწავლილი. განსაკუთრებით აღსანიშნავია გვიანდელი ბრინჯაოს ხანის ადრეული I საფეხურის ე. წ. ცენტრალურკავკასიური კულტურის გრანდიოზული სამლოცველოები, რომლებიც სამოსახლოებს გარეთ,განცალკევებით არსებობდა და რამდენიმე დასახლების სალოცავ ცენტრს წარმოადგენდა, რაც ამ დროის საზოგადოების მაღალ სოციალურ განვითარებაზე უნდა მიგვითითებდეს.



შილდა. შედგენილტარიანი კახური ტიპის სატევარი. ბრინჯაო. ძვ. წ. XIII ს. საქართველოს ეროვნული მუზეუმი

მიუხედავად იმისა, რომ გვიანდელი ბრინჯაოს ხანის ადრეული I და II საფეხურის ნამოსახლარები კახეთში საგანგებოდ არ არის შესწავლილი, ეაისწყლისა და უდაბნოს ნამოსახლარებზე ჩატარებული მცირე სამუშაოებით სრულიად აშკარად გამოიკვეთა ერთი არსებითი ცვლილება ნამოსახლართა მშენებლობის ტექნიკაში. გვიანდელი ბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურიდან როგორც საცხოვრებელი, ისე სათავდაცვო ნაგებობების საძირკველი ქვით არის ნაგები. ზედა კი ხის მორების ბადური წყობით. მშენებლობის ეს ტექნიკა და ხშირად გეგმარებაც შესაძლოა,მცირეაზიური ცივილიზაციების ზეგავლენის შედეგად, სწორედ ამ დროიდან ჩნდება სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში. შემდგომ კი ამ მხარეში,ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულის და ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, საკმაოდ გავრცელებული ქვის არქიტექტურა მისი წინამორბედი პერიოდის, გვიანდელი ბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის ტრადიციაზე უნდა იყოს დაფუძნებული. როგორც კახეთის ძეგლების შესწავლისას დადგინდაალაზნის ველზე, მის მარჯვენა ნაპირას, ბრინჯაოს ხანის ყველა საფეხურის ნამოსახლარის კულტურული ფენები ერთიმეორეზეა დაფენილი. აქ განსაკუთრებული ხელსაყრელი სამეურნეო პირობები უნდა ყოფილიყო,რამაც განსაზღვრა ადამიანის ცხოვრება ერთი და იმავე ადგილზე თითქმის ორი ათასი წლის განმავლობაში. ალაზნის ველზე ბრინჯაოს ხანაში არსებული კულტურები მთლიანად ამ ხნის განმავლობაში გეგრეტიკურად იყო ერთიმეორესთან დაკავშირებული.

იმავე ინფორმაციას გვაწვდის ივრის ხეობაში არსებული ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარების ტოპოგრაფია, თუმცა აქ იგი ალაზნის ველისგან რამდენადმე განსხვავებულია. კერძოდ, ივრის აუზში შუა ბრინჯაოს ხანის და გვიანდელი ბრინჯაოს ხანის ადრინდელი საფეხურის ნამოსახლარები, ჩვეულებრივ, დაბლობ ადგილებშია განლაგებული,უფრო მეტად მდინარეების თუ ღელეების პირას,მდინარეულ ტერასაზე. მაგრამ საგანგებო კვლევა-ძიების შედეგად, ისიც ცხადი გახდა, რომ დაბლობში განლაგებული ნამოსახლარებიდან, ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულში, თითქმის ყველგან, მოსახლეობა იქვე, მახლობლად მდებარე მთის თხემზე ადის საცხოვრებლად, სადაც უფრო მოსახერხებელია მძლავრი საფორტიფიკაციო ნაგებობების გამართვა. ეს, გარდა შიდა განვითარების შედეგად გამოწვეული აუცილებლობისა, გარე საშიშროებით უნ-



შილდა. სამაჯური. ბრინჯაო. ძვ. წ. XIII ს. საქართველოს ეროვნული მუზეუმი



საგარეჯო. ორნამენტირებული სარტყელი. ბრინჯაო, ძვ. წ. IX-VIII სს.

და ყოფილიყო ნაკარნახევი. ნიშანდობლივია ისიც, რომ სწორედ ამ დროიდან შეინიშნება კახეთის ძეგლებზე ბრინჯაოს საბრძოლო იარაღის განსაკუთრებული სიმრავლე.

ივრის ხეობაშიც შუა და გვიანდელი ბრინჯაოს ხანის ნამოსახლართა ტოპოგრაფია აქ არსებულ კულტურათა გენეტიკურ კავშირზე მიგვითითებს და ძვ. წ. II-I ათასწლეულში კულტურის თანამიმდევრულ უწყვეტ განვითარებას გვიდასტურებს.

იმავე დასკვნის საფუძველს გვაძლევს კახეთის შუა ბრინჯაოს ხანის ძეგლებზე პირველად დადასტურებული საფორტიფიკაციო ნაგებობების სამშენებლო ტრადიცია (ხის მორების ბადისებრი წყობა, რომელშიც მორებს შორის არეები რიყის წვრილი ქვითა და ღორღით არის შევსებული). გამაგრების ამ სისტემით მშენებლობა იორ-ალაზნის აუზის ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარებისთვის ტრადიციული ხდება მთლიანად გვიანდელი ბრინჯაო-რკინის ხანაში.

არსებული მონაცემების მიხედვით, კახეთის ტერიტორიაზე ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევარში, გვიანდელი ბრინჯაო-ადრინდელ რკინის ხანაში,უმაღლეს განვითარებას აღწევს ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიული წარმოება, რაც აშკარად დასტურდება ამ კულტურისათვის დამახასიათებელი ლითონის ინვენტარის მიხედვით.



ნაზარლების სამაროვანი. ბრტყელი ცული. ბრინჯაო. ძვ.წ. XIII ს. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ამ დროს უმაღლეს განვითარებას აღწევს აგრეთვე სამეთუნეო წარმოება და ხელოსნობის სხვა დარგები. საზოგადოების სამეურნეო ცხოვრების ძირითადი საქმიანობა – მიწათმოქმედება და მესაქონლეობა კარგად არის ორგანიზებული. ამ დროიდან მიწათმოქმედება ხელოვნურ რწყვაზეა დაფუძნებული, მესაქონლეობა კი კვლავ სამომთაბარო ხასიათს ატარებს.



დედოფლისწყარო. გოხების მთის სამლოცველო,ცხენებშებმული საბრძოლო ეტლის მოდელი, ბრინჯაო. ძვ.წ. IX-VIII სს. საქართველოს ეროვნული მუზეუმი

ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულს და I ათასწლეულის დასაწყისში კავკასიის ამ რეგიონში განვითარების ზოგად სურათს კარგად შეეფარდება დაგეგმარებული და მძლავრი სათავდაცვო სისტემით გამაგრებული, ქალაქური ტიპის დასახლებების აღმოჩენა დავითგარეჯის უდაბნოში, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ საზოგადოებას სოციალური თვალსაზრისითაც, მაღალი განვითარებისათვის მიუღწევია. ამის დასტურია ნამოსახლარებიდან გამოყოფილი სამლოცველოებიც (მელაანი, მელიღელე, არაშენდა, შილდა, ბაკურციხე) და იქ აღმოჩენილი უმდიდრესი ინვენტარი: საბრძოლო იარაღი, სამკაული, კერამიკული ნაწარმი.

კახეთის აღმოსავლეთ ნაწილში, შირაქის პლატოზე და მის მიმდებარე ალაზნის ველის დიდ მონაკვეთზე არსებული ძვ. წ. IX-VIII საუკუნეების მცირე ქალაქური დასახლებების არსებობა რეგულარული გეგმარებით, თიხით ნაშენი საცხოვრებელი უბნებით, მოკირწყლული ქუჩებით და საკანალიზაციო ქსელით, ამ დროს აქ სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის არსებობაზე მიგვითითებდეს. როგორც ჩანს, ყველა ეს დასახლება განადგურებულია ერთდროულად ძვ. წ. VII საუკუნეში, ჩრდილოეთიდან მომხდური სკვითური ტომების მიერ.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ შირაქის პლატოზე აღმოჩენილია „დიდი რუის“ სახელწოდებით ცნობილი სარწყავი სისტემის არსებობის კვალი. პალინოლოგიურმა კვლევამ მოგვცა იმის



ნაზარლების სამაროვანი. გვერგეები. ბრინჯაო. ძვ.წ. XIII სს. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თქმის საფუძველი, რომ ძვ. წ. I ათასწლეულის საწყის საუკუნეებში შირაქის პლატოს სამხრეთ ნაწილში მდებარე მთები ულრანი ტყის მასივებით უნდა ყოფილი-

ყო დაფარული. სარწყავი არხი – „დიდი რუიც“ სწორედ ამ მთებიდან იღებდა სათავეს.



შიდა. ირმის ქანდაკება, ბრინჯაო, ძვ.წ. XIV ს. საქართველოს ეროვნული მუზეუმი

აღსანიშნავია ისიც, რომ შირაქის ველის დასავლეთ ნაწილში მდებარე, „გოხების“ სახელწოდებით ცნობილ, ერთ-ერთ მაღალ მთის თხემზე აღმოჩნდა სამლოცველო, სადაც სხვა ნივთებთან ერთად, შეწირული იყო საბრძოლო ეტლის ბრინჯაოს მოდელი, რომელიც შირაქის ამ მცირე ქალაქების თანადროულია. საბრძოლო ეტლის არსებობა კი თავისთავად გულისხმობს ამ დროის საზოგადოებაში შესაბამისი რეგულარული, საჯარისო შენაერთების არსებობასაც.

ამასთან, შირაქის უკლებლივ ყველა ნამოსახლარზე განსაკუთრებით მრავლად აღმოჩნდა კამეჩის თავის გამოსახულების მქონე თიხის ნიღბები. გამორიცხული არ არის, რომ იგი აქ წშინდა ცხოველად ითვლებოდა, რაც თავისთავად ასოცირდება ამ მხარის უძველეს სახელწოდებასთან – კამბეჩოვანთან. კამბეჩოვანი კი შემდგომი დროის იგივე ჭიზიყია.

კახეთში მოპოვებულმა არქეოლოგიურმა მასალამ სხვა უფრო მნიშვნელოვანი დასკვნის საშუალებაც მოგვცა. კერძოდ, გაჩნდა იმის შესაძლებლობა, რომ იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულისა და ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისის არქეოლოგიური მასალების თავისებური ჯგუფები, მკვეთრად გამოყოფილი გავრცელების საზღვრებით, დაგვაკავშიროთ კონკრეტულ ქართულ ეთნიკურ ერთეულებთან. ეს თავისთავად მრავლისმეტყველი ფაქტია, რადგან მასზე დაყრდნობით შეიძლება სარწმუნოდ ვისაუბროთ არქეოლოგიური კულტურების ეთნიკურ კუთვნილებაზე.

ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულის და ძვ. წ. ათასწლეულის დასაწყისის არქეოლოგიური მასალების მიხედვით, უმთავრესად კი ბრინჯაოს საბრძოლო იარაღის შესწავლის შედეგად, გამოიყო სამი თავისებური ჯგუფი, რომლებიც მკვეთრად განსხვავდება ერთიმეორისაგან და თითოეული მათგანი მკაცრად შემოფარგლულ ტერიტორიაზეა გავრცელებული. ერთი ჯგუფი, მასალის გავრცელების საზღვრების შესაბამისად, შემოიფარგლა მდ. ალაზნისა და იორის ზემო დინებით, ვიდრე მდ. არაგვამდე; მეორე ჯგუფის გავრცელების საზღვრები მთლიანად მოიცავს მდ. ალაზნის შუა და ქვემო დინებას და ტერიტორიას მის სამხრეთით, მდ. ივრამდე; მასალების მესამე ჯგუფი შედარებით მცირე ტერიტორიაზეა გავრცელებული და თბილისის და რუსთავის მიდამოებში ფარავს ფართობს მდ. მტკვრის ორივე მხარეს ჩრდილოეთით – მდ. ივრამდე, სამხრეთით კი – მდ. ალგეთამდე.



ნაზარლების სამლოცველო. სადღვებელი. ძვ.წ. XIII ს. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქართულ ისტოგრაფიაში რეალობად არის მიჩნეული ლეონტი მროველის თხზულებაში გადმოცემული საქართველოს ისტორიის საწყისი, სადაც იგი ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ამბებს უნდა გადმოგვცემდეს. სხვა მონაცემებთან ერთად, აქ ზუსტად



ნაზარლების სამაროვანი. სარდიონის, ნიჟარის და პასტის მძივები. ძვ.წ. XIII ს. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

არის შემოფარგლული თავდაპირველად თარგამოსიანთა, შემდეგ კი მისი შთამომავლების – ქართლოსიანთა კუთვნილი ტერიტორიების საზღვრები. მნიშვნელოვანია ის, რომ თარგამოსის ძის,



სადუღას გორასამარხი. თიხის ჭურჭელი. ძვ.წ. XVIII-XVII სს. საქართველოს ეროვნული მუზეუმი

ჰეროსისა, და ქართლოსის ძეთა, კახოსისა და კუხოსის კუთვნილი ტერიტორიების საზღვრები ზუსტად დაემთხვა იორ-ალაზნის აუზის, ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულისა და ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისის არქეოლოგიური მასალების სამი ჯგუფის გავრცელების საზღვრებს, რაც, არ შეიძლება შემთხვევითობას მივაწეროთ, მითუმეტეს, რომ წერილობით წყაროში აღწერილი ტომთა დასახლების საზღვრები ქრონოლოგიურად ემთხვევა არქეოლოგიური მასალების ამ სამი თავისებური ჯგუფის თარიღს.

დასკვნა მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს: ამ უძველესი ქართველური ტომების – კახების, კუხების და ჰერების ეთნიკური ისტორია ძვ. წ. II ათასწლეულიდან უნდა დავიწყოთ.

კახეთში აღმოჩენილია ძვ. წ. I ათასწლეულის შუახანების მეტად მნიშვნელოვანი ძეგლებიც. ალაზნის ველზე, სოფ. ტიბაანის მახლობლად, ჭუმბათად წოდებულ ადგილში გაითხარა ბრწყინვალე ნასახლარის ნაშთები აქემენიანთა იმპერიის დედაქალაქის – პერსეპოლისისთვის დამახასიათებელი ტიპური სეტის ქვის ძირებით, რომლებიც ლოტოსის ფოთლის გამოსახულებებითაა შემკული. თუ სვეტების ძირების დიამეტრის მიხედვით ვიმსჯელებთ, სვეტების სიმაღლე რვა მეტრზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო, რაც ნაგებობის გრანდიოზულობაზე მიგვანიშნებს. ამ დროს კავკასიის ამ მხარის აქემენიდურ სამყაროსთან მჭიდრო კავშირის მანიშნებელია სოფ. პატარძეულში აღმოჩენილი სამარხეული მასალა, კერძოდ, ძვ. წ. VI ს-ის ომფალოსიანი ბრინჯაოს თასები, ვერცხლის ფიალა. ამ პერიოდის მნიშვნელოვანი ძეგლია შესწავლილი შირაქშიც, სოფ. ქვემო ქედში. აქ გაითხარა სამოსახლოსგან გამოყოფილი ლითონდამმუშავებელი დიდი სახელოსნო, რომელიც აქემენიდური იმპერიის თანადროულია, მისი გავლენის მრავალ ნიშანს ატარებს და სრულიად გარკვევით მიგვითითებს ამ მხარეში არსებული საზოგადოების მაღალ, სოციალურ განვითარებაზე.

შედარებით უკეთ არის ცნობილი კახეთის აღმოსავლეთ ნაწილში ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნით დათარიღებული ე. წ. იალოილუთაფას კულტურის კუთვნილი მასალები, რომელიც ამ მხარის მხოლოდ უკიდურეს აღმოსავლეთ მონაკვეთშია განსაკუთრებით დიდი რაოდენობით მოპოვებული. მეტად მნიშვნელოვანია, რომ ამ მასალებს არაფერი საერთო არა აქვს მის



ნაზარლების სამაროვანი, სატევარი, ბრინჯაო. ძვ.წ. XVIII-XVII სს. იალის სახელმწ. უნ-ტი

წინამორბედ ადგილობრივ კულტურასთან და, რაც მთავარია, იგი კახეთის ტერიტორიაზე დაახლოებით 100-150 წლის არსებობის შემდეგ უკვალოდ ქრება ისე, რომ მისი არც ერთი დამახასიათებელი ნიშან-თვისება შემდგომი დროის ადგილობრივ მასალებში აღარ შეინიშნება. ეს კი იმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასტურია, რომ კახეთის ტერიტორიაზე იალოილუთაფას კულტურის კუთვნილ მასალებს ეტყობა მომხვდურს, რომელსაც ეს ტერიტორია დროებით ჰქონდა დაპყრობილი. უფრო დაწვრილებით საუბარი კახეთის ამ ხანის წარსულზე ჭირს, რადგან იგი ჯერჯერობით საგანგებოდ არ არის შესწავლილი.



ნაზარლების სამლოცველო. თიხის ჭურჭელი. ძვ. წ. XIII ს. იალის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აქვე არ შეიძლება არ ვახსენოთ სოფ. ქვემო ქედში აღმოჩენილი ერთი ორმოსამარხი, რომელშიც იალოილუთაფას კულტურის კუთვნილ კერამიკულ მასალასთან ერთად, რომაელი ლეგიონერის ლითონის მუზარადიც აღმოჩნდა. ცნობილია, რომ რომაელმა ლეგიონერებმა აშკარა კვალი დატოვეს სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში. ამ ახალი აღმოჩენის მიხედვით კი, უკვე სავარაუდოა, რომ მათი მოძრაობის მარშრუტში შირაქის ველის ჩრდილო განაპირა ზოლიც შედიოდა, მითუმეტეს, რომ აქ საგზაო მაგისტრალი უკვე ბრინჯაოს ხანაში არსებობდა.

საყურადღებოა, რომ სოფ. ჭერემსა და ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფ. კოჯორში აღმოჩენილი სამარხეული მასალა, რომელიც ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებით თარიღდება, მთლიანად იდენტურია საქართველოს ძველ დედაქალაქ მცხეთაში მოპოვებული მასალებისა, რაც შესაძლოა ამ დროს მათ ერთ პოლიტიკურ სისტემაში არსებობაზე მიუთითებდეს.

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორიულ ეპოქაში კახეთი ძვ. წ. IV-III საუკუნეებში წარმოქმნილი ქართული სახელმწიფოს – ქართლის (დასავლური წყაროებით იბერია) აღმოსავლეთი პროვინცია იყო. ამ სახელმწიფოს სატახტო ქალაქს მცხეთა წარმოადგენდა. ლეონტი მროველის თანახმად, ფარნავაზიანთა დინასტიის დამაარსებელმა მეფე ფარნავაზმა ქართლის სამეფო 8 საერისთავოდ დაყო (კახეთის, ხუნანის, სამშვილდის, წუნდის, ოძრხის, კლარჯეთის, ეგრისისა და არგვეთის). კახეთის ერისთავს „მისცა მიწაწყალი არაგვითგან ვიდრე ჰერეთამდე, რომელ არს კახეთი და კუხეთი". ჯუანშერს (XI ს.) ვახტანგ გორგასლის დროინდელ წარჩინებულთა შორის დასახელებული ყავს „დემეტრე ერისთავი კახეთისა და კუხეთისა" და „გრიგოლ, ერისთავი ჰერეთისა".



ბოდბის მონასტერი. დ. ერმაკოვის ფოტო. XIX ს. მიწურული

კახეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართველთა განმანათლებლის წმ. ნინოს ცხოვრება და მოღვაწეობა, საერთოდ, ქართლის გაქრისტიანების ისტორია. სწორედ აქ აღესრულა წმ. ნინო და იქვე,დაბა ბოდეში (შემდეგდროინდელი ბოდბე) მიაბარეს მიწას, სადაც დღემდეა შემონახული მისი საფლავი.

ბარის მოსახლეობისგან განსხვავებით, კახეთის მთის მოსახლეობაში ქრისტიანობის გავრცელებას გარკვეული წინააღმდეგობა შეხვედრია.

ქრისტიანობის მიღების შემდეგ საქართველო უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა დასავლურ კულტურას. დაიწყო ეკლესიათა მშენებლობა, რაც ახალი იდეოლოგიის დანერგვას ემსახურებოდა.

IV საუკუნეში ქართლის პირველ ქრისტიან მეფეს, მირიანს, კახეთი და კუხეთი საუფლისწულოდ თავისი ვაჟის რევისთვის მიუცია – „მისცა ძესა მისსა რევს საუფლისწულოდ კახეთი და კუხეთი და დასუა იგი უჯარმას, რევ და ცოლი მისი სალომე". უჯარმის დაარსებას ქართული საისტორიო ტრადიცია მეფე ასფაგურს მიაწერს (III ს.). უჯარმა მნიშვნელოვან გზებზე მდებარეობდა და ქართლის სამეფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენდა. მეფე ვახტანგ გორგასალმა უჯარმაში მნიშვნელოვანი მშენებლობები ჩაატარა და იგი სამეფო რეზიდენციად აქცია. უჯარმა ეკონომიკური თვალსაზრისით მთისა და ბარის, ხოლო პოლიტიკურად სამი მეზობელი მხარის ინტერესებს აერთიანებდა. იგი კახეთ-კუხეთში ქრისტიანული რელიგიის გავრცელების ცენტრსაც წარმოადგენდა.

დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა კახეთის ციხე-ქალაქ ნეკრესსაც, რომელიც ერთიანი ქართლის სამეფოს არსებობის საწყის პერიოდში ფარნავაზიანთა დინასტიის მეოთხე მეფემ ფარნაჯომმა ააშენა. ახ. წ. IV საუკუნეში ნეკრესში ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ეკლესია აიგო. კახეთის მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქები ნეკრესი, ჭერემი და ხორნაბუჯი ვახტანგ გორგასალმა თავის უფროს ძეს დაჩის უბოძა, თავად კი „დაჯდა უჯარმოს". უჯარმის ციხეშივე გარდაიცვალა სპარსელებთან ბრძოლის დროს მძიმედ დაჭრილი მეფე.

კახეთი „ტყე იყო შეუვალი მტერისა მიერ", ამიტომ სპარსელთა შემოსევის საშიშროების დროს, ნაკლებად გამაგრებული სოფლებისა და ქალაქების მოსახლეობა კავკასიის მთებსა და კახეთში იხიზნებოდა. განსაკუთრებით კლდით შემოზღუდული ლოპოტის ხევი ყოფილა კარგად დაცული და მოსახლეობით სავსე. იმდროინდელი კახეთის მტრისგან დაცულობის გამო, ვახტანგის ძის – დაჩის მეფობის დასაწყისში, როდესაც მან იწყო „შენებად ქართლისა", „მოოხრებულ იყვნეს ყოველნი ხევნი ქართლისანი, თვინიერ კახეთისა და კლარჯეთისა და ეგრისისა".

VI საუკუნეში კახეთში მოღვაწეობდა ასურელი მამების დიდი ნაწილი: დავით გარეჯელი, აბიბოს ნეკრესელი, ანტონ მარტყოფელი, იოსებ ალავერდელი,ზენონ იყალთოელი და სტეფანე ხირსელი. ასურელმა მამებმა ჩაუყარეს საფუძველი სამონასტრო ცხოვრებას. მათ მიერ დაარსებული მონასტრები ქართული მწიგნობრობისა და კულტურის მძლავრ კერებად იქცნა. დავით გარეჯელის მოღვაწეობასთანაა დაკავშირებული ისეთი უნიკალური სამონასტრო კომპლექსის დაარსება, როგორიც დავითგარეჯის მონასტრებია.

აქ, შუა საუკუნეებში, დიდი მშენებლობა წარმოებდა, ფრესკები იხატებოდა, ინტენსიური სამწიგნობრო მოღვაწეობა იყო გაჩაღებული.

მრავალი საუკუნის განმავლობაში ქართლის სამეფოზე თავიანთი გავლენის გავრცელებას სპარსეთისა და რომის იმპერიები ცდილობდნენ. მათ შორის ბრძოლა ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა, მაგრამ უკვე VI ს-ის დასაწყისში ირანმა იმძლავრა და 523 წელს, გურგენ მეფის წარუმატებელი აჯანყების შემდეგ, ქართლში მეფობა გააუქმა. ამავე საუკუნის ბოლოს ქართლში კვლავ აღდგა ქართული ხელისუფლება, რომლის მეთაური ერისმთავრად იწოდებოდა. კახეთი კვლავ ქართლის საერისთაოს წარმოადგენდა.



უჯარმის ციხე. V ს-ის II ნახევარი

VI ს., ეროვნული კულტურის განვითარების პროცესის თვალსაზრისით, ძალზე საინტერესო ხანაა: პოლიტიკური ძალა მტრის ხელშია, მაგრამ კულტურა განიცდის აღმავლობას. უცხო კულტურა ვერა თუ ვერ ახშობს ადგილობრივს, იგი კვალსაც ვერ ტოვებს ამ კულტურაში. ეს პირველ რიგში ამ პერიოდის ხუროთმოძღვრული ძეგლებით დასტურდება.

კახეთის სამთავროს ჩამოყალიბების პროცესი ადრინდელ შუა საუკუნეებში დაიწყო. ქართლის საერისმთავროს იგი VIII ს-ის 80-იან წლებში გამოეყო. IX ს-ის დასაწყისისთვის კახეთის სამთავროს საზღვარი ქართლის საერისმთავროსთან მდ. ქსანზე გადიოდა.

VII-IX სს-ში საქართველოში არაბების და ბიზანტიელების ბატონობის მიუხედავად, ქვეყანა, გარკვეულწილად, მაინც ერთიანი იყო, რომლის სათავეში „ქართლის მეფენი“, ანუ ერისმთავრები იდგნენ. VIII ს-ის 80-იან წლებში, როდესაც ერისმთავარი არჩილი გარდაიცვალა (786 წ.), ერთიანობა დაირღვა და მისმა შვილებმა – იოანემ და ჯუანშერმა ქვეყანა გაიყვეს. იოანეს ეგრისი შეხვდა, ხოლო ჯუანშერს – ქართლ-კახეთი. ჯუანშერი მალევე გარდაიცვალა და 787 წლიდან მთავარმა გრიგოლმა კახეთი ცალკე სამთავროდ გამოაცხადა. მისი ცენტრი გახდა უჯარმა. დროთა განმავლობაში, სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების ფონზე, კახეთის სამთავროს ცენტრი ბოჭორმა, ხოლო შემდეგ თიანეთი გახდა, რომელიც კახეთის მჭიდროდ დასახლებული მხარე იყო კარგად განვითარებული მესაქონლეობით. ზოგადად კახეთ-კუხეთ-გარდაბანი ადრინდელ შუა საუკუნეებში ეკონომიკურად საკმაოდ განვითარებული იყო მთის ალპური მეურნეობით, ბარის (ივრისა და ალაზნის აუზები) ინტენსიური მიწათმოქმედებით და მესაქონლეობით. ადრინდელ პერიოდში იმ დროს კახეთი ძირითადად სამ საერისთაოდ იყოფოდა. საერისთაოს სათავეში ქორეპისკოპოსი იდგა, რომელსაც ერისთავთა წრიდან ირჩევდნენ. თავიდან ქორეპისკოპოსი სასულიერო ხელისუფალი იყო, მაგრამ დროთა განმავლობაში, კახეთ-კუხეთ-გარდაბნის სამთავროდ ჩამოყალიბების პარალელურად, რაშიც, სხვა ძალებთან ერთად, წანარებიც აქტიურად მონაწილეობდნენ, ქორეპისკოპოსმა საერო ხელისუფლის თითქმის ყველა ატრიბუტი შეიძინა, იმდენად რომ, უკვე IX ს-იდან მას ბიზანტიის იმპერატორები „წანართა არხონტს“ (მთავარს) უწოდებდნენ.

VII-VIII სს. მიჯნაზე კახეთის სამთავრო, სხვა ქართულ პოლიტიკურ ერთეულებთან ერთად, აქტიურად იბრძვის არაბ დამპყრობთა წინააღმდეგ. ამ ბრძოლას ფაქტობრივად მთის მოსახლეობა – წანარები უძღვებოდნენ და საკმაოდ წარმატებითაც. არაბებს დიდი ძალებით მთაში შესვლა და ბრძოლა არ შეუძლიათ, ამიტომ მცირე მასშტაბის ტაქტიკურ ბრძოლებს მიმართავდნენ და ხშირად მარცხდებოდნენ. არაბობის შედეგად, ბარის მოსახლეობის და მეურნეობის გაჩანაგების



ვეკუანის ციხე. X ს.

ფონზე, საქართველოს მთიანეთი უფრო ხალხმრავალი და ძლიერი იყო. მიუხედავად ამისა, არაბებმა მაინც შეძლეს VIII ს-ის შუა წლებში დარიალის აღება, აქ გა-

რნიზონის ჩაყენება და წანართა დახარკვა.

VIII-X სს-ში კახეთის სამთავრო აქტიურად იბრძვის ქართულ სამთავროებს შორის პირველობისთვის. ამ ბრძოლაში ერთ-ერთი მთავარი სამიზნე ჰერეთის სამთავრო იყო. კახთა ქორეპისკოპოსების გარდა, ჰერეთისათვის ბრძოლაში აქტიურად იყვნენ ჩართულები როგორც ეგრისწაზეთის, ისე გაერთიანებული საქართველოს მეფეები. X ს-ის II ნახევარში ჰერეთის ეკლესია ქართულ ეკლესიას შეუერთდა. კახეთის მთავრები ხშირ შემთხვევაში აფხაზთა მეფის პოლიტიკური მოკავშირეები იყვნენ. კახეთის ქორეპისკოპოსები, ზოგჯერ სხვა ქართული პოლიტიკური ერთეულების დასუსტების შემთხვევაში, უარს არ ამბობდნენ მათი ტერიტორიების (აფხაზეთის, ქართლის, ჰერეთის) შემოერთებაზე, ისევე როგორც ეს ერთეულები ამავე მოტივით არაერთგზის დასხმიან თავს კახეთის სამთავროს. ბრძოლები ქართულ სახელმწიფოებრივ ერთეულებს შორის გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. კახეთის მთავრები ვერც საქართველოს გაერთიანების იდეას ურიგდებოდნენ. ისინი აქტიურად იბრძოდნენ გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III-ის წინააღმდეგ. ბაგრატმა შეძლო ერთიანი საქართველოსათვის კახეთისა და ჰერეთის შემოერთება. ბაგრატ III-ის მემკვიდრის გიორგი I-ის დროს (1014-1027 წწ.), რომელიც ბიზანტიასთან მძიმე ბრძოლაში იყო ჩაბმული, კვირიკე III-მ (1010-1037 წწ.) კახეთ-ჰერეთის დამოუკიდებლობა აღადგინა. მან კახთა და რანთა (ჰერთა) მეფის ტიტული მიიღო და კახეთის სამთავრო გაერთიანებული კახეთ-ჰერეთის სამეფოდ აქცია. კვირიკე ამავე დროს ბიზანტიური მაგისტროსის ტიტულსაც ატარებდა. ჰერეთის შემომტკიცების შემდეგ მან სამთავროს დედაქალაქი თელავში გადაიტანა, რაც სტრატეგიულად და ეკონომიკურად უფრო ხელსაყრელი იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ, როგორც ბიზანტიის, ასევე განძისა და თბილისის ამირების წინააღმდეგ ბრძოლაში კახეთის სამეფო საქართველოს მეფის მოკავშირეა; მაგრამ, როდესაც ბაგრატ IV-მ კახეთის შემოსაერთებლად უკვე კონკრეტული ნაბიჯები გადადგა, კახეთის მეფე ბაგრატის მოწინააღმდეგე ლაშქრიტის მოკავშირე გახდა. კახელი დიდებულების დახმარებით ბაგრატ IV-მ მოახერხა კვირიკეს შეპყრობა და სამთავროს მნიშვნელოვანი ნაწილის შემომტკიცება.



თურქ-სელჩუკების გამოჩენამ ძალთა თანაფარდობა შეცვალა. კახეთის მეფემ აღსართანმა სულთანს ერთგულება ალუთქვა და ამ გზით დაკარგული ტერიტორიები და დამოუკიდებლობა დაიბრუნა.

კახეთ-ჰერეთის სამეფოს შემომტკიცება საბოლოოდ დავით აღმაშენებლის დროს მოხერხდა. თურქ-სელჩუკთა გავლენის შესუსტებისა და ქართული სახელმწიფოს გაძლიერების პარალელურად, 1103 წელს, დავით აღმაშენებელმა კახეთის მეფე კვირიკე IV-ს ზედაზნის ციხე წაართვა. მალე კვირიკე გარდაიცვალა და ტახტზე მისი ძმისწული აღსართან II ავიდა. კახეთის დიდებულებმა იგი შეიპყრეს და დავითს მიჰგვარეს. კახეთის სამეფო გაუქმდა, მაგრამ კახეთისთვის ბრძოლა გრძელდებოდა. 1104 წელს დავითმა ერწუხთან სასტიკად დაამარცხა თურქ-სელჩუკების და მათი მოკავშირეების დიდი ლაშქარი, ხოლო 1117 წელს ჰერეთის უკიდურესი სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ციხე გიშის ალებით, საბოლოოდ დასრულდა კახეთ-ჰერეთის შემოერთება.

საქართველოს ერთიანობის ხანაში, XII-XV სს-ში, კახეთი და ჰერეთი საერისთავოებს წარმოადგენდნენ და აქტიურად იყვნენ ჩართული სრულიად საქართველოს ცხოვრებაში. საინტერესოა, რომ კახეთის შემომტკიცების შემდეგ ცენტრალურმა სამეფო ხელისუფლებამ, თაყვანისმცემლად დავით აღმაშენებელმა, ხოლო შემდეგ მისმა მემკვიდრეებმა კახეთის სოფლებისა და ყმა-მამულის უდიდესი ნაწილი კათალიკოსს, სვეტიცხოველს და სხვა ეკლესია-მონასტრებს გადასცეს მფლობელობაში. ამით სამეფო კარი ცდილობდა მტკიცე ერთგულებაში ჰყოლოდა ეს მხარე.

თურქ-სელჩუკთა მიერ განადგურებული და შემდეგ კვლავ აღდგენილი კახეთის ბარის მეურნეობა, მონღოლთა შემოსევების შედეგად, ისევ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მონღოლმა მომთაბარეებმა საზამთრო სადგომებად დაიკავეს იერისპირეთი და მტკვრის ნაპირებზე რუსთავის მიდამოები. მოსახლეობის დიდმა ნაწილმა კახეთის ხშირ ტყეებს შეაფარა თავი. მონღოლებმა საქართველო სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულებად – დუმნებად დაყვეს. მათ სათავეში მდგომ დუმანნოინებს ევალებოდათ ამ ერთეულებიდან ჯარის გამოყვანა და ხარკის აკრეფა. ისტორიული კახეთი (კახეთ-ჰერეთ-კამბეჩოვანი) ერთ დუმანს შეადგენდა, რომელსაც სათავეში მონღოლებმა ფრიად წარჩინებული ფეოდალი ეგარსლან ბაკურციხელი ჩაუყენეს. ეგარსლან ბაკურციხელი მონაწილეობდა მონღოლთა წინააღმდეგ კოხტასთავის 1246 წლის შეთქმულებაში, მაგრამ რუსუდანის გარდაცვალების შემდეგ, რადგანაც ტახტის მემკვიდრე არ ჩანდა, ეგარსლან ბაკურციხელმა მთელი ძალაუფლების ხელში ჩაგდება მოინდომა. ამის გამო მის წინააღმდეგ ამხედრდნენ სხვა ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებმაც ბაკურციხელი პოლიტიკურ ასპარეზს ჩამოაშორეს.

კახეთისთვის, ისევე როგორც მთელი ქვეყნისთვის, განსაკუთრებით დამანგრეველი იყო საქართველოს ტერიტორიაზე ორ უზარმაზარ მონღოლურ სახელმწიფოს – ოქროს ურდოსა და ილხანთა სამეფოს შორის გარდამავალი უპირატესობით მიმდინარე ბრძოლები. ამ ბრძოლების შედეგად, კახეთის მოსახლეობა და მეურნეობა დიდად ზარალდებოდა. დამანგრეველი გამოდგა ამ ორ სახელმწიფოს შორის 1262-1263 წლებში მიმდინარე ბრძოლები, რომლის დროსაც დავით VII ულუს ილხანთა მხარეს უხდებოდა მონაწილეობა. 1265 წელს ოქროს ურდოს ყაენმა ბერქამ ილხანის ყაენ აბაღასთან შესაბმელად გადმოიარა და მოაოხრა შირვანი, ჰერეთი და კახეთი, კერძოდ, იერისპირეთი.

ყაენის კარზე გამგზავრების წინ დავით ულუმ კახეთის წინამძღოლობა პანკისის ერისთავ თორღვას დაავალა. ყაენის კარზე მეფეს შეაჩვენეს. თორღვამ თავი კახეთის სრულუფლებიან მმართველად გამოაცხადა. მეფის დაბრუნების შემდეგ, თორღვა შეიპყრეს და საჯაროდ დასაჯეს.

უმძიმეს საგადასახადო სისტემასთან ერთად, მონღოლთა გაუთავებელ ლაშქრობებში საქართველოს მონაწილეობა სასტიკად აჩანაგებდა ქვეყანას.



გიორგი V ბრწყინვალის დროს, როდესაც კახეთი ჯერ კიდევ ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა, აღდგა და განვითარდა ბარის მეურნეობა, მომრავლდა მოსახლეობა, კვლავ ამოქმედდა სარწყავი სისტემები, გაშენდა ვენახები. მაგრამ მშვიდობიანობა დიდხანს არ გაგრძელებულა. XIV ს-ის ბოლო წლებში თემურ ლენგის რვაგზისმა დამანგრეველმა შემოსევებმა, ერთი მხრივ, გაანადგურა ქვეყნის ეკონომიკა და მოშალა ბარის მეურნეობა, ხოლო, მეორე მხრივ, საფუძველი დაუდო საქართველოს პოლიტიკურ დაშლას. თემურ ლენგის შემდეგ ქართულ ენაში ფართოდ გავრცელდა ისეთი ტერმინები, როგორიცაა „ნასოფლარი“, „ნასახლარი“, „ნაფუძარი“ და სხვ. კახეთისთვის განსაკუთრებით მაოხრებელი და სისხლისმღვრელი იყო თემურ ლენგის 1399 წლის ლაშქრობა.

1465 წელს, სამცხის ათაბაგის ყვარყვარე II-ის მიერ ქართლის მეფის გიორგი VIII-ის დატყვევების შემდეგ, დიდმა ფეოდალებმა კახეთის დამოუკიდებელ მთავრად ერთ-ერთი ადგილობრივი ერისთავი – დავითი დასვეს. 1466 წელს ტყვეობიდან გათავისუფლებული ქართლის მეფე გიორგი VIII, ქართლში სამეფო ტახტის დაკარგვის შემდეგ, კახეთში გადავიდა, დაამარცხა დავითი და საფუძველი ჩაუყარა კახეთის ბაგრატიონთა სამეფო დინასტიას. კახეთში

გამეფების შემდეგ გიორგი VIII მოიხსენიება, როგორც გიორგი I კახეთის მეფე. ამის შემდეგ გიორგიმ კახეთში, სამხედრო-ადმინისტრაციული თვალსაზრისით,



არსენ იყალთოელი. კრებული. XVIII ს.

გარკვეული რეფორმები გაატარა. მან გააუქმა საერისთავოები და მათ მაგივრად ქვეყანა უფრო წვრილ ერთეულებად – სამოურავოებად დაყო. მოურავობის სახელო, კახეთის მეფეების ხელში, ადგილობრივი ფეოდალების მორჩილებაში ყოლის ეფექტური საშუალება აღმოჩნდა. სხვადასხვა მხარის მოურავობას იღებდნენ კახეთის ძლიერი, ფეოდალური საგვარეულოების წარმომადგენლები. გიორგის მეფობაშივე ჩამოყალიბდა ოთხი სადროშო, რომელთა ფარგლებშიც, საჭიროების შემთხვევაში, ლაშქრის მობილიზება ხდებოდა. თითოეული სადროშოს სათავეში გიორგი მეფემ, ქართლისაგან განსხვავებით, სარდლებად ეპისკოპოსები დანიშნა. ეპისკოპოსობა მემკვიდრეობითი თანამდებობა არ იყო, ამიტომ ვერც სარდლობა გადაიდოდა მემკვიდრეობით. ეს კი ხელს უწყობდა სამეფო ხელისუფლების განმტკიცებას, რამაც ხელი შეუშალა კახეთში ნახევრად დამოუკიდებელი, ძლიერი საფეოდალოების – სათავადოების ჩამოყალიბებას.

კახეთის სამეფოს (1465-1762 წწ.) საზღვარი დასავლეთით გადიოდა მდ. არაგვზე, სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით – მდ. მტკვარზე, ჩრდილოეთით – კავკასიის მთავარ ქედზე (ნაწილობრივ ჩრდილოეთი საზღვარი ქედს გადაღმაც გადადიოდა – პირიქითა ხევსურეთი და თუშეთი, გარკვეულ პერიოდამდე დიდოეთი და წახურიც კახეთის სამეფო საზღვრებში შედიოდა). XVII ს-ის დასაწყისამდე აღმოსავლეთ საზღვარი იქ იწყებოდა, სადაც იორ-ალაზანი მტკვარს უერთდება, შემდეგ მიემართებოდა ჩრდილოეთით აჯინოურის ტბის გასწვრივ, კვეთდა მდ. ალაზანს და მდ. გიშისწყლის გაყოლებით კავკასიის ქედამდე ადიოდა. XVII ს-ის შემდეგ კი საზღვარმა დასავლეთით ყაფჩაღამდე გადმოიწია.

კახეთის სამეფოში შედიოდა: ალავერდის, ბოდბის, რუსთავის (მარტყოფის), სამების, ნინოწმინდის, ჭერის, ნეკრესის, ხარჭაშნის და სხვა საეპისკოპოსოები. ეპისკოპოსებს მეფე ნიშნავდა.

მნიშვნელოვნად იყო განვითარებული მეურნეობა, მევენახეობა, მებაღეობა, მესაქონლეობა, მეაბრეშუმეობა; მოჰყავდათ ტექნიკური მცენარეები და სხვა. ვითარდებოდა საშინაო და საგარეო ვაჭრობა, ხელოსნური წარმოება. აღმოცენდა და განვითარდა ახალი ქალაქები: გრემი, ბაზარი.

კახეთის სამეფოს ისტორიის პირველი პერიოდი შედარებითი სიმშვიდით და აღმშენებლობით გამოირჩეოდა. ამ პერიოდში მნიშვნელოვნად განვითარდა მარცვლეული მეურნეობა, მესაქონლეობა, მეაბრეშუმეობა და სხვა. ვითარდებოდა საშინაო და საგარეო ვაჭრობა, ხელოსნური წარმოება, აღმოცენდა და განვითარდა ახალი ქალაქები: გრემი, ბაზარი. კა-



ლევან კახთა მეფე ტაძრის მაკეტით ხელში. გრემის მთავარანგელოზთა ეკლესიის მოხატულობა. 1577 წ.

ხეთის მეფე გიორგი I-ის დროს სამეფოს დედაქალაქი გადატანილ იქნა გრემში, რომელიც აკონტრო-

წელს ქართლში ერთ-ერთი ასეთი შეჭრის დროს იგი ბაგრატ მუხრანბატონმა დაატყვევა ძალისხმა და ოსმალეთის პროტექტს და სამხედრო ნაწილები 1572 წელს უკანვე გაიწვია.



ქეთევან დედოფლის მინიატურა. სადღესასწაულო. დომენტი კათალიკოსის რედაქცია, 1718 წ.

ლებდა როგორც კავკასიის მთიანეთში,ასევე სპარსეთში მიმავალი გზის ერთ-ერთ შტოს.

კახეთის მეფეთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ალექსანდრე I კახთა მეფე (1476-1511 წწ.), რომელიც გიორგი I-ის გარდაცვალების შემდეგ გამეფდა. მან მშვიდობიანი ურთიერთობა დაამყარა ქართლის სამეფოსთან, სეფიანთა ირანთან, შაქისა და შირვანის სახანოებთან და XV ს-ის მეორე ნახევარში უზუნ-ჰასანის, იაკუბ ყაენის და შაჰ ისმაილ I-ის საქართველოში ლაშქრობების დროს, დიპლომატიური მოქნილობის წყალობით, მშვიდობა შეუნარჩუნა კახეთს. ალექსანდრე I-მა ქართულ სამეფო-სამთავროთა შორის პირველმა დაამყარა ურთიერთობა რუსეთთან და 1483 და 1492 წლებში ელჩობები გაგზავნა მოსკოვში. 1511 წელს ალექსანდრე I-ის შვილმა – გიორგიმ მამა მოკლა, ხოლო ძმა – დიმიტრი დააბრმავა. ამის გამო კახეთის მეფე გიორგი II, აგვიორგის სახელითაა ცნობილი. იგი ქართლის სამეფოსთან მშვიდობიანი ურთიერთობის მომხრე არ იყო და ჯერ კიდევ მამის მეფობაში, ამ უკანასკნელის ნების წინააღმდეგ, ხშირად აწყობდა ქართლში ლაშქრობებს. გამეფების შემდეგ მან გააგრძელა ქართლის ტერიტორიაზე თარეში. 1513 ხელში. იმავე წელს იგი მუხრანის ციხეში გარდაიცვალა. ქართლის მეფემ კახეთის სამეფო შეიერთა, -1513-1518 წლებში ქართლ-კახეთი ერთ სამეფოს წარმოადგენდა. ქართლის ხელისუფლებამ კახეთის ტახტის მემკვიდრის – მცირეწლოვანი ლევანის შეპყრობა სცადა, მაგრამ ლევანი კახელმა თავადებმა გადამალეს,ხოლო შემდეგ,როდესაც ქართლის საგარეო მდგომარეობა გართულდა, 1520 წელს გაამეფეს. ქართლის მეფემ დავით X-მ ორჯერ წარუმატებლად სცადა კახეთის დაბრუნება, რის შემდეგაც იგი იძულებული გახდა ზავი დაედო ლევანთან და მდგომარეობას შეგუებოდა. ლევანმა 1574 წლამდე იმეფა და მისი მეფობაც, ალექსანდრე I-ის მსგავსად; საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა ქვეყნისათვის; გაშენდა ქალაქები და სოფლები. მან მოახერხა აქტიური საგარეკულტურული ურთიერთობის შენარჩუნება სპარსეთთანაც. შაქი-შირვანის შემოერთების წარუმატებლობის მიუხედავად, ლევანმა, ჩერქეზებთან კავშირის წყალობით, დაიმორჩილა გამდგარი თუშ-ფშავ-ხევსურეთი და აღადგინა პოლიტიკური კავშირი რუსეთთან. ივანე IV-სთან შეთანხმებით, რუს მეთოფეთა რაზმი ქვეყნის სანაპირო სიმაგრეებში ჩააყენა, მაგრამ რუსეთმა ანგარიში გაუწია ირანი-

ლევანის შემდეგ ტახტი მისმა შვილმა ალექსანდრე II-მ (1574-1605 წწ.) დაიკავა. მან მამის მოქნილი პოლიტიკა გააგრძელა, რის შედეგადაც კახეთი ბეცრჯერ გადაურჩა საფრთხეს და აღმშენებლობის გზას დაადგა – მოძრაველდა მოსახლეობა, გააქტიურდა საგარეო ვაჭრობა. ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვით ალექსანდრეს დროს: „ესრეთ შენი იყო კახეთი, ვითარ ძნიად სადმე იპოებოდა სანადირონი“. მაგრამ კავკასიაში, ოსმალეთის მომძლავრებასთან ერთად, გაძლიერდა საშამხლოს მთიელთა თავდასხმები კახეთზე და ჩაიკეტა მნიშვნელოვანი სავაჭრო-სამიმოსვლო გზები ირანისა და ასტრახანისკენ. ირანელი და ოსმალო დამპყრობლებისთვის წინააღმდეგობის გაწევის ერთ-ერთ საშუალებად ალექსანდრე II-ც რუსეთთან



მეფე თეიმურაზ I და მარიამ დედოფალი. ჭრისტეფორე დე კასტელის ალბომი. XVII ს.

ურთიერთობას ხელი და 1587 წელს კახეთის მეფემ ხელი მოაწერა „ფიცის წიგნს“, რომლითაც რუსეთის მეფის ქვეშევრდომობა აღიარა, ხოლო რუსეთმა იკისრა კახეთის დაცვა გარეშე მტრისგან.

ამასობაში პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდა საქართველოს

და კახეთის დაუძინებელი მტერი – შაჰ აბასი,რომელმაც აქტიურად დაიწყო ალექსანდრეს წინააღმდეგ ინტრიგების ხლართვა. 1601 წელს, მისი წაქეზებით, ალექსანდრეს ვაჟმა დავითმა მამა და ძმა თორღვას ციხეში გამოკეტა. მაგრამ რამდენიმე თვეში, როდესაც მძიმე სენით დაავადებული დავითი გარდაიცვალა, ალექსანდრე გრემში დაბრუნდა და მეფობა განაგრძო. 1605 წელს, შაჰის დავალებით, ირანის სამეფო კარზე გახრდილმა, ალექსანდრეს უმცროსმა ძემ – კოსტანტინემ, მამა და ძმა – გიორგი დაახოცინა და თავი კახეთის მეფედ გამოაცხადა. მაგრამ კახელები აჯანყდნენ მამისა და ძმის მკვლელის და ქვეყნის მოღალატე მმართველის წინააღმდეგ და ბელაქანთან ბრძოლაში დაამარცხეს ის. კახეთს მცირე ხნით დავით ალექსანდრეს ძის ქვრივი ქეთევანი განაგებდა. 1606 წელს შაჰ აბასმა კახეთში დავითის ძე თეიმურაზი (შემდგომში თეიმურაზ I) გამოგზავნა, რომელმაც დედამისისგან გადაიბარა მეფობა. ირან-ოსმალეთის ომის ფონზე შაჰი ვერ იცლიდა კახეთისთვის, მაგრამ მალე ეს დროც დადგა.

ირან-ოსმალეთის 1603-1612 წლების ომი ირანის გამარჯვებით დასრულდა. ზაეის თანახმად, აღმოსავლეთ საქართველო ირანს დარჩა,დასავლეთი – ოსმალეთს. კავკასიაში ამ დროს რუსეთიც აქტიურობდა. ეს გარემოება კი შაჰ აბასს ხელს არ აძლევდა. 1606 წ. შაჰმა ქართლ-კახეთიდან ოსმალები განდევნა,ციხესიმაგრეებში კი საკუთარი გარნიზონები ჩააყენა და ქართველ მეფეებს მორჩილება მოსთხოვა. ამ უკანასკნელებმა ვასალობა აღიარეს, მაგრამ შაჰ აბასს ქართლ-კახეთის სრული მოსპობა და იქ მომთაბარე ტომების ჩასახლება ჰქონდა განზრახული. XVII ს-ის კახეთის ტრაგედიაც ამ გეგმის ნაწილი იყო.

1614-17 წლებში აბას I-მა ოთხჯერ ილაშქრა კახეთში. კახელები ყოველი გოჯი მიწისათვის თავგანწირვით იბრძოდნენ. მტერი ანგრევდა. წვავდა, მიწასთან ასწორებდა სახლებს, ეკლესია-მონასტრებს, ჩეხდა ბაღ-ვენახებს. მაშინ დანგრეული მრავალი ქალაქი და სოფელი შემდგომში აღარ აღმდგარა. 200 ათასზე მეტი ტყვე ირანის სხვადასხვა პროვინციაში (ფერეიდანში, ხორასანში, მაზანდარანში) ჩაასახლეს. მათმა შთამომავლებმა დღემდე შეინარჩუნეს ქართული ენა და ზნე-ჩვეულებანი.



საომრად ამხედრებული მეფე თეიმურაზ I. ქრისტოფორე დე კასტელის ალბომი. XVII ს.

შაჰ-აბას I-ის ლაშქრობათა შედეგად შეკუწრეობული კახეთის მოსახლეობა შესაფერის მომენტს ელოდა აჯანყების დასაწყებად. იმერეთში ლტოლვილმა თეიმურაზ I-მა, სპარსელთა წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის მიზნით,კავშირი შეკრა დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებთან. აჯანყება დააჩქარა ოსმალთა არმიის დამარცხებამ სპარსეთის საზღვრებისაკენ. აჯანყება 1615 წლის 15 სექტემბერს, ალავერდობას, დაიწყო დავით ჯანდიერის მეთაურობით. შეიარაღებული ქართველები შეიჭრნენ ალავერდის ეკლესიის გალავანში,სადაც ყიზილბაში მეციხოვნეები იდგნენ და დათქმულ ნიშანზე ამოხოცეს ისინი. აჯანყებულებმა თეიმურაზ I მეფედ მიიწვიეს. იგი კახეთში ჩავიდა და სათავეში ჩაუდგა აჯანყებას. მათ კავშირი დაამყარეს შირვანთანაც. აბას I-მა, აჯანყების ჩასაქრობად, 15 ათასიანი ლაშქარი გამოგზავნა.

ოსმალეთის მხარდაჭერის იმედი არ გამართლდა, ვერც ქართლი მიეხმარა თეიმურაზს, ამიტომ მან მარტომ შეძლია მტერს და შაჰ-აბასს ლაშქარი გაუნადგურა. მტერზე გამარჯვებამ რწმენა განუმტკიცა ქართველებს, ხოლო შაჰი სასტიკად განრისხდა და შურისძიების სურვილით აღავსო.

კახეთს 1616 წლიდან, შაჰის ნაცვალი, ყიზილბაში ფეიქარ ხანი მართავდა, რომელიც თურქმანი ტომების ამ მხარეში ჩასახლებასა და მოსახლეობის გამუსლიმანების პოლიტიკას განაგრძობდა. პარალელურად,თავიანთ ფუძე-კარს უბრუნდებოდნენ მთაში და ტყეში გახიზნული კახელები,რაც ირანელებს იმდენად დიდ პრობლემებს უქმნიდა, რომ ფეიქარ ხანმა შაჰს 1625 წელს ახალი სადამსჯელო ექსპედიციის გამოგზავნა სთხოვა. თეიმურაზი იმედებს კვლავ ოსმალებზე ამყარებდა, მაგრამ ირანთან ბრძოლაში ოსმალებმა წარმატებას ვერ მიაღწიეს. ამით თეიმურაზს ხელი მოეცარა. პარალელურად, მეფე რუსეთთანაც ცდილობდა ურთიერთობის გაცხოველებას, რასაც აგრეთვე შედეგი არ მოჰყოლია. შაჰ აბასი კი თეიმურაზის აქტიურობით გაღიზიანებული იყო. მან დაასაჭურისა ირანში მყოფი უფლისწულები, ხოლო მათი ბებია, თეიმურაზის დედა – ქეთევან დედოფალი საშინელი წამებით მოაკვლევინა. ქრისტიანობისთვის თავდადებული ქეთევანი ქართველმა ერმა და ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

1625 წელს, ფეიქარ ხანის მოთხოვნით, შაჰ აბასმა ახალი სადამსჯელო ექსპედიცია გამოაგზავნა საქართველოში. მტერს ქართლ-კახეთის ერთიანად ამოწყვეტა ჰქონდა განზრახული. მარტყოფის ველზე 26 მარტს, ხარება დღეს, ქართველებმა, გიორგი საააკაძის მეთაურობით, თითქმის 30 ათასი ყიზილბაში გაჟლიტეს. (მხოლოდ 3 ათასმა შეძლო გაქცევა). საააკაძემ ჯერ ქართლიდან განდევნა მტერი, ხოლო შემდეგ კახეთიდან გაქცეულ ფეიქარ ხანს დაედევნა და ყარაბაღის სახანოდანაც გააქცია ირანელები. მცირე ხანში, თბილისის გარდა, მთელი ქართლ-კახეთი გათავისუფლდა.

აჯანყებულებმა ოსმალეთში მყოფი თეიმურაზი მიიწვიეს და გაერთიანებული სამეფოს მეფედ დასვეს. ქართლ-კახეთი გადარჩა, ეს დიდი გამარჯვება იყო.

ირანელთა ახალი შემოტევა 1625 წლის ივნისში განხორციელდა. აბას I-ის მიერ გამოგზავნილ ახალ, დიდ ჯართან მარაბდის ბრძოლაში ქართლ-კახეთის გაერთიანებული ლაშქარი დამარცხდა, მაგრამ მტერმა, რომელმაც ამ ლაშქრობებში 70 ათასი კაცი დაკარგა, მიზანს ვერ მიაღწია – ქართლ-კახეთი ვერ აღგაეა პირისაგან მიწისა.

შაჰი ამის შემდეგ საკაძის, თეიმურაზ I-ის და თავადების ურთიერთწაკიდების პოლიტიკაზე გადავიდა და გარკვეულ წარმატებას მიაღწია. 1626 წელს გაიმართა ბაზალეთის ძმათამკვლელი ომი. ომში თეიმურაზმა დაამარცხა საკაძე და ქვეყნიდან გააძევა. დიდი მოურავი ოსმალეთში გადაიხვეწა, სადაც 1629 წელს სულთნის დიდვეზირის ბრძანებით მას, მის შვილს ავთანდილს და 40-მდე მხლებელს თავები მოჰკვეთეს. იმავე წელს გარდაიცვალა შაჰ აბასიც.

1631 წელს თეიმურაზი ფაქტობრივად ქართლ-კახეთის ერთპიროვნული მმართველი გახდა, 1632 წ. მან შაჰის აჯანყებულ მოხელესთან – დაუდხან უნდილაძესთან ერთად ბარდა და ყარაბაღი დაარბია, ამისათვის ირანის ახალმა შაჰმა სეფი პირველმა თეიმურაზი გადააყენა და ქართლის მმართველად როსტომ-ხანი, ხოლო კახეთში ყიზილბაში სულიმ-ხანი დანიშნა. თეიმურაზი წარუმატებლად ეწინააღმდეგებოდა როსტომ-ხანს, რომელმაც 1648 წელს თეიმურაზი კახეთიდანაც გააძევა. თეიმურაზმა ვერც რუსეთისგან მიიღო მხარდაჭერა, წარუმატებელი აღმოჩნდა დახმარების მიღების მცდელობა, როგორც დასავლეთის ქვეყნებისგან, ასევე ოსმალეთისგან. იმედგაცრუებული თეიმურაზი 1661 წელს ბერად შედგა. მალე იგი დიდი ამალით ირანს გაემგზავრა, სადაც გამაჰმადიანების შემთხვევაში კახეთის მეფობა აღუთქვეს. თეიმურაზმა უარი თქვა გამაჰმადიანებაზე, რის შემდეგაც იგი დააპატიმრეს. 74 წლის თეიმურაზ I ასტრაბადის ციხეში გარდაიცვალა. ქართველებმა მისი ნეშტი სამშობლოში ჩამოასვენეს და ალავერდის მონასტერში დაკრძალეს.

ირანის მესვეურები ხელს არ იღებდნენ შაჰ აბასის გეგმებზე. 1656 წელს როსტომს კახეთი ჩამოართვეს და იქ ყიზილბაში მმართველი დასვეს, მცირე ხანში კახეთში თურქმანების 1500 ოჯახი ჩამოასახლეს. კახელებმა აჯანყება გადაწყვიტეს. აჯანყების სამზადისს ხაალ არაგვის ერისთავი ჩაუდგა სათავეში. 1660 წელს შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები, ალავერდელი ეპისკოპოსი, ბიძინა ხოლოყაშვილი და თუშ-ფშავ-ხევსურები ზეზვა გაფრინდაულის, ნადირა ხოშარაულის და გოგოლაურის მეთაურობით მტერს მოულოდნელად დაესხნენ თავს, აიღეს ბახტრიონისა და ალავერდის ციხესიმაგრეები, ხოლო მეციხოვნეები გაჟლიტეს. კახელებს ქართლელებიც მიეხმარნენ. აჯანყების მოთავეებზე ყიზილბაშებმა სასტიკად იძიეს შური და წამებით დახოცეს, მაგრამ ამ აჯანყებამ კახეთი ფიზიკური გადაშენებისგან იხსნა, თუმცა ირანის ბატონობა მაინც გრძელდებოდა.



ერეკლე I (მამამდიანობაში ნაზარალი-ხანი)

კახეთი ქართლის მეფის ვახტანგ V-ის, შაჰ-ნავაზის (1658-1675 წწ.) მმართველობაში გადავიდა, ხოლო შემდეგ მის შვილს არჩილს ებოძა, რომელმაც 1654 წელს დაიკავა იგი. მან კახეთში აღმშენებლობითი მოღვაწეობა დაიწყო, შედარებითი წესრიგი დამყარა, ნაწილობრივ ალაგმა ლეკთა თარეში, აღადგინა სახელმწიფო მოწყობა, ხოლო რეზიდენცია გრემიდან თელავში გადაიტანა.

ირანელებს არ მოეწონათ ვახტანგისა და არჩილის მიერ ქართლ-კახეთის გაერთიანება-მოძლიერება, ამიტომ თეიმურაზის შვილიშვილი, რუსეთში გადახვეწილი ერეკლე I (ნაზარალი ხანი) ჩამოიყვანეს და კახეთის ტახტი აღუთქვეს. არჩილმა 1675 წელს დატოვა კახეთი და იმერეთში გამეფებას შეეცადა. 1699 წელს იგი რუსეთში გადასახლდა.

1703 წელს ერეკლე ირანში გაიწვიეს, მეფობაც უბოძეს, მაგრამ რეალურად ტახტზე მისი შვილი დავითი (იმამ ყულიხანი) დასვეს, რომელიც ლეკთა თარეშის ალაგმას შეეცადა, თუმცა უშედეგოდ. ლეკები უფრო მომძლავდნენ და აღმოსავლეთ კახეთის რამდენიმე სოფელი დაიკავეს.

1722 წელს კახეთის სამეფო ტახტზე დავით II-ის ძმა – კონსტანტინე ავიდა, რომელმაც ლეკების ნაცვლად ქართლს დაუწყო ბრძოლა, მაგრამ ქართლი ვერ დაიპყრო, ლეკები კი უფრო მოამძლავრა. ამასთან ერთად, ქართლი ოსმალებმა დაიკავეს. კონსტანტინემ ოსმალეთის წინააღმდეგ მოკავშირე ვერ იპოვა და ფშავ-ხევსურეთში გაიქცა. ლეკებმა კი ისარგებლეს კახეთში ხელისუფლების კრიზისით და მთელი ამ მხარის დაპყრობა განიზრახეს. 1727 წელს ოსმალეთის სულთანმა ჭარ-ბელაქანი ლეკებს გადასცა. 1732 წელს ოსმალებმა კონსტანტინე მოკლეს და კახეთი დაიკავეს.

1733 წელს კახეთის სამეფო ტახტზე კონსტანტინეს უმცროსი ძმა – თეიმურაზ II ავიდა. 1735 წელს ირანმა განდევნა ოსმალეთი აღმოსავლეთ ამიერკავკასიიდან, თეიმურაზ II დააპატიმრეს

და ისპაჰანს გაგზავნეს, კახეთი კი გამაჰმადიანებულ ალექსანდრეს ჩააბარეს. ქართლ-კახეთში ახალი ძალით გაიშალა განმათავისუფლებელი მოძრაობა, ამან აიძულა ნადირ-შაჰი 1736 წელს თეიმურაზ II კახეთში დაებრუნებინა, მისი ძე ერეკლე (ერეკლე II) კი ინდოეთის ლაშქრობაში იახლა. შაჰმა 1744 წელს თეიმურაზ II-ს ქართლი, ერეკლე II-ს კი კახეთი ჩააბარა ქრისტიანობის შენარჩუნებით. ქართველთა თავგამოდებამ



თეიმურაზ II

და შეუპოვრობამ შედეგი გამოიღო, ნადირ შაჰმა ქართლ-კახეთის გამუსლიმანების გეგმაზე ხელი აიღო. 1747 წელს ნადირ-შაჰი ირანის შიდაპოლიტიკურ ბრძოლებს შეეწირა, რითაც ისარგებლა ერეკლე II-მ და თბილისის და სხვა ციხეებიდან ირანელი მეციხოვნეები განდევნა. 1748 წლიდან ქართლ-კახეთმა სრული დამოუკიდებლობა მოიპოვა.

1748-1752 წლებში თეიმურაზ II და ერეკლე II წარმატებით იბრძვიან მეზობელი სახანოების წინააღმდეგ და პარალელურად არაერთხელ ამარცხებენ ქართლ-კახეთში შემოჭრილ ლეკებს. ერევნის, განჯისა და ნახიჭევანის ხანებმა თავი ერეკლე II-ის მოხარკეებად ცნეს. 1754 წელს ერეკლემ მცირე ლაშქრით ბრწყინვალედ გაიმარჯვა ქვეყანაში შემოჭრილ მრავალრიცხოვან ლეკ მოთარეშეებზე. 1755 წელს კახეთში ლეკების უფრო დიდი ლაშქარი შემოიჭრა ხუნძახის ბატონის ნურსალბეგის სარდლობით. მან ალყა შემოარტყა ყვარლის ციხეს და, როდესაც მეციხოვნეებს ტყვია-წამალი და სურსათის მარაგი ელეოდათ, ერეკლეს მიერ გამოგზავნილი რაზმი ციხესიმაგრეში შეიჭრა და თან საბრძოლო მასალაც შეიტანა, ქიზიყელთა მეორე დიდი რაზმი კი ჯარის დასარბევად გაეშურა. ამ ტაქტიკურმა სვლამ ლეკები აიძულა, ალყა მოეხსნათ და კახეთს გასცლოდნენ. თეიმურაზის გარდაცვალების შემდეგ, 1762 წლიდან, ერეკლე II ქართლ-კახეთის მეფე გახდა. ირანმა სცნო მისი მეფობა და გავლენა მეზობელ სახანოებზე.

ერეკლე II-მ მტკიცე ხელით განაგრძო მამასთან ერთად დაწყებული ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა-განვითარების საქმე. მან აღკვეთა მის წინააღმდეგ ფეოდალთა ერთი ჯგუფის მიერ წამოწყებული შეთქმულება, გააუქმა მსხვილი საერისთავოები, აღორძინა საქალაქო ცხოვრება, ხელოსნობა და ვაჭრობა. სამეფო კარმა დიდი ყურადღება მიაქცია მრეწველობის განვითარებას: იმ დროისთვის დამუშავების პროგრესული მეთოდით აღადგინა ახტალისა და ალავერდის ვერცხლისა და სპილენძის საბადოები. შეიქმნა თოფ-ზარაფხანის, თოფის წამლის, მინის ქარხნები და მანუფაქტურები, აამოქმედა სამეფო ზარაფხანა, სტამბა და ა. შ.

დაიწყო სახელმწიფო მმართველობის რეფორმაც. ცენტრალური მმართველობა დაიყო: საგარეო საქმეთა, სახელმწიფო შემოსავლებისა და სამხედრო უწყებებად. 1774 წელს შეიქმნა რეგულარული „მორიგე“ ჯარი, რომელსაც ლეკთა თარეში უნდა აღეკვეთა. ქართულ ჯარში შემოიღეს ევროპული ჩინები და ცდილობდნენ ახალი სამხედრო სისტემის ჩამოყალიბებას. საკმაოდ დაიხვეწა და განვითარდა სასამართლო სისტემაც. აღმავლობა შეეხო მეცნიერებისა და კულტურის სფეროსაც — აღდგა სტამბა, გაიხსნა სახელმწიფო სკოლები და სასულიერო სემინარია, დაარსდა თეატრი და სხვ.

ქართული სახელმწიფოს წარმატებებს იმედის თვალით უყურებდა ამიერკავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის ქრისტიანი მოსახლეობა. ისინი ხშირად თხოვდნენ დახმარებას ერეკლე II-ს. აქტიურობდნენ სომხები, რომლებიც მეფეს ქართულ-სომხური სახელმწიფოს შექმნას და მეთაურობას სთავაზობდნენ.

ახალი საგარეო პოლიტიკური კურსი რუსეთთან მეგობრული ურთიერთობის გაღრმავებას ითვალისწინებდა. 1768-74 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს ერეკლემ, რუსეთის დახმარებით სამცხე-ჯავახეთის გათავისუფლება სცადა, მაგრამ რუსის ჯარის ავანტიურისტი სარდლის ტოტლებენის მოღალატური პო-



ერეკლე მეორე

ლიტიკის წყალობით, რაც მარტო ამ სარდლის ინიციატივა არ უნდა ყოფილიყო, ეს განზრახვა ჩაიშალა; თუმცა, რუსეთთან მოლაპარაკებები გრძელდებოდა, რაც 1783 წ. ქ. გეორგიევსკში ტრაქტატის დადებით დასრულდა. ხელშეკრულების თანახმად, ქართლ-კახეთის მეფეს ამტკიცებდა რუსეთის იმპერატორი, რომელიც უგზავნიდა მას სამეფო ნიშნებს.

მეფეს, იმპერატორის ნებართვის გარეშე არ ჰქონდა უფლება ურთიერთობა დაემყარებინა სხვა სახელმწიფოებთან. ქართლ-კახეთის მეფე ვალდებული იყო, საჭიროების დროს, დახმარებოდა რუსეთს ჯარით. ქვეყნის სათავეში მყოფი ირაკლი II ცდილობდა, ქვეყნის ინტერესები გაეთვალისწინებინა და ამ მიზნით ხან ერთ, ხან მეორე მხარეს მიემხრობოდა. ამ პოლიტიკის გამო ირანის შაჰი აღა-მაჰმად-ხანი ირაკლის მტრად ითვლიდა. ირანის ტახტზე ასვლისთანავე მან ლაშქრობა დაიწყო საქართველოს წინააღმდეგ. ირაკლი II-ის ვაჟიშვილი გიორგი ამ დროს ირანში იმყოფებოდა, სადაც ის ტახტის მემკვიდრედ ჰყავდათ გამზადებული. ირანის შაჰმა ის ტყვედ აიყვანა და ქართლ-კახეთის ტახტზე ასვლის შემდეგ გიორგი XII-ის სახელით ქართველ ხალხს ომი გამოუცხადა.



თელავი, ბატონის ციხე. XVII-XVIII სს.

შინაო მართვა-გამგებლობაში მეფე სრულ დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა. ქართლ-კახეთის მშვიდობიანობის დასაცავად, რუსეთს საქართველოში მუდმივად უნდა ჰყოლოდა 2 ბატალიონი ჯარი 4 ზარბაზნით. იმპერატორი პირობას იძლეოდა, რომ იზრუნებდა მტერთაგან მიტაცებული მიწების საქართველოსათვის დაბრუნებაზე.

ტრაქტატის დადებას ირანისა და ოსმალეთის მკვეთრი გაღიზიანება მოჰყვა. ოსმალებმა კვლავ წააქეზეს ლეკები. 1785 წელს ქართლ-კახეთი დიდად დაზარალა ავარიის მმართველის ომარხანის ლაშქრობებმა. პარალელურად გაჩნდა ქართლ-კახეთის დასავლეთ საქართველოსთან გაერთიანების შესაძლებლობა, რაც, სამწუხაროდ, არ განხორციელდა. თუმცა, 1790 წელს დაიდო სამხედრო კავშირი ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოებს შორის.

ამასობაში, ირანში, ტახტისთვის ბრძოლაში აღა-მაჰმად-ხანმა გაიმარჯვა, მომძლავრდა და როდესაც დარწმუნდა, რომ რუსეთი საქართველოს სამხედრო დახმარებას არ გაუწევდა, 1795 წელს ქართლში შემოიჭრა. რუსეთის მოიმედე ერეკლე II მტერს ძველებურად მომზადებული ვერ შეხვდა. 5 ათას კაციან ჯარს იმერეთის მეფემ 3 ათასი მოლაშქრე მიახმარა. კრწანისის ბრძოლა, ღალატის შედეგად, ქართველების მარცხით დასრულდა. მტერი თბილისში შემოიჭრა და ერთიანად ააოხრა. აღა-მაჰმად-ხანი, შიდა პოლიტიკური არეულობის გამო, მალე იძულებული გახდა ირანში გაბრუნებულიყო. ერეკლე მეფე კვლავ ბრძოლისათვის ემზადებოდა, მაგრამ მხცოვანი მეფე 1798 წლის 11 იანვარს თელავში გარდაიცვალა.

ტახტი ერეკლეს უფროსმა ვაჟმა გიორგი XII-მ დაიკავა; მას დიდხანს არ უმეფია, იავადმყოფა და მალევე გარდაიცვალა, რითაც ისარგებლა რუსეთმა და 1801 წლის 12 სექტემბერს საქართველოში მეფობა გააუქმა, ქართლ-კახეთის სამეფო კი რუსეთის გუბერნიად გამოაცხადა.

ქართული სახელმწიფოებრიობის მოსპობას, რუსეთის იმპერიის მიერ განხორციელებულ სწრაფი კოლონიზაციისა და ქართველთა ასიმილაციის პოლიტიკას ქართული საზოგადოება ვერ ეგუებოდა. დაიწყო მძლავრი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. 1802 წელს თბილისის სიონის ტაძარში ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების მანიფესტის გამოცხადების დღეს, რუსეთის ერთგულების ფიცის დადებაზე კახეთის თავადაზნაურობის დიდმა ნაწილმა უარი განაცხადა, რუსების ალყა გაარღვია და თბილისი დატოვა. სწორედ ეს მოვლენაა მიჩნეული საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საწყისად. შინ დაბრუნებული კახელი თავად-აზნაურობა 1802 წლის ივლისში ქიზიყში შეიკრიბა და მთელ მოსახლეობასთან ერთად რუს მოძალადეებს დაუმორჩილებლობა გამოუცხადა, მათ დასაშლელად გაგზავნილი რუსების ბატალიონი ქიზიყელებმა სასტიკად დაამარცხეს, იულონ ერეკლეს ძის ერთგულების ფიცი დადეს და რუსების იმპერატორს საპროტესტო წერილი გაუგზავნეს, რომელსაც 69 თავადი აწერდა ხელს. რუსების მიერ კახეთში დამატებითი ძალების გაგზავნის შემდეგ აჯანყებულებმა მიიწინეს, რომ დროებით უნდა დაშლილიყვნენ. 1804-1812 წლებში ეროვნული მოძრაობა საქართველოს სხვა მხარეებსაც მოედო. განსაკუთრებით ძლიერი იყო მთიულეთის აჯანყება, რომლის სასტიკად ჩახშობის მიუხედავად, ქართველ ერში სახელმწიფოებრიობის აღდგენის სურვილი არ ჩამკვდარა.

1812 წელს კახეთში დიდმა აჯანყებამ იფეთქა. რუსი ოკუპანტების ძალმომრეობითა და თავხედობით აღშფოთებულმა კახელებმა ქალაქი თელავი აიღეს და რუსების გარნიზონი ციხეში გამოკეტეს. მალე აჯანყებულებმა სიღნაღიც დაიკავეს და დამპყრობელთაგან სოფლების გაწმენდას შეუდგნენ. კახელებს ფშავ-ხევსურებმაც დაუჭირეს მხარი. მათ დუშეთი და ფასანაური გაათავისუფლეს. აჯანყებულები ქართლ-კახეთის სამეფოს აღდგენას და ბაგრატიონთა დინასტიის დაბრუნებას მოითხოვდნენ. საოკუპაციო ხელისუფლებამ გაჭირვებით მოახერხა აჯანყების ჩახშობა;

აჯანყების მოთავეები დასაჯეს, მაგრამ ხელისუფლება იძულებული გახდა გარკვეულ დათმობებზე წასულიყო – კახეთში გაუქმდა კაპიტან-ისპრავნიკის თანამდებობა, აღდგა მოურავობა, რუსული სასამართლოს ნაცვლად დროებითი



თელავი, ჭალაფის ხედი, უკანა პლანზე ბატონის ციხე. დ. ერმაკოვის ფოტო. XIX ს. მიწურული

სასამართლოები შეიქმნა, სადაც სამოქალაქო საქმეების გარჩევა ქართული კანონებისა და ადათის საფუძველზე ხდებოდა.

1812 წლის აჯანყების ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენდა 1832 წლის შეთქმულება. მისი ნახახვა და განვითარება მოსკოვსა და პეტერბურგში გადასახლებაში მყოფ ბატონიშვილთა წრეში დაიწყო. ამ მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა სოლომონ დოდაშვილმა შეთქმულების იდეა რუსეთიდან საქართველოში გადმოიტანა. კახეთში შეთქმულთა ძველურ ცენტრს ალექსანდრე ჭავჭავაძის წინანდლის სახლი წარმოადგენდა. შეთქმულთა ერთი ჯგუფი, რომლის სათავეში, ძირითადად, ქართველი ბატონიშვილები იდგნენ, მოითხოვდა ბაგრატიონთა დინასტიის აღდგენას. მეორე ჯგუფი კი, რომელსაც სოლომონ დოდაშვილი მეთაურობდა, თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის წინააღმდეგი იყო და რესპუბლიკური წყობილების დამყარებას მოითხოვდა. ერთ-ერთი ჯგუფი კონსტიტუციური მონარქიის მომხრე იყო. შეთქმულთა ნაწილი მოითხოვდა საქართველოს დარჩენას რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში 1783 წლის ტრაქტატის საფუძველზე. შეთქმულება გასცეს და მისი მონაწილე 38 კაცი დააპატიმრეს, მ. შ. სოლომონ დოდაშვილი და ალექსანდრე ჭავჭავაძე.

XIX ს-ის 60-იან წლებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ეტაპი დაიწყო. ქართული საზოგადოების მოწინავე წარმომადგენლებმა, იღია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით, მიზნად დაისახეს ქართული სახელმწიფოებრიობის ეტაპობრივი აღდგენა, ანუ თავდაპირველად იმპერიის ფარგლებში ავტონომიის მიღწევა და შესაბამისი მომენტის დადგომისთანავე სრული დამოუკიდებლობის მიღება.

მას შემდეგ, რაც რუსეთში 1917 წლის თებერვლის დემოკრატიულმა რევოლუციამ გაიმარჯვა და დემოკრატიულმა ძალებმა რუსეთის თვითმპყრობელობა დაამხეს, საქართველომ 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ქართული სახელმწიფო 1921 წლის 25 თებერვლამდე ფუნქციონირებდა. 1921 წლის თებერვალში ბოლშევიკურმა რუსეთმა საქართველოს ოკუპაცია მოახდინა. საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა არც საბჭოთა რეჟიმის პირობებში შეწყვეტილა. 1921 წელსვე აჯანყებამ მოიცვა სვანეთი და რაჭა-ლეჩხუმი. 1922 წლიდან მოქმედება დაიწყო „სამხედრო ცენტრმაც“ და ქაიხოსრო (ქაჭუცა) ნოლოყაშვილის პატრიოტულმა რაზმმა. 1924 წლის ივლის-აგვისტოში აჯანყებამ იფეთქა კახეთსა და ფშავ-ხევსურეთში. საყოველთაო აჯანყების ხელმძღვანელად გენერალი სპირიდონ ჭავჭავაძე დაინიშნა. 1924 წლის აჯანყება სხვადასხვა მიზეზთა გამო დამარცხდა, რის შემდეგაც კახეთშიც, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, სასტიკი რეპრესიები განხორციელდა.

საბჭოთა რეჟიმის არსებობის მთელ პერიოდში საქართველოში და შესაბამისად, კახეთშიც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა არ ჩამქრალა. მან დიდი გახაფანი პოვა და განსაკუთრებით მასობრივი ხასიათი სსრკ-ის დაშლის პროცესების პარალელურად, XX ს-ის 80-90-იან წლებში მიიღო, როდესაც ბოლშევიკების მიერ იმპერიის მოდერნიზების მცდელობები უშედეგოდ დასრულდა. 1991 წ. 9 აპრილს საქართველომ კიდევ ერთხელ, უკვე საბოლოოდ, აღიდგინა დამოუკიდებლობა.

კახეთი განსაკუთრებით გამორჩეულია ხუროთმოძღვრულ ძეგლთა სიმრავლით. საქართველოს დანარჩენი მხარეების მსგავსად, შუა საუკუნეების კულტურული მემკვიდრეობა აქაც, ძირითადად, საკლესიო ხუროთმოძღვრებითაა წარმოდგენილი, რომელიც მოიცავს საქართველოში გავრცელებულ ყველა ტიპის საეკლესიო ნაგებობას. სწორედ ამ მხარეშია შემორჩენილი საეკლესიო ნაგებობების ისეთი ნიმუშები, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ქრისტიანობის გავრცელების პირველ ხანებს უკავშირდება.

კახეთის მონუმენტური ხუროთმოძღვრების ძირითადი თაი-

სებურება გარე მორთულობის ხისადავეა, რომელიც მან განვითარების მთელ გზაზე შეინარჩუნა. თუმცა ამ მხარის ხუროთმოძღვრება, როგორც განვითარების ეტაპებით, ისე სტილის ცვალებადობით, მჭიდროდ იყო დაკავშირებული მთელი ქვეყნის ხუროთმოძღვრების განვითარების ისტორიასთან.

კახეთის ხუროთმოძღვრები საუკუნეთა განმავლობაში ქმნიდნენ თავიანთი დროის შესანიშნავ ნიმუშებს, მაგრამ საქართველოს დანარჩენი მხარეებისგან განსხვავებით, ტაძრების შესამკობად იშვიათად ან სრულებით არ იყენებდნენ ორნამენტულ სამკაულს. მათ ხელთ არსებული დაბალი დეკორატიული ღირსებების მქონე სამშენებლო მასალით შეუძლებელი იყო დეკორატიული ეფექტების მიღწევა. ძეგლების გარეგნული უბრალოება, საჳსებით პასუხობდა მოსახლეობის სულიერ მოთხოვნილებებს და მათი ესთეტიკური წარმოდგენის ანარეკლს წარმოადგენდა. ესაა არსებითი სხვაობა კახეთის მონუმენტურ ნაგებობებსა და საქართველოს სხვა მხარეთა მსგავს ნაგებობებს შორის, რომელთა საშენ მასალად ფართოდ გამოიყენებოდა სხვადასხვა ჯიშის ქვის კარგად თლილი კვადრები. ეს უკანასკნელი კი ფასადების ფიგურული რელიეფებით და მრავალსახა ჩუქურთმით მორთვის შესაძლებლობას იძლეოდა.

კახეთის ხუროთმოძღვრული ძეგლები მნახველზე ზემოქმედებას ახდენს ფორმებისა და სივრცის სრულყოფილებით. ხუროთმოძღვართა შემოქმედებითი ძალისხმევა ძირითადად მიმართულია სტრუქტურული ამოცანების გადაწყვეტაზე – ქრისტიანული ეკლესიის მოთხოვნილებების შესაბამისი შიდა სივრცის შექმნაზე, რომელსაც სავსებით შეესატყვისებოდა შენობის გარეგანი ფორმები. ნაგებობები აგებულია უბრალო საშენი მასალით. ესაა სრულიად დაუმუშავებელი რიყის ქვა და ფოროვანი ტუფი. ე. წ. შირიმი. გარდა რიყის ქვისა და შირიმისა, სხვადასხვა პერიოდში საშენ მასალად იყენებდნენ აგრეთვე აგურს, რომელსაც, საქართველოს სხვა მხარეებისგან განსხვავებით, კახეთში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ადრინდელ ხანებში მას დამატებით საშენ მასალად იყენებდნენ – ძირითადად კონსტრუქციულად საპასუხისმგებლო ელემენტების გამოსაყვანად. გვიანდელი ხანის საეკლესიო და საერო ნაგებობების დიდი ნაწილი კი, ძირითადად ან მთლიანად, აგურითაა ნაშენი. სწორედ კახეთის საეკლესიო ნაგებობებში შემუშავდა აგურის წყობისათვის ნიშანდობლივი მრავალფეროვნებით გამორჩეული, ფასადთა დეკორაციული მორთულობის ელემენტების მთელი სისტემა (სხვადასხვა კონფიგურაციის ჩაღრმავებული არეები და ჯვრები, რომბები, დაკბილული ლავგარდნები და სხვ.). როგორც ჩანს, ამ სამშენებლო მასალის წინა პლანზე წამოწევას გარკვეული მყარი საფუძველი შეუქმნა კახეთში ოდითგანვე ფართოდ განვითარებულმა კერამიკულმა წარმოებამ, რაც დასტურდება თუნდაც იმით, რომ უძველესი ნაგებობები ძირითადად, კრამიტითაა გადახურული.

კახეთში, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, იგება ასევე ტაძრები პალესტინური ბაზილიკების ნიმუშების მიხედვით. საეკლესიო მმართველობის მიერ საეკლესიო ნაგებობის ეს ხელოვნურად დანერგილი ფორმა იმთავითვე ადგილობრივი ტრადიციების შესაბამისად იქნა გადამუშავებული. კახეთის ბაზილიკების უძველესი ნიმუშების დიდი ნაწილი (ნეკრესის მონასტრის თავდაპირველი ეკლესია, ძველი შუამთის მონასტრის ბაზილიკა, მატანის ცხრაკარას მონასტრის ბაზილიკა) ძლიერ განსხვავდება ადრექრისტიანული ბაზილიკის არქიტექტურული ტიპისგან. ბაზილიკის მსგავსად ისინი სამ ნავად არის გაყოფილი, რომლებიც ერთიანი სივრცის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენს. შენობები მოკლეა, ნავები, ხის კონსტრუქციების ნაცვლად, გადახურულია ქვის კამარით. ამავე ხანებში იგება ნამდვილი ბაზილიკების ტიპის ეკლესიებიც (კაწარეთის სამების ეკლესია, ე. წ. ჭაბუკაურის ეკლესია ნაქალაქარ ნეკრესის ტერიტორიაზე, თელავის ღვთაების, ტიბაანის წმ. სტეფანეს, კონდოლის ნათლისმცემლის, ნატკორის ეკლესიები, ნაქალაქარ არეშის ბაზილიკა), VI ს-ის ნახევრიდან VII ს-ის ჩათვლით. შენობები შესამჩ-



ნეკრესის მონასტერი

ნევად მოკლდება, ნავები გაყოფილია ბოძების მხოლოდ ორი წყვილით (ვაზისუბნის ღვთისმშობლის მიძინების, ახშანის გორისჯვრის, ბოდბის წმ. ნინოს მონასტრის ეკლესიები, აზერბაიჯა-



ნეკრესის მონასტერი, სამნავიანი ბაზილიკა. IV ს-ის II ნახევარი

ნის კახის რაიონში ყუმის ეკლესია და სხვ.). დამოკლების ტენდენცია შესამჩნევია როგორც VIII-IX საუკუნეებში, ისე მომდევნო X საუკუნეშიც. პროპორციული თვალსაზრისით, ეს ნაგებობები შედარებით უკეთ არის გადაწყვეტილი, შიდა სივრცე აქ გაცილებით დახვეწილია და ხალვათი, პროპორციები – შემაღლებული (აკურის მამა დავითის, ზემო ალვანის ნათლისცემლის, იოანე ზედაზნელის ეკლესიები, ვაზისუბნის სანაგირის ბაზილიკა). სამნავიანი ბაზილიკის აგების გვიანდელი მაგალითია ჟალეთის ბაზილიკა.

VI ს-ის I ნახევარში, ნამდვილი ბაზილიკური ნაგებობების გვერდით, ჩნდება ამ თემის თავისებური, რამდენადმე სახეცვლილი ვარიანტი, რომელსაც აკადემიკოსმა გიორგი ჩუბინაშვილმა „სამეკლესიიანი ბაზილიკა“ შეარქვა და რომელიც საქართველოს გარეთ, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, არ გვხვდება. ამ ტიპის ტაძრის თავისებურება იმაშია, რომ მას გარეგნობით ბაზილიკის ასახულობა აქვს, მაგრამ სტრუქტურით იგი არ არის ბაზილიკა. ბაზილიკისგან განსხვავებით, ერთ ნაგებობაში, ჩვენ გვაქვს ერთმანეთისგან ერთიანი კედლებით გამიჯნული, ხშირ შემთხვევაში კარებით დაკავშირებული, სამი წაგრძელებული სადგომი, რომლებსაც აღმოსავლეთით დამოუკიდებელი საკურთხეველი აქვს. ასე, რომ ერთ ნაგებობაში ერთდროულად სამი ეკლესიაა. კახეთი განსაკუთრებითაა გამორჩეული სამეკლესიიანი ბაზილიკების სიმრავლით. VI-VII საუკუნეების მიჯნაზე ამ თემამ კახეთში როგორც სივრცობრივი გადაწყვეტით, ისე გარეგანი გაფორმების თვალსაზრისით, მხატვრულად დახვეწილი, დასრულებული სახე მიიღო.

ნაგებობის შიდა სივრცის ფორმირების პროცესში, ადგილობრივ სამშენებლო ტრადიციებზე დამყარებულმა, მისი ცენტრულობის მიზანდასახულობამ – გუმბათოვანი გადახურვით და შუქის ძირითადი წყაროთი ზემოდან, განსაზღვრა ქრისტიანული ტაძრის თავდაპირველი ფორმები – ცენტრული გეგმის მქონე გუმბათოვანი სტრუქტურა.



ხაშმი. კაწარეთის სამება. VI ს-ის ბოლო VII ს-ის დასაწყისი

კახეთის გუმბათოვანი არქიტექტურის უძველესი ნიმუშები VI-VII სს. განეკუთვნება, ისინი ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ტიპის ეკლესიების ჯგუფს შეადგენენ. ამ ძეგლებში ჯერ კიდევ ბევრია გაუწონასწორებელი, დაუხვეწავი და მხატვრულად მოუქნელი ფორმები, ხუროთმოძღვრებს ჯერ კიდევ არ აქვთ ათვისებული არქიტექტურული კომპოზიციის ყველა მხარე, მათი შემოქმედებითი აზროვნება მთლიანადაა მიმართული ქრისტიანული არქიტექტურის ცენტრალური ამოცანის (შიდა სივრცის შექმნა) გადასაწყვეტად.

ამ პერიოდის გუმბათოვან თემებს შორის გვხვდება ტეტრაკონქების და „თავისუფალი ჯვრის“ ტიპის სხვადასხვა ვარიანტები. ყველა ამ ეკლესიაში გუმბათი ეყრდნობა კედლებს და არა ცალკე მდგომ ბოძებს.

ტეტრაკონქის ტიპის ძეგლებიდან უძველესია ძველი გავაზის ეკლესია (VI ს-ის III მეოთხედი), რომელიც ყველა მიმართებით უთუოდ, ამ ტიპის საწყის წარმომადგენლად უნდა ჩაითვალოს. გეგმით იგი უბრალო ოთხყურაა – ცენტრალურ ნაწილში გუმბათქვეშა კვადრატით, რომელსაც ოთხივე მხრიდან ნალისებრი აფსიდი შეერთვის. შენობის გარე მოხაზულობა ზუსტად იმეორებს შიგა აღნაგობას.

ნაგებობათა კომპოზიციური გადაწყვეტისა და მხატვრული სრულყოფის ძიების რთულ გზაზე, ტეტრაკონქის ტიპის მომდევ-

ნო საფეხურია ნინოწმინდის საეპისკოპოსო ტაძარი (VI ს-ის III მეოთხედი), რომელშიც გუმბათის



აკურა, მამადავითის ეკლესია. 855 წ.

დიამეტრის გაზრდის და, შესაბამისად, გუმბათქვეშა სივრცის გაფართოების მიზნით, ჯვრის მკლავებს შორის, დიაგონალურ ღერძებზე, მოწყობილია გარკვეული დანიშნულების ორაფსიდიანი მცირე სადგომები. ევოლუციური თვალსაზრისით ნინოწმინდის ტაძარი უდიდესი მნიშვნელობის ძეგლია. საქართველოში მეორე ასეთი კომპოზიცია არ გვხვდება. ტეტრაკონქის კომპოზიცია უდევს საფუძვლად ქველი შუამთის მონასტრის ორიეე გუმბათოვან ეკლესიასაც (პირველი – VI ს-ის დასასრული-VII ს-ის დასაწყისი, მეორე – VII ს.).

ტეტრაკონქის ტიპის გარდა, ამ პერიოდის გუმბათოვან თემებს შორის, გვხვდება „თავისუფალი ჯვრის“ ტიპის რამდენიმე, ერთმანეთისგან განსხვავებული, კომპოზიცია – ერთი აფსიდითა და სამი სწორკუთხა მკლავით. სივრცობრივი აღნაგობით ესაა ერთი საერთო ტიპი, რომელიც, მინიატურული ზომებიდან გამომდინარე, კონსტრუქციული თვალსაზრისით რამდენადმე გამარტივებულია. არსებობს მისი ოთხი სახესხვაობა: ერთი, როდესაც გეგმას გარედანაც ჯვრული მოხაზულობა აქვს (ზეგაანის წმ. მარინეს ეკლესია და ა. წ.

ერელაანთ საყდარი მატანთან), მეორე – შეცვლილი გარეგანი კონტურით (დავითიანის ორმოცი მოწამისა და ვაჩნაძიანის სვეტიცხოველის ეკლესიები), მესამე – სრულიად თავისებური, მკვეთრად ხაზგასმული გრძივი ღერძით (იყალთოს მონასტრის სამების ეკლესია) და მეოთხე, განსაკუთრებით საინტერესო ტიპი, სადაც

ორი მკლავი დასრულებულია აფსიდით, ხოლო [illegible] სწორკუთხაა [illegible] წმინდის ეკლესია).

VII ს-ის დასასრულიდან, გუმბათოვანი ტაძრების ახალი ფორმების ძიებაში ფართოდ იყენებენ ბაზილიკებისა და სამკლესიიანი ბაზილიკების კომპოზიციის პრინციპს, რაც განსაკუთრებული თავისებურებითაა გამოვლენილი VIII-IX სს-ში. ამ პერიოდში გვხვდება სხვადასხვაგვარი კომპოზიციების კომბინირების მაგალითები. ნაგებობის ცენტრალური სივრცის დამაგვირგვინებელი გუმბათი შერწყმულია გუმბათოვანი სტრუქტურისათვის უცხო, ბაზილიკური და სამკლესიიანი ბაზილიკის ტიპის ფორმებთან. ამის მაგალითია გურჯაანის ყველაწმინდა (ერთადერთი ორგუმბათიანი ეკლესია საქართველოში), დასავლეთის გახსნილი პატრონიკით და განცალკევებული სადგომებით გვერდითი ნავების თავზე. ხუროთმოძღვრული ფორმების ევოლუციის მარკვებელია, ვაჩნაძიანის მიდამოებში მდებარე ყველაწმინდის მონასტრის გუმბათოვანი ეკლესია,



ვაზისუბანი, სანაგირის ღვთისმშობლის ეკლესია. X ს. მიწურული

რომელიც საქართველოში გარდამავალი ხანის ყველაზე მაღალმხატვრულ ძეგლთა რიცხვს მიე-

კუთვნება. ტაძარი საერთო კომპოზიციით წარმოადგენს სამეკლესიიანი ბაზილიკის თავისებური გადამუშავების მაგალითს,



კარდანახი,საბაწმინდის მონასტრის სამეკლესიიანი ბაზილიკა. VI ს-ის შუახანები

რომელშიც ძირითადი ელემენტების ორგანულმა შეთანხმებამ შუა სადგომის, როგორც „გუმბათოვანი დარბაზის“, შექმნის შესაძლებლობა განაპირობა. გუმბათისა და გუმბათქვეშა კვადრატის დასაკავშირებლად აქ, პირველად საქართველოში, ჩნდება ახალი კონსტრუქციული ელემენტი – აფრა (პანდატივი), თუმცა



კისისხევი, კონდაძიანის ეკლესია. VI ს-ის II ნახევარი

მის გვერდით არც ტრომპებია უგულებელყოფილი.

ნიშანდობლივია, რომ ამ პერიოდში, სამეკლესიიან ბაზილიკებში შემუშავებული თემა – გვერდითი სადგომების დასავლეთის გარშემოსავლელით დაკავშირება – სხვადასხვა გუმბათოვან კომპოზიციებშიცაა გამოყენებული. ხუროთმოძღვრები აგებენ ღია გალერეებს,სადაც ისინი, ისევე როგორც სამეკლესიიან ბაზილიკებში, დანაწევრებულია თაღებით, რომლებიც ფასადებზე დამატებით მხატვრულ აქცენტებს ქმნის. ამის მაგალითია ძველი გავაზის ტეტრაკონქი, რომელსაც VIII-IX საუკუნეებში სამი მხრიდან გარეთკენ თაღებით გახსნილი გარშემოსავალი მიადგეს.

გარშემოსავალის თემის გარდა, მუშავდება ასევე პატრონიკეს თემაც. კახეთის ტაძრებში პატრონიკე არც თუ ისე ბევრ ნაგებობებშია დადასტურებული. მისი შექმნის პირველი ცდა ცნობილია უგუმბათო არქიტექტურაში – კარდენახის საბაწმინდის მონასტრის ძველ სამეკლესიიან ბაზილიკაში. აქ პატრონიკე არ წარმოადგენს ტაძრის აუცილებელ კომპოზიციურ ელემენტს – კაცთა და ქალთა განმაცალკევებელ ადგილსამყოფელს, არამედ იგი კომპოზიციის შემადგენელი ნაწილია და მისი გაენა, როგორც ჩანს, წმინდა კონსტრუქციული მოსაზრებებით იყო ნაკარნახევი. კერძოდ, გუმბათის განმბრჯენი ძალების გასაწონასწორებლად. ამ ამოცანის გადასაჭრელად გურჯაანის ორგუმბათიანი ბაზილიკის ხუროთმოძღვარი გვერდითი ნავების თავზე დამატებით ეკლესიებს ქმნის, ხოლო ვაჩნაძიანის ყველაწმინდის ტაძრის ხუროთმოძღვარი – პატრონიკეს.

კახეთის ამ პერიოდის ძეგლთაგან განსაკუთრებული ინდივიდუალობითაა გამორჩეული ნეკრესის მონასტრის გუმბათოვანი ეკლესია. ამ შემთხვევაშიც სახეზეა სამეკლესიიანი ბაზილიკის თემის გუმბათოვანი ეკლესიის თემასთან შერწყმის მაგალითი, რაც აქ სრულიად განსხვავებულადაა გადაწყვეტილი: ხუროთმოძღვარი მაღალყელიან გუმბათს შენობის ცენტრალური, გეგმით კვადრატულ ნაწილის კუთხეებზე აფუძნებს და გუმბათის განმბრჯენ ძალებს უპირისპირებს ხუთწახნაგოვან შვერილ აფსიდს და გარშემოსავალს სამი მხრიდან.



ახალსოფელი (ძველი გავაზა),ღვთისმშობლის ეკლესია. VI ს.

ამავე პერიოდში გეხვდება ე. წ. „ჩაწერილი ჯვრის“ თემის სხვადასხვა ვარიანტები. ამ მხრივ საინტერესოა ხირსის წმ. სტეფანეს ეკლესია, რომლის სამნავიანი სტრუქტურა, VIII-IX სს-ში, ჩაშენებული ოთხი თავისუფლად მდგომი ბოძითა და მათზე დაყრდნობილი გუმბათით, ჯვარ-გუმბათოვან ტაძრად გადააკეთეს.

საყურადღებოა ასევე იყალთოს მონასტრის მთავარი ტაძრის (დიდი ნაწილი აღდგენილია მო-



ნინოწმინდის ტაძარი. VI ს-ის შუახანები

გვიანებით) კომპოზიცია – გუმბათით ოთხ თავისუფლად მდგომ ბურჯზე და კარიბჭით თითოეული შესასვლელის წინ.



ზეგაანი, წმ. მარინეს ეკლესია. V ს.

"ნაწერილი ჯვრის" თემის რედუქცირებული მაგალითებია ოზაანის ამაღლებისა და ვარცანის ღვთისმშობლის ეკლესიები, რომელთა გადაწყვეტა გუმბათოვანი ტაძრის ახალი ფორმების ძიების შედეგს წარმოადგენს.

ოზაანის ტაძარი მხატვრული ხასიათის განმსაზღვრელი რიგი ნიშნებით, როგორიცაა წარმოსადეგობა, მთავრის და მისი შემადგენელი ნაწილების პროპორციების საგულდაგულოდ ჩამოყალიბებული ჰარმონიულობა და კომპოზიციის მთლიანობა, მჭიდროდაა დაკავშირებული კახეთის მონუმენტური არქიტექტურის მომდევნო პერიოდთან, კერძოდ, X საუკუნესთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია ოზაანის ტაძრის კანკელის ზღუდის შესრულების დონე, რომელიც, როგორც მხატვრული, ისე კვეთის ტექნიკის სრულყოფით უდავოდ გამორჩეული ძეგლია.

X საუკუნე ქართული არქიტექტურის განვითარების ისტორიაში თავისებური მიჯნაა. ხანგრძლივი და დაუღალავი შემოქმედებითი ძიების შედეგად ჩამოყალიბდა გუმბათოვანი ტაძრის ის ტიპი, რომელმაც საუკუნების განმავლობაში დომინირებული მდგომარეობა შეინარჩუნა. ესაა ნაგებობა მკაფიოდ ხაზგასმული გრძივი ღერძით, რომლის ძირითადი სივრცის შემადგენელი, მაღალი, ორფერდა სახურავით დასრულებული ჯვრის მკლავები და მათ შორის მოქცეული, შედარებით დაბალი, ცალფერდასახურავიანი კუთხის ნაწილები შენობის გეგმის სწორკუთხედშია ჩაწერილი.

არქიტექტურული ამოცანის გადაწყვეტის მხატვრულ მიდგომაში სახეზეა ის წინსვლა, რამაც სრული გამოხატულება და განვითარება მხოლოდ მომდევნო ეპოქაში – X-XIII საუკუნეებში მიიღო.



მატანი, ურულაანთ საყდარი. V ს-ის II ნახევარი

X ს-ის II ნახევრიდან კახეთში ახალი აღმავლობის პერიოდი იწყება – იგება სრულიად დასრულებული სტილის ტაძრები, რომ-



ვაზისუბანი, ორმოცი მოწამის ეკლესია. VII ს.

ლებიც სავსებით შეესაბამება ეპოქის მხატვრულ-არქიტექტურულ მოთხოვნებს – მივიწყებულია სამნავიანი და სამეკლესიიანი ბაზილიკების თემები, უპირატესობა ძირითადად ენიჭება წაგრძელებული ღერძის მქონე გუმბათოვან ნაგებობებს, იზრდება გუმბათის ყელის წახნაგთა რაოდენობა, შენობის კორპუსის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილები სხვადასხვა სიგრძისაა, შესასვლელები ცენტრალური ღერძიდან შესაბამისი ფასადის დასავლეთ ბოლოში



ყველაწმინდის ტაძარი ვანხაძიანისა და კალაურის მიდამოებში. IX ს.

ინაცვლებს,გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის ყელის წრიულ მოხაზულობაზე გადასასვლელად იყენებენ აფრებს და არა ტრომპებს, კონსტრუქციული ხასიათის



ძველი შუამთის მონასტერი (მარცხნიდან): ბაზილიკა – V ს-ის შუახანები,დიდი გუმბათოვანი ეკლესია – VII ს.,მცირე გუმბათოვანი ეკლესია – VII ს.

ძიებების შეწყვეტასთან ერთად, არქიტექტორების ყურადღება, უპირველეს ყოვლისა, მიპყრობილია ახალი კომპოზიციების ძიებაზე. აღმოსავლეთ ფასადზე ჩნდება მაღალი,სამკუთხა გეგმის ნიშები,რომლებიც ხელს უწყობენ შუქ-ჩრდილების თამაშს. საგრძნობლად იცვლება შენობის ზომები,იზრდება კორპუსის ცალკეული ნაწილების და გუმბათის ყელის პროპორციები. მაგრამ, მიუხედავად ამისა, სივრცობრივი აღქმის მთლიანობა არ ირღვევა. ამის ნათელი დადასტურებაა XI ს-ის პირველი მეოთხედის სწორუპოვარი ქმნილება, ალავერდის სახელგანთქმული ტაძარი, რომელიც არა მხოლოდ კახეთის,არამედ მთელი საქართველოს ერთი დიდებული ქმნილებათაგანია. იგი არის ერთ-ერთი უდიდესი და ყველაზე მაღალი (გუმბათიანად 50 მეტრს აღემატება) საეკლესიო ნაგებობა საქართველოში. ტაძრის გეგმის საფუძველს შეადგენს ტრიკონქი, რომლის სამივე აფსიდი გარე კედლების სწორკუთხედის ფარგლებშია მოქცეული. მისი შიდა სივრცე გრანდიოზულია, ნათლად იგრძნობა კახური ძეგლების დამახასიათებელი თავისებურება – პროპორციების აზიდულობა. ნაგებობის კედლები როგორც შიგნით, ისე გარედან მთლიანად მოპირკეთებულია სუფთად გათლილი, ფოროვანი ტუფის, ე. წ. შირიმის ფილებით. ფასადები ძუნწადაა მორთული. კედლების სიბრტყეები მხოლოდ თაღებითა და ნიშებითაა დანაწევრებული, რაც ქმნის იმპოზანტურობის,დიდებულების შთაბეჭდილებას. ალავერდის ხუროთმოძღვარმა შექმნა საეკლესიო ნაგებობა,რომელიც წარმოადგენს შუა საუკუნეების ქართული გენიის უმაღლეს მხატვრულ მიღწევას. შეიძლება ითქვას, რომ ალავერდის ტაძარი განსხეულებული კახური მრავალჟამიერია.

X-XI სს-ში კახეთის არქიტექტურაში იკვეთება აგრეთვე სხვა მიმართულებებიც, რომლებშიც ყალიბდებოდა ამ ეპოქისათვის დამახასიათებელი ერთი საერთო ნიშანი – ერთი მხრივ, ნაგებობის გრანდიოზულობა და დიდებულება, ხოლო მეორე მხრივ – კეთილსახოვნება. ორივე ეს მიმართულება განსაკუთრებულად ვლინდება ამ პერიოდის ორ საყურადღებო ნაგებობაში – ბოჭორმისა და კვეტერის ციხეკარის ეკლესიებში. მათ ფორმებს შორის არსებული სხვაობის მიუხედავად, ისინი ერთმეორის გვერდით დგას რაღაც დამოუკიდებელი, თავისი მხატვრულობით გამორჩეული ქმნილება.

კომპოზიციური თვალსაზრისით კვეტერის ეკლესია ძველი შუამთის II გუმბათოვანი ეკლესიის თავისებური გამოძახილია. ესაა პატარა და საოცრად მოხდენილი ნაგებობა. გეგმის საფუძველი, ისევე როგორც მის პროტოტიპში, აქაც ტეტრაკონქია. ეკლესია შიგნით და გარედან მოპირკეთებულია სუფთად ნათალი და სწორხაზოვან რიგებად დაწყობილი შირიმის სწორკუთხა ფილებით. ხუროთმოძღვარი ცვლის წინა საუკუნეებში გამომუშავებულ ყველა თანაფარდობას. პირველ რიგში ის სრულიად სხვაგვარად აჟალიბებს გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის წრეზე გადასვლის სისტემას, რაც მიღწეულია სხვადასხვა სიგანისა და სიმაღლის თაღების მონაცვლეობით. გუმბათქვეშა წრე გაცილებით მაღლაა „ატანილი“ გუმბათქვეშა თაღებზე, რაც სივრცის ამაღლებულობის შთაბეჭდილებას ქმნის. ეკლესიის შიდა სივრცის სტრუქტურასთან შეწონასწორებულია გარეთა ფორმებიც; შენობის თითოეული ნაწილი დამოუ-



ნეკრესის მონასტერი. მთავარანგელოზთა ეკლესია. VIII-IX სს.

კიდებელ მოცულობად აღიქმება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათი თავისებური შეხამებისა და რეგულირების წყალობით მთლიანობა არ ირღვევა. ყოველი ნაწილი შემკულია ნახევარკოლონების კონებით, რომელთა სიუხვის უკან თითქოს კედლის მასაც კი შეუმჩნეველია. შეიძლება ითქვას, რომ კვეტერის ტაძარში მაქსიმალურადაა გამოყენებული შირიმის დეკორატიული შესაძლებლობები. მასალისა, რომელიც იოლად არ ექვემდებარება დეკორატიულ დამუშავებას,

პროპორციების დახვეწილობით, მოხდენილი არქიტექტურული ფორმებით და მხატვრული გაფორმების სრულყოფითაა გამორჩეული ბოჭორმის ეკლესიაც, რომელიც სრულად ეპასუხება ეპოქის მხატვრულ ამოცანებსა და დეკორატიულ მოთხოვნებს. კვეტერისგან განსხვავებით, ბოჭორმის ეკლესიაში ექვსი აფსიდია. კუთხეები აქაც ნახევარკოლონებითაა მორთული, საშენი მასალა აქაც ნათალი ქვაა – წყობის თანაბარი რიგებით. გაწყობის ელემენტებია: ნახევარკოლონები, თაღები, ზოლურები. მაგრამ, როგორც გეგმის, ისე ხუროთმოძღვრულ ფორმათა კომბინირებაში და დეკორაციული გაწყობის სისტემაში,აქ სრულიად სხვაგვარი მიდგომა ვლინდება. ბოჭორმის ეკლესიის კორპუსი გარედან დანაწევრებულია სამკუთხა ნიშებით.

ნაგებობის საერთო სახის წარმოსადეგობის მისაღწევად იგივე საშუალებები და ელემენტებია გამოყენებული არა მხოლოდ აწყურის თეთრი გიორგის ეკლესიასა და კუნტურის საყდარში, არამედ XIII ს-ის და XIV ს-ის დასაწყისის ძეგლებზეც.

XII ს-ის დასაწყისიდან კახეთის სამეფო შედის გაერთიანებული საქართველოს შემადგენლობაში, რომლის გავლენა ვრცელდებოდა კავკასიის ფართო ტერიტორიაზე. XII ს-ის ბოლოდან XIII ს-მდე კახეთში გუმბათოვანი არქიტექტურის ძეგლები არ გვხვდება. თუმცა, ქვეყნისათვის ამ პოლიტიკური გარდატეხის დროს, შემოქმედებითი სული და მხატვრული ტრადიციები არ შენელებულა.

X-XI სს-ში დამკვიდრებული „ჩაწერილი ჯვრის"-ტიპი ამ დროის საეკლესიო ნაგებობებში კვლავ განაგრძობს არსებობას. შენობებს აერთიანებს ფასადების დეკორატიული დამუშავების მხარეც, რა თქმა უნდა, ორნამენტული მორთულობის გარკვეული შეზღუდვებით. სწორედ XIII ს-ის I ნახევარში აშენდა დიდი გუმბათოვანი ეკლესია კარდანახის საბა-წმინდის მონასტერში და ფუძნარის გუმბათოვანი ეკლესია, ხოლო უფრო გვიან (სავარაუდოდ, XIV ს-ის შუა წლებამდე) – ნატიფი და საოცრად დახვეწილი გუმბათოვანი ტაძარი საბინო (ზემო ხოდაშნის მიდამოები).

გუმბათოვან ეკლესიებთან ერთად ეს პერიოდი საყურადღებო დარბაზული ეკლესიებითაცაა წარმოდგენილი. ისინი ტრადიციული კახური საშენი მასალით – რიყის ქვითაა ნაშენი. ზოგ შემთხვევაში ნაგებობა იმოსე-


ალავერდის ტაძარი. XI ს-ის I მეოთხედი


კვეტერის ციხის ეკლესია. X ს-ის II ნახევარი

ბა სუფთად ნათალი და სწორხაზოვნად დაწყობილი შირიმის ფილებით. სარკმლები გაფორმებულია ლილვებით – მათ შორის გრეხილი ლილვითაც. საპირეების თაღის ქუსლები და ქვედა კუთხეები კვადრატებითაა გამოყოფილი, რომლებშიც ამოკვეთილია ვარდულები. ფასადზე ჩნდება ჩუქურთმით შემკული გირჩებიც. ამ პერიოდის ეკლესიებიდან აღსანიშნავია: ზემო ხოდაშნის დედათა მონასტრის წმინდა ნიკოლოზის ეკლესია (დაახლ. – XIII ს.), ამავე სოფლის მიდამოებში მდებარე ე.წ. ტარიელაანთ საყდარი (განვით. შუა საუკუნეები) და კურტანაძეულის წმინდა მარინეს ეკლესია (XIII ს.) სოფ. მატანთან. ამავე ხანებში დასტურდება ორსართულიანი ეკლესიების აგების შემთხვევებიც (ქვაბოტა, მარტყოფი, ართანა). გარდა ამისა, იგება მესვეტეთათვის განკუთვნილი კოშკური ნაგებობებიც, რომლის უძველესი ნიმუში ერთ-ერთი „ათსამმეტ მამათაგანის" წმ. ანტონის მიერ VI ს-ის II ნახევარში სოფ. მარტყოფის მახლობლად აგებული კოშკი-სვეტია. განვითარებულ შუა საუკუნეებში აგებულ ამ ტიპის ნაგებობათაგან როგორც სტრუქტურით, ისე შესრულების თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოა სოფ. ქისტაურის ნათლისმცემლის ეკლესიასთან მდგარი სამსართულიანი კოშკი-სვეტი.



კარდანახი, ხაშაწმინდის მონასტერი. წმ. საბას ეკლესია. XIII ს-ის I ნახევარი

ამ პერიოდის კულტურული აღმავლობის კარგი მანვენებელია დავითგარეჯის სამონასტრო მშენებლობა, რომელმაც თავისი განვითარების მწვერვალს XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე მიაღწია. გარე კახეთის ამ უდაბურ, უტყეო კლდოვან მთებში, VI საუკუნეში, ქრისტიანული რწმენის განსამტკიცებლად საქართველოში სირიიდან დაბრუნებულ „ათსამმეტ მამათაგან" ერთ-ერთი, წმინდა დავითი, თავის მოწაფე ლუკიანესთან ერთად დასახლდა გარეჯის უდაბნოს ბუნებრივ მღვიმეში, რამაც საფუძველი ჩაუყარა ამ ადგილას მონასტრის დაარსებას. იგი დავითის ლავრის სახელითაა ცნობილი. IX საუკუნეში აქ მოღვაწეობას იწყებს წმინდა ილარიონ ქართველი, რომელიც აფართოებს მონასტრის ეკლესიას და ახალ ფილიალსაც აარსებს. დროთა ვითარებაში გამოქვაბულ მონასტერთა რაოდენობა თანდათან გაიზარდა და ჩამოყალიბდა მძლავრი რელიგიურ-კულტურული ცენტრი, რომელმაც თავისი განვითარების მწვერვალს XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე მიაღწია. XII ს-ის დასაწყისში დავით აღმაშენებელმა დავითგარეჯის მონასტრები სამეფო საკუთრებად აქცია, რამაც ხელი შეუწყო მათ დაწინაურებას. მოყოლებული VI საუკუნიდან ვიდრე XIX საუკუნემდე დავითგარეჯის მრავალ[illegible] მონასტრები კულტურისა და განათლების [illegible] კერა იყო, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა ქართველი ხალხის როგორც რელიგიურ, ისე კულტურულ ცხოვრებაში.

XV ს. ძირითადად მონღოლთა ურდოებისა და თემურ-ლენგის რვაგზის შემოსევის შედეგად დანგრეული ქვეყნის აღდგენის პერიოდია. სამეფო კარს უკვე აღარ ძალუძს ძველი დიდების შემობრუნება. ქვეყანა დაშლილი იყო ცალკე სამეფოებად და სათავადოებად. XV ს-ის II ნახევარში კახეთი ისევ ცალკე სამეფოდ გამოიყო.

კახეთის ეკონომიკური მდგომარეობა ამ პერიოდში საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით უკეთესი იყო, რადგან იგი მეტ-ნაკლებად მაინც გადაურჩა ძარცვასა და მიწასთან გასწორებას.

XVI ს-იდან კახეთში ახალი აღმავლობის ხანა იწყება. მთელი XVI ს-ის განმავლობაში და XVII ს-ის პირველ წლებში გაცხოველებული აღმშენებლობაა; შენდება ანსამბლები, იმპოზანტური საეკლესიო ნაგებობები, სამეფო



ფუძნარი. ღვთისმშობლის ეკლესია. XIII ს-ის I ნახევარი

რეზიდენციები გრემსა და ბაზარში (ახლანდელი ზაგემი), საქალაქო და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები და სხვ.

მშენებლობის მასშტაბებით ამ დროის კახეთი, საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით, გაცილებით დაწინაურებულია. ნაგებობები გამოყვანილია ძირითადად აგურით, ხუროთმოძღვრები ეკლესიებისთვის იყენებენ ირანული არქიტექტურის ელემენტებსა და დეტალებს, ახდენენ მათ იმიტაციას.

სამშენებლო საქმიანობის აღმავლობის მიუხედავად, ამ პერიოდის არქიტექტურა მაინც ხასიათდება შემოქმედებითი ძიებისა და ოსტატობის დაქვეითებით, მხატვრული ჩანაფიქრისა და დეკორატიული მიდგომების გამარ-



მარტყოფის მონასტერი. წმ. ანტონ მარტყოფელის კოშკ-სვეტი. VI ს-ის II ნახევარი



ზემო ხოდაშენი, დედათა მონასტერი, წმ. ნიკოლოზის ეკლესია. XIII ს-ის II ნახევარი

ტივებით. წინა ეპოქებიდან განსხვავებით, სატაძრო ნაგებობების გეგმებსა და საერთო ფორმებში აღარ შეინიშნება შემოქმედებითი ზრდის ტენდენცია,პირიქით,ვლინდება ერთგვარი რემისია,რაც გამოიხატა დეკორატიულ მორთულობაშიც. არქიტექტურული თემის და კონსტრუქციულ საკითხებთან მიმართებით არაფერი შეცვლილა. წინა ეპოქებში გავრცელებული ჯვარ-გუმბათოვანი ტაძრის ტიპი (ორ თავისუფლად მდგომ ბურჯზე დაყრდნობილი გუმბათით) კვლავ განაგრძობს არსებობას. კომპოზიციის ყოველი დეტალის და მათი ცალკეული ელემენტების დამუშავების მიუხედავად, წინა ეპოქების ძეგლებისაგან განსხვავებით, ეს ნაგებობები ვერ აღწევს სრულყოფილების და ოსტატობის ხარისხს, თუმცა, მხატვრული ძიების არსებობა მაინც შესამჩნევია, რაც ძირითადად გამოიხატა შენობათა მასების სხვაგვარ აგებასა და პროპორციების გამწვავებულ შეფარდებაში. ამ ტაძართა ინტერიერების სივრცობრივი გადაწყვეტა აგრძელებს და უფრო აძლიერებს ქართული არქიტექტურის ისტორიული განვითარების დამახასიათებელ იდეას – სიმაღლისკენ სწრაფვას, რომელმაც თავის მაქსიმალურ ზღვარს სწორედ ამ [illegible] მიაღწია (ახალი შუამთის, გრემის მთავარანგელოზთა, [illegible] აღდგომის და ჭიკაანის კვირაცხოვლის ეკლესიები). კახთა მეფეების მიერ აგებულ ამ ძეგლთა თავისებურებაა ისიც, რომ, წინა ეპოქისაგან განსხვავებით, ისინი მთლიანად აგურითაა ნაგები. აგურის წყობა განსაზღვრავს დეკორატიული სისტემის ხასიათს. ყოველი ფასადი დანაწევრებულია სხვადასხვა მოხაზულობის, ოდნავ შეღრმავებული არეებით, რომლებიც გაფორმებულია შეღრმავებული ჯვრებით, თაღოვანი ნიშებით, რომბების კომბინაციით და ა. შ. მთლიანად აგურითაა ნაგები ამ პერიოდის ერთ-ერთი ღირშესანიშნავი ნაგებობა ნინოწმინდის მონასტრის სამრეკლო, რომელიც გამოდის კახეთის ჩვეულებრივი სამრეკლოების რიგიდან და მაღალი სტილის, კარგად გააზრებულ, მხატვრულად დასრულებულ ქმნილებას წარმოადგენს. მაგრამ, ამავე დროს, ამ არქიტექტურული ნაწარმოებების გვერდით, ჩვენ ვხედავთ ძეგლთა ჯგუფს [ე. წ. ბახთალოს ეკლესია (ყოფ. ქ. ბაზარი – ამჟამად



დავითგარეჯა, ლავრის მონასტერი

ახერბაიჯანის ტერიტორიაზეა), თარაქის „ყვერებისას“ წმ. გიორგის ეკლესია, ზემო ალვანის სამების ეკლესია, წმ. ნიკოლოზის ეკლესია მატანში, ახატელის ღვთაების ეკლესია], რომლებშიც იგრძნობა შემოქმედებითი ენერგიის ერთგვარი მინელება. გარედან ისინი სრულიად სადაა, მხოლოდ გუმბათის ყელია დამუშავებული. კედლის სიბრტყეები დაუნაწევრებელია, უმეტეს შემთხვევაში მოკლებულია ყოველგვარ დეკორაციულ სამკაულს.

კახეთის ეკონომიკური აღმავლობის კვალდაკვალ ფართოდ გაშლილი სამშენებლო საქმიანობა XVII ს-ის დასაწყისში (სპარსეთის შაჰის აბას I-ის მიერ 1614-1616 წლებში განხორციელებული ლაშქრობების შედეგად) ერთბაშად შეწყდა. ნანგრევებად იქცა ულამაზესი ქალაქი გრემი. იგი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ როგორც გვიანდელი შუა საუკუნეების კახეთის სამეფოს დედაქალაქი, არამედ როგორც ურბანული არქიტექტურის ნიმუში, რომელშიც კარგადაა შემორჩენილი როგორც საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობების ნაშთები, ისე ინფრასტრუქტურის ელემენტები.

XVIII საუკუნეში კახეთში კვლავ დაიწყო მშენებლობის აღორძინება. კახეთს, საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით, ახლაც ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს ახალ ნაგებობათა რაოდენობით. ამ პერიოდის საეკლესიო მშენებლობაში რაოდენობრივი უპირატესობა სრულიად მარტივ დარბაზულ ეკლესიებს ეკუთვნის, თუმცა, მათ შორის ზოგიერთი როგორც გეგმარებით, ისე შესრულების ხარისხით უდავოდ საგანგებო ყურადღებას იმსახურებს (საგარეჯოს პეტრე-პავლეს, ფიხოვანის ხარჭაშნის ღვთაების, ჯიმითის ქვემო-შინდის ეკლესიები). შენდება გუმბათოვანი ეკლესიებიც, რომლებშიც ძველი არქიტექტურული თემების რემინისცენციის შემთხვევებსაც ვხვდებით. ამის მაგალითია: ღვთისმშობლის პატარა ეკლესია მანავში, რომელიც, წარწერის თანახმად, გარეჯის მონასტრის წინამძღვრის ეფთიმეს მიერ 1794 წელსაა აგებული; გურჯაანის ქაშვეთისა და მწყაანის ღვთისმშობლის ეკლესიები. მომდევნო პერიოდის საეკლესიო ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლია სოფ. ქოდალოს ტეტრაკონქის ტიპის ეკლესია, რომელიც 1817-1835 წლებს შორის აუგია კახეთის სამეფოს პოლიტიკურ და სამხედრო მოღვაწეს, მეფე გიორგი XII-ის მინბაშს, აბელ ანდრონიკაშვილს.

კახეთში მრავალი სამრეკლოა შემორჩენილი. მათი დიდი ნაწილი დაუთარიღებელია. დღემდე შემორჩენილი სამრეკლოებიდან XV საუკუნეს [illegible] არც ერთი არ [illegible] ლოში პირველი დათარიღებული სამრეკლო არის გულარეხის მონასტრის სამრეკლო, რომელიც მასზე დაკვრული წარწერის თანახმად, 1272 წელსაა აგებული.

კახეთში ყველაზე მეტად გავრცელებულია სამრეკლოების უმარტივესი სახე – ეკლესიის სახურავის კეხზე დაფუძნებული, თაღებით გახსნილი, პატარა კოხკი. გვხვდება ორსართულიანი სამრეკლოებიც – კუბური ფორმის ნაგებობაზე დადგმული რვაწახნაგა ფანჩატური, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, ქვედა ნაწილს არ უკავშირდება. გვხვდება ასევე ფანჩატურით დაგვირგვინებული, დიდი, მრავალსართულიანი ნაგებობები.

კახეთის უძველესი სამრეკლოები (ყვარლის, შიხაანი, წინანდალი) ეკლესიასთან ახლოს მდგომი ნაგებობებია. ამათგან ყველაზე ადრეულად მიჩნეულია ყვარლის ციხეში, ამაღლების ეკლესიის დასავლეთით მდგარი სამრეკლო.

სამრეკლოების მეორე ჯგუფი ლევანის მეფობის ხანას (1520-1574) შეიძლება დაუკავშირდეს,



გრემი. მთავარანგელოზთა ეკლესიის კომპლექსი. XVI ს.



ნინოწმინდის მონასტერი, სამრეკლო. XVI ს.

ესაა ალვანის ნათლისმცემლის, გრემის ღვთისშობლის მიძინების დარბაზული ეკლესიის, კარდანახის საბა-წმინდის, საყდრიონის წმ. გიორგის და ფონას ეკლესიების სამრეკლოები. ისინი მიშენებულია ეკლესიის რომელიმე შესასვლელზე ისეროთ სამრეკლოს ქვედა სართული ეკლესიის კარიბჭის დანიშნულებას ასრულებს.



მანავი. ღვთისშობლის ეკლესია. 1794 წ.

XV-XVI სს. განეკუთვნება ახშანის გორისჯვრის ეკლესიასთან მდგარი სამრეკლო, რომლის ქვედა სართულზე სამლოცველოა მოწყობილი.

მომდევნო პერიოდისაა ლეღლიანის წმ. თეძდორეს ეკლესიის სამრეკლო, რომელიც ტაძრის შეკეთების დროსაა ჩადგმული, მატნის ცხრაკარას მონასტერში მთავარი ბაზილიკის ჩრდ. ნავზე დაშენებული ფანჩატური და სხვ.



ვანთა, სახლე. VIII-IX სს.

კახელ ხუროთმოძღვართა მხატვრულ-შემოქმედებითი დონის კარგი მაჩვენებელია საერო და სამონასტრო ნაგებობებიც. ადრეული პერიოდის საერო ხუროთმოძღვრება ძირითადად სახახლეების სახითაა წარმოდგენილი (კვეტერა, ვაჩნაძიანი, ვანთა, ველისციხე, ნეკრესი, ჭერემი, თიანეთი). სტრუქტურული თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ ისინი არსებითად ერთი და იმავე ტიპის ნაგებობებია – მცირედი სახესხვაობით. თითოეული მათგანი მკაფიოდ არის დანაწევრებული ფუნქციური მოთხოვნილებების შესაბამისად. ყველა შენობა ორსართულიანია. ქვედა სართულში თავმოყრილია დამხმარე, სამომსახურო სათავსები, ზედა სართულში კი – ფეოდალის სამყოფელი და საზეიმო დარბაზი. ზედა სართული მნიშვნელოვნად მაღალია ქვედაზე. გრძივი ფასადის მხარეს იგი დანაწევრებულია თანაბრად განლაგებული განიერი, მაღალი, თაღოვანი ღიობებით. ფრონტონით დასრულებული გა-



თვალთის მონასტერი, აკადემიის შენობა. XII-XIII სს-ის მიჯნა

ნიერი ფასადების მხარეს ორ-ორი თაღოვანი ღიობია. საეკლესიო ნაგებობებისგან განსხვავებით, აქ გადახურვა ბრტყელია, ხის კოჭებზე. ნაგებობები ქვითაა ნაშენი. ვანჩაძიანსა და თიანეთში გამოყენებულია აგური – დიფერენცირებულად. აგური ყოველთვის დიდი ზომისაა. აგურითაა ნაწყობი თაღები და კონსტრუქციულად საპასუხისმგებლო დეტალები. სახახლეებთან არქიტექტურული გადაწყვეტით ახლოს დგას იყალთოს მონასტრის აკადემიის სატრაპეზოს ნაგებობები. ინტერიერისა და ფასადის თავისებური გაფორმებითაა გამორჩეული სოფ. კალაურის მახლობლად მდებარე ნათლისმცემლის მონასტრის სატრაპეზო, რომელიც წინასწარი მონაცემებით, სავარაუდოდ, IX ს-ით უნდა დათარიღდეს.

XVI ს-ის საერო ხუროთმოძღვრების საინტერესო ძეგლთაგანია ლეკან კახთა მეფის მიერ აგებული სახახლე ე. წ. ცხრაკარა სოფ. ალვანთან. XVI ს-ის II ნახევარს განეკუთვნება სახახლიდან შორიახლოს მდგარი მეორე სახახლე, განსაკუთრებით საინტერესო და მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო ამჟამად დიდად



ზემო ალვანი, სახახლე „ცხრაკარა". XVI ს-ის II ნახევარი

სახეშეცვლილი არჩილ მეფის სახახლე თელავში (1667-1675 წწ; გადაკეთებულია XVIII და XIX სს-ში), რომელიც ე. წ. ბატონის ციხის კომპლექსშია ჩართული. საერო არქიტექტურის საინტერესო ნიმუშია მიტროპოლიტ საბა ტუსისშვილის სახლი ნინოწმინდაში (XVIII ს-ის 70-იანი წლები).

აღსანიშნავია კახეთის საცხოვრებელ ნაგებობათა ერთი



რუისპირი, „ადამიანთ" ციხე. XVIII ს-ის ბოლო მესამედი

ჯგუფი, რომლებშიც სამეურნეო-საცხოვრებელი და სათავდაცვო ფუნქციებია შერწყმული (რუისპირის ადამიანთ ციხე, ახმეტის ჯანდიერაანთ ციხე და ზემო ხოდაშნის ბერაანთ ციხე).

კახეთის ხუროთმოძღვრებაში, საეკლესიო ნაგებობათა გარდა, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სათავდაცვო, ანუ სამხედრო დანიშნულების ნაგებობებს. უჯარმის, თელავის, კვეტერის, ბოჭორმის, ვეჟინის, ხორნაბუჯის, მანავის, პანკისის და თორღვას ციხე (მაწიმისწყლის სათავეებში) კახეთის უძველესი ციხეებია. ისინი სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილებშია აგებული და ქვეყნის თავდაცვის ერთიან სისტემას ქმნიდნენ. მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა უჯარმის, კვეტერის, ბოჭორმის და ვეჟინის ციხესიმაგრეებს. კახეთში ყველაზე ძლიერ და გავლენიან პუნქტებად ეს ციხეებია მოხსენიებული. ციხესიმაგრეებთან ერთად, შენდებოდა ციხე-დარბაზები, გალავნები და კოშკები, მეფეთა და ფეოდალთა სასახლეები, ქალაქისა და სოფლის საცხოვრებელი სახლები. აღნიშნულ ნაგებობათა ქრონოლოგია დროის დიდ მონაკვეთს მოიცავს – დაწყებული ადრინდელი შუა საუკუნეებიდან XIX ს-მდე – და ყოველი მათგანი ეპოქის დამახასიათებელ ნიშნებს ატარებს.

კახეთის ციხესიმაგრეები წმინდა სამხედრო-სათავდაცვო შენობებია, სადაც, გარდა გარნიზონის სადგომებისა, სხვა რაიმე მუდმივი საცხოვრებელი არ არის.

XVIII ს-ის 30-იანი წლებიდან აგებდნენ ციხე-გალავნებს, რომლებიც განკუთვნილი იყო (განსაკუთრებით ლეკიანობის დროს) ერთი ან რამდენიმე სოფლის მოსახლეობის შესახიზნად. ასეთი გალავნები შენდებოდა ვაკე ადგილას,ჩვეულებრივ მოსახლეობით მჭიდროდ დასახლებულ დიდ სოფლებში. გალავანი აღჭურვილი იყო ფართო ჭიშკრებით – ხალხისა და საქონლის სწრაფად შესახიზნად. გალავანს არავითარი შიდა სათავდაცვო ნაგებობა არ გააჩნია. იგი შედგება საკუთრივ კედლებისა და მათ ხაზში ჩართული კოშკებისაგან, რომელთაგან ზოგი [illegible]დაც გამოიყენებოდა. ციხე-გალავნის დანიშნულებას ასრულებდა ცალკეულ ტაძართა ზღუდეებიც, რომლებიც თავიანთი ფართობით დიდად აჭარბობდა ციხესიმაგრეებსა და ციხე-დარბაზებს.



ხორნაბუჯის ციხე. V ს.

ყველა სახის სათავდაცვო ნაგებობაში ძირითადი ელემენტი არის კოშკი. XVIII ს-ის ნახევრიდან, ცეცხლსასროლი იარაღის ფართოდ გავრცელების შემდეგ, უპირატესობა ენიჭება მრგვალ კოშკებს. სწორკუთხა კოშკი იშვიათია.

XIX ს-ის დასაწყისიდან, მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთის იმპერიის ნაწილი გახდა, კახეთის ხუროთმოძღვრების განვითარება მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის. აღარ შენდება ციხესიმაგრეები და სხვადასხვა სახის სათავდაცვო ნაგებობები. საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში მიზანდასახულად ინერგება რუსულ-ევროპული ხუროთმოძღვრების ფორმები და ელემენტები (მაგ. ვაზისუბნის ნათლისმცემლის ეკლესია); ხდება ეკლესიათა საფუძვლიანი შეკეთება-გადაკეთება. არის შემთხვევები, როცა რუსეთიდან ჩამოსახლე-



მანავის ციხე. X ს.

ბული მოსახლეობისთვის და ჯარის ნაწილებისათვის შენდება ახალი ეკლესიები (დედოფლისწყარო, ლაგოდეხი, გომბორი). მიუხედავად ამისა, ეროვნული მცირე ნაწილია შემორჩენილი ალავერდის ტაძრის აფსიდში – ეკლესიის მამების მონუმენტური ფიგურები და გრანდიოზული ორნამენტის ფრაგმენტები. ტაძარში ასევე შემორჩენილია: XV, XVI და XVIII ს-ის მხატვრობის ნაშთებიც. XI ს-ში აშენებული შუამთის მონასტრის დიდი გუმბათოვანი ეკლესია. XI ს-ის I ნახევარში დაიწყო ოზაანის ამაღლების ტაძრის მოხატვა, რომელიც დასრულდა XIII ს-ში. XII ს-ის დასწყისს განეკუთვნება ბოჭორმის წმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობა. XIII ს-ისაა არგოხის ყველაწმინდის ეკლესიის მოხატულობა, რომელიც მეტად დახელოვნებული ოსტატის მიერაა შესრულებული. ამავე დროით თარიღდება ასევე სანაგირის ბაზილიკისა და რუისპირის წმ. შიოს ეკლესიის მოხატულობები.



წინანდალი, ჭავჭავაძეების სასახლე. XIX ს-ის I ნახევარი

კახეთის მონუმენტური მხატვრობის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს გარეჯის ხუროთმოძღვრული ტრადიციები არ ჩამკვდარა. ეკლესიების მშენებლობას გაცილებით ნაკლები ყურადღება ეთმობა, ძირითადი ყურადღება გადატანილია საცხოვრებელ ნაგებობათა მშენებლობაზე. მათ ნაწილზე ნათლადაა ასახული შემოსული ხუროთმოძღვრული ფორმების ადგილობრივ ფორმებთან ტრანსფორმაციის შედეგი (ჭავჭავაძეების სასახლე ყვარელში, დიმიტრი აფხაზის სასახლე კარდანახში, ჭავჭავაძეების სასახლე წინანდალში, დავით სარაჯიშვილის სახლი ბაკურციხეში, ლევან ჯანდიერის სახლი ვაჩნაძიანში და სხვ.), რაც საგანგებო ეთანხმება კახეთის ხუროთმოძღვრების ზოგად მიმართულებას XIX ს-ში.

კახეთში არაერთი ეკლესია იყო მოხატული. შემორჩენილი ნიმუშები ქართული მონუმენტური ფერწერის განვითარების ერთ პერიოდს მოიცავს. ადრინდელ ძეგლებში, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, გვხვდება კედლის ქვის წყობის იმიტაცია გრაფიკული ნახატით (ერწოს სიონი, ჯალეთის ბაზილიკა, ყვარლის სამების ეკლესია). XI ს-ის მოხატულობის



დავითგარეჯა. უდაბნოს მონასტერი, სარების ეკლესიის მოხატულობა. XIII ს-ის მიწურული



დავითგარეჯა. უდაბნოს მონასტერი, სატრაპეზო. X-XI სს-ის მიჯნა

ფერწერულ სკოლას, რომელმაც თავისი არსებობის ხუთი საუკუნის განმავლობაში ასახა მონუმენტური მხატვრობის განვითარების უმნიშვნელოვანესი ეტაპები. გარეჯის ფერწერული სკოლიდან უძველესია დოდორქის მონასტრის წმინდა დოდოს სამარხი-ეკლესიის მოხატულობა (IX ს.). გარეჯის მრავალმთის მონასტრების კედლის მხატვრობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ქტიტორთა გამოსახულებების სიმრავლე, მ. შ. საქართველოს მეფეთა პორტრეტები (თამარ მეფე და მისი ძე გიორგი ლაშა – ბერთუბნის ეკლესია, მეფე დემეტრე II თავდადებული – უდაბნოს მონასტრის ხარების ეკლესია). გარეჯის სამხატვრო სკოლის ერთ-ერთი თავისებურებაა ეროვნული წმინდანის წმინდა დავითის ცხოვრების ამსახველი ციკლის შექმნა. უდაბნოს მონასტერში ორი ასეთი ციკლია, რომლებიც წმინდა დავითის სასწაულთანაა დაკავშირებული. ერთი მათგანი ორმოცი წამებულის ეკლესიაშია, მეორე – მონასტრის მთავარ ეკლესიაში. ცალკე უნდა გამოვყოთ ბერთუბნის მონასტრის საკრებულო ტაძრის მოხატულობა (XII-XIII სს.) ღვთისმშობლის აპოკრიფული ცხოვრების ციკლით.

XVI ს-ში კახეთში არაერთი ეკლესია მოიხატა (გრემის მთავარანგელოზთა ეკლესია, ნინოწმინდის ტაძარი, მატნის ცხრაკარა, ვეჯინის ამაღლების ეკლესია, ახალი შუამთის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია, ზემო ალვანის ნათლისმცემლის ეკლესია, ნეკრესის მონასტრის ბაზილიკა და [illegible] შორის შესრულებულ[illegible] მხატვრულ-ისტორიული თვალსაზრისით, განსაკუთრებითაა გამორჩეული გრემის მთავარანგელოზთა ეკლესიის მოხატულობა. დაზიანების მიუხედავად, გარკვევით ჩანს, რომ მხატვრობა საგანგებო მნიშვნელობის სამეფო შეკვეთაა. იგი თავისი დროის ერთ-ერთ საუკეთესო ძეგლს წარმოადგენს, რომლის უახლოესი სტილისტიკური პარალელები ათონის მთის მოხატულობათა შორის მოიპოვება. ცნობილია, რომ XVII ს. გრემის ფერწერის განახლებაზე მუშაობდნენ მოსკოვიდან მოწვეული ოსტატებიც.

სამეფო დაკვეთების გარდა, კახეთში შემორჩენილია ე. წ. „ხალხური" მხატვრობის მრავალი საინტერესო ნიმუში, რომლებიც XVI საუკუნეს განეკუთვნება და ამ მხატვრობით მეტწილად ადრინდელი ეკლესიებია შემკული (კალაურის წმ. გიორგის ეკ-



ნეკრესის მონასტერი, ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის მოხატულობა. XVI ს-ის შუახანები, „საიდუმლო სერობა"

ლესია – 2009 წ. მხატვრობის კონსერვაციისას, აფსიდის ჩრდ. ნაწილში, ჭვარტლისა და სანთლის მოხსნის შემდგომ, გამოჩნდა წმინდა ნინოს გამოსახულება შესაბამისი ასომთავრული წარწერით, ზეგაანის მონასტრის წმ. მარინეს ეკლესია, ერელაანთ საყდარი მატანთან, ფიწხოვნის ნათლისმცემლის ეკლესია და სხვ.).

1823 წლით დათარიღებული მეტად საინტერესო კედლის მხატვრობა ამკობს ბოდბის მონასტრის ბაზილიკას, მისი დამკვეთია დავითგარეჯის ნათლისმცემლის მონასტერში აღზრდილი ბოდბელი მიტროპოლიტი იოანე მაჟაშვილი.

შუა საუკუნეების კახეთის არქიტექტურამ შემოგვინახა უამრავი ძეგლი, რომელთაც ნამდვილი მხატვრული ღირებულება აქვს და ცხოველმყოფელი შემოქმედების კვალს ატარებს.

კახეთის სხვადასხვა ეპოქის არქიტექტურის ძეგლები, ისევე როგორც სრულიად საქართველოსი, ხასიათდება პროპორციების გარკვეული სიმკვეთრით, ნაწილთა ჰარმონიული შეთანხმებით და მასშტაბით. ისინი არ გადიან განსაზღვრული, „ადამიანური“ ზომების საზღვრებიდან. შიდა სივრცე გამოირჩევა რბილი, დუნადი, ბუნებრივი გადასვლებით ერთი შემადგენელი ნაწილიდან მეორეზე. ამაში გარკვეულ როლს თამაშობს სინათლის წყაროების განაწილების სისტემა. სინათლის მთავარი წყარო თავმოყრილია გუმბათში, მას ემატება სარკმლებიდან შემოსული შუქი, რომელიც რბილი გადასვლებით იატაკამდე აღწევს.

თავისი განვითარების გრძელ გზაზე კახეთის არქიტექტურა ქმნის შიდა სივრცეს, რომელშიც სრული სიცხადითაა გადმოცემული თავისუფლების, სიმაღლისა და სიდიადის შეგრძნება.

აუცილებელია აღინიშნოს კახეთის ხუროთმოძღვრების კიდევ ერთი ნიშანი, რომელიც მთელი ქართული ხუროთმოძღვრებისთვის საერთოა, ესაა არქიტექტურული ნაწარმოების ნართვა გარემოში. კახეთის ხუროთმოძღვართა მიერ იქმნებოდა არა მხოლოდ განცალკევებული ნაგებობა, არამედ ერთი მთლიანი არქიტექტურული ანსამბლი, რომელიც წარმოადგენდა გარემოს განუყოფელ, ორგანულ ნაწილს. ამის თვალნათელი მაგალითია თუნდაც გრემის მთავარანგელოზთა კომპლექსის დაუვიწყარი სილუეტი კაკასიონის ქედის დიდებულ ფონზე.

თამაზ დვალი, კახაბერ კახაძე, კახეთი ფიცხელაური



ალაზნის ველი

I გურჯაანის მუნიციპალიტეტი



● დასახლებული პუნქტი, სადაც არის ისტორიის და კულტურის ძეგლი

■ ცალკე მდგომი ძეგლი



ყველაწმინდის მონასტერი (I. 256), გუმბათიანი ეკლესია, ხედი ჩრდ-დას-იდან



I. გურჯაანის მუნიციპალიტეტი, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთში. ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით ესაზღვრება ყვარლისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტები, ჩრდილო-დასავლეთით – თელავის, სამხრეთ-დასავლეთით – საგარეჯოს, სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით – სიღნაღის მუნიციპალიტეტები. ფართ. 846,0 კვ კმ. მოსახლეობა 72,6 ათასი კაცი (2002 წ.). ცენტრი ქ გურჯაანი. გურჯაანის მუნიციპალიტეტში შედის 1 ქალაქი (გურჯაანი), 30 სოფელი: არაშენდა, ახაშენი, ბაკურციხე, გურჯაანი, დარჩეთი, ვაზისუბანი, ვანნახიანი, ველისციხე, ვეჯინი, ზეგაანი, ზემო კაჭრეთი, ზიარი, კალაური, კარდანახი, კაჭრეთი, კახთარი, კოლაგი, მწყაანი, მუკუზანი, ნანიანი, ფხოველი, ქოდალო, ყიბაანი, შაშიანი, ნალაუბანი, რუმლაჯი, ძირკოკი, ჭანდარი, ჭერემი, ჯიმითი და 22 თემი.

ადრინდელ და განვითარებულ შუა საუკუნეებში ახლანდელი გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დიდი ნაწილი ჰერეთის ფარგლებში იყო მოქცეული და ვეჯინის საერისთავოში შედიოდა. მას შემდეგ, რაც კახეთის მეფემ გიორგი I-მა (1466-76 წწ.) გააუქმა საერისთავოები, აქ რამდენიმე სამოურავო შეიქმნა (ახაშენის, ველისციხის, ვეჯინის, კალაურის, შაშიანის, რუმლაჯის, ჯიმითის, და სხვ.), რომლებიც უკლესიურად ჭარბელ ეპისკოპოსს ექვემდებარებოდა. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და რუსეთთან შეერთების (1801 წ.) შემდეგ, გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დიდი ნაწილი თელავის მაზრაში შევიდა, 1921 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით – აღმოსავლეთ საქართველოს თელავის მაზრაში, 1930 წლიდან კახეთის ოლქშია დამოუკიდებელ რაიონად. 1959 წელს გურჯაანის რაიონს შეუერთდა კაჭრეთის რაიონის ნაწილი.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი უკავია აღაზნის ველს, ცენტრალური ნაწილი გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთებს, სამხრეთი დაბალმთიანეთს. უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში შემოდის გარე კახეთის ზეგანის ნაწილი, რომლის ზედაპირი მუნიციპალიტეტის ფარგლებში [illegible] ხევებითა და ხრამებით დანაწევრებული ტალღოვანი ვაკეა.

გურჯაანის მუნიციპალიტეტი მთლიანად მოქცეულია ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავის ოლქში. დამახასიათებელია მშრალი ზაფხული, ტენიანი გაზაფხული და შემოდგომა. ნალექების მაქსიმუმი გაზაფხულზეა. ხშირად იცის სეტყვა.

მდინარეთა ქსელს ქმნის მდ. ალაზანი და მისი ჰერიოდული ხასიათის შენაკადები – ვანნახიანისხევი, მღვრიეხევი, ფაფრისხევი, შაშიანისხევი, ნალაუბნისხევი, ჭერმისხევი და სხვ. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთაზე არის დიდწრუბელის ტბა. მუნიციპალიტეტს სიგრძეზე კვეთს ალაზნის არხი. ალაზნის ვაკეზე მდელოს ალუვიური კარბონატული ნიადაგია, გომბორის ქედის კალთებზე ქვემოთ გაბატონებულია ტყის ყავისფერი, ზემოთ – ტყის ყომრალი ნიადაგები. უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში გავრცელებულია მცირე სისქის შავმიწანიადაგი, ნარგავ-ნათესებისგან თავისუფალ ხეობებზე კი ტყესტეპის მცენარეულობა. გომბორის ქედის მთისწინეთი შემოსილია ბუჩქნარით, ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთებზე ფოთლოვანი ტყეებია, ზეგანზე სტეპის ბალახმცენარეულობა და მეჩხერი ჯაგბუჩქნარებია.

ტყეში ბინადრობს შველი, მურა დათვი, მგელი, მელა, ტურა კურდღელი და სხვ. მრავლადაა თაგვი, რუხი ვირთაგვა, მეზინდვრია, ტყის ძილგუდა; ფრინველთაგან – კაკაბი, მწყერი და სხვ. ალაზანში არის ლოქო, ხრამული, მურწა და სხვ. ჯიშის თევზი. ხეხბის, კურდღლის, გარეული ღორისა და შველის დაკვეთისა და მოშრაკლებისათვის შექმნილია ნაკრძალის ტიპის სანადირო სამეურნეობები.

მუნიციპალიტეტის მთელი ფართობის 40% ტყებუჩქნარია, 53%

სავარგულებს უჭირავს. უმთავრესი სასოფლო-სამეურნეო კულტურაა ვაზი. ძირითადად გაშენებულია რქაწითელი, საფერავი, კახური მწვანე და სხვ. ვენახის ფართობითა და ყურძნის მოსავლით გურჯაანის მუნიციპალიტეტი ერთ-ერთ პირველ ადგილზეა საქართველოში. დიდი ფართობი უჭირავს მარცვლეულის კულტურებს, მზესუმზირის ნათესებს. ტრადიციულ დარგებად ითვლება მეხილეობა-მებაღეობა, კერძოდ, მოჯაფთ ატამი და საზამთრო.

მეცხოველეობაში წამყვანია მესაქონლეობა. მნიშვნელოვანი დარგებია მეცხვარეობა (უმთავრესად გავრცელებულია თუშური ჯიშის ცხვარი) და მეღორეობა. მისდევენ მეფრინველეობას, მეფუტკრეობას. მუნიციპალიტეტის ენერგეტიკული ბაზაა ალაზანჰესი, რომელიც ნართულია საქართველოს ერთიან ენერგეტიკულ სისტემაში.

მრეწველობის მთავარი დარგია მეღვინეობა. ღვინის ქარხნებია ქ. გურჯაანში, სოფლებში: ვაჩნაძიანში, ველისციხეში, ზეგაანში, მუკუზანში, ნუმლაყსა და ჭანდარში. წისქვილკომბინატია სოფ. კაჭრეთში. სპირტის ქარხანაა ქ. გურჯაანში. მუნიციპალიტეტში არის აგრეთვე ნაყინის, ხილის და კონცენტრანტების ქარხნები. ასევე ადგილობრივი მნიშვნელობის წვრილი საწარმოები. მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს რკინიგზის ტრანსპორტს. ამჟამად აქ გადის თბილისი-თელავის, თბილისი-დედოფლისწყაროს და გურჯაანი-წნორის რკინიგზის ხაზები. რესპუბლიკური მნიშვნელობისაა თბილისი-გურჯაანის, სიღნაღი-თელავისა და ყვარელი-მუკუზნის საავტომობილო გზები.

მუნიციპალიტეტში არის სკოლამდელი დაწესებულებები, საჯარო, სამუსიკო, სამხატვრო და სპორტული სკოლები, სპორტულ-გამაჯანსაღებელი დაწესებულებები, ბიბლიოთეკები, კულტურის სახლები, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ბაზაზე შექმნილი არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული ეროვნული ცენტრი, ივ. ბერიტაშვილის, ნ. ჭანაძის, ი. ნონეშვილის სახლ-მუზეუმები, აგრეთვე ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილის სახელობის ქართული მხედრული ცხენოსნის მუზეუმი და გ. მაისურაძის სახელობის სოფლის ისტორიის მუზეუმი. მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება: დიაგნოსტიკური ცენტრი „კახეთი იონი", რომელსაც ეხმარება საფრანგეთის, კერძოდ იონის დეპარტამენტი, შპს გურჯაანის პოლიკლინიკა-ამბულატორიული გაერთიანება, მუნიციპალური საავადმყოფო, სამშობიარო სახლი, ტუბდისპანსერი და სხვ. არის სახალხო თეატრი და საკლუბო დაწესებულებები.

მუნიციპალიტეტში არის ტალახით სამკურნალო ბალნეოლოგიური კურორტი ახტალა.

გურჯაანის მუნიციპალიტეტში გამოდის რეგიონული გაზეთები – „კახეთის ხმა" და „სპექტრი", მუნიციპალური გაზეთი „გურჯაანი". მაუწყებლობს ტელეკომპანია „გურჯაანი".



სოფ. ვაზისუბანი, ღვთისმშობლის ეკლესია (II. 082), სვეტი სამხრ-დან

გურჯაანი

001. გურჯაანი, ქალაქი (1934 წ-იდან), მუნიციპ-ის ცენტრი, ისტ. ძ. მდებარეობს გომბორის ქედის ჩრდ.-აღმ. მთისწინეთსა და ალაზნის ვაკის მიჯნაზე ბაკურციხე-თელავის საავტომობილო გზაზე, თბილისიდან 122 კმ-ზე. მცხოვრებთა რაოდენობა 10 ათასი (2002 წ.). ჰავა ზომიერად ნოტიო სუბტროპიკულია. მოსახლეობა უმთავრესად დაკავებულია სას.-სამ. საქმიანობით.

ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, გურჯაანი თურქული წარმომავლობის სიტყვაა და სამყოფელს, საცხოვრისს ნიშნავს. ვარაუდობენ ასევე, რომ სახელწოდება გურჯაანი გურემანის სახეცვლილი ფორმაა. გურემანი კი შუა საუკუნეების რუკაზე ახტალასა და ნუმლაყს შორის არის აღნიშნული. 1757 წ. შედგენილ თეიმურაზ II-ის განწესებით გურჯაანი გურჯანად არის მოხსენიებული.

გურჯაანში არის ღვინის, კვების მრეწველობის ქარხნები, აგრეთვე ადგილობრივი მნიშვნელობის, სხვადასხვა პროფილის წვრილი საწარმოები. არის საჯარო, სამუსიკო, სამხატვრო და სპორტული სკოლები, ბიბლიოთეკები, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ბაზაზე შექმნილი არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული ფონდსაცავი, კულტურის ცენტრი „გურჯაანი", კულტურისა და დასვენების პარკები, სასტუმრო კომპლექსი, სამედიცინო დაწესებულებები.

გურჯაანში მოქმედებს წმ. სამების ქართული მართლმადიდებელი საკათედრო ეკლ. აქვე მდებარეობს გურჯაანისა და ველისციხის ეპარქიის მღვდელმთავრის რეზიდენცია.



001. ქალაქის ერთ-ერთი კუთხე

002. ზღუდრის ყმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას ქალაქის დას-ით 1,5 კმ-ზე გაურჯისხევის მარცხ. მაღალ ნაპირზე. გადმოცემით ეკლ. 1920-იან წწ-ში მოსახლეობას დაუნგრევია და ქვა გაუზიდავს. 1990 წ. ნაეკლესიარის გაწმენდის შედეგად გამოჩნდა რიყის ქვით ნაგები, დარბაზული ეკლესიის კედლების (მაქს. სიმ. – 0,9 მ) ნაწილები. შესასვლელი ეკლესიას დას-იდან ჰქონდა. სამხრ-იდან და ჩრდ-იდან კი, მინაშენები. ამავე წელს ეკლესიის შემორჩენილ კედლებს ჩაუტარდა კონსერვაცია, კედლების დანგრეული ნაწილები კი, აღდგენილ იქნა გეგმის კონტურის შესაბამისად – შემორჩენილი ნაწილების სიმაღლეზე, იგივე მასალით. ჩრდ. მინაშენის ადგილზე ააგეს თავდაპირველ ეკლესიაზე გაცილებით პატარა დარბაზული ეკლ. და შიგნიდან მოხატეს (არქიტ. [illegible]ლი, მხატვრები ნ. ბიბილაშვილი და ბ. დარგუაშვილი).

თ. მარკოზაშვილი.

003. იოსებ **ნონეშვილის ძეგლი,** მონუმ. ხელოვნ. ძ. დგას ქალაქის ცენტრში, ე. წ. „პაპას ბაღში". გაიხსნა 2004 წ. (მოქ. ზ. ჯოხაძე).

პოეტის ბრინჯაოს ბიუსტი დგას გრანიტის კვარცხლბეკზე, რ-ზეც ამოკვეთილია წარწერა – იოსებ ნონეშვილი.

თ. მარკოზაშვილი.

004. პაპა და **შვილიშვილი,** მონუმ. ხელოვნ. ძ. დაიდგა 1982 წ. თავისუფლების ქ-ზე, პატარა სკვერში (მოქანდ. გ. ქურდიანი, არქიტ. პ. ქურდიანი). 2010 წ. გადატანილ იქნა ქალაქის ცენტრში ე. წ. „პაპას ბაღში".

ბრინჯაოს ქანდაკება (სიმ. 2,3 მ) დგას ბაზალტის ფილებით მოპირკეთებულ ოთხწახნაგა კვარცხლბეკზე (3,9×1,9 მ, სიმ. – 1,1 მ). პაპა ვაჟკაცური გამომეტყველების მქონე კახელი გლეხია, ახურავს კახური ქუდი, აცვია ქალამნები, წამოწოლილია და მიყრდნობილია უნაგირზე, რ-ის ქვეშ ქარქაშში ჩაგებული მახვილი დევს. პაპა მის მუხლზე ჩამომჯდარ შვილიშვილს მისკენ გამოწვდილ მარჯვენა ხელის კუნთს უსინჯავს. ბიჭუნასაც კახური ქუდი ახურავს და ყურებზე ყურძნის თითო მტევანი აქვს ჩამოკიდებული.

ქანდაკების მიმდებარე ტერიტ. მოპირკეთებულია რიყის ქვით.

თ. მარკოზაშვილი.

005. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს ქალაქის აღმ-ით, დაახლ. 1 კმ-ზე, გორაკისებრივ წოდებულ ადგილზე. განეკუთვნება VII-VIII სს.

ძ. აღმოჩნდა 1989 წ. სკოლის მშენებლობის დროს. სამაროვანზე გურჯაანის მხარეთმც. მუზ-ის ექსპედიციამ შეისწავლა ორი ქვაყუ-

თი. მოპოვებული არქეოლ. მასალა (ბრინჯაოს საკინძები, სამაჯურები და სხვ.) ინახება ქ. გურჯაანის მხარეთმც. მუზ-ის ფონდებში.

თ. მარკოზაშვილი.

006. სამარხი, არქეოლ. ძ. მდებარეობს ქალაქის ცენტრში, რუსთველის ქუჩის დასაწყისში. განეკუთვნება ძვ. წ. II-I სს.

ძ. შემთხვევით აღმოჩნდა 2009 წ. საცხოვრ. სახლის მშენებლობის დროს, მიწის ზედაპირიდან 2 მ-ის სიღრმეზე. ორმოსამარხი დაზიანებული იყო. აღმოჩნდა ჩონჩხის მცირე ფრაგმენტები. დაკრძალვის პოზა ვერ დადგინდა. სამარხში დადასტურდა თიხის ჭურჭელი (სამფეხა ჯამი, კოჭობი, სამაჯრე ხელადა და სხვ.), ლურჯი მინისა და პასტის ინკრუსტრირებული მძივები. კულტ. ფუნა შეიცავდა ქვევრის ფრაგმენტებს, დამწვარ ბათქაშს, ნახშირს და სხვ.

მასალა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ-ეთნ. საცავში.

თ. მარკოზაშვილი.

007. სამარხი, არქეოლ. ძ. მდებარეობს ქალაქის აღმ-ით 600 მ-ზე, გოძიანთეულად წოდებულ ადგილზე. განეკუთვნება ადრინდ. შუა საუკუნეებს.

ძ. აღმოჩნდა 2010 წ. მიწის სამუშაოების დროს. დაზიანებულია.

სამარხი წარმოადგენს ქვის ოთხი ფილისგან შედგენილ ქვაყუთს (1,92×1,1 მ, სიმ. – 0,54 მ), რიც დამხრობილია აღმ-იდან დას-ისკენ. სამარხი კოლექტიურია, მასში სამი მიცვალებულის ჩონხი აღმოჩნდა. ერთ-ერთი მიცვალებული იწვა გულაღმა გაშოტილი, თავით დას-ისკენ. ჩონჩხი ცუდად იყო დაცული. დანარჩენი ორი მიცვალებულის ძვლები ერთ-ერთ განივ კედელთან იყო მიხვეტილი.

სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოსა და რკინის სამაჯურები, რკინის მშვილდსაკინძი და რკინის ბეჭდის ფრაგმენტი.

მოპოვებული არქეოლ. მასალა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ-ეთნ. საცავში.

თ. მარკოზაშვილი.

008. სამების ეკლესია, არქიტ. ძ. დგას ქალაქის სამხრ-ით განაპირას. განეკუთვნება ადრინდ. შუა საუკუნეებს.

ძ. სამეკლესიიანი ბაზილიკაა (9,8×9,5 მ), ნაგებია რიყის მსხვილი და ნატეხი ქვით. თითქმის მთლიანადაა დანგრეული. შემორჩენილი კედლების მაქს. სიმ. 1 მ-ია.

შუა ეკლ. გვერდით ეკლესიებზე თითქმის ორჯერ უფრო განიერია და მათ თითო კარით უკავშირდება. შესასვლელი შუა ეკლესიას დას-იდან აქვს (შემორჩენილია ორივე წირთხლი). აღმ-ით იგი დასრულებულია ნახევარწრიული შვერილი აფსიდით. საკურთხევლის ჩრდ-ით მცირე ზომის, შვერილაფსიდიანი (ჩრდ. გვერდი მონგრეულია) სათავსია, რ-საც შუა ეკლ. ჩრდ. კედლის აღმ. ნაწილში გაჭრილი კარით უკავშირდებოდა.

სამხრ. ეკლ. აღმ-ით ნალისებრი აფსიდითაა დასრულებული. აფსიდის წინ, დაახლ. 1,3 მ მანძილზე, შემორჩენილია შუა ეკლესიის სამხ. კედელზე მიშენებული სწორკუთხა ბოძის ნაწილი (სიმ. – 0,5 მ).

2010-12 წწ-ში, კახეთის სამხარეო ადმინისტრაციის მხარდაჭერით, ეკლესია აღადგინეს (პროექტის ავტორი ნ. მინდორაშვილი) და ჩრდ. მხრიდან მიაშენეს ორფერდა სახურავით გადახურული კარიბჭე.

თ. მარკოზაშვილი.

009. ტაძრის საყდარი, არქიტ. ძ. დგას ქალაქის ჩრდ.-დას-ით 3 კმ-ზე, ტყეში. განეკუთვნება IX-X სს.

ეკლ. დარბაზულია (8,3×8 მ), რ-საც სამხრ-იდან და ჩრდ-იდან (მთელ სიგრძეზე) გვიანდ. მინაშენები ეკვრის. ეკლ. და მინაშენები ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვითა და ნატეხი ქვით. წყობა ირეგულარულია. მოგვიანებით შეკეთებულ ადგილებში (ეკლესიის გარეთა კუთხეების ქვედა ნაწილები აღმ. ფასადზე, შესასვლელების წირთხლები) გამოყენებულია კვადრ. აგური.

ძ. ძლიერაა დაზიანებული; ეკლესიის კამარა დაბზარულია, აღმ. კედელს მთელ სიმაღლეზე ფართო (სიგ. – 5-10 სმ) ბზარი დაუყვება, გარედან ჩრდ.-დას. კუთხე თითქმის მთლიანად მონგრეულია. სამხრ. მინაშენის გადახურვა ჩამონგრეულია; ჩრდ. მინაშენის ჩრდ. კედლის შუა ნაწილში გამჭოლი ბზარია, კამარა დაბზარულია, ზოგან ჩამონგრეული. ეკლესიას და ჩრდ. მინაშენს სახურავის საფარი ჩამოშლილი აქვთ და ზედ მცენარეულობაა ამოსული.

ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს. სამხრ-იდან და ჩრდ-იდან. სამხრ. კარი კედლის შუა ნაწილშია, ჩრდ-ისა – აღმ. კიდეში. ორივე კარის წირთხლები მოგვიანებით



009. ხედი აღმ-იდან

(სავარაუდოა, მინაშენების მიშენების დროს) აგურით ამოუყვანიათ და ღიობი ფიქლის მოზრდილი ქვით თარაზულად გადაუხურავთ. მათგან სამხრ. შესასვლელს თავდაპირველად რიყის ქვით ნაწყობი ტიმპანი ჰქონია და შიგნით და გარედან ნახევარწრიული თაღით ყოფილა გადახურული (გარეთა თაღი მოგვიანებით ამოუშენებიათ), ჩრდ. კარი კი, შიგნით თაღოვანია, ხოლო გარედან – სწორკუთხა.

ეკლესიის შემაღლებული პროპორციების დარბაზი აღმ-ით დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით (შიდა ზომები: 7×3 მ, სიმ. – 5 მ), რ-შიც მაღალი, შიგნიდან და გარედან თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ორივე მხარეს თითო სწორკუთხა ნიშაა. სარკმლის ქვემოთ, კედელზე მიშენებული ოთხკუთხა ტრაპეზის ნაშთია შემორჩენილი. აფსიდი გადახურულია წესიერი ფორმის კონქით, მისი თაღი ნახევარწრიულია. ნახევარწრიულია კამარაც. დას. კედელში, შიგნით და გარედან ნახევარწრიული თაღით გადახურული სარკმელია. ეკლესიის დას. ნაწილში ერთი ცარიელი სამარხია

სამხრ. მინაშენი (სიგ. 1,5 მ) უაფსიდოა, აღმ-ით დასრულებულია სწორი კედლით, რ-შიც ჯვრო და მაღალი, ზემოთკენ ოდნავ შეწიროებული სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. მსგავსი სარკმელია დას. კედელშიც. მინაშენის გადახურვა დაყრდნობილი იყო ეკლესიის სამხრ. კედლზე მიშენებულ თაღედზე (შემორჩენილია კვალი და აღმ. თაღის ქუსლის წყობის ნაწილი).

ჩრდ. მინაშენიც (სიგ. 2 მ) უაფსიდოა. განათებულია აღმ., დას. და ჩრდ. კედლებში გაჭრილი თითო დაბალი, თითქმის კვადრ. ფორმის სარკმლით. ჩრდ. კედლის აღმ. ნაწილში და სამხრ. კედლის აღმ. კიდეში თითო პატარა სწორკუთხა ნიშაა. ერთი მსგავსი ნიშა ჩრდ. კედლის დას. ნაწილშია. შიგნით ეკლ. გადახურულია ნახევარწრიული კამარით, რ-ის ერთი ქუსლი დაყრდნობილია ეკლესიის ჩრდ. კედელზე მიდგმულ ოთხ პილასტრზე (დანგრევის პირასაა მისული) და მათზე გადაყვანილ თაღებზე. მინაშენის დას. ნაწილში ქვაშაქის ქვებით შედგენილი სამარხია (გახსნილია).

ეკლესიის სამხრ-ით 200 მ-ზე, სადიაკვნედ წოდებულ ადგილში, ნახევარწრიული კამარით გადახურული და სამი მხრიდან მთლიანად მიწაში ჩამჯდარი რეზერვუარია (1,8×1,6 მ, სიმ. – 1,7 მ). იგი ნაშენია საშუალო ზომის რიყის და წვრილი ნატეხი ქვით. შიგნიდან გალესილია კირის მტკიცე ხსნარით. ნაგებობის დას. კედელში მოწყობილია ორი პატარა ხვრელი, საიდანაც მიწიდან ნაკონი წყალი რეზერვუარში (სანახევროდ მიწითაა ამოვსებული) გროვდებოდა. რეზერვუარს წყლის გამოსასვლელად სადინარი ღარი აქვს დატანებული.

თ. მარკოზაშვილი.

010. ძარღვული მხედრული ისტორიის მუზეუმი ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილის სახელობისა, არქიტ. ძ. დგას შალიკაშვილების ქუჩაზე. გაიხსნა 2006 წ. 6 იანვარს, რასაც წინ უძღვოდა მცირე მასშტაბის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მუზ. განთავსებულია XIX ს-ში აგებულ, თავად ანდრონიკაშვილების საგვარეულოს კუთვნილ შენობაში, რ-საც ერთი მხრიდან ტყე-პარკი, ხოლო მეორე მხრიდან გზა ესაზღვრება. შენობაში სხვადასხვა წწ-ში განთავსებული იყო მხარეთმც. მუზ. და სამხატვრო სკოლა.

შენობა (23×16,4 მ) ნაგებია რიყის ქვითა და კვადრ. აგურით. გარედან შელესილი და შეთეთრებულია. სახლი დას-იდან აღმ-სკენ დახრილ ადგილზე დგას. იგი ჭუჩის მხარეს ერთსართულიანია, ეზოს მხარეს კი – ორსართულიანი. ამ მხრიდან, მეორე სართულს, ხის გადახურული აივანი (15,6×3,25 მ) გასდევს, რ-იც აგურის ექვს სწორკუთხა, ბურჯს ეყრდნობა. შესასვლელი სამხრ-იდან აქვს. კარი თაღოვანია. კარს წინიდან ქვით ნაშენი ექვსაფეხურიანი კიბე ადგება. შენობის მეორე სართულზე ერთმანეთთან დაკავშირებული 6 ხვადასხვა ფართობის ოთახია, რ-თაგან 4 გამოფენისთვისაა განკუთვნილი. ყველა ოთახის კარ-ფანჯარა თაღოვანია, მაღალი და ფართო. აივნის გადახურვა ხის კოჭებზეა გამართული. აივნის სვეტებს შორის არსებული თაღები და ფიცრული მოაჯირი აჟურუული სახეებითაა შემკული.

შენობის ქვედა სართულზე მოწყობილია მარანი, რ-საც შესასვლელი აღმ-იდან აქვს. მარანი ორი სხვადასხვა ფართობის სათავსისგან შედგება, რ-ებიც ერთმანეთს თაღოვანი კარით უკავშირდებიან. მათგან მოზრდილი სათავსის (ფართ. 51 კვ მ) დას. კედელში ორი ბუხარია: ერთი თაღოვანი და ერთი სწორკუთხა. მათ შორის მაღალი სწორკუთხა თახჩაა. აღმ. კედელში ორი თაღოვანი სარკმელი და ერთი თაღოვანი კარია გაჭრილი. ოთახის შუაში მარნის გადახურვის საყრდენი აგურის სწორკუთხა ბურჯი დგას.

მეორე სათავსის (ფართ. 35 კვ მ) დას. კედელში ერთი თაღოვანი ბუხარი და ერთი სწორკუთხა თახჩაა. იატაკში სამი ქვევრია ჩაფლული. აღმ. კედელში ორი თაღოვანი სარკმელია.

შენობა გადახურულია ხის კოჭებზე გამართული თუნუქის სახურავით.

მუზეუმში დაცულია საქართველოს სამხ. ისტორიის ამსახველი მასალა – სულ 2700 ექსპონატი. წარმოდგენილია ქართველი ხალხის მიერ XVII-XVIII სს-ში წარმოებული გმირული ბრძოლების, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის და დამოუკიდებლობის გამოცხადების (1918 წ.), II მსოფლიო ომში და პოლონეთისა და საფრანგეთის არმიებში ქართველების მონაწილეობის, აფხაზეთის 1992-93 წწ. ომის ამსახველი ფოტოები, დოკუმენტები.

ერთი საგამოფენო დარბაზი დათმობილი აქვს შალიკაშვილების გვარის ისტორიის ამსახველ მასალას – XV ს-იდან დღემდე. გამოფენილია ძმები შალიკაშვილების აშშ-იდან გამოგზავნილი პირადი ნივთები, მათი სამხედრო

მუნდირები, ჯილდოები, ფოტოსურათები და ა.შ.

თ. მარკოზაშვილი.

011. შინმოუსვლელთა მემორიალი, ისტ., მონუმ. ხელოვნ. ძ. მდებარეობს ქალაქის დას. განაპირას, ფერდობზე. მემორიალი გაიხსნა 1978 წ. 9 მაისს (არქიტ.-ები ი. მოსულიშვილი და გ. ჯაფარიძე, მოქანდ.-ეები მ. ბერძენიშვილი და გ. კიკაბიძე, მხატვარი გ. ჩირინაშვილი). ეძღვნება 1941-45 წწ. ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპულთა ხსოვნას.

კომპოზიცია რელიეფის შესაბამისად იარუსებადაა განლაგებული. I იარუსზე შერჩეული რიყის ქვის სწორი რიგებით ნაგები 5 ბურჯია, რ-ებიც სიმბოლურად ომის ხანგრძლივობის 5 წელს აღნიშნავენ. ბურჯებს შორის II იარუსზე ასასვლელი განიერი კიბეებია (სიგ. 4 *მ*).

II იარუსზე განლაგებულია შადრევნები და მოგებულია რკინაბეტონის ფილებით (1×1 *მ*).

III იარუსს წარმოადგენს მწვანე ფერდობი მასში ჩაწერილი განიერი კიბეებით და სავალი ბილიკებით. კიბეები მიემართება IV იარუსზე მდებარე მარადისობის ორი კედლისაკენ. მათ გარდა ამ იარუსზე განლაგებულია: მუზეუმი, თეატრონი ესტრადით და კინო-საპროექციო ჯიხური. მარადისობის ერთ კედელზე, რ-იც ბოლნისის ტუფითაა მოპირკეთებული, ამოკვეთილია მშვიდობიანობისა და ომის ამსახველი სცენები. ამ კედლის მეორე მხარე წარმოადგენს ეკრანს. მის წინ მოწყობილია თეატრონი ესტრადით 3 500 მაყურებელზე. მარადისობის მეორე კედელი წრიულად შემოფარგლავს ტერასას, რ-ის შუაში მოთავსებულია მარადიული ცეცხლი. კედელი ორივე მხარეს მოპირკეთებულია ბაზალტის ფილებით. კედლის შიდა მხარეს გარკვეული ინტერვალით ჩართულია ბოლნისის ტუფის იმდენი ფილა (100×100 *სმ*), რამდენი სოფელიცაა მუნიციპ-ში. ფილებზე ამოკვეთილია სოფლის სახელი, ხოლო მიმდებარე ბაზალტის ფილებზე – შინმოუსვლელთა გვარები და ინიციალები. კედელი უერთდება მუზეუმს, რ-ის წინა მხარე მთლიანად შემინულია. მას ზემოთ გასდევს ბოლნისის ტუფით მოპირკეთებული ფრიზი, რ-ზეც გამოსახულია II მსოფლიო ომის სცენები. ფერდობის უმაღლეს ტერასაზე აღმართულია ბრინჯაოს მონუმენტი – ჯარისკაცის მამა (სიმ. 15 *მ*), რ-საც ხელში ტანკისტის ქუდი და ჯარისკაცის ფარავჯა უჭირავს (მოქანდ. მ. ბერძენიშვილი). ქანდაკება დგას შერჩეული რიყის ქვის სწორი რიგებით აგებულ ოთხკუთხა პორტამენტზე.

ი. მოსულიშვილი.

012. წყალსადენი, არქეოლ. ძ. მდებარეობს ქალაქის ცენტრში, აღმაშენებლის ჭ-ზე. განკუთვნება განვით. შუა საუკუნეებს.

ძ. აღმოჩნდა 2010 წ., სასმელი წ:ლის ტრასის არეაბილიტაციო სამუშაოების დროს. ტრასა (სიგრ. – 50 *მ*) ფრაგმენტულადაა შემორჩენილი. წითლად გამომწვარი მილების (საშ. სიგრ. 0,50 *მ*, შსზვილი თავის დიამ. – 12 *სმ*, წვეთისებრ – 9 *სმ*, კეცის სისქე – 0,8 *სმ*) გადაბმის ადგილი კირის დუღაბითაა გადალესილი.

აღმოჩენილი მასალა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

თ. მარკოზაშვილი.

არაშენდა

(საკრებულოს ცენტრი)

013. ამაღლების ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას-ით 2 *კმ*-ზე, სასაფლაოზე. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (12×6 *მ*), ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით. გარეთა კუთხეების და კედლების ზედა ნაწილებში, კარ-სარკმელთა ღიობების და კამარის წყობაში გამოყენებულია კვადრ. აგური. ეკლ. შიგნით და გარედან შელესილი და შეთეთრებულია. XX ს-ის 90-იანი წლების დასაწყისში ადგილ. მოსახლეობამ ეკლ. შეაკეთა. აღადგინეს კედლების და ლავგარდნის დანგრეული ნაწილები, შენობა გადახურეს კრამიტით, დას. ფრონტონის წვერზე კი, დააშენეს აგურის ცილინდრული სამრეკლო, რ-ის თუნუქის კონუსისებრ სახურავზე რკინის ჯვარია აღმართული.

ერთადერთი შესასვლელი დას-იდანაა. კარი ხის ძელით თარაზულადაა გადახურული. აღმით ნახევარწრიულ აფსიდში გაჭრილია თაღოვანი, შიგნიდან გარეთკენ თანდათანობით დავიწროებული სარკმელი, რ-ის ჩრდ-ით ორი ნიშაა, ერთი სწორკუთხაა, მეორე ნახევარწრიული თაღითაა გადახურული. კიდევ ორი ნიშა დარბაზის ჩრდ. კედლის დას. ნაწილშია – ერთიმეორის თავზე. აფსიდი გადახურულია წესიერი ფორმის კონქით, ხოლო დარბაზი – ცილინდრული კამარით. დარბაზის გრძივ კედლებზე ორ-ორი მარტივი პილასტრია, რ-ებსაც კა-



011. საერთო ხედი

მარის საბჯენი თაღები ეყრდნობა. პილასტრების აღმ. წყვილით და მათზე გადაყვანილი საბჯენი თაღით საკურთხეველი დარბაზისგანაა გამიჯნული. დას. კედელში შესასვლელის ზემოთ ერთი თაღოვანი სარკმელია.

დას. ფასადზე ფრონტონის არეში, აგურის წყობის შეღრმავებით ტოლმკლავა ჯვარია გამოსახული. კედლები დასრულებულია აგურის სამსაფეხურიანი ლავგარდნით.

თ. მარკოზაშვილი.

014. თელეთის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-დას. განაპირას, ბორცვზე.

ეკლ. მთლიანად დანგრეულია. 2007 წ. ნაეკლესიარზე აღმოჩნდა ჩუქურთმიანი ქვიშაქვის კვადრ. ფილა (ინახება სოფ. ნანიანის მთავარანგელოზის ეკლესიაში).

ეკლესიის გარშემო ადრე სასაფლაო ყოფილა.

თ. მარკოზაშვილი.

015. სადგომი მელიღელე, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-აღმ-ით 7-8 კმ-ზე, მდ. ივრის მარცხ. ნაპირზე. კაჭრეთის ველზე. საკულტო ძეგლის მელიღელის აღმ-ით 100 მ-ზე, სწორთხემიანი სერის (სიმ. 15-20 მ) დას. ფერდობზე. განეკუთვნება მუსტიეს ხანას.

სადგომი 1967 წ. აღმოაჩინა ქაე-ის (ხელმძღვ. ქ. ფიცხელაური) ქვის ხანის რაზმმა (ხელმძღვ. თ. ბუგიანიშვილი).

ფერდობზე, რ-ზედაც ხეხილის ბაღი იყო გაშენებული და მოხნული იყო 1 მ-ის სიღრმეზე, ნაპოვნია ანდეზიტის ორი ერთფუძიანი განივი ნუკლეუსი, მონაცრისფრო გაკაჟებული ქანის შესწორებულ-ამოზნექილი, ასიმეტრიული დარტყმის მოედნიანი, რეტუშირებული ლამელისებრი ანატკეცი, მონაცრისფრო ქანის ფოთლისებრი ანატკეცი და შავი ფერის ქანის ლევალუაური რეტუშირებული წვეტანა.

აღმოჩენილი მასალა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

თ. ბუგიანიშვილი.

ბიბლ.: 35

016. სადგომ-სახელოსნო „სასიღნალოღელე", არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-აღმ-ით 0,5-1 კმ-ზე, მდ. ლაკბის მარჯვ. ნაპირზე, მისი ერთ-ერთი მშრალი შენაკადის – სასიღნალოღელის სათავესთან. განეკუთვნება გვიანდ. პალეოლითის ხანას.

სადგომ-სახელოსნო „სასიღნალოღელე" 1969 წ. გამოავლინა ქაე-ის (ხელმძღვ. ქ. ფიცხელაური) ქვის ხანის რაზმმა (ხელმძღვ. თ. ბუგიანიშვილი).

სასიღნალოღელესთან დაახლოებით 1 ჰა ფართობზე, მზესუმზირის ნათესებში შეგროვდა კაჟის 91 ნივთი: კაჟის კაჭარი, ნუკლეუსები, ანატკეცები და იარაღი.

ნუკლეუსები გაფორმებულია კაჭრებსა და ანამტვრევებზე. ყველა ნუკლეუსი, რ-იც ლევალუაურია, ერთფუძიანი და განივია, გარდა ერთისა. არალევალუაურია, ერთფუძიანი გრძივი და განივი, ორფუძიანი ცალმხრივი და ორმხრივი, დისკოსებრი ორმხრივი და ამორფული ტიპის.

ყველა ანატკეცი არალევალუაურია. ისინი დაბალი, ფართო ან მოგრძო მოყვანილობისაა. მათთვის დამახასიათებელია შერბილებული კლექტონური ტექნიკის ნიშნები. აქვთ ძირითადად გლუვი, ფართო დარტყმის მოედანი და რელიეფური ბურცული ნიჟარისებრი წარმონაქმნით, რ-საც ქვედა სიბრტყის ნახევარი უკავია.

იარაღებში წამყვანი ადგილი სახოკ-საფხეკებს უკავიათ. მათში გამოიყოფა ცალპირა ამოზნექილ და ჩაზნექილსამუშაოპირიანი, ორი ორპირა, გრძივი, სწორ და ამოზნექილ და ჩაზნექილსამუშაოპირიანი და კონვერგენტული სახოკები. ცალპირა და კონვერგენტული სახოკები დამზადებულია არალევალუაურ, ხოლო ორპირები ლევალუაურ ანატკეცებზე. საფხეკები ორი სწორ და ერთი ამოზნექილ სამუშაოპირიანი გრძივი და განივი ტიპისაა. სხვა იარაღიდან წარმოდგენილია ორი ორწვერა სახვრეტი, ნისკარტისებრი შვერილიანი მჭრელი იარაღი და ნისკარტისებრი წვეტანა.

ქვის ინდუსტრია არალევალუაურია. გამონატკეცის ანუ პირველადი დამუშავების წესში წამყვანია აშელ-კლექტონური ტექნიკა, ხოლო მეორად დამუშავებაში ე. ი. იარაღის დამზადებაში – ზურგისმიერი ფართო ფაცეტოვანი ციცაბო რეტუში.

აღმოჩენილი მასალა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

თ. ბუგიანიშვილი.

ბიბლ.: 37

017. სასახლე, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-დას-ით, 200 მ-ზე. აგებულია 1770 წ. ეკუთვნოდა ანდრონიკაშვილებს. სასახლის ეზოში დაკრძალულია რუსეთის არმიის კავალერიის გენერალი ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილი.



017. საერთო ხედი

1924 წ-იდან 1981 წ-მდე სასახლეში სკოლა იყო განთავსებული. ამ პერიოდში ნაგებობის ინტერიერში მნიშვნელოვანი გადაკეთებები განხორციელდა, ხოლო გარედან ცემენტის ხსნარით შელესეს. 1981 წ-იდან შენობა მიტოვებულია, რის შემდგომაც იგი ძლიერ დაზიანდა – მოხდილი აქვს სახურავის დიდი ნაწილი, ჩანგრეულია სართულშუა გადახურვები, მოხსნილი და გაზიდულია კარ-სარკმლების ალათები, ოთახების უმრავლესობა ამოვსებულია სართულშუა გადახურვისა და სახურავის ხის კონსტრუქციების ნაშთებით.

სასახლე გეგმით სწორკუთხაა (დაახლ. 30×14 მ, კედლების სისქე

– 1,1 მ-ია), ორსართულიანი; აქვს სარდაფი (ფართ. დაახლ. 16 კვ მ, სიმ. – 2 მ). ნაგებია აგურით. ალაგ-ალაგ გამოყენებულია რიყის ქვაც. შენობას 4 შესასვლელი აქვს. ოთხივე პირველ სართულზეა – გრძივ კედლებში. სახახლის ორივე სართულზე სხვადასხვა ფართობის 12-12 ოთახია. ოთახები თითოეულ სართულზე ორრიგად არის განლაგებული (მთავარი ფასადის მხარეს მდებარე ოთახები შედარებით უკეთაა შემორჩენილი). განაპირა ოთახებში II სართულთან დამაკავშირებელი ხის კიბეებია. შიგნით ოთახები გაჯითაა შელესილი. კედლებში მოწყობილია თახჩები. შემორჩენილია რამდენიმე ბუხარი. პირველი სართულის კარ-სარკმლები სწორკუთხაა. II სართულსა – მშვილდისებრთაღოვანი. სახახლის II სართულს, ოთხივე ფასადის მხარეს, აგურის კვადრ. სვეტებზე დაყრდნობილი, კრამიტით გადახურული ხის აივანი აქვს, რ-ებიც შესაბამის ფასადს მთელ სიგრძეზე არ გასდევს.

თ. მარკოზაშვილი.

ახაშენი

(საკრებულოს ცენტრი)

018. ახაშენი, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს ალაზნის ვაკეზე, მდ. ჭერმისხევსა და ფაფრისხევს შორის, გურჯაანიდან 8 კმ-ზე.

არქეოლ. მასალა მოწმობს, რომ ახაშენის ტერიტორიაზე უძველესი დროიდანვე ბინადრობდა ადამიანი.

საქართველოს ერთიანობის ხანაში და შემდეგაც ახაშენი სვეტიცხოველის კუთვნილი სოფელი იყო. კათალიკოს ანტონ II-ის 1753 წლით დათარიღებული წყალობის წიგნიდან ჩანს, რომ ახაშენის შემოსავალს პირადად ამილბარ მაღალაძე იღებდა და შემდეგ გადასცემდა ეკლესიას. XVI ს-იდან თავდაპირველად კახეთის, ხოლო შემდეგ ქართლ-კახეთის მეფეებიც იღებენ გარკვეულ წილს ახაშენის ყმა-მამულზე. 1785 წ. ერთი სიგელის მიხედვით დოსითეოს ნეკრესელს, გარკვეული პრეტენზიები გასჩენია ახაშენის ყმა-მამულის ნაწილზე, როგორც მის სადროშოში შემავალ სოფელზე სვეტიცხოველის წინამძღვარს შეუხსენებია, რომ ახაშენი სხვა სოფლებთან ერთად: „საკუთარი ყმანი და სამწყსონი არიან კათალიკოსისა და ნაწილობრივ მეფისაო".

ახაშენში უძველეს დროიდანვე იყო განვითარებული მეცენატობა, მემინდვრეობა და მეცხოველეობა.

ა. კახაძე

ბიბლ.: 8; 172გ; 203ბ.

019. კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ. განაპირას გაშლილ ადგილზე. განეკუთვნება XVIII ს.

კოშკი გეგმით მრგვალია (დიამ. შიგნით – 5,3 მ, გარედან – 8 მ), ნაგებია რიყის ქვითა და კირის ხსნარით. ძლიერ დაზიანებულია. შემორჩენილია I სართული და II სართულის კედლის ჩრდ. მხარე.

შესასვლელი I სართულზეა, სამხრ-იდან. კარი თაღოვანია. კარის პირდაპირ თაღოვანი ბუხარია, კედლის დანარჩენ ნაწილში კი – ხუთი ღრმა თაღოვანი ნიშა. მათგან ოთხში თითო ვიწრო ხვრელი და ორ-ორი სათოფურია მოწყობილი, ხოლო ერთში, ორი სათოფური. ნიშების თაღები და ბუხარი კვადრ. აგურითაა გამოყვანილი. სართული გადახურულია გუმბათოვანი კამარით (მნიშვნ. ნაწილი



019. პირველი სართულის გეგმა

ჩამონგრეულია). კამარის წყობაში, ჩრდ.-დას. ნაწილში, თაღოვანი სარკმელია, რ-ის ღიობი შიგნიდან გარეთ მკვეთრად მაღლდება.

I სართულის კედლის დას. ნაწილში, კედლის სისქეში, მოწყობილია II სართულზე ასასვლელი კიბე, რ-ის შესასვლელი კოშკში შესასვლელის დას. წირთხლშია. II სართულის შემორჩენილ კედელში, I სართულზე მდებარე ბუხრის ასწვრივ, თაღოვანი ბუხარია. ბუხრის ორივე მხარეს შემორჩენილია ნიშების (როგორც ჩანს სათოფურებიანი) კვალი, ხოლო ზემოთ ბრტყლად გადახურული სარკმელი და გუმბათოვანი კამარის ჭუსლის წყობის მცირე ნაწილი.

თ. დვალი.

020. კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას-ით 1 კმ-ზე, ციხისუბნად წოდებულ ადგილში. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.



020. ხედი ჩრდ.-აღმ-იდან

კოშკი (5,75×5,1 მ) გეგმით სწორკუთხა ყოფილა, ნაგები სხვადასხვა ზომის რიყის ქვით. შემორჩენილია მხოლოდ დას. კედელი (სიგრ. – 5,1 მ, სიმ. – 4 მ) და სამხრ. კედლის მცირე ნაწილი (სიგრ. – 1 მ სიმ. – 2 მ). ინტერიერი ქვებითაა ამოყვანილი.

შესასვლელი I სართულზეა, დას-იდან. კარი თაღოვანი ყოფილა. კარის თავზე სამი ცალმაგი კვადრ. სათოფურია მოწყობილი, ერთი ცალმაგი სათოფური სამხრ. კედელშია.

თ. მარკოზაშვილი.

021. სამების ეკლესია არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით 0,8 კმ-ზე განაპირას, სწორ ადგილზე. განეკუთვნება XIX ს.

ეკლ. გეგმით სწორკუთხაა (16,8×9 მ). ნაგებია რიყის ქვითა და კვადრ. აგურით. კედლები ძი-



0.21. გეგმა

რითადად რიყის ქვისაა, რ-ებშიც, თანაბარი ინტერვალებით, ორ-ორიგად ნაწყობი აგურის ჰორიზ. შრეებია ჩართული. გარეთა კუთხეები, კარ-სარკმელთა ღიობები, კონსტრ. და დეკორატ. ელემენტები აგურითაა გამოყვანილი. კედლების ზედაპირი შიგნიდან და გარედან გასწორებულია ბათქაშით და კირითაა შეთეთრებული.

შესასვლელი ორია: სამხრ-იდან და დას-იდან. ორივე კარი გარედან ნახევარწრიული, ხოლო შიგნიდან შეისრული თაღითაა გადახურული.

ეკლ. უაფსიდოა და აღმ-ით სწორი კედლითაა დასრულებული, რ-შიც ერთი თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. ფართო და მაღალი დარბაზის გრძივი კედლები სამი განიერი პილასტრით, რებზეც კამარის საბჯენი თაღებია გადაყვანილი, დაყოფილია ოთხ-ოთხ თანაბარ ნაწილად. თითო, მაგრამ გაცილებით ვიწრო პილასტრია დარბაზის კუთხეებშიც, რ-



0.21. გრძივი ჭრილი, ხედი სამხრ-კენ

ებსაც განივი კედლების მიმდებარე საბჯენი თაღები ეყრდნობა. პილასტრების აღმ. წყვილს შორის ჩაშენებულია კანკელი (აგებულია 2004 წ., საერთაშ. საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით განხორციელებული სარემონტო სამუშაოების დროს), რ-შიც მოწყობილია სამი თაღოვანი შესასვლელი და რვა ნიშა. საკურთხევლის ჩრდ. კედელში მცირე ზომის სწორკუთხა ნიშაა. დას. კედელზე და პილასტრების დას. წყვილზე შემორჩენილია პატრონიკეს საყრდენი კოჭების ბუდეები. პილასტრებს შორის თითო ყრუ თაღია – ნახევარწრიული თაგით. ყველა პილასტრი დასრულებულია მაღალი, პროფილირებული კაპიტელით.

დარბაზი კარგადაა განათებული გრძივ კედლებში გაჭრილი 4 ფართო და მაღალი, თითქმის პარალელურწირთხლებიანი თაღოვანი სარკმლით და დას. კედელში გაჭრილი ერთი მრგვალი სარკმლით. შიგნით ეკლ. გადახურულია აგურით ნაწყობი შეისრული კამარით. შეისრულია კამარის საბჯენი თაღებიც.

ეკლესიის ფასადებზე მტკიცედაა დაცული წყობის ე. წ. კახური სისტემა – ერთმანეთისგან თანაბარი მანძილებით დაშორებულ აგურის შრეებს შორის მოქცეული რიყის ქვის ორ-ორი (ალაგ-ალაგ – სამ-სამი) რიგი. კედლების ზედაპირი დანაწევრებულია პილასტრისებრი შვერილებით (სიგ. 22 სმ), რ-ებიც თითო აგურის წყობითაა გამოყვანილი და დასრულებულია აგურისაგან ორ-ორ ფეხურიანი კაპიტელებით. შვერილებიდან, მხოლოდ აღმ. ფასადის შუაში მდებარე ორი შვერილია უკაპიტელო: მათზე იგივე პროფილის ნახევარწრიული თაღია გადაყვანილი, რ-იც თითქმის ფრონტონის წვერს აღწევს. ამ ვიწრო და მაღალ თაღოვან არეში საკურთხევლის სარკმელი და მის ზემოთ მდებარე, წყობიდან გვერდით შვერილი აგურების ერთი რიგით შემოფარგლული, მკლაქვებწაწვეტებული და მუქი წითელი ფერის საღებავით შეღებილი ტოლმკლავა ჯვარია მოქცეული. სარკმელს ირგვლივ ეკლება ლე-



021. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

კალური აგურით ნაწყობი ვიწრო ლილვი, რ-იც დაყრდნობილია ორსაფეხურიან ჰორიზონტ. თარო-ზე. თითო ანალოგიური ჩარჩოა განთავსებული ცენტრ. თაღოვანი არის ორივე მხარეს – საკურთხევლის სარკმლის დონეზე, რ-ებიც ე. წ. ცრუ სარკმლის შთაბეჭდილებას ქმნიან.

დას. ფასადი აღმ. ფასადისაგან განსხვავებით ნაკლებადაა დანაწევრებული. მხოლოდ კიდეებთანაა გამოყოფილი ორ-ორი ვერტ. შვერილი. ფასადზე, ერთ დონეზე, სამი ცრუ სარკმელია გამოყვანილი. ამავე ფასადზე,

ფრონტონის არეში, გაჭრილია ერთი მრგვალი სარკმელი, რ-ის წრიულ ჩარჩოზე დადგმულია აღმ. ფასადზე გამოსახული ჯვრის მსგავსი ჯვარი.

გრძივი ფასადები ერთნაირადაა დამუშავებული: თითოეული მათგანი შვერილებით შექმნილი ვიწრო და მაღალი ოთხკუთხედით დაყოფილია ოთხ-ოთხ არედ, რებშიც მონაცვლეობით სარკმლები და ცრუ სარკმლებია განლაგებული.

ეკლესიის აღმ. ნახევარი დგას რიყის ქვით ნაშენ ცოკოლზე. ფასადები დაგვირგვინებულია ლეკალური აგურით ნაწყობი ლავგარდნით, რ-ის პროფილს შეადგენს: თარო წრეთარგი და ლილვი. სახურავი დაბურული იყო ღარისებრი კრამიტით (ამჟამად ეკლ. გადახურულია თუნუქით). სახურავის დას. კიდეში, კეხზე, შემორჩენილი იყო გეგმით კვადრ. სამრეკლოს ძირი, რ-იც შეკეთების დროს მოშალეს.

ეკლესიის ჩრდ-ით, 50 მ-ზე, კვადრ. აგურით ნაგები და ცილინდრული კამარით გადახურული სამეურნეო დანიშნულების ერთსათავსიანი ნაგებობაა (4,6×2,9 მ, შიგნით სიმ. – 3,5 მ), რ-იც მთლიანად მიწაშია ჩამჯდარი. შესასვლელი მას აღმ-იდან აქვს. კარი გარედან თაღოვანია, ხოლო შიგნიდან – სწორკუთხა. შესასვლელთან ჩადის კიბის კამაროვანი გვირაბი (სიგრ. 7 მ, სიგ. – 1,1 მ). დას. კედელში განიერი და მაღალი, სწორკუთხა ნიშაა, რ-ის ზედა ნაწილში მოწყობილი ყოფილა ორი თარო (შემორჩენილია ხის ძელების საყრდენი ბუდეები). ნიშის ქვემოთ, ერთიმეორის თავზე, ორი პატარა ოვალური ნიშაა. სამხრ. და ჩრდ. კედლებში, ერთმანეთისგან დაახლ. თითო მ-ის დაშორებით, ოთხ-ოთხი პატარა კვადრ. ხვრელია ერთ ხაზზე განლაგებული. კედლები შელესილია კირის ხსნარით.

კამარას შუა ნაწილში დიდი, მრგვალი ხვრელი აქვს დატანებული. იატაკი მოწატკეპნილია.

ნაგებობას როგორც ჩანს პროდუქტების შესანახად იყენებდნენ.

თ. დვალი.

022. სვეტიცხოვლის ეკლესია,

არქიტ. d. დგას სოფლის დას-ით 2 კმ-ზე, ძველ სასაფლაოზე. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს. 1893 წ. ეკლ. შეუკეთებიათ, რასაც მოწმობს დას. ფასადზე არსებული მხედრ. წარწერა.

ეკლ. დარბაზულია (8,6×5,3 მ). ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვის ირეგულარული წყობით. მო-



022. გეგმა

გვიანებით განახლებულ ნაწილებში (კედლების ზედა ნაწილები, ლავგარდანი) გამოყენებულია წვრილი რიყის ქვა და კვადრ. აგური. კედლები ინტერიერში შელესილი ყოფილა. ეკლ. დახიანებულია: აჭრილია სახურავის კრამიტის საფარი და ზედ ხეებია ამოსული. ჩამოშლილია ლავგარდნის უმეტესი ნაწილი.

ეკლესიაში სამი შესასვლელია: დას-იდან, სამხრ-იდან და ჩრდ-იდან. სამივე კარი გარედან თაღოვანია, ხოლო შიგნიდან თარაზულადაა გადახურული.

ეკლ. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდითაა დასრულებული, რ-შიც გაჭრილია გარეთკენ დავიწროებული თაღოვანი სარკმელი. სარკმლის ჩრდ-ით ორი ნიშაა, ერთი გეგმით ნახევარწრიული და თაღოვანი, მეორე ოთხკუთხა, სამხრ-ით – ერთი ოთხკუთხა. აფსიდის შუაში დაზიანებული ტრაპეზი დგას. აფსიდის კონქი წესიერი ფორმისაა, მისი ნახევარწრიული თაღი იმპოსტებს ეყრდნობა. კონქში და კამარის ჩრდ. გეერდზე შემორჩენილია ნალესობაში ჩაკეთებული ჩუქურთმის მოტივები: „ბორჯღალა“ (შხე), „ხუთა“ (ვარსკვლავი) და სხვ. საკურთხეველი დარბაზისაგან გამოყოფილია რიყის ქვითა და აგურით ნაგები და გვიან შელესილი კანკელით, კანკელში, საკურთხეველში შესასვლელი ორი კარია. ორივე საფეხურით შედრმავებულ სწორკუთხა არეშია ჩასმული. კანკელის შუაში აღსავლის კარია. იგი მრავალფრთიანი თაღითაა გადახურული, რ-ის საერთო მოხაზულობა მუზარადისებრია. თაღის გვერდებზე დარჩენილი არე შემკულია ამოღარული ოთხყურა, კუნუბებიანი ყვავილებით, ხოლო ჩარჩო (დიდი ნაწილი მონგრეულია) მცენარეული ორნამენტით. თაღის ფორმა და მორთულობის სახეები ისლამურ იერს ატარებს. მეორე კარი კანკელის ჩრდ. ნაწილშია. იგი ნახევარწრიული თაღითაა გადახურული, რ-ს ზემოთ (შედრმავებული არის მთელ სიგანეზე) გაკეთებულია მცენარეული ჩუქურთმით გაფორმებული ვიწრო არშია. ჩუქურთმის შესრულების ტექნიკური დონე დაბალია.

საკურთხევლის იატაკი ერთი საფეხურით მაღალია დარბაზის იატაკზე და შუაში ნახევარწრიული ამბიონი აქვს. მის წინ დევს წრიული ქვა – ჯვრის ჩასამაგრებელი ღრმულით. სამხრ. და ჩრდ. კედლებში თითო თაღოვანი სარკმელია. მათგან ჩრდ. სარკმელი კამარის არეშია მოქცეული.



022. ჭრილი, ხედი სამხრ.-კენ

აღმ. ფასადის სარკმლის თავზე, ფრონტონის არეში, აგურის წყობის შედრმავებით პოსტამენტზე შემდგარი დაბალი ჯვარია გამოყვანილი. დას. ფასადის მარცხ. ქვედა კუთხეში (მიწიდან 1 მ სი-

მაღლეზე) ჩასმულ ქვაზე მხედრ. წარწერაა: „სანდრო თუშიევი 1893 წ.“ და გამოსახულია სამფეო გვირგვინი.

დას. ფრონტონის წვერზე დადგმული ყოფილა გეგმით კვადრ. სამრეკლო (შემორჩენილია საფუძვლის ნაწილი).

განივ ფასადებზე შემორჩენილია აგურის სამსაფეხურიანი ლავგარდნის ნაწილები.

ეკლ. გადახურული იყო ღარისებრი კრამიტით, რ-ის ნაშთები სახურაყის აღმ. ნაწილზეა შემორჩენილი.

თ. დვალი.

023. ᲫᲕᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲫᲓᲐᲠᲝ, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ. განაპირას, მიზანაშვილების ეზოში. განეკუთვნება VI-VII სს.

საყდარი სამეკლესიიანი ბაზილიკაა (11,4×9,5 მ), ნაგებია მოზრდილი ზომის რიყის ქვის სწორი რიგებით. გარეთა კუთხეებში შერჩეული, სრულიად დაუმუშავებელი ლოდებია გამოყენებული.



023. გეგმა

ძლიერ დაზიანებულია. მთლიანადაა დანგრეული გვერდითი ეკლესიები და მათი დამაკავშირებელი დას. გარშემოსავლელი, ჩამონგრეულია მთავარი ეკლესიის კამარა და კედლების ზედა ნაწილები.

მთავარ ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს: სამხრ-იდან და დას-იდან. სამხრ. კარი გარედან ქვიშაქვის თხელი ქვით გადახურულია თარაზულად, შიგნით – ნალისებრი თაღით. დას: კარი ორივე მხრიდან სწორკუთხაა. ერთი ბრტყლად გადახურული კარი მთავარი ეკლესიის ჩრდ. კედლის აღმ. კიდეშია, რ-იც ჩრდ. ნავის აღმ. კიდეში მოწყობილ სამკვეთლოში გადის.



023. გრძივი ჭრილი, ხედი სამხრ.-კენ

მთავარი ეკლ. აღმ-ით დასრულებულია ნალისებრი აფსიდით, აფსიდის ღერძზე გაჭრილია ვიწრო და მაღალი, თითქმის პარალელურწირთხლებიანი სარკმელი. იგი შიგნით თარაზულადაა გადახურული, ხოლო გარედან – შირიმის ქვაში გამოკვეთილი ნალისებრი თაღით, რ-ის ზემოთ გამოყვანილია ჰორიზონტალურ-



023. ინტერიერი, მთავარი ეკლესია, ხედი სამხრ.-აღმ.-კენ

გადანაკეცებიანი რელიეფური თავსართი. აფსიდის გვერდებში თითო მცირე ზომის სწორკუთხა ნიშაა, სარკმლის ქვემოთ შემორჩენილია კედელზე მიშენებული ტრაპეზის ნაშთი. აფსიდი გადახურულია კონქით, კონქის თაღი ნალისებრი ფორმისაა. ნალისებრი მოხაზულობა ჰქონია კამარასაც, რ-ის ჭუსლის წყობა ჩრდ კედელს შემორჩა.

სამკვეთლო ნალისებრაფსიდიანი პატარა სათავსია. ამჟამად მისი უმეტესი ნაწილი დანგრეულია და მიწითაა ამოვსებული. შემორჩენილია აფსიდის ჩრდ. გვერდი (სიმ. 1,5 მ) მცირე სწორკუთხა ნიშით და სარკმლის ჩრდ. წირთხლის ნაწილი. გვერდის ეკლესიები და დას. გარშემოსავლელი გადახურული ყოფილა კამარით, რ-ის დასაყრდნობად მთავარი ეკლესიის კედლებზე, მთელ სიგრ-



023. აღმ. ფასადი

ძეზე, მოწყობილია მცირე ზომის თარო.

თ. დვალი.

ბიბლ.: 335.

024. ᲬᲛ. ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას-ით 3 კმ-ზე ტყეში. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (4,9×3,6 მ), ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვითა და აგურით. კედლები ძირითადად რიყის ქვისაა. გარეთა კუთხეები და კარ-სარკმელთა ღიობები აგურითაა ნაწყობი. XX ს-ის 80-იან წწ-ში ადგილ. მოსახლეობას ეკლ. აღუდგენია (არაწესიერად), რის შედეგადაც მას თავდაპირველი სახე მნიშვნელოვნად აქვს შეცვლილი.

შენობას დას-ით აქვს ერთი შესასვლელი. კარი თაღოვანია, თაღის ნაწილი ჩამონგრეულია. ამჟამად ეკლესიას რკინის კარი აქვს შებმული. შიგნით მის წინ

სამსაფეხურიანი კიბეა. აღმ-ით, მომრგვალებულ აფსიდში მაღალი და განიერი სწორკუთხა სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს თითო



024. გეგმა

ოთხკუთხა ნიშაა, ხოლო ქვემოთ, კედელზე, ოთხწახნაგა ტრაპეზია მიდგმული. აფსიდი გადახურულია ტლანქად ხმული კონქით. აფსიდის ბოლოებში კედლიდან ოდნავ გამოშვერილი თითო პილასტრია. დას. კედელში ვიწრო სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. სამხრ. კედელს, დას. ნაწილში, დაბალი საფეხური გასდევს. იატაკი მოგებულია ქვის სწორკუთხა ფილებით.

ეკლესიის გარშემო ჩაფლულია რამდენიმე ქვევრი.

თ. მარკოზაშვილი.

ბაკურციხე

(საკრებულოს ცენტრი)

025. ბაკურციხე, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს მდ. ალაზნის მარჯვ. მხარეს, მდ. ჩალაუბნისხევის ორივე ნაპირზე; გურჯაანიდან 8 კმ-ზე.

სოფლის ტერიტორიაზე ადამიანი უძველეს დროს დასახლებულა. ამას მოწმობს აქ აღმოჩენილი არქეოლ. ძეგლები. ვახუშტი ბატონიშვილის თანახმად: „ჩალაუბნის ხევზედ არს დაბა ბაკურციხე მაღალსა გორასა და კეთილს ადგილსა და ღვინო აქაური არს კეთილი". სოფელი მნიშვნელოვანი პუნქტი იყო ისტ. ჩალაუბნის გზაზე (ჩალაუბანი-ბაკურციხე-გურჯაანი-ველისციხე). ამასთან იგი მდებარეობდა გზის გასაყარზე, საიდანაც კარდანახის გავლით გზა თავდაპირველად ქიზიყში გადადის და მერე – ლაგოდეხში. აქაური მოსახლეობა ძველთაგანვე მისდევდა მევენახეობას და მემინდვრეობას.

სოფ. ბაკურციხეში ყმა-მამულებს ცალკეული ფეოდალები ფლობდნენ. ყველაზე მნიშვნელოვანი წილი თავად ვაჩნაძეებს, მათ განაყოფებს ბებურიშვილებსა და აგათოშვილებს და აფხაზეთიდან კახეთში გადმოსახლებულ საგვარეულოს (აფხაზი) ეკუთვნოდა. იმამ ყული ხანის 1714 წ. წყალობის სიგელიდან ჩანს, რომ ბაკურციხის წინაუბანს როშაქიშვილები ფლობდნენ. ბაკურციხის ყმა-მამულზე პრეტენზიას ანდრონიკაშვილები და ზურაბიშვილებიც აცხადებდნენ. ანდრონიკაშვილები ქიზიყის მოურავები იყვნენ და მათი, როგორც მოხელეების უფლებები ბაკურციხეზეც ვრცელდებოდა. ისინი ამ საკითხის თაობაზე ხშირად ჩიოდნენ ერეკლე II-სთან. ბაკურციხელებს სოფლის სავარგულებთან დაკავშირებით ხშირი დავა და შეხლა-შემოხლა ჰქონდათ მეზობელ ვეჯინელებთან. „ნუ გვლახავენ და მამულზეც სამართალი მოგვეცითო" – წერდნენ ისინი ერეკლე II-ს.

სამხ.-ადმინ. დაყოფით ბაკურციხე ბოდბელი ეპისკოპოსის სადროშოში შედიოდა, რ-საც ქიზიყის მოურავი ხელმძღვანელობდა. ეპარქიულადაც სოფელი ბოდბის ეპარქიას ეკუთვნოდა.

1749 წ. ლეკთა მრავალრიცხოვანი ლაშქარი კახეთს აპირებდა გამოლაშქრებას. თეიმურაზმა ქართლის და ყაზახ-ბორჩალოს ჯარი შეკრიბა და ერეკლე II-ის კახეთის ლაშქარს შეუერთდა. გაერთიანებული ლაშქარი ბაკურციხეში დაბანაკდა. ქართველთა შეიარაღებითა და მრავალრიცხოვნებით შეშინებულმა ლეკებმა თავს გაქცევით უშველეს. ქართველები დაედევნენ, განდევნეს ისინი კახეთის საზღვრებიდან და ისევ ბაკურციხეში მობრუნდნენ.

რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ ბაკურციხე სიღნაღის მაზრაში შედიოდა. ამ ხანებში სოფელში ხშირი იყო გლეხთა მღელვარება. სახალხო მღელვარების სამიზნე ხშირად თავადი ვაჩნაძეები ხდებოდნენ, როგორც რუსული მმართველობის ხელშემწყობნი. მათი [illegible] ბაკურციხესა და კარდანახში XIX ს-ის განმავლობაში (1813, 1878 წწ.) მღელვარების მონაწილეებმა რამდენჯერმე აიკლეს და გაძარცვეს.

ქ. კახაძე.

ბიბლ.: 12; 611; 157; 172; 199; 203დ, ე.

026. ბაკურის კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას. ნაწილში, ე. წ. ზემო უბანში, ჩალაუბნისხევის პირას. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

კოშკი გეგმით სწორკუთხაა, ზემოთკენ თანდათან დავიწროებული (სიმ. 11 მ, კედლის სისქე –



026. აღმ. ფასადი. I სართულის გეგმა

0,9 მ). ნაგებია საშუალო ზომის რიყის ქვით. დაზიანებულია: შემორჩენილია სამი სართული და IV სართულის მცირე ნაწილი. კედლები სიმაღლეზე დაბზარულია, სართულშუა ხის გადახურვა მთლიანად ჩაქცეულია.

შესასვლელი I სართულზე, აღმ-იდანაა. კარი თაღოვანია. შესასვლელის მოპირდაპირე მხარეს დიდი თაღოვანი ბუხარია, ბუხრის ორივე მხარეს კი – თითო თაღოვანი ნიშა. ორი თაღოვანი ნიშაა სამხრ. კედელში, ორი –



026. ხედი ჩრდ.-აღმ.-იდან

ჩრდ. და ერთი – აღმ. კედელში. ყველა ნიშის თაღი აგურითაა ნაწყობი. I სართულის ოთხივე კედელი ყრუა (სათოფურების გარეშე).

II სართულზე აღმ. და დას. კედლებში რვა-რვა კვადრ. სათოფურია, სამხრ-ისაში – სამი, ხოლო ჩრდ. კედელში – ორი.

III სართულის ოთხივე კედელში სამ-სამი ცალმაგი სათოფურია მოწყობილი.

თ. მარკოზაშვილი.

027. ბომართის წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-დას-ით 1 კმ-ზე, სასაფლაოზე. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს. XX ს-ის 90-იან წწ-ში ადგილ. მოსახლეობას ეკლ. შეუკეთებია, შიგნიდან და გარედან შეულესავთ და ღარისებრი კრამიტით გადაუხურავთ.

ეკლ. დარბაზულია (5,3×3,6 მ), უაფსიდო. ნაგებია რიყის ქვითა და კირის ხსნარით. ერთადერთი შესასვლელი დას-იდანაა. კარი გადახურულია შეისრული თაღით, რ-იც გარედან კედლის სწორკუთხა შეღრმავებაშია ჩასმული.



027. გეგმა

აღმ. კედელში გაჭრილია სწორკუთხა, გარეთკენ დავიწროებული სარკმელი. სარკმლის ქვემოთ, კედელზე, მიდგმულია სწორკუთხა ტრაპეზი. გრძივი კედლების აღმ. ნაწილში ორ-ორი პატარა სწორკუთხა ნიშაა, შუა ნაწილში კი – თითო სწორკუთხა სარკმელი, რ-ელთა ქვედა ნახევარი შეკეთების დროს ამოუშენებიათ. შიგნით ეკლ. შეისრული კამარითაა გადახურული.

თ. მარკოზაშვილი.

028. ბორამიწის სამაროვანი, (ბაკურციხე I) არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით, ვენახებში. განეკუთვნება ძვ. წ. II ათასწლ. დასასრულსა და I ათასწლ.

ძ. 1938 წ. გათხარა ა. აფაქიძემ. მიწაყრილიან გორასამარხზე გვიანდ. ორმოსამარხები იყო გამართული.

ბ. მაისურაძე.

029. გორასამარხი, არქეოლ. ძ. მდებარეობს მდ. ალაზნის მარჯვ. ნაპირზე, გორიელებად წოდებულ ადგილზე. განეკუთვნება ძვ. წ. III ათასწლ. დასასრულს.

ძ. 1980 წ. შეისწავლა კაე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). გორასამარხი მიწაყრილიანია (დიამ. 60 მ, სიმ. 3 მ). ყრილის ქვეშ გამოვლინდა მიწისზედა, დიდი მორებით ნაგები, დას-იდან აღმ-ისკენ დამხრობილი ოთხკუთხა შენობა (9×8,5 მ), რ-ის იატაკიც ასევე მორებით იყო მოგებული. მორებზე ზევიდან ჭილოფი ეფინა. იატაკზე ფიქსირებულია შენობის გადახურვის საყრდენი ბოძების ჩასადგმელი ცხრა ორმო (დიამ. 0,6 მ, სიღრმე 0,75 მ). ორმოები სიმეტრიულად იყო განლაგებული. ცენტრალურ ნაწილში სიმეტრია დარღვეულია – ორი ორმო რამდენამე აღმ-ითაა ამოღებული, ერთი – დას-ით. როგორც ჩანს აქ იდგა მიცვალებულის დასასვენებელი ხის ურემი. სამარხის ეს ნაწილი, სადაც დასვენებული იყო მთავარი მიცვალებული, გაძარცულია. აქ აღმოჩნდა ადამიანის გაფანტული ძვლები, რამდენიმე შავპრიალა თიხის ჭურჭელი, ოქროსა და პასტის მძივები. სამარხის სამხრ.-აღმ. ნაწილში გამოვლინდა ორი, კიდურებმოხრილი მიცვალებულის ჩონჩხი. ერთი მათგანი ესვენა მარჯვ. გვერდზე, თავით ჩრდ-ისაკენ, მეორე – მარცხენაზე, თავით სამხრ-ისაკენ. სამარხის იატაკზე ყველგან დიდი რაოდენობით ეწყო მცირე ზომის თიხის შავპრიალა ჭურჭე-



029. ბრინჯაოს სატევარი, ძვ. წ. XII-XI სს.

ლი. სამარხის აღმ. ნაწილში, იატაკზე აღმოჩნდა ნახატი ორნამენტით შემკული ჭურჭლის ფრაგმენტები,

სამხრ. კედლის გასწვრივ – რელიეფური და ნაკვეთი ორნამენტით (წრეში წრიულად ჩასმული წერტილები) შემკული თიხის დიდი ზომის ჭურჭელი, ხოლო აღმ. კედელთან – კარგად დამუშავებული ობსიდიანის ისრისპირები, მშვილდის ოქროს გარსაკრავი, ჭუნწიანი შუბისპირები ვერცხლის სალტით, ბრინჯაოს სატევარი, სალესი ქვა და სხვ.

მასალა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ-ეთნ. საცავში.

რ. რუსიშვილი.

ბიბლ.: 185.

030. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას. ნაწილში, ე. წ. ზემო უბანში, ა. ჭარელიშვილის ეზოში. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (4×3,5 მ). ნაგებია მსხვილი და საშ. ზომის რიყის ქვითა და კირის დუღაბით. წყობა ირეგულარულია. ინტერიერი შელესილი ყოფილა.

ძლიერაა დაზიანებული. შემორჩენილია საკურთხევლის ნაწილი (სიმ. დაახლ. 2-2,5 მ); დას. კედელი და გრძივი კედლების უმეტესი ნაწილი სამირკლამდეა დანგრეული; საკურთხეველში უხარმაზარი ხეა ამოსული.

ეკლესიას შესასვლელი დასიდან ჰქონია. ნახევარწრიულ აფსიდში შემორჩენილია სარკმლის ქვედა ნაწილი. აფსიდის ჩრდ. გვერდში ერთი ბრტყლად გადახურული სწორკუთხა ნიშაა.

თ. მარკოზაშვილი.

031. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ. ნაწილში, ქუმსიაშვილების კარმიდამოში. განეკუთვნება ძვ. წ. II და I ათასწლ. მიჯნას.

1962 წ. სამაროვანზე მცირე გათხრები ჩაატარა გურჯაანის მხარეთმც. მუზეუმმა (ხელმძღვ. მ. უზუნაშვილი). ძ. დაზიანებულია მის ტერიტორიაზე წარმოებული სამშენებლო სამუშაოების გამო. ორმოსამარხებში აღმოჩნდა ლეგად გამომწვარი თიხის ჭურჭელი და ბრინჯაოს მახვილები. ყველა სამარხი ინდივიდუალურია, დამხრობილია ჩრდ.-დას-იდან სამხრ.-აღმ-ისკენ. მიცვალებულები დასვენებულია მარცხ. ან მარჯვ. გვერდზე ძლიერ მოხრილი კიდურებით, თავით ჩრდ.-დას-ისკენ.

ბ. მაისურაძე.

032. სამების ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრალურ ნაწილში. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (7,1×3,9 მ), ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით.



032. გეგმა

კარ-სარკმლების ღიობებში კვადრ. აგურია გამოყენებული. გარედან შებათქაშებულია.

2009 წ. ძეგლს ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები (პროექტის ავტორი არქიტ.-რესტავრატორი ნ. მინდორაშვილი). აღდგენილ იქნა კამარის თავზე არსებული სათავსი. ეკლ. გადაიხურა ღარისებრი კრამიტით.

შესასვლელი ორია: სამხრიდან და დას-იდან. ორივე კარი



032. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

გარედან გადახურულია შეისრული თაღით, ხოლო შიგნით – ხის ძელებით (თარაზულად).

ეკლესიის შიდა სივრცე აღმით დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით, რ-შიც თაღოვანი გარეკედ დაყოფილი სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ორივე მხარეს თითო მოზრდილი სწორკუთხა ნიშაა. მსგავსი ნიშაა ჩრდ. კედლის დას. ნაწილშიც. აფსიდი გადახურულია წესიერი ფორმის კონქით, რ-ის ნახევარწრიული თაღი წყობიდან ოდნავ შეერილ რიყის ქვის იმპოსტებს ეყრდნობა. დას. კედელში ერთი სწორკუთხა სარკმელია. იატაკი თიხატკეპნილია.

დარბაზი გადახურულია რიყის ქვის ნახევარწრიული კამარით.

თ. მარკოზაშვილი.

033. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრდას. ნაწილში. განეკუთვნება XIX ს. ეკუთვნოდა სახ. მოღვაწეს, ქართული კონიაკის წარმოების ფუძემდებელს დავით სარაჯიშვილს (1848-1911 წწ.).

სახლი ერთსართულიანია (18,5×12 მ). ნაგებია ძირითადად აგურით. შიგნიდან და გარედან შელესილია. ძლიერ დაზიანებულია: მონგრეულია გარე კუთხეები, ჩამონგრეულია სახურავის დიდი ნაწილი, ოთახებში აყრილია იატაკი, მორყეულია ხის აივნის საყრდენი სვეტები, აივანს მთლიანად აქვს შემოცლილი მოაჯირი, ჭვირული სახეებით შემკული თაღებიდან კი ფრაგმენტებიღაა შემორჩენილი.

შენობაში ხუთი ოთახია, რებიც კაპიტ. კედლებითაა გამიჯნული და ერთმანეთს თითო თაღოვანი კარით უკავშირდება. მათგან ოთხი ერთი ზომისაა, ხოლო მეხუთე (შუა) – სხვებზე დიდი. მის დას. კედელში ერთი მაღალი და ფართო თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. შუა ოთახის კარი და განაპირა ოთახების კარ-ფანჯარა ხის გადახურულ აივანზე გამოდის, რ-იც სახლს ეზოს მხარეს (აღმ-ით) აქვს მოწყობილი. აივნის ნაწილი შენობის გეგმის სწორკუთხედის ფარგლებშია მოქცეული,

ნაწილი კი მის გარეთაა. ამ უკანასკნელს შუაში მოწყობილი აქვს საჩეხის მაგვარი კედრ. შვერილი, რ-იც უკანგავი ლითონის ფურცლებით შემოსილი ბოლქვისებრი სახურავითაა გადახურული. აივნის ჭერი ხის ათ სვეტს ეყრდნობა. სვეტებს შორის ჭვირული სახეებით შემკული თაღებია.

აივნის გვერდითი ნაწილები ერთნაირადაა დამუშავებული. ფასადის შუა ნაწილი უჭირავს განიერ სამფრთიან სარკმელს. იგი ჩასმულია ოდნავ შვერილ სადა საპირეში, რ-იც დაგვირგვინებულია მუზარადისებრი თაღით. სარკმლის ზემოთ ფრონტონით დასრულებული არეა. კედლის ზედა ნაწილში კი (მთელ სიგანეზე), აგურის წყობით გამოყვანილია სვეტისებრი შვერილები, რ-ებზეც დაყრდნობილია რთული პროფილის ლავგარდანი.

2012 წ. ბიზნესმენ გ. კალანდაძის მიერ შენობა ნაწილობრივ გარემონტდა და იგი კრამიტით გადახურეს.

სახლის ჩრდ-ით 30 მ-ზე, რიყის ქვითა და აგურით ნაგები მარანია (19,4×6 მ). მარანი ორსართულიანია. შესასვლელი აღმ-იდან და სამხრ-იდან აქვს. I სართულზე განლაგებულია ორმწკრივად ჩადგმული 30 დიდი და 10 საშუალო სიდიდის ქვევრი. იატაკი მოლესილია. აღმ. კედელში კარის გარდა ორი სწორკუთხა სარკმელია. მარნის ჭერი ხის 6 ბოძზეა დაყრდნობილი.

II სართული თივისა და ჭირნახულის შესანახად გამოიყენებოდა. ნაგებობის დას. მხარე ყრუა, აგურით ამოშენებული, აღმ. მხარე კი ღიაა. სართულები ერთმანეთს რკინის კიბით უკავშირდება.

მარანს სამხრ-იდან და ჩრდ-იდან გვიანდ. ხანის ორი მინაშენი აქვს. ერთ-ერთი მინაშენი ორსართულიანია, მეორე ერთსართულიანი.

მარნის დას-ით 5 მ-ზე, ფერდობში შეჭრილი ნაგებობაა (საყინულე), რ-იც ღვინის შესანახად გამოიყენებოდა. შესასვლელი მას აღმ-იდან აქვს. კარი თაღოვანია. ნაგებობა შედგება სამი ოთახისაგან, რ-თაგან ერთს ბრტყელი ჭერი აქვს, დანარჩენი ორი ნახევარწრიული სხმული კამარითაა გადახურული. ოთახებში თითო სავენტილაციო ხვრელია მოწყობილი.

აღმ. ფასადზე შესასვლელის თავზე ქვის ჯვარია ჩასმული.

თ. მარკოზაშვილი.

034. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის დასით 1,5 კმ-ზე, სასაფლაოზე. საგარაუდოდ განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

2000 წ. ნახევრად დანგრეული ეკლ. ადგილ. მოსახლეობას საკმაოდ ტლანქად აღუდგენია.

ეკლ. დარბაზულია (5,8×4,4 მ), აგებულია საშუალო ზომის რიყის ქვით, ნატეხი ქვითა და დულაბით. შესასვლელი დას-იდან აქვს. კარი ხის ძელებითაა გადახურული – თარაზულად. აღმ-ით ნახევარწრიულ აფსიდში ერთი სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს თითო სწორკუთხა ნიშაა. დარბაზი გადახურულია ცილინდრული კამარით. საკურთხევლის სარკმლის გარდა, თითო სარკმელი სამხრ. და დას. კედლებშია. ორივე მათგანი ხის ძელებით ბრტყლადაა გადახურული.

თ. მარკოზაშვილი.

035. წმ. ბარბარეს ეკლესია, არქიტ. ძ. დგას მაღალაურად წოდებულ ადგილზე, ქუმსიაშვილების უბანში.

ეკლ. მთლიანადაა დანგრეული. შემორჩენილია მხოლოდ ჩრდ. კედლის მცირე მონაკვეთი (სიმ. – 1-1,5 მ), რ-იც რიყის ქვითა და კირის დულაბითაა ნაგები.

2004 წ. ეკლესიის დას-ით, ათიოდე მ-ზე, აშენდა (ქუმსიაშვილების ხარჯით) თავისუფალი ჯვრის ტიპის ეკლ. (პროექტის ავტორი არქიტ. ი. მოსულიშვილი).

ი. მოსულიშვილი.

036. წმ. ბარბარეს ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-დას-ით 1 კმ-ზე, მთაზე. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (7,8×5,4 მ), ნაგებია მოზრდილი ზომის რიყის ქვით და აგურით. აგური ორი სახისაა. მათი დიდ ნაწილი კვადრატულია, მცირე ნაწილი – დიდი ზომისა (32×16×9 სმ). კედლები ძირითადად რიყის ქვისაა. წყობა ირეგულარულია. აგურით გამოყვანილია კარ-სარკმლის ღიობები და ფასადთა მორთულობის ელემენტები. კედლების ზედაპირი შიგნიდან და გარედან გასწორებულია ბათქაშით.

ნაგებობა ძლიერ დაზიანებულია: ჩამონგრეულია გადახურვა, დანგრეულია ჩრდ. კედლის დას. ნაწილი, მონგრეულია აღმ., დას. და სამხრ. კედლების ზედა ნაწილები, სამხრ. და დას. ფასადები, დაახლ. 1-1,2 მ სიმაღლეზე, დაფარულია მიწით.



036. გეგმა

ეკლესიაში შესასვლელი დასიდანაა. კარის ღიობი თითქმის მთლიანად აგურითაა გამოყვანილი. გარედან თაღითაა გადახურული (შემორჩენილია თაღის გვერდები), რ-იც ჩასმულია საფეხურით შელრმავებულ არეში. თაღის ზემოთ კედელი დანგრეულია, რის გამოც შელრმავების გადახურვის ფორმა ვერ დგინდება. შესასვლელი შიგნიდან გადახურული ყოფილა ხის ძელებით – თარაზულად (შემორჩენილია ძელების საყრდენი ბუდეები).

აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის ღერძზე შემორჩენილია აგურით გამოყვანილი სარკმლის ძირი და წირთხლების მცირე ნაწილი. აფსიდის ორივე გვერდში თითო მოზრდილი ნიშაა. მათგან სამხრ-ისა თაღოვანია, ჩრდ. ნიშას კი ზედა ნაწილი მონგრეული აქვს.



036. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

შემორჩენილი კვალის მიხედვით დგინდება, რომ იგი თაღით იყო გადახურული.

ეკლესიის აღმ. და გრძივი ფასადები დამუშავებული იყო საფეხურით შელრმავებული არით და ამ არის ზედა ნაწილში კვადრ. აგურით ნაწყობი, ერთმანეთზე გადაბმული თაღების მწკრივით. აღმ. ფასადზე ოთხი თაღია გამოყვანილი, სამხრ. ფასადზე კი – ხუთი (ზედა ნაწილები მონგრეულია). დას. ფასადზე, შესასვლელის გვერდებზე თითო შელრმავებული არეა, რ-თა ზედა ნაწილის ფორმა, ისევე როგორც დანარჩენი შელრმავებებისა, კედლების შემორჩენილი ნაწილებით ვერ დგინდება.

თ. დვალი.

037. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას. ნაწილში. განეკუთვნება XIX ს.

ეკლ. (12,4×7,6 მ) დარბაზულია. ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. კედლები შიგნიდან შელესილი და შეთეთრებულია. შენობის გარეთა კედლები აგურისა და რიყის ქვის რიგების მონაცვლეობითაა ნაწყობი, ქვებს შორის დარჩენილი არეები ამოყვებულია კირის ხსნარით, რ-იც მათი ზედაპირის უმეტეს ნაწილს ფარავს.

შესასვლელი ორია: სამხრ-იდან და დას-იდან. ორივე კარი განიერი და მაღალია, გადახურულია ისრული თაღით. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-შიც შეისრული თაღით გადახურული სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ჩრდ-ით ერთი შეისრულთაღოვანი და ერთი სწორკუთხა ნიშაა, ხოლო სამხრ-ით – ერთი შეისრულთაღოვანი ნიშა. შეისრულია აფსიდის თაღიც და კამარაც, რ-იც აფსიდის თაღის გარდა, კიდევ სამ, ერთმანეთისგან თანაბარი მანძილებით დაცილებულ, საბჯენ თაღს ეყრდნობა. მათგან ერთი დას. კედელთანაა, ხოლო ორი დარბაზის შუაში. თაღები გადაყვანილია პილასტრებზე, რ-თა შორის კედელი საფეხურითაა შელრმავებული და დასრულებულია შეისრული თაღით.



037. აღმ. ფასადი





037. გეგმა. გრძივი ჭრილი, ხედი ჩრდ-კენ

საკურთხევლის სარკმლის გარდა, ინტერიერს კიდევ ოთხი შეისრულთაღოვანი სარკმელი აშუქებს. მათგან ორი ჩრდ. კედელშია გაჭრილი, თითო-თითო – დას. და სამხრ. კედლებში.

ეკლესიის ფასადები დანაწევრებულია აგურით ნაწყობი განიერი პილასტრებით. აღმ. ფასადზე სამი პილასტრია – თითო-თითო ფასადის კიდეებში და ერთი შუაში. განაპირა პილასტრები ორსაფეხურიანი კაპიტელებითაა დასრულებული, ხოლო შუა, რ-საც ფასადის ღერძი უჭირავს და კედელს თითქმის მთელ სიმაღლეზე აუყვება, ორსაფეხურიანი ლავგარდნით შემოფარგლული ფრონტონით. შუა პილასტრის ქვედა ნაწილში საკურთხევლის სარკმლის ღიობი გამოდის. სარკმლის ზემოთ, საკუთრივ პილასტრზე, გამოსახულია მაღალი, რელიეფური ჯვარი, ხოლო გვერდებზე – საფეხურებიან ბაზისზე

დადგმული თითო ჩაღრმავებული ჯვარი. ფასადის ფრონტონის არეში ორი მრგვალი სარკმელია, რებიც კონქის თავზე არსებულ სივრცეს აშუქებენ.



037. ხედი სამხრ.-აღმ.-დან

დას. ფასადზე, შესასვლელის ორივე მხარეს, ფრონტონით დასრულებული თითო პილასტრია, რ-ებიც ფასადს სამ ნაწილად ყოფენ. თითო პილასტრი ფასადის კიდეებშია. ისინი, ისევე როგორც აღმ. ფასადის განაპირა პილასტრები, ორსაფეხურიანი კაპიტელით არის დასრულებულნი. ფასადის შუა ნაწილში, სარკმლის ზემოთ, გამოსახულია საკმაოდ დიდი რელიეფური ჯვარი, გვერდის ნაწილებში კი – თითო ბოლოებმომრგვალებული ტოლმკლავა ჯვარი, რ-საც გარს უვლის აგურით გამოყვანილი ორსაფეხურიანი ჩარჩო.

გრძივი ფასადები, განივი ფასადებისგან განსხვავებით, მოურთველია. თითოეული მათგანი, ერთმანეთისგან თანაბარი მანძილებით დაცილებული და ორსაფეხურიანი კაპიტელით დაგვირგვინებული სამ-სამი პილასტრით დაყოფილია ოთხ-ოთხ არედ.

ფასადები დასრულებულია აგურის ოთხსაფეხურიანი ლავგარდნით. ეკლ. გადახურულია თუნუქის სახურავით.

თ. დვალი.

038. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას ძველ სასაფლაოზე. განეკუთვნება განჯით. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (5,75×4,4 მ), ნაგებია რიყის ქვითა და კირის ხსნარით. საკურთხეველში შემორჩენილი ნალესობის კვალი ადასტურებს, რომ ეკლ. შიგნით შელესილი ყოფილა. დაზიანებულია: მთელ სიმაღლეზე შემორჩენილია მხოლოდ საკურთხეველი. კამარა ჩამონგრეულია, დანარჩენ კედლებს ზედა ნაწილები მონგრეული აქვთ.

ეკლესიას შესასვლელი დასიდან აქვს. კარის გადახურვა ჩამონგრეულია. აღმ-ით აფსიდია, რშიც მცირე ზომის ოთხკუთხა სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ორივე მხარეს თითო ოთხკუთხა ნიშაა. აფსიდის ჩრდ. გვერდში მდებარე ნიშა გეგმით თითქმის ნახევარწრიულია, სამხრ-ისაში კი – ოთხკუთხა. სარკმლის ქვემოთ, კედელზე, ტრაპეზია მიშენებული. აფსიდი დასრულებულია კონქით, რის თაღი ნახევარწრიული მოხაზულობისაა. სამხრ. კედელში ერთი სარკმელია გაჭრილი (დაზიანებულია).

ბ. კუპრეიშვილი.

039. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-დას-ით, 0,5 კმ-ზე, ყველაწმინდის ეკლესიისკენ მიმავალი გზის მარცხ. მხარეს, მინდორში. განეკუთვნება შუა საუკუნეებს.

ძ. თითქმის მთლიანად დანგრეულია და ეკლიანი მცენარეებითაა დაფარული. შემორჩენილია აღმ. და დას. კედლების ნაშთები (სიმ. – 1-1,2 მ).

ეკლ. (დაახლ. – 11,1×6,1 მ, კედლების სისქე – 1,1 მ) ნაგები ყოფილა რიყის ქვის ლოდებითა და კირის ხსნარით. შესასვლელი დასიდან ჰქონია. აღმ-ით დასრულებული იყო ნახევარწრიული მოხაზულობის შვერილი აფსიდით.

თ. მარკოზაშვილი.

040. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას-ით 2 კმ-ზე, სასაფლაოზე, ყველაწმინდის ორეკლესიანი ეკლესიიდან 300 მ-ზე.

ეკლ. ნაგები ყოფილა მსხვილი რიყის ქვითა და კარგად აგურით (დაახლ. ზომები: სიგრ. 4,1 მ, სიგ. – 3,5 მ). ნანგრევებიდან შემორჩენილია აფსიდის ჩრდ. გვერდის მცირე ნაწილი (სიმ. – 1,2 მ) და გრძივი კედლების კვალი.

თ. მარკოზაშვილი.

041. ნატო ვაჩნაძე-ანდრონიკაშვილის სახლ-მუზეუმი, არქიტ., ისტ. ძ. მდებარეობს ბეზარაანთ უბანში. აგებულია XIX ს-ში მამაშვილის პაატა და ალექსანდრე ანდრონიკაშვილების (ენდრონიკაშვილების) მიერ.

XX ს. 70-იან წწ-ში კინოსტუდია „ქართული ფილმისა" და იკბძ დაცვისა და გამოყენების მთ. სამმართველოს მცდელობით მოხერხდა კარ-მიდამოს მაშინდელი მფლობელის გაყვანა. 80-იან წწ-ში ჩატარებული სარესტ. სამუშაოების შედეგად (რესტავრატორი მ. ბოჭოიძე) ძეგლს პირვანდელი სახე დაუბრუნდა.

სახლ-მუზეუმის დიდ ეზოში ორი ნაგებობა დგას: ორსართულიანი შენობა (სასახლე) და შედარებით პატარა გვიანდ. სართულნახევრიანი სახლი. დიდ ნაგებობაში გვარის ისტორიის ამსახველი ექსპოზიციაა, პატარაში – ნატო ვაჩნაძისადმი მიძღვნილი სამუზეუმო ფოტოგამოფენა.

გეგმით კვადრატული (12×12 მ) მთავარი შენობა ს ა ს ა ხ ლ ე შემაღლებულ ადგილზე დგას. იგი ნაგებია აგურისა და რიყის ქვის მონაცვლეობით ე. წ. კახური წყობით. სახლის II სართულს ორი მხრიდან აივანი აქვს შემოვლებული. სახლის უკან ფერდობის ბაქანზე ზედა სართულის მყუდრო ეზოა მოწყობილი.

სართულების გეგმარება თითქმის ემთხვევა ერთმანეთს. I სართულზე დერეფნით გამოყოფილი ორი ოთახი და მარანია. მარანს შენობის ნახევარი უკავია. მარნის კედლები სწორკუთხა ნიშებითაა დანაწევრებული და ის 4 ფანჯრით ნათდება. მის მთელ სიგრძეზე ქვევრებია ჩაფლული.

მარანი ეზოს დიდი ზომის კარით უკავშირდება, II სართულს კი – ჩრდ.-დას. კედელში მოწყობილი ქვის ვიწრო კიბით.

სასახლის კარ-სარკმლების, აივნების, ხის სვეტების და აივნის დარბაზი სამხრ-იდან სამი დიდი ფანჯრით კარგადაა განათებული.



041. I სართულის გეგმა

საყრდენი აგურის კოლონების არქიტ. ფორმები კლასიცისტურია, II სართულის ღიობების ზოგიერთი ალათის მოხაზულობა კი – აღმოსავლური, რაც შეისრული თავსართითაა ხაზგასმული.

იც გაფორმებულია ერთმანეთისგან თანაბარი მანძილებით დაშორებული ვიწრო, შეისრულთაღოვანი შელრმავებული არეებით.

ლ. ანდრონიკაშვილი.



041. საერთო ხედი

042. იოანე მახარებლის ეკლესია,

არქიტ. ძ. დგას ძველ სასაფლაოზე. განკუთვნება გუირანდ. შუა საუკუნეებს. 2008 წ. საერთაშ. საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ მიერ ეკლესიას ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები (არქიტ.-რესტავრატორი ნ. მინდორაშვილი). აღდგა შესასვლელის წირთხ-



043. ხედი სამხრ.-დას.-იდან

ლები და გადახურვა, გარეთა კედლების დანგრეული ნაწილები, მოეწყო აგურის ხერხულა, ოთხსაფეხურიანი ლაქვარდანი, შენობა გადაიხურა ღარისებრი კრამიტით.

ეკლ. დარბაზულია (5,3×3,6 მ). ნაგებია რიყის ქვითა და კირის ხსნარით, აქა-იქ გამოყენებულია აგურიც. შესასვლელი დას.-იდანაა,



042. გეგმა

კარი სწორკუთხაა. აღმ.-ით ნახევარწრიულ აფსიდში გაჭრილია ვიწრო ოთხკუთხა სარკმელი, რის ჩრდ.-ით ერთი განიერი ოთხკუთხა ნიშაა, ხოლო სამხრ.-ით – ორი. კონქის თაღი ნახევარწრიულია. მსგავსი ფორმისაა კამარაც. დას. კედელში, შესასვლელის თავზე, ოთხკუთხა სარკმელია (გარედან

ქვედა ნახევარი აღდგენილია) გაჭრილი.

ეკლ. გადახურულია ღარისებრი კრამიტით.

ბ. კუპრეიშვილი.

043. კვირაცხოვლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-აღმ-ით 100 მ-ზე. განეკუთვნება შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (5×3,5 მ). ნაგებია საშუალო ზომის რიყისა და ნატეხი ქვით. 1998 წ. ნახევრად დანგრეული ეკლ. (შემორჩენილი იყო 1,5-2 მ სიმაღლეზე) აღდგენილ იქნა სოფლის მაცხოვრებლის მ. ზვერიაშვილის ხარჯით (არქიტ.-რესტავრატორი ნ. მინდორაშვილი).

ეკლესიას შესასვლელი სამხრ-იდან ჰქონია. აღმ-ით, ნახევარწრიულ აფსიდში, შიგნიდან თაღოვანი, ხოლო გარედან სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი, რ-ის ორივე მხარეს თითო პატარა სწორკუთხა ნიშაა. აფსიდი წესიერი კონქითაა გადახურული, ხოლო დარბაზი ცილინდრული კამარით. სამხრ. და დას. კედლებში მოწყობილია თითო შიგნიდან თაღოვანი, ხოლო გარედან სწორკუთხა სარკმელი. ეკლესიის იატაკი ქვის ფილებითაა მოგებული.

კედლები გარედან დასრულებულია თაროსებრი ლავგარდნით.

თ. მარკოზაშვილი.

044. მიქელ მთავარანგელოზის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას შუა სოფელში, ადგილ ხევისუბანში. განეკუთვნება XIX ს.

2009 წ. ეკლესიას ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები და დაუბრუნდა პირვანდელი სახე, კეთილმოეწყო მისი მიმდებარე ტერიტორია. ეკლესიის სამხრ-ით, 10 მ-ზე, აშენდა ორსართულიანი ს ა მ რ ე კ ლ ო და ერთსართულიანი ნ ა გ ე ბ ო ბ ა, რ-იც სამრეკლოს სამხრ-იდან ეკვრის.

ეკლ. დარბაზულია (14,9×8,9 მ), ნაგებია აგურითა და კირის დუღაბით. აქვს ორი თაღოვანი შესასვლელი: დას-იდან და სამხრ-იდან. ორივე კარი ხისაა. ძ. უაფსიდოა, აღმ-ით დასრულებულია სწორი კედლით, რ-შიც განიერი და მაღალი თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. ამ სარკმლის გარდა, ინტერიერს კიდევ შვიდი თაღოვანი სარკმელი აშუქებს. მათგან ერთი დას. კედელშია, შესასვ-



044. გეგმა, გრძივი ჭრილი, ხედი სამხრ-კენ

ლელის ზემოთ, ხოლო სამ-სამი – ერთმანეთის სიმეტრიულად გრძივ კედლებში. ამ უკანასკნელთაგან განაპირები, შუა სარკმელთან შედარებით უფრო დაბალია და კედლის ქვედა ნაწილშია მოქცეული. შიგნით, ოთხივე სასარკმლის ქვემოთ მოწყობილია თითო სწორკუთხა ნიშა. შიდა სივრცე ერთიანია, გადახურულია შეისრული კამარით, რ-იც ეყრდნობა იგივე ფორმის ოთხ საბჯენ თაღს, ხოლო თაღები – ერთმანეთისგან თანაბარი მანძილებით დაცილებულ პილასტრებს. პილასტრებს შორის კედელი საფეხურით ღრმავდება და დასრულებულია შეისრული თაღით. საკურთხეველი დანარჩენი სივრცისგან ხის მოჩუქურთმებული კანკელითაა გამოყოფილი. საკურთხეველში, აღმ. სარკმლის ქვემოთ, კედელზე, ოთხკუთხა ტრაპეზია მიდგმული, ჩრდ. კედელზე კი, მსგავსი ფორმის სამსხვერპლო. საკურთხევლის ბაქანი დარბაზის იატაკზე ორი საფეხურით მაღალია და შუაში ნახევარწრიული ამბიონი აქვს მოწყობილი.

იატაკი მოგებულია მარმარილოს ფილებით (რესტავრაციის დროინდელია).

2005-06 წწ-ში ეკლესიის საკურთხეველი მოხატა ეკლესიის წინამძღვრმა მამა მიქაელმა.

ეკლესიის ოთხივე ფასადი ერთმანეთის მსგავსადაა გაფორმებული. ნახევარსვეტებზე დაყრდნობილი თითო განიერი და მაღალი თაღით. გრძივ ფასადებზე თაღები გამოყვანილია კედლის ოდნავ შვერილ ნაწილზე, რ-იც განაპირა სარკმლებს შორისაა მოქცეული და სიგანით განივი ფასადის ტოლია. ოთხივე თაღის არეში ჩასმულია გაცილებით მცირე ზომის თაღები. სამხრ. და დას. ფასადებზე ამ თაღებში ეკლესიის შესასვლელებია მოქცეული, ხოლო დანარჩენ ორში – საფეხურით შეღრმავებული ყრუ თაღი. მათგან აღმ. ფასადის თაღში წყობის შეღრმავებით გამოსახულია საფეხურებიან ბაზისზე დაყრდნობილი მაღალი ჯვარი. ამ ჯვრის გარდა, ფასადზე კიდევ ორი ჯვარია, რ-ებიც მცირე თაღის ორივე მხარეს ოდნავ ზემოთ არიან განლაგებულნი. ორივე ჯვარს წაწვეტებული მკლავები აქვს და ირგვლივ ორსაფეხურიანი საპირე ევლება. ფასადის ზედა ნაწილში, ღერძზე საკურთხევლის სარკმელია, რ-საც ასევე საპირე აქვს შემოვლებული.



044. აღმ. ფასადი



044. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

საპირე დაყრდნობილია წყობიდან გამოშვერილი აგურების ორი რიგით გამოყვანილ სამკუთხედზე, რიც წვერით პატარა როზეტზეა დაბჯენილი. ანალოგიურადაა გაფორმებული დას. და გრძივი ფასადების ზედა ნაწილში გაჭრილი სარკმლებიც. წყობიდან საფეხურით შეერილი საპირე ეყრდნობა გრძივი ფასადების ქვედა ნაწილში მოქცეულ სარკმლებსაც, თუმცა მათი ძირი გახსნილია.

ეკლესიის ოთხივე ფასადზე, ერთ დონეზე, სიმეტრიულად განლაგებულია საჰაერო ხვრელები.

კედლები დასრულებულია ლეკალური აგურით ნაწყობი ლავგარდნით, რ-ის პროფილს შეადგენს ლილვი და წრეთარგი.

ეკლესიის სახურავის კეხზე (დას. კიდეში) შემორჩენილია აგურის სამრეკლოს წრიული საფუძველი. ეკლ. დაბურულია თუნუქით.

თ. დვალი.

045. ნათლისმცემლის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით 100 მ-ზე, შემაღლებულ ადგილზე.

2003 წ. მთლიანად დანგრეული ეკლესიის საძირკველზე აღგილ. მოსახლეობას კედლების ამოყვანა დაუწყია, მაგრამ აღარ გაუგრძელებია. შემორჩენილი კედლის მიხედვით ეკლ. ნაგები ყოფილა რიყის ქვითა და კირის ხსნარით. ჰქონია ნახევარწრიული აფსიდი და ორი შესასვლელი: დასიდან და ჩრდ-იდან.

თ. მარკოზაშვილი.

046. სადგომი, არქეოლ. ძ. მდებარეობს ყველაწმინდის ეკლესიის ეზოში, შესასვლელიდან 20-25 მ-ის დაშორებით, კახთუბნისხევის პირას. განეკუთვნება მუსტიეს ხანას.

ძ. 1965 წ. გამოაელინა კაე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). სადგომზე აღმოჩნდა ქვიხ დაბალი ფართო და მოგრძე, არასწორი მოყვანილობის ანატკეცები.

მასალა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ-ეთნ. საცავში.

თ. ბუგიანიშვილი.

047. საწნახელი, არქიტ. ძ. აღმოჩნდა XX ს-ის შუა წწ-ში, სოფლის დას-ით, წილიანახევის პირას მიწის სამუშაოების დროს. მოგვიანებით იგი სოფელში ჩამოუტანიათ. გადმოცემით საწნახელს ქვითა და დულაბით ნაშენი აუზიც ჰქონია, რ-იც აღმოჩენის ადგილზე დაუტოვებიათ.

საწნახელი გამოთლილია ქვიშაქვის ლოდში. იგი დაახლ. ტოლფერდა სამკუთხედის ფორმისაა, რ-საც ერთი წვერო წაკვეთილი აქვს (ფერდის სიგრ. – 1,6 მ, ქვის სისქე – 0,33 მ). ქვის ზედაპირი 8-10 სმ-ით ჩაღრმავებულია ისე, რომ მთელ პერიმეტრზე დარჩენილი აქვს თანაბარი სიგანის (დაახლ. 12 სმ) ნაპირი. ჩაღრმავებული ნაწილის შუაში ამოკვეთილია ოთხი ღარი (სიგ. და სიღრმე 6 სმ). მათი ერთობლიობა კვადრატს ქმნის, რ-იც დაკავშირებულია ერთ-ერთ (მოკლე) ნაპირში მოწყობილ სადინართან.

თ. მარკოზაშვილი.

048. ძვაშვეთის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ. გაანაპირას, სასაფლაოზე, ყველაწმინდის ეკლესიისკენ მიმავალი გზის პირას. აგებულია XVIII ს-ის მიწურულს ან XIX ს-ის დასაწყისში. 2009 წ. საქ. ისტ. ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდის დაფინანსებით ჩატარდა სარესტ. სამუშაოები. აღდგა გუმბათის სახურავის წვერი, კედლების მონგრეული ნაწილები და ლავგარდანი; ეკლ. გადაიხურა ღარისებრი კრამიტით.

ეკლ. ე. წ. კუპელჰალეს გეგმა. ვარიაციას წარმოადგენს. ნაგებია აგურითა და რიყის ქვით. კედლების ძირითადი ნაწილი რიყის ქვისა და აგურის რიგების

მონაცვლეობითაა ნაგები. აგურით გამოყვანილია გუმბათი, საბჯენი თაღები, კამარა, პილასტრები, კარ-



048. გეგმა

სარკმლების წირთხლები და დეკორატ. ელემენტები ფასადებზე.



048. ჭრილი, ხედი აღმ.-კენ

ნაგებობა გეგმით სწორკუთხაა (15,1×7,7 მ), აქვს ორი შესასვლელი – დას.-იდან და სამხრ.-იდან. ორივე კარი სწორკუთხაა და ორივე მხრიდან თაღოვან შელრმავებაშია ჩასმული. ეკლესიის შიდა სივრცეს შეადგენს საკურთხევლის ღრმა, ნახევარწრიული აფსიდი და მოგრძო დარბაზი. აფსიდში გაჭრილია თაღოვანი სარკმელი, რ-ის გვერდებზე სამ-სამი სწორკუთხა ნიშაა. სარკმლის სამხრ-ით მდებარე პირველი ნიშა გეგმით წრეს უახლოვდება და სხვებთან შედარებით უფრო მაღალია. თითო პატარა სწორკუთხა ნიშა გრძივი კედლების აღმ. ნაწილშიცაა. საკურთხევლის სარკმლის გარდა, შიდა სივრცეს კიდევ ხუთი სარკმელი აშუქებს. ორ-ორი მათგანი გრძივ კედლებშია, ხოლო ერთი, თარაზულად გადახურული – დას. კედელში. ყველა სარკმლის ღიობი შიგნიდანაც და გარედანაც კედლის გულისკენ თანდათან ვიწროვდება.

ეკლესიის დარბაზი ორ-ორი მძლავრი პილასტრითა და მათზე გადაყვანილი საბჯენი თაღებით გაყოფილია სამ არათანაბარ ნაწილად. პილასტრებს შორის კედლები საფეხურითაა შელრმავებული და დასრულებულია ნახევარწრიული თაღებით. თაღების ქუსლებთან სამსაფეხურიანი იმპოსტებია. მსგავსი პროფილის იმპოსტებია გამოყოფილი საბჯენი თაღების ქუსლებთანაც.

დარბაზის შუა ნაწილში, რიც დანარჩენებზე ოდნავ უფრო მოზრდილია, აღმართულია შიგნიდან წრიული, ხოლო გარედან რვაწახნაგოვანი გუმბათი. გუმბათის ყელი ზემოთკენ ოდნავ ვიწროვდება. იგი ნავზე, ბევრად უფრო ვიწროა, ამიტომ მისი საყრდენი სისტემა რამდენადმე თავისებურადაა გადაწყვეტილი. აღმ-ითა და დას-ით გუმბათი პილასტრებზე გადაყვანილ საბჯენ თაღებზეა დაყრდნობილი, ხოლო სამხრ-ით და ჩრდ-ით – კამარის მრუდში გამოყვანილ, ცენტრისკენ გადმოხრილ თაღებზე. გუმბათის საყრდენ თაღებს შორის პანდანტივებია, რ-ებშიც ამოჭრილია ტრომპები. გუმბათის ყელში გაჭრილია რვა ვიწრო და მაღალი თაღოვანი სარკმელი.

შიდა სივრცის ერთნაირიანობის მიუხედავად გარედან ეკლესიას ჯვარ-გუმბათოვანი შენობის აღნაგობა აქვს. ეკლესიის ოთხივე ფასადზე შუა ნაწილი გუმბათქვეშა „მკლავების" შესაბამისად შემაღლებულია და დასრულებულია ორფერდა სახურავით. ფასადები საკმაოდ მარტივადაა დამუშავებული. მორთულობის ძირითადი ელემენტებია შელრმავებული რომბები და ჯვრები. გრძივი ფასადების შემაღლებულ ნაწილებზე, თითქმის მთელ სიგანეზე, გამოყვანილია საფეხურით შელრმავებული თაღოვანი არე. იგი სიმაღლეში გაყოფილია ორ თანაბარ ნაწილად. ქვედა ნაწილში



048. სამხრ. ფასადი

ერთიმეორის თავზე განლაგებული სამ-სამი რომბი, ზედა ნაწილის შუაში კი – პილასტრის-მაგვარი შვერილი, რ-ის ზემოთ წყობიდან შვერილი აგურებით გამოყვანილია პატარა ფრონტონი.



048. ინტერიერი. ხედი გუმბათზე

ეკლესიის აღმ. ფასადის სიბრტყე, გუმბათოვანი ტაძრების მსგავსად, ჩვეულებისამებრ ერთიანი კი არაა, არამედ ორ ნაწილადაა გაყოფილი. ფასადის ზედა, „ჯვრის მკლავის" ფრონტონით დასრულებული ნაწილი, ქვედა ნაწილის მიმართ რამდენადმე უკანაა წაწეული (დაახლ. 1 მ-ით) ისე, რომ მათ საზღვარზე საფეხური იქმნება. ფასადის ქვედა ნაწილი სრულიად გლუვია – მოურთველი. ზედა ნაწილზე კი აგურის წყობის შეღმავებით გამოსახულია ორსაფეხურიან ბაზისზე დადგმული ჯვარი.

დას. ფასადიც მარტივადაა მორთული. შესასვლელის ზემოთ, გვერდით ნაწილებში თითო რელიეფური ჯვარია. ერთი შეღრმავებული ჯვარია გამოსახული ფასადის ზედა ნაწილში, ფრონტონის არეში.

სამხრ. შესასვლელის ტიმპანში და ანაყოლებში ჩასმულია საფლავის ქვები წარწერებით. აღმ-ით მდებარე ანაყოლზე გაკეთებული წარწერიდან ირკვევა, რომ ქვა საფლავზე დადებულია 1792 წ. აშკარაა, რომ ეკლ. ამ თარიღის შემდგომაა აგებული.

ფასადები დასრულებულია აგურის ოთხსაფეხურიანი ლავგარდნით, რ-იც ჩვეულებრივად ნაწყობი და კუთხით შვერილი აგურის რიგების მონაცვლეობითაა გამოყვანილი.

გუმბათის ყელი ლეკალური აგურის ლილვებით,თალებითა და ჯვრებითაა დანაწევრებული. სარკმლებს ქვემოთ გუმბათქვეშა კვადრატამდე ყელი მრგვალია. ეს ნაწილი მოქცეულია ორ ჰორიზ. ლილვს შორის და მორთულია შეღრმავებული რომბების მწკრივით. ზემოთ, თითოეული წახნაგის შუაში, ლილვებშემოვლებული ვიწრო და მაღალი სარკმელია, რ-იც ჩასმულია ლილვითვე გამოყვანილ თაღში. თაღების შორის უფრო არეებია დარჩენილი, რ-ებზეც ზემოთ ლილვის ფორმის სარტყელზე აგურის რელიეფური ჯვრებია „ჩამოკიდებული". ზემოთ ყელი საფეხურით ვიწროვდება და ლილვისებრი სარტყელითაა დასრულებული, რ-იც საფეხუროვან ლავგარდანს ებჯინება. გუმბათი გადახურულია პირამიდული ფორმის სახურავით.



048. ხედი სამხრ.-აღმ-დან

ეკლესიის დას-ით, თხუთმეტიოდე მ-ზე, დგას გვიანდ. შუა საუკუნეების დარბაზული ეკლ. (5,1×3 მ). იგი ნაგებია საშუალო

ზომის რიყის ქვითა და ნატეხი ქვით. გარედან გრძივი კედლების ქვედა ნაწილში შირიმის რამდენიმე გათლილი ქვაა ჩართული.

ძლიერ დაზიანებულია: ჩამონგრეულია კამარის დას. ნაწილი, მონგრეულია გარე კუთხეები, მთლიანადაა დანგრეული დას. კედელი, ფასადებზე საპირე ქვები აქა-იქ ამოცვენილია, სამხრ. და ჩრდ. კედლების დას. ნახევარი დაახლ. 1,5-2 *მ* სიმაღლეზე დგანან.

ეკლესიის შესასვლელი დასიდან ყოფილა. აღმ-ით ნახევარწრიულ აფსიდში დაბალი და ვიწრო, თარაზულად გადახურული სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს თითო მცირე ზომის სწორკუთხა ნიშაა. სარკმლის ქვემოთ, კედელზე, ქვიტკირის ტრაპეზია მიშენებული (შემორჩენილია ნაწილი). მსგავსი ნაგებობაა მიდგმული აფსიდის ჩრდ. გვერდზეც, რ-იც ალბათ სამსხვერპლოდ გამოიყენებოდა. გრძივ კედლებზე შემორჩენილია მოწითალო ფერის საღებავით გამოყვანილი ორ-ორი ხოლი. აფსიდი წესიერი ფორმის კონქითაა გადახურული, რ-ის თაღი ნახევარწრიულია.

სასაფლაოს დას-ით, დაახლ. 400 *მ*-ზე, ყველაწმინდის ეკლესიისაკენ მიმავალი გზის მარცხ. მხარეს, შემორჩენილია რიყის ქვით ნაშენი შენობის ნანგრევი, რ-საც ადგილობრივი მოსახლეობა ნაეკლესიარად მიიჩნევს.

თ. დვალი, თ. მარკოზაშვილი.

ბიბლ.: 27; 335.

049. ყველაწმინდა, დვთისმშობლის მიძინების ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-დას-ით 1,5-2 *კმ*-ზე, კახთუბნის ხეობაში, მთის კალთის ვაკე ადგილზე. განეკუთვნება VIII ს. ეკლ. (გარეთა ზომები: 24,5×10 *მ*) ერთადერთი ორგუმბათიანი ბაზილიკაა საქართველოში. ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. გარეთა კედლები მთლიანად რიყის ქვისაა. ქვა შერჩეულია ზომისა და ფორმის მიხედვით და დაწყობილია წესიერ, თარაზულ რიგებად. აგურითაა ნაწყობი მთელი შუა ნავი – ნავების დამაკავშირებელი თაღები და მათი საყრდენი ბურჯები, კამარა, ორივე გუმბათი და კამარის საბჯენი თაღები. აგური კვადრატულია, დიდი ზომის (26/27×26/27×7/8 *სმ*). სვეტისთავებისათვის საგანგებო ფორმის აგური გამოყენებული. რიყის ქვითაა ნაწყობი მხოლოდ საკურთხევლის აფსიდი და კონქის ქვედა ნაწილი. შენობის გარეთა კუთხეები და დეკორატ. ნაწილები გამოყვანილია შირიმით.

ეკლესიის გეგმა რთულია, რ-ც გორც ნაწილობრივ მისი ცალკეული ელემენტები. ტაძარი გარკვეულ ნაწილებში ორსართულიანია.



049. საერთო ხედი სამხრ-დან

ეკლესიის შიდა სივრცე სწორკუთხა ბოძების ორი წყვილით სამ ნავადაა გაყოფილი. შუა ნავი, რ-იც აღმ-ით ღრმა, ნალისებრი აფსიდით მთავრდება, გვერდით ნავებთან შედარებით თითქმის სამჯერ უფრო განიერია და გაცილებით მაღალი. იგი დაყოფილია სამ ტოლ კვადრატად, რ-ელთაგან განაპირა კვადრატებზე



049. გეგმა

ამართულია შიგნიდან და გარედან რვაწახნაგა, შეკრული კამარით დაგვირგვინებული დაბალი გუმბათის ყელი. გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის ყელის მოხაზულობაზე გადასვლა ხდება გუმბათქეშა კვადრატის კუთხეებში აგურის ჰორიზ. რიგებით ნაწყობი კონქისებრი ტრომპებით.



049. განივი ჭრილი. ხედი დას-კენ

გუმბათებს არა აქვს დამოუკიდებელი სინათლის წყაროს დანიშნულება, თუმცა მათ თითო სარკმელი აქვთ სამხრ-ით. გუმბათები ძალიან დაბალია და მიმალულია შენობის სივრცეში. მოგვიანებით ორივე გუმბათის პირამიდული სახურავი მთლიანად შემოვლებული იყო აგურით, რის შედეგადაც მათმა სიმაღლემ ნაწილობრივ მოიმატა.

შიდა სივრცის შემაღლებულობის შთაბეჭდილებას მნიშვნელოვნად აძლიერებს შუა ნავის დას. კედელი, რ-იც თაღოვანი მალებით სამ იარუსადაა დაყოფილი. ქვემოთ ერთი განიერი და მაღალი თაღია, რ-საც ნავის თითქმის მთელი სიგანე უჭირავს, მის ზემოთ, ერთიმეორის თავზე განლაგებული ორ-ორი თაღია, მათ ზემოთ კი – ერთი მცირე ზომის თაღი.

ეკლესიის საკურთხეველი ნავის იატაკის მიმართ ოდნავ შემაღლებულია. საკურთხევლის კედლის გასწვრივ მოწყობილია მაღალი საფეხური, რ-იც ტრაპეზის ქვემოთ ოდნავ შემაღლებულია. საკურთხევლის შუაში დგას ოთხწახნაგა ტრაპეზი.

მთავარ ნავს სამხრ-იდან და ჩრდ-იდან კოლოფა კამარებით გადახურული გვერდის ნავები ეკვრის, რ-ებიც მას სამ-სამი დაბალი, მაგრამ განიერი თაღებით ერთვის. ორივე ნავი აღმ-ით დასრულებულია ოთხკუთხა, უაფსიდო სათავსით. საკურთხევლის ჩრდ-ით მდებარე სათავსი (სამკვეთლო), გეგმით კვადრატულია, ხოლო სამხრ-ისა (სადიაკვნე) ვიწროა. ორივე სათავსი განათებულია აღმ. კედელში გაჭრილი თითო თაღოვანი სარკმლით. სამკვეთლოს სარკმლის ქვემოთ, კედელზე, ოთხკუთხა ტრაპეზია (გვიანდელია) მიდგმული. სამკვეთლოში შესასვლელი შესაბამისი ნავიდანაა. კარი თავდაპირველად ქვით ყოფილა გადახურული – თარაზულად. მეორე კარი (გვიანდელია) სამკვეთლოს საკურთხევლიდან აქვს. იგი ფიცრითაა გადახურული, გვერდებიდან კი, შემოფენილია პატარა აგურებით. სამკვეთლო გადახურულია ხის ყალიბზე ჩამოსხმული რვაწახნაგა შეკრული კამარით, რ-ის საფუძველი შექმნილია კუთხეებში განლაგებული ოთხი ტრომპით.

სადიაკვნის შესასვლელიც შესაბამისი ნავიდანაა. კარი სწორკუთხაა, გადახურულია მთლიანი ქვის ზღუდარით.

დას. მხარეს გვერდითი ნავები ერთმანეთთან დაკავშირებულია მათივე ტოლი სიგანის ნავით (შემოსავლელით). სამივე ნავის ზემოთ მეორე სართულია. სართულის დას. ნაწილი მთავარ ნავში იხსნება ნალისებრი თაღებით დასრულებული ფართო მალებით და ამრიგად წარმოქმნის ტაძარში გახსნილ ქორედს. ხოლო სამხრ. და ჩრდ. ნაწილების კედლები ნავისკენ ყრუა, მხოლოდ ორი პატარა, ძალიან ვიწრო ხვრელობია გაჭრილი ჩრდ-იდან და სამი ამგვარივე – სამხრ-იდან. ამ ხვრელობებიდან საეკლესიო მსახურების მხოლოდ მოსმენა შეიძლე-

ბოდა, დანახვა კი არა, რადგან ისინი იატაკიდან თითქმის 2 მ-ის სიმაღლეზეა განლაგებული. მთავარი ნავის კედლის, ორივე ნაწილში, მოწყობილია ხუთ-ხუთი



049. აქსონომეტრული ჭრილი, ხედი ჩრდ.-აღმ.-კენ

განიერი და მაღალი თაღოვანი ნიშა. მეორე სართული კოლოფა კამარითაა გადახურული. სამხრ. და ჩრდ. ნაწილების აღმ. ბოლოში მოწყობილია თითო განცალკევებული, აფსიდიანი სათავსი – ეგვტერი, სადაც დამატებითი საეკლესიო რიტუალი ტარდებოდა.

ეკლესიას დას-იდან ფასადის მთელ სიგძეზე ეკვრის გეგმით სწორკუთხა სათავსი – ნართექსი, რ-იც ეკლესიასთან ერთდროულადაა გამოყვანილი და ეკლესიას ამ უკანასკნელის დას. კედელში მოწყობილი ვიწრო და დაბალი, სწორკუთხა კარით უკავშირდება. მეორე შესასვლელი ნართექსს დას-იდან აქვს – სამხრ. კუთხესთან. ნართექსის დას. კედელში მცირე ზომის ნიშაა, საიდანაც ადის ვერტხვრელი. სათავსი გადახურულია სხმული, კოლოფა კამარით – წვერში მსუბუქი ტეხილით.

ნართექსის თავზე ღია ტერასაა. ადრე მას ჰქონდა მოაჯირი, რ-იც წყობით იყო დაკავშირებული ეკლესიასთან. თვით ტერასაზე მასზე დას-იდან მიშენებული კიბით ადიოდნენ.

ეკლესიის გარეგანი ფორმები შიდა სივრცის საერთო დანაწილებას იმეორებს. შუა, ორკალთა სახურავით დასრულებულ მაღალ ნაწილს სამხრ-იდან და ჩრდ-იდან ცალფერდა სახურავით დასრულებული უფრო დაბალი ნაწილები ეკვრის.

ეკლესიასთან მისასვლელი აღმ-იდანაა. ამიტომ ფასადებიდან ყველაზე უფრო აღმ. ფასადია დამუშავებული, რ-ის დეკორატ. გაწყობა სავსებით შეესაბამება შიდა სივრცის [illegible] თულობის ძირითადი [illegible] ბია ნალისებრი თაღით დასრულებული, საფეხურით შეღრმავებული არეები, რ-ებიც არსებითად შინაგანი სივრცის დანაწევრებას გამოსახავს. შუა ნავის კედელზე განიერი და მაღალი არეა, გვერდის ნავების კედლებზე კი, ერთიმეორის თავზე, ორ-ორი გაცილებით ვიწრო არე. შეღრმავებების წიბოები და თაღები ნაწყობია სხვადასხვა ზომის და ფორმის შირიმის ქვებით. თითოეულ შეღრმავებაში შირიმის ქვებით მოპირკეთებული თითო სარკმელია, რ-თა ღიობი ზემოთკენ თანდათან სწორხაზოვნად ვიწროვდება და ნალისებრი თაღითაა გადახურული. მათგან გვერდითი სარკმლების ქვედა წყვილი მორთულია შირიმის ქვებით ნაწყობი რელიეფური თავსართით – ჰორიზ. გადანაკეცებით ბოლოებში, რ-ელზეც დაყრდნობილია სადა, რელიეფური ჯვარი. გარდა ამისა, ორივე სარკმლის ღიობს გარს ევლება ღარი, რ-იც თაღის ზემოთ ბოლქვისებრ ფორმას ქმნის.

ფასადის შუა შეღრმავების დეკორატიულ სისტემას, გვერდითი ნაწილებისაგან განსხვავებით, აღარ შემორჩა თავდაპირველი სახე. ფასადის ამ ნაწილს ამკობდა საკურთხევლის სარკმლის ზემოთ



049. სამხრ. ფასადი



049. ინტერიერი, შუა ნავი, ხედი დას-კენ

მდებარე. შირიმის ქვებით ნაწყობი დიდი რელიეფური ჯვარი (შემორჩენილია ჯვრის ცერტ. მკლავი პოსტამენტითურთ), ხოლო თვით არე ნალისებრი თაღით იყო დასრულებული. მის ნაცვლად XVII ს-ში მოუწყვიათ ორი ნახევარწრიული თაღი, რ-თა საყრდენად ადრე არსებული ჯვრის შეუღლი მკლავია გამოყენებული. თაღების შეჯრის ადგილის ზემოთ წყობაში ჩასმული და კედლის სიბრტყიდან ოდნავ შეერილი შავი ქვებით გამოყვანილია ორსაფეხურიან პოსტამენტზე დაყრდნობილი ჯვარი. პოსტამენტი, რ-იც საკურთხეველის სარკმელს აგვირგვინებს სწორკუთხაა და ბოლოებში ჰორიზ. გადანაკეცები აქვს.

სამხრ. ფასადი წარმოადგენს მაღალ, წაგრძელებულ კედელს ერთქანობიანი სახურავით, რ-ის ზემოთ აღმართულია შუა ნავის ძალიან დაბალი კედელი და ორი დაბალქანობიანი გუმბათი, რ-ებიც სიმეტრიულად არიან განლაგებულნი ძირითად კორპუსზე. ფასადის შუა ნაწილში, I სართულის დონეზე, შირიმით მოპირკეთებული ფართო კარია. კარი გადახურულია შირიმის მძლავრი არქიტრავით, რ-ზედაც შედგმულია რიყის ქვის წყობაში მოქცეული მოყვითალო შირიმით ნაწყობი ჯვარი. იგი კედლიდან გამოშვერილი ნალისებრი თაღითაა შემოფარგლული. თაღს ბოლოებში, არქიტრავის ცოტა ქვემოთ, მოკლე ჰორიზ. გადანაკეცები აქვს. დიდი ოთხკუთხა სარკმელი, რ-იც მოწყობილია შესასვლელის ღერძით, გვიანდელია. II სართულის დონეზე ქორედის ოთხი ხვრელობია. თავდაპირველად აქ ყოფილა ადამიანის სიმაღლის თაღოვანი მალები, რ-ებიც ქორედის იატაკის დონიდან იწყებოდა და ისევე როგორც ახმ. ფასადის სარკმლები, მოპირკეთებული იყო შირიმის ნათალი ქვებით. შემდგომში თაღები ამოაშენეს და სარკმლებად გადააკეთეს.

დას. ფასადის ღერძზე – აგურით ნაწყობი ნალისებრთაღიანი და ლუნეტით შეკვსებული განიერი და მაღალი შესასვლელია, რ-იც ნართექსის თავზე მოწყობილ ტერასას ქორედთან აკავშირებს. კარის ზემოთ, ფრონტონის არეში, პატარა თაღოვანი სარკმელია. გარეთ სარკმლის ირგვლივ წყობა შეკეთებულია, ხოლო შიგნით ძველია და სარკმელიც მნიშვნელოვნად განიერია.

ჩრდ. ფასადი არქიტ. ფორმებით სამხრ. ფასადის ანალოგი-



049. ხედი სამხრ.-დას-დან

ურია. განსხვავება მხოლოდ ისაა, აქ არ არის შესასვლელი. ამ ფასადზეც, ქორედის დონეზე, ოთხი ღიობია. მათგან სამი სარკმლის სახითაა გამოყვანილი, ხოლო ერთი, აღმ-ით მდებარე, სამხრ. ღიობების მსგავსია. თავდაპირველად იგი იატაკის დონიდან იწყებოდა და, როგორც ჩანს, გადიოდა ამ მხარეს არსებულ ბაქანზე. შემდეგ კი, იგი სამხრ. ფასადის ღიობების მსგავსად ამოაშენეს.



049. აღმ. ფასადი, დეტალი

ლავგარდანი (გვიანდელია) შედგენილია ჩვეულებრივად დალაგებული და კუთხით წინწამოწეული აგურის რიგების მონაცვლეობით.

ნავები და ორივე გუმბათი გადახურულია ღარისებრი კრამიტით.

1938 წ. ჩატარებული სარემონტო სამუშაოების დროს ეკლესიის სამხრ. ფასადის წინ, რამდენიმე ნაბიჯზე, აღმოჩნდა კამაროვანი ა კ ლ დ ა მ ა (სიგრ. – 6,5 მ, სიგ. – 3 მ, სიმ. – 2,2 მ), შესასვლელით დას-იდან (1,2 x 0,7 მ), რ-თანაც ჩადიოდა სამსაფეხურიანი კიბე.

1957 წ. აღადგინეს გარეთა კედლების დანგრეული ნაწილები და ეკლ. კრამიტით გადახურეს.

XX ს. 1970-იან წწ-ში სპეც. სამეცნ-სარესტ. ხელოსნობამ ძეგლზე ჩაატარა სარესტ. სამუშაოები (ხელმძღვ. არქიტ. თ. აბრამიშვილი).

2004-05 წწ-ში საქართვ. კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტმა შეაკეთა ეკლესიის სახურავი.

2010 წ. საქართვ. კულტ. მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ ჩატარდა მცირე მასშტაბის სარეაბილიტაციო სამუშაოები (ხელმძღვ. არქიტ. ნ. მინდორაშვილი), გამაგრდა მთავარი ნავის კამაროვანი გადახურვა და მისი საბჯენი თაღები.

თ. დვალი.

ბიბლ.: 323; 335.

დარჩეთი

(არაშენდის თემის საკრებულო)

050. ნაეკლესიარი, არქიტ., არქეოლ. ძ. დგას სოფლის დას. ნაწილში, გიოაანთ ხოდაბუნად წოდებულ ადგილზე (ამ ადგილს საბერესაც ეძახიან). განეკუთვნება V-VI სს.

გადმოცემით აქ მდგარა დარბაზული, შვერილაფსიდიანი ეკლ., რ-იც მოსახლეობას დაუნგრევია და ქვა გაუხიდავს. ეკლესიის ნანგრევები 1972 წ. გათხარა კაპ-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). შემორჩენილი ნანგრევები ამოუსებულა იყო რიყის ქვის, კრამიტის და V-VI სს-ის მხატვრულად დამუშავებული ქვასვეტების ფრაგმენტებით. ეკლ. და ქვასვეტები სავარაუდოდ ერთი ეპოქისაა.

აქ აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი უმეტესად ბრტყელი და ფართოძირიანია. დამზადებულია წმინდამარცვლოვანი თიხისაგან, გამომწვარია მოხალისფროდ ან მოვარდისფროდ. ზოგიერთი მათგანის ზედაპირი ნაპრიალებია და შემკულია ხშირი, ერთმანეთში ჩამჯდარი ამოკაწრული ტალღური ორნამენტით. არის როგორც წმინდამარცვლოვანი თიხისაგან დამზადებული, წითლად გამომწვარი ზედაპირ-

ნაპრიალები თხელკედლიანი, ისე ქვიშანარევი თიხისაგან დამზადებული დიდი ზომის ჭურჭელი.

ნაეკლესიარის მახლობლად გაითხარა ქვისსამარხი (სიგრ. – 2,2 მ, სიგ. – 0,9 მ, სიმ. – 0,7 მ), ნაგები ფიქლის ბრტყელი ფილებით, დამხრობილი აღმ-იდან დას-ისკენ. გადახურული ფიქლის სამი ქვით. ქვებს შორის ნაპრალები კირით იყო გადალესილი. აღმ. და დას. კედლებს, ჩრდ. და სამხრ. კედლებთან გასათანაბრებლად რიყის ქვის წყობის ერთი რიგი ჰქონდა დამატებული. სამარხი კოლექტ. ყოფილა. გამოვლინდა 6 მიცვალებულის ჩონჩხი. ყოველი მომდევნო მიცვალებულის დაკრძალვისას წინა მიცვალებულის ჩონჩხს მიხვეტაედნენ სამარხის სამხრ. და აღმ. კედლებთან. მხოლოდ ბოლო მეექვსე მიცვალებულს ჰქონდა შერჩენილი თავდაპირველი პოზა. იგი დაკრძალული იყო გულაღმა, გულზე ხელებდაკრეფილი, ქვედა კიდურებმოხრილი. ქვედა კიდურების მოხრა სავარაუდოდ გამოიწვია იმან, რომ მათი გაშლის საშუალებას აღმ. კედლთან მიხვეტილი მიცვალებულების ჩონჩხი არ იძლეოდა.

სამარხში აღმოჩნდა რკინის მშვილდსაკინძისა და სამაჯურების ძალზე დაჟანგული ნატეხები, ბრინჯაოს მშვილდსაკინძი, ე. წ. რგოლოვან-ღეროვანი ტიპის ბრინჯაოს ბეჭედი, ოქროს ცალი საყურე, სარდიონის და ოპალური ფორმის მარგალიტის მძივები, რომბისებრი მოყვანილობის ფარაკიანი და ბრტყელი ვიწრო რკალიანი ბრინჯაოს ბეჭედი. ფარაჯზე გამოსახულია მამაკაცის ფიგურა, რის სამოსი ისეთივეა, როგორსაც ბიზანტიელი იმპერატორები ატარებდნენ, თავზეც ბიზანტიური გვირგვინი – სტემა ადგას. გვირგვინის დეტალები და წვერის მოყვანილობა მსგავსია ბიზანტიის იმპერატორ ფოკას (602-610 წწ.) გამოსახულებებისა მონეტებზე. დარჩეთის ბეჭედი ბიზანტიურ ნახელავს უნდა წარმოადგენდეს და მასზე სამეფო წრის წარმომადგენელი უნდა იყოს გამოსახული; რგოლოვან-ღეროვანი ტიპის ოქროს საყურე, რ-იც ადრეულია (IV ს.) მემკვიდრეობით მიღებულ ძველ ნივთს უნდა წარმოადგენდეს. დანარჩენი ნივთები ერთი ხნისაა და სამარხიც შესაბამისად VII ს-ით თარიღდება.

ნაეკლესიარის ჩრდ-ით 0,5 მ-ის სიღრმეზე ოთხი კონუსური, ვიწროპირიანი ძირფართო სამეურნეო ორმო აღმოჩნდა. განსხვავებული სიღრმისა და დიამეტრის ორმოები მიწით იყო ამოვსებული. მათში კრამიტისა და თიხის ჭურჭლის თითო-ოროლა ნატეხიც იყო.

განათხარი ფართობის ირგვლივ დიდი რაოდენობით იყო კრამიტისა და თიხის ჭურჭლის ნატეხები. ადგილ. მცხოვრებთა გადმოცემით აქ ხშირად ჩნდება ქვით ნაგები შენობების ნანგრევები და ქვის სამარხები.

ნაეკლესიარის აღმ-ით მდებარე მინდორზე მიწის სამუშაოების დროს წლების განმავლობაში ჩნდებოდა დიდი რაოდენობით ქვის დაზიანებული სამარხები. აღმოჩენილი ინვენტარი დაკარგულია.

ნაეკლესიარის ჩრდ.-აღმ-ით 30 მ-ზე მოსახლეობას მთლიანად დაუნგრევია მიწის ქვეშ მოქცეული რიყის ქვის ნაგებობა შიგ ჩასასვლელი კიბის რამდენიმე საფეხურით. ნაგებობაში დიდი რაოდენობით აღმოჩენილა ადამიანის ძვლები (აკლდამის ტიპის სამარხი?).

ნაეკლესიარის დას-ით ხევებით შემოსაზღვრულ კონცხისებრ მინდორზე აკრეფილი კერამიკის მიხედვით გვიანდ. ნამოსახლარი ანტიკური ხანის უნდა იყოს.

ნაეკლესიარის სამხრ-ით 200-ოდე მ-ზე სარდიონ ჩიფაშვილის კარმიდამოში 1974 წ. მშენებლობის დროს გამოვლინდა ძვ. წ. I – ახ. წ. I სს. ორმოსამარხი. სამარხში აღმოჩნდა ორტუა და ორყურა სასმისი და მოვარდისფროდ გამომწვარი, ნახევარსფერული, ომფალოსიანი, თხელკედლიანი ფიალა; ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიანი, გამსხვილებული წაკვეთილბოლოებიანი გვერგვი; ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიანი, უმნიშვნელოდ რკალშედრეკილი, გამსხვილებული წაკვეთილ ბოლოებზე ამოკაწრული სტილიზებული გველისთავებიანი სამაჯური; ორთიჯა, გრძელ, ოთხკუთხაგანივკვეთიან ტარზე ორფეხა სადგარმიმაგრებული (ნაკლულია) რკინის შამფური. სამარხისა და გვიანდ. ანტიკური ხანის ნამოსახლარზე ანაკრები მასალა თანადროულია. სავარაუდოა, რომ ნამოსახლარის სამაროვანი ამ სამარხის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარეობს.

გვიანდ. ანტიკური ხანის ნამოსალარსა და ეკლესიას შორის გზის გაჭრისას გამოვლინდა ძვ. წ. I - ახ. წ. I სს. ორი ორმოსამარხი, რ-ებიც დამხრობილი იყო სამხრიდან ჩრდ-ისაკენ. ერთ-ერთ ორმოსამარხში აღმოჩნდა: მსხვილქვიშანარევი თიხისაგან დამზადებული, მოვარდისფროდ გამომწვარი სამყურა და სამტუჩა ჭურჭელი (დოქი?), რ-ის მხარი და მუცელი ამოღარული ხოლების სარტყლებითაა შემკული; ქვიშანარევი თიხისაგან დამზადებული მოყავისფროდ გამომწვარი ხელადა, მსხვილქვიშანარევი თიხის მოყავისფრო-მონაცრისფროდ გამომწვარი ქილა და ნაკლული ქოთანი. მეორე ორმოსამარხში აღმოჩნდა მსხვილქვიშანარევი თიხისგან დამზადებული ნაცრისფრად გამომწვარი მათარის და 2 უხეშკეციანი ჭურჭლის ნატეხები.

1974 წ. ნაეკლესიარიის ჩრდ.-დას-ით 500-იოდე მ-ზე, სარწყავი არხის მშენებლობის დროს, აღმოჩნდა IV-V სს ორმოსამარხი. სამარხი დამხრობილია სამხრ.-აღმ-იდან ჩრდ.-დას-ისკენ. მასში 2 მიცვალებული ყოფილა დაკრძალული. ერთ ჩონჩხს ზედა კიდურები აკლდა, მეორისგან კი მხოლოდ რამდენიმე ძვალი იყო შემორჩენილი.

სამარხში აღმოჩნდა: ტუჩიანი ნაკლული დოქი, ცალყურა, ტუჩიანი ჯამი, რკინის დანა, ბრინჯაოს ხვიები, მინის 2 მძივი – ერთი მომწვანო გამჭვირვალე, ღრმად გოფრირებული, მეორე – ლურჯი, გამჭვირვალე.

სამარხის ახლოს აკრიფა დერგისა და წმინდამარცვლოვანი

თიხისაგან დამზადებული მოჩალისფროდ გამომწვარი, ერთმანეთში ჩამჯდარი ამოკაწრული ტალღური ორნამენტით შემკული პატარა ჭინჭილის ნატეხები. ჭურჭელი განეკუთვნება V ს.

მოპოვებული არქეოლ. მასალა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

ნ. მამაიაშვილი.

ბიბლ.: 131.

051. წმ. ესტატეს ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას-ით 1 კმ-ზე, სასაფლაოზე. სავარაუდოდ განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (4,9×3,5 მ), ნაგებია მსხვილი და საშუალო ზომის რიყის ქვით. კარ-სარკმელთა ღიობები გამოყვანილია აგურით. 2001-02 წწ. ეკლ. სოფლის მოსახლეობამ დაუდევრად აღადგინა – რის გამოც თავდაპირველი სახე შეცვლილი აქვს. ეკლ. გარედან შებათქაშებული და შეთეთრებულია.

შესასვლელი დას-იდანაა. კარი შიგნით სწორკუთხაა, გარედან – თაღოვანი. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-შიც თაღოვანი სარკმელი და ორი პატარა კვადრ. ნიშაა. დარბაზი გადახურულია ხის კამარით (აღდგენდელია). იატაკი ცემენტითაა მოლესილი.

ეკლ. გადახურულია ღარისებრი კრამიტით დაბურული ორკალთა სახურავით, რ-იც დას. კედლიდან დაახლ. 1 მ-ითაა გადმოშვერილი.

თ. მარკოზაშვილი.

ვაზისუბანი

(საკრებულოს ცენტრი)

052. ვაზისუბანი, ურიათუბანი, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს გომბორის ქედის ჩრდ.-აღმ. კალთის ძირას, თელავი-ბაკურციხის გზაზე, გურჯაანიდან 14 კმ-ზე.

სოფელი, რ-საც 1951 წ-მდე ურიათუბანი ერქვა, ადრინდ. შუა საუკუნეებიდან მოკიდებული მჭიდროდ დასახლებული მნიშვნელოვანი საეკლესიო და სავაჭრო ცენტრი იყო. იოანე ბაგრატიონის მიხედვით ურიათუბანი თავიდან შუამთის მონასტრის კუთვნილება იყო, ეპარქიულად კი ჭერემის ეპისკოპოსს ექვემდებარებოდა ჭერემის ეპარქიის ფუნქციონირების შეწყვეტის შემდეგ, რაც გამოიწვია მცრის გამუდმებულმა ამაოხრებელმა თავდასხმებმა, თეიმურაზ II-ის 1757 წ. განწესებით ურიათუბანი მთლიანად ნინოწმინდელ ეპისკოპოსს ტუსისშვილ საბას ერგო. მოგვიანებით ურიათუბნის ყმა-მამულის ნაწილს ფყოდალები – მამუკაშვილები და ნაზარიშვილები ფლობდნენ. ამ სოფლის მკვიდრთ სავარგულების გამო ხშირად ჰქონდათ უთანხმოება მეზობელი სოფლების – შაშიანისა და მუკუზნის თემებთან.

სამხ.-ადმინ. დაყოფით სოფლიდან გამოსული მებრძოლები ნინოწმინდელი ეპისკოპოსის დროშის ქვეშ დგებოდნენ, რ-საც უშუალოდ ადგილობრივი მოურავი ხელმძღვანელობდა. ვაზისუბანში ოდითგანვე განვითარებული იყო მეცნიარეობა, მემინდვრეობა და მეურნეობის სხვა დარგები.

ქ. კახაძე.

ბიბლ.: 89; 203 ბ,დ,ე,ზ.

053. ბებრიზამია საყდარი, არქიტ. ძ. დგას ნათლისმცემლისხევის მარცხ. ნაპირზე, დავითიანად წოდებულ ადგილზე. სავარაუდოდ განეკუთვნება განვით. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია. ნაგებია რიყის ქვითა და კირის ხსნარით. შესასვლელი დას-იდან აქვს. აღმ-ით ნალისებრი აფსიდია, რ-შიც ვიწრო სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ქვეშ კედელზე ქვის ტრაპეზია მიდგმული. შიგნით ეკლ. გადახურულია ცილინდრული კამარით.

გ. რჩეულიშვილი.

054. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ. ნაწილში. ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით, სოფლის ამ ნაწილს ადრე წისქვილის უბანი რქმევია, ამჟამინდელი ეკლესიის ადგილას კი, შემორჩენილი ყოფილა წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის ნანგრევი, რ-იც დაუშლიათ და ახალი ეკლ. აუგიათ.

ეკლ. დარბაზული ტანკუთხედია. ნაგებია XIX ს-ის დასაწყისს. ნაგებია ე. წ. კახური წყობით – წყვრილი რიყის ქვისა და აგურის რიგების მონაცვლეობით. კამარა და საბჯენი თაღები მთლიანად აგურისაა. ინტერიერი შელესილი და შეთეთრებული ყოფილა.

ეკლესიას სამი შესასვლელი აქვს: დას-ით, სამხრ-ით და ჩრდ-ით. სამივე კარი მშვილდისებრი თაღითაა გადახურული.





054. ჭრილი, ხედი სამხრ-კენ. გეგმა

ეკლესიის გეგმის სწორკუთხედში (15×8,6 მ) ნაწერილია მოგრძო დარბაზი და მისგან განიერი მხრებით გამოყოფილი ნახევარწრიული აფსიდი. საკურთხევლის გვერდებზე თითო პატარა სწორკუთხა სათავსია – სამკვეთლო და სადიაკვნე, რ-ებიც საკურთხეველს თაღოვანი გასასვლელით უკავშირდება. გარდა ამისა, დას. კედელში გაჭრილი კარით ისინი დარბაზთანაც არიან დაკავშირებულნი. სათავსები განათებულია აღმ. კედელში გაჭრილი თითო თაღოვანი სარკმლით. ერთი ასეთივე სარკმელია საკურთხეველშიც, რ-ის მარცხნივ თაღით გადახურული დრმა ნიშაა. საკურთხევლის ბაქანი მაღალია (სიმ. დაახლ. 1 მ-ია), ოდნავ წინწამოწეულია დარბაზის სიერცეში და გვერდებზე საკურთხეველზე ასახ-

ვლელად სამსაფეხურიანი კიბეები აქვს მოწყობილი.

სამკვეთლოსა და სადიაკვნის თავზე მათიეე ტოლი ფართობის სათავსებია, რ-ებსაც შესასვლელები დარბაზიდან აქვს. ინტერიერის გასანათებლად საკურთხევლის სარკმლის ანალოგიური სარკმელია გაჭრილი დას. კედლის ზედა ნაწილში და ორ-ორი, უფრო ფართო გრძივ კედლებში – ერთმანეთის მოპირდაპირედ. ეკლესიის შეისრული კამარა სამ შეისრულ საბჯენ თაღს ეყრდნობა. მ.შ. ორი დარბაზის გრძივ კედლებზე გამოყოფილ პილასტრებზეა გადაყვანილი, ხოლო მესამე – დას. კუთხის პილასტრებზე. დარბაზის დას. ნაწილში მოწყობილი ყოფილა ხის პატრონიკე (შემორჩენილია ხის ძელები).



054. აღმ. ფასადი

ეკლესიის ფასადები ბათქაშითაა გასწორებული და შეთეთრებულია. მოპირდაპირე ფასადები ზოგადი დამუშავებით ერთნაირია. აღმ. ფასადი სამი თაღოვანი შელრმავებითაა დამუშავებული, მ.შ. შუა თაღი გვერდითებზე რამდენადმე მაღალია. სამივე თაღში თითო თაღოვანი სარკმელია. შუა არეში, სარკმლის ზემოთ, აგურის წყობის შელრმავებით ორსაფეხურიან ბაზისზე დაყრდნობილი ჯვარია გამოსახული, თაღის გვერდებზე კი, ფრონტონის არეში – თითო პატარა რომბისმაგვარი და თითო სწორკუთხა სარკმელი.

აღმ. ფასადისაგან განსხვავებით დას. ფასადის გვერდის თაღებში ჩასმულია თითო ცრუ სარკმელი. დას. ფრონტონზე დაშენებული ყოფილა აგურის სამრეკლო, რ-ისგანაც საფუძველიღაა შემორჩენილი.

გრძივი ფასადების კედლის სიბრტყეები დანაწევრებულია ოთხ-ოთხი თანაბარი სიმაღლის თაღით. ფასადები დასრულებულია აგურის სამსაფეხურიანი ლავგარდნით, რ-საც განივ ფასადებზე ფრონტონის ძირებთან, ჰორიზ. შემონაკეცები აქვს.

ეკლესიის ორქანობიანი სახურავი ღარისებრი კრამიტითაა დაბურული.

თ. დვალი.

055. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას-ით 5-6 კმ-ზე, ტყეში, ე. წ. მიჯნის საყდრიდან აღმ-ით, ხუთასიოდე მ-ზე. განეკუთვნება განვით. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (5×4,5 მ), ნაგებია რიყის ქვით. დაზიანებულია: ჩამონგრეულია გადახურვა, დანგრეულია სამხრ. და ჩრდ. კედლების დიდი ნაწილი; აღმ. და დას. კედლები დაახლ. 3 მ სიმაღლეზეა დგანან; აღმ. კედელს მთელ სიმაღლეზე განიერი ბზარი დაუყვება; ეკლესიის შიგნით ხეებია ამოსული.

ეკლ. უაფსიდოა, აღმ-ით დასრულებულია სწორი კედლით, რ-შიც მაღალი და ფართო, ბრტყლად გადახურული სარკმელია გაჭრილი. შესასვლელი ჩრდ-იდან ჰქონია (შემორჩენილია წირთხლების მცირე ნაწილები). აღმ. კედელში, სარკმლის ორივე მხარეს თითო კვადრ. ნიშაა. საკურთხეველი გადახურულია კონქით, რ-ის ნახევარწრიული თაღი თაროსებრ იმპოსტებს ეყრდნობა.

თ. მარკოზაშვილი.

056. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას-ით 8-9 კმ-ზე, ტყეში. ფშაველების ნაბინავარად წოდებულ ადგილზე.

ეკლ. დარბაზულია. ნაგებია რიყის ქვითა და დულაბით. შესასვლელი დას-იდანაა. აღმ-ით ნახევარწრიულ აფსიდში მცირე ზომის სარკმელია გაჭრილი.

გ. რჩეულიშვილი.

057. ეკლესია, არქიტ. [illegible] სოფლის დას-ით ტყეში, გომბებად წოდებულ ადგილზე. ეკლ. დარბაზულია. ნაგებია რიყის ქვითა და დულაბით. შესასვლელი სამხრ-იდან აქვს. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-შიც სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი.

გ. რჩეულიშვილი.

058. ელიას ეკლესია, არქიტ., არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის დას-ით 5 კმ-ზე, ტყეში. განეკუთვნება შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია, ნაგებია რიყის ქვითა და დულაბით. შესასვლელი სამხრ-იდან აქვს. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-შიც მცირე სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ქვეშ კედელზე მიდგმულია რიყის ქვით ნაგები ტრაპეზი.

ეკლესიის სამხრ.-დას-ით 3-4 მ-ზე ქვითკირის მოზრდილი საწნახლის ნანგრევია, რ-ის უკან სწორკუთხა სათავსის ნაშთია – ქვევრების ფრაგმენტებით.

გ. რჩეულიშვილი.

059. თამარის ეკლესია, ფრთამოქცეული საყდარი, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-დას-ით სამიოდე კმ-ზე, განეკუთვნება განვით. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (10×6,1 მ). ნაგებია რიყის ქვითა და კირის ხსნარით. კონსტრ. ნაწილებში გამოყენებულია კვადრ. აგური და შირიმი. წყობა ირეგულარულია. ძლიერ დაზიანებულია: ჩამონგრეულია კამარა და კონქი, მონგრეულია კედლების ზედა ნაწილები, აღმ. კედელი დაახლ. 4 მ სიმაღლეზეა შემორჩენილი, დანარჩენი კედლები კი – 2,5-3 მ სიმაღლეზე. ეკლესიის შიგნით ხეებია ამოსული.

შესასვლელი დას-იდან და სამხრ-იდანაა. ორივე კარი აგურით ნაწყობი ნახევარწრიული თაღითაა დასრულებული. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-შიც შირიმის ნათალი ქვებით ნაწყო-

ბი სარკმელია (შემორჩენილია ქვედა ნაწილი). აფსიდის გვერდებში თითო მცირე ზომის სწორკუთხა ნიშაა. დარბაზის გრძივ კედლებზე, აქა-იქ, შემორჩენილია კამარის ქუსლის წყობის მცირე ნაწილი.

თ. მარკოზაშვილი.

060. კვირაცხოვლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას-ით 2 კმ-ზე, სასაფლაოზე. განეკუთვნება განვით. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (7,2×5,1 მ), ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვითა და კირის დუღაბით. წყობაში აქა-იქ ლოდებია ჩართული. დაზიანებულია: აყრილია სახურავის საფარი, აღმ. და სამხრ. კედლებს მთელ სიმაღლეზე ბზარები დაუყვება, ჩამოშლილია ლავგარდანი.



060. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

ერთადერთი შესასვლელი დას-იდანაა. კარი თაღოვანია, გამოყვანილია კვადრ. აგურით.

აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-იც წესიერი ფორმის კონქითაა გადახურული. აფსიდში თარაზულად გადახურული სარკმელი და ორი პატარა სწორკუთხა ნიშაა. სარკმლის ქვემოთ დგას კუბური ფორმის ტრაპეზი (შემორჩენილია ნაწილი). აღმ. სარკმლის გარდა, თითო სარკმელი დას. და სამხრ. კედლებშიცაა. მათგან სამხრ. სარკმელი საკურთხევლის სარკმლის მსგავსია, დას-ისა კი, თაღოვანია. დარბაზი ცილინდრული კამარითაა გადახურული. იატაკი ფიხატკეპნილია.

ეკლესიის განივ ფასადებზე აშკარად ჩანს გვიანდ. გადაკეთების კვალი, რ-ის დროსაც გრძივი კედლები ოდნავ (დაახლ. 0,5 მ-ით) აუმაღლებიათ, რამაც სახურავის ფერდების დახრილობა რამდენადმე შეამცირა. როგორც ჩანს ამავე დროსაა გამოყვანილი დას. შესასვლელიც.

თ. მარკოზაშვილი.

061. კოჭლიაანთ კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფლის თავში, კოჭლიაანთუბანში. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

კოშკი გეგმით კვადრატულია (6,6×6,6 მ), ნაგებია რიყის ქვითა და კირის ხსნარით. შემორჩენილია დაახ. 5 მ სიმაღლეზე.

I სართულზე ორი კარია – ჩრდ.-აღმ-ით თაღოვანი და სამხრ.-აღმ-ით სწორკუთხა. ჩრდ.-აღმ. კარის აჟოლებაზე კედელი განგრეულია. სართულის აღმ. კუთხესთან, სამხრ.-აღმ. კედელში, განიერი, ბრტყლად გადახურული ნიშაა, ხოლო დანარჩენ კედლებში ასევე სწორკუთხა, ოღონდ გაცილებით მცირე ნიშები. მათგან ორი სამხრ.-დას. კედელშია, ხოლო თითო-თითო – დანარჩენ ორში. ნიშების გარდა, ამ კედლებში თითო სათოფურიცაა.



061. I სართულის გეგმა

სართულშუა გადახურვა ხის ყოფილა. შემორჩენილია კოჭების საყრდენი ბუდეები. კოშკის II სართულის კედლები მცირე სიმაღლეზეა შემორჩენილი.

მ. აბაშიძე.

062. მთავარანგელოზთა ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის თავში, მამარდაშვილების ეზოში. განეკუთვნება გარდამავალ ხანას. გვიანდ. შუა საუკუნეებში ნაწილობრივ გადაუკეთებიათ. სოფლის მაცხოვრებელთა გადმოცემით მამარდაშვილების კარმიდამო ადრე თავად გულბათ ჭავჭავაძის კუთვნილება ყოფილა და ეკლესიასაც ჭავჭავაძეების კარის ეკლესიად მიიჩნევენ.



062. გეგმა

ეკლ. დარბაზულია (9,3×6,2 მ). ნაგებია რიყის ქვითა და კირის ხსნარით. გამოყენებულია აგურიც. ძლიერ დაზიანებულია – კედლები შემორჩენილია 2-2,5 მ სიმაღლეზე.

შესასვლელი ორია, დას. კედლის შუაში და სამხრ. კედლის დას. კიდეში. აღმ-ით ნალისებრი აფსიდია, რ-იც დარბაზისგან მოკლე მხრებითაა გამოყოფილი. აფსიდის ჩრდ. გვერდში თაღოვანი ნიშაა. დას. კუთხეებში ერთსაფეხურიანი პილასტრებია, რებზეც კედლის მიმდებარე თაღი იყო გადაყვანილი.

ბ. კუპრეიშვილი.

063. მიწნის საყდარი, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-დას-ით 5-6 კმ-ზე, ტყეში, განეკუთვნება განვით. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (5,3×4 მ), ნაგებია საშუალო ზომის რიყის ქვით და კირის დუღაბით. წყობა ირეგულარულია. კუთხეებში გამოყენებულია მოყვითალო ფერის შირიმის კვადრები. ძლიერაა დაზიანებული: ჩამოქცეულია დარბაზის კამაროვანი გადახურვა და კონქი, დანგრეულია კედლების

ზედა ნაწილები, ჩამოშლილია ლავგარდანი და საპირე ქვების მნიშვნელოვანი ნაწილი.

შესასვლელი დას-იდან ჰქონია (შემორჩენილია კარის წირთხლების მცირე ნაწილი). ეკლ. უაფსიდოა, ამჟ-ით დასრულებულია სწორი კედლით, რ-ის შუაში რიყის ქვით ბრტყლად გადახურული სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ორივე მხარეს თითო სწორკუთხა ნიშაა.

თ. მარკოზაშვილი.

064. ნათლისმცემლის ეკლესიის კომპლექსი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით 500-600 მ-ზე კომპლექსში შედის გვერდიგვერდ მდგარი, სხვადასხვა დროის, ტიპისა და სიდიდის ორი ეკლ., მათგან მომცრო, ნათლისმცემლის სახელობისა – დარბაზულია. მეორე – გუმბათოვანი. ადგილ. მოსახლეობა მასაც ნათლისმცემელს უწოდებს. ოღონდ ზომებიდან გამომდინარე, ერთს – „პატარა ნათლისმცემელს“, ხოლო მეორეს – „დიდ ნათლისმცემელს“.

XX ს-ის 80-იანი წწ-ის დასაწყისში, სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნომ ნათლისმცემლის ეკლესიას ჩაუტარა სარემონტო-სარესტ. სამუშაოები. ნაყარი მიწისგან გაიწმინდა და კეთილმოეწყო ეკლესიის მიმდებარე ტერიტორია. აღდგენილ იქნა კედლების ჩამოშლილი ნაწილები და ლავგარდანი, ეკლ. გადაიხურა ღარისებრი კრამიტით. გამაგრდა და დაკონსერვდა ეკლესიის ჩრდ-ით მდებარე ქვიტკირის ზღუდის შემორჩენილი ნაწილი.

ნათლისმცემლის ეკლესია. დარბაზულია (6×4,4 მ), განეკუთვნება განვით. შუა საუკუნეებს(?). ნაგებია რიყის ქვით. შიგნით და გარედან შებათქაშებულია.



064. დარბაზული ეკლესია, გეგმა

ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს – დას-იდან და სამხრ-იდან. ორივე კარი სწორკუთხაა. ამჟ-ით საფეხურით შემაღლებული ნახევარწრიული აფსიდია, რ-შიც სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. მსგავსი სარკმელი დას. კედელშიცაა. საკურთხევლის სარკმლის ქვეშ, კედელზე ტრაპეზია მიდგმული. ტრაპეზის მარცხნივ პატარა



064. საერთო ხედი აღმ-იდან

თაროა, რ-იც, როგორც ჩანს, სამკვეთლოს დანიშნულებას ასრულებდა.

დარბაზის გრძივი კედლები და ცილინდრული კამარა, მარტივი პილასტრების წყვილით და მათზე დაყრდნობილი ნახევარწრიული თაღით, გაყოფილია ორ არათანაბარ ნაწილად, რ-თა შორის დას-ისა თითქმის ორჯერ უფრო გრძელია აღმ-ისაზე. თაღის ქუსლებთან წყობიდან ოდნავ შეღრილი თაროსებრი იმპოსტებია. ანალოგიურ იმპოსტებზეა დაყრდნობილი აფსიდის თაღიც.

ეკლესიის ფასადები სადაა. სამხრ. ფასადზე, შესასვლელის ზემოთ, წყობაში მოგვიანებით ჩასმულია შირიმის არაწესიერი ფორმის ტლანქად ნაკვეთი ქვაწრეში ჩასმული ჯვრის რელიეფური გამოსახულებით. კედლები დასრულებულია უხეშად დამუშავებული ქვებით ნაწყობი თაროსებრი ლავგარდნით.



064. გუმბათოვანი ეკლესია, გეგმა

XIX ს-ის ბოლოს, როგორც ჩანს დიდი ეკლესიის მშენებლობის დროს, ეკლესიას დას-იდან მიადგეს აგურის ოთხწახნაგა სამრეკლო (სიმ. 8 მ), რ-იც ოთხივე მხარეს ნახევარწრიული თაღებითაა გახსნილი. თაღები ეყრდნობიან გეგმით კვადრ. ოთხ ბოძს. მათგან ორი, დას-ით მდებარე, რიყის ქვით ნაწყობ კვადრ. ბაზისზეა (სიმ. – დაახლ. 20 სმ) დაყრდნობილი, ორი – ეკლესიის დას. კედელზე. დას. ორივე ბოძი სიმაღლეში ორ ნაწილად იყოფა.

ბოძების ქვედა ნაწილი, ზედასთან შედარებით, უფრო მსხვილია და დასრულებულია ორსაფეხურიანი კაპიტელით. ამ დონეზე ბოძებს შორის გადებულია ხის ძელები, რებიც ბოძებს ერთმანეთთან აკავშირებს და სამრეკლოს კონსტრუქციულ მდგრადობას უზრუნველყოფს. სამრეკლო გადახურულია ხის პირამიდული სახურავით და დაბურულია თუნუქით.



064. გუმბათოვანი ეკლესია, ჭრილი

ეკლესიის სამხრ-ით, ათიოდე მ-ზე, დგას XIX ს-ის მიწურულში აგებული ე. წ. „თაღისუფალი ჯვრის" ტიპის დიდი გუმბათოვანი ეკლესია (გარეთა ზომები ღერძებზე: 15,1×12,9 მ). ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით იგი „რუსულ-ბიზანტიური სტილის" ნაგებობაა.

ეკლ. მთლიანად აგურითაა ნაგები. აქვს სამი განიერი და მაღალი, თაღოვანი შესასვლელი – სამხრ., დას. და ჩრდ. მკლავების ღერძებზე. ნაგებობის შიდა სივრცის ბირთვი, ჩვეულებისამებრ, გუმბათქვეშა კვადრატია. მას ერთვის სამი სწორკუთხა მკლავი და უაფსიდო, ასევე სწორკუთხა საკურთხეველი. აღმ., სამხრ. და ჩრდ. მკლავები თანაბარი სიღრმისაა, ხოლო დას-ისა დანარჩენებზე ოდნავ გრძელია, რის გამოც აღმ.-დას-ის ღერძი მცირედ სჭარბობს სამხრ.-ჩრდ-ის ღერძს. მკლავების სივრცეები ერთმანეთისგან გამოყოფილია გუმბათქვეშა კვადრატის ოთხსავ კუთხეში გამოყვანილი პილასტრებით და მათზე დაყრდნობილი ნახევარწრიული თაღებით.

საკურთხეველის აღმ. კედლის შუაში განიერი და მაღალი თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ქვემოთ სამსაფეხურიანი ლავგარდანია, რ-იც ეკლესიის ოთხივე მკლავის კედლებს შემოუყვება. მსგავსი ლავგარდანია მოწყობილი კამარების ჭუსლის დონეზეც.

ჯვრის მკლავების გადაკეთაზე აღმართულია შიგნიდან და გარედან თორმეტწახნაგოვანი გუმბათი, რ-ის საფუძვლის დონეზე მოწყობილია რთული პროფილის წრიული სარტყელი. გუმბათქვეშა კვადრატი გუმბათის ყელის საფუძველზე გადადის აფრების მეშვეობით. გუმბათის ყელში 12 თაღოვანი სარკმელია გაჭრილი, რ-თა ქვემოთ თითო სწორკუთხა შეღრმავებული არეა.

გარედან ეკლესიის ოთხივე მკლავის კუთხეებს აუყვება პილასტრისებრი შვერილი, რ-ებიც ჰორიზონტ. ვიწრო ლილვებით დანაწევრებულია რვა-რვა თანაბარი სიმაღლის კვადრატულ ნაწილად – ამოღრმავებული სწორკუთხა არეებით შუაში. პილასტრები დაგვირგვინებულია მაღალი კაპიტელებით – ლილვებითა და წრეთარგით. ანალოგიური პროფილისაა ლავგარდანიც. ფასადებიდან მხოლოდ ცერული, ფრონტონით დასრულებულია ფასადებია გაფორმებული. სამხრ., დას. და ჩრდ. ფასადები გაფორმების სისტემით და მორთულობის ელემენტებით ერთმანეთის ანალოგიურია. მსგავსადაა გაფორმებული აღმ. ფასადიც, მხოლოდ აქ ფასადის ღერძზე, დანარჩენი ფასადებისაგან განსხვავებით, შესასვლელის ნაცვლად სარკმელია, რიც მორთულია ორი, ერთმანეთისგან დაახლ. 15 სმ-ით დაცილებული, ნახევარწრიული ბოლოში ჰორიზონტალურგადანაკეცებიანი თავსართით. ზედა თავსართს წვერში ორფერდა შემაღლება აქვს გამოყვანილი. ანალოგიურადაა მორთული შესასვლელებიც. ოთხივე ფრონტონის შუა არეში გამოყვანილია პროფილირებულ ნახევარსვეტებზე დაყრდნობილი, თაღოვან ჩარჩოში ჩასმული მაღალი თაღოვანი ნიშა, რ-იც ფრონტონზე მაღალია, რის გამოც ფრონტონს წვერში ნახევარწრიული შემაღ-



064. გუმბათოვანი ეკლესია, ინტერიერი, ხედი ჩრდ.-დას-კენ

ლება აქვს. ფრონტონების ძირის დონეზე გამოყვანილია ერთმანეთზე მიბჯენილი ნახევარწრიული თაღებით გაფორმებული ფრიზი, რ-ის ქვემოთ, ფასადის გვერდის ნაწილებში წყობიდან შეერილი აგურებით თითო ჯვარია გამოსახული. კედლები დასრულებულია მაღალი, პროფილირებული ლაქვარდნით.



064. გუმბათოვანი ეკლესია, აღმ. ფასადი

გუმბათის ყელი ორი პორიზ. სარტყელით გაყოფილია სამ ნაწილად. მათგან ქვედა და შუა თითქმის თანაბარი სიმაღლისაა, ხოლო ზედა გაცილებით მაღალია. ქვედა ნაწილის წახნაგები გლუვია. შუა ნაწილის ყოველ წახნაგზე თითო სწორკუთხა შეღრმავებაა, ზედაში კი – განიერი და მაღალი სარკმელი. სარკმლის ზემოთ რელიეფური ლილვით გამოყვანილი, ნახევარწრიული თავსართია, მის ზემოთ კი დეკორაც. თაღი, რ-იც წახნაგს აგვირგვინებს.

გუმბათი გარედან სფერული სახურავითაა გადახურული.

თ. დვალი.

ბიბლ.: 335.

065. ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-დასით 2-3 კმ-ზე, ნათლისმცემლისხევის მარცხ. ნაპირზე, დავითიანად წოდებულ ადგილზე. განეკუთვნება ადრინდ. და განვით. შუა საუკუნეებს.

1970 წ. მიწის ხვნის დროს შემთხვევით აღმოჩნდა ნამოსახლარი – ქვიტკირის კედლების ფრაგმენტები. ნამოსახლარი მოიცავს დაახლ. 1,5-2 ჰა-ს. ნაგებობების გეგმარების დადგენა ვერ მოხერხდა. ანაკრეფი არქეოლ. მასალა ძირითადად მოუჭიქავი და მოჭიქული კერამიკითაა წარმოდგენილი, გვხვდება მინის ნაწარმიც. ფიქსირებულია კედლის ნანგრევები.

მოუჭიქავი კერამიკა წარმოდგენილია: აგურით, კრამიტით (ღარიანი და ბრტყელი), წყალსადენის მილებით,თონეებით, ლულიანი ჭრაქებით, ქვევრებით, შავკეციანი სამზარეულო ჭურჭლით (ბადიები, ქილები, ქვაბქოთნები, ჯოთნები, კოჭბები და სხვ.), ნატიფი სამტუჩა პირიანი და გრეხილყურებიანი სურებით, მოჩალისფროდ გამომწვარი თხელკეციანი სასმისებით და სხვ.

მოჭიქული კერამიკა თითქმის მთლიანად ჯამებითაა წარმოდგენილი. მათ შორისაა: თეთრი ანგობით მოხატული და მწვანედ მოჭიქული, ფერადი ნაღვენთებით შემკული, მოვარდისფრო ანგობზე მკრთალი ნაკაწრებითა და ფერადი ლაქებით შემკული ჯამები. ეს ჯგუფი მთლიანად IX-X სს განეკუთვნება. უფრო მრავალადაა ანგობზე ამოკაწრული მარყუჟებით შემკული და ცისფრად ან მწვანედ მოჭიქული ჯამები. ასევე მცენარეული ორნამენტით, ფრინველის გამოსახულებითა და ჭადრაკული სახეებით შემკული ჯამები. ამავე ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს ცისფრად მოჭიქული კოტოშის ფრაგმენტი. მთელი ეს მასალა XI-XIII სს-ით თარიღდება. XII-XIII სს. განეკუთვნება ფაიანსის მცირე ფრაგმენტები, რ-თა შორის არის ლუსტრით შემკული ნიმუშიც.

კერამიკულ მასალასთან ერთად გვხვდება მინის სასმისების, სარკმლის მინისა და სამაჯურების ფრაგმენტებიც, რ-ებიც აგრეთვე XI-XIII სს. თარიღდება.

გ. რჩეულიშვილი.

066. ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-დასით, მცონარახევის მარჯვ. ნაპირზე, ლომიაურად წოდებულ ადგილზე. სავარაუდოდ განეკუთვნება გვიანდ. ანტიკურ. ხანას.

XX ს-ის 60-იან წწ-ში მიწის ხვნის დროს აღმოჩნდა მშრალი წყობით ნაგები კედლების ფრაგმენტები და წითლად შეღებილი ბრტყელი კრამიტის ნატეხები.

გ. რჩეულიშვილი.

067. ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-დას-ით, წილიანახევის მარცხ. ნაპირზე, ლომიაურად წოდებულ ადგილზე. განეკუთვნება გვიანდ. ბრინჯაოს ხანას.

მიწის დამუშავების დროს აღმოჩნდა ქვის ნაკისებრი ხელსაფქვავები და სფერული დისკო (დიამ. 40 სმ).

გ. რჩეულიშვილი.

068. ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის დას-ით ძველ სასაფლაოზე. განეკუთვნება შუა საუკუნეებს.

ნამოსახლარი მცენარეებითაა დაფარული. ერთ ნასახლარში შემორჩენილია მოზრდილი ქვევრები. მოგვიანებით ნამოსახლარზე სასაფლაო მოუწყვიათ. აქა-იქ ჩანს XX ს-ის დასაწყისის საფლავის ქვები.

გ. რჩეულიშვილი.

069. ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის დას-ით 300-500 მ-ზე, მდ. მღვრიეხევის მარჯვ. ნაპირზე. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

მიწის ხვნისას აქ ჩნდება ნაგებობათა ნაშთები, ქვითკირის საწნახლები, ქვევრები, წითელკეციანი ჭურჭლის ფრაგმენტები.

გ. რჩეულიშვილი.

070. ნამოსახლარი და სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-აღმ. განაპირას, მდ. მღვრიეხევის მარჯვ. ნაპირზე. ე. წ. სამკარიანი ეკლესიის ჩრდ-ით 100 მ-ზე. სავარაუდოდ განეკუთვნება ადრინდ. შუა საუკუნეებს.

ნამოსახლარზე, რ-იც ბუჩქნარითაა დაფარული, შეინიშნე-

ბა დიდი ნაგებობების ნაშთები. სამაროფანზე დადასტურდა ქვის ფილებით შედგენილი რამდენიმე სამარხი. სამარხები გაძარცულია.

გ. რჩეულიშვილი.

071. ნაციხარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-დას-ით 2 კმ-ზე, ნათლისმცემლის ხევის მარჯვ. ნაპირზე, ტყეში.

ციხე (მთლიანად დანგრეულია. გეგმა არ იკითხება) ნაგები ყოფილა რიყის ქვით. კედლების შემორჩენილ ფრაგმენტებს ძლიერი ცეცხლის კვალი ემჩნევა.

გ. რჩეულიშვილი.

072. ორმოცი მოწამის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით სამიოდე კმ-ზე, წილიანახევის მარჯვ. ნაპირზე, დაბითიანად წოდებულ ადგილზე. განკუთვნება VII ს.

ძ. მცირე ზომის გუმბათიანი ეკლესიაა ნახევარწრიული აფსი-



072. გეგმა

დით და სამი თანაბარი სიღრმის სწორკუთხა მკლავით, რ-ებიც ტოლგვერდებიან რვაკუთხედში არიან ჩაწერილი (შიგნითა ზომები: აღმ-დას. ღერძზე – 5,5 მ, სამხრ.-ჩრდ. ღერძზე – 5,1 მ). შენობა ნაგებია რიყის ქვითა და კირის ხსნარით. რვაკუთხედისა და გუმბათის ყელის კუთხეები შირიმის ნათალი ქვითაა გამოყვანილი.

1984 წ. სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნომ ეკლესიას ჩაუტარა სარესტ. სამუშაოები (პროექტის ავტორი, არქიტ.-რესტავრატორი ზ. ქუფარაშვილი). შენობის ირგვლივ მოიხსნა მიწის



072. ჭრილი, ხედი სამხრ-კენ

დაახლ. 1-1,3 მ სიმაღლის ფენა, აღდგენილ იქნა სამხრ. მკლავის სამხრ. კედელი და დანარჩენ კედლებზე საპირე წყობის დიდი (ძირითადად ზედა) ნაწილი, გუმბათის ყელზე ლაგარდნის შემორჩენილი ნაწილების მიხედვით, მოეწყო იგივე პროფილის ლაგარდანი (ერთიმეორის მიმართ



072. აღმ. ფასადი

გადმოშვერილი ქვის ფილებით შედგენილი სამი საფეხური) შენობის ქვედა ნაწილზე. ეკლ. გადახურა ღარისებრ კრამიტულია.

შესასვლელი ორია – სამხრ-იდან და ჩრდ-იდან. ორივე კარს თარაზული გადახურვა აქვს. საკურთხეველის იატაკი დარბაზის იატაკზე ერთი საფეხურით მაღალია. აფსიდში გაჭრილია ვიწრო და მაღალი სარკმელი, რ-იც, ისევე როგორც მის გვერდებზე მდებარე ორი ნიშა და ეკლესიის ჩრდ. შესასვლელი გადახურულია შავი ქვის თხელი ფილით – თარაზულად.



072. ხედი სამხრ-იდან

გუმბათი შიგნიდან და გარედან რვაწახნაგაა. გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის ყელის რვაწახნაგოვან მოხაზულობაზე გადასვლა ხდება კვადრატის ოთხივე კუთხეში მოწყობილი ტრომპებით, რ-ებსაც კონქის ფორმა აქვთ. ტრომპები განლაგებულია იატაკიდან საკმაოდ მაღლა, იმდენად, რომ გუმბათქვეშა კვადრატი ადის გუმბათის საყრდენი თაღების ზემოთ, რის გამოც ტრომპები დაყრდნობილია არა თაღებზე, არამედ თაღებზე აღმართულ კედლებზე. ტრომპებიდან იწყება გუმბათის ყელის წახნაგები, რებიც გუმბათის კამარის ქუსლის ზემოთაც გრძელდება და ქმნის შეკრულ კამარას. ოთხივე გუმბათ-

ქვეშა თაღი დაყრდნობილია შირიმის სადა კაპიტელებზე. მათ პროფილს შეადგენს თარო და ირიბი სიბრტყე.

ეკლესიის ჩრდ-ით 50 მ-ზე შემორჩენილია რიყის ქვითა და კირის ხსნარით ნაშენი ნაგებობის (გეგმა არ იკითხება) ნაშთი, რ-ის სამხრ-ით, ათიოდე მ-ზე გალავნის კვალი შეიმჩნევა.

ძეგლის ჩრდ-ით დაახლ. 1 კმ-ზე ნასოფლარია. შემორჩენილია ქვიტკირის ნაგებობათა კედლების ფრაგმენტები.

ეკლესიის ირგვლივ დადასტურდა ქვის ფილებით შედგენილი სამარხები, რ-ებიც გაძარცვულია.

თ. დვალი, გ. რჩეულიშვილი.
ბიბლ.: 323; 335.

073. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის დას-ით 300 მ-ზე, მდ. მღვრიეხევის მარჯვ. ნაპირზე. განეკუთვნება შუა საუკუნეებს.

სამაროვანი შემთხვევით აღმოჩნდა გზის გაყვანის დროს. დადასტურდა ქვის ფილებით შედგენილი სამარხები.

გ. რჩეულიშვილი.

074. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ცენტრში. დადასტურდა ქვის ფილებით შედგენილი სამარხები, რ-ებიც დაზიანდა 1960-იან წწ-ში საცხოვრებელი სახლების საძირკვლების გათხრისას. სამარხებში აღმოჩნდა ადამიანის ჩონჩხი, ბრინჯაოს რგოლები და ბეჭდები. ინვენტარი დაკარგულია.

გ. რჩეულიშვილი.

075. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-დას-ით ლომიაურად წოდებულ ადგილზე. განეკუთვნება განვით. შუა საუკუნეებს. მიწის ხვნის დროს აღმოჩნდა ქვის სამარხები. ინვენტარიდან გადარჩა დაბრტყელებულფარაკიანი ბრინჯაოს ბეჭედი.

გ. რჩეულიშვილი.

076. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის თავში, მეკოკიანთ უბანში. სახლის საძირკვლის თხრისას აღმოჩნდა ორმოსამარხები. ინვენტარი დაიკარგა.

გ. რჩეულიშვილი.

077. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის თავში, კანაანთ უბანში. 1950-იან წწ-ში მიწის სამუშაოების დროს აღმოჩნდა ქვის ფილებით შედგენილი სამარხები ადამიანის ჩონჩხებით.

გ. რჩეულიშვილი.

078. სამარხი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სასაფლაოზე. განეკუთვნება ბრინჯაოს ხანას.

სამარხი აღმოჩნდა 1980-იან წწ-ში შემთხვევით, საფლავის თხრისას. ორმოსამარხში იყო ბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი შავკეციანი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.

გ. რჩეულიშვილი.

079. სამარხი, არქეოლ. ძ. აღმოჩნდა სოფლის ჩრდ.-აღმ-ით 500 მ-ზე, მდ. მღვრიეხევის მარჯვ. ნაპირზე, ე. წ. სამკარიანი ეკლესიიდან ჩრდ-ით, 200 მ-ზე, განეკუთვნება ადრინდ. შუა საუკუნეებს.

ძ. აღმოჩნდა 2010 წ. – წყალდიდობის დროს ადიდებულმა ხევმა მიწა წაიღო და სამარხი გაშიშვლდა. იგი ინდივიდუალურია, წარმოადგენს ქვაყუთს, რ-იც შედგენილია კარგად გათლილი ოთხი ფილაქვით და გადახურულია სამით (1,9×1,2 მ, სიმ. – 0,6 მ). დამხრობილია აღმ.-დას-ის მიმართულებით. გადახურვის ერთ-ერთი ფილა ჩამტვრეულია. სამარხი გაძარცვულია მიცვალებულის ძვლები ერთმანეთშია არეული. ინვენტარი არ აღმოჩენილა.

თ. მარკოზაშვილი

080. სამების ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის თავში, კოჭლიაანთეულად წოდებულ ადგილზე. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

2008-2009 წწ-ში ადგილ. მოსახლეობამ ეკლ. საკმაოდ დაუდევრად აღადგინა. აღდგენისას გრძივი კედლების ხაზზე ახალი კედლები ააგეს და ეკლ. მნიშვნელოვნად დააგრძელეს (გარეთა ზომები: 11,7×4,8 მ).

ეკლესიის ძვ. ნაწილი (5,6×4,8 მ) ნაგებია რიყის ქვითა და კირის ხსნარით. შემორჩენილია ჩრდ. ვარწრიული აფსიდი – კონქით და გრძივი კედლების აღმ. ნაწილი (სიგრ. დაახლ. – 3 მ) წყვილ პილასტრთან და მათზე დაყრდნობილ საბჯენ თაღთან ერთად.

ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს. სამხრ-იდან და დას-იდან. ორივე კარი აღდგენილ კედლებშია მოწყობილი. აფსიდში გაჭრილია ვიწრო სარკმელი, რ-ის ქვემოთ, კედელზე, მიშენებულია ქვიტკირის ტრაპეზი. მსგავსი ნაგებობა აფსიდის ჩრდ. გეერდზეა მიდგმული. იგი როგორც ჩანს სამკვეთლოს დანიშნულებას ასრულებდა. საკურთხეველი დანარჩენი სივრცისგან გამოჯვნულია აღდგენის დროინდელი, კვადრ. აგურით ნაშენი კანკელით. გრძივი კედლების აღმ. ნაწილში, აფსიდის ბოლოებთან, თითო განიერი, სწორკუთხა სარკმელია.

ეკლესიის ძვ. ნაწილი ცილინდრული კამარითაა გადახურული, აღდგენილი ნაწილი კი – ხის კოჭებზე დაწყობილი ღარისებრი კრამიტით.

გ. რჩეულიშვილი.

081. სანაგირის ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ზემოთ (სამხრ.-დას-ით), ექვსიოდე კმ-ზე, წილიანახევის ერთ-ერთ თხემზე, ხშირ ტყეში. ადრე, როგორც ჩანს, აქ მონასტერი ყოფილა, რ-იც აერთიანებდა სამ ეკლესიას – ბაზილიკას, დას-ის ორსართულიანი კარიბჭით, და ბაზილიკაზე, სამხრ-იდან და ჩრდ-იდან, ოდნავ მოგვიანებით მიშენებულ მცირე ეკლესიებს.

დასახლების (სანაგირე) წარმომავლობა გაურკვეველია, ხალხური ეტიმოლოგიით იგი მომდინარეობს სიტყვა უნაგირიდან, რაც ეკლესიის ადგილმდებარეობითაა გამოხატული – მთას, რ-ზედაც ეკლ. დგას, უნაგირის ფორმა აქვს და ეკლესიაც თითქოს მთის უნაგირზე ზის; ბაზილიკაზე დაცულ

XVIII ს-ის წარწერაში კი, იგი მოხსენიებულია „სანგირეთ მღვთის მშობლის ბრწყინვარე ეკლესიად“.

მონასტერს გარს ეკლებოდა დაბალი გალავანი, რ-ის ჩრდ.-დას. ნაწილში მოწყობილია შესასვლელი. გალავნის გარეთ (25-30 მ-ზე), სამხრ.-აღმ-ით, ნაგებობის ნაშთია, ხოლო ჩრდ.-აღმ-ით – მარანი.

ბაზილიკა შთამბეჭდავი, მოზრდილი ნაგებობაა (გარეთა ზომები: სიგრ. – 20,3 მ, სიგ. – 13,8 მ). განეკუთვნება X ს-ის მიწურულს. მიუხედავად ორდინარული სამშენებლო მასალისა, დეკორატიული თვალსაზრისით იგი საკმაოდ გაზრებულადაა გამოყვანილი. კედლები რიყის ქვითა და აგურითაა ნაშენი, აფსიდი, კონქი, კამარები, თაღები და პილასტრები აგურისაა. შიგნით ბაზილიკა მთლიანად შეღებილი ყოფილა.

ბაზილიკის მთავარი ნავი, რიც გვერდის ნავებისაგან გამიჯნულია ბოძების ერთი წყვილით, აღმ-ით ნალისებრი აფსიდითაა დასრულებული. აფსიდის წინ ღრმა ბემაა, რ-ის კამარასა და აფსიდის კონქს შორის საკმაოდ მაღალი „შუბლია“. საკურთხეველში სამი დიდი თაღოვანი სარკმელი და ორი მცირე ნიშაა. ქვემოთ კედელს ორსაფეხურიანი ჩამოსაჯდომი გასდევს, რ-ის შუაში, ცენტრ. სარკმლის ქვემოთ, გამოყვანილია პატარა შემაღლება – მონასტრის წინამძღვრის ადგილი. აფსიდის შუაში დგას დრდი, კუბური ფორმის ტრაპეზი.



081. გეგმა

გვერდითი ნავების აღმ. ბოლოში გეგმით თითქმის კვადრ. და ნახევარწრიული აფსიდით დასრულებულ განაპირა ოთახებს სათავსებია – სამკვეთლო და სადიაკვნე, რ-ებიც შესაბამის ნავს დას. კედელში გაჭრილი თაღოვანი კარით უკავშირდებია. სადიაკვნეს შესასვლელი გარედან გადახურულია ქვის ხლუდარით, შიგნით კი თაღოვანია. სამკვეთლოს შესასვლელიც თარაზულადაა გადახურული, თუმცა მას ორივე მხრიდან წყობაში მოქცეული თაღები აქვს.

სამკვეთლო განიერი თაღოვანი გასასვლელით საკურთხეველთანაცაა დაკავშირებული. ორივე სათავსის აფსიდში თაღოვანი სარკმელია, რ-თა ქვემოთ, კედელზე ტრაპეზია მიდგმული. სამკვეთლოს აფსიდში, სარკმლის ორივე მხარეს თითო სწორკუთხა ნიშაა. აფსიდის სარკმლის გარდა, სამკვეთლოს ჩრდ., ხოლო სადიაკვნეს სამხრ. კედელში მოწყობილია თითო მრგვალი სარკმელი.

სამკვეთლოსა და სადიაკვნის თავზე გეგმით სწორკუთხა და ცილინდრული კამარით გადახურული თითო სათავსია, აღმ-ით თაღოვანი სარკმლით და პატარა ღიობით დას-იდან. სათავსებში ასასვლელად, როგორც ჩანს, ხის მისადგმელ კიბეს იყენებდნენ.

მთავარი ნავი გვერდით ნაგებთან ორ-ორი თანაბარი სიმაღლის, მაგრამ სხვადასხვა სიგანის თაღითაა დაკავშირებული. ოთხივე თაღი მთავარი ნავის მხრიდან ორსაფეხურიანია. საკურთხევლის მიმდებარე თაღები ორჯერ უფრო განიერია. მათ ქუსლებთან გამოყოფილია იმპოსტები – აღმ. მხარეს მაღალი თაროა, რ-იც აგურის სამი რიგითაა გამოყვანილი, ხოლო დას-ით – შირიმის ქვაში გამოკვეთილი ლილვი.

შუა ნავის ცილინდრული კამარის საბჯენი თაღები ორ წყვილ პილასტრს ეყრდნობა. პილასტრების აღმ. წყვილი და მათზე გადაყვანილი საბჯენი თაღი ნავში საკურთხევლის სივრცეს გამოყოფს. პილასტრები დასრუ-



081. გრძივი ჭრილი, ხედი ჩრდ.-კენ

ლებული ყოფილა თაროსებრი კაპიტელებით, რ-ებიც მოგვიანებით (როგორც ჩანს მოხატვის დროს) ჩამოუმტვრევიათ. ნავების დამაკავშირებელი განიერი თაღების მალებში, აღმ. გვერდზე მიშენებულია კუბური ფორმის მაგიდა ხატების დასასვენებლად. მთავარი ნავის სამხრ. და ჩრდ. კედლებში სამ-სამი განიერი და მაღალი თაღოვანი სარკმელია: ორ-ორი – განიერი მალის, ხოლო თითო – მცირე მალის ზემოთ.

დას. კედელში კარიბჭეში გასასვლელი მაღალი კარია, მის ზემოთ – პატრონიკეს უფრო პატარა ღიობი და კიდევ უფრო მაღლა – თაღოვანი სარკმელი.

სამხრ. და ჩრდ. ნავების გარეთა კედელში, შუა ნავის ჯიწრო თაღის პირდაპირ, თაღოვანი სარკმელია, ხოლო განიერი თაღის პირდაპირ – ტიმპანით დასრულებული განიერი და მაღალი კარი. მეორე ასეთივე კარია მათ დას. კედელში. ამ კარებით ისინი დას. კარიბჭეს უკავშირდებიან.

ბაზილიკაში შემორჩენილია განვით. შუა საუკუნეებში შესრულებული მ ხ ა ტ ვ რ ო ბ ი ს მეტად დაზიანებული ფრაგმენტები. საკურთხეველში, სამხრ. მხარეს, სარკმლის გასწვრივ გაირჩევა ორი ფრონტალური ფიგურა (საეარაულოდ ეკლესიის მამები). ცალკეულ წმინდანთა გამოსახულებანი, დიდი ზომის სხეულითა და ტერფებით შემონახულია ბემის კედლებზე (სამხრით ერთიმეორის ზემოთ რეგისტრის ხაზით გაყოფილი ორ-ორი ფიგურაა, ხოლო ჩრდ-ით – მხოლოდ ორი) და სარკმლის წირთხლებზე. საკურთხეველის მოხატულობა დასრულებულია ორნამენტის ზოლით.

ცენტრალურ ნავში, სამხრ. კედლის დას. მონაკვეთზე შემორჩენილია რაღაც სცენის მცირე ნაწილი (ნაგებობა) და მის ფონზე წარმოდგენილი წმინდანები. ცალკეული ფიგურები გაირჩევა დას. კარის ტიმპანში. ერთ-ერთი მათგანი ბავშვია. სამხრ.-დან ბოძიდან დას. კედელზე გადაცანილი თაღის სოფიტის ცენტრში ვარის გამოსახულებაა, ხოლო ამავე ბოძის სამხრ. წახნაგზე, მთელი ტანით წმინდანია გამოსახული. ტაძარში შემონახული სხვა ფრაგმენტები იმდენადაა დაზიანებული, რომ მათი გარჩევა შეუძლებელია.

მხატვრობის კოლორიტში ჭარბობს ოქროსფერი ოქრა, მოწითალო-აგურისფერი, ღია მწვანე, ცისფერი. წმინდანთა მონუმ. და დეკადი გამოსახულებანი და ოსტატურად შესრულებული ორნამენტი, მოხატულობას განვით. შუა საუკუნეების ძეგლებთან აკავშირებს.

დას. კარიბჭე ბაზილიკასთან ერთადაა გამოყვანილი. შესასვლელი მას დას. კედლის შუაში აქვს. კარი თაღოვანია. მოგვიანებით ღიობში ისრული თაღი ჩაუშენებიათ და იგი მნიშვნელოვნად დაუდაბლებიათ. შიგნით კარიბჭე პილასტრების ორი წყვილითა და მათზე დაყრდნობილი საბჯენი თაღებით გაყოფილია სამ კვადრატულ ნაწილად. მათგან შუა შეკრული კამარითაა გადახურული, გვერდითები კი – კოლოფა კამარით. გვერდის ნაწილებს დამოუკიდებელი შესასვლელები სამხრ-იდან და ჩრდ-იდან აქვთ.



081. აღმ. ფასადი

ბი კი – ცალფერდა სახურავით, ქანობით ჩრდ-კენ. შესასვლელი შუა ნაწილის ჩრდ. კედელშია



081. ბაზილიკა. ინტერიერი, მთავარი ნავი, ხედი აღმ-კენ

ორივე მათგანის აღმ. კედელში კარია, რ-იც შესაბამის ნავში გადის, ხოლო დას-ით – მაღალი და განიერი თითო თაღოვანი სარკმელი.

კარიბჭის სამხრ. ნაწილის დას. კედლის კამარის დასაწყისში, მოწყობილია პატარა ღიობი, საიდანაც იწყება II სართულზე ასასვლელი მილისებრი ხვრელი.

კარიბჭის II სართული შედგება თანაბარი ფართობისა და ერთმანეთთან დაკავშირებული სამი კვადრ. სათავსისგან. შუა სათავსის დას. კედელში, ეკლესიაში გამავალი ღიობის მოპირდაპირედ, მაღალი, თაღოვანი სარკმელია, ხოლო გვერდის ნაწილების დას. კედლის – თითო პატარა მრგვალი სარკმელი. ჩრდ-ით მდებარე სათავსს ერთი პატარა სარკმელი ჩრდ-იდანაც აქვს.

ბაზილიკაზე ჩრდ-იდან მიშენებული ეკლ. მთლიანად აგურისაა, განეკუთვნება X-XI სს. მისი შუა ნაწილი, რ-იც ორი წყვილი პილასტრითა და მათზე დაყრდნობილი თაღებითაა გამოყოფილი, აღმ. და დას. ნაწილების მიმართ რამდენადმე შემაღლებულია და ორქანობიანი სახურავითაა დაფარული. დანარჩენი ბაზილიკის შესასვლელის პირდაპირ. აღმ-ით, საკურთხევლის ნახევარწრიულ აფსიდში, თაღოვანი სარკმელი და მის ორსავე მხარეს მდებარე, თითო მცირე ზომის ნიშაა. ერთი მსგავსი სარკმელი დას. კედელშია, ორი – ჩრდით. მათგან ერთი აღმ. ნაწილშია, ხოლო მეორე – შესასვლელის ზემოთ. საკურთხეველი ნავის დანარჩენი სივრცისაგან კანკელითაა გამოყოფილი. საკურთხეველში, სარკმლის ქვემოთ, დგას ორხაზნაგა ტრაპეზი. დას. ნაწილის ჩრდ. კედელში მცირე ზომის სწორკუთხა ნიშაა. ეკლესიის სამიეე ნაწილი გადახურულია ცილინდრული კამარით, ხოლო შუა ნაწილის კამარის ღერძი ბაზილიკის ჩრდ. კედლის პერპენდიკულარულია.

ბაზილიკას სამხრ-იდან, მთელ სიგრძეზე, ეკვრის XI-XII სს-ში აგებული, საკმაოდ განიერი და ვრცელი, მაგრამ შედარებით დაბალი, ეკლ. იგი გადახურულია კოლოფა კამარით ერთ საბჯენ თაღზე, რ-იც ეყრდნობა გრძივი კედლების ერთსაფეხურიან პილასტრებს. ეკლ. მთლიანად რიყის ქვისაა, მხოლოდ აღმ. და დას. ფასადებია მოპირკეთებული შირიმის წესიერი ფორმის თლილი კვადრებით, რ-ებიც დაწყობილია თანაბარი სიმაღლის სწორ რიგებად. შესასვლელი ეკლესიას დას-იდან აქვს. მეორე კარი ბაზილიკის სამხრ. ნავიდანაა. აღმ-ით ნახევარწრიული ფორმის შვერილი აფსიდია. ინტერიერი განათებულია ოთხი თაღოვანი სარკმლით (თითო-თითო – აღმ-ით და დას-ითა, ორი – სამხრ-ით). ეკლ. გადახურულია ორქანობიანი სახურავით.

შიდა სივრცის მსგავსად იმპოზანტური და შთამბეჭდავია ბაზილიკის გარეგანი სახეც.

ბაზილიკის დას. ფასადს შეადგენს ორსართულიანი კარიბ-



082. ხედი ჩრდ-აღმ-იდან

ჭის ერთიანი კედელი, რ-იც დასრულებულია ორფერდა სახურავით, და ოდნავ წინ, შუა ნავის აზიდული კედლის სიბრტყე, პატარა სარკმლით შუაში. ამავე ვერტიკალზეა განლაგებული კარიბჭის II სართულის აგურით ნაწყობი დიდი სარკმელი და მის ქვემოთ, კარიბჭეში შესასვლელი თაღოვანი კარი, რ-იც შირიმის კვადრებითაა მოპირკეთებული. კარის ორივე მხარეს, I სართულის განაპირა ნაწილებზე, შირიმის სუფთად გათლილი ქვებით გამოყვანილი თითო თაღოვანი სარკმელია. ფასადის ზედა ნაწილში, სარკმლის გვერდებზე, აგურისა და რიყის ქვის ერთიან წყობაში, ჩასმულია თითო მოზრდილი შირიმის კვადრ. ფილა, რ-შიც ამოჭრილია მრგვალი სარკმელი (ჩრდ-ით მდებარე სარკმლის ღიობს ირგვლივ სადა ლილვი ეკვლება). გარდა ამისა, სართულების საზღვარზე, შესასვლელის სამხრით, კიდევ ერთი მრგვალი სარკმელია, რ-იც კარიბჭის II სართულზე ასაძრომ ხვრელს აშუქებს.



081. ბაზილიკა, აღმ. ფასადი, საკურთხევლის აფსიდის შეერილი, დეტალი

კარიბჭე გადახურულია ორფერდა სახურავით, რ-ის ბოლოები ბაზილიკის გვერდითი ნაგების სახურავებთანაა შერწყმული.

ბაზილიკის ჩრდ. ნავის ფასადი, რ-ის უმეტესი ნაწილი ამ მხრიდან მიშენებული ეკლესიითაა დაფარული, მოპირკეთებული იყო სუფთად გათლილი შირიმის კვადრების სწორი რიგებით. კედლის დას. ნაწილში არსებულ მაღალ თაღოვან სარკმელს, რ-ის საზღვარზეც მიშენებული ეკლ. მთავრდება, განიერი, პროფილირებული საპირე ეკვლება. სავარაუდოა, რომ მსგავსი საპირე ჰქონდა სამკვეთლოდან გამომავალ მრგვალ სარკმელსაც (ჩანს მხოლოდ შიგნიდან). სარკმლებს შორის ბაზილიკაში შესასვლელი კარია. მთავარი ნავის ჩრდ. კედელი კი მთლიანად აგურითაა ნაწყობი. ამ კედელზე, გარდა სამი დიდი სარკმლისა, რიტმულადაა განლაგებული ყრუ თაღები. მათ ზემოთ, ფასადის მთელ სიგრძეზე, ვერტიკალურად დაყენებული აგურებით გამოყვანილია ფიგურული არშია. კედელი დასრულებულია მაღალი ლავგარდნით, რაც ჩვეულებრივად დალაგებული და კუთხით შვერილი აგურის რიგების მონაცვლეობითაა შედგენილი. ამგვარადვეა გაფორმებული მთავარი ნავის სამხრ. კედელიც.

ბაზილიკის აღმ. ფასადი ძირითადად აგურითაა ნაწყობი. რიყის ქვა ჩართულია მხოლოდ აფსიდების შვერილებში, აგურის სახეებიან წყობაში, სარკმლის საპირეები შირიმისაა. საკურთხევლის აფსიდის შვერილის ზემოთ აღმართულია მთლიანად აგურით ნაწყობი და მაღალი ლავგარდნით დასრულებული მთავარი ნავის სწორი კედელი, რ-იც შორთულია პატარა სწორკუთხა შეღრმავებით და მასში ჩაწერილი, აგურისავე წყობით გამოყვანილი რელიეფური ჯვრით. შუა აფსიდის მძლავრ გამონაშვერში გაჭრილ სამივე სარკმელს, შირიმის პროფილირებული საპირე ეკვლება, რ-ებიც ერთმანეთს შირიმისავე თაღებით უკავშირდებიან. ამ ძირითად დეკორატიულ მახვილს ემატება კედლის ფიგურული და ფერადოვანი წყობა – სარკმლებს ზემოთ და ქვემოთ. სარკმლებს ზემოთ რიყის ქვის სამი რიგი, აგურის სამი რიგისგან შედგენილ შრეებს შორის არის მოქცეული. მათგან რიყის ქვის ზედა რიგში, ქვებს შორის თითო აგურია ჩადგმული – ვერტიკალურად. სარკმლებს ქვემოთ კვლავ წყობის რიგების მონაცვლეობაა: რიყის ქვის ერთი რიგი (ქვებს შორის ვერტიკალურად ჩადგმული სამ-სამი აგური), აგურის სამი რიგი და ა. შ.

გვერდის აფსიდების სარკმლებიც შირიმის პროფილირებული საპირეებითაა მორთული. მათ გვერდებზე და ქვემოთ კედლის წყობა ისეთივეა, როგორიც მთავარ აფსიდზე.

სამხრ. ეკლესიის აღმ. ფასადზე სარკმელი კედლის სიბრტყეში ჩაჭრილი თამასითაა მორთული. ასევე პროფილირებული თამასა ევლება დას. სარკმელსაც. მის ზემოთ ოთხი კვადრ. შვერმა-



081. ეკლესია მონასტრის ჩრდ.-აღმ-ით, გეგმა

ეებაა, რ-თა ერთობლიობა ჯვრის სახეს ქმნის. სარკმლის ქვემოთ, საფეხურით შელრმავებულ თაღო-



081. ეკლესია მონასტრის ჩრდ.-აღმ-ით. ხედი ჩრდ.-დას-იდან

ვან არეში ჩასმული სწორკუთხა შესასვლელია. ფასადზე შემორჩენილია თავდაპირველი ლავგარდნის ფრაგმენტები, რ-ის პროფილს დახრილი სიბრტყე და ლილვი შეადგენს. ეკლ. გადახურულია ორფერდა სახურავით.

1990-იანი წლების დასაწყისში სჰეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნომ ძეგლზე დაიწყო აღდგენითი სამუშაოები (პროექტის ავტორი არქიტ. ი. მოსულიშვილი), რ-იც მოკლე ხანში შეწერდა.

მონასტრის ჩრდ-აღმ-ით, ასიოდე მ-ზე, დგას მცირე ზომის, ე. წ. ტეტრაკონქის ტიპის ე კ ლ ე ს ი ა, რ-ისგანაც, მეტ-ნაკლებად, მხოლოდ აღმ. და სამხრ. აფსიდებიღა დგას (მაქს. სიმ. დაახლ. – 3,5 მ). დას. და ჩრდ. აფსიდები კი თითქმის მთლიანადაა დანგრეული, თუმცა მათი კონტური მთელ პერიმეტრზე იკითხება.

ეკლ. სავარაუდოდ VI-IX სს. შორის პერიოდითაა დათარიღებული. იგი ნაშენია სხვადასხვა ზომის (ძირითადად მოზრდილი) რიყის ქვით. წყობა ირეგულარულია. ერთადერთი შესასვლელი (იკითხება ერთი წირთხლი) დასიდანაა, შესაბამისი აფსიდის ღერძზე.

ნაგებობის შიდა სივრცეს (ზომები ღერძებზე: – 3,5×3,5 მ) შეადგენს გუმბათქვეშა კვადრ. და მასთან ოთხივე მხრიდან დაკავშირებული არასრული ნახევარწრის ფორმის აფსიდი, რ-ელთა გარე მოხაზულობა მათ შიდა მოხაზულობას იმეორებს. აღმ. აფსიდის ღერძზე გაჭრილია გარეთკენ შეიწროებული, თხელი ქვის ფილით თარაზულად გადახურული სარკმელი. სარკმლის წირთხლებში შემორჩენილია აგურის ნაშთები (გვიანდელია?). სარკმლის ქვემოთ, კედელზე, მიდგმულია რიყის ქვით ნაშენი ტრაპეზი (შემორჩენილია ნაშთი).

ეკლესიის ცენტრ. ნაწილში, აღმ.-დას. ღერძზე დამხრობილი, ქვის ორი ფილით გადახურული საფლავია.

ეკლესიის სამხრ-ით, სამიოდე მ-ზე, გაურკვეველი დანიშნულების (ეკლესიის?) ნაგებობის ნანგრევია, რ-ის გეგმის კონტურის დადგენა გასუფთავების გარეშე არ ხერხდება.

ფ. დუდარიანი, თ. დვალი.

ბიბლ.: 202 გ; 237; 239; 240; 335.

082. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. მდგარა სოფლის სამხრ.-დას. ნაწილში, თადიაანთ უბანში. მთლიანად დანგრეულია. შემორჩენილია რიყის ქვების გროვა. XX ს-ის 90-იან წწ-ში სოფლის მოსახლეობას ნაეკლესიარზე აუგია პატარა ოთხკუთხა ნიში (1,4×1 მ, სიმ. – 1,6 მ), რ-იც შელესილ-შეთეთრებულია და კრამიტის ორკალთა სახურავი ხურავს. ნიშის ჩრდ-ით ოთხიოდე მ-ზე, პატარა ნაგებობის ნანგრევებიდან ამოსული მცირე ზომის ქვაბურებით ნაგები.

თ. მარკოზაშვილი.

083. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. მდგარა სოფლის სამხრ.-დას. ნაწილში (თადიაანთ უბანში), ვ. მთვარელიშვილის ეზოში. მთლიანად დანგრეულია. შემორჩენილია რიყის ქვების გროვა.

გ. რჩეულიშვილი.

084. ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში. განეკუთვნება VI ს-ის II ნახევარს.

ეკლ. მოზრდილი სამნავიანი ბაზილიკაა (გარეთა ზომები: სიგრ. – 18,5 მ, სიგ. – 10,8 მ), ნაგებია წესიერი ფორმის საკმაოდ მოზრდილი რიყის ქვის სწორხაზოვანი რიგებით. სამხრ-იდან, დას-იდან და ჩრდ-იდან მიშენებული აქვს ერთიანი გარშემოსაველი, რ-ის გვერდის ნაწილების აღმ. ბოლოში გეგმით ნახევარწრიული, უსარკმლო აფსიდებია.



084. გეგმა

ბაზილიკის შიდა სივრცე ორი წყვილი ბურჯით სამ ნავადაა გაყოფილი. შუა ნავი გვერდის ნავებზე სამჯერ უფრო განიერია და გაცილებით მაღალი (შიგნით სიმ. დაახლ. 12 მ-ია). აღმ-ით იგი დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით, რ-ს წინ ღრმა ბემაა. გვერდის ნავების აღმ. ბოლოში თითო სწორკუთხა სათავსია – სამკვეთლო და სადიაკვნე, რ-ებიც კედლით არის გამიჯნული ნავისგან და მას კარით უკავშირდება.

ეკლესიის მთავარი ნავი კარგადაა განათებული: ერთი მაღალი, განიერი თაღოვანი სარკმელი საკურთხეველშია, სამ-სამი კი – სამხრ., დას. და ჩრდ. კედლებში. დას. კედელში არსებული სარკმლები შეჯგუფებულია (ორი – გვერდიგვერდ, მესამე კი – მათ ზემოთ). როგორც ჩანს, სამ-სამი სარკმელი იყო გაჭრილი გვერდის ნავების გრძივ კედლებშიც. ამჟამად გვერდითი ნავების განათების საფარაუდო სისტემიდან შემორჩენილია: ორი სარკმელი სამხრ-ით – ნავების დამაკავშირებელი, აღმ-იდან I და II თაღების ღერძის ხაზზე, ხოლო ერთი ჩრდ. ნავის ჩრდ. კედლის დას. ნაწილში – ნავების დამაკავშირებელი დას. თაღის მოპირდაპირედ. სამივე სარკმელი შიგნიდან საკმაოდ მაღალია (სიმ. – 2,3 მ). მათი დიდი ნაწილი გარედან გარშემოსავლელის კორპუსითაა დაფარული. სამკვეთლოს და სადიაკვნის აღმ. კედელში თითო თაღოვანი სარკმელია.

ბაზილიკის შუა ნავი კოლოფა კამარითაა გადახურული, გვერდითი ნავები კი – ნალისებრი კამარით, რ-ებიც დაყრდნობილია ოთხ ნახევარწრიულ საბჯენ თაღზე, თვით თაღები – კონსოლებზე. ორი მათგანი ნავების გამმიჯნავი ბოძების ასწვრივაა, ხოლო დანარჩენი ორი – კამარის ბოლოებში. ნავების დამაკავშირებელ თითქმის ყველა თაღს მკვეთრად გამოსახული ნალისებრი ფორმა აქვს (ზოგიერთი მათგანის სახეცვლილება რემონტის შედეგია). თაღების ჭუსლებთან გამოყოფილია მარტივი თაროსებრი იმპოსტები. სამკვეთლო და სადიაკვნეც გადახურულია კოლოფა კამარით, რ-იც გვერდის ნავების კამარების დონეზეა.

ეკლესიას სამი შესასვლელი აქვს: სამხრ-იდან, ჩრდ-იდან და დას-იდან. მოგვიანებით ყველა კარი რამდენადმე დაუვიწროებიათ, ჩრდ. კარი კი ნაწილობრივ ამოუშენებიათ. სამხრ. და ჩრდ. შესასვლელები სწორკუთხაა და შიგნიდან ნალისებრი თაღით დასრულებულ შეღრმავებაშია ჩასმული. დას. შესასვლელი ძლიერ გადაკეთებულია. იგი, ისევე როგორც სამკვეთლოსა და სადიაკვნის შესასვლელები, შეისრულთაღოვანია. ბაზილიკის სამივე კარის პირ-



084. განივი ჭრილი, ხედი აღმ-კენ



084. სამხრ. ფასადი



084. ინტერიერი, გარშემოსავლელის სამხრ. ფრთა, ხედი დას.-კენ

დაპირ მოწყობილია გარშემოსავლელის შესასვლელები, რ-ებიც ჩრდ-ით და სამხრ-ით სამმალიანია, ხოლო დას-ით – ერთმალიანი. შუა მალები განაპირებზე უფრო განიერი და მაღალია და მათგან ბოძებითაა გამიჯნული. სამივე შესასვლელის თაღები გამოყვანილია თხელი და საკმაოდ გრძელი რიყის ქვის რადიალური წყობით, რაც სამივე ფასადზე მძლავრ დეკორატიულ მახვილს ქმნის.

ეკლესიის გარშემოსავლელი ბაზილიკის გვერდით ნაგებზე ორჯერ უფრო განიერია და სხმული კამარა ხურავს, რ-იც დაყრდნობილია ბაზილიკის კედლებზე მიდგმული სწორკუთხა ბოძებზე გადაყვანილ თაღებზე. თაღები სხვადასხვა ზომისაა. ბაზილიკაში შესასვლელების წინ არსებული თაღები დანარჩენებზე უფრო დიდია. განსხვავებულია მათი რაოდენობაც: დას. კედლის გასწვრივ 5 თაღია, სამხრ. კედლის გასწვრივ – 7, ხოლო ჩრდ. კედლის გასწვრივ – 6.

ნაგებობის ფასადები სადაა. მხოლოდ მთავარი ნავის გრძივი კედლებია მორთული შელრმავებული დეკორატ. თაღებით. მათგან სამი წარმოდგენილია შეწყვილებული თაღით. აღმ. განაპირა თაღები კი, ორივე ფასადზე ცალმაგია და დანარჩენ თაღებზე გაცილებით უფრო ღრმაა. მიუხედავად ამ განსხვავებისა, როგორც ჩანს, მთელი ეს დეკორატ. არკატურა თავდაპირველია.

აღმ. ფასადზე საკურთხეველის სარკმელი გაწყობილია რელიეფური, ჰორიზონტალურ გადანაკეცებიანი სადა თაესართით. იგივე ფორმისაა გვერდითი პატარა სარკმლების თავსართებიც, ოღონდ მათ პროფილს ორი სადა ლილვი და მათ შორის მოქცეული გრეხილი შეადგენს. ბაზილიკის შუა ნავის სამხრ. და ჩრდ. სარკმლებიც თავსართებით იყო მორთული. სამხრ. სარკმლებიდან იგი მხოლოდ შუა სარკმელს შემორჩა, ჩრდ. სარკმლებიდან კი – სამივეს, რ-თაგანაც ორზე დეკორატ. ჯვარია დადგმული. ფასადები დასრულებულია ლავგარდნით, რ-იც შედგენილია მონაცვლეობით გადმოშვერილი ქვის წყობის ორი რიგისაგან.

ეკლ. გადახურულია კრამიტით.

2011 წ. საერთაშ. საქველმოქმედო ფონდ „ქართუს" დაფინანსებით ეკლესიას ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები (პროექტის ავტორი, არქიტ. ნ. მინდორაშვილი). შებათქაშდა გარეთა კედლები, გარშემოსავლელში დაიგო აგურის იატაკი, ეკლ. გადაიხურა კრამიტით.

ეკლესიის სამხრ.-აღმ-ით, დაახლ. 25 მ-ზე, შემორჩენილია გეგმით თითქმის კვადრ. (შიდა ზომები: აღმ.-დას. ღერძზე – დაახლ. 3 მ, სამხრ.-ჩრდ. ღერძზე – დაახლ. 2,5 მ), რიყის ქვით ნაშენი ნაგებობა, რ-საც სოფლის მაცხოვრებლები „მისალოცს" უწოდებენ. შენობა თითქმის მთლიანად მიწაშია ჩამჯდარი, ხოლო ინტერიერის მნიშვნელოვანი ნაწილი მიწითა და ნანგრევებითაა ამოვსებული ისე, რომ გათხრა-გასუფთავების გარეშე მისი დანიშნულებისა და გეგმარების ზუსტად გარკვევა არ ხერხდება.



084. ხედი სამხრ.-აღმ-იდან



084. აღმ. ფასადი, სამკვეთლოს სარკმელი

ერთადერთი ვიწრო და დაბალი შესასვლელი შენობას დასავლიდან აქვს – კედლის შუაში. შესასვლელის მოპირდაპირე მხარეს პატარა ოთხკუთხა სარკმელია. შესასვლელისა და ღიობის გვერდებზე, ერთმანეთის სიმეტრიულად, თითო თაღოვანი ნიშაა, სამხრ. და



084. ნაგებობის ნაშთი ეკლესიის სამხრ.-აღმ-ით

ჩრდ. კედლებზე კი – თითო ყრუ თაღი (სოფლის მაცხოვრებლების გადმოცემით ჩრდ. თაღში იწყებიდა კამაროვანი გვირაბი). შიგნით ნაგებობა გადახურული ყოფილა მრავალნაწილიანი შეკრული კამარით, რ-ის რეაწახნაგა საფუძველი იქმნებოდა ოთხი ტრომპის მეშვეობით.

თ. დვალი.

ბიბლ.: 323; 335.

085. ყველაწმინდის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის მიდამოებში, დაახლ. 0,5 *კმ*-ზე. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს დიდ ველს უწოდებს.



085. გეგმა

ეკლ. დარბაზულია (6,7×4,7 *მ*), განეკუთვნება განვით. შუა საუკუნეებს(?). შენობა ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვით. წყობა ირეგულარულია. ძლიერ დაზიანებულია. ჩამონგრეულია კამარა, დანგრეულია დას. კედლის ზედა ნაწილი, სამხრ., დას. და ჩრდ. კედლებს, მთელ სიმაღლეზე, განიერი ბზარები დაუყვება.

ერთადერთი შესასვლელი დას-იდანაა. კარი სწორკუთხაა. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-შიც გაჭრილია გარეთკენ დაიწროებული სარკმელი, სარკმელს თარაზული გადახურვა და საფეხურებად დამუშავებული რაფა აქვს. სარკმლის ორივე მხარეს თითო, გეგმით ნალისებრი, ღრმა ნიშაა. ორივე ნიშა ერთმანეთზე კუთხით მიყრდნობილი ორ-ორი ბრტყელი ქვითაა გადახურული. საკურთხეველის სარკმლის გარდა თითო სწორკუთხა სარკმელია სამხრ. და ჩრდ. კედლებში.

ბ. კუპრეიშვილი.

086. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-დას-ით 1 *კმ*-ზე, ტყეში. განეკუთვნება განვით. შუა საუკუნეებს(?).

ეკლ. დარბაზულია (5,7×4 *მ*), ნაგებია მსხვილი და საშუალო ზომის რიყის ქვით. გარე კუთხეებში საგანგებოდ შერჩეული რიყის ქვებია გამოყენებული. წყობა ირეგულარულია.

ეკლესიაში შესასვლელი დას-იდანაა. კარი სწორკუთხაა. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-შიც სწორკუთხა, გარეთკენ თანდათან დაიწროებული სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ორივე მხარეს თითო სწორკუთხა ნიშაა, ხოლო ქვემოთ, კედელზე, ოთხწახნაგა ტრაპეზია მიდგმული. მეორე ასეთივე ტრაპეზი მიშენებულია აფსიდის ჩრდ. გვერდზე (შემორჩენილია მცირე ნაწილი). იგი, როგორც ჩანს, სამკვეთლოდ გამოიყენებოდა.

აფსიდი წესიერი ფორმის კონქითაა გადახურული. კონქის თაღი ნახევარწრიულია. საკურთხეველი დარბაზის იატაკთან შედარებით ერთი საფეხურითაა შემაღლებული. დარბაზი გადახურული იყო ცილინდრული კამარით (შემორჩენილია სამხრ. გვერდის მცირე ნაწილი).

ეკლ. დაბურული ყოფილა ღარისებრი კრამიტით.

თ. მარკოზაშვილი.

087. წმ. გიორგის ეკლესია, ხარკარიანი, არქიტ. ძ. შედარებით ობს სოფლის ჩრდ.-აღმ-ით 1 კმ-ზე. განეკუთვნება VI ს.

ძ. სამეკლესიანი ბაზილიკაა, ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვით. გარეთა კედლები ნაწყობია შედარებით მოზრდილი ქვებით, რ-თა შორის დარჩენილი არეები ამოვსებულია წვრილი ნატეხი ქვითა და კირის დუღაბით. წყობა ირეგულარულია, ტლანქი. მთავარი ეკლესიის გარეთა კუთხეებისათვის შერჩეულია განსაკუთრებით დიდი ზომის და შედარებით წესიერი ფორმის ქვები.

ძლიერ დაზიანებულია: სამხრ. ნაწილი, რ-იც მთავარ ეკლესიას



087. ინტერიერი, მთავარი ეკლესია, ხედი აღმ-კენ

მთელ სიგრძეზე გასდევდა, მთლიანად დანგრეულია, დას. გარშემოსავლელის ფრაგმენტებია შემორჩენილი; ჩამონგრეულია შუა ეკლესიის კამარის დას. ნახევარი, კედლების ზედა ნაწილები და სამხრ.-აღმ. კუთხე, ფასადებზე ალაგ-ალაგ ამოცვენილია საპირე ქვები.

ეკლესიის მთავარ სადგომს (გარეთა ზომები: სიგრ. – 12,5 *მ*, სიგ. – 6 *მ*) ორი შესასვლელი აქვს: სამხრ-იდან და დას-იდან. ორივე კარი გარედან ქვაშაქვის თხელი ქვით თარაზულადაა გადახურული, შიგნიდან კი – რიყის

ქვებით ნაწყობი ნახევარწრიული თაღით. აღმ-ით ორსაფეხურიანი მხრებით გამოყოფილი, დარბაზის იატაკის მიმართ ოდნავ შემაღლებული ნალისებრი აფსიდია, რ-შიც მაღალი, ნალისებრი თაღით გადახურული სარკმელი (ქვედა ნაწილი მოგვიანებით ამოუშენებიათ) და მის ორსავე მხარეს მდებარე თითო მცირე ზომის ოთხკუთხა ნიშაა. სარკმლის ქვემოთ სანახევროდ შემორჩენილი ოთხწახნაგა ტრაპეზია. აფსიდს მთელ სიგრძეზე გასდევს დაბალი საფეხური. აფსიდი გადახურულია წვრილი რიყის ქვით ნაწყობი კონქით. კონქის თაღი ორსაფეხურიანია, ორივე საფეხური ნალისებრია, რ-თა ქუსლებთან რიყის თხელი ქვის თაროსებრი იმპოსტებია. აფსიდის ჩრდ. ბოლოსთან შემორჩენილია რიყის ქვით ნაშენი კანკელის ფრაგმენტი. საკურთხევლის სარკმლის გარდა, შიდა სივრცეს სამხრ. კედელში გაჭრილი კიდევ ორი სარკმელი აშუქებდა, რ-ებიც ორ-ორი თხელი ქვით თარაზულადაა გადახურული.

საკურთხევლის ჩრდ-ით მოწყობილია გეგმით სწორკუთხა, ცილინდრული კამარით გადახურული სათავსი – სამკვეთლო (გარეთა ზომები: სიგრ. – 6,33 მ, სიგ. – 3,25 მ), რ-იც მთავარ ეკლესიასთან წყობითაა დაკავშირებული. სამკვეთლოში გასასვლელი კარი მთავარი ეკლესიის ჩრდ. კედლის აღმ. ნაწილშია. კარი სწორკუთხაა. მეორე შესასვლელი სამკვეთლოს დას-იდან აქვს. იგი გარედან მოზრდილი ქვის კოჭ

სოფლის სამხრ-ით, ბოსტნის-ხევის (მღვრიეხევის მარჯვ. შენა-კადი) მარჯვ. ნაპირზე ნასოფლარი განგიურია, მარცხ. ნაპირზე – ნასოფლარი ბადი-ური.

დ. ბერძენიშვილი.

ბიბლ.: 88; 89; 136.

089. ამიდასტურის წმ. გიორგის ეკლესიის კომპლექსი, არქიტ.-არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფელ-ში, მდ. აკურისხევის მარჯვ. ნა-პირზე, გურჯაან-თელავის გზის პირას.

კომპლექსში შედის ამიდას-ტურის წმ. გიორგის სახელობის სამეკლესიოანი ბაზილიკა, სვეტი-ცხოვლის სახელობის გუმბათი-ანი ეკლ. და სამაროვანი. ეკლე-სიები VII ს-ის დასაწყისს განე-კუთვნება. სამაროვნი ორიარუსია-ნია. ქვედა იარუსის სამარხები IX-X სს-იდან XIII ს-ის I ნახევრამდე პერიოდისაა, ზედა იარუსზე გან-ლაგებული კი – XIII ს-ის II ნახევრიდან ვიდრე XIX ს-მდე.



089. ამიდასტურის წმ. გიორგის ეკლესია, გეგმა

ამიდასტურის წმ. გიორგის ეკლესია მოზრ-დილი, მოხდენილი პროპორციე-ბის ნაგებობაა – (გარეთა ზომები: სიგრ. – 20,6 მ, სიგ. – 13,8 მ). ნაშენია შერჩეული რიყის ქვის სწორხაზოვანი რიგებით. შენო-ბის გეგმის სწორკუთხედში ჩა-წერილია სამი დამოუკიდებელი სადგომი. შუა, რ-იც მთავარ ეკ-ლესიას მოიცავს (შემორჩენილი იყო კამარის ქუსლის დონემდე), აღმ-ით დასრულებულია ოდნავ ნალისებრი აფსიდით. მის წინ მოკლე ბემაა. აფსიდისა და ბემის კუთხეების ზედა ნაწილები გამო-ყვანილია შირიმის ნათალი ქვე-ბით. ქვედა ნაწილები კი – კვადრ. აგურით, რაც მოგვიანებით ჩატა-რებული შეკეთების შედეგია. აფ-სიდის სამხრ. კუთხეს შემორჩა შირიმის იმპოსტი, რ-ის პროფილს შეადგენს თარო და დახრილი სიბრტყე. ანალოგიური პროფილი აქვთ ნავის სამხრ. კედელზე შე-



089. ამიდასტურის წმ. გიორგის ეკლესია, ინტე-რიერი, მთავარი ეკლესია, ხედი აღმ.-კენ

მორჩენილ კონსოლებსაც, რ-ებ-ზეც დაყრდნობილი იყო კამარის საბჯენი თაღები. ერთი კონსოლი კედლის შუა ნაწილშია, მეორე – დას. კედელთან.

ეკლესიის მთავარ სივრცეს სამი შესასვლელი აქვს – სამხრ-იდან (გადაკეთებულია), დას-იდან და ჩრდ-იდან (მოგვიანებით ამო-უშენებიათ). სამხრ. და ჩრდ. შე-სასვლელები შიგნიდან ნალისებ-რი თაღით, ხოლო გარედან თარა-ზულადაა გადახურული. დას. შე-სასვლელი კი, ორივე მხრიდან სწორკუთხაა.

საკურთხეველი – სარკმელი გარდა, კიდევ ორი სარკმელია გაჭრილი სამხრ. კედელში. საკურ-თხეველის სარკმელი შიგნიდან თაღითაა გადახურული, სამხრ. სარკმლებს კი, გადახურვა აღარ შემორჩა. მაგრამ, რაკი ღიობები კამარის ქუსლის დონეს აღწევენ, ეჭვგარეშეა, რომ ისინი შიგნიდან თარაზულად იქნებოდა გადახუ-რული.

გვერდითი ნავების აღმ. ბო-ლოში, გეგმით სწორკუთხა და კო-ლოფა კამარით გადახურული თითო სათავსია – სამკვეთლო და სადიაკვნე, რ-ებიც მთავარ ეკლე-სიას ამ უკანასკნელის გრძივი კედლების აღმ. კიდეში მოწყო-ბილი ვიწრო და დაბალი სწორ-კუთხა ღიობით უკავშირდება. სა-მკვეთლოს სამხრ. კედლის აღმ. ბოლოში დიდი ნიშაა. მსგავსი ნიშაა – სიმეტრიულად, სადიაკ-ვნის ჩრდ. კედელშიც. მისგან ოდნავ დას-ით პატარა ნიშაა. დიდი ნიშის თავზე ოთხკუთხა ღიობია, საიდანაც იწყება აფსიდის თავზე არსებულ სივრცეში ასასვლელი ხერელი. სამკვეთლოსა და სადია-კვნის იატაკი მთავარი ეკლესიის



089. ამიდასტურის წმ. გიორგის ეკლესია, ხედი აღმ-იდან

იატაკზე ოდნავ უფრო დაბლაა. მოგვიანებით ჩატარებული რემონტის დროს, სამკვეთლოში ჩასასვლელად სამი საფეხური მოუწყვიათ, აღმ. კედელზე კი, რიყის ქვითა და დულაბით ნაგები ნახევარწრიული ტრაპეზი მიუდგამთ.

ორივე სათაყვი განათებულია აღმ. კედელში გაჭრილი განიერი, მაღალი სარკმლით. სარკმლები შიგნიდან რიყის მოზრდილი ქვით თარაზულადაა გადახურული. გარედან კი, ისევე როგორც საკურთხევლის სარკმელს, გადახურვა და გვერდები ჩამოშლილი აქვთ. მხოლოდ სამკვეთლოს სარკმელს ჰქონდა შემორჩენილი შირიმის ზღუდარის ნაწილი – თაღის კვალით და შირიმისაგან საპირე ქვების ნაშთები.

სამკვეთლოსა და სადიაკვნეს დას-იდან ეკვრის გვერდითი ეკლესიები. ორივე მათგანი აღმ-ით დასრულებულია ნალისებრი ფორმის უსარკმლო აფსიდით. ჩრდ. ეკლ. შემორჩენილი იყო დას. გარშემოსავლელის საზღვრამდე, სამხრ. კი – მთავარი ეკლესიის სამხრ. შესასვლელამდე. ჩრდ. ეკლესიას ჩრდ-იდან ჰქონია დამოუკიდებელი ორმალიანი თაღოვანი შესასვლელი – თაღებს შორის მრგვალი სვეტით (შემორჩენილის ხაზზე – საბჯენი თაღი. ამაგე შეკეთების დროს სამხრ. ეკლესიის შემორჩენილი ნაწილი დასიდან მოუზღუდავთ კედლით, რშიც დაუტანებიათ პატარა სწორკუთხა შესასვლელი.

სამხრ. ეკლესიის სამხრ. კედელში მოწყობილი იყო ორ მრგვალ სვეტზე დაყრდნობილი სამმალიანი თაღოვანი შესასვლელი (შემორჩენილი იყო ორივე სვეტის ნაშთი და კედლის დას. ნაწილი 0,8 *მ* სიმაღლეზე).

ეკლესიის დას. გარშემოსავლელი თითქმის მთლიანად იყო დანგრეული. მისგან შემორჩენილი იყო სამხრ.-დას. კუთხე და დას. კედელი – დაახლ. 0,8-1 *მ* სიმაღლეზე.

ეკლესიის აღმ. კედელი დგას ლოდებით ნაწყობ ერთსაფეხურიან ცოკოლზე.

2007-2010 წწ-ში საერთაშ. საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით წმ. გიორგის ეკლესიას ჩაუტარა სარესტ. სამუშაოები (პროექტის ავტორი არჭიტ. ი. მოსულიშვილი). აღდგენილ იქნა მთავარი ეკლესიის კედლების ზედა ნაწილები, კამარა და კონქი, თითქმის ხელახლა აშენდა გვერდითი ეკლესიები და დას. გარშემოსავლელი, მთავარ ეკლესიაში დაიგო ნატეხი ქვის იატაკი, გვერდით ეკლესიებში და დას. გარშემოსავლელში კი – აგურის. შენობა გადაიხურა დარისებრი კრამიტით.

2007 წ. ეკლესიის რესტავრაციის დროს ფასადებთან აღმოჩნდა რამდენიმე სამარხი. შუა ნავის ინტერიერში, კამარის ნანგრევების ქვეშ, იატაკის დონეზე ფიქსირებულია გვიანდ. შუა საუკუნეების ხანის მოუჯიქავი კერამიკის (ჯამები, დოქები) ფრაგმენტები. სამხრ. ეკლესიასა და გარშემოსავლელში, ასევე იატაკის დონეზე, აღმოჩნდა განვით. შუა საუკუნეების მრავალფრად მოჯიქული ჯამების ფრაგმენტები.

2009 წ. არქეოლ. გათხრების დროს (ხელმძღვ. გ. რჩეულიშვილი) გაიწმინდა სვეტიცხოვლის ეკლ. და შესწავლილ იქნა სამაროვანი.

სვეტიცხოვლის ეკლესია, დგას წმ. გიორგის ეკლესიის სამხრ.-აღმ. კუთხიდან სამხრ-ით 12,5 *მ*-ზე.



089. სვეტიცხოველის ეკლესია, გეგმა

გ. ჩუბინაშვილის მიხედვით, XX ს-ის 20-იანი წწ-ის დასაწყისში ეკლესიისგან შემორჩენილი იყო: გარეთა კედლების ნაწილები და ჩრდ. მკლავის თაღი, საკურთხევლის აფსიდი, კონქის ქუსლის



089. ამოდასტურის წმ. გიორგის ეკლესია, ხედი სამხრ.-დას-იდან

დონემდე, დას. მკლავის დიდი ნაწილი და გუმბათის ყელის გარეთა კედლის ორი ქვა – ჩრდ. მკლავის თაღის თავზე. 1924 წ. ანტირელიგიური მოძრაობის დროს ეკლესიის შემორჩენილი ნაწილები მიწასთან გაუსწორებიათ.



089. სვეტიცხოვლის ეკლესია, ჭრილები: I – ხედი ჩრდ.-კენ, II – ხედი სამხრ.-კენ

მკლ. გეგმით ტოლმკლავა ჯვრის ფორმისაა – საკურთხევლის აფსიდით და სამი უაფსიდო მკლავით, რ-იც ჩაწერილია ტოლგვერდებიან რვაკუთხედში (გარე ზომები: აღმ.-დას. ღერძზე – 5,8 მ, სამხრ.-ჩრდ. ღერძზე – 5,2 მ).



089. სვეტიცხოვლის ეკლესია, ჭრილი, ხედი აღმ.-კენ

კედლები შემორჩენილია იატაკიდან 1,5-1,7 მ სიმაღლეზე. ეკლ. ნაგებია ჰორიზ. რიგებად დაწყობილი, საგულდაგულოდ შერჩეული რიყის ქვითა და დულაბით. კუთხეებში შირიმის თლილი კვადრებია გამოყენებული. შესასვლელი ჩრდ-იდანაა. გარედან შესასვლელზე მიშენებული ყოფილა კარიბჭე. საკურთხევლის აფსიდი გეგმით ნახევარწრეულია. აფსიდის კედელზე მიდგმულია რიყის ქვით ნაგები ტრაპეზი (გვიანდელია). საკურთხევლის წინ, ეკლესიის შუა ნაწილში, აბაზანის ფსკერის მსგავსი ჩაღრმავებაა. სამხრ. მკლავის სამხრ.-აღმ. კუთხეში ქვიტკირის მართკუთხა ბაქანია.

ეკლესიის ქვეშ მოწყობილია ა კ ლ დ ა მ ა, რ-ის გეგმა ეკლესიის გეგმის მოხაზულობას იმეორებს, ოღონდ მისი აღმ. მკლავი უაფსიდოა და სწორი კედლითაა დასრულებული. აკლდამა არსებითად ტაძრის სუბსტრუქციას წარმოადგენს. იგი ნაგებია რიყის ქვითა და დულაბით. შესასვლელი დას-იდან აქვს. შესასვლელზე მიდგმულია ორი გრძივი და ერთი განივი ფილაქვით შედგენილი დრომოსი (1×0,75 მ).

მოგვიანებით აკლდამაში, ზღურბლიდან აღმ. კედლამდე, ქვითკირის კედელი (სიგ. – 0,6 მ, სიმ. – 0,8 მ) ჩაუშენებიათ, რ-იც



089. სვეტიცხოვლის ეკლესია, ხედი ჩრდ.-დას-იდან

მის შიდა სივრცეს ორ ნაწილად ყოფს. ორივე ნაწილი ამოვსებული იყო მიწითა და ადამიანის ძვლებით. ძვლები მხოლოდ მამკაცებისაა. ტიხარზე, ზღურბლიდან 0,7 მ-ზე, ზრდასრული მამაკაცის ჩონჩხი აღმოჩნდა – დაკრძალულია ქრისტიანულ პოზაში. ტიხრის აღმ. ბოლოში აღმოჩნდა კიდევ ერთი მიცვალებულის მხოლოდ ქვედა კიდურები.

შიგნითა მკლავები გადახურულია ნახევარწრიული კამარით, რ-ებიც თავს აკლდამის შუაში იყრიან და ამ ნაწილის გადამხურავ ჯვაროვან კამარას ქმნიან. კამარები და კედლები შელესილია კირხსნარით. სამხრ. და ჩრდ. მკლავებში, დას. და აღმ. კედლებზე მცირე ზომის თითო ნიშაა, ხოლო ჩრდ. და აღმ. მკლავების ღერძებზე – პატარა სწორკუთხა ღიობები.

აკლდამის იატაკის ქვეშ აღმოჩენილ სამარხთაგან შესწავლილი იქნა ფილაქვებით გადახურული ერთი ორმოსამარხი. მასში დადასტურდა ერთი ზრდასრული ადამიანის ჩონჩხი, დაკრძალული ქრისტიანულ პოზაში უინვენტაროდ. აკლდამაში მოპოვებულია

განვით. შუა საუკუნეების თხელკედლიანი, წითელი და შავი სალებავებით მოხატული სასმისი, რკინის საწინამძღვრო ჯვარი და დროშის ბუნიკი.



089. სვეტიცხოველის ეკლესია, ხედი ჩრდ-იდან

სამაროვანი მდებარეობს ეკლესიების ირგვლივ. ფიქსირებულია 69, გათხრილია 64 სამარხი. სამარხების უდიდესი ნაწილი განვით. შუა საუკუნეებს განეკუთვნება. გვიანდ. შუა საუკუნეებში და XIX ს-ში სამაროვანი კვლავ მოქმედია, ოღონდ არა ისეთი ინტენსივობით, როგორც წინა პერიოდში. სტრატიგრაფიულად სამაროვანი ორიარუსიანია. ზედა იარუსს შეადგენს ციყ-გომბორის ფერდობებიდან ჩამორეცხილ ქანებში მოწყობილი სამარხები, ქვედას კი – გრუნტში ჩაშვებული სამარხები. აღმოჩნდა ორმოსამარხები, ქვაყუთები, კედლებამოშენებული სამარხები, მიწისქვეშა კამაროვანი აკლდამები. ყველა სამარხი გარდა აკლდამებისა, ფილაქვით იყო გადახურული.

ორმოსამარხები ძირითადად ინდივიდუალურია. დიდი ზომის ქვაყუთები კოლექტიური საძვალეებია; არის ბავშვების პაწაწინა ინდივიდუალური ქვაყუთებიც. კედლებამოშენებული სამარხები კოლექტიური, საოჯახო საძვალეებია. აკლდამები ნაგებია რიყის ქვითა და დულაბით. შესასვლელი ყველა აკლდამას დას-იდან აქვს. კამარა სხვადასხვანაირია. არის ნახევარწრიული, შვისრული, ჯვრული, ყველა ტიპის სამარხში დაკრძალეის წესი ქრისტიანულია.

სამაროვანზე აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი (მოჭიქული ჯამები), რკინისა და ვერცხლის ბეჭდები, მინისა და რკინის სამაჯურები, ღილები, საყურეები, სარდიონის, ქალცედონისა და გიშრის მძივები, სადაფის ჯვარი, მონეტა.

მოპოვებული არქეოლ. მასალა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

თ. დვალი, გ. ლალიაშვილი, გ. რჩეულიშვილი.

ბიბლ.: 109; 323; 335.

090. გომართის ეკლესია, კომპლექსი, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას-ით 1 კმ-ზე, სასაფლაოზე. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნებს. კომპლექსში შედის: ეკლ., სატრაპეზო და გალავანი.

ეკლ. დარბაზულია (6,3×4,6 მ), დგას გალავნით შემოზღუდული პატარა ეზოს (ფართ. დაახლ. 350 კვ მ) შუაში. ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვითა და დულაბით. წყობა ირეგულარულია, ტლანქი. დაზიანებულია: სახურავზე აყრილია კრამიტი და ხეებია ამოსული, ჩამოშლილია ლავგარდანი და კედლების ზედა ნაწილებში ალაგ-ალაგ საპირე ქვები, დაბზარულია კამარა.



090. გეგმაგება

შესასვლელი დას-იდანაა, კარი გარედან ნახევარწრიული თაღითაა გადახურული, შიგნით – თარაზულად. კარის ასწვრივ პატარა სწორკუთხა სარკმელია. ეკლ. აღმ-ით დასრულებულია სწორკუთხა საკურთხეველით, რ-საც კუთხეების ქვედა ნახევარი ოდნავ აქვს მომრგვალებული. საკურთხეველი დარბაზისგან გამოჯნული ფოფოლა რიყის ქვითა და აგური ნაგები კანკელით (შემორჩენილია 0,5 მ სიმაღლეზე). კანკელს მხოლოდ აღსავლის კარი აქვს. აღმ. კედლის შუაში გაჭრილია თაღოვანი სარკმელი, რ-ის ქვემოთ, კედელზე, სწორკუთხა ტრაპეზია მიდგმული. საკურთხეველს ორივე



090. ხედი ჩრდ.-დას-იდან

კუთხესთან თითო მცირე სწორკუთხა ნიშაა. დარბაზის სამხრდას. ნაწილში, შესასვლელის წინ არის სამარხი (გახსნილია). შიგნით ეკლ. გადახურულია ქარგილზე სხმული ერთიანი ცილინდრული კამარით.

გალავანი არაწესიერი ფორმისაა (სიმ. 1-1,5 მ), ნაგებია რიყის ქვით და კირის ხსნარით. გალავანის სამხ. კედელში ჩართულია კამაროვანი კარიბჭე (4×2 მ), ჩრდ. და დას. კედლების შეერთების ადგილზე კი დგას ოთხკუთხა ნაგებობა (კედლები შემორჩენილია 1-1,5 მ სიმაღლეზე). შესასვლელი მას აღმ-იდან აქვს. შიგნით, კარის სამხრ-ით, მცირე სწორკუთხა ნიშაა. ერთი მსგავსი ნიშა ჩრდ. კედელშიცაა. გალავნის ჩრდ. კედლის შუაში მოწყობილია ვიწრო შესასვლელი.

თ. მარკოზაშვილი.

091. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით, გუჯიაურებად წოდებულ ტერიტორიაზე. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (6,2×4,2 მ). ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვითა და დულაბით. წყობა ირეგულარულია. ძლიერაა დაზიანებული: სახურავზე აყრილია კრამიტი და ზედ ხეებია ამოსული. ჩამონგრეულია ლავგარდანი, დაბზარულია კამარა, მონგრეულია გარე კუთხეები, ალაგ-ალაგ

ჩამოცვენილია საპირე ქვები, კედლებს სიმაღლეზე ღრმა ბზარები დაუყვება. ეკლესიის დას. ფასადი დაახლ. 1,2 მ სიმაღლეზე დაფარულია მიწით.

შესასვლელი დას-იდანაა. კარი გარედან ნახევარწრიული თაღითაა გადახურული, ხოლო შიგნიდან – თარაზულად. მის ზემოთ რიყის ქვით თარაზულად გადახურული პატარა სარკმელია.

აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია. აფსიდის ღერძზე გაჭრილია პატარა თაღოვანი სარკმელი, რის ღიობი შიგნიდან გარეთკენ ოდნავ მაღლდება. სარკმლის ორივე მხარეს თითო, შეისრული თაღით დასრულებული ნიშაა, ხოლო



091. ხედი ჩრდ.-დას-იდან

ქვემოთ – რიყის ქვით ნაშენი ოთხწახნაგა ტრაპეზი (შემორჩენილია ნაწილი). იატაკი მიწატკეპნილია. აფსიდი დასრულებულია ოდნავ დადაბლებული პროპორციების კონქით. შიგნით ეკლ. გადახურულია ნახევარწრიული კამარით.

გარედან ეკლესიის დას. სარკმლის ძირი შირიმის კვადრ. ქვისაა, რ-ზეც ტოლმკლავა ჯვრის რელიეფური გამოსახულებაა. ეკლესიის დას. ფრონტონის წვერზე დადგმული ყოფილა გეგმით კვადრ. სამრეკლო (შემორჩენილია საფუძველი).

ბ. კუპრეიშვილი, თ. მარკოზაშვილი.

092. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-ით, გუჯიაურებად წოდებულ ტერიტორიაზე, ოთხსართულიანი კოშკიდან ათიოდე მ-ზე. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (7,6×5,5 მ), ნაგებია რიყის წერილი ქვითა და კირის დულაბით – წყობაში მეტნაკლებად გამოყენებულია სწორხაზოვანი რიგები. შიგნით კედლები შელესილი და შეთეთრებულია.

ძ. ძლიერ დაზიანებულია. ჩამოშლილია საბურავი, ლავგარდნის უმეტესი ნაწილი და აქა-იქ კედლების ზედა ნაწილები, დაბზარულია კამარა.

ერთადერთი შესასვლელი დას. კედლის ჩრდ. ნაწილშია გაჭრილი. ღიობი გარედან გადახურულია კვადრ. აგურით ნაწყობი ოდნავ შეისრული თაღით, შიგნით კი – მოზრდილი ზომის ბრტყელი ქვით (თარაზულად). ნახევარწრიულ აფსიდში დაბალი და განიერი თაღოვანი სარკმელი და მის სამხრ-ით მდებარე მცირე კვადრ. ნიშაა. აფსიდის თაღი დადაბლებული პროპორციებისაა, მისი წვერი აგურითაა გამოყვანილი. აფსიდის თაღის ანალოგიური ფორმისაა კამარაც.

ეკლესიის ფასადები მოურთველია. აღმ. ფასადზე სარკმლის თაღი აგურითაა გამოყვანილი. კედლები დასრულებული ყოფილა აგურის ორსაფეხურიანი ლავგარდნით (ნაწილობრივ შემორჩენილია აღმ. ფასადზე), რ-ის ქვედა საფეხური შედგენილია კუთხით შვერილი აგურებით, მეორე – ჩვეულებრივად დაწყობილი აგურის ორი რიგით.

თ. მარკოზაშვილი.

093. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-დას-ით, გუჯიაურებად წოდებულ ტერიტორიაზე. თარიღდება XVIII ს-ით.

ეკლ. დარბაზულია (9,2×6,1 მ), ნაგებია წერილი რიყის ქვის სწორხაზოვანი რიგებით. კონსტრ. ნაწილები და კარ-სარკმელთა ღიობები გამოყვანილია კვადრ. აგურით. კედლების ზედაპირი გარედან ბათქაშითაა გასწორებული, შიგნიდან – შელესილია. ეკლესიას საბურავი და ლავგარდანი ჩამოშლილი აქვს, აღმ. და დას. კედლებს, მთელ სიმაღლეზე, განიერი ბზარი დაუყვება, სახურავზე მცენარეულობაა ამოსული.

შესასვლელი ორია – დასიდან და სამხრ-იდან. ორივე შეისრულთაღოვანია (სამხრ. კარის თაღის ნაწილი ჩამოშლილია) და გარედან ჩასმული კვადრ. აგურის ნაკუთხა შელრმავებაში, რ-იც დასრულებულია, კუთხით შვერილი და ჩვეულებრივად დაწყობილი აგურის რიგებით გამოყვანილი სამსაფეხურიანი ფრიზით. შესასვლელები შიგნით ხის ძელებით თარაზულადაა გადახურული. სამხრ. კარს შიდა გადახურება ჩამოშლილი აქვს. დას. კარის წირთხლებში მოწყობილია საურდულე ხვრელები.

აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-შიც თაღოვანი სარკმელი და სამი შეისრულთაღოვანი ნიშაა. ნიშებიდან ორი სარკმლის ჩრდ-ითაა, ერთი – სამხრ-ით. სარკმლის ქვემოთ, ნალესობაზე, ამოკაწრულია მხედრულით შესრულებული დაქარაგმებული წარწერა. აფსიდის შუაში დგას ოთხწახნაგა ტრაპეზი (შემორჩენილია ნაწილი). აღმ. სარკმლის გარდა, თითო მსგავსი სარკმელი დანარჩენ კედლებშიცაა.



093. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

დარბაზის გრძივი კედლები და კამარა მარტივი პილასტრების წყვილითაა და მათზე დაყრდნობილი შეისრული საბჯენი თაღით ორ თანაბარ ნაწილადაა გაყოფილი. შეისრულია კამარაც. ერთი საბჯენი თაღი კამარის დას კიდეშია. იგი კუთხის პილასტრებზეა გადაყვანილი. აფსიდის ორივე ბოლოში, კონქის ქუსლის დონეზე, ორი კვადრ. ხვრელია, რებიც, როგორც ჩანს, ხის კანკელის საყრდენად იყო განკუთვნილი.

ფასადებიდან მხოლოდ განივი ფასადება მორთული. ორივე ფასადზე, ფრონტონის არეში, აგურის წყობის შელრმავებით გამოყვანილია საფეხურიან კვარცხლბეკზე დაყრდნობილი ჯვარი. ფასადებზე სარკმლები თავისებურადაა გადაწყვეტილი – სარკმლის ღიობი ჩვეულებისამებრ კედლის სიბრტყეში კი არ არის მოქცეული, არამედ ღიობის ღერძისაკენ ირიბად შელრმავებულ (დაახლ. 20 *სმ*-ით) სწორკუთხა არეში, რ-საც ხერხულა ფრიზი აგვირგვინებს.

თ. დვალი.

094. ზურიას საყდარი, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-დას-ით, გუჯიაურებად წოდებულ ტერიტორიაზე. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (5,95×4,6 *მ*), ნაგებია მსხვილი და საშუალო ზომის რიყის ქვით. წყობა ირეგულარულია. კედლების ზედაპირი შიგნით და გარედან გასწორებულია ბათქაშით. დაზიანებულია: ჩამოშლილია სახურავის



094. ხედი სამხრ.-დაიდან

საფარი და ლავგარდანი, ჩამონგრეულია კონქისა და კამარის მნიშვნელოვანი ნაწილი, დაბზარულია კედლები.

შესასვლელი დას-იდანაა. კარი გარედან აგურით ნაწყობი თაღითაა გადახურული, შიგნით კი – ხის ძელებით თარაზულად ყოფილა გადახურული (შემორჩენილია ძელების ბუდეები). აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-შიც სწორკუთხა სარკმელი და მის ორივე მხარეს რიყის ქვით თარაზულად გადახურული თითო პატარა ნიშაა. თითო სწორკუთხა სარკმელი დას., სამხრ. და ჩრდ. კედლებშიცაა. კონქის თაღი მთლიანად შირიმის ნათალი ქვითაა ნაწყობი. სამხრ. და ჩრდ. კედლების დას. ნაწილში, კამარის ჭუსლის დონეზე, თითო პატარა სწორკუთხა ნიშაა. ეკლესიის იატაკი მიწის ზედაპირზე ოდნავ დაბლაა, რის გამოც შესასვლელის ღიობში ორი საფეხურია მოწყობილი.

თ. მარკოზაშვილი.

095. თეთრი გიორგის ნიში, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-დას-ით 1 *კმ*-ზე, მინდორში. აგებულია XX ს-ის შუა წწ-ში ძამსაშვილების მიერ ადრე აქ მდგარი თეთრი გიორგის სახელობის ხის ეკლესიის ადგილზე და მათ საგვარეულო სალოცავად ითვლება.

ნაგებობა გეგმით კვადრატულია (0,66×0,66 *მ*, სიმ. – 0,7 *მ*), ნაშენია აგურითა და ცემენტის ხსნარით. დას. მხარეს მოწყობილი აქვს შეისრულთაღოვანი ღრმა სანათლე. სახურავი ორკალთიანია. ნიშის მახლობლად აწყვია სხვადასხვა ტევადობის რამდენიმე ქვევრი.

თ. მარკოზაშვილი.

096. თელეთის წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგს სოფლის სამხრ.-დას-ით 500 *მ*-ზე, მინდორში. აგებულია სოფლის მკვიდრის ვ. მაისურაძის მიერ XX ს-ის I ნახ-ში, თელეთის წმ. გიორგის დანგრეული ეკლესიის ადგილზე.

ეკლ. დარბაზულია (3,2×2,9 *მ*) უაფსიდო. და აღმ-ით სწორი კედლითაა დასრულებული. ნაგებია სხვადასხვა ზომის, რიყის ქვითა და ცემენტის ხსნარით. გარე კუთხეებში და კარ-სარკმლების ღიობებში აგურია გამოყენებული. დაზიანებულია. შენობა 1,5-1,7 *მ* სიმაღლეზეღა დგას.

შესასვლელი დას-იდანაა. კარი სწორკუთხაა (დაზიანებულია). აღმ. და სამხრ კედლებში მოწყობილია თითო განიერი სარკმელი. ნაგებობის შიგნით რამდენიმე სხვადასხვა ტევადობის ქვევრია დადგმული.

ეკლ. მაისურაძეების საგვარეულო სალოცავად ითვლება. დღეს სასწაული 23 ნოემბერს იმართება.

097. კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას-ით, გუჯიაურებად წოდებულ ტერიტორიაზე, ხეხილის ბაღებში. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

კოშკი ცილინდრულია (შიდა დიამ. – 6,7 *მ*, კედლის სისქე – 1 *მ*). ნაგებია საშუალო ზომის რიყის ქვის სწორხაზოვანი რიგებით. შიგნით შელესილია, გარედან – შებათქაშებული. დაზიანებულია. შემორჩენილია I სართული და II სართულის კედლის სამხრ. და ჩრდ. ნაწილები (სიმ. 1,5 *მ*), ჩამონგრეულია I სართულის კამაროვანი გადახურვის უმეტესი ნაწილი, რ-იც კოშკის შიგნით გროვადაა დაყრილი. იქვე ხეებია ამოსული. გარედან საპირე წყობის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამოშლილია.

I სართულის შესასვლელი სამხრ-იდანაა. კარის გადახურვა ჩამონგრეულია, რის გამოც მისი ფორმა ვერ დგინდება. აღმ-ით სწორკუთხა სარკმელია, რ-ის ქვემოთ, ერთ დონეზე, განლაგებულია გეგმით ნახევარწრიული სამი მაღალი და ფართო ნიშა. მათგან ერთი ყრუა, დანარჩენ ორში ცალმაგი და შეწყვილებული სათოფურებია მოწყობილი. ნიშები გადახურულია კვადრ. აგურით ნაწყობი შეისრული თაღებით. ერთი, გეგმით ნახევარწრიული და ბრტყლად გადახურული ნიშა – ერთი სათოფურით, კედლის დას. ნაწილშია.

თ. მარკოზაშვილი.

098. კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით, გუჯიაურებად წოდებულ ტერიტორიაზე. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

კოშკი ოთხსართულიანია, ზემოთკენ შევიწროებული (სიმ. დაახლ. 10 *მ*). ნაგებია საშუალო ზომის რიყის ქვით. კუთხეებში ოდნავ მოზრდილი ქვებია გამოყენებული. კედლის ზედაპირი შიგ-

ნით და გარედან გასწორებულია ბათქაშით. ძლიერაა დაზიანებული. შემორჩენილია სამი სართული და IV სართულის კედლების ნაწილი. ჩამონგრეულია ხის სართულშუა გადახურვები.



098. აღმ. ფასადი. I სართულის გეგმა

კოშკი გეგმით აღმ-იდან დასის მიმართულებით წაგრძელებული სწორკუთხედია (10,2×7,8 მ), შესასვლელი I სართულზეა, აღმ-იდან. კარი ორივე მხრიდან შეისრულთაღოვანია (მოგვიანებით ამოუშენებიათ). ამჟამად კოშკში მოხვედრა I სართულის ჩრდ. კედლის გამონგრეული ნაწილიდან შეიძლება. I სართულის სამხრ. კედელში გეგმით ნახევარწრიული, რიყის ქვითა და აგურით ნაგები შეისრულთაღიანი ბუხარია. სართულის კედლებში მოწყობილია ხუთი ნიშა, რ-ებსაც ფიცრული გადახურვა ჰქონიათ (შემორჩენილია კვალი). ორ-ორი დას. და სამხრ. კედლებშია, ერთი – ჩრდ. კედლის დას. ნაწილში. გარდა ამისა, ერთი ნიშაა სამხრ. კედლის დას. კიდეშიც. ადრე ამ ადგილას პატარა თაღოვანი ღიობი ყოფილა, რ-იც მოგვიანებით



098. ჭრილი, ხედი დას-კენ. II სართულის გეგმა

ნიშად გადაუკეთებიათ და მასში ცალმაგი სათოფური მოუწყვიათ. სართული სამი შეწყვილებული სათოფურითაა აღჭურვილი: ორი აღმ. კედელშია, შესასვლელის გვერდებზე, ხოლო ერთი – ჩრდ. კედლის დას. ნახევარში. ზედა სივრცეს ოთხი სარკმელი აშუქებდა; ორი მათგანი სამხრ-ითაა,



098. ხედი ჩრდ-დას-იდან

თითო-თითო აღმ-ითა და დას-ით. სართულის ჩრდ.-აღმ. კუთხეში მოწყობილია II სართულზე ასასვლელი მასიური ქვის კიბე.

II სართულის კედლები I სართულის კედლებთან შედარებით ოდნავ თხელია, რის გამოც სართულშუა გადახურვის დონეზე, სართულის მთელ პერიმეტრზე შექმნილია მცირე საფეხური, რსაც გადახურვის კოჭები ეყრდნობოდა. ამგვარი საფეხური III და IV სართულებს შორისაცაა, მაგრამ იგი აქ მხოლოდ სამ (აღმ. დას. და ჩრდ.) კედელს გაუყვება. II სართულზე ცხრა შეწყვილებული სათოფური, ხუთი სწორკუთხა ნიშა და სამი პარალელურწირთხლებიანი სარკმელია.

III სართულზე არის ბუხარი, რამდენიმე სწორკუთხა ნიშა და სათოფურები. აღმ. კედლის შუაში და სამხრ. კედლის დას. კიდეში ფართო ღიობებია, რ-ებითაც შესაბამისი კედლების მხარეს მოწყობილ ღია აივნებზე გადიოდნენ. აღმ. აივანი კედელს მთელ სიგრძეზე გასდევდა, სამხრ. აივანი კი ბევრად უფრო პატარა ყოფილა. ამჟამად აივნებზე გასასვლელი ორივე ღიობი ამოშენებულია, ხოლო აივნებიდან მხოლოდ მათი საყრდენი ხის კონსოლების ნაწილებიღაა შემორჩენილი. აღმ. აივანზე გამოსასვლელი სწორ-

კუთხა კარის ორივე მხარეს თითო სწორკუთხა ნიშაა.

IV სართულის კედლების მხოლოდ ნახევარია შემორჩენილი. სამხრ-ით ბუხარია. საკმაო რაოდენობითაა სათოფურები. განათებისათვის სართულის თითოეულ კედელში თითო ფართო ღიობია (ყველა ამოშენებულია).

თ. დვალი.

099. კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-აღმ-ით 400-იოდე მ-ზე, კალაურისხევის მარცხ. ნაპირზე, კალაურისხევსა და უსახელო ღელეს შორის მოქცეულ ტერიტორიაზე. განეკუთვნება XVII ს.

კოშკი გეგმით კვადრატულია (6,4×6,4 *მ*), ზემოთკენ შევიწროებული – ენთაზისის გარეშე. ნაგებია რიყის ქვით. კედლები



099. I სართულის გეგმა

შიგნით და გარედან ბათქაშითაა გასწორებული. შემორჩენილია სამი სართული და IV სართულის კედლების ნაწილი (სიმ. 1,5 *მ*).

I სართული საცხოვრებელი ყოფილა. დანარჩენები – საბრძოლო. I სართული დანარჩენებისაგან განსხვავებით შელესილია, რაც მას უფრო კეთილშობილს ხდის. შესასვლელი აღმ-იდან აქვს. კარი გარედან თაღოვანია, შიგნით კი თარაზულად ყოფილა გადახურული (შემორჩენილია ხის ძელების ბუდეები). კარის ორივე წირთხლში საურდულე ხვრელია.





099. დას. ფასადი. ჭრილი, ხედი სამხრ-კენ

სამხრ. კედელში გეგმით ნახევარწრიული და ნახევარწრიული თაღით გადახურული ბუხარია, რ-ის ორივე მხარეს, თაღის დონეზე, თითო კვადრატ. ნიშაა. მათგან დასით მდებარე ნიშში სათოფურებია დატანებული. ბუხრის მარცხნივ, ნიშების გადახურვის დონეზე, ერთი ცალმაგი სათოფურია. მსგავსი თითო სათოფური შესასვლელის გვერდებზეცაა. სართულის ჩრდ. და დას. კედლებში თითო შეწყვილებული სათოფურია, რთაგან ერთი ხერელი შესაბამის კედლებში მოწყობილ სწორკუთხა ნიშაშია მოქცეული. ერთი უსათოფურო ნიშაა ჩრდ. კედლის აღმ. ნაწილში. კოშკის I სართული მეორისაგან იზოლირებულია, მათ შორის საიდუმლო სართული (სიმ. 60 *სმ*) ყოფილა.

კოშკის II სართულს შესასვლელი დას-ით ჰქონია. ამ ადგილზე კედელი დანგრეულია და შესასვლელის მხოლოდ სამხრ. წირთხლის ნაწილიღაა შემორჩენილი. სართული ორი სათოფურითაა ალჭურვილი, რ-ებიც ერთმანეთის მოპირდაპირედ – სამხრ. და ჩრდ. კედლებშია მოწყობილი.

III სართულზე აღმ., დას. და სამხრ. კედლებში თითო სათოფურია, ხოლო ჩრდ-ისაში – ორი.

IV სართულის თითოეულ კედელში, ერთმანეთის სიმეტრიულად, ორ-ორი სათოფურია.

სართულშუა გადახურვა ხის ყოფილა. გადახურვის დასაყრდნობად სართულებს შორის, ოთხივე კედელზე, მცირე საფეხურია მოწყობილი, რ-იც ყოველი მომდევნო სართულის კედლების სისქის შემცირებითაა გამოყვანილი.

გარედან III სართულის დონეზე ოთხივე კედელში ჩასმულია ერთმანეთისაგან თანაბარი მანძი-



099. ხედი სამხრ.-დას-იდან

ლით დაშორებული ცხვრის ორ-ორი რქა.

კოშკის მიმდებარე ტერიტორიაზე ერთმანეთისაგან მცირე მანძილით დაშორებული რამდენიმე ნაგებობის კვალი შეიმჩნევა.

თ. დვალი.

100. მამაშაურის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას-ით 1,5 კმ-ზე. მღვრიეხევის მარცხ. ნაპირზე, შემაღლებულ ადგილას. თარიღდება IX-X სს-ით.

ეკლ. დარბაზულია (5,75×4,2 მ), ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვითა და კირის ხსნარით. გარეთა კედლების წყობაში ალაგ-ალაგ ლოდებიცაა ჩართული. წყობა ირეგულარულია. გარედან კედლების ზედაპირი ბათქაშით ყოფილა გასწორებული (შემორჩენილია ნაშთები), შიგნითა კედლები წვრილი რიყის ქვისაა და მთლიანად შელესილი ყოფილა.





100. გეგმა, ჭრილი, ხედი სამხრ.-კენ

დაზიანებულია: ჩამოშლილია სახურავის საფარი და ლავგარდნის უმეტესი ნაწილი, განგრეულია ჩრდ. კედელი, კამარას მთელ სიგრძეზე განიერი ბზარი გასდევს, ფასადებზე აქა-იქ ამოცვენილია საპირე ქვები.

შესასვლელი ჩრდ-იდანაა (შემორჩენილია მხოლოდ დას. წირთხლის ქვედა ნაწილი). აღმ-ით ნალისებრი აფსიდია, რ-შიც თაღოვანი სარკმელი და ორი მცირე ზომის სწორკუთხა ნიშაა



100. ხედი აღმ-იდან

– სარკმლის აქეთ-იქით. საკურთხეველი დარბაზისგან ორსაფეხურიანი მხრებითა და მათზე გადაყვანილი ნალისებრი თაღითაა გამოყოფილი. თაღების ქუსლებთან შირიმის ტოლანქად ნაკეთი იმპოსტებია (დაზიანებულია), რ-თა პროფილს თარო და დახრილი სიბრტყე შეადგენს. საკურთხევლის სარკმლის გარდა, შიდა სივრცეს დას. და სამხრ. კედლებში გაჭრილი თითო სარკმელიც აშუქებს. დას. სარკმელი ორივე მხრიდან თაღოვანია, სამხრ-ისა კი თარაზულადაა გადახურული. დარბაზი გადახურულია ცილინდრული კამარით – საბჯენი თაღის გარეშე.

აღმ. ფასადზე სარკმლის ნახევარწრიული თაღი გამოკვეთილია შირიმის ნახევარწრიული ფორმის ქვაში, რ-ზეც ამოკვეთილია ბო-



100. აღმ. ფასადი, საკურთხევლის სარკმელი

ლოებგაფართოებული ტოლმკლავა ჯვარი. ქვას ზემოდან ევლება შირიმისაგე ქვაში გამოკვეთილი რელიეფური თავსართი – ჰორიზ. გადანაკეცებით ბოლოებში. ჩრდ. ფასადზე შემორჩენილია რიყის ბრტყელი ქვებისგან ნაწყობი ორსაფეხურიანი ლავგარდნის ნაწილი.

თ. დუალი.

101. ნადარბაზევი, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-აღმ-ით დაახლ. 2 კმ-ზე, ხეხილის ბაღებში.

შენობა სამხრ-იდან ჩრდ-ის მიმართულებითაა წაგრძელებული. შედგება სწორკუთხა მოხაზულობის ორი დიდი ოთახისგან, რებიც ერთმანეთისგან ყრუ კედლითაა გამიჯნული. სამხრ-ით მდებარე ოთახი გეგმით თითქმის კვადრატულია (შიგნითა ზომები:



101. გეგმა

10,3×9,1 მ), ხოლო მეორე ოდნავ მომცროა და სამხრ-იდან ჩრდ-ის მიმართულებითაა წაგრძელებული (შიგნითა ზომები: 10×7,2 მ).

შენობა ნაგებია რიყის ქვითა და კირის დულაბით. ძლიერ დაზიანებულია. დანგრეულია ორივე ოთახის კედლების უმეტესი ნაწილი, შემორჩენილ კედლებზე და ინტერიერში ამოსულია მცენარეები. კედლებიდან ყველაზე უკეთ ოთახების გამმიჯნავი კედელია (სიმ. დაახლ. 7 მ) შემონახული.

სამხრ-ით მდებარე ოთახს შესასვლელი დას-იდან ჰქონია (შემორჩენილია ორივე წირთხლის ნაწილი). ოთახის სამხრ.-დას. კუთხეში, მიწიდან 0,5 მ სიმაღლეზე მოწყობილია სწორკუთხა ნიშა.

ჩრდ-ით მდებარე ოთახის შესასვლელი აღმ. კედლის სამხრ. ბოლოშია. ამ ადგილას კედლის დიდი ნაწილი განგრეულია და კარის გადახურვის კვალი აღარ ჩანს.

ბ. კუპრეიშვილი, თ. მარკოზაშვილი.

102. პალატები, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით, გუჯიაურებად წოდებულ ტერიტორიაზე. სწორ ადგილზე. განეკუთვნება IX ს.

მოსახლეობაში გავრცელებული თქმულების თანახმად, აქ წინათ ყოფილა მონასტრის სკოლა, რ-ის დამთავრების შემდგომ მოსწავლეებს ათონის ივერთა მონასტერში აგზავნიდნენ; სწორედ აქ მიუღია განათლება XII-XIII სს-ის ქართველ პოეტს ჩახრუხაძეს, რ-საც მიეწერება „თამარიანის" ავტორობა.



102. I სართულის გეგმა

სასახლე ორსართულიანი ნაგებობაა (გარეთა ზომები ღერძებზე: 30×11 მ). ქვედა სართული სამომსახურო-სამეურნეო დანიშნულებისაა, ხოლო ზედა საცხოვრებელსა და დიდ საზეიმო დარბაზს შეიცავს. ამის შესაბამისადაა გადაწყვეტილი ფასადების პროპორციებიც – ზედა სართული გაცილებით მაღალია ქვედაზე.



102. II სართულის გეგმა

სასახლის გრძივი (სამხრ.) ფასადი მიმართულია მდ. ბალვენახევისკენ (დღეს მდ. ვაჩნაძიანისხევი) ხოლო განივი (აღმ.) ფასადის ორი სარკმლიდან ალაზნის ველის თვალწარმტაცი ხედი იშლება.

შენობა ძირითადად ნაგებია რიყის ქვით. ზოგიერთი ნაწილის წყობაში რიყის ქვასთან ერთად გამოყენებულია მოზრდილი ზომის აგური. თითოეულ სართულზე ერთრიგად განლაგებული სამ-სამი ოთახია. ქვედა სართულის სამივე ოთახი დამატებით იყო დანაწევრებული. ძირითადი, ფართო შესასვლელები მოწყობილი იყო სასახლის შუა, მოგრძო გასასვლელში ჩრდ-იდან და სამხრ-იდან. ჩრდ. შესასვლელი უფრო განიერია, ვიდრე სამხრ-ისა; მოგვიანებით სამხრ. შესასვლელი ამოუშენებიათ, ზედა ნაწილში კი პატარა ღიობი დაუტოვებიათ. ამ გასასვლელიდან აღმ-ით და დას-ით, ჩრდ. კედელთან ახლოს, იხსნება განიერი თაღოვანი მალები (სიგ. დაახლ. – 2,5 მ). გარდა ამისა, გასასვლელის სამხრ. ნაწილში არის კიდევ ერთი კარი აღმ-ით (ამოშენებულია), რ-იც თავდაპირველად ყოფილა გადახურული. ეს ოთახი გრძივად ყოფილა გატიხრული (დას. კედელზე შემორჩენილია ტიხრის კვალი). მათგან სამხრ-ით მდებარე ოთახს დამოუკიდებელი შესასვლელი ჰქონია აღმ-იდან და ორი შედარებით მცირე სწორკუთხა სარკმელი სამხრ. კედელში. ჩრდ. ნაწილში მდებარე ოთახი უსარკმლოა. ჩრდ. კედლის შუა ნაწილში მოწყობილია ვეებერთელა ბუხარი – გარეთკენ შვერილი ნახევარწრიული ზურგით, რ-იც უთუოდ დაუნაწევრებელი საკლავის შესაწვავად გამოიყენებოდა. ბუხრის აღმ-ით ერთი, ხოლო დას-ით ორი თაღოვანი მალია, რ-ებიც, როგორც ჩანს, სასახლის მშენებლობისას, სამშენებლო გეგმის ცვლილების გამო მთლიანად ამოუშენებიათ.


102. განივი ჭრილი, ხედი ჩრდ-ით

სართულის დას. ოთახი ფართობით ორჯერ უფრო მცირეა აღმ-ისაზე. აქ სამხრ. კედელში, შიგნითკენ ძლიერ გაგანიერებული ორი სარკმელია. ორივე გადახურულია შირიმის ქვაში გამოკვეთილი თაღით. ჩრდ. კედელში კი კედლის პირამდე ამოშენებული სამი განიერი თაღია (სიგ. დაახლ. 2 მ), რ-ებიც აგურით ყოფილა ნაწყობი. ამ ოთახის დას. კედელში მოწყობილია დიდი, გეგმით ნახევარწრიული ბუხარი, რ-საც ფასადზე, დიდი დარბაზის ბუხრის მსგავსად, კონტრფორსისმაგვარი შვერილი ზურგი აქვს. ბუხრის სამხრ-ით გაჭრილია ვიწრო კარი, ხოლო ჩრდ-ით მოწყობილია ორი პატარა ნიშა, რ-ებიც

გადახურულია ერთმანეთზე მახვილი კუთხით მიყრდნობილი ორი დიდი ზომის კრამიტით (36×29 *სმ*).

სასახლის ზედა სართულიც სამ ნაწილად იყო გაყოფილი – დიდი დარბაზი აღმ. ბოლოში, დასით მომცრო ოთახი და მათ შორის მოქცეული გასასვლელი. ოთახების გამყოფი განივი კედლები-დან ნაწილებიღაა შემორჩენილი [მცირე ნაწილი I სართულის ჩრდ. თაღოვანი მალის თავზე, რ-იც გამოყვანილია კვადრ. აგურით (27×27×5,5 *სმ*) და ნაწილი სამხრ. კედლიდან I სართულის აღმ. ოთახში შესასვლელ კარამდე], რის გამოც იმის ზუსტად დადგენა, თუ როგორ უკავშირდებოდა ოთახები ერთმანეთს, არ ხერხდება. ქვედა სართულის ორივე შახლელის თავზე არის განიერი და მაღალი თაღოვანი ღიობები (შემორჩენილია ნაწილობრივ), რ-თა წირთხლებში რიყის ქვასთან ერთად, აგურიცაა (30×30×8 *სმ*) გამოყენებული. ჩრდ. ფასადის ზედა თაღს შემორჩა თაღის ქუსლის შირიმის კაპიტელი, რ-ის პროფილს შეადგენს თარო და შეზნექილი მრუდი ზედაპირი. აღმ. დიდი დარბაზი განათებული იყო ცხრა, მაღალი და განიერი თაღოვანი სარკმლით. მათგან ოთხი, ერთმანეთისგან თანაბარი მანძილით დაცილებული, სამხრ. გრძივ კედელშია გაჭრილი, სამი – ჩრდ-ით, ხოლო ორი, რ-ებიც დანარჩენ სარკმლებთან შედარებით გაცილებით განიერია, აღმ-ითაა. ყველა სარკმელი უშუალოდ იატაკის დონიდან იწყებოდა. მათი თაღები ოვალური ფორმისაა – უმნიშვნელო ტეხილით წვერთან. II სართულის დას. ოთახის სამ (დას., სამხრ. და ჩრდ.) კედელზე თითო თაღოვანი ღიობია. სამივე ოთახის კედლებში, სხვადასხვა ადგილას, მოწყობილია ნიშა-თაროები, რებიც ისევეა გადახურული, როგორც I სართულის დას. ოთახის ნიშები.

სართულშუა გადახურვა ხის კოჭებზე იყო გამართული. დიდი



102. ინტერიერი, დუქანი



102. საერთო ხედი ჩრდ-აღმ-იდან (მარჯვნივ გკლესია)

დარბაზის გრძივ კედლებზე შემორჩენილია რეგულარულად განლაგებული ღრმა საკოჭე ბუდეები. სასახლის დას. ოთახსა და გასასვლელში კოჭების საყრდენი ბუდეები, დიდი დარბაზისგან განსხვავებით, განივ კედლებშია განლაგებული. ე. ი. აქ სართულშუა გადახურვის კოჭები მხოლოდ კედლებზე იყო დაყრდნობილი დამხმარე საყრდენების (ბოძების) გარეშე.



102. ხედი სამხრ.-დას-იდან

II სართულზე ადიოდნენ ღია კიბით. შემორჩენილი ნაშთებით დგინდება, რომ იგი მოწყობილი ყოფილა სასახლის ჩრდ.-აღმ. კუთხესთან ჩრდ. ფასადის მხრიდან.

სასახლე გადახურული იყო ორფერდა სახურავით, რასაც მოწმობს აღმ. კედლის ფრონტონიანი დასრულება.

სასახლის ჩრდ. კედლზე, ჩრდ.-აღმ. კუთხიდან ბუხრამდე, მიდგმული ყოფილა პატარა სათავსი; მისგან შემორჩენილია მხოლოდ აღმ. კედელი, რ-შიც მოწყობილია თაღოვანი შესასვლელი. სათავსი სასახლის დიდ დარბაზთან დაკავშირებული იყო სწორკუთხა კარით, რ-იც მოგვიანებით ამოუშენებიათ.

სასახლის ჩრდ.-აღმ-ით, შეიდიოდე მ-ზე, დგას სამეკლესიიანი ბაზილიკის ტიპის ეკლესია, რ-იც ისევე როგორც სასახლე IX ს-შია აგებული. XIX ს-ის ბოლოს იგი განუახლებია თავად ლევან ჯანდიერს პოლკოვნიკ გიორგი როსების ძე ჯანდიერის მოსახსენებლად. ამ ფაქტის მაუწყებელი წარწერა დაცული ყოფილა ეკლესიის ხის კანკელზე, რ-იც XX ს-ის 30-იანი წწ-ის დასაწყისში უკვე აღარ არსებობდა.

ეკლ. ნაგებია მოზრდილი ზომის რიყის ქვის სწორხაზოვანი რიგებით. კედლების ზედაპირი შიგნიდან და გარედან გასწორებულია მოყვითალო ფერის ბათქაშით, რ-იც ქვებს შორის დარჩენილ არეებს ავსებს და მათი ზედაპირის გარკვეულ ნაწილსაც ფარავს. მოგვიანებით განახლებული კედლების უმეტესი ნაწილი წერილი რიყის ქვითაა ნაწყობი (ტლანქად), ნაწილი – აგურით.



102. ეკლესია, გეგმა

ძ. ძლიერ განსახლებულია. შემორჩენილია მხოლოდ მთავარი და სამხრ. ეკლესიები, ჩრდ. ეკლესიისგან კი – მხოლოდ მცირე ნაწილი.

მთავარი ეკლ. აღმ-ით დასრულებულია ღრმა ნახევარწრიული აფსიდით, აფსიდში ერთი სარკმელია, მის ორსავე მხარეს კი ნიშებია მოწყობილი: ჩრდ-ით – ორი, ხოლო სამხრ-ით – ერთი (სიმ. 98 *სმ*), რ-იც იატაკიდან იწყება და აღმ-ით კედლის სისქეში ღრმადაა შესული. ამ ნიშის კედლები მოპირკეთებულია აგურის (29×29×6 *სმ*) სახიანი წყობით.



102. ეკლესია, გრძივი ჭრილი, ხედი სამხრ-კენ

კამარა თითქმის მთლიანად აგურისაა. იგი დაყრდნობილია აგურით ნაწყობ სამ საბჯენ თაღზე, რ-თაგან აღმ-ისა პილასტრებზეა გადაყვანილი, ხოლო შუა და დას-ისა – კონსოლებზე.

მთავარ ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს – დას-იდან და სამხრ-იდან. ეს უკანასკნელი სამხრ. ეკლესიაში გადის. ორივე კარის წირთხლები აგურითაა განახლებული. აფსიდის სარკმლის გარდა, თითო სარკმელია დას. და სამხრ. კედლებში.

სამხრ. ეკლესიას, რ-ის უმეტესი ნაწილი მოგვიანებითაა განახლებული, სამხრ. აქვს ბრტყელი აფსიდი, სარკმლით და მცირე სწორკუთხა ნიშით სამხრ. გვერდში. ერთი სარკმელი დას. კედელშია. შესასვლელი მოწყობილია სამხრ. კედლის დას. კიდეში. ეკლესიის აღმ. და დას. კედლები

განახლების დროს ძლიერ აუმაღლებიათ, რის გამოც კამარის (მთლიანად ჩამონგრეულია) თავზე შექმნილი იყო საკმაოდ დიდი სივრცე, რ-შიც მთავარი ეკლესიის სამხრ. სარკმელი გადის.

ჩრდ. ეკლესიიდან შემორჩენილია: აღმ. კედლის ნაწილი, ჩრდ. კედლის აღმ. კიდე და კამარის დასაწყისი, რ-იც დაერდნობილია მთავარი ეკლესიის კედელზე მოწყობილ საფეხურზე.

დას-იდან, ბაზილიკის მთელ სიგანეზე, მოწყობილი ყოფილა



102. ეკლესია, ხედი ჩრდ.-დას-იდან

კარიბჭე, რ-ის კამარის კვალი შემორჩენილია მთავარი და სამხრ. ეკლესიების კედლებზე.

2010 წ. საერთაშ. საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით ეკლესიას ჩაუტარდა სარესტ. სამუშაოები (პროექტის ავტორი ი. მოსულიშვილი). შენობა გაიწმინდა მცენარეულობისაგან, აღდგა კედლებისა და ლავგარდნის დანგრეული ნაწილები, ეკლ. გადაიხურა ღარისებრი კრამიტით.

ძველის გაწმენდის დროს აღმოჩნდა ეკლესიის ჩრდ. კედელზე მიშენებული, რიყის ქვითა და კირის დუღაბით ნაგები საწნახელი.

ეკლესიიდან ოდნავ მოშორებით, სასახლის ჩრდ.-აღმ-ით, შემორჩენილია რიყის ქვით ნაგები უზარმაზარი შ ე ნ ო ბ ი ს ნანგრევები. გეგმით იგი სწორკუთხა მოხაზულობისაა და სამხრ-იდან ჩრდ-ის მიმართულებითაა წაგრძელებული. შემორჩენილი კედლების (სიმ. 0,5 მ) მიხედვით განირჩევა ორი კვადრ. და ერთი მოგრძო სათავსი. გარედან შენობის გრძელი დარბაზის ჩრდ.-აღმ. კუთხეში მოწყობილია ნახევარწრიული კონტრფორსი.

სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე ბევრი შენობის ნაშთია, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ცხოვრება აქ დიდხანს, ალბათ XIX ს-მდე, არ შეწყვეტილა. უკანასკნელი მოსახლეები XX ს-ის 20-იან წწ-ში გადასულან სოფ. ვაჩნაძიანში საცხოვრებლად.

თ. დვალი.

ბიბლ.: 323; 335.

103. საღგომი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით 5-6 კმ-ზე, აკურისხევის (ალაზნის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირზე. განკუთვნება აშელის ხანას.

საღგომი 1966 წ. გამოავლინა კპე-ის ქვის ხანის რაზმმა (ხელმძღვ. თ. ბუგიანიშვილი). აღმოჩნდა კაჟის კაჭარზე გაფორმებული ერთფუძიანი განივი ნუკლეუსი და სამი გლუვი დარტყმისმოედნიანი და რელიეფურბურცულიანი მოგრძო, მასიური ანატკეცი.

აღმოჩენილი ნივთები ინახება გურჯაანის რკაიონ. არქეოლ.-ეთნ. საცავში.

თ. ბუგიანიშვილი.

ბიბლ.: 37.

სამების ეკლესია, იხ. მუნიციპალიტეტის სოფლების ანბანურ რიგში.

104. საწნახელი, არქტ. ძ.-დგას სოფლის სამხრ.-დას-ით 1 კმ-ზე, ტყეში. განეკუთვნება შუასაუკუნეებს.

საწნახელი გეგმით სწორკუთხაა (3,5×1,5 მ, სიმ. – 0,5 მ). ნაგებია მსხვილი რიყის ქვითა და კირის ხსნარით. წყობა ტლანქია. დაზიანებულია. ამოვსებულია მიწით და შიგ მცენარეებია ამოსული. გარედან ხავსითაა დაფარული.

ტკბილის გასასვლელი ხერელი, რ-იც თაღარში ჩადის, გრძივ კედელშია მოწყობილი. საწნახლის წინ სწორკუთხა აუზის (2×1,5 მ) კვალი შეინიშნება.

თ. მარკოზაშვილი.

105. სოფლის ისტორიის მუზეუმი, ისტ., არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-დას. ნაწილში, საჯარო სკოლის ეზოში. გაიხსნა 1966 წ. ჯანდიერებისეულ სასახლეში, ამავე წელს მიენიჭა მუზეუმის დამაარსებლის, სოფლის ღვაწლმოსილი პედაგოგის გ. მაისურაძის სახელი.

შენობა აგებულია 1888 წ. თავად ლევან გიორგის ძე ჯანდიერის მიერ (არქიტ. დე ბლიაზი, კალატოზი – ხ. ინანაშვილი). სახ-



105. მთავარი ფასადი

ლი ეზოს მხრიდან ერთსართულიანია, მთავარი ფასადის მხარეს – ორსართულიანი. ნაგებია რიყის ქვისა და აგურის რიგების მონაცვლეობით..

შენობის (40×22,8 მ) შესასვლელი სამხრ-იდანაა. I სართულზე ორი ოთახია. ერთ-ერთი უსარკმლოა და გამოყენებულია დამხმარე სათავსოდ. კარი აღმ-იდან აქვს. მეორე ოთახში შესასვლელი ჩრდ-იდანაა, აღმ. და ჩრდ. კედლებში თითო სარკმელია გაჭრილი, სამხრ.-დას. კუთხეში კი ბუხარია.

შენობის II სართულზე, მთავარი ფასადის შუა ნაწილში ხის რიკულებიანი აივანია, რ-იც აგურის 5 სწორკუთხა ბურჯზეა დაყრდნობილი. აივნის გადახურვა ხის კოჭებზეა გამართული და 5 სწორკუთხა ხის სვეტს ეყრდნობა. აივნის წინ აგურის მოაჯირიანი ორმარშიანი კიბეა. აივანზე გამოდის II სართულის განაპირა ოთახების, შუა და დიდი დარბაზის კარ-სარკმლები. სარკმლების ქვეშ თითო სწორკუთხა შელრმავებაა, რ-ებიც ქვითლადაა შეფერადებული.

კედლები დასრულებულია აგურის მაღალი პარაპეტით. შენობა გადახურულია თუნუქის პირამიდული სახურავით.

მუზეუმში 5000-ზე მეტი ექსპონატია დაცული. II სართულზე 5 საგამოფენო დარბაზი, 4 ოთახი და ერთი პატარა ტალანია. ყველაზე დიდი დარბაზი (10,6×5,3 მ) დათმობილი აქვს სოფლის ტერიტორიაზე მოპოვებულ არქეოლ. ექსპონატებს; II დარბაზში გამოფენილია ნუმიზმატიკური და გლიპტიკური მასალა. III დარბაზში წარმოდგენილია სოფლის ისტორიის ამსახველი ფოტოსურათები. IV დარბაზში დაცულია სასულიერო ლიტერატურა და სხვ. ექსპონატები. მათ შორისაა მეფე ერეკლე II-ის, ანტონ კათალიკოსის და მღვიან-მწიგნობრის დიმიტრი თუმანიშვილის მიერ ხელმოწერილი სიგელი, რ-ის მიხედვითაც მეფე ერეკლე II-ს გაქრისტიანებული ლეკისთვის უფლება მიუცია ცოლად შეერთო სოფ. კალაურის მკვიდრი ბეითელმანი – ნაპირელის ქალიშვილი (რამაც სათავე დაუდო ლეკიშვილების გვარს სოფ. კალაურში), ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ვაჩნაძიანში სტუმრობის დროს გადაღებული ფოტოსურათები და სხვ. დარბაზში წარმოდგენილია სამეთუნეო ნაწარმი და სოფლის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა.

თ. მარკოზაშვილი.

106. უსანეთის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას. განაპირას, სულაძეების კარ-მიდამოში. განკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (7×6,1 მ), ნაგებია მსხვილი და საშ. ზომის რიყის ქვითა და კირის დუღაბით. წყობა ირეგულარულია. ძლიერაა დაზიანებული: ჩამონგრეულია კამარა და კონქი, დანგრეულია გრძივი კედლების უმეტესი ნაწილი, გარეთა კუთხეები და ჩრდ. კედლის დას. ნახევარი – საძირკვლამდე, აღმ. კედელი 2,5 მ სიმაღლეზეა დგას, დას-ისა კი – 3,5 მ სიმაღლეზე. შემორჩენილი კედლები დაბზარულია, დას. კედელი გადახრილია, დას-ისკენ, ინტერიერში ყრია ქვები და ამოსულია ხეები.



106. აღმ. ფასადი

შესასვლელი დას-იდანაა. იგი გარედან გადახურულია ნახევარწრიული თაღით, ხოლო შიგნით ხის ძელით თარაზულად ყოფილა გადახურული (შემორჩენილია კვალი). აღმ-ით, ნახევარწრიული აფსიდია. აფსიდში გაჭრილია ვიწრო და მაღალი სწორკუთხა სარკმელი. მსგავსი სარკმელია დარბაზის დას. კედელშიც – კარის თავზე. ამავე კედლის კიდეებში თითო სწორკუთხა ნიშაა.

თ. მარკოზაშვილი.

107. ფალახოსროანის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-დას-ით 1 კმ-ზე, მღვრიეხევის მარჯვ. ნაპირზე, ტყეში.

განკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლესიის აგების შესახებ არსებობს თქმულება, რ-ის მიხედვითაც ვაჩნაძიანელების ფალავანს, სახელად ხოსროს, სასტიკად დაუმარცხებია შემოსეული ლეკების ფალავანი და ამით სოფელი აწიოკებისაგან უხსნია. მადლიერ სოფელს თავისი ფალავანის ხოსროს პატივსაცემად ჭიდაობის ადგილისათვის ფალახოსროიანი შეურქმევია და ეკლ. აუშენებია.

ეკლ. დარბაზულია (6,7×4,8 მ), ნაგებია რიყის მსხვილი და საშუალო ზომის ქვითა და კირის დუღაბით. ალაგ-ალაგ ფასადებზე და გარეთა კუთხეებში ლოდებია გამოყენებული. წყობა ირეგულარულია, ტალანი. ძლიერაა დაზიანებული: მთლიანად ჩამონგრეულია კამარა, მონგრეულია კედლების ზედა ნაწილები, კედლების შემორჩენილი ნაწილები დაბზარულია.

ეკლ. უაფსიდოა, დას-იდან აქვს ერთადერთი შესასვლელი. კარის გადახურვა და წირთხლების დიდი ნაწილი ჩამონგრეულია. კარის თავზე პატარა სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. მსგავსი სარკმელია აღმ. კედელშიც. საკურთხეველის სამხრ. და ჩრდ. კედლებზე, მცირე ზომის თითო სწორკუთხა ნიშაა. საკურთხეველს ორივე კუთხე მომრგვალებული აქვს. საკურთხეველი გადახურული ყოფილა კონქით, რ-ის ქუსლის წყობის მცირე ნაწილიღაა შემორჩენილი.

გრძივი კედლების აღმ. ნაწილში წყვილი პილასტრია, რებითაც საკურთხეველი დარბაზისგან იყო გამიჯნული.

თ. მარკოზაშვილი.

108. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, სამოდე კმ-ზე. განე-

კუთვნება XVIII საუკუნეს. ეკლ. დარბაზულია (12,7×7,5 მ), ნაგებია რიყის ქვით, გარეთა კუთხეები, შესასვლელები და სარკმლები გამოყვანილია კვადრ. (22×22×4 სმ) აგურით. ეკლ. შიგნით და გარედან შელესილია.

შესასვლელები სამხრ-იდან და დას-იდანაა. დას. კარი გარედან შეისრულთაღოვანია, შიგნით კი თარაზულადაა გადახურული. სამხრ. შესასვლელი ორივე მხრიდან სწორკუთხაა.

საკურთხეველის აფსიდი გეგმით ნახევარწრიულია. მისი იატაკი დარბაზის იატაკის მიმართ საფეხურითაა შემაღლებული და შუაში ნახევარწრიული ამბიონი აქვს მოწყობილი. აფსიდის ღერძზე გაჭრილია შეისრულთაღიანი სარკმელი, რ-ის ორივე მხარეს თითო პატარა შეისრულთაღიანი ნიშაა, ერთი მსგავსი ნიშა ჩრდ. კედლის აღმ. ნაწილშიცაა. აფსიდი დასრულებულია კონქით, რ-ის თაღი შეისრულია. შეისრულია კამარაც. იგი დაყრდნობილია ორ საბჯენ თაღზე – ერთი მათგანი დარბაზის შუაშია, მეორე – დას. კედელთან. შუა თაღი შეკიდულ პილასტრებზეა გადაყვანილი, დახისა – კუთხის პილასტრებზე. საკურთხეველის სარკმლის გარდა, თითო მსგავსი სარკმელი სამხრ., დას. და ჩრდ. კედლებშიცაა. ეკლესიის იატაკი მოგებულია კვადრ. აგურით. შიგნით სამი საფლავია, რ-ებშიც დასაფლავებული არიან ჯანდიერთა გვარის წარმომადგენლები.



108. დას. ფასადი



108. გრძივი ჭრილი, ხედი სამხრ-კენ. გეგმა

ფასადები სადაა. დას. ფასადზე შესასვლელი ჩასმულია საფეხურით შელრმავებულ სწორკუთხა არეში, რ-იც დასრულებულია აგურის ორსაფეხურიანი ხერხულა ფრიზით. კარის ზემოთ სწორკუთხა ნიშაა. ორივე მოქცეულია მაღალ, კედლის სიბრტყიდან დაახლ. 10 სმ-ით შეურილ ჩარჩოში, რ-ის თავი კუთხით შეჯრილი აგურების წყობის ორი რიგითაა გამოყვანილი. ფასადზე, ფრონტონის არეში, აგურის წყობით გამოყვანილი შელრმავებული ჯვარია. ანალოგიური ჯვარია გამოსახული აღმ. ფასადის ფრონტონზეც. კედლები დასრულებულია ლუკალური აგურით ნაწყობი ლავგარდნით, რ-ის პროფილს შეადგენს: თარო, წრეთარგი და ლილვი.



108. ხედი ჩრდ-დას-იდან

2010 წ. საერთაშ. საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით ადგილობრივმა მოსახლეობამ ეკლ. შეაკეთა აღდგა ლავგარდნის დანგრეული ნაწილები, ეკლ. გადაიხურა დარისებრი კრამიტით.

თ. დვალი

109. ჟვავის საყდარი, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-აღმ-ით 1,5 კმ-ზე, ვენახებში, ულენჯიანად წოდებულ ადგილზე. განკუთვნება გარდამავალ ხანას.

ეკლ. სამეკლესიანი ბაზილიკაა, ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვითა და კირის ხსნარით. წყობა ირეგულარულია. გარეთა კედლების წყობაში გაცილებით მოზრდილი ქვებია გამოყენებული, რ-თა შორის დარჩენილი არეები



109. გეგმა

ამოვსებულია წვრილი ქვითა და დულაბით. კედლები შიგნით და გარედან შებათქაშებულია.

ძ. ძლიერაა დაზიანებული: მთავარ ეკლესიის კამარა, კონქი და კედლების ზედა ნაწილები ჩამონგრეულია; მონგრეულია გარეთა კუთხეები. განგრეულია აფსიდის შუა ნაწილი (ადგილ. მოსახლეობის გადმოცემით წლების განმავლობაში ეკლ. კოლმეურნეობის შხამ-ქიმიკატების საწყობად გამოიყენებოდა, რის გამოც აფსიდის კედელი გაანგრიეს და შესასვლელი მოაწყვეს), ინტერიერი დაახლ. 1,5 მ სიმაღლეზე ქვითა და მიწითაა ამოვსებული.

სამხრ. ეკლესიიდან შემორჩენილია აღმ. კედლის მცირე ნაწილი და კამარის ჭუსლი – მთავარი ეკლესიის სამხრ. კედლის მთელ სიგრძეზე. ინტერიერში ჩაყრილია რკინაბეტონის ძელები და შიგ ეკალ-ბარდებია ამოსული. სამხრ. ეკლესიის მსგავსად თითქმის მთლიანადაა დანგრეული დას. გარშემოსავლელიც და ისიც მიწითა და ქვებითაა ამოვსებული. შემორჩენილია მხოლოდ ჩრდ. კედლის მცირე ნაწილი და კამარის ჭუსლი. ჩრდ. ეკლესიას შემორჩენილი აქვს კედლების დიდი ნაწილი და კამარა, რ-საც მთელ სიგრძეზე განიერი ბზარი გასდევს და ჩამონგრევის პირასაა. დას. და აღმ. კედლები კი სანახევროდ დგას.



109. ხედი სამხრ.-აღმ-დან

მთავარი ეკლ. ჩრდ. ეკლესიაზე ორნახევარჯერ უფრო განიერი და გაცილებით მაღალია. აქვს ნახევარწრიული თაღით დასრულებული ორი შესასვლელი – სამხრ. ეკლესიიდან და დას. გარშემოსავლელიდან. ერთი თაღოვანი ღიობი ჩრდ. კედლის შუაშია, რ-იც ჩრდ. ეკლესიაში გადის. შუა ეკლესიის დარბაზი კვადრატს მიახლოებული სწორკუთხედია (4,9×4 მ). აღმ-ით მას ეკვრის ოდნავ ნალისებრი აფსიდი, რ-ის შუაში შემორჩენილია სარკმლის ნახევარწრიული თაღის მცირე ნაწილი. საკურთხეველი დარბაზისაგან გამოყოფილია მოკლე მხრებით, მათგან სამხრ-ისა მთელ სიმაღლეზეა შემორჩენილი. სამხრ. კედელში ბრტყლად გადახურული ორი მაღალი სარკმელია, რ-თაგან დასით მდებარეს გადახურვა და წირთხლების დიდი ნაწილი ჩამონგრეული აქვს. ჩამონგრეულია აღმ-ით მდებარე სარკმლის გარეთა საპირე წყობის დიდი ნაწილიც.

გვერდითი ეკლესიები უაფსიდოა და აღმ-ით სწორი კედლითაა დასრულებული. ჩრდ. ეკლესიის აღმ. კედელში სარკმლის სამხრ. წირთხლია შემორჩენილი, დანარჩენი კედლები ყრუა.

გარედან შენობის კედლები სადაა, მოკლებულია ყოველგვარ სამკაულს.

თ. დვალი.

ყველაწმინდის მონასტერი, იხ. მუნიციპალიტეტის სოფლების ანბანურ რიგში.

110. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას-ით 1,5 კმ-ზე, ფალახოსროიანად წოდებულ ადგილზე, მთაზე. განკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს, ითვლება მეგრელი შვილების საგვარეულო სალოცავად.

ეკლ. დარბაზულია (5,4×4,4 მ), ნაგებია მსხვილი და საშ. ზომის რიყის ქვითა და კირის ხსნარით. წყობა ირეგულარულია, ტლანქი. ძლიერაა დაზიანებული: ჩამონგრეულია კამარა, კონქი, კედლების ზედა ნაწილები, შემორჩენილ კედლებს ბზარები დაუყვება, ფასადებზე საპირე ქვები ალაგ-ალაგ ამოცვენილია; ინტერიერი დაახლ. 1 მ სიმაღლეზე მიწითა და ჩამონაშალი ქვით არის ამოვსებული.

შესასვლელი დას-იდანაა (შემორჩენილია წირთხლების მცირე ნაწილი). ეკლ. აღმ-ით დასრულებულია ბრტყელი აფსიდით, რიც დარბაზის გრძივი კედლებიდან განიერი მხრებით ყოფილა გამოყოფილი (შემორჩენილია მხოლოდ სამხრ. მხარის მცირე ნაწილი). აფსიდში გაჭრილია სწორკუთხა სარკმელი (დაზიანებულია).



110. ხედი ჩრდ.-დას-იდან

თ. მარკოზაშვილი.

111. წმ. მარიამის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-დას-ით, გუჯიაურებად წოდებულ ტერიტორიაზე. განეკუთვნება შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია, გეგმით თითქმის კვადრ. (3,75×3,2 მ). ნაგებია რიყის ქვით და დუღაბით. დაზიანებულია: ჩამონგრეულია გადახურვა, კონქი, დანგრეულია კედლების ზედა ნაწილები და გარე კუთხეები; ფასადებზე საპირე ქვების დიდი ნაწილი ჩამოცვენილია.

შესასვლელი დას-იდანაა. კარი გარედან აგურით ნაწყობი

ნახევარწრიული თაღითაა დასრულებული, შიგნით – სწორკუთხაა. კარის ზემოთ, პატარა სწორკუთხა სარკმელია. აფსიდი ნახევარწრიულია (შემორჩენილია 0,5 *მ* სიმაღლეზე). სამხრ. კედლზე კამარის ქუსლის მცირე ნაწილია შემორჩენილი.



111. გრძივი ჭრილი, ხედი ჩრდ.-კენ. გეგმა

თ. მარკოზაშვილი.

ველისციხე

(საკრებულოს ცენტრი)

112. ველისციხე, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს ალაზნის ვაკეზე, მდ. ჭერმისხევის (მდ. ალაზნის მარჯვ. შენაკადი) ნაპირზე.

სოფელი წარმოადგენს კახეთის ერთ-ერთ უძველეს და დიდ დასახლებას. იგი მდებარეობდა აღმ-ისკენ მიმავალ მნიშვნელოვან მაგისტრალზე (ხორნაბუჯი–ველისციხე–ჭერმი–უჯარმა), ამასთან ველისციხე შიდა და გარე კახეთის დამაკავშირებელი უმოკლესი გზის (ველისციხე–ჭერმი–ნაილურის) ჩამკეტი იყო ალაზნის ველზე. ველისციხე, ისევე როგორც უძველესი დიდი მაგისტრალის სხვა პუნქტები (ჭერმი, უჯარმა, ხორნაბუჯი), ალბანეთის დას. ტერიტორიების ქართულთან ინტეგრაციის პროცესისათვის მნიშვნელოვან სტრატეგიულ ობიექტს წარმოადგენდა.

ველისციხე საისტორიო წყაროებში პირველად მოიხსენიება V ს-ში. ჯუანშერის მიხედვით სპარსთა მეფე ხოსრომ, როგორც მნიშვნელოვანი გზის ორი მთავარი პუნქტი, ჭერმის ციხესთან ერთად ველისციხეც შემუსრა. ქამთაველმწერლის მიხედვით ლაშა გიორგიმ „სოფელსა – ველისციხესა იხილა ქალი ლამაზი", რიც წაჰგვარა ქმარს და სასახლეში მიიყვანა. მისგან ლაშას შეეძინა ვაჟი – დავითი, შემდგომში დავით ულუდ წოდებული.

ეპარქიულად ველისციხე თავდაპირველად შედიოდა ჭერემის საეპისკოპოსოში, ხოლო მისი მოშლის შემდეგ – ალავერდის ეპარქიაში. კახეთის სამეფოს წარმოქმნის შემდეგ ველისციხის ყმამამულის მნიშვნელოვან ნაწილს საკუთარი მოურავების მეშვეობით უშუალოდ კახეთის დედოფალი განაგებდა. XVII-XVIII სს-ში ველისციხეში დას. საქართველოდან ჩამოსახლების ინტენსიური პროცესი მიდიოდა.

1812 წ. კახეთისს აჯანყების დროს კახელები თავდაპირველად შილდასთან, ხოლო შემდეგ ველისციხესთან, ე. წ. ფაფრის მინდორზე შეებნენ რუს დამპყრობლებს. ველისციხესთან ბრძოლაში ქართველებმა ალექსანდრე ბატონიშვილის მეთაურობით დიდად აზარალეს რუსები და გამარჯვება მოიპოვეს. ამ გამარჯვებამ განაპირობა სოფ. ნუკრიანთან გამართულ ბრძოლაში ისევ ქართველთა წარმატება, რასაც მოჰყვა ქიზიყიდან რუსების დროებითი გაძევება.

XIX-XX სს. მიჯნაზე ველისციხეში უმოგზაურია გერმანელ მოგზაურს და მეცნიერს ედუარდ აიხველდს, რ-იც ველისციხეს იხსენიებს, როგორც დიდ სოფელს, რ-იც ადრე გამაგრებული იყო. აქ განსაკუთრებით მეევნახეობა და მემინდვრეობა იყო განვითარებული. ფუნქციონირებდა წყლის წისქვილების მთელი სისტემა.

ბიბლ.: 63; 81; 172 ბ,დ; 199 ა,ბ; 203 ა,ვ,ზ.

113. კვირაცხოვლის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ. განაპირას.

შემორჩენილია მხოლოდ სამხრ. კედელი (სიგრ. – 9, სიმ. – 1,3 *მ*), რზედაც მოგვიანებით აგურის გალავანი დაუშენებიათ. ეკლ. ნაგები ყოფილა რიყის ქვითა და კირის დუღაბით.

2003 წ. ეკლესიის ახლოს მოსახლეობამ პატარა (1,5×0,66 *მ*, სიმ. 0,98 *მ*) ნიში ააგო.

თ. მარკოზაშვილი.

114. მამისაანთ საძღარი, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით დაახლ. 7 კმ-ზე, მდ. ალაზნის მარჯვ. ნაპირზე. სავარაუდოდ განეკუთვნება ადრინდელ შუა საუკუნეებს.

2009 წ. საქართვ. ისტორიულ ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდის დაფინანსებით ეკლესიას ჩაუტარდა სარესტ. სამუშაოები (პროექტის ავტორი არქიტ. ნ. მინდორაშვილი). ეკლესიის მიმდებარე ტერიტორია გაიწმინდა ნაყარი მიწისგან, გამაგრდა საპირე წყობის მორყეული ქვები, აღდგენილ იქნა კამარის, კედლების და თაროსებრი ლაგვარდნის (მცირე ნაწილი შემორჩენილი იყო ჩრდ. ფასადზე) დანგრეული ნაწილები, ეკლ. გადაიხურა დარისებრი კრამიტით.



114. გეგმა

ეკლ. დარბაზულია (7,4×3,9 *მ*). ნაგებია სხვადასხვა ზომის (ძირი-

თადად მოზრდილი) რიყის ქვითა და კირის დულაბით. წყობა ირეგულარულია. შესასვლელი სამხრიდანაა. კარი თარაზულადაა გადახურული. ეკლესიის შიდა სივრცე შემაღლებული პროპორციებისაა. აღმ-ით ნალისებრი აფსიდია, რშიც ვიწრო და მაღალი, შიგნიდან და გარედან სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. აფსიდის ჩრდ. გვერდში მცირე ზომის ოთხკუთხა ნიშაა. აფსიდის კონქი, ისევე როგორც დარბაზის გადამხურავი კამარა რიყის წვრილი ქვითაა ნა-



114. ჭრილი, ხედი აღმ-კენ

წყობი, კონქის თაღის ქუსლებს ნალისებურობის ტენდენცია აქვს. მსგავსი მოხაზულობისაა კამარაც.

საკურთხევლის სარკმლის გარდა, ერთი სწორკუთხა სარკმელია დას-ითაც. იგი იმდენად მაღლაა, რომ თითქმის კამარის წვერს სწვდება.

ეკლესიის ფასადები სადაა, მორთულობის გარეშე.

თ. დვალი.

115. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას შუა სოფელში. განეკუთვნება VI ს.

ძ. სამეკლესიანი ბაზილიკაა, გარშემოსაგლელით სამი მხრიდან. შენობის გეგმის სწორკუთხედში (15,8×12,4 მ) მოქცეულია საკურ-



115. გეგმა

თხევლის აფსიდით დასრულებული, განიერი და მაღალი დარბაზი, რ-იც ორფერდა სახუხაოთაა გადახურული და მასზე სამი მხრიდან (სამხრ., დას. და ჩრდ.) მიდგმული, ვიწრო და დაბალი, ცალფერდახურავიანი გარშემოსაველელი, რ-ის სამხრ. ფრთა და ჩრდ. ფრთის დას. ნაწილი დამოუკიდებელ ეკლესიებს წარმოადგენს. ჩრდ. ფრთის აღმ. ნაწილში მოწყობილია გეგმით სწორკუთხა სათავსი, რ-იც მხოლოდ მთავარ ეკლესიას უკავშირდება მთავარი ეკლესიის ჩრდ. კედლის აღმ. ნაწილში გაჭრილი სწორკუთხა გასასვლელით.

დროთა განმავლობაში შენობამ სახეცვლილებები განიცადა, რის შედეგადაც მას მნიშვნელოვნად შეეცვალა თავდაპირველი სახე. XVII ს-ში მთავარი ეკლესიის კამარის თავზე გამოიყვანეს II



115. განივი ჭრილი, ხედი აღმ-კენ

სართული, რ-საც შესასვლელი დას-იდან ჰქონია, დანარჩენ კედლებში კი – სათოფურები (11-11 – გრძივ კედლებში, ხოლო 5 – აღმ. კედელში). ამ სართულზე მოხვედრა მხოლოდ მისადგმელი კიბით იყო შესაძლებელი დას. ღიობიდან. II სართული დაშენებული ყოფილა გარშემოსავლელის ჩრდ. ფრთაზეც (შემორჩენილი იყო მხოლოდ ჩრდ. კედლის ნაწილი – სათოფურების რიგით). მთავარ ეკლესიაზე დაშენებული სართული დასრულებული იყო აგურის ხუთსაფეხურიანი ლავგარდნით, რ-იც გამოყვანილი იყო ჩვეულებრივად დაწყობილი და კუთხეებით წინწამოწეული აგურების რიგთა მონაცვლეობით.

XIX ს-ში, რუსული საეკლესიო მმართველობის დროს, მთავარი ეკლ. მთლიანად იქნა მობათქაშებული და შეთეთრებული. ამავე დროს მოუწყვიათ ხის კანკელი.

ძ. ძლიერ იყო დაზიანებული: მთელი შენობა დაახლ. 2 მ-ით მიწაში იყო ჩამჯდარი, დანგრეული იყო მთავარი ეკლესიის თავზე მოწყობილი II სართულის კამარის დას. ნახევარი და სამხრ.-დას. კუთხე, გარშემოსავლელის დას. და სამხრ. ნაწილებიდან მთავარი ეკ-



115. აღმ. ფასადი

ლესიის კედელზე, აქა-იქ შემორჩენილი იყო კამარის ნაწილები. გარეთა კედლები კი მიწით იყო დაფარული.

1983 წ. სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნომ ძეგლზე ჩაატარა სარესტ. სამუშაოები (პროექტის ავტორი არქიტ. ნ. მინდორაშვილი). გარშემოსავლელის სამხრ. და დას. ფრთები გაიწმინდა ნაყარი მიწისგან და კონსერვაცია გაუკეთდა მათ შემორჩენილ კედლებს; მთავარ ეკლესიაზე მოიხსნა II სართული, ხოლო ჩრდ. ეკლესიაზე – გვიანდ. დანაშენის შემორჩენილი კედელი; ძირითადი ნაწილების მიხედვით, მთავარ და ჩრდ. ეკლესიაზე აღდგენილ იქნა ლავგარდანი; მთავარი და ჩრდ. ეკლ. გადაიხურა დარისებრი კრამიტით.

ბაზილიკა ნაგებია რიყის ქვით. ქვები შერჩეულია და დაწყობილია სწორხაზოვან რიგებად. კუთხეებისთვის გამოყენებულია განსაკუთრებით დიდი ზომების და ფორმით სწორი ქვები.

მთავარი ეკლ. საკმაოდ ვრცელია (შიდა ზომები: სიგრ. – საკურთხევლის ჩათვლით – 11,3 მ, სიგ. – 4,3 მ), განათებულია ოთხი სარკმლით – თითო აღმ-ით და დას-ითაა, ხოლო ორი – სამხრ-ით. სამხრ. სარკმლები თარაზულადაა გადახურული, ხოლო დანარჩენ ორს ნახევარწრიული თავი აქვს. შესასვლელები ორია, სამხრ-იდან და დას-იდან. XVII ს-ში განახლების დროს დას. შესასვლელის ამაღლების მიზნით, მის ზემოთ კედელი გაუნგრევიათ, წირთხლები კი აგურით გამოუყვანიათ და ღიობი ოდნავ დაუვიწროებიათ.

საკურთხევლის აფსიდი ნალისებრია. იგი დარბაზისგან გამოყოფილია ორსაფეხურიანი მხრებით (XVII ს-ში წინა საფეხურის ქვედა ნაწილები ჩამოუჭრიათ), რებსაც ჯურდნობა კონქის ასევე ორსაფეხურიანი თაღი. თაღის ორივე საფეხური ნალისებრი ფორმისაა, მსგავსი ფორმისაა კამარაც, რ-ის დასაყდნობად დას. კედელთან მოწყობილია განიერი საბჯენი თაღი. აფსიდში ორი მცირე ზომის სწორკუთხა ნიშაა.

სამხრ. ეკლ. აღმ-ით ნალისებრი აფსიდითაა დასრულებული. სამხრ. კედელში მოწყობილი ყოფილა ორმალიანი თაღოვანი შესასვლელი – მრგვალი სვეტით შუაში.

ჩრდ. ეკლ. უაფსიდოა, აღმ-ით იგი დასრულებულია სწორი კედლით, რ-შიც მოწყობილია განიერი და მაღალი ნალისებრი თაღით დასრულებული ნიშა. იგი წირვის დროს, როგორც ჩანს, აფსიდის მოვალეობას ასრულებდა. კედელი ჩამოსხმულია ქარგილზე. მთავარი ეკლესიის კედელთან იგი დაყრდნობილია საფეხურზე (მაქს. სიგ. – 27 სმ), რ-იც გამოყვანილია კედლის ზედა ნაწილის სისქის შემცირებით ქვედას მიმართ. ანალოგიური საფეხურია გამოყვანილი მთავარი ეკლესიის სამხრ. და დას. კედლებზეც.

სამკვეთლო განათებულია აღმ. კედელში გაჭრილი სწორ-



115. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

კუთხა სარკმლით, გადახურულია სხმული კამარით. მთავარ ეკლესიაში გამავალი კარი თარაზულადაა გადახურული.

გარშემოსავლელის დას. ნაწილს შესასვლელი დას-იდან ჰქონია.

გარედან ეკლ. სრულიად სადაა. კედლები დასრულებული იყო თაროსებრი ლავგარდნით, რ-იც გაფორმებული იყო პატარა ნალისებრი თაღების მწკრივით.

თ. დვალი.

ბიბლ.: 323; 335.

116. ᲪᲮᲔᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘ, არქიტ. ძ. მდებარეობს შუა სოფელში. განეკუთვნება IX ს.

ძ. ძლიერ დაზიანებულია. გალავნის კედლების უმეტესი ნაწილი დანგრეულია. რიგ ადგილებში შეინიშნება მათი ფრაგმენტები, ხოლო ნაწილი ჩართულია კედლების ნაშთებზე მოგვიანებით დაშენებულ სოფლის მაცხოვრებელთა შენობებში. შემორჩენილია მხოლოდ ერთი კუთხის კოშკი – დაახლ. ორი სართულის სიმაღლეზე და სახახლის

კედლების ნაწილები. თუ რა მდგომარეობა აქვს გალავნის კედლებს სასახლესთან მიმართებით, გათხრების გარეშე არ ირკვევა.

სასახლის შემორჩენილი ნაწილი სამხრ.-ჩრდ-ის მიმართულებით ალაგ-ალაგ დაწყობილია წესიერ, თარაზულ რიგებად. შენობის შემორჩენილი ნაწილები მოლწეულია მნიშვნელოვანი დანაშრევებითა და გადაკეთებებით, რის გამოც სართულების დაგეგმარების შესახებ დაბეჯითებით რაიმეს თქმა შეუძლებელია. სასახლის სახასიათო ნიშანია მისი



116. გეგმა

ბითაა წაგრძელებული (სიგრ. – 17,5 მ, სიგ. – 12,2 მ. კედლების სისქე დაახლ. – 1 მ), აქვს ორი სართული და ქვით ნაშენი გარე კიბე ზედა სართულზე მოსახვედრად. კედლები ნაგებია რიყის ქვით,



116. სასახლე. I სართულის გეგმა

რ-ებიც ალაგ-ალაგ დაწყობილია წესიერ, თარაზულ რიგებად. შენობის შემორჩენილი ნაწილები მოლწეულია მნიშვნელოვანი დანაშრევებითა და გადაკეთებებით, რის გამოც სართულების დაგეგმარების შესახებ დაბეჯითებით რაიმეს თქმა შეუძლებელია. სასახლის სახასიათო ნიშანია მისი ცალკეულ ნაწილებად აგება, შერთების ადგილებზე მკაფიოდ შესამჩნევი ვერტ. ნაკერებით რომ უმრავლესობა პირველ სართულს გარკვეულ სიმაღლეზე ასდევს და შემდგომ წყდება.

სასახლის ქვედა სართულის აღმ. კედელში მოწყობილია განიერი (სიგ. – 2,2 მ) ღიობი (შესასვლელი?) და ორი გარეკეთ შეყვრილი სარკმელი. მოგეყანებით ღიობზე გარედან მიუშენებიათ სწორკუთხა გეგმის, ზემოთკენ შეიწროებული კოშკისებრი ნაგებობა (ბუხრის მოწყობის მიზნით?), რ-საც სართულის მხრიდან ღიობის ტოლი სიგანის ნახეთარწირული შეღრმავება აქვს. ამავე სართულის მოპირდაპირე კედლის მთელ სიგრძეზე ერთმანეთისგან მარტივი პილასტრებით გამოყოფილი ოთხი თაღოვანი შეღრმავებაა – ტეხილით თაღის წვერში.

ზედა სართულის დას. კედელში მოწყობილი იყო ოთხი დიდი სარკმელი (შემორჩენილია ნაწილობრივ). მოპირდაპირე კედელში კი – არაერთნაბრად გახლაგებული სამი ღიობი, რ-თა შორის შუა კიბის ბაქნიდან დარბაზში შემოსასვლელი კარია.

სასახლის აღმ. ფასადი დგმულია კიბე. იგი დაყრდნობილია ორ სხვადასხვა სიგანისა და სიმაღლის თაღზე, რ-თა შორის ოთხკუთხა ბურჯია. მათგან სამხრ.-ით მდებარე თაღის თავზე მოწყობილია ვრცელი ბაქანი. კიბე გამოყვანილია ნაგებობაზე მიყრდნობით – რაზედაც მეტყველებს ორი ნაკერის არსებობა.

სასახლის განიე კედლები შესაბამის გრძივ კედლებს არ ერთვის. როგორც ჩანს, ისინი მოგვიანებით ჩატარებული აღდგენითი სამუშაოების ან გადაკეთების შედეგად წარმოიქმნა.

სასახლის ახლოს, ციხე-დარბაზის სამხრ.-დას. კუთხესთან დგას წმ. გიორგის ეკლესია, რ-იც საკარაუდოდ XVIII ს-ის ბოლოსა და XIX ს-ის დასაწყისს განეკუთვნება.



116. სასახლე. II სართულის გეგმა

ეკლ. დარბაზულია, ნაგებია წვრილი რიყის ქვითა და ქართული კვადრ. აგურით. გარეთა კუთხეებში შედარებით მოზრდილი, დაუმუშავებელი რიყის ქვებია გამოყენებული. კონსტრუქციულად საპასუხისმგებლო ნაწილები (კამარა, საბჯენი თაღები, კონქი, კარ-სარკმელთა წირთხლები და

თაღები) და ლავგარდანი გამოყვანილია აგურით. ინტერიერი შელესილი და შეთეთრებულია.

ეკლესიის გეგმის სწორკუთხედში (16,7×9 მ) ჩაწერილია საკურთხეველის ნახევარწრიული აფსიდით დასრულებული ერცელი დარბაზი და აფსიდის ორსაე მხარეს მოწყობილი თითო პატარა (ფართ. დაახლ. 2,5 კვ მ), ცილინდრული კამარით გადახურული სათავსი – სამკვეთლო და სადიაკვნე.



ნახ. წვ. გიორგის ეკლესია, ჭრილი, ხედი სამხრ.-დას. გეგმა

ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს: სამხრ-იდან და დას-იდან. სამხრ. კარი, შიგნით და გარედან სწორკუთხაა, დას-ისა – თაღოვანი.

საკურთხეველში გაჭრილია განიერი და მაღალი, ნახევარწრიული თაღით გადახურული სარკმელი, რ-შიც ჩასმულია შემინული ოთხკუთხა ჩარჩო. გარედან ჩარჩოს თავზე (სარკმლის თაღოვან არეში) ნახევარწრიული ტიმპანია, რ-ის შუაში, გამოსახულია შელრმაებული და წითლად დაფერილი რომბი. ამ სარკმლის გარდა, ინტერიერს კიდევ ხუთი მსგავსი სარკმელი აშუქებს. მათგან სამი ჩრდ-ითაა, ორი სამხრ-ით და ერთი დას-ით – შესასვლელის ზემოთ. აფსიდში, სარკმლის ორსაე მხარეს თითო პატარა ნიშაა. ჩრდ-ით მდებარე ნიშა გეგმით ნახევარწრიულია და თაღითაა დასრულებული, სამხრ-ით მდებარე კი – სწორკუთხაა. აფსიდს მთელ სიგრძეზე დაახ. 30 სმ სიმაღლის საფეხური გასდევს. აფსიდი გადახურულია წესიერი ფორმის კონქით. კონქის თაღი შეისრული ფორმისაა. ეკლესიის დარბაზი აფსიდთან შედარებით მაღალია, რის გამოც აფსიდის თაღის ზემოთ გამოყვანილია დაახლ. 1 მ სიმაღლის ე. წ. „შუბლი“, რ-იც ადის დარბაზის კამარის საბჯენ თაღამდე. თვით თაღი ეყრდნობა დარბაზის აღმ. კუთხეებში მოწყობილ შეკიდულ პილასტრებს. ამ თაღის გარდა, კამარა კიდევ სამ შეისრულ საბჯენ თაღს ეყრდნობა, თაღები – პილასტრებს. პილასტრების ერთი წყვილი დას. კუთხეებშია, ხოლო ორი – გრძივ კედლებზე, რ-ებიც შესაბამის კედლებს სამ თანაბარ ნაწილად ყოფენ. ყველა პილასტრი მარტივი პროფილის (თარო და დახრილი სიბრტყე) იმპოსტითაა დასრულებული. პილასტრებს შორის გამოყვანილია მუზარადისებრი თაღით გადახურული თითო ღრმა უბე, რ-ებშიც კარ-სარკმლებია განთავსებული. კამარის ქუსლის დონეზე ჩადგმულია ექვსი რეზონატორი.

სამკვეთლო და სადიაკვნე მათ დას. კედელში გაჭრილი სწორკუთხა კარით უკავშირდება დარბაზს. ორივე სათავსი განათებულია აღმ. კედელში გაჭრილი თითო თაღოვანი სარკმლით.

შიდა სივრცის ერთნაირიანობის მიუხედავად, ეკლესიის დარბაზს, გრძივი კედლების ღრმა უბეების წყალობით, გარედან ბაზილიკური აღნაგობა აქვს.



ნახ. წვ. გიორგის ეკლესია, დას. ფასადი

რითადი, კამარით დასრულებული ნაწილი რამდენადმე შემაღლებულია გვერდითი ნაწილების მიმართ და ორფერდა სახურავითაა გადახურული, გვერდითი, გაცილებით ვიწრო ნაწილების გადახურვა ცალფერდაა. დარბაზსა და აფსიდს შორის სიმაღლეთა სხვაობა გამოვლენილია გარეგან მასებშიც. შიდა გეგმარების შესაბამისად, საკურთხეველის ნაწილი დარბაზის შემაღლებული ნაწილისგან გამოყოფილია და დამოუკიდებელი ორფერდა სახურავი აქვს, რ-ის



ნახ. წვ. გიორგის ეკლესია, ხედი სამხრ.-აღმ-დან

კალთები დარბაზის გვერდის ნაწილების კალთებთან ერთ სიბრტყეს ქმნის. ფასადების დამუშავება საკმაოდ მარტივია. კედლების უმეტესი ნაწილი აგურისა და რიყის ქვის რიგების მონაცვლეობითაა ნაწყობი, ნაწილი მხოლოდ რიყის ქვისაა, რაც, როგორც ჩანს, გვიანდ. შეკეთების შედეგია. მორთულობის ძირითადი ელემენტებია შელრმავებული და წითლად დაფერილი მაღალი ჯვრები. აღმ. და დას. ფასადებზე სამ-სამი ჯვარია, სამხრ. ფასადის შესასვლელის თავზე – ერთი. სამხრ. შესასვლელი საფლავის ქვებითაა მოპირკეთებული, რ-ებზეც დაბალი რელიეფით გამოყვანილია მდარე ხარისხის მცენარეული ორნამენტი. შესასვლელის გვერდებზე გამოსახულია თითო შელრმავებული და წითლად დაფერილი რომბი. კედლები დასრულებულია აგურის საფეხურიანი ლავგარდნით,რ-იც შედგენილია ჩვეულებრივად დაწყობილი და კუთხით შერილი აგურის რიგების მონაცვლეობით.

XX ს-ის 80-იანი წლების II ნახ-ში, სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნომ ეკლესიას ჩაუტარა სარესტ. სამუშაოები (პროექტის ავტორი არქიტ. ნ. მინდორაშვილი). შენობის აღმ. და ჩრდ. ფასადები განთავისუფლდა 1950-იან წწ-ში მიშენებული ნაგებობებისგან, ამოშენებულ იქნა აღმ. და ჩრდ. კედლების განგრეული ნაწილები,აღდგა ლავგარდნის დანგრეული ნაწილები, მოიხსნა ეკლესიის დას. კედელზე დაშენებული სამრეკლოს შემორჩენილი



116. ჩრდ.-დას. კოშკი, I და III სართულების გეგმები

საფუძველი, ეკლ. გადაიხურა დარისებრი კრამიტით.

ეკლესიის ჩრდ.-დას.-ით, ათიოდე მ-ზე, გალავნის ჩრდ.-დას. კუთხეში მდგარი კ ო შ კ ი ა, რ-ზეც XIX ს-ში დაუშენებიათ მაღალი, შიგნიდან წრიული (დიამ. – 3,1 მ), ხოლო გარედან ექვსწახნაგოვანი ს ა მ რ ე კ ლ ო

კოშკი გვიშინ წრიულია (გარე დიამ. ფუძის დონეზე – 6,5 მ), ნაგებია მთლიანად რიყის ქვით. შემორჩენილია ორი სართული (სიმ. – 5,2 მ). ორივე სართულს ცალ-ცალკე შესასვლელი ეზოს მხრიდან (აღმ-იდან) აქვს. ორივე კარი თაღოვანია. სართულშუა გადახურვა გამართული ყოფილა ხის კოჭებზე (შემორჩენილია კოჭების ბუდეები).

სამრეკლო მთლიანად აგურისაა, დგას დაახლ 2 მ სიმაღლის საფუძველზე, რ-იც სიმაღლეში ორ თანაბარ ნაწილადაა გაყოფილი. საფუძვლის ქვედა ნახევარი გარედანაც მრგვალია, დასრულებულია მაღალი, პროფილირებული სარტყ



116. ჩრდ.-დას. კოშკი, ჭრილი, ხედი ჩრდ.-აღმ.-კენ. ჩრდ. ფასადი

ლით,რ-ის თავი ლეკალური აგურით გამოყვანილი ლილვია, ხოლო ძირი ხერხივითაა დაკბილული. საფუძვლის ზედა ნაწილი ექვსწახნაგოვანია, თითოეულ წახნაგზე (თითქმის მთელ სიგანეზე) გამოყვანილია დაბალი სწორკუთხა შელრმავება, რ-ის თავს ხერხისებრი არშია გასდევს. ფანჩატურის ექსტერიერი მორთულობის სისტემით სამ იარუსადაა გადაწყვეტილი (სმ. საფუძვლიდან სახურავის ძირამდე დაახლ. 14 მ-ია). ქვედა და ზედა იარუსები თანაბარი სიმაღლის და შუა იარუსზე სამჯერ უფრო მაღალია. სამივე იარუსზე ფანჩატურის წიბოებს ასდევს პილასტრისმაგვარი შვერილი, რ-ებიც შუა იარუსზე მსგავსი ფორმის პორიზ. შვერილით იკვეთება. შუა და ზედა იარუსებზე შვერილებს შორის მოქცეული არეები ხერხისებრი არშიითაა დასრულებული. ყოველი წახნაგი გახსნილია თითო მაღალი თაღოვანი ღიობით, ხოლო შუა იარუსის წახნაგებში მოწყობილია თითო მრგვალი ღიობი. თაღები მორთულია ლეკალური აგურით ნაწყობი თავსართებით, რ-თა ბოლოები ქვედა იარუსზე ერთმანეთს ებმის. მრგვალი ღიობები პროფილირებულ საპირეშია ჩასმული. ფანჩატურის ქვედა ნაწილში, თაღოვანი ღიობების ორივე მხარეს გამოსახულია ერთმანეთის თავზე განლაგებული, წყობაში ჩაღრმავებული 10-10 ტოლმკლავა ჯვარი. სამრეკლო დაგვირგვინებულია მაღალი ოთხსაფეხურიანი ლავგარდნით. გადახურულია თუნუქით შემოსილი პირამიდისებრი სახურავით.

თ. ლეჟავა.

ბიბლ.: 323; 335.

117. წმ. ბარბარეს ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-აღმ-ით 1,5 კმ-ზე, ჩაჩაანთ უბანში. განეკუთვნება განვით. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (5,15×3,6 მ). ნაგებია მოზრდილი ზომის რიყის ქვითა და კირის დულაბით. გარე კუთხეებში საგანგებოდ შერჩეული, დაკუთხული მსხვილი ქვებია გამოყენებული. წყობა ირეგულარულია. 2003–04 წწ. ადგილ. მოსახლეობას დაზიანებული ეკლ. შეუკეთებია: აღუდგენიათ კედლების ზედა ნაწილები და ეკლ. ხის კოჭებზე გამართული ღარიანი კრამიტის ორკალთა სახურავით გადაუხურავთ.

შესასვლელი ორია: დას-იდან და სამხრ-იდან. ორივე კარი ქვის ბრტყელი ფილით გადახურულია თარაზულად. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-შიც მაღალი, სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ორივე მხარეს თითო საშუალო ზომის სწორკუთხა ნიშაა. საკურთხევლის ბაქანი დარბაზის იატაკზე ერთი საფეხურით მაღალია. აფსიდი დარბაზისგან მოკლე მხრებითაა გამოყოფილი. იატაკი მოლესილია ცემენტის ხსნარით. კონქის თაღი რიყის ბრტყელი ქვის თაროსებრ იმპოსტებს ეყრდნობოდა.

ეკლესიის სახურავის კეხის შუა ნაწილზე დადგმულია თუნუქით შემოსილი ხის ოთხწახნაგა ფანჩატური, რ-ზეც რკინის ტოლმკლავა ჯვარია აღმართული.

თ. მარკოზაშვილი.

118. წმ. მარიამის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას შუა სოფელში, ღვთისმშობლის ეკლესიის გვერდით. აგებულია XIX ს-ში. 1989-90 წწ-ში, ადგილობრივმა მოსახლეობამ დეკანოზ იოანე მიტიჩაშვილის თაოსნობით ეკლ. შეაკეთა და თუნუქით გადახურა; შიგნით მთლიანად შელესეს, მოაწყეს კანკელი და პატრონიკე, ხოლო დას-იდან, ადრე არსებული სამრეკლოს ბოძების შემორჩენილი ნაშთების მიხედვით, ააგეს აგურის ორსართულიანი სამრეკლო, რ-ის ორივე სართული კვადრატულ ბოძებზე დაყრდნობილი ნახევარწრიული თაღებითაა გახსნილი. სამრეკლოს I სართულის ერთ-ერთ ბურჯში ჩასმულია შავი მარმარილოს პატარა ფილა წარწერით: „ამ ტაძრის აღმდგენელ-გამამშვენებელი არის დეკანოზი მამა იოანე მიტიჩაშვილი". 1990 წ-იდან ეკლ. მოქმედია.

ეკლ. დარბაზულია (19,8×9,2 მ), უაფსიდო. ნაგებია ე. წ. კახური წყობით – წვრილი რიყის ქვისა და აგურის პორიზ. რიგების მონაცვლეობით. კამარა და ნაშვენი თაღები მთლიანად აგურისაა. შიგნით და გარედან შელესილი და შეთეთრებული ყოფილა.

შესასვლელი ორია, დას-იდან (მთავარი) და სამხრ-იდან. გარედან ორივე ღიობი სწორკუთხაა,



118. ზედა ნრდ.-დას-იდან

გამოყვანილია საფლავის ქვებით, შიგნით კი ისრული თაღი ხურავს. ისრული ფორმისაა კამარაც. იგი დაყრდნობილია ანალოგიური ფორმის ექვს საბჯენ თაღზე (აღმ. და დას. თაღები შესაბამის კედლებზეა მიყრდნობილი), თაღები – პილასტრებზე. მათგან აღმ. წყვილი დაგვირგვინებულია თაროსებრი კაპიტელებით. ინტერიერი განათებულია ექვსი განიერი და მაღალი თაღოვანი სარკმლით. ერთი მათგანი აღმ-ითაა, სამი – ჩრდ-ით, ხოლო ორი – სამხრ-ით, შესასვლელის ორსავე მხარეს. დას. კედელში, შესასვლელის ზემოთ თაღოვანი ღიობია, რ-იც პატრონიკედან სამრეკლოს II სართულზე გასასვლელად გამოიყენება.

საკურთხევლის აღმ. კედლის ჩრდ. ნაწილში ერთი თაღოვანი ნიშაა, სამხ. კედელში – ერთი სწორკუთხა ნიშა, ხოლო ჩრდ. კედელში ორი თაღოვანი ნიშაა.

ფასადებიდან მორთულობით გამოირჩევა აღმ. ფასადი. იგი დანაწევრებულია სამი თაღით. შუა თაღი ერთიმეორეზე დადგმული ორი თაღისგან შედგება და გვერდითებზე გაცილებით მაღალია. ქვედა თაღში საკურთხევლის სარკმელია მოთავსებული, განაპირებში კი კედლის სიბრტყეში საფეხურით შედრმავებული თითო თაღოვანი არეა, რ-ებიც შევსებულია საფეხურებისგან შედგენილი და თევზიფხურად განლაგებული, რელიეფური ხოლებით (ანალოგიური შელმავებაა სამხრ. ფასადზეც – აღმ-იდან მეორე თაღში). ფასადის ზედა ნაწილში, ფრონტონის ძირის დონეზე, ორმაგი ლილვით მოჩარჩოებული სამი წრიული მოხაზულობის ყრუ სარკმელია, შუა თაღის წვერზე კი წითლად შეღებილი რელიეფური ჯვარია დადგმული. მსგავსი ჯვარია დადგმული სამხრ. ფასადის ერთ-ერთ თაღზე, რ-შიც შესასვლელია მოქცეული.

დას. ფასადზე სამი თაღია. შუა თაღში, რ-იც სიდიდით დანარჩენ ორს ბევრად აღემატება, ეკლესიის შესასვლელია გაჭრილი.

ჩრდ. ფასადზე ხუთი თაღია; მათგან სამში სარკმლებია მოქცეული, დანარჩენი ორი კი ყრუა.

ფასადები დასრულებულია ლეკალური აგურით ნაწყობი, მაღალი ლავგარდნით (შემორჩენილია ნაწილობრივ), რ-ის პროფილს შეადგენს: თარო, შეზნექილი მრუდე ზედაპირი და ლილვი.

ეკლესიის დას. ფასადზე, ლავგარდნის შემორჩენილი ნაწილების დახრილობის მიხედვით ჩანს, რომ ფასადი ჩვეულებისამებრ ფრონტონით კი არ იყო დასრულებული, არამედ კოშკისებურად მაღლდებოდა, რაც საფუძველს გვიქმნის ვიფიქროთ, რომ ადრე კედელზე სამრეკლოს ფანჩატური იქნებოდა დადგმული, ხოლო დას. კედელზე მიშენებული სამრეკლო, რ-ისგანაც მხოლოდ ბურჯების მცირე ნაწილებიღა იყო შემორჩენილი, ეკლესიის მშენებლობის მომდევნო პერიოდს განეკუთვნება.

ო. დეკალი.

119. აბაშიძეების კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფლის ზემოთ, ვეჯინისხევის მარჯვ. ნაპირზე. განეკუთვნება XVIII ს. გადმოცემით ეკუთვნოდა იოანე აბაშიძეს, ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკურ და სამხ. მოღვაწეს, ქეშიკთუხუცესს, კრწანისის ომის გმირს, რ-საც როგორც კახეთის მკვიდრს „კახთ აბაშიძეს“ უწოდებდნენ.



119. I სართულის გეგმა



119. II სართულის გეგმა

კოშკი გეგმით მრგვალია (გარე დიამ. ფუძის დონეზე – 9 მ, კედლის სისქე – 1,5 მ) და ზემოთკენ თანდათან ვიწროვდება, ნაგებია რიყის ქვით. იგი ოთხი სართულისგან შედგება, ხოლო მეხუთე – კედელშემოვლებული ბანია (სიმ. დაახლ. – 14 მ). ყოველ სართულზე თითო ოთახია, სართულები ერთმანეთს კედლის სისქეში მოწყობილი კიბით უკავშირდებოდა. სართულებს ხის კოჭოვანი გადახურვა ჰქონიათ.

კოშკში შესასვლელი I სართულის დონეზეა – აღმ-იდან (გარედან კვადრ. აგურით ნაწყობი ნახევარწრიული თაღითაა გადახურული, შიგნით – სწორკუთხაა. შესასვლელის ორივე მხარეს, ჭერთან გაჭრილია გარეთკენ შემაღლებული და თანდათან დავიწროებული თითო სარკმელი, სართულზე გეგმით ნახევარწრიული ორი ბუხარი (შესასვლელის პირდაპირ და ჩრდ-ით), ექვსი ღრმა, ხის ძელებით თარაზულად გადახურული ნიშა და II სართულზე



119. ჭრილი, ხედი ჩრდ-კენ

ასასვლელი კიბის უჯრედის თაღოვანი შესასვლელია – კოშკში შესასვლელის სამხრ-ით.

II სართულზე, კოშკის შესასვლელის ასწვრივ, ნახევარწრიულთაღიანი ღიობია, რ-ის წინ ხის დაკიდული აივანი ყოფილა მოწყობილი. ღიობის თაღი ნაწყობია აგურით, შიგნით კი თარაზულადაა გადახურული ხის ძელებით. ამ სართულზე არის გეგმით ნახევარწრიული ერთი ბუხარი (აივანზე გასასვლელი კარის პირდაპირ), სათოფურებით აღჭურვილი შვიდი სწორკუთხა ნიშა (ექვს

ნიშაში თითო შეწყვილებული სათოფურია მოწყობილი, ერთში – ერთი (ცალმაგი სათოფური) და I და III სართულებთან დამაკავშირებელი კიბის უჯრედების თითო სწორკუთხა შესასვლელი. სართული ორი სწორკუთხა სარკმლითაა განათებული – სამხრ-იდან და ჩრდ-იდან. ორივე ჭერის დონეზეა.



119. ხედი ჩრდ-იდან

III სართულზე სწორკუთხა ნიშები და ორი ფართო სწორკუთხა ღიობია (სამხრ-ით და ჩრდ-ით). სამხრ. ღიობის გვერდით დიდი, კვადრ. ნიშაა, რ-ის ქვედა ნაწილში შეწყვილებული სათოფურია, ზედაში – სწორკუთხა სარკმელი. ერთი, ხის ძელით ბრტყლად გადახურული სარკმელი აღმ. კედელშიცაა. ამ სართულზეც, II სართულის მსგავსად, ერთმანეთის პირდაპირ ზედა და ქვედა სართულთან დამაკავშირებელი კიბის უჯრედში შესასვლელი თითო კარია.

IV სართულზე ოთხი დიდი სწორკუთხა ღიობია. ყველა მათგანის წინ დაკიდული აივანი ყოფილა. მოგვიანებით ორი ღიობი ამოუშენებიათ და სათოფურები მოუწყვიათ. ამ სათოფურების გარდა, სართულის მთელ პერიმეტრზე, სხვადასხვა დონეზე ცალმაგი და შეწყვილებული სათოფურებია განლაგებული. ბანზე ასასვლელად, როგორც ჩანს, მისადგმელ ხის კიბის იყენებდნენ. სართულშუა გადახურვა ხის კოჭებზე ყოფილა მოწყობილი.

1986-87 წწ-ში სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნომ ძეგლზე ჩაატარა სარესტ. სამუშაოები (პროექტის ავტორი, არქიტ. ი. მოსულიშვილი). გაიწმინდა კოშკის მიმდებარე ტერიტორია, აღდგა ხის სართულშუა გადახურვები და ბანის კედელი, რ-შიც მოეწყო სათოფურები და სალოდეები; ბანის კედელს გაუკეთდა ნახევარწრიულთავიანი ქონგურები, II და IV სართულებზე აღდგა ხის დაკიდული აივნები,

თ. დვალი.

ბიბლ.: 335.

120. ივანე **ბერიტაშვილის მუზეუმი,** ისტ., არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-დას. ნაწილში. აგებულია 1985-87 წწ-ში (არქიტ. ი. მოსულიშვილი), გაიხსნა 1988 წ. 10 იანვარს.

შენობა გეგმით ჯვრული მოხაზულობისაა (42×32 *მ*), ორსართულიანი, ნაგებია ქვითა და აგურით. გარედან მოპირკეთებულია ეკლარის ქვის ფილებით. შესასვლელი სამხრ-იდან აქვს. კარის წინ ბაზალტის ფილებით მოგებული ბაქანია, ხოლო თავზე, ოქროსფერი მსხვილი ასოებით შესრულებული წარწერა – ივანე ბერიტაშვილის მუზეუმი. საგამოფენო დარბაზები გრძივ მკლავებშია განთავსებული. I სართულზე ორი საექსპოზიციო დარბაზია, დანარჩენი ფართობი უკავია ფოიეს და სხვადასხვა სათავსებს. დარბაზებში გამოფენილია ი. ბერიტაშვილის ცხოვრებისა და სამეცნიერო მოღვაწეობის ამსახველი მასალები, ფოტოსურათები, წიგნები და ნაშრომები, ამ ნაშრომთა თარგმანები ფრანგულ, გერმანულ და ჩინურ ენებზე.

II სართულზე სამი აღმ. ოთახია. სარდაფში განთავსებულია საკონფერენციო დარბაზი 108 კაცზე. შენობის სართულები ერთმანეთთან დაკავშირებულია მარმარილოს საფეხურებიანი ხვეული კიბით. დარბაზების იატაკები მოგებულია მარმარილოს ფილებით. მუზეუმის გადახურვა ბრტყელია.

თ. მარკოზაშვილი.

121. ბანძი, არქეოლ. ძ. თამარ მეფისა და დავით სოსლანის სახელით მოჭრილი სპილენძის 2759 ც. მონეტა, აღმოჩნდა 1924 წ. მონეტათა უმრავლესობის (2656 ც.) შუბლზე ოთხსტრიქონიანი არაბული წარწერაა: „დედოფალი დედოფალთა, შვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, თამარ, ასული გიორგისა, მესიის თაყვანისმცემლისა“; ზურგზე თამარისა და დავითის დაქარაგმებული სახელები და მოჭრის თარიღია აღნიშნული – ქორონიკონით 420 (1200 წ.). ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმში.

ი. ჯალაღანია.

ბიბლ.: 202.

122. ბვირაბი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის დას-ით 1,5 *კმ*-ზე. ყველაწმინდის ეკლესიიდან 50 *მ*-ზე. განეკუთვნება შუა საუკუნეებს.

აღმოჩნდა 2009 წ. მიწის სამუშაოების დროს. გაჭრილია პატარა ბორცვში, თიხნარ მიწაში.

გვირაბი თაღოვანია (სიგრ. – 17 *მ*, სიგ. – 0,6-0,7 *მ*, სიმ. – 1,5-1,7 *მ*). დაზიანებულია: დას-ით და აღმ-ით ჩაკეტილია ჩამოქცეული მიწით. შესასვლელი, სავარაუდოდ, ყველაწმინდის ეკლესიის მახლობლად უნდა იყოს.

ი. მოსულიშვილი.

123. ბვირაბი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-დას-ით 1,5 *კმ*-ზე. ვეჯინისხევის მარჯვ. ნაპირზე.

1983 წ. ხევიდან ქვიშის ამოღების დროს კლდის ძირში გამოჩნდა 1,7 *მ* სიმაღლის გვირაბი, რ-ის ძირი 0,3-0,4 *მ*-ია, ზემოთკენ თანდათან ფართოვდება და კამარისებრი ჭერითაა დასრულებული (მაქს. სიგ. – 0, 75 *მ*). გვირაბი გაჭრილია ქვიან თიხნარში. კედლების ზედაპირი გლუვია და მოთეთრო ფერი დაჰკრავს. შესასვლელიდან დაახლ. 20-25 *მ* მანძილზე, გვირაბს ჯვარედინად კვეთს მეორე გვირაბი (სიგ. – 0,8 *მ*, სიმ. – 1,3 *მ*), რ-საც ვერტ. კედლები, თარაზული ძირი და მრუდხაზოვანი ჭერი აქვს. გვირა-

ბების გადაკვეთის ადგილის თავზე მოწყობილია დაახლ. 2,5 *მ* სიგრძისა და 1 *მ* სიმაღლის სამალავი, რ-ის იატაკში სათვალთვალო ხვრელია ამოჭრილი. ამ ადგილიდან სიღრმეში გვირაბი თანდათან იმდენად ვიწროვდება, რომ გადაადგილება შეუძლებელია.

გადამკვეთი გვირაბის მარჯვ. ნაწილის სიგრ. 10-12 *მ*-ია. მარცხ. ნაწილისა კი – 5 *მ*. გვირაბის ბოლოსთან პატარა ხვრელია, საიდანაც ვხვდებით ცილინდრული ფორმის მაღალ (სიმ. დაახლ. 4 *მ*) სათავსში. სათავსის კედელში, იატაკიდან 2,5 *მ* სიმაღლეზე, პატარა შეღრმავებული ადგილია, რშიც მოხვედრა მისადგმელი კიბის საშუალებითაა შესაძლებელი.

ი. მოსულიშვილი.

124. ბვირაბი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის დას-ით 2 *კმ*-ზე, ვეჯინის ციხის ჩრდ-ით 300 *მ*-ზე, კოდისხევის მარჯვ. შემაღლებულ ნაპირზე. განეკუთვნება შუა საუკუნეებს.

აღმოჩნდა 2008 წ. ნაშენია მსხვილი რიყის ქვითა და დუღაბით. გადახურულია ბრტყლად ფიქლის მოზრდილი ფილებით. გვირაბის მნიშვნელოვანი ნაწილი მიწითა და ქვა-ღორღითაა ამოვსებული. შესასვლელი (1,3×0,7 *მ*) სამხრ-იდან აქვს. კარი სწორკუთხაა. შიგნიდან ქვის დიდი ფილით თარაზულადაა გადახურული. გვირაბს აღმ-ით და დას-ით განშტოებები აქვს (ჩაკეტილია). ჩრდით კი თაღოვანი ღიობით, უერთდება პატარა ოთხკუთხა მოხაზულობის (6×2 *მ*) სათავსი.

ი. მოსულიშვილი.

125. ბვირაცხოვლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-დას. განაპირას, ქედის უბანში, სასაფლაოზე. განეკუთვნება XVIII ს.

ეკლ. დარბაზულია, მაგრამ გარეგანი ფორმებით სამნავიან ბაზილიკას წააგავს. გრძივ ფასადებზე კედლის ქვედა ნაწილი, ზედას მიმართ, რამდენადმე წინწამოწეულია (დაახლ. 70-80 სმ-ით) და



125. გეგმა

ცალფერდა სახურავითაა დასრულებული, რის გამოც ფასადებს ბაზილიკური პროფილი აქვთ.

ეკლ. ნაგებია აგურითა და რიყის ქვით. შენობის გეგმის სწორკუთხედში (13,6×9,8 *მ*), ჩაწერილია ვრცელი დარბაზი და საკურთხევლის ნახევარწრიული აფსიდი, რ-იც დარბაზისგან წყვილი პილასტრითა და მათზე დაყრდნობილი საბჯენი თაღითაა გამოყოფილი. ეკლესიას ორი განიერი და მაღალი შესასვლელი აქვს დას-იდან და ჩრდ-იდან. ჩრდ. კარი კედლის დას. ნაწილშია, დასისა – შუაში. ორივე კარი შეისრულთაღოვანია.

აფსიდის შუაში განიერი და მაღალი, ნახევარწრიული თაღით დასრულებული სარკმელია. სარკმლის ორივე მხარეს, კედლის სიღრმეში, მოწყობილია წრიული გეგმის (დიამ. – 1,5 *მ*) თითო



125. ჭრილი, ხედი აღმ-კენ

უსარკმლო სათავსი – სამკვეთლო და სადიაკვნე, რ-ებიც თაღოვანი კარით უკავშირდება საკურთხეველს. კარი საკურთხევლის იატაკიდან 0,5 *მ* სიმაღლეზეა მოწყობილი. ჩრდ. სათავსის გადახურვაში სამალავში ასაძრომი ხვრელია. აფსიდის გვერდების ბოლოებში სხვადასხვა ზომის ორ-ორი სწორკუთხა ნიშაა.

დარბაზის სივრცე ორი [illegible] ვრი პილასტრითა და მათზე დაყრდნობილი შეისრული საბჯენი თაღით ორ თანაბარ ნაწილად იყოფა. შეისრული ფორმისაა კამარაც. პილასტრების გვერდებზე შეღრმავებული უბეებია, შეისრული თაღით დასრულებული.

საკურთხევლის სარკმლის გარდა, შიდა სივრცეს კიდევ ოთხი თაღოვანი სარკმელი აშუქებს.



125. დას. ფასადი

მათგან ორი სამხრ. კედელშია, ხოლო თითო-თითო – დას. და ჩრდ. კედლებში.

ინტერიერი შელესილი და შეთეთრებულია. ეკლესიის იატაკი კვადრ. აგურით ყოფილა მოგებული (შემორჩენილია ფრაგმენტები).

გარედან აგურისა და რიყის ქვის რიგების მონაცვლეობა მხატვრულ ეფექტს იძლევა. სარკმლებს ირგვლივ შემოვლებული აქვს ლეკალური აგურით გამოყვანილი ლილვი, რ-იც სარკმლებს ქვემოთ მოწყობილ ვიწრო თაროზეა დაყრდნობილი. ლილვითაა შემოფარგლული ორივე შესასვლელიც.

აღმ. ფასადზე, სარკმლის ორივე მხარეს, აგურის წყობით თითო ტოლმკლავა ჯვარია გამოსახული, ხოლო ზემოთ, ფრონტონის არეში – დაგრძელებულმკლავებიანი ჯვარი, რ-ის განივი მკლავების ქვემოთ კონქის თავზე არსებული სამალავის წრიული სარკმლებია.

ისინი ლეკალური აგურის ვარდულებითაა შემკული.

დას. ფასადზე, შესასვლელის გვერდებზე თითო ტოლმკლავა ჯვრის გამოსახულებაა – წაწვეტებულ ბოლოებიანი მკლავებით. კარის ზემოთ განიერი და მაღალი სარკმელია, რ-ის ზემოთ, ფრონტონის წვეროსთან, პატარა რელიეფური ჯვრის გამოსახულებაა.

ეკლესიის გრძივი ფასადები გაფორმებით ერთმანეთის მსგავსია, მხოლოდ ჩრდ. ფასადის დას. ნაწილში, სამხრ. ფასადისგან განსხვავებით, სარკმლის ნაცვლად კარია გაჭრილი. ორივე ფასადის აღმ. ნაწილში შესაბამისად გაფორმებული თითო ცრუ სარკმელია, დას. ნაწილში კი – ორი შეღრმავებული ჯვარი.



125. ხედი სამხრ.-დას-იდან

კედლები დასრულებულია აგურის საფეხურებიანი ლაქვარდინით.

ადრე დას. ფრონტონზე დადგმული ყოფილა აგურის სამრეკლო, რ-ის საფუძველიღა იყო შემორჩენილი.

2005-06 წწ-ში ადგილობრივმა მოსახლეობამ ეკლ. შეაკეთა. მთლიანად შეილესა ინტერიერი და დაიგო აგურის იატაკი; მოიხსნა სამრეკლოს შემორჩენილი საფუძველი; აღდგენილ იქნა ლაქვარდინისა და კედლების აქა-იქ ჩამოშლილი ნაწილები. ეკლ. გადაიხურა კრამიტით.

თ. დვალი.

126. ნაგებობა, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის დას-ით 1 *კმ*-ზე, ბაქსის ხეობის მარცხ. შემაღლებულ ნაპირზე. განეკუთვნება შუა საუკუნეებს.

ნაგებობა მთის ფერდობშია შეჭრილი (სიგ. 4 *მ*, სიგრძის დადგენა გაწმენდის გარეშე არ ხერხდება). ნაშენია დიდი ზომის რიყის ქვით და კირის ხსნარით. ქვებს შორის დარჩენილი არეები ამოვსებულია წვრილი ნატეხი ქვით. წყობა ირეგულარულია, ტლანქი. შიგნითა კედლები შებათქაშებული ყოფილა. ძლიერაა დაზიანებული: შემორჩენილია დას. და ჩრდ. კედლების ნაწილები (სიმ. 1,5-2 *მ*). დანარჩენი ნაწილი კი მიწითაა დაფარული.

შენობას შესასვლელი სამხრიდან ჰქონია. დას. კედლის კიდეებში თითო სხვადასხვა ზომის სწორკუთხა ნიშაა. ინტერიერში ზედაპირულად შეგროვდა როგორც მოჭიქული, ისე მოუჭიქავი თიხის ჭურჭლისა და ღარისებრი კრამიტის ნატეხები. ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

თ. მარკოზაშვილი.

127. ნაგებობა, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის დას-ით 1,5 *კმ*-ზე, ვეჯინის ხევის მარჯვ. ნაპირზე, სამანქანო გზის ქვეშ.

2002 წ. წყალდიდობის დროს გზის ჩანგრევის შედეგად გამოჩნდა დერეფანი (სიგ. – 1 *მ*), რ-იც უკავშირდება გეგმით სწორკუთხა, სამხრ-იდან ჩრდ-ის მიმართულებით წაგრძელებულ, შეისრულკამაროვან სათავსს (4,2×2,1 *მ*). იგი მთლიანად კვადრ. აგურითაა (25×25×5 *სმ*) ნაგები. სათავსის სამხრ. კედელში თაღოვანი ნიშაა, მის მოპირდაპირე კედელში კი თაღოვანი კარი, რ-იც გადის კვადრ. (2,2×2 *მ*) სათავსში. აქაც კედლები და კამარა აგურისაა. ოთახების დამაკავშირებელი კარის პირდაპირ, თაღოვანი ღიობია (მთლიანად ამოვსებულია ქვა-ღორღით), რ-იც ხევში გადის. ღიობის დას-ით მცირე თაღოვანი ნიშაა. ორივე სათავსი შელესილი ყოფილა (ნალესობა მხოლოდ კედლებზეა შემორჩენილი).

ი. მოსულიშვილი.

128. ნაგებობა, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის დას-ით 1,5 *კმ*-ზე, ვეჯინის ხევის მარცხ. ნაპირზე, ფერდობზე.

ძლიერ დაზიანებულია. შემორჩენილია მხოლოდ ჩრდილოეთ კედელი (სიგრ. – 17,84 *მ*, მაქს. სიმ. მიწის ზედაპირიდან – 8,5 *მ*, კედლის სისქე – 0,9 *მ*) და მასთან დაკავშირებული სამი კედლის ნაწიბურები – ბოლოებში და დას. ნაწილში. იგი ნაგებია რიყის ქვითა და კირის დულაბით; არქიტ. ელემენტების წყობაში გამოყენებულია კვადრ. აგური (25×25×5 *სმ*).

ნაგებობა სამსართულიანი ყოფილა (კედელზე შემორჩენილია სართულშუა გადახურვის კოჭების დასაყრდნობი საფეხურები).

I სართულის დონეზე კედელი თითქმის მთლიანად დაფარულია მიწითა და ნანგრევებით. კედლის აღმ. ნაწილის შუაში მოჩანს ისრულთაღოვანი ნიშის თაღის მცირე ნაწილი.

II სართულის დონეზე, აღმ. ნაწილში, სამი შეისრულთაღოვანი ნიშაა, რ-თა თაღები აგურისაა. მათგან აღმ-ით მდებარე ნიშაში მოწყობილია ისრული თაღით გადახურული ღრმა უბე. კედლის აღმ. ბოლოში, გვერდიგვერდ, ორი სწორკუთხა ნიშაა, მათ ქვემოთ



128. III და II სართულების გეგმები

კი – მცირე ისრულთაღოვანი ნიშა, რ-იც ვიწრო და დაბალი პორიზ. ხერელით დაკავშირებულია კედლის სისქეში მოწყობილ ცილინდრულ, ნახევარსფერული კამარით გადახურულ სათავსთან (დიამ. – 1,8 *მ*, სიმ. – დაახლ. 2,5 *მ*). სათავსი მთლიანად შელესილია; მის ჩრდ.-დას. ნაწილში პატარა სწორკუთხა ნიშაა. სართულის კედლის დას. ნაწილი ყრუა.

III სართულზე, აღმ. ნაწილში, ორი შეისრულთაღოვანი ნიშაა.



128. ჭრილი, ხედი აღმ-კენ

მათ აღმ-ით კი – ერთი საკმაოდ დიდი და ღრმა სწორკუთხა ნიშა (სიგ. – 1,92 *მ*, სიმ. – 1,5 *მ*, სიღრმე – 1,3 *მ*); მის გვერდებში თითო ისრულთაღოვანი ნიშაა მოწყობილი, ხოლო ძირში – ხვრელი (დიამ. – 0, 55 *მ*, სიმ. – 1,3 *მ*), რ-იც დაკავშირებულია II სართულის დონეზე მოწყობილ სათავსთან. კედლის დას. ნაწილი ამ სართულზეც ყრუა.

თ. დვალი.

129. ნათლისმცემლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-დას-ით 1,8 კმ-ზე, ე. წ. აკანაქედის ფერდობზე, ცხრასაყდრის კომპლექსისაკენ მიმავალ გზასთან ახლოს, ტყეში. განკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (6,5×4,8 *მ*), ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვით; კონსტრუქციულ ნაწილებში გამოყენებულია კვადრ. აგური (24×24×5,5 *სმ*, 22,5×22,5×5,5 *სმ*).



129. გეგმა

ძლიერ დაზიანებულია: ჩამონგრეულია კამარის აღმ. ნახ. და კონქის დიდი ნაწილი, კედლების ზედა ნაწილები და ლავგარდანი,მთელ სიმაღლეზე გაბზარულია აღმ. კედელი, შიგნით უკლ. დაახლ. 1 *მ* სიმაღლეზე ჩამონაშალი ქვითა და მიწითაა ამოვსებული.

ერთადერთი შესახვლელი სამხრ. კედლის დას. კიდეშია. კარი გარედან გადახურულია თარაზულად არაწესიერი ფორმის მოზრდილი ქვიშაქვით, შიგნით კი – ნახევარწრიული თაღით. საკურთხევლის ნახევარწრიულ აფსიდში შეისრულთაღოვანი სარკმელი და მის ორივე მხარეს განლაგებული თითო სწორკუთხა ნიშაა. სარკმლის ქვემოთ, კედელზე მიდგმულია ოთხწახნაგა ტრაპეზი. აფსიდის კონქი რიყის ქვით ყოფილა ნაწყობი, ხოლო თაღი – აგურით (შემორჩენილია კონქისა და თაღის ჩრდ. ნაწილი).

დარბაზის სივრცე წყვილი პილასტრითა და მათზე გადაყვანილი შეისრული საბჯენი თაღით გაყოფილია ორ თანაბარ ნაწილად. თაღი მთლიანად კვადრ. აგურითაა ნაწყობი. დას. კედლის ზედა ნაწილში თაღოვანი სარკმელია.

აღმ. ფასადზე, სარკმლის ორივე მხარეს, განთავსებულია თითო ფართო და მაღალი თაღოვანი ნიშა. სამხრ-ით მდებარე ნიშა გეგმით სამკუთხაა, ჩრდ-ისა კი – ნახევარწრიული.



129. შესასვლელის ზღუდარი, დეტალი

სამხრ. ფასადზე, შესასვლელის ზღუდარის შუა ნაწილში, ტლანქად ნაკეთი ტოლმკლავა ჯვრის რელიეფური გამოსახულებაა – ბოლოებისკენ გაფართოებული მკლავებით. იგი ჩასმულია ფონის ამოკვეთით გამოყვანილ სწორკუთხა არეში. ჯვრის ქვედა მკლავის გვერდებზე და ზღუდრის დანარჩენ სიბრტყეზე შემორჩე-



128. ხედი სამხრ-დან

ნილია დაუდევრად შესრულებული ძლიერ დაზიანებული ასომთავრული წარწერა.

აღმ. ფრონტონის გვერდებზე შემორჩენილია ლავგარდნის მცირე ნაწილი, რ-იც შედგება კუთხით შვერილი და ჩვეულებრივად ნაწყობი აგურის ორი რიგისგან.

თ. დვალი.

130. ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის დას-ით 1,5 კმ-ზე, ტყიანი მთის ფერდობზე. განეკუთვნება XII-XIII სს.

ძ. 2008 წ. აღმოაჩინა გურჯაანის მუნიციპ-ის ძეგლთა დაცვის სამსახურმა.

ნამოსახლარს საკმაოდ დიდი ფართობი უკავია. ზედაპირულად შეგროვდა: სხვადასხვაფრად მოჭიქული და მოუჭიქავი წითელკეციანი კერამიკის (ჯამების, ლანგრების, დოქების, ხელადების, ქოთნების, ქვაბ-ქოთნების, სამარილეების, ჭრაქების და სხვ.) ფრაგმენტები; ბრტყელი და ღარისებრი კრამიტის ნატეხები; მინის სამაჯურები და სხვ. მრგვალი კერამიკული სოლების, კაჟების და ნახევარფაბრიკატების (მ. შ. წუნდებულის) აღმოჩენა ამ ტერიტორიაზე მძლავრი სამეთუნეო ქურის არსებობაზე მიუთითებს.

მასალა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ-ეთნ. საცავში.

თ. მარკოზაშვილი.

131. პეტრე და **პავლე მოციქულების ეკლესია,** არქიტ. ძ. დგას სოფლის დას-ით 1,5 კმ-ზე, ვეჯინის ციხისაკენ მიმავალი გზის მარჯვ. მხარეს, ძვ. სასაფლაოზე. განეკუთვნება განვით. შუა საუკუნეებს(?).

ეკლ. დარბაზულია (7,5×5,5 მ). ნაგებია რიყის ქვით. კუთხეები გამოყვანილია შირიმის მეტ-ნაკლებად სუფთად დამუშავებული ქვებით. შესასვლელი დას-იდან აქვს – კედლის სამხრ. ნაწილში. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-შიც თაღოვანი სარკმელი და მის ორსავე მხარეს, განიერი და მაღალი, გეგმით ნახევარწრიული თითო თაღოვანი ნიშაა. საკურთხევლის სარკმლის გარდა, ერთი სწორკუთხა სარკმელია დას. კედელში. ორივე სარკმლის ღიობი შირიმის ნათალი ქვებითაა გამოყვანილი.

გარედან ეკლესიის ოთხივე კედლის სიბრტყე დანაწევრებულია საფეხურით შეღრმავებული ორ-ორი თაღოვანი არით, რ-ებიც ფასადების პროპორციის შესაბამისად, გრძივ ფასადებზე გაცილებით განიერია ვიდრე განივ ფასადებზე. მოგვიანებით (სავარაუდოა XIX ს-ში) ეს არეები აგურისა და რიყის ქვის წყობით შეუვსიათ და ეკლ. შიგნით და გარედან მთლიანად შეულესავთ. კარის ღიობი კი საფლავის ქვებით გამოუყვანიათ.



131. ჭრილი, ხედი სამხრ-კენ. გეგმა

1989 წ. ძეგლზე ჩატარდა სარესტ. სამუშაოები (პროექტის ავტორი, არქიტ. ი. მოსულიშვილი). ეკლესიის ინტერიერის ნანგრევებიდან გაწმენდის შემდეგ გამოჩნდა კვადრ. აგურით (21×21×4 სმ) მოგებული იატაკი, რ-ის ქვეშ, დაახლ. 0,5 მ სიღრმეზე, გამოვლინდა უფრო ძველი, აგურის იატაკის ნაშთები (აგური მთლიანად იყო დაშლილი, რის გამოც მათი ზომების დადგენა ვერ მოხერხდა.



131. ხედი სამხრ.-დას-იდან

გარედან, ეკლესიის ჩრდ.-აღმ. და ჩრდ.-დას. კუთხეებთან, მიწის ზედაპირიდან 0,8 მ სიღრმეზე გამოვლინდა ეკლესიის თავდაპირველი კედელი, რ-იც მოზრდილი ზომის რიყის ქვით იყო ნაწყობი.

სარესტ. სამუშაოების შედეგად მოგვიანებით ჩაშენებული ფენისგან გათავისუფლდა ფასადების თაღოვანი შეღრმავებები; ოთხივე კედლის დანგრეული ნაწილები აღდგა აგურით და მოეწყო აგურისავე საფეხუროვანი ლავგარდანი – ჰორიზ. შემონაკეცებით განივ ფასადებზე; შიგნით ეკლ. გადაიხურა რკინაბეტონის კამარით, ხოლო აფსიდი – კონქით; ინტერიერი შეილესა გაჯით და დაიგო აგურის იატაკი. ეკლ. გადაიხურა კრამიტით, ეკლესიის ირგვლივ დაიგო ქვაფენილი.

ი. მოსულიშვილი.

ბიბლ.: 148.

132. ფურცელაძეების ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-დას-ით 1 კმ-ზე, ძველ სასაფლაოზე. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. ფურცელაძეების საგვარეულო სალოცავია. იქვეა მათი სასაფლაოც. ძ. (4×3 მ) დარბაზულია. ნაგებია საშუალო ზომის რიყის ქვითა და ნატეხი ქვით. ძლიერაა დაზიანებული: ჩამონგრეულია ცილინდრული კამარის შუა ნაწილი, კონქი, კედლების ზედა ნაწილები და ლავგარდანი; აღმ. და დას. კედლები შუაზეა გარღვეული.

ეკლ. უაფსიდოა და აღმ-ით სწორი კედლითაა დასრულებული,

შესასვლელი დას-იდან ჰქონია (შემორჩენილია წირთხლების ფრაგმენტები); ამ კედლის შუაში თაღოვანი სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს თითო პატარა სწორკუთხა ნიშაა.

თ. მარკოზაშვილი.

133. ყველაწმინდის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ზემოთ (დას-ით) 1,5 *კმ*-ზე, მაღალი მთის შუა წელზე.

ეკლ. ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობაა – წაგრძელებული აღმ. მკლავით, დაბალი და მძიმე კორპუსით და მაღალი რვასარკმლიანი გუმბათით. თარიღდება XVI ს-ით. ეკლესიის აღმ. ნაწლის კედლებში აშკარად გამოიყოფა ქრონოლოგიურად განსხვავებული ორი სამშენებლო ფენა, რ-ებიც სხვადასხვა საშენი მასალითაა ნაგები. მშენებლობის ქრონოლოგიური თანმიმდევრობის მიხედვით ირკვევა, რომ ადრე ამ ადგილას მდგარი ნაგებობის ფრაგმენტები ჩართული იქნა მოგვიანებით აგებული გუმბათოვანი ეკლესიის კორპუსში. თავდაპირველი ნაგებობის შემორჩენილი კედლები მთლიანად რიყის ქვითაა ნაგები, დანარჩენი ნაწილისა კი – აგურითა და სხვადასხვა ფორმის რიყის ქვით. წყობა ირეგულარულია. გუმბათქვეშა ბურჯები, კამარები, საბჯენი თაღები და გუმბათი მთლიანად აგურისაა.

ამჟამინდელი ეკლესიის სა-კურთხეველი, რ-იც ნახევარწრიულ აფსიდსა და ღრმა ბემას შეიცავს, ორი ფენისგან შედგება. ქვემელი ეკლესიის აფსიდის მთელ ზედაპირზე და ბემის კედლების შიდა შენებულია აგურის გარსი (სისქე



133. გრძივი ჭრილი, ხედი სამხრ.-კენ



133. გეგმა

– დაახლ. 37 *სმ*), რ-იც ზუსტად იმეორებს თავდაპირველი ნაწილის ფორმებს. თავდაპირველ ფენაში, სარკმლის ორივე მხარეს, მოწყობილია გეგმით ნახევარწრიული და საკმაოდ მაღალი (სიმ. იატაკიდან – დაახლ. 2,7 *მ*) თითო თაღოვანი ნიშა. მოგვიანებით ორივე ნიშის ძირი აგურით ამოუშენებიათ, ხოლო მათ წინ, ახალ ფენაში (იატაკიდან 1,5 *მ* სიმაღლეზე), მოწყობილია პატარა, სამკუთხა თაღით გადახურული ღიობები; ბემის კედლებზე მიშენებულ ფენაში კი, ორ-ორი თაღოვანი ნიშაა, რ-თა უკანა კედლის მაგივრობას ძველი შენობის რიყის ქვის კედლები ეწევა.

ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს: სამხრ-იდან და დას-იდან.

ოთხივე გუმბათქვეშა თაღი და მათზე მიმხრობილი მკლავების

კამარები ისრული ფორმისაა; მსგავსი ფორმა აქვთ დას. მკლავისა და კუთხის სივრცეების დამაკავშირებელ თაღებსაც, მაშინ როდესაც სამხრ. და ჩრდ. მკლავების თაღები და თვით ამ სივრცეების გადამხურავი კამარები



133. დას. ფასადი

ნახევარწრიულია. ნახევარწრიულია მკლავების სარკმლების და შესასვლელების თაღებიც.

გუმბათის ყელი მაღალია, მასში გაჭრილია რვა ვიწრო და მა-



133. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

ღალი, თაღოვანი სარკმელი, რებსაც სავსებით წესიერი ფორმა არა აქვთ. გარედან ყოველი სარკმლის თავზე ტლანქად გამოყვანილი ქვის ბურთულებია ჩასმული. გუმბათის ყელი შიგნიდანაც და გარედანაც მრგვალია. მისი საფუძვლის დონეზე გამოყვანილია თარო, რ-იც აგურის რამდენიმე რიგისგან შედგება. გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის ყელის წრიულ მოხაზულობაზე გადასასვლელად გამოყენებულია აფრები, რ-ებიც შეუმჩნევლად ერწყმის გუმბათის საფუძველს. თითოეულ აფრაში – შემსუბუქების მიზნით – ჩადგმულია თითო პატარა ქვევრი.

დას. კუთხის მონაკვეთების კუთხეებში მოწყობილია თითო პატარა ნიშა, რ-ებიც გადახურულია ერთმანეთზე კუთხით მიყრდნობილი ორ-ორი აგურით.

აღმ. მკლავს ჩრდ-იდან ეკვრის მასთან წყობით დაკავშირებული, გეგმით სწორკუთხა სათავსი, რსაც შესასვლელი ჩრდ. მკლავიდან აქვს. შემორჩენილი იყო სათავსის აღმ. და ჩრდ. კედლები (დაახლ. 1,6-1,8 *მ* სიმაღლეზე) და კამარის სამხრ. გვერდის ნაშთი, რ-იც მთლიანად აგურით იყო ნაწყობი. სათავსის ჩრდ. კედელი ეკლესიის ჩრდ. ფასადის ხაზიდან რამდენადმე წინწამოწეულია. მსგავსი მოხაზულობის სათავსი აღმ. მკლავს სამხრ-იდანაც ეკვროდა (შემორჩენილი იყო სამხრ. კედლის საფუძველი, რ-იც ასევე ფასადის ხაზს გარეთ იყო გამოსული, და აღმ. კედლის საძირკველი); შესასვლელი მას სამხ. მკლავიდან ჰქონდა. კარი-სათავსის მხრიდან ნახევარწრიული თაღით იყო დასრულებული, მკლავის მხრიდან კი – ხის ძელით, ისევე როგორც ეკლესიის დანარჩენი შესასვლელები.

ჩრდ.-აღმ. სათავსის შესასვლელი შიგნიდანაც თარაზულადაა გადახურული და გაცილებით განიერია, ვიდრე შესასვლელი სამხრ. სათავსში.

გარედან ტაძრის ორივე შესასვლელი მორთულია მოცისფრომოლურჯოდ მოჭიქული აგურის ჩვეულებრივი წყობის ორი რიგით გამოყვანილი თაღით.

სამხრ. შესასვლელის წინ იდგა რიყის ქვით აგებული კარიბჭე.

1987-89 წწ-ში, ძეგლთა დაცვის სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნომ ეკლ. აღადგინა (პროექტის ავტორი – თ. ნემსაძე. სამუშაოების ზედამხედველი – ი. მოსულიშვილი). ეკლესიის აღმ., დას. და ჩრდ. ფასადების წინ მოიხსნა ნაყარი მიწა და აშენდა საყრდენი კედელი, აღდგა ჩამონგრეული კამარები, კედლების მონგრეული ნაწილები, ლავგარდანი,გუმბათის ყელის ზედა ნაწილები და სახურავი; ინტერიერში დაიგო აგურის იატაკი, შესასვლელებში ჩასმულ იქნა ხის კარები, კონსერვაცია ჩაუტარდა სამხრ. მინაშენის შემორჩენილ კედლებს.

2007 წ. ტაძარში აღდგა ღვთისმსახურება და დაარსდა დედათა მონასტერი.

თ. დვალი.

ბიბლ.: 323; 335.

134. ᲪᲘᲮᲔ, კომპლექსი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის დას-ით 2 კმ-ზე.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით: „ბაკურციხის ჩრდილოთ, ცივის მთის ძირს არს ვეჟინი. მის ზეით, მთის კალთას, კლდესა ზედა, არს ციხე შენი, მაგარი და დიდგებული, შიგ გამომდინარე წყაროთი, და ეკლესია ღმრთაებისა გუმბათიანი, დიდი. აქა ეფლვიან ენდრონიკაანი".

ისტორიულად ვეჯინი ცნობილია როგორც ჰერეთის სამთავროს ერთ-ერთი საერისთავო და საეპისკოპოსო ცენტრი. ვეჯინის ციხე, რ-იც ისტორიულ წყაროებში ჰერეთის ციხედაცაა ცნობილი, თავის დროზე მნიშვნელოვან სიმაგრეს წარმოადგენდა; იგი შუა საუკუნეებში ქართულ სამეფოთა ურთიერთშორის ბრძოლის ასპარეზი და მტრის შემოსევების ჯამს საიმედო თავდაცვითი ობიექტი იყო. წყაროებში პირველად იხსენიება X ს. დასაწყისში, როცა ვეჯინის ციხესთან აფხაზთა მეფე კონსტანტინე III და კახეთის მთავარი კვირიკე I დაუზავდნენ ჰერეთის მმართველს ადარნასე პატრიკს. XI ს-ის 80-იან წწ-ში სულთანმა მალიქშაჰმა გიორგი II-ს „მოსცა კახეთი და ჰერეთი. თან წარმოაყოლნა სპანი დიდი, ჯამსა სთვლისასა“ გიორგი მეფე თავისი და თურქთა ჯარით კახეთს მიეიდა და ვეჯინის ციხეს შემოადგა. მეფემ ციხე ვერ აიღო. პირველი თოვლის მოსვლის შემდეგ კი მიატოვა იგი და დას. საქართველოში გადავიდა.

1781 წ. ვეჯინში ყოფნისას გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვალა ლევან ბატონიშვილი (ერეკლეს ძე).

მთა, რ-ზეც ციხეა გაშენებული კახეთიდან ქართლში გადასასვლელთან მდებარეობს. აღმ-იდან იგი შემოსაზღვრულია ვეჯინის ხევით, დას-იდან ძირკოკის ხევით, ხოლო სამხრ. ნაწილი ვიწრო ყელითაა დაკავშირებული



134. ზედა ციხე. გეგმაგემა, 1 – კოშკი, 2 – ციხე-დარბაზი, 3 – ამაღლების ეკლესია, 4 – აღდგომის ეკლესია; 5 – სამრეკლო, 6 – წმ. მარიამის ეკლესია, 7 – დარბაზული ეკლესია, 8 – საერო ნაგებობა, 9 – სამარხი



134. ზედა ციხე. კოშკი, ხედი, სამხრ-აღმ-იდან

გომბორის ქედთან. დროთა განმავლობაში ციხე ბევრჯერ გადაუკეთებიათ, საფუძვლიანად კი – XVIII ს-ში.

მთის რელიეფიდან გამომდინარე, ციხე სამხრეთიდან ჩრდ-ის მიმართულებითაა წაგრძელებული და საკმაოდ უსწორო გეგმა აქვს. ნაგებია რიყის ქვით. შედგება ორი ნაწილისგან – ქვედა და ზედა ციხისგან. ციხეს დას. მხრიდან ციცაბო კლდე ესაზღვრება, სამხრიდან და აღმ-იდან – მკვეთრად დაქანებული ფერდობები, ხოლო ჩრდ-იდან და ჩრდ.-აღმ-იდან ადვილად მისადგომია. ამიტომ ამ მხრიდან, გალავნის წინ მოწყობილი ყოფილა განიერი და ღრმა თხრილი (სიგ. – 6 მ, სიღრმე – 3 მ, სიგრ. – 100 მ-მდე).



134. ამაღლების ეკლესია, ხედი სამხრ.-დას-იდან

ქვედა ციხის (ფართ. დაახლ. – 3 ჰა., გალავნის კედლების საერთო სიგრ. – 500 მ) კედლები გამაგრებულია ნახევარწრიული კონტრფორსებითა და სწორკუთხა ბურჯებით, რ-ებიც მეტწილად ერთმანეთისგან მცირე მანძილით (საშუალოდ – 8-10 მ-ით) არიან დაცილებულნი. კედლები გარედან შელესილია, სიმაგრისათვის კედლებში ალაგ-ალაგ ჩასმულია ხის ძელები, ზოგ ადგილას კი დატანებული აქვს პატარა ხვრელები – გრუნტში მოხვედრილი ატმოსფერული ნალექების გამოსასვლელად.

გალავნის კედლებიდან შედარებით უკეთ არის შემორჩენილი ალმ. კედელი, თუმცა ისიც ეზოს მხრიდან მიწის პირამდეა დანგრეული (მიწის შიგა და გარეთა დონეებს შორის სხვაობა 6-8 მ-ია). გალავნის ჩრდ. კედელზე შემორჩენილია მიწის ზედაპირიდან 1,5 მ სიმაღლის კედლის ფრაგმენტი (გვიანდელია), რ-შიც სამი სათოფურია მოწყობილი. გალავნის სამხრ. კედელში, ციტადელის სამხრ. ბოლოდან 80-იოდე მ-ზე, ჩართულია დიდი მასიური ბურჯი (გარე დიამ. დაახლ. – 12 მ, სიმ. ეზოს მხრიდან – 3 მ, გარედან – 11 მ), რ-იც ეზოს მხარეს სწორი კედლითაა დასრულებული, გალავნის ხაზს გარეთ კი ნახევარწრიული შვერილის სახით გამოდის (დაახლ. 8 მ-ით). ბურჯის დასით გალავნის კედელი რელიეფის შესაბამისად მომრგვალებულია და ციტადელის სამხრ.-დას. კუთხისკენ მიემართება. ციტადელთან ახლოს კედელი წყდება და იწყება დიდი ფრიალო კლდე (მიახლ. ზომები: სიგრ. დაახლ. – 120 მ, სიმ. – 50 მ), რ-იც გრძელდება გალავნის ჩრდ. კედლამდე (ამ მხრიდან ციხე მიუვალია). გალავნის შესასვლელი (გვიანდელია) ამჟამად ალმ-იდანაა. სოფლიდან მომავალი გზაც ციხეს ამ მხრიდან ადგება.

ზედა ციხე ანუ ციტადელი ციხის შუაშია და მთის წვერი აქვს მოკავებული (ფართ. დაახლ. 0,3 ჰა). ალმ-იდან, სამხრ-იდან და ჩრდ-იდან იგი შემოზღუდულია ფრაგმენტულად შემორჩენილი კონტრფორსებიანი გალავნით (სიგრ. – 105 მ, სისქე – 1-1,5 მ), რ-იც მთის რელიეფს მიჰყვება. დას. მხარეს კი ქარაფია. ქვედა ციხის მსგავსად ციტადელიც სამხრ-იდან ჩრდ-ის მიმართულებითაა წაგრძელებული და საკმაოდ რთული მოხაზულობა აქვს. ციტადელის სამხრ. ბოლოში, ყველაზე მაღალ ადგილას, სქელი, კონტრფორსებიანი გალავნით შემოზღუდული ეზოს (სიგრ. – 24,5 მ, სიგანე დაზიანების გამო ვერ დგინდება) სამხრ. კიდეში აღმართულია მძლავრი სამსართულიანი კოშკი. იგი გეგმით ოთხკუთხაა (გარეთა ზომები: სიგრ. – 10,8 მ, სიგ. – 7



134. ამაღლების ეკლესია, გეგმა

მ), რ-საც გარედან დას. ორიეე კუთხე მომრგვალებული აქვს.

კოშკი ნაგებია შერჩეული რიყის ქვით, რ-იც დაწყობილია



134. ამაღლების ეკლესია, გრძივი ჭრილი, ხედი ჩრდ-კენ

თანაბარი სიმაღლის თარაზულ რიგებად. კოშკის ქვედა ორი სართული თარაზულად ყოფილა გადახურული ხის კოჭებით, ხოლო ზედა – ქვის კამარით, რ-იც დაყრდნობილი იყო ერთ საბჯენ თაღზე.

კოშკის I სართულიდან შემორჩენილია, აღმ., სამხრ., ჩრდ. კედლები და დას. კედლის სამხრ. ნაწილი. 2001 წ. სართულის მიწისა და ჩამონაშალი ქვებისგან გაწმენდის შემდეგ გამოჩნდა იატაკში ჩაფლული სამი ქვევრი. მოგვიანებით (როგორც ჩანს, XVIII ს-ში) სართულის ნაწილი მიწით ამოუვსიათ და შიგ ორი ქვევრი ჩაუფლავთ.

II სართულის სამხრ. კედელში მოწყობილია ორი განიერი და მაღალი, ნახევარწრიული თაღით



134. ამაღლების ეკლესია, საკურთხევლის კონქი, ღეთისმშობელი ყრმით

ვარწრიულთავიანი ორი სარკმელი, რ-თა ზემოთ, კედლის მთელ სიგრძეზე კამარის ქუსლის ნაშთებია – საბჯენ რკალის ქუსლის ფრაგმენტით შუაში.

კოშკის გარდა, ციტადელის ტერიტორიაზე დგას სამი ეკლ. (ამაღლების, წმ. მარიამის და ალდგომის), კარის ეკლ. და ერთი საერო ნაგებობა.

ამაღლების ეკლესია დგას ციტადელის ჩრდ.-აღმ. კიდეში. სავარაუდოდ განეკუთვნება XIV ს. მრავალჯერადი დანგრევისა და გადაკეთება-შეკეთებების გამო ძლიერაა სახეშეცვლილი. თავდაპირველი ნაგებობიდან, რ-იც ამ ადგილას მდგარა და შესაძლოა ციხის თანადროულიც კი იყო, შემორჩენილია აღმ. კედლის მცირე ნაწილი – მოყვითალო ფერის ქვიშაქვის თლილი ქვის წყობის ორი რიგი, რ-იც ამჟამად ეკლესიის საყრდენი კედლის ნაწილს წარმოადგენს.

ეკლ. დარბაზულია (14,3×5,2 მ), გეგმით არაწესიერი მოხაზულობის ოთხკუთხედი. ჩრდ-იდან მთელ სიგრძეზე ეკვრის უფრო დაბალი და ვიწრო, ორი სხვადასხვა პერიოდის სათავსისგან შედგენილი მინაშენი (სიგ. – 4,3 მ). მსგავსი მინაშენი ეკლესიას სამხრ-იდანაც ჰქონია (სიგ. – 4,1 მ), რისგანაც შემორჩენილია საძირკველი და აღმ. კედლის ნაშთი ეკლესიის სამხრ.-აღმ. კუთხეში.

ეკლ. ძირითადად ნაგებია რიყის ქვითა და კირის დუღაბით. გამოყენებულია კვადრ. აგურიც. წყობა ირეგულარულია – ტლანქი. კედლები გარედან შელესილია.

შესასვლელი ორია: დას-იდან და სამხრ-იდან. აღმ-ით, დარბაზის გრძივი კედლებიდან ფართო მხრებით გამოყოფილი ნახევარწრიული აფსიდია, რ-შიც განიერი, ისრულთაღოვანი სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ჩრდ-ით სწორკუთხა ღრმა ნიშაა. აფსიდის შუაში დგას ოთხწახნაგა ტრაპეზი. ჩრდ. კედლის აღმ. კიდეში ნახევარწრიული თაღით დასრულებული ღრმა ნიშაა, რ-იც შესაძლოა ადრე ამ ადგილას არსებული კარის ნაცვლად მოაწყვეს. საკურთხევლის სარკმლის გარდა, თითო სარკმე-

ლია გაჭრილი ეკლესიის დას. და სამხრ. კედლებშიც.

საკურთხეველი დასრულებულია წესიერი ფორმის კონქით. კონქის თაღი ისრულია, მსგავსი ფორმისაა კამარაც. იგი ეყდნობა ორ წყვილ პილასტრზე გადაყვანილ საბჯენ თაღს. პილასტრების დას. წყვილი და მათზე დაყრდნობილი საბჯენი თაღი ბევრად უფრო განიერია, ვიდრე ალმისა, რაც გადაკეთების შედეგია (მოგვიანებით, ეკლესიის გაფართოების მიზნით, მოუშლიათ დას. კედელი და მის ნაცვლად პილასტრებზე დამყარებული საბჯენი თაღი აუგიათ). გადაკეთება-შეკეთებების გამო ეკლესიის არქიტ. ფორმები მოკლებულია სიზუსტესა და სიმკვეთრეს. განსხვავებულია ეკლესიის თავდაპირველი და მოგვიანებით მიშენებული ნაწილის კედლის სისქეც.

ეკლ. შელესილი და მოხატული ყოფილა. მ ხ ა ტ ვ რ ო ბ ა XVI ს. განეკუთვნება.

საკურთხეველის კონქში წარმოდგენილია ღვთისმშობელი ყრმით და ორი მთავარანგელოზი, მეორე რეგისტრში – ექვსი მღვდელმთავარი. წმინდანთა ვინაობა ირკვევა ბერძნული წარწერებით. მოხატულობას ქვემოთ შემოუყვება ორნამენტის ზოლი (დიდი ზომის კონცენტრული წრეები). ბემის ზედა ორი რეგისტრი დათმობილი აქვს სახარების სცენებს, უმთავრესად ქრისტეს სასწაულებს. თითოეულ რეგისტრში ჩრდ. და სამხრ. მხარეს ორ-ორი სცენაა. მათი ზუსტი განსაზღვრა არ ხერხდება, მხოლოდ სამხრ-ით მეორე რეგისტრში ფრაგმენტულად შემორჩენილი ასომთ. წარწერებით ირკვევა, რომ ორივე სცენა განკურნებას ასახავს. ამავე კედელზე მესამე რეგისტრში გაირჩევა წმინდანთა ნახევარფიგურები (სულ ოთხია). მოხატულობის კვალი ჩანს კედლის ქვედა ნაწილშიც, რ-იც დაფარულია გვიანდ. ნალესობით.



134. ამაღლების ეკლესია, ჩრდ. კედლის დას. მონაკვეთი, „ამაღლება"

მოპირდაპირე მხარეს, ჩრდ. კედელზე, სახარების სცენების ქვემოთ მოცემულია „სტეფანწმიდის



134. ამაღლების ეკლესია, სამხრ. კედელი. „ლაზარეს აღდგინება"

მოთავსებული ასომთ. წარწერა. ამ ნაწილში ფრაგმენტულად შემორჩენილია ანგელოზის ფიგურა. ქვემოთ ორი ფრაგმენტულად შემორჩენილი სცენა. ერთ-ერთში ალბ. ქრისტეა გამოსახული, მეორეში – ალბ. ანგელოზი. ამ ნაწილის

საბჯენი თაღის პილასტრებზე ორი მთავარანგელოზის ფიგურაა. ერთ მათგანს, სამხრ. მხარეს, ახლავს ასომთ. წარწერა „ანგელოზი უფლისა".



134. წმ. მარიამის ეკლესია, გეგმა.

მხატვრობაში გამოყენებულია რთული არქიტ. და მთიანი ფონები. წმინდანთა გამოსახულებანი და თვით კომპოზიციები შედარებით მცირე ზომისაა, კოლორიტს მუქი ელფერი დაჰკრავს.



134. წმ. მარიამის ეკლესია, ჭრილი, ხედი აღმ-კენ.

ძირითადად გამოყენებულია მუქი ლურჯი, ნაცრისფერი, ყავისფერი, თეთრი, ღია მწვანე, ყვითელი და ოქრო (შარავანდები).

ეკლესიის ფასადები შელესილი ყოფილა. აღმ. ფასადს ქვემოთ გასდევს ფასადის სიბრტყიდან რამდენადმე წინწამოწეული (დაახლ. 0,6 მ-ით) საყრდენი კედელი (სიმ. დაახლ. 1,7 მ), რ-ის ქვედა ნაწილი დიდი ზომის ქვიშაქვის ფილებითაა ნაგები, ხოლო ზედა – რიყის ქვითა და აგურით. ფრონტონის წვერთან წყობაში ჩასმული ცისფრად მოჭიქული აგურებით გამოყვანილია ჯვრის გამოსახულება.

სამხრ. ფასადის დას. მონაკვეთში ნათლად ჩანს მინაშენის გადაბმის ადგილი (სიბრტყეთა განსხვავებული მდებარეობა, მცირე სხვაობა მათ სიმაღლეში) გადაბმის ადგილთან ახლოს, აღმ-ით, გაჭრილია ვიწრო და მაღალი



134. წმ. მარიამის ეკლესია, ჭრილი, ხედი სამხრ-კენ

თაღოვანი სარკმელი, რ-ის მარჯვენივ, 1,5 მ მაძილზე, შეიმჩნევა ადრე არსებული ღიობის კვალი. ფასადის აღმ. კიდეში კედელი გასქელებულია და კუთხე დაბრეცილია, რაც ადრე ამ ადგილას აღმ. კედლის მინაშენის არსებობაზე მიგვანიშნებს.

დას. ფასადის ღერძზე გაჭრილი ვიწრო და მაღალი შესასვლელი ნახევარწრიული ტიმპანითაა დასრულებული შესასვლელის ზემოთ, ფრონტონის ძირის დონეზე, პატარა სწორკუთხა სარკმელია, რ-იც კედლის სიბრტყის ოდნავ შელრმავებულ არეში ზის.

ფასადები დაგვირგვინებულია დიდი ზომის ქვიშაქვის კვადრებით გამოყვანილი მაღალი ლაგარდნით, რ-ის პროფილს ფარო, წრეთარგი და ლილვ-შეადგენს.

შენობა გადახურულია კრამიტით დაბურული, ორქანობიანი სახურავით.

ჩრდ. მინაშენი ძირითადად აგურითაა გამოყვანილი – საკმაოდ ტლანქად; შედგება ქრონოლოგიურად განსხვავებული ორი ნაწილისგან. აღმ. ნაწილში მოგრძო, აფსიდიანი სამლოცველოა. დას-ით – გეგმით თითქმის კვადრ. ეგეტერი. სათავსები ერთმანეთს სამლოცველოს დას. კედელში გაჭრილი ისრულთაროვანი კარით უკავშირდებიან. მინაშენის იატაკის დონე ეკლესიის იატაკის დონეზე დაბალია. სამლოცველო აღმ-ით დასრულებულია არაწესიერი მოხაზულობის ნახევარწრიული აფსიდით, რ-შიც დაბალი, ისრული თაღით გადახურული სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ორივე მხარეს თითო პატარა ნიშაა. ორივე ნიშა გადახურულია ერთმანეთზე კუთხით მიყრდნობილი



134. წმ. მარიამის ეკლესია, დას. ფასადი

ორ-ორი აგურით. სამლოცველო განათებულია ჩრდ. კედელში გაჭრილი ორი თაღოვანი სარკმლით.

მინაშენის დას. სათავსში შესასვლელი დას-იდანაა. სათავსს აშუქებს ჩრდ. და დას. კედლებში გაჭრილი თითო სარკმელი. მათ-

გან ჩრდ-ისა თაღოვანია, დას-ისა – სწორკუთხა. მინაშენის ორივე სათავსი გადახურულია ცილინდრული კამარით, რ-ის ერთი ქუსლი სათავსების ჩრდ. კედელზეა დაყრდნობილი, ხოლო მეორე – ეკლესიის კედელზე მიშენებულ ორ-ორ თაღზე (თაღებშორისი ბოძით შუაში). სამლოცველოში თაღები ისრული ფორმისაა, ეკვტერში – მშვილდისებრი.

დას. სათავსი მოხატული ყოფილა. აქა-იქ შემორჩენილი ფრაგმენტები იმდენად შემჭვარტლულია, რომ ძნელი გასარჩევია.

მინაშენის დას. ფასადი მთლიანად შირიმის ნათალი ქვებითაა მოპირკეთებული. განიერი, ნახევარწრიული თაღით დასრულებულ შესასვლელის წირთხლებს უხეშად ნაკვეთი სამმაგი გრეხილი ლილვი აუყვება. შესასვლელის მარცხნივ სწორკუთხა სარკმელია, რ-საც სამმაგი გლუვი ლილვი ეკვრება. სარკმლის ქვემოთ, ფასადის ჩრდ. კიდესთან ახლოს, ჯვრის რელიეფური გამოსახულებაა, გრძელი ქვედა მკლავით. ჯვრის ზედა მკლავების კიდეები სამკუთხედადაა ნაკვეთილი. მსგავსი ჯვრის გამოსახულებაა შესასვლელის მარჯვნივ, რ-ის ასწვრივ დაბალ მოგრძო ფილაზე გვერდიგვერდ განლაგებულია წრეში ჩასმული ჯვარი, ბრტყელთავიანი დაღარული კოპწია ქვემოთ ჩაღრმავებული ორნამენტით შეკრული მცირე ზომის წრე. ამ უკანასკნელის თავზე კიდევ ერთი ტოლმკლავა ჯვრის რელიეფია. ფასადი დასრულებულია ქვიშაქვის ძალზე მაღალი ლავგარდნით, რ-ის პროფილს თარო, წრეთარგი და ლილვი შეადგენს.

მინაშენის ჩრდ. ფასადზე სამლოცველოსა და ეკვტერის საზღვარზე აგებულია პილასტრისებრი შვერილი (რესტავრაციის დროინდელია). ეკვტერის შუა არეში თაღოვანი სარკმელია. ფასადს ქვის პროფილირებული ლავგარდანი ასრულებს.

სამლოცველოს ჩრდ. კედელზე სხვადასხვა სიგანის ორი თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. ფასადი დასრულებულია აგურის სამსაფეხურიანი ლავგარდნით.

წმ. მარიამის ეკლესია დგას ამაღლების ეკლესიის დას-ით, ათიოდე მ-ზე. სამხრ-იდან მასზე მიდგმულია ორსართულიანი სამრეკლო, რ-ის ოთხივე მხარეს თაღებით გახსნილი I სართული, ეკლესიის კარიბჭის მოვალეობას ასრულებს.

ეკლ. სავარაუდოდ XIV ს-ით თარიღდება, სამრეკლო – XVI ს-ით. გ. ჩუბინაშვილი მას კახეთის სამრეკლოთა შორის უძველესად მიიჩნევს.

ეკლ. დარბაზულია (8,15×5,7 მ), ნაგებია რიყის ქვით. კამარა, კონქი და კარ-სარკმელთა თაღები – კვადრ. აგურით. შესასვლელი ორია: დას-იდან და სამხრ-იდან. ორივე კარი გარედან ნახევარწრიული თაღითაა გადახურული, შიგნიდან კი, სწორკუთხაა. ეკლესიის შიდა სივრცე აღმ-ით დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით, რ-შიც თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ორივე მხარეს თითო პატარა ოთხკუთხა ნიშაა, ხოლო ქვემოთ, კედელზე, აგურით ნაშენი ოთხწახნაგა ტრაპეზია მიდგმული. საკურთხევლის იატაკი დარბაზის იატაკზე ერთი საფე-



134. წმ. მარიამის ეკლესია, ხედი სამხრ.-აღმ-იდან

ხურით მაღალია. აფსიდის მხრე-ბის ხაზზე შემორჩენილია კანკე-ლის ნაშთი.

ეკლესიის დას., სამხრ. და ჩრდ. კედლებში თითო სარკმელია. დას. საკმელს ნახევარწრიული თავი აქვს, სამხრ-ისა და ჩრდ-ისა კი, თარაზულადაა გადახურული ბრტყელი რიყის ქვებით (სამხრ. სარკმელი სანახევროდ დაფარუ-ლია სამრეკლოს კორპუსით).

ფასადები დასრულებულია შირიმის მაღალი ლავგარდნით, რ-ის პროფილს თარო, წრეთარგი და ლილვი შეადგენს. ეკლ. ამჟა-მად გადახურულია კრამიტის ორ-ფერდა სახურავით, ადრე გადახუ-რული ყოფილა დიდი ზომის ქვი-შაქვის ლორფინებით (145×55 სმ).

ს ა მ რ ე კ ლ ო ს I სართუ-ლი გეგმით კვადრატულია (4,15×4,15 მ), ნაგებია რიყის ქვით. ოთხივე კუთხეში მდგომ კვადრ. ბურჯებ-ზე ნახევარწრიული თაღებია გა-დაყვანილი. თაღების ქუსლების დონეზე წყობიდან შვერილი რი-ყის ქვებით გამოყვანილია თარო. სართული გადახურულია სფე-რული კამარით, რ-ის წრიული საფუძველი შექმნილია ოთხივე კუთხეში გამოყვანილი აფრისე-ბრი ელემენტებით.

სამივე ფასადზე თაღები ჩა-სმულია საფეხურით ჩაღრმავე-ბულ ოთხკუთხა არეში, რ-თა ზე-მოთ თანაბარი მანძილით დაცი-ლებული სამ-სამი დეკორაც. ნი-შაა.

II სართული აგურით ნაგები რვაწახნაგა ფანჩატურია. მისი ოთხი წახნაგი შეწყვილებული თაღებითაა გახსნილი, ოთხი კი – ყრუა. თაღით გახსნილი წახნა-გები ყრუ წახნაგებთან შედარე-ბით ბევრად უფრო განიერია და ქვედა სართულის კედლებთან ერთ სიბრტყეშია მოქცეული. შიგნით ქვედა ნაწილი რვაწახნა-გაა და ზემოთკენ თანდათან სიმრ-გვალეში გადადის. სართული გადახურულია სფერული კამარით, რ-ის ქუსლები მცირედაა ნაშვერი და ემყარება ფანჩატურის მომრ-გვალებულ კედლებს (შესაძლოა კამარა გვიანაა შეკეთებული). კა-მარის წვერში კვერცხისებრი შე-ღრმავებაა, სადაც ზარის საკიდია მოწყობილი.

გარედან ყველა წახნაგის შუაში, თაღების დონეზე, თითო კოპია ჩასმული,რ-თა ზემოთ ლი-ლვისებრი შვერილია, შემდეგ ვიწ-რო კედელი და პროფილირებული ლავგარდანი. ფანჩატური აგურის რვაწახნაგა, კარვისებრ სახურავი-თაა დასრულებული. შეკეთებისას ვანი ნაწილი მიწაშია ჩამჯდარი. დას. კედელთან ორგანულ[illegible]ფილე-ბიანი საძვალეა. მასში ჩასასვლე-ლი ოთხკუთხა ხვრელი ქვის ფი-ლებით იყო გადახურული. შიგ-ნით ეკლ. გადახურული იყო [illegible]-რის კამარით, რ-იც დაყრდნობი-ლი იყო აგურისავე საბჯენ თაღზე, თაღი კი – ქვის კრონშტეინებზე.

ეკლესიის სამხრ-ით, ორიოდე მ-ზე, ციტადელის ზედა ტერასაზე დგას მთლიანად რიყის ქვით



134. ზედა ციხე, მარცხ-იდან: დარბაზული ეკლესია, აღდგომის ეკლესია, სამრეკლო და წმ. მარიამის ეკლესია. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

იგი აუმაღლებიათ, რის გამოც წახნაგების დახრილობა მნიშვნე-ლოვნად გაზრდილა.

XIX ს-ში სამრეკლოს II სართულზე ასასვლელად ჩრდ.-დას. ბურჯზე დას-იდან რიყის ქვით ნაგები კიბე მიუდგამთ.

სამრეკლოს სამხრ-ით 4 მ-ზე დგას XVI ს-ში აგებული ა ღ - დ გ ო მ ი ს ე კ ლ ე ს ი ა. იგი დარბაზულია (10,2×6,2 მ), ნაგებია რიყის ქვით. კონქი, საბჯენი თა-ღი და კარ-სარკმლები გამოყვა-ნილია კვადრ. აგურით.

შესასვლელი ორია – დას-იდან და ჩრდ.-დას-იდან. დას. შე-სასვლელის წინ ბაქანი ყოფილა. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია თაღოვანი სარკმლით. ერთი თა-ღოვანი სარკმელი დას. კედელ-შიცაა გაჭრილი. ეკლესიის სამხრ-ით რელიეფი მაღლდება, რის გა-მოც სამხრ. კედლის მნიშვნელო-ნაგები დარბაზული ე კ ლ ე ს ი ა. იგი კომპლექსის ეკლესიებიდან ყველაზე პატარაა.

ეკლ. მნიშვნელოვნადაა და-ზიანებული: დას. კედელი და სამხრ. კედლის დას. ნაწილი დან-გრეულია. სხვადასხვა სიმაღლე-ზე შემორჩენილია აღმ., სამხრ. და ჩრდ. კედლების ნაწილები. კამა-რა და კონქი აღარ არსებობს. ეკლ. აღმ-ით დასრულებული ყოფილა ნალისებრი აფსიდით. სამხრ. კე-დელზე შემორჩენილია შესასვ-ლელის აღმ. წირთხლის ნაწილი.

მიაჩნიათ, რომ ეს კარის ეკლ. იყო. ეკლესიის ჩრდ. კედლის წინ შემორჩენილია კედლის ნაშთი, რ-იც შესაძლოა ციტადელის ზედა ტერასის საყრდენ კედლს წარმო-ადგენდა.

ამაღლების ეკლესიის სამხრ-ით 5 მ-ზე შემორჩენილია XVIII ს-ის ს ა ე რ ო ნ ა გ ე ბ ო ბ ა. ეს

არის ერთსართულიანი, გეგმით წაგრძელებული სწორკუთხა შენობა სარდაფით (11×5,9 მ). ნაგებია რიყის ქვისა და კვადრ. აგურის რიგების მონაცვლეობით.

სარდაფში ჩრდ. კედელს მთელ სიგრძეზე მიშენებული ჰქონდა ისეთივე სისქის კედელი, როგორც ჩანს, არსებული კედლის გასამაგრებლად. ამ კედლის მოხსნის შემდეგ, თავდაპირველ კედელზე გამოვლინდა ექვსი შეისრული ნიშა. სარდაფის ნანგრევებისგან გაწმენდის შემდეგ აღმ. კედელში გამოჩნდა ბუხარი, ორი ნიშა და ორი სარკმელი, დას. კედელში კი



134. სამარხი, გეგმა

– ორი ნიშა. სარდაფის იატაკი მოგებული იყო კვადრ. აგურით.

ზედა სართულის კედლებიდან სამხრ. კედელი და აღმ. კედლის სამხრ. ნაწილი იყო შემორჩენილი. სამხრ. კედელში (დაინგრა 1992 წ-ის ბოლოს) მოწყობილი იყო ორი ბუხარი.

ამაღლების ეკლესიის აღმ-ით 6 ქ-ის მანძილზე, ციტადელის გალავნის ძირში, აგურით ნაგები კვადრატ. გეგმის (4,6×4,6 მ) სამარხია, რ-იც ეკუთვნის გენერალ-მაიორ სვიმონ შალიკაშვილს. ბრინჯაოს დიდ ფილაზე ამოკვეთილია ეპიტაფია თარიღით 1863 წ. სამარხში შესასვლელი ჩრდ-იდანაა. აღმ. და დას. კედლებში კი თითო თაღოვანი ღიობი, სამხრ. კედელი ყრუა. სამარხი გადახურულია აფრებზე დამყარებული ნახევარსფერული გუმბათით. ფასადები გაფორმებულია შეღრმავებული ჯვრებითა და რომბებით. ლავგარდანი აგურის სამსაფეხურიანი წყობითაა გამოყვანილი.

ციხის ჩრდ-ით, ღრმა ხევში, კოდისწყლის მარჯვ. ნაპირზე, დგას ე. წ. წ ყ ლ ი ს კ ო შ კ ი, რ-ის ქვეშ ციხიდან გამომავალი გვირაბი გადის (გვირაბის ფრაგმენტები კოდისწყლის ნაპირიდან 5 ქ-ის მანძილზეა).

კოშკი ცილინდრულია (გარე დიამ. – 6,5 მ, კედლის სისქე – 1,5 მ), ნაგებია რიყის ქვით. შემორჩენილია სამი სართულის სიმაღლეზე. IV სართული, როგორც ჩანს, კედელშემოვლებული ღია ბანი იქნებოდა. სართულები ერთმანეთს კედლის სისქეში მოწყობილი კიბით უკავშირდებოდა.

კოშკის I სართულის (დიდი ნაწილი ნანგრევებითაა ამოვსებული) კედელი თითქმის ყრუა. სართულზე მხოლოდ ერთი, მდინარის მხარეს (ჩრდ-ით) მიმართული სათოფური და კიბის უჯრედში შესასვლელი ღიობია. შესაძლოა სართული გვირაბთანაც იყო დაკავშირებული, რისი დადგენაც გაწმენდის გარეშე შეუძლებელია.

II სართულზე ოთხი ღრმა, ნახევარწრიული თაღით დასრუ-



134. სამარხი, ჭრილი, ხედი აღმ-კენ

ლებული ნიშაა. მათგან სამში, სამ-სამი სათოფურია მოწყობილი, ხოლო ერთში – ერთი. სათოფურები ძირითადად ჩრდ. ხეობისკენაა მიმართული. ამავე სართულზეა (სამხრ-ით) კოშკში შესასვლელიც. კარი შიგნიდან ხის ძელებით ყოფილა გადახურული თარაზულად, ხოლო გარედან – ნა-



134. სამარხი, ხედი ჩრდ.-აღმ-იდან

ხევარწრიული თაღით. III სართულზე ნიშების განლაგება და მათში მოწყობილი სათოფურების რაოდენობა II სართულის ანალოგიურია. სამხრ. მხარეს ამ სართულზეც კარია, რ-იც, როგორც ჩანს, აივანზე გადიოდა. კარის გვერდით II სართულზე ჩასასვლელი კიბის უჯრედში თაღოვანი შესასვლელია, მის გვერდით კი – ბანზე (აღარ არსებობს) ასასვლელი კიბის შესასვლელი. სართულშუა გადახურვები ხის ყოფილა. კედელში შემორჩენილია კოჭების საყრდენი ბუდეები.

1989-90 წწ-ში და 2000-იანი წწ-ის დასაწყისში მიმდინარეობდა ძეგლის სარესტავრაციო სამუშაოები (პროექტის ავტორი ი. მოსულიშვილი). 1989-1990 წწ-ში სარესტავრაციო სამუშაოები ჩაუტარდა აღდგომის ეკლესიას (აღდგენილ იქნა მხოლოდ კედლების დანგრეული ნაწილები), სვიმონ შალიკაშვილის სამარხსა და ციტადელის გალავნის ჩრდ. კედლის 50-მეტრიან მონაკვეთს (გამაგრდა გალავნის საძირკველი, გადაეწყო კედლის მორყეული ქვები, ნაწილობრივ აღდგა საპირე წყობა).

2000-02 წწ-ში ღვთაების ეკლესიას განუახლდა 1960-იან წწ-ში სარესტავრაციო სამუშაოების დროს მოწყობილი საბურავი; აღდგენილ იქნა ლავგარდნისა და კედლების დაზიანებული ნაწილები; ეკლესიის სამხრ. სარკმლის და ჩრდ. მინაშენის ჩრდ. სარკმელთა ღიობები, რ-ებიც XIX ს-ში გაუგანიერებიათ; დავიწროვდა და ჩაშენებულ იქნა თაღოვანი სარკმლები, ეკლესიის დას. შესასვლელის თავზე მოიხსნა გვიანდელი წყობა და აღდგა თავდაპირველად არსებული ტიმპანი, დაიგო აგურის იატაკი. მთლიანად იქნა აღდგენილი აღდგომის ეკლ. ამაღლების ეკლ. გადაიხურა კრამიტით, ხოლო მასზე მიდგმული სამრეკლო – თუნუქით. გარდა ამისა, აღდგენილ იქნა ამაღლების ეკლესიის გვერდით მდებარე საერო ნაგებობაც.

2004 წ-იდან აქ მოქმედებს მამათა მონასტერი.

თ. დვალი, ფ. დვედარიანი.

ბიბლ.: 118; 143; 148; 172 ა; 199; 323; 335.

135. ცხრასაძმარი, სამონასტრო კომპლექსი, მდებარეობს სოფლის სამხრ.-დას-ით 2 *კმ*-ზე, ვეჯინისხევის მარჯვ. მხარეს, ე. წ. აკვანაქედის ფერდზე. კომპლექსში შედის ჯგუფად მდგარი ხუთი ეკლ. (ოთხი ერთმანეთზეა მიდგმული, ხოლო მე-5 მათგან ჩრდ-ით შეიძლოდე *მ*-ზე დგას).

კომპლექსის ნაგებობებიდან ყველაზე ადრეულია დ ა რ ბ ა ზ უ ლ ი ე კ ლ ე ს ი ა მ ი ნ ა შ ე ნ ი თ, რ-იც სავარაუდოდ IX-X სს. განეკუთვნება. ეკლესიის გეგმის გარეგან სწორკუთხედში (10,8×9 *მ*) ჩაწერილია ორი სადგომი. ორივე აფსიდიანია; ისინი გამიჯნულია კედლით და კარით უკავშირდება ერთმანეთს.

შენობა ნაგებია სწორხაზოვან რიგებად დაწყობილი თანაბარი ზომის რიყის ქვით. კუთხეებში შერჩეული კუთხოვანი ქვებია ნახმარი, კონსტრ. ნაწილებში და კარ-სარკმლებში გამოყენებულია აგური, ნახმარია აგრეთვე სხვადასხვა ზომის შირიმის ქვაც.

ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს: ერთი დარბაზის დას. კედელშია გაჭრილი, ხოლო მეორე სამხრ. მინაშენის სამხრ. კედლის დას. კიდესთან. მინაშენიდან ეკლესიაში შესასვლელი ამ კარის პირდაპირაა. დას. შესასვლელი (მოგვიანებით დაუვიწროებიათ) შიგნით და გარედან თაღოვანია, გამოყვანილია კვადრ. აგურით (22×22×5 *სმ*, 20×20×4 *სმ*). გარედან, შესასვლელის ზემოთ, დაბალი და მოგრძო სწორკუთხა შეღრმავებაა. სამხრ. კარი გარედან თაღოვანია, შიგნით – სწორკუთხა (შემორჩენილია ხის ზღუდარის ბუდეები). ეკლესიისა და მინაშენის დამაკავშირებელი კარი ორივე მხრიდან სწორკუთხაა.

მთავარი ნავის აფსიდში შიგნიდან და გარედან თაღოვანი მაღალი სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ორივე მხარეს თითო სწორკუთხა ნიშა, ხოლო ქვემოთ – კედელზე [illegible] ნაგა ტრაპეზია, რ-საც თითო მართკუთხა ნიშა აქვს გვერდით წახნაგებში. აფსიდს მთელ პერიმეტრზე საფეხური (სიმ. 30 *სმ*) შემოუყვება, რ-იც გრძივ კედლებზეც გადადის პილასტრებამდე. საკურთხეველი დარბაზისგან გამიჯნულია აგურით ნაშენი კანკელით, რ-ის შუაში აღსავლის კარია, მის გვერდებზე კი – ორ-ორი თაღოვანი ღიობი. თაღები ეყრდნობა ლეკალური აგურით ამოყვანილ მრგვალ სვეტებს. საკურთხევლის სარკმლის გარდა,



135. გეგმა

ინტერიერს კიდევ სამი სარკმელი აშუქებს. მათგან ერთი დას-ითაა, ორი – ჩრდ-ით. ყველა სარკმელი აგურის წყობითაა გამოყვანილი, ღიობები გარეთკენ შევიწროებულია და რიყის ქვის საფეხურებიანი რაფები აქვთ.

ეკლესიის დარბაზი გადახურულია ნახევარწრიული კამარით, რ-იც ეყრდნობა აგურით ნაწყობ საბჯენ თაღს, თაღი – ერთსაფეხურიან პილასტრებს.

სამხრ. მინაშენი ეკლესიასთან შედარებით უფრო ვიწროა და დაბალი. განათებულია სამი სარკმლით. მათგან ერთი აფსიდში გაჭრილი, ორი – სამხრ. კედელში. აფსიდის სამხრ. ნაწილში პატარა სწორკუთხა ნიშაა.

ეკლესიას ჩრდ-იდან, კედლის აღმ. ნაწილზე მიდგმული აქვს XIII-XIV სს-ის პატარა ს ა მ ლ ო ც ვ ე ლ ო. იგი დარბაზულია (6×4 მ), ნაგებია რიყის ქვით, გამოყენებულია ნატეხი ქვა და აგური. შესასვლელი დას-იდან აქვს. კარი აგურითაა გამოყვანილი და გარედან გადახურულია ოდნავ შეისრული თაღით, რ-იც სწორკუთხა შეღრმავებაშია ჩასმული. შიგნიდან კარი სწორკუთხაა. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია – თაღოვანი სარკმლით, რ-ის ქვემოთ, კედელზე, მიბჯენილია კუბური ტრაპეზი. კონქი აგურის კარგი წყობითაა გამოყვანილი. კამარა ცილინდრულია.

შიგნით სამლოცველოს შესასვლელთან, იატაკზე, კრიპტაში ჩასასვლელი ხვრელია, რ-საც ოთხკუთხა სარქველი ჰქონია. კრიპტა დაბალია (სიმ. დაახლ. – 1,7 მ), აქვს რიყის ქვით ნაშენი კედლები და ტლანქად სხმული კამარა. ჩრდ. ნაწილში გამოყოფილია სარკოფაგის ადგილი.

თავდაპირველ ეკლესიაზე დას-იდან მშენებულია სამლოცველოს თანადროული, რიყის ქვით ნაშენი ე კ ლ ე ს ი ა, რ-ის სამხრ. ფასადი თავდაპირველი ეკლესიის სამხრ. ნავის სამხრ. ფასადთან ერთ სიბრტყეშია. იგი ძლიერაა დაზიანებული. ჩამონგრეულია კამარა და კონქი, ჩამონგრეულია კედლების ზედა ნაწილები.



135. დარბაზული ეკლესია მინაშენით. ჭრილი, ხედი აღმ-იდან

ეკლ. დარბაზულია (8,9×5,8 მ), შესასვლელი ჩრდ-იდან აქვს. კარი გარედან ოდნავ შეისრული თაღითაა გადახურული, შიგნით – სწორკუთხაა. აღმ-ით უსარკმლო, ოდნავ ნალისებრი აფსიდია, რ-ის ჩრდ. ნაწილში პატარა სწორკუთხა ნიშაა. აფსიდი გადახურული იყო წესიერი ფორმის კონქით, ხოლო დარბაზი – კამარით (შემორჩენილია კონქის ჩრდ. ნაწილი და კამარის ქუსლის წყობა ჩრდ. კედელზე). დას. და ჩრდ. კედლებში აგურით გამოყვანილი და ბრტყლად გადახურული თითო სარკმელია, ჩრდ. სარკმლის ღიობი



135. დარბაზული ეკლ. მინაშენით. ხედი აღმ-იდან

ზემოთკენ ოდნავ შევიწროებულია. მსგავსი სარკმელი სამხრ. კედელშიც ყოფილა (შემორჩენილია ქვედა ნახევარი).

ეკლესიას სამხრ-იდან ეკვროდა დარბაზული ე კ ლ ე ს ი ა, რ-იც მთლიანადაა დანგრეული. ნანგრევების გროვა ეკალ-ბარდებითაა დაფარული.

ჩრდ-ით მდგარი ე კ ლ ე ს ი ა ც დარბაზულია (გარეთა ზომები: 9,25×6,3 მ). აღმ-ით იგი დასრულებულია ნახევარწრიული შვერილი აფსიდით, რ-ისგანაც სამხრ. გვერდის მცირე ნაწილიღაა დარჩენილი. ეკლესიის კედლებიდან მთელ სიმაღლეზე მხოლოდ დას. კედელიღა დგას. ნანგრევებზე ეკალ-ბარდებია ამოსული.

დას. კედლის ღერძზე გაჭრილია შეისრულთაღოვანი კარი, რ-იც გარედან სწორკუთხა შეღრმავებაშია ჩასმული. კარის ზემოთ, ფრონტონის არეში, სწორკუთხა სარკმელია.

ი. მოსულიშვილი.

ბიბლ.: 221.

136. ᲬᲛ. ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას-ით 1,5 კმ-ზე, ვეჯინის ციხისაკენ მიმავალი გზის მარცხ. მხარეს, გზიდან 20 მ-ზე. განეკუთვნება IX-X სს.

ძ. სამეკლესიიანი ბაზილიკაა (სიგრ. – 7,3 მ, სიგ. – 9,5 მ), ნაგებია

წესიერი თარაზულ რიგებად დაწყობილი შერჩეული რიყის ქვით. კუთხეებში გამოყენებულია სუფთად გათლილი შირიმის კვადრები. შირიმის ქვითაა გამოყვა-



136. გეგმა

ნილი სარკმლებიც. გამოყენებულია კვადრ. აგურიც (25×25×5 *სმ*). ძლიერაა დაზიანებული: გადარჩენილია შუა ეკლესიის საკურთხევლის აფსიდის ერთი მესამედი; ჩამონგრეულია კამარა და კონქი; დანგრეულია შუა ეკლესიის სამხრ. კედელი; სანახევროდაა შემორჩენილი ჩრდ. ეკლ.; სამხრ. ეკლ. მთლიანადაა დანგრეული.

მთავარი ეკლესიის დას. კედელში გაჭრილია ვიწრო და დაბალი სწორკუთხა შესასვლელი (გვიანდელია). შუა და ჩრდ. ეკლესიების დამაკავშირებელი კარიც სწორკუთხაა. იგი გაცილებით განიერია და ოდნავ მაღალი. კარი შუა ეკლესიის მხრიდან ჩასმულია მოზრდილ თაღოვან არეში, რ-ის თავზე შემორჩენილია კამარის წყობის ნაწილი. შუა ეკლესიის აფსიდი ნახევარწრიული ფორმისაა. მისგან მხოლოდ ჩრდ. ნახევარიღა დგას – კონქისა და აფსიდის თაღის მცირე ნაწილთან ერთად, რ-შიც ერთი სწორკუთხა ნიშაა. აფსიდის მხარი შერჩეული რიყის ქვითაა ამოყვანილი და დასრულებულია დიდი ზომის აგურის (40×40×6 *სმ*) იმპოსტით.

ჩრდ. ეკლ. მთავარ ეკლესიაზე თითქმის ორჯერ უფრო ვიწროა, აღმ-ით იგი დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით, რ-შიც შემორჩენილია სარკმლის ძირი და ჩრდ. წირთხლის მცირე ნაწილი. აფსიდის კონქი დადაბლებულია. აფსიდის თაღი მშვილდისებრი ფორმისაა. ეკლ. გადახურულია რიყის ქვითა და აგურით ნაწყობი ცილინდრული კამარით, რ-ის შუა ნაწილი ჩამონგრეულია.

ი. მოხულიშვილი.

137. ᲬᲛ. ᲜᲘᲜᲝᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-დას-ით, ვეჯინის ხევის მარჯვ. ნაპირზე, აბაშიძეების კოშკის აღმ-ით ოციოდე *მ*-ზე. თარიღდება XVII-XVIII სს-ით. ეკლ. დარბაზულია (12,7×6,5 *მ*), ნაგებია რიყის ქვითა და კვადრ. აგურით. ძლიერაა დაზიანებული: ჩამონგრეულია კამარის უმეტესი ნაწილი, განივი



137. გეგმა



137. გრძივი ჭრილი, ხედი ჩრდ-კენ

ფასადების ზედა ნაწილი მონგრეულია, ინტერიერი დაახლ. 0,5 *მ* სიმაღლეზე ამოვსებულია მიწითა და ნანგრევებით.

ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს – სამხრ. კედლის შუა ნაწილში და დას. კედლის ცენტრში. ორივე კარი თაღოვანია, გამოყვა-



137. ხედი ჩრდ.-დას-იდან

ნილია აგურით და გარედან აგურითვე ნაწყობ, საფეხურით შეღრმავებულ, სწორკუთხა არეშია ჩასმული, რ-საც საფეხუროვანი ფრიზი აგვირგვინებს. დას. კარის თავზე მცირე სიღრმის ნიშაა. ეკლესიის შიდა სივრცე აღმ-ით დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით, რ-შიც გაჭრილია თაღოვანი სარკმელი, აფსიდში აგურით მოპირკეთებული სამი შეისრულთაღოვანი ნიშაა, მათგან ერთი სარკმლის სამხრ-ითაა, ორი – ჩრდ-ით. თითო მსგავსი ნიშაა გრძივი კედლების აღმ. ნაწილში. მათ ზემოთ, აფსიდის მხრებთან ახლოს, თითო თაღოვანი სარკმელია; ერთი სარკმელია დას. შესასვლელის ზემოთ, რ-საც გადახურვა ჩამოშლილი აქვს. გრძივი კედლების შუაში და დას-ის ორივე კუთხეში მოწყობილია თითო ერთსაფეხურიანი პილასტრი, რ-ებზეც გადაყვანილია შეისრული კამარის საბჯენი თაღები.

ეკლესიის აღმ. ფასადზე, ფრონტონის არეში, აგურის წყობით გამოყვანილია საფეხურით შეღრმავებული ტოლმკლავა ჯვარი.

ი. მოხულიშვილი

138. ᲬᲛ. ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲔᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის დას-ით, ვეჯინის ხევის მარცხ. ნაპირზე, სასაფლაოს ტერიტორიაზე. სავარაუდოდ თარიღდება IX-X სს-

ით. ძლიერ დაზიანებულია. შემორჩენილია ჩრდ.-აღმ კუთხე (სიმ. – 6,8 მ), აფსიდის ჩრდ. გვერდი კონქის ნაწილთან ერთად და დას. კედლის პერანგშემოცლილი ორი ფრაგმენტი. დანარჩენი კედლები მიწითაა დაფარული.

ეკლ. დარბაზულია (დაახლ. 15×8 მ), შენობის შემორჩენილი კედლები ნაგებია შერჩეული და სწორ რიგებად დაწყობილი რიყის ქვით. აფსიდის მხრები (ორსაფეხურიანია), კონქის თაღის შემორჩენილი ნაწილი და ჩრდ.-აღმ კუთხე გამოყვანილია შირიმის სუფთად ნათალი ქვებით. შირიმი გამოყენებული ყოფილა გარეთა კედლების მოსაპირკეთებლადაც. აღმ. ფასადის წინ აღმოჩნდა საკურთხეველის სარკმლის თაღი, რ-იც შირიმის ერთ ქვაშია გამოკვეთილი.

ი. მოსულიშვილი

139. ჯანიანთ საყდარი", არქიტ. ძ. სოფლის აღმ-ით, დაახლ. 7 კმ-ზე, მდ. ალაზნის მარჯვ. ნაპირზე. სავარაუდოდ თარიღდება ადრინდ. შუა საუკუნეებით. ძლიერ დაზიანებულია, შემორჩენილი კედლები 1,5-1,8 მ სიმაღლისაა.



139. გეგმა

ეკლ. დარბაზულია (6×4,3 მ), ნაგები ყოფილა სწორხაზოვან რიგებად დაწყობილი, მოზრდილი, თითქმის თანაბარი ზომის რიყის ქვით. ერთადერთი შესასვლელი დას-იდან აქვს. ეკლესიის დარბაზი თითქმის კვადრ. ფორმისაა, აღმ-იდან მას ერთვის ღრმა, ნალისებრი აფსიდი, რ-შიც ღერძზე შემორჩენილია სარკმლის ძირის ნაწილი. აფსიდის ჩრდ. გვერდში მცირე ზომის სწორკუთხა ნიშაა.

ი. მოსულიშვილი

140. ქაშუეთის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას-ით 2 კმ-ზე. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.



140. გეგმა. ჭრილი, ხედი სამხრ-კენ

ეკლ. დარბაზულია (7×4,55 მ), ნაგებია მსხვილი და საშუალო ზომის რიყის ქვითა და დულაბით. ალაგ-ალაგ კედლებში რიყის დიდი და ბრტყელი ქვებია ჩართული. წყობა ირეგულარულია. დაზიანებულია. კედლები 2,3-2,5 მ-ის სიმაღლეზეა შემორჩენილი.

ეკლ. უაფსიდოა, შესასვლელი სამხრ-იდან აქვს. კარი თაღოვანია. აღმ. კედელში სარკმელია გაჭრილი (შემორჩენილია ქვედა ნაწილი). საკურთხეველის სამხრ. და ჩრდ. კედლებში თითო პატარა სწორკუთხა ნიშაა. სარკმლის ქვემოთ, კედელზე, ტრაპეზია მიდგმული. ჩრდ. კედელში შემორჩენილია სარკმლის ძირი.

ეკლესიის სამხრ-ით 30 მ-ზე, ქვითა და დულაბით ნაგები სწორკუთხა საწნახელი დგას.

თ. მარკოზაშვილი

141. ღვინის საროდავი, არქიტ., ისტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ. განაპირას. აგებულია 1895 წ.

ისტ. წყაროების მიხედვით 1797 წ., მეფე ერეკლე II-ს მეფისა და ქვეყნის წინაშე დამსახურების აღსანიშნავად გარსევან ჭავჭავაძისათვის [illegible] წინანდალი, ნაფარეული და მუღანლო უბოძებია. გარსევანის მემკვიდრემ პოეტმა ალექსანრე ჭავჭავაძემ აღნიშნულ მამულებში გააგრძელა ქართული მევენახეობა-მეღვინეობის სახელოვანი ტრადიციები. გამოიყვანა ვაზის ახალი ჯიშები და დანერგა ტექნოლოგიური სიახლეები. ალექსანდრეს შვილმა დავითმა დიდი ვალების გამო მამულები ბანკში დააგირავა და ვერარ გამოიხსნა. 1886 წ. დაგირავებული მამულები შეიძინა საუფლისწულო მამულების დეპარტამენტმა. მათი ინიციატივით სოფლებში დაიწყო ღვინის სარდაფების მშენებლობა, რ-ებშიც სხვადასხვაგვარ ღვინოებს აძველებდნენ და ინახავდნენ. სოფ. ზეგაანში აშენდა 5661 კუბრო ღვინის ტევადობის სარდაფი.

ნაგებობა შედგება გრძივი ღერძის გასწვრივ სხვადასხვა დონეზე განლაგებული ორი ნაწილისგან (60,4×29,3 მ). შენობა ნაგებია მსხვილი და საშუალო ზომის რიყისა და ნატეხი ქვით. კედლები ძირითადად ქვისაა, რებშიც ჩართულია ერთმანეთისგან თანაბარი მანძილით დაცილებული აგურის ორრიგიანი შრეები. გარეთა კუთხეები, კამარები, თაღები, სარკმლები, ნიშები, ლავგარდანი კვადრ. აგურითაა გამოყვანილი.

შენობის ქვედა დონეზე მდებარე ნაწილი, მოჯრით განლაგებული სამი დიდი სათავსისგან შედგება. სათავსები ერთ მოცულობას ქმნიან, რ-ელებსაც სამი მხრიდან განიერი დერეფანი (სიგ. – 3,2 მ) შემოუყვება. დერეფნის გვერდის ნაწილები სათავსებთან შედარებით ოდნავ მოკლეა და დაბალი, აქვთ შეფიცრული ორფერდა ჭერი და დამოუკიდებელი ცალფერდა სახურავი. დერეფნის უკანა ნაწილი კი მშვილდისებრი კამარითაა გადახურული, რ-იც დაყრდნობილია პილასტრებზე გადაყვანილ ოთხ საბჯენ თაღზე. დე-

რეფანში შესასვლელი გვერდის ნაწილებში, მთავარი ფასადის მხრიდანაა. ორივე შესასვლელი განიერია და მშვილდისებრი თაღი ხურავს.

სათავსებში ღვინის ცისტერნებია განთავსებული. შუა სათავსის თავზე სხვენია, თაღოვანი შესასვლელით მთავარი ფასადის მხრიდან. ამავე ფასადზე გამოდის სათავსების სარკმლებიც. ერთ-ერთ განაპირა სათავსს ხის ორფერდა ჭერი აქვს, დანარჩენებში კი, გვიანდ. შეკეთების დროს, ხის კამარები ცემენტის ბრტყელი ჭერით შეუცვლიათ. სათავების კედლებში დიდი სწორკუთხა ნიშებია მოწყობილი.

დერეფანი გასასვლელით დაკავშირებულია მიწის ქვეშ მდებარე დიდ კამაროვან სათავსთან (22,1×8,5 მ, სიმ. – 6 მ-მდე), სადაც ღვინის ხის კასრებია დაცული. კამარას მთელ სიგრძეზე დატანებული აქვს სავენტილაციო ხვრელები. გრძივ კედლებში მშვილდისებრი თაღით გადახურული ოთხ-ოთხი მაღალი და ფართო ნიშაა. იატაკი კერამიკ. ფილებითაა მოგებული (გვიანდელია).



141. კამაროვანი სათავსი

ნაგებობის ზედა დონეზე მდებარე ნაწილი (33,5×21,5 მ) ორი მოცულობისგან შედგება. მათგან წინა, რ-იც განივი ღერძის მიმართულებითაა წაგრძელებული, ორსართულიანია, უკანა – ერთსართულიანი; მის ქვემოთ სარდაფებია მოწყობილი. გარედან წინა ნაწილის ორივე კუთხეზე მიდგმულია ერთმანეთის იდენტური, პირამიდული ფორმის სახურავით გადახურული თითო ორსართულიანი კოშკი. მათი I სართული გეგმით კვადრატულია და ნახევარწრიული თაღებით გახსნილ გასასვლელს წარმოადგენს. კოშკის II სართულს კი, კუთხეები ჩამოკვეთილი აქვს. ორივე კოშკის I სართული დაკავშირებულია მათ შორის მოქცეულ განიერ ბრტყელჭერიან დერეფანთან, რ-იც კარით უკავშირდება დიდ სწორკუთხა ოთახს. იგი ორივე სართულის სიმაღლეზეა გახსნილი. II სართულის დონეზე (ოთხივე კედლის გასწვრივ), რ-იც უკანა ნაწილის მიწის დონეს უსწორდება, მოწყობილია მოაჯირით შემოზღუდული ხის აივანი, რ-ზეც I სართულიდან ხის ორი კიბე ამოდის. აქვე, განივ კედლებში, თითო მაღალი და ფართო თაღოვანი კარი და ორ-ორი თაღოვანი სარკმელია. აივანი ორი განიერი კარით დაკავშირებულია ერთსართულიან ნაწილთან. იგი შედგება გრძივი ღერძის გასწვრივ გვერდიგვერდ განლაგებული ხამი მოზრდილი სათავსისგან. შუა სათავსი გაყოფილია ორ ნაწილად, რომლებიც ერთმანეთთან კარითაა (ამოშენებულია) დაკავშირებული განაპირა სათავსები კი ერთიანია, მათში განლაგებულია დიდი ტევადობის ხის კასრები. ორივე განაპირა სათავსი თითო განიერი კარით დაკავშირებულია ერთ-ერთ შუა სათავსთან. სათავსები შელესილი და შეთეთრებულია. აქვთ ბრტყელი ჭერი და ხის იატაკი. გრძივ ფასადებზე განაპირა სათავსების 7-7 სწორკუთხა სარკმელი გამოდის. შუა სათავსში (ამჟამად ამ ნაწილში მოწყობილია ლაბორატორია), შესასვლელი ზურგის მხრიდანაა განივი ფასადის ღერძზე. კარი განიერია და მშვილდისებრი თაღი ხურავს. კარის ასწვრივ, ფასადის შემაღლებულ ნაწილში, შუა ოთახის თავზე არსებული სხვენის თაღოვანი კარია. ორივე მათგანი კედლის საფეხურით შეღრმავებულ სიბრტყეშია ჩასმული. კარის გვერდებზე კი თითო სწორკუთხა სარკმელია.

ნაგებობის ფასადები სადაა, მოკლებულია სამკაულს. მხატვრული სახის შექმნაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს რიყის ქვისა და აგურის პორიზ. შრეების მონაცვლეობა, რ-ებიც რიტმულად ანაწევრებენ კედელთა ვრცელ ზედაპირს. კედლების ქვე-



141. დერეფანი

და ნაწილი, სარკმლების რაფის დონემდე, მოპირკეთებულია არაწესიერი ფორმის კირქვის ფილებით. კარ-სარკმლები მოურთველია. მხოლოდ თაღოვანი სარკმლების ფრამუგებია გაფორმებული. მათი

შიდა დაყოფა მარტივია. ორი მათგანის თავზე გამოყვანილია წრიული ჩაღრმავება.

კედლები დასრულებულია მაღალი ლავგარდნით, რ-ის პროფილს შეადგენს თარო, წრეთარგი და ლილვი. ნაგებობა გადახურულია თუნუქით.

ნაგებობის დას-ით 50 მ-ზე რიყის ქვით კვადრ. აგურით და კირის ხსნარით ნაგები ერთსართულიანი სახლი დგას, რ-საც გრძივ კედლებზე ხის რიკულებიანი აივნები გასდევს. ქვეშ სარდაფი აქვს მოწყობილი. კედლებში თალოვანი სარკმლებია გაჭრილი. გადახურულია ღარისებრი კრამიტის ორკალთა სახურავით. გადმოცემით სახლი ალ. ჭაუჭავაძეს ეკუთვნოდა.

თ. დვალი, თ. მარკოზაშვილი.

142. ყველაწმინდა, სამონასტრო კომპლექსი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის მახლობლად მდ. ჭერმისხევის მარჯვენა მხარეს, ხშირ ტყეში.

კომპლექსში შედის: ყველაწმინდის სამეკლესიიანი ბაზილიკა, მცირე სამლოცველო, მარნისა და სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა ნანგრევები. მონასტერს დაახლ. სწორკუთხა მოხაზულობის გალავანი არტყია. გალავნის გარეთ, ყველაწმინდის ეკლესიის აღმ-ით, ორმოციოდე მ-ის მანძილზე დგას წმ. მარინეს ეკლ.

ყველაწმინდის ეკლესია სამეკლესიიანი ბაზილიკაა (19,5×14 მ), განეკუთვნება VI-VII სს-ის მიჯნას. ნაგებია მსხვილი რიყის ქვის სწორხაზოვანი რიგებით. შენობის გარეთა კუთხეების მნიშვნელოვანი ნაწილი, პილასტრებისა და ბოძების იმპოსტები და სარკმლების გარეთა ღიობები-მორიმის ნათალი ქვითაა გამოყვანილი. მთავარ



142. ყველაწმინდის ეკლესია, გეგმა

ეკლესიას სამი შესასვლელი აქვს: სამხრ-იდან, დას-იდან და ჩრდ-იდან. სამივე კარი შიგნით და გარედან ნალისებრი თაღითაა დასრულებული, ტიმპანი ამოშენებულია. ჩრდ. კარი პატრონიკეს აგების დროს ამოუქოლავთ. სამხრ. კარის წინ საფეხურია.

მთავარ ეკლესიას ნახევარწრიული აფსიდი აქვს. მის წინ მოკლე ბემაა. აფსიდში სარკმელია გაჭრილი, რ-ის ორივე მხარეს თითო ბრტყლად გადახურული ნიშაა. საკურთხევლის ცენტრში დგას აგურის ოთხწახნაგა ტრაპეზი (გვიანდელია). აფსიდის კონქის თაღი ნალისებრია – წვერში უმნიშვნელო ტეხილით. მსგავსი ფორმისაა ბემის თაღიც და კამარაც. კამარა სხმულია. იგი დაყრდნობილია სამ საბჯენ თაღზე. მათგან ერთი ბემის წინაა, მეორე – დას. კედელთან, ხოლო მესამე – კამარის შუაში. თაღები დაყრდნობილია ჩვეულებრივ, ნათალი ქვის ცერად ჩამოკვეთილ კონსოლებზე. ნავის დას. ნაწილში პატრონიკეა, რ-იც დგას დას. კედელზე



142. გეგმები. 1. ყველაწმინდის ეკლესია, 2. წმ. მარინეს ეკლესია, 3. დარბაზული ეკლესია, 4. სატრაპეზო, 5. საცხოვრ. ნაგებობა, 6. ნაგებობის ნანგრევი, 7. მარანი

მიყრდნობილ ნალისებრ თაღზე. თაღი ეყრდნობა ძალზე დაბალ პილასტრებს. თაღის იმპოსტები და ჰორიზ. ზოლურა პატრონიკეს ქვემოთ შირიმის ნათალი ქვისაა – კონსოლების ანალოგიური პროფილით. პატრონიკეს აქვს მოგვიანებით აგებული მოაჯირი, აგურით ნაწყობ ოთხ მრგვალ სვეტზე ნავის დას. კედელში ორი ფართო, ნალისებრი თაღით დასრულებული ღიობია, რ-ითაც პატრონიკე დას. გარშემოსავლელის (კარიბჭის) თავზე არსებულ II სართულს უკავშირდებოდა. პატრონიკეზე ასასვლელად, პატრონიკეს საყრდენი თაღის ჩრდ. გვერდში მოწყობილია მცირე ზომის (დაახლ. 65×65 *სმ*) ვერტხვრელი. მანამდე კი ხის მისადგმელი კიბით ადიოდნენ.



142. ყველაწმინდის ეკლესია, გრძივი ჭრილი მთავარ ეკლესიაზე, ხედი სამხრ-კენ

საკურთხევლის სარკმლის გარდა, ნავს კიდევ ხუთი სარკმელი აშუქებს: ორ-ორი გრძივ კედლებშია გაჭრილი, ერთი – დას. კედლის ზედა ნაწილში. საკურთხევლის სარკმლის მსგავსად ეს სარკმლებიც შიგნიდან სწორკუთხაა, ხოლო გარედან (გარდა დას-ისა) შირიმის ქვაში გამოკვეთილი ნალისებრი თაღი ხურავთ.

საკურთხევლის სივრცე ეკლესიის იატაკზე სამი საფეხურით მაღლაა. აფსიდს მთელ პერიმეტრზე საფეხური შემოსდევს, რ-ის შუაში, სარკმლის ქვეშ, მონასტრის წინამძღვრის დასაჯდომი ადგილია მოწყობილი. მსგავსი საფეხური გასდევდა მთავარი ნავის სამივე კედელს.

საკურთხეველი, ნავის დანარჩენი სივრცისგან, გამოყოფილი ყოფილა ოთხ სვეტზე დაყრდნობილი სამთაღიანი კანკელით (ჩრდ. კედელზე შემორჩენილია თაღის ნაწილი). სვეტებისთვის სპეციალური, ნახევარწრიული ფორმის აგურია გამოყენებული (დიამ. – 29 *სმ*, სისქე – 4 *სმ*), რ-ებსაც ცენტრში 9 *სმ* დიამეტრის ნახევარწრიული შეღრმავება აქვთ, როგორც ჩანს, სვეტის ღერძის ირგვლივ მათი მოხერხებული დაწყობისათვის.

საკურთხეველი სწორკუთხა კარით უკავშირდებოდა გვერდითი ფრთების აღმ. ბოლოებში მოწყობილ უაფსიდო სათავსებს. ჩრდ. სათავსის კარი გვიან ამოუშენებიათ. ორივე სათავსის აღმ. კედელში გაჭრილია შიგნით სწორკუთხა, გარედან თაღოვანი სარკმელი. თითო ღრმა ნიშაა ჩრდ. სათავსის სამხრ. და სამხრ. სათავსის ჩრდ. კედლებში. აღმ. სარკმლის გარდა, ჩრდ. სათავსის ჩრდ. კედელში მეორე სარკმელიცაა, ხოლო დას-ით – დაბალი, შირიმის მოზრდილი ქვით გადახურული კარი, რ-ითაც იგი ჩრდ. ეკლესიას უკავშირდება. ორივე სათავსის კამარა სხმულია, ოდნავ ოვალური.

სამხრ. ეკლ. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდითაა დასრულებული, რ-ის კედელზე მიდგმულია აგურით ნაშენი ოთხწახნაგა ტრაპეზი. საკურთხევლის ნაწილი საფეხურითაა ამაღლებული. აფსიდის კონქი ოდნავ ნალისებრია. აფსიდთან ახლოს სამხრ. მხარეს, ორ მრგვალ ბოძზე დამყარებული სამმაგი განიერი თაღით გახსნილი შესასვლელია მოწყობილი. თაღები აქაც ნალისებრი მოხაზულობისაა, დაყრდნობილია შირიმის ქვის კვარდ. იმპოსტებზე, რ-თა პროფილს თარო და ცერად ჩამოკვეთილი სიბრტყე შეადგენს. ბოძები ყველა შესასვლელში რიყის ქვითაა ნაწყობი და ადრე შელესილი ყოფილა. კამარა თითქმის კოლოფაა, მცოცავი, ოდნავ კვერცხისებრი. მისი ჩრდ. ქუსლი სამხრ. ქუსლზე რამდენადმე მაღლაა და კედლის სიბრტყიდან



142. ყველაწმინდის ეკლესია, ჩრდ. ფასადი

ოდნავ (დაახლ. 15 სმ-ით) წინაა წამოწეული.

ჩრდ. ეკლ. უაფსიდოა. აღმ-ით იგი დასრულებულია სწორი კედლით, რ-შიც სამკვეთლოში შესასვლელი კარია. სამხრ. კედლის მთელ სიგრძეზე მოწყობილია ორსაფეხურიანი დაბალი, დასაჯდომი მერხია. ეკლესიის ჩრდ. კედელში ორმალიანი თაღოვანი შესასვლელია. თაღები ნალისებრია, დაყრდნობილია კვადრ. იმპოსტით დასრულებულ მრგვალ ბოძზე გარდა ამისა, ჩრდ. კედლის აღმ. ბოლოში არის ვიწრო და დაბალი კარი ორი საფეხურით და რიყის ქვის თარაზული ზღუდარით.

სამხრ. და ჩრდ. ეკლესიების კამარები მთავარი ეკლესიის დას. კედლის ხაზამდე გრძელდება, სადაც სამივე ეკლესიას დამოუკიდებელი ორსართულიანი კარიბჭე ეკვრის. კარიბჭის I სართული გრძელ კორიდორს წარმოადგენს, სიმეტრიულად განთავსებული ოთხი ნიშით მის ჩრდ. და სამხრ. ბოლოებში და მრგვალ ბოძებზე დამყარებული ორმალიანი შესასვლელით დას-ით, რ-იც გვერდითი ეკლესიების შესასვლელების ანა-



142. ყველაწმინდის ეკლესია, ინტერიერი, მთავარი ეკლესია, ხედი დას-კენ

ლოგიურადაა დამუშავებული.

გ. ჩუბინაშვილი, რ-მაც ეკლ. XX ს-ის I ნახ-ში შეისწავლა შემორჩენილი ნაშთების საფუძველზე ვარაუდობს, რომ კარიბჭის ქვედა სართულს თავდაპირველად ბრტყელი გადახურვა ჰქონია, რ-ის ზედა საზღვარი გადიოდა II სართულის სამხრ., დას. და ჩრდ. სარკმლების ძირის დონეზე. ჯვაროვანი კამარის ნაშთებს, რ-იც დას. კედელზეა შემორჩენილი, იგი გვიანდ. შეკეთების ნაკვალევად მიიჩნევს.

კარიბჭის II სართული კამარითაა გადახურული, რ-იც გვერდითი ეკლესიების კამარებზე მაღლაა. სართული უხვად იყო განათებული სამხრ., ჩრდ. და დას. კედლებში გაჭრილი თითო განიერი, მაღალი, სწორკუთხა სარკმლით. არსად ჩანს II სართულზე ასასვლელი.

აღმ. ფასადზე გვერდის დაბალ ნავებს შორის ახიდულია შუა ნავი ორქანობიანი სახურავით. სიმაღლის შთაბეჭდილებას აძლიერებს ნალისებრი თაღით დასრულებული საკურთხევლის სარკმელი. უფრო ქვემოთ, გვერდის ნავების ღერძზე ვიწრო სარკმლებია გაჭრილი. ქვემოთ, მიწის დონეზე, ნავების საზღვარზე კედლის სიღრმეში შემავალი ორი მილისებრი ხვრელია, რ-ებიც დასაკრძალავ კამერებს წარმოადგენა.

დანარჩენ ფასადებზე ყურადღებას იპყრობს ორმაგი და სამმაგი ნალისებრი თაღები, რ-ებიც დაყრდნობილია მძლავრ მრგვალ ბოძებზე. შენობის გარეგნობისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს შუა და გვერდის ეკლესიების მასების შეფარდებას. დას. მხარეს გვერდითი ეკლესიების დამაკავშირებელი და მათზე გაცილებით მაღალი კარიბჭე დაშატებით მოცულობით მასიურს ხდის. ფასადები დასრულებულია წვრილი



142. ყველაწმინდის ეკლესია. ხედი სამხრ-იდან

თაღების მწკრივით შედგენილი ლავგარდნით, რ-იც გამოყვანილია წყობიდან შვერილი, ერთმანეთისგან თანაბარი მანძილით დაცილებული რიყის მოგრძო ქვებით და მათ შორის მოქცეული სხმული ნალისებრი თაღებით.

ეკლესიის სამხრ-აღმ. კუთხესთან, ხუთიოდე მ-ზე, დგას განვით. შუა საუკუნეების დარბაზული (8,2×4 მ) ეკლესია. იგი მთლიანად რიყის ქვითაა ნაგები – კირის დუღაბის თხელ ფენაზე წყობა მეტ-ნაკლებად წესიერია.

ეკლ. ძლიერ დაზიანებულია. დანგრეულია ჩრდ. კედლის აღმ. ნახევარი, ჩამოქცეულია კამარის დას. ნაწილი (შემორჩენილი ნა-



142. ყველაწმიდის ეკლესია, ხედი სამხრ-აღმ-იდან



142. წმ. მარინეს ეკლესია, გეგმა

წილი დაბზარულია), მოხგრეულია გარე კუთხეები,

ერთადერთი შესასვლელი ეკლესიას დას-იდან აქვს (შემორჩენილია მხოლოდ სამხრ. წირთხლი). აღმ-ით, ნახევარწრიულ აფსიდში შიგნიდან გარეთკენ დაიეროებული, ბრტყლად გადახურული სარკმელია გაჭრილი. სარკმლის მარჯვნივ სწორკუთხა ნიშაა მოწყობილი. აფსიდი გადახურულია კონქით, რ-ის თაღი კვერცხისებრი ფორმისაა. მსგავსი



142. წმ. მარინეს ეკლესია, ხედი სამხრ.-დას-იდან



142. წმ. მარინეს ეკლესია, ჭრილი, ხედი სამხრ.-კენ

ფორმისაა კამარაც. იგი გრძივ კედლებზე და კონქის თაღზეა დაყრდნობილი. საკურთხევლის ქვეშ საძვალეა, რ-საც აღმ-ით სწორკუთხა ღიობი აქვს. დარბაზის სამხრ. კედლის დას. ნაწილში მაღალი და ფართო თარაზულად გადახურული სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი.

წმ. მარინეს ეკლესია. აგებულია V ს-ში. ნაშენია მოზრდილი ზომის რიყის ქვით. გარეთა კუთხეებში წესიერი ფორმის დაკუთხული ქვებია გამოყენებული; ზოგიერთი სარკმლის გარე ნაწილები გამოყვანილია შირიმით. ეკლ. შიგნით მთლიანად შელესილი და მოხატულია.

ეკლ. გუმბათოვანია, გეგმით მას ჯვრული მოხაზულობა აქვს, სადაც ჯვარი, თანაბარი სიგრძის სწორკუთხა მკლავებით, გარეგან მასებშიცაა გამოყვანილი (გარეთა ზომები ღერძებზე – 4,7×4,7 მ). მკლავთა გადაკეთების ადგილას აღმართულია დაბალი გუმბათი, რ-იც გარედან არ ჩანს და ჯვრის აღმ. და დას. მკლავებთან საერთო ორკალთა სახურავის ქვეშაა მოქცეული. ამ გრძივ მოცულობას პერპენდიკულარულად ეკვრის ჯვრის ჩრდ. და სამხრ. მკლავების უფრო დაბალი საფეხურები.

ეკლესიის აღმ. მკლავი დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით, რ-ის წინ ბემაა. დანარჩენი მკლავები სწორკუთხაა. ყველა მკლავი თანაბარი სიღრმისაა და ნალისებრი კამარითაა გადახურული. კამარის ქუსლის დონეზე გამოყოფილია შვერილი. აღმ. და დას. კამარათა თაღები დანარჩენებზე რამდენადმე მაღალია. გუმბათქვეშა კვადრატიდან წრეზე გადასვლა მოკლებულია. სამკვეთრეს. კუთხეები შელესილია და მოხატულობითაა დაფარული. გუმბათის ყელი ძალზე პატარაა და დაბალი (სიმ. დაახლ. 0,6 მ). ნაცვლად გუმბათისა აქ დამრეცი, არასწორი ზედაპირის მქონე კამარაა.

ეკლესიას აშუქებს ყოველ მკლავში გაჭრილი თითო პატარა, ვიწრო სარკმელი და ერთადერთი შესასვლელი სამხრ. მხარეს. სა-

კურთხევლის და დას. მკლავის სარკმლები შიგნით სწორკუთხაა, გარედან კი შირიმის ქვაში ამოკვეთილი ნალისებრი თაღითაა დასრულებული. დანარჩენი ორი სარკმელი შიგნით და გარედან სწორკუთხაა და რიყის ბრტყელი ქვითაა გადახურული.

საკურთხევლის ბაქანი იატაკზე ერთი საფეხურით მაღალია. საკურთხევლის სარკმლის ქვეშ კედელზე სწორკუთხა ტრაპეზია მოშენებული.

ეკლესიის კედლებზე ფრაგმენტულად შემორჩენილა გაუწაფავი ხელით შესრულებული, რამდენადმე უხეში კედლის მხატვრობა. სცენები და წმინდანთა ცალკეული ფიგურები არათანაბარი ზომისაა, ერთმანეთისაგან არ არიან გამიჯნულნი და კედლები

ხალიჩისებრადაა ერთიანად დაფარული.

საკურთხევლის აფსიდს მთლიანად ვედრების თემა მოიცავს. სცენის მონაწილე მთავარანგელოზები ბემის კედლებზე არიან გამოსახული. სარკმლის ქვემოთ გაირჩევა გარდამოხსნილი მაცხოვრის მცირე ზომის წელსზედა ფიგურა (ე. წ. ხატი მიძინებისა). მის მარჯვენივ და მარცხნივ ეკლესიის მამათა თითო ფიგურა დგას, ხოლო წინ, ტრაპეზთან უწყვეტლო ფორმის ბარძიმია გამოსახული – გარდაცვლილი იესოს თავით.

ჯვრის მკლავთა კამარებზე საუფლო ციკლია წარმოდგენილი. პირველია *შობა უფლისა*. ეს სცენა მოიცავს სამხრ. მკლავის კამარის ორივე მხარეს. მომდევნო სცენა ჩრდ. მკლავის კამარაზეა, რ-ის დას-ით *ნათლისღებაა*, ხოლო აღმ-ით – *ფერისცვალება*. დას. მკლავზე მარჯვნივ *ჯვარცმაა*, მრცხნივ – *ამაღლება*.

მოხატულობის ქვედა რეგისტრები არსებითად წმინდანთა და მოწამეთა გამოსახულებებს ეთმობა. მხოლოდ შესასვლელის კედლებზე, ორივე მხარეს ეკლესიის დამცველი მთავარანგელოზების თითო ფიგურა დგას, მათ საპირისპიროდ, ჩრდ. მკლავის დას. კედელზე გამოსახულია ვედრებად შუხლმოყრილი, მაყურებლისადმი მიპყრობილი ქტიტორი.

ქვედა რეგისტრთა მოხატულობაში ერთადერთი წმინდანია წარმოდგენილი – გველეშაპთან მებრძოლი წმ. გიორგი, რ-იც საკმაოდ დიდი ზომისაა და დას. კედლის უმეტეს ნაწილს მოიცავს. დას. კედელზე ჯვარცმის ქვემოთ ორი წელზედა გამოსახულებაა, ტორია, აღდგა ორიგე ეკლესიის კედლების დანგრეული ნაწილები და ლავგარდანი. ეკლესიები გადაიხურა კრამიტით.

თ. დუალი, გ. ჯულტი.

ბიბლ.: 323; 335.



142. წმ. მარინეს ეკლესია, ინტერიერი, ხედი გუმბათზე

143. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. დგას სოფლის ჩრდ.-დას-ით 1 კმ-ზე. ნაგები ყოფილა რიყის ქვით, აგურით და კირის სქელი ხსნარით. დანგრეულია: აღმ. კედელი აღარ არსებობს, დანარჩენი კედლები ფრაგმენტულადაა შემორჩენილი.

ბ. კუპრეიშვილი.

ზემო კაჭრეთი

(კაჭრეთის თემის საკრებულო)

144. გორასამარხები, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, 300–400 მ-ზე. განკუთვნება შუა ბრინჯაოს ხანის მიწურულს.

სარწყავი არხის მშენებლობის დროს, არხის გაყოლებით, 2 მ-ის სიღრმეზე, აღმოჩნდა ორი დაზიანებული სამარხი. ორივე შემთხვევაში შემორჩენილი იყო სამარხი ორმოს ჩრდ. მცირე ნაწილი, ამოვსებული მიწითა და ქვებით. სამარხები გათხარა კაპ-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური).

ერთ-ერთი გორასამარხის ორმოში აღმოჩნდა თიხის 6 ჭურჭელი – სილანარევი წმინდა თიხისაგან დამზადებული, ნაპრიალებზედაპირიანი და ოდნავ პირმოყრილი 4 ჯამის ფრაგმენტი, რ-ებსაც მხრები შემკული ჰქონდა ორ კონცენტრულ ხაზს შორის მოქცეული, ერთიმეორის საპირისპიროდ მიმართული, მიჯრილი ნაჭდევი ჯგუფებით შექმნილი, წვერით ქვევით მიმართული, სამკუთხედებით ან ორ კონცენტრულ ხაზს შორის დატანილი ერთიმეორის საპირისპიროდ დახრილი პრიალა ხაზების ჯგუფებით; მოყავისფროდ გამომწვარი წვრილმარცვლოვანი თიხისაგან დამზადებული ქოთანი, რ-საც ყელის ძირში ერთი ამოდარული,

ხოლო მხარზე ერთი ტეხილი ხაზი შემოუყვება; კარგად განლექილი თიხისაგან დამზადებული ჭურჭლის ფრაგმენტი. აღმოჩნდა აგრეთვე წვრილფეხა საქონლის ძვლები.

მეორე გორასამარხში აღმოჩნდა ქვიშანარევი თიხისაგან დამზადებული, ნაპრიალებზედაპირიანი ერთი ჭოთნის გვერდის ფრაგმენტები. ჭოთნის მხარსა და მუცელს ამკობდა მოკლე ტეხილი ხაზების პორიზ. რიგებისაგან შედგენილი, წვერით ქვემოთ მიმართული სამკუთხედები.

მოპოვებული არქეოლ. მასალა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

ბ. მაისურაძე

ბიბლ.: 102; 184.

145. გორასამარხი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის დას-ით, ბრინჯაოს ხანიდან გვიანდ. ბრინჯაოს ხანაზე გარდამავალ პერიოდს.

გორასამარხს 1972 წ. მიაკვლია და გათხარა კაპ-მ (ხელმძღვ. ქ. ფიცხელაური).

გორასამარხის ყრილი (დიამ. – 20 *მ*, სიმ. ცენტრ. ნაწილში – 1,5 *მ*) წარმოადგენს მიწის ზვინულს, გარშემო რიყის დიდი ქვების წრით. ყრილს ზემოდან ქვის ჯავშანი აქვს. ყრილის ქვეშ ორი სამარხი აღმოჩნდა – ორივე დამხრობილი სამხრ-იდან დას-ისკენ.

ერთ-ერთ სამარხში (სიგრ. – 2 *მ*, სიგ. – 1,06 *მ*, სიღრმე – 1,20 *მ*), ერთი მიცვალებულის ჩონჩხი აღმოჩნდა, რ-იც დაკრძალული იყო მარჯვ. გვერდზე, კიდურებმოხრილი, თავით ჩრდ-ისკენ. მიცვალებულის ქვედა კიდურების არეში კი – გაიწმინდა წვრილფეხა საქონლის მთლიანი ჩონჩხი, რ-ზედაც მაღალფეხიანი პატარა სასმისი იყო დამხობილი. მიცვალებულის თავის უკან მსხვილფეხა საქონლის კიდურის ერთი ძვალი გამოვლინდა. თავი, ბეჭი და სხვა ძვლები ეწყო სამარხის ჩრდ. კედლის გასწვრივ. სამარხში აღმოჩნდა უხეშკეციანი, დიდი ქვაბქოთანი, შავპრიალა ჯამი, დერგის ნატეხები, პირეწრო და მუცელგანიერი შავპრიალა ჭურჭელი, რ-საც, ნაპრიალები ორნამენტის გარდა, აქა-იქ თეთრი საღებავით მოხატვის კვალი ემჩნეოდა.

მეორე სამარხშიც ერთი მიცვალებული აღმოჩნდა, დაკრძალული მარჯვ. გვერდზე, კიდურებმოხრილი, თავით ჩრდ-ისკენ. სამარხის ჩრდ. კედლის გაყოლებით წვრილფეხა საქონლის ძვლები გამოვლინდა. სამარხში აღმოჩნდა აგრეთვე თიხის ჭურჭელი – უხეშკეციანი ქვაბქოთნის ფრაგმენტები და მაღალფეხიანი პატარა სასმისი.

მოპოვებული არქეოლ. მასალა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

ბ. მაისურაძე

ბიბლ.: 102 ე.

146. ელია წინასწარმეტყველის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას-ით, 1,5 *კმ*-ზე. განკუთვნება განვით. შუა საუკუნეებს.



146. ჭრილი, ხედი აღმ-კენ. გეგმა

შენობა გეგმით კვადრატულია (6,3×6,3 *მ*), შედგება დარბაზული ეკლესიისა და მასზე სამხრ-იდან მიშენებული ეგვტერისაგან. ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვით. წყობა ირეგულარულია, ზოგ რიგთა კუთხეებში შედარებით მოზრდილი ქვებია გამოყენებული. კედლების ზედაპირი ორივე მხრიდან ბათქაშითაა გასწორებული,



146. სამხრ. ფასადი

რ-იც საპირე ქვების ზედაპირის მნიშვნელოვან ნაწილს ფარავს. შიგნით კედლები კირითაა შეთეთრებული.

XX ს-ის 80-იან წწ-ში, სოფლის მოსახლეობამ ეკლ. აღადგინა (შემორჩენილი იყო 3,5 *მ* სიმაღლეზე). აღმ. და დას. კედლებს ფრონტონები დააშენეს და ეკლ., ეგვტერთან ერთად, ხის ძელებზე გამართული კრამიტის ორკალთა სახურავით გადახურეს.

ეკლესიის ერთადერთი შესასვლელი ეგვტერის სამხრ. კედელშია მოწყობილი. კარი გარედან თაღოვანია, შიგნით – ხის ძელებით ბრტყლადაა გადახურული. შესასვლელის თაღი თავდაპირველია, ხოლო წირთხლები და გადახურვა რემონტის დროინდელია.

ეკლესიის დარბაზი თითქმის კვადრატულია (4×3,9 *მ*), აღმ-ით იგი დასრულებულია ოდნავ ნალისებრი აფსიდით, რ-ის იატაკი დარბაზის იატაკიდან დაახლ. 30 *სმ*-ითაა შემაღლებული. აფსიდის ღერძზე, იატაკიდან დაახლ. 2 *მ* სიმაღლეზე, გაჭრილია გარეთკენ დავიწროებული, ბრტყლად გადახურული ვიწრო სარკმელი. აფსიდის გვერდებში თითო სწორკუთხა

ნიშაა, ხოლო სარკმლის ქვემოთ, კედელზე, ცემენტის ხსნარით შელესილი, დაბალი, ოთხწახნაგა ტრაპეზია მიდგმული. დარბაზის სამხრ. კედლის შუაში ეგეტერიდან შემოსასვლელი კარია, რ-იც ტიმპანითაა გადახურული და ორივე მხრიდან თაღოვანია.

ეკლესიის ჩრდ. კედლის შუაში ორსაფეხურიანი პილასტრია, რ-ის წინა საფეხურს კამარის საბჯენი თაღი ეყრდნობოდა, გვერდითებს – კედლის ყრუ თაღები. თაღების დას. წყვილის დასაყრდნობად დას. კუთხეებში მოწყობილია თითო ერთსაფეხურიანი



146. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

პილასტრი. კამარის საბჯენი თაღი სამხრ-ით კრონშტაინზე იყო დაყრდნობილი, რ-იც ეკლესიის შესასვლელის თავზეა.

ეკლესიის ძველი ნაწილი საკურთხევლის სარკმლის გადახურვის დონემდეა შემორჩენილი, რის გამოც კედლების ზედა ნაწილების აღნაგობა არ ირკვევა.

აფსიდს, დას. და ჩრდ. კედლებს (იატაკიდან 1,3 *მ* სიმაღლეზე) გასდევს ნაკერი, რ-ის ზემოთ კედელი ოდნავ სქელია და ქვედა ნაწილის მიმართ დაახლ 2 *სმ*-ითაა გადმოშვერილი. იატაკი მოწატკეპნილია.

ეგვტერი (შიგნითა ზომები: – 5,3×1,4 *მ*) ეკლესიის თანადროულია და მას წყობით უკავშირდება. აღმ-ით იგი დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით, რ-შიც ბრტყლად გადახურული, თითქმის პარალელეპიპედისებური სარკმელია გაჭრილი. ერთი სწორკუთხა სარკმელი დას. კედლის ზედა ნაწილშიცაა.

თ. დვალი, თ. მარკოზაშვილი.

147. მთავარანგელოზის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-აღმ-ით 1,5 *კმ*-ზე, მთაზე.

ეკლ. საძირკვლამდეა დანგრეული და მისი გეგმა ბოლომდე არ იკითხება (მიახლოებითი ზომები: – 11,9×7,5 *მ*). ნაეკლესიარზე ხეებია ამოსული.

ძ. ნაგები ყოფილა მსხვილი რიყის ქვითა და დულაბით. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდი ჰქონია.

თ. მარკოზაშვილი.

148. ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის დას-ით 2 *კმ*-ზე, შლარტი ღელის მარცხ. ნაპირზე. განეკუთვნება ძვ. წ. II ათასწლ. დასასრულსა და I ათასწლ. I ნახევარს.

ნამოსახლარს მიაკვლია კაე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). ბუნებრივ თავბრტყელ გორაზე კულტ-ფენის სიმძლავრე 1 *მ*-ს აღწევდა. მისი დონეების დადგენა ვერ მოხერხდა. სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობის დროს დაზიანდა ძეგლის სამხრ.-აღმ. ნაწილი.

კულტ- ფენის ჭრილიდან შეგროვილ მასალაში ჭარბადაა თიხის შელესილობის დამწვარი ფრაგმენტები, რაც სარლასტით ნაგებ შენობათა არსებობაზე მიუთითებს. თიხის ჭურჭლის ნატეხებს შორის საყურადღებოა რამდენიმე ფრაგმენტი, რ-ებიც დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან და კარგადაა გამომწვარი წითლად ან მორუხო-მოწაბლისფროდ. ორი მათგანი ნაპრიალებია კონცენტრირებული პარალელური ხაზებით, ერთი კი პრიალა ვერტ. ხაზებითაა შემკული. აქვე არის თიხის ჭურჭლის პირის, მხარის და ძირის უხეშკეცხიანი ფრაგმენტები. ძირის კიდე ირიბი ნაჭდევებითაა შემკული, გვერდის ფრაგმენტები კონცენტრული ხაზითაა დასურილი. ასევე არქაული უნდა იყოს რამდენიმე პირ-გვერდის ფრაგმენტი, რ-თა ზედაპირი კონცენტრული ხაზებითაა დასერილი, ე. წ. „ფრჩხილისებრი" ნაჭდევებით შემკული და სხვ.

მოპოვებული არქეოლ. მასალა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ-ეთნ. საცავში.

თ. ბუგიანიშვილი.

149. სადგომი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-დას-ით 5-6 *კმ*-ზე; გვიანდ. შუა საუკუნეების ხანის ნასოფლარ ბეჟანბაღში, სარწყავი არხის მარჯვ. მხარეს. განეკუთვნება მუსტიეს ხანას.

ღია სადგომი ბეჟანბაღი 1970 წ. გამოავლინა კაე-ის ქვის ხანის შემსწავლელმა რაზმმა (ხელმძღვ. თ. ბუგიანიშვილი). ბეჟანბაღის ნახნავებში ნაპოვნია მონაცრისფრო ღრმად პატინირებული კაჟის იარაღი. ლეკალუაურ ლამელაზე დამზადებული დანა – სახოკი, არალეკალუაურ დაბალ, ფართო ანატკეცზე გაკეთებული სწორ-სამუშაოპირიანი განივი სახოკი და მოგრძო, მასიური ნატეხზე გაფორმებული ლიმასი.

მასალა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ-ეთნ. საცავში.

თ. ბუგიანიშვილი.

150. სადგომი კარალიხევი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის დას-ით, 4-5 *კმ*-ზე, ნასახლავებად წოდებულ ადგილსა და მდ. კარალისხევის მარცხ. ნაპირს შორის მდებარე ტერიტორიაზე. სადგომს უკავია მდ. კარალისხევისაკენ დახრილი ფერდობის უტყეო, ნიალვრებით ძლიერ გადარეცხილი და დალარულ-გაშიშვლებული 1-2 ჰა ფართობი. ძ. განეკუთვნება გვიანდ. აშელის ხანას.

სადგომი 1970 წ. გამოავლინა კაე-ის ქვის ხანის შემსწავლელმა რაზმმა (ხელმძღვ. თ. ბუგიანიშვილი).

სადგომ კარალისხევში ზედაპირულად შეგროვებული ქვედაპალეოლითური კაჟის ნივთების ჯგუფში წარმოდგენილია თითო ლეკალუაური თავბოლო მოტეხილი ლამელა და მოგრძო ფოთლისებრი ანატკეცი. ექვსი არალეკალუაური მოგრძო და დაბალი, ფართო არასწორი მოყვანი-

ლობის ანატკეცი და სამი დასრულებული იარაღი: ამოზნექილი სამუშაოპირიანი გრძივი სახოკი, რეტუშით შესწორებულზურგიანი დანა – სახოკი და ბლაგვწვეტანა.

მასალა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

თ. ბუგიანიშვილი.

ბიბლ.: 37.

151. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის დას-ით 2 კმ-ზე, ადგილ პირდაპირმიწებად წოდებულ ადგილზე. განეკუთვნება ძვ. წ. XIV-XIII სს.

ერთსართულიან სამაროვანს 1971 წ. მიაკვლია ძაე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). ძ. დაზიანებულია, მის ტერიტორიაზე წარმოებული სამშენ. სამუშაოების გამო. გაითხარა ორი ორმოსამარხი. ერთ-ერთი სამარხის ოთხკუთხა ორმოს (1,6×1,4 მ) ცენტრ. ნაწილში მიცვალებული ესვენა მის მარჯვ. გვერდზე, ძლიერ მოხრილი კიდურებით, თავით ჩრდ.-აღმ-ით. სამარხში აღმოჩნდა თიხის ათი ჭურჭელი და ბრინჯაოს ღილები.

მეორე სამარხში (1,4×1,4 მ) მიცვალებული იწვა მარჯვ. გვერდზე, მოხრილი კიდურებით, თავი ჩრდ.-აღმ-ისკენ.

სამარხში აღმოჩნდა თიხის ათი ჭურჭელი. მასალა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

ბ. მაისურაძე.

ბიბლ.: 102 ე.

152. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით 1 კმ-ზე, ხვინჭიანიხევის მარჯვ. ნაპირზე, ნასადგომრად წოდებულ ადგილზე. განეკუთვნება ძვ. წ. II ათასწლ. II ნახევარს.

1970 წ. ძ. გათხარა ძაე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). სულ გათხრილია 105 სამარხი.

სამაროვანი სამიარუსიანია. ზედა ორი იარუსიდან მიწის სამუშაოების გამო I ფენა მთლიანად განადგურებულია, II ფენის სამარხები მნიშვნელოვნადაა დაზიანებული. უმეტესწილად გადარჩენილია ქვედა, III ფენა.

„ნასადგომარის" სამაროვნის ყველა იარუსის სამარხები დამხრობილია ჩრდ.-დას. ხაზზე. მიცვალებულები დაკრძალული არიან გვერდზე, მოხრილი კიდურებით – ქალები მარცხ., კაცები – მარჯვ. გვერდზე. აქვე დადასტურდა მიცვალებულის სარეცლით დაკრძალვაც. სამაროვანზე დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს სამკაულები და იარაღი.

მასალა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

ბ. მაისურაძე.

ბიბლ.: 102 ე.

153. სამარხი, არქეოლ. ძ. აღმოჩნდა სოფლის სამხრ.-დას-ით, ურმუშეთად წოდებულ ადგილსა და ნასოფლარ ბეჟანბაღის საზღვარზე. განეკუთვნება ახ. წ. I-II სს.

ძ. აღმოჩნდა შემთხვევით, სარწყავი არხის გაყვანის დროს. სამარხი გათხარა ძაე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური).

ორმოსამარხი (სიგრ. – 2 მ, სიგ. – 1,2 მ) დამხრობილი იყო ჩრდ-იდან სამხრ-კენ. ორმო სწორკუთხაა, სამარხი – ინჰუმაციური. სამარხის ჩრდ. ნაწილში აღმოჩნდა მარცხ. გვერდზე, ძლიერ მოხრილი კიდურებით დაკრძალული მიცვალებული, თავით ჩრდ-ისკენ.

სამარხში იყო: თიხის 5 ჭურჭელი – მოვარდისფრო-პირისფრად გამომწვარი ორყურა ქოთანი, ფართოპირიანი დოქი, ბრტყელბაკოიანი ქილა, თეთრი ანგობის კონცენტრული ზოლებით მოხატული ორყურა ქილა და ლეგა-მოყავისფროდ გამომწვარი ცალყურა ქილა; მიცვალებულის თავის ქალასთან წვერით ჩარჭობილი რკინის გრძელი, ორპირლესული მახვილი, მასრაგახსნილი შუბისპირი, რომბისებრი ისრისპირი, დანები (4 ც.) – 3 – ბოლოწაწვეტებული, სწორი საჭრელი პირით, 1 – მოხრილით (სახსლავი?); ნამგალი, სამკუთხა მოყვანილობის სატარე ყუნწით; მაკრატელი; აბზინდა – შედგენილი მრგვალი რგოლისა და ენისაგან; ბრინჯაოს რგოლი, ღორის ეშვი, ბრტყელი, ოთხწახნაგა სალესი ქვა – ბოლოში ნახვრეტით; ბეჭდები – ერთი რკინის, [illegible] ბრინჯაოსი, ოვალურთვალბუდიანი, მინის თვლით; ბრინჯაოს სამაჯური, პირგახსნილი, წელშეზნექილი, წაკვეთილ ბოლოებზე სქემატიზებული გველის თავებით; კვირისტავისებრი მინის ნივთი; მინის მოოქრული და გიშრის ოთხწახნაგა, მოგრძო, ბიპირამიდული მძივები.

სამარხის თავზე, მისი ძირიდან 0,5 მ-ის სიმაღლეზე აღმოჩნდა მიწაში ჩაფლული ორი ჭურჭელი – მოვარდისფროდ გამომწვარი წმინდად განლექილი თიხის ბრტყელბაკოიანი, ზედაპირნაპრიალები, შიდა პირზე ღრმად ამოღარული სპირალური ორნამენტით შემკული ჯამი და მოწითალო-მოვარდისფროდ გამომწვარი წმინდამარცვლოვანი თიხის ჭურჭელი (შემორჩენილია ძირ-გვერდის ნატეხები), შემკული თეთრი ანგობით დატანილი კონცენტრული ზოლებით. აღნიშნული ჭურჭლის აღმოჩენა დაკრძალვის შემდეგ სამარხზე გასვლისა და განსაზღვრული რიტუალის შესრულებაზე უნდა მიუთითებდეს.

მასალის ნაწილი ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში, ნაწილი გამოფენილია ილიას სახელმწ. უნტ-ში.

ნ. მამაიაშვილი.

ბიბლ.: 124.

ზიარი

(არაშენდის თემის საკრებულო)

154. ზიარი, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს გომბორის ქედის ჩრდ.-აღმ. კალთაზე, გურჯაანიდან 45 კმ-ზე.

ზიარის ტერიტორიაზე ადამიანი ქვედა პალეოლითიდან სახლობს. ამას მოწმობს სოფლის ტერიტორიასა და მის შემოგარენში აღმოჩენილი ქვის ხანის არაერთი ძეგლი. წერილობით წყაროებში ზიარი XI ს-იდან იხსენიება, როგორც სვეტიცხოვლის კუთვნილი დიდი სოფელი. ეპარქიულად სოფელი ჭერემის საეპისკოპოსოში შედიოდა, საეპისკოპოსოს გა-

უქმების შემდეგ, 1757 წ-იდან იგი ბოდბელ მიტროპოლიტს დაუქვემდებარეს. დაყოფის მიხედვითაც ზიარელნი ბოდბელი ეპისკოპოსის მეწინავე დროშის ქვეშ დგებოდნენ.

სოფელზე გადიოდა ქიზიყიდან გადმომავალი გზა, რ-იც შემდეგ იერის მარცხ. ნაპირს მიუყვებოდა და ჩადიოდა სოფ. ჩუმლაყში. ამ გზამ განსაკუთრებული მნიშვნელობა გვიანდ. შუა საუკუნეებში შეიძინა, როდესაც ერთიანი ქართული სახელმწიფო ცალკეულ სამეფოებად დაიშალა.

სოფ. ზიარი ძირითადად სახასო კუთვნილება იყო, თუმცა მოგვიანებით სოფლის ყმა-მამული ანდრონიკაშვილებმა, ერასტიშვილებმა (მათი განაყოფია) აბაშიძეებმა, ზურაბიშვილებმა დაინაწილეს. დავით იმამყული-ხანმა ზიარში სახასო, სამონასტრო და სათავადო მფლობელობის მიჯნები დააწესა, რ-საც ერეკლე II-ც დაეთანხმა.

1842 წ. 13 დეკემბერს ზიარის საბატონო გლეხები ავჯანყდნენ. ავჯანყების უშუალო საბაბი გახდა ის, რომ მემამულეებმა აღებული ფულადი ვალის გადახდა ყმა-გლეხებს დააკისრეს. გლეხებმა უარი თქვეს მემამულეების ვალის გადახდაზე. მთავრობამ გლეხთა მღელვარება რეგულარული ჯარის ნაწილების გამოყენებით ჩაახშო.

კ. კახაძე, ლ. მოწონელიძე.

ბიბლ.: 48 ა; 82; 161; 203.

155. კვირაცხოვლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით 1,5 *კმ*-ზე, მთის წვერზე. სავარაუდოდ განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (5,5×3,5 *მ*), ნაგებია ქვიშაქვის თლილი კვადრებითა და კირის დულაბით. დასავლეთით

კულტურულ ფენაში აღმოჩნდა 5 000-ზე მეტი ქვის ნივთი და სამი ცხოველის – გარეული ცხენის, კეთილშობილი ირმისა და დომბას რამდენიმე ძვალი, წარმოების დიდძალი ნარჩენები (ქერცლისებრი ანატკეცები, ანამტვრევები და სხვ., კაჭრების, ქვარგვალების, ნუკლეუსების ნამზადები და ერთფუძიანი, ორფუძიანი, დისკოსებრი, ამორფული, სამკუთხედისებრი, პროტოპრიზმისებრი და სხვ. ნუკლეუსების, დიდი ზომის, მასიური აშელ-კლექტონური ანატკეც-ნამზადები და მცირე რაოდენობით მათზე დამზადებული იარაღი).

ნივთების დასამზადებლად გამოყენებულია კაჟი, კირქვა, მერგელი და სხვა ქანები, რ-თა გამოსავლებიც აქვეა, ძეგლის ტერიტორიაზე.

იარაღებიდან ნაპოვნია კაჟის მთლიანი კაჭრებისაგან გამოთლილი ორი ნუშისებრი და ერთი ოვალური მოყვანილობის ამოზნექილ და ჩაზნექილ სამუშაოპირებიანი, ხელნაჯახი, ორპირა და სხვა ტიპის სახოკები, ორმხრივ დამუშავებული უხეში საჭეხები, დაკბილული და ამოღარული, ბურღისებრი და კომბინირებული, წვეტანისებრი და ნისკარტისებრი იარაღები, საფხეკები, პროტოლიმასი და სახვრეტები. იარაღი ძირითადად დამზადებულია ანატკეცებზე და ანამტვრევებზე, ხოლო ცალკეული ხელსაწყოები – შუაზე გაპობილ კაჭრებზე.

კულტ. ფენის ანალოგიური ნივთები ზედაპირულადაც შეგროვდა. ზიარის ქვის ინდუსტრია ხასიათდება გაპობა-ატკეცის ე.ი. პირველადი დამუშავების არქაული აშელ-კლექტონური ტექნიკით, ხოლო მეორად დამუშავებაში ანუ იარაღის გაფორმებაში წამყვანია ცალმხრივი, ზურგისმიერი ფართოფაცეტოვანი ციცაბო რეტუში.

კულტ. ფენისა და ზედაპირული ქვის მასალები ერთი საწარმოო კომპლექსის ერთიან ინდუსტრიას შეადგენს და ერთ კულტ.-ისტ. და ქრონოლოგიურ ეტაპს მიეკუთვნება.

მასალა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ-ეთნ. საცავში.

თ. ბუგიანიშვილი

ბიბლ.: 36.

160. უსანეთის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას შუა სოფელში. განეკუთვნება XIX ს.

ეკლ. დარბაზულია – უაფსიდო. ნაგებია რიყის და ნატეხი ქვით; წყობაში თანაბარი ინტერვალებით ჩატანებულია აგურის სარტყლები. კარ-სარკმელთა ღიობები გამოყვანილია კვადრ. აგურით. ეკლ. შიგნიდან და გარედან შელესილი და შეთეთრებულია.

ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს: სამხრ-იდან და დას-იდან. ორივე კარი ორფრთიანია, ჩასმულია სწორკუთხა ალაბაში და გარედან ნახევარწრიული ტიმპანითაა დასრულებული.

ინტერიერი განათებულია ხუთი განიერი და მაღალი თაღოვანი სარკმლით. მათგან ერთი აღმოთაა, ხოლო ორ-ორი – ერთმანეთის მოპირდაპირედ, გრძივ კედლებში. სარკმლები შეშინულია და გარედან ლითონის გისოსები აქვთ.

შიგნით ეკლ. გადახურულია ისრული ფორმის შეფიცრული კამარით.

გარედან ოთხივე კუთხეს აშენება აგურით გამოყვანილი პილასტრისებრი შვერილი, რ-იც ქიწრის თარაზული ღარებით დანაწევრებულია თანაბარი სიმაღლის ნაწილებად. თითო მსგავსი პილასტრია გრძივი ფასადების შუაშიც. პილასტრები დაგვირგვინებულია აგურით ნაწყობი მაღალი ოთხსაფეხურიანი კაპიტელით. იმავე პროფილისაა გრძივი ფასადების ლავგარდანიც, განივ ფასადებზე



160. ხედი სამხრ.-დას-იდან

კი იგი ორსაფეხურიანია. ეკლესიის ორივე შესასვლელი ჩასმულია სადა, თაღოვან ჩარჩოში. სარკმლებს, ზემოდან და გვერდებზე ევლება დეკორატ. არშია, რ-იც გამოყვანილია კედლის სიბრტყიდან გამოშვერილი და ერთმანეთისგან თანაბარი მანძილით დაცილებული აგურებით. ოთხივე ფასადის კიდეებთან, სარკმელთა გადახურვის დონეზე ჩარჩოში ჩასმული წრიული ჩაღრმავებაა. განივ ფასადებზე, ფრონტონის არეში, თითო მაღალი რელიეფური ჯვარია გამოსახული. გაცილებით პატარა და კედლის სიბრტყეში შეღრმავებული თითო ჯვრის გამოსახულებაა გრძივი ფასადების აღმ. ნაწილში.

ეკლესიის დას. ფრონტონის წვერზე დადგმულია დაბალი, აგუ

რით ნაშენი ოთხწახნაგა სამრეკლო.

ეკლ. გადახურულია თუნუქის ორკალთა სახურავით (გვიანდელია).

თ. დვალი.

161. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას შუა სოფელში. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (4,5×3,3 მ), ნაგებია სხვადასხვა ზომის ნატეხი ქვითა და რიყის ქვით. გარეთა კუთხეებში გამოყენებულია შედარებით წესიერი ფორმის ლოდები. წყობა ირეგულარულია.

ძლიერ დაზიანებულია. მთლიანადაა ჩამონგრეული კამარა, მონგრეულია კედლების ზედა ნაწილები.

1990-იან წწ-ში სოფლის მაცხოვრებლებს ეკლესიის აღდგენა დაუწყიათ, მაგრამ აღარ დაუმთავრებიათ.

ერთადერთი შესასვლელი დას-იდანაა (ორივე წირთხლი ნატეხი ქვითა და ცემენტის ხსნარითაა აღდგენილი). კარი კვადრ. აგურით ნაწყობი ნახევარწრიული თაღითაა გადახურული.

აღმ-ით, ნახევარწრიულ აფსიდში, მაღალი, ბრტყლად გადახურული სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს თითო მცირე ზომის ნიშაა. ჩრდ-ით მდებარე ნიშა სწორკუთხაა, სამხრ-ით მდებარე კი – თაღოვანი. სარკმლის ქვემოთ კედელზე მიყრდნობილი ოთხწახნაგა ტრაპეზია. აფსიდი გადახურულია წვრილი ნატეხი ქვით ნაწყობი კონქით (სამხრ. ნახევრის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამონგრეულია), რ-ის თაღს კვერცხისებრი ფორმა აქვს.

ეკლესიის გრძივი კედლები სადაა. დას. კედლის ზედა ნაწილში თარაზულად გადახურული დაბალი სარკმელია.

ინტერიერის ნაწილი მობათქაშებულია ცემენტით – ტლანქად.

თ. მარკოზაშვილი.

კალაური

(საკრებულოს ცენტრი)

162. კალაური, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს გომბორის ქედის ჩრდ.-აღმ. კალთაზე, გურჯაანიდან 18 კმ-ზე.

კალაური კახეთის ერთ-ერთი უძველესი სოფელია. წყაროებში ხშირად მეზობელ სოფ. შაშიანთან ერთად იხსენიება, როგორც შაშიან-კალაურის თემი. სოფელი მდებარეობს გურჯაანი-თელავის დამაკავშირებელ მნიშვნელოვან გზაზე, რამაც ხელი შეუწყო მის განვითარებას. სოფელში ოდითგანვე მისდევდნენ მევენახეობა-მემინდვრეობას. XIX ს-ში განვით. ყოფილა მექვევრეობაც. ცნობილი მექვევრეები ყოფილან ზაქარა ხიხაძე და ისიდორე ჩუბინიძე. შემორჩენილია ზაქარა ხიხაძის კუთვნილი, ქვევრის საბეჭდი და ისიდორე ჩუბინიძის გაკეთებული ქვევრების პირები წარწერით – ისიდორე ჩუბინიძე.

XVI ს-ის შუა ხანებიდან კახეთის სამეფოს წარმოქმნის შემდეგ სოფლის ყმა-მამულის ნაწილზე სამეფო გავლენა გავრცელდა და კალაური სხვა სოფლებთან ერთად „საზიარონი არიან მეფისა და კათალიკოსის". ამავე დროს იგი ეპარქიულად ჭერემის ეპისკოპოსს დაუქვემდებარეს. ჭერემის საეპისკოპოსოს გაუქმების შემდეგ, XVIII ს-ის შუა წწ-ში, თეიმურაზმა და ერეკლე II-მ კალაური ნინოწმინდელ ეპისკოპოსს არგუნეს, მოურავ საბა ტუსიშვილის გამგებლობის ქვეშ. ამავე დროს სოფლის ყმა-მამულის ნაწილს თავადი ვაჩნაძეებიც ფლობდნენ, რ-ებიც ნინოწმინდელ მოურავს მორჩილებდნენ. მოურავს სოფლის ყმა-მამულზე და ბეგარა-გამოსაღებზე დიდი უფლებები ჰქონდა მინიჭებული. მეფე და ეპისკოპოსი ცალკეული დავებისა და გაუგებრობების მოსაგვარებლად უშუალოდ მოურავს მიმართავდნენ. 1799 წ. კათალიკოსი ანტონ II უბრძანებდა სახლთუხუცეს ამილაბარს: „როგორც მეფის სახლთუხუცესს ახლავან მსახურები სახასო სოფლებიდან, შენც ისე უნდა იახლო მსახურები, ერთი საგარეჯოდან, ერთი ჯიმითიდან და ერთი შაშიან-კალაურიდან."

XVII-XVIII სს-ში კალაურში მოსახლეობის ჩამოსახლება დაიწყო როგორც კახეთის მთიანეთიდან, ისე იმერეთიდან. ლეკიანობის დროს სოფელს ხშირად უწევდა მტრის შთაგერიებას.

ქ. კახაძე

ბიბლ.: 83; 172 გ.

163. კვირაცხოვლის ეკლესია, დგას სოფლის სამხრ.-აღმ. განაპირას. აგებულია 2006-07 წწ-ში, ნაკლესიარზე, სოფლის მკვიდრის ალ. ნაპირელის თაოსნობითა და სახსრებით.

ეკლ. დარბაზულია (7×5 მ), უაფსიდო. ნაგებია რიყის ქვით. გადახურულია კრამიტის ორფერდა სახურავით. დას-იდან მიდგმული აქვს გეგმით კვადრ. (2×2 მ), ნახევარწრიული თაღებით გახსნილი კარიბჭე, რ-საც კრამტის ორფერდა სახურავი ხურავს.

თ. მარკოზაშვილი.

164. კორდღმიანის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-დას-ით 2-2,5 კმ-ზე, ხშირ ტყეში. განეკუთვნება VIII-IX სს.

ძ. სამეკლესიიან ბაზილიკათა ტიპს მიეკუთვნება,მაგრამ გეგმის დაკვალეთა და ხუროთმოძღვრულ ფორმათა აღნაგობის თვალსაზრისით ნიშანდობლივ თავისებურებებს შეიცავს. შენობის გეგმის გარეგან სწორკუთხედში (13,8×10,5 მ) ჩაწერილია ჯვრისებრი გეგმის



164. გეგმა

ეკლ. სამნაწილიანი საკურთხეველით და ცენტრ. სივრცის დას. ნაწილის ირგვლივ არსებული

სამმხრივი გარშემოსაველელი, რ-ის სამხრ. და ჩრდ. ფრთები დამოუკიდებელ ეკლესიებს წარმოადგენენ.



164. განივი ჭრილი, ხედი აღმ-კენ

შენობა ნაგებია რიყის ქვით. კუთხეებში და არქიტ. ელემენტებისათვის გამოყენებულია მოზრდილი და შედარებით წესიერი ფორმის ქვები.

ძლიერ დაზიანებულია: ჩამონგრეულია შუა ეკლესიის კამარა, სამხრ. და ჩრდ. კედლების ზედა ნაწილები, განგრეულია საკურთხევლის აღმ. კედელი (საკურთხევლის სარკმლის წირთხლების მხოლოდ მცირე ნაწილებიღაა შემორჩენილი). ჩამონგრეულია შუა ეკლესიის ჩრდ. უბის და გარშემოსავლელის კამარების მნიშვნელოვანი ნაწილი. ინტერიერი დააახლ. 1 მ სიმაღლეზე ამოვსებულია ჩამონაშალი ქვებით. ნანგრევებადაა ქცეული ეკლესიის სამხრ. მინაშენი.

შუა, მთავარი ეკლ. არატრადიციულადაა აგებული. იგი წარმოადგენს მაღალ და გრძელ დარბაზს, რ-საც სამხრ-იდან და ჩრდ-იდან ერთვის შედარებით დაბალი და საკმაოდ ღრმა თითო უბე. უბეები სიღრმის წყალობით ქმნიან განივ ღერძს, რ-იც მთავარი ღერძის პერპენდიკულარულია. უბეები საგრძნობლად დაბალია, რის გამოც გეგმის ჯვრული მოხაზულობა სივრცეში, არასრულფასოვნადაა გამოვლენილი. შუა ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს: სამხრ-იდან და დასიდან. ორივე კარს შიგნით ნალისებრი თაღი აქვს, ხოლო გარედან მოზრდილი ქვის ზღუდრითაა გადახურული – თარაზულად.

საკურთხევლის აფსიდი გეგმით ნალისებრი ფორმისაა. იგი განათებული იყო ფართო და მაღალი სარკმლით (ამჟამად საკურთხევლის კედელი ამ ადგილას განგრეულია და სარკმლიდან მხოლოდ წირთხლების მცირე ნაწილებია შემორჩენილი). საკურთხევლის სარკმლის გარდა, დას. კედელში ერთი ფართო, მაღალი სარკმელია – პარალელური წირთხლებითა და ბრტყელი გადახურვით.

სამხრ. და ჩრდ. ეკლესიები ერთმანეთის ანალოგიურია. აღმ-ით ისინი სწორი კედლითაა დასრულებული, ორივეში თითო თხელში ერთმანეთის სიმეტრიულად ერთი სწორკუთხა და ერთი ნალისებრთაღოვანი ნიშაა. საკურთხევლის გვერდებში სამკვეთლო და სადიაკვნე. თითოეულ მათგანში შესასვლელი დასავლეთიდანაა შესაბამისი უბიდან. ორივე გეგმით სწორკუთხა, კამაროვანი სათავსია, აქვთ თითო მოზრდილი ნიშა სამხრ. და ჩრდ. კედლებში და თითო პარალელურწირთხლებიანი სარკმელი აღმ-ით. ამჟამად ორივე სარკმელს, ისე როგორც სამკვეთლოს შესასვლელს, თავი ჩამოშლილი აქვს.

შუა ეკლესიის ორივე უბე გადახურულია ქვის კამარით. იგი შედგება ორი კამარისგან, რ-ებიც ერთმანეთს მართი კუთხით კვეთენ. ორივე უბე ეკლესიის სივრცეს ნალისებრი თაღით ერთვის. თაღი დაყრდნობილია შირიმის თლილი ქვის იმპოსტებზე, რ-თა პროფილს თარო და დახრილი სიბრტყე შეადგენს. ამჟამად ჩრდ. უბის კამარის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამონგრეულია. საკურთხევლის სარკმლის გარდა, დას. კედელში ერთი ფართო, მაღალი სარკმელია – პარალელური წირთხლებითა და ბრტყელი გადახურვით.

სამხრ. და ჩრდ. ეკლესიები ერთმანეთის ანალოგიურია. აღმ-ით ისინი სწორი კედლითაა დასრულებული, ორივეში თითო



164. გრძივი ჭრილი, ხედი სამხრ-კენ



164. ხედი აღმ-იდან

ნალისებრთაღოვანი ბრტყელი ნიშაა, რ-იც აფსიდის მაგივრად გამოიყენებოდა. სამხრ. ეკლესიის სამხრეთ კედელში ფართო, თაღიანი შესასვლელია. თაღი ნალისებრია.

ორივე ეკლ. გადახურულია სხმული კამარით. კამარა ჯვრდნობა ორ საბჯენ თაღს, რ-თაგანაც ერთი აღმ. კედელთანაა, ხოლო მეორე – მთავარი ეკლესიის დას. კედლის ხაზზე.

დას. გარშემოსავლელს შესასვლელი დას-იდან აქვს (შემორჩენილია მხოლოდ სამხრ. წირთხლის ნაწილი). გარშემოსავლელის კამარის დიდი ნაწილი ჩამოშლილია. აღმ-ით, იგი დაყრდნობილი იყო მთავარი ეკლესიის დას. კედლიდან გამოშვერილ თაროზე, ხოლო დას-ით – დას. კედელზე. მოგვიანებით დას. გარშემოსავლელის კამარის გამაგრების მიზნით, კამარის სამხრ. კიდეში, პილასტრებზე დაყრდნობილი საბჯენი თაღი მოუწყვიათ. შესაძლოა მსგავსი თაღი კამარის ჩრდ. კიდეშიც იყო მოწყობილი.

ეკლესიას ორსაფეხურიანი, თაროსებრი ლაყვარდანი აქვს, რ-ის მცირე ნაწილი სამხრ. ფასადზეა შემორჩენილი.

მოგვიანებით ეკლესიისათვის სამხრ-იდან მოზრდილი, გეგმით



164. ხედი სამხრ.-დას-იდან

სწორკუთხა ნაგებობა (7,9×5 მ) მოუშენებიათ, რ-ის ნანგრევებიცაა შემორჩენილი.

ბაზილიკის აღმ-ით, ოცდაათიოდე მ-ზე, საძვალეა. მისი მნიშვნელოვანი ნაწილი მიწაშია მოქცეული. ნაწილი (სიმ. დაახლ. 1,5 მ) მიწის ზემოთაა და მიწითა და მცენარეულობით იმდენადაა



164. ინტერიერი, ჩრდ. ეკლესია, ხედი აღმ-კენ

დაფარული, რომ ქვის გროვას წააგავს. ნაგებობა გეგმით სწორკუთხაა, დამხრობილია აღმ-იდან დას-ისკენ. ნაგებია მსხვილი რიყის ქვითა და კირის დულაბით. წყობაში ალაგ-ალაგ ლოდებიცაა ჩართული. შესასვლელი აღმ-იდან აქვს. კარი ნახევარწრიული თაღი-



164. საძვალე, ინტერიერის დეტალი

თაა დასრულებული. შიგნით გრძივ ღერძზე აგებული დაბალი (სიმ. 20-25 სმ) და განიერი (სიგ. დაახლ. 60 სმ) კედლით საძვალე გაყოფილია ორ თანაბარ ნაწილად. კედელი დას. ბოლოში ორი საფეხურით მაღლდება და ადგება დას. კედელში მოწყობილ განიერ, ღრმა ნიშას. ინტერიერი გადახურულია ბრტყელგვერდებიანი სხმული კამარით.

თ. დვალი.

ბიბლ.: 335.

165. მარანი, არქიტ. ძ. დგას სოფლის მკვიდრის იოსებ ჯანიაშვილის კარ-მიდამოში. განეკუთვნება XVIII-XIX სს.

მარანი წარმოადგენს რიყის ქვით ნაშენ, აღმ-იდან დას-ის მიმართულებით წაგრძელებულ ერთსართულიან ნაგებობას (9,4×5,7 მ). შესასვლელი მას ჩრდ-იდან აქვს. კარი გარედან აგურით ნაწყობი ნახევარწრიული თაღითაა დასრულებული და ჩასმულია კედლის საფეხურით შეღრმავებულ არეში, რ-იც დასრულებულია კუთხით შეჭრილი აგურების წყობის ერთი რიგით. შიგნით შესასვლელი მუხის მძლავრი ძელით გადახურულია თარაზულადაა გადახურული.



165. გეგმა

მარნის აღმ. კედლის შუაში კვადრ. აგურით ნაწყობი თაღოვანი ბუხარია. ბუხრის ზემოთ ბრტყელი, გვერდებაკეცილი კრამიტებით მოწყობილია თარო, რ-ის ზემოთ, კედელში, ირმის რქაა ჩამაგრებული. ბუხრის გვერდებზე საშუალო ზომის ერთი თაღოვანი და ერთი სწორკუთხა ნიშაა. ერთი



165. ხედი ჩრდ-იდან

თაღოვანი ნიშა ჩრდ. კედელშია, ხოლო ორი სამხრ. კედელში. ამ უკანასკნელთა შორის მარნის ერთადერთი სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. სამხრ. კედლის დას. ნაწილზე, თხილის ხის სწორკუთხა საწნახელია (3,6×0,8 მ) მიდგმული. დას. კედელი ყრუა. იატაკში ჩაფლულია სხვადასხვა ტევადობის ქვევრები.



165. ინტერიერი, ნიშა

გარედან კედლები დასრულებულია აგურის ორსაფეხურიანი ლავგარდნით. შენობა გადახურულია კრამიტით, დაბურული – ხის ორფერდა სახურავით.

თ. მარკოზაშვილი.

166. მთავარანგელოზთა ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-დას-ით 2 კმ-ზე, ბალვენასხევის მარჯვ. ნაპირზე, ტყეში. განეკუთვნება შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (7,8×4,8 მ). ნაგებია რიყის მსხვილი ქვითა და ნატეხი ქვით. წყობა ირეგულარულია. თითქმის მთლიანადაა დანგრეული. შემორჩენილია საკურთხევლის ნაწილი (სიმ. დაახლ. 4 მ) და დას. კედელი (სიმ. 1,2 მ). დანარჩენი კედლების მხოლოდ კვალიდაა შემორჩენილი.

ეკლესიას შესასვლელი დას-იდან ჰქონია (შემორჩენილია კარის წირთხლების მცირე ნაწილი). აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-იც შუაში განგრეულია. აფსიდის ორივე გვერდში თითო პატარა ოთხკუთხა ნიშაა. შემორჩენილია კონქის თაღის მხოლოდ ჩრდ. ქუსლი.

ეკლესიას რიყის ქვით ნაგები სწორკუთხა მოხაზულობის (16,7×13,8 მ) გალავანი აქვს შემოვლებული, რ-ის მცირე ნაწილებიდაა შემორჩენილი.

თ. მარკოზაშვილი.

ეროვნული

167. ნაეკლესიარი, არქიტ. ძ. მდგარა ყველაწმინდის მონასტრისაკენ მიმავალ გზაზე. ამჟამად ნაგებობის კვალი არ ჩანს. აქა-იქ მიმობნეულია სხვადასხვა ზომის რიყის ქვები. მოსახლეობას ნაეკლესიარზე ჩაყრილი აქვს ქვევრები.

ბ. კუპრეიშვილი.

168. ნათლისმცემლის მონასტერი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-დას-ით ხუთიოდე კმ-ზე, გომბორის ქედის ჩრდ. კალთაზე, ტყეში. სამონასტრო კომპლექსი განლაგებულია მთის ფერდობის ვაკე ადგილზე, რ-იც აღმ-იდან დას-ის მიმართულებითაა წაგრძელებული (დაახლ. 80×60 მ). ჩრდ. მხრიდან იგი ღრმა, ფლატეებიანი ხევითაა შემოსაზღვრული, ხოლო აღმ-იდან ოცდაათიოდე მ-ის ციცაბო ფერდობით, რ-იც პატარა ტაფობზე ჩადის.

სამონასტრო კომპლექსში შედის: იოანე ნათლისმცემლის ეკლ., სატრაპეზო, მარანი, საძვალე, კარიბჭე და სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა ნანგრევები. მონასტერი შემოფარგლული ყოფილა რიყის ქვით ნაშენი, არაწესიერი ფორმის გალავნით, რ-ის ნაწილები თითქმის მთელ პერიმეტრზეა შემორჩენილი.

მონასტრის მთავარი ნაგებობაა ნათლისმცემლის ეკლესია. იგი მოზრდილი, მოხდენილი და აზიდული პროპორციების სამეკლესიიანი ბაზილიკაა. ნაგებობის გეგმის სწორკუთხედში (19,7×13,95 მ) ჩაწერილია ყრუ კედლებით გამიჯნული და თითო კარით დაკავშირებული სამი სადგომი, რ-ებიც დამოუკიდებელ ეკლესიებს წარმოადგენენ; დას. ნაწილში გვერდითი ეკლესიების დამაკავშირებელი მოგრძო დერეფანია – გარშემოსავლელი, რ-ის თავზე პატრონიკეა მოწყობილი.

ძ. ძლიერ დაზიანებულია: ჩამონგრეულია მთავარი ეკლესიის კამარა, საკურთხევლის კონქი, დას.

გარშემოსავლელის და პატრონიკეს გადახურვა; მონგრეულია მთავარი ეკლესიის გრძივი კედლების ზედა ნაწილები, დანგრეულია სამხრ. ეკლესიის მნიშვნელოვანი ნაწილი; მთავარი ეკლ., დას. გარშემოსავლელი და სამხრ. ეკლესიის უმეტესი ნაწილი ჩამონაშალი ქვითაა ამოვსებული (დაახლ. 1,8 *მ* სიმაღლეზე); ეკლესიის დას. კედელი გადახრილია და გადაქცევის პირასაა მისული.



168. გეგეგმა. 1. ნათლისმცემლის ეკლესია, 2. სატრაპეზო, 3. სამლოცველო, 4. საძვალე, 5. მარანი(?), 6. ნაგებობის ნანგრევი, 7. კარიბჭე, 8. გალავანი

ეკლ. ნაგებია სწორ რიგებად დაწყობილი რიყის მოზრდილი ქვით. გამოყენებულია ასევე აგური, რ-იც მხოლოდ მთავარი ეკლესიის ზედა ნაწილებში და პატრონიკის კედლებშია გამოყენებული. აგურით ყოფილა ნაწყობი მთავარი ეკლესიის კამარის საბჯენი თაღები, კონქი, გრძივი კედლების თაღები, მორთულობის ელემენტები და პატრონიკეს მნიშვნელოვანი ნაწილი. აგური მუქი წითელია, იგი თითქმის ერთი სისქისაა, მაგრამ სხვადასხვა ზომისა (29×29×7 *სმ*, 28×28×7 *სმ*, 28×27,5×7 *სმ*, 28×27×7 *სმ*). გვხვდება ასევე ზომითა და მოყვანილობით გამოსაყენებელ ადგილებთან მისადაგებული აგურიც. შენობის ის ნაწილები, რ-ებიც წყობის კომპაქტურობასა და სიზუსტეს საჭიროებს გამოყვანილია სუფთად ნათალი შირიმით.

შუა ეკლ. ერცელია და მადალი, აღმ-ით დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით, რ-ის კონქით. შემორჩენილია კონქის ქუსლის წყობის რვა რიგი და მისი თაღის ნრღ. ქუსლის ნაწილი. იგი ნალისებრი ფორმისაა და დაყრდნობილია აგურის იმპოსტზე, რ-ის პროფილს შეადგენს: თარო და ცერად ჩამოკვეთილი სიბრტყე. აფსიდის მხრები თაღისებურადაა გადაწყვეტილი. საკურთხეველის იატაკიდან დაახლ. 3,5 *მ* სიმაღლეზე მხრები „გატეხილია". მისი ზედა ნაწილი ქვედას მიმართ დაახლ. 20 *სმ*-ით გადმოშვერილია (როგორც ჩანს, აფსიდის თაღის მალის შემცირების მიზნით) და საფეხურს ქმნის, რ-იც აფსიდის კუთხეებიდან ღერძისაკენ თანდათან მცირდება და ქრება. აფსიდის კუთხეების ქვედა და ზედა ნაწილები განსხვავებული საშენი მასალითაა გამოყვანილი; ქვედა ნახევარში კუთხეები შირიმის ქვისაა, ზედა ნახევარში კი აგურის. მოგვიანებით საკურთხეველი აუმაღლებიათ (დაახლ. 0,5 *მ*-ით), ხოლო აფსიდის კედლის გასწორების მიზნით, აფსიდის გეერდებ-



168. ნათლისმცემლის ეკლესია, გეგმა

წინ მოკლე ბემაა. აფსიდი გადახურული იყო წესიერი ფორმის

ზე (საფეხურის ქვემოთ), მიუშენებიათ აგურის ნატეხებით (სისქე – 7 *სმ*) ნაწყობი თხელი ფენა, რომლის ზედაპირზეც ფიქალის ფილები ყოფილა დაწყობილი. ფილების ნაწილი ჩამოშლილია.



168. ნათლისმცემლის ეკლესია, გრძივი ჭრილი შუა ეკლესიაზე, ხედი სამხრ.-კენ

ნობილი იყო საბჯენი თაღი (სამხრ-ით შემორჩენილია მხოლოდ იმპოსტი, ჩრდ-ით – იმპოსტი და აგურის საბჯენი თაღის წყობის 10 რიგი). მოგვიანებით ბემის ჩრდ. კედელი გაუნგრევიათ და გაუკეთებიათ სამკვეთლოში გასასვლელი სწორკუთხა კარი.

დარბაზის გრძივი კედლების შუაში და დას. კიდეებში შირიმითა და რიყის ქვით ამოყვანილი თითო მძლავრი პილასტრია, რებსაც კამარის საბჯენი თაღები ეყრდნობოდა (შემორჩენილია მხოლოდ დას. საბჯენი თაღის ჩრდ. ნახევარი). პილასტრებს შორის თითო ყრუ თაღია, მათ დასაყრდნობად დას. პილასტრებს, იატაკიდან 2,5 *მ* სიმაღლეზე, მოწყობილი აქვთ II საფეხური. მსგავსი საფეხურების კვალი შუა პილასტრების გვერდებზეცაა.

მთავარი ეკლესიის კამარა (ჩრდ-ით შემორჩენილია აღმ. და დას. კიდეების მცირე ნაწილი) რიყის ქვით ყოფილა ნაგები.

მთავარ ეკლესიას, საკურთხეველის სარკმლის გარდა, როგორც ჩანს, სამხრ. კედელში მოწყობილი კიდევ ორი სარკმელიც აშუქებდა.

შიც მოუწყვიათ თითო განიერი, ოდნავ შეისრულთაღოვანი ნიშა. მათგან სამხრ-ისა მთლიანადაა შემორჩენილი, ჩრდ-ისა კი – სანახევროდ. სამხრ. ნიშაში, თაღის წყერთან, მოჩანს აფსიდის თავდაპირველ კედელში მოწყობილი მცირე სწორკუთხა ნიშა. აფსიდის ღერძზე გაჭრილია შირიმის ქვით მოპირკეთებული მაღალი და ფართო, თაღოვანი სარკმელი, რ-საც გადახურვა და გვერდების მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამოშლილი აქვს. საკურთხეველში, სარკმლის წინ, შემორჩენილია აგურის ტრაპეზის ნანგრევი, ხოლო აფსიდის ჩრდ. კუთხესთან – აგურისავე კანკელის (გვიანდელია) მცირე ნაწილი. აფსიდს ეკვლება განიერი ხარიხი, რ-ის შუაში, სარკმლის ქვემოთ, გამოყვანილია მონასტრის წინამძღვრის დასაჯდომი ადგილი.

აფსიდის ბოლოების მსგავსადაა დანაწევრებული ბემის კედლებიც. აქაც, იმავე დონეზე, კედლის სიგანის 2/3-ზე, საფეხურია შექმნილი, რ-ის ქვემოთ კედელი რიყის ქვისაა, ზემოთ – აგურის. კედელი დასრულებულია აგურისავე იმპოსტით, რ-ზეც დაყრდნობილი იყო საბჯენი თაღი (სამხრ-ით შემორჩენილია მხოლოდ იმპოსტი, ჩრდ-ით – იმპოსტი და აგურის საბჯენი თაღის წყობის 10 რიგი). მოგვიანებით ბემის ჩრდ. კედელი გაუნგრევიათ და გაუკეთებიათ სამკვეთლოში გასასვლელი სწორკუთხა კარი.



168. ნათლისმცემლის ეკლესია, განივი ჭრილი, ხედი დას.-კენ

მთავარ ეკლესიას სამი შესასვლელი აქვს სამხრ-იდან, დას-იდან და ჩრდ-იდან. სამივე კარი შიგნით თაღოვანია, ხოლო გარედან მოზრდილი ქვიშაქვის ზღუდარით თარაზულადაა გადახურული. ამჟამად სამხრ. კარის ზღუდარი და მის ზემოთ რიყის ქვის წყობის ნაწილი ჩამოშლილია.

ამჟამად სარკმლების საყარაულო ადგილზე კედელი დანგრეულია და მათი კვალი არ ჩანს. განათების

დამატებით წყაროს ქმნიდა დას. კედელში მოწყობილი სამი ფართო და მაღალი თაღოვანი ღიობი, რ-ებიც დას. კარიბჭის II სართულზე, პატრონიკეში, გადიან. ორი მათგანი პატრონიკის იატაკიდან



168. ნათლისმცემლის ეკლესია, სამხრ. ფასადი (რეკონსტრუქცია)

0,6 *მ* სიმაღლეზეა, ხოლო III მათ ზემოთაა, ღიობების გამმიჯნავი სწორკუთხა ბოძის თავზე. სამივე ღიობი და ბოძი მთლიანად აგურითაა გამოყვანილი, ღიობები გადახურულია ნალისებრი თაღით – წვერში უმნიშვნელო ტეხილით. ქვედა ღიობების თაღები დაყრდნობილია ერთრიგად დალაგებული აგურით გამოყვანილ იმპოსტებზე, რ-თა პროფილი დანარჩენი იმპოსტების ანალოგიურია. ზედა ღიობის თაღის იმპოსტები იმავე პროფილისაა და აგურის ორი რიგისგან შედგება. მოგვიანებით ზედა და ჩრდ. ღიობი სანახევროდ აგურით ამოუშენებიათ.

ეკლესიის აფსიდში და აქა-იქ კედლებზე შემორჩენილია ნალესობის ქრონოლოგიურად განსხვავებული ორი ფენა. მთავარი ეკლესიის დარბაზის აღმ. ნაწილის მიწისა და ნანგრევებისგან გაწმენდის შედეგად გამოჩნდა კირის ხსნარით მოლესილი იატაკი.

სამკვეთლო გეგმით სწორკუთხაა, გადახურულია ნახევარწრიული კამარით. ერთადერთი შესასვლელი მას დას. კედელში, ჩრდ. ეკლესიიდან აქვს. კარი თაღოვანია და მთლიანად რიყის ქვითაა გამოყვანილი. მეორე, მოგვიანებით გაჭრილი კარი, რ-იც მას საკურთხეველთან აკავშირებს, სამკვეთლოს იატაკიდან 0,3 *მ*-ის სიმაღლეზეა. იგი გაცილებით ვიწროა და დაბალი. მისი წირთხლე-



168. ნათლისმცემლის ეკლესია, აქრონომეტრული ჭრილი (რეკონსტრუქცია), ხედი სამხრ.-დასავლეთიდან

საც მხოლოდ სამხრ. წირთხლის მცირე ნაწილილა შემორჩა. სათავსის სამხრ. კედლის აღმ. კიდესთან მოწყობილია ფართო და მაღალი, ნახევარწრიული თაღით გადახურული ნიშა, რომელიც ჩანს, მოგვიანებითაა გაფართოებული. მისი აღმ. კუთხე ძირიდან მთელ სიმაღლეზე, შირიმისაა, ხოლო თაღი და დას. კუთხე – რიყის ქვისა და ნაწილობრივ ნატეხი აგურის.

სამხრ. ეკლ. ერთიანი, ცილინდრული კამარით გადახურული ვიწრო და გრძელი სივრცეა, აღმ-ით იგი დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით. აფსიდში გაჭრილია ნახევარწრიულთაღიანი ვიწრო სარკმელი, რ-იც მთლიანად შირიმით ყოფილა გამოყვანილი. აფსიდი გადახურულია კონქით, კონქის თაღი ნახევარწრიულია, ჩრდ-ით თაღი ეყრდნობა შირიმის მარტივპროფილიან იმპოსტს, რ-ის პროფილს თარო და ოდნავ შეზნექილი მრუდი შეადგენს. თაღის სამხრ. ქუსლი აფსიდის კუთხის ზედა ნაწილთან ერთად ჩამოშლილია.

სამხრ. ეკლესიის სამხრ. კედელში მოწყობილი იყო სამმალიანი თაღოვანი შესასვლელი. თაღები რიყის ქვით ყოფილა ნაწყობი და გადაყვანილი იყო ორ

რვაწახნაგა ბოძზე (აღმ-ით მდებარე ბოძი 0,6 *მ* სიმაღლეზეა შემორჩენილი, ხოლო მეორე 1,2 *მ* სიმაღლეზე). თაღებიდან მხოლოდ აღმ. თაღის აღმ. ქუსლის წყობის სამი ქვა და შირიმის იმპოსტის მცირე ნაწილია შემორჩენილი. მოგვიანებით, ეკლესიის აღმ. ნაწილში აუგიათ რიყის ქვის განივი კედელი – ვიწრო შესასვლელით შუაში (შემორჩენილია 20-25 *სმ* სიმაღლეზე) და ეკლესიის ეს ნაწილი დანარჩენი სივრცისგან გაუმიჯნავთ.

სამხრ. ეკლესიის კამარის შუა ნაწილი ჩამოშლილია. დას-ით კამარა ეყრდნობა მთავარი ეკლესიის დას. კედლის ხაზზე მდებარე საბჯენ თაღს, რ-იც შირიმის კონსოლებზეა გადაყვანილი.

ჩრდ. ეკლ. უაფსიდოა, აღმ-ით დასრულებულია სწორი კედლით, რ-შიც მოწყობილია სამკვეთლოს შესასვლელი. ჩრდ-იდან ეკლესიას ორი თაღოვანი შესასვლელი აქვს. თაღები გამოყვანილია თხელი, მოგრძო რიყის ქვებით და დაყრდნობილია შირიმის პროფილირებულ, მაღალ იმპოსტებზე (აღმ. თაღს მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამოშლილი აქვს). მოგვიანებით ორივე შესასვლელი ამოუშენებიათ (როგორც ჩანს მთელ სიმაღლეზე). სადგომის დას. ბოლოში, მთავარი ეკლესიის დას. კედლის ხაზზე, შირიმის მარტივი პროფილის კაპიტელით დასრულებული ორი მძლავრი პილასტრია (გვიანდელია), რ-ებზეც გადაყვანილია ნახევარწრიული საბჯენი თაღი. თაღის ზემოთ, კამარამდე, კედელია აყვანილი. ეს კონსტრუქცია ჩრდ. ეკლესიის სივრცეს დას. კარიბჭისგან გამოყოფს. უფრო გვიან ჩრდ. ეკლესიის შუაში აუგიათ განივი კედელი (შემორჩენილია ფრაგმენტები), რ-თაც სივრცე ერთმანეთთან კარით დაკავშირებულ ორ ნაწილად გაუყვიათ. ჩრდ. ეკლესიის კამარაც ნახევარწრიულია, საბჯენი თაღების გარეშე.



168. ნათლისმცემლის ეკლესია, ხედი სამხრ-იდან

დას-ით სამივე ეკლესიას აკრავს ორსართულიანი კარიბჭე, რომელსაც ერთადერთი თაღოვანი შესასვლელი აქვს დას-იდან. კარიბჭის I სართული მიწითა და ქვით თითქმის მთლიანადაა ამოვსებული და მისი თავდაპირველი არქიტ. გადაწყვეტა გასუფთავების გარეშე არ ირკვევა. როგორც ეს შემორჩენილი ნაშთებით შეიძლება ვიფიქროთ, სართული გადახურული ყოფილა ერთიანი კამარით, რ-იც სამხრ. და ჩრდ. ეკლესიების კამარებს მართი კუთხით კვეთდა ისე, რომ მათ შეხვედრის ადგილზე დიაგონალური ნაკერი (მცირე ნაწილი შემორჩენილია სამხრ.-დას. კუთხეში) იქმნებოდა. კარიბჭის I სართული, მთავარი ეკლესიის გრძივი კედლების ხაზზე მოწყობილი პილასტრებითა და მათზე დაყრდნობილი საბჯენი თაღებით (გვიანდელია), სამ ნაწილად იყო გაყოფილი. თუ როგორ ადიოდნენ კარიბჭის II სართულზე არ ჩანს, თუმცა შეიძლება დავუშვათ, რომ პატრონიკეზე ასასვლელი ლიობი



168. ნათლისმცემლის ეკლესია, ხედი სამხრ.-დას-იდან

კარიბჭის ჩრდ. ნაწილის კამარაში იქნებოდა მოწყობილი.

კარიბჭის II სართული – პატრონიკე, სამი ნაწილისგან შედგება, რ-ებიც თითო ვიწრო, ნა-

ლისებრთაღოვანი გასასვლელით უკავშირდებოდნენ ერთმანეთს. პატრონიკეს შუა ნაწილი (ფართ. დაახლ. 8 *კვ მ*) გეგმით თითქმის კვადრატულია და გვერდით ნაწილებთან შედარებით ბევრად უფრო მაღალია. მთავარი ეკლესიის სივრცეში იგი გახსნილი იყო სამი ფართო, მაღალი ნალისებრთაღოვანი ღიობით. განათებული იყო დას. კედლის ღერძზე გაჭრილი განიერი, ნალისებრი თაღით გადახურული სარკმლით, რ-იც მთლიანად აგურითაა გამოყვანილი. აგურისაგე ყოფილა კამარა, მისი ღერძი მთავარი ეკლესიის გრძივი ღერძის გაგრძელებაზეა. დას-ით კამარა დასრულებული იყო კონქით (შემორჩენილია მცირე ნაწილი), რის ნახევარწრიული საფუძველი შექმნილია კუთხეებში მოწყობილი ორი ტრომპით. გარედან (დასიდან) კონქი შემოფარგლულია სამწახნაგით, რ-საც დამოუკიდებელი გადახურვა ჰქონია.

პატრონიკეს გვერდის ნაწილებიდან სამხრ-ისას დაახლ. 0,8 *მ* სიმაღლეზე მხოლოდ დას. კედელიღა შემორჩა, ჩრდ. ნაწილს



168. ნათლისმცემლის ეკლესია, ინტერიერი, შუა ეკლესია, ხედი აღმ-კენ

კი, დას. კედელთან ერთად – აღმ. კედლის ნაწილიც (სიმ. დაახლ. 1 *მ*), რ-იც მთავარი ეკლესიის დას. კედლის ხაზზეა და ეყრდნობა ჩრდ. ეკლესიის დას. კიდეში აგებულ საბჯენ თაღს. პატრონიკეს განაპირა ნაწილები გადახურული იყო ცილინდრული კამარით, რთა კვალი პატრონიკეს შუა ნაწილის სამხრ. და ჩრდ. კედლებს შემორჩათ.

ეკლესიის გარეგანი ფორმები მკაფიოდ ასახავს სივრცის შინაგან სტრუქტურას. შენობის აღმ. ფასადი ბაზილიკური ნაგებობების ტიპური აბრისითაა წარმოდგენილი – მაღალ და ორფერდა სახურავით დასრულებული შუა ეკლესიის კედლის სიბრტყეს ორივე მხრიდან ერთვის შედარებით დაბალი და ცალფერდა სახურავებით დასრულებული გვერდის ეკლესიების კედლის სიბრტყეები. ფასადის ღერძზე საკურთხევლის სარკმლის თავზე მცირედ შელრმავებული სწორკუთხა არეა, რ-საც ზემოდან და გვერდებზე ჩარჩოსავით ევლება კედლის სიბრტყიდან ოდნავ შეჯრილი აგურებით გამოყვანილი თავსართი – ჰორიზ. გადანაკეცებით ბოლოებში. სარკმელი გადახურული იყო შირიმის ერთ ქვაში გამოკვეთილი ნახევარწრიული თაღით. სარკმლის ზემოთ, ფრონტონის თითქმის მთელ სიგანეზე, გამოყვანილია ნალისებრი ყრუ თაღი (შემორჩენილია თაღის ორივე ქუსლი – დაახლ. 1 *მ* სიმაღლეზე). ეკლესიის აღმ. კედელი დგას ლოდებით ნაწყობ ერთსაფეხურიან ცოკოლზე.

შენობის სამხ. და ჩრდ. ფასადები ფორმათა აღნაგობით ერთმანეთის ანალოგიურია. ფასადის ქვედა, გვერდითი ნავების საფეხურით წინწამოწეული ნაწილი, დას-ით, კოშკისებრად მაღლდებოდა და ფრონტონით იყო დასრულებული.



168. ნათლისმცემლის ეკლესია, ინტერიერი, შუა ეკლესია, ხედი ჩრდ-დას-კენ

სამხრ. ფასადზე მთავარი ნავის კედელი ლეკალური აგურით გამოყვანილი შეწყობილები

ლილვებით იყო მორთული (შემორჩენილია ლილვების ნაშთები). ლილვები ეყრდნობა აგურის ერთრიგიან შრეს, რ-იც ფასადს მთელ სიგრძეზე გასდევს; ამ შრის ქვემოთ მოჩანს ნალესობით გამოყვანილი დაახლ. 20 *სმ* სიმაღლის ზოლი, რ-ის ძირთან იწყება გვერდის ნაგის სახურავი.

ჩრდ. ფასადიც მნიშვნელოვანი დანაკარგებითაა შემორჩენილი. მთავარი ეკლესიის ჩრდ. კედლიდან აქაც, მხოლოდ მცირე ნაწილიღა მოჩანს. იგი, როგორც



168. ნათლისმცემლის ეკლესია, ინტერიერი, შუა ეკლესია, დას. კედლის ღეტალი

ჩანს, სამხრ. კედლის მსგავსად, ყრუ თაღებით იყო გაფორმებული. ჩრდ. ეკლესიის კედელი მთელ სიმაღ-

ლეზე დგას. კედლის დას. ნაწილში შემორჩენილია ლავგარდნის დაახლ 1,6 *მ* სიგრძის მონაკვეთი, რ-იც შედგება თარაზულად დალაგებული და ერთიმეორის მიმართ



168. ნათლისმცემლის ეკლესია. შუა ეკლესიის სამხრ. ფასადი, თაღების ნაშთი

გამოშვერილი თხელი ქვების (აგურების?) ოთხი რიგისგან. ლავგარდანი დას. კარიბჭის სახლვართან წყდება. ამ ადგილას პატრონიკეს ჩრდ. კედლის ნაწილია შემორჩენილი, რ-იც ლავგარდნის მიმართ დაახლ. 25-30 *სმ*-ითაა შემაღლებული.

დას. ფასადი განიერი და მაღალი ყრუ სიბრტყეა, იგი შუა ნაწილში შემაღლებულია პატრონიკეს ცენტრ. ნაწილის კედლის სიბრტყით, რ-ის ზედა ნახევარი სამწახნაგოვანია. ფასადის ღერძზე ქვედა ნაწილში, დას. კარიბჭის ვიწრო თაღოვანი შესასვლელია, კედლის შემაღლებულ ნაწილში კი – პატრონიკეს სარკმელი. სარკმელი გადახურული ყოფილა შირიმის ქვაში (შემორჩენილია მცირე ნაწილი) გამოკვეთილი თაღით, რ-საც რელიეფური თავსართი (ძლიერ დაზიანებულია) ჰქონდა.

ეკლ. გადახურული ყოფილა ბრტყელი და ღარისებრი კრამიტის კომბინირებული წყობით.

ეკლ. აშკარად ატარებს ფორმათა ძიებისა და მხატვრული გამომსახველობის ზრდის ნიშნებს. კომპოზიციური ჩანაფიქრითა და ხუროთმოძღვრული ფორმების აგების თვალსაზრისით იგი ამ ტიპის ნაგებობების ერთ-ერთი საინტერესო ნიმუშია.

ეკლესიის კედლების წყობაში ორი ძირითადი ნაწილი გამოყოფა, რ-ებიც ერთმანეთისგან განსხვავებულია საშენი მასალითაა ნაწყობი. როგორც ჩანს, ისინი ერთმანეთისგან ქრონოლოგიურადაც განსხვავდებიან. შენობის ქვედა ნაწილის კომპოზიციაში, რ-იც მოიცავს მთავარი ეკლესიის ქვედა ნახევარს – საკურთხევლის აფსიდში არსებულ საფეხურამდე, გვერდით ეკლესიებს და დას. გარშემოსავალს, სახეზეა ისეთი სპეციფიკური ნიშნები, რ-ებიც მას VI-VII სს-ის ძეგლებთან აახლოვებს, ხოლო ზედა ნაწილი, ინტერიერისა და ფასადების გაფორმების ელემენტებით და არქიტ. ფორმებით, მომდევნო პერიოდის, სახელდობრ, IX ს-ის ძეგლებს უკავშირდება.

ამრიგად შესაძლოა გამოითქვას ვარაუდი, რომ ეკლესიის აგებიდან გარკვეული დროის შემდეგ, რალაც მიზეზით (დაზიანების ან მონასტრის ზრდის გამო), მან საფუძვლიანი გადაკეთება განიცადა.



168. სატრაპეზო, გეგმა

ჩრდ-იდან ეკლესიას ეკერის მთლიანად რიყის ქვით ნაგები მცირე ზომის (3,1×2,43 *მ*) ნახევარწრიულაფსიდიანი სამლოცველო, რ-ისგანაც შემორჩენილია აფსიდის ჩრდ. გვერდი – კონქთან ერთად, საკურთხევლის სარკმლის ჩრდ. წირთხლის მცირე ნაწილი და ჩრდ. კედლის აღმ. ნაწილი.

სამლოცველოს შესასვლელი დას-იდან ჰქონია. აფსიდში, სარკმლის ქვემოთ, კედელზე, მიშენებულია სწორკუთხა ტრაპეზი. გარედან კედლები დასრულებული ყოფილა თაროსებრი ლავგარდნით (ჩრდ. კედელზე შემორჩენილია ორი ქვა), სამლოცველო გადახურული ყოფილა კრამიტის ცალფერდა სახურავით.

სატრაპეზო, დგას ეკლესიის დას-ით ოციოდე *მ*-ზე. განკუთვნება IX საუკუნეს. ძლიერ დაზიანებულია. შემორჩენილი კედლების დიდი ნაწილი 5-6 *მ* სიმაღლეზეა დგას, ნაწილი – 1-1,5 *მ* სიმაღლეზე, ნაწილი მთლიანად დანგრეულია; კედლებზე ამოსულია ხეები და ბუჩქები, იატაკი მიწითა და ნანგრევებითაა დაფარული, რის გამოც ნაგებობის თავდაპირველი ფორმებისა და გეგმის. სახეცვლილებების შესახებ დაბეჯითებით რაიმეს თქმა ძნელია.

შენობა ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვით. კედლების ზედაპირი შიგნით და გარეთ გასწორებული ყოფილა ბათქაშით, რ-იც მხოლოდ აქა-იქლაა შემორჩენილი.

ნაგებობა სამხრ-იდან ჩრდ-ის მიმართულებითაა წაგრძელებული (24×11,5 *მ*), შედგება ორი სათავ-

სისგან. ჩრდ-ით მდებარე სათავსი – დარბაზი – უფრო დიდია (ფართ. დაახლ. 120 *კვ მ*), სამხრ-ისა – ორჯერ უფრო პატარა; სათავსები ერთმანეთთან გამიჯნულია სქელი კედლით, რ-შიც მოწყობილია ორი მაღალი და განიერი,



168. სატრაპეზო, ხედი აღმ-იდან

ოდნავ შეისრულთაღოვანი ღიობი. მოგვიანებით აღმ-ით მდებარე ღიობი აგურით ამოუშენებიათ და დაბალი სწორკუთხა გასასვლელი მოუწყვიათ. იმავე ზომისა და მოხაზულობის ორ-ორი ყრუ თაღია დარბაზის დას. და ჩრდ. კედლებშიც. დას. თაღებს შორის მაღალი და განიერი ოდნავ შეისრული თაღია, რ-იც დარბაზის მხრიდან ორსაფეხურიანია. იგი დაყრდნობილია შირიმის ერთ ქვაში გამოკვეთილ მარტივპროფილიან (თარო და დახრილი სიბრტყე) იმპოსტებზე და გაფორმებულია პატარა, ერთმანეთზე ბოლოებით გადაბმული ნახევარწრიული თაღების უწყვეტი მწკრივით (შემორჩენილია ნაწილი). დეკორატიულადაა აქცენტირებული წირთხლების წინა საფეხურიც, რ-იც სამი შეჯგუფებული ლილვისგან შედგება. ამ თაღით დარბაზი დაკავშირებულია პატარა განცალკევებულ სათავსთან, რ-იც შენობის დას. კედლის ხაზიდან მთლიანად გარეთაა გასული და დამოუკიდებელი ორფერდა სახურავი ხურავს.

სათავსი გეგმით თითქმის კვადრატულია (შიდა ზომები: 3×2,5 მ), გადახურულია ოდნავ შეისრული კამარით, რ-ის მთელი ზედაპირი დამუშავებულია წყობაში ოდნავ შეღრმავებული და ერთმანეთზე მიყრდნობილი რომბებით. კამარა დას-ით დაყრდნობილია კედლის მომდებარე საბჯენ თაღზე, თაღი – მომრგვალებულ პილასტრებზე (ამჟამად ორივე მონგრეულია). თაღის ქუსლებთან გამოყოფილია შირიმის მაღალი იმპოსტები, რ-თა პროფილს თარო და ოდნავ შეზნექილი ზედაპირი ქმნის. დას. კედლის ღერძზე, ქვემოთ, განთავსებულია ორი საფეხურით შეღრმავებული და სამფრთიანი თაღით გადახურული ნიშა, ამ ნიშის ზემოთ ყოფილა თაღოვანი სარკმელი, რ-ის მხოლოდ ქვედა ნაწილია შემორჩენილი.

ოთახის სამხრ. და ჩრდ. კედლების ღერძზე ოდნავ შეისრულთაღიანი თითო ნიშაა განთავსებული. კონსტრ. მდგრადობის მიზნით სათავსის კედლები დარბაზის კედლებთან დაკავშირებული ყოფილა წყობაში დატანებული ხის ძელებით, რ-თა ანაბეჭდი შემორჩენილია როგორც დარბაზის დას. კედელში, ისე სათავსის გარეგან კედლებშიც.

დარბაზის აღმ. კედლის ბოლოებთან თითო დაბალი და ოდნავ შეღრმავებული ყრუ თაღია. თაღებს შორის თითქმის მთელი სიმაღლისა და სიღრმის სწორკუთხა არეა, რ-შიც სატრაპეზოს მთავარი შესასვლელია მოწყობილი, თვით თაღებში კი – თითო განიერი და ბრტყლად გადახურული სარკმელი (ორივე ამოშენებულია). თითო მცირე ზომის სწორკუთხა სარკმელია ჩრდ. კედლის თაღებშიც. მათგან დას-ით მდებარე სარკმლისგან მხოლოდ წირთხლებიღა შემორჩა; ამ სარკმლის ქვემოთ, როგორც ჩანს, ადრე დარბაზზე ჩრდ-იდან მიშენებულ ნაგებობაში (მარანი?) გასასვლელი კარი ყოფილა, რ-იც მოგვიანებით გაუუქმებიათ და მის ნაცვლად ბუხარი მოუწყვიათ. ერთი თაღოვანი სარკმელია (ამოშენებულია) დას. კედლის სამხრ. თაღში. ამჟამად ამ კედლის ჩრდ. ნაწილი თაღთან ერთად მთლიანად დანგრეულია.

დარბაზს ბრტყელი გადახურვა ჰქონია. გადახურვა გამართული ყოფილა ხის უზარმაზარ კოჭებზე (გრძივ კედლებზე შემორჩენილია კოჭების საყრდენი ბუდეები).



168. სატრაპეზო, აღმ. ფასადი, შესასვლელი

ჩრდ. კედლზე გარედან შემორჩენილი კვალის მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ დარბაზი თავდაპირველად ერთსართულიანი ყოფილა და ორფერდა სახურავით იყო გადახურული. მოგვიანებით დარბაზის თავზე მოუწყვიათ II სართული, რ-ზეც აღმ. კედელზე გარედან მიშენებული ქვის კიბით (შემორჩენილია ნაწილი) ადიოდნენ.

სამხრ-ით მდებარე სათავსი გეგმით თითქმის კვადრატულია

(შიდა ზომები: 9×6,7 მ). სათავსის აღმ. კედელში მოწყობილია გარეთ ნახევარწრიულად გამოშვერილი მოზრდილი ბუხარი (შემორჩენილია ნაწილი). სამხრ. კედელის აღმ. კიდესთან ვიწრო კარი, რომელიც, როგორც ჩანს, ორფერდა სახურავი ეხურა. თვით შესასვლელი ოდნავ შეისრული თაღითაა გადახურული, რ-ის ზემოთ გამოსახულია წყობაში შერმავებული ტოლმკლავა ჯვარი. საგანგებოდაა გაფორმებული პორტალის ნახევარწრიული თაღი, რიც დამუშავებულია მოზრდილი, ერთმანეთზე ბოლოებით გადაბმული ნალისებრი თაღების რიგით. თაღი დაყრდნობილია შირიმის პროფილირებულ იმპოსტებზე. იმპოსტები კი – სამი შეჯგუფებული ლილვით შექმნილ სვეტზე (შემორჩენილია ნაწილი). პორტალის ორივე მხარეს ოდნავ შეისრული თაღით დასრულებული, განიერი და მაღალი თითო შელრმავებაა (სამხ-ის შელრმავება დაფარულია მოგვიანებით მიშენებული ქვის კიბით), რ-შიც დარბაზის შესაბამისი სარკმლები გამოდის.



168. სატრაპეზო, ინტერიერი, დარბაზი, ხედი სამხრ-კენ

რია (ამოშენებულია), ხოლო დას. ნაწილში – მაღალი სწორკუთხა ნიშა, რ-შიც სწორკუთხა სარკმელია (ამოშენებულია) მოწყობილი. სათავსის დას. კედელი ამჟამად თითქმის მთლიანად დანგრეულია. სათავსის შუაში შემორჩა რიყის და ნატეხი ქვით ნაგები კვადრ. ბოძი (სიმ. 2 მ), რ-საც, როგორც ჩანს, გადახურვის ხის კოჭები ეყრდნობოდა. ოთახის შემორჩენილი კედლებიდან ჩანს, რომ იგი დარბაზზე უფრო დაბალი ყოფილა და ცალფერდა სახურავი ეხურა. მოგვიანებით სათავსის მხრიდან დარბაზის სამხრ. კედელზე მიუშენებიათ კედელი, რ-შიც ამოშენებული და გარედან შელესილი დიობის(?) კვალია.

გარედან სატრაპეზოს კედლები ნაწყობია რიყის ქვითა და პირგასწორებული ნატეხი ქვით, ფასადებიდან მხოლოდ აღმ-ისაა გაფორმებული; ფასადის შუაში მოწყობილია განიერი და მაღალი, კედლის სიბრტყიდან საგრძნობლად გამოშვერილი პორტალი, რ-საც, როგორც ჩანს, ორფერდა სახურავი ეხურა. თვით შესასვლელი ოდნავ შეისრული თაღითაა გადახურული, რ-ის ზემოთ გამოსახულია წყობაში შერმავებული ტოლმკლავა ჯვარი. საგანგებოდაა გაფორმებული პორტალის ნახევარწრიული თაღი, რიც დამუშავებულია მოზრდილი, ნალისებრი თაღების რიგით. თაღი დაყრდნობილია შირიმის პროფილირებულ იმპოსტებზე. იმპოსტები კი – სამი შეჯგუფებული ლილვით შექმნილ სვეტზე (შემორჩენილია ნაწილი). პორტალის ორივე მხარეს ოდნავ შეისრული თაღით დასრულებული, განიერი და მაღალი თითო შელრმავებაა (სამხ-ის შელრმავება დაფარულია მოგვიანებით მიშენებული ქვის კიბით), რ-შიც დარბაზის შესაბამისი სარკმლები გამოდის.

სატრაპეზოს ჩრდ-იდან ეკვროდა მოზრდილი ნაგებობა (17,8×10,2 მ), რ-ის აღმ. კედელი სატრაპეზოს აღმ. კედლის ხაზიდან ოდნავ სიღრმეშია შესული, ხოლო დას. კედელი სატრაპეზოს დას. კედლის ხაზზეა. სადგომს შესასვლელი ჰქონია აღმ-იდან (შემორჩენილია ორივე წირთხლის მცირე ნაწილი, რ-ებიც შირიმითაა გამოყვანილი). ინტერიერი დაფარულია ნანგრევებითა და ხშირი მცენარეულობით, რის გამოც მისი გეგმარების დადგენა ამჟამად არ ხერხდება.

ეკლესიის სრული სიგრძე მთელ სიგრძეზე, სანამ ნაგებობა კედლებით ნაშთები.

ეკლესიის სამხრ-ით ოციოდე მ-ზე შემორჩენილია რიყის ქვით ნაგები კარიბჭის აღმ. და დას. კედლების ნაწილები, ხოლო აღმ-ით, თითქმის იმავე მანძილზე, სანახევროდ მიწაში ჩაფლული კამაროვანი საძვალეა (შიდა ზომები: 3,2×2,8 მ). იგი მთლიანად რიყის ქვითაა ნაგები და კრამიტის ორფერდა სახურავი ხურავდა. მიცვალებულის შესასვენებლად საძვალის დას. კედელში მოწყობილია კვადრ. ხვრელობი, რ-ზეც გარედან ქვის ფილაა მიფარებული, ხვრელობის ქვემოთ მიცვალებულის დასასვენებელი ტახტია. ამჟამად აკლდამაში მოხვედრა კამარის აღმ. კიდეში წარმოქმნილი ვიწრო ხვრელობით შეიძლება.

მონასტრის დას-ით, 60-70 მ-ზე, ღელესთან ახლოს, შემორჩენილია ქვიტკირის კედლის ნაწილი (მიახლოებითი ზომები: სიგრ. – 8 მ, სიმ. – 5 მ, სისქე – 0,9 მ), რიც შესაძლოა მონასტრამდე წყლის მისაყვანად იყო განკუთვნილი.

2007 წ. ეკლესიაზე ჩატარდა არქეოლ.-გაწმენდითი სამუშაოები (ხელმძღვ. გ. რჩეულიშვილი). ამ დროს შესაძლებელი გახდა ინტერიერის სრული სიგრძით ნაგები კარიბჭის აღმ. და დას. კედლების ნაწილები, ხოლო აღმ-ით, თითქმის იმავე მანძილზე, სანახევროდ მიწაში ჩაფლული კამაროვანი საძვალეა (შიდა ზომები: 3,2×2,8 მ). იგი მთლიანად რიყის ქვითაა ნაგები და კრამიტის ორფერდა სახურავი ხურავდა. მიცვალებულის შესასვენებლად საძვალის დას. კედელში მოწყობილია კვადრ. ხვრელობი, რ-ზეც გარედან ქვის ფილაა მიფარებული, ხვრელობის ქვემოთ მიცვალებულის დასასვენებელი ტახტია. ამჟამად აკლდამაში მოხვედრა კამარის აღმ. კიდეში წარმოქმნილი ვიწრო ხვრელობით შეიძლება.



168. სატრაპეზო, ინტერიერი, დარბაზი, სათავსთან დამაკავშირებელი თაღი

მონასტრის დას-ით, 60-70 მ-ზე, ღელესთან ახლოს, შემორჩენილია ქვიტკირის კედლის ნაწილი (მიახლოებითი ზომები: სიგრ. – 8 მ, სიმ. – 5 მ, სისქე – 0,9 მ), რიც შესაძლოა მონასტრამდე წყლის მისაყვანად იყო განკუთვნილი.

2007 წ. ეკლესიაზე ჩატარდა არქეოლ.-გაწმენდითი სამუშაოები (ხელმძღვ. გ. რჩეულიშვილი). ამ დროს შესაძლებელი გახდა ინტერიერის სრული სიგრძით ნაგები კარიბჭის აღმ. და დას. კედლების ნაწილები, ხოლო აღმ-ით, თითქმის იმავე მანძილზე, სანახევროდ მიწაში ჩაფლული კამაროვანი საძვალეა (შიდა ზომები: 3,2×2,8 მ). იგი მთლიანად რიყის ქვითაა ნაგები და კრამიტის ორფერდა სახურავი ხურავდა. მიცვალებულის შესასვენებლად საძვალის დას. კედელში მოწყობილია კვადრ. ხვრელობი, რ-ზეც გარედან ქვის ფილაა მიფარებული, ხვრელობის ქვემოთ მიცვალებულის დასასვენებელი ტახტია. ამჟამად აკლდამაში მოხვედრა კამარის აღმ. კიდეში წარმოქმნილი ვიწრო ხვრელობით შეიძლება.

მონასტრის დას-ით, 60-70 მ-ზე, ღელესთან ახლოს, შემორჩენილია ქვიტკირის კედლის ნაწილი (მიახლოებითი ზომები: სიგრ. – 8 მ, სიმ. – 5 მ, სისქე – 0,9 მ), რიც შესაძლოა მონასტრამდე წყლის მისაყვანად იყო განკუთვნილი.

2007 წ. ეკლესიაზე ჩატარდა არქეოლ.-გაწმენდითი სამუშაოები (ხელმძღვ. გ. რჩეულიშვილი). ამ დროს შესაძლებელი გახდა ინტერიერის სრული სიგრძით

ბიანი სამარხი (1,97×0,8 მ), რიც მდებარეობდა იატაკის დონიდან 0,5 მ სიღრმეზე. სამარხის კედლები შელესილი იყო დულაბით, სახურავი შედგებოდა ქვიშაქვის სამი ფილისგან, რ-თაგან შუა და აღმ-ით მდებარე ფილა ჩამტვრეული იყო. სამარხის ფსკერი თიხის სქელი ფენით იყო მო-



168. საძვალე

სწორებული. სამარხის სამხრ. ნახევარში დასვენებული იყო ქალი (ჩონჩხის სიგრძე – 1,5 მ), ასაკი ანთროპოლოგ ელ. ასლანიშვილის დასკვნით – 45-50 წ.). სამარხში ინვენტარი არ დადასტურებულა, სტრატიგრაფიული მონაცემების საფუძველზე, იგი სავარაუდოდ IX ს-ში უნდა ყოფილიყო მოწყობილი. გაწმენდის შედეგად მოპოვებული არქეოლ. მასალა ძირითადად წარმოდგენილია სუფრის, საოჯახო, სამზარეულო და სამშენებლო კერამიკით. ნანგრევების ფენაში არც ერთი მოჭიქული ნიმუში არ აღმოჩენილა. აღსანიშნავია წერნაქით შეღებილი, წითელკეციანი ჯამების ფრაგმენტები, რ-ებიც გვიან. შუა საუკუნეებით თარიღდება. სამშენ. კერამიკა წარმოდგენილია აგურითა და ორი სახის (დარიანი და გვერდებაკეცილი) კრამიტით. დარიანი კრამიტის (40×20 სმ, 40×15 სმ) ზოგიერთ ნიმუშზე ამოკაწრულია კლაკნილი ხაზები ან გამოყვანილია დიაგონალურად ურთიერთგადამკვეთი რელიეფური ხაზები. ბრტყელი გვერდებაკეცილი კრამიტებიდან (36,5×26 სმ) ზოგიერთზე ჯვრის რელიეფური გამოსახულება ამავე ჯვრის ორკაპა ბოლოებზე, ქვედა მკლავის ძირში გამოსახულია მთავრული ასო "ა", ზოგიერთ ბრტყელ კრამიტზე (40,5×30 სმ, 40,5×24 სმ) კი – ქარაგმიანი ორი მთავრული ასო, "ტბ".

თ. დვალი, გ. რჩეულიშვილი.

ბიბლ.: 335.

სამების ეკლესია, იხ. მუნიციპალიტეტის სოფლების ანბანურ რიგში.

169. სამყინაურის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-დას-ით ორიოდ კმ-ზე, ხშირტყეში. განეკუთვნება VI-VII სს.

ძ. სამკლესიანი ბაზილიკაა, ნაგებია მოზრდილი ზომის რიყის ქვით. კუთხეებსა და კარ-სარკმლებისათვის შედარებით წესიერი ფორმის ქვებია გამოყენებული. კედლები შიგნით და გარედან გასწორებული ყოფილა ბათქაშით, რ-იც ქვებს შორის დარჩენილ არეებს ავსებს და ნაწილობრივ მათ ზედაპირსაც ფარავს.

ეკლესიის გეგმის გარეგან სწორკუთხედში (11,6×10,1 მ) ჩაწერილია ერთმანეთისაგან ყრუ კედლებით გამოჭრილი და თითო



169. გეგმა

კარით დაკავშირებული სამი სადგომი, რ-ებიც დამოუკიდებელ ეკლესიებს წარმოადგენენ. დას-ით, შუა ეკლესიის გაგრძელებაზე, მოწყობილია კარიბჭე, რ-იც მხოლოდ შუა და სამხრ. ეკლესიებს უკავშირდება. მთავარი ეკლ. გვერდით ეკლესიებთან შედარებით, ნელესლებრისამებრ უფრო ფართოა და მაღალი. შესასვლელები მას სამხრ-იდან და დას-იდან აქვს. ორივე კარი შიგნით ნალისებრი თაღითაა გადახურული, ხოლო გარედან მთლიანი ქვის ზედარითა – თარაზულად. მთავარი ეკლესიის აფსიდი ნალისებრი მოხაზულობისაა. მისი ნაწილი შენობის გეგმის კონტურის გარეთაა გასული და სამწახნაგოვან



169. განივი ჭრილი, ხედი აღმ-კენ

შვერილს ქმნის. აფსიდის შუაში გარეთკენ შეკვეთილი განიერი სარკმელია გაჭრილი. მისი ზედა ნაწილი კედელთან ერთად დანგრეულია. სარკმლის ორივე მხარეს ერთმანეთის სიმეტრიულად, თითო კვადრ. და თითო ნალისებრთალოვანი ნიშაა. გრძივი კედლები დანაწევრებულია ორ-ორი განიერი და მაღალი ნალისებრთალოვანი შეღრმავებით, რთა შორის პილასტრია. პილასტრი შირიმის მარტივი პროფილის (თარო და ცერად ჩამოკეთილი სიბრტყე) კაპიტელითაა დასრულებული. იგივე მასალის და პრო-



169. გრძივი ჭრილი, ხედი სამხრ-კენ

ფილისაა თაღების იმპოსტებიც. შუა ეკლესიის კედლებიდან ყველაზე უკეთ დას. კედელია შემორჩენილი, თუმცა მასაც ზედა ნაწილი მონგ-

რეული აქვს. ამ მხრიდან ეკლესიას სარკმელი არ ჰქონია. მთავარი ეკლესიის სამხრ. და ჩრდ. კედლები კი იმდენადაა დანგრეული, რომ



169. სამხრ. ფასადი

მათში სარკმელთა არსებობაზე რაიმეს თქმა შეუძლებელია.

სამხრ. და ჩრდ. ეკლესიები ვიწრო და გრძელი დერეფნებია, აღმ-ით ისინი დასრულებულია სწორი კედლით; ორივეში თითო განიერი და მაღალი ნალისებრთაღიანი ნიშაა, რ-იც წირვის დროს, როგორც ჩანს, საკურთხევლის მოვალეობას ასრულებდა.

სამხრ. ეკლესიის სამხრ. კედელში მრგვალ ბოძზე დაყრდნობილი, ნალისებრთაღოვანი ფართო შესასვლელია. იგი ნავის განათების ერთადერთ წყაროს წარმოადგენს. თაღები დაყრდნობილია მარტივი პროფილის (თარო და ბახრილი სიბრტყე) შირიმის იმპოსტებზე, სამხრ. ეკლესიის კამარა ნახევარწრიულია, მსუბუქი ტეხილით წვეროსთან. იგი ეყრდნობა კონსოლებზე გადაყვანილ ორ საბჯენ თაღს, რთაგანაც ერთი აღმ. კედელთანაა, ხოლო მეორე – მთავარი ეკლესიის დას. კედლის ხაზზე.

ჩრდ. ეკლესიაში შესასვლელი მოწყობილია მთავარი ეკლესიის ჩრდ. კედლის აღმ. თაღში. კარი ორივე მხრიდან სწორკუთხაა. სამხრ. კედელს მთელ სიგრძეზე გასდევს დაბალი საფეხური. ეკლესიის შიდა სიერცე საკმაოდ ძუნწადაა განათებული. აღმ. და დას. კედლებში თითო ბრტყლად გადახურული სარკმელია. აღმ. სარკმელი იმდენად მაღლაა „ატანილი“, რომ თავი კამარის წყვრის დონეზე აქვს. ნავი ცილინდრული ფორმის სხმული კამარითაა გადახურული.

დას. კარიბჭე ჩრდ. ეკლესიისგან ყრუ კედლითაა გამოყნული და მხოლოდ მთავარ და სამხრ. ეკლესიებს უკავშირდება. სამხრ. ეკლესიაში იგი მთლიანადაა გახსნილი. მათ საზღვარზე შირიმის კონსოლებზე დაყრდნობილი საბჯენი თაღია. თაღის ქვემოთ მოგვიანებით კედელი ამოუყვანიათ და კარიბჭე სამხრ. ეკლესიისგან გაუმიჯნავთ. კარიბჭის დას. კედელში, მთავარი ეკლესიის შესასვლელის მოპირდაპირედ, მოწყობილია ფართო შესასვლელი, რასაც გადახურვა ჩამოშლილი აქვს. კამარა აქაც სხმულია, ცილინდრული ფორმის.

გარედან ეკლ. თითქმის მთლიანად ხეებითა და სუროთია და-



169. ინტერიერი, შუა ეკლესია, ხედი დას-კენ

ფარული. შემორჩენილი ფასადები სადაა, მოკლებულია ყოველგვარ მორთულობას.

ეკლესიის ჩრდ-ით, ოცდაათოდე მ-ზე, დგას ეკლესიის თანადროული, რიყის ქვით ნაშენი ნაგებობა, რ-ის დღევანდელი მდგომარეობა, გათხრა-გასუფთავების გარეშე, მისი სტრუქტურისა და დანიშნულების შესახებ უფრო დასკვნების გამოტანის საშუალებას არ იძლევა.

შენობა აღმ.-დას. მიმართულებითაა წაგრძელებული (დაახლ. 6×3 მ); შედგება ორი, თითქმის თანაბარი ფართობის სწორკუთხა სათავისისგან, რ-ებიც ერთმანეთისგან კედლით არიან გამიჯნული. კედელი, მიწიდან დაახლ. 1 მ სიმაღლეზე, განგრეულია, რის გამოც შენობის ნაწილთა კავშირის შესახებ რაიმეს თქმა ძნელია. აღმ. სათავსი გაკილებით მაღალია, შესასვლელი მას სამხრ-იდან ჰქონდა მოწყობილი. აღმ. კედლის შუაში შემორჩენილია სარკმლის ძირი. შიგნით სათავსი გადახუ-



169. ინტერიერი, შუა ეკლესია, ხედი აღმ-კენ

რულია შეკრული კამარით. კამარა დაყრდნობილია საბჯენ თაღებზე, რ-ებიც ოთხივე კედლიდანაა გადმოყვანილი.

აღმ. სათავსის ქვეშ, იგივე ფართობის კამაროვანი სათავსია (საძვალე?), რ-საც დას. სათავსიდან, იატაკის დონეზე, თაღოვანი შესაძრომი აქვს მოწყობილი.

დას. სათავსი დას-ით, როგორც ჩანს, მთელ სიგანეზე ყოფილა გახსნილი. შიგნით სათავსი გადახურული იყო ცილინდრული კამარით (ჩრდ. კედელზე შემორჩენილია კამარის ნაწილი, ხოლო აღმ. სათავსის დას. კედელზე, მისი მოხაზულობა).

ორივე სათავსს დამოუკიდებელი ორფერდა სახურავი ეხურა.

თ. დვალი.

ბიბლ.: 335.

170. საწნახელი და **წყალსაცავი,** არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის დას-ით, ვენახებში. სავარაუდოდ განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

საწნახელი გეგმით წაგრძელებული სწორკუთხედია, ხოლო წყალსაცავი – წრიული, ნაგები არიან რიყის ქვითა და კირის ხსნარით. ამჟამად ორივე მიწითაა ამოვსებული და მხოლოდ გეგმა იკითხება. საწნახელთან ახლოს შემორჩენილია რამდენიმე ქვევრი.

ბ. კუპრეიშვილი.

171. უნაგვერდის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, ექვსიოდე კმ-ზე, ტყეში. სავარაუდოდ განეკუთვნება VI-VII სს.

ეკლ. თითქმის ნანგრევადაა ქცეული. შემორჩენილი კედლების უმეტესი ნაწილი მიწითა და მცენარეულობითაა დაფარული ისე, რომ გათხრა-გასუფთავების გარეშე ეკლესიის გეგმის აღნაგობის დადგენა შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, ის რაც დღეს სახეზეა, ნაგებობის ტიპისა და თავდაპირველი ხუროთმოძღვრული ფორმების წარმოდგენის საშუალებას მაინც იძლევა. ესაა მოზრდილი ზომის (დაახლ. 12,5×10,5 მ) სამეკლესიიანი ბაზილიკა. სამნაწილიანი საკურთხევლით და ცენტრ. სივრცის ირგვლივ სამმხრივი გარშემოსავლელით, რ-ის გვერდითი ნაწილები დამოუკიდებელ ეკლესიებს წარმოადგენდნენ.

შემორჩენილია: მთავარი ეკლესიის აფსიდის ორივე გვერდი (სიმ. დაახლ. – 5-6 მ) კონქის მცირე ნაწილით, საკურთხევლის სამხრ-ით მდებარე სათავსის, სადიაკვნის კედლები (სიმ. – 2-2,5 მ), სამხრ. ეკლესიის აფსიდი და გარშემოსავლელის დას. კედლის სამხრ. ნაწილი (მიახლოებითი ზომები: სიგრ. – 2,5 მ, სიმაღლე – 1,6 მ, სისქე – 0,9 მ).

კედლები ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვითა და კირის



171. კონქისზედა სამალავში ასაძრომი ხვრელი

დუღაბით. წყობა წესიერია. კედლის ზედაპირი გასწორებულია ბათქაშით, რ-იც საპირე ქვების ზედაპირის მნიშვნელოვან ნაწილს ფარავს.

მთავარი ეკლესიის აფსიდი გეგმით ნალისებრია. აფსიდის სამხრ. გვერდი შესაბამისი გრძივი კედლისგან ორი საფეხურითაა გამოყოფილი, რ-ელთაგანაც ერთს მარტივი პროფილის (თარო და დახრილი სიბრტყე) იმპოსტი აგვირგვინებს. აფსიდის შუა ნაწილი (მთელ სიმაღლეზე) ჩანგრეულია. აფსიდის სამხრ. გვერდზე შემორჩენილია სარკმლის წირთხლის მცირე ნაწილი.

სადიაკვნეში შესასვლელი მთავარი ეკლესიიდანაა. სათავსი ნათდებოდა აღმ. კედელში გაჭრილი სარკმლით (შემორჩენილია ჩრდ. წირთხლის ნაწილი). სათავსის ჩრდ. კედელში ორი მაღალი, ნალისებრთაღოვანი ნიშაა. ორივე ნიშა მიწის ზედაპირიდან იწყება და მათი ძირის დონე არ ჩანს. აღმ-ით მდებარე ნიშა დაკავშირებულია კედლის სისქეში მოწყო-



171. ინტერიერი, შუა ეკლესია, ხედი აღმ-კენ

ბილ, ვერტიკალურ სწორკუთხა ხვრელთან, რ-იც კონქის თავზე არსებულ სამალავში ადიოდა. სათავსი გადახურული იყო კამარით, რ-ისგანაც ორივე ქუსლის მცირე ნაწილია შემორჩენილი.

აფსიდის ჩრდ-ით მდებარე სათავსი – სამკვეთლო, მთლიანადაა დანგრეული. სადიაკვნის მსგავსად ამ სათავსშიც, აფსიდის მხარეს მდებარე კედელში, ორი ნალისებრთაღოვანი ნიშაა. ამავე კედელზე შემორჩენილია სათავსის გადამხურავი კამარის ქუსლის მცირე ნაწილიც.

სამხრ. ეკლესიისგან მხოლოდ აფსიდიღა მოჩანს. იგი გეგმით ნახევარწრიულია – უსარკმელო.

ეკლესიის სამხრ.-აღმ-ით ორმოციოდე მ-ზე, წყაროა. შემორჩენილია ქვიტკირით ნაგები კედლის ნაწილი.

თ. დვალი.

ყველაწმინდის მონასტერი, იხ. მუნიციპალიტეტის სოფლების ანბანურ რიგში.

172. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით 1 კმ-ზე, ძველი სასაფლაოს ტერიტორიაზე. განეკუთვნება VI-VII სს. მოუხატავთ XVI ს-ის შუა წწ-ში, განახლებულია 1873 წ.

ძ. სამეკლესიიანი ბაზილიკაა (10×9,4 მ). შენობის კორპუსს შე-



172. გეგმა

ადგენს მცირე ზომის, ორფერდა სახურავით დასრულებული დარბაზული ეკლ. (7×4,4 მ), რ-საც სამი მხრიდან (სამხრ-იდან, დას-იდან და ჩრდ-იდან), თანადროული, გაცილებით დაბალი მინაშენი ეკვ-



172. განივი ჭრილი, ხედი აღმ-კენ

რის. მინაშენის უმეტესი ნაწილი გვიანდელია (როგორც ჩანს, XVI ს-ისა), იგი ეკლესიას წყობით არ უკავშირდება და მისგან, როგორც საშენი მასალის შემადგენლობით, ისე შენების დაბალი ხარისხითაც განსხვავდება. მინაშენის სამხრ. ფრთა და ჩრდ. ფრთის დას. ნაწილი დამოუკიდებელი ეკლესიებია. ჩრდ. ფრთის აღმ. ნაწილში მოგრძო, უაფსიდო სათავსია – სამკვეთლო, რ-იც ეკლესიას სწორკუთხა კარით უკავშირდება.

ეკლ. ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვით. წყობაში ალაგ-ალაგ ჩართულია ლოდებიც. მოგვიანებით აღდგენილ ნაწილებში კვადრ. აგურიცაა გამოყენებული. კედლების ზედაპირი გასწორებულია ბათქაშით, რ-იც ქვებს შორის დარჩენილ არეებს ავსებს და ნაწილობრივ მათ ზედაპირებსაც ფარავს. მინაშენის თავდაპირველი კედლებიც ანალოგიურადაა ნაწყობი. გვიან აღდგენილი ნაწილები კი, წვრილი რიყის ქვითა და კვადრ. აგურით საკმაოდ დაუდევრადაა ნაგები. შენობა გარედან შეთეთრებულია.

ეკლ. შემაღლებული პროპორციებისაა; შესასვლელი დას-იდან აქვს. კარი გარედან სწორკუთხაა, შიგნით – თაღოვანი. მეორე ამგვარივე კარი მას სამხრ-იდან ჰქონია (ამოშენებულია, როგორც ჩანს, მოხატვის დროს).

აღმ-ით, ნახევარწრიულ აფსიდში ქვემოთკენ გაგანიერებული სარკმელია გაჭრილი, რ-იც მკვეთრად მოხაზული ნალისებრი თაღითაა დასრულებული. სარკმლის ორივე მხარეს თითო სწორკუთხა ნიშაა. აფსიდის შუაში დგას ოთხწახნაგა ტრაპეზი, რ-იც ნატეხი ქვითაა ნაწყობი და შელესილია. აფსიდის მხრების კაპიტელებზე, რ-თა პროფილს თარო და დახრილი სიბრტყე შეადგენს, ნახევარწრიული სატრიუმფო თაღია დაყრდნობილი.

საკურთხეველი დარბაზისგან გამიჯნულია შელესილი კანკელით (გვიანდელია), რ-შიც სამი ღიობია მოწყობილი. ალსავლის კარი დანარჩენებთან შედარებით უფრო მაღალია და თაღოვანი; სამხრ-ით მდებარე ღიობიც თაღოვანია. იგი ალსავლის კარის სიმაღლის შუა ნაწილის ფარგლებშია გაჭრილი. ჩრდ-ით მდებარე ღიობი თითქმის ალსავლის კარის სიმაღლისაა და თარაზულადაა გადახურული. ალსავლის კარისა და ჩრდ-ით მდებარე ღიობის წინ ორ-ორი საფეხურია.

დარბაზის გრძივი კედლები გლუვია. სამხრ. კედელში ორი



172. გრძივი ჭრილი, ხედი ჩრდ-კენ

თარაზულთავიანი სარკმელია, რ-ებიც მოგვიანებით ნაწილობრივ (დაახლ. 40 *სმ* სიმაღლეზე) ამოუშენებიათ. კიდევ ერთი, ოღონდ გაცილებით ვიწრო სარკმელი (ამოშენებულია) ყოფილა გაჭრილი დას. კედელში – კამარასთან ახლოს.

სამკვეთლო გეგმით არაწესიერი ფორმის ოთხკუთხედია. განათებულია აღმ. კედელში გაჭრილი შიგნით სწორკუთხა, ხოლო გარედან თაღოვანი სარკმლით.

მინაშენის სამხრ. ფრთა ნახევარწრიული აფსიდით დასრულებული კამაროვანი დერეფანია. აფსიდი ყრუა. მინაშენის სამხრ. კედლის შუაში გაჭრილია შიგნით და გარედან სწორკუთხა სარკმელი (გვიანდელია). მსგავსი სარკმელია მოპირდაპირე მხარეს. იგი მოწყობილია ეკლესიის სამხრ. შესასვლელის ამოქოლვის დროს. შემორჩენილია ამ კარის ნახევარწრიული ტიმპანი.

მინაშენის ჩრდ. ფრთის დას. ნაწილი ყრუა და მინაშენის დას. ფრთასთან თაღითაა დაკავშირებული.

მინაშენის დას. ფრთაც, სამხრ. ფრთის მსგავსად, ერთიანია – დაუნაწევრებელი. დას-ით იგი გახსნილია საკმაოდ განიერი თაღით (სიგ. დაახლ. 4 *მ*).

მინაშენის სამივე ფრთა გადახურულია სხმული, ამორფული ფორმის კამარით. კამარა ეყრდნობა მთავარი ეკლესიის შესაბამის კედელზე მოწყობილ საფეხურს (სიგ. 15 *სმ*), რ-იც კარგად ჩანს ეკლესიის აღმ. ფასადზე და გამოყვანილია კედლის ზედა ნაწილის შეთხელებით.

ეკლ. მოხატული ყოფილა. მოხატულობა XVI ს-ის შუა წლებს განეკუთვნება. იგი ხალიჩასავით ერთიანად ფარავს კედლებს. სცენები და ცალკეულ წმინდანთა გამოსახულებები არსადაა თანაბარი ზომის და ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯნული. რეგისტრთა გამყოფი ზოლები უსწორმასწოროა და ბათქაშზე უხეშადაა დატანილი.

საკურთხევლის კონქში ვედრების თემის ვრცელი რედაქციული სქემაა მოცემული, შუა რეგისტრში – მოციქულთა ზიარების ფართოდ გაშლილი სცენაა, ხოლო ქვედა, მესამე რეგისტრში – ეკლესიის მამების ფრონტალური გამოსახულებები.

საუფლო ციკლი სამხრ. კედლის ზედა რეგისტრიდან იწყება. პირველი *ხარების* სცენაა, მეორე – *შობა* და *ყრმის განბანვა*. ამავე კედლის ქვედა რეგისტრში გამოსახულია *ლაზარეს აღდგინების* კომპოზიცია, ამ რეგისტრის გასწვრივ, დას. კედელზე *იერუსალიმს შესვლა*; ჩრდ. კედელზე მჭიდროდ, უინტერვალოდ არის მოცემული თანდაპირველად *ჯვარცმა* და *გარდამოხსნა*, შემდეგ კი *ამაღლება*. დას. კედლის ზედა მონაკვეთი მთლიანად ეთმობა *ჯოჯოხეთის წარმოტყვენას*.

მოხატულობის ქვეშ რეგისტრში სხვა წმინდანებია გამოსახული.

ეკლესიის მომხატველის შემოქმედებაში დასტურდება ხალხ. ხელოვნებისათვის დამახასიათებელი რიგი თავისებურებანი. უკიდურესად სიბრტყობრივ მოხატულობაში პროპორციები და ფორმა მოუხეშავია, მაგრამ ექსპრესიული. მეტყველია მოხატულობის სრულიად უბრალო, თუმცა შეხამების მხრივ საკმაოდ სასიამოვნო ფერადოვნება.

ეკლესიის აღმ. ფასადს ბაზილიკური მოხაზულობა აქვს – ორქანობიანი სახურავით დასრულებულ მთავარ კორპუსს ორივე მხარეს მინაშენის დაბალი, ცალქანობიანი სახურავების მქონე ნაწილები ეკვრის.

მთავარი კორპუსის ფასადის ღერძზე ვიწრო, ქვემოთკენ გაგანიერებული სარკმელია. იგი დასრულებულია შირიმის ერთ ქვაში ამოკვეთილი ნალისებრი თაღით, რ-იც დიობის დანარჩენი ნაწილისგან თარაზულად გადებული თხელი ქვითაა გამოჯვნული. ფასადის ლავგარდანი გვიანაა აღდგენილი. იგი მინაშენის ლავგარდნის მსგავსად აგურისაა, კუთხეებ-



172. აღმ. ფასადი



172. ინტერიერი, მოხატულობის ფრაგმენტი

ში პორიზ. გადანაკეცით, რაც თავდაპირველი ლავგარდნის ფორმის გამეორება უნდა იყოს.

შენობის გრძივი ფასადები ფორმათა აღნაგობით ერთმანეთის მსგავსია, ორსაფეხურიანი – მინაშენის დაბალი, საფეხურით წინწამოწეული ნაწილი და მის



172. ხედი სამხრ.-დას-იდან

თავზე აღმართული მთავარი ეკლესიის მოკლე და მაღალი კორპუსი.

დას. ფასადიც ორსფეხურიანია. ქვემოთა, ცალფერდა სახურავით გადახურული ნაწილის შუაში მოწყობილი იყო საკმაოდ განიერი, მშვილდისებრი თაღი (ძლიერაა დავიწროებული გვიანდ. წყობით). თაღის თავზე სიმეტრიულად აზიდული ფრონტონით დასრულებული მთავარი ეკლესიის კორპუსია, რ-ის ფასადზე თაღოვანი შეღრმავებაა – შუაში რელიეფური ჯვრის (გვიანდელია) გამოსახულებით. ფასადის ფრონტონზე მოგვიანებით დაშენებულია აგურის სამრეკლო. იგი გეგმით კვადრატულია. მის ოთხივე კუთხეში მდგარ მრგვალ სვეტებზე ნახევარწრიული თაღებია გადაყვანილი. სამრეკლო გადახურულია თუნუქის პირამიდული სახურავით (აღდგენილია რესტავრაციის დროს).

დას. ფრთის ფასადის წყობაში ჩასმულ რიყის ქვაზე ამოკვეთილი წარწერიდან ირკვევა, რომ ეკლ. 1873 წ. სოფლის მოსახლეობას განუახლებია.

ეკლესიის ეზოს გარს ევლებოდა რიყის დიდრონი ქვებით ნაგები გ ა ლ ა ვ ა ნ ი, რ-ის ნაწილიღაა შემორჩენილი (სიმ. 1,8 მ).

1988 წ. სოფლის მოსახლეობამ ეკლ. გადახურა. შეკეთების დროს, მთავარი ეკლესიის დას. ფასადის შეღრმავებული არის ღერძზე არსებულ ვერტიკალურ შვერილს გვერდებიდან მკლავები „შეაბეს“, ჯვრის სახე მისცეს და წითლად შეღებეს. გარდა ამისა, გაიწმინდა და კეთილმოეწყო ეკლესიის ეზო.

2009 წ., ეკლესიის მხატვრობის კონსერვაციისას, აფსიდის ჩრდ. ნაწილში კედლის ზედაპირიდან სანთლისა და ჭვარტლის მოხსნის შემდეგ გამოჩნდა წმ. ნინოს გამოსახულება – შესაბამისი ასომთავრული წარწერით.

თ. დვალი, გ. ძლიერიშვ.

ბიბლ.: 241; 323; 335.

173. ᲬᲛ. ᲜᲘᲜᲝᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის ზედა ნაწილში, კალაურის ხევის მარჯვ. ნაპირზე. განეკუთვნება XVIII ს.

ეკლ. დარბაზულია (15,5×8,6 მ), ნაგებია წვრილი რიყის ქვითა და კვადრ. აგურით. კედლები ძირითადად წესიერ, სწორხაზოვან რიგებად დაწყობილი რიყის ქვითაა ნაგები. წყობაში (ძირითადად ინტერიერში), ერთმანეთისგან თანაბარი შუალედებით ჩართულია აგურის თარაზული შრეები. კამარა, საბჯენი თაღები, შესასვლელთა ღიობები და სარკმელთა თაღები აგურისაა. შენობა შიგნით და გარედან შელესილი და შეთეთრებული ყოფილა.

ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს: სამხრ-იდან და დას-იდან. დას. კარი ნახევარწრიული თაღითაა გადახურული და გარედან ჩასმულია საფეხურით შეღრმავებულ სწორკუთხა არეში, რ-იც დასრულებულია აგურის ხერხულა წყობით გამოყვანილი სამსაფეხურიანი ფრიზით. შიგნით შესასვლელი სწორკუთხაა. როგორც ჩანს, ანალოგიურად იყო გამოყვანილი სამხრ. შესასვლელიც, რ-იც ამჟამად სახეშეცვლილია. სახეშეცვლილია სარკმელთა გარეთა ღიობებიც.

საკურთხევლის ნახევარწრიულ აფსიდში შეისრულთაღოვანი სარკმელი და სამი შეისრულთაღოვანი ნიშაა. მათგან ორი სარკმლის ჩრდ-ითაა, ერთი – სამხრ-ით. სამხრ. ნიშა და ჩრდ. ერთ-ერთი ნიშა (სარკმელთან ახლოს მდებარე) გეგმით ნახევარწრიულია და აგურით ნაწყობი კონქითაა გადახურული.

ეკლესიის გრძივი კედლები ორ-ორი მარტივი პილასტრითაა



172. ხედი სამხრ.-დას-იდან

დანაწევრებული, რ-ებსაც შეისრული საბჯენი თაღები ეყრდნობა. შეისრულია კამარაც. დას-ით იგი დაყრდნობილია კედლის მიმდებარე საბჯენ თაღზე, თაღი – კუთხის პილასტრებზე. თაღების ქუსლებთან ერთ ქვაში გა-

მოკვეთილი თაროსებრი იმპოსტებია გამოყოფილი.

საკურთხევლის სარკმლის გარდა, შიდა სივრცეს კიდევ შვიდი შეისრულთაღოვანი სარკმელი აშუქებს; ერთი დას-ითაა, შესასვლელის ზემოთ, ხოლო სამ-სამი – გრძივ კედლებში.

ფასადებიდან მხოლოდ აღმ-ისა და დას-ისაა მორთული თითო, წყობაში შეღრმავებული ჯვრით, რ-თა შეღრმავებული ნაწილები დვინისფერი სადებავითაა დაფერილი.

ეკლესიის კედლები დასრულებულია აგურით ნაწყობი სამსაფეხურიანი ლავგარდნით, რ-იც ნვეულებრივად დაწყობილი და კუთხით წინწამოწეული აგურის რიგების მონაცვლეობითაა შექმნილი.

ეკლესის დას. კედელზე აგურის პატარა სამრეკლო ყოფილა დადგმული, რ-ის საფუძველიდა იყო შემორჩენილი.

2010 წ. საქართვ. ისტორიულ ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდის დაფინანსებით დასრულდა ეკლესიის აღდგენითი სამუშაოები, რ-ებიც 2005 წ. სოფლის მოსახლეობამ დაიწყო. 2011 წ. ეკლ. ამოქმედდა.

თ. დვალი.

ᲙᲐᲠᲓᲐᲜᲐᲮᲘ

(საკრებულოს ცენტრი)

174. ᲙᲐᲠᲓᲐᲜᲐᲮᲘ, კ ა რ დ ე ნ ა ხ ი, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს გომბორის ქედის ჩრდ.-აღმ. კალთაზე, ბაკურციხე-წნორის საავტ. გზაზე, გურჯაანიდან 14 კმ-ზე.

სოფ. კარდანახი საისტორიო წყაროებში კარდენახადაც მოიხსენიება. სოფელში განვითარებული ყოფილა მეურნეობის მრავალი დარგი, მ. შ. მემინდვრეობა, მესაქონლეობა და განსაკუთრებით მევენახეობა. ხალხში გავრცელებული გადმოცემით სოფლის სახელი კარდანახი – „კარგ ვენახთანაა" დაკავშირებული. ვახუშტი ბატონიშვილის თქმით „კარდენახს აქვს ვენახები აღმ-ით და ღვინო აქაური კეთილ". სოფელი ისტ. ქიზიყს მიეკუთვნება. იქაური ჯარი ბოდბელი ეპისკოპოსის დროშის ქვეშ უნდა დამდგარიყო. კარდანახი თავდაპირველად საქართველოს, ხოლო შემდეგ კახეთის სამეფო კარის კუთვნილება იყო. XVI-XVII სს. მიჯნიდან მასზე ცალკეული ფეოდალები – ვაჩნაძეები (მათი განაყოფები – ბებურიშვილები, ონანაშვილები), ანდრონიკაშვილები (მათი განაყოფები – ამილახვრები და მოურავიშვილები) და აფხაზიშვილები იდებდნენ წილს. იოანე ბაგრატიონი თვლის, რომ აფხაზიშვილები აფხაზეთიდან მოსულან კახეთს. 1636 წ. მეფე თეიმურაზს ისინი თავადობის ხარისხით მიულია და კარდანახში ყმა-მამული უბოძებია. კარდანახში მამულები ჰქონიათ ბარათაშვილებსაც. აღნიშნულ ფეოდალებს ერთმანეთთან ყმა-მამულზე, სავარგულებზე, ხოდაბუნებზე, წისქვილებზე და სასახლეებზე ხშირად ჰქონიათ დავა.

1719 წ. შეთანხმების თანახმად ვახტანგ VI-მ ლეკებთან საბრძოლველად ჯარი მიაშველა კახეთის მეფე დავით II-ს, იმამყული ხანს (1703-22 წწ.). ეს ჯარი, კერძოდ, საბარათიანოს ჯარი ყაფლანიშვილის მეთაურობით, მოსულა კარდანახს და იქ მთელი ოთხი თვე უქმად მდგარა, რადგან დავით იმამყული ხანმა არც ქართლელები და არც კახელები ლეკებთან საბრძოლველად არ გაიყვანა.

თეიმურაზ II-ის 1737 წლის წყალობის წიგნიდან ჩანს, რომ ამ დროისათვის სამეფო კარს კარდანახის ყმა-მამულის ერთ ნაწილზე თავის საკუთრება აღუდგენია.

XVIII ს-ის II ნახ-ში სამეფო ხელისუფლებას სოფელში რამდენიმე ცილინდრული კოშკი აუგია. გარდა ამისა, კარდანახელები მონაწილეობდნენ სიღნაღის ციხეკოშკების მშენებლობაში, რ-საც საჭიროების შემთხვევაში თავსაც აფარებდნენ. სიღნაღის ციხის კოშკებს შორის ერთ-ერთს „კოშკი კარდანახისა" რქმევია.

ივ. ჯავახიშვილი კარდანახს იმ სოფლებს შორის ასახელებს, რ-ებშიც წმ. გიორგის დღეობები გამორჩეულად აღინიშნებოდა.

კარდანახში [illegible] ლი გამოჩენილი ადამიანები, მათ შორის კონსტანტინე (კოტე) აფხაზი, რუსთაველის სახ. პრემიის ლაურეატი იოსებ ნონეშვილი და სხვ. კოტე აფხაზი საზ., პოლიტ. და სამხ. მოღვაწე, ი. ჭავჭავაძის დისშვილი აქტიურად მონაწილეობდა საქართვ. დამოუკიდებლობის აღსადგენად აგვისტოს აჯანყების (1924 წ.) მზადებაში. 1923 წ. იგი დააპატიმრეს და აღმ. წესით დახვრიტეს.

ქ. კახაძე.

ბიბლ.: 61 I; 89; 142; 172; 199 გ; 203; 205.

175. ᲐᲗᲐᲜᲐᲐᲜᲘᲗ ᲪᲘᲮᲔ, კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-დას. განაპირას, შინმოუსვლელთა პარკის ტერიტორიაზე, ათანაანით მიწებად წოდებულ ადგილზე. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

კოშკი ოთხსართულიანია. გეგმით კვადრატს მიახლოებული



175. I სართულის გეგმა

სწორკუთხედია (5,7×5,3 მ). ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვით. კუთხეები შედარებით მოზრდილი ქვებითაა ნაწყობი. ძლიერ დაზიანებულია: გარეთა კუთხეების ქვედა ნაწილი დაახლ. 1,5 მ სიმაღლეზე მონგრეულია, ჩამოშლილია სართულშუა გადახურვები, კედლები პირველ სართულზე ალაგ-ალაგ განგრეულია.

შესასვლელი I სართულზე ჩრდ. მხრიდანაა. კარი გარედან კვადრ. აგურით ნაწყობი თაღითაა გადახურული, შიგნით კი, ხის ბრტყელი გადახურვა ჰქონია (შემორჩენილია კვალი). კარის წირთხლებში საურდულე ხვრელებია. შესასვლელის ჩრდ-ით ერთი ცალმაგი სათოფურია. მსგავსი სათოფურები დანარჩენ კედლებშიცაა: აღმ-ით ორი ცალმაგი სათოფურია, დანარჩენ ორში – თითო-თითო.

II სართულის აღმ., დას. და სამხრ. კედლებში ბრტყლად გადახურული ორ-ორი ნიშაა, რ-ებშიც თითო ცალმაგი სათოფურია მოწყობილი. მსგავსი ერთი ნიშა ჩრდ. კედელშიცაა.

III სართულის თითოეულ კედელში ორ-ორი სწორკუთხა ნიშაა – თითო ცალმაგი სათოფურით. დას. კედელში, ნიშებს შორის, ერთი ვასათოფურო ნიშაა, სამხრ. კედელში კი ბუხარი.



175. ჩრდ. ფასადი

IV სართულის სამხრ. და ჩრდ. კედლებში ოთხ-ოთხი ცალმაგი სათოფურია, დას. კედელში სამი, აღმ. კედელში კი ორი სათოფური.



175. ხედი სამხრ.-დას-იდან

სართულშია გადახურვა ხის ყოფილა (შემორჩენილია კოჭების ბუდეები).

თ. მარკოზაშვილი.

176. ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს კავკაიანთ წყაროდ წოდებულ ადგილში. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (5,8×4,75 *მ*), ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვითა და კირის ხსნარით. ძლიერაა დაზიანებული: კედლები შემორჩენილია 60-70 *სმ*-ის სიმაღლეზე ინტერიერი ამოვსებულია მიწით.

აღმ-ით კუთხეებმომრგვალებული საკურთხეველია, რ-იც დარბაზისაგან მხრებით არ არის გამოყოფილი. შესასვლელი დასიდან ყოფილა.

მ. აბაშიძე.

177. ელიას ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სადირაულებად წოდებულ ადგილზე. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (3,6×3,1 *მ*), ნაგებია რიყის ქვითა და კირის ხსნარით. ძლიერ დაზიანებულია. დას. კედელი და სამხრ.-დას. კუთხე მთლიანად დანგრეულია; აღმ. კედელი შუაში მთელ სიმაღლეზეა განგრეული; შემორჩენილი კედლების სიმაღლე 2 *მ*-დე აღწევს.

ეკლესიას შესასვლელი სამხრიდან ჰქონია (შემორჩენილია კარის აღმ. წირთხლის აღმ-ით კუთხეებში ოდნავ მომრგვალებული საკურთხეველია, რ-იც დარბაზისაგან მხრებით არ არის გამოყოფილი. საკურთხეველში და სამხრ. კედელში თითო ოთხკუთხა ნიშაა.

მ. აბაშიძე.

178. კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-აღმ-ით დაახლ. 1,5 *კმ*-ზე, წარაფებად წოდებულ ტერიტორიაზე. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს. კოშკი გეგმით სწორკუთხაა (6,42×5,5 *მ*). შემორჩენილია აღმ. კედელი (სიმ. – 5,1 *მ*) და მასზე მიმდგარი სამხრ. და ჩრდ. კედლების მცირე ნაწილი; დანარჩენი კედლების კვალიღაა შემორჩენილი. კოშკი ნაგები ყოფილა სხვადასხვა ზომის რიყის ქვითა და კირის დუღაბით. შიგნით კედლები გასწორებულია ბათქაშით, რ-შიც ალაგ-ალაგ აგურის ნატეხებია ჩართული.

აღმ. კედლის შუაში გეგმით სწორკუთხა ბუხარია. გარდა ამისა ამ კედელში ხუთი სათოფური და ერთი მცირე ნიშაცაა, რ-შიც ნადგმული ყოფილა თიხის ჭურჭელი (შემორჩენილია კვალი). სამხრ. კედლის შემორჩენილ ნაწილში ერთი სათოფურია, ჩრდ-ისაში კი – ორი. სამხრ. სათოფურის ზემით სართულშია გადახურვის კოჭის ჩასადგმელი ბუდეა.



178. I კოშკი, ხედი აღმ-იდან

კოშკის ჩრდ-ით ასიოდე მ-ზე, იმავე ხანების მეორე კოშკის ნანგრევია – შემორჩენილია ოთხიოდე კედლის (მაქს. სიმ. – 2 *მ*). კოშკი გეგმით კვადრატულია (6,6×6,6 *მ*),



178. II კოშკი, ხედი სამხრ.-დას.-იდან

ნაგებია რიყის ქვით. შიგნით მთლიანად ამოვსებულია მიწით. აღმ. კედელში სამი სათოფურია, სამხრ. და ჩრდ. კედლებში – ორ-ორი.

თ. მარკოზაშვილი.

179. კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფ-ლის სამხრ.-დას. განაპირას, შინ-მოუსვლელთა პარკის ტერიტო-რიაზე. განეკუთვნება XVIII ს.

კოშკი მრგვალია (გარე დიამ. დაახლ 5,5 მ). შემორჩენილია კედლის ჩრდ. და სამხრ. ნაწილები (სიმ. დაახლ. 2-2,5 მ). ნაგები ყოფილა სხვადასხვა ზომის რი-ყის ქვით. სამხრ-ით მდებარე კედლის ნაწილზე შემორჩენილია ორი სათოფური.

ბ. კუპრეიშვილი.

180. კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფელში. განეკუთვნება XVIII ს.

კოშკი მრგვალია (გარე დიამ. დაახლ – 8,8 მ). ნაგები ყოფილა რიყის ქვითა და კირის ხსნარით. მთლიანადაა დანგრეული. შემორ-ჩენილია საძირკვლის დონეზე.

თ. მარკოზაშვილი.

181. ნაეკლესიარი, არქიტ. ძ. მდგარა ბავშვთა სახლთან. შემო-რჩენილია კედლის მცირე ფრაგ-მენტი. გეგმა არ იკითხება.

ბ. კუპრეიშვილი.

182. ნათლისმცემლის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს მა-კუნტებლისგორად წოდებულ ად-გილზე. განეკუთვნება შუა საუ-კუნეებს.

ეკლესიიდან შემორჩენილია მხოლოდ ჩრდ. კედელი და აფსი-დის ჩრდ. ნაწილი ოთხკუთხა ნი-შით და კონქის მცირე ნაწილით. შემორჩენილ კედელზე შირიმის ქვით გამოყვანილი კედლის თა-ლი გადადის, რ-იც აღმ-ით აფსი-დის მხარს ეყრდნობა, ხოლო შუაში – იმპოსტს, რ-ზეც კამარის საბჯენი თაღის ქუსლია შემო-რჩენილი.

მ. აბაშიძე.

183. იოსებ **ნონეშვილის სახლ-მუზეუმი,** ისტ., არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ. ნაწილში. 1985 წ. ჩაუტარდა რეკონსტრუქცია (არქი-ტორები: ი. მოსულიშვილი, ნ. ჯობაძე). გაიხსნა 1986 წ.

სახლი (30,1×14,7 მ) ქუჩის მხრიდან ერთსართულიანია, ეზოს მხრიდან – ორსართულიანი. ნა-გებია რიყის ქვითა და აგურით.

ეზოში შესასვლელი ქუჩის მხრიდანაა, ეზოს გარს არტყია რკინის მესერი. შენობაში შესას-ვლელი დას-იდანაა. კარი თაღო-ვანია. I სართულზე განთავსე-ბულია მარანი, სამი ოთახი, ფონ-დების საცავი და დარბაზი – პატა-რა სცენით, სადაც პოეზიის საღა-მოები იმართებოდა. მარანში დე-რეფნიდანა შესასვლელი, რ-იც ეზოს მხრიდან II სართულის აივ-ნის ქვეშ მდებარეობს. კარი თაღო-ვანია. მარნის დას. და ჩრდ. კედ-ლებში 7 თახჩაა დატანებული. იატაკი მოგებულია კვადრ. აგუ-რით. სამ კედელს ვიწრო ჩაფეხუ-რი შემოსდევს. [illegible] ორი თაღოვანი [illegible] დერე-ფანში გამოდის. დერეფნის ერთი ბოლო განიერი და მაღალი ნახე-ვარწრიული თაღითაა გახსნილი, მეორე ბოლოში თაღოვანი ბუხა-რია ჩაშენებული. დერეფნის იატა-კი მოგებულია აგურით.

II სართულზე ორ რიგად განლაგებულია სხვადასხვა ზომის ექვსი საგამოფენო დარბაზი, სამი მათგანი ქუჩის მხარესაა, სამი კი – ეზოს მხარეს. დარბაზები ერთ-მანეთს კარით უკავშირდება. დარ-ბაზებში დაცულია პოეტის ბიბ-ლიოთეკა, პირადი ნივთები, ხელ-ნაწერები, სამახსოვრო საჩუქრები, გამოფენილია პოეტის ბავშვობისა და სიყმაწვილის წლების, შემოქმე-დებითი საღამოების, უცხოელ კო-ლეგებთან ურთიერთობის ამსახვე-ლი ფოტოები. დარბაზების გარდა, ამავე სართულზე განთავსებულია ორი აღმ. ოთახი, სველი წერტი-ლები და ტალანი. ტალანი მოქცე-ულია საგამოფენო დარბაზებსა და აღმ. ოთახებს შორის. მის ჩრდ. კედელზე დიდი დაფა კიდია მუ-ზეუმის საპატიო სტუმრების ხელ-მოწერებით. ტალანიდან I სარ-



183. საერთო ხედი

თულზე ჩადის ერთმარშიანი ქვის კიბე.

II სართულს მთავარი ფასადის მხრიდან მთელ სიგრძეზე გასდევს, ხისსვეტებიანი დახურული აივანი, რ-იც I სართულის ხუთმალიან თაღედს ეყრდნობა. სვეტისთავები ორნამენტითაა მორთული.

შენობა გადახურულია თუნუქის სახურავით.

თ. მარკოზაშვილი.

184. ობელისკი, მონუმ. ხელოვნ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-დას-ით, ცენტრიდან 2 კმ-ზე, მაღალ გორაზე. გაიხსნა 1966 წ.

დაბალ, სამსაფეხურიან კვადრატულ (2,5×2,5 მ) ცოკოლზე დგას ბეტონის ოთხწახნაგა კვარცხლბეკი (სიმ. 1,8 მ), რ-ზეც აღმართულია ბეტონის ობელისკი (სიმ. 3,3 მ). კვარცხლბეკის სამ წახნაგში ჩასმულია თეთრი მარმარილოს თითო ფილა. წინა მხარეს ჩასმულ ფილაზე არსებული წარწერის მიხედვით ობელისკი დაიდგა 1966 წ. კარდანახის საბავშვო სახლის აღსაზრდელების მიერ ომში (1941-45 წწ.) დაღუპულ გურჯაანის რ-ნის მასწავლებელთა უკვდავსაყოფად. გვერდის წახნაგებში ჩასმულ ფილებზე კი ამოკვეთილია ილია ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის ლექსების თითო სტროფი.

თ. მარკოზაშვილი.

185. ონანაანთ საყდარი, არქიტ. ძ. დგას ნასოფლარ დიდვარდნულში, ტყეში. განკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (6×4,8 მ), ნაგებია რიყის ქვისა და აგურის რიგების მონაცვლეობით. ძლიერაა დაზიანებული: ჩამონგრეულია კამარა და კონქი. კედლები სხვადასხვა სიმაღლეზეა შემორჩენილი.

ეკლესიაში შესასვლელი დასრულებულა. აღმ-ით, ნახევარწრიულ აფსიდში, თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. აფსიდი დარბაზისაგან გამოყოფილია წყვილი პილასტრით. პილასტრებია გამოყვანილი დას. კედლის კუთხეებშიც.



185. გეგმა

მ. აბაშიძე.

186. საბაწმინდის მონასტერი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-დას-ით, დაახლ. 700 მ-ზე. მონასტერი აერთიანებს ორ ეკლესიას – წმ. საბას სახელობის დიდ გუმბათოვან ეკლესიას, რ-ის სახელსაც მონასტერი ატარებს და მასთან ახლოს მდგარ სამეკლესიიან ბაზილიკას (მოსახლეობა მას წმ. ნიკოლოზისად თვლის), რ-იც, როგორც ჩანს, ადრე ასევე მონასტრის ეკლესიას წარმოადგენდა.

გუმბათოვანი ეკლესიის სამხრ.-დას-ით მოზრდილი სამონასტრო ნაგებობის ნაშთებია, ხოლო სამხრ.-აღმ. კუთხესთან ორიოდე მ-ზე – წმ. ბარბარეს სახელს უკავშირდება პატარა სამლოცველო. ეკლესიის სამხრ.-დას-ით ფერდობში გამოკვეთილი სათავსია. ეკლესიის ირგვლივ სხვადასხვა ადგილზე შეიმჩნევა ნაგებობათა ნაშთები.

საბაწმინდის ეკლესია, განკუთვნება XIII ს-ის I ნახევარს. ეკლ. გეგმით ჩახაზული ჯვრის ტიპისაა (19,1×11,8 მ), რამდენადმე წაგრძელებული აღმ. და დას. მკლავებით. ნაგებია ძირითადად აგურით. გარედან მთლიანად შირიმითაა მოპირკეთებული.

მკლავების გადაკეთებაზე აღმართულია გუმბათი, რ-იც ცერდნობა საკურთხევლის შეერილებსა და დას. ორ თავისუფლად მდგომ სწორკუთხა ბოძს.

გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის საფუძვლის წრიულ მოხაზულობაზე გადასვლა ხდება აფრებით. გუმბათქვეშა თაღები ნახევარწრიულია, მცირე ტეხილით. ისინი დაყრდნობილია შირიმის თაროსებრ იმპოსტებზე – შელრმავებულ ნახევარწრიულ ნიშებზე. ნიშების ქვედა ნაწილი ამოვსებულია ქვით. ნიშების ზედა ნაწილი ღიაა. ეკლესიის ინტერიერი ორსაფეხურიანი ფილაქვის იატაკითაა მოპირკეთებული.



186. საბაწმინდის ეკლესია. გეგმა

ვებული მრუდხაზოვანი პროფილით.

გუმბათის ყელის საფუძველი ხაზგასმულია შვერილი ზოლურით, რ-იც გამოყვანილია ნახევარწრიული ფორმის ლეკალური აგურის ორი რიგით.

საკურთხევლის სივრცე ვრცელია, იგი ნახევარწრიული აფსიდისა და ბემისგან შედგება. აფსიდი ბემას უშუალოდ ერთვის მხრების გარეშე და მისგან მხოლოდ კონქის თაღითაა გამიჯნული.

აფსიდის ორსავე მხარეს თითო განცალკევებული სათავსია – სამკვეთლო და სადიაკვნე. ორივე საკურთხეველთან კარითაა დაკავშირებული. საკურთხევლიდან სამკვეთლოში გამავალი კარი თაღოვანია, სადიაკვნეში გამავალი კარი კი – სწორკუთხა. საკურთხეველში ერთმანეთთან ახლოს გაჭრილია სამი ვიწრო და მაღალი თაღოვანი სარკმელი. მათ ქვემოთ მოწყობილია ხუთი ნახევარწრიულთავიანი, შუაში ნახევარწრიული ნიშა – ეკლესიის მსახურთა დასაჯდომად. შუა ნიშს, რ-იც მონასტრის წინამძღვრისთვისაა განკუთვნილი, დასაჯდომი ადგილი დანარჩენებთან შედარებით შემაღლებული აქვს. საკურთხეველი ეკლესიის დანარჩენი სივრცისგან გამიჯნულია მაღალი, ხუთთაღიანი კანკელით (გვიანდელია).

სამკვეთლო და სადიაკვნე კამარით გადახურული პატარა სათავსებია, აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდით დასრულებული, რ-შიც თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. შესასვლელი ორივეს დას-იდან, შესაბამისი მკლავიდან აქვს. ორივე კარი თაღოვანია. სამკვეთლოსა და სადიაკვნეს თავზე მოწყობილია თითო პატარა სათავსი მრგვალი სარკმლით აღმ-იდან. ჩრდ-ით მდებარე სათავსის სწორკუთხა შესასვლელი სამკვეთლოს შესასვლელის ასწვრივაა. სადიაკვნის თავზე არსებულ სათავსში ასასვლელად სადიაკვნის აფსიდსა და საკურთხეველს შორის, კედლის სისქეში, მოწყობილია ვერტ. მილისებრი ხვრელი, წყობიდან გამოშვერილი რიყის ქვებით, რ-ებიც საფეხურებად გამოიყენებოდა.

ჯვრის დას. მკლავი კუთხის სივრცეებს უკავშირდება თითო განიერი თაღით – მკაფიოდ გამოყვლენილი ტეხილით წვერში.

ეკლესიის შიდა სივრცეს, საკურთხევლის სამი და გუმბათის ყელში გაჭრილი თორმეტი მაღალი სარკმლის გარდა, კიდევ სამი თაღოვანი სარკმელი აშუქებს, რ-ებიც გაჭრილია ჯვრის სამხრ., დას. და ჩრდ. კედლების ღერძზე.

შესასვლელები მოწყობილია დას., სამხრ. და ჩრდ. კედლებში. მათგან დას-ისა შესაბამისი მკლავის ღერძზეა, ხოლო ორი – კუთხის ნაწილებში.

ეკლესიის გარეგანი ფორმები სავსებით შეესაბამება სივრცის შინაგან სტრუქტურას: ორფერდა სახურავით დასრულებული ჯვრის ოთხი მკლავი რ-თა გადაკვეთის



186. საბაწმინდის ეკლესია, განივი ჭრილი, ხედი აღმ-კენ

ადგილზე აღმართულია გუმბათის მაღალი ყელი, და ქვემოთ, კუთხეებში უფრო დაბალი, ცალფერდა სახურავით გადახურული ნაწილები.

ეკლესიის ფასადების პერანგი მთლიანად შირიმის ქვისაა. კვადრები საშუალო ზომისაა, ნაკერები კი, უმეტესად ჰორიზ. ფასა-



186. საბაწმინდის ეკლესია, აღმ. ფასადი

დების ზედა ნაწილები, ისევე როგორც გუმბათის ყელის ზედა ნაწილი და ლავგარდანი,აღდგენილია XX ს-ის 80-იანი წლების დასაწყისში ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების დროს (პროექტის ავტორები: რ. გვერდწითელი, გ. კალმახელიძე). დამუშავების მხრივ ფასადები შედარებით სადაა, დაუნაწევრებელი. ფასადებზე ძირითადად კარ-სარკმელთა ღიობებია მორთული, რ-ებსაც ირგვლივ შეწყვილებული ლილვებით გამოყვანილი საპირე ევლება. საპირეები უფრო მეტად XIII ს-ში გავრცელებული ელემენტებისგანაა შედგენილი (კუთხის კვადრატები, შეწყვილებული შვეული და ჰორიზ. ლილვი თავსა და ბოლოში მოთავსებული სარტყლიანი ბურთულებით). ლილვები უმეტეს შემთხვევაში გლუვია, ტლანქი. კვადრატები სხვადასხვაგვარადაა (ძირითადად ლენტოვანი წნულით) დამუშავებული, ნახატი მშრალია, თვით ჩუქურთმის სახეები კი – ბუნდოვანია.

ეკლესიის ფასადებიდან შედარებით უხვად აღმ-ისაა მორთული. ფასადის ღერძზე საკურთხევლის სამსარკმლიანი ჯგუფია, რ-თა საპირეები ასე თუ ისე ებმის ერთმანეთს. შუა სარკმელი გვერდითებთან შედარებით უფრო მაღალია და ირგვლივ სწორკუთხა საპირე ევლება. გვერდის სარკმლების საპირე თაღოვანია – კვადრატებით თაღების ძირებთან და საფუძველთან. შუა სარკმლის თავზე აღმართულია მაღალი, სადა ლილვით შემოფარგლული, ოდნავ პროფილირებული ჯვარი. საკურთხევლის განაპირა სარკმლების თაღის გვერდებზე ნაკვეთი სახეებით დამუშავებული თითო გირჩია.

ფასადის გვერდის ნაწილების სარკმლები შეწყვილებული ლილვით გამოყვანილ თაღოვან საპირეშია ჩასმული. მათგან სამხრ-ით მდებარე სარკმლის თავზე პატარა რელიეფური ჯვარია, ჩრდ-ით მდებარე სარკმლის თავზე კი – გირჩი. ორივე სარკმლის ასწვრივ, საკურთხევლის სარკმლების თაღების დონეზე, სამკვეთლოსა და სადიაკვნის ზემოთ მდებარე სათავსების თითო მრგვალი სარკმელია, რ-ებსაც ირგვლივ შეწყვილებული ლილვი ევლება.

სამივე დანარჩენ ფასადზე არსებული ღიობები იმავე სისტემითა და ელემენტებითაა გაფორმებული. ჯვრის აღმ. და დას. მკლავების სამხრ. და ჩრდ. კედლები დანაწევრებულია სამკუთხა, თაღოვანი ნიშებით. აღმ. მკლავის კედლებზე ორ-ორი ნიშაა, დას. მკლავის კედლებზე – სამ-სამი.

გუმბათის ყელი უწყვეტი თაღნარითაა შემკული, რ-ებიც დაყრდნობილი სამ-სამი ლილვით შედგე-



186. წმ. ბარბარეს ეკლესია, გრძივი ჭრილი, ხედი სამხრ-კენ. გეგმა

ნილ, ბურთულებით დასრულებულ სვეტებზე. სვეტების ასწვრივ თითო რელიეფური გირჩია.

მოგვიანებით, როგორც ჩანს, სამრეკლოს მშენებლობის დროს,

გუმბათის ყელი, ისევე როგორც ეკლესიის ზოგიერთი ნაწილი, გარემონტდა. რემონტის დროს გუმბათის ყელის ზედა ნაწილი, თაღნარიდან ზემოთ – ლავგარდნიანად, კვადრ. აგურით განუახლებიათ, რ-იც 1976 წ. ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების დროს (პროექტის აქტ. რ. გვერდწითელი) შირიმის ფილებით შეცვალეს და ყელი შირიმისავე პროფილირებული (თარო, შეზნექილი ზედაპირი და ლილვი) ლავგარდნით დაასრულეს (ეკლესიის სამხ. ფასადზე შემორჩენილი იყო თავდაპირველი ლავგარდნის მცირე ნაწილი). ანალოგიური ლავგარდანი მოეწყო ეკლესიის კედლებზეც.



186. საბაწმინდის ეკლესია, ხედი სამხრ.-აღმ-იდან. წინა პლანზე წმ. ბარბარეს ეკლესია



186. საბაწმინდის ეკლესია. აღმ. ფასადი, საკურთხევლის სარკმელი

XVI ს-ში ეკლესიის ჩრდ. ფასადის შუა ნაწილზე მოუდგამთ მთლიანად აგურით ნაგები ორსართულიანი სამრეკლო. სამრეკლოს I სართული კუბური ფორმისაა, II სართული კი – რვაწახნაგა ფანჩატური. იგი ზემოთკენ სწორხაზოვნად ვიწროვდება და გადახურულია აგურისავე პირამიდული სახურავით, რ-ის ძირში კუთხით შვერილი და ჩვეულებრივად დაწყობილი აგურის რიგების მონაცვლეობით გამოყვანილი ოთხსაფეხურიანი ლავგარდანია.

სამრეკლოს I სართული გეგმით კვადრატულია (7,4×7,4 მ), აქვს სამი შესასვლელი. მათგან ერთი ეკლესიის ჩრდ-დას. კუთხის სიგრძიდანაა, ხოლო ორი გარედან (ჩრდ-იდან და დას-იდან). ორივე კარი ისრულთაღოვანია. ჩრდ. შესასვლელი გარედან ჩასმულია კედლის საფეხურით შეღრმავებულ სწორკუთხა არეში. აღმ. კედელში შიგნიდან გარეკენ მკვეთრად შეკიწროებული სარკმელია. სარკმლის სამხრ-ით გვგმით სწორკუთხა ნიშაა. ერთი ნიშა ჩრდ. კედელშიცაა. ფანჩატურზე ასასვლელი კიბე მოწყობილია სართულის ჩრდ. კედლის სისქეში. კიბის უჯრედი განათებულია ერთი კვადრ. სარკმლით ჩრდ-იდან.

სამრეკლოს თითოეულ წახნაგში თითო შეისრულთაღოვანი ღიობია, რ-თა თაღები გარედან ჩასმულია საფეხურით შეღრმავებულ სწორკუთხა არეში. შიგნით ფანჩატური გადახურულია გუმბათოვანი კამარით.

ეკლესიას სამხრ-იდან და დას-იდან გვიანდ. მინაშენები ეკვრის. დას. მინაშენი (გადაკეთებულია) რიყის ქვითა და აგურითაა ნაგები. ამჟამად იგი ეკლესიის კარიბჭის დანიშნულებას ასრულებს. გადახურულია ცალფერდა სახურავით, ქანობით დას-ისკენ. სამხრ. მინაშენიც (8×5,8 მ) ადრე კარიბჭედ გამოიყენებოდა და მთლიანად შირიმის კვადრებითაა ნაგები (კედლები შემორჩენილია 2-2,5 მ სიმაღლეზე). შესასვლელი მას დას-იდან აქვს. კარი თარაზულადაა გადახურული და გარედან, შეწყვილებული ლილვის საპი-



186. საბაწმინდის ეკლესია, სამრეკლო, ხედი აღმ-იდან

რე ქვლება, რ-იც ღიობზე გაცილებით მაღალია და ზედა კუთხეები მომრგვალებული აქვს. გარედან შესასვლელის მარჯვნივ, შეწყვილებული ლილვის ოთხკუთხა

საპირეში ჩასმული მცირე ზომის სარკმელია. შიგნით კარიბჭე უაფსიდოა და აღმ-ით სწორი კედლითაა დასრულებული, რ-ის შუაში გაჭრილია ბრტყლად გადახურული საშუალო ზომის სარკმელი. სარკმლის ქვემოთ კედელზე, ოთხწახნაგა ტრაპეზია მიშენებული. იქვე ერთ დონეზე სამი კვადრ. ნიშაა. ერთი მსგავსი ნიშაა ამავე კედლის ჩრდ. კიდესთან, სარკმლის გადახურვის დონეზე. სამხრ. კედლის აღმ. ნაწილში შემორჩენილია სარკმლის ძირი.

მოგვიანებით კარიბჭისათვის დას-იდან მიუდგამთ, ასევე შირიმით ნაშენი პატარა სწორკუთხა სათავსი, რ-ის მცირე ნაწილიდაა შემორჩენილი.



186. წმ. ბარბარეს ეკლესია, ხედი სამხრ.-დასიდან

ეკლესიის ეკლესიის სამხრით 2 მ-ზე დგას გვიანდ. შუა საუკუნეების პატარა ს ა მ ლ ო ც ვ ე ლ ო, რ-იც წმ. ბარბარეს სახელზეა აგებული.

ეკლ. დარბაზულია. ნაგებია რიყის ქვით, აგურის ნატეხებითა და კირის სქელი ხსნარით – ტლანქად. კედლები დასრულებულია შირიმის ნათალი ქვებით ნაწყობი თაროსებრი ლავგარდნით (გვიანდელია), რ-საც ფრონტონის ძირებთან მოკლე ჰორიზ. შემონაკვეცები აქვს.

ეკლესიაში შესასვლელი დასიდანაა. კარი სწორკუთხაა და გარედან თაღით დასრულებულ შეღრმავებულ არეშია ჩასმული. აღმით ნახევარწრიული აფსიდია, რ-შიც ვიწრო სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი, სარკმლის ორივე მხარეს თითო ოთხკუთხა ნიშაა.



186. კლდეში გამოკვეთილი სათავსი

კონქის შეისრული თაღი აფსიდის მხრებს ეყრდნობა. შეისრულია კამარაც.

ეკლესიის სამხრ.-დას-ით 40-50 მ-ზე მთის შვეულ გვერდში გამოკვეთილი სამეურნეო(?) დანიშნულების ს ა თ ა ვ ს ი ა.

ს ა მ ე კ ლ ე ს ი ი ა ნ ი ბ ა ზ ი ლ ი კ ა. დგას გუმბათოვანი ეკლესიის ჩრდ-ით ორმოციოდე მ-ზე, ღარტაფში. აგებულია VI ს-ის შუახანებში. შენობა ნაგებია კარგად შერჩეული რიყის ქვის თანაბარი რიგებით.

ეკლესიაში შესასვლელი სამხრ-იდანაა, სამმალიანი თაღედის სახით.

შენობის გეგმის გარეგან სწორკუთხედში (11,2×10,5 მ) ჩაწერილია სამი ნავი, რ-ებიც დამოუკიდებელ ეკლესიებს წარმოადგენენ. დას-ით, მთავარი ეკლესიის გაყოლებაზე, კარიბჭეა, რ-იც თითო კარით უკავშირდება მთავარ და სამხრ. ეკლესიებს და ჩრდ. ნავის დას. ბოლოში მოწყობილ პატარა კვადრ. სათავსს. კარიბჭის თავზე მოწყობილია პატრონიკე, რ-საც დამოუკიდებელი კამარა ხურავს და მთავარ ეკლესიაში მთელ სიგანეზეა გახსნილი.

შუა ეკლ. დანარჩენებზე გაცილებით ფართოა და მაღალი. შესასვლელი სამხრ-იდან აქვს, სამმალიანი თაღედის შუა მალის



186. სამეკლესიიანი ბაზილიკა, გეგმა

პირდაპირ. კარი ბრტყლადაა გადახურული – თხელი ქვის ფილით, რ-ის თავზე შიგნით თალოვანი ტიმპანია მოწყობილი. საკურთხეველის აფსიდი ნახევარწრიულია, მასში ერთი, გარეთკენ ოდნავ შეღრეცილი სწორკუთხა სარკმელი და ორი პატარა თალოვანი ნიშაა. აფსიდი გრძივი კედლებიდან ორსაფეხურიანი მხრებითაა გამოყოფილი და ირგვლივ დაბალი საფეხური შემოუყვება. შუა ეკლესიის გრძივ კედლებზე თითო ერუ თალია გამოქვანილი. შუა ეკლესიის ჩრდ. კედლის აღმ. ბოლოში ბრტყლად გადახურული ტიმპანიანი კარია, რ-იც ჩრდ. ეკლესიაში გადის.

ჩრდ. ეკლ. აღმ-ით დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით, რ-შიც სწორკუთხა სარკმელი და ერთი პატარა სწორკუთხა ნიშაა – სარკმლის ჩრდ-ით. კონქის თაღი ნახევარწრიულია, მსგავსი ფორმისაა კამარაც. ჩრდ. ნავის დას. კედელში მოწყობილია მაღალი, თარაზულად გადახურული კარი, რ-ითაც ჩრდ. ეკლ. ჩრდ. ნავის დას. ბოლოში არსებულ კვადრ. სათავსს უკავშირდება. ამ სათავსის ჩრდ. კედელში სწორკუთხა ღიობია, რ-იც ალბათ გარეგანი კარით აკავშირებდა ქვედა სართულს ჩრდ. ნავის თავზე მოწყობილ მეორე სართულთან, ამ უკანასკნელს კი – პატრონიკესთან.

სამხრ. ეკლ. შედარებით კარგადაა შემონახული. მის აღმ. ბოლოში საკურთხევლის აფსიდია. კონქს ორსაფეხურიანი თაღი აქვს, მათ შორის პირველი ნალისებრი ფორმისაა, მეორე – ნახევარწრიული. საკურთხეველში პატარა სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი, სხმული კამარა მთელ სიგრძეზე სრულიად გლუვია.

ჩრდ. ნავის თავზე მეორე სართულის კარი ჩრდ. კედლის დას. ბოლოშია; მის მოპირდაპირედ მაღალი, თარაზულად გადახურული კარია, რ-იც პატრონიკეში იხსნება. II სართული, შემორჩენილი ნაწილების მიხედვით, კამარით ყოფილა გადახურული, რ-იც, ერთი მხრივ, ჩრდ. კედელსა და, მეორე მხრივ, მთავარი ეკლესიის კედლის მიმდებარე თაღებს ეყრდნობოდა (შემორჩენილია თაღების საყრდენი კვადრ. ბოძები). სართული უაფსიდოა და აღმ-ით სწორი კედლითაა დასრულებული. მასში მოწყობილია განიერი და მაღალი, საფეხურით შელრმავებული არე, რ-იც იატაკიდან იწყება და ალბათ საკურთხეველის მოვალეობას ასრულებდა. სადგომს ცალქანობიანი, დამოუკიდებელი სახურავი ჰქონია, რ-იც მთავარი ეკლესიის ლავგარდნის ქვემოთ იწყებოდა.



186. სამეკლესიანი ბაზილიკა, განივი ჭრილი, ხედი დას.-კენ



186. სამეკლესიანი ბაზილიკა, ინტერიერი, შუა ეკლესია, ხედი ჩრდ.-აღმ.-კენ

პატრონიკე ცილინდრული კამარითაა გადახურული, რ-იც შუა ეკლესიის კამარისგან მათ სადგარზე გამოყვანილი საბჯენი თაღითაა გამიჯნული. პატრონიკეს დას. და სამხრ. კედლებში თითო მცირე ზომის სწორკუთხა სარკმელია. დას. კედელში ორი კვადრ. ნიშაა.

ეკლესიის საფასადო სიბრტყეები მოკლებულია მორთულობას. შუა ეკლესიის აღმ. ფასადი მაღალია. სამხრ. და ჩრდ. ნავები შუა ნავზე პირდაბურულად იყო მიშენებული. სამივე ნავის ფასადის ღერძზე თითო სწორკუთხა სარკმელია. მათგან შუა – საკურთხეველის სარკმელი – დანარჩენ ორზე გაცილებით ფართოა და დაახლ. სამჯერ უფრო მაღალი. განაპირა სარკმლები თითქმის თანაბარი ზომისაა, მაგრამ სხვადასხვა სიმაღლეზეა განლაგებული: ჩრდ. სარკმლის თავი საკურთხეველის სარკმლის ძირის დონეზეა, სამხრ.

სარკმელი კი ჩრდ. სარკმელზე უფრო დაბლაა. საკურთხევლის სარკმლის გადახურვის დონეზე ჩრდ. ეკლესიის კედელს მთელ სიგანეზე გასდევს პორიზ. ნაკერი,



186. სამეკლესიიანი ბაზილიკა, ხედი სამხრ.-აღმ.-იდან

რ-ის შემდეგაც II სართულის კედელი იწყება.

ჩრდ. ნავის ფასადის უმეტესი ნაწილი ყრუა. დას. ნაწილში ერთ ვერტიკალზე მოთავსებულია I და II სართულების კარები. I სართულის კარი სწორკუთხაა, მიწის დონიდან დაახლ. 0,7 მ სიმაღლეზეა და ქვის მთლიანი ფილითაა გადახურული. ზემოთა კარს მხოლოდ დას. წირთხლის ნაწილიღა შემორჩა.

შუა ეკლესიის ჩრდ. კედლიდან შემორჩენილია აღმ. და დას. განაპირა ნაწილები. აღმ. ნაწილში ლავგარდანია,რ-იც რიყის ქვის უწყვეტ გამოშვერილ რიგს წარმოადგენს.

ბაზილიკის სამხრ. ფასადი ნაგებობის მთავარ ფასადს წარმოადგენდა, იგი ორსაფეხურიან მოცულობადაა გადაწყვეტილი – სამმალიანი თაღედით გახსნილი სამხრ. ეკლ. და მის ზემოთ აღმართული მთავარი ეკლ., რ-ისგანაც შემორჩენილია მხოლოდ დას. ნაწილი – პატრონიკეს კედელი პატარა სწორკუთხა სარკმლით.

ფასადებიდან ყველაზე კარგად დას-ისა შემორჩა. მთავარი ნავის კედლის ცენტრის ზემოთ პატარა სწორკუთხა სარკმელია, რ-იც ბრტყელი რიყის ქვითაა გადახურული.

1974-76 წწ-ში სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნომ ეკლესიაზე ჩაატარა სარესტ.-საკონსერვაციო სამუშაოები (პროექტის ავტ-ები: რ. გვერდწითელი და გ. კალმახელიძე). ეკლ. გაიწმინდა მიწაყრილისაგან, რ-იც 2 მ-ზე მეტ სიმაღლეზე ფარავდა ფასადებს. აღდგა კედლების მნიშვნელოვანი ნაწილი, ნაწილს კი ჩაუტარდა კონსერვაცია. სამხრ. ეკლ. და პატრონიკე გადაიხურა ღარისებრი კრამიტით. ამჟამად ბაზილიკა მთლიანად ჩანს.

თ. დვალი.

ბიბლ.: 323; 335.

187. ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔ, არქიტ., ისტ. ძ. ღგას სოფლის სამხრ.-დას. ნაწილში, მუხიანის ტყის დასაწყისში. განეკუთვნება XIX ს. სასახლე ორსართულიანია, ააშენა დიმიტრი აფხაზმა, რ-საც ვენახები და ზვრები წარაფებსა და ახოებში 21 ჰა-ზე ჰქონია გაშენებული. დიმიტრი სიღნაღის მაზრის ხაზინადარი იყო. ერთხელ, როცა ხაზინა გადაჰქონდა, ეტლი გადაბრუნდა და ფული მდ. იორმა წაიღო. დანაკარგის ასანაზღაურებლად მან მთელი ქონება-მამულე-ბი გაყიდა. მემკვიდრემ ვენახების გაჩეხვა და თამბაქოს პლანტაციების გაშენება მოინდომა. დიმიტრის ბიძაშვილებმა სცადეს მამულების უკან დაბრუნება, მაგრამ მეპატრონემ მამულები და სასახლე ძალიან იაფად მიჰყიდა გრაფ შერემეტიევს, რ-მაც კარდანახში გამოგზავნა აგრონომი ავერკინი. ავერკინმა სასახლის გარშემო ბაღი გააშენა. XX ს დასაწყისში აფხაზთა საგვარეულომ კვლავ დაიბრუნა სასახლე. სასახლის ბოლო მფლობელები იყვნენ ილია ჭავჭავაძის სიძე ნიკოლოზ აფხაზი და მისი შვილი კოტე. კოტე აფხაზი იყო აღმ. საქართველოს თავადაზნაურობის მარშალი, თბილისის უნ-ტის ერთ-ერთი დამაარსებელი, კახეთში რკინიგზის გაყვანის თაოსანთაგანი, ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე. კარდანახის სასახლეს ხშირად სტუმრობდა დიდი ილია, რ-საც აქვე დაუწერია ლექსი „ქვარლის მთებს" და პოემა „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ". კაკო ყაჩაღის პროტოტიპი კარდანახელი გლეხია, გვარად გაუხარაშვილი.

1923 წ. 20 მაისს კოტე აფხაზი ბოლშევიკებმა დახვრიტეს. აფხაზებს სასახლე ჩამოართვეს. 1948 წ. აქ გაიხსნა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა თავშესაფარი. 1980-იან წწ-ში სასახლეში ობოლ ბავშვთა თავშესაფრის სასადილო განათავსეს. 2005 წ. გურჯაანის მუნიციპალიტეტის სასამართლოს გადაწყვეტილებით სასახლე საკუთრებაში გადაეცა აფხაზთა საგვარეულოს წარმომადგენელს ნიკო აფხაზს.

ს ა ს ა ხ ლ ე (25,74×13,25 მ) მთავარი ფასადის მხრიდან ორსართულიანია, ზურგის მხრიდან – ერთსართულიანი. ნაგებია რიყის ქვისა და კვადრ. აგურის მწკრივების მონაცვლეობითა და კირის დუღაბით. წყობა რეგულარულია,

კონსტრ. ადგილებში მხოლოდ კვადრ. აგურია გამოყენებული. ინტერიერი შელესილ-შეთეთრებულია. ძლიერაა დაზიანებული: ჩამონგრეულია სასახლის სამხრ.



187. საერთო ხედი. XIX ს-ის მიწურულის ფოტო

ფრთის ოთახების ჭერი, II სართულზე აყრილია იატაკი, ჩამოშლილია ეზოს მხარეს მდებარე ოთახების გადახურვა. მთლიანად ჩანგრეულია მინაშენის გადახურვა.

სასახლე რამდენჯერმე გადაკეთებული და თავდაპირველი სახე რამდენადმე შეცვლილი აქვს. I სართული სამეურნეო დანიშნულებისა იყო და ორრიგად განლაგებული ხუთი ოთახისაგან შედგება. ოთახები ერთმანეთს კარით უკავშირდება. მთავარი ფასადის მხარეს სამი, დაახლოებით თანაბარი ფართობის ოთახია, თითოეულ მათგანს ნახევარწრიული კამარა ხურავს, კედლებში კი სხვადასხვა ზომის სწორკუთხა თახჩები არის მოწყობილი. კამარებს შუაში მთელ სიგრძეზე ნაწიბური გასდევს. სამივე ოთახის რვა სწორკუთხა სარკმელი და ოთხი სწორკუთხა კარი ფასადის მხარეს გამოდის. მესამე, სამხრ. განაპირა ოთახს სამხრ-იდან დამოუკიდებელი შესასვლელი აქვს. ამ ოთახის კამარის ნახევარი ჩამოქცეულია.

ეზოს მხარეს ნახევარწრიული კამარით გადახურული ორი ოთახია. ერთ-ერთი ოთახის შუაში აგურით ამოყვანილი მაღალი სვეტია, რ-საც გადახურვა ეყრდნობა.

კამარა სანახევროდ ჩამოქცეულია. ეს ოთახი მეორე და ზურგის მხარის დიდ ოთახებს ფართო თაღოვანი შესასვლელით უკავშირ-



187. საერთო ხედი. XIX ს-ის მიწურულის ფოტო

დება. მეორე ოთახის ნახევარწრიული კამარის ნახევარწრიული თაღი თაროსებრ იმპოსტებს

ეყრდნობა. ოთახი უსარკმლოა. ჩრდ. და დას. კედლებში აგურით ნაშენი თითო ბუხარია. იატაკი მიწატკეპნილია.

გადმოცემით კოტე აფხაზს ეს ოთახი მასთან სტუმრად მყოფი გერმანელი მწერლის არტურ ლაისტის რჩევით გაუკეთებია.

II სართული საცხოვრებელი იყო. სამხრ-იდან მიშენებული აქვს ქვის ერთმარშიანი კიბე. ამ სართულზე შვიდი სხვადასხვა სიდიდის ოთახია. აქედან სამი მთავარი ფასადის მხარესაა, დანარჩენები – ზურგის მხარეს. მთავარი ფასადის მხარეს განლაგებული სამი ოთახის ცხრა თაღოვანი სარკმელი მთავარი ფასადის მხარეს გამოდის. ზურგის მხარეს განლაგებული ოთახები ერთმანეთთან კარითაა დაკავშირებული. მათი თაღოვანი სარკმლები ეზოში გადის. შუა პატარა ოთახში ხის ერთმარშიანი კიბეა, რ-ითაც სხვენში შეიძლება ასვლა. ამ ოთახში დიდი ღუმელი მდგარა.

სასახლის წინა, მთავარი ფასადი დასრულებულია მაღალი პარაპეტით, რ-ის ორივე მხარეს

ერთმანეთთან ბოლოებით გადაბმული ექვს-ექვსი ნახევარწრიული თაღია. მათ შუაში ნახევარ-

წრიული სიბრტყეა. მთავარ ფასადს მთელ სიგრძეზე გასდევს ბრტყელი ლაქვარდანი. სასახლის დანარჩენი ფასადები სადაა და ამჟამად ცემენტის ხსნარითაა შელესილი. შენობა გადახურულია ხის კოჭებზე გამართული თუნუქის პირამიდისებრი სახურავით.

სასახლეს ჩრდ-იდან ეკვრის მისივე თანადროული ერთსართულიანი, კვადრ. აგურით ნაშენი გრძელი მინაშენი (25×12 მ), რ-საც თავდაპირველი სახე შეცვლილი აქვს. დაზიანებულია: მთლიანადაა ჩაქცეული კოჭოვანი გადახურვა, დაფარულია ეკალ-ბარდებით.

მინაშენში რვა ოთახია. ეზოს მხარეს ერთი დიდი და სამი პატარა ოთახია, რ-თა თაღოვანი სარკმლები ეზოსკენ გამოდის. დიდ ოთახში ორი მაღალი და განიერი სწორკუთხა თახჩაა. პატარა ოთახებში მოწყობილია აბაზანა და სასადილო, აგრეთვე სველი წერტილები. ოთხი ოთახი – ორი დიდი და ორი პატარა – მთავარი ფასადისკენაა განლაგებული. ოთახებს თაღოვანი კარ-სარკმლები აქვს, რ-ებიც ჩრდ. კედელშია გაჭრილი.

თ. მარკოზაშვილი.

188. ფერისცვალების ეკლესია, არქიტ. ძ. მდგარა შინმოუსვლელთა პარკის ტერიტორიაზე. განეკუთვნება შუა საუკუნეებს.

ეკლესიისაგან საძირკვლის დონეზე შემორჩენილია ჩრდ.-დას. კუთხე. გეგმა არ იკითხება. დაფარულია მცენარეებით.

ბ. კუპრეიშვილი.

189. ღვთაების ეკლესია, არქიტ. ძ. მდგარა შინმოუსვლელთა პარკის ტერიტორიაზე. განეკუთვნება შუა საუკუნეებს.

შემორჩენილია ნანგრევების სახით. გეგმა არ იკითხება. ეკლ. ნაგები ყოფილა რიყის ქვითა და კირის ხსნარით.

ბ. კუპრეიშვილი.

190. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-დას. განაპირას, შინმოუსვლელთა პარკთან, განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (10,3×6,3 მ). ნაგებია რიყის ქვითა და კირის ხსნარით. გვიანდ. შეკეთების დროს



190. გეგმა. გრძივი ჭრილი, ხედი სამხრ.-კენ

გამოუყენებიათ აგური. ძლიერ დაზიანებულია. კედლები დაახლ. 2-2,2 მ სიმაღლეზეა შემორჩენილი. კარ-სარკმლებს გადახურვები ალარ აქვთ.

ეკლესიაში შესასვლელი სამხრ-იდანაა. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის შუაში სარკმელია გაჭრილი. აფსიდის გვერდებში სხვადასხვა ზომის ორ-ორი ნიშაა. მათგან მოზრდილები თაღოვანია და იატაკის დონიდან იწყება, მომცრო ნიშები კი სწორკუთხაა. სარკმლის ქვემოთ, კედელზე ნახევარწრიული ტრაპეზია მიდგმული. აფსიდი დარბაზისაგან გამოყოფილია მხრებით. გრძივ კედლებზე შემორჩენილია თითო პილასტრის ფრაგმენტი. სამხრ. კედელში ერთი სარკმელია გაჭრილი.

XX ს-ში ადგილ. მოსახლეობას ეკლ. კრამიტით გადაუხურავს.

ბ. კუპრეიშვილი.

191. წმ. ელიას ეკლესია, არქიტ. ძ. მდგარა ჭანჭყაურაანთ მინდორში. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (5,8×4,7 მ), ნაგებია რიყის, ფლეთილი ქვით და კირის ხსნარით. დაზიანებულია: მთლიანადაა დანგრეული ჩრდ. კედელი, აღმ. კედლის შუა ადგილას განგრეულია. სხვაგან ძველ შემორჩენილ კედლებზე ნამოცვენილია. ინტერიერი ამოვსებული.

გეგმით სწორკუთხა ეკლესიის შესასვლელი დას-იდან ყოფილა. აღმ-ით არაწესიერი ნახევარწრის ფორმის აფსიდია, რ-იც დარბაზისაგან მხრებითაა გამოყოფილი.

მ. აბაშიძე.

192. ჯამბალის წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას-ით 7 კმ-ზე, ტყეში, მაღალ მთაზე, ჯამბალად წოდებულ ადგილზე. განეკუთვნება შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (5,1×3,8 მ). ნაგებია რიყის ქვის ლოდებითა და კირის დულაბით. გარე კუთხეები ამოყვანილია დიდი ზომის ფოროვანი შირიმის გათლილი კვადრებით. წყობა ირეგულარულია. ქვებს შორის დარჩენილი არეები წვრილი ქვით არის ამოვსებული. ინტერიერი კირითაა შე-



192. გეგმა

ლესილ-შეთეთრებული. ძლიერ დაზიანებულია: ჩრდ.-აღმ. კუთხის ზედა ნაწილი და გრძივი კედლების პერანგის ზედა ნაწილები ნამოშლილია. სახურავზე ალაგ-ალაგ აკრილია შირიმის საფარი და ზედ მცენარეულობაა ამოსული. აღმ. და დას. კედლებზე შემორჩენილია შირიმის თაროსებრი ლაქვარდანის მხოლოდ რამდენიმე ქვა.

ეკლესიაში შესასვლელი სამხრ-იდანაა. კარი სწორკუთხაა, გარედან შირიმის ქვითაა გადა-

ხურული. მოგვიანებით ღიობში აგურის თაღი ჩაუშენებიათ და კარი რამდენადმე დაუვიწროებიათ.

ეკლ. აღმ-ით დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით, რ-შიც ერთი მაღალი, გარეთკენ დავიწროებული, ბრტყლად გადახურული



192. ხვედი სამხრ.-აღმ-დან

სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ორივე მხარეს თითო სწორკუთხა ნიშაა. ნიშებს ზემოთ თითო პატარა მრგვალი ხვრელია. სარკმლის ქვემოთ, კედელზე, ქვიტკირის ტრაპეზია მიშენებული. აფსიდი გადახურულია წესიერი ფორმის კონქით, რ-ის ნახევარწრიული, ოდნავ შემაღლებული პროპორციების თაღი მარტივი პროფილის თაროსებრ იმპოსტებს ეყრდნობა. აფსიდის მხრებთან და გრძივი კედლების დას. ნაწილში, კამარის ქუსლის დონეზე, თითო პატარა სწორკუთხა ხვრელია ხის ქარგილის ძელების ჩასამაგრებლად. სამხრ. და დას. კედლებში შიგნიდან გარეთ დავიწროებული და ქვის ფილით თარაზულად გადახურული თითო სარკმელია გაჭრილი. დარბაზი გადახურულია ნახევარწრიული კამარით, რ-ის სამხრ. გვერდი ოდნავ გაბრტყელებულია. კამარა ეყრდნობა გრძივ კედლებსა და კონქის თაღს. იატაკი მიწატკეპნილია.

თ. მარკოზაშვილი.

კაჭრეთი

(საკრებულოს ცენტრი)

193. კაჭრეთი, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს გომბორის ქედის სამხრ.-დას. კალთაზე.

სოფლის ტერიტორია და შემოგარენი უძველესი დროიდან წარმოადგენდა ადამიანთა სამოსახლოს. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით მისი სახელწოდება უნდა მომდინარეობდეს კაჭარიდან. საბას განმარტებით „კაჭარად" იწოდება „უწყლოს ალაგს რიყის მსგავსი ქვა".

კაჭრეთი მდებარეობს ქართლ-კახეთის დამაკავშირებელ მნიშვნელოვან გზაზე. აქ გათხრილ ადრე ფეოდ. ხანის სამარხთა ინვენტარი სრულ თანხვედრაშია მცხეთის და სამთავროს VI-VII სს. სამარხთა ინვენტართან, რაც სპეციალისტთა აზრით მცხეთის ქვეყნის უშუალო მეზობლობის და მასთან ადვილად დამაკავშირებელი მარჯვე და მოკლე გზების არსებობის შედეგია. საქართველოს ერთიანობის ხანაში, როგორც მნიშვნელოვან გზაზე მდებარე პუნქტი, კაჭრეთი უშუალოდ სამეფო ხელისუფლების კონტროლს ექვემდებარებოდა, კახეთის სამეფოს წარმოქმნისთანავე კი კახეთის მეფეთა განკარგულებაში იყო. XVII-XVIII სს-ში სოფლის ყმა-მამულზე წილი ანდრონიკაშვილებმა და ერასტიშვილებმა დაიდეს და კაჭრეთი სათავადო სოფელი გახდა. ამ ორ საგვარეულოს შორის ძალზე ხშირი იყო სასამართლო დავა სოფლის ყმა-მამულზე. კახეთის სამხ.-ადმ. დაყოფის მიხედვით კაჭრეთი რუსთველი ეპისკოპოსის მემარცხენე სადროშოში შედიოდა.

სოფლის მოსახლეობა უძველესი დროიდან მისდევდა მეცხოველეობასა და მემინდვრეობას. საბჭოთა წწ-ში აქ ფუნქციონირებდა ღვინის ქარხანა, სამკერვალო ფაბრიკა, პურკომბინატი, რ-თა ბაზაზეც თანამედროვე კაჭრეთში დღესაც მოქმედებს მცირე საწარმოები.

ქ. კახაძე

ბიბლ.: 89; 161; 172ა; 203გ,დ,ზ; 243დ.

194. გეჟიკოს საყდარი, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ. განაპირას, სახაფლაოზე. განეკუთვნება XVIII ს.

ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით ეკლესიას მეტსახელი მასში ადრე მოღვაწე მღვდლის სახელის გამო აქვს შერჩეული.

ეკლ. დარბაზული (6,8×4,2 მ), ნაგებია რიყის მოზრდილი ქვით, კვადრ. აგურით და კირის ხსნარით.

1980-იან წწ-ში, სოფლის მოსახლეობამ ეკლ. აღადგინა. შიგნით გადახურეს ხის ბრტყელი ჭერით, ხოლო გარედან თუნუქით.

ეკლესიაში შესასვლელი დასავლეთიდანაა. კარი ნახევარწრიული თაღითაა გადახურული. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-იც გარედან სამწახნაგოვან აბრისშია მოქცეული, საკურთხეველი როგორც შიგნით, ისე გარედანაც დარბაზისაგან არ არის გამოყოფილი. აფსიდში სამი დაბალი, მშვილდისებრი თაღით გადახურული ნი-



194. გრძივი ჭრილი, ხვედი სამხრ.-კენ. გეგმა

შაა. მათგან ორი სარკმლის ჩრდითაა, ერთი – სამხრითით. აფსიდის შუაში გაჭრილია თალოვანი, თითქმის პარალელურწირთხლებიანი ვიწრო სარკმელი. თითო განიერი თალოვანი სარკმელია სამხრ. და ჩრდ. კედლებშიც – ერთმანეთის მოპირდაპირედ, რებიც საკურთხევლის სარკმელს სიგანეში ორჯერ აღემატება.

დას. ფასადზე, შესასვლელის ზემოთ, აგურის წყობით გამოყვანილია ნახევარწრიული, რელიეფური თაღი, რ-იც ორსაფეხურიან კონსოლებს ეყრდნობა. ამავე კონსოლებს ეყრდნობა აგურისავე წყობით გამოყვანილი რელიეფური ზოლი, რ-იც ფრონტონის წვერში გამოსახული რელიეფური ჯვრის მაღალ, საფეხუროვან კვარცხლბეკს ქმნის. გარედან სარკმლები მორთულია აგურის წყობით გამოყვანილი, კონსოლებზე დაყრდნობილი რელიეფური თაღით.

დას. ფასადზე აგურის სამსაფეხურიანი ლავგარდნის ნაწილია შემორჩენილი. ამავე ფასადის ფრონტონის წვერზე დადგმულია აგურის ოთხწახნაგოვანი სამრეკლო, რ-იც ოთხივე მხარეს თაღებით გახსნილ ფანჩატურს წარმოადგენს.

ბ. კუპრეიშვილი, თ. მარკოზაშვილი.

195. ბორასამარხი, არქეოლ. ძ. მდებარეობს გურჯაანი-თბილისის საავტ. გზის სამხრ-ით 200 მ-ზე, ხევში, განეკუთვნება ძვ. წ. III ათასწლ. I ნახევარს.

სამარხი დაფარული იყო ხევის მიერ ჩამოტანილი ღორღნარევი თიხნარით. აღმოჩნდა სარწყავი არხის გაყვანის დროს. ბორასამარხი 1979 წ. შეისწავლა ბაე ინ-ტის კაე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური).

ბორასამარხის ერილი (დიამ. – 20 მ, სიმ. – 1,50 მ) შედგებოდა საშუალო ზომის ქვებისაგან. ერილის ქვეშ, ცენტრალურ ნაწილში, აღმოჩნდა წრიული ორმო (დიამ. – 3 მ, სიღრმე – 0,2-0,3 მ), რ-ის იატაკს წრიულადვე შემოსდევდა ქვითა და მიწით ამოყვანილი არხი (სიგ. – 0,2 მ, სიღრმე – 0,35 მ). სამარხი ორმოს აღმ-ით 15-20 სმ-ით შემაღლებულ ადგილზე (სიმ. 20 სმ, ფართ. დაახლ. 1 კვ მ) აღმოჩნდა წვრილფეხა საქონლის 5 თავის ქალა. 12 ადამიანის ძვლები მიმოფანტული იყო სამარხის მთელ იატაკზე. ცენტრალურ ნაწილში დაკრძალული იყო ერთი მიცვალებული, რ-იც კიდურებმოხრილი იწვა მარცხ. გვერდზე, თავით ჩრდ-ისკენ.

სამარხში აღმოჩნდა ოცამდე ხელით ნაძერწი, კარგად გამომწვარი თიხის ჭურჭელი. უმეტესობა ცილინდრულყელიანი თუნგულებია. არის ერთი კონუსურკოპიანი ჯამი და ერთი ჰორიზონტალურშვერილიანი ბადია. ჭურჭლის კეცში შერეულია სილა, სუსტადაა ნაპრიალები, ფერი მოყვითალო, მონაცრისფრო ან მოწაბლისფროა, ზოგან მუქი ლაქებით (მურის კვალი).

მასალა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ-ეთნ. საცავში.

ვ. ვარაზაშვილი.

ბიბლ.: 40.

196. ბორასამარხი, არქეოლ. ძ. მდებარეობს რკინიგზის სადგურის ჩრდ-ით, განეკუთვნება ძვ. წ. II ათასწლ. I ნახ-ის დასასრულს. ბორასამარხი 1978 წ. შეისწავლა ბაე ინ-ტის კაე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური, რაზმის ხელმძღვ. ვ. ვარაზაშვილი). სამარხი დაზიანებული იყო. ბორასამარხის მსხვილი რიყის ქვის ერილის (დიამ. – 10 მ, სიმ. – 0,8 მ) ცენტრ. ნაწილის ქვეშ აღმოჩნდა ოვალური მოყვანილობის, დას-იდან აღმ-ისკენ დამხრობილი სამარხი ორმო (სიგრ. – 2,10 მ, სიგ. – 1,70 მ, სიღრმე – 1 მ). კიდურებმოხრილი მიცვალებული ესვენა ორმოს ცენტრალურ ნაწილში მარჯვ. გვერდზე, თავით დას-ისკენ. სამარხი ორმოს აღმ. ნაწილში გამოვლინდა ცხვრის მთლიანი ჩონჩხი ოდნავ მოხრილი კიდურებით, მარჯვ. გვერდზე, თავით – სამხრ-ისაკენ. ორმოს სამხრ.-დას. ნაწილში და სამხრ. კედლებთან აღმოჩნდა წვრილფეხა საქონლის კიდურები და ხელით ნაძერწი 7 ჭურჭელი. მერქნის ნაშთები ორმოს ჩრდ. ნაწილებში მუხლებთან იდგა. თავის ქალის უკან აღმოჩნდა ბრინჯაოს ყუნწგახვრეტილი, პირზე ქედიანი სატევარი.

სამარხში გამოვლენილ კერამიკაში იყო მორუხო-მოყავისფრო, ოდნავ პირგადაშლილი, დაბალყელიანი, კვერცხისებრტანიანი ქილა და ქილის პირისა და მხრის ფრაგმენტი. ერთ-ერთი ქილა დამზადებულია უხეში ქვიშანარევი, მეორე – სილანარევი მკვრივი თიხით. სამარხში იყო აგრეთვე შავპრიალა, ფოსოთი შემკული ცალყურა და მოყავისფრო-მოვარდისფრო, ოდნავ პირმოყრილი სასმისები, ასიმეტრიული ორი ქოთანი და ორი კოჭობი. მათ მოწითალო, ფხვიერი კეცი, ოდნავ გადაშლილი პირი, დაბალი ყელი და თითქმის სწორი გვერდები აქვს. ქოთნებს და კოჭობებს ყელის ძირში ოდნავ რელიეფური, წვეტილი წიბო შემოუყვება. ერთ კოჭობს ასეთი წიბო მუცლის ზედა ნაწილზეც აქვს შემოვლებული.

ორმოსამარხის ერილის ცენტრ. ნაწილის ქვეშ, ორმოს ფსკერიდან 0,8 მ-ის სიმაღლეზე, ჩანაყარ ქვაზე დასვენებული მიცვალებულის ძლიერ დაშლილი ძვლები აღმოჩნდა. ინვენტარი არ ახლდა. მიცვალებული ესვენა მარჯვ. გვერდზე, კიდურებმოხრილი, თავით ჩრდ-ისკენ.



196. სატევარი. ბრინჯაო. ძვ. წ. XVIII-XVII სს.

მასალა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ-ეთნ. საცავში.

რ. რუსიშვილი.

ბიბლ.: 301.

197. ᲡᲐᲓᲣᲚᲐᲡ ᲕᲔᲚᲘᲡ ᲒᲝᲠᲐᲡᲐᲛᲐᲠᲮᲔᲑᲘ, არქეოლ. ძ. მდებარეობს მდ. ივრის მარცხ. ნაპირზე, სადულას ველზე. თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისით.



197. სპილენძის ოთხყურა ქვაბი.

ქაე-მ (ხელმძღ-ები: კ. ფიცხელაური, შ. დედაბრიშვილი) სადულას ველზე გამოავლინა ორ



197. დოლურები. ოქრო. ძვ. წ. XVIII-XVII სს.

ათეულზე მეტი გორასამარხი, რომელთაგან სამი შეისწავლა 1971, 1974, 1978 წწ-ში.

გორასამარხები ქვაყრილიანი და ქვამიწაყრილიანია. ყრილის ქვეშ, ცენტრალურ ნაწილში, მოთავსებული იყო აღმ-იდან დასავლეთისკენ დამხრობილი სამარხი ორმო.

ერთ-ერთი (№2) გორასამარხი (დიამ. – 50 მ, ყრილის სიმ. – 1,5 მ) მიჩნეულია დაწინაურებული პირის სამარხად. ეს არის შუა ბრინჯაოს ხანის პირველი მდიდრული სამარხი აღმ. საქართველოში, რომელმაც ჩვენამდე გაუძარცვავად მოაღწია. სამარხი ორმო (სიგრ. – 6 მ, სიგ. – 4-4,3 მ) გადახურული ყოფილა ხის ძელებით (გამოვლინდა ძელების მცირე ნაწილი). ორმოს ცენტრალურ ნაწილში, ხის სარეცელზე (შემორჩენილი იყო მცირე ნაშთი) აღმოჩნდა ადამიანის თავის ქალა და მარჯვ. ხელის ძვლები. სამარხში იყო: თიხის ჭურჭელი, სპილენძის ოთხყურა, ვერტიკალური და პეპლის ფორმის, ჩამოსაკიდად განკუთვნილი ყურების მქონე ქვაბები. ამ უკანასკნელს დღემდე აღმოჩენილ ქვაბებს შორის ანალოგი არ მოეპოვება. ბრინჯაოს ყუნწიანი მახვილი (უძველესია ცენტრალურ ამიერკავკასიაში მოპოვებული ამ ტიპის ცნობილ იარაღთა შორის), ყელსაბამის ნაწილები – ოქროს მძივები, მილაკები და სარდიონის მძივები, 4 შტანდარტის შემადგენელი ნაწილები; [illegible] შემკული ტყავის დოლმები, სარდიონის მძივები, ერთი ვერცხლის და სამი ოქროს დოლური, ოქროს მილაკები, ზანზალაკები და სალტეები, ბატკნის მთელი ჩონჩხი და მსხვილფეხა საქონლის ძვლები დიდი რაოდენობით.

თიხის ჭურჭელი – დერგი, კოჭობი, სამტუჩა სასმისი, კათხა, ქილა და სხვ. დამზადებულია ქვიშის და ზოგჯერ წვრილი თეთრმინარევიანი თიხით. ზედაპირი გაპრიალებული ან კარგად მოგლუვებულია. გამომწვარია მონაცრისფროდ, შავად, მორუხო-მოყავისფროდ. შემკულია ამოკაწრულ-ამოღარული ირიბი ჭდეებით, ირიბი ხაზებით შევსებული წვერით ზევით ან ქვევით მიმართული სამკუთხედებით, ამოტვიფრული სადა ან გულფოსოიანი წრეებით. ორი შავპრიალა დერგის ყელის, მხარის და მუცლის დიდ ნაწილზე გამოწვის რეჟიმის სხვადასხვაობით დატანილია მრგვალი წითელი ლაქა, რ-ის შუაში შავი წრეა ჩასმული.

მეორე გორასამარხი (დიამ. – 15 მ, სიმ. – 0,8 მ) განეკუთვნება ძვ. წ. 2000-1800 წწ. ყვითელ თიხნარში ჩაჭრილ სამარხ ორმოში (სიგრ. – 3 მ, სიგ. – 2,8 მ, სიღრმე – 1,5 მ) აღმოჩნდა ადამიანის თავის ქა-



197. ოქროს ყელსაბამის ნაწილები. ძვ. წ. XVIII-XVII სს.

ლის ნაწილები, ბრინჯაოს ყუნწგახვრეტილი სატევარი, სარდიონის მძივები და მძივის ოქროს გარსაკრავი, წაბლისფერი, შავლაქებიანი ჩაშლილი თიხის ჭურჭელი, რ-ის ქვეშ და გარშემო მსხვილფეხა საქონლის ორი ნონჩხი იყო – თავის ქალის გარეშე. სამარხის აღმ. ნაწილში ორი ასიმეტრიული ორყურა დერგია ფიქსირებული, რ-თაგან ერთს მხარზე ამოღარული შევრონები შემოუყვება. დას. ნაწილში ვარდისფრად გამომწვარი ქილა აღმოჩნდა. ჩრდ.-აღმ. და სამხრ.-აღმ. კუთხეებში გამოვლინდა წვრილფეხა საქონლის ძვლები და ოფსიდიანის მასიური ანატკეცი.



197. შტანდარტის ფრაგმენტი. ოქრო. ძვ. წ. XVIII-XVII სს.

სამარხეული კერამიკა ხელითაა ნაძერწი. დამზადებულია ქვიშის, ოფსიდიანის და თეთრმინარევიანი მკვრივი თიხით.

მესამე გორასამარხში, რ-იც ძვ. წ. II ათასწლ. I ნახ. განეკუთვნება, მიცვალებული დაკრძალული იყო გვერდზე, მოხრილი კიდურებით. სამარხში აღმოჩნდა ბრტყელყუნწიანი უქდო სატევარი, რ-საც ყუნწზე ნახვრეტი აქვს, ოქროს თხელი ფირფიტისაგან დამზადებული ორი ნახევარსფეროსაგან შედგენილი მოზრდილი მძივი, რ-იც შიგნიდან ამოყვანილი წერტილების მწკრივით არის შემკული და ხელით ნაძერწი თიხის ექვსი ჭურჭელი: ორი დერგი, სამი ქილა და ერთი კოჭობი. ზოგიერთი შემკულია ზემოდან დაძერწილი კოპებით, ამოღარული ორფა ტეხილი ხაზითა და ამოტვიფრული გულფოსოიანი წრეებით. ერთ-ერთ ქილას მხრის გარშემო 18 მინიატურული ყური შემოუყვება.

გორასამარხებში აღმოჩენილი მასალა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმსა და საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

რ. რუხაძე.

ბიბლ.: 60; 195; 196; 309.

198. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით 50 მ-ზე, ე. წ. საქოლავის მინდორზე. განეკუთვნება VI-VIII სს.

სამაროვანზე აღმოჩნდა დიდი მასიური ფილაქვებით გადახურული ორმოსამარხები.

ერთ-ერთი სამარხი 1951 წ. შემთხვევით აღმოჩნდა მიწის სამუშაოების დროს, მიწის ზედაპირიდან 1,2 მ სიღრმეზე.

ქვის ფილით გადახურულ კოლექტიურ ორმოსამარხში (სამარხი ორმოს სიგრ. 2 მ) დაუშლელად ესვენა მხოლოდ ერთი ჩონჩხი, დანარჩენთა ძვლები უწესრიგოდ იყო მიმოფანტული. მიცვალებული ესვენა პირით სამხრისაკენ, გულაღმა, გაჭიმული ფეხებით, ხელები სხეულის გასწვრივ ჰქონდა ჩამოშვებული.

სამარხში აღმოჩნდა: რკინის მშვილდსაკინძი მაღალი და ბრტყელი მშვილდით და ბრინჯაოს მასიური ბეჭედი – მრვალგანივკვეთიან ღეროზე დარჩილული თვალბუდით, რ-შიც ლურჯი მინისაგან ჩამოსხმული გემმაა (ინტალიო) ჩასმული – ირმის სქემატური გამოსახულებით.

მასალა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

ნ. მამაიაშვილი.

ბიბლ.: 177.

199. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-აღმ-ით 1 კმ-ზე. განეკუთვნება XX ს-ის დასაწყისს.

ეკლ. დარბაზულია (11,5×7,8 მ). ნაგებია საშუალო ზომის რიყის ქვითა და აგურით. კედლები მორითადად რიყის ქვისაა. აგურითაა გამოყვანილი კარ-სარკმელთა ღიობები, გარეთა კუთხეები და ლავგარდანი. ინტერიერი შელესილი და შე[illegible] შიგ-დან კედლების ზედაპირი გასწორებულია ბათქაშით. დაზიანებულია: სახურავზე ალაგ-ალაგ აყრილია საფარი, მონგრეულია სამხრ.-დას. და ჩრდ.-დას. კუთხეების ზედა ნახევარი და ლავგარდნის ნაწილი, ფასადებზე აქა-იქ ამოცვენილია საპირე ქვები.



199. გეგმა

შესასვლელი ორია: დას-იდან და სამხრ-იდან. ორივე კარი აგურით ნაწყობ მშვილდისებრი თაღითაა გადახურული. ეკლ. უაფსიდოა. აღმ-ით დასრულებულია სწორი კედლით, რ-ის შუაში მაღალი და ფართო, ორივე მხრიდან მშვილდისებრთაღოვანი სარკმელია გაჭრილი. მსგავსი სამი სარკმელია გაჭრილი ჩრდ-ით, ხოლო ორი სამხრ-ით. სამხრ. კედლის აღმ. ნაწილში ორი განიერი, მშვილდისებრი თაღით დასრულებული და ორი პატარა სწორკუთხა ნიშაა მოწყობილი. ორი სწორკუთხა ნიშაა ჩრდ. კედელშიც.



199. ინტერიერი, ხედი აღმ-კენ

დარბაზი გადახურულია ხის კამა-

რით. იატაკი კვადრ. აგურითაა მოგებული.

გარედან შენობის ოთხივე კუთხეს აგურით ნაწყობი, დეკორატიულად გაფორმებული პილასტრი ასდევს, რ-იც საფეხუროვანი კაპიტელითაა დასრულებული. განივი ფასადები ერთიანია, ხოლო გრძივები, საფეხურით შეღრმავებული ორ-ორი სწორკუთხა არითაა დანაწევრებული. აღმ. ფასადზე საკურთხევლის სარკმელს აგურით ნაწყობი სადა საპირე ევლება, რ-ის თავი დასრულებულია შვერილი სათაურით, მოკლე ჰორიზ. გადანაკეცებით ქუსლებთან. სარკმლის ზემოთ, ფრონტონის არეში, აგურით ნაწყობი ჯვრის რელიეფური გამოსახულებაა (ქვედა მკლავი ჩამონგრეულია). დას. ფასადზე შე-



199. ხედი ჩრდ.-აღმ.-იდან

სასვლელი რელიეფურ, სადა საპირეშია ჩასმული. ფასადზე, ფრონტონის წვერში გამოსახულია პოსტამენტზე დაყრდნობილი რელიეფური ჯვარი. კედლები დასრულებულია აგურის სამსაფეხურიანი ლავგარდნით.

ეკლ. გადახურულია თუნუქით.

თ. დვალი.

200. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფელში განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს. შეკეთებულია 1990-იან წწ-ში.

ეკლ. დარბაზულია (6,5×4,1 მ), ნაგებია უხეშად დამუშავებული ქვითა და კირის ხსნარით. წყობა სწორხაზოვანია. ეკლესიაში შესასვლელი დას-იდანაა, კარი თაღოვანია, აღმ-ით ეკლ. ღრმა ნახევარწრიული აფსიდითაა დასრულებული. აფსიდში ვიწრო, ოთხკუთხა სარკმელია გაჭრილი, რ-ის



200. გრძივი ჭრილი, ხედი სამხრ-კენ. გეგმა

ორივე მხარეს ორ-ორი სხვადასხვა ზომის ნიშაა. სარკმლის გვერდით მდებარე ნიშები გეგმით ოვალურია, გაცილებით მაღალი და თაღოვანი. დანარჩენი ორი სწორკუთხაა. სარკმლის ქვემოთ, კედელზე ტრაპეზია მიდგმული. აფსიდი გადახურულია დამრეცი



200. დას. ფასადი

კონქით, რ-ის თაღი აფსიდის მხრებზეა დაყრდნობილი. კამარა ცილინდრულია, სხმული.

საკურთხევლის სარკმლის გარდა, ერთი ოთხკუთხა სარკმელია დას. კედელში [illegible] ზემოთ.



200. ხედი სამხრ.-აღმ.-იდან

ეკლესიის აღმ. კედელი დგას ორსაფეხურიან მაღალ ცოკოლზე. შენობა გადახურულია თუნუქით.

ბ. კუპრეიშვილი.

კოლაგი

(საკრებულოს ცენტრი)

201. კოლაგი, კ ო ლ ა კ ი, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს გომბორის ქედის ჩრდ.-აღმ. კალთაზე, გურჯაანიდან 7 კმ-ზე.

სოფ. კოლაგის დაწინაურება-განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მის მდებარეობას თბილისი-გურჯაანი-თელავის გზაზე, კახეთის უძველესი ქალაქისა და ციხესიმაგრის ვეჯინის მეზობლად. სოფლის ყმა-მამულზე ანდრონიკაშვილებისა და ვაჩნაძეების გავლენა ვრცელდებოდა. ისინი ხშირად დაობდნენ კოლაგსა და ვეჯინს შორის არსებულ მიწებზე. დავის გადასაწყვეტად კოლაგში მეფე ერეკლე II ჩასულა. მეფის გადაწყვეტილებით, საქმე დაფიცებით უნდა დასრულებულიყო. ანდრონიკაანთ უნდა დაეფიცებინათ თავიანთი ყმებიანად. როგორც ჩანს, მეფეს ვაჩნაძეების სიმართლისა სჯეროდა, რადგან ტრადიციულად კოლაგსა და ვეჯინს შორის ტერიტორია ვეჯინისკენ ანდრონიკაშვილებს,

ხოლო კოლაგისკენ ვაჩნაძეებს ეკუთვნოდათ.

ქ. კახაძე

ბიბლ.: 61ტII; 89; 203.

202. ვაჩნაძიანთ ციხე, კ ო შ კ ი, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ. დას-ით 0,4-0,5 *კმ*-ზე, ფერდობზე. განეკუთვნება XVIII ს.



202. I პირველის გეგმა



202. II პირველის გეგმა

კოშკი ცილინდრულია (დიამ. ფუძის დონეზე – 9,1 *მ*). ორი სართულის სიმაღლეზე შემორჩენილია დას. ნახევარი. კედელს მთელ სიმაღლეზე ბზარები დაუყვება. I სართული დაახლ. 1,5 *მ* სიმაღლეზე მიწითა და ქვებითაა ამოვსებული.

კოშკი ნაგებია თანაბარი ზომის რიყის ქვით, რ-ებიც დაწყობილია წესიერ, სწორხაზოვან რიგებად. აქა-იქ, ძირითადად II სართულის ზოგიერთი არქიტ. ელემენტის გამოსაყვანად, გამოყენებულია აგურიც. კედლების ზედაპირი შიგნით და გარედან გასწორებულია ბათქაშით.



202. ჭრილი, ხედი დას-კენ

I სართული გეგმით სწორკუთხა, აღმ-იდან დას. მიმართულებით ოდნავ წაგრძელებული ოთახია (5,5×4,5 *მ*). შესასვლელი აღმ-იდან ჰქონია (ჩანს ორივე წირთხლის ნაწილი). შესასვლელის მოპირდაპირედ, დას. კედლის შუაში, გეგმით ნახევარწრიული, თაღოვანი ბუხარია, რ-ის გვერდებზე თითო თაღოვანი ნიშაა. მსგავსი ორი ნიშაა სამხრ. კედელშიც. სარფულა გადახურული იყო ცილინდრული კამარით (კამარის კონტური შემორჩენილია დას. კედელზე), რ-იც ეყრდნობოდა ერთ საბჯენ თაღს, თაღი კი – ერთსაფეხურიან პილასტრებს. სართული ზედა სართულთან დაკავშირებული იყო კედლის სისქეში არსებული ქვის კიბით, რ-ის შესასვლელი I სართულის ჩრდ. კედლის აღმ. ნაწილში იქნებოდა მოწყობილი.

II სართული რვაწახნაგა ყოფილა. შემორჩენილია მხოლოდ ხუთი წახნაგი. მათგან სამში თითო განიერი და მაღალი, თაღოვანი ნიშაა (ერთ-ერთი ნიშა ნალისებრი თაღითაა გადახურული – წვერთან მსუბუქი ტეხილით), ერთში კიბის უჯრედში შესასვლელი თაღოვანი კარია, ერთში – ბუხარი, რ-იც სწორკუთხა შვერმავებულ არეშია ჩასმული. ნიშებიდან ორში შეწყვილებული სათოფურებია მოწყობილი, ხოლო ერთში – სხვადასხვა მხარეს მიმართული თითო სათოფური. სართული გადახურული ყოფილა შეკრული კამარით (შემორჩენილია ნაწილები).

თ. დგებაძე.



202. ხედი სამხ-აღმ-დან

203. კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-დას-ით 0,4-0,5 კმ-ზე. განეკუთვნება XVIII ს.

კოშკი ცილინდრულია. შემორჩენილია I სართული და II სართულის მცირე ნაწილი. ნაგებია თანაბარი ზომის რიყის ქვის სწორხაზოვნად დაწყობილი რიგებით.

I სართული გეგმით კვადრატულია (4,4×4,4 მ). შესასვლელი აღმ-იდან აქვს. კარი გარედან რიყის ქვით ნაწყობი ნახევარწრიული თაღითაა გადახურული, შიგნით კი ხის თარაზული გადახურვა ჰქონია (შემორჩენილია კვალი). შესასვლელის ზემოთ თაღოვანი სარკმელია გაჭრილი, რ-ის გარეთა დიობის უმეტესი ნაწილი აგურითაა გამოყვანილი, შიგნით შესასვლელის გვერდებზე თითო თაღოვანი ნიშაა. მსგავსი ორი ნიშაა დას. კედელშიც, რ-თა შორის, გეგმით ნახევარწრიული, სწორკუთხა შედრმავებაში ჩასმული თაღოვანი ბუხარია. თითო თაღოვანი ნიშაა მოწყობილი სამხრ. და ჩრდ. კედლების დას. ნაწილშიც და სამხრ. კედლის შუაში. ეს უკანასკნელი დანარჩენ ნიშებზე რამდენადმე განიერია და მაღალი. სართულის სამხრ.-აღმ. კუთხესთან შეწყობილებული სათოფურია. თითო სათოფურია შესასვლელის წირთხლებშიც. ჩრდ. კედლის აღმ. კიდეში კედლის სისქეში მოწყობილია კიბის უჯრედში შესასვლელი. კიბის უჯრედში სამი სათოფურია. სართული გადახურულია სხმული კამარით (ნაწილი ჩამონგრეულია), რ-საც ბრტყელი, თითქმის სწორი გვერდები აქვს.



203. ხედი აღმ-იდან

კოშკის II სართული ნაწილობრივადაა შემორჩენილი (მაქს. სიმ. დაახლ. 1,5 მ-ია). ეს სართული შიგნიდანაც წრიულია. კედლის სამხრ. ნაწილში ერთი განიერი და მაღალი თაღოვანი ნიშაა, რ-შიც ერთი ცალმაგი სათოფურია მოწყობილი. კედლის დანარჩენ ნაწილში არქიტ. ელემენტების მხოლოდ ნაშთებიღა შეიმჩნევა.



203. I სართულის ინტერიერი, ხედი დას-კენ

თ. დვალი.

204. მთავარანგელოზთა ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის დასით, სასაფლაოზე. განეკუთვნება XIX ს.

ეკლ. დარბაზულია (14,7×7,1 მ), ნაგებია აგურითა და რიყის ქვით. გარეთა კედლებში რიყის ქვის რიგები მოქცეულია ერთმანეთისგან თანაბარი მანძილით დაცილებულ ორრიგად ნაწყობ აგურის ჰორიზ. შრეებს შორის, რებიც რიტმულად ანაწილებენ კედლების ერცელ ზედაპირს. შენობის გარეთ [illegible] სარკმელთა ღიობები, პილასტრები,ფრონტონის გვერდები და ლავგარდანი აგურისაა. კედლები გარედან შეთეთრებულია. შიგნით პილასტრები, საბჯენი თაღები, კონქი, კამარა მთლიანად აგურითაა გამოყვანილი. აგურითვეა მოგებული იატაკიც. ინტერიერი შეღებილია.

შესასვლელი ორია – დასიდან და ჩრდ-იდან. ორივე კარი თაღოვანია.

ეკლესიის შიდა სივრცე შემაღლებული აღმ-ით დასრულებულია საკურთხევლის ნახევარწრიული აფსიდით, რ-ის ორსავე მხარეს მოწყობილია თითო პატარა (ფართ. დაახლ. 5 კვ მ) სწორკუთხა სათავსი – სამკვეთლო და სადიაკვნე. ორივეს მნიშვნელოვანი ნაწილი ეკლესიის კორპუსის გარეთაა გასული, რის გამოც ეკლესიის გეგმას გარედან ჯვრის მოხაზულობა აქვს – საკმაოდ წაგრძელებული დას. მკლავით.



204. გეგმა

საკურთხევლის აფსიდში ერთი მოზრდილი თაღოვანი სარკმელი და მის ორივე მხარეს გან-

ლაგებული ორი თაღოვანი ნიშაა. ორივე ნიშის ზურგის კედელში თითო თაღოვანი ხვრელობაა, რითაც ნიშები მათ უკან, კედლის სისქეში მოწყობილ წრიული გეგმის სამალავს უკავშირდება. საკურთხეველი დარბაზისაგან გამოყოფილია წყვილი პილასტრითა და მათზე დაყრდნობილი შეისრული თაღით.



204. განივი ჭრილი, ხედი აღმ-კენ

სამკვეთლო და სადიაკვნე საკურთხეველს თითო თაღოვანი კარით უკავშირდება. სამკვეთლოს მეორე კარიც აქვს – დას-ით, რიც ეკლესიის დარბაზში გადის. ორივე სათავსი ვიწროა და საკმაოდ მაღალი; შიგნით და გარედან გადახურულია ცალფერდა სახურავით. ორივე სათავსი განათებულია თითო თაღოვანი სარკმლით, რ-ებიც სამხრ. და ჩრდ. კედლებშია გაჭრილი. სამკვეთლოს დას. კედელში პატარა ნიშაა მოწყობილი.

დარბაზის გრძივი კედლები ორი წყვილი მძლავრი ორსაფეხურიანი პილასტრით სამ-სამ თითქმის თანაბარ ნაწილად არის გაყოფილი – შუა გვერდითებზე ოდნავ უფრო განიერია. პილასტრების პირველ საფეხურზე კედლის თაღებია დაყრდნობილი, მეორე საფეხურზე კი – კამარის საბჯენი თაღები. ყველა თაღი შეისრულია, შეისრულია კამარაც დას-ით იგი ეყრდნობა კედლის მიმდებარე საბჯენ თაღს, თაღი – კუთხის პილასტრებს. კამარის საბჯენი თაღების ქუსლებთან გამოყოფილია დაბალი თაროსებრი იმპოსტები.

შიდა სივრცე, გარდა საკურთხეველის სარკმლისა, კიდევ ექვსი თაღოვანი სარკმელი აშუქებს: სამი სამხრ. კედელშია გაჭრილი, ორი – ჩრდ. და ერთი – დას. კედელში, კარს ზემოთ.

ეკლესიის დას. ნაწილში მოწყობილი ყოფილა ხის პატრონიკე (შემორჩენილი იყო ძელების საყრდენი ბუდეები).

გარედან ეკლესიის აღმ. ფასადს ბაზილიკის მოხაზულობა აქვს – ორქანობიანი სახურავით დასრულებულ ძირითად კორპუსს გვერდებიდან სამკვეთლოს და სადიაკვნის ცალფერდასახურავიანი მაღალი ერუ კედლები ეკვრის, რ-ებიც ძირითადი კორპუსის კედელთან ერთ სიბრტყეში არ მდებარეობს და ოდნავ დას-ით არის გადაადგილებული. აღმ. ფასადის გლუვ სიბრტყეზე მხოლოდ საკურთხეველის სარკმლის ღიობია. დას. ფასადის კიდეებთან, მთელ სიმაღლეზე, პილასტრებია გამოყოფილი. ფასადის ღერძზე თაღოვანი შესასვლელია, მის ზემოთ კი – დიდი სარკმელი, რ-ის გვერდებზე თითო მაღალი, საფეხუროვან კვარლცხბეკზე დაყრდნობილი შელრმაებული ჯვარია გამოსახული.

დას. ფასადის ფრონტონის წვერზე დადგმულია ჯვრული



204. დას. ფასადი

მაღალი სამრეკლოს ექვსწახნაგა, შეისრული თაღებით გახსნილი ფანჯარი, რ-იც პირამიდული სახურავითაა დასრულებული.

ეკლესიის კედლები დასრულებულია ორსაფეხურიანი ლავგარდნით, რ-იც დას. ფასადზე სამრეკლოს ოთხწახნაგა ბაზას ეკვრის.



204. ხედი ჩრდ-დას-იდან

2005-06 წწ-ში ადგილ. მოსახლეების მიერ ძეგლს ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები. შიგნით ეკლ. შეილესა გაჯით, მოიხსნა კრამიტის საბურავი და გადაიხურა თუნუქით. ეკლესიის ჩრდ.-დას.-ით აიგო ორსართულიანი სამრეკლო.

თ. დვალი.

ბიბლ.: 335.

205. მთავარანგელოზის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას.-ით, სასაფლაოზე, მთავარანგელოზთა ეკლესიის ჩრდ.-ით, 25-30 მ-ზე. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია, გეგმით სწორკუთხა (5,35×4 მ). ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვითა და კირის ხსნარით. წყობა ირეგულარულია. კედლები შიგნით და გარედან გასწორებული ყოფილა ბათქაშით, რ-იც ნაწილობრივ ქვის ზედაპირებსაც ფარავს. ერთადერთი შესასვლელი ეკლესიას დას.-იდან აქვს. კარი გარედან თაღოვანია, შიგნით კი თარაზულადაა გადახურული, რაც ფასადის მხრიდან ტიმპანს ქმნის.



205. ხედი სამხრ.-დას.-იდან

ეკლესიის კვადრ. დარბაზი ადმ-ით დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით. აფსიდში გაჭრილია დაბალი, გარეთკენ შევიწროებული, ბრტყლად გადახურული სარკმელი, რ-ის ქვემოთ, კედელზე, რიყის ქვით ნაშენი ოთხწახნაგა ტრაპეზია მიდგმული (აღდგენილია). საკურთხევლის სარკმლის გარდა, კიდევ ერთი სარკმელია გაჭრილი დას. კედელში (შემორჩენილი იყო ქვედა ნახევარი).

2010 წ. საქართვ. ისტორიულ ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდის მიერ ეკლესიას ჩაუტარდა სარესტ. სამუშაოები (პროექტის ავტორი, არქიტ. ნ. მინდორაშვილი). აღდგა კედლების დანგრეული ნაწილები; შიგნით ეკლ. გადაიხურა რიყის ქვის ცილინდრული კამარით, ხოლო აფსიდი – კონქით; სამხრ. კედელში მოეწყო სწორკუთხა სარკმელი; გარედან კედლებს გაუკეთდა რიყის ქვის თაროსებრი ლავგარდანი; ეკლ. გადაიხურა ღარისებრი კრამიტით.

თ. დვალი.

206. წმ. მარიამის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას-ით 500 მ-ზე. განეკუთვნება შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (7,2×5,3 მ), ნაგებია საშუალო ზომის რიყის ქვითა და კირის ხსნარით. ძლიერ დაზიანებულია: ჩრდ. კედელი მთლიანად დანგრეულია, დანარჩენი კედლები დაახლ. 1,3-1,5 მ სიმაღლეზე დგას. აღმ. კედელი შუაში, ხოლო სამხრ. კედელი აღმ. ნაწილში განგრეულია. მონგრეულია სამხრ.-აღმ. და სამხრ.-დას. კუთხეები.

2000 წ. სოფლის მოსახლეობას ეკლესიის აღდგენა დაუწყია, მაგრამ აღარ დაუმთავრებია. კედლების აღდგენილი ნაწილები საკმაოდ ტლანქია.

ეკლესიას შესასვლელი დას.-იდან ჰქონია (შემორჩენილია წირთხლის ნაშთი). აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-შიც სარკმელი ყოფილა გაჭრილი (შემორჩენილია კვალი).

თ. დვალი.

მელაანი

(საკრებულოს ცენტრი)

207. მელაანი, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს გომბორის ქედის სამხრ.-დას. კალთაზე, გურჯაანიდან 25 კმ-ზე.

სოფლის ტერიტორიიდან ცნობილია პალეოლითის ხანის მასალები (ხოვლეთის გორა) და ადრებრინჯაოს ხანის ძეგლების სახით. სოფლის ტერიტორიაზე ადამიანი უძველეს დროს დასახლებულა. არქეოლ. მასალით მტკიცდება ხანგრძლივი დროის მანძილზე ადამიანის უწყვეტი ცხოვრების კვალი სოფლისა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, რასაც ხელს უწყობდა მელაანის მდებარეობა. ბუნებრივი პირობები ხელსაყრელი იყო მეურნეობის მრავალი დარგის, მათ შორის მემინდვრეობის, მესაქონლეობის და განსაკუთრებით მევენახეობის განვითარებისათვის.

გვიანდ. ბრინჯაოს ხანაში მელაანში, მელიღელესა და არაშენდას მახლობლად სამოსახლოსაგან გამოყოფილი ოთხი სამლოცველო ყოფილა, რაც მკვლევარებს (კ. ფიცხელაური) აფიქრებინებს, რომ აქ რადაც რელიგ. ცენტრი არსებობდა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ამ მხარის ტოპონიმიკა – მელაანი, მელი-ღელე, გადრეკილი, რაც შესაძლოა საქართველოში გავრცელებულ ნაყოფიერების კულტთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებების „მელია ბუღეპიას" და „ადრეკილაის" სახელწოდებებს უკავშირდება.

ძვ. წ. I ათასწლეულში მელაანი სკვითებს დაულაშქრავთ. კახეთის სამეფოს წარმოქმნის შემდეგ, XVI ს-ის შუა წლებიდან სოფელი ჭერემის საეპისკოპოსოს დაქვემდებარებაში იყო. ამ საეპისკოპოსოს გაუქმების შემდეგ, თეიმურაზმა და ერეკლემ მელაანი ბოდბელ მიტროპოლიტს ენისელთ მოურავის ძეს, იოანეს გადასცეს სამწყსოდ. პარალელურად სოფლის ყმა-მამულზე ცალკეულ ფეოდალთა ანდრონიკაშვილების, მოურავიშვილების, ყარაბუდაღიშვილების უფლებებიც გავრცელდა. 1802 წ. მელაანი ლეკებმა ააოხრეს.

კ. კახაძე

ბიბლ.: 61 I; 81; 184; 202 ე; 203 ა.

208. კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით კოშკებად წოდებულ

ადგილზე. განეკუთვნება შუა საუკუნეებს.

კოშკი გეგმით ოთხკუთხაა, ნაგები ყოფილა ნატეხი და რიყის ქვით. ძლიერ დაზიანებულია. შემორჩენილი ნანგრევი დაფარულია მიწითა და მცენარეებით.

ბ. კუპრეიშვილი.

209. კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-აღმ-ით 12 კმ-ზე, მთის წვერზე. განეკუთვნება შუა საუკუნეებს. ადგილობრივი მოსახლეობა ნაგებობას „სკლინტიან საჯდარს" უწოდებს.

ძლიერ დაზიანებულია: შემორჩენილი კედლების სიმ. 1,5-2,5 მ-ია; ინტერიერი მიწითაა ამოვსე-



209. ხედი სამხრ.-აღმ-დან

ბული და მცენარეულობითაა დაფარული, ფასადებზე საპირე ქვები ბევრ ადგილას ჩამოცვენილია.

კოშკი გეგმით კვადრატულია (7×7 მ, კედლების სისქე – 1,5 მ), ნაგებია მსხვილი და საშუალო ზომის რიყის ქვითა და კირის დულაბით. შემორჩენილი კედლები ერუა.

თ. მარკოზაშვილი.

210. ლაკბისხევის სადგომი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლიდან 1-2 კმ-ზე,მდ. ლაკბის ხეობაში. იქ, სადაც მდ. ლაკბე კვეთს თბილისი-თელავის საავტ. გზას. განეკუთვნება შუა აშელის ხანას.

სადგომი კახეთში ქვის ხანის პირველი აღმოჩენილი ძეგლია. იგი 1961 წ. გამოავლინა არქეოლოგმა ნ. ბერძენიშვილმა. ნაპოვნია კაჟის ნივთები – ნუკლეუსები, ანატკეცები და იარაღი.

ნუკლეუსები ერთფუძიანი განივი, ორფუძიანი ორმხრივი და დისკოსებრი ორმხრივი ტიპისაა. ქვედა გაფორმებულია კაჭრებზე. ანატკეცებს ახასიათებთ მოგრძო ან დაბალი, ფართო შემთხვევითი მოყვანილობა და გრძივი ღერძის პერპენდიკულარული გლუვი, ფართო დარტყმის მოედანი. იარაღებიდან არის ორი ანკოში ან გვერდამოღარული ხელსაწყო, ორი ცალპირა სწორსამუშაოპირიანი და ერთი ორპირა ამოზნექილსამუშაოპირებიანი სახოკი.

მასალა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ-ეთნ. საცავში.

თ. ბუგიანიშვილი.

ბიბლ.: 186.

211. მაიაკის ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-დას-ით, ჩრდილიხევის მარჯვ. ნაპირზე. განეკუთვნება გვიან. ბრინჯაო-რკინის ხანას.

ნამოსახლარი სამხრ-იდან შემოსაზღვრულია ჩრდილიხევის ციცაბო ნაპირით, ჩრდ-ით კი მას თავდაცვითი თხრილი შემოსდევს.

ბ. მაისურაძე.

ბიბლ.: 184.

212. ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-აღმ-ით 3 კმ-ზე. ფენებისებრ წოდებულ ადგილზე. განეკუთვნება გვიან. ბრინჯაოს ხანას.

ნამოსახლარი გამართულია ხელოვნურ ბორცვზე, რ-ის თხემიც მოსწორებულია. ბორცვს გარშემო საფეხურებიანი თავდაცვითი თხრილი შემოსდევს.

ბ. მაისურაძე.

ბიბლ.: 184.

213. ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-დას-ით 5 კმ-ზე, თბილისის გზატკეცილის ჩრდ-ით 200 მ-ზე. განეკუთვნება გვიან. ბრინჯაოს ხანას.

ძეგლს მიკუთვნილია კაჟის (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). დაზიანებულია, რადგან მისი ტერიტორია გამოყენებული იყო სას.-სამ. სავარგულად. ნამოსახლარზე დიდი რაოდენობით აიკრიფა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.

მასალა ინახება ქ. გურჯაანის რეგიონულ-არქეოლ-ეთნ. საცავში.

ბ. მაისურაძე.

ბიბლ.: 184.

214. სადგომი სახელოსნო, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის დას. განაპირას, მდ. ლაკბის მარცხ. მშრალი შენაკადების ჩრდილისა და ჩალიანხევებს შორის გიოლას მუხის სახელით ცნობილ ტერიტორიაზე. სადგომ-სახელოსნოს უკავია დაახლ. 2–3 ჰა ფართობის სახნავ-სათესი სავარგული. განეკუთვნება შუა პალეოლითს.

სადგომ-სახელოსნო 1961 წ. გამოავლინა კაპ-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). ნახნავებში მოპოვებულია კაჟის ნუკლეუსები, ანატკეცები და სამი იარაღი.

ნუკლეუსები ამორფული და ერთფუძიანი განივი არალევალუაურია, დამზადებულია კაჭრებსა და ბუნებრივ ნატეხებზე.

ანატკეც-ნამზადები არალევალუაური და ლევალუაურია. უდიდეს უმრავლესობას პირველი ტიპის,მოგრძო და დაბალი,ფართო, არასწორი მოყვანილობის, გლუვი დარტყმისმოედნიანი ანატკეცები შეადგენს. ლევალუაური ანატკეცი ოთხი ცალია. ქვედა მოთეორო-მონაცრისფრო კაჟისაა, გამოირჩევა მოგრძო, შედარებით სწორი მოყვანილობით, სითხლით, დორსალურ ზედაპირზე წინამორბედი პარალელური ატკეცის ნეგატივებითა და ფაცეტირებული სწორი და ამოზნექილი დარტყმის მოედნებით.

სამივე იარაღი გაკეთებულია არალევალუაურ ანატკეცებზე და წარმოდგენილია ამოზნექილსამუშაოპირიანი გრძივი სახოკით, ასიმეტრიული სამკუთხედისებრ ანატკეცზე გაფორმებული წვეტანით და ანკოშისა და საჭრელი სამუშაო ელემენტის მქონე კომბინირებული იარაღით.

მასალა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ-ეთნ. საცავში.

თ. ბუგიანიშვილი.

215. სამგლე სერის ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფ-

ლის სამხრ.-აღმ-ით, 3 კმ-ზე, ჩრდილოხეთის მარცხ. ნაპირზე. განკუთვნება ძვ. წ. II ათასწლ. დასასრულს. ძ. აღმოაჩინა კაპ-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). ნამოსახლარს თხემი მისწორებული აქვს. გარშემო შემოუყვება თავდაცვითი თხრილი. ძეგლზე ზედაპირულად აიკრიფა ლეგამოკავისფროდ გამომწვარი კონცენტრული ამოღარულ-ზოლებიანი, ქვიშანარევი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.

მასალა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

ბ. მაისურაძე

ბიბლ.: 184.

216. სამლოცველო, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ. განაპირას, ზ. ბიძინაშვილის კარმიდამოში. განეკუთვნება ძვ. წ. II ათასწლ. დასასრულს და ძვ.წ. I ათასწლ. საწყის საუკუნეებს. მიწის სამუშაოების დროს შემთხვევით აღმოჩენილ სამლოცველოზე



216. მამაკაცის ქანდაკება. ბრინჯაო. ძვ.წ. IX-VIII სს.

1959 წ. არქეოლ. გათხრები ჩაატარა ივ. ჯავახიშვილის სახ. ᲝᲐᲘ ინ-ტის კაპ-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). ძეგლის უმეტესი ნაწილი განადგურებულია. გადარჩენილ ნაწილში სტრატიგრაფიულად დადასტურდა ჰუმუსოვანი ფენა (სისქე 0,25 მ) და მის ქვეშ კულტ. ფენა, რ-ის ზედა ჰორიზონტი წარმოადგენდა ცეცხლისაგან წვრილად დახეთქილი რიყის ქვის ყრილს (სისქე 0,2 მ). გათხრილ



216. ბრინჯაოს მახვილები. ძვ.წ. IX-VIII სს.

ფართობზე მასალის ძირითადი ნაწილი შეჯგუფული იყო ორგან – გრუნტში სანახევროდ ჩადგმულ თიხის ჭურჭლებში და მათ გარშემო, ორგან – ნაცრითა და ნახშირით სავსე ორმოებში და მათ ირგვლივ, ერთგან – რიყის მთლიანი ქვების გროვის ქვეშ. აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ათასამდე ერთეულის ფრაგმენტი, ლითონის ნივთებიდან 234 საომარი იარაღი და ცხენის აკაზმულობის ფრაგმენტი იყო, დანარჩენი 70 ნივთი საკულტო და სამეურნეო დანიშნულებისაა.

ძეგლის კულტ. ფენის აღნაგობა, ფენაში ნივთების განლაგება, მათი დანიშნულება, რაოდენობა და მისი განცალკევებული მდებარეობა მიუთითებს, რომ ეს იყო სამოსახლოსაგან გამოყოფილი საკულტო ძეგლი სამლოცველო, სავარაუდოდ – ნაყოფიერებისა და ომის ღმერთის, აღმოჩენილი ნივთების რაოდენობის მიხედვით სამლოცველო ერთის სამოსახლოს კუთვნილი არ უნდა იყოს. იგი შესაძლოა ტომობრივი ან სხვა გაერთიანების საკულტო ძეგლს წარმოადგენდა.

სამლოცველოს რამდენიმე საუკუნის განმავლობაში უარსებია. მომხვდურ მტერს იგი დაახლ. ძვ. წ. VII ს-ში გაუნადგურებია.

მასალა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

ბ. მაისურაძე

ბიბლ.: 184.

217. სამლოცველო (მ ე ლ ი ღ ე ლ ე I), არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით 7 კმ-ზე, მელიღელის მარჯვ. ნაპირზე, განეკუთვნება ძვ. წ. XIV-XIII სს.

ძეგლს მიაკვლია და 1964-67 წწ. არქეოლ. სამუშაოები ჩაატარა ᲝᲐᲘ ინ-ტის კაპ-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური).

სამლოცველო გამართულია თხრილით (სიგ. – 2 მ, სიღრმე – 0,6 მ) გამოყოფილ შემაღლებულ მოედანზე, რ-საც გარშემო რიყის ქვები აქვს შემოვლებული. მოედნის აღმ. და დას. ნაწილებში ხის წმინდა ნაცრითა და მასში შერეული სხვადასხვა ნივთებით სავსე ორი დიდი ორმო (დიამ. – 3,35 მ) აღმოჩნდა, რ-თა ცენტრში ხის წმინდა ნაცრით სავსე თითო თიხის დიდი ჭურჭელი იდგა. აღმ-ით მდებარე ორმოსთან რიყის ქვის ორი წრე ასევე წმინდა ნაცრით იყო შევსებული. მათ გარშემო კი შემოწყობილი იყო მცირე ზომის თიხის ჭურჭელი და სხვადასხვა წვრილი ნივთები.

ძეგლზე აღმოჩენილი ჭურჭელი სხვადასხვა ზომისაა. არის როგორც პატარა, ისე მინიატურული, საშუალო და დიდი ზომის სასმისის ფორმის ჭურჭელი. განსაკუთრებით მრავლად აღმოჩნდა მაღალყელიანი სასმისის ფორმის საშუალო ზომის ჭურჭელი (სიმ. 10-17 სმ), რ-თა ზედაპირი ნაპრიალები გეომეტრიული ორნამენტი-

თაა შემკული. დიდი ზომის ჭურჭელი წარმოდგენილია უმთავრესად ცალყურა ხელადებით. მათი ყურები მდიდრულადაა შემკული გეომეტრიული ორნამენტით, ასევე ცხოველების (ცხვარი) და გველის როგორც რელიეფური, ისე ამოკაწრული სახეებით. ორ ჭურჭელზე ნადირობის სცენაა ასახული. გვხვდება სხვადასხვა ზომის ე. წ. მარნებიც.

თიხის ჭურჭელი წვრილმარცვლოვანი თიხისაა, შავად გამომწვარი, ნაპრიალები ზედაპირით. ბევრია უხეშკეცხიანი კონცენტრული ამოღარული ხაზებით შემკული ჭურჭელი, რ-თა მხარს და ძირის კიდეს ირიბი ნაჭდევები ე.წ. ფრჩხილისეული სახეები ან ზონარისებრი ორნამენტი ამკობს.

ძველის სამხრ.-დას. ნაწილში წითლად გამომწვარი ჭურჭლის ასიოდე სასმისი აღმოჩნდა. შეიმჩნეოდა ცეცხლის კვალი და ამაყე ფორმის რამდენიმე სასმისის დაწიდებული ფრაგმენტი. როგორც ჩანს, ჭურჭელმა წითელი ფერი მეორეული გამოწვის შედეგად მიიღო.

გარდა თიხის ჭურჭლისა, მელიღელე I-ის ტერიტორიაზე აღმოჩნდა სარდიონის მძივები, ობსიდიანის ისრისპირები (ათასამდე. მ. შ. ბევრია იმიტაცია და ნახევარფაბრიკატი), ბრინჯაოს ბეჭდები, ღილები, სამაჯურები, საკიდები, რამდენიმე მახვილის იმიტაცია, თიხის საბეჭდავები მნათობთა სიმბოლური გამოსახულებებით – ჯვარი, სვასტიკა, სპირალი და სხვ. აღმოჩნდა შიშველი ქალის ქანდაკებებიც, შვიდი – ბრინჯაოსი, ორი – თიხის. თიხის ქანდაკებები ჭურჭლის ყურზეა მიძერწილი. ზოგიერთ მათგანს ნიღაბი უკეთია. ერთს ცხვრის თავი აქვს. ქალის ქანდაკებები ნაყოფიერების სიმბოლოდაა მიჩნეული. მელიღელე I-ის ტერიტორიაზე სულ 86 000 სხვადასხვა ნივთი და ნივთის ფრაგმენტია მოპოვებული. მოედნის ცენტრ. შემაღლებულ ნაწილში მიწაზე აღმოჩნდა ინკრუსტირებული გამოსახულებები. ისინი შემდეგნაირადაა შესრულებული: მიწაში ამოღებულია სხვადასხვა სიგანის ღარები, რ-ებიც შევსებულია ნაცრისთა და ცხვრის დამწვარი ძვლით. რამდენიმე შემთხვევაში ღარებში აღმოჩნდა თიხის პატარა სასმისები და თიხის ჭურჭლის ნატეხები. ამგვარი წესით მიღებულია სხვადასხვა ცხოველისა და ფრინველის სტილიზებული დიდი ზომის გამოსახულებები (სიმ. 2 მ).

სამლოცველოზე საგარაუდოდ, საწესო წეს-ჩვეულებები ძირითადად ღვთაება დიდი დედის პატივსაცემად სრულდებოდა. ამას უნდა მოწმობდეს აქ აღმოჩენილი ქალის მრავალრიცხოვანი ქანდაკებები და ისიც, რომ ნივთებს შორის განსაკუთრებით მრავლადაა ბრინჯაოს ბეჭდები, სარდიონის მძივები და ქალის სხვა სამკაული.

მასალა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ-ეთნ. საცავში.

ბ. მაისურაძე

ბიბლ.: 184; 193.

218. სამლოცველო (მ ე ლ ი ღ ე ლ ე II), არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით 7 კმ-ზე, მელიღელის მარჯვ. ნაპირზე. იგი უშუალოდ ემიჯნება მელიღელე I-ს ჩრდ.-დას-იდან და ერთ ადგილზე ფარავს კიდეც მას. განეკუთვნება ძვ. წ. XII-VIII სს.

არქეოლ. სამუშაოები ძველის მხოლოდ მცირე ნაწილზე ჩაატარა ᲝᲐᲔ ინ-ტის კᲐᲔ-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური).

სამლოცველოს ეკავა დიდი, წრიული ფართობი (დიამ. 80 მ), რ-საც მოზრდილი ზომის რიყის ქვების სამ ტერასად განლაგებული წრისაგან შემდგარი ზღუდე (სიგ. – 10 მ, სიმ. – 1 მ) ჰქონდა. ადგილი რიყის ქვის წრეებს შორის დაფარული იყო ცეცხლში ნამყოფი რიყის ქვებით და ცეცხლისაგან დახეთქილი რიყის ქვის ნამტვრევებით.

მელიღელე II-ის ტერიტორიაზე აღმოჩნდა: რკინის იარაღი და სამკაული, რ-თა შორის საბრძოლო იარაღი ჭარბობს. აქვე იყო ოფსიდიანის ანატკეცების რამდენიმე ჯგუფი. ხშირად ჩნდებოდა, როგორც ბრინჯაოს, ისე რკინის ცალკეული საბრძოლო იარაღები – ისრისპირები და შუბისპირები. აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, რ-ებიც მხოლოდ დიდ თიხის ჭურჭლებს (ქვევრებს და მცირე სასმისებს) ეკუთვნის, მამაკაცის ბრინჯაოს ქანდაკება, ცხენის ბრინჯაოს ქანდაკება და სხვ.

მასალა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ-ეთნ. საცავში.

ბ. მაისურაძე

ბიბლ.: 347.

219. სამლოცველოს ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს მდ. ლაკბისხევის მარცხ. ნაპირზე. განეკუთვნება II ათასწლ. დასასრულს და ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისს.

ძს მიაკვლია ᲝᲐᲔ ინ-ტის კᲐᲔ-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). ნამოსახლარი თითქმის მთლიანადაა განადგურებული სას.-სამ. სამუშაოების შედეგად.

ნამოსახლარი გამართულია ბუნებრივ ბორცვზე, რ-იც სამხრ.-აღმ-იდან თხრილითაა დაცული. გორის აღმ-ით, თავდაცვითი თხრილის გარეთ, გამოვლინდა პირველრო და ძირგანიერი სამეურნეო დანიშნულების ოცამდე ორმო, რ-ებიც ნამოსახლარის თანადროულია.

ნამოსახლარის ჩრდ.-აღმ-ით 500 მ-ზე, აღმოჩნდა ორმოსამარხებით წარმოდგენილი სინქრონული ს ა მ ა რ ო ვ ა ნ ი.

ბ. მაისურაძე

ბიბლ.: 184.

220. შევრების სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს თბილისი-გურჯაანის გზატკეცილის მარცხნივ, შევრებად წოდებულ ადგილზე, გომბორის ქედის სამხრ. ფერდობზე. სამარხები ორ ჯგუფად არის განლაგებული. სამხრ-ით მდებარე მცირე ჯგუფი შუა ბრინჯაოს ბოლო საფეხურს უნდა ეკუთვნოდეს. ჩრდ-ით მდებარე მრავალრიცხოვანი სამარხები კი გვიანდ. ბრინჯაოს საწყის ხანას. სამაროვანი აღმოჩნდა მიწის სამუშაოების დროს. 1977 წ. კᲐᲔ-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური) ძველ-



220. შუა ბრინჯაოს ხანის კრომლეხები

ზე ჩაატარა ფართო მასშტაბის არქეოლ. სამუშაოები. სამაროვანი ძლიერ არის დაზიანებულ წლების განმავლობაში ამ ტერიტორიაზე მიმდინარე სას.-სამ. სამუშაოების გამო. გადანაყარ მიწაში აიკრიფა დიდი რაოდენობით თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, სარდიონის მძივები, ბრინჯაოს შედგენილტარიანი სატევარი, ბრინჯაოსავე ღილები, რგოლები და სხვ.



220. სამკაული. ბრინჯაო. ძვ. წ. XIV-XIII სს.

სამაროვანი მრავალიარუსიანია. ორმოსამარხები დამხრობილია ჩრდ-იდან სამხრ-ის მიმართულებით. მიცვალებულები დაკრძალულია მოხრილი კიდურებით, თავით უმეტესად ჩრდ-ისკენ. ქვევიდან II ფენის რამდენიმე სამარხში მიცვალებულის ხის სარეცელზე დაკრძალვის წესი დადასტურდა. ამავე ფენის სამარხები შიგნით, ორმოს პირზე წვრილი რიყის ქვითაა მოკირწყლული. ქვედა ფენის სამარხებში ინვენტარი მცირეა. ამ ფენის სამარხებში მოპოვებული თიხის ჭურჭელი ძირითადად დამზადებულია კვარცის თეთრი, წვრილშინარევებიანი წვრილმარცვლოვანი თიხისაგან. კარგადაა გამომწვარი, აქვს ნაპრიალები, შავი ზედაპირი და ღია ნაცრისფერი შიდაპირი. ორ შემთხვევაში ამ სამარხებში ე. წ. კაკლის ნაჭუჭისებრი ნაკეთობებია აღმოჩენილი. ორნამენტებიდან აღსანიშნავია ღრმა ფრჩხილისებრი ნაჭდევები კონცენტრული ღარებით ან რელიეფური ზოლებით; ღრმა ფრჩხილისებრი ნაჭდევების ერთი რიგი წახაზს მოსდევს ამოღარული კონცენტრული ხაზები და რელიეფური სამკუთხედი ღრმა ირიბი ნაჭდევებით და სხვ. ზოგიერთი ჭურჭლის მხარი მოხატულია თეთრი ანგობით შესრულებული მეანდრით.



220. სამკაული. ბრინჯაო. ძვ. წ. XIV-XIII სს.



220. სამკაული. ბრინჯაო. ძვ. წ. XIV-XIII სს.

სამაროვნის ქვედა ფენის სამარხებში აღმოჩენილი ინვენტარი ამ სამარხების ადრეულობას მოწმობს. ისინი ძვ. წ. XIV-XIII სს. განეკუთვნებიან.



220. სამკაული. ბრინჯაო. ძვ. წ. XIV-XIII სს.

ზედა ფენის სამარხებში დიდი რაოდენობით ჩნდება თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს სამკაული და სხვ. ინვენტარი თიხის ჭურჭელი ძირითადად დამზადებულია ქვიშანარევი თიხისაგან. მათი ზედაპირი შავადაა ნაპრიალები და დაფარულია კონცენტრული ხაზებით, მხარსა და ძირის კიდეს

კი ირიბი, ღრმა ნაჭდევები შემოუყვება. კედი წაბლისფრად ან მოშავოდაა გამომწვარი და უსარჩულოა. სამარხებში აღმოჩნდა აგრეთვე ბრინჯაოს ბალთები, რელიეფური ორნამენტით, ბრინჯაოს თავმსხვილი, ყუნწიანი საკინძები, შედგენილტარიანი სატევარი, მძივსაკიდები, ღილები, ბალთები, ძეწკვის ფრაგმენტები და სხვ. ზედა ფენის სამარხები ძვ. წ. XII ს. განეკუთვნებიან.

მასალა დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ-ეთნ. საცავში.

ბ. მაისურაძე

ბიბლ.: I.

221. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფელში. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

1990 წ. აღგილ. მოსახლეობამ ეკლ. შეაკეთა და თუნუქით გადახურა.

ეკლ. დარბაზულია (7,6×4,1 მ), ნაგებია რიყის ქვით, აგურით და კირის ხსნარით; რიყის ქვები აგურის ჰორიზ. რიგებს შორისაა მოქცეული.

შესასვლელი დას-იდანაა. კარი სწორკუთხაა. აღმ-ით ნახევარწრიულ აფსიდში, რ-ც დარბაზის კედლებს მხრების გარეშე შეერთვის, ერთი სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი.

ეკლესიის გრძივი კედლები შიგნით და გარედან გლუვია.

კ. გიორგობიანი.

222. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით, 1 კმ-ზე, მთის ფერდობზე. თარიღდება XVIII ს-ის ბოლოთი ან XIX ს-ის დასაწყისით.

ეკლ. გუმბათოვანი ნაგებობაა, განეკუთვნება ე. წ. „კუპელპალეს" ტიპს. ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. მხოლოდ ალაგ-ალაგაა შერეული აგურის ჰორიზ. შრეები. გარეთა კედლების წყობაში აქა-იქ საფლავის ქვებიცაა ჩართული. აგური ძირითადად გამოყენებულია კონსტრ. ნაწილებისათვის (საბჯენი თაღები, კამარა, კონჭი, პილასტრები, კარ-სარკმელთა წირთხლები და თაღები) და ფასადების დეკორაც. გაფორმებაში. აგურისაა ეკლესიის გუმბათიც.



222. გეგმა

ეკლ. გეგმით სწორკუთხაა (14,2×7 მ). აქვს ორი შესასვლელი: სამხრ-იდან და დას-იდან. ორივე კარი სწორკუთხაა, გარედან ჩასმულია ორი საფეხურით შეღრმავებულ შეისრულთაღოვან შეღრმავებაში. შიგნით კი შეისრული ტიმპანითაა დასრულებული. ორივე შესასვლელის გვერდები და



222. გრძივი ჭრილი, ხედი სამხრ-კენ

ზღუდარი მაგარი ჯიშის სუფთად გათლილი ქვისაა (საფლავის?).

ეკლესიის განიერი და მოგრძო დარბაზი (სიგრ. – 9,1 *მ*, სიგ. – 4,6 *მ*) აღმ-ით დასრულებულია საკურთხევლის ნახევარწრიული აფსიდით, რ-იც დარბაზისგან მარტივი პილასტრების წყვილით და მათზე დაყრდნობილი შეისრული საბჯენი თაღითაა გამიჯნული. თაღი დაყრდნობილია აგურის სამსაფეხურიან იმპოსტებზე. ანალოგიური პროფილისაა დანარჩენი საბჯენი თაღების იმპოსტებიც. აფსიდში ფართო თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. აფსიდის სამხრ. გვერდში ერთი განიერი და მაღალი სწორკუთხა ნიშაა, ჩრდ. გვერდში კი, გვერდიგვერდ – ორი სხვადასხვა ზომის სწორკუთხა ნიშა. საკურთხევლის იატაკი ნაგის იატაკის მიმართ ორი საფეხურითაა შემაღლებული და შუაში ნახევარწრიული ამბიონი აქვს მოწყობილი.

დარბაზის გრძივ კედლებზე ორ-ორი მძლავრი ორსაფეხურიანი პილასტრია, რ-ებიც შესაბამის კედლებს სამ-სამ ნაწილად ყოფს. მათგან განაპირები თანაბარი სიგანისაა, ხოლო შუა მათზე თითქმის ერთნახევარჯერ განიერია. პილასტრების გვერდებზე, კედლების ქვედა ნაწილებში, ნახევარწრიული თაღით დასრულებული ღრმა არეა, რ-თა თაღები პილასტრების გვერდით საფეხურებს ქმნიდნენ, პილასტრების წინა საფეხურებს კი – კამარის საბჯენი თაღები. თაღები შეისრულია, იგივე ფორმისაა კამარაც. დას-ით იგი კედლის მიმდებარე საბჯენ თაღს ეყრდნობა.

საკურთხევლის სარკმლის გარდა, ეკლესიაში კიდევ შვიდი სარკმელია: ორ-ორი გრძივ კედლებში, ერთი – დას-ით, თითო-თითო – გუმბათქვეშა განივი მკლავების ზედა ნაწილში. საკურთხევლისა და გრძივ კედლებში გაჭრილი სარკმლები ორივე მხრიდან თაღოვანია და კედლის გულისკენ როგორც შიგნიდან, ისე გარედანაც ვიწროვდება. დანარჩენი სარკმლები შიგნით ნახევარწრიული თაღითაა გადახურული, ხოლო გარედან სწორკუთხაა.

ეკლესიის ვიწრო და მაღალი გუმბათის ყელი აღმ-ითაა გადაწეული. იგი დაყრდნობილია კამარის აღმ. საბჯენ და საკურთხევლის თაღებზე. გუმბათის ყელი ბევრად უფრო ვიწროა, ვიდრე ნავი. ამის გამო გუმბათის ყელის კვადრ. საფუძვლის შესაქმნელად, სამხრ. და ჩრდ. კედლების გასწვრივ, გამოყვანილია განიერი (სიგ. დაახლ. – 80-90 *სმ*) საბჯენი თაღები, რ-ებიც ასევე გუმბათის ყელის საბჯენ თაღებზეა დაყრდნობილი. აღნიშნული თაღებით შექმნილი კვადრატის ოთხივე კუთხეში მოწყობილია აფრები, რ-თა მეშვეობით ხორციელდება გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის ყელის წრიულ მოხაზულობაზე გადასვლა.

გარეგანი ფორმებით ეკლესიას ჯვარ-გუმბათოვანი შენობის აღნაგობა აქვს. ეკლესიის ფრონტონით დასრულებულ ფასადებზე, გუმბათის ყელის საფუძვლიდან სამხრ-ით და ჩრდ-ით „ჯვრის მკლავებია” გამოსული, რ-ებიც ქმნის შემაღლებულ,



222. სამხრ. ფასადი

ფრონტონით დასრულებულ ნაწილებს. ფასადების დამუშავება საკმაოდ მარტივია. მორთულობის ძირითადი ელემენტებია ლუკარნური აგურით გამოყვანილი ჯვრები.

სამხრ. და ჩრდ. ფასადებზე „ჯვრის მკლავების” კედლები მთლიანად აგურითაა ნაწყობი. კედლის ღერძზე სწორკუთხა სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს ორ-ორი რელიეფური ჯვარია გამოსახული; განაპირა ჯვრები ბევ-

რად უფრო დაბალია, ვიდრე დანარჩენი ორი და დაყრდნობილია ჰორიზ. ხოლურაზე.



222. ხედი სამხრ.-დას.-იდან

აღმ. ფასადზე საკურთხევლის სარკმლის თაღოვანი ნაწილი ლეკალური აგურის თაღსართითაა მორთული. სარკმლის ზემოთ, შუა შემაღლებული ნაწილის ფრონტონზე, რ-იც ასევე მთლიანად აგურითაა გამოყვანილი, გამოსახულია ორი რელიეფური ჯვარი – შერწყმული განივი მკლავებით. ჯვრების ზედა მკლავებს შორის, კონქსზედა სიერცის გასანიავებელი მრგვალი სარკმელია, რ-ის ზემოთ, ჯვრების ზედა მკლავებზე დაყრდნობილ ხოლურაზე, დადგმულია წყობიდან შეერილი აგურებით გამოყვანილი ტოლფერდა სამკუთხედი.

დას. ფასადზე, შესასვლელის ორივე მხარეს, ოდნავ ზემოთ, გამოსახულია თითო შეღრმავებული ჯვარი. უფრო ზემოთ, ფასადის შემაღლებული ნაწილის ღერძზე, ვიწრო სწორკუთხა სარკმელია, რ-საც ლეკალური აგურის თაღოვანი საპირე ეკვება. სარკმლის ორივე მხარეს თითო რელიეფური ჯვარია, რ-ებიც ჰორიზ. ხოლურაზეა დაყრდნობილი. ფასადის გვერდით ნაწილებში თითო პატარა შეღრმავებული არეა – საფეხურებად დამუშავებული თავით. თითოეულ არეში გამოყვანილია კონსოლებზე დაყრდნობილი თითო რელიეფური თაღი.

ფასადის ფრონტონზე დადგმულია აგურით ნაგები, გეგმით წრიული სამრეკლო, რ-იც ოთხი თაღით გახსნილ და ნახევარსფერული სახურავით დასრულებულ ფანჩატურს წარმოადგენს.

ფასადები აგურის სამსაფეხურიანი ლავგარდნითაა დასრულებული. იგი შედგება ჩქეულებრივად დაწყობილ აგურის ორ რიგს შორის მოქცეული კუთხით წინწამოწეული აგურების ერთი რიგისგან.



222. ინტერიერი, ხედი გუმბათზე

ეკლესიის გუმბათის ყელი გარედანაც მრგვალია. მასში ათი ვიწრო და მაღალი სარკმელია გაჭრილი; სარკმლების ზემოთ გუმბათის ყელი ზემოთკენ ოდნავ ვიწროვდება. გუმბათქვეშა კვადრატსა და სარკმლებს შორის მოქცეული ნაწილი ლეკალური ლილვით ნაწყობი სარტყელით გამოყოფილია ორ ტოლ ნაწილად. მათგან ქვედა შეღრმავებული რომბების მწკრივითაა მორთული, ხოლო ზედა სადაა. სარკმლების გვერდებსა და თაღებს გარს ეკვება ლეკალური აგურით ნაწყობი შეწყვილებული ლილვი. სარკმლებშორისი არეების ზემოთ ლეკალური აგურით რელიეფური ჯვარია გამოსახული, რ-თა განივ მკლავებს შორის გამოყვანილია ფრონტონისებრი შვერილი. გუმბათის ყელი დასრულებულია მარტივი ორსაფეხურიანი ლავგარდნით და დაგვირგვინებულია აგურისაევე პირამიდული სახურავი.

2007 წ. საერთაშ. საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით ძეგლზე ჩატარდა სარესტ. სამუშაოები. ტაძარი გაიწმინდა მცენარეულობისაგან, აღდგა ფრონტონებისა და ლავგარდნის დანგრეული ნაწილები, სარკმლის წირთხლები, დაიშალა და ხელახლა აიგო კედლების დაზიანებული ნაწილები, გუმბათზე მოიხსნა თუნუქის სახურავი და გადაიხურა აგურით, ინტერიერი გაიწმინდა ნალესობისგან და აიგო კანკელი, ეკლ. გადაიხურა ღარისებრი კრამიტით.

თ. დვალი.

ბიბლ.: 27; 335.

223. შანას საყდარი, არქიტ. ძ დგას სოფლის ჩრდ. დას-ით 2 კმ-ზე, მაღალი მთის წვერზე. განკუთვნება განვით. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (5,25×4,2 მ), ნაგებია რიყის ქვითა და დუღაბით. წყობა ირეგულარულია. ძლიერაა დაზიანებული: მთლიანადაა დანგრეული აღმ. კედელი;





223. ჭრილი, სვლი ჩრდ.-კენ. გეგმა

მონგრეულია დას., სამხრ. და ჩრდ. კედლების ზედა ნაწილები. შესასვლელი სამხრ.-დან ყოფილა (შემორჩენილია აღმ. წირთხლი). აღმ-ით, ნახევარწრიული აფსიდის გეგრდებში თითო სწორკუთხა ნიშაა.

თ. მარკოზაშვილი.



223. სვლი აღმ-იდან

224. ჩალიანის სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის დას-ით, ჩალიანის ხევის მარცხ. დაფერდებულ ნაწილში. სამაროვანი ორიარუსიანია, ქვედა იარუსის სამარხები ძვ. წ. II ათასწლ. მიწურულს განეკუთვნება, ზედა – ძვ. წ. I ათასწლ. დასაწყისს.

ძეგლს 1959 წ. მიაკვლია ბაბ ინ-ტის კაპ-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). იგი ძლიერ იყო დაზიანებული სას.-სამ. სამუშაოების შედეგად.

სამაროვანი დიდ ფართობს (1000×300 მ) მოიცავს. ქვედა სამარხი ორმო ოთხკუთხაა და ხის ძელებით ყოფილა გადახურული. მიცვალებულები სამარხის ცენტრ. ნაწილში არიან დასვენებული – მარცხ. ან მარჯვ. გვერდზე, ძლიერ მოხრილი კიდურებით, თავით ჩრდ-ით ან ჩრდ.-აღმ-ით. გარშემო თიხის ჭურჭელი ჰქონდათ შემოწყობილი. აღმოჩნდა ლითონის იარაღი და სამკაულიც. ერთ-ერთ სამარხში მიცვალებულს თავი ხელსაფქვავის ქვაზე ედო.

მასალა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ-ეთნ. საცავში.

ბ. მაისურაძე.

ბიბლ.: 184.

225. წმ. ბარბარეს ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით 1,5 კმ-ზე. დიდთელებად წოდებულ ადგილზე.

ეკლ. მთლიანად დანგრეულია. შემორჩენილია გეგმის კონტური (5×3,2 მ). ნაშენი ყოფილა მსხვილი და საშუალო ზომის რიყის ქვითა და კირის დუღაბით. შესასვლელი დას-იდან ჰქონია, აღმ-ით კი – ნახევარწრიული აფსიდი.

ნაეკლესიარზე დიდი ხეა ამოსული.

თ. მარკოზაშვილი.

226. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას-ით 2 კმ-ზე. განეკუთვნება XIX ს.

ეკლ. დარბაზულია (10×4,5 მ), ნაგებია მსხვილი რიყის ქვით, კვადრ. აგურით და კირის ხსნარით. კუთხეებში აქა-იქ საფლავის ქვებია ჩასმული. 1982 წ. სოფლის მცხოვრებლებს ეკლ. გაურემონტებიათ და თუნუქის სახურავით გადაუხურავთ.

შესასვლელი ეკლესიას დას-იდან აქვს. კარი აგურით ნაწყობი თაღითაა გადახურული. აღმ-ით ნახევარწრიული ოდნავ შებრტყელებული აფსიდია, რ-ის დერძზე მდგალი და ფართო, თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. მსგავსი თითო სარკმელია სამხრ.-და ჩრდ. კედლებშიც. აფსიდის სარკმელში გეგმით ნახევარწრიული, მაღალი ნიშაა. საკურთხეველი დარბაზისაგან ხის კანკელითაა (მოწყობილია რემონტის დროს) გამოყოფილი. კანკელის წინ ნახევარწრიული ამბიონია.

ქ. გაღონგობიანი.

227. წმ. მარინეს ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფელში. განეკუთვნება შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (5,7×4 მ), ნაგებია სხვადასხვა ზომის ნატეხი ქვით და კირის ხსნარით. დაზიანებულია: კედლები სხვადასხვა სიმაღლეზეა (მაქს. სიმ. – 3 მ) შემორჩენილი; თითქმის მთლიანადაა ჩამოცვენილი საპირე ქვები; აღმ. და დას. კედლები შუაში განგრეულია; მონგრეულია ჩრდ.-დას. კუთხე.

ეკლესიას შესასვლელი სამხრ.-დან ჰქონია (შემორჩენილია აღმ. წირთხლის ნაშთი). აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-იც დარბაზისაგან მხრებითაა გამოყოფილი. გრძივი კედლების აღმ. ნაწილში თითო ოთხკუთხა ნიშაა. დას. კედელში ერთი სარკმელია გაჭრილი.

ბ. კუპრეიშვილი.

მუკუზანი

(საკრებულოს ცენტრი)

228. მუკუზანი, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს გომბორის ქედის ჩრდ.-აღმ. კალთაზე, გურჯაანიდან 12 კმ-ზე.

წერილობით წყაროებში სოფელი 1614 წლის ამბებთან დაკავშირებით იხსენიება, როდესაც შაჰ-აბასმა არ იკმარა თეიმურაზ I-ის დედის – ქეთევან დედოფლის და ორი ვაჟიშვილის მძევლობა და თვით მეფეს მოსთხოვა ხლება. თეიმურაზმა და ქართლის მეფე ლუარსაბმა დამპყრობელთან შუბმა გადაწყიტეს. თეიმურაზმა შემოიკრიბა კახთა ჯარი და „გაავლო მუკუზნიდან გალმა მხარეზედ ჯუბი-

რი და დადგა". აღნიშნული ხეობე მდ. ალაზნამდე მიდიოდა და ველისციხეს, ახაშენსა და ზეგაანსაც იცავდა. შაჰმა მოისყიდა კახელ დიდებულთა ერთი ნაწილი, რითაც შეასუსტა მეფის ძალები. თეიმურაზი იძულებული გახდა დაეტოვებინა მუკუზანი და ჭალეთში გადავიდა, სადაც დაამარცხა ყიზილბაშთა ლაშქარი და მუხრანში ლუარსაბს შეუერთდა.

სოფ. მუკუზანი ძირითადად სამეფო და ნაწილობრივ სათავადო საკუთრება იყო. აქ ყმა-მამულს ფლობდნენ ანდრონიკაშვილები, ნაზირიშვილები, მამუჩიშვილები. ხშირი იყო სოფლის კუთვნილ საკარგულებზე მათი დავა მეზობელ სოფლებთან, რასაც, როგორც წესი, მეფე აგვარებდა ხოლმე.

1797 წ., ისარგებლეს რა ერეკლე II-ის ავადმყოფობით, ლეკებმა ომარხან ავარიელის მეთაურობით ველისციხესთან ერთად მუკუზანიც გადაწვეს. რუსებმა საქართველოს მიერთების შემდეგ მუკუზანში სამხედრო პოსტი დააწესეს. რუსების მმართველობის წლებში მუკუზანი საუფლისწულო მამულად განიხილებოდა. აქ მოწყობილი იყო მელვინეობა-მეღვინეობის იმ დროისათვის კარგად განვითარებული მეურნეობა, სადაც დასაქმებული იყო დაქირავებული მუშახელი. საბჭოთა პერიოდში მუკუზანში ღვინის ორი ქარხანა ფუნქციონირებდა, რ-ებშიც საქვეყნოდ ცნობილი ღვინო „მუკუზანი" ისხმებოდა.

ქ. კახაძე

ბიბლ.: 63; 81; 172ე; 199გ; 203 დ-ე

229. ამაღლების ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას-ით, 0,5 კმ-ზე. განეკუთვნება XVIII ს-ის მიწურულს.

ეკლ. დარბაზულია (12,3×8,6 მ), ნაგებია აგურითა და რიყის ქვით. კედლები ძირითადად რიყის ქვისაა, რ-შიც თანაბარი ინტერვალებით, აგურის ორრიგა შრეებია ჩართული. შენობის გარეთა კუთხეები, კარ-სარკმელთა ღიობები, კონქი, კამარა და საბჯენი თაღები, გამოყვანილია აგურით. კედლები შიგნით შელესილი და შეთეთრებული ყოფილა (შემორჩენილია ნაწილი), ხოლო გარედან გასწორებული იყო კირის ბათქაშით.

შესასვლელი ორია: დას-იდან და სამხრ-იდან. გარედან ორივე კარი ისრული თაღითაა გადახურული, ხოლო შიგნიდან ხის ძელებით – თარაზულად.



229. გრძივი ჭრილი, ხედი სამხრ-კენ. გეგმა

ეკლესიის დარბაზი აღმ-ით დასრულებულია საკურთხევლის ნახევარწრიული აფსიდით, რ-იც დარბაზისგან ერთსაფეხურიანი პილასტრებითა და მათზე დაყრდნობილი ისრული თაღითაა გამოყოფილი. აფსიდში დგას ოთხწახნაგა ტრაპეზი.

ეკლესიის გრძივ კედლებზე გამოყვანილია სამ-სამი, ისრული თაღით დასრულებული შეღრმავება (სიღრმე – დაახლ. 1 მ), რებიც ერთმანეთისგან ორ-ორი ორსაფეხურიანი პილასტრითაა გამიჯნული. პილასტრების გვერდით საფეხურებზე შეღრმავებების თაღებია დაყრდნობილი, წინაზე კი – კამარის საბჯენი თაღები. თაღები შეისრულია – იმპოსტების გარეშე. ისრული ფორმისაა კამარაც.

აფსიდის გვერდებზე, კედლის სისქეში, მოწყობილია თითო პატარა სათავსი – სამკვეთლო და სადიაკვნე. ორივე სათავსი უფსიდოა, აღმ-ით დასრულებულია სწორი კედლით, რ-შიც სწორკუთხა გარეთკენ შევიწროებული ხარგმელია გაჭრილი. სამკვეთლოს სამხრ., ხოლო სადიაკვნის ჩრდ. კედლის დიდი ნაწილი აფსიდის კედლის უკანა შარავა და მის მოხაზულობას იმეორებს; რის გამოც სათავსების აღმ. ნაწილი, დას. ნაწილზე უფრო განიერია. სამკვეთლოს ჩრდ. კედლის შუაში პატარა ოთხკუთხა ნიშაა. აფსიდის სამხრ. გვერდში, იატაკიდან 0,5 მ სიმაღლეზე, სადიაკვნეში შესასვლელი მაღალი, სწორკუთხა კარია, ჩრდ. გვერდში კი – მოზრდილი ოთკუთხა ღიობი, რ-იც სამკვეთლოში გადის. სამკვეთლოს შესასვლელი დას-იდან, ჩრდ. კედლის აღმ. შელმავებიდან აქვს. სამკვეთლო გადახურულია კამარით, სადიაკვნეს კი ბრტყელი ჭერი აქვს.

ეკლესიის დარბაზი ხუთი სარკმლითაა განათებული: ორ-ორი გრძივი კედლების განაპირა უბეებშია, ერთი – დას. კედლის ზედა ნაწილში. დას. სარკმელი ორივე მხრიდან სწორკუთხაა, დანარჩენებს კი, როგორც შიგნით, ისე გარედანაც, ისრული თაღი ხურავს.



229. დას. ფასადი

ეკლესიის დას. ნაწილში მოწყობილი ყოფილა ხის პატრონიკე. მასზე ასასვლელად დას. კედლის ჩრდ. ნახევრის სისქეში კიბეა, რის სწორკუთხა შესასვლელი კედლის ჩრდ. კიდეშია. კარი ხის ძელითაა გადახურული. კიბიდან პატრონიკეზე გამომავალი კარიც სწორკუთხაა.

კამარის სამხრ. გვერდის აღმ. კიდეში, კონქის თაღთან, წყობიდან

დაახლ. 25 სმ-ზე გამოშვერილია ხის ძელი (სიმ. დაახლ. – 20 სმ), რასაც კუთხე ირიბად აქვს ჩამო-



229. ხედი სამხრ.-დას-იდან

ჭრილი და ოთხი ლილვითაა პროფილირებული.

დას. და სამხრ. ფასადებზე შესასვლელები ჩასმულია საფეხურით შეღრმავებულ არეში, რასაც აგვირგვინებს აგურის ხერხულა წყობით გამოყვანილი ფრიზი. დას. ფასადზე, ფრონტონის არეში, აგურის წყობით სამ საფეხურზე მდგომი შეღრმავებული ჯვარია გამოსახული.

ფასადები აგურის ოთხსაფეხურიანი ლავგარდნით ყოფილა დასრულებული (შემორჩენილი იყო დას. ფრონტონის წვერში), რ-იც შედგენილი იყო ჩვეულებრივად დალაგებული და კუთხით შვერილი აგურების რიგების მონაცვლეობით. ეკლ. გადახურული ყოფილა ღარისებრი კრამიტით.

1996 წ. სოფლის მკვიდრის ა. გუგულაშვილის ხარჯებით ეკლესიას ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები. დას. ფასადის წინ მოიხსნა დაახლ. 1 მ სიმაღლის მიწის ფენა; ინტერიერში პილასტრები და საბჯენი თაღები გამაგრდა ლითონის კუთხოვანებით; აღდგენილ იქნა აღმ. და გრძივი ფასადების ზედა ნაწილები, მოეწყო ახალი ლავგარდანი – ჰორიზ. შემონაკეცებით ფრონტონების ძირებთან; ეკლ. გადაიხურა კრამიტით.

თ. დვალი.

230. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-დას-ით 1 კმ-ზე, მდ. ჭერმისხევის მარჯვ. ნაპირზე, სასაფლაოზე. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.



230. გეგმა. გრძივი ჭრილი, ხედი სამხრ-კენ

ეკლ. დარბაზულია (6,6×4,64 მ). ნაგებია რიყის ქვითა და კირის დუღაბით. წყობა ირეგულარულია. დას. კედელში დიდრონი, თლილი რიყის ქვებია ჩართული. ძლ. დაზიანებულია: ჩამოქცეულია კამარა და კონქი, აღმ. კედელს მთელ სიმაღლეზე ბზარი დაუყვება. შენობა ნაწილობრივ მიწაშია ჩამჯდარი და მცენარეულობითაა დაფარული.

ეკლესიის შესასვლელი სამხრიდანაა. კარი სწორკუთხაა. აღმ-ით, ნალისებრი მოხაზულობის აფსიდში, შიგნიდან გარეთკენ თანდათან დავიწროებული, თარაზულად გადახურული სარკმელია გაჭრილი. აფსიდის ორივე გვერდში თითო მცირე ზომის სწორკუთხა ნიშაა.

ქ. გიორგობიანი.

231. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სასაფლაოზე. განეკუთვნება შუა საუკუნეებს. მთლიანად დანგრეულია (გეგმა არ იკითხება). შემორჩენილია მხოლოდ ჩრდ.-აღმ. კუთხე და დას. კედლის მცირე ნაწილი. ეკლ. ნაგები ყოფილა რიყის ქვით.

ბ. კუპრეიშვილი.

232. საცხოვრებელი ნაგებობა, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას-ით, 3 კმ-ზე, ტყეში. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს. ადგილ. მოსახლეობა მას ნადარბაზევს, ცხრააკვანას და ყარალაანთ ნასახლარს უწოდებს.

ნაგებობა დიდი ზომის ყოფილა, მისგან მხოლოდ სამი კედელიღაა შემორჩენილი – სხვადასხვა სიმაღლეზე. შენობა ნაგები ყოფილა რიყის ქვითა და კირის ხსნარით.

ბ. კუპრეიშვილი.

233. სვეტიცხოვლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას შუა სოფელში, გურჯაან-თელავის გზის პირას.

ეკლ. ერთიანად არაა აგებული და აშკარად ეტყობა აღდგენა-გადაკეთებების კვალი, რის შედეგადაც მას თავდაპირველი სახე შეცვლილი აქვს. ნაგებობის კედლებში რამდენიმე სამშენებლო

ფენა გამოიყოფა, რ-ებიც ერთმანეთისგან, როგორც მასალით, ისე წყობის ხასიათითაც განსხვავდება. ეკლესიის ნაწილთა მშენებლობის ქრონოლოგიური თანმიმდევრობის მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ ადრე ამ ადგილას მდგარა ძველი, სავარაუდოდ VI-VII სს-ების, სამეკლესიიანი ბაზილიკა, რ-ის დანგრევის შემდგომ იგი დარბაზულ ეკლესიად გადაუკეთებიათ და თავდაპირველი ეკლესიის შემორჩენილი ნაწილები ახალი ეკლესიის კორპუსში ჩაურთავთ. XVIII ს-ში ეკლ. საფუძვლიანად შეუკეთებიათ. ამ დროს აღუდგენიათ დას. კედელი და აღმ. კედლის ზედა ნაწილი, შიგნით ეკლ. გადაუხურავთ აგურის კამარით, ხოლო გარედან კრამიტის ორფერდა სახურავით. ეკლესიას მცირე გადაკეთებები XIX ს-შიც განუცდია.

1988-89 წწ-ში სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნომ ძეგლზე ჩაატარა სარესტ. სამუშაოები (პროექტის ავტორი, არქიტ. ნ. ჩიკაშუა). გაიწმინდა და კეთილმოეწყო ეკლესიის მიმდებარე ტერიტორია; ეკლესიის შიგნით დაიგო აგურის იატაკი; აღდგა საკურთხეველის გვერდითი სათავსების კედლები (დაახლ. 1 მ სიმაღლეზე), გარეთა კედლების საპირე წყობის ჩამოშლილი ნაწილები და ლავგარდანი (მცირე ნაწილი შემორჩენილი იყო აღმ. და დას. ფასადებზე); მოხსნა დას. ფრონტონის წვერზე დადგმული სამრეკლოს შემორჩენილი საფუძველი; ეკლ. გადაიხურა დარისებრი კრამიტით.



233. გაგმა

თავდაპირველი ნაგებობისგან შემორჩენილია: მთავარი ეკლესიის აფსიდი – კონქის მცირე ნაწილით, სამხრ., დას. და ჩრდ. კედლების ნაწილები (სხვადასხვა სიმაღლეზე) და აფსიდის გვერდებზე მდებარე სათავსების კედლების კვალი – გეგმის მთელ კონტურზე.

ეკლესიის თავდაპირველი ნაწილი მთლიანად რიყის ქვითაა ნაგები. ქვებ. ზომითა და ფორმის მიხედვით შერჩეულია და დაწყობილია სწორხაზოვან რიგებად. აღდგენილი კედლების მნიშვნელოვანი ნაწილი რიყის ქვის ირეგულარული წყობითაა გამოყვანილი, ხოლო ნაწილი (აღმ. კედლის ზედა ნაწილი და დას. კედელი – თითქმის მთლიანად) რიყის ქვისა და აგურის წყობის მონაცვლეობით – რიყის ქვა ერთმანეთისგან თანაბარი მანძილებით დაცილებულ, ორრიგად ნაწყობ აგურის თარაზულ შრეებს შორისაა მოქცეული. კამარა, კონქი, საბჯენი თაღები, კარ-სარკმელთა ღიობები, დას. კუთხეების ზედა ნაწილები და ლავგარდანი მთლიანად აგურისაა.

ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს, სამხრ-იდან და დას-იდან. სამხრ. შესასვლელის თაღი მშვილდისებრია, დას. შესასვლელისა კი – ნახევარწრიული. შიგნით იატაკის დონე მიწის დონეზე დაბლაა, რის გამოც შესასვლელებთან ორ-ორ საფეხურიანი კიბეა მოწყობილი.

შიდა სივრცე საკმაოდ ვრცელია (შიდა ზომები: სიგრძ. – 20,5 მ, სიგ. – 6,5 მ), აღმ-ით იგი დასრულებულია ნალისებრი აფსიდით, რ-ის ღერძზე გაჭრილია თაღო-



233. გრძივი ჭრილი, ხედი სამხრ.-კენ



233. ინტერიერი, ხედი დას-კენ

ვანი სარკმელი. სარკმლის ორივე მხარეს თითო ნიშაა: ჩრდ-ით თაღოვანი, სამხრ-ით – სწორკუთხა.

საკურთხეველის სარკმლის გარდა, ინტერიერს კიდევ ხუთი თაღოვანი სარკმელი აშუქებს. ორ-ორი სამხრ. და ჩრდ. კედლებშია, ერთი – დას-ით. მოგვიანებით (XIX ს-ში) სამხრ. და ჩრდ. სარკმლები გაუგანიერებიათ და მშვიდისებრი თაღით გადაუხურავთ (რესტავრაციის დროს სარკმლებს დაუბრუნდა თავდაპირველი სახე).

გრძივ კედლებზე ოთხ-ოთხი მრგვალი, ზემოთკენ შევიწროებული, დაუდეგრად ნაგები მასიური სვეტია მიდგმული, რ-ებსაც ეყრდნობა გრძივი მიმართულებით გადაყვანილი სამ-სამი საკმაოდ ფორმადაკარგული თაღი (ზოგიერთი შეისრულია). ამ კონსტრუქციას ეყრდნობა დარბაზის შეისრული კამარა. თალები კედლების გრძივ კედლებს წყობით კი არ უკავშირდება, არამედ მათზეა მიყრდნობილი. დას-იდან I, II და III სვეტების ასწვრივ კამარის საბჯენი თაღებია, მათ ჭუსლებთან გამოყოფილია ორსაფეხუროვანი იმპოსტები.

ჩრდ. კედლის აღმ. ნაწილში მოწყობილია მაღალი, თარახულად გადახურული კარი, რ-იც აფსიდის ჩრდ-ით მდებარე, გეგმით სწორკუთხა სათავსში გადის. კარი სათავსის მხრიდან ნახევარწრიული თაღითაა გადახურული. მეორე მსგავსი სათავსი მოწყობილი იყო აფსიდის სამხრ-ითაც. იგი აღმ-ით ნალისებრი აფსიდითაა დასრულებული და ცალკე შესასვლელი დას-იდან ჰქონია.

ეკლესიის ფასადები შელესილი და შეთეთრებული ყოფილა. აღმ. ფასადის ღერძზე საკურთხევლის თაღოვანი სარკმელია, რ-ის ასწვრივ ფრონტონის არეში, აგურის წყობით გამოყვანილი, საფეხურებიან კვარცხბეკზე დადგმული ჯვრის შელრმაებული გამოსახულებაა, რ-იც წითლადაა შელებილი.

დას. ფასადზე შესასვლელის თავზე კვადრ. ნიშაა, ხოლო ფრონტონის არეში წითლად შელებილი ჯვრის რელიეფური გამოსახულება.

კედლები დასრულებულია აგურის სამსაფეხურიანი ლაქვარდნით, ჰორიზ. შემონაკეცებით ფრონტონის ძირებთან.

თ. დვალი.

ბიბლ.: 335.



233. ხედი სამხრ.-დას-იდან

234. წმ. გიორგის ეკლესია, მჭედლიანთ სადარი, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას-ით 1,5 კმ-ზე. სავარაუდოდ განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (6,95×5,3 მ). ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით. დაზიანებულია: მთლიანად ჩამოშლილია კრამიტის საბურავი და ლაქვარდანი, შიგნით აღმ. და დას. კედლებს, მთელ სიმაღლეზე ღრმა

ბზარები დაუყვება, დაბზარულია კამარა და კონქი, ფასადებზე აქა-იქ ჩამოცვენილია საპირე ქვები.

შესასვლელი სამხრ-იდანაა. კარის თაღის ნაწილი ჩამონგრეულია. ეკლესიის დარბაზი მოკლეა (დარბაზის სიგ. დაახლ. 1 მ-ით მეტია სიგრძეზე), აღმ-ით დასრულებულია ღრმა, ოდნავ შებრტყელებული აფსიდით, რ-შიც შიგნიდან გარეთკენ თანდათან დავიწროებული, თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. აფსიდის გვერდებში თითო პატარა სწორკუთხა ნიშაა. საკურთხეველი დარბაზისაგან მოკლე მხრებითაა გამოყოფილი. აფსიდი კონქითაა გადახურული, რ-ის ნახევარწრიული თაღი თაროსებრ იმპოსტებს ეყრდნობა. დარბაზი გადახურულია ნახევარწრიული კამარით. დას. და ჩრდ. კედლებში თითო თაღოვანი, შიგნიდან გარეთ დავიწროებული სარკმელია. დას. კედელში, სარკმლის ქვემოთ, ერთი პატარა სწორკუთხა ნიშაა. იატაკი მიწატკეპნილია.

ქ. გიორგობიანი.



234. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

ნანიანი

(საკრებულოს ცენტრი)

235. მთავარანგელოზის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სასაფლაოზე. განეკუთვნება XIX ს.

ეკლ. გეგმით სწორკუთხაა (12,5×6,4 მ), ნაგებია რიყის ქვისა და აგურის რიგების მონაცვლეობით. კარ-სარკმლები გამოყვანილია აგურით.

1995 და 2000 წწ-ში. სოფლის მოსახლეობამ ძ. შეაკეთა: შეილესა და შეთეთრდა ინტერიერი, დაიდგა მარმარილოს კანკელი, იატაკი მოიგო ქვის ფილებით, ეკლესიის ირგვლივ გაკეთდა სარინელი.

შესასვლელი ორია: სამხრ-იდან და დას-იდან. ორივე კარი მშვილდისებრი თაღითაა გადახურული. აღმ-ით შვერილი ნახევარწრიული აფსიდია, რ-შიც ნახევარწრიულთაღოვანი სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ორივე მხარეს ორ-ორი თაღოვანი ნიშაა. საკურთხევლის შუაში სწორკუთხა ტრაპეზი დგას. საკურთხევლის იატაკი დარბაზის იატაკზე ერთი საფეხურით მაღალია. ცილინდრული კამარის საბჯენი თაღი გრძივ კედლებზე არსებულ ერთსაფეხურიან პილასტრებს ეყრდნობა. ერთსაფეხურიან პილასტრებზეა დაყრდნობილი დას. კედლის მიმდებარე საბჯენი თაღიც.



235. გრძივი ჭრილი, ხედი ჩრდ-კენ. გეგმა

სამხრ. და ჩრდ. კედლების აღმ. ნაწილში, ერთმანეთის სიმეტრიულად, თითო თაღოვანი სარკმელია გაჭრილი.

ეკლესიის ოთხივე კუთხეში და გრძივი ფასადების შუაში, მარტივი პილასტრებია გამოყვანილი. დას. ფასადის ფრონტონში კედლის სიბრტყეში ჩაძირული ტოლმკლავა ჯვარია გამოსახული. ხოლო კეხზე აღმართულია კვადრატ. აგურით ნაგები, ოთხ სვეტზე დაყრდნობილი, ოთხივე მხარეს ნახევარწრიული თაღებით გაჭრილი სამრეკლო, რ-ის პირამიდულ სახურავზე რკინის ტოლმკლავა ჯვარია აღმართული.

ლავგარდანი გამოყვანილია აგურის ორმაგი ჰორიზ. წყობით. სახურავი კრამიტისაა.

თ. მარკოზაშვილი.

სამების ეკლესია

236. სამების ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლების ვაჩნაძიანისა და კალაურის მიდამოებში, შუიდიოდე კმ-ის მანძილზე, მაღალი მთის წვერზე (ზღვის დონიდან 1000 მ), ყველაწმინდის სამონასტრო კომპლექსიდან სამხრ.-აღმ-ით, ორასიოდე მ-ზე.

ეკლ. ღრმა ხევის პირასაა აგებული. დროთა განმავლობაში ხევის ნაპირი ჩაშლილა, რის გამოც ეკლესიის აღმ. ბოლო ქარაფზე გადაკიდებული.

ეკლ. დარბაზულია (5,6×3,8 მ). ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვითა და დიდი ზომის, მეტ-ნაკლებად დამუშავებული შირიმის ქვით, კუთხეები ძირითადად გამოყვანილია დიდი ზომის შირიმის გათლილი კვადრებით. გარედან კედლის ზედაპირის მნიშვნელოვანი ნაწილი გასწორებულია ბათქაშით, ხოლო შიგნით მთლიანად შელესილია.



236. გეგმა

შესასვლელი დას-იდანაა. იგი კედლის ღერძიდან ოდნავ სამხრ-

ითაა გადაადგილებული. კარი გარედან გადახურულია აგურით ნაწყობი ნახევარწრიული თაღით, შიგნით – სწორკუთხაა. შესახვლელის წინ, ფასადის გასწვრივ, ქვით ნაშენი, დაახლ. 1,5 *მ* სი-



236. გრძივი ჭრილი, ხედი სამხრ.-კენ

მაღლის და 1 *მ* სიგანის ბაქანია, რ-საც სამხრ. ბოლოში მოწყობილი აქვს ოთხსაფეხურიანი კიბე.

ეკლესიის დარბაზი გეგმით კვადრატულია (2,5×2,5 *მ*). აღმ-იდან მას ერთვის ღრმა ნალისებრი აფსიდი, რ-იც დარბაზისგან მოკლე მხრებითაა გამოყოფილი. აფსიდში მცირე ზომის სწორკუთხა სარკმელი და ორი პატარა კვადრ. ნიშაა – სამხრ. და ჩრდ. გვერდებში. ერთი პატარა სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი სამხრ. კედლის აღმ. ბოლოში. საკურთხეველისა და დარბაზის იატაკი ერთ დონეზეა. აფსიდის შუაში დგას ოთხწახნაგა ტრაპეზი. დას. კედელს საფეხური გასდევს. შიგნით ეკლ. გადახურულია არაწესიერი ნახევარწრიული სხმული კამარით.

ეკლ. მოხატულია. მხატვრობა სტილისტურად უკავშირდება პოსტბიზანტიურ ეპოქას, კერძოდ XVI ს-ის ე. წ. „ხალხური მხატვრობის" მიმდევართა დიდ ჯგუფს, რ-ებსაც ვხვდებით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მ. შ. კახეთშიც. მხატვრობის ფრაგმენტები შემორჩენილია საკურთხეველში, კამარის ორივე გვერდზე, დას. და ჩრდ. კედლებზე. მოხატულობა დაყოფილია ორ რეგისტრად (რეგისტრის მოწითალო-ყავისფერი ხაზის კვალი შეიმჩნევა კამარის დას. ნაწილში და დას. კედელზე).

საკურთხევლის კონქში წარმოდგენილია *ქრისტეს დიდება*, გაირჩევა: მაცხოვრის ტანსაცმლის ნაწილი, მარჯვ. ფეხი, ტეტრამორფის თუ ექვსფრთედის ფრაგმენტი; ქრისტეს მარცხნივ და მარჯვნივ – მთელი ტანით გამოსახული, საიპერატორო ტანსაცმელში გამოწყობილი ორი მთავარანგელოზი. ქვემოთ ეკლესიის მამები იქვნენ წარმოდგენილნი. სარკმლის ჩრდ-ით ერთი ფიგურა გაირჩევა, რ-ის სახე ფრონტალურადაა გამოსახული, სხეული – სამი მეოთხედით. მას ორივე ხელით დახურული წიგნი უჭირავს. მხატვრობას ქვემოთ შემოუყვებოდა ორნამენტის ზოლი (არ არის შემორჩენილი). ორნანენტი (მცენარეული?) ამკობდა აგრეთვე სატრიუმფო თაღს (შემორჩენილია მხოლოდ ჩრდ. კუთხეში).

საკურთხევლის კედ. შებრუნებული ვედრების ნიშნად ხელაპყრობილი ფიგურა, თანმხლები წარწერა წარწერის მიხედვით – სერებლი. როგორც ჩანს, ეს მთავარანგელოზი სალათოლია, ავადმყოფობისგან განმკურნებელი და დმერთისთვის ხალხის მაყედრებელი. ქვემოთ, ჩრდ. კედელზე შემონახულია წმ. მეომრის თავი და წელზედა ნაწილი. პოზის მიხედვით იგი ცხენზეა ამხედრებული და სავარაუდოდ გველეშაპს გმირავს.

დას. კედლის, სამხრ. მონაკვეთზე, ზემოთ, ისევე როგორც კონქში, წარმოდგენილია *უფლის დიდება*. ტახტზე მჯდომარე ქრისტეს მარჯვნივ და მარცხნივ მისკენ შებრუნებული, თაყვანისცემის ნიშნად ხელაპყრობილი ორი ანგელოზი დგას. ერთ-ერთი ანგელოზის უკეთ შემონახული გამოსახულების მიხედვით ჩანს, რომ ორივე ანგელოზს სფერო და დახვეული გრაგნილი უჭირავს. იქვე დას. კედლის ჩრდ. მონაკვეთზე მთელი ტანით გამოსახულია ღვთისმშობელი ყრმით, რ-იც მიბრუნებულია მისკენ მიმართული ხელაპყრობილი მთავარანგელოზისკენ. ყრმა



236. ხედი სამხრ.-დას-იდან

დარბაზის აღმ-ით, კამარის სამხრ. გვერდზე წარმოდგენილია *უფლის შობა*, დას-ით – *ნათლისღება*; კამარის ჩრდ. გვერდის – დას-ით – *ჯვარცმა*, აღმ-ით –

ერთი ხელით აკურთხებს, მეორეში გრაგნილი უჭირავს. კომპოზიციის შესახებ ორი მოსაზრება არსებობს: პირველი, რომ ეს არის ნაკლებად გავრცელებული რედაქციის მიხედვით შესრულებუ-



236. ინტერიერი, მოხატულობის ფრაგმენტი

ლი ხარება; მეორე, რომ ეს არის ღვთისმშობლის დიდება, ადგილის სიმცირის გამო წარმოდგენილია მხოლოდ ერთი მთავარანგელოზის თანხლებით. ამავე კედელზე, ქვემოთ, გამოსახულია წმ. მეომრის ფრონტალური ფიგურა (წმ. თეკლორე?).

მოხატულობის იკონოგრაფიაში ხაზგასმულია როგორც ქრისტეს, ისე ღვთისმშობლის დიდების ამსახველი თემები. ღვთისმშობლის შარავანდს და. კედელზე და ფონს ამავე სცენაში, აგრეთვე ჯვარცმაში ამკობს უთუოდ სიმბოლური დატვირთვის მქონე ჭვავილის (გვირილა?) სქემატურად შესრულებული მოტივი.

თავისებურია მხატვრობის საერთო აგებულება: გამოსახულებები ერთ სასურათე სიბრტყეზე არიან განლაგებულნი – გამყოფი ვერტ. ხაზების გარეშე. გამოსახულებათა ზედა და ქვედა რიგები რეგისტრის ხაზით მკაფიოდ არ არის განცალკევებული. ასე, მაგ., დას. კედელზე, მეომრის შარავანდი ებჯინება და თითქმის კვეთს კიდეც რეგისტრის ხაზს.

ლაკონიურია ცალკეულ კომპოზიციათა გადაწყვეტა, შემცირებულია მონაწილეთა და პეიზაჟის ელემენტების რაოდენობა (შობა, ნათლისღება). 1945 წ. გადაღებულ ფოტოზე შობის სცენაში ჩანს დაბალი მთაგრეხილები და ცხენოსანი – წმ. მეომრის ახლოს.

სტატიკურ ფიგურათა ჟესტიკულაცია თავშეკავებულია. ხშირად მათ ვედრების თუ თაყვანისცემის გამოსახატავად ხელები აქვთ აპყრობილი. განწყობა გადმოცემულია თვალების, გუგების და წარბების ვარირებით. სახეთა გამომეტყველება უმთავრესად უშუალოა.

მოხატულობის შესრულების მანერა გრაფიკულია და მეტად გამარტივებული. ამავე დროს, ძლიერ იგრძნობა ორნამენტულ-დეკორატიული საწყისის უპირატესობა. კოლორიტი აგებულია ძირითადად ოქროსფერი ოქრას, მონაცრისფრო-ცისფრის, აგურისფერი თუ მოყავრდისფრო-წითლის და მოწითალო-ყავისფრის შეხამებით.

აღმ. ფასადის სარკმლის ღიობი შედგება ვერტიკალურად განლაგებული და ერთმანეთზე გადაბმული სამი წრისგან, რ-ებიც



236. აღმ. ფასადი, საკურთხევლის სარკმელი

შირიმის ერთ ქვაში არის გამოკვეთილი. სარკმლის ირგვლივ ქვლება ჩაკვეთით გამოყვანილი ნახევარწრიულთავიანი ჩარჩო. დას. ფასადზე, შესასვლელის ზემოთ, ფრონტონის ფუძის დონეზე, წყობაში ჩასმულია შირიმის მოზრდილი, კვადრ. ფილა, რ-ზეც ფუნის, ჭაღრმავებით გამოხახულია რელიეფური ჯვარი. აქედანვე დასრულებული ყოფილა შირიმის პროფილირებული (თარო და დახრილი სიბრტყე) ლავგარდნით (შემორჩენილი იყო აღმ. ფასადზე). ეკლ. გადახურული ყოფილა ბრტყელი და ღარისებრი კრამიტით.

1999-2000 წწ-ში ძეგლზე ჩატარდა სარესტ.-საკონსერვაციო სამუშაოები (პროექტის ავტორი, არქიტ. ი. მოსულიშვილი). ეკლესიის კონსტრ. გამაგრების მიზნით კედლების ქვეშ მოეწყო რკინაბეტონის საძირკველი; საბერე წყობის ჩამოცვენილი ქვები დაუბრუნდა თავის პირვანდელ ადგილს, ხოლო მორყეულები გამაგრდა; ბზარები შეივსო კირის ხსნარით; აღდგა შირიმის ლავგარდანი; ეკლ. გადაიხურა კრამიტით; დას ფასადის წინ აღდგა კიბე; გრძივი კედლების გასწვრივ მოეწყო რიყის ბრტყელი ქვებისა და კირის დუღაბის სარინელი, ეკლესიის კლდეზე გადაკიდებული ნაწილის ირგვლივ კი – შემოსავლელი.

ფ. დეკანოზიანი, თ. დვალი.

ბიბლ.: 335.

ფხოველი

(არაშენდის თემის საკრებულო)

237. ფხოველი, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს გურჯაანიდან 12-14 კმ-ზე.

ფხოველი, ისევე როგორც ბევრი სხვა სოფელი, მოსახლეობის მთიდან ბარში ყმად ჩამოსახლების შედეგია. ტოპონიმი ფხოველი სოფლის მცხოვრებთა წარმომავლობაზე მიუთითებს. სოფლის დაფუძნების შემდეგ იგი ჭერემის ეპარქიის შემადგენლობაში შედა. ჭერემის საეპისკოპოსოს გაუქმების შემდეგ, 1757 წლიდან, თეიმურაზ II-ის განწესების თანახმად ფხოველი ბოდბეელი მიტროპოლიტის ეზისელთ მოურავის ძის იოანეს ეპარქიას ერგო.

სოფელში ადგილ-მამულსა და ყმათა დიდ ნაწილს ანდრონიკაშვილები ფლობდნენ. ტრადიცი-

ულად მარტყოფის მოურავად სწორედ ფხოველის სათავადო სახლიდან გამოსული ანდრონიკაშვილების წარმომადგენელი ინიშნებოდა: ფხოველის მიწათმფლობელთა შორის იყვნენ მოურავიშვილები, ზურაბიშვილები, გობიტაშვილები. ამ უკანასკნელთა კახეთში ჩამოსახლებას იოანე ბაგრატიონი ანდრონიკაშვილებს უკავშირებს – ანდრონიკაშვილების წინაპარ ანდრონიკეს, რ-იც 1144 წ. მოსულა კახეთში, თავად გობიტაშვილების წინაპარნიც ჩამოჰყოლიან, ისინი ფხოველში დასახლებულან და ამ დროიდან ფხოველში ცხოვრობენო.

სამხ.-აღმინ. დაყოფით, ფხოველები ბოდბელი ეპისკოპოსის დროშის ქვეშ უნდა მდგარიყვნენ და ამ საქმის გამრიგე მოურავს დამორჩილებოდნენ.

1722 წ. ლეკებმა „წარსტყვევნეს სოფელი ფხოველი". მათ ტყვედ წაიყვანეს პაატა მოურავის შვილის მეულლე, რ-იც შემდეგ ჰუსეინ ხანმა შეირთო ცოლად.

სოფელი ფხოველი ამჟამად თითქმის დაცარიელებულია, მასში სულ რამდენიმე კომლიღა შემორჩა.

ქ. კახაძე

ბიბლ.: 61 I; 81; 83; 89; 90; 203 ა.

238. ასონიანთ ეკლესია, არქიტ. ძ. სოფლის სამხრ.-აღმ-ით ორიოდე კმ-ზე, ტყეში. მთლიანადაა დანგრეული. შემორჩენილია აფსიდის სამხრ. გეერდის კვალი. ეკლ. ნაგები ყოფილა მოზრდილი ნატეხი ქვითა და კირის ხსნარით.

ბ. კუპრეიშვილი.

239. ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს ბიად წოდებულ ადგილზე. ეკლესიიდან (10×6,7 მ) მხოლოდ დას. კუთხეების მცირე ნაწილებიღა დგას. დანარჩენი კედლების მხოლოდ კვალიღაა შემორჩენილი. ნაეკლესიარი დაფარულია ეკალბარდებით.

ბ. კუპრეიშვილი.

240. ელიას ეკლესია, არქიტ. ძ. დანგრეულია, შემორჩენილია ნახევარწრიული აფსიდის მცირე ნაწილი (სიმ. – 1-1,5 მ). დანარჩენი კედლები მიწის პირამდეა დანგრეული და გეგმა არ იკითხება.

ბ. კუპრეიშვილი.

241. კვირაცხოვლის ეკლესია, არქიტ. ძ. ეკლ. საძირკვლის დონეზეა შემორჩენილი. გეგმა არ იკითხება.

ბ. კუპრეიშვილი.

242. კვირიკეს ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-აღმ-ით 1 კმ-ზე, ტყეში. განკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (8,9×4,8 მ), ნაგებია ნატეხი ქვითა და აგურით. დაზიანებულია: სამხრ. და დას. კედლების დიდი ნაწილი დანგრეულია, მონგრეულია სამხრ.-დას. კუთხე. ჩრდ. ფასადის საპირე წყობა მთლიანად ჩამოშლილია, ჩამონგრეულია კამარის დას. ნახევარი და აღმ. ნახევრის სამხრ. გეერდი, გარედან კედლების დიდი ნაწილი მიწითა და მცენარეულობითაა დაფარული.





242. გრძივი ჭრილი, ხედი ჩრდ.-კენ. გეგმა

ერთადერთი შესასვლელი სამხრ.-იდანაა (შემორჩენილია თაღის ნაწილი და აღმ. წირთხლი). აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-შიც თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. აფსიდის ჩრდ. გეერდში, სხვადასხვა დონეზე, ორი ოთხკუთხა ნიშაა; მათგან ზედა, კედლის სისქეში მოწყობილ ოვალური მოყვანილობის სამალავს უკავშირდება. სფერული კონქის სატრიუმფო თაღს აფსიდის მხრებს ეყრდნობა. შემორჩენილია აგურის კანკელის ფრაგმენტები. ჩრდ. კედლის შუაში აგურით ნაწყობი ერთსაფეხურიანი პილასტრია. თითო თაღოვანი სარკმელია დას. და სამხრ. კედლებში. სამხრ. სარკმელი დაზიანებულია.



242. ინტერიერი, ხედი აღმ.-კენ

ეკლესიის ირგვლივ აღმოჩნდა გეერდებაკეცილი კრამიტის ნამტვრევები – პატარა რელიეფური ჯვრის გამოსახულებით.

ქ. გოთუა.

243. ლომისის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფ. ფხოველისა და სოფ. ზიარის საზღვარზე, ე. წ. კიკოს ტყეში, სასაფლაოზე. სავარაუდოდ განეკუთვნება განვით. შუა საუკუნეებს.



243. გეგმა

ეკლ. დარბაზულია (5,6×4,3 მ). ნაგებია მოზრდილი ლოდებითა და კირის ხსნარით. წყობა ირეგულარულია. შიგნითა კედლების წყობაში გაცილებით მცირე ზო-

მის ქვაა გამოყენებული. ძლიერ დაზიანებულია: სამხრ. და ჩრდ. ფასადებზე – მთლიანად და აღმ. ფასადის სამხრ. ნახევარზე ჩამოშლილია საპირე ქვები, ჩამოშლილია საბურავი და ლაყეარდანი.

ეკლესიაში შესასვლელი სამხრ-იდანაა. კარის გადახურვა და მის ზემოთ კედლის დიდი ნაწილი ჩამონგრეულია. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-შიც სარკმელია გაჭრილი (მოგვიანებით ამოუშენებიათ). სარკმლის სამხრ-ით და ჩრდ-ით თითო ოთხკუთხა ნიშაა, ხოლო ქვემოთ, კედელზე მიშენებული ტრაპეზის ნაწილია შემორჩენილი. კონქის თაღი ნახევარწრიულია. გრძივ კედლებს (დას. ნაწილში) და დას. კედელს (მთელ სიგრძეზე) საფეხური (სიმ. – 0,3 *მ*) გასდევს. შიგნით ეკლ. გადახურულია ცილინდრული ფორმის სხმული კამარით. ეკლ. მოხატული ყოფილა. აფსიდის ჩრდ. გვერდზე შემორჩენილია წითელი და ნარინჯისფერი ზოლები.

ბ. კუპრეიშვილი.

244. ნათლისმცემლის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს შუა სოფელში, განეკუთვნება შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (შიდა ზომები: 6,9×4,2 *მ*), ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვითა და კირის ხსნარით. ძლიერაა დაზიანებული: ჩამონგრეულია გადახურვა და კედლების ზედა ნაწილები, მონგრეულია სამხრ.-დას. კუთხე. ინტერიერი ამოვსებულია ჩამონაშალი ქვითა და მიწით.

შესასვლელი დას-იდან ჰქონია. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-შიც სარკმლის კვალი შეიმჩნევა. სარკმლის ჩრდ-ითა და სამხრ-ით თითო მადალი (სიმ. – 1,5 *მ*), თაღოვანი ნიშაა. ორივე ნიშის თაღი კვადრ. აგურითაა გამოყვანილი. სამხრ. კედელზე შემორჩენილია კამარის საბჯენი თაღის იმპოსტი.

ეკლესიის ირგვლივ შემორჩენილია ანდრონიკაშვილების გვარის წარმომადგენელთა საფლავის ქვები, რ-ებიც ეპიტაფიებით XIX ს. განეკუთვნებიან

ბ. კუპრეიშვილი, თ. მარკოზაშვილი.

245. ძვაშვეთის ეკლესია, არქიტ. ძ. საკარაუდოდ განეკუთვნება ადრინდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (6,4×4,9 *მ*), ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვითა და კირის ხსნარით – აქაიქ სწორხაზოვნად გამავალი რიგების გამოყვანით. დაზიანებულია: სამხრ. კედლის დიდი ნაწილი დანგრეულია, დანარჩენი კედლები დაახ. 2,5-3 *მ* სიმაღლეზეა შემორჩენილი. ჩრდ. ფასადი თითქმის მთლიანად მიწითაა დაფარული, ინტერიერი დაახლ. 1 *მ* სიმაღლეზე



245. ხედი დას-იდან

ამოვსებულია ჩამონაშალი ქვითა და მიწით.

ერთადერთი შესასვლელი დას-იდანაა. კარი ნალისებრი თაღითაა გადახურული. აღმ-ით ნალისებრი აფსიდია, რ-შიც სარკმელია გაჭრილი. სარკმლის გადახურვა და მის ზემოთ კედლის დიდი ნაწილი ჩამონგრეულია. სარკმლის სამხრ-ით ერთი ოთხკუთხა ნიშაა. აფსიდი დარბაზისაგან მხრებითაა გამოყოფილი. დას. კედელში, შესასვლელის ზემოთ, შემორჩენილია სარკმლის წირთხლების მცირე ნაწილი და რაფა.

მ. აბაშიძე.

246. ყველაწმინდის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის მახლობლად. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. „თაღისუფალი ჯვრის“ ტიპის ნაგებობაა. შენობის გეგმა ჯვარისებრია. აღმ. მკლავი მხოლოდ აფსიდს მოიცავს. დანარჩენი მკლავები სწორკუთხაა. აღმ. და დას. მკლავები ნიღრმით თანაბარია და გვერდითებზე ოდნავ ღრმაა, რის გამოც აღმოდან და დას-



246. გეგმა

ით ოდნავ ჭარბობს სამხრ.-ჩრდ. ღერძს (შიგნითა ზომები ღერძებზე: – 5,1×4,1 *მ*). გარედან ოთხივე მკლავს სწორკუთხა მოხაზულობა აქვს. ეკლ. ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყისა და ნატეხი ქვით.



246. ჭრილი, ხედი სამხრ.-კენ

კედლები ძირითადად რიყის ქვისაა. აგურითაა ნაწყობი გუმბათქვეშა საბჯენი თაღები, სარკმლთა ღიობები და გუმბათის ყელის დიდი ნაწილი – გადახურვითურთ. შიგნით კედლები შელესილი ყოფილა, ხოლო გარედან – შებათქაშებული. ძლიერაა დაზიანებული:

დანგრეულია ოთხივე მკლავის გარეთა კედლების (განსაკუთრებით სამხრ. მკლავის) ზედა ნა-



246. დას. ფასადი

წილები, მონგრეულია (მთელ სიმაღლეზე) გუმბათის ყელის ჩრდ. ნაწილი, სამხრ. შესასვლელის თაღი და დას. შესასვლელის თავზე

ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს: დას. და სამხრ. მკლავების ცენტრში. დას. კარი თარაზულადაა გადახურული, სამხრ-ისა – გარედან თაღოვანია, ხოლო შიგნით – სწორკუთხა.

საკურთხევლის აფსიდი ნახევარწრიული ფორმისაა. აფსიდში ისრულთაღოვანი სარკმელია გაჭრილი, რ-ის ჩრდ-ით ერთი შეისრულთაღოვანი ნიშაა. სარკმლის ქვემოთ წყობიდან შეერილი აგურების ორი რიგით გამოყვანილია 20 *სმ* სიგანის თარო, რ-იც აფსიდს თითქმის მთელ სიგრძეზე გასდევს. აფსიდის წინ, დაახლ. 0,7 *მ*-ზე, აგებულია აგურის კანკელი – შუაში აღსავლის კარით. მეორე კარი კანკელის ჩრდ. ბოლოშია მოწყობილი. კარის წინ, ჩრდ. მკლავის აღმ. კუთხე ოდნავ მოგრგვალებულია. სამხრ., დას. და ჩრდ. მკლავებში თითო ისრულთაღოვანი სარკმელია.

გუმბათის ყელი შიგნიდან მრგვალია, ხოლო გარედან რვაწახნაგოვანი. იგი ეყრდნობა ოდნავ შეისრული ფორმის ოთხ საბჯენ თაღს, თაღები – მკლავების გადაკეთით შექმნილ ოთხ კუთხეს. გუმბათქვეშა კვადრატიდან



246. ინტერიერი, ხედი აღმ-კენ

კედლის მნიშვნელოვანი ნაწილი, ლავგარდნის მხოლოდ ნაწილია შემორჩენილი.

გუმბათის ყელის წრიულ საფუძველზე გადასვლა აგურით ნაწყობი აფრების საშუალებითაა განხორციელებული. გუმბათის ყელში ოთხი თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. გარედან გუმბათის ქვედა დასრულებულია საფეხუროვანი ლავგარდნით, რ-იც შედგება ჩვეულებრივად დაწყობილი და კუთხით შეერილი აგურის რიგების მონაცვლეობით. ანალოგიურად გამოყვანილი ლავგარდნით ყოფილა დასრულებული ეკლესიის კედლებიც (მცირე ნაწილი შემორჩენილია დას. მკლავის დას. კედელზე). გუმბათი გადახურულია პირამიდული ფორმის სახურავით.

დას. ფასადის კარის არქიტრავზე გამოსახულია გეომეტრიული სახეები (წრეები, სამკუთხედები).

თ. დვალი.

247. ციხე, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ყოფილი სკოლის ეზოში. განეკუთვნება შუა საუკუნეებს. შემორჩენილია დიდი ზომის რიყის ქვითა და კირის ხსნარით ნაგები კედლის მცირე ნაწილი. ციხის გეგმა არ იკითხება.

ბ. კუპრეიშვილი.

248. ცხენიჭამიას ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის აღმ-ით 1 *კმ*-ზე, ტყეში, ცხენიჭამიად წოდებულ ადგილზე. განეკუთვნება გვიან. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (5×3,5 *მ*). თითქმის მთლიანადაა დანგრეული. შემორჩენილი კედლები დაახლ. 1,5-2 *მ* სიმაღლეზეა დგას; ინტერიერი 1-1,5 *მ* სიმაღლეზე ამოჟ სებულია მიწითა და ქვებით. ეკლესიის შიგნით ხეებია ამოსული.

შენობა ნაგები ყოფილა საშუალო ზომის რიყის ქვითა და აგურით. ეს უკანასკნელი, როგორც ჩანს, მოგვიანებით გამოუყენებიათ ეკლესიის აღდგენისას.

ერთადერთი შესასვლელი ეკლესიას დას-იდან ჰქონია (შემორჩენილია კარის სამხრ. წირთხლი საურდულე ხერელით). აღმ-ით ეკლ. დასრულებული ყოფილა ნახევარწრიული აფსიდით (შემორჩენილია გვერდების მცირე ნაწილები), რ-ის ჩრდ. გვერდში

ერთი თაღოვანი ნიშაა. გრძივ კედლებზე შემორჩენილია აგურით ნაწყობი კამარის ქუსლის ნაშთები.

თ. მარკოზაშვილი.

249. წამებულის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს შუა სოფელში. შემორჩენილია რიყის ქვით ნაშენი კედლის მცირე ნაწილი (სიმ. 1,5 მ). ეკლესიის მახლობლად მიწაში რამდენიმე ქვევრია ჩაფლული.

თ. მარკოზაშვილი.

250. წმ. ბარბარეს ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ. განაპირას, მთის კალთის ბუნებრივად მოვაკებულ მცირე ფართობზე. განეკუთვნება XVI ს.





250. გრძივი ჭრილი, ხედი სამხრ.-კენ. გეგმა

ეკლ. ნაგებია რიყის ქვით, ნატეხი ქვითა და კვადრ. აგურით. შიდა კედლები ძირითადად ქვისაა, რ-ებშიც გარკვეული ინტერვალებით, ჩართულია აგურის (უმეტესწილად ორრიგად ნაწყობი) პორიზ. შრეები. კარ-სარკმლთა ღიობები, არქიტ. ელემენტები და კონსტრ. ნაწილები აგურისაა. გარედან განივი კედლების ზედა ნაწილები, კუთხეები და მორთულობის ელემენტები მთლიანად აგურითაა გამოყვანილი. მოგვიანებით ჩრდ. კედელი აღუდგენიათ ნატეხი ქვისა და რიყის ქვის შერეული წყობით, ხოლო შიდა კედლები მთლიანად შეულესავთ (შემორჩენილია ფრაგმენტულად).

ძ. ძლიერ დაზიანებულია: ჩამონგრეულია გადახურვა, განივი და გრძივი (აქა-იქ) კედლების ზედა ნაწილები, კედლებზე და ინტერიერში მცენარეულობაა ამოსული.

ეკლ. გეგმით სწორკუთხაა (9,8×5,8 მ). ერთადერთი შესასვლელი დას-იდან აქვს. კარი ისრული თაღითაა გადახურული და ორივე მხრიდან კედლის სწორკუთხა შეღრმავებაშია ჩასმული. შიდა შეღრმავებას, რ-იც ორჯერ უფრო ღრმაა გარეთა შეღრმავებაზე, ხის ბრტყელი გადახურვა ჰქონია (შემორჩენილია კვალი).

აღმ-ით საკურთხეველის ნახევარწრიული აფსიდია, რ-შიც ისრულთაღოვანი სარკმელია გაჭრილი. აფსიდის ორივე გვერდში სხვადასხვა სიგანის თითო ისრულთაღოვანი ნიშაა. აფსიდის ჩრდ. გვერდის დას. ნახევარი, რ-შიც ნიშაა მოქცეული, ჩრდ. კედელთან ერთად მოგვიანებითაა აღდგენილი. აფსიდი გადახურული ყოფილა აგურით ნაწყობი კონქით (შემორჩენილია ქუსლის წყობის მცირე ნაწილი).

დარბაზის სამხრ. კედლის შუაში, აგურით ამოყვანილი ერთსაფეხურიანი პილასტრია (ჩრდ. კედელზე პილასტრი არ არის). საკურთხეველის სარკმლის გარდა, თითო თაღოვანი სარკმელია სამხრ. და დას. კედლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



250. ხედი სამხრ.-დას-იდან

შიგნით ეკლ. აგურის კამარით ყოფილა გადახურული (შემორჩენილია ქუსლის წყობის ნაწილები).

ეკლ. გარეგნულად ბევრად უფრო მეტყველია, ვიდრე მისი ინტერიერი. სამხრ. ფასადს საფეხურით შეღრმავებული, თანაბარი სიმაღლისა და სიგანის, სამი სწორკუთხა არე ანაწევრებს, რებიც აგურის ხერხულა წყობის ერთსაფეხურიანი ლავგარდნით არის დასრულებული და ერთმანეთისგან აგურის ორსაფეხურიანი პილასტრებით გამოყოფილი. თითოეულ არეში გამოყვანილია ისრულთაღიანი შეღრმავება, რ-ის ზემოთ კედლის ზედაპირი აგურის ფიგურული წყობითაა შევსებული. განივი ფასადები თავისი გაფორმების სისტემით არსებითად ერთმანეთის იდენტურია. ორივე ფასადის ქვედა ნაწილში, ღერძის ორივე მხარეს, გამოყვანილია თითო ფართო და მაღალი, შეისრულთაღოვანი შეღრმავება, რ-ის ქვედა ნაწილში საფეხურით შეღრ-

მაგებული და ხერხულა ლავგარდნით დასრულებული არეა. თითოეული თაღის თავზე თითო მოზრდილი შელრმავებული ჯვარია გამოსახული, რ-ებიც საკმაოდ მასიურ საფეხუროვან პოსტამენტზე დგანან. თითო ანალოგიური ჯვარი ყოფილა გამოსახული ფრონტონის არეებშიც. დას. ფასადის შელრმავებას, რ-შიც კარია ჩასმული, ორსაფეხურიანი ფრიზი აგვირგვინებს. მის ქვედა საფეხურს კუთხით შვერილი აგურების რიგი ქმნის.

ეკლესიის კედლები დასრულებული ყოფილა აგურის ოთხსაფეხურიანი ლავგარდნით – სამხრ. ფასადზე შემორჩენილია დაახლ. 1 *მ* სიგრძის მონაკვეთი, რ-იც შედგება კუთხით შვერილი და ჩვეულებრივად დაწყობილი აგურის რიგების მონაცვლეობით.

თ. დვალი.

251. წმ. ელიას ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის განაპირას. განეკუთვნება შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზული ყოფილა. შემორჩენილია აფსიდის ფრაგმენტი (სიმ. 1-1,5 *მ*), რ-იც უხეშად დამუშავებული ქვითა და აგურითაა ნაგები. ეკლესიის კედლები მიწის პირამდეა დანგრეული. გეგმა არ იკითხება.

ბ. კუპრეიშვილი.

252. წმ. მარინეს ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის განაპირას. განეკუთვნება შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზული ყოფილა (შემორჩენილია სამხრ. კედლის დონეზე), ნაგები ყოფილა ნატეხი ქვითა და კირის ხსნარით. გეგმა სრულად არ იკითხება.

ბ. კუპრეიშვილი.

ქოდალო

(არაშენდის თემის საკრებულო)

253. ქოდალო, ქ ო დ ა ლ ა, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს გომბორის ქედის სამხრ.-დას. კალთაზე, გურჯაანიდან 37 *კმ*-ზე.

სოფელი საისტორიო წყაროებში მოიხსენიება ქოდალოდ და ქოდალად. მასზე გადიოდა ქოდალო-ზიარი-გურჯაანის სამხ.-სამეურნეო მნიშვნელობის გზა. მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში სოფელში განვითარებული იყო მეურნეობის მრავალი დარგი და ვაჭრობა. 1940 წ. ქოდალოში აღმოჩენილი ილხანების სახელმწიფოს ვერცხლის მონეტების განძი (501 ც. დირჰემი) ნათელს ფენს ქოდალოელთა ეკონ. ურთიერთობის გეოგრაფიას.

XVII ს-ის შუა ხანებში სოფლისა და სოფელზე გამავალი გზის დასაცავად მოურავიშვილების საგვარეულომ ციხესიმაგრე ააგო. სოფლის ყმა-მამულზე ერცელდებოდა ანდრონიკაშვილების, მოურავიშვილების, ზურაბიშვილების გავლენა. კახეთის სამეფოს წარმოქმნიდან ქოდალო ჭერემის ჯარქიაში შედიოდა. ამ საპისკოპოსოს გაუქმების შემდეგ, 1757 წ-დან, თეიმურაზ II-ის განწესებით ქოდალო ბოდბელ მიტროპოლიტს ერგო სამწყსოდ. სათავადო მფლობელობასთან ერთად ქოდალოში დავით გარეჯის მონასტრის კუთვნილი ყმა-მამულიც იყო.

1812 წ. კახეთის ჯარების დროს ქოდალოელები მხარს უჭერდნენ ალექსანდრე ბატონიშვილს, რ-მაც შესძლო ქოდალოში რუსების დამარცხება.

კ. კახაძე

ბიბლ.: 87; 89; 116; 203 ა, გ, ვ.

254. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ. განაპირას. პ. იოსელიანის ცნობით ეკლ. აუგია მეფე გიორგი XII-ის მინბაშს, კახეთის სამეფოს პოლიტ. და სამხ. მოღვაწეს აბელ ანდრონიკაშვილს 1817-1835 წლებს შორის.



254. გეგმა

ძ. ნაგებია მთლიანად ქართული აგურით. დგას ქვიშაქვის ნატეხი ქვით ნაშენ ერთსაფეხურიან ცოკოლზე.

ეკლ. გეგმით ტეტრაკონქს წარმოადგენს. ცენტრ. გუმბათქვეშა კვადრატს ყოველი მხრიდან კონქით გადახურული ნავგარწრიული აფსიდი უერთდება. ყოველი მათგანის წინ მოკლე (დაახლ. 70 *სმ*

ის სიღრმის) ბემაა. ნაგებობას ორი შესასვლელი აქვს, დას-იდან და ჩრდ-იდან (ჩრდ. შესასვლელი ერთ-ერთი რემონტის დროს ამოუშენებიათ). ორივე კარი შესაბამისი აფსიდების ღერძებზეა განთავსებული. ქვიშაქვის ნათალი ქვის წყობით გამოყვანილ შესასვლელთა ფართო ღიობები გარედან სწორკუთხაა, შიგნით კი კედლის თაღოვან შეღრმავებებში არის მოქცეული.

საკურთხეველში სამი თანაბარი ზომის ფართო და მაღალი თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. სამივე სარკმლის ქვემოთ თითო თაღოვანი ნიშაა, ნიშები სარკმლების მსგავსად ერთ დონეზე მდებარეობს და კედლის მცირედ შეღრმავებულ ნაწილებში არის ჩასმული. თითო ნახევარწრიული თაღოვანი პატარა ნიშა საკურთხევლის ბემის [illegible] თითო ნიშაა სამხრ. და ჩრდ. ბემების აღმ. კედლებში, რ-ებიც, როგორც ჩანს, ხატების დასაბრძანებლად იყო განკუთვნილი.

შიდა სივრცის გასანათებლად, საკურთხევლის სარკმლების გარდა, თითო თაღოვანი სარკმელია გაჭრილი დანარჩენ აფსიდებშიც ყოველ მათგანში ხის შემინული ალათაა ჩასმული. საკურთხევლის ბაქანი ეკლესიის იატაკზე ერთი საფეხურით მაღალია. იგი საკურთხევლის საზღვრებს სცილდება და გუმბათქვეშა სივრცეში გამოდის.

ეკლესიის გუმბათქვეშა სივრცე აფსიდებისაგან მარტივი პილასტრების წყვილითა და მათზე დაყრდნობილი ნახევარწრიული საბჯენი თაღებითაა გამოყოფილი. პილასტრებს იმპოსტები აგვირგვინებს, რ-თა პროფილს თარო და ამოზნექილი ზედაპირი ქმნის. გუმბათქვეშა თაღების შუა სიმაღლეზე მოთავსებულია ორ-ორსაფეხურიანი შეკიდული საბჯენი თაღები, რ-თა მეშვეობით გუმბათქვეშა კვადრატის არე საგრძნობლადაა შემცირებული. გუმბათქვეშა კვადრატის ოთხივე კუთხეში მოწყობილია აფრები, რ-ებიც საბჯენ თაღებთან ერთად გუმბათის ყელის წრიულ საფუძველს ქმნის. გუმბათის ყელში თორმეტი თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. შიგნიდან გარეთკენ მკვეთრად შევიწროებულ ამ სარკმლებსაც ხის შემინული ალათები აქვთ.

ეკლესიის გარეგანი აღნაგობა პირდაპირ იმეორებს სივრცის შიდა დანაწევრებას. ეკლესიის ორივე შესასვლელი და საკურთხევლის ცენტრ. სარკმელი ორი საფეხურით შეღრმავებულ და თაღით დასრულებულ მაღალ ნიშებშია ჩასმული. თითოეული ნიშის ზემოთ, წყობაში შეღრმავებული თითო მაღალი ჯვარია, გვერდებზე კი ერთ ვერტიკალზე განლაგებული ურთიერთგადაბმული რომბების მწკრივი აუყვება, რ-ებიც აფსიდთა შვერილების თითქმის მთელ სი-



254. ჭრილი, ხედი აღმ-კენ



უყვება, მეორე, რასაც წახნაგების გამჭოლი ლილვები ეყრდნობა, ქვედა სარტყლიდან 40-ოდე სმ-ის სიმაღლეზეა – სარკმელთა ფუძის დონეზე, მესამე კი საგრძნობლად მაღლაა ატანილი და წახნაგთა გამჭოლ ლილვებზეა დაყრდნობილი. მის ზემოთ კიდევ ერთი სარტყელია, რ-იც მესამე სარტყლის თავზე დაახლ. 1 მ-ის სიმაღლის არეს გამოყოფს. ამ არეზე, სარკმლების ასწვრივ, თითო სარკმლის გამოტოვებით, თითო პატარა ფრონტონია გამოყვანილი. გუმბათის ყელს მაღალი, ლეკალური აგურით ნაწყობი პროფილირებული ლავგარდანი აგვირგვინებს. გუმბათი გადახურულია კარვისებრი ფორმის თუნუქის სახურავით. ეკლესიის დას. აფსიდის კონქზე კვადრ. გეგმის სამრეკლოა დადგმული. სამრეკლოს თითოეული წახნაგი თითო შეისრულთაღოვანი ღიობითაა გახსნილი და თუნუქით შემოსილი პირამიდული სახურავი აქვს.

254. ხედი სამხრ.-დას-იდან

მაღლეს მოიცავს. თითო მაღალი თაღოვანი ნიშაა გამოყვანილი აფსიდთა კედლების თანხვედრის ადგილებში. შენობას ოთხი ასეთი ნიშა აქვს, ოთხივე ჩასმულია საფეხურით შეღრმავებულ სწორკუთხა არეში, რ-იც დასრულებულია აგურის ხერხულა წყობით გამოყვანილი სამსაფეხურიანი ფრიზით.

ეკლესიის კედლებს მაღალი, პროფილირებული ლავგარდანი ასრულებს. იგი ყირაზე დაყენებული ლეკალური აგურებითაა შექმნილი. ლავგარდნის ქვემოთ, ღია ფერის აგურების თავისებური წყობით გამოყვანილია დეკორატ. (მეანდრის მსგავსი) ზოლი (სიმ. დაახლ. – 25-30 *სმ*), რ-იც კედლებს მთელ პერიმეტრზე შემოუყვება. ამ ზოლის არეში, ერთმანეთისაგან გარკვეული შუალედებით დაცილებული პატარა კვადრატ. ხვრელობები გამოდის (კონქების სივრცის გასანიავებელი?). შენობის ოთხივე აფსიდი კრამიტის სახურავითაა გადახურული.

გუმბათის ყელი თორმეტწახნაგაა. წახნაგები ერთმანეთისაგან ლეკალური აგურით გამოყვანილი ლილვებითაა გამიჯნული, რ-ებიც წახნაგების წიბოებს თითქმის სიმაღლის 3/4-ზე აუყვება, ზედა ნაწილში კი ჯვრის მკლავების მსგავსი განშტოებები აქვს. წახნაგების ღერძზე სარკმელთა ვიწრო ხვრელობებია. თითოეულ სარკმელს ირგვლივ ლილვი ევლება, რ-იც ლილვითვე შემოფარგლულ ფართო თაღოვან არეშია მოქცეული და წახნაგის მთელ სიგანეს მოიცავს. გუმბათის ყელი სიმაღლეში ლეკალური აგურით ნაწყობი ოთხი სარტყლით რამდენიმე სხვადასხვა სიმაღლის ნაწილად იყოფა. ერთი სარტყელი გუმბათის ყელის ფუძეს შემო-



254. ინტერიერი, ხედი სამხრ.-აღმ-კენ

ეკლესიას გარს ევლებოდა ოთხკუთხა მოხაზულობის ზღუდე, რ-ის ნაშთები აქა-იქდაა შემორჩენილი.

XX ს-ის 90-იან წწ-ში ადგილ. მოსახლეობამ ეკლ. შეაკეთა. აღა-

დგინეს ლავგარდნის დანგრეული ნაწილები. ეკლესიის ძირითადი კორპუსი გადახურეს კრამიტით, ხოლო გუმბათი და სამრეკლო – თუნუქით.

თ. დვალი.

ბიბლ.: 91; 335.

255. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის აღმ-ით 1 კმ-ზე, შემაღლებულ ადგილზე.

ნაგებობა ქრონოლოგიურად განსხვავებულ სამ სამშენებლო ფენას შეიცავს. შენობის ნაწილთაგან ქვედაზე ძველია საკურთხევლის შვერილისა და სამხრ. კედლის ქვედა ნაწილები, რ-იც მოზრდილი ზომის რიყის ქვის სწორხაზოვანი რიგებითაა ნაწყობი და სავარაუდოდ IX-X სს. შეიძლება მივაკუთვნოთ. მომდევნო ფენა, რ-იც გვიანდ. შუა საუკუნეებში ჩატარებული აღდგენითი სამუშაოების დროინდელია, რიყის წვრილი ქვისაა და თავდაპირველი ფენისგან წყობის ხასიათით მნიშვნელოვნად განსხვავდება. ამ დროისაა დას. და ჩრდ. კედლების ქვედა ნახევარი; კედლების ზედა ნაწილები და გადახურვა აგურისაა და XIX ს. მიეკუთვნება. თანამედროვე ნაგებობა ქვისაა.



255. სამხრ. ფასადი





255. გრძივი ჭრილი, ხედი სამხრ-კენ. გეგმა

თუნება. ინტერიერი შელესილი ყოფილა (ნალესობა შემორჩენილია დას. კედელზე).

ეკლ. დარბაზულია (10,2×6,62 მ), აღმ-ით დასრულებულია ნახევარწრიული შვერილი აფსიდით, რ-ის გარეთა კედელი აფსიდის შიდა მოხაზულობას იმეორებს. ერთადერთი შესასვლელი ეკლესიას სამხრ-იდან აქვს. კარი ნახევარწრიული თაღითაა გადახურული და ორივე მხრიდან კედლის სისქეში ჩაშენებული არეშია ნასრული (გარეთა შელრმავება სწორკუთხაა, შიდა – თაღოვანი).

აფსიდში აგურის ნაშალ თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ორივე მხარეს თითო ნიშაა. სამხრ. ნიშა თაღოვანია, ჩრდ. – სწორკუთხა. საკურთხევლის შუაში გეგმით კვადრ. ტრაპეზი დგას. საკურთხევლის ბაქანი, რ-იც მთლიანად აგურითაა მოგებული, დარბაზის იატაკის მიმართ საფეხურითაა შემაღლებული და ცენტრში ნახევარწრიული ამბიონი აქვს. აფსიდი გადახურულია კონქით. იგი მთლიანად აგურისაა. კონქის თაღი ქვის მასიურ, თაროსებრ კრონშტაინებს ჯდნობა.

დარბაზის გრძივი კედლები ორ-ორი თაღითაა დანაწევრებული. თაღების აღმ. წყვილში თითო თაღოვანი სარკმელია. ერთი თაღოვანი სარკმელი დას-ითაცაა. დარბაზი გადახურულია აგურით ნაწყობი კამარით. იგი ჯდნობა ორ საბჯენ თაღს, თაღები – კრონშტაინებს, რ-ებიც, ისევე როგორც კონქის თაღის კრონშტაინები, შელრმავებულ არეშია ჩასმული. სარკმლის ორივე მხარეს თითო ნიშაა. სამხრ. ნიშა თაღოვანია, ჩრდ. – სწორკუთხა. საკურთხევლის შუაში გეგმით კვადრ. ტრაპეზი დგას. საკურთხევლის ბაქანი, რ-იც მთლიანად აგურითაა მოგებული, დარბაზის იატაკის მიმართ საფეხურითაა შემაღლებული და ცენტრში ნახევარწრიული ამბიონი აქვს. აფსიდი გადახურულია კონქით. იგი მთლიანად აგურისაა. კონქის თაღი ქვის მასიურ, თაროსებრ კრონშტაინებს ჯდნობა.



255. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

საფლავის ქვებისაგანაა გამოთლილი (ქვებზე შემორჩენილია ეპიტაფიების ნაშთი). კამარა და საბ-

ჯვენი თაღები ტლანქადაა ნაწყობი და მშვილდისებრი ფორმა აქვს.

აღმ. ფასადზე საკურთხევლის სარკმელს ქვის ფილა ხურავს.

სამხრ. ფასადზე, ერთ დონეზე, მიწიდან დაახლ. 1,3 *მ* სიმაღლეზე, სამი პატარა თაღოვანი ნიშაა. ორი მათგანი კარის მარჯვნივაა, ერთი – მარცხნივ. კარი კედლის მცირედ შეღრმავებულ არეშია მოქცეული, რ-საც აგურის ხერხუ-ლა წყობით გამოყვანილი სამსა-ფეხურიანი ფრიზი აგვირგვინებს.

დას. ფასადზე თაღოვანი სარკმელი კედლის ირიბად შეჭრილ შეღრმავებაში ხის და ფიცრული, ბრტყელი გადახურვა აქვს. ფრონტონის არეში აგურის წყობის შეღრმავებით მარტივი ჯვარია გამოსახული. დას. კედელზე აგურის პატარა სამრეკლოა დადგმული. იგი გეგმით კვადრატულია. კვადრატის თითოეულ კუთხეში თითო სწორკუთხა ბურჯია, რ-ებსაც ნახევარწრიული თაღები ეყრდნობა. სამრეკლოს აგურისავე პირამიდული სახურავი აქვს.

ეკლესიას აგურის საფეხუროვანი ლავგარდანი ჰქონია.

XX ს-ის 90-იან წწ-ში ადგილ. მოსახლეობამ ეკლ. ალაგინა, რის შედეგადაც მას მთლიანად დაუკარგეს თავდაპირველი სახე – მოანგრიეს სამრეკლო. ეკლესიის კედლებს გარედან მიაშენეს აგურის სქელი ფენა, რის შედეგადაც შენობამ უწვეულო, უსახური იერი მიიღო.

თ. დვალი.

ᲥᲕᲔᲚᲐᲬᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲘ

256. ᲥᲕᲔᲚᲐᲬᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲘ, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფ-ების ვაჩნაძიანისა და კალაურის მიდამოებში, ტყეში. მონასტრამდე მისასვლელი ძვ. გზა სოფ. კალაურიდანაა. ამ გზით მონასტრამდე ექვსიოდე კმ-ია.

სამეცნ. ლიტერატურაში ძ. ცნობილია „ვაჩნაძიანის ყველაწმინდის" სახელწოდებით.

მონასტერი წარმოადგენს კომპლექსს, რ-შიც შედის ორი ეკლ. – დიდი გუმბათოვანი ეკლ., რ-ის სახელსაც მონასტერი ატარებს და მასთან ახლოს მდგარი სამეკლესიანი ბაზილიკა. გუმბათოვან ეკლესიას გარს ევლებოდა გალავანი, აგურით ნაშენი გეიანდ. კარიბჭით დას. მხარეს.

სამონასტრო [illegible]
მათგანი, რ-ის [illegible]



256. ᲥᲕᲔᲚᲐᲬᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ. ᲒᲔᲒᲛᲐ

გალავნის ჩრდ.-აღმ. კუთხეში, მიჯრით მდგარი ორი მოზრდილი ნიშაა, როგორც ჩანს, სატრაპეზო უნდა ყოფილიყო. გალავანთან



256. ᲥᲕᲔᲚᲐᲬᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, ᲒᲠᲐᲕᲘᲡ ᲩᲠᲘᲚᲘ, ᲮᲔᲓᲘ ᲡᲐᲛᲮᲠ.-ᲙᲕ

სამხრ.-აღმ-ით პატარა შენობაა, ხოლო სამხრ-ით გეგმით კვადრ. ნაგებობა (ბიბლიოთეკა?). ბაზილიკური ეკლესიის ჩრდ.-აღმ-ით ასევე რაღაც სათავსია. გარდა ამისა, სხვადასხვა ადგილებზე შეიმჩნევა ნაგებობათა ნაშთები. ბაზილიკური ეკლესიის ჩრდ.-დასით, ოდნავ ქვემოთ, ღარტაფში, მონასტრის წყაროა, რ-იც გადახურულია წნელის ქარგილზე ჩამოსხმული კამარით.

VIII-IX სს-ის მიჯნითაა დათარიღებული მონასტრის მთავარი ნაგებობა ყ ვ ე ლ ა წ მ ი ნ დ ი ს გ უ მ ბ ა თ ო ვ ა ნ ი ე კ ლ ე ს ი ა, რ-იც გარდამავალი ხანის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და მალამხატვრული ძეგლია. ტაძრის არქიტ. სახე ბაზილიკისა და ჯვარგუმბათოვანი ეკლესიის ფორმათა ორგანული შერწყმის და მათი შემოქმედებითი გადამუშავების შედეგია. ამ ძირითადი ელემენტების შეერთებით ჩამოყალიბდა ნაგებობის ის ტიპი, რ-საც „კუპოლ-ჰალე“ ეწოდა.



256. ყველაშინდის ეკლესია, განივი ჭრილი, ხედი აღმ-კენ

ნაგებობის ძირითადი სივრცე წარმოადგენს დიდ, წაგრძელებული ფორმის დარბაზს, რ-ის ცენტრ. ნაწილზე აღმართულია კედლების შეერილებზე დაყრდნობილი გუმბათი. დარბაზის ორივე მხარეს განლაგებულია ორ აბზაცად დაყოფილი გვერდითი ნავები, რ-თა აღმ. ნაწილში მოწყობილია საკურთხეველთან დაკავშირებული პატარა სათავსები – სამკვეთლო და სადიაკვნე. ამ სათავსების დას-ით განლაგებულია აფსიდით დასრულებული სადგომები, გვერდითი ეკლესიები. ორივე ერთმანეთთან დაკავშირებულია დას. გარშემოსავლელით, რ-ის შუა ნაწილი გაფართოებულია და ეკლესიის შესასვლელის წინ წარმოქმნის კვადრატს.

გვერდითი ნავების თავზე მოწყობილია პატრონიკე, დაკავშირებული მთავარი ეკლესიის სივრცესთან.

ეკლ. ნაგებია რიყის ქვითა და აგურით, გამოყენებულია შირიმიც. რიყის ქვითაა ნაშენი კედლები, კამარების ნაწილი, კონქები. აგურისაა ცალკეული მალების თაღები, ტრომპები, კამარები, ზოგიერთი სარკმლის თაღი, გუმბათი ყელთან ერთად. აგური სხვადასხვა ზომისაა. თავდაპირველი მსხვილი კალიბრისაა (34/35×22×6/7 *სმ*, 34×24/23×7 *სმ*, 35×23×6 *სმ*), შეკეთების დროს გამოყენებული აგური კი კვადრატულია (22×22×6/7 *სმ*). კუთხეების, სარკმლების, შესასვლელების გამოსაყვანად გამოყენებულია მოთეთრო-მორუხო შირიმი. ამავე მასალითაა მოპირკეთებული გუმბათი. ეკლესიის ინტერიერი მთლიანად შელესილი ყოფილა. მოგვიანებით ეკლ. კედლებს შეულესავთ და მოუხატავთ (მხატვრობის ნაშთები შეიმჩნევა მთავარი ეკლესიის სამხრ. და დას. კედლებზე).

მთავარი ეკლესიის აფსიდი გვგმით ნახევარწრიულია, კონქის თაღი კი ნალისებრი, კვერცხისებრი მოხაზულობის შემაღლებით. აფსიდი დასრულებულია რიყის ქვით ნაგები კონქით. რიყის ქვისაა კონქის თაღიც. იგი დაყრდნობილია ჩვეულებრივი ფორმის (თარო და ცერად ჩამოკვეთილი სიბრტყე) შირიმის კაპიტელებზე. საკურთხევლის აფსიდში სამი ნალისებრთაღოვანი სარკმელია, რ-ებიც გადის საკურთხეველის სამწახნაგოვანი შეერილის ღერძებზე. გარედან სამივე შირიმითაა გამოყვანილი, ერთ ქვაში გამოკვეთილი ნალისებრი თავით. აფსიდს ირგვლივ ეკვება მაღალი საფეხური, რ-ის შუაში, ცენტრ. სარკმლის ქვემოთ, მოწყობილია მონასტრის წინამძღვრის დასაჯდომი ტახტი, სპეც. საიდაყვეებით გვერდებზე.

აფსიდის წინ ბემაა. მისი კამარა ნალისებრია. კამარის ქუსლის დონეზე გამოყოფილია ქვის იმპოსტები, რ-ებიც ბემის კედლებს მთელ სიგანეზე გასდევს. ბემის ქვედა ნაწილში, აფსიდის საზღვართან, სამკვეთლოსა და სადიაკვნეში გასასვლელად მოწყობილია თითო ვიწრო ნალისებრთაღიანი ღიობი. ორივეს აღმ. წირთხლში თითო ნიშა აქვს. ბემის შუაში დგას გვიანდ. ტრაპეზი.

შუა ეკლესიის დანარჩენი სივრცე გაყოფილია სამ ნაწილად. მათგან აღმ. და დას. ნაწილების სამხრ. და ჩრდ. კედლებში მოწყობილია სწორკუთხა გეგმის მაღალი ნიშები – ექსედრები. ისინი დასრულებულია კონქებით, რითა თაღები ნალისებრი ფორმისაა, პატარა კვერცხისებრი შემაღლებით. კონქის ნახევარწრიულ საფუძველზე გადასვლა ხდება კუთხეებში მოწყობილი ორ-ორი ტრომპით, რ-ებიც აგურითაა ნაწყობი და წესიერი კონქის ფორმა აქვს. აღმ. ექსედრების შუაში, სამხრ-ით და ჩრდ-ით, გადის თითო კარი (მოგვიანებით დავიწროებული); მათ თავზე, მთავარი ეკლესიის მხრიდან, მოჩანს აგურით ნაწყობი ბრტყელი თაღი. გვერდის ნავების მხრიდან კი შესასვლელები გადახურულია მთლიანი ქვის ზღუდარით – თარაზულად. ექსედრების აღმ. კედელში, იატაკიდან 1,4 მ სიმაღლეზე, მოწყობილია თითო პატარა ნიშა.

გუმბათქვეშა სივრცის საზღვარზე შემორჩენილია რიყის ქვითა და კვადრ. აგურით ნაგები კანკელი, ალსავლის კარით შუაში.

ტაძრის ცენტრ. ნაწილია გუმბათქვეშა კვადრატი, რ-ის თავზე აღმართულია გუმბათით დასრულებული ყელი, გუმბათქვეშა სივრცეს ოთხივე მხრიდან ერთვიან ჯვრის მკლავები – ორი (საკმაოდ მოკლე) სამხრ-იდან და ჩრდ-იდან და ორი (გაცილებით გრძელი) – აღმ-იდან და დას-იდან.

გუმბათქვეშა კვადრატი ოთხივე მხრიდან შემოსაზღვრულია გუმბათქვეშა თაღებით, რ-ებიც დაყრდნობილია აგურის კაპიტელებით დაგვირგვინებულ მძლავრ პილასტრებზე. აღმ. და დას. თაღები ნაწყობია აგურით, სამხრ-ისა და ჩრდ-ისა კი – რიყის ქვით. გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის ყელის წრიულ მოხაზულობაზე გადასასვლელად გამოყენებულია კუთხეებში მოწყობილი აფრები. (აქ პირველად ქართულ არქიტექტურაში გადასვლა კვადრატიდან გუმბათის წრეზე განხორციელებულია არა ტრომპებით, არამედ აფრებით). გუმბათის ყელში გაჭრილია ოთხი ნალისებრთაღიანი სარკმელი. ჯვრის სამხრ. და ჩრდ. მკლავების პირითი კედლების ქვედა ნაწილში გვერდით ნავში გასასვლელი კარია, მის ზემოთ – პატრონიკეს სამი ღიობი. მათ ზემოთ, სამხრ. კედელში, ორი სარკმელია, ჩრდ. კედელი კი ყრუა – უსარკმლო. ჩრდ. მკლავში კარი შესაბამისი კედლის ღერძზეა, სამხრ-ისაში კი [illegible] დას. ნაწილში. თავდაპირველად ორივე კარი ნალისებრი თაღით ყოფილა დასრულებული (მოგვიანებით ისინი დაავიწროეს და დაადაბლეს).

პატრონიკის ღიობები იატაკის დონიდან იწყება და დასრულებულია ნალისებრი თაღით, თაღის ქუსლებთან გამოყოფილია აგურის პროფილირებული იმპოსტები, რ-ებიც ღიობებს შორის არსებულ ბურჯებს ირგვლივ ევლება. სამივე ღიობი, ისევე, როგორც ბურჯები, ნაწყობია აგურით. მოგვიანებით ღიობები ამოუშენებიათ – ჩრდ-ით სამივე, ხოლო სამხრ-ით განაპირები (სამხრ. შუა



256. ყველაწმინდის ეკლესია, აღმ. ფასადი

ღიობის აღმ. წირთხლზე 1979 წ. აზომვითი სამუშაოების დროს, აღმოჩნდა ნალესობაზე ამოკაწრული, მხედრ. წარწერა, რ-შიც მოხსენიებულია ეკლესიის მეორედ მაშენებელი, მეფე გიორგი VIII-ის მჭვინეთუხუცესი ასათ ვაჩნაძე. ამ წარწერის წყალობით შესაძლებელი გახდა ეკლესიის აღდგენითი სამუშაოების დროის დაზუსტება, სახელდობრ, XV ს-ის II ნახ.-ით). მალებს ზემოთ არსებული სარკმლებიც აგურითაა გამოყვანილი. ორიეე (დას-ით მდებარე ამოშენებულია) ნალისებრთაღოვანია.



256. ჯვლაჯვინდის ეკლესია, აქსონომეტრიული ჭრილი (რეკონსტრუქცია თ. დვალის მიხედვით) ხედი სამხრ.-დას-იდან

დას. მკლავში, ისევე, როგორც აღმ-ისაში, მოწყობილია მაღალი, კონქით გადახურული ექსედრები. მათი თაღები ნალისებრი ფორმისაა. თაღები ეყრდნობა ქვის კაპიტელებს. კონქის ქვეშ კუთხეებში, აგურით ნაწყობი ტრომპებია, მათ თავზე კი – ირიბად დაწყობილი ქვები, რ-ებიც ტრომპებთან ერთად კონქის ნახევარწრიულ საფუძველს ქმნის.

მთავარი ეკლ. დას-იდან შემოსაზღვრულია კედლით, განიერი და მაღალი კარით ქვედა ნაწილში, პატრონიკის სამთაღიანი მალით და მაღალი სწორკუთხა სარკმლით ზედა ნაწილში. თაღები ნალისებრი ფორმისაა და დაყრდნობილია ჰორიზ. ხოლურაზე. ღიობების თაღები ნალისებრი ფორმისაა, აღმ. კონქის თაღზე კი ეს ფორმა ოდნავ შესამჩნევია. თაღების კაპიტელები აგებულია ლეკალური აგურისგან, რ-ებიც პროფილი (თარიღ. ქვ. ქვრივ ჩა 3 მოკვეთილი სიბრტყე) აქვს მიცემული. სამხრ. და ჩრდ. აფსიდები მთლიანად ამოშენებულია და დატოვებულია თითო პატარა სწორკუთხა ნიშა. აღმ. აფსიდში, კედელთან, მსხვილი კალიბრის აგურით ნაშენი ტრაპეზია. სათავსი განათებულია აღმ. სარკმლით, რ-იც აფსიდის ღერძზეა გაჭრილი. იგი ვიწროა და მაღალი. შიგნიდან გადახურულია ქვის ხლუდარით – თარაზულად, ხოლო გარედან – შირიმის ქვაში გამოკვეთილი ნალისებრი თაღით.

გუმბათქვეშა კვადრატი გუმბათის წრიულ საფუძველზე გადაყვანილია ოთხივე კუთხეში განლაგებული ტრომპების სისტემით. ტრომპებით შექმნილი რვაკუთხედის თავზე გამოშვერილია აგურის წრიული სარტყელი, რ-ის ზემოთ, გუმბათქვეშა კვადრატის გადახურვამდე, ჩანს ყელის სუფთად გალესილი, დაახლ 30-იოდე სმ სიმაღლის მონაკვეთი, რ-იც გადახურვის სიღრმეში შედის (გამოელინდა ზონდაჟის შედეგად). თვით გადახურვა ბრტყელია – უსწორმასწორო სხმული ზედაპირით. საკურადღებოა, რომ ტრიბები და ბურჯები მათ შორის აგურისაა.

ჩრდ. ეკლ., ისევე როგორც სამხრ-ისა, შედგება ორი სხვადასხვაგვარი და ერთმანეთისგან განცალკევებული სივრცისგან. აღმ-ით – ექვტერია, რ-იც ამავე დროს ეკლესიის სამკვეთლოს ფუნქციასაც ასრულებდა. შესასვლელი მას მთავარი ეკლესიიდან აქვს, დას-ისას კი – დას. კარიბჭიდან და ჩრდ-იდან. თვით აღმ. სათავსი სამნაწილიანია: აღმ-ით ტრიკონქია, შუა, როგორც ჩანს, მლოცველთათვის იყო განკუთვნილი, ხოლო დას-ისაში პატრონიკეზე ასასვლელი კიბე იყო მოწყობილი. სამივე ნაწილის კედლები, კამარები, შესასვლელები და სარკმლები მთლიანად რიყის ქვისაა. ტრიკონქის ჩრდ. და სამხრ.



256. ჯვლაჯვინდის ეკლესია, ინტერიერი, ძირითადი სივრცე. ხედი აღმ.-კენ

კონქის ცენტრ. სივრცე თავდაპირველად გუმბათოვანი კამარით იყო გადახურული. მოგვიანებით, როდესაც ტრიკონქის სამხრ. და ჩრდ. აფსიდები ამოაშენეს, ცენტრ. სივრცე ბრტყლად გადახურეს, მის ზემოთ კი სამალავი მოაწყვეს.

ტრიკონქს დას-იდან ერთვის გეგმით სწორკუთხა, აღმ.-დას. მიმართულებით ოდნავ წაგრძელებული, ჯვრული კამარით გადახურული ნაწილი, რ-იც განათებულია ერთადერთი სარკმლით ჩრდ-იდან. იგი შიგნით თარაზულადაა გადახურული, ხოლო გარედან – ნალისებრი თაღით.



256. ყველაწმინდის ეკლესია, ასათ ვაჩნაძის წარწერა. XV ს-ის II ნახევარი

ეგვტერის მესამე (დას.) ნაწილი კარითაა დაკავშირებული შუა ეკლესიასთან. ესაა განცალკევებული, ჯვრული კამარით გადახურული სათავსი, რ-შიც პატრონიკეზე ასასვლელი კიბე იყო მოწყობილი. სათავსის 3/4 ჩაშენებულია, რის გამოც კიბის ფორმებისა და მდებარეობის შესახებ დაბეჯითებით რაიმეს თქმა ძნელია. სათავსის დას. კედლის სამხრ. კიდესთან, კამარის ძირში, არის ხვრელი – პატრონიკეზე ამავალი კიბის ბოლო საფეხურით.

ჩრდ.-აღმ. ეგვტერის ანალოგიურად, მეორე ეგვტერია მოწყობილი სამხრ.-აღმ-ითაც, რ-იც, როგორც ჩანს, ეკლესიის სადიაკვნედაც გამოიყენებოდა. ჩრდ.-აღმ. ეგვტერისგან განსხვავებით, იგი ორი ნაწილისგან შედგება. ტრიკონქისა და კვადრ. სადგომისგან. ტრიკონქის სამხრ. და ჩრდ. აფსიდები აქაც ამოშენებულია და თითოეულში თითო ნიშაა დატოვებული, ხოლო ცენტრ. კვადრატი ბრტყელი, სხმული ჭერითაა დასრულებული.

ეგვტერის დას. ნაწილი გადახურულია ჯვრული კამარით. შესასვლელი მთავარი ეკლესიიდან აქვს, სარკმელი – სამხრ-ით. იგი შიგნიდან თარაზულადაა გადახურული, გარეთა მოპირკეთების ზედა ნაწილი კი აკლია. დას. კედელში მოწყობილია მოზრდილი ნიშა-თარო, ხოლო ამავე კედლის ჩრდ. კიდეში, იატაკიდან 1,1 *მ* სიმაღლეზე იწყება აგურისა და რიყის ქვის შერეული წყობით ამოშენებული ღიობი (სიგ. 57 *სმ*), რ-იც ადის კამარის ქუსლამდე. შესაძლოა ადრე ამ ადგილას მოწყობილი იყო პატრონიკეზე ასასვლელი კიბე, რ-იც მოგვიანებით ამოაშენეს.

ჩრდ. და სამხრ. ნავების დას. ნაწილები ერთმანეთის მსგავსადაა ორგანიზებული. ორივე დამოუკიდებელ ეგვტერს წარმოადგენს.

ჩრდ. ეგვტერი სწორკუთხა სივრცეა, რ-იც აღმ-ით აფსიდითაა დასრულებული და ჯვრული კამარა ხურავს (ნაწილი ჩამონგრეულია). აფსიდი ნალისებრია, მისი თაღი ეყრდნობა შირიმის კაპიტელებს, რ-თა პროფილს ქმნის თარო და ოდნავ შეზნექილი მრუდი ზედაპირი.

ჩრდ-იდან განიერი და მაღალი, ნალისებრი თაღით გადახურული შესასვლელია (მოგვიანებით ამოუშენებიათ), რ-იც გარედან აგურით ნაწყობი უზარმაზარი კონტრფორსით იყო დაფარული (კონტრფორსი მოიხსნა 1980-იანი წლების დასაწყისში მიმდინარე სარესტავრაციო სამუშაოების დროს). შესასვლელის წირთხლები შირიმისაა, თაღი – აგურის.

ჩრდ. ეგვტერი დას. კარიბჭეში მთელ სიგანეზეა გახსნილი. მათ საზღვარზე მხოლოდ აგურით ნაწყობი, ოდნავ ნალისებრი ფორმის საბჯენი თაღია, რ-იც შირიმის მარტივი პროფილის (თარო და ცერად ჩამოკვეთილი სიბრტყე) კონსოლებს ეყრდნობა.

სამხრ. ნავის დას. ნაწილიც დამოუკიდებელი ეგვტერია და აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდითაა დასრულებული, რ-ის თაღი ნალისებრია, თაღის იმპოსტები კი – შირიმის. აფსიდში შემორჩენილია ტრაპეზის ნაშთი, რ-იც კედელზეა მიდგმული.

შესასვლელი ეგვტერს სამხრ-იდან აქვს (მოგვიანებით გადაუ-



256. ყველაწმინდის ეკლესია, ჩრდ.-აღმ. ეგვტერი, ინტერიერის დეტალი

კეთებიათ). იგი შირიმის იმპოსტებზე დაყრდნობილი ნალისებრი თაღითაა დასრულებული.

ნავის გადახურვა გაყოფილია ჯვრული კამარებით შედგენილ



256. ქვლაწმინდის ეკლესია, საერთო ხედი სამხრ.-დას-ოდან

ოთხ კვადრ. მონაკვეთად (ჩამონგრეულია). კამარები რიყის ქვით იყო ნაწყობი. კამარების I და II წყვილს შორის, ასევე II წყვილსა და დას. კარიბჭეს შორის განთავსებული იყო აგურით ნაწყობი, ნალისებრი ფორმის საბჯენი თაღები (შემორჩენილია ნაწილები). ისინი დაყრდნობილია შირიმის კონსოლებზე, რ-ებსაც დანარჩენი კონსოლების ანალოგიური პროფილი აქვს.

დას. კარიბჭე სამ ნაწილადაა გაყოფილი. მისი შუა ნაწილი გვერდის ნაწილებთან შედარებით სიგანეში მნიშვნელოვნად გაფართოებულია და ქმნის კვადრატთან მიახლოებულ სწორკუთხედს, რის დას. კედელი ეკლესიის დას. კედლის ხაზიდან 1,2 მ-ით გარეთაა გასული. კარიბჭის გვერდითი ნაწილები ერთიანია და დას. ეგეტერების მსგავსად არის ფორმირებული. ორივე ნაწილი უსარკმლოა. თითოეულის კამარა კი თანაბრად არის დაყოფილი ორ-ორ თითქმის კვადრ. მონაკვეთად.

ორივე ნაწილი ცენტრ. ნაწილისგან გამიჯნული იყო შირიმის კონსოლებზე დაყრდნობილი ქვის საბჯენი თაღით. დროთა განმავლობაში ეს თაღები ჩამოინგრა და მათ შემორჩენილ ნაწილებზე დააშენეს ახალი, სრულიად განსხვავებული ფორმის, ძალზე მაღალი თაღები (მოისხნა სარესტ. სამუშაოების დროს). თაღებს ყურდნობოდა პატრონიკეს იმ ნაწილის კამარა, რიც ორფერდა სახურავის ქვეშ იყო მოქცეული.

ცენტრ. ნაწილის დას-ით ორივე კუთხეში შემორჩენილია ტრომპების ნაშთები. მათი კვალი შეიმჩნევა აღმ. კუთხეებშიც. ეს ტრომპები დანარჩენ ტრომპებთან შედარებით უფრო მოზრდილია და წინიდან ორმაგი თაღი ედგება.

ნალესობით დაფარული, აგურის ნატეხებით ნაწყობი გეისნდ. ფენის (სისქე დაახლ. – 9-10 *სმ*, რითაც კედლის ზედაპირი იყო გასწორებული) მოხსნის შემდეგ, ჩრდ.-აღმ. ტრომპის თავზე, შენობის თავდაპირველ ფენაში გამოჩნდა კამაროვანი გადახურვის ქუსლის წყობის ნაშთი, რის საფუძველზეც შეიძლება ვიფიქროთ, რომ კარიბჭის ცენტრ. ნაწილი თავდაპირველად გუმბათოვანი კამარით (როგორც ჩანს – დადაბლებული პროპორციების) იყო გადახურული.

კარიბჭის ცენტრ. ნაწილის დას. კედელში განიერი და მაღალი შესასვლელია. კარი ნალისებრი თაღითაა დასრულებული. თაღის ქუსლების დონეზე გადებუ



256. ქვლაწმინდის ეკლესია, ხედი სამხრ.-აღმ-ოდან

ლია მოზრდილი ქვიშაქვის ზღუდარი, რ-ის თავზე დარჩენილი არე რიყის ქვის წყობითაა შეცვლებული. შესასვლელის წირთხლები შირიმისაა, ხოლო თაღი რიყის ქვითაა ნაწყობი.

სამხრ. და ჩრდ. პატრონიკეების შუა ნაწილები აღმ-იდან და დას-იდან მოზღუდულია მაღალი კედლებით, რ-ებსაც ეყრდნობა კოლოფა თაღი, გადახურული ორფერდა სახურავით. სამხრ. პატრონიკეს სამხრ-იდან ჰქონდა ერთი სარკმელი – თარაზული გადახურვით. ჩრდ. პატრონიკეში სარკმლის ხაზზე კედელი განგრძელებულია და სარკმლის კვალი არ ჩანს. ორივე პატრონიკის აღმ. და დას. კედლების შუაში არის თითო თაღოვანი გასასვლელი, რ-იც აგურითაა (32×26×6 სმ) გამოყვანილი. ასეთივე გასასვლელები ჰქონდა დას. პატრონიკის შუა ნაწილსაც. მთავარ ნაგში გამავალი თაღედის გვერდებზე შემორჩენილია განიერი შვერილები, რაც ადრე ამ ადგილას ღიობების არსებობას ადასტურებს.

ეკლესიის გარეგანი ფორმები სავსებით შეესატყვისება შიდა სივრცის სტრუქტურას. ცენტრში აღმართულია თორმეტწახნაგოვანი გუმბათი, რ-შიც ოთხი სარკმელია გაჭრილი. გუმბათის ყელი მთლიანად მოპირკეთებულია (XV ს-ში) სხვადასხვა ზომისა და ფორმის შირიმის ქვის ფილებით, წყობაში რიგების სწორხაზოვნება დაცული არაა. სარკმლებს ირგვლივ ეკვლება სამმაგი ლილვით შედგენილი საპირე. ყოველი წახნაგის ზედა ნაწილში, თითო დეკორატ. გირჩია.

აღმ. ფასადის ცენტრი უჭირავს საკურთხევლის აფსიდის მაღალ სამწახნაგა შვერილს, წახნაგოვანი სახურავით. მის ორივე მხარეს, გვერდითი სათავსების ცალფერდა სახურავების ქვემოთ, ტრიკონქების აფსიდების სამწახნაგა შვერილებია – წახნაგოვანი სახურავებით, რ-ებიც გამოდის როგორც აღმ., ისე სამხრ. და ჩრდ. ფასადებზეც.

შენობის გრძივი ფასადები მასათა აღნაგობით ერთმანეთის მსგავსია. ფასადის ქვედა ნაწილში, გვერდითი ნავის კედლის სიბრტყე შუაში პატრონიკეს ცენტრ. ნაწილის ორფერდასახურავიანი მოცულობითაა შემაღლებული. საფეხურით ზემოთ – სიღრმეში, ჯვრის განივი მკლავების კედლის სიბრტყეებია, რ-ებიც იმდენად არის დამოკლებული, რომ ვერ აღწევს ქვედა ნაწილის გარეთა კედლებამდე. ბოლოს გუმბათქვეშა მკლავების გადაკვეთაზე აღმართულია გუმბათის ყელი – პირამიდული სახურავით.

ეკლესიის დას. ფასადის შუა ნაწილი თავდაპირველად ხაზგასმული იყო სამი საფეხურით; გარშემოსავლელის სიმაღლეზე შვერილია, რ-საც ნალისებრი თაღით დასრულებული განიერი და მოხდენილი შესასვლელი აქვს. მის ზემოთ აღმართული იყო პატრონიკეს ცენტრ. ნაწილის სამწახნაგოვანი შვერილი – დამოუკიდებელი წახნაგოვანი სახურავით. მეორე საფეხურს ქმნის ჯვრის დას. მკლავის, ფრონტონით დასრულებული კედლის სიბრტყე – სარკმლით ღერძზე. ამ საფეხურებს კი გუმბათის ყელი აგვირგვინებს.



256. სამეკლესიოანი ბაზილიკა, გგმა

ეკლესიის თავდაპირველი ლავგარდანი მხოლოდ ნაწილობრივაა შემორჩენილი საკურთხევლის შვერილზე და ჯვრის ჩრდ. მკლავის სახურავის ქვეშ. დიდ-სამხრ. ფეხურიანია და შედგენილია ქვის თხელი ფილებისგან. ტრომკონქების შვერილებზე და დას. კუთხეების ნაწილებზე შემორჩენილი ლავგარდანი ერთსაფეხურიანია – თაროსებრი. სამხრ.-დას. და ჩრდ.-დას. კუთხეებში ქვის ლავგარდანზე დაშენებულია აგურის ლავგარდანი, რ-იც შედგება კუთხით შვერილი და ჩვეულებრივად დაწყობილი აგურების ორი რიგისგან. ამ რემონტამდე აღმ. კუთხის ნაწილების სახურავებს ქვემოთ გაკეთებული იყო შირიმის ახალი ლავგარდანი, რ-ის პროფილს შეადგენს: თარო, შეზნექილი მრუდი ზედაპირი და ლილვი.

ეკლესიის სახურავები თავდაპირველად დაბურული იყო კრამიტით. კრამიტი ყოფილა გამოყენებული შეკეთებების დროსაც.

1979 წ. სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნომ ყველაწმინდის ეკლესიაზე დაიწყო სარესტ. სამუშაოები (პროექტის ავტორი არქიტ. – ნ. ალხაზაშვილი), რასაც წინ უძღვოდა მისი სრული აზომვა (არქიტ-ები: კ. გიორგობიანი, თ. დვალი) და სათანადო სამეცნ. კვლევა.

1980 წ. აღდგა გუმბათის ყელის ზედა ნაწილები და გუმბათი გადაიხურა კრამიტის სახურავით (პროექტის ავტორები: კ. გიორგობიანი, თ. დვალი). 80-იანი წლების I ნახ-ში შეუსულ მდგომარეობას დაუბრუნდა დას. კარიბჭის დას. კედელი, რ-იც დას-ით იყო გადახრილი. კედლის ქვეშ, მოეწყო რკინა-ბეტონის საძირკველი. ამავე დროს მოიხსნა ჩრდ. ნავზე და დას. კუთხეებზე მიშენებული აგურის კონტრფორსები (არქიტ. ნ. ალხაზაშვილი, ინჟინერ-კონსტრუქტორი, ნ. მესხი).

2007 წ. კულტ. მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ ძეგლზე განაახლა სარესტ.-საკონსერვაციო სამუშაოები (პროექტის ავტორი, არქიტ.-რესტავრატორი მ. გელაშვილი), რ-ებიც დასრულდა 2012 წ.

ეკლესიის დას-ით, ოციოდე მ-ზე შემორჩენილია კომპლექსის ყველაზე ძვ. ნაგებობა – მოზრდილი სამეკლესიიანი ბაზილიკა, რ-საც ჩრდ-იდან და სამხრ-იდან ეკვროდა, თითო დამოუკიდებელი „ეკლესია“.

ბაზილიკა ნაგებია რიყის ქვითა და დიდი ზომის აგურით. კუთ-



256. სამეკლესიიანი ბაზილიკა, ხედი აღმ-იდან

ხეებსა და სხვა კონსტრ. ადგილებში გამოყენებულია მოყვითალო თლილი შირიმი.

ბაზილიკის მთავარი ნავის აფსიდის ორივე მხარეს სწორკუთხა სათავსებია, რ-ებიც შესაბამის ნავებს დას. კედელში მოწყობილი თაღოვანი კარით უკავშირდება. სათავსებს დამოუკიდებელი შესასვლელი აღმ-იდანაც აქვს, რაც მეტად იშვიათია. გარდა ამისა, ამ სათავსების სამხრ. და ჩრდ. კედლებში ბაზილიკაზე სამხრ-იდან და ჩრდ-იდან მიშენებულ ეკლესიებში გასასვლელებია. ამრიგად, ამ სათავსებით საკურთხევლის აფსიდსა და განაპირა ეკლესიებს შორის შექმნილია დამატებითი დამაკავშირებელი რგოლები.

მთავარი ეკლესიის აფსიდი გეგმით ნალისებრია, აფსიდის თაღი კი – ნახევარწრიული. აფსიდი ვიწროა და საკმაოდ მაღალი. აფსიდში გაჭრილია განიერი და მაღალი, ნალისებრი თაღით გადახურული სარკმელი. გვერდითი ეკლესიები, როგორც ჩანს, მთავარი ეკლესიისგან გამიჯნული იყო ყრუ კედლებით (შემორჩენილია ორივეს დასაწყისი). შიგნიდან გვერდითი ნავების აღმ. კედელზე შემორჩენილია კამარის ნაშთები.

საკურთხევლის სამხრ-ით მდებარე სათავსი საკმაოდ მაღალია, გადახურულია ქარგილზე სხმული პირამიდისებრი კამარით, რ-იც შედგენილია ოთხი სწორი სიბრტყისგან. აღმ. კარს შიგნიდან აგურით ნაწყობი თაღი ხურავს, მის ზემოთ მდებარე სარკმელი კი თარაზულადაა გადახურული. სათავსის ჩრდ. კედელში, აღმ. კუთხესთან მაღალი და ღრმა ნიშაა. ამ სადგომის იატაკის დონე მიწის დონესთან შედარებით 80 *სმ*-ით დაბლაა.

საკურთხევლის ჩრდ-ით მდებარე სათავსი, სამხრ-ით მდებარე სათავსის მსგავსადაა გადაწყვეტილი. აღმ. კარს შიგნიდან აგურის თაღი ხურავს, მის ზემოთ მდებარე სარკმელი კი სწორკუთხაა. შესასვლელის პირდაპირ ნავში გამავალი კარია. ამ კარის თაღიც აგურისაა – ტეხილით წვერთან. ჩრდ. კარი გარედან თაღოვანია, შიგნიდან ტიმპანით დახურულებული. სათავსის სამხრ. კედელში სხვადასხვა ზომის ორი ნიშაა. აღმ. ნიშა დიდია (სიმ. – 90 *სმ*, სიგ. – 47 *სმ*, სიღრმე – 47 *სმ*), დას-ისა კი – პატარა, დასრულებული იყო თაღით. აქ ადრე შესაძლოა იყო საკურთხეველში გამავალი ხვრელი, რ-იც მოგვიანებით ამოაშენეს. პირველი ნიშა იატაკიდან 65 *სმ* სიმაღლეზეა. ამ სათავსის იატაკის დონე მიწის დონესთან შედარებით 50 *სმ*-ით დაბლაა.

სამხრ-იდან მიდგმული ეკლ. მთლიანად რიყის ქვითაა აგებული. მისი იატაკი ეკლესიის იატაკთან შედარებით ოდნავ მაღალია, რაც შენობის ქვეშ არსებულმა კამაროვანმა აკლდამამ განაპირობა. სათავსს ნახევარწრიული აფსიდი აქვს. მასში დაბალი, თარაზულად გადახურული სარკმელია. ეკლესიის კამარა ჩრდ-ით ეყრდნობა დიდი ეკლესიის კედელზე მოწყობილ საფეხურს, იგი კედლის ზედა და ქვედა ნაწილებს



256. სამეკლესიიანი ბაზილიკა, ხედი ჩრდ.-დას-იდან

შორის სისქეთა სხვაობითაა გამოყვანილი. ეკლესიას შემორჩა საბჯენი თაღი, რ-იც პილასტრებზეა გადაყვანილი. თაღი ნალისებრი ფორმისაა და აქვს მთლიანი ქვის იმპოსტები, რ-თა პროფილს ქნის თარო და დახრილი სიბრტყე.

ეკლესიას სამხრ-ით ჰქონდა განიერი თაღოვანი შესასვლელი.

ალმ. ფასადის მხრიდან კი – გეგმით სწორკუთხა, ნახევარწრიული კამარით გადახურული, ექსედრაა, რ-შიც ეკლესიის სარკმელი გამოდის.

ჩრდ-იდან მიდგმული ეკლესიაც რიყის ქვითაა გამოყვანილი. იგი შედგება ორი დამოუკიდებელი ნაწილისგან – ალმ. პატარა სწორკუთხა ოთახისგან (შემორჩენილია ნაწილობრივ) და მის გაგრძელებაზე მდებარე ეკლესიისგან – აფსიდით ალმ. ბოლოში. ალმ-ით მდებარე ოთახს აქვს სარკმელი ალმ-ით და კარი სამხრ-ით, რ-იც მთავარი ეკლესიის სამკვეთლოში გადის. ამ ოთახის ჩრდ. კედლიდან მხოლოდ ალმ. ნაწილიღაა შემორჩენილი, დას. კედელი კი ყრუა.

ეკლესიის ალმ. ფასადის ღერძი უჭირავს შუა, მაღალ ეკლესიას. იგი გადახურულია ორქანობიანი სახურავით, რ-ელსაც ორივე მხრიდან ერთვის შედარებით დაბალი, გვერდითი ეკლესიების ცალფერდასახურავიანი ნაწილები. შუა ეკლესიის ცენტრში სარკმელია, რ-იც მორთულია ნალისებრი თაღით, თაღის ზემოთ რელიეფური თავსართია, ჰორიზ. გადანაკვეთებით ქუსლებთან. გვერდითი ეკლესიების კედლებშიც თითო მსგავსად გაფორმებული სარკმელია, მათ ქვემოთ კი – საკურთხევლის გვერდებზე მდებარე ოთახების შესასვლელები.

2001 წ. ბაზილიკას ჩაუტარდა სარესტ.-საკონსერვაციო სამუშაოები (პროექტის ავტორი არქიტ. ი. მოსულიშვილი, სამუშაოთა ხელმძღ. ვ. ლომოური). ძ. გაიწმინდა მცენარეულობისაგან, გადაეწყო მორყეული საპირე ქვები, აღდგა სამხრ. ეკლესიის ალმ. ფასადზე ნიშა, შეივსო კედლების გამოქარული ადგილები; საკურთხევლის კონქი, გვერდის ნავების შემორჩენილი ნაწილები და სამხრ. ეკლ. გადაიხურა თუნუქის სახურავით.

თ. დვალი.

ბიბლ.: 4; 5; 26; 47; 214.

ჩიტაანი

(ნუმლაყის თემის საკრებულო)

257. მოდველაურის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ალმ-ით 2 კმ-ზე. განეკუთვნება შუა საუკუნეებს.

შემორჩენილია აფსიდის ნაწილი (სიმ. დაახლ. – 3 მ), ისიც შუაში გარღვეულია. ეკლ. დარბაზული ყოფილა, ნაგები რიყის ქვითა და კირის ხსნარით.

ბ. კუპრეიშვილი.

258. ღვთისმშობლის ეკლესია, ვ ა რ ა მ ა ა ნ თ ს ა ყ დ ა რ ი , არქიტ. ძ. დგას სოფლის ალმ-ით 1 კმ-ზე. განეკუთვნება განვით. შუა საუკუნეებს.

ძ. დარბაზულია (8,3×5,1 მ), ჩრდ-იდან ეკვროდა თანადროული მინაშენი, რ-იც ეკლესიას წყობით უკავშირდებოდა. შენობა ნაგებია რიყის ქვითა და კირის ხსნარით. წყობაში დაცულია რიგების სწორხაზოვნება. დაზიანებულია: ჩამონგრეულია კონქი და კამარა, დან-



258. გრძივი ჭრილი, ხედი ჩრდ-კენ. გეგმა

გრეულია კედლების ზედა ნაწილები; ჩრდ. მინაშენი მთლიანადაა დანგრეულია და დაფარულია მიწითა და მცენარეულობით.

ეკლესიის შესასვლელი დასიდანაა. კარი გარედან მოზრდილი ზომის ქვითაა გადახურული – თარაზულად, შიგნით – თაღოვანია. ეკლ. ალმ-ით დასრულებულია ღრმა ოდნავ ნალისებრი აფსიდით. აფსიდში ვიწრო, ბრტყლად გადახურული სარკმელია გაჭრილი, რ-ც ზემოთკენ ოდნავ შევიწროებულია. სარკმლის ორივე მხარეს თითო ოთხკუთხა ნიშაა. აფსიდი დარბაზისაგან გამოყოფილია მხრებით. ჩრდ. მხართან მინაშენში გასასვლელია. კარი თაღოვანია. მოგვიანებით ამოუშენებიათ და ნიშად გადაუკეთებიათ.

თ. მარკოზაშვილი, ბ. კუპრეიშვილი.

შაშიანი

(საკრებულოს ცენტრი)

259. შაშიანი, შ ა ნ შ ი ა ნ ი , სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს გომბორის ქედის ჩრდ.-ალმ. კალთაზე, გურჯაანი-თელავის გზაზე, გურჯაანიდან 16 კმ-ზე.

საისტორიო წყაროებში შაშიანი შანშიანადაც მოიხსენიება და მეზობელ სოფ. კალაურის მოსახლეობასთან ერთად – „შაშიან-კალაურის" თემადაც. სოფლის მოსახლეობა უძველესი დროიდანვე მისდევდა მევენახეობას, მემინდვრეობას. XI-XV სს-ში შაშიანი საკათალიკოსო სოფელი იყო. ასეთად ჩანს იგი ალექსანდრე დიდის მიერ დამტკიცებულ 1392 წ. საკათალიკოსო მამულების შეწირვისა და სითარხნის განახლების გუჯარში. კახეთის სამეფოს წარმოქმნის შემდეგაც შაშიანი ძირითადად საკათალიკოსო სოფლად რჩება, თუმცა მის ყმა-მამულზე წილი სამეფო კარმაც დაიდო. XVII-XVIII სს-დან ცალკეული ფეოდალები – ანდრონიკაშვილები, ჭავჭავაძეები და ერისთვიშვილებიც აცხადებენ პრეტენზიებს სოფლის ყმა-მამულზე.

სამხ.-ადმ. დაყოფის თანახმად, შაშიანი სარუსთველო დროშაზე იყო მიწერილი.

ქ. კახაძე.

ბიბლ.: 89; 203 ა, ბ.

260. კვირაცხოვლის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს შუა სოფელში. ეკლესიიდან შემორჩენილია დას. კედლის ნაშთი; აქა-იქ ჩანს საძირკვლის კვალიც.

XX ს-ის 80-იან წწ-ში ადგილ. მოსახლეობას ნაეკლესიარზე პატარა ნიში აუგია.

ბ. კუპრეიშვილი.

261. მთავარანგელოზთა ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (4,8×3,8 მ), ნაგებია ნატეხი და რიყის ქვით. აქა-იქ გამოყენებულია აგურიც. წყობა ირეგულარულია.

2010 წ. ადგილ. მოსახლეობამ, საერთაშ. საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით ეკლ. აღადგინა. ეკლესიის ახლოს აიგო სამრეკლო.

შესახვლელი დას-იდანაა. ადრე კარი გარედან თალოვანი ყოფილა, შიგნით კი, თარაზულად ყოფილა გადახურული (აღდგენის



261. ხედი სამხრ.-დას-იდან

დროს შესახვლელი ოდნავ დაუვიწროებიათ და ბრტყლად გადაუხურავთ). კარის ზემოთ სწორკუთხა სარკმელია.

ეკლესიის დარბაზი მოკლეა, აღმ-ით დასრულებულია ოდნავ გაბრტყელებული ნახევარწრიული აფსიდით, რ-შიც ვიწრო, ბრტყლად გადახურული სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ქვემოთ კედელზე მიდგმულია ტრაპეზი. აფსიდის გვერდებში თითო მცირე ზომის ნიშაა. კამარა სხმულია, მას განივ ჭრილში კოლოფა თაღის ფორმა აქვს. მსგავსი ფორმისაა კონქის თაღიც.

ბ. კუპრეიშვილი.

262. სამების ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით სამიოდე კმ-ზე, მდ. ჭერმისხევის მარცხ. ნაპირზე. ტყეში. განეკუთვნება VI-VII სს. მიჯნას.

ძ. სამეკლესიანი ბაზილიკაა. შემორჩენილია ძლიერ დაზიანებული სახით (1980-იან წწ-ში სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნომ ძგელზე დაიწყო სარესტ. სამუშაოები, რაც მალე შეწერდა).



262. გეგმა

ეკლესიის გეგმის გარეგან სწორკუთხედში (13,8×11,9 მ) ნაწერილია ერთმანეთისგან ყრუ კედლებით გამოჯნული და თითო კარით დაკავშირებული სამი სადგომი. შუა, რ-იც მთავარ ეკლესიას წარმოადგენს, გვერდითებთან შედარებით უფრო ფართოა და მაღალი. აღმ-ით იგი დასრულებულია საკურთხევლის აფსიდით, რ-ის ორივე მხარეს თითო სწორკუთხა სათავსია – სამკვეთლო და



262. განივი ჭრილი, ხედი აღმ-კენ

სადიაკვნე. ორივე მთავარ ეკლესიას კარით უკავშირდება. ჩრდ. სათავსს ჩრდ. ეკლესიიდან მეორე კარიც აქვს.

შენობა ნაგებია კარგად შერჩეული რიყის ქვით, გარეთა კუთხეებში გამოყენებულია შირიმის თლილი კვადრები და მრზრდილი ზომის, მეტწილად ორ-სამ ერი ფორმის ქვებზე ცალკეული დაპირი შიგნით და გარედან გასწორებული ყოფილა ბათქაშით, რ-იც ავსებს ქვებს შორის არეებს და ნაწილობრივ მათ ზედაპირებსაც ფარავს.

ეკლესიის საკურთხევლის აფსიდი ნალისებრი ფორმისაა. აფსიდში გაჭრილია ძალიან მაღალი, თითქმის პარალელურწირთხლებიანი თალოვანი სარკმელი (მოგვიანებით ნაწილობრივ ამოშენებული), რ-იც გარედან მთლიანად შირიმის ნათალი ქვითაა



262. აღმ. ფასადი

გამოყვანილი, შირიმითაა ნაწყობი სარკმლის შიდა თალიც. წირთხლები და გვერდები კი – რიყის ქვისაა. აფსიდის ჩრდ. გვერდში პატარა ოთხკუთხა ნიშაა.

ეკლესიის სამხრ. კედელში ორი სარკმლის ქვედა ნაწილია შემორჩენილი. დას. კედელში ფართო ნალისებრთაღოვანი ღიობი ყოფილა, რ-იც გვიან ამოუშენებიათ.

მთავარი ეკლ. გვერდით ეკლესიებს გრძივ კედლებში გაჭრილი, ერთ დერეფნად განლაგებული, თითო კარით უკავშირდება. ჩრდ. კარი (ამოშენებულია) ორივე მხრიდან ნახევარწრიული თალითაა გადახურული, სამხრ. კარი შიგნით თალოვანია, გარედან კი გადახურება ჩამოშლილი აქვს.

სამხრ.-აღმ. და ჩრდ.-აღმ. სათავსები ცილინდრული ფორმის სხმული კამარითაა გადახურული.



262. ინტერიერი, მთავარი ეკლესია, ხედი აღმ.-კენ

ორივეს აღმ-ით თითო სწორკუთხა სარკმელი აქვს.

გვერდითი ეკლესიები ცილინდრული კამარითაა გადახურული (სამხრ. ეკლესიის კამარა თითქმის მთლიანადაა ჩამოშლილი, ჩრდ-ისაში კამარის ერთი ნაწილი ჩამოშლილია, დანარჩენი ჩამოშლის პირასაა მისული),

სამხრ. ეკლესიას ჩრდ-ისგან განსხვავებით აღმ-ით ნახევარწრიული, უსარკმლო აფსიდი აქვს.

სამხრ. ეკლესიის სამხრ. კედელზე და ჩრდ. ეკლესიის ჩრდ. კედელზე ორმალიანი, ნალისებრთაღოვანი შესასვლელებია მოწყობილი – მრგვალი სვეტით თაღებს შორის. სამხრ. შესასვლელის თაღები და სვეტი დანგრეულია, ჩრდ-ისა კი დანგრევის პირასაა მისული.

ჩრდ. ეკლესიის ფასადზე შირიმის ქვით ნაწყობი თაროსებრი ლაქვარდნის ნაწილია შემორჩენილი.

თ. დვალი.

ბიბლ.: 326; 335.

263. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას შუა სოფელში. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.



263. გეგმა

ეკლ. დარბაზულია (4.9×3.55 მ). ნაგებია სხვადასხვა ზომის ქვიყის ქვითა და კირის ხსნარით. ეკლესიას შესასვლელი დას-იდან აქვს. კარი ოდნავ შეისრული თაღითაა გადახურული და შიგნით სწორკუთხა შელრმავებულ არეშია ჩასმული.

აღმ-ით ოდნავ ნალისებრი მოხაზულობის აფსიდია, რ-შიც გაჭრილია დაბალი, თარაზულად გადახურული სარკმელი. სარკმლის სამხრ-ით და ჩრდ-ით თითო ოთხკუთხა ნიშაა, ხოლო ქვემოთ, კედლიდან ოდნავ დაშორებით, ოთხწახნაგა ტრაპეზი დგას. აფსიდი დარბაზისაგან გამოყოფილია მხრებით, რ-ებსაც კონქის თაღი ეყრდნობა. დას. კედელში მცირე ზომის სწორკუთხა სარკმელია.

შიგნით ეკლ. გადახურულია ქარგილზე სხმული ცილინდრული კამარით.



263. ხედი სამხრ.-აღმ.-დან

ფასადები სადაა. კედლები დასრულებულია თაროსებრი ლაქვარდით.

2010 წ. ადგილ. მოსახლეობის მიერ, საერთაშ. საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით ეკლ. გარემონტდა: გამაგრდა მორყეული საპირე ქვები; ამოლდა გრძივი კედლები, რამაც სახურავის დახრილობა ნაწილობრივ შეცვალა. ეკლ. გადაიხურა კრამიტით.

ეკლესიას გარს ევლებოდა დაბალი გალავანი (შემორჩენილია ფრაგმენტები).

კ. გიორგობიანი.

264. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში,

სკოლასთან. განეკუთვნება XIX ს-ის II ნახევარს.

ეკლ. დარბაზულია (19×9,5 მ), ნაგებია წვრილი რიყის ქვით. გარეთა კუთხეებში მოზრდილი, შერჩეული ქვებია გამოყენებული. კონსტრ. ნაწილები (კამარის საბჯენი და კედლის მიმდებარე თაღები) და კარ-სარკმელთა ღიობები გამოყვანილია შირიმით.





264. გრძივი ჭრილი, ხედი სამხრ.-კენ. გეგმა

გარედან კედლების ზედაპირი გასწორებულია ბათქაშით, რ-იც საპირე ქვების მნიშვნელოვან ნაწილს ფარავს. ინტერიერი შელესილი და შეთეთრებულია.

ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს: სამხრ-იდან და დას-იდან. ორივე კარი გარედან სწორკუთხაა, შიგნით კი კედლის თაღოვან შელრმავებაშია ჩასმული.

ეკლესიის ვრცელი დარბაზი აღმ-ით დასრულებულია აფსიდით, რ-ის მოხაზულობა ნახევარწრეზე ოდნავ ნაკლებია. აფსიდში გვგმით ნახევარწრიული, სამი თაღოვანი ნიშაა (ორი ჩრდ-ითაა, ერთი – სამხრ-ით). აფსიდი დარბაზისგან მარტივი პილასტრების წყვილითა და მათზე დაყრდნობილი თაღითაა გამოყოფილი. ამ პილასტრების გარდა, დარბაზის გრძივ კედლებზე კიდევ სამ-სამი მსგავსი პილასტრია (პილასტრების მეოთხე წყვილი დას. კუთხეებშია), რ-ებიც შესაბამის კედლებს ოთხ-ოთხ თანაბარ ნაწილად ყოფს. პილასტრებზე კამარის საბჯენი თაღებია გადაყვანილი; თაღების ქუსლებთან შირიმის ერთ ქვაში გამოკვეთილი იმპოსტებია, რ-თა პროფილს თარო და დახრილი სიბრტყე შეადგენს. პილასტრებს შორის ნახევარწრიული თაღით დასრულებული შელრმავებული არეა.

ინტერიერი განათებულია ექვსი ნახევარწრიულთაღოვანი სარკმლით. მათგან ერთი აფსიდშია, ორ-ორი გრძივ კედლებში, ხოლო ერთი – დას. კედლის ზედა ნაწილში. სამხრ. სარკმლებიდან დას-ით მდებარე, შესასვლელის ასწვრივაა. იგი აღმ. სარკმელთან შედარებით მცირე ზომისაა და თითქმის დას. სარკმლის სიმაღლეზეა „ატანილი“. მოგვიანებით ქვედა სარკმლის ღიობი გარედან გაუფართოებიათ (ალათების ჩასამაგრებლად?).

დარბაზი ნახევარწრიული კამარითაა გადახურული. მსგავსი ფორმისაა საბჯენი თაღებიც. ნაგებობის სიმტკიცის გასაძლიერებლად გრძივი კედლები ლითონის ღეროებითაა შეკრული.

ეკლესიის ფასადების მორთულობის ძირითადი ელემენტია ფრონტონებში გამოსახული თითო შელრმავებული ჯვარი, რ-თა შელრმავებული ნაწილი წითლადაა შეღებილი.

ფასადებზე ორივე შესასვლელი თაღოვან შელრმავებაშია ჩასმული. შესასვლელების ზემოთ, თაღოვანი შელრმავების არეში,



264. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

თითო პატარა სწორკუთხა ნიშაა. ორივე შესასვლელი საფლავის ქვებითაა გადახურული. ეპიტაფიების მიხედვით ეკლ. XIX ს-ის 30-იანი წლების შემდეგ უნდა იყოს აგებული.

ეკლ. დგას ერთაფსიდურიან ცოკოლზე. ფასადები დასრულებულია რიყის ქვით ნაწყობი ორსაფეხურიანი ლავგარდანით, ფრონტონის ძირებთან ჰორიზ. შემონაკეცები აქვს.

ეკლესიის დას. ფრონტონზე დაშენებული ყოფილა პატარა სამრეკლო (შემორჩენილი იყო კვადრ. საფუძველი).

2008 წ. საერთაშ. საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით ეკლესიას ჩაუტარდა სარესტ. სამუშაოები (პროექტის ავტორი ნ. მინდორაშვილი). აღდგა ლავგარდნისა და კედლების მონგრეული ნაწილები, მოიხსნა სამრეკლოს საფუძველი, ეკლესიის ირგვლივ მოეწყო სარინელი, შენობა გადაიხურა კრამიტით.

თ. დვალი.

265. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სასაფლაოზე. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (6,3×4,5 მ), ნაგებია ნატეხი და რიყის ქვით. დაზიანებულია: დაბზარულია კედლები, სახურავზე თითქმის მთლიანად აყრილია კრამიტის საფარი.



265. გეგმა

ეკლ. უაფსიდოა, აღმ-ით დასრულებულია სწორი კედლით, რაც ბოლოები ოდნავ მომრგვალებული აქვს.

შესასვლელი დას-იდანაა, კარი სწორკუთხაა. ინტერიერი განათებულია ორი დაბალი, სწორკუთხა სარკმლით. მათგან ერთი აღმ. კედლის შუაშია, მეორე –

დას-ით, შესასვლელის ზემოთ. საკურთხევლის ჩრდ. და სამხრ. კედლებში თითო მცირე ზომის ნიშაა. საკურთხევლის ცენტრში დგას ოთხწახნაგა ტრაპეზი. საკურთხევლის ქვედა ნახევრი დარბაზისგან გამოყოფილი არ არის და მისი გეერდითი კედლები დარბაზის გრძივ კედლებთან ერთ სიბრტყეშია მოქცეული. იატაკიდან დაახლ. 1,8 *მ* სიმაღლეზე, საკურთხეველს მხრები აქვს მოწყობილი, რ-ებიც ზემოთ თანდათან განიერდება. მათზე დაყრდნობილია დადაბლებული პროპორციების კონქის თაღი. მსგავსი ფორმისაა კამარაც.

ფასადები დასრულებულია თაროსებრი ლავგარდნით.

ქ. გოორგობიანი.

ჩალაუბანი

(საკრებულოს სცენტრი)

266. ჩალაუბანი, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს გომბორის ქედის სამხრ.-დას. კალთაზე, გურჯაანიდან 15 *კმ*-ზე.

ჩალაუბნის ხელსაყრელი გეოგრ. მდებარეობა ხელს უწყობდა მეურნეობის მრავალი დარგის მ. შ. განსაკუთრებით მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებას. სოფელზე გადიოდა მნიშვნელოვანი გზები. აღსანიშნავია, რომ ჩალაუბნიდან გურჯაანი–ველისციხისაკენ მიმავალ გზას „ჩალაუბნის გზას" ეძახდნენ. სოფელი მდებარეობს ქართლ-კახეთის დამაკავშირებელ გზაზე. აქედანვე გადადის ე. წ. „ქიზიყის გზა" ისტ. ქიზიყში.

საქართველოს ერთიანობის ხანაში ჩალაუბანს უშუალოდ სამეფო კარი აკონტროლებდა. კახეთის სამეფოს წარმოქმნისა და XVII ს-ის მძიმე პოლიტ. მოვლენების შედეგად სოფელში მოსახლეობა შეთხელდა და მასზე უკვე ძირითადად თავადი ვაჩნაძეების გავლენა ვრცელდებოდა. მათთან ერთად ადგილობრივ ყმა-მამულს ონანაშვილები, სპანდიარიშვილები, აფხაზიშვილები და სხვ. ფეოდალებიც ფლობდნენ (იოანე ბატონიშვილის მიხედვით ონანაშვილები და სპანდიარიშვილები ვაჩნაძეების განაყოფები არიან). სოფელი ცნობილი იყო ჩალაუბნის ხევზე აგებული ვაჩნაძეების წისქვილებით.

სამხ.-ადმ. დაყოფით სოფელი ბოდბელი ეპისკოპოსის სადროშოში შედიოდა, რ-საც პრაქტიკულად ქიზიყის მოურავი განაგებდა. ერეკლე II-ის მეფობისას ქვეყანა შედარებით დაწყნარდა, ჩალაუბანიც მოშენდა და დაახლოებით თანამედროვე სოფლის ტერიტორია მოიცვა. უფრო ზემოთ დარჩა ძვ. ჩალაუბნის ნასოფლარი.

ქ. კახაძე

ბიბლ.: 89; 90; 203 გ, ე, ვ; 299.

267. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-დას-ით 3,5 *კმ*-ზე, განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (5×3 *მ*), ნაგებია რიყის მსხვილი ქვითა და ნატეხი ქვით. კონსტრ. ადგილებში გამოყენებულია კვადრ. აგური. ინტერიერი კირით არის შელესილ-შეთეთრებული. დახიანებულია: სანახევროდაა ჩამოქცეული კამარა, ჩამოშლილია კრამიტის საბურავი და კედლების საპირე ქვების დიდი ნაწილი, ჩამონგრეულია ლავგარდანი.

ეკლესიაში შესასვლელი სამხრ. იდანაა. კარი თაღოვანია. კარის ზემოთ ერთი ბრტყლად გადახურული პატარა სარკმელია. აღმ. ით, ნახევარწრიულ აფსიდში, ერთი შეისრული სარკმელია, რ-ის ორიე მხარეს თითო პატარა ნიშაა. აფსიდი გადახურულია არაწესიერი ფორმის სხმული კონქით. კამარის შემორჩენილი ნაწილიც სხმულია, ტლანქი.

თ. მარკოზაშვილი.

268. ეკლესიების კომპლექსი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-აღმ-ით 2-2,5 *კმ*-ზე, ნასოფლარ ჩალაუბნის სასაფლაოზე.

კომპლექსი გვერდიგვერდ, მდგარი ორი ეკლესიისგან შედგება. მათგან ერთი, შედარებით მოზრდილი, ღვთისმშობლის, ხოლო მეორე მთავარანგელოზთა სახელობისაა.

ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს ე კ ლ ე ს ი ა. დარბაზულია (10×5,7 *მ*), შეიცავს ქრონოლოგიურად განსხვავებულ ორ სამშე-



268. ეკლესიები. 1. ღვთისმშობლის ეკლესია; 2. მთავარანგელოზთა ეკლესია

ნებლო ფენას. თავდაპირველი ფენა, რ-იც სავარაუდოდ განვით. შუა საუკუნეებით თარიღდება, მოზრდილი რიყის ქვის ირეგულარული წყობითაა ნაშენი – კირის



268. ჭრილი, ხედი აღმ-კენ

სქელ დულაბზე. ამ დროისაა აღმ. კედელი (ფრონტონის ძირის დონემდე), ჩრდ. კედელი (თითქმის მთლიანად), დას. და სამხრ. კედლების დიდი ნაწილები. მოგვიანებით ეკლ. განუახლებიათ. კედლების აღდგენილი ნაწილები ძირითადად რიყის ქვისაა, ხოლო კამარა – აგურის. წყობა ტლანქია და ოსტატობის დაბალ დონეს ამჟღავნებს. აგურით ალაგ-ალაგ გარეთა კუთხეებიცაა აღდგენილი. შიგნით კედლები გაჯის სქელი ფენით ყოფილა შელესილი (ფრაგმენტები შემორჩენილია აფსიდში და დას. კედელზე).

ერთადერთი შესასვლელი ეკლესიას სამხრ-იდან აქვს (დას. წირთხლი და გადახურვა მოხგრეულია). კარის ღიობი გარეთკენ გაფართოებულია და გამოყვანილია კვადრ. აგურით. ეკლესიის მოგრძო, საკმაოდ ჩაბნელებული დარბაზი, აღმ-ით დასრულებულია საკურთხევლის ნახევარწრიული აფსიდით, რ-იც შიგნით ნახევარწრიული თაღით, ხოლო გარედან თარაზულადაა გადახურული. აფსიდის გვერდებში თითო სწორკუთხა ნიშაა. ჩრდ. ნიშა რემონტის დროს გაუქმებიათ და თავდაპირველი სახე დაკარგული აქვს. სარკმლის ქვემოთ, კედელზე რიყის ქვით ნაშენი ტრაპეზია მიდგმული. აფსიდი გადახურულია რიყის ქვით ნაყობი კონქით, მისი სიერცე დარბაზში აგურის ორსაფეხურიანი თაღით გამოიყოფა. მათ შორის ერთი აფსიდის კუთხეებზეა გადაყვანილი, ხოლო მეორე – აგურის საფეხუროვან კრონშტაინებზე. ეს უკანასკნელი კამარის საყრდენად იყო განკუთვნილი.

დარბაზის გრძივი კედლები ორ-ორი ყრუ თაღითაა დანაწევრებული. თაღებს შორის თითო მარტივი პილასტრია, რ-ებზედაც აგურის შეისრული საბჯენი თაღია გადაყვანილი. შეისრულია კამარაც.

სამხრ. ორივე თაღი, ისევე როგორც მათ შორის მდებარე პილასტრი, გვიანდ. რემონტის დროინდელია და საკმაოდ დაუდევრადაა ნაგები. ჩრდ-ისა კი, სამხრისაგან განსხვავებით, ნაგები დაგულოდ ნაწყობი ნახევარწრიული თაღებითაა დასრულებული. თუმცა ამ კედლის ზედა ნაწილიც გვიანდელია და თავდაპირველი ფენისგან წყობის სიტლანქით გამოირჩევა. ერთი, აგურით ნაშენი საბჯენი თაღი კამარას დასითაც აქვს. იგი დას. კუთხის პილასტრებზეა დაყრდნობილი.

ეკლესიის შიდა სივრცეს, საკურთხევლის სარკმლის გარდა კიდევ ერთი, დას. კედელში გაჭრილი ვიწრო, სწორკუთხა სარკმელი აშუქებს, რ-იც კედლის გარეთა ნაწილშია მოქცეული.

ფასადები მოკლებულია ყოველგვარ მორთულობას. სამხრ. ფასადზე შემორჩენილია აგურის საფეხუროვანი ლავგარდნის მცირე ნაწილი.

მთავარანგელოზთა ეკლესია, გუმბით სწორკუთხაა (5,5×3,8 მ). შეიცავს ქრონოლოგიურად განსხვავებულ ორ ფენას. ძირითადი, თავდაპირველი ფენა სავარაუდოდ განვით. შუა საუკუნეებისაა. იგი ნაგებია რიყის მოზრდილი ქვით. წყობა ირეგულარულია. კედლების ზედაპირი შიგნით და გარედან გასწორებულია კირის ბათქაშით. გარეთა კუთხეებში ალაგ-ალაგ შირიმია გამოყენებული. განახლებული ნაწილები მთლიანად აგურისაა.



268. აღმ. ფასადი

შენობა ძლიერაა დაზიანებული: ჩამონგრეულია კამარა და კონქის თაღის დიდი ნაწილი, დანგრეულია სამხრ.-დას. კუთხე და დას. კედლის მნიშვნელოვანი ნაწილი; აფსიდს (შუაში) და შემორჩენილ კედლებს ფართო, გამჭოლი ბზარები დაუყვება.

ერთადერთი შესასვლელი ეკლესიას დას-იდან აქვს (შემორჩენილია ჩრდ. წირთხლი და მასზე დაყრდნობილი შეისრული თაღის ვერდი). კარი შიგნიდან ხით ყოფილა გადახურული.

ეკლესიის დარბაზს (ფართ. დაახლ. 5,5 კვ მ-ია), რ-ის განივი ღერძი რამდენადმე აღემატება გრძივ ღერძს, აღმ-ით ღრმა აფსიდი ერთვის (აფსიდის სიღრმე დარბაზის სიგრძის ტოლია). აფსიდის ღერძზე ერთი ვიწრო სარკმელია გაჭრილი (რემონტის დროს სარკმლის ღიობი შიგნიდან რამდენადმე დაუვიწროებიათ). სარკმლის ჩრდ-ით ერთი სწორკუთხა ნიშაა, ხოლო ქვემოთ, კედელზე, რიყის ქვით ნაგები ტრაპეზია მიდგმული (შემორჩენილია ნაშთი). რემონტის დროს აფსიდი მთლიანად აგურით ნაშენი კონქით გადაუხურავთ. დას. კედელში იკითხება სარკმლის კვალი.

შენობის აღმ. ფასადზე, სარკმლის ზემოთ, წყობაში ჩასმულია შირიმის ბრტყელი ქვა, ტოლმკლავა ჯვრის რელიეფური გამოსახულებით. ამ ქვის ქვემოთ, ერთ დონეზე – ერთმანეთთან ახლოს, ორი პატარა გირჩია. ერთი ქვა, ჯვრის რელიეფური გამოსახულებით, ჩასმული ყოფილა ფასადის ფრონტონის არეში (ჩამოვარდნილია).

ეკლესიის დას. ფასადის ზედა ნაწილი შირიმის ტლანქად დამუშავებული ფილებითაა შემოსილი. მორთულობის ერთი ქვა შესასვლელის ზემოთ ამ ფასადზეც ყოფილა. ნაგებობის კონსტრ. მდგრადობის გასაძლიერებლად, ჩრდ. კედელზე (მთელ სიგრძეზე) და დას. კედლის ჩრდ. ნახევარზე, რიყის ქვით ნაშენი თხელი კედელია (სიმ. 1 მ) მიშენებული.

თ. დვალი.

269. ზედუბნის წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. იდგა ღვინიანთ უბანში. შემორჩენილია მხოლოდ ქვის გროვა. ეკლესიის ადგილზე პატარა ნიშია აგებული.

გ. კუპრეიშვილი.

270. კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-აღმ-ით 2,5 კმ-ზე, ნასოფლარ ჩალაუბნის ტერიტორიაზე. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

კოშკი (6×5,2 მ) გეგმით კვადრატს მიახლოებული სწორკუთხედია, ზემოთკენ შევიწროებული. შემორჩენილია სამი სართული და IV სართულის კედლების მცირე ნაწილი.

ნაგებია რიყის ქვის ირეგულარული წყობით. გარეთა კუთხეების წყობაში გაცილებით მოზრდილი ქვებია გამოყენებული. კედლები შიგნით და გარედან შებათქაშებულია.

კოშკის ერთადერთი შესასვლელი I სართულზე – სამხრ. კედელშია გაჭრილი. კარს გარედან აგურით გამოყვანილი შეისრული თაღი ეხურა (შემორჩენილია თაღის აღმ. გვერდი), შიგნიდან კი – ხის მოზრდილი ძელი. კარის წირთხლებში საურდულე ხვრელებია. სართულის აღმ. და დას.



270. I სართულის გეგმა

კედლებში, ერთმანეთის სიმეტრიულად, ორ-ორი ფართო სწორკუთხა ნიშაა, რ-ებსაც ფიცრული გადახურვა ჰქონია. სართულის ჩრდ. კედლის შუაში აგურით ნაწყობი გეგმით ნახევარწრიული, შეისრულთაღოვანი [illegible]


270. ჭრილი, ხედი აღმ-კენ

ლის მნიშვნელოვანი ნაწილი ამოვსებულია მიწითა და კედლებიდან ჩამონაშალი ქვებით.

II სართულისთვის დამახასიათებელია სათოფურების სიმრავლე. სართულის აღმ. და დას. კედლებში სამ-სამი ცალმაგი სათოფურია, ხოლო დანარჩენ ორში – ორ-ორი.

III სართულის თითოეულ კედელში ორ-ორი შეწყვილებული სათოფურია.

IV სართულის შემორჩენილ კედლებში არავითარი საბრძოლო თუ არქიტ. ელემენტის კვალი არ შეიმჩნევა.

სართულშუა გადახურვა ხის ყოფილა (შემორჩენილია კოჭების ჩასადგმელი ბუდეები).

გარედან კოშკის კედლები სადაა, ყოველგვარ მორთულობას მოკლებული.

თ. დვალი.

271. ნამოსახლარი ბარეტყის გორა, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით. განეკუთვნება ძვ. წ. I ათასწლ. დასაწყისს.

1988 წ. ნამოსახლარს მიაკვლია იაე ინ-ტის ქაე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). დაზიანებულია სას.-სამ. სამუშაოების შედეგად.

ძ. გამართულია მომცრო თავბრტყელ ბორცვზე, რ-საც გარშემო ღრმა თავდაცვითი თხრილი შემოუყვება. ნამოსახლარზე აღმოჩნდა რიყის ქვის კედლის საფუძველი, თიხატკეპნილი იატაკის ნაშთი, ქვიშანარევი თიხის ლეგად გამომწვარი კონცენტრული ამოღარული ხაზებით შემკული ჭურჭლის ფრაგმენტები.

მასალა დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

ბ. მაისურაძე

ბიბლ.: 184.

272. ნამოსახლარი დიდგორი, არქეოლ. ძ. მდებარეობს ხევის მარჯვ. მხარეს, მაღალ გორაზე. განეკუთვნება II ათასწლ. ბოლო საუკუნეებს.

ძეგლს 1970-იან წწ-ში მიაკვლია ქაე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). ნამოსახლარი (სიგრ. – 80 მ, სიგ. – 50 მ), ოვალურია მას სუსტად გამოხატული თავდაცვითი ზღუდე აქვს.

ვ. ვარაზაშვილი.

273. ნამოსახლარი მოზრილი გორა, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის დას-ით განაპირა უბანში. ნამოსახლარი ორფენიანია. ქვედა ფენა განეკუთვნება ძვ. წ. II-I ათასწლეულთა მიჯნას, ზედა – ძვ. წ. VIII-VII სს.

ძ. 1969 წ. შეისწავლა ქაე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). იგი დაზიანებულია სას.-სამ. სამუშაოების გამო.

ნამოსახლარისათვის შერჩეულია დაბალი (სიმ. 2 მ), ბუნებრივი გრძივი ბექობი, რ-საც თხემი მოსწორებული აქვს (ფართ. – 1000 კვ მ), ხოლო გარშემო ღრმა, რთული კონსტრუქციის საფეხურებიანი თავდაცვითი თხრილი შემოუყვება. თხრილის საფეხურები ისეა განლაგებული, რომ ნამოსახლარიდან მომხირალ ადამიანს რაც შეიძლება დიდხანს ჰყავდეს მხედველობის არეში მომხვდური, ხოლო მომხვდურს რაც შეიძლება მეტად გაუჭირდეს ნამოსახლარზე ასვლა. თხრილიდან ამოყრილი მიწის ნაწილი თხრილს გარეთ, წრედ შემოსდევს ნამოსახლარს და თავდაცვით ყრილს ქმნის, მეორე უფრო დიდი ნაწილი ცენტრალურ ნაწილშია დაყრილი ამით შემაღლება 2 მ-ითაა გაზრდილი და მხოლოდ ამის შემდეგაა ბორცვზე გამართული შენობები.

ქვედა ფენაში (სიმძლავრე – 2 მ) აღმოჩნდა შენობათა ორ ან სამ რიგად ამოყვანილი რიყის ქვის საძირკვლების, თიხის კედლების და ბანური გადახურვის ნანგრევები, კერის ფრაგმენტები, თიხის ჭურჭელი. ჭურჭლის კეცი ქვიშანარევია, კეცის გული ყავისფერი, ზედაპირის თხელი ფენა კი შავადაა გამომწვარი. ჭურჭელი შემკულია ძირითადად ამოღარული, კონცენტრული ხაზებით.

ნამოსახლარის ფენას (სიმძლავრე – 0,5-0,7 მ) გორის თხემზე რიყის დიდი ქვების ზღუდე შემოსდევს, რ-იც ფრაგმენტულადაა შემორჩენილი. ამ ფენაში გამოვლინდა რიყის ქვით ნაგები კედლის ძირები, თიხატკეპნილი იატაკები. შენობების კედლის ზედა ნაწილი და გადახურვა ხის კარკასს წარმოადგენდა, რ-იც შემდეგ თიხით ილესებოდა. დიდი რაოდენობით აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი, სკვითური ისრისპირები.

აღმოჩენილი სკვითური ტიპის ბრინჯაოსმასრიანი ისრისპირების უმეტესობა რომბისებრია, ორფრთიანი, მასრაზე დეზით, ორ ისრისპირს სამწახნაგა პირი აქვს, მათ შორის ერთი დეზიანია. ისრისპირთა უმეტესობა ყალიბშია ჩამოსხმული.

მასალა დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

ბ. მაისურაძე

ბიბლ.: 184.

274. ნამოსახლარი სანბლის სერი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით 5 კმ-ზე. განეკუთვნება გვიანდ. ბრინჯაოსა და რკინის ხანას.

ძეგლს მიაკვლია იაე ინ-ტის ქაე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური).

ნამოსახლარი გამართულია თხემმოსწორებულ ბუნებრივ შემაღლებაზე, რ-იც გამოყოფილია ერთი განიერი ტერასით. ზედაპირულად შეკრებილია ამოღარული ზოლებით შემკული თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.

მასალა დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

ბ. მაისურაძე

ბიბლ.: 184.

275. ნამოსახლარი ხოსროს გორა, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის აღმ-ით 5 კმ-ზე, ცივ-გომბორის ქედის სამხრ. ფერდზე. განეკუთვნება გვიანდ. ბრინჯაო-რკინის ხანას.

ძეგლს მიაკვლია იაე ინ-ტის ქაე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური).

ნამოსახლარი გამართულია აღმ-იდან დას-ით წაგრძელებული მთის ვიწრო ფერდზე. თხემი მოსწორებულია. ნამოსახლარს გარშემო თავდაცვითი თხრილი შემოსდევს.

ბ. მაისურაძე.

ბიბლ.: 184.

276. რცხილის სერის ნამოსახლარი და სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-აღმ-ით 1 კმ-ზე, რცხილის სერზე. ნამოსახლარი და სამაროვანი თანადროულია და განეკუთვნება ძვ. წ. II ათასწლ. მიწურულსა და ძვ. წ. I ათასწლ. დასაწყისს.

რცხილის სერზე 1970-იან წწ-ში და 1989 წ. არქეოლ. გათხრები ჩაატარა იაე ინ-ტის ქაე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). ძ. მნიშვნელოვნადაა დაზიანებული. დანგრეულია სერის ჩრდ. და სამხრ. ნაწილები, აღმ. ნაწილი კი ძლიერაა გადარეცხილი.

ნ ა მ ო ს ა ხ ლ ა რ ს დასიდან თავდაცვითი თხრილი შემოსდევს. ბორცვის მოსწორებულ თხემზე გაიწმინდა კედლის ნაშთები ძლიერ დაზიანებული რიყის ქვის საძირკვლით. გამოვლინდა

ორი ოთხკუთხა სათავსი. დას-ით მდებარე სათავსს (საცხოვრებელი?) მოყვითალო თიხატკეპნილი იატაკი ჰქონდა (5×5 მ). იატაკზე აიკრიფა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. სათავსის სამხრ. და ჩრდ. კედლებთან ორი პატარა მრგვალი სამეურნეო ორმო აღმოჩნდა. დას. სათავსს აღმ-იდან მიდგმული ჰქონდა სამეურნეო ნაგებობა. საცხოვრებელი სათავსები და სამეურნეო ორმოები აღმოჩნდა ბორცვის ძირშიც.

სამაროვანი მდებარეობს ნამოსახლარის სამხრ-ით 200 მ-ზე. გაითხარა 15 ორმოსამარხი. სამარხები გაძარცულია. მიცვალებულები ესვენა მარჯვ. ან მარცხ. გვერდზე მოხრილი კიდურებით, თავით ჩრდ-ისკენ.

ბ. მაისურაძე.

ბიბლ.: 184.

277. სადგომი თეთრი ქვები, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით, ნასოფლარ ჩალაუბნის ცენტრიდან 4-5 კმ-ზე, ბაკურციხისხევის მარცხ. შენაკადის ხუციხევის სათავესთან, ტყეში. განეკუთვნება მუსტიეს ხანას.

ძ. 1974 წ. გამოაელინა კპძ-ის ქვის ხანის რაზმმა (ხელმძღვ. თ. ბუგიანიშვილი). სამანქანო გზის მშენებლობის დროს გზის ორივე მხარეს ჩახრამულ-გადარეცხილ ჭრილებში შეგროვდა ადგილ. კაჟის მოგრძო და დაბალი, ფართო, არასწორი მოყვანილობის, გლუვი, ქვედა სიბრტყისაკენ ბლაგვი კუთხით დახრილი დარტყმის მოედნიანი ანატკეცები.

მოპოვებული მასალა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ-ეთნ. საცავში.

თ. ბუგიანიშვილი.

278. სადგომი ხუცისხევი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით 2-3 კმ-ზე, ნასოფლარ ჩალაუბანში, მდ. ხუცისხევის (მდ. ბაკურციხისხევის მარჯვ. შენაკადი) და ბაკურციხისხევის შესართავთან. განეკუთვნება შუა აშელის ხანას.

სადგომი 1969 წ. გამოაელინა კპძ-ის ქვის ხანის რაზმმა (ხელმძღვ. თ. ბუგიანაშვილი).

ხუცისხევის სადგომზე (20×10 მ) ნაპოვნია კაჟისა და ქვიშაქვის ქვედაპალეოლითური ამორფული და ერთფუძიანი განიჯი ნუკლეუსი, აშელ-კლექტონური ანატკეცები, თითო სწორი და ამოზნექილი სამუშაოპირიანი სახოკი, ორი დაბილული (მსხვილკბილა) იარაღი და დანა-სახოკი.

მასალა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ-ეთნ. საცავში.

თ. ბუგიანიშვილი.

ბიბლ.: 184.

279. ტინის სერის ნამოსახლარები და სამაროვანი, არქეოლ. ძ. მიაკვლია ია3 ინ-ტის კა3-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური).

ერთ-ერთი ნამოსახლარი (ტინის სერი I) მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით, ცივგომბორის ქედის სამხრ. ფერდის მთისწინა ზოლში, ბუნებრივ პატარა ბორცვზე, რ-საც თხემი მოსწორებული აქვს. განეკუთვნება გვიანდ. ბრინჯაოს და ადრინდ. რკინის ხანას. ამ ხანის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები მხოლოდ ბორცვის თხემის მოსწორებულ ნაწილში აღმოჩნდა.

მეორე ნამოსახლარი (ტინის სერი II), მდებარეობს ტინის სერი I-ის აღმ-ით 300 მ-ზე. განეკუთვნება ძვ. წ. II და I ათასწლ. მიჯნას. ნამოსახლარი წარმოადგენს ბუნებრივ თხემმოსწორებულ ბორცვს, რ-საც გარშემო ფართო ტერასა შემოსდევს. ნამოსახლარი ბორცვის თხემზე თიხის ჭურჭლის რამდენიმე ფრაგმენტი და ნამგლის კაჟის ერთი ჩასართი აღმოჩნდა.

სამაროვანი მდებარეობს მისი თანადროული გორანამოსახლარ ტინის სერი II-დან 300-400 მ-ზე, ნამოსახლარის სამხრ-ით და აღმ-ით მდებარე მთის ფერდზე. ძლიერაა დაზიანებული, რადგანაც მის ტერიტორიაზე სოფლის მცხოვრებთა სახლები და საკარმიდამო ნაკვეთებია.

სამაროვანი ორიარუსიანია. სამარხები წარმოადგენს ოთხკუთხა ორმოს (1,35×1 მ, 1,36×1,32 მ, 1,96×1 მ), რ-ებიც სიგრძივ დამხრობილია სამხრ.-დას. და აღმ.-დას. ხაზზე. მიცვალებულები დასვენებულია მარცხ. ან მარჯვ. გვერდზე, ძლიერ მოხრილ ჭიდურებით თავით ჩრდ.-აღმ-ისა და აღმ-ისკენ. სამარხებში ჩონჩხთან აღმოჩნდა ლითონისა და ქვის სამკაულები, ლითონის იარაღი, ჩონჩხის ირგვლივ განლაგებული თიხის ჭურჭელი.

შემთხვევით მონაპოვარში გამოირჩევა ძვ. წ. II ათასწლ. II ნახევრის და ძვ. წ. I ათასწლ. დასაწყისის მასალები – ბრინჯაოს მთლიანმასრიანი შუბისპირები, მასრაზე ორი რელიეფური სარტყლით, ბრინჯაოს შედგენილტარიანი სატევრები, ბრინჯაოს მახვილი, რკინის შუბისპირი და სხვ.

მასალა დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ-ეთნ. საცავში.

ბ. მაისურაძე.

ბიბლ.: 184.

280. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით 2-3 კმ-ზე. ტყეში. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (5,7×3,6 მ), ნაგებია რიყის ქვით, წყობა ირეგულარულია.

ერთადერთი შესასვლელი სამხრ-იდანაა. კარს შიგნიდან ხის ბრტყელი გადახურვა ჰქონია (შემორჩენილია კვალი), გარეთა



280. გეგმა

გადახურვა კი, კედლის მნიშვნელოვან ნაწილთან ერთად ჩამონგრეულია. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის ღერძზე ვიწრო, ზემოთკენ შეეწროებული,

ბრტყლად გადახურული სარკმელია გაჭრილი. გარედან სარკმელს სამკუთხა ფორმა აქვს. სარკმლის



280. განივი ჭრილი. ხედი აღმ-კენ

ქვემოთ შემორჩენილია, რიყის ქვით ნაგები, კედელზე მიდგმული ტრაპეზის ნაშთი. აფსიდი გადახურულია დაუდეგრად ნაწყობი კონქით. აფსიდის თაღი ნახევარწრიულია. იგი რიყის წვრილი ქვებითაა ნაწყობი და თაროსებრ იმპოსტებს ეყრდნობა. ჩრდ. კედელში პატარა სწორკუთხა ნიშაა.



280. ხედი ჩრდ-აღმ-იდან

საკურთხევლის სარკმლის გარდა, შიდა სივრცეს კიდევ ერთი, დას. სარკმელიც აშუქებს, რ-იც, საკურთხევლის სარკმლის მსგავსად, შიგნით ბრტყლადაა გადახურული, გარედან კი სამკუთხა ფორმა აქვს.

ფასადებზე მადალი, ყრუ თაღებია მოწყობილი. სამხრ. და დას. ფასადებზე თითო თაღია, აღმ. ფასადზე კი – ორი, რ-ებიც სარკმლის გვერდებზე არის განთავსებული.

ფასადები დასრულებული ყოფილა რიყის ქვით ნაწყობი ლავგარდნით (სამხრ. ფასადის დას. ნაწილში შემორჩენილია მცირე ნაწილი).

თ. დვალი.

281. ყოყოჩაანთ საყდარი, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით 2-3 კმ-ზე, მთის კალთაზე განკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (6,65×5,2 მ), ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. აგური უმთავრესად კონსტრ. ნაწილებშია გამოყენებული. ძლიერაა დაზიანებული: ჩამონგრეულია ლავგარდანი, კამარა, დანგრეულია კედლების ზედა ნაწილები,



281. ხედი ჩრდ-დას-იდან

ეკლესიას შესასვლელი დასიდან აქვს. კარს შიგნით ხის გადახურვა ჰქონია (შემორჩენილია კვალი). გარედან გვერდები და გადახურვა მონგრეული აქვს. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-შიც შეისრულთაღოვანი სარკმელია გაჭრილი, სარკმლის ორივე მხარეს, ერთ დონეზე, ორ-ორი შეისრული ნიშაა. სარკმლის ქვემოთ კედელს რიყის ქვით ნაგები ტრაპეზი ეკვროდა (შემორჩენილია მცირე ნაწილი). საკურთხევლის სარკმლის გარდა, ეკლესიას დას., სამხრ. და ჩრდ. კედლებში გაჭრილი თითო სარკმელიც აშუქებდა. აფსიდი გადახურულია აგურისა და რიყის ქვის შერეული წყობით გამოყვანილი კონქით. კონქის თაღი მთლიანად აგურის ყოფილა (შემორჩენილია მხოლოდ ჩრდ. გვერდი). დარბაზის კამარა გვიანდ. რემონტის დროს აღდგენილია. მისი წყობა ეკლესიის დანარჩენი ნაწილების წყობისაგან სიტლანქით გამოირჩევა. კამარის საყრდენად დას. კედლის გასწვრივ გამოყვანილი ყოფილა აგურის კრონშტაინებზე დაყრდნობილი საბჯენი თაღი (იკითხება მხოლოდ კვალი).

ფასადებიდან მხოლოდ აღმ. და დას. ფასადებია მორთული. ორივე ფასადის ფრონტონის არეში აგურის წყობის შეღრმავებით გამოსახულია თითო ჯვარი. აღმ. ჯვარს უჩვეულოდ გრძელი განივი მკლავები აქვს და თითქმის სამჯერ აღემატებიან ვერტ. მკლავებს. დას. ჯვრის ორივე მხარეს თითო რომბისებრი ელემენტია გამოყვანილი. გარდა ამისა, ფასადის მარცხ. არეში, თალოვანი სარკმლის ძირის დონეზე, მოწყობილია პატარა სწორკუთხა ნიშა.

დას. ფასადზე კარის ღიობი ჩასპულია აგურით ნაწყობ, საფეხურით შეღრმავებულ სწორკუთხა არეში (დიდი ნაწილი მონგრეულია). იგი დასრულებულია სამსაფეხურიანი ფრიზით, რ-ის ქვედა და ზედა საფეხურები აგურის ხერხულა წყობითაა გამოყვანილი, ხოლო შუა – ჩვეულებრივად ნაწყობი აგურის ერთი რიგით.

ლავგარდანი მთლიანად ჩამონგრეულია, სავარაუდოდ, იგი, ამ პერიოდის ნაგებობების უმრავლესობის მსგავსად, აგურის ხერხულა წყობით იქნებოდა გამოყვანილი.

თ. დვალი.

282. წმ. ბარბარეს ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს ნასოფლარ ჩალაუბანში, ნაგები ყოფილა დიდი ზომის რიყის ქვითა და კირის ხსნარით. შემორჩენილია ქვების გროვა. ეკლესიის გეგმა არ იკითხება.

ბ. კუპრეიშვილი.

283. წმ. გიორგის ეკლესიის კომპლექსი, არქიტ. ძ. მდებარეობს

სოფლის ჩრდ.-და.-ით 3,5 კმ-ზე, ნასოფლარ ჩალაუბანში, ტყეში. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

კომპლექსი შედგება ერთმანეთზე მიდგმული, სხვადასხვა ზომისა და პერიოდის ორი ეკლესიისგან და მომდევნო ხანების მიდას-იდან) – სწორკუთხა სათავსები.

ძ. ძლიერ დაზიანებულია: ორივე ეკლესიას ჩამოშლილი აქვს ლავგარდანი და აქა-იქ კედლების ზედა ნაწილები; თითქმის მთლიანადაა დანგრეული მინაშენები.



283. გეგმა

ნაშენებისგან. თავდაპირველად აქ მდგარა წმ. გიორგის სახელობის პატარა, დარბაზული ეკლ. (6,2×4,6 მ, რისთვისაც მოგვიანებით სამხრ-იდან მიუდგამთ მასზე ბევრად უფრო მოზრდილი (გარეთა ზომები ღერძებზე: სიგრ. – 13,1 მ, სიგ. – 5,7 მ) დარბაზული ეკლ. შემდგომ ამ უკანასკნელისთვის სამხრ-იდან მიუშენებიათ ეგზედრი (9,4×3,3 მ), ხოლო თავდაპირველი ეკლესიისათვის (ჩრდ-იდან და

1990-იანი წლების ბოლოს ადგილობრივმა მოსახლეობამ ორივე ეკლ. თუნუქით გადაუხურა.

წმ. გიორგის ეკლესია. განეკუთვნება გვიან. შუა საუკუნეებს. ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვით. აქა-იქ გამოყენებულია მოზრდილი ლოდებიც და შირიმიც. წყობა ირეგულარულია, ტლანქი.

ეკლესიას შესასვლელი სამხრ-იდან აქვს. კარი თარაზულადაა გადახურული. შიგნით კარის თავზე, ღრმა ნიშაა.

აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-შიც ბრტყლად გადახურული, ზემოთკენ შევიწროებული სარკმელი და ორი მცირე ზომის ნიშაა. სარკმლის ქვემოთ კედელზე, მიდგმულია გეგმით ნახევარწრიული ტრაპეზი. აფსიდი გადახურულია კონქით. კონქის თაღი ნახევარწრიული ფორმისაა. თაღის, ისევე როგორც კონქის წყობაში შირიმის დაუმუშავებული ქვებია ჩართული. საკურთხევლის მხრების ხაზზე დგას რიყის ქვით ტლანქად ნაშენი და კირით შელესილი კანკელი, რ-ის შუაში ნახევარწრიული თაღით დასრულებული აღსავლის კარია, მის გვერდებზე კი, თითო თაღოვანი ღიობი. თაღები დაყრდნობილია მრგვალ სვეტებზე.

დას. და სამხრ. კედლებში თითო მცირე ზომის სწორკუთხა სარკმელია. მათგან სამხრ-ისა ამ მხრიდან მიშენებული ეკლესიის კორპუსითაა დაფარული.



283. ჭრილი, ხედი აღმ-კენ

დარბაზი გადახურულია ცილინდრული ფორმის კამარით.

სამხრ-ით მდგარი ეკლესია დარბაზულია, საკარაუდოდ თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით. ნაგებია წვრილი რიყის ქვით – ტლანქად. ალაგ-ალაგ



283. აღმ. ფასადი

გამოყენებულია კვადრ. აგურიც. ეკლესიის შიდა სივრცე აღმ-ით დასრულებულია ნახევარწრიული მოხაზულობის შვერილი აფსიდით, რ-იც დარბაზისგან, როგორც შიგნით, ისე გარედან მხრებითაა გამოყოფილი. შესასვლელი (მოგვიანებით დაუვიწროებიათ) სამხრ-იდანაა – ჭგეტერიდან. კარი თარაზულადაა გადახურული. საკურთხეველი დარბაზისგან გამიჯნულია რიყის ქვით ნაშენი და კირით შელესილი კანკელით, რ-შიც ორი თაღოვანი კარი (შუაში და ჩრდ. ნაწილში) და განიერი, მშვილდისებრი თაღით დასრულებული ნიშაა. კიდევ ერთი საკმაოდ მცირე ზომის კვადრ. ნიშაა კანკელის ჩრდ. კიდესთან. საკურთხეველი განათებულია განიერი, გარეთკენ მკვეთრად შეიწროვებული სარკმლით. იგი აფსიდის ღერძიდან ოდნავ ჩრდითაა გადაადგილებული და შიგნიდან სამკუთხა თაღი ხურავს. გარედან სარკმელი სწორკუთხაა. სარკმლის ქვემოთ, კედელზე, ტრაპეზია მიდგმული. აფსიდის გვერდებში (კიდეებთან ახლოს) თითო განიერი ნიშაა. აფსიდი გადახურულია დადაბლებული პროპორციების სხმული კონქით, რ-ის თაღს გაბრტყელებული, თითქმის სწორი გეგრდები აქვს. მსგავსი ფორმისაა კამარაც. კამარა სამხრ-ით კედელზეა დაყრდნობილი, ჩრდ-ით კი – თავდაპირველ ეკლესიაზე მიშენებულ თაღედზე, კვადრ. ბოძებით თაღებს შორის. ბოძებს დარბაზის მხარეს მოწყობილი აქვთ ერთსაფეხურიანი პილასტრები; მათ პირდაპირ, სამხრ. კედელზე, მსგავსი პილასტრებია გამოყვანილი. პილასტრებზე გადაყვანილია კამარის საბჯენი თაღები, რ-თა ნაწილი კამარის წყობაშია მოქცეული.



283. წმ. გიორგის ეკლესია, ინტერიერი, ხედი სამხრ.-აღმ.-კენ

ინტერიერი კირით ყოფილა შელესილი.

ჭგეტერი თითქმის მთლიანადაა დანგრეული. შემორჩენილია აფსიდის სამხრ. გეგრდი (მაქს. სიმ. – 1,2 მ), სამხრ. კედლის აღმ. ნაწილი და დას. კედლის ნაშთი. კედლების დანარჩენი ნაწილები მიწითაა დაფარული.

თავდაპირველ ეკლესიას ჩრდ. მინაშენი გადაშენებია. სწორკუთხაა (6,1×2,4 მ), უაფსიდო. შემორჩენილია აღმ. კედელი (სიმ. – 1,5 მ) და ჩრდ. კედლის ნაწილი (თითქმის მთელ სიგრძეზე). შესასვლელი დას-იდან ჰქონია. აღმ. კედელში გარეთკენ და დავიწროებული, შიგნიდან და გარედან თაღოვანი სარკმელია გაჭრილი.

თავდაპირველი ეკლესიის დას. მინაშენი თითქმის მთლიანადაა დანგრეული. შესასვლელი მას დიდი ეკლესიიდან ჰქონია.

გარედან ნაგებობების შემორჩენილი კედლები სადაა, მოკლებულია მორთულობას. ორივე ეკლ. გადახურული იყო ორფერდა სახურავით (მეტ-ნაკლებად შემორჩენილი აქვს დიდ ეკლესიას). დიდი ეკლესიის დას. ფასადზე შემორჩენილია ლავგარდნის ნაწილი, რიც შედგება ჩქვილებრივად დაწყობილი და კუთხით შვერილი აგურის თითორიგიანი შრეების მონაცვლეობით.

თ. დვალი.

ჩუმლაყი

(საკრებულოს ცენტრი)

284. ჩუმლაყი, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს გომბორის ქედის ჩრდ.-აღმ. მთისწინეთში, გურჯაანიდან 4 კმ-ზე.

ჩუმლაყი შუა საუკუნეებში იყო: „სოფელ დიდი და კეთილ-მარგებელი". იგი ჩალაუბან-ყვარლის-ციხის გზაზე ერთ-ერთ მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენდა. სოფელი თავდაპირველად რუსთავის საეპისკოპოსო მამული იყო, შემდეგ მისი ნაწილი მარტყოფის ღვთაების ტაძრისათვის შეუწირავთ, მაგრამ ჩუმლაყელ გლეხებს მაინც ეკალებოდათ რუსთველი ეპისკოპოსის თვეზით მომარაგება და მისთვის ჭილის შეგროვება. კახთა მეფის გადასახადებისაგან უშუალოდ ჩუმლაყი თავისუფალი იყო, ერთადერთი, რასაც სამეფო ხელისუფლება ამ სოფლისგან ითხოვდა, სანადიროდ ორი გაწვრთნი-

ლი ჭორის მეფის ფრინველთუხცესისათვის მიეგრა იყო. ყველა სხვა გადასახადი ჩუმლაყელებს რუსთველისათვის უნდა მიერთმიათ. ჩუმლაყიდან გამოყვანილი მებრძოლები რუსთველი ეპისკოპოსის დროშის ქვეშ უნდა დამდგარიყვნენ. სამეურნეო და სამხ. საკითხების გადასაჭრელად რუსთველ ეპისკოპოსს ჩუმლაყში სპეც. მოხელე – მოურავი, ჰყავდა დანიშნული. აქ მოურავებად ზურაბიშვილები ინიშნებოდნენ. XVIII ს-იდან სოფელში დამკვიდრებას იწყებენ ცალკეული ფეოდალები. რუსთველი ეპისკოპოსი ერეკლე II-ს სწერდა იმის თაობაზე, რომ ამ სოფელში ბევრი ყმა-მამული გასხვისდა უკანონოდო. პასუხად მეფემ მოურავ ზურაბიშვილს უბრძანა, რომ სამეფო კარისა და რუსთველის გარეშე ჩუმლაყში ყმა-მამულის გასხვისება არ მომხდარიყო. სოფლის ყმა-მამულს ავალიშვილებიც ფლობდნენ, რ-თა ოჯახის წევრებიც ერეკლე II-ს ხლებიან ინდოეთში ლაშქრობისას და, როგორც მეფის ერთგულ და თავდადებულ მებრძოლებს, აქ ყმა-მამული წყალობად მიუღიათ.

ეპარქიულად ჩუმლაყი ჭერემის ეპისკოპოსს ექვემდებარებოდა. ჭერემის საეპისკოპოსოს მოშლის შემდეგ, 1757 წ. თეიმურაზმა და ერეკლემ ჩუმლაყი ნინოწმინდელის სამწყსოდ დაადგინეს.

1812 წ. კახეთის აჯანყების დროს სოფელთან ორჯერ მოხდა დიდი შეტაკება აჯანყების მონაწილეებსა და მთავრობის ჯარს შორის. ქართველებს ბატონიშვილი გრიგოლ იოანეს ძე ხელმძღვანელობდა, რ-იც კახელებმა ქართლიდან გადმოიყვანეს და „მეფედ" გამოაცხადეს. ბრძოლაში რუსების მხარეს არაერთი ქართველი თავადი იბრძოდა. ქართველებმა შეძლეს რუსების დამარცხება. ამ ბრძოლაში მოკლეს რუსების მხარეს მებრძოლი მეფე ერეკლეს სიძე – ვახტანგ დიმიტრის ძე ყაფლანიშვილი, „რომელიც იყო პოლკოვნიკი რუსთა" და დაიჭრა პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე, ასევე რუსთა სამხედრო მოხელე, გენერალ პაულუჩის ადიუტანტი. რუსებს ისევ ქართველები დაეხმარნენ, ნიანია ზურაბიშვილმა მათ ასწავლა გზა, რ-ითაც რუსებმა სოფელში შესვლა მოახერხეს. თავადების ღალატით სასტიკად აღშფოთებული ჩუმლაყელები თავს დაესხნენ რუსებს და დაამარცხეს ისინი. კახელთა წინააღმდეგობა იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ მარკოზ პაულუჩის ზავიც კი შეუთავაზებია მათთვის. საბოლოოდ არტილერიის წყალობით, საგრძნობი ზარალის ფასად რუსთა ჯარმა ძლია აჯანყებულებს „იქმნა სოფელსა შინა ბრძოლა ძლიერი და მოწვეს რუსთა ჩუმლაყი". გრიგოლ ბატონიშვილი დაღესტანში გაიქცა.

სოფლის აღმ. ნაწილში, მშენებლობის დროს აღმოჩნდა ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულის ორმოსამარხები.

კ. კახაძე

ბიბლ.: 61 I; 81; 89; 174 გ; 203 ა.

285. ზედცხოველის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას-ით 3 კმ-ზე, ტყეში. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.





285. გეგმა. გრძივი ჭრილი. ხედი ჩრდ-კენ

ეკლ. დარბაზულია (6,3×4,7 მ). 1990-იანი წლების ბოლოს ადგილ. მოსახლეობამ იგი აღადგინა (საკმაოდ დაუდევრად). შიგნით არაწესიერი ფორმის სხმული კამარით გადახურეს, ხოლო გარედან – კრამიტის ორფერდა სახურავით.



285. ხედი ჩრდ-დას-დან

ეკლესიის ძველი ნაწილი (შემორჩენილია საკურთხეველი – თითქმის მთელ სიმაღლეზე და დანარჩენი კედლების მცირე ნაწილები) ნაგებია საშუალო ზომის რიყისა და ნატეხი ქვით. წყობა ირეგულარულია. წყობაში აქა-იქ ლოდებია ჩართული.

ერთადერთი შესასვლელი ეკლესიას დას-იდან ჰქონია (აღდგენილია). აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის ღერძზე სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი, სარკმლის ორივე მხარეს ორ-ორი პატარა სწორკუთხა ნიშაა, ხოლო ქვემოთ, კედელზე, ქვითკირის ოთხწახნაგა ტრაპეზია მიდგმული. გრძივი კედლების აღდგენილ ნაწილში ჩატანებულია მოზრდილი ლოდები, რ-ზეც გამოსახულია სხვადასხვაგვარი ჯვრები, ასომთ. და მხედრ. წარწერებით.

თ. მარკოზაშვილი.

286. მთავარანგელოზთა ეკლესია, არქიტ. ძ. იდგა სოფლის სამხრ-ით. ნაგები ყოფილა რიყის ქვით და კირის ხსნარით. მთლიანად დანგრეულია. გეგმა არ იკითხება.

ბ. კუპრეიშვილი.

287. ორმოცი მოწამის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას-ით, 1,5 კმ-ზე, ხევის პირას. განეკუთვნება შუა საუკუნეებს.

ძ. თითქმის მთლიანად იყო დანგრეული. ნაგებობიდან (6,7×5 მ) შემორჩენილი იყო აღმ. და დას. კედლის ნაწილები და ჩრდ. კედლის ნაშთი, რ-ებიც მსხვილი და საშ. ზომის რიყის ქვითა და კირის ხსნარით იყო ნაგები.

2000 წ. ბიზნესმენ გ. თოფაძისა და ადგილ. მოსახლეობის შემოწირულობებით ეკლ. აღადგინეს (საკმაოდ დაუდევრად) და და იგი თუნუქის ორფერდა სახურავით გადახურეს.

თ. მარკოზაშვილი.

288. ციხისწყლის საყდრის კოშკი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის დას-ით 1,5 კმ-ზე. განეკუთვნება შუა საუკუნეებს.

კოშკი გეგმით ოთხკუთხაა (შემორჩენილი კედლების სიმ. 0,8-1 მ-ია), ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვითა და კირის ხსნარით.

ბ. კუპრეიშვილი.

289. ყველაყმინდის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას-ით 1,5 კმ-ზე, სასაფლაოზე. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (8,25×5,4 მ), სამხრ-იდან (მთელ სიგრძეზე) ეკვროდა თანადროული მინაშენი, რ-იც ეკლესიას წყობით უკავშირდებოდა (შემორჩენილია: აღმ. და



289. ხედი ჩრდ.-აღმ-დან

დას. კედლების მცირე ნაწილები და აფსიდის ჩრდ. გვერდის ნაშთი). შენობა ნაგებია რიყის ქვით, ნატეხი ქვითა და კირის დუღაბით.

1995 წ. ადგილ. მოსახლეობამ ეკლ. შეაკეთა, ხოლო 2008 წ. მთლიანად აღადგინა (პროექტის ავტორი არქიტ. ზ. ჯოხაძე): აღადგინეს სამხრ. კედლის დას. ნაწილი, რ-შიც მოწყობილ იქნა შესასვლელი, ამოაშენეს აფსიდის ჩრდ. კედლის და დანარჩენი კედლების დანგრეული ნაწილები, იატაკი მოიგო რიყის ბრტყელი ქვებით, კედლებს გაუკეთდა აგურის ორსაფეხურიანი ლავგარდანი, ეკლ. გადახურეს კრამიტით, ხოლო ირგვლივ მოაწყვეს სარინელი.

თ. მარკოზაშვილი.

290. წამებულის ეკლესია, წ ა მ ე ბ უ ლ ი ს ე კ ლ ე ს ი ა, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას-ით 2 კმ-ზე, სასაფლაოზე. განეკუთვნება XVIII ს-ის ბოლოს XIX ს-ის დასაწყისს.

ეკლ. დარბაზულია (14,8×8,4 მ), ნაგებია რიყის ქვით და კვადრ.



290. გრძივი ჭრილი, ხედი სამხრ.-კენ. გეგმა

აგურით. კედლები ძირითადად რიყის ქვისაა, რ-შიც თანაბარი ინტერვალებით ორრიგად ნაწყობი აგურის ჰორიზ. შრეებია ჩართული. გარეთა კუთხეებში შედარებით მოზრდილი დაკუთხული ქვებია გამოყენებული. შიგნით კონსტრ. ნაწილები (კამარა, კონქი, პილასტრები, საბჯენი თაღები) და სარკმელთა ღიობები გამოყვანილია აგურით.

ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს: დას-იდან და სამხრ-იდან. ორივე კარი გადახურულია ხის ძელებით – თარაზულად. გარედან კარის ანაყოლებში საფასადე ქვებისაა გამოყენებული. სამხრ. კარი აგურით ნაწყობ ჭრ ჯამურ ზიდული ნახევარწრიულ ფორმ თაა დასრულებული, რ-იც კარის



290. აღმ. ფასადი

თავზე მცირედ შელრმავებულ ტიმპანს ქმნის. შიგნით კარი თაღოვანია. ეკლესიის ერცელი დარბაზი აღმ-ით დასრულებულია ნახევარწრიული, ღრმა აფსიდით, რ-შიც ფართო, თარაზულად გადახურული სარკმელია გაჭრილი. აფსიდში ხუთი სწორკუთხა ნიშაა. მათგან ორი სარკმლის სამხრ-ითაა, სამი – ჩრდ-ით. ჩრდ-ით მდებარეთაგან შუა, დანარჩენ ორს ზომით მნიშვნელოვნად აღემატება. თითო სწორკუთხა ნიშა გრძივი კედლების აღმ. ნაწილშიცაა.

აფსიდი გადახურულია წესიერი ფორმის კონქით, რ-ის ნახევარწრიული თაღის ქუსლებთან ბაზალტის ქვის პროფილირებული (თარო და ლილვი) იმპოსტებია გამოყოფილი. საკურთხევლის ბაქანი დარბაზის იატაკზე ერთი საფეხურით მაღალია. ამბიონი ნახევარწრიულია.

დარბაზის გრძივი კედლები ორსაფეხურიანი პილასტრების ორი წყვილით დაყოფილია სამსამ თანაბარ ნაწილად. პილასტრების წინა საფეხურზე კამარის საბჯენი თაღებია დაყრდნობილი, გვერდით საფეხურებზე კი – კედლის მიმდებარე თაღები. ყველა თაღი ნახევარწრიულია და ყრდნობა ბაზალტის მთლიანი ქვის იმპოსტებს, რ-ებსაც კონქის თაღის იმპოსტების ანალოგიური პროფილი აქვთ.

საკურთხევლის სარკმლის გარდა, თითო მსგავსი სარკმელია გაჭრილი გრძივი კედლების აღმ. თაღებში, ერთი კი – დას. კედლის ზედა ნაწილში.

დარბაზის დას. ნაწილში საფლავია.

დარბაზი გადახურულია ცილინდრული კამარით. დას-ით კამარა ეყდნობა კედლის მიმდებარე საბჯენ თაღს, თაღი – კუთხის პილასტრებს. გრძივი კედლები



290. ხედი სამხრ.-დას-იდან

ფოლადის სამ-სამი ღეროთია დაკავშირებული. გარდა ამისა, გარედან გრძივ კედლებზე (ბოლოებში) მიდგმულია კონუსისებრი კონტრფორსები.

აღმ. ფასადზე აგურის წყობით, გამოყვანილია ორსაფეხურიან პოსტამენტზე დაყრდნობილი სამი, თითქმის ტოლმკლავა ჯვარი. მათგან ორი სარკმლის გვერდებზეა (გადახურვის დონეზე), ერთი – სარკმლის ზემოთ. მსგავსი, მაგრამ გაცილებით პატარა ჯვარია გამოსახული დას. ფრონტონის წვერში.

ეკლ. დგას რიყის ბრტყელი ქვებით ნაგებ ერთსაფეხურიან ცოკოლზე.

დას. ფრონტონის წვერზე დადგმული ყოფილა პატარა სამრეკლო.

1997 წ. აღგილ. მოსახლეობამ ეკლ. შეაკეთა: აღდგენილ იქნა გარეთა კედლების მონგრეული ნაწილები და მოეწყო აგურის სამსაფეხურიანი ლავგარდანი – პორიზ. შემონაკეცებით ფრონტონის ძირებთან. შიგნითა კედლების ქვედა ნაწილი (იატაკიდან დაახლ. 2,5-3 *მ* სიმაღლეზე) შეილესა გაჯით, იატაკი მოიგო კერამ. ფილებით და დაიდგა მარმარილოს კანკელი. მას ორი თაღოვანი კარი და ორი ასევე თაღოვანი ღიობი აქვს. კანკელზე ქვის ჯვარია აღმართული.

მოშალეს დას. ფრონტონის წვერზე დადგმული აგურის სამრეკლოს შემორჩენილი ნაწილი და ეკლ. კრამიტით გადახურეს.

თ. დვალი.

291. წმ. მარიამის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას შუა სოფელში, ნაცვლიაანთ უბანში, გურჯაანიდან თელავისაკენ მიმავალი საავტ. გზის მარჯვ. მხარეს. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (6,2×4,7 *მ*), ნაგებია სხვადასხვა ზომის (ძირითადად მოზრდილი) რიყის ქვის ირეგულარული წყობით. კედლების ზედაპირი შიგნიდან და გარედან ტლანქადაა გასწორებული





291. გრძივი ჭრილი, ხედი ჩრდ.-კენ. გეგმა

ბათქაშით, რ-იც ქვებს შორის არეებს ავსებს და ზედაპირებს მნიშვნელოვან ნაწილს ფარავს.

ეკლესიის შესასვლელი დასიდანაა. კარის ღიობი კვადრ. აგურითაა გამოყვანილი. იგი გარედან თაღოვანია. თაღი ჩასმულია საფეხურით შელრმავებულ არეში, რ-საც ზემოდან აგურის ხერხულა წყობით გამოყვანილი ფრიზი აგეირგვინებს. შესასვლელი შიგნიდან ხის ძელებითაა გადახურული.

ეკლესიის კვადრ. დარბაზს აღმ-ით საკურთხევლის ღრმა აფსიდი ერთვის, რ-საც გეგმით დეფორმირებული ნახევარწრის ფორმა აქვს. აფსიდში პატარა სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ქვემოთ კედელზე რიყის ქვით ნაგები ტრაპეზია მიდგმული. აფსიდი გადახურულია დაბლებული პროპორციების დაუდეგრად ნაწყობი კონქით. კონქის თაღის მოხაზულობას იმეორებს დარბაზის კამარაც. საკურთხევ-

ლი დარბაზის მიმართ შემაღლებულია საფეხურით და დარბაზისაგან აგურით ნაწყობი კანკელით იყო გამიჯნული (შემორჩენილი იყო დაახლ. 0,8 მ სიმაღლეზე), რ-ის შუაში აღსავლის კარია. საკურთხევლის იატაკი აგურითაა მოგებული. დარბაზის შუაში მოზრდილი ქვევრია ჩაფლული.



291. ხედი ჩრდ.-დას-იდან

ფასადებზე გვიანი შეკეთების კვალი შეიმჩნევა: აღდგენილია კედლების ზედა ნაწილები. სახურავის ფერდების დახრილობა რამდენადმე შემცირებულია სახურავზე ახალი ფენის დადებით; აგურის საფეხუროვანი ლავგარდანი შეცვლილია ახლით, რ-იც ისევ აგურისაა, მაგრამ კედლის სიბრტყის მიმართ ჩვეულებისამებრ გადმოშვერილი არ არის.

2009 წ. ადგილ. მოსახლეობამ ეკლ. შეაკეთა (პროექტის ავტორი არქიტ. ნ. ჩიკაშუა). განაახლეს გარეთა კედლების საპირე წყობის მნიშვნელოვანი ნაწილი, მოეწყო აგურის ორსაფეხურიანი ლავგარდანი – ჰორიზ. შემონაკვეთით ფრონტონის ძირებთან; შიგნით ეკლ. გაჯით შელესეს (კამარის ქუსლის დონემდე) და მთლიანად შეათეთრეს; ეკლ. გადაიხურა კრამიტით.

თ. დვალი.

ძირკოკი

(საკრებულოს ცენტრი)

292. იოანე ღვთისმეტყველის ეკლესია, არქიტ. ძ. დვას სოფლის დას-ით, სასაფლაოზე. განეკუთვნება XVII-XVIII სს.

ეკლ. დარბაზულია (12,4×6,7 მ). ნაგებია წვრილი რიყის ქვითა და კვადრ. აგურით. გარეთა კედლების ქვედა ნაწილი (დაახლ. 1,5 მ სიმაღლეზე) ძირითადად რიყის ქვისაა, აგური მხოლოდ გარეთა კუთხეების წყობაშია გამოყენებული. კედლების ზედა ნაწილებში კი ერთმანეთისგან თანაბარი მანძილებით დაცილებული, ერთრიგად დაწყობილი აგურის სწორხაზოვანი რიგებია ჩართული. კარ-სარკმელთა ღიობები და კონსტრ. ნაწილები გამოყვანილია აგურით. მოგვიანებით, როგორც ჩანს XIX ს-ში, ეკლ. განუახლებიათ და მისი დანგრეული ნაწილები კვადრ. აგურით აღუდგენიათ.

ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს: სამხრ-ით და დას-ით. დას. კარი ორივე მხრიდან შეისრული თაღითაა (გვიანდელია) გადახურული. სამხრ. შესასვლელს გარეთა გადახურვა ჩამონგრეული აქვს, შიგნით კი, ნახევარწრიული თაღი ხურავს.



292. გრძივი ჭრილი, ხედი ჩრდ.-კენ. გეგმა

აღმ-ით ღრმა ნახევარწრიული აფსიდია, რ-იც დარბაზის გრძივი კედლებიდან პილასტრების წყვილითაა გამოყოფილი, აფსიდში გაჭრილია გარეთკენ შევიწროებული, თაღოვანი სარკმელი. აფსიდის სამხრ. გვერდში ორი განიერი, ნახევარწრიული თაღით გადახურული ნიშაა, ხოლო ჩრდ-ით – ორი ანალოგიური და ერთი მცირე ზომის სწორკუთხა ნიშა. საკურთხევლის სარკმლის მიყოლებით ორი სარკმელია გაჭრილი ჩრდ. კედელში, ერთი – სამხრ. კედლის დას. ნაწილში.



292. დას. ფასადი

გრძივი კედლების შუაში თითო ორსაფეხურიანი პილასტრია. პილასტრის გვერდებზე საფეხურით შემავებილი არეა, რ-იც ნახევარწრიული თაღითაა დასრულებული. თაღები პილასტრის გვერდით საფეხურებს ეყრდნობიან, წინა საფეხურზე კი, კამარის საბჯენი თაღი იყო გადაყვანილი. ჩრდ. კედლის აღმ. არეში მოწყობილია განიერი, ნახევარწრიული თაღით გადახურული ნიშა.

ინტერიერი შელესილი ყოფილა – შემორჩენილია ნალესობის ფრაგმენტები.

დას. ფასადზე, შესასვლელის თავზე, კედლის მოგვიანებით განახლებულ ნაწილში, გამოყვანილი ყოფილა ჯვრის შეღრმავებული გამოსახულება.

2011-12 წწ-ში, ადგილობრივი მოსახლეობის მიერ, ეკლესიას ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები (პროექტის ავტორი ნ. მინდორაშვილი). აღდგა კედლების ზედა ნაწილები, კამარა და კონქი, შეკეთდა პილასტრების დაზიანებული ნაწილები, ეკლესია გადაიხურა ღარისებრი კრამიტით.

თ. დვალი.

293. მთავარანგელოზთა ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლების ძირკოკისა და ეკეკინის საზღვარზე. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (6,3×4,3 მ), ნაგებია რიყის ქვითა და კირის სქელი ხსნარით. გამოყენებულია აგურიც. დაზიანებულია: ჩამონგრეულია კამარის დას. ნახევარი, კედლების ზედა ნაწილები და ლავგარდანი.

ეკლესიაში შესასვლელი დახიდანაა. კარი გარედან თაღოვანია, შიგნით – სწორკუთხა. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-შიც ვიწრო თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ორივე მხარეს თითო ნიშაა. ჩრდ. ნიშა გეგმით წრიულია და თაღითაა გადახუ-



293. გეგმა

რული, სამხრ-ისა სწორკუთხაა და ერთმანეთზე კუთხით მიყრდნობილი ორი ბრტყელი ქვა ხურავს. შიგნით ნიშის აღმ. გვერდში მოწყობილია პატარა ოთხკუთხა შეღრმავება. სარკმლის ქვემოთ, კედელზე, მიდგმულია ოთხწახნაგა ტრაპეზი. დას. კედელში, შესასვლელის ასწერივ, შემორჩენილია სარკმლის წირთხლების ნაწილები.

კ. გიორგობიანი.

ჭანდარი

(საკრებულოს ცენტრი)

294. სასახლე. არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-დას. განაპირას. მცირე ქანობის ფერდობზე. განეკუთვნება XIX ს. ეკუთვნოდა ანდრონიკაშვილებს. 1924 წ-იდან 1980 წ-მდე სხვადასხვა მიზნით გამოიყენებოდა, რის შედეგადაც თავდაპირველი სახე მნიშვნელოვნად აქვს შეცვლილი. 1980-იანი წწ-იდან შენობა მიტოვებულია. მოხსნილია სახურავი, ტიხრების ნაწილი, იატაკი, კარ-სარკმლების ალაოები და სხვ.



294. საერთო ხედი

შენობა გეგმით სწორკუთხაა (დაახლ. – 24×13 მ), ნაგებია ძირითადად კვადრ. აგურით. კედლების მნიშვნელოვანი ნაწილი (ძირითადად ქვედა) ნაგებია აგურისა და რიყის ქვის რიგების მონაცვლეობით, ე. წ. კახური წყობით. ნაგებობა მთავარი (ჩრდ.) ფასადით ალაზნის ველისკენაა მიმართული. ამ მხარეს იგი ორსართულიანია, ზურგის მხარეს – ერთსართულიანი.



294. ინტერიერის დეტალი

I სართული (ამოვსებულია მიწით) სამეურნეო დანიშნულებისაა, მას მთავარი ფასადის მხარეს ერთი კარი და ორი სარკმელი აქვს.

II სართულშეკვეთილია ფართობის 9 ოთახად. ოთახებიორრიგადაა განლაგებული. მთავარ ფასადს, მთელ სიგრძეზე, აივანი გასდევდა (შემორჩენილია კოჭების საყრდენი ბუდეები). გარედან I სართულის კარ-სარკმლები თარაზულადაა გადახურული, II სართულისა – მშვილდისებრი თაღებით. მათგან რამდენიმე ამოშენებულია. სარკმლის ღიობებს ირგვლივ სადა, რელიეფური ჩარჩო ევლება, რ-იც დასრულებულია მარტივი, ორსაფეხურიანი ლაქვარდნით.

თ. შარკოზაშვილი.

295. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სასაფლაოზე. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (9,1×5,75 მ), შეიცავს სხვადასხვა პერიოდის ორ სამშენებლო ფენას, რ-ებიც ერთმანეთისგან როგორც საშენი მასალით, ისე წყობის ხასიათითაც განსხვავდება. კედლების თავდაპირველი ნაწილები რიყის წერილი ქვითაა ამოყვანილი. წყობა ირეგულარულია. აქა-იქ, ძირითადად გარეთა კუთხეებში, ტლანქად დამუშავებული შირიმის ქვებია ჩართული. მოგვიანებით (როგორც ჩანს XIX ს-ში) განახლე-

ბული ნაწილები ძირითადად კვადრ. აგურისაა. განახლების დროს კედლები გარედან შეუთეთრებიათ, ხოლო შიგნით შეულესავთ. კამარა და კონქი კი, ლურჯად შეულებავთ.

ერთადერთი შესასვლელი (მოგვიანებითაა გაგანიერებული) ეკლესიას დას-იდან აქვს. კარი კედლის ღერძიდან ოდნავ სამხრითაა გადაადგილებული. ღიობი





295. გრძივი ჭრილი, ხედი ჩრდ-კენ. გეგმა

აგურით ნაწყობი ნახევარწრიული თაღითაა გადახურული, წირთხლები კი რიყის ქვისა და შირიმისაა, რ-ებიც ერთმანეთისგან თანაბარი მანძილით დაცილებულ, აგურის ორრიგად ნაწყობ შრეებს შორისაა მოქცეული. ეკლესიის იატაკის დონე, მიწის დონესთან შედარებით რამდენადმე დაბლაა, რის გამოც შესასვლელის წინ ორსაფეხურიანი კიბეა მოწყობილი.

ამჟამად ნახევარწრიული აფსიდია, ბრტყლად გადახურული სარკმლით შუაში და თითო ნიშით ორივე გვერდში. ნიშები (გადაკეთებულია მოგვიანებით) გეგმით ნახევარწრიულია, გადახურულია თარაზულად და ჩასმულია საფეხურით შელრმავებულ სწორკუთხა არეში. სარკმლის ქვემოთ, კედელზე, მიდგმულია ოთხწახნაგა



295. გრძივი ჭრილი, ხედი ჩრდ-კენ. გეგმა

ტრაპეზი. კონქში ოქროსფერი საღებავით სულიწმინდაა გამოსახული.

თავდაპირველად საკურთხევლის იატაკი დარბაზის იატაკის მიმართ დაახლ. 20 სმ-ით ყოფილა შემაღლებული, იგი აფსიდის მხრეების ხაზიდან რამდენადმე დარბაზისკენ ყოფილა წამოწეული და შუაში შირიმის ქვაში გამოკვეთილი, ნახევარწრიული ამბიონი ჰქონდა მოწყობილი (შემორჩენილია მხოლოდ ამბიონი).



295. ხედი ჩრდ-დას-იდან

საკურთხევლის სარკმლის გარდა, შიდა სივრცეს სამხრ. და ჩრდ. კედლების აღმ. ნაწილში გაჭრილი, თითო ბრტყლად გადახურული სარკმელი აშუქებს. ორივე სარკმლის აღმ. გვერდის ოდნავ ქვემოთ, თითო პატარა ოთხკუთხა ნიშაა. ერთი სწორკუთხა, ოლონდ გაცილებით მოზრდილი ნიშა სამხრ. კედლის დას.-ნაწილშია. ეკლესიის იატაკი მოგებულია კვადრ. აგურით.

დარბაზი გადახურულია აგურით ნაწყობი, დადაბლებული პროპორციების კამარით. იგი დაყრდნობილია აგურისავე ორ საბჯენ თაღზე. მათგან ერთი დარბაზის გრძივი კედლების შუაში გამოყვანილ შეკიდულ პილასტრებზეა გადაყვანილი, ხოლო მეორე – დას. კუთხეებში მოწყობილ კრონშტაინებზე.

აღმ. ფასადზე სარკმლის სათაური შირიმის ქვისაა, მის ზემოთ, შირიმის კვადრ. ფილაზე ჯვრებია ამოკაწრული. მსგავსადაა დამუშავებული დას. ფრონტონის არეში ჩასმული შირიმის ოთხკუთხა ქვაც.

სახურავის კეხის დას. კიდეში შემორჩენილია აგურის სამრეკლოს წრიული ძირი, რ-იც აგურისავე კვადრ. საფუძველზეა დადგმული.

2010 წ. საერთაშ. საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით ეკლესიას ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები (პროექტის ავტორი არქიტ. ნ. მინდორაშვილი). აღადგა კედლების ზედა ნაწილები, მოეწყო აგურის საფეხუროვანი ლავგარდანი,ეკლ. გადაიხურა კრამიტით.

ეკლესიის დას-ით 200-იოდე მ-ზე, ქვით.კირის ნაგებობის (ეკლესიის?) ნანგრევია. შემორჩენილია ორი კედლის ნაშთი (მაქს. სიმ. – 1 მ).

თ. დვალი.

296. წმ. ბარბარეს ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას-ით 1 კმ-ზე. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (4×3,1 მ), ნაშენია მსხვილი და საშ. ზომის რიყის ქვით. წყობა ირეგულარულია.

2008 წ. თითქმის მთლიანად დანგრეული ეკლ. ჭანდრის ღვინის ქარხნის დაფინანსებით აღადგინეს (პროექტის ავტორი არქიტ. ნ. მინდორაშვილი). შემორჩენილი

იყო: აფსიდი კონქითურთ და სამხრ., დას. და ჩრდ. კედლების მცირე ნაწილები.

შესასვლელი (აღდგენილია) დას-იდანაა. აფსიდი გეგმით ნა-



296. ხედი სამხრ.-დას-იდან

ხევარწრიულია. მის ღერძზე გაჭრილია გარეთკენ შეყვროებული, სწორკუთხა სარკმელი, რ-ის გვერდებზე თითო მცირე ზომის სწორკუთხა ნიშაა. სარკმლის ქვემოთ, კედელზე, ქვითკირის ტრაპეზია მიდგმული.

თ. მარკოზაშვილი.

297. წმ. გიორგის ეკლესიის კომპლექსი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-დას-ით 2,5 კმ-ზე, წამებულის ხევის მარცხ. ნაპირზე, ტყეში. კომპლექსში შედის წმ. გიორგის ეკლ., წამებულის ეკლ., გალავნის და ნაგებობის ნაშთები.

წმ. გიორგის ეკლესია დარბაზულია (10×5,7 მ). განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს. ადგილ. მოსახლეობას XX ს-ის ბოლოს შეუკეთებია.



297. წმ. გიორგის ეკლესია, გეგმა

ეკლ. ნაგებია რიყის ქვითა და კირის ხსნარით. გარეთა კუთხეების წყობაში გამოყენებულია შირიმიც. გვიანდ. შეკეთების დროს აგური უხმარიათ.

შესასვლელი სამხრ-იდანაა. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-შიც სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ჩრდ-ით ერთი, ხოლო სამხრ-ით ორი ოთხკუთხა ნიშაა, სარკმლის ქვემოთ, კედელზე მიდგმულია ქვის ტრაპეზი. აფსიდი გადახურულია კონქით. კონქის თაღი ნახევარწრიულია. იგი შირიმითაა ნაწყობი და თაროსებრ იმპოსტებს ეყრდნობა. მსგავს იმპოსტებზეა დაყრდნობილი კამარის საბჯენი თაღიც. მის ქვეშ აღმართულია კამარის შესამაგრებელი მასიური ოთხწახნაგა სვეტი (გვიანდელია). აფსიდის იატაკი დარბაზის იატაკზე ორი საფეხურით მაღალია და შუაში ამბიონი(?) ჰქონია მოწყობილი. ამბიონის წყობაში ჩატანებულ ქვაზე, დაბალი რელიეფით გამოსახულია ჯვრის სამსაფეხურიანი კვარცხლბეკი, რ-იც წიწვისებრი ნახატითაა გაფორმებული.



297. წმ. გიორგის ეკლესია, ჭრილი, ხედი აღმ.-დან

დარბაზის ჩრდ. კედლის აღმ. ბოლოში შემორჩენილია ჩამოსაჯდომი საფეხური. სამხრ. კედელში ვიწრო თაღოვანი სარკმელი და ერთი პატარა ოთხკუთხა ნიშაა. ერთი თაღოვანი სარკმელი დას. კედელშიცაა.

გარედან სამხრ. კედელს (მთელ სიგრძეზე) საფეხური გასდევს. დას. ფრონტონზე აგურის წყობით ჯვარია გამოსახული (გვიანდელია). ლაგარდანი საფეხურიანია, გამოყვანილია ჩვეულებრივად ნაწყობი აგურის სამი რიგით.

ეკლესიის გარშემო შემორჩენილია გალავნის ფრაგმენტები. მის სამხრ.-აღმ. კუთხესთან გაურკვეველი დანიშნულების ნაგებობის კედლის ნაწილია (სიმ. დაახლ. 4-4,5 მ).

წამებულის ეკლესია, დგას წმ. გიორგის ეკლესიის აღმ-ით 5-6 მ-ზე.

ეკლ. დარბაზულია (6,8×3,4 მ). ნაგებია რიყის ქვის ლოდებით



297. წმ. გიორგის ეკლესია, ხედი ჩრდ.-დას-იდან

და შირიმის ქვის კვადრებით. დანგრეულია: შემორჩენილია აღმ. (სიმ. 3 მ), ჩრდ. და დას. კედლების (სიმ. 0,5 მ) ნაწილები. ეკლესიის შიგნით ბზის ხეებია ამოსული.

შესასვლელი დას-იდან ჰქონია (შემორჩენილია წირთხლის მცირე ნაწილი). ეკლ. აღმ-ით დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით (შემორჩენილია ჩრდ. გვერდი, ერთი პატარა სწორკუთხა ნიშით და კონქის ქუსლის მცირე ნაწილით).

ძეგლის ახლოს აკლდამები და ქვის სამარხებია.

კ. გიორგობიანი.

ჭერემი

(საკრებულოს ცენტრი)

298. თასი არქეოლ. ძ. აღმოჩნდა XX ს-ის 90-იანი წლების დასაწყისში სოფლის სავარგულებში, მდ. ჭერმისხევის მარცხ. ნაპირზე. განეკუთვნება VI-VII სს.

თასი ვერცხლისაა (პირის დიამ. – 1201 მმ, სიმ. – 37 მმ, პირის სისქე – 4 მმ, წონა – 382,1 გრ.). მის გარეპირზე ყოფითი სცე-

დანა უჭირავს და მტევნის მოჭრას აპირებს. მეორენაც ხელი მტევნისკენ აქვს გაწვდილი, ზურგზე კი გიდელი ჰკიდია. ფრინველთაგან ერთ-ერთი (თუთიყუშის მსგავსი) ყურძენს კენკავს. თასის პირისკიდეზე შემოუყვება მძივების რიგი, მის ქვემოთ კი – ზოლიანი ენები.

თასი ფორმითა და რელიეფური სახეებით სასანური ირანის პერიოდსა და ამავე კულტურულ წრეს განეკუთვნება, მაგრამ სასანური თასებისაგან განსხვავებით ჭერმისხევის თასის ფსკერზე გამოსახულია ორმაგ წრეში ჩასმუ-



298. საერთო ხედი

ნა, რთველია გამოსახული. იგი მდიდრულადაა შემკული დაბალი რელიეფური ორნამენტით. გარეპირზე ფონი მოოქრულია, რელიეფი კი ვერცხლისფერშია დატოვებული. თასის ძირზე წრეში ჩასმული ტახის თავია გამოსახული. წრიდან, ერთმანეთის მოპირდაპირედ, ამოზრდილია ორი ვაზი. ვაზის ყლორტებით შექმნილი ორნამენტული წრეები, რ-ებშიც ვაზის ფოთლები ან ყურძნის მტევნებია ჩასმული, თასის მთელ გარეპირს ფარავს. ვაზის რტოებს შორის ორი მამაკაცის ფიგურაა, ორი სხვადასხვა ფრინველი, ორი მელა და კურდღელია გამოსახული. მამაკაცთაგან ერთს მოხრილი სასხლავი



298. შიდაპირი

ლი, მოოქრული, ტოლმკლავა, ე. წ. ბოლნური ჯვარი, რ-იც მკვეთრადაა გამოყოფილი თასის პრიალა ზედაპირზე.

თასი გვიან სასანური ტორევტიკის ბრწყინვალე ნიმუშია. მისი დამზადების ადგილი უცნობია. ის შეიძლება დამზადებული იყოს, როგორც ცენტრალური ირანის სახელოსნოებში, ისე სხვაგანაც, მ. შ. საქართველოშიც.

ი. გაგოშიძე.



298. გარეპირი

299. კვირიკეს ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-დას-ით 2 კმ-ზე, გორაზე. ითვლება ჭავჭავაძეების საგვარეულო სალოცავად. ადგილ. მოსახლეობის გადმოცემით აგებულია XIX ს-ის ბოლოს.

შენობა გეგმით სწორკუთხაა (4,85×3,8 მ), უაფსიდო და უსარკმლო. ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით. შესასვლელი მოწყობილი აქვს

ჩრდ. კედლის დას. კიდეში. კარი სწორკუთხაა. აღმ. კედელში ორი ოთხკუთხა ნიშაა. ერთი მსგავსი ნიშა ჩრდ. კედელშიცაა. ჩრდ.-აღმ. კუთხეში დგას ტრაპეზი.

ეკლ. გადახურულია ხის ორფერდა სახურავით, რ-იც კრამიტითაა დაბურული. სახურავის კეხის დას. ბოლოში ხის დიდი ჯვარია აღმართული.

თ. მარკოზაშვილი.

300. კოზმანის სალოცავი, საკულტო ძ. დგას სოფელში. ითვლება ბარბაქაძეების საგვარეულო სალოცავად.

შენობა გეგმით სწორკუთხაა (4×3 მ), უაფსიდო. ნაგებია მსხვილი, დაკუთხული ქვითა და თიხით.

შესასვლელი დას-იდან აქვს. კარი ხის ძელებითაა გადახურული. აღმ. კედლის შუაში ბრტყელი რიყის ქვით თარაზულად გადახურული სარკმელია.

ნაგებობის ორკალთიანი კრამიტის სახურავი ხის კოჭებზეა გამართული.

თ. მარკოზაშვილი.



300. ხედი ჩრდ-დას-იდან

301. ლიზინის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის შესასვლელში. განეკუთვნება ადრინდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია. სამხრიდან თანადროული მინაშენი აქვს, რ-იც ეკლესიის კორპუსს წყობით შეკავშირდება. შენობა ნაგებია რიყის ქვითა და შირიმით. ძლიერაა დაზიანებული: ჩამონგრეულია ეკლესიისა და მინაშენის გადახურვა, კედლების ზედა ნაწილები. კედლების შემორჩენილი ნაწილები დაფარულია მცენარეებით.

შესასვლელი ეკლესიას სამხრიდან, მინაშენიდან აქვს. კარი ორივე მხრიდან თაღოვანია.





301. გრძივი ჭრილი, ხედი სამხრ-კენ. გეგმა

ეკლესიის თითქმის კვადრ. დარბაზი აღმ-ით დასრულებულია ნახევარწრიული შეერილი აფსიდით (შიდა ზომები ღერძებზე: – 8,6×5,3 მ), რ-შიც სამი მაღალი, თაღოვანი სარკმელი ყოფილა გაჭრილი. შემორჩენილია სამხრ. სარკმელი და ცენტრ. სარკმლის სამხრ. წირთხლა. ჩრდ. სარკმლის ადგილზე კედელი განგრეულია. სარკმლების თაღები, როგორც ეს შემორჩენილი ნაწილებიდან ჩანს, ნალისებრი ყოფილა.

დარბაზის გრძივ კედლებზე თითო ერთსაფეხურიანი პილასტრია, რ-ებიც შესაბამის კედლებს ორ არათანაბარ ნაწილად ყოფენ (აღმ. ნაწილი 1 მ-ით ნაკლებია დას-ისაზე). სამხრ. კედელში, შესასვლელის ზემოთ, გარეთკენ შეყვროებული, თაღოვანი სარკმელია გაჭრილი.

სამხრ. მინაშენი გეგმით სწორკუთხაა. აღმ-ით დასრულებულია ნალისებრი აფსიდით (შიდა ზომები აფსიდის ჩათვლით: სიგრ. – 5,7 მ, სიგ. – 2,3 მ). მინაშენში შესასვლელი სამხრ. კედლის დას. ნაწილშია.

ბ. კუპრეიშვილი.

302. მამა დავითის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას-ით, ძვ. სასაფლაოზე განეკუთვნება VI-VII სს.

ძ. სამეკლესიანი ბაზილიკაა, სამმხრივი გარშემოსაველით



302. გეგმა

(14×11 მ). მისი ჩრდ. და სამხრ. ფრთები დამოუკიდებელ ეკლესიებს წარმოადგენენ, ხოლო დასარკმელია გაჭრილი. სარკმლის თაღი, ისევე, როგორც წირთხლები შირიმითაა გამოყვანილი. აფსიდის კედელს ჩამოსაჯდომი საფეხური გასდევს. აფსიდი გადახურულია წესიერი ფორმის კონქით, ძირითად კორპუსს წყობით შეჯავშირდება. სათავსიდან აღმ. და დას. კედლების მცირე ნაწილებიღა შემორჩენილი. მათგან აღმ. კედელზე განიერი ნიშნის ნაშთია, რ-იც, როგორც ჩანს, აფსიდის ფუნქციას ასრულებდა; სათავსის სამხრ. კედელში მოწყობილია მაღალი, დრმა ნიშა.



302. ხედი სამხრ.-დას-იდან

ჩრდ. ეკლესიიდან საძირკველიღაა შემორჩენილი.

სამხრ. ეკლ. აღმ-ით დასრულებულია ნალისებრი აფსიდით (შემორჩენილია 1,5-1,8 მ სიმაღლეზე), რ-ის ღერძზე სარკმლია გაჭრილი. სამხრ. კედელში, როგორც შემორჩენილი წყვილი კვადრ. ბურჯის მიხედვით ჩანს, მოწყობილი იყო სამმალიანი შესასვლელი.



302. ინტერიერი, მთ. ეკლესია, ხედი აღმ.-კენ

ისა – გვერდითი ეკლესიების დამაკავშირებელ დერეფანს. ჩრდ. ფრთის აღმ. ბოლოში მოწყობილია უფსიდო, გუმბით სწორკუთხა სათავსი, რ-იც მხოლოდ მთავარ ეკლესიას უკავშირდებოდა.

შენობა ნაგებია ნაწილობრივ დამუშავებული, ოდნავ წაგრძელებული ქვიშაქვის კვადრების თარაზული წყობით – მცირე დუღაბზე.

ძლიერაა დაზიანებული: თითქმის მთლიანადაა დანგრეული გვერდითი ეკლესიები და მათი დამაკავშირებელი დას. დერეფანი. მთავარი ეკლესიიდან მთელ სიმაღლეზე მხოლოდ აფსიდია შემორჩენილი; სამხრ. დას. და ჩრდ. კედლები კი 2,5-3 მ სიმაღლეზეა დაბანან.

შუა ეკლ. აღმ-ით დასრულებულია ნალისებრი მოხაზულობის აფსიდით, რ-შიც პარალელურწირთხლებიანი, ნალისებრი თაღით გადახურული მაღალი რ-ის თაღი და წყობის უმეტესი ნაწილი შირიმის ნათალი ქვისაა. კონქის თაღი ნალისებრი მოხაზულობისაა. იგი დაყრდნობილია შირიმისავე იმპოსტებზე, რ-თა პროფილს შეადგენს თარო და ცერად ჩამოკვეთილი სიბრტყე-თაღის ზემოთ აყვანილია მაღალი შეღუნული კედელი, ე. წ. „შუბლი“, რ-ის უკან, კონქის თავზე, მოწყობილი ყოფილა სამალავი.

მთავარ ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს: სამხრ-იდან და დას-იდან. სამხრ. კარი შიგნიდან შირიმის ნათალი ქვით ნაწყობი ნალისებრი თაღითაა დასრულებული, გარედან კი თარაზულად ყოფილა გადახურული (ზღუდარი და წყობა მის ზემოთ ჩამოშლილია). დას. კარს გადახურვა ჩამოშლილი აქვს.

მთავარი ეკლესიის ჩრდ. კედლის აღმ. ნაწილში ბრტყლად გადახურული კარია, რ-იც ჩრდ.-აღმ. სათავსში გადის. იგი ეკლესიის

გვერდითი ეკლესიების დამაკავშირებელ დერეფანს შესასვლელი დას-იდან აქვს, რ-იც შენობის ღერძიდან სამხრ-ითაა გადაადგილებული.

ეკლესიას დაკბილული ლავგარდანი ჰქონია (შემორჩენილია ფრაგმენტები).

თ. დვალი.

ბიბლ.: 126; 129; 335.

303. ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს კვირიას გორაზე. განეკუთვნება ენეოლითიდან აღრინდ. ბრინჯაოზე გარდამავალ ხანას.

ძ. შემთხვევით აღმოჩნდა მშენებლობის დროს. დაზიანებულ ნამოსახლარზე არქეოლ. სამუშაოები ჩაატარა კაპე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). გამოვლინდა რამდენიმე სამეურნეო ორმო. ორმოებში გახეხილ-გაპრიალებულ ბრტყელ ცულებთან ერთად მტკვარ-არაქსის კულტურის ადრინდ. საფეხურისათვის დამახასიათებელი კერამიკაც აღმოჩნდა.

მასალა დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ-ეთნ. საცავში.

რ. რუსიშვილი.

ბიბლ.: 128.

304. ნამოსახლარი სადანძილე, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით 500-600 მ-ზე, მდ. ჭერემისხევის მარცხ. ნაპირზე. განკუთვნება ძვ. წ. IV ათასწლ. II ნახევარს.

ძეგლს 1983 წ. მიაკვლია კაპე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური) ნამოსახლარის შუაში, ნიადერისაგან შექმნილი ხრამის ადმ. ფლატეში გაიწმინდა ერთი სათავსი. მისი დიდი ნაწილი ხრამის მიერაა დაზიანებული. იატაკი მოლესილია და რამდენჯერმე განახლებული. აღმოჩნდა მიწაში ჩაჭრილი კერა (შიდა დიამ. – 0,7 მ), რ-ის ოდნავ ამობურცული კიდე ბორდიურში (სიგ. 0,48 მ) გადადის. მთელი იატაკი ძლიერი ცეცხლის შედეგად გადამწვარია. აქ მოპოვებული მასალა მსგავსია მტკვარ-არაქსის ადრეულ ძეგლებზე მოპოვებული მასალის.

მასალა დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ-ეთნ. საცავში.

ჯ. ჯარაშვილი.

305. ნაძალაძარი, არქეოლ., ისტ., არქიტ. ძ. მდებარეობს გომბორის ქედის ცენტრ. ნაწილში, სოფ. ჭერემის ტერიტორიასა და მის დასით მდებარე კლდოვან ბორცვზე, მდ. ჭერმისხევის მარცხ. მაღალ ნაპირზე.

საისტორიო წყაროებში ქ. ჭერმის ლოკალიზაციის,ქრონოლოგიის, საეკლესიო კათედრის დაწესების,სპარსთა ლაშქრობისა და მისი მარშრუტის შესახებ დაცული ცნობები მნიშვნელოვნად შეავსო ნაქალაქარის არქეოლ. გამოკლევამ, რ-საც 1970 წ-იდან ათი წლის განმავლობაში ეწეოდა კაპე (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური, რაზმის ხელმძღვ. ნ. მამაიაშვილი). შედეგად სოფლის ტერიტორიასა და მის შემოგარენში გამოვლინდა ქვის, ადრინდ. ბრინჯაოს, გვიანდ. ბრინჯაო-რკინის, ადრინდ., განვით. და გვიანდ. შუა საუკუნეების ხანის ძეგლები.

არქეოლ. ძეგლებიდან უძველესია სოფლის ტერიტორიაზე აკრეფილი ქვის ხანის კაჟის იარაღები, რ-ებიც დიდ ფართობზეა მობნეული და კულტ. ფენასთან არ არის დაკავშირებული. სოფლის განაპირას, კვირიკეს გორაზე, აღმოჩნდა გვიანდ. ენეოლითური ხანის ნამოსახლარის ნაშთები, რ-ებიც ძირითადად სამეურნეო ორმოებითა და შენობათა ქვის კედლების ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი. სოფლის დას-ით აღგილ სადანძილეში გაითხარა ადრინდ. ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარის ნაშთები. არქეოლ. ექსპედიციამ სოფლის გარშემო და სოფლის აღმ-ით, ე. წ. წვეროდაბლის ბორცვზე, გვიანდ. ბრინჯაო-რკინის ხანის არაერთი ნამოსახლარის და სამაროვნის არსებობა დაადასტურა. ამავე ტერიტორიაზე არის ძვ. წ. I ათასწლ. I ნახ. ძეგლებიც.

დღევანდელი სოფლის ტერიტორიასა და წვეროდაბლის ბორცვზე, სადაც გორგასლისეული ქ. ჭერმის უბნების არსებობაა დადასტურებული, გამოვლინდა და შესწავლილი იქნა III-IV სს. ქალაქური ტიპის მნიშვნელოვანი დასახლება და სამაროვანი. სამაროვანზე წარმოდგენილი მასალა – მინის ჭურჭელი, მრავალრიცხოვანი და მრავალსახოვანი მძივები, სხვადასხვა სამკაული და მონეტები – აღმ-თან დამაკავშირებელი მნიშვნელოვანი სავაჭრო გზის არსებობაზე მიუთითებს. ამ გზას უნდა გულისხმობდეს ჯუანშერი, როდესაც აღწერს სპარსეთის ლაშქრის მარშრუტს. სწორედ ამ გზამ შეუწყო ხელი ჭერმისა და ამ გზაზე მდებარე სხვა პუნქტების (ხორნაბუჯი, ვეღისციხე, უჯარმა) წინ წამოწევასა და გაქალაქებას. ამჟამად [illegible] ირკვევა, ჯერ [illegible] მდე არსებობდა ქ. ჭერემი, რ-იც ვრცელ ტერიტორიაზე იყო გაშლილ და ერთმანეთისაგან დაშორებული ცალკეული უბნებისაგან შედგებოდა. მისი ერთ-ერთი უბანი დღევანდელი სოფლის ტერიტორიას მოიცავდა, სადაც მომდევნო საუკუნეებშიც ინტენსიური ცხოვრების კვალი ჩანს.

„ქართლის ცხოვრების" (ჯუანშერი) მიხედვით, ქ. ჭერემის აგება და იქ საეპისკოპოსოს დაარსება ვახტანგ გორგასლის სახელს უკავშირდება. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით კი, ჭერემში გორგასლამდეც ყოფილა ქალაქი. ვახტანგს კი აქ ციხე „ქალაქი მაგარი" აუშენებია და საეპისკოპოსო დაუარსებია.

ჯუანშერის ცნობით, ქ. ჭერემი ვახტანგ გორგასლის მიერ აგებული ორი ეკლესიით იფარგლებოდა. თუ ჯუანშერი ქ. ჭერმის მხოლოდ ციტადელს გულისხმობდა, რ-იც ვახტანგის აგებულია, მაშინ ეს ეკლესიები შეიძლება იყოს წმ. გიორგისა და წმ. ბარბარეს ეკლესიები. მაგრამ თუ ჯუანშერთან ქ. ჭერმის ვრცელი ტერიტორიაა ნაგულისხმევი, მაშინ ერთი ეკლ. (დას-ით) შეიძლება წვეროდაბალი (წმ. გიორგის ეკლ.) იყოს, ხოლო მეორე (აღმ-ით) – მისი თანადროული მამა დავითის ეკლ.

დღევანდელი სოფლის ცენტრ. ნაწილში საკათედრო ტაძრის გალავნის შიგნით, ტაძრიდან რამდენიმე ნაბიჯზე მდგარა პატარა, გუმბათიანი ნაგებობა. იგი 1924 წ. ანტირელიგიური კამპანიის დროს გაუნადგურებიათ. ეს იყო რიყის ქვით საგულდაგულოდ ნაშენი, გეგმით კვადრ. ოთხიქე მხარეს თაღებით გახსნილი გუმბათიანი ნაგებობა.

გ. ჩუბინაშვილის აზრით, აღნიშნული ნაგებობა უძველესი ქრისტიანული ძეგლია საქართველოში.

სოფ. ჭერმის ტერიტორიაზე, საშუალო სკოლის მშენებლობის

დროს გამოვლინდა III-VIII სს. სამაროვანი. ბორცვი, რ-ზეც სამაროვანია განლაგებული, კლდის მასივს წარმოადგენს. იგი დაფარულია ძალიან თხელი ჰუმუსოვანი ფენით, რის გამოც სამარხები გამართულია კლდის ნაპრალებში და უბნებადაა წარმოდგენილი. ამჟამად სამარხების ოთხი უბანია გამოვლენილი. ოთხივე უბნის სამარხები კოლექტ. ქვის სამარხებია. გამონაკლისია ერთ-ერთ უბანზე გათხრილი ქვის ფილით გადახურული ოთხი ორმოსამარხი.

სამაროვნის შესწავლით ცხადი გახდა,რომ ქალაქური ტიპის დასახლება აქ უკვე III ს-ის II ნახ-იდან არსებულა. წერილობითი წყაროების მიხედვით ცნობილია, რომ გორგასლის მიერ აგებული „ქალაქი მაგარი" წვეროდაბლის ბორცვზე ყოფილა განლაგებული და რომ ძვ. ქალაქი გორგასლის მიერ მის მახლობლად ციტადელის აგების შემდეგაც განაგრძობს არსებობას.

არქეოლ. სამუშაოების შედეგად სოფლის განაპირა ალმ. ნაწილში გამოვლენილ იქნა III-IV სს-ის მძლავრი ნამოსახლარი ბორცვი, რ-იც დღესაც წმინდა ადგილადაა მიჩნეული. ადგილ. მოსახლეობის გადმოცემით აქ მდგარა წმ. მარინეს სახელობის პატარა ეკლ., რ-ის შემორჩენილი კედლები 1934 თუ 1935 წ. დაუნგრევია ყუბანიდან ჩამოსახლებულ მჭედელს და გაზიდული ქვებით სახლი აუგია.

გათხრების შედეგად გაირკვა, რომ ეკლ. დარბაზული ყოფილა (სიგრ. – 5,9 მ, სიგ. – 4 მ), ნახევარწრიული აფსიდით და შესასვლელით დას. მხრიდან. იგი ნაგები ყოფილა მოზრდილი ზომის თლილი ქვით. ნაეკლესიართან ადრინდ. შუა საუკუნეების ქვისსამარხებია გამოვლენილი.

III-IV სს-ის ქალაქის ერთ-ერთ უბანს შეადგენდა აგრეთვე დღევანდელი სოფლის დას-ით 4 კმ-ზე მდებარე წვეროდაბლის ბორცვზე გამოვლენილი სამოსახლოც, რ-იც წარმოდგენილია კრამიტით გადახურული მკვიდრი ნაგებობების ნაშთებით. სავარაუდოა, რომ ამ დროს ქალაქის სხვა უბნებიც არსებობდა.

წყაროების მიხედვით V ს-ის II ნახ-ში ხდება ჭერემის, ისევე როგორც ალმ-იდან მომავალ მნიშვნელოვან სავაჭრო გზაზე (ჯუანშერის მიერ აღწერილი გზა) მდებარე. ეკონ. საფუძველზე აღმოცენებული ცენტრების (ხორნაბუჯი, ველისციხე, უჯარმა) ციხე-ქალაქებად – სტრატეგიულ პუნქტებად გადაქცევა, რაც განპირობებული იყო ამ პერიოდში სასანური ირანის აგრესიის გაძლიერებით. ეკონ. ცენტრების (ჭერემი, უჯარმა, ხორნაბუჯი) სტრატეგიულ პუნქტებად გადაქცევას თან სდევდა საეპისკოპოსო კათედრის დაფუძნება. საფიქრებელია, რომ საეპისკოპოსო კათედრის დაფუძნება, სხვა ფაქტორებთან ერთად, იდეოლოგიურ ფარსაც წარმოადგენდა მოზღვავებული მაზდეანობის წინააღმდეგ საბრძოლველად. საგარეო პირობებმა გამოიწვია კახეთ-ჰერეთის პოლიტ.-ადმ. და საეკლ. ცენტრის გადანაცვლება ველიდან მთისკენ, რაც ალმ-იდან მომავალ მნიშვნელოვან გზაზე მდებარე კახეთ-ჰერეთის ქალაქებისათვის საერთო მოვლენად ჩანს.



305. ციხე-დარბაზი, გეგმა

წერილობითი წყაროების მიხედვით V ს. II ნახ-ში ვახტანგ გორგასალი ჭერემში, საეპისკოპოსოს დაარსებასთან ერთად, აგებს ციხეს – სტრატეგიულ პუნქტს. ჭერმის ციხის აგებასთან ერთად, როგორც ჩანს, იქმნება მთელი მხარის გამაგრების სისტემაც. აქ ციხეებით ჩაკეტილია ყველა ხეობა. როგორც ალაზნის, ისე ივრის ველიდან ქ. ჭერემსაც თავისი გამაგრების სისტემა ჰქონია. მაღლა ტაბაწყვერის მთაზე, რ-იც ჩრდ-იდან გადმოჰყურებს ჭერემსა და მის მიდამოებს, გამოვლენილია კოშკის ნაშთი, რ-იც V ს. მიეკუთვნება.

როგორც არქეოლ. კვლევამ ცხადყო, V ს-ში ქ. ჭერემი, III-IV სს-ის ქალაქის მსგავსად, ერთიმეორისაგან დაცილებული რამდენიმე უბნისაგან შედგებოდა. თითოეულ უბანს თავისი ეკლ. ჰქონდა.

ქ. ჭერემის მრავალი უბნიდან, ზღუდე მხოლოდ გორგასლისეულ ციტადელს (ფართ. დაახლ. 10 ჰა) ჰქონია, რ-იც დღევანდელი სოფლის დას-ით, 4-5 კმ-ზე, ე. წ. წვე-

როდაბალის ბორცვზე მდებარეობს. აქა-იქ შემორჩენილი კედლის მცირე ნაწილების მიხედვით, ციტადელის ზღუდე სწორკუთხოვანი ჩანს. ციტადელს მოკავებული ჰქონდა მოზრდილი ბორცვი, რ-იც დას. ნაწილში ღრმა ხევებით (სამხრ-ით ჭერმისხევი, ჩრდ-ით კაბაურის ხევი) შემოფარგლული კლდოვანი კონცხით მთავრდებოდა; მასზე ციხე-დარბაზი იყო გაშენებული. კონცხი ჯერ კიდევ გვიანდ. ბრინჯაო-რკინის ხანაში თავდაცვითი თხრილით გამოყოფილ ნამოსახლარ ბორცვს წარმოადგენდა, ხოლო III-IV სს – საკმაოდ მოზრდილ, მძლავრ ნამოსახლარს. ციტადელის აღმ. ნაწილში, შემაღლებაზე საკათედრო ტაძარი იდგა. საკათედრო ტაძარსა და ციხე-დარბაზს შორის მოქცეული ტერიტორია სასახლის კომპლექსს ეკავა. ციტადელის აღმ. ნაწილს, აღმ-იდან (კაბაურის ხევიდან ჭერმის ხევამდე) გალავანი საზღვრავდა. გალავნის გრძელი კედელი ფიქსირებულია სამხრ-ითაც, ჭერმისხევის გასწვრივ. აქვე მიკვლეულია ერთმანეთის პარალელური ორი კედელი, სადაც უნდა ყოფილიყო ქალაქის ერთ-ერთი კარიბჭე. შეიმჩნევა ასევე ქვით მოგებული ნაგზაური.

ც ი ხ ე - დ ა რ ბ ა ზ ი ძირითადად ორი ფრთისგან შედგება, რ-ებიც ერთმანეთს მართი კუთხით ერთვიან. ორივე ფრთაში სათავსები ერთთრიგადაა განლაგებული. აღმ. ფრთის შუაში ვიწრო დერეფანია, რ-ის ორივე მხარეს ორ-ორი სათავსია განლაგებული. ჩრდ. ფრთაში კი ორი სათავსი და ერთი დერეფანია. სათავსები ერთმანეთს თითო კარით უკავშირდებიან. გარდა ამისა, თითოეული მათგანი ეზოსთანაცაა დაკავშირებული. ციხე-დარბაზის ჩრდ. ფრთა სწორ ადგილზეა აგებული, აღმ-ისა კი სამხრ-ისკენ ეშვება. ამის შესაბამისად, აღმ. ფრთის სათავსების დამაკავშირებელი კარების ზღურბლში თითო საფეხურია გამოყვანილი. აღმ. ფრთას სამხრ-იდან ბლაგვი კუთხით უერთდება დიდი ოთხკუთხა კოშკი, რ-საც შესასვლელი ეზოს მხრიდან აქვს. ციხე-დარბაზის ჩრდ. და აღმ. კედლები ყრუა და გალავნის დანიშნულებას ასრულებს.

ციხე-დარბაზი ორსართულიანი მაინც უნდა ყოფილიყო. ქვედა სართული სამეურნეო დანიშნულებისა ჩანს. ჩრდ. ფრთის დას-ით მდებარე სათავსის ქვეშ მოწყობილია კამაროვანი სარდაფი, საიდანაც ხევში კიბეები ჩადიოდა, რაც წყალთან ჩამავალი გვირაბის არსებობაზე უნდა მიუთითებდეს.

ნაგებობა გადახურული ყოფილა წითელი წერნაქით დაფარული ღარისებრი და ბრტყელი კრამიტით. ნაგებობის კედლებს (სისქე – 1,5 მ) შიდა და გარე მხრიდან ამოყვანილია მეტ-ნაკლებად თანაბარი დიდი ზომის თლილი ქვების პირი. წყობით ნაგები პერანგი, რ-თა შორის დარჩენილი არე შედარებით წვრილი ქვითა და კირის დუღაბითაა შევსებული. კუთხეებსა და ზღურბლებში ნახმარია გრძელი გათლილი ქვები. კედელზე ალაგ-ალაგ შეინიშნება შელესილობის კვალი. ციხე-დარბაზის ქვედა სართულს, რ-იც სამეურნეო დანიშნულების უნდა ყოფილიყო, სარკმლები არ ჰქონია. იატაკი თიხატკეპნილი ყოფილა.

ციხე-დარბაზში შესასვლელს, რ-თანაც მისვლა ფლატის გასწვრივ კლდეში გაჭრილი ვიწრო ბილიკით შეიძლება, სამხრ. მხრიდან ოთხკუთხა კოშკი იცავდა.

ციხე-დარბაზის აღმ-ით, ბორცვის თხემი სასახლის კომპლექსში შემავალ ნაგებობათა ნანგრევებითაა მოფენილი. ციხე-დარბაზის მიმდებარე ნაწილი უკავია სამეურნეო დანიშნულების მოფილაქნებულ წრიულ ეზოს, რ-იც აქ აღმოჩენილი არქეოლ. მასალის მიხედვით განვით. შუა საუკუნეებს მიეკუთვნება. შესაძლებელია ფილაქანი და მოპირკეთებული ხაროები ციხე-დარბაზის თანადროული იყოს და ხელმეორედ განვით. შუა საუკუნეებში გამოიყენეს.

სამეურნეო ეზოს აღმ-ით, ორმოცდაათიოდე მ-ზე, გამოვლინდა და გაიწმინდა აღმ-იდან დას-ის მიმართულებით წაგრძელებული დიდი ნაგებობა – ს ა ს ა ხ ლ ე, რ-იც ისეთივე წყობითა და მასალითაა ნაგები, როგორითაც ციხე-დარბაზი.

შენობის გეგმის სწორკუთხედში (30,5×15,7 მ) ჩაწერილია გვერდიგვერდ განლაგებული და ერთმანეთისგან ვიწრო დერეფნებით გამიჯნული სამი დარბაზი. სამივეს შესასვლელი სამხრ-იდან აქვს, რ-თაგან შუა ვიწროა, განაპირები კი – განიერი. დას-ით მდებარე დარბაზს (10,1×6,57 მ), შესასვლელის გარდა, კიდევ ორი კარი აქვს. ერთი კარი (სიგ. 1 მ) ჩრდ. კედლის დას. კიდეშია გაჭრილი, მას შევყავართ ჩრდ-ით მდებარე გაურკვეველი დანიშნულების მქონე ვიწრო სათავსში (სიგრ. – 6,55 მ, სიგ. – 1,55 მ), რ-იც გაყოფილია ერთმანეთთან დაკავშირებულ ორ თანაბარ ნაწილად. მეორე კარი აღმ. კედლის ჩრდ. კიდეშია. ამ უკანასკნელით დარბაზი უკავშირდება აღმ-ით მდებარე ვიწრო და გრძელ (სიგრ. – 12,65 მ, სიგ. – 1,5 მ) ყრუ დერეფანს.

შუა დარბაზის (10,5×5 მ), ჩრდ. კედლის დას. კიდეში კარია (ამოშენებულია), რ-იც გადიოდა ჩრდ-ით მდებარე, ორ ურთიერთდაკავშირებულ ნაწილად გაყოფილ დერეფანში (სიგრ. – 5 მ, სიგ. – 1,5 მ); დერეფანი აღმ. ბოლოში მოწყობილი კარით დაკავშირებულია ვიწრო, გრძელ დერეფანთან (სიგრ. – 12,65 მ, სიგ. – 1,25 მ), რ-იც შუა და აღმ-ით მდებარე დარბაზებს შორისაა და აღმ. დარბაზს (12,65×7,25 მ) კარით უკავშირდება.

ნაგებობა, როგორც ჩანს, ორსართულიანი ყოფილა და მის ქვედა სართულს სამეურნეო დანიშნულება ჰქონია, რაზედაც თიხატკეპნილ იატაკში ჩაჭრილი სამეურნეო დანიშნულების ორმოები და მოზრდილი ჭურჭელი მიგვანიშნებს.

სასახლის ტერიტორიაზე მშენებლობის სამი დონე შეინიშნება. ზედა, აღმოჩენილი კერამიკის მიხედვით, XII-XIII სს. განეკუთვნება. ამ ფენიდან ორი გრძელი კედელია შემორჩენილი (მანძილი მათ შორის 7-8 მ-ია), რ-ებიც იწყება სასახლის დას-ით მდებარე წრიული ეზოდან, მისი კარის აქეთ-იქით, მიემართება აღმ-ისკენ, გა-

დადის სასახლეზე (სამხრ. კედელი – სასახლის სამხრ. კედელზე, ხოლო ჩრდ-ისა – სასახლის შუა ნაწილზე) და მიემართება წმ. ბარბარეს ეკლესიისკენ (სასახლის აღმ. კედელთან კედლებს შორის მანძილი 3 მ-ია). XII-XIII სს. კედლების ქვეშ V ს-ის II ნახ-ის ფენაა, მის ქვემოთ კი III-IV სს. ფენაც დასტურდება.

სასახლის აღმ-ით სამოციოდე მ-ზე დგას წმ. ბარბარეს ეკლესია, იგი ისეთივე წყობითა და მასალითაა ნაგები, როგორითაც ციხე-დარბაზი და სასახლე. ნ. ჩუბინაშვილი მას V ს. ნაგებს მინაშენი (სიგ. – 3,37 მ) – შესასვლელით სამხრ-იდან. მინაშენის იატაკი ეკლესიის ცოკოლის დონეზეა, ცოკოლი კი იატაკის ქვეშაა მოქცეული. მინაშენი ნაგები ყოფილა არათანაბარი ზომის ნატეხი ქვით. წყობაში რიგების სწორხაზოვნება მეტ-ნაკლებად დაცულია.

მინაშენში ეკლესიის სამხრ. კედელზე მიდგმულია შირიმის ქვაში გამოკვეთილი ემბაზი.

ეკლესიის აღმ. და ჩრდ. კედლებთან გამოვლინდა ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხები, რ-ებიც მინაშენის თანადროულად შეიძლება მივიჩნიოთ.

ეკლესიის აღმ-ით, ორმოცდაათიოდე მ-ზე გამოვლინდა დიდი



305. სასახლე. გეგმა

ბოლო მესამედის ძეგლად მიიჩნევს. ეკლ. დარბაზულია (6,8×4,3 მ). აქვს ნალისებრი საკურთხეველი, რ-შიც თითქმის პარალელურწირთხლებიანი, ნალისებრი თაღით გადახურული სარკმელია გაჭრილი. ასეთივე სარკმელი ჰქონია ეკლესიას სამხრ. კედელშიც (ამჟამად აღდგენილია). კამარა ქვრდნობა გრძივ კედლებს, საბჯენი თაღების გარეშე. XX ს-ის 80-იანი წლების დასაწყისში ძეგლზე მიმდინარე სარესტ. სამუშაოების დროს (რესტავრატორი ზ. ქუფარაშვილი) სამხრ. ფასადის წინ გამოვლინდა განჯით. შუა საუკუნეების მინაშენი (სიგ. – 3,37 მ) – შესასვლელით სამხრ-იდან. მინაშენის იატაკი ეკლესიის ცოკოლის დონეზეა, ცოკოლი კი იატაკის ქვეშაა მოქცეული. მინაშენი ნაგები ყოფილა არათანაბარი ზომის ნატეხი ქვით. წყობაში რიგების სწორხაზოვნება მეტ-ნაკლებად დაცულია.

მინაშენში ეკლესიის სამხრ. კედელზე მიდგმულია შირიმის ქვაში გამოკვეთილი ემბაზი.

ეკლესიის აღმ. და ჩრდ. კედლებთან გამოვლინდა ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხები, რ-ებიც მინაშენის თანადროულად შეიძლება მივიჩნიოთ.

ეკლესიის აღმ-ით, ორმოცდაათიოდე მ-ზე გამოვლინდა დიდი ზომის ნაგებობა (გეგმა სრულად არ იკითხება), რ-იც სამშენ. მასალითა და ტექნიკით ციტადელის დანარჩენი ნაგებობების იდენტურია.

ნაგებობის აღმ-ით, ბორცვზე წმ. გიორგის სახელობის (წვეროდაბალის) ეკლესია. სწორედ წვეროდაბალის ეკლ. უნდა იყოს ვახტანგ გორგასლის მიერ აგებული საკათედრო ტაძარი.

VIII-IX სს, როგორც ჩანს, ქალაქის ციტადელში ცხოვრების შესუსტების გამო, რაც 502 წ. სპარსთა ლაშქრობის შედეგად გამოწვეული ნგრევით უნდა ყოფილიყო განპირობებული, კათედრალი გადაიტანეს დღევანდელი სოფლის ტერიტორიაზე, სადაც ქალაქის ერთ-ერთი უბანი იყო. როგორც III-IV სს-ში, ისე VIII-IX სს-ში დევნო ხანაშიც. აქ VIII-IX სს-ში საკათედრო ტაძარი და ეპისკოპოსის სასახლე აუგიათ.

ქ. ჭერმის ერთ-ერთ უბანს შეადგენდა მამა დავითის ეკლესიის უბანი. გორგასლისეული ქალაქის უბანს უნდა წარმოადგენდეს აგრეთვე ჭერმის ციტადელიდან 2 კმ-ზე მდებარე ე. წ. უკანუბანი. აქ გამოვლენილი შენობის კედლის ნანგრევები წყობის მიხედვით, სწორედ გორგასლისეულ ხანაზე მიანიშნებს.

ამგვარად, გორგასლის წინარე ეპოქის ქალაქში ორი უბანი მაინც არსებობდა, რ-ის დას. ნაწილი შემდგომი დროის ციტადელის ტერიტორიაზე იყო განლაგებული, აღმ. ნაწილი კი მისგან 4-5 კმ-ით დაშორებულ დღევანდელი სოფლის ტერიტორიაზე მდებარეობდა. გორგასლისეული ქალაქი უფრო გაზრდილია. იგი შედგება უკანუბნის, წეროდაბლის, დღევანდელი სოფლის და მამა დავითის ეკლესიის უბნებისგან. არ არის გამორიცხული სხვა უბნების არსებობაც. ამ ადრექრისტიანული ხანის ქალაქის ყოველ უბანს თავისი ეკლ. გააჩნდა. უფრო გვიან, VIII-IX სს-ში, და შემდგომ, ჭერმი ძირითადად დღევანდელ სოფლის ტერიტორიაზე იყო კონცენტრირებული და მისი ისტორიაც საეპისკოპოსოს ისტორიასთანაა დაკავშირებული. დანარჩენი უბნები კი საჭერემლოში შემავალ ერთეულებს წარმოადგენდა.

განჯით. შუა საუკუნეებში ჭერმის ციტადელში მონასტერი იყო განთავსებული. ვახტანგ გორგასლისეული სასახლის ნანგრევებზე მონასტრის სამეურნეო დანიშნულების ნაგებობების ნაშთებია გამოვლენილი. მათ შორისაა წრიული გალავნით შემოზღუდული, მოზრდილი ქვის ფილებით მოგებული სამეურნეო ეზო, რ-ის დას. ნაწილში სამეურნეო დანიშნულების ნაგებობათა მთე-

ლი კომპლექსია – მარანი და მის-გან ჩრ-ით მოფილაქნებული გზით გამოყოფილი ხარეებიანი სათავსი, რ-ის დას-ითა და სამხრ-ით სხვა სათავსებია, ჩრდ-ით კი – ორსა-წიახლიანი მარანი.

მ ა რ ა ნ ი გეგმით კვადრატუ-ლია, შესასვლელი სამხრ-იდან აქვს. დას. და ჩრდ. კედლებში კირის ხსნარის სქელი ფენით მო-



305. წმ. ბარბარეს ეკლესია. გეგმა

ლესილი საწნახლებია ჩაშენებუ-ლი. მათ წინ, მთელ სიგრძეზე, ასევე მოლესილი თარეებია. უკეთაა შე-მონახული დას. საწნახელი და თარე. თარეს შეა ნაწილში თახ-ჩაა, მასში დგამდნენ ჭურჭლებს, რ-შიც ისხმებოდა საწნახლიდან თო-ხის მილით გადმონადენი ტკბი-ლი. შემდეგ ამ ჭურჭლით ტკბილს იქნე მოთავსებულ ქვევრში ასხამ-დნენ. მარანში სამი ქვევრია შე-მორჩენილი.

მარნის სამხრ-ით, მოფილაქნე-ბული გზის გადაღმა სამეურნეო დანიშნულების ხარეებიანი სათავ-სია. მის დას. კედელს მთელ სი-გრძეზე გასდევს თარე. ჩრდ. ნა-წილში ორი სხვადასხვა ზომის ქვით მოპირკეთებული მსხლისებრი ხა-რეა. ასევე ქვითაა მოპირკეთებული შენიბის ჩრდ.-აღმ. კუთხესთან გარედან მიდგმული ხარეც.

სამეურნეო ეზოს დას-ით მდე-ბარე ტერიტორიაც სამეურნეო და-ნიშნულებისაა. აქ გამოვლინდა ქვით მოპირკეთებული მარცვლეუ-ლის შესანახი ორმო, დიდი ქვევ-რები, თონიანი სათავსი და სხვ.

წყვეროდაბალის ბორცვზე წმ. გიორგის ეკლესიის სამხრ-ით ქვის ნაგებობათა ნანგრევებია, რ-ებიც შესაძლოა, ბერების საცხოვრე-ბელი შენობების ნაშთს წარმოად-გენდეს, ხოლო წმ. ბარბარეს ეკლესიასთან გამოვლენილი ქვის ფილით გადახურული ორმოსა-მარხები – მათ საფლავებს.

განათხარ ფართობზე მრავ-ლად აღმოჩენილი არქეოლ. მასა-ლა (ძირითადად კერამიკა) განეთ. შეა საუკუნეებს განეკუთვნება (კერძოდ XII-XIII ს. დასაწყისს) და მონასტერს ამავე ხანით ათა-რიღებს. მონასტერი მოხვოლლებს გაუნადგურებიათ. უფრო გვიანდ. დროის კვალი ციბაღელის ტერი-ტორიაზე არ დადასტურებულა თუ არ ჩავთვლით წმ. ბარბარეს სახ. ეკლესიის იატაკზე გამოვლენილ გვიანდ. შეა საუკუნეების დროით-დელ ფიალას.

ჭერმის საეპისკოპოსო, სხვა საეპისკოპოსოებთან ერთად, ვახ-ტანგ გორგასლის დროს დაარსდა. ჭერმის ეპისკოპოსი 506 წ. დვინის საეკლესიო კრების მონაწილეა. საქართველოს ერთიანობის ხანაში, ჭერმის ეპისკოპოსი 45 იერარქის წმ. დასის იერარქიულ მწკრივში 37-ეა.

ჭერემის საეპისკოპოსო მოხ-ვოლლებს გაუპარტახებიათ. გიორ-გი დენშტედტის გადმოცემით ჭერემი



305. წმ. ბარბარეს ეკლესია, ხედი სამხრ-აღმ-იდან

შან აბასსაც აუოხრებია. XVII-XVIII სს. საბუთებში მოხსენიე-ბულნი არიან ჭერმელი ეპისკო-პოსები, რ-ებიც ამტკიცებდნენ გუჯრებს ან იყვნენ მოწმენი და დამწერნი ფიცისა და პირობის წიგნისა.

XVIII ს-ის შეა ხანებში ჭერ-მის საეპისკოპოსო განლაგებული იყო ცივ-გომბორის ქედის ორიენ-ტირებზე. შიდა კახეთში მას ეკავა ტერიტორია კონდოლიდან ვეჯი-ნამდე, გარე კახეთში – ალვანი-დან შიბლიანამდე.

1757 წ. მეფე თეიმურაზ II-ის დაღესტნელი ფეოდალების თავ-დასხმების შედეგად გაპარტა-ხებული ჭერმის საეპისკოპოსოს ეპარქიის მიწები ალავერდის, ბოდ-ბისა და ნინოწმინდის საეპისკო-პოსოებს დაუნაწილა.

ნ. მამაცაშვილი.

ბიბლ.: 126; 127; 128; 129; 132; 232 გ.

306. სადგომი, არქეოლ. ძ. მდებარეობს მდ. ჭერმისხევის მარცხ. ნაპირზე, სოფლის სამხრ-ით, შა-რაგზის პირას. განეკუთვნება შუა-ტიეს ხანას.

ძ. 1971 წ. გამოავლინა კპე-ს (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური) ქვის ხანის რაზმმა (ხელმძღვ. თ. ბუ-გიანიშვილი).

სადგომზე (ფართ. 25×25 მ) ნაპოვნია შუაპალეოლითური კა-ჭის ოთხი ნივთი: სამკუთხედი-სებრი მოყვანილობის კაჭარზე გაფორმებული ერთფუძიანი განი-ვი ნუკლეუსი, დაბალი, ფართო და მოგრძო მოყვანილობის ანატკე-ცები და პატარა სამკუთხედი-სებური ანატკეცზე გაკეთებული წვეტანა.

მასალა დაცულია საქართვე-ლოს მუზეუმის გურჯაანის ისტ-ეთნ. საცავში.

თ. ბუგიანიშვილი.

ბიბლ.: 38.

307. საეპისკოპოსო ტაძრის კომ-პლექსი, არქიტ. ძ. მდებარეობს შეა სოფელში. კომპლექსში შე-დის: საკათედრო ტაძარი, სასახლე და გალავანი.

ს ა კ ა თ ე დ რ ო ტ ა ძ ა რ ი დგას გალავნით შემოფარგლულ ეზოში, სწორ ადგილზე.

ტაძარი სამეკლესიანი ბაზი-ლიკაა, გარშემოსაფლით სამი მხრიდან, რ-იც მთავარ ეკლესიას წყობით არ უკავშირდება. გარშე-მოსავლელის სამხრ. და ჩრდ. ფრთები დამოუკიდებელ ეკლესი-ებს წარმოადგენენ, დას-ითა კი კარიბჭეს.

გ. ჩუბინაშვილი, რ-მაც ტაძარი 1920 წ. შეისწავლა, მას X-XI სს-ით ათარიღებს და ფიქრობს, რომ



307. საკათედრო ტაძარი, გეგმა

იგი ერთიანი გეგმის მიხედვითაა აგებული, მაგრამ ორი ხერხით. მისი აზრით, თავდაპირველი პროექტით გათვალისწინებული იყო სამნავიანი ბაზილიკის აგება, რაც მშენებლობის პროცესშივე (როგორც ჩანს ეკონომიკური მოსაზრებებით) იყო უარყოფილი. სახელდობრ, თავდაპირველად ააგეს შუა ნავი, რ-იც გარედან მთლიანად შირიმის თლილი ქვით მოაპირკეთეს, ხოლო შემდგომ გვერდითი ფრთები – რიყის ქვით. შიგნით მთავარი ეკლესიის აფსიდი, მხრებთან ერთად – შირიმისაა, დანარჩენი კედლები კი, რიყის ქვითაა ნაწყობი.

მთავარი ეკლ. გვერდით ეკლესიებთან შედარებით სამჯერ უფრო განიერი და გაცილებით მაღალია (შიდა ზომები: სიგრ. საკურთხევლის ჩათვლით – 15,4 მ, სიგ. – 7,3 მ). აღმ-ით იგი დასრულებულია შიგნით ნალისებრი, ხოლო გარედან ხუთწახნაგა შვერილი აფსიდით, რ-იც დარბაზის გრძივი კედლებიდან უჩვეულოდ განიერი (სიგ. დაახლ. 1,5 მ) მხრებითაა გამოყოფილი. აფსიდში გაჭრილია მაღალი, ნახევარწრიული თაღით გადახურული სარკმელი (მოგვიანებით დაუვიწროებიათ), რ-საც თითქმის პარალელური წირთხლები აქვს. აფსიდის თაღი ნახევარწრიულია. მისი ქუსლები აფსიდის კედლის კიდეების მიმართ ოდნავ განზე არის გასული. თაღი დაყრდნობილია შირიმის იმპოსტებზე, რ-თა პროფილს თარო და შეწყვილებული ლილვი შეადგენს. თაღს ირგვლივ ევლება შეწყვილებული ლილვი. თაღის ზემოთ, კამარამდე, კედანილია მაღალი (სიმ. დაახლ. – 1,3 მ), შირიმით ნაწყობი (წყობის ხასიათი განსხვავებულია აფსიდის კედლის წყობისგან). შემორჩენილია ე. წ. „შუბლი". აფსიდის სამხრ. მხარზე შემორჩენილია თაღის იმპოსტის ნაშთები, ჩრდ. მხარზე კი – კაპიტელი და ნალისებრი თაღის დასაწყისი. თაღის ზემოთ კედელი გრძელდება; ასე რომ ეს გადასვლები თავდაპირველი გეგმის სრულიად ბუნებრივი გაგრძელებაა და არა აღდგენის შედეგი.

დარბაზის გრძივ კედლებზე ორ-ორი ერთსაფეხურიანი პილასტრია, რ-ებზეც კამარის საბჯენი თაღები იყო დაყრდნობილი. პილასტრები დაგვირგვინებულია შირიმის მარტივი პროფილის, წრეთარგიანი კაპიტელებით. ჩრდ.-აღმ. პილასტრთან შემორჩენილია მასზე მიშენებული საკურთხევლის ზღუდის წრიული სვეტის ნაწილი.

საკურთხევლის სარკმლის გარდა, ინტერიერს კიდევ შვიდი თაღოვანი სარკმელი ანათებდა. სამ-სამი სამხრ. და ჩრდ. კედლებშია, ხოლო ერთი დას. კედელში (შემორჩენილია სამხრ. წირთხლი და თაღის სამხრ. გვერდის ნაწილი).

მთავარი ეკლესიის სამი შესასვლელიდან მხოლოდ ჩრდ. და სამხრ. შესასვლელებია შემორჩე-



307. საკათედრო ტაძარი, განივი ჭრილი, ხედი აღმ.-კენ



307. საკათედრო ტაძარი, ჩრდ. ფასადი

ნილი. დას. კედლის ნაწილი შესასვლელის შესატყვის ადგილზე დანგრეულია (წირთხლის ნაწილი კარგად იკითხება კედლის მონგრეულ ფრაგმენტზე). ორივე კარი გარედან მთლიანი ქვითაა გადახურული – თარაზულად, შიგნით კი ნახევარწრიული თაღი ხურავთ.

გვერდითი ეკლესიებიდან მთელ სიგრძეზე მხოლოდ ჩრდ-ისღა დგას, სამხრ. ეკლესიიდან კი – მხოლოდ აფსიდალური ნაწილი. ორივე ეკლ. აღმ-ით დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით. ორივე აფსიდში გაჭრილია თითო ვიწრო, მაღალი სარკმელი. ჩრდ. ეკლესიის სარკმელი შიგნიდან და გარედან ნახევარწრიული თაღითაა გადახურული, სამხრ. ეკლესიისა კი – თარაზულად. ჩრდ. ეკლესიას დამოუკიდებელი თაღოვანი შესასვლელი (მოგვიანებით დაუვიწროებიათ) იმავე მხრიდან, მთავარი ეკლესიის შესასვლელის პირდაპირ აქვს. სამხრ. ეკლესიის სამხრ. კედელზე, მთავარი ეკლესიის შესასვლელის მოპირდაპირედ, შემორჩენილი იყო ვიწრო კარი, ბოძი და კარის მეორე მალი.

ჩრდ. ეკლ. გადახურულია კოლოფა კამარით; კამარის სამხრ. ქუსლი დაყრდნობილია მთავარი ეკლესიის კედელზე მიშენებულ, ერთსაფეხურიან პილასტრებზე გადაყვანილ თაღედზე. ანალოგიურ კონსტრუქციაზე იყო დაყრდნობილი სამხრ. ეკლესიის კამარაც (შემორჩენილია აღმ. თაღი და მომდევნო თაღის აღმ. გვერდი).

ეკლესიის კარიბჭე, რ-იც გვერდით ეკლესიებს ერთმანეთთან აკავშირებდა, თითქმის მთლიანადაა დანგრეული. მთავარი ეკლესიის შესაბამის კედელზე კამარის დასაყრდნობად მიშენებული იყო თაღედი, რ-ის ერთი პილასტრის ფრაგმენტი მთავარი ეკლესიის ჩრდ.-დას. კუთხესთან შემორჩა – კარიბჭის დას. კედელზე არსებული პილასტრის მოპირდაპირედ. ამ პილასტრის გარდა, დას. კედელზე ერთმანეთისგან არათანაბარი მანძილებით დაცილებული კიდევ სამი პილასტრია. ჩრდ-იდან მეორე და მესამე პილასტრებს შორის მოწყობილი ყოფილა შესასვლელი (შემორჩენილია ჩრდ. წირთხლის ქვედა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკლესიის ფასადები ხაფაა. გრძივ ფასადებზე სარკმლებს შეწყვილებული ლილვი ევლება. საკურთხევლის შვერილის სამხრ. მხარეს, ცოკოლის თავზე გამოყვანილია სქელი გრეხილი ლილვი, რ-იც გაუყვება მთავარი ეკლესიის აღმ. კედელს და სამხრ. კედლამდე გრძელდება.

საკურთხევლის შვერილის და მთავარი ნავის კედლები დასრულებულია შირიმის მაღალი ლავგარდნით, რ-ის პროფილს თარო, წრეთარგი და ლილვი შეადგენს.

ჩრდ. ეკლესიის აღმ. ფასადზე, მიწიდან ოდნავ ზემოთ, წყობის ერთ-ერთ ქვაზე მხვილი ასოებით შესრულებული ფრაგმენტული ასომთ. წარწერაა, რ-საც ლ. მელიქსეთ-ბეგი კათოლიკოს მელქისედეკს (XI ს) აკუთვნებს.

ს ა ს ა ხ ლ ე დგას საეპისკოპოსო ტაძრის სამხრ.-დას-ით, ორმოციოდე მ-ზე, მდ. ჭერმისხევის ხეობის პირას, ფლატის თავზე. განეკუთვნება VIII-IX სს.

შენობა ნაგები ყოფილა ნატეხი ქვით. შემორჩენილია ერთი



307. საკათედრო ტაძარი, ინტერიერი, მთავარი ეკლესია, ხედი აღმ-კენ

საკმაოდ გრძელი კედლის (სიგრ. დაახლ. – 12 მ) შუა ნაწილი, რ-საც გარედან (სიმ. დაახლ. – 10 მ) ლები დანაწევრებულია ნალისებრი თაღების რიგით. ქვედა სართულზე შვიდი თაღია, ზედაზე – ხუთი. ორივე სართულზე განაპირა თაღებიდან მხოლოდ ნაწილებიღაა შემორჩენილი. ქვემოთ შუაყრუა, ხოლო დანარჩენებში ძირთ თაღოვანი სარკმელია გაჭრილი (სარკმლის წირთხლებია შემორჩენილი განაპირა თაღებშიც). შუა თაღი დაყრდნობილია ორ სვეტზე, რ-თა ქვალი ჭიდი კედლის ბაზისების ბათქაშზეა შემორჩენილი.



307. საკათედრო ტაძარი, ხედი ჩრდ.-დას.-იდან

ზედა სართული, ქვედასთან შედარებით რამდენადმე მაღალია. ამ სართულზე თაღების მალები გაცილებით დიდი ზომისაა, ვიდრე ქვედა სართულზე. გვერდის თაღოვანი ღიობები მოგვიანებით ამოუშენებიათ. შუა თაღი (შემორჩენილია ორივე გვერდის ნაწილი) ჩარჩოსაგით ევლება გეგმით ნახევარწრიულ, კონქით დასრულებულ ღრმა ნიშს (დიდი ნაწილი დანგრეულია), რ-ის ღერძზე მოწყობილი ყოფილა სარკმელი, ხოლო იატაკში ყუთი (სამალავი?). ამ ნიშის თაღი, ისევე როგორც ქვედა სართულზე, დაყრდნობილი იყო კვადრ. ბაზისებიან მრგვალ სვეტებზე.

გალავანი შემორჩენილია ფრაგმენტულად. ნაგებია სხვადასხვა ზომის ნატეხი ქვით.

თ. დვალი.

ბიბლ.: 126; 323; 335.

308. სამების ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (5,35×3,7 მ), ნაგებია ნატეხი ქვითა და კირის ხსნარით. დაზიანებულია: ჩამონგრეულია კამარა და სამხრ. კედლის დიდი ნაწილი.



308. გეგმა

შესასვლელი სამხრ-იდანაა. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-შიც სწორკუთხა სარკმელია გა-



307. სასახლე. სამხრ. კედელი, ხედი ჩრდ-იდან

ჭრილი. სარკმლის ორივე მხარეს თითო ოთხკუთხა ნიშაა, სარკმლის ქვემოთ მასიური ქვის ტრაპეზი დგას. კვადრატს მიახლოებული დარბაზის სამხრ. კედელში ერთი ოთხკუთხა სარკმელია გაჭრილი.

მ. აბაშიძე

309. ჭმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში, საკათედრო ტაძრის ჩრდ-ით, ორმოცდაათიოდე მ-ზე. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (12,1×7,3 მ), ნაგებია ნატეხი ქვის ირეგულარული წყობით. შენობის გარეთა კუთხეები გაცილებით მოზრდი-



309. გრძივი ჭრილი, ხედი სამხრ.-კენ. გეგმა

ლი, მეტ-ნაკლებად დამუშავებული ქვებითაა ამოყვანილი. გარედან კარ-სარკმელთა ღიობები გამოყვანილია შირიმისა და ქვიშაქვის სუფთად ნათალი ქვებით. ინტერიერი შელესილი და შეთეთრებულია.

ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს – სამხრ-იდან და დას-იდან. სამხრ. კარი (ამოქოლილია) სწორკუთხაა და გარედან საფეხურით შეღრმავებულ, ნახევარწრიული თაღით დასრულებულ არეშია ჩასმული. თაღის მაღი შეღრმავების სიგანესთან შედარებით გაცილებით ნაკლებია და ქვიშაქვის იმპოსტებს ეყრდნობა, რ-თა პროფილს თარო, ლილვი და ოდნავ შეზნექილი ზედაპირი შეადგენს (მსგავსი პროფილისაა ეკლესიის დანარჩენი იმპოსტებიც). შესასვლელი შიგნითაც სწორკუთხაა. მის თავზე მოწყობილია ნახევარწრიული ტიმპანი. დას. კარი, რ-იც მოგვიანებით ოდნავ დაუვიწროებიათ, ორივე მხრიდან ხის მო-



309. ინტერიერი, ხედი დას-კენ

ზრდილი ძელებითაა გადახურული – თარაზულად.

ეკლესიის გეგმის სწორკუთხედში ჩაწერილია აღმ.-დას. მიმართულებით ოდნავ წაგრძელებული დარბაზი და საკურთხევლის ნახევარწრიული აფსიდი, რ-იც დარბაზის იატაკის მიმართ დაახლ. 30 *სმ*-ითაა შემაღლებული. აფსიდში ზემოთკენ ოდნავ შევიწროებული, ბრტყლად გადახურული სარკმელია. იგი გარედან ქვიშაქვის ერთ ქვაში გამოკვეთილი ნახევარწრიული თაღითაა დასრულებული. აფსიდში ხუთი სხვადასხვა ზომის სწორკუთხა ნიშაა. მათგან სამი სარკმლის ჩრდ-ითაა, ერთი – სამხრ-ით, ხოლო ერთიც – სარკმლის ქვემოთ. კონქის თაღი ნახევარწრიულია და დაყრდნობილია შირიმის იმპოსტებზე. კონქში რეზონატორებად ჩასმულია ოთხი პატარა ქვევრისებრი ჭურჭელი.

დარბაზის გრძივ კედლებზე ორი წყვილი ორსაფეხურიანი პილასტრია, რ-თა განაპირა საფეხურებს კედლის დეკორატ. თაღები ეყრდნობა, ხოლო წინას ცილინდრული კამარის საბჯენი თაღი. პილასტრების ერთი წყვილი დას. კუთხეებშიცაა. მათზე დას. კედლის მიმდებარე საბჯენი თაღია გადაყვანილი. პილასტრები და საბჯენი თაღები ნათალი ქვითაა გამოყვანილი და დაყრდნობილია პროფილირებულ იმპოსტებზე.

საკურთხევლის სარკმლის გარდა, შიდა სივრცეს კიდევ ოთხი სარკმელი აშუქებს. მათგან ორი სამხრ. კედელშია გაჭრილი, ხოლო თითო-თითო – ჩრდ. და დას. კედლებში. სამხრ. და ჩრდ. სარკმლები ორივე მხრიდან თაღოვანია. დას. სარკმელი, შიგნიდან ოთხ-



309. ხედი სამხრ.-აღმ.-იდან

კუთხაა – ზემოთკენ ოდნავ დაფეროებული, ხოლო გარედან – მრგვალი.

ეკლესიის დას. ნაწილში მოწყობილი ყოფილა ხის პატრონიკე (შემორჩენილია კოჭი, რ-იც დას. კედლზეა მიყრდნობილი). დას. კედლის ზედა ნაწილში, სარკმლის ჩრდ-ით, კედელში ჩამჯდარია ქვევრისებრი ჭურჭელი.

შიგნით ეკლ. გადახურულია ცილინდრული კამარით.

ეკლესიის ფასადები სადაა. აღმ. ფასადზე, ფრონტონის არეში, ჩამჯდარია ქვიშაქვის მართკუთხა ქვა, რ-ზეც ორსაფეხურიან პოსტამენტზე დაყრდნობილი მაღალი რელიეფური ჯვარია გამოსახული. სარკმლის ქვემოთ მდებარე ლოდზე, შემორჩენილია სამსტრიქონიანი მხედრ. წარწერის ნაშთები (სრული ტექსტის დადგენა არ ხერხდება).

სამხრ. შესასვლელის ზედარზე გამოსახულია პატარა რელიეფური ჯვარი, რ-იც შეწყვილებული გრეხილით შემოფარგლულ ნახევარწრიულ არეშია მოქცეული.

დას. ფასადზე სარკმლის ღიობი ოდნავ წაგრძელებულ ქვიშაქვის ბლოკშია გამოკვეთილი და ირგვლივ გრეხილი ლილვი ეკლება. ამ ქვაზე დადგმულია (სიმაღლეზე) იმავე ზომისა და ფორმის ქვა – ორსაფეხუროვან პოსტამენტზე დაყრდნობილი ჯვრის რელიეფური გამოსახულებით.

ფასადები დასრულებულია თხელი ნატეხი ქვით ნაწყობი სამსაფეხურიანი ლავგარდნით, რსაც ფრონტონის კუთხეებთან ჰორიზ. შემონაკვეთები აქვს.

ეკლ. დგას ერთსაფეხურიან ცოკოლზე.

დას. კედელზე დაშენებული ყოფილა პატარა სამრეკლო (შემორჩენილია საფუძველი).

2010 წ. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ ძეგლზე ჩატარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები (პროექტის ავტორი, არქიტ. შ. მელიქიძე). გაკეთდა ქვის საფეხუროვანი ლავგარდანი, ეკლ. გაღაიხურა კრამიტით.

ო. დვალი.

310. წმ. გიორგის (წვეროდაბალის) ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის აღმ-ით, 3,5-4 კმ-ზე, წვეროდაბალის ბორცვის აღმ. ნაწილში, შემაღლებულ ადგილას. განეკუთვნება V-VI სს-ის მიჯნას.

ძ. სტრუქტურული თვალსაზრისით სამკლესიანი ბაზილიკაა და როგორც ჩანს, პროექტითაც ასე იყო გააზრებული. თუმცა ამ ტიპის სანიმუშოდ აღიარებული ნაგებობებისგან რამდენადმე განსხვავდება, რაც, როგორც ეს ეკლესიის გაწმენდის შემდეგ გაირკვა, მშენებლობის პროცესშივე მიღებულმა ცვლილებებმა განსაზღვრა.

შენობის აგებულებასა და თარიღთან დაკავშირებით არსებობს რამდენიმე მოსაზრება: გ. ჩუბინაშვილი მას სამკლესიიან ბაზილიკად მიიჩნევს და VI-VII სს-ის მიჯნით ათარიღებს. მისი აზრით იგი ერთდროულად, ერთიანი გეგმის მიხედვით აგებული ნაგებობაა.

ნ. ჩუბინაშვილი, რ-მაც ეკლ. 1980 წ. ახოშა, 1981 წ. არქეოლ. ნ. მადალაშვილის ხელმძღვანელობით ჩატარებულ გათხრებზე დაყრდნობით, გამოთქვამს მოსაზრებას, რომ წვეროდაბალის ეკლ. წარმოადგენს არა სამკლესიიან ბაზილიკას, არამედ დარბაზული ტიპის ეკლესიას – სამკვეთლოთი ჩრდ-დან და მოკლე სამლოცველო-სახანთლეთი სამხრ-დან, რ-იც დახ-ით მთლიანად იყო გახსნილი.

1984 წ. ეკლ. მთლიანად გაიწმინდა მიწისა და ნამონაშალი ქვებისგან, რამაც მკვლევარებს განსხვავებული დასკვნების გამოტანის საშუალება შეუქმნა. გამოვლენილი მასალის საფუძველზე რ. გვერდწითელი ეკლესიისადმი მიძღვნილ ნაშრომში აღნიშნავს, რომ იგი არ არის სამკლესიიანი ბაზილიკა და არც მისი სამხრ.-აღმ. სათავსი წარმოადგენს დია სამლოცველო-სახანთლეს. მისი თვალსაზრისით წვეროდაბალის ეკლ. არის დარბაზული ტიპის ეკლ. სამკვეთლოთი ჩრდილოეთიდან, გაურკვეველი დანიშნულების სათავსით (საკარაუდოდ იგი მას სანათლაგან მიიჩნევს) სამხრ-იდან



310. გეგმა

და გარშემოსავლელით მხოლოდ სამხრ-იდან და დას-იდან. იგი ვარაუდობს, რომ ეკლესიის მშენებ-



310. განივი ჭრილი, ხედი აღმ-კენ

ლობა განხორციელდა სამ ეტაპად: თავდაპირველად აიგო აღმ. ფასადი – მთლიანად, მომდევნო ხანებში ეკლესიის სამი დანარჩენი კედელი, ბოლოს კი მინაშენები.

სარესტ. სამუშაოების დროს, მთავარი ეკლესიის კონქის თავზე არსებულ სამალავში აღმოჩნდა კრამიტის ნაწილი სამსტრიქონიანი ნუსხური წარწერით, რ-იც, ვ-სილოგავას აზრით, დაახლ. X-XI სს. უნდა განეკუთვნებოდეს. ამ მოსაზრებაზე დაყრდნობით არქეოლ. ნ. მამაიაშვილი ვარაუდობს, რომ „ტაძარი X-XI საუკუნეებში, შეკეთების შემდეგ, კრამიტით გადახურეს". ამავე ხანას მიაკუთვნებს იგი ეკლესიის სამხრ-ით მდებარე გალავანის ნაშთს და ამ უკანასკნელის სამხრ-ით შემორჩენილ ნაგებობის ნანგრევს და ფიქრობს, რომ „სწორედ მაშინ მოხდა წყეროდაბალის დარბაზული ტიპის ეკლესიის სამეკლესიიან ბაზილიკად გადაკეთება".

შენობის კედლები შიგნით და გარედან საგულდაგულოდაა გამოყვანილი სუფთად ნათალი მოყვითალო შირიმის კვადრებით, რ-ებიც დაწყობილია წესიერ, სწორხაზოვან რიგებად. მინაშენის სამხრ. და დას. ფრთების კედლები ნაწყობი იყო, ადგილ. მთის ქანების მოზრდილი კვადრების დაახლ. სწორი რიგებით.

ეკლესიის მთავარი სადგომი (შიგნითა ზომები: სიგრ. – 10,27 *მ*, სიგ. – 3,74 *მ*, კედლების სისქე – 97-99 *სმ*) აღმ-ით ღრმა, გეგმით ნალისებრი აფსიდითაა დასრულებული. აფსიდს აქვს ოდნავ დაგრძელებული ბოლოები, რ-ებიც აფსიდის კუთხეებიდან 40-იოდე *სმ*-ის მანძილზე ერთმანეთის პარალელურია და მხოლოდ შემდგომ გადადიან მრუდხაზოვან მოხაზულობაში.

საკურთხეველი დარბაზის მიმართ შემაღლებულია თლილი ქვით ნაწყობი სამი საფეხურით. აფსიდში გაჭრილია განიერი, პარალელურწირთხლებიანი სარკმელი. იგი ნალისებრი თაღითაა გადახურული და გარედან გაწყობილია ორი გრეხილი ლილვით შედგენილი ნალისებრი მოხაზულობის თავსართით, რ-საც ბოლოებში ჰორიზ. გადანაკეცები აქვს. აფსიდის კედელს, მთელ სიგრძეზე, დაბალი საფეხური გასდევს. საკურთხეველში, სარკმლის ქვემოთ, კედელზე, კუბური ფორმის ტრაპეზია მიდგმული. აფსიდი დასრულებულია შირიმის ნათალი ქვებით ნაწყობი კონქით. კონქის თაღი ნალისებრია. იგი საგულდაგულოდაა ნაწყობი და დაყრდნობილია მაღალ იმპოსტებზე, რ-თა პროფილს თარო და ოდნავ დახრილი წრეთარგი შეადგენს. კონქის თაღის ზემოთ, კამარის წყე-



310. ინტერიერი, სამხრ. მინაშენი, ხედი აღმ-კენ

რამდე, აღის შვეული კედელი (ე. წ. „შუბლი"), რ-ის უკან, კონქის თავზე არსებული სამალავია. სამალავში ასასვლელი ჩვეულებ. სამებრ აფსიდის კედლის სისქეში კი არ არის მოწყობილი, არამედ მას პატარა შესაძვრომი აქვს „შუბლის" მხრიდან – სამხრ. კიდეში.

მთავარ ეკლესიას ორი შესასვლელით აქვს. დას-იდან და სამხრ-იდან. ორივე კარი გარედან ბრტყლადაა გადახურული, შიგნით – ნალისებრი თაღით. სამხრ. შესასვლელის თავზე მოწყობილი ყოფილა ნახევარწრიული ლუნეტი (მოგვიანებით ამოუშენებიათ). დას. შესასვლელი გარედან ერთიმეორეზე დადებული ორი თხელი ქვითაა გადახურული. სამხრ. კედელში ორი პარალელურწირთხლებიანი სარკმელია (დას-ით მდებარე აღდგენილია), რ-ებიც იმდენად მაღლა მდებარეობენ, რომ მათი თავი კამარის ქუსლის დონეზეა. დარბაზის კედლები სადაა. სამივე, მთელ სიგრძეზე, საფეხური გასდევს. შიგნით ეკლ. გადახურული იყო დადაბლებული პროპორციების კამარით (შემორჩენილი იყო ჩრდ. ქუსლის ნაწილი და კვალი „შუბლზე").

ჩრდ. კედლის აღმ. ბოლოში სწორკუთხა კარია, რ-იც საკურთხევლის ჩრდ-ით მოწყობილ განცალკევებულ სათავსში, სამკვეთლოში გადის. კარის დას. წირთხლი სათავსის დას. კედლიდან ერთ სიბრტყეშია. სათავსი აფსიდია. აღმ-ით იგი დასრულებულია სწორი კედლით, რ-ზეც გამოყვანილი კუთხის პილასტრებზე დაყრდნობილი ნალისებრი თაღი. აქვე, სამხრ. კედელში განიერი, ღრმა ნიშაა.

სამხრ.-აღმ. სათავსი სიგრძით ჩრდ.-აღმ. სამკვეთლოს ტოლია. აღმ-ით იგი დასრულებულია ნალისებრი აფსიდით, მთავარი საკურთხევლის აფსიდის მსგავსი ბოლოებით. ძეგლის გაწმენდის შემდგომ გამოჩნდა კედლის ნაშთი – შესასვლელით შუაში, რ-ითაც სათავსი მინაშენის დანარჩენი ნაწილისგან იყო გამოყოფილი. ამ კედლის სამხრ. ბოლო მინაშენის გარე (სამხრ.) კედელს წყობით უკავშირდება, ჩრდ-ისა კი მთავარი ეკლესიის სამხრ. კედელზეა მიყრდნობილი.

სამხრ. მინაშენის დას. ნაწილი, როგორც ჩანს, კარიბჭეს წარმოადგენდა – ორმალიანი თაღოვანი შესასვლელით სამხრ-იდან. კარიბჭის სამხრ. კედელი დანგრეულია. შემორჩენილი ნაწილები ნაგებობის ძირითადი ნაწილისგან, როგორც საშენი მასალით, ისე წყობის ხასიათითაც მნიშვნელოვნად განსხვავდებიან.

მინაშენი გადახურული იყო კამარით, რ-ის ჩრდ. ქუსლი მთავარი ეკლესიის კედლიდან გამოშვერილ კონსოლებს ეყრდნობო-



310. ხედი სამხრ.-დას.-იდან



310. აღმ. ფასადი, საკურთხევლის სარკმელი

და. მსგავსი კონსოლებია შემორჩენილი მთავარი ეკლესიის დას. და ჩრდ. კედლებზეც.

აღმ. კედელზე შემორჩენილი იყო დაკბილული ლავგარდნის ორი ქვა, ხოლო ერთი ჩრდ.-აღმ. კუთხეში.

აღმ. ფასადზე სარკმელი გაწყობილია ნალისებრი თავსართით, რ-საც ბოლოებში თარაზული გადანაკვეცები აქვს. იგი შედგება ორმაგი გრეხილი ლილვისგან. რესტავრაციის დროს გაირკვა, რომ თავსართი ჩვეულებისამებრ სარკმლის გადამხურავ ქვაში კი არ არის გამოკვეთილი, არამედ მასზეა მიმაგრებული – ლურსმნებით.

ეკლესიის სამხრ-ით, ხუთიოდე მ-ზე, შემორჩენილია ზღუდის ნაშთი, მისგან სამხრ-ით კი, დაახლ. იმავე მანძილზე – ნატეხი ქვითა და კირის დუღაბით ნაგები შენობის ნაშთები – სამრიგად, ერთიმეორის გასწვრივ, განლაგებული სამ-სამი კვადრ. (1×1 მ) სვეტი.

1981 წ., ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიის გაწმენდის დროს, აღმოჩნდა ადრინდ. შუა საუკუნეების სტელა (დაცულია ჭერმის არქეოლ. ბაზის საცავში), რ-იც 1920 წ. გ. ჩუბინაშვილის მიერ აღმოჩენილი სტელის ფრაგმენტის (სიმ. – 43 *სმ*, გვერდების სიგ. – 29 *სმ*. 1971 წ. გადატანილ იქნა ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში) მსგავსია.

1988 წ. ძეგლზე სარესტ. სამუშაოები ჩაატარა სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნომ (პროექტის ავტორი, არქიტ. ზ. ქუფარაშვილი). აღდგენილ იქნა მთავარი ეკლესიის კედლების დანგრეული ნაწილები,კამარა ლავგარდანი და გადახურვა, გამაგრდა გვერდის ეკლესიებისა და დას. გაშემოსავლელის შემორჩენილი კედლები.

თ. დვალი.

ბიბლ.: 44; 126; 206; 323; 335.

311. ხარისთავის წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-აღმ-ით, 5-6 კმ-ზე, ხშირი ტყით დაფარულ მაღალ მთაზე, ნასოფლარ ხარისთავის ტერიტორიაზე (შემორჩენილია ნასახლარი ბუდეები, ნაგებობათა საძირკვლის ნაშთები, ქვევრები, თიხის ჭურჭლის ნატეხები).

გადმოცემით, სოფლიდან მოსახლეობა დიდი ხნის წინ აყრილა და სოფ. ახაშენში ნასახლებულა.

ეკლ. დარბაზულია (6,4×4,12 *მ*), განეკუთვნება განვით. შუა საუკუნეებს. ნაგებია სხვადასხვა ზომის ლოდებით, ნატეხი ქვითა და კირის დუღაბით. გარეთა კუთხეები ამოყვანილია ტლანქად დამუშავებული შირიმით. ძლიერ დაზიანებულია: აყრილია სახურავის საფარი და ზედ მცენარეულობაა ამოსული, გარედან, კედლების ზედა ნაწილებში, ჩამოშლილია საპირე წყობა, დაბზარულია კამარა, აღმ. კედელს, სარკმლის ძირიდან მიწამდე, ფართო ბზარი დაუყვება, ლავგარდნის მცირე ნაწილი მხოლოდ ჩრდ. ფასადზეღაა შემორჩენილი.



311. ხედი სამხრ.-დას-იდან

შესასვლელი სამხრ-იდანაა. კარი ქვიშაქვის ბრტყელი ქვით (სიგრ. – 1,7 *მ*), თარაზულადაა გადახურული.

ეკლესიის შიდა სივრცე აღმ-ით დასრულებულია არაწესიერი ნახევარწრის ფორმის აფსიდით, რ-ის ღერძზე მოწყობილია გარეთკენ შევიწროებული, თარაზულად გადახურული სარკმელი. სარკმლის გარეთა ღიობი შირიმის ქვითაა გამოყვანილი, ზემოთკენ ოდნავ შევიწროებულია და გადახურულია ერთ ქვაში გამოკვეთილი ნახევარწრიული თაღით. ეკლესიას სხვა სარკმელი არა აქვს, რის გამოც ინტერიერი საკმაოდ ჩაბნელებულია. აფსიდის ორივე გვერდში ორ-ორი საშუალო ზომის სწორკუთხა ნიშაა. აფსიდი გადახურული კონქით, რ-ის თაღის ქუსლებთან გამოყოფილია წყობიდან ოდნავ შეჭრილი, თაროსებრი იმპოსტები. კონქის თაღი და დარბაზის კამარა ნახევარწრიული ფორმისაა. შიგნით კედლები მობათქაშებული ყოფილა.

აღმ. ფასადზე, სარკმლის გადამხურავ ქვაზე, ამოკვეთილია პატარა, ტოლმკლავა ჯვარი. კედლები დასრულებული იყო რიყის ქვით, ნაწყობი თაროსებრი ლავგარდნით. ეკლ., როგორც ჩანს, დაბურული იყო კრამიტით (ინტერიერში ყრია გვერდებაკეცილი, ბრტყელი კრამიტის ნატეხები).

ეკლესიის აღმ-ით, დაახლ. 150 მ-ზე, შემორჩენილია სხვადასხვა ნაგებობების ნაშთები. აქვე ქვითკირით ნაშენი ორგანყოფილებიანი საწნახელია (სიგრ. – 4 *მ*), რ-ის

მახლობლად, მიწაში, ჩაფლულია რამდენიმე ქვევრი.

თ. მარკოზაშვილი.

ჯიმითი

(საკრებულოს ცენტრი)

312. ჯიმითი, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს გარე კახეთში, ცივგომბორის (პერეთის) ქედის სამხრ. ფერდობზე, მოქცეულია ორ ხევს შორის, აღმ-იდან ჩამოუდის ჯიმითისხევი,დას-იდან – ლაფიანხევი. ორივე მდინარე მშრალი კალაპოტით მდ. ლაკბეს უერთდება.

სოფლის ტერიტორიაზე მიკვლეული არქეოლ. ძეგლებით დასტურდება, რომ აქ ადამიანი უძველეს დროში დასახლებულა (ნამოსახლარი ნადიკარზე ძვ. წ. IV ათასწლ. I ნახ-ით თარიღდება) და შემდეგ ეპოქებშიც უცხოვრია. გვიანდ. ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარია აღმოჩენილი ადგილ ნიჩურაანთ გორაზე, ამავე ხანისაა სამაროვანი ადგილ გოგოჩაურზე; აღმოჩენილია გვიანდ. ანტიკური და ადრინდ. შუა საუკუნეების ხანის ქვა-ყუთები. ჯიმითის განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სოფელზე გამავალმა გარე და შიდა კახეთის დამაკავშირებელმა გზამ. სოფელი დავით გარეჯის მონასტრის კუთვნილება იყო. სავარაუდოდ, იგი მონასტრისათვის IX ს-ში, პერეთის სამეფოს ზეობის ხანაში უნდა იყოს შეწირული.

სოფლის სახელწოდებასთან დაკავშირებით არსებობს მოსაზრება (ზ. რატიანი), რომ, რაკი მეგრულად და სვანურად „ჯიმ" მარილს ნიშნავს, ჯიმითი მარილეთს უნდა ნიშნავდეს. აღნიშნული ვარაუდი სოფლის სახელს ვერ ხსნის, რადგან ამ ადგილებში მარილი არ მოიპოვება,ხოლო სხვა ადგილიდან ხალხის მიგრაცია და ტოპონიმის აქ მოტანა ძალზე საეჭვოა.

წერილობით წყაროებში ჯიმითი პირველად 1392 წ. 1 დეკემბრით დათარიღებულ ქართლ-კახეთმესხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარშია მოხსენიებული.

სამხ.-აღმ. თვალსაზრისით ჯიმითი რუსთველი ეპისკოპოსის სადროშოზე იყო მიწერილი და სოფლის ლაშქრის გამოყვანის საკითხს სპეციალურად ამ საქმისათვის რუსთველის მიერ დანიშნული მოურავი აგვარებდა.

ჯალალედინის, ბერქა ყაენის, თემურ ლენგის შემოსევების შემდეგ განადგურებული დავითგარეჯი თავისი მამულებით, მ. შ. სოფ. ჯიმითიც, მეფე ალექსანდრე I დიდის 1424 წ. ბრძანებით მცხეთის სვეტიცხოვლის საკათალიკოსოს გადაეცა. 1428 წ. ერთ-ერთი საბუთის მიხედვით, სოფელი კვლავ გარეჯის კუთვნილებაა.

XV-XVI სს. ჯიმითის ყმა-მამულის მნიშვნელოვანი ნაწილი ცალკეულ ფეოდალებსა და სხვა ეკლესია-მონასტრებზე გაცემულა. 1569 წ. კახთა მეფე ლევანის წყალობის სიგელში აღნიშნულია, რომ „სოფელი ჯიმითი ძველთაგან სუეტიცხოვლისა ყოფილიყო და ჟამთა ვითარებისაგან ჯიმითი გაცემულიყოო".

XVII-VIII სს-ში ჯიმითი კვლავ სახასო სოფელია და კათოლიკოს-პატრიარქები იბრძვიან სოფლის უკან დასაბრუნებლად. მაგ., კათალიკოსი დომენტი 1739-1741 წწ. დათარიღებულ დოკუმენტში მიმართავს ნიკოლოზ ალავერდელს და უკმაყოფილებას გამოთქვამს მეფე თეიმურაზ II-ის მიერ ვინმე მოწობლიძისათვის სოფ. ჯიმითში ერთი საგლეხო ახალშენის გადაცემის გამო.

XVII ს-ში შაჰ-აბასის შემოსევებისა და ლეკიანობის შედეგად მრავალი სოფელი განადგურდა. განადგურდა სოფ. ნაპირიც, რ-იც სიგელ-გუჯრებში ჯიმითთან ერთად მოიხსენიება. ჯიმითსაც მრავალჯერ შეესია მტერი, მაგრამ ხალხმრავალმა სოფელმა შეძლო მტრის მოგერიება და სოფ. ნაპირის მოსახლეობის შეფარებაც.

XVIII ს-ის ბოლომდე დავითგარეჯი თავდაპირველად მეფის, შემდეგ კი ნინოწმინდის დაქვემდებარებაშია. გარეჯის მამულს (საგარეჯოს) მართავდა მოურავი, რ-საც ნიშნავდა და უფლება-მოვალეობას უსაზღვრავდა გარეჯის წინამძღვარი, მეფე ან კათალიკოსი. სხვადასხვა დროს საგარეჯოს მოურავები იყვნენ მაღალაშვილები, ნოლოყაშვილები, ჯანდიერიშვილები. 1700-წლით დათარიღებული საბუთით სოფ. ჯიმითში სვეტიცხოვლის კუთვნილი მამულების სახლთუხუცესობა და ჯანიშინობა ნაზარალი ხანს ამილბარ მაღალაძისათვის უბოძებია. ანტონ II-ის მიერ გაცემული გუჯარის მიხედვით ჯიმითის მოურავი ვინმე ზაალია, იასაული კი – იასე. საგარეჯოს სახლთუხუცესს მსახურები ახლდა, ერთი – საგარეჯოდან, ერთი – ჯიმითიდან და ერთი – მამიან-კალაურიდან.

სოფელში მეურნეობის ძირითადი დარგები იყო მევენახეობა და მეცხვარეობა, ხალხმრავალი სოფლიდან მოსახლეობის ნაწილს სამხრ-ით დაუწყია ჩამოსახლება, ნაწილი კი დას-ით ხევს გაღმა გასულა და იქ ორი დასახლება შეუქმნია – დარბა და გადრეკილი (დღევანდელი სოფ. ზემო კაჭრეთი). XX ს-ის 60-70-იან წწ-ში დარბის მოსახლეობა აიყარა და სოფ. კაჭრეთში ჩასახლდა.

ვ. ვარაზაშვილი, ჯ. კახაძე.

ბიბლ.: 30ა,ე; 71; 89; 112; 136; 159; 203 ბ; 262.

313. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას გეთიანთსაყდრებად წოდებულ ადგილზე. განეკუთვნება განვით. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (6×4,9 მ). ნაგებია ნატეხი ქვითა და კირის ხსნარით. ინტერიერში შემორჩენილია ნალესობის კვალი. დაზიანებულია: ჩამოშლილია საბურავი და ლავგარდანი, მონგრეულია სამხრ-დას. კუთხე და ჩრდ.-დას. კუთხის ზედა ნახევარი.



313. გეგმა

ეკლ. გეგმით ასიმეტრიულია. სამხრ. კედელი ჩრდ. კედელზე ოდნავ მოკლეა. შესასვლელი დას-



313. გრძივი ჭრილი, ხედი სამხრ.-კენ

იდანაა. კარი თაღოვანია. აღმ-ით ღრმა ნალისებრი აფსიდია, რ-შიც სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ჩრდ-ით ორი, სამხრ-ით კი ერთი ოთხკუთხა ნიშაა, აფსიდს ერთხაფეხურიანი ჩამოსაჯდომი შემოუყვება. დარბაზის სამხრ. კედელში ერთი ოთხკუთხა ნიშაა. შიგნით ეკლ. ცილინდრული კამარითაა გადახურული. დას. კედელში ოთხკუთხა სარკმელია გაჭრილი.

ბ. კუპრეიშვილი.

314. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას ნასოფლარ ნაპირის ტერიტორიაზე. განეკუთვნება შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (8,2×5 *მ*), ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით. ძლიერაა დაზიანებული: შედარებით უკეთაა შემონახული საკურთხევლის ნაწილი (სიმ. – 4 *მ*). დანარჩენი კედლები მიწის დონიდან რამდენიმე *სმ*-ზედა დგას. შესასვლელი დას-იდან ჰქონია (შემორჩენილია სამხრ. წირთხლის ნაშთი). ოდნავ ნალისებრი ფორმისა. აფსიდი, რ-იც შუაში განგრეულია (შემორჩენილია სარკმლის ორივე წირთხლის ნაშთი). მის ორივე გვერდში თითო ოთხკუთხა ნიშაა.

მ. აბაშიძე.

315. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას ნასოფლარ ნაპირის ტერიტორიაზე. განეკუთვნება შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (7,2×4,1 *მ*), ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით. ძლიერაა დაზიანებული. შემორჩენილი კედლების მაქს. სიმ. 2,6 *მ*-ია. ინტერიერი დაახლ. 0,5 *მ* სიმაღლეზე მიწითაა ამოვსებული.

შესასვლელი სამხრ. კედლის შუაშია. კარი გარედან თარაზულადაა გადახურული, შიგნით თაღოვანია.

აფსიდი ნალისებრი ფორმისაა. იგი შუაში განგრეულია და





315. გრძივი ჭრილი, ხედი სამხრ.-კენ. გეგმა

სარკმლის კვალი არ ჩანს. აფსიდის გვერდებში თითო მცირე ზომის ოთხკუთხა ნიშაა.

მ. აბაშიძე.

316. ეკლესია, არქიტ. ძ. შროშანაულად წოდებულ ადგილზე განეკუთვნება ადრინდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია, ჩრდ-იდან ეკვრის თანადროული ეგებერი. ორივე სადგომი აღმ-ით საკურთხევლის შეკრილითაა დასრულე-



316. გეგმა

ბული, რ-იც მისკენ მიმართულ მრავალწახნაგა ნაშენ აფსიდებში გადადის. ეკლესიას სამხრ-ით მდებარეობა. იგი ჩრდ. სადგომთან შედარებით ბევრად უფრო ფართოა და მაღალი (შიდა ზომები ღერძებზე: სიგრ. – 6,5 *მ*, სიგ. – 3,9 *მ*). ჩრდ. სადგომი (სიგ. – 1,8 *მ*) სიგრძით თითქმის მთავარი სივრცის ტოლია და, როგორც ჩანს, ცალფერდა სახურავით იყო გადახურული.

შენობა ნაგებია უხეშად დამუშავებული ქვის კვადრებით და კირის ხსნარით. გამოყენებულია რიყის ქვაც.

ძ. ძლიერაა დაზიანებული: თითქმის მთლიანადაა დანგრეული ჩრდ. სადგომი, დანგრეულია მთავარი სადგომის კედლების ზედა ნაწილები და გადახურვა.

ეკლესიის შესასვლელი სამხრ. სადგომის დას. კედელშია მოწყობილი. კარი თაღოვანია. აღმ-ით ნალისებრი აფსიდია. იგი შუაში განგრეულია და სარკმლის კვალი არ ჩანს. დას. კედლის ზედა ნაწილში სწორკუთხა სარკმელია.

ჩრდ. სადგომის აფსიდიც (შემორჩენილია გვერდების ნაწილი) ნალისებრია. მის სამხრ. გვერდში ერთი ნიშაა – სამალავით. რამდენიმე მცირე ზომის ნიშაა სადგომის სამხრ. კედლშიც. ჩრდ. და დას. კედლები 0,3-0,5 *მ*-ის სიმაღლეზე ზედა დგანან.

კ. გიორგობიანი.

317. კვირაცხოვლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-დას-ით 1,5 *კმ*-ზე. განეკუთვნება XVIII ს.

ეკლ. დარბაზულია (13,4×7,7 *მ*), ნაგებია სწორახოვან რიგებად დაწყობილი წვრილი რიყის ქვით. გარეთა კუთხეებში შედარებით მოზრდილი ქვებია გამოყენებული. კამარა, საბჯენი თაღები, კონქი, კარ-სარკმლების ღიობები და ლავგარდანი გამოყვანილია კვადრ. აგურით. კედლები შიგნით და გარედან შელესილია.

შესასვლელი ორია: სამხრ-იდან და დას-იდან. ორივე კარი

შეისრულთაღოვანია და გარედან საფეხურით შელრმავებულ სწორკუთხა არეშია ნასმული, რ-საც აგურის ხერხულა წყობით გამოყვანილი, საფეხუროვანი ფრიზი



317. გრძივი ჭრილი, ხედი სამხრ.-კენ. გეგმა

აგვირგვინებს. საკურთხეველის აფსიდი ნახევარწრიულია. მასში დაბალი, ნახევარწრიული თაღით გადახურული სარკმელია გაჭრილი. აფსიდის ჩრდ. გედერდში ერთი შეისრულთაღოვანი და ერთი ოთხკუთხა ნიშაა, სამხრ. გედერდში კი – ერთი შეისრულთაღოვანი ნიშა. საკურთხეველის ბაქანი აფსიდის მხრების ხაზიდან დაახლ. 1 მ-ით წინაა წამოწეული, შემაღლებულია ნავის იატაკის მიმართ (დაახლ. 25 სმ-ით) და შუაში ნახევარწრიული ამბიონი აქვს მოწყობილი. აფსიდის კონქის თაღი ოდნავ შეისრულია, მსგავსი ფორმისაა კამარაც. იგი, კონქის თაღის გარდა, დაჯრდნობილია ორ საბჯენ თაღზე, რ-თაგანაც ერთი დარბაზის შუაშია, ხოლო მეორე – დას. კედელთან. შუა საბჯენი თაღი შეკიდულ პილასტრებზეა გადაყვანილი, დასავლ. – კუთხის პილასტრებზე.

საკურთხეველის სარკმლის გარდა, შიდა სივრცეს კიდევ ოთხი, ნახევარწრიული თაღით გადახურული სარკმელი აშუქებს. მათგან თითო-თითო დას. და სამხრ. კედლებშია გაჭრილი, ორი – ჩრდ-ით.

განივ ფასადებზე აგურის წყობის შელრმავებით, გამოსახულია საფეხუროვან პოსტამენტზე დაყრდნობილი თითო მაღალი ჯვარი, რ-ებიც წითლადაა შეღებილი. აღმ. ფასადზე მდებარე ჯვრის თავზე გაცილებით მცირე ზომის, წითლად შეღებილი ჯვრის შელრმავებული გამოსახულებაა.

დას. ფასადზე, შესასვლელის ზემოთ, პატარა ოთხკუთხა ნიშაა.

ეკლესიის სახურავის კეხის დას. კიდეში, აგურის კვადრატულ ბაზისზე, დადგმულია აგურისავე ვიწრო და მაღალი სამრეკლო, რის ქვედა ნაწილი წრიულია, ხოლო ზედა – ხუთწახნაგა ფანჩატური. მათ საზღვარზე ერთრიგად ნაწყობი აგურის სარტყელია. ფანჩატურის წიბოებს მთელ სიმაღლეზე ასდევს ვიწრო შვერილი. ხუთივე წახნაგი ნახევარწრიული თაღითაა გახსნილი, თაღებს ზემოთ, ლავგარდნამდე, ორ ხერხულა ზოლს



317. დას. ფასადი

შორის მოქცეული სწორკუთხა არეა, რ-ზეც დეკორატ. ფრონტონია გამოყვანილი. სამრეკლო აგურის ხუთწახნაგა სახურავითაა გადახურული.

ეკლესიის კედლები დასრულებული იყო [illegible] ხურიანი ლავგარდნით, რის შემდეგაც ნაწილი ჩამონგრეულია.



317. ხედი სამხრ.-დან

2010 წ. საერთაშ. საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით, ეკლესიას ჩაუტარდა აღდგენითი სამუშაოები (არქიტ-ები: ტ. ზუზაძე, დ. რამიშვილი). გამაგრდა დას. კედელი, რ-იც მთელ სიმაღლეზე იყო გაბზარული; აღდგა შესასვლელთა წირთხლების მონგრეული ნაწილები და ლავგარდანი; იატაკზე დაიგო კვადრ. აგური; ეკლ. გადაიხურა კრამიტით.

თ. დვალი.

318. ნაეკლესიარი, არქიტ. ძ., მდებარეობს ნასოფლარ დარბაში. შემორჩენილია სამხრკედლის ნაწილი. ეკლ. დარბაზული ყოფილა, ნაგები იყო რიყის ქვითა და კირის ხსნარით. მოსახლეობას აქ დაუდგამს სალოცავი ნიში.

ბ. კუპრეიშვილი.

319. ნაეკლესიარი, არქიტ. ძ. მდებარეობს ნასოფლარ დარბაში. მთლიანად დანგრეულია. შემორჩენილია ქვების გროვა.

ბ. კუპრეიშვილი.

320. ნამოსახლარი ნადიკარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის აღმ-ით 0,5 კმ-ზე, ნადიკარად

წოდებულ ადგილზე, ტერასაზე. განეკუთვნება ძვ. წ. IV ათასწლ. I ნახ-ის დასასრულს.

ფერდობი, რ-ზეც ნამოსახლარი მდებარეობს, განიცდის ძლიერ ეროზიას. წვიმები მუდმივად რეცხავს მის ზედაპირს.

ძეგლს მიაკვლია კაპ-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). 1973 წ. დაზვერვების დროს ზედაპირულად აიკრიფა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, ობსიდიანის იარაღ-ანატკეცები, კაჟისა და რიყის ქვის იარაღები. კერამიკის უმეტესობა ხელით ნაძერწი, მოყვითალო-მოწაბლისფრად არის ლეწა ან მონაკრისფრო, ზედაპირ მოგლუვებული და, ხშირ შემთხვევაში, სუსტად ნაპრიალები. კეცი ქვიშანარევი, იშვიათად, ხვინჭის მინარევიანია. კარგადაა გამომწვარი. მრავლადაა ჭილისა და განსაკუთრებით ვ. წ. ტაფისებრი ჭურჭლის ნატეხები. ტაფისებრ ჭურჭელს პირთან პორიზ. შეერილები, ხოლო პირს ქვემოთ გამჭოლი ხვრელები აქვს.

ქვის მასალიდან აღსანიშნავია სახოკები, საფხეკები და რიყის ქვის ორმხრივ გახეხილ-გაპრიალებული ცულის ფრაგმენტი.

მასალა დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ-ეთნ. საცავში.

ვ. ვარაზაშვილი.

ბიბლ.: 102 დ; 262.

321. ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს ნიჩურაანთ გორად წოდებულ ადგილზე განეკუთვნება გვიანდ. ბრინჯაოს ხანას.

ძეგლს მიაკვლია კაპ-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური, რაზმის ხელმძღვ. ვ. ვარაზაშვილი). მიუხედავად იმისა, რომ განვით. და გვიანდ. შუა საუკუნეებში რიგორც გორაზე, ისე მის ირგვლივ მჭიდრო დასახლება ყოფილა, დღეს საც კარგად ჩანს გორანამოსახლარისათვის დამახასიათებელი თავდაცვითი თხრილი.

ვ. ვარაზაშვილი.

322. სადგომი სადუღაგორა, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით 8-10 კმ-ზე, მდ. ივრის მარცხ. ნაპირზე, გორაკ-ბორცვიან ზოლში, სადუღაგორისა და მის მახლობლად გამართული ხელოვნური წყალსაცავის შემოგარენში. განეკუთვნება მუსტიეს ხანას.

ძ. 1971 წ. გამოავლინა კაპ-ის ქვის ხანის რაზმმა (ხელმძღვ. თ. ბუგიანიშვილი). სადუღაგორაზე და მის მიმდებარე მოხნულ ფართზე (დაახლოებით 2-3 ჰა), ნაპოვნია კაჟის ერთი ლამელისებრი და ორი მოგრძო, ფართო ანატკეცი; შავი ფერის მონაკრისფრად ღრმად პატინირებული ქანის ანატკეცზე გაკეთებული, ამოზნექილსამუშაოპირიანი გრძივი სახოკი და შავი ფერის ქანის ლეკალუაურ ლამელაზე გაფორმებული, წვერმოტეხილი, რეტუშირებული წვეტანა.

მასალა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ-ეთნ. საცავში.

თ. ბუგიანიშვილი.

ბიბლ.: 35.

323. სადგომი უსახელო ბორცვი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით დაახლოებით 8-10 კმ-ზე, მდ. ივრის მარცხ. ნაპირზე, გორაკ-ბორცვიან ზოლში, მელიღელესა და სადუღაგორას შორის. განეკუთვნება მუსტიეს ხანას.

ძ. 1967 წ. გამოავლინა კაპ-ის (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური) ქვის ხანის რაზმმა (ხელმძღვ. თ. ბუგიანიშვილი). ერთ-ერთი პატარა ბორცვის თხემზე, ბუნებრივ ღრმულში აღმოჩნდა მონაკრისფრო თეორლაქებიანი კაჟის 33 ანატკეცი და ანამტვრევი.

მასალა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ-ეთნ. საცავში.

თ. ბუგიანიშვილი.

ბიბლ.: 35.

324. სადუღას ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სადუღას ტბის მახლობლად. განეკუთვნება ძვ. წ. VI - ახ. წ. IX სს. პერიოდს.

ძ. გამოავლინა და გათხარა კაპ-ის სადუღას რაზმმა (ხელმძღვ. მ. უზუნაშვილი).

ნამოსახლარი მდებარეობს ოვალურ ბორცვზე (20×10 მ), სადაც გამოიკვეთა სამი ძირითადი კულტ. ფენა.

ძეგლის სამხრ.-აღმ. ნაწილში მდებარე ორი ზედა კულტ. ფენიდან ერთი შეიცავდა VIII-IX სს. მიწურებს – მეორე, ქვედა IV-VI სს. ხანის ალიზის კოშკისა და გალავნის ნაშთებს. III კულტ. ფენაში აღმოჩნდა მნიშვნელოვანი ნაგებობის (სახახლის ან ციხის) ჩრდ.-აღმ. კუთხე. გაითხარა ამ შენობის კარიბჭე. კარიბჭის მისადგომები საფეხურებად ეშვება გორის ძირისაკენ. ასეთივე საფეხურებია სადუღაგორის ჩრდ. ფერდობზეც – ტრანშეაში.

კარიბჭე მოწყობილია შენობის კუთხეში და ორივე მხრიდან ფლანკირებულია ოთხკუთხა კოშკებით, რ-ებიც აგებულია ძელებით ჯარგვალურად, კედლები ორივე მხრიდან ნამჯანარევი თიხის სქელი ფენითაა შელესილი. იატაკები თიხატკეპნილია. კოშკების სამხრ-ით და დას-ით გაიწმინდა ალიზით ნაგები ბურჯები. ალიზი ხანძრისაგან გამომწვარია და აგურებადაა (49×31×14 სმ) ჩაწყობილი. ალიზის ფენებს შორის თიხის ხსნარში ლერწამი ყოფილა ჩაფენილი. ბურჯებსა და კოშკებს შორის მოქცეულია სამკუთხა სათავსები თიხატკეპნილი იატაკით. თხრილის ცენტრ. ნაწილში, კარიბჭის გაგრძელებაზე გაიწმინდა შიდა ეზო, რ-იც აგრეთვე თიხით იყო მოტკეპნილი. ეზო რამდენიმე ადგილას ზედა ფენის ორმოებითაა ჩაჭრილი.

შენობის ნანგრევებსა და იატაკზე აღმოჩნდა მოყვითალო თიხის კოჭობები, ხელადები, ქოთნები და სხვ. ჭურჭელი, იარაღი (ბრინჯაოს ქარქაშიანი რკინის საბეჭვარი, რკინის დანები, რკინისა და ძვლის ისრისპირები), ბრინჯაოს აბზინდები და ფარდულები, ბაზალტის მცირე ზომის ხელსაფქვავი და სხვ. სავარაუდოდ, ამავე ფენას უკავშირდება თეთრი ანგობის ზოლებით მოხატული კერამიკა. დიდი რაოდენობით იყო მსხვილფენა და წვრილფენა საჭონლის და ძაღლის ძვლები, აგრეთვე ირმის რქები. ყველაფერს ანდა ძლიერი ცეცხლის კვალი და ნაცარში იყო არეული.

მასალა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

ნ. მეუნარგია.

325. სადუღას სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს ივრისპირა ტერასაზე, მდ. ივრის მარცხ. ნაპირზე, სადუღაგორის აღმ-ით 70 მ-ზე. განეკუთვნება III ს.

1975 წ. ძეგლზე არქეოლ. გათხრები ჩაატრა იაე ინ-ტის ქაეი-ის სადუღას რაზმმა (ხელმძღვ. მ. უზუნაშვილი). აღმოჩნდა ერთმანეთისაგან 10 მ-ით დაშორებული ორი სამარხი.

ერთ-ერთი სამარხი (სიგრ. – 2,5 მ, სიგ. – 1,5 მ), რ-იც დამხრობილი იყო აღმ-იდან დას-ით; ორმოს დას. ნაწილში აღმოჩნდა 2 მიცვალებულის ჩონჩხი. ორივე დასვენებული იყო მარცხ. გვერდზე, კიდურებმოხრილი, პირით აღმ-ისკენ. სამარხში აღმოჩნდა: ბრინჯაოსბალთებიან სარტყელზე ჩამოკიდებული სატევარი და დანა, ბრინჯაოს სამაჯური, სარტყლის ვერცხლის აბზინდა, ბალთები, ისრებიანი კაპარჭი; მოკლე, შედგენილი მშვილდები ძვლის საფარი ფირფიტებით; რკინის ლაგამი; გემიანი ბეჭდები. ერთ-ერთი ჩონჩხის კისრის არეში აღმოჩნდა 196 წ. რომში მოჭრილი ვერცხლის მონეტა ყრმა კარაკალას გამოსახულებით.

სამარხი ორმოს აღმ. ნახევარი ეკავა წვრილფეხა საქონლის თავმოკვეთილ დანაწევრებულ ჩონჩხებს. იქვე ეწყო თიხის ოთხი ჭურჭელი.

II სამარხი (2×2 მ, სიღრმე ზედაპირიდან – 2,3 მ) გაითხარა პირველის სამხრ.-აღმ-ით, მისი დამხრობა ისეთივეა, როგორც პირველის. სამარხ ორმოს აღმ-იდან ჰქონდა სამსაფეხურიანი ჩასასვლელი – დრომოსი, უშუალოდ სამარხი კი კატაკომბურად იყო მოწყობილი ნიშაში. იგი მრავალჯერ არის გამოყენებული. სამარხში ცხრა ადამიანის მ. შ. ორი ბავშვის ჩონჩხი აღმოჩნდა. ამ ჩონჩხებიდან მხოლოდ ერთი იყო ხელუხლებელი, დანარჩენი მიხვეტილი იყო ერთიან გროვად ორმოს სამხრ.-დას. ნაწილში და ჩრდ.-აღმ. კუთხეში. ხელუხლებელი ჩონჩხი იწვა მარცხ. გვერდზე, პირით აღმ-ისკენ. სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს სარდიონისთვლიანი და ოქროს ბეჭდები; გიშრის, ქარვის, სარდიონის, მთის ბროლის, ალმანდინისა და მინის მძივები; ვერცხლის ბალთა; ოქროს კილიტები; ოქროს თვალბუდეები ალმანდინის თვლებით; მინის სანელსაცხებლე; ვერცხლის, ბრინჯაოს, თიხის აბზინდები. მიხვეტილ ჩონჩხებთან ამეთვისტოს, სარდიონის, გიშრის, ქარვისა და მინის უამრავი მძივი და საკიდი აღმოჩნდა.

მასალა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

ნ. მეუნარგია.

ბიბლ.: 145.

326. სკვითურინვენტარიანი სამარხები, არქეოლ. ძ. მდებარეობს მდ. ივრის მარცხ. ნაპირზე, სადუღას ტბის ჩრდ-ით 600-იოდე მ-ზე. განეკუთვნება ძვ. წ. VI-V სს.

1974 წ. სადრენაჟო თხრილის გაყვანისას 1,50 მ-ის სიღრმეზე ექსკავატორმა მთლიანად გაანადგურა სკვითური ინვენტარის შემცველი ერთი და ნაწილობრივ დააზიანა პირველისაგან რამდენიმე მ-ით დაცილებული მეორე სამარხი.

სამარხები შეისწავლა ქაეი-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური).

ერთ სამარხში მიცვალებული და ცხენი იყო დაკრძალული. მათი დაკრძალვის პოზა ვერ დადგინდა, რადგან ყველა ძვალი ამოყრილი იყო. სამარხის ფსკერზე დაცული იყო თიხის ორი ჭურჭელი. დანარჩენთა ნატეხები სამარხის სხვა მასალასთან ერთად იყო ამოყრილი.

სამარხის ინვენტარია: წმინდა მარცვლოვანი თიხისგან დამზადებული, მოვარდისფრო-მონაცრისფროდ გამომწვარი ორყურა დერგი და ლიტრა; მოყავისფროდ გამომწვარი თიხის ცალყურა სასმისი და ჯამი; ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ბალთა, რ-იც წარმოადგენს თავშებრუნებული ცხოველის სტილიზებულ გამოსახულებას; მრგვალგანივკვეთიანი, მოგრძო, ბოლოებდაწვრილებული სალესი ქვა – ერთ ბოლოში თასმის გასაყრელი ნახვრეტით; [illegible] ბრინჯაოს ისრისპირები, რკინის შუბისპირის ფრაგმენტები, მინის მძივები და ცხვრის კოჭი.

მეორე ორმოსამარხი მიწის ზედაპირიდან 0,5 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა. მიცვალებული დაკრძალული იყო ზურგზე, თავით დასისკენ. სადრენაჟო არხის გაჭრისას სამარხში დაკრძალული მიცვალებულისათვის ქვედა კიდურები მენჯამდე წაუცლიათ. მიცვალებულის მარცხ. ხელსა და ნეკნებზე წვრილფეხა საქონლის ძვლები ეწყო, მენჯზე კი, მსხვილფეხა საქონლის ფეხი იდო.

სამარხში აღმოჩნდა: ბრინჯაოს ორი სამაჯური (ორივე ხელის მაჯაზე) – მათგან ერთ-ერთი მრგვალგანივკვეთიანი ღეროსგანაა დამზადებული და ბოლოები ერთმანეთზე აქვს გადადებული; მრგვალი, მოგრძო, ბოლოებდაწვრილებული, ცალ ბოლოზე თასმის გასაყრელნახვრეტიანი, გულდასმით გამოთლილი და გაპრიალებული სალესი ქვა (წელის არეში); რკინის შუბისპირის, მოხრილი დანისა და სხვა ნივთთა ფრაგმენტები; სხვადასხვა ფორმის – ცილინდრული, სფეროსებრი, შინდისკურკისებრი, ბრტყელი სარდიონის მძივები; ირიზებული, მინის თვალედი მძივები, (ყელის არეში).

მასალა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

ნ. მამაიაშვილი.

ბიბლ.: 125.

327. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სასაფლაოზე. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (8,8×5,3 მ), ნაგებია რიყის ქვით, გამოყენებულია კვადრ. აგურიც. შესასვლელი დას-იდანაა. კარი თაღოვანია და გარედან საფეხურით შეღრმავებულ სწორკუთხა არეშია ჩასმული. აღმ-ით ნახევარწრიული აფსი-

დია, რ-შიც გაჭრილია დაბალი, თარაზულად გადახურული სარკმელი. ერთი სწორკუთხა სარკმელია დას. კედელშიც. საკურთხევლის



327. გრძივი ჭრილი, ხედი სამხრ-კენ. გეგმა

იატაკი დარბაზის იატაკის მიმართ საფეხურითაა (სიმ. – 25 *სმ*) შემაღლებული და აფსიდის მხრების ხაზიდან დაახლ. 2 *მ*-ით წინწამოწეულია. საკურთხევლის შუაში დგას ოთხწახნაგა ტრაპეზი. აფსიდის თაღი ოდნავ შეისრული ფორმისაა. მსგავსი ფორმისაა კამარაც.

გრძივი კედლების აღმ. ნაწილში, ერთმანეთის მოპირდაპირედ, თითო მცირე ზომის ოთხ-



327. ხედი სამხრ-დას-იდან

კუთხა ნიშაა. სამხრ. კედლის შუაში განიერი და მაღალი (სიგ. – 1,1 *მ*, სიმ. – 1,6 *მ*), ოდნავ შეღრმავებული სწორკუთხა არეა (ამოშენებული შესასვლელი?), რ-იც იატაკის დონიდან იწყება. კამარა სხმულია და გრძივ კედლებს ეყრდნობა.

ეკლესიის დას. ფასადზე, სარკმლის ზემოთ, სწორკუთხა ნიშაა.

ლავგარდანი თაროსებრია. ეკლ. გადახურულია კრამიტით.

ქ. გოგოლაშვილი

328. ყველაწმინდის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით 1,5 *კმ*-ზე, ნასოფლარ დარბის ტერიტორიაზე, კარალისხევის მარცხ. ფერდზე. განეკუთვნება XVIII ს.

ეკლ. სამნავიანი ბაზილიკაა (16,3×10,8 *მ*), ნაგებია რიყის ქვითა და აგურით, აგურითაა გამოყვანილი ეკლესიის კამარები, საბჯენი თაღები, კარ-სარკმლების წირთხლები. შუა ნავის ინტერიერი შელესილი და შეთეთრებული ყოფილა.



328. გეგმა

ბაზილიკაში სამი შესასვლელია: დას-იდან, სამხრ-იდან და ჩრდ-იდან. სამივე კარი ისრულთაღოვანია და შიგნით თაღოვან, ხოლო გარედან საფეხურით შეღრმავებულ სწორკუთხა არეშია ჩასმული, რ-იც დასრულებულია აგურის ხერხულა წყობით გამოყვანილი ფრიზით.

ეკლესიის შიდა სივრცე ორი სწორკუთხა ბურჯით და მათზე გრძივი მიმართულებით გადაყვანილი ორ-ორი შეისრული თაღით სამ ნავად იყოფა. შუა ნავი ფართოა და მაღალი. იგი აღმ-ით ნალოსებრი აფსიდითაა დასრულებული, რ-შიც თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ორივე მხარეს სამ-სამი ისრულთაღოვანი ნიშაა.

საკურთხევლის გვერდებზე თითო პატარა სათავსია (სამკვეთლო და სადიაკვნე), რ-ებიც შესაბამის ნავებს ვიწრო და დაბალი (სიმ. 1,2 *მ*) სწორკუთხა კარით უკავშირდება. სამკვეთლოს სამხრ., ხოლო სადიაკვნეს ჩრდ. კედელი საკურთხევლის აფსიდის კედლის მოხაზულობას იმეორებს, რის გამოც სათავსების აღმ. ნაწილი უფრო ფართოა, ვიდრე დას-ისა, ხოლო ზემოთ, კამარის ქუსლის დონეზე, ორივე კედელი მცირე მომრგვალებით ერწყმის აღმ. კედელს. სამკვეთლო განათებულია აღმ. თაღოვანი სარკმლით, ხოლო სადიაკვნეში ორი თაღოვანი სარკმელია (ერთი აღმ-ით – მეორე – სამხრ-ით).

შუა ნავის შეისრული კამარა ოთხ საბჯენ თაღს ემყარება – აქედან შუა და დას-ით მდებარე პილასტრებზეა დაყრდნობილი, ხოლო ორი შეკიდულია. შეკიდულ პილასტრებზეა დამყარებული საკურთხევლის სატრიუმფო თაღიც.

გვერდითი ნავები შუა ნავთან შედარებით თითქმის ოთხჯერ ვიწ-



328. გრძივი ჭრილი, ხედი სამხრ.-კენ

რო ვიწროა. ორივე მათგანი ნავების გამყოფი ბურჯიდან გრძივ კედლებზე გადაყვანილი თაღით და მასზე აყვანილი კედლით გაყოფილია ორ თანატოლ, ერთმანეთთან დაკავშირებულ ნაწილად. ორივე ნაწილი ნახევარკამარითაა გადახურული.

ინტერიერს შვიდი თაღოვანი სარკმელი ანათებს: ერთი საკურთხეველშია, თითო-თითო – გვერდითი ნავების აღმ. და დას. ნაწილებში და ორიც – ერთიმეორის თავზე, დას. კედელში. გვერდითი ნავების აღმ. ნაწილის სარკმლებს ქვემოთ მოწყობილია თითო თაღოვანი ნიშა.

ეკლესიის გარეგანი ფორმები სავსებით შეესაბამება სივრცის შიდა სტრუქტურას. შუა ამაღლებული ნავი ორქანობიანი სახურავითაა გადახურული, გვერდითი ნავები – ცალქანობიანით.

გარედან კედლების საპირე წყობის დიდი ნაწილი რიყის ქვითაა ამოყვანილი; ქვა ძირითადად საშუალო ზომისაა და ერთრიგად ნაწყობ აგურის პირიზ. შრეებს შორისაა მოქცეული, რაებიც რიტმულად ანაწევრებენ კედლების ვრცელ ზედაპირს. შუა ნავის კუთხეები, ფრონტონების მნიშვნელოვანი ნაწილი და განივ ფასადებზე გვერდის ნავების კედლების ზედა ნაწილები მთლიანად აგურისაა. აგურითვეა გამოყვანილი კარ-სარკმელთა ღიობების მორთულობის ელემენტები და ლავგარდანი.

ფასადთა დამუშავება მარტივია. შეღრმავებული რომბებითა და ჯვრებით მორთულია მხოლოდ განივი ფასადები.

აღმ. ფასადზე სარკმლის ზემოთ გამოსახულია მაღალი ჯვარი, რ-იც დამყარებულია სამკუთხა ფორმის ბაზისზე. მის ორივე მხარეს სიმეტრიულად განლაგებულია ორ-ორი რომბი. ჯვრის ზემოთ ფრონტონის წვერთან, კონქის თავზე არსებულ სივრცეში სწორკუთხა სარკმელია, რ-ის გვერდებზე, ოდნავ ქვემოთ თითო პატარა კვადრ. ხვრელია.

დას. ფასადზე კარ-სარკმლები ერთ ვერტიკალზე განლაგებული. ფასადის ქვედა ნაწილში სწორკუთხა შეღრმავებულ არეში ნახმული შესასვლელია, რ-ის გვერდებზე ერთიმეორის თავზე ოთხ-ოთხი რომბია განლაგებული. შესასვლელის ზემოთ განიერი, ნახევარწრიული თაღით დასრულებული სარკმელია. სარკმლის ზემოთ კი გამოსახულია მაღალსაფეხურიან პოსტამენტზე დაყრდნობილი ჯვარი, რ-ის ზედა და ქვედა მკლავში სარკმლის ღიობია მოქცეული.



328. ხედი ჩრდ.-დას.-იდან

ჯვრის ზემოთ, ფრონტონის წვერთან, სწორკუთხა ნიშაა. ჯვრის ქვედა მკლავის გვერდებზე სამსამი ვერტიკალურად განთავსებული რომბია. თითო რომბია პოსტამენტის გვერდებზეც. ფრონტონის წვერზე დადგმულია აგურით ნაგები სამრეკლო, რ-იც კვადრ. საფუძველზე აღმართულ, ვიწრო ისრული თაღებით გახსნილ ექვსწახნაგოვან ფანჩატურს წარმოადგენს. სამრეკლოს პირამიდული სახურავი აგურითაა ნაგები.

ფასადები დასრულებულია საფეხუროვანი ლავგარდნით,რსაც განივ ფასადებზე, ფრონტონისა და გვერდითი ნავების სახურავის კალთების ძირებთან ჰორიზ. შემონაკეცები აქვს.

2010 წ. საერთაშ. საქველმოქმედო ფონდ „ქართუს" დაფინანსებით ეკლესიას ჩაუტარდა სარესტ. სამუშაოები (არქიტ-ები: ტ. ზუზაძე, დ. რამიშვილი). ინტერიერში და ფასადებზე გასუფთავდა კედლები, იატაკზე დაიგო კვადრ. აგური, აღდგა ლავგარდანი,ეკლ. გადაიხურა ღარისებრი კრამიტით. ეკლესიის გარშემო გაკეთდა ქვის სარინელი.

თ. დვალი.

ბიბლ.: 335.

329. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფელში. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (8,5×5 მ), ნაგებია რიყის ქვით, აგურით და კირის ხსნარით. შიგნით და გარედან შელესილ-შეთეთრებულია.

ეკლესიის შესასვლელი სამხრიდანაა. კარი თაღოვანია და შიგნიდან საფეხურით შეღრმავებულ



329. გეგმა

სწორკუთხა არეშია ჩასმული. აღმ-ით საკურთხევლის ნახევარწრიული აფსიდია, თაღოვანი სარკმლით და მის ორივე მხარეს მდებარე თითო ოთხკუთხა ნიშით. საკურთხეველი დარბაზისგან გამიჯნულია კანკელით, რ-იც აფსიდიდან დაახლ. 1 მ-ით წინწამოწეულია. კამარა სხმულია – ცილინდრული ფორმისა. დას. კუთხეებში პილასტრებია, ჩრდ. კედელში, აფსიდის მხართან ახლოს – პატარა ოთხკუთხა ნიშა. სამხრ. კედელში თაღოვანი სარკმელია; ერთი სარკმელი დას. კედელშიცაა. იგი საკმაოდ მცირე ზომისაა და იმდენად მაღლაა „ატანილი", რომ მისი ღიობის ნაწილი კამარის წვერის ზემოთაა ასული.

ეკლესიის გრძივი ფასადები ორ-ორი, საფეხურით შეღრმავებული თაღოვანი [illegible] დანაწევრებული. დას. ფასადზე, სარკმლის ქვემოთ, აგურით გამოყვანილი ჯვრის რელიეფური გამოსახულებაა.

დას. ფრონტონის წვერზე დადგმულია დაბალი, აგურის ოთხ-



329. გრძივი ჭრილი, ხედი სამხრ-კენ

წახნაგა სამრეკლო – პირამიდული სახურავით.

1990-იანი წლების ბოლოს ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ჩატარებული რემონტის დროს, ეკლ. გარედან ცემენტით შელესეს და კრამიტით გადახურეს.

ქ. გიორგობიანი.

II დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი



● დასახლებული პუნქტი, სადაც არის ისტორიის და კულტურის ძეგლი

■ ცალკე მდებარე ძეგლი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



დედოფლისწყარო, ხორნაბუჯის ციხე (II-009), საერთო ხედი ჩრდ.-დას-იდან



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული. დასავლეთით და ჩრდილოეთით ესაზღვრება სიღნაღის მუნიციპალიტეტი, აღმოსავლეთით და სამხრეთით – აზერბაიჯანი. ფართობი – 2529,2 კვ კმ. 2010 წლის მონაცემებით მოსახლეობა შეადგენდა 29578 კაცს. ცენტრი – ქ. დედოფლისწყარო. მუნიციპალიტეტში არის 1 ქალაქი, 11 თემის საკრებულო (არბოშიკის, არხილოსკალოს, გამარჯვების, ზემო მაჩხაანის, ზემო ქედის, ოზაანის, საბათლოს, სამთაწყაროს, ქვემო ქედის, ხორნაბუჯის, სამრეკლოს) და 15 სოფელი (არბოშიკი, არხილოსკალო, გამარჯვება, ზემო მაჩხაანი, ზემო ქედი, თავწყარო, მირზაანი, ოზაანი, საბათლო, სამთაწყარო, სამრეკლო, ფიროსმანი, ქვემო ქედი, ჭოეთი, ხორნაბუჯი).

მუნიციპალიტეტის ტერიტორია უძველესი დროიდან ყოფილა დასახლებული, რასაც ადასტურებს სხვადასხვა წლების არქეოლოგიური გათხრებისას გამოვლენილი ქვის, ბრინჯაოს, რკინის ხანის, ანტიკური და ადრინდელი ქრისტიანული პერიოდის მრავალი ძეგლი. მათ შორის განსაკუთრებული ყურადღების ღირსია დიდი ქალაქების (ხორნაბუჯი, ხორანთა) ნანგრევები.

დღევანდელი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორია უძველესი დროიდანვე შედიოდა საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული პროვინციის – კამბეჩოვანის შემადგენლობაში. ის თავიდანვე მჭიდროდ დაუკავშირდა ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიას და ხან პერეთის, ხანაც კახეთის სამეფოს განუყოფელ ნაწილს შეადგენდა. ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების (1801 წ.) შემდეგ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორია თბილისის გუბერნიის სიღნაღის მაზრაში მოექცა. ყარაღაჯ-დედოფლისწყაროს მიმართულებას („ლეკეთის საკორდონე ხაზს“) იმ პერიოდში დიდი სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა დალესტან-ლეკეთისა და ჭარ-ბელაქნის მხრიდან შემოსეულ მთიარეშე-მაომიელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. დედოფლისწყაროში მჭიდროდ იდგა მეფის რუსეთის [illegible] სამხედრო სამსახურის ვადის გასვლის შემდეგაც ოფიცერთა და ჯარისკაცთა უმეტესი ნაწილი აქ რჩებოდა მუდმივ საცხოვრებლად. 1889 წელს მეფის მთავრობამ გადაწყვიტა შირაქში გადმოესახლებინა რუსები. განზრახვამ ქართველ მთიელთა დიდი გულისწყრომა გამოიწვია. საპასუხოდ მათ ყოველგვარი ნებართვის გარეშე დაიწყეს შირაქში ჩამოსახლება და დამკვიდრება. ამ გაბედული გადაწყვეტილების ინიციატორი და ორგანიზატორი იყო ვაჟა-ფშაველა, რომლის ძალისხმევითაც ალმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობა ჯერ კიდევ 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამდე სამუდამოდ დასახლდა შირაქში. შეიქმნა სოფლები: ზემო ქედი, ქვემო ქედი და არხილოსკალო. 1915 წელს ვაჟამ ლომისის წმ. გიორგის ეკლესიიდან ნიში ჩამოატანინა და მცირე ეკლესია ააშენა. აქ დღესაც აღნიშნავენ ლომისობას. XX საუკუნის დასაწყისში ნიკოლოზ II-მ შირაქის ველის აღმოსავლეთ ნაწილში ჩამოასახლა ზაპოროჟიელი ურჩი კაზაკები, რომლებმაც ახალ დასახლებას სეჩენოვკა უწოდეს. 1921 წლის შემდეგ აქ ჩამოსახლდნენ ზემო მაჩხაანისა და მირზაანის მაცხოვრებლები. ამ სოფელს გასაბჭოებულ საქართველოში რევოლუციონერ ა. ჯაფარიძის (ახლანდ. სამრეკლო) სახელი ეწოდა. 1918 წელს მუსავატელებმა აზერბაიჯანის რესპუბლიკაში 36 სოფლის სომხური მოსახლეობა აყარეს და ბედის ანაბარა დატოვეს. ლტოლვილ სომეხთა ნაწილი 1922 წელს მდ. ალაზნის მარჯვენა მხარეს ჩამოსახლდა. დასახლებას მათ თავიანთი მშობლიური სოფლის სახელი, საბათლო უწოდეს, ხოლო შემდეგ წითელი საბათლო დაარქვეს. 1924 წლიდან ზოგიერთი მირზაანელი გლეხი მუდმივ საცხოვრებლად სახლდებოდა უზუნდარის მთის კალთებზე. სოფელი

თანდათანობით იზრდებოდა და დაერქვა სახელი უზუნდარა (დღევანდელი სოფ. გამარჯვება).

1921 წელს საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიალური დაყოფით ახლანდელი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორია სიღნაღის მაზრას მიეკუთვნა, 1929 წელს – კახეთის ოლქს, 1930-37 წლებში – სიღნაღის რაიონს. 1938 წელს ჩამოყალიბდა ცალკე რაიონად. 1963-64 წლებში ისევ სიღნაღის რაიონს შეუერთეს, 1965 წლიდან კი კვლავ ცალკე რაიონად გამოიყო. 2005 წლიდან რაიონს მუნიციპალიტეტი ეწოდა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორია გაშლილია ძირითადად ივრის ზეგანზე, უჭირავს აგრეთვე გომბორის ქედის მცირე მონაკვეთი და ალაზნის ველის უკიდურესი სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი. ივრის ზეგანი ნეოგენური და მეოთხეული ნალექებითაა აგებული. შედგება მონოკლინური და ანტიკლინური მაღლობებისა და სინკლინური ვაკეფსკერიანი ტაფობებისაგან. ამავე დროს ტექტოგენურ რელიეფზე განვითარებულია ეროზიული ხეობები, ხრამები, მდინარეული ტერასები, ბედლენდები, ფსევდოკარსტები, ტალახის ვულკანები და სხვ. მუნიციპალიტეტის მთავარი ოროგრაფიული ერთეულებია: დიდი და პატარა შირაქის, ნაგომრებისთავის ტაფობები, ტარიბანის, ნატბეურის, ივრის სტეპის ანუ პატარა ტარიბანის, ჭაჭუნის ვაკე-ტაფობები და დაბალი სერები (ქედები): ელდარის, ზილჩის, კოწახურის, ნაზარლების, ყალადარის, ყანლის, ყაჯარის, ჩობანდაღის. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღმართულია მთები: ბილენთა, ნიკორაციხე, ორი ძმა, უზუნდარა, ქვაბები, ჩალხევი და სხვ. შირაქის ვაკე აღმოსავლეთით უერთდება კასრისწყლის ტაფობს, რომელიც აღმოსავლეთით ჯეირანთველის ეროზიულ ტაფობში გადადის. მუნიციპალიტეტის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილშია მეოთხეული ნალექებით აგებული ელდარის დაბლობი, მისი უკიდურესი სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი ცნობილია ბულამოედნის სახელწოდებით.

მნიშვნელოვანი წიაღისეულია ნავთობი (პატარა შირაქის, მირზაანის, ტარიბანის საბადოები) და კირქვა (დედოფლისწყაროს საბადო).

მუნიციპალიტეტის ტერიტორია ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავის ოლქში მდებარეობს. ჭარბობს ძირითადად ორი ტიპის ჰავა. სამხრეთით – ცხელზაფხულიანი ზომიერად თბილი სტეპისა; ჩრდილოეთ ზოლში – ზომიერად ნოტიო. იცის ზომიერად ცივი ზამთარი, ზაფხული – ხანგრძლივად თბილი. ნალექები 500-600 *მმ* წელიწადში. მცირე ნალექი მოდის ელდარის დაბლობზე (250-300 *მმ*). ნალექების მაქსიმუმი მაისსა და ივნისის დასაწყისშია, მინიმალური – ზამთარსა და ზაფხულში.

მუნიციპალიტეტი ღარიბია შიგა წყლებით. აღმოსავლეთ საზღვართან ჩამოუდის მდ. ალაზანი, დასავლეთ ნაწილს კვეთს მდ. იორი. ტერიტორიის უდიდესი ნაწილი მოკლებულია მუდმივ მდინარეებს. პერიოდული მდინარეებია: მლაშეწყალი, ლეკისწყალი, ყუმურისხევი, პანტიშარისხევი, მწარე ოლე და სხვ. არის ტბები (ქოჩები, პატარა ტბა) და წყალსაცავები (ქუმისხევის, თელაწყლის, კრანჩხისხევის). მდინარეთა წყალდიდობა გაზაფხულზეა, წყალმცირობა – ზაფხულსა და ზამთარში. მდინარეები გამოყენებულია სარწყავად.

ნიადაგი საკმაოდ მრავალფეროვანია. ელდარის დაბლობსა და მის მიმდებარე სამხრეთ ზონაში ღია მურა ნიადაგია, არიდული ნათელი ტყის ზონაში – ტყის ყავისფერი. ვრცელი ფართობი უჭირავს წაბლა ნიადაგს დამლაშებული და ბიცობიანი ნიადაგების კომპლექსით. ტერიტორიის დიდი ნაწილი უკავია მცირე და საშუალო სისქის შავმიწებს. ივრის პირას ალუვიური კარბონატული ნიადაგია, ქალაქის მახლობლად კი – კორდიან-კარბონატული.

მცენარეულობის ძირითად ფონს დაბლობზე ქმნის ნახევარუდაბნოს ბუჩქნარი. ივრის ზეგანის სამხრეთ ნაწილში შემორჩენილია არიდული მეჩხერი ტყე (საკმლის ხე, აკაკი, ღვია, ქართული ნეკერჩხალი, ბერყენა, თელა, ელდარის ფიჭვი). მიწისპირა ბალახსაფარს ქმნის ნახევარუდაბნოს ან სტეპებისათვის დამახასიათებელი ელემენტები. ბუჩქებიდან გავრცელებულია: ძეძვი, გრაკლა, შავჯაგა, თრიმლი, ჩიტავაშლა, კოწახური, ღვის რამდენიმე სახეობა. ვაშლოვნის ნაკრძალში არიდული ნათელი ტყეა. მუნიციპალიტეტის ვაკე-ტაფობებში არის უროიანი და ვაციწვერიანი სტეპის მცენარეები. ტაფობების კალთებზე გვხვდება: გლერძი, ჭარელა, სტეპის წივანა, კეტი ბალახი, მუზარადა და სხვ. გომბორის ქედის კალთებზე მუხნარი და რცხილნარია, ივრისპირეთში – ტუგაის (ჭალის) ტყე.

ცხოველთაგან გვხვდება: მგელი, მელა, ტურა, მაჩვი, დედოფალა. ფართოდაა გავრცელებული მღრღნელები: მემინდვრია, მექვიშია, ტყის თაგვი; ფრინველთაგან – კაკაბი, მწყერი, გნოლი; ბევრია ყვავი, კაჭკაჭი, ქორი, ბელურა, შაშვი, კვირიონი და სხვ. მდინარეებში იორსა და ალაზანში არის ქაშაყი, ლოქო, მტკვრის ტობი, ხრამული, მტკვრის წვერა და სხვ.

ძირითადი ლანდშაფტები: 1. ნახევარუდაბნო ვაკე-დაბლობი ღია მურა და დამლაშებული ნიადაგებით; 2. სტეპური წვრილმთიანეთი შავმიწა და წაბლა ნიადაგებით; 3. წვრილმთიანეთი და ხევხრამებიან-ბედლენდებიანი მთისწინეთი არიდული ტყით, რუხი ყავისფერი ნიადაგით; 4. ვაკე-ტაფობი სტეპის ბალახმცენარეულობით, შავმიწა და წაბლა ნიადაგებით; 5. დაბალმთიანეთი და მთისწინეთი რცხილნარ-მუხნარით, ჯაგრცხილნარით და ჯაგეკლიანებით, ტყის ყავისფერი ნიადაგებით; 6. ჭალები ტუგაის მცენარეულობით და ალუვიური ნიადაგით; 7. ვაკე ჯაგეკლიანი სტეპით და ჰალოფილური მცენარეულობით, შავმიწისებრი და დამლაშებული ნიადაგებით.

მუნიციპალიტეტში არის ვაშლოვნის სახელმწიფო ნაკრძალი და ჭაჭუნის აღკვეთილი. ვაშლოვ-

ნის ნაკრძალის ფართობია 4,868 ჰა, ტყით დაფარულია 4 032 ჰა. დანარჩენი ნაწილი უჭირავს ვენახებს, უდაბნოს ხეებს და ალესილებს. ნაკრძალად გამოცხადდა 1935 წ. ეროვნულ პარკთან ერთად, ემსახურება არიდული ეკოსისტემის ბუნებრივ მდგომარეობაში შენარჩუნებასა და ტერიტორიაზე გავრცელებულ მცენარეთა და ცხოველთა იშვიათი სახეობების დაცვასა და აღდგენას.

მოსახლეობის 89% ქართველია, მცირე რაოდენობით ცხოვრობენ აზერბაიჯანლები, სომხები, რუსები, ბერძნები და სხვ. განსახლების ძირითადი ზონა ზ. დ. 500-800 მ-ის ფარგლებშია. 2002 წლის მონაცემებით მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვეა 12,2 კაცი 1 კმ²-ზე. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 74,9 % ცხოვრობს სოფლად.

მუნიციპალიტეტის როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის დარგები ორიენტირებულია ადგილობრივ მინერალურ და სასოფლო-სამეურნეო რესურსებზე. სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგებია: მეცხოველეობა, მარცვლეულისა და მზესუმზირის წარმოება, მევენახეობა. ნათესი ფართობის 50%-ზე მეტი უჭირავს მარცვლოვან და პარკოსან კულტურებს. მნიშვნელოვან ფართობზეა გაშენებული ვენახისა და ხეხილის ნარგავები, ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურები. მეცხოველეობაში წამყვანია მესაქონლეობა. განვითარებულია მეღორეობა, მეცხვარეობა, მეფრინველეობა.

მრეწველობის ძირითადი დარგია კვების მრეწველობა. დედოფლისწყაროში არის სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადასამუშავებელი, სამშენებლო და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები. მირზაანსა და პატარა შირაქში იღებენ ნავთობს, მოიპოვებენ კირქვას.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის თბილისი-კარწახი-დედოფლისწყაროს სარკინიგზო ხაზი. მუნიციპალიტეტი შედის საქართველოს საპატრიარქოს ჰერეთის ეპარქიაში.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში არის სკოლამდელი დაწესებულებები, საჯარო სკოლები, ბიბლიოთეკები, საკლუბო დაწესებულებები. დედოფლისწყაროში მოქმედებს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, სოფ. მირზაანში – ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწ. მუზეუმი. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება სამედიცინო დაწესებულებები.

ისტორიულ-ხუროთმოძღვრული ძეგლებიდან აღსანიშნავია: სოფ. ოზაანის მახლობლად მდგარი ამაღლების გუმბათოვანი ტაძარი (IX ს.), დედოფლისწყაროს მახლობლად – ხორნაბუჯის ციხე (ადრინდ. შუა საუკ.) და სხვ.



სოფ. სამრეკლო, წმ. ელიას სამლოცველო (II 092), საერთო ხედი აღმოდან

001. დედოფლისწყარო (1926-1991 წლებში – წითელწყარო). ქალაქი,დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ცენტრი. მდებარეობს ზღვის დონიდან 800 მ-ზე, თბილისიდან 124 კმ-ზე. თბილისი-დედოფლისწყაროს სარკინიგზო ხაზის ბოლო პუნქტი. ქალაქად გამოცხადდა 1963 წ. 2002 წლის მონაცემებით მოსახლეობა შეადგენდა 7,7 ათას მაცხოვრებელს. სახელწოდება „დედოფლისწყარო" უკავშირდება თამარ მეფის სახელს. ლეგენდის თანახმად, თამარის მოლაშქრეებმა აღმოაჩინეს სასმელი წყალი, რ-ითაც დღესაც სარგებლობს ქალაქის მოსახლეობა.

XIX ს. დამდეგიდან დედოფლისწყარო, ყარაღაჯთან ერთად, რუსეთის ჯარის კავალერიის დივიზიის შტაბ-ბინა – სამხ. სადგომი იყო. რუსებმა მას სახელწოდება შეუცვალეს და „ცარსკი კოლოდეცი" უწოდეს. აქ XIX ს-იდან მოიპოვებდნენ ნავთობს. გერმანელმა სწაელულმა, ბუნებისმეტყველმა ედუარდ აიხვალდმა ყურადღება მიაქცია მიწის ზედაპირზე (შირაქის ველის მიმდებარე გორაკები, მდ. ივრისა და მირზაანის ტბის ნაპირები) გამოჟონილ შავ ლაქებს. 1865 წ. კავკასიის ადგილობრივმა ხელისუფლებამ გერმანელი ძმების ვერნერ, ვალტერ და ოტო სიმენსების ფირმასთან – „სიმენსთან" თორმეტწლიანი კონცესია დადო შირაქის, ელდარისა და მირზაანის ნავთობის საბადოების დამუშავებაზე. დასკვნა მეფისნაცვლის არყოფნის გამო, მის შემცვლელთან – გენერალ-ადიუტანტთან გრიგოლ ორბელიანთან (ცნობილი ქართვ. რომანტიკოსი პოეტი) იყო შეთანხმებული. სიმენსებმა ნავთობის პირველი ჭაბურღილები უფრო ადრე დადგეს დედოფლისწყაროში (ცარსკი კოლოდეცში), ვიდრე ბაქოში და აქვე, პირველად რუსეთის იმპერიაში, ააგეს ნავთობგადამამუშავებელი ქ-ნა, სადაც ნავთობის ნარჩენებისგან ამზადებდნენ ასფალტსაც. დედოფლისწყაროს ნავთობის მარაგზე ყურადღებას ამახვილებდა დიდი ილია ჭავჭავაძეც.

დედოფლისწყაროში ზომიერად ნოტიო, სუბტროპიკული ჰავაა, იცის ზომიერად ცივი ზამთარი და ხანგრძლივი თბილი ზაფხული.

ქალაქში არის სოფ. მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი, სამშენებლო და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები, ჯანდაცვის, სკოლამდელი დაწესებულებები, საჯარო სკოლები, კულტურის დაწესებულებები: სახელოვნებო სკოლა, ცენტრალური ბიბლიოთეკა, სპორტის განვითარების ცენტრი, სპორტული კლუბი „ჩემპიონი", კულტურისა და დასვენების პარკი, ნ. ფიროსმანის სახელობის სკვერი, სადაც 1982 წ. დაიდგა მხატვრის ძეგლი (მოქანდ. კ. ბაკურაძე და გ. ქავჭაია, არქიტ. ვ. მჭედლიშვილი); მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, რიც დაარსდა 1975 წელს. იგი განთავსებულია XIX ს-ში აგებულ შენობაში. მუზეუმში დაცულია 12 000-მდე ექსპონატი. მ. შ.: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი არტეფაქტები: ეთნოგრაფიული მასალა; ქვევრები და ლითონის ჭურჭელი; ფოლკლორული ნაწარმოებები; პლაკატები; ჭედური ხელოვნების ნიმუშები; XX ს. ქართველ მხატვართა ფერწერული ნამუშევრები.

1985 წელს ქალაქის შემოსასვლელში აიგო სკულპტურული არქიტექტურული კომპოზიცია, რიც მიეძღვნა მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ხსოვნას (მოქანდ. გ. ქურდიანი, არქიტ. ა. ლომიძე). 1995 წელს გაიხსნა მემორიალი „ჯვარცმული საქართველო" – 1989 წ. 9 აპრილს საქართველოში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად (მოქანდ. ჯ. კილაძე, თ. კოკნაძე, არქიტ. ვ. მჭედლიშვილი).

2005 წელს ქალაქში აიგო ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარი.
ბიბლ.: 202ი.



001. ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარი, ხედი სამხრ.-დას.-დან

002. გოხების სამლოცველო, არქეოლ. ძ. მდებარეობს ქალაქის მახლობლად, ჩრდ.-ით, გოხების მთის თხემზე. თარიღდება ძვ. წ. I ათას-

წლეულის I ნახ-ით. 1976 წ. რუსთაველის მეტალურგიული კომბინატის მიერ მთის ჩრდ.-აღმ. ფერდობზე წარმოებული სამუშაოების დროს შემთხვევით აღმოჩნდა შუბისპირები და ბრინჯაოს ცხენებშებმული, მბრუნავი ბორბლების



002. საბრძოლო ეტლის მოდელი

მქონე, საბრძოლო ეტლის მოდელი (ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმში), რ-იც შირაქის მცირე ქალაქების თანადროულია. საბრძოლო ეტლის არსებობა უთუოდ გულისხმობს ამ დროის საზოგადოებაში შესაბამისი რეგულარული საჯარისო შენაერთების არსებობასაც. ძვლის გადარჩენითი სამუშაოების დროს გამოვლინდა წმინდა ნაცრით შევსებული მრგვალი ორმო, რ-შიც, გარდა საბრძოლო ეტლის ბრინჯაოს მოდელისა, აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, ბრინჯაოს სადამასრიანი შუბისპირი და ადამიანის თავის ქალა.

მოპოვებული არქეოლ. მასალა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

ქ. ქ. ფიცხელაური.

ბიბლ.: 190; 299; 346; 347.

003. ეკლესია არქიტ. ძ. დგას ქალაქის ცენტრში. თარიღდება XIX ს-ის II ნახევრით. ძლიერ დაზიანებულია (ჯერ კიდევ 1980-იან წლებში ეკლ. მნიშვნელოვანი დანაკარგების გარეშე იყო შემორჩენილი). თითქმის მთლიანადაა დანგრეული სამხრ. კედელი. დანარჩენი კედლებიდან მთელ სიმაღლეზე მხოლოდ დას. კედელი და დგას. გარკვეული დროის განმავლობაში შენობა გამოიყენებოდა სამრეწ. საჭიმლის საწყობად, რის გამოც მან დიდი ხახეცცვლილებები განიცადა.

ეკლ. (15,1×8,7 მ) უაფსიდოა, აღმ-ით დასრულებულია სწორი კედლით. ნაგებია მთლიანად აგურით. შიგნიდან შელესილი და შეთეთრებული ყოფილა. სამხრ.-აღმ. კუთხეში ტიხრით გამოყოფილია განცალკევებული სწორკუთხა სათავსი – შესასვლელით დას-იდან და სწორკუთხა სარკმლით აღმ-იდან. მსგავსი სათავსის კვალი ეკლესიის მოპირდაპირე, ჩრდ.-აღმ. კუთხეში არ ჩანს. ეკლესიის დას. და ჩრდ. კედლებში მოწყობილია ხის ალათიანი, სწორკუთხა შესასვლელი. დას. კარი შიგნიდან და გარედან მოქცეულია საფეხურით შედრმავებულ თაღოვან არეში. ჩრდ. შესასვლელი მოგვიანებით ამოუშენებიათ. მესამე შესასვლელი (შემორჩენილია კვალი) სამხრ. კედელში, ჩრდ. შესასვლელის მოპირდაპირედ იყო მოწყობილი. შიგნიდან, დას. კარის ორივე მხარეს, თითო განიერი და მაღალი თაღია (ჩრდ-ით მდებარე თაღის მნიშვნელოვანი ნაწილი განგრეულია), ზემოთ კი, ერთ ვერტიკალზე – ორი სარკმელი, რ-თაგანაც ქვედა თაღოვანია, ხოლო ზედა – წრიული. ჩრდ. შესასვლელის გვერდებზე თითო მოზრდილი ზომის, ოთხკუთხა სარკმელია (აღმ-ით მდებარე მოგვიანებით ამოუშენებიათ) – ხის ალათებით და რკინის





003. სამხრ. ფასადი. გეგმა

გისოსებით (ანალოგიური სარკმლები იყო მოწყობილი სამხრ. შესასვლელის ორივე მხარეს). მსგავსი სამი სარკმელია აღმ. კედელშიც, რ-თაგანაც შუა გვერდითებზე რამდენადმე განიერია. მათგან სამხრ-ით მდებარე, სამხრ.-აღმ. კუთხის სათავსს აშუქებდა.





003. დას. ფასადი. განიე ჭრილი, ხედი აღმ.-კენ

ეკლესიის ოთხივე კედელი სადა პილასტრებითაა დანაწევრებული. აღმ. და დას. კედლებზე ორ-ორი პილასტრია, სამხრ. და ჩრდ. კედლებზე კი – სამ-სამი. თითო პილასტრია გამოყვანილი კუთხეებშიც. პილასტრები, როგორც ჩანს დასრულებული იყო



003. დას. კედელი, ხედი სამხრ.-აღმ-იდან

ორსაფეხურიანი კაპიტელით (კაპიტელის ნაშთი შემორჩენილია დას. კუთხის ორივე პილასტრზე).

თითოეული პილასტრის შესაბამისად, იგივე სიგანის, ორსაფეხურიანი კაპიტელით დასრულებული პილასტრია გამოყვანილი გარეთა კედლებზეც.

დას. ფასადის ფრონტონზე, ქვედა სარკმლის ორივე მხარეს, გამოსახულია თითო შეღრმავებული ჯვარი. კედლები დასრულებული იყო საფეხუროვანი ლავგარდნით. შენობა გადახურული იყო თუნუქის ორქანობიანი სახურავით.

თ. დვალი.

004. ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს ქალაქის ჩრდ.-დას-ით, ორიოდ კმ-ზე, ე. წ. ორი ძმის მთის დას-ით, 300 მ-ზე. თარიღდება I ათასწლეულის ბოლო სს-ით. აღმოჩნდა 2009 წ. ილიას სახელმწ. უნ-ტის მიერ წარმოებული არქეოლ. დაზვერვების (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური) დროს. დაზიანებულია მიწის დამუშავების გამო.

აკრეფილი მასალა (ყვითლად გამომწვარი კერამ. ფრაგმენტები, რ-იც დიდ ფართობზე იყო გაბნეული) დაცულია ილიას სახელმწ. უნ-ტში.

გ. ვარაზაშვილი, კ. კ. ფიცხელაური.

005. ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს ქალაქის დას-ით, არწივის ხეობის მარცხ. მხარეს. თარიღდება ახ. წ. I ათასწლეულის I ნახევრით. აღმოჩნდა 2009 წ. ილიას სახელმწ. უნ-ტის მიერ წარმოებული არქეოლ. დაზვერვების დროს (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). ნამოსახლარის საერთო ფართობია – 2 ჰა. იგი ჩრდ.-დას-იდან დაცულია მაღალი კლდით. დას. მხრიდან, ვიწრო ზოლად, იწყება ჩადაბლება (ხელოვნური?).

აკრეფილი კერამ. მასალა დაცულია ილიას სახელმწ. უნ-ტში.

გ. ვარაზაშვილი, კ. კ. ფიცხელაური.

006. ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს ქალაქის ჩრდ-ით, არწივის ხეობასთან, მოვაკებულ, ტერასისებრ ადგილას. თარიღდება ძვ. წ. I ათასწლეულის ბოლო ს-ით. აღმოჩნდა 2009 წ. ილიას სახელმწ. უნ-ტის მიერ წარმოებულ არქეოლ. დაზვერვების დროს (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). ძ. სამი მხრიდან შემოსაზღვრულია კლდით. ჩრდ-იდან კი სათავდაცვოდ გამოყენებული აქვს კირქვის მასივი. ნამოსახლარი (სიგრძ. – 150 მ, სიგ. – 70 მ) დამხრობილია აღმ-იდან დას-ით.

აღმოჩენილი მასალა მწირია. დაცულია ილიას სახელმწ. უნ-ტში.

გ. ვარაზაშვილი, კ. კ. ფიცხელაური.

007. ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს ქალაქის სამხრ.-აღმ-ით, 8-10 კმ-ზე, გორაზე. თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულით – I ათასწლეულის დასაწყისით.

აღმოჩნდა 2009 წ. ილიას სახელმწ. უნ-ტის მიერ ჩატარებული არქეოლ. დაზვერვების დროს (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). ნამოსახლარი სამხრ.-აღმ-იდან ჩრდ.-დას-ითაა წაგრძელებული (სიგრ. – 200 მ, სიგ. – 120 მ). დას-იდან ესაზღვრება დახრამული ფლატე. ჩრდ.-დას-იდან და აღმ-იდან – ფერდობი. ჩრდ. და ჩრდ.-აღმ. მხარეს კი შემოუყვება 3-4, ზოგან 5 მ სიმაღლის სათავდაცვო ზღუდე. დადასტურდა ზღუდის გარე დასახლებაც. აიკრიფა კარგად გამომწვარი, მონაცრისფრო თიხის ჭურჭლის მცირე და ქვის რამდენიმე თოხის ფრაგმენტი.

მასალა დაცულია ილიას სახელმწ. უნ-ტში.

გ. ვარაზაშვილი, კ. კ. ფიცხელაური.

008. ჩამადაანთ გორის ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს ქალაქის დას-ით, დედოფლისწყაროს პლატოს ნაპირას, დედოფლისწყაროსა და სოფ. გამარჯვებას შორის, მაღალ კლდეზე. თარიღდება ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახ-ით. გასული საუკუნის 60-იან წლებში შეისწავლა ОАЭ ინ-ტის КАЭ-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). დაზიანებულია ქვის მოპოვების დროს. ძეგლზე აიკრიფა თიხის ჭურჭელი.

მოპოვებული არქეოლ. მასალა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

მ. კალანდაძე.

ბიბლ.: 184.

009. ხორნაბუჯი, [illegible] საუკუნეების ციხე-ქალაქი, ისტ.-არქიტ., არქეოლ. ძ. მდებარეობს დედოფლისწყაროს ჩრდ-ით 2-3 კმ-ზე, მდ. ალაზნის მარჯვ. ნაპირას, სოფ. ყარაღაჯის სამხრ-ით, მიუვალ, კლდოვან მთის წვერზე: „სადაცა დასწყდების პერეთის მთა ანუ ცივის მთა". ციხე-ქალაქი სტრატეგიულად მოხერხებულ ადგილზე იყო გაშენებული და ერთდროულად უწევდა კონტროლს იორისა და ალაზნის ველებს. ხორნაბუჯი ძველ ირანულად „მზის საყრდენს" ნიშნავს. არსებობს მოსაზრება, რომ ამ სახელში უძველესი ქართ. ტომის საცხოვრებელია ნაგულისხმები. ხალხი კი მას თამარის ციხეს უწოდებს.

წერილობით წყაროებში ციხე-ქალაქი პირველად იხსენიება V ს-ში, როცა აქ მეფე ვახტანგ გორგასალმა საეპისკოპოსო კათედრალი დააარსა. მეფემ ხორნაბუჯი, ჭერემთან და ნეკრესთან ერთად, სამფლისწულოდ მისცა თავის ძეს – დაჩი I უჯარმელს. ციხეს იხსენიებს შაჰ-აბასის მეისტორიე ისქანდერ მუნშიც: „ის დიდებული ციხე მდებარეობს ერთი მაღალი და მიუვალი მთის წვერზე... მისი სიმაღლე ისეთია, რომ კარის ზღურბლიდან იმ ადგილამდე, სადაც ციხის მცველები დგანან, 560 კიბის საფეხური უნდა აიაროს კაცმა... იმ ციხეს რომ, წვიმის წყლის ასავსები ამბრის გარდა, ერთი წყაროც ჰქონოდა, ვერც ერთი დიდი ხელმწიფე ვერ დაიპყრობდა".

V ს-ში ქალაქი მნიშვნელოვნად დაზიანდა სპარსთა შემოსევების შედეგად. VI ს-ის I ნახევარში, ქართლში მეფობის გაუქმების შემდეგ, ხორნაბუჯი სპარსელი მოხელის რეზიდენცია იყო. VI ს-ის 70-იან წლებში ქართლის პირველი ერისმთავრის გუარამ ბაგრატიონის ძმებმა ასამმა და ვარაზვარდმა მოკლეს სპარსთა სპასპეტი, დაიპყრეს კამბეჩოვანი, გახდნენ მისი მთავრები და ხორნაბუჯი თავის რეზიდენციად გამოაცხადეს. VII ს. II ნახევრიდან ხორნაბუჯში არაბები გაბატონ-

დნენ. VIII ს. II ნახევრიდან, ჰერეთის სამთავროს (შემდგომში ჰერეთის სამეფო) წარმოქმნის შემდეგ, ხორნაბუჯი მისი ერთ-ერთი საერისთავოს ცენტრი გახდა. X ს. დასაწყისში, კახეთისა და ჰერეთის გაერთიანების შემდეგ კახეთის სამეფო საერისთავოს – კამბეჩოვანის ცენტრია. მისი ერისთავები კი ხორნაბუჯელებად იწოდებოდნენ.



009. გეგმა. I – ზედა ციხე; II – ქვედა ციხე

XI ს-ის 40-იან წლებში ბაგრატ IV-მ კახეთის (კახეთ-ჰერეთის) წინააღმდეგ გაილაშქრა. სხვა ერისთავებთან ერთად მან ხორნაბუჯის ერისთავი [illegible] [illegible]-ნის ძეც შეიპყრო.

1068 წ. თურქ-სელჩუკთა სულთანმა ხორნაბუჯი, საქართველოს მთელ რიგ პუნქტებთან ერთად, განძის პატრონს ფადლონს გადასცა. გათამამებული ფადლონი საქართველოს მოსვენებას აღარ აძლევდა. თბილისის ხანახებში მოთარეშე ამირას ბაგრატ IV თავისი მხედრიონით დაედევნა. დამარცხებული ფადლონი ტყეში შეიპყრეს. მესხმა აზნაურმა ისაკ თოლობელის ძემ, იგი ბაგრატის ნაცვლად, სულთნის მოკავშირე კახეთის მეფეს აღსართან I-ს მიჰგვარა თელავში, რ-მაც ფადლონი სასწრაფოდ ხორნაბუჯში გადაიყვანა.

XII საუკუნეში ხორნაბუჯი ერთ-ერთი სანაპირო საერისთავოს ცენტრად იქცა. XII-XIII სს. აქ იყო ფეოდ. საგვარეულოს მახატლისძეთა (კოლონკელისძეთა) რეზიდენცია.



009. საერთო ხედი სამხრ-იდან

1193 წ. ხორნაბუჯის ერისთავმა სალირ მახატლისძემ, თავის სამ შვილთან ერთად, სასტიკად დაამარცხა გიორგი რუსი, რ-იც „კონსტანტინეპოლიდამ მოვიდა წელს მოსწყდა ორითა ძითა შურის-გებითა წმიდისა გიორგისითა“.

XIII ს-შივე ხორნაბუჯი ხვარაზმელებმა ააოხრეს. 1265 წ. იგი



009. ზედა ციხე. აღმ. ნაწილი, ხედი სამხრ-იდან

სპარსეთის ათაბაგისა თანა... მოარბია კამბეჩოვანის მინდორი და ალილო ნატყუენავი დიდი“... მახატლისძემ „სამითა ძითა თვისითა განწირა თავი, მიეწია მცირედითა სპითა, წარიქცივნა და მოსრნა მახვილითა, უკ-მოიხუნა ცოცხალნი ტყუენი და ნაალაფევნი; გარნა რუსი ივლტოდა ორითა მონითა საძაგელი“.

დავით ულუს მეფობისას კამბეჩოვანს კვლავ ხორნაბუჯელები განაგებენ. XIII ს-ის 40-50-იან წლებში ერისთავია ბერი ხორნაბუჯელი, დავით ულუს კარის ერთგული მოხელე. მესტუმრე ჯიქურმა გაგზავნა კახეთის მმართველ თორღვა პანკელთან, როდესაც იგი განუდგა მეფეს. ხორნაბუჯელმა „წინაშე ალაეერდის წმიდისა გიორგისა“ უგნებლობის ფიცი მისცა თორღვას და იგი მეფეს მიჰგვარა, მაგრამ ფიცი არ შეასრულა და თორღვა „გარდააგდეს კლდეკარსა ზედა“. ფიცის გატეხვისთვის არც ბერს დადგომია კარგი დღე – „ხორნაბუჯელი ერთს დაარბია მონღოლთა ლაშქარმა ბერქა-ყაენის სარდლობით. აყვავებული კამბეჩოვანი გაეერანდა. მოისპო ხორნაბუჯიც. ამის შემდეგ იგი ქალაქად აღარ იხსენიება. XV ს-ის ბოლოდან კამბეჩოვანი ქოხიად იწოდება, ხოლო ხორნაბუჯი – ჭოეთად.

XVII ს-ის დასაწყისში კახეთის მეფემ დავით I-მა მის წინააღმდეგ შეთქმული ძმა – გიორგი თორღას ციხეში გამოკეტა. შეთქმულების თვრამეტ მონაწილეთაგან კი ზოგს თავი მოჰკვეთეს, ზოგი ჭოეთის ციხიდან გადააგდეს.

ამავე ს-ის I მეოთხედში ხორნაბუჯში რეზიდენცია ჰქონდა სპარსეთის შაჰის აბას I-ის მიერ კახეთის ერთი ნაწილის გამგებლად დანიშნულ ფეიქარ ხანს. 1625 წ. გაზაფხულზე ციხე-ქალაქი სპარსელებისგან გიორგი საკაძემ გაათავისუფლა. აქვე მეფე თეიმურაზ I-ს დატყვევებული ჰყავდა მოწინააღმდეგე ჯავახიშვილთა ფეოდ. საგვარეულოს თავკაცები, რაც, თავის მხრივ, იმის მაჩვენებელია, რომ ციხესიმაგრე არაერთხელ იყო რესტავრირებული. XIII ს-ში ბერქა ყაენის მიერ დანგრეულ ნაგებობას ვერც ფეიქარ ხანი და ვერც თეიმურაზ მეფე ვერ გამოიყენებდა.

ხორნაბაჯის ციხესიმაგრე კუტავს ალაზნის ველიდან მაღლობ-



009. ზედა ციხე. აღმ. ნაწილი, ხედი სამხრ-იდან

ზე ამომავალ გზას, რ-იც უშუალოდ იმ მთის ძირს გასდევს, რზედაც ციხეა გაშენებული. გზა სიმაგრის ქვემოთ – კლდეკარში გადის, რ-იც ნაწილობრივ მაინც ხელოვნურად უნდა იყოს გაჭრილი. გზის ორივე მხარეს მაღალი კლდეები საგანგებო კედლებითაცაა გამაგრებული. კლდეკარის ერთ მხარეს კომპლექსის მთავარი ნაგებობა – ციტადელიანი „თავადციხეა", მეორე მხარეს კი – მკირე სათავდაცვო შენობების ნანგრევები. აქვეა ქვედა ციხე გალავნით – „სახიზნოთი". ძლიერ დანგრეულ ციტადელში სხვადასხვა ნაგებობის ნაშთებიცაა, მათ შორის კედლებშელესილი, გადახურული, მიწისქვეშა წყალსაცავის და, სავარაუდოდ, კარის ეკლესიის. კედლების წყობა აქ იმ პერიოდთან შედარებით გვიანდელია, როდესაც „ქალაქი კამბეჩოვანისა" პირველად იხსენიება წყაროებით წყაროებში.

ქვედა ციხე – „სახიზნო" მდებარეობს „თავადი ციხის" ჩრდით, შედარებით დაბალ ტერასაზე. იგი შექმნილია ორი ურთიერთპარალელური კედლისგან, რ-ებიც კეტავს კლდის ორ დიდ მასივს შორის არსებულ მცირე მინდორს. კარგად შემონახული კედლები მიმართულია სამხრ-იდან, თავადი ციხის კლდოვანი ფუნდამენტიდან, ჩრდ-ით. ქვების წყობა აქ თარაზულია, სავარაუდოდ, ვახტანგ გორგასლის დროინდელი. აქედან ჰქონია ციხეს მთავარი შესასვლელი კარი (სურმე), რ-საც ოთხკუთხა კოშკი იცავდა. ჩრდ. მხრიდან პარალელურ კედლებს შორის მოქცეული სივრცე გადაკეტილია ასევე მაღალი კლდის მასივით, რის თხემზეც სათვალთვალო კოშკის ნაშთია. კოშკი ალაზნის ველს გადაჰყურებს.

1970 წ. ხორნაბუჯში არქეოლ. გათხრები ჩაატარა ᲝᲐᲘ ინ-ტის ხორნაბუჯის არქეოლ. ექსპედიციამ (ხელმძღვ. რ. რამიშვილი). შიდაციხეში გათხრები ნატარდა ციტადელის ქვედა, შუა და ზედა ნაწილებში. ქვედა ეზოში გამოვლინდა შუა საუკუნეების კარიბჭისა და გალავნის ჩრდ-ალმ. ნაწილის ნაშთი, რ-იც მომდევნო ხანაში, ცენტრალური იარაღის შემოსვლასთან დაკავშირებით გადაუკეთებიათ – დაუტანებიათ სათოფურები და მებრძოლების დასადგომი საგანგებო საფეხურები. გათხრების შედეგად დადგინდა, რომ ციხე შედგებოდა მრავალი სათავსისა და ურთიერთდამაკავშირებელი ვიწრო და ცივაბო კიბეებისგან. შიდაციხის შუა და ზემო ნაწილში აღმოჩნდა ორი წყალსაცავი: კირქვის კლდოვან მასივში – ქვაბურსაცხოვრებელი და სხვა დანიშნულების სათავსები. არქეოლ. გათხრები ნატარდა აგრეთვე შიდაციხის დასით, ძვ. ქალაქის ტერიტორიაზე, სადაც მიწისქვეშა აკლდამების ჯგუფი გამოვლინდა. შიდაციხისა და ქალაქის ტერიტორიაზე გავლებულ საკონტროლო თხრილებში აღმოჩნდა მოჭიქული და მოუჭიქავი ჭურჭლის, ფაიანსის, ქვევრების, მოჭიქული და მოუჭიქავი კრამიტის ჭრაქებისა და სხვა ნივთების ნატეხები. გამოვლენილია როგორც ადრინდ., ისე განვით. შუა საუკუნეების რკინის ისრისპირები, ქვის ბირთვები (ცუმბარები), მონეტები და სხვა ნივთები, რ-ებიც ხორნაბუჯის ცხოვრების ყველაზე ინტენსიურ ხანას განეკუთვნება.

მოპოვებული არქეოლ. მასალა დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

გ. აფრასიძე, რ. რამიშვილი, ბ. ჯორბენაძე

ბიბლ.: 92; 142; 153; 172 ბ; 199 ა,ბ, გ; 243 ბ; 313; 314; 335.

არბოშიკი

(საკრებულოს ცენტრი)

010. ბოსტანაანთ კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფლის დასაწყისში, სასოფლო გზის მარჯვ. მხარეს, სამი ხეობის შესაყართან. კოშკი სათვალთვალო იყო და აკონტროლებდა სამივე ხეობას. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით. შენობა გეგმით კვადრატს მიახლოებული ოთხკუთხედია (8,3×7,6 მ) – შიგნიდან და გარედან კუთხეებმოგვალებული. ნაგებია რიყის ქვითა და აგურით კირის ხსნარზე დანგრეულია. შემორჩენილია მხოლოდ



010. ხედი სამხრ-იდან

პირველი სართული. შესასვლელი დას. კედლის სამხრ. კიდეშია. აღმ. კედლის შუაში თაღოვანი სარკმელია, მის ორივე მხარეს კი – ერთ დონეზე – თითო ცალმაგი სათოფური. დას. კედლის სამხრ. ნაწილში სათოფურით აღჭურვილი განიერი და ღრმა ნიშაა. სამხრ. კედელში შემორჩენილია დიობის ერთი (დას.) წირთხლი. სართული გადახურული იყო აგურის გუმბათოვანი კამარით (შემორჩენილია



010. ინტერიერი, I სართული, დებალი

ჭესლის წყობის მცირე ნაწილი), რ-ის რვაწახნაგოვან საფუძველს სართულის ოთხივე კუთხეში განლაგებული ტრომპები ქმნის. კოშკს მეორე სართულიც ჰქონია, რ-ზეც ასასვლელი კიბე აღმ.

კედლის სისქეში იყო მოწყობილი. კიბის უჯრედი გადახურული იყო აგურით გამოყვანილი კამარით (შემორჩენილია ნაწილი).

თ. ლეჟავა.

011. დამბადებლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, ტყიან ბორცვზე. თარიღდება XVIII ს-ით.

2007-08 წწ-ში შეკეთდა საქართვ. ისტ. ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდის მიერ. აღდგა კედლების ზედა ნაწილები, არსებული აგურის ლავგარდნის ნაშთების მიხედვით მოეწყო ახ. ლავგარდანი, შიგნით კედლები შეიღესა გაჯით, ეკლ. გადაიხურა ლა-



011. ხედი სამხრ-იდან

რისებრი კრამიტით.

ეკლ. დარბაზულია (5×4 მ). ნაგებია რიყის ქვით. კუთხეების ზედა ნაწილები (განახლებულია) ნაწყობია კვადრ. აგურით. შესასვლელი დას-იდანაა. კარი ბრტყელი თაღითაა გადახურული. აღმ-ით მოკლე მხრებით გამოყოფილი აფსიდია, რ-საც გეგმით თავგაბრტყელებული ნახევარწრის ფორმა აქვს. აფსიდში პატარა, შიგნიდან შეისრული, ხოლო გარედან ოთხკუთხა ფორმის სარკმელია გაჭრილი. იგი ინტერიერის განათების ერთადერთი წყაროა. კამარა ქვისაა, დაურდნობილია აფსიდის თაღსა და დას. კედლის მიმდებარე საბჯენ თაღზე.

ფასადები სადაა, მოკლებულია ყოველგვარ მორთულობას.

ზ. ჯინჭარაძე.

012. კოდისხევის სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს მინდორში, შავ გუბედ წოდებულ ადგილზე. მიეკუთვნება ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულს. გამოვლინდა კოდისხევის წყალსაცავის მშენებლობის დროს. დაზიანებული იყო ბულდოზერის მიერ. გაითხარა შვიდი ორმოსამარხი, რებშიც მიცვალებულები დაკრძალულები იყვნენ კიდურებმოხრილი მარჯვ. ან მარცხ. გვერდზე, თავით ჩრდ-ით. სამარხებში დადასტურდა თიხის ჭურჭელი (ჭილა, ქვაბ-ქოთანი, ჯამი და ა.შ), რთა ნაწილი შემკულია ტალღურად და კონცენტრულად ამოღარული ხაზებით; ბრინჯაოს მასიური სამაჯურები, ზამბარისებრი ბეჭედი, ნემსი; კაჟი; ობსიდიანისა და სარდიონის რომბისებრი, მრგვალი მძივები.

მოპოვებული არქეოლ. მასალა დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

ც. მურადე.

ბიბლ.: 141.

013. ღვთისმშობლის ნიშა, მდებარეობს სოფლის სასაფლაოზე. აგებულია 1980-იან წწ-ში, ადგილ. მოსახლეობის მიერ, დანგრეული ეკლესიის ადგილზე. საშენ მასალად გამოყენებულია ეკლესიისაგე ქვები.

ბ. კუპრეიშვილი.

014. წმ. კვირიკეს ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-დას-ით, სოფ. მორზაანისკენ მიმავალი გზის მარჯვ. მხარეს. განეკუთვნება XVIII ს.

ეკლ. დარბაზულია (12,4×6,6 მ). ნაგებია რიყის ქვითა და აგურით.

შესასვლელი ორია: სამხრ-ით და დას-ით. ორივე კარი გარედან არქიტრავითაა გადახურული, შიგნიდან – თაღოვანია. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-იც დარბაზისგან პროფილირებული კაპიტელებით დასრულებული პილასტრებითა და მათზე დაყრდნობილი ნახევარწრიული თაღითაა გამოყოფილი. აფსიდის ღერძზე გაჭრილია მაღალი, თაღოვანი სარკმელი, რ-ის ორივე მხარეს თაღოვანივე ნიშებია მოწყობილი – ერთი სამხრ-ით, ორი კი – ჩრდ-ით. მათგან ერთ-ერთის ზემოთ მცირე სამალაფია აფსიდის შუაში დგას ოთხწახნაგა ტრაპეზი. ნაკურთხევლის ბაქანი დარბაზის იატაკის მიმართ ოდნავ შემაღლებულია და შუაში ნახევარწრიული ამბიონი აქვს მოწყობილი.

დარბაზის გრძივი კედლები ორი წყვილი, ერთსაფეხურიანი პილასტრით სამ თანაბარ ნაწილად იყოფა. პილასტრებზე გადადის კამარის საბჯენი თაღები.

აფსიდის სარკმლის გარდა, შიდა სიერცეს სამხრ., დას. და ჩრდ. კედლებში გაჭრილი თითო თაღოვანი სარკმელი აშუქებს.

დას. ფასადზე, შესასვლელსა და სარკმელს შორის, დაბალი თაღოვანი ნიშაა. სარკმლის ზემოთ კი საფეხურიან საფუძველზე აღმართული ჯვარია გამოსახული. სარკმლის ორივე მხარეს გამოყვანილია ვერტიკალურად განლაგებული სამ-სამი რომბი.

ფასადები დასრულებულია აგურის ლავგარდნით. ეკლ. გადახურულია დარისებრი კრამიტით.

შენობის დას. კედელზე დგას აგურის სამრეკლო.

ბ. კუპრეიშვილი.

015. ხომხელის წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, სამხრ-ით, ბორცვზე. განახლებულია 2009 წელს, მამა გიორგი გუგულიშვილის თაოსნობით და საერთაშ. საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ ფინანსური მხარდაჭერით. ახ. ეკლესიის კედ-



015. ხედი დას-იდან

ლები დაშენებულია ადრე ამ ადგილას მდგარი დანგრეული ეკლესიის კედლებზე. შემორჩენი-

ლი იყო: დას. კედელი (სიგრ. – 4,7 მ, სიმ. 1,2 მ) – თაღოვანი შესასვლელით შუაში, სამხრ-ისა (სიგრ. – 6 მ, სიმ. 0,5-1,2 მ) და ჩრდ. (სიგრ. – 4 მ, სიმ. 0,5-1,2 მ) კედლები. შიგნით, დას. კუთხეებში და გრძივ კედლებზე შემორჩენილი იყო ორსაფეხურიანი პილასტრები. თავდაპირველი ეკლ. ნაგები ყოფილა რიყის ქვითა და კვადრ. აგურით.

ამჟამინდელი ეკლესიის კედლები ძირითადად რიყის ქვისაა. გარეთა კუთხეები, კარ-სარკმელთა ღიობები და ლავგარდანი აგურითაა გამოყვანილი. ეკლ. შიგნით გაჯითაა შელესილი, ხოლო გარედან მობათქაშებულია. ეკლესიის ოთხივე კედელში თითო მცირე ზომის, ზემოთკენ შევიწროებული, თაღოვანი სარკმელია მოწყობილი. სახურავის კეხის დას. კიდეზე დადგმულია აგურის ოთხწახნაგა ს ა მ რ ე კ ლ ო. ეკლ. გადახურულია ღარისებრი კრამიტით დაბურული ორკალთა სახურავით.

ზ. ჯინჭარაძე.

არხილოსკალო
(საკრებულოს ცენტრი)

016. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლიდან 5 კმ-ზე, მდ. ალაზნის მარჯვ. ნაპირას, პატარა ყურედ წოდებულ ადგილზე. განეკუთვნება ძვ. წ. I და ახ. წ. I სს.

ძ. 1937 წ. შეისწავლა გ. ნიორაძემ. სამაროვანი დაზიანებული იყო სარწყავი არხის მშენებლობის გამო.

სამაროვანზე აღმოჩნდა ინდივიდუალური ორმოსამარხები (სიღრმე 0,7-1,5 მ) გამოვლინდა ქვევრის გვერდით ანატკეცზე დაკრძალული ბავშვის ჩონჩხიც. ორმოსამარხებში მიცვალებულები ესვენა კიდურებმოკეცილი, იშვიათად, გაშოტილი. ჩატანებული ჰქონდათ თიხის ჭურჭელი, სხვადასხვა სახის სამკაული და იარაღიც. თიხის ჭურჭელი ღია მოწითალო და მუქი მოშავოა. ორივე ფერის ჭურჭელი ერთად ყოფილა ხმარებაში. ჭურჭლის უმთავრესი სახეებია: თუნგულები, ხელადები, მათარები, თასები, ჩაფები, ბარძიმები, თეფშები და სხვ. განსაკუთრებული მოხდენილობით გამოირჩევა გრძელნისკარტიანი, საწურიანი ცალყურა და სამყურას ფოთლისებრი პირის მქონე ტანდაბალი, გვერდზე ყურმიძერწილი ხელადები, დაბალი, ორყურა თასები, სამფეხა თეფში, ტანდაბალი ჭინჭილა მუცელზე მოკლე და წვრილი მილით და სხვ. სამკაულთა შორისაა მინის, პასტის, გიშრის, ბრინჯაოს, სარდიონისა და ტოპაზის მძივები; ბრინჯაოს სამაჯურები, რ-თაც ერთიმეორეზე გადასული თავები აქვს. აღმოჩნდა აგრეთვე მოღუნული და გრძელი დანები, რკინის სასხლავი და ა. შ.

სამაროვანზე წარმოებული გათხრებით საფუძველი ჩაეყარა ალაზნის ველის კულტურის (ტერმინი ეკუთვნის გ. ნიორაძეს) შესწავლას. არქეოლ. კვლევამ ცხადყო, რომ ალაზნის ველისა და იალოილუთეფეს კულტურები (ძვ. წ. I ათასწლ. დასასრული და ახ. წ. I ს), რ-იც გავრცელებული იყო თანამედროვე აზერბაიჯანის ჩრდ.-დას. და საქართველოს აღმ. ნაწილში, მდ-ების ალაზნისა და იორის შუა და ქვემო წელზე, ერთი მთლიანი მოვლენაა და დამახასიათებელია ცენტრ. და აღმ. ამიერკავკასიისათვის.

ლ. მოწონელიძე.

ბიბლ.: 154; 167; 168.

017. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით, ე. წ. სასანთლიანთ გორის ნამოსახლარის სამხრ-ით, 0,3 კმ-ზე. მოპოვებული არქეოლ. მასალის მიხედვით თარიღდება ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევრით. ორმოსამარხები ძლიერ დაუზიანებიათ მიწის სამუშაოების დროს. ძ. 1986 წ. შეისწავლა ИАЭ ინ-ტის აკც-ის კაე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური).

რ. კვიტაშვილი.

018. სასანთლიანთ გორის ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით, იორის პლატოს ჩრდ. კიდეზე, თხემისწორებულ, ბუნებრივ ბორცვზე, რ-საც სათავდაცვო თხრილი შემოუყვება.

ნამოსახლარი 1986 წ. შეისწავლა აკც-ის კაე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). ძეგლზე აღმოჩენილი არქეოლ. მასალა (თიხის ჭურჭლის ნატეხები) თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულით და ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით.

მოპოვებული არქეოლ. მასალა დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

მ. ჯინჯიხაშვილი.

ბიბლ.: 184.

გამარჯვება
(საკრებულოს ცენტრი)

019. ნამოსახლარები, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის დას-ით 4-5 კმ-ზე, თელეთხევის მარცხ. ნაპირას, მაღალ სერზე. თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრით და ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით.

2009 წ. მიაკვლია ილიას სახელმწ. უნ-ტის სადაზვერვო არქეოლ. რაზმმა (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). ნამოსახლარი აღმ-დას. მიმართულებითაა წაგრძელებული (სიგრ. – 70 მ, სიგ. – 15 მ); ირგვლივ შემოუყვება ტერასა (მაქს. სიგ. – 30 მ-ია), რ-იც რელიეფშია გამოკვეთილი. არქეოლ. მასალა არ აღმოჩენილა.

იმავე წელს, ხევის მარჯვ. მხარეს, გამოვლინდა მეორე ნამოსახლარი, რ-ის ჩრდ. და სამხრ. მხარეს ჩანს ორმაგი სათავდაცვო ზღუდე. არქეოლ. მასალა არც აქ აღმოჩენილა.

ვ. ვარაზაშვილი.

020. ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის განაპირას, ჩრდ-ით, მდ. უზუნდარისხევის მარცხ. ნაპირას, ველზე თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულით. 2010 წლის დაზვერვებისას მიაკვლია ილიას სახელმწ. უნ-ტის არქეოლ. რაზმმა (ხელმძღვ. ვ. ვარაზაშვილი). ძეგლს ჩრდ.-აღმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ით სუსტად გამოხატული ტერასა აქვს. ფართობი ყოველწლიურად მუშავდება.

ვ. ვარაზაშვილი.

021. ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის შესასვლელში, აღმ-ით, მდ. უზუნდარის-ხევის მარჯვ. ნაპირას. თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევრით. XX ს-ის 80-იანი წლების დასაწყისში მიაკვლია აკმე-ის კაპ-ის სადაზვერვო რაზმმა (ხელმძღვ. ვ. ვარაზაშვილი). ძ. დაზიანებულია გზის გაყვანის დროს. ჭრილში ჩანს 0,50 *მ* სისქის კულტ. ფენა.

ვ. ვარაზაშვილი.

022. ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის დას-ით, 4 კმ-ზე, მდ. კოდისწყლის მარჯვ. ნაპირას. თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულით. 2009 წლის დაზვერვებისას აღმოაჩინა ილიას სახელმწ. უნ-ტის არქეოლ. რაზმმა (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). ძეგლის მეოთხედი განადგურებულია XX ს-ის 70-იან წლებში ხევზე წყალსაცავის მშენებლობის გამო. ნამოსახლარი მოგრძოა (სიგრ. – 120 *მ*, სიგ. – 40 *მ*). ჩრდ-ით და სამხრ-ით ჩანს სათავდაცვო თხრილი.

ვ. ვარაზაშვილი.

023. ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის დას-ით, 2 კმ-ზე სახატისხევის მარჯვ. მხარეს, განმხოლოებულ გორაზე. თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულით. 2009 წლის დაზვერვებისას მიაკვლია ილიას სახელმწ. უნ-ტის არქეოლ. რაზმმა (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). ნამოსახლარზე აღმოჩნდა სათავდაცვო ხლუდ. რიც განსაკუთრებით კარგად შეიმჩნევა აღმ. ფერდობზე.

ვ. ვარაზაშვილი.

024. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფელში, გოგოჭურების სამოსახლოზე. თარიღდება რკინის ხანით. სამაროვანზე დადასტურებული ორმოსამარხები გამოჩნდა საცხოვრ. სახლის საძირკვლის გაჭრის დროს. ორმოს თავზე შეინიშნებოდა ქვაყრილები. გამოვლინდა ბრინჯაოს სამაჯურები, ბეჭდები, ხვიები, ჯაჭვი; ნიჟარის მძივები; კერამ. დოქები, ჭინჭილები, ბადიები და ქოთნები.

მოპოვებული არქეოლ. მასალა დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

ნ. გოძაშვილი.

025. წმ. გიორგის ეკლესია, ზემო ურდოს ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, 1,5 კმ-ზე, ბორცვზე. თარიღდება განვით. შუა საუკუნეებით. ადგილ. მოსახლეობის რწმენით ეკლესიას ზღმურდლისგან განკურნების ძალა შესწევდა.

ეკლ. დარბაზულია (7,5×5,2 *მ*). ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით კირის ხსნარზე. გარეთა კუთხეებში გამოყენებულია აგური. ინტერიერი შელესილია.

შესასვლელი სამხრ-იდან და დას-იდანაა, ორივე კარი გარედან თაღოვანია, შიგნიდან – სწორკუთხა. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის ღერძზე გაჭრილია ვიწრო, ნახევარწრიული თაღით



025. ხედი სამხრ-იდან

გადახურული სარკმელი. სარკმლის ქვემოთ, კედელზე, მიდგმულია რიყის ქვით ნაგები ტრაპეზი. აფსიდის იატაკის დონე, დარბაზის იატაკის მიმართ, სამი საფეხურითაა ამაღლებული. საკურთხეველი დარბაზისგან გამოყნული ყოფილა კანკელით (შემორჩენილია ნაწილი). საკურთხევლის გარდა, თითო სარკმელი სამხრ. და დას. კედლებშიცაა. დას. სარკმელი იმდენად მაღლაა „ატანილი“, რომ მისი გადახურვა კამარის წეროს დონეზეა.

ეკლესიის შიდა სივრცე აზიდული პრიზმორციებისაგან დარბაზი გადახურულია ნახევარწრიული კამარით.

ეკლესიის კედლები თაროსებრი ლაგვარდნით იყო დასრულებული (მცირე ნაწილი შემორჩენილია აღმ. ფასადზე).

ბ. კუპრეიშვილი.

დიდი შირაქის ველი

026. კასრისწყლის გორასამარხები, არქეოლ. ძ. მდებარეობს დიდი შირაქის ველზე, დედოფლისწყაროდან სამხრ-აღმ-ით, 35 კმ-ზე. თარიღდება ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის შუახანებით. 1988-1989 წწ. შეისწავლა აკმე-ის კაპ-ის შირაქის არქეოლ. ექსპედიციამ (ხელმძღვ. ბ. მაისურაძე). გაითხარა სამი (№ 1, 2, 3) გორასამარხი (სამიეე გაძარცული იყო). ქვამოწაყრილიანი № 2 გორასამარხზე (დიამ. აღმ.-დას. ხაზზე – 24 *მ*, ჩრდ.-სამხრ-ისაზე – 19 *მ*, სიმ. – 1,2 *მ*), მიწის პირიდან 1,2 *მ* სიღრმეზე, გამოვლინდა ორი დასაკრძალავი ორმო. მათგან პირველი (2,5×3,7 *მ*) გორასამარხის აღმ-ითაა, ჩრდ-იდან სამხრ-ით დამხრობილი და მოზრდილი ქვების წრიული წყობით გარშემოვლებული. იატაკი აღმოჩნდა განამარხებული ჰუმუსიდან 2,25 *მ* სიღრმეზე. ორმოს დას-ით – 3,6 *მ*-ზე გამოვლინდა მეორე დასაკრძალავი ორმო, რ-იც დას-იდან აღმ-ით იყო დამხრობილი. ორმოს ჩრდ. კედელს კარგად ეტყობოდა მძარცველის მიერ გაკეთებული თხრილი (სიგ. 2,1 *მ*), რ-იც იატაკამდე ჩადიოდა. ორმოს დას. ნაწილში აღმოჩნდა თიხის მოზრდილი, ერთმანეთში არეული ჭურჭლის ფრაგმენტები და მიცვალებულის ქვედა კიდურების ძვლის ფრაგმენტები.

მოპოვებული მასალა ინახება ქ. დედოფლისწყაროს მხარეთმც. მუზეუმში.

რ. რუხაძვილი.

ბიბლ.: 121; 278.

027. ნაზარლების ნამოსახლარები და სამაროვანი, არქეოლ. ძ.

მდებარეობს დიდი შირაქის ველის სამხრ. განაპირას, ნაზარლების



027. სამაროვანი, განათხარი ფართობის ცენტრ. ნაწილში გამოვლენილი კრომლეხი

მთიანეთის აღმ. მონაკვეთის სამხრ. კალთის ძირში. თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევრით



027. სამაროვანი, განათხარი ფართობის ცენტრ. ნაწილში გამოვლენილი კრომლეხი

და ძვ. წ. – I ათასწლეულის საწყისი საუკუნეებით. ძ. აღმოჩენილია 2009 წ. ილიას სახელმწ. უნ-ტის

არქეოლ. ექსპედიციის მიერ წარმოებული დაზვერვების დროს (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). ერთ-ერთი ნამოსახლარი გამოვლინდა თავმრგვალი გორის თხემზე. წრიულ ციტადელს (დიამ. – 80 მ) გარშემოუყვება ორმაგი სათავდაცვო ზღუდე (ტერასა). მეორე ტერასის სიგ. – 10-იდან 30 მ-მდეა. სიმ. – 2-3 მ. ორივე ზღუდეზე, ჩრდ.-აღმ-ით ჩანს კარიბჭე. მეორე

კარიბჭესთან აღმოჩნდა 4-5 მ-ის სიგანის შესასვლელი, რ-ის ორივე მხარეს გაიწმინდა რიყის ქვის მშრალი წყობით ნაშენი, ოთხკუთხა კოშკის [illegible] შესასვლელი [illegible] სათავდაცვო ზღუდის ჩრდ.-დას. მონაკვეთშიც. ციტადელის ჩრდ. და ჩრდ.-აღმ-ით ფერდობს ესაზღვრება ქვედა ქალაქი (სიგრ. – 400 მ, სიგ. – 300 მ), რ-იც ნამოსახლარის მსგავსი სათავდაცვო ზღუდით ყოფილა გამაგრებული. ზღუდის ნაშთები განსაკუთრებით კარგად შეიმჩნევა ქალაქის დას. ნაწილში, სადაც კიდევ ერთი შესასვლელი ფიქსირდება. ამ დასახლებიდან სამხრ.-დას-ით, დაახლოებით 2 კმ-ზე, მეორე ნამოსახლარია, რ-ის ზედა კულტ. ფენა ტრაქ-



027. სამაროვანი, თიხის ჭურჭელი. ძვ. წ. XIII ს.

ტორითაა მოსწორებული და ზედ სხვადასხვა დანიშნულების სათავსებია აშენებული. შემორჩენილია სათავდაცვო ზღუდის ნაწილი (აღმ., ჩრდ. და სამხრ. მხარეს) და ოვალური ფორმის ქვედა ქალაქი (სიგრ. – 270 მ, სიგ. – ზოგ ადგილას – 200 მ).

სათავდაცვო ზღუდიანი დანარჩენი ორი ოვალური ნამოსახლარი (ერთის სიგრ. – 120 მ, სიგ. – 80 მ, მეორეს – სიგრ. – 150 მ, სიგ. – 80 მ), უფრო აღმ-ით, თითო კმ-ის დაცილებითაა განლაგებული.

ოვალურია აგრეთვე ნაზარლების სერის უკიდურეს დას. ნაწილში აღმოჩენილი ნამოსახლა-

რი (სიგრ. – 100 მ, სიგ. 70 მ), რ-საც დას. მხრიდან დამრეცი ფერდობი აქვს. აღმ., ჩრდ. და სამხრ. მხრიდან კი 4-5 მ სიმაღლის ხელოვნური ზღუდე, რ-ის ცენტრში



027. სამაროვანი, თიხის ჭურჭელი, ძვ.წ. XIII ს.

შეინიშნება ორი შემაღლება. ასეთივე შემაღლება სამხრ.-დას. ნაწილშიცაა.

ნაზარლების მთიანეთის სამხრ. კალთაზე გამოვლენილი ნამოსახლარი ელიფსურია, დაგრძელებულია სამხრ.-აღმ-იდან ჩრდ. დას-ით (ციტადელის სიგრ. – 50 მ, სიგ. – 35 მ). ნამოსახლარს სამხრ-



027. სამაროვანი, თიხის ჭურჭელი, ძვ.წ. XIII ს.

ით და სამხრ.-დას-ით ღრმა ხეობები აკრავს. დანარჩენ მხარეს ციტადელს შემოსდევს გარე, დიდი დასახლება და სათავდაცვო ზღუდე.

ნამოსახლარებიდან 0,2 კმ-ზე, ჩრდ-ით, ველზე, განფენილია თავისებური აგებულების მქონე სამაროვანი, რ-იც გამორჩეულია ძვ. წ. I ათასწლეულის ყველა სამაროვნიდან კავკასიაში. თავდაპირველად უშუალოდ ველის ზედაპირზე გაუმართავთ შუა ბრინჯაოს ხანის მცირემიწაყრილიანი, ორმოიანი სამარხი, რ-იც ქვის ჯავშნით იყო დაფარული. უკვე ძვ. წ. XIII ს-იდან აქ მასიურად იმართება მცირე გორასამარხული და მათ ყრილში ჩაშვებული სამარხები. ერთ-ერთ მათგანში მიცვალებულის ჩონჩხი (დაკრძალულია მარჯვ. გვერდზე, კიდურებმოხრილი, თავით ჩრდ-ით) და მის ირგვლივ მდებარე ინვენტარი ხის სარეცელზე უნდა ყოფილიყო განლაგებული. ზოგიერთი სამარხი კირნა-



027. სამაროვანი, ბრინჯაოს გვერგვი, ძვ.წ. XIII ს.

რევი ქვის ზეინულისა და კირხსნარით გადალესილი ფენის ქვეშაა განთავსებული.

სამარხები გაძარცულია. დაცვის მიზნით ისინი ადგილ. მოსახლეობას მიწის დიდი, საერთო ზვინულით დაუფარავს. ამან სამაროვნის ტერიტორიაზე რამდენიმე მოზრდილი ბორცვი შექმნა. ტერიტორიამ კი წმინდა ადგილის მნიშვნელობა შეიძინა. აქ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ნაზარლების დასახლების მკვიდრთ მიჰქონდათ წინაპრების მოსახსენიებელი შესაწირავი.

სამაროვანზე მოძიებულია სამ ასეულამდე თიხის ჭურჭელი. შესაწირავ ინვენტარში დადასტურებულია ადამიანის მოკვეთილი ხელის სხივის ძვალი და მტევანი, ბრინჯაოს სამაჯურები, ბეჭდები; კაჟური ტიპის, შედგენილტარიანი სატევარი, ნალისებრი გულსაკიდი ძეწკვით, ნემსები; ზარდითნის მძივები; წვრილფეხა საქონლის ძვლები და ა.შ.

შენაწირ კომპლექსებში ყველაზე გვიანდელია ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისის არტეფაქტები. სავარაუდოდ, ამ დროიდან წყდება ნაზარლების სამოსახლოს არსებობაც.

აკრეფილი მასალა ინახება ილიას სახელმწ. უნ-ტში.

ვ. ვარაზაშვილი, კ. კ. ფიცხელაური.

ბიბლ.: 14; 24; 192.

028. ნამოსახლარები, არქეოლ. ძ. მდებარეობს დედოფლისწყარო-ზემო ქედის საავტ. გზის მარცხ. მხარეს. ორი მათგანი თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლო – I ათასწლეულის დასაწყისით. მესამე ნამოსახლარი, რ-იც გზიდან 100-იოდე მ-შია, ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე ნახევრით. აღმოჩნდა 2009 წ. ილიას სახელმწ. უნ-ტის მიერ წარმოებული არქეოლ. დაზვერვების დროს (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). პირველი ჯგუფის ნამოსახლართაგან ერთი ციტადელი (სიგრ. – 200 მ, სიგ. – 100 მ) ელიფსურია, დაგრძელებულია აღმ-იდან დას-ით, მეორე ნამოსახლარის ციტადელი კი – წრიული (დიამ. – 80-90 მ). ნამოსახლარებზე გადადის მინდორში მიმავალი ერთ-ერთი გზა და იქ, სადაც სათავდაცვო ზღუდეს გადაკვეთს, კარგად ჩანს რიყის ქვის კედლის ფრაგმენტები. ძეგლებზე ზედაპირულად აიკრიფა თიხის ჭურჭლის რამდენიმე ფრაგმენტი. მესამე ნამოსახლარის (დიამ. – 200 მ) ზედაპირი დაზიანებულია მიწის სამუშაოების გამო. აკრეფილ მასალაში ჭარბობს ყვითელი, კარგად გამომწვარი კერამ. მასალა.

ნამოსახლარებზე აკრეფილი კერამ. მასალა ინახება ილიას სახელმწ. უნტ-ში.

ვ. ვარაზაშვილი, კ. კ. ფიცხელაური.

029. ნამოსახლარები, არქეოლ. ძ. მდებარეობს დედოფლისწყარო-ზემო ქედის საავტ. გზის მარცხ.

მხარეს, სერზე. თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულით და I ათასწლეულის დასაწყისით. აღმოჩნდა 2009 წ. ილიას სახელმწ. უნ-ტის მიერ წარმოებული არქეოლ. დაზვერვების დროს (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). ორი მცირე ნამოსახლარიდან ერთი მცირეა და ვიწრო, მეორე – შედარებით მოზრდილი, თითქმის წრიული (ციტადელის დიამ. – 45 მ). ძეგლს დას-ით, ფერდობზე, ოდნავ გამოხატული ტერასა შემოუყვება. სამი მხრიდან კი ღრმა ხეობებითაა შემოსაზღვრული.

აქვე კიდევ ორი ნამოსახლარია. მათგან ერთს (ციტადელის სიგრ. – 300-მდე, სიგ. – 200 მ) დას-ით ღრმა ხეობა ესაზღვრება. ნამოსახლარის ზედაპირი მოვაკებულია, დაფარულია ჯაგნარით, რამაც ხელი შეუშალა მასალის აკრეფას. მეორე ნამოსახლარზე (სიგრ. – 250 მ, სიგ. – 100 მ) ნანს მრავალი ჩაღრმავება და რიყის ქვის გროვა, რ-იც კედლის შთაბეჭდილებას ტოვებს. ძეგლზე აიკრიფა ნაცრისფრად გამომწვარი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.

აკრეფილი კერამ. მასალა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

ვ. ვარაზაშვილი, კ. კ. ფიცხელაური.

030. ნამოსახლარები, არქეოლ. ძ. მდებარეობს დიდი შირაქის ველის შუა ნაწილში. ორივე გაშლილ ველზეა, დედოფლისწყარო-ზემო ქედის საავტ. გზის მარცხ. მხარეს. ერთ-ერთი მათგანი განსაკუთრებით დიდი ზომისაა. ოთხკუთხა ციტადელით (400×300 მ). ძეგლის მცირე ნაწილი გადადის გზის მარჯვ. მხარესაც. თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევრით და I ათასწლეულის დასაწყისით. მიკვლეულია 2009 წ. ილიას სახელმწ. უნ-ტის მიერ წარმოებული არქეოლ. დაზვერვების დროს (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური).

მეორე ნამოსახლარი ოვალურია, აღმ.-დას-ით დამხრობილი (ციტადელის სიგრ. – 200 მ-მდე, სიგ. – 150 მ, სიმ. – ველის დონიდან აღმ. და დას. მონაკვეთში – 10-12 მ). დაზიანებულია ზედაპირის ინტენსიური დამუშავების გამო. ძეგლს გარშემოუყვება სათავდაცვო ზღუდე და თხრილი. სავარაუდოდ, ადრინდ. ეტაპზე დასახლება გაშლილი იყო, ხოლო მოგვიანებით (ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევარში), სათავდაცვო ზღუდის შემოვლების შემდეგ, აქ მოსახლეობის კონცენტრაცია მომხდარა. ძეგლის ჩრდ.-დას-ით, 200 მ დაშორებით, სისტემატური ხვნის შედეგად გადასწორებული ბორცვია. მასზე გამოვლენილი კარგად გამომწვარი, ნაცრისფერი კერამ. მასალა და ობსიდიანის უსახო ანატკეცები აქ სამაროვნის არსებობას ადასტურებს. სამაროვანი ნამოსახლარის ერთ-ერთი კულტ. ფენის შესატყვისი უნდა იყოს. პირველი ნამოსახლარის ჩრდ.-აღმ-ით, დაახლ. 100 მ-ში, შეინიშნება გორასამარხის ტიპის მცირე შემაღლებები, რაც, სავარაუდოდ, სამარხებს უნდა წარმოადგენდეს (მათი დიამ. 10-დან 30 მ-მდეა).

ნამოსახლარზე აკრეფილი მასალა დაცულია ილიას სახელმწ. უნ-ტში.

ვ. ვარაზაშვილი, კ. კ. ფიცხელაური.

031. ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს დედოფლისწყარო-ზემო ქედის საავტ. გზის მარჯვ. მხარეს, ერთ-ერთ თავმომრგვალებულ ბორცვზე. თარიღდება ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევრით. აღმოჩნდა 2009 წ. ილიას სახელმწ. უნ-ტის მიერ წარმოებული არქეოლ. დაზვერვების დროს (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). ნამოსახლარის ციტადელი ოვალურია, მიმართულია აღმ-იდან დას-ით. შემოსდევს სათავდაცვო ზღუდე აღმ. ფერდობზე ნანს ზღუდის გარე დასახლება (ციტადელის სიგრ. – 100 მ, სიგ. – 75 მ).

ნამოსახლარზე აკრეფილი კერამ. მასალა დაცულია ილიას სახელმწ. უნ-ტში.

ვ. ვარაზაშვილი, კ. კ. ფიცხელაური.

032. ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს დიდი შირაქის ველის ჩრდ.-დას-ით. თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლო – I ათასწლეულის დასაწყისით. ნამოსახლარი წრიულია (დიამ. 200 მ, სიმ. – ზოგან – 3-4 მ). აღმოჩნდა 2009 წ. ილიას სახელმწ. უნ-ტის წარმოებული არქეოლ. დაზვერვების დროს (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). ძეგლს შემოვლებული აქვს სათავდაცვო ზღუდე, სავარაუდოდ, თხრილიც. დაზიანებულია ხვნის შედეგად. ნამოსახლარის ჩრდ.-აღმ-ით, 400 მ-ზე, ერთმანეთთან ახლოს განლაგებული სხვადასხვა დიამეტრის (10-იდან 40 მ-მდე) და სიმაღლის (1-2 მ) რამდენიმე ბორცვია (სავარაუდოდ, სამარხები).

ნამოსახლარზე აკრეფილი კერამ. მასალა დაცულია ილიას სახელმწ. უნ-ტში.

ვ. ვარაზაშვილი, კ. კ. ფიცხელაური.

033. ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს დიდი შირაქის ველზე. სამხ. აეროდრომის დას-ით, 0,5 კმ-ის დაშორებით, სოფ. არხილოსკალოს სამხრ-ით, ბორცვზე. თარიღდება ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებით. ბორცვი წრიულია (დიამ. – 200 მ, სიმ. – 5-6 მ). აღმოჩნდა 2009 წ. ილიას სახელმწ. უნ-ტის მიერ წარმოებული არქეოლ. დაზვერვების დროს (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). ნამოსახლარს შემოსდევს სათავდაცვო ზღუდე და თხრილი. ზედაპირულად აკრეფილი კერამიკა მონაცრისფროა ან ლეგა. კეცი მკვრივია, კარგად გამომწვარი. დადასტურდა რიყის ქვის სანაყები, თიხები, ხელსაფქვავის ფრაგმენტები.

ნამოსახლარზე აკრეფილი მასალა დაცულია ილიას სახელმწ. უნ-ტში.

ვ. ვარაზაშვილი, კ. კ. ფიცხელაური.

034. რკინის საწნოები სახელოსნოები, არქეოლ. ძ. მდებარეობს ნაზარლების მთიანეთის სამხრ. ნაწილში, მშრალი ხეობის სათავეში. სავარაუდოდ, თარიღდება ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებით. მიკვლეულია ილიას სახელმწ. უნ-ტის არქეოლ. ექსპედიციის მიერ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური) 2009 წ. არქეოლ. დაზვერ-

ების დროს. სამხრ-ით მდებარე სახელოსნო ველზე იყო გამართული (ფართ. 50×50 მ). დაზიანებულია აქ საქონლის სადგომების მოწყობის დროს. ძეგლზე დასტურდება წიდების გროვა. ჩანს სხვა ჩავარდნილი ადგილებიც, რიც, სავარაუდოდ, სახელოსნოს უნდა ეკუთვნოდეს. მეორე სახელოსნო სწორ მოედანზეა (დიამ. 30 მ) გამართული. ზედაპირზე კარგად ჩანს წიდის რამდენიმე გროვა.

გ. ვარაზაშვილი, კ. კ. ფიცხელაური.

035. ჟალადარის (კადირდაღი) **ნამოსახლარები,** არქეოლ. ძ. მდებარეობს დიდი შირაქის ველის სამხრ. განაპირას, ჟალადარის მთაზე. აღმოჩნდა 2009 წ. ილიას სახელმწ. უნ-ტის მიერ წარმოებული არქეოლ. დაზვერვების დროს (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). ნამოსახლარებს შორის მანძილი საშუალოდ 1-1,5 კმ-ია. ხუთი ნამოსახლარიდან სამი მათგანი ოვალურია (სიგრ. – 120 მ-დან 240 მ-მდე, სიგ. – 45 მ-დან 100 მ-მდე). თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლო I ათასწლეულის დასაწყისით. ნამოსახლარები თავმოსწორებულ გორებზეა გამართული. ზოგ მათგანზე ჩანს სათავსის კვალი.

მეოთხე, წრიული ფორმის ნამოსახლარი მცირე ზომისაა (დიამ. – 20 მ), სამი მხრიდან ფერდობებითაა შემოსაზღვრული, ჩრდ.-აღმ-ით კი მიმდებარე რელიეფს ებმის. ნამოსახლარს აქ სათავდაცვო თხრილი გასდევს.

მთის აღმ. ნაწილში, დავაკებაზე, გამოვლინდა მეხუთე ნამოსახლარი, რ-იც აკონტროლებდა როგორც დიდ, ისე პატარა შირაქის ველებს. ნამოსახლარს სამხრ. მხრიდან ციცაბო ფერდობები შემოსდევს, ჩრდ.-აღმ-ით კი იგი გაშლილ ველში გადადის.

ძ. მრავალფენიანია. დადასტურებულია გვიანდ. ბრინჯაოს ხანის, ანტიკ. და შუა საუკუნეების კერამ. მასალა.

დავაკების გაყოლებით, ვიწრო ზოლად, ძვ. წ. II ათასწლეულის დასახრულის და ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისის ძეგლებისთვის დამახასიათებელი ციტადელია (სიგრ. – 60-70 მ, სიგ. – 25 მ). რ-ის ზედაპირი ზოგან შუა საუკუნეების სათავსებითაა დაზიანებული. ციტადელს ჩრდ-დან და ჩრდ.-აღმ-დან შემოუყვება საკუთარი ზღუდის მქონე ქვედა დასახლება (სიგ. – 100-150 მ). აქ აღმოჩენილი ღრმულები სათავსების არსებობის მიმანიშნებელი უნდა იყოს.

ზედაპირულად აკრეფილი მასალა ინახება ილიას სახელმწ. უნ-ტში.

გ. ვარაზაშვილი, კ. კ. ფიცხელაური.

036. ჩალიანხევის გორასამარხი, არქეოლ. ძ. მდებარეობს დიდი შირაქის ველზე, ჩალიანხევის მარჯვ. მხარეს. თარიღდება ძვ. წ. III ათასწლეულის I ნახევრის ბოლო საუკუნეებით. 2000 წ. აღმოაჩინა და შეისწავლა აკც-ის კაე-მ (რაზმის ხელმძღვ. გ. ვარაზაშვილი). გორა სამარხი კატაკომბურია (დიამ. – 20 მ, სიმ. – 1 მ). განძის მაძიებლებს იგი დაუზიანებიათ ორი შურფით, რ-თაგან ერთს ჩაუჭრია დრომოსი, ხოლო მეორეს – დასაკრძალავი კამერა. დასაკრძალავი კამერა ოვალურია, გუმბათოვანი (სიმ. – 1 მ, სიგრ. – 2,65 მ, სიგ. – 2 მ), დამხრობილია აღმ-დან დას-ით; გამოჭრილია ქვითკირ თიხნარში – 3 მ სიღრმეზე. კამერაში აღმოჩნდა ოთხი სხვადასხვა გეგრძ. მწოლარე, კიდურებმოხრილი ჩონჩხი, თავით ჩრდ.-აღმ-ით ან ჩრდ.-დას-ით. სამარხის იატაკზე იდო ერთი ბრტყელი ქვა, რ-ის გარშემოც (სამარხის დამზიანებელთა ცნობით) შემოწყობილი ყოფილა ექვსი თაღის ქალა. სამარხში გამოვლინდა თიხის ექვსი ჭურჭელი: ჯამი, ორი ბადია, ორი თუნგულა და ტოლჩა. ხუთი მათგანი დამზადებულია სილანარევი, ერთი ბადია კი – განლექილი თიხისგან. ჭურჭელი მოწაბლისფრო-მოყითალოა ან მონაცრისფრო, ნაპრიალები. ზოგი ძირგაწრეა, შიგნით შეზნექილი. ჯამს ერთ მხარეს მიძერწილი აქვს მცირე გამჭოლი ხერელის მქონე, ჰორიზ. შვერილი. ბადიას, პირს ოდნავ ქვემოთ, წვერით ქვეყით მიმართული, მცირე, გამჭოლხვრელიანი, კონუსური კოპი აქვს. როგორც ტოლჩასა და თუნგულებს ყელსა და მხარზე, მიძერწილი აქვს თითო ყური, ორ-მცირე ყური მიძერწილი აქვს დიასაც.

დასაკრძალავ კამერას აღმ. მხრიდან უკავშირდებოდა დრომოსი (სიგრ. – 3 მ), რ-იც იწყებოდა ველის დონეზე და ირიბად ჩადიოდა დასაკრძალავი კამერის შესასვლელ ხვრელთან (სიმ. – 0,5 მ), სადაც იგი მთავრდებოდა საფეხურით (სიმ. – 0,7 მ, სიგ. – 0,8 მ). დრომოსი მიწითა და რიყის ქვით იყო ამოვსებული. იგი ველის დონეზე გადახურული იყო დიდი, ბრტყელი ქვებით. დრომოსში დადასტურდა ხუთი მიცვალებული. მხოლოდ ერთ ჩონჩხზე შეიმჩნეოდა, რომ მიცვალებული დაკრძალული იყო მარჯვ. გეგრძ. კიდურებმოხრილი, თავით ჩრდ.-აღმ-ით.

მოპოვებული არქეოლ. მასალა დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

გ. ვარაზაშვილი.

ბიბლ.: 68.

037. ჩალიანხევის ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს ჩალიანხევის მარცხ. მხარეს, ბორცვზე. თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრით და ძვ. წ. I ათასწლეულის საწყისი საუკუნეებით. 2009 წ. დაზვერვებისას მოაკვლია ილიას სახელმწ. უნ-ტის არქეოლ. რაზმმა (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). ნამოსახლარის ციტადელი ოთხკუთხაა (170×150 მ), კუთხეებმომრგვალებული. გარშემოუყვება სათავდაცვო ზღუდე (სიმ. – 2 მ-მდე).

ნამოსახლარზე აკრეფილი მასალა დაცულია ილიას სახელმწ. უნ-ტში.

გ. ვარაზაშვილი, კ. კ. ფიცხელაური.

038. ჩანჭაანის გორანამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს ველის ჩრდ. განაპირას, სიფლებს ზემო ქედსა და სამრეკლოს შორის, ჩანკაანად წოდებულ ადგილზე, თავბრტყელ ბუნებრივ ბორცვზე.

რ-საც ირგვლივ ეკლება სათავდაცვო თხრილი. ძ. თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულით. ნამოსახლარიდან 0,3 კმ-ზე აღმოჩენილია სამაროვანი, რ-იც დიდი რაოდენობის დაზიანებული ორმოსამარხებითაა წარმოდგენილი.

ნამოსახლარზე და სამაროვანზე აიკრიფა თიხის ჭურჭელი.

მოპოვებული არქეოლ. მასალა დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

ნ. გოძიაშვილი.

ბიბლ.: 184.

039. ჩანკაანის ნამოსახლარები, არქეოლ. ძ. მდებარეობს შირაქის ველის ჩრდ. განაპირას, სოფლებს ზემო ქედსა და სამრეკლოს შორის, ნანკაანად წოდებულ ადგილზე. აღმოჩნდა 2009 წ. ილიას სახელმწ. უნ-ტის მიერ წარმოებული არქეოლ. დაზვერვების დროს (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური).

ერთ-ერთი ნამოსახლარი (სიგრ. – 170 *მ*, სიგ. – 70 *მ*) გორის სწორ თხემზეა გამართული და რელიეფს მხოლოდ ჩრდ.-აღმ. მონაკვეთში ერწყმის. აქ იგი სათავდაცვო თხრილითაა გამოყოფილი. იქვე იწყება მეორე თხრილი (სიგ. ზოგ ადგილზე 30 *მ*-ია), რ-იც გარშემოუყვება ნამოსახლარს. ნამოსახლარს აღმ-დან, მთის ფარდობაზე ებმის VIII-XV სს. დასახლება. ზედაპირზე კარგად ჩანს ათეულობით სათავსის კვალი.

მეორე ნამოსახლარი მდებარეობს ალაზნის ველისკენ განკიდული სერის ბოლოს, მოსწორებულ თხემზე. ძ. ოფალურია (სიგრ. – 60 *მ*, სიგ. – 40 *მ*), წაგრძელებულია ჩრდ-იდან სამხრ-ით; სამი მხრიდან შემოსაზღვრულია ღრმა ხეობებით და მხოლოდ სამხრ-ით ერწყმის რელიეფს, სადაც გამართულია სათავდაცვო ხლუდე.

დასახლებული ყოფილა სერის სამხრ. მხარეც (ფართ. – 3-4 *ჰა*), მაგრამ ეს მონაკვეთი განადგურებულია საქონლის საზამთრო სადგომების მშენებლობისას.

აკრეფილი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტების უმეტესობა მონაცრისფროა, კარგად გამომწვარი.

ნამოსახლარებზე მოპოვებული მასალა ინახება ილიას სახელმწ. უნ-ტში.

ჯ. ჯარაბაშვილი, კ. ფიცხელაური.

ზემო მაჩხაანი

(საკრებულოს ცენტრი)

040. აკაკიანთხევის ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის მინდვრებში, მდ. ივრის მარცხ. ნაპირას, ტერასაზე, აკაკიანთხევად წოდებულ ადგილზე. თარიღდება შუა ბრინჯაოს ხანით. აღმოჩნდა 1977 წ. აკც-ის კპე-ის სადაზვერვო სამუშაოების დროს (ექსპედიციის ხელმძღვ. კ. ფიცხელაური, რაზმის ხელმძღვ. შ. დედაბრიშვილი). ნამოსახლარზე გაკეთდა რამდენიმე შურფი, ზედაპირზე აიკრიფა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, ობსიდიანის ანატკეცები და გამომწვარი თიხის ბორბლის მოდელი. 1978 წ. ნამოსახლარზე (ხევის ფლატეში) გაჟლებულმა სტრატიგრაფიულმა ჭრილმა (7×3 *მ*) გამოავლინა 2,65 *მ* სიმძლავრის კულტ. ფენა 11 სამშენ. ჰორიზონტით. იატაკები თიხატკეპნილია. სხვადასხვა ფენაში ფიქსირებულია ნახევარწრიულად განლაგებული, სარლასტისთვის განკუთვნილი ფოსოებიანი ორმოები, ობსიდიანის ნუკლეუსები, სახოკები, საფხეკები, ლამელები, სხვადასხვაგვარი ანატკეცანამუშევრები; პირველ დონეზე – კაჟის დაუსრულებელი ნამგლისპირი(?), თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, აქვე გამოვლინდა უხეშკეციანი და ქსოვილისანაბეჭდიანი ნიმუშები და ე. წ. ალაზან-ბუდეწური კულტურის თიხის ჭურჭლის გვერდისა და ყურის ფრაგმენტი. საკმაო რაოდენობით – მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის ძვლები.

მოპოვებული არქეოლ. მასალა დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

რ. რუხაიშვილი.

ბიბლ.: 98; 187.

041. აკაკიანთხევის სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს აკაკიანთხევის მარჯვ. ნაპირას, სერებზე, ნამოსახლარის მოპირდაპირე მხარეს. თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევრით. აღმოჩნდა 1977 წ. აკც-ის კპე-ის არქეოლ. ექსპედიციის მიერ ივრის მარცხ. სანაპიროს დაზვერვებისას (ექსპედიციის ხელმძღვ. კ. ფიცხელაური, რაზმის ხელმძღვ. შ. დედაბრიშვილი). სამაროვანი შეიცავს ქვამიწაყრილიან მცირე გორასამარხებს. 1978 წ. გაითხარა ერთი, სხვებისგან განცალკევებით მდებარე და სიდიდითაც გამორჩეული



041. 1 ჭოთანი, 2 ბადია, 3 ქილა

გორასამარხი (ქვამიწაყრილის დიამ. – 10,3 *მ*, სიმ. – 0,6 *მ*). ყრილის ქვეშ, ქვიშაქვიან გრუნტში, ჩაჭრილი იყო კუთხეებმომრგვალებული სამარხი ორმო (სიღრმე მიწის დონიდან – 2,4 *მ*, სიგრ. – 2,1 *მ*, სიგ. – 1,8 *მ*), რ-საც დასაწყისში ეიწრო და სამარხისკენ თანდათან გაფართოებული შესასვლელი (საფეხური?) ჰქონდა. დრომოხი (სიგრ. – 2 *მ*, სიგ. – 1,2

მ, სიმ. – 1,2 მ) ორმოს ძირიდან 0,5-0,6 მ სიმაღლეზე წყდებოდა. მიცვალებულის ნონჩხი სამარხში



041. დერგები

არ აღმოჩენილა (სავარაუდოდ, სამარხი კონტაფია). ორმოს ჩრდ.-აღმ. და სამხრ.-აღმ. კუთხეებში, შე-



041. 1 ქვაბქოთანა, 2 ქილა

სახელურის ორივე მხარეს, საქონლის თავები ეწყო. ძვლები კი ჩრდ.-დას. კუთხესა და ცენტრ. ნაწილში გამოვლინდა. ორმოში დადასტურდა ლეგა-მონაცრისფრო ქვაბქოთანა და თიხის შავპრიალა ჭურჭლის ფრაგმენტები; ბრინჯაოს ყუნწგახვრეტილი სატყვარი; სარდიონის, მინისებრი პასტის და გიშრის მძივები; ქვიშანარევი თიხით ნაძერწი მსხლის და კვერცხისებრი ქილები, რ-თაც სუსტად ნაპრიალები ზედაპირი, მაღალი ყელი და ბრტყელბაკოიანი პირი აქვთ. აქვე გამოვლინდა მსხლისებრი დერგიც, რ-შიც თიხისვე სამარილე იდო; რუხლაქებიანი, მოვარდისფრო, ცალყურა ბადია, რ-ის ქვეშ აღმოჩნდა ცხვრის ნონჩხი – ყელთან ობსიდიანის დანით.

ერთი ქილის და ქოთნის გარდა, ყველა ჭურჭელი ორნამენტირებულია (გამოყენებულია რელიეფური სარტყლები, ირიბი, წერტილოვანი, ამოკაწრული, ტეხილი, პარალელური ხაზები, სამკუთხედები, ოთხკუთხედები და ა. შ.).

მოპოვებული არქეოლ. მასალა დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

რ. რუსიშვილი.

ბიბლ.: 98.

042. არმათიონი, ე კ ლ ე ს ი ა, არქიტ. ძ. დგას შუა სოფელში გზის პირას. თარიღდება XVIII ს-ით. 2008 წელს საქართვ. ისტ.



042. გეგმა

ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდის დაფინანსებით ძეგლს ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები: განახლდა სახურავი, აღდგა გარეთა კუთხეების მონგრეული ნაწილები, შიგნით ტკლ. შეილესა გაჯით, შენობის ირგვლივ მოეწყო სარინე ხოლო გზას გასწვრივ – რიყის ქვის კედელი. ტკლ. დარჩა ნაწილობრივ (9,5×5,5 მ), ნაგებია ძირითადად რიყის ქვით.



042. გრძივი ჭრილი, სვეტი ჩრდ.-კენ

გარეთა კუთხეები, კარ-სარკმელთა ღიობები და ლავგარდანი გამოყვანილია კვადრ. აგურით. მთავარი



042. დას. ფასადი

შესასვლელი დას-ითაა. კარი შიგნიდან და გარედან სწორკუთხაა. მეორე კარი (ამოშენებულია) ჩრდ. კედლის აღმ. ნაწილშია. იგი გარედან შეისრული თაღითაა გადახურული, შიგნიდან კი – ხის

ზღუდრით და მაღალ, შეისრულთაღოვან შელრმაგებაშია ჩასმული.

ეკლესიის შიდა სივრცე დადაბლებულ პროპორციებშია გადაწყვეტილი. აღმოთ ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის ღერძზე გაჭრილია განიერი, ნახევარწრიული თაღით დასრულებული სარკმელი. თითო მსგავსი სარკმელია სამხრ. კედლის აღმ. ნაწილში და დას. კედელში – შესახვლელის ზემოთ. აფსიდის ირგ. გვერდში ერთი მოზრდილი, შეისრულთაღოვანი და ერთიც მცირე, ოთხკუთხა ნიშაა, სამხრ. გვერდში კი – ერთი მცირე,



042. ხედი სამხრ.-დას.-დან

ოთხკუთხა ნიშა. აფსიდი დარბაზისგან გამოჯნულია შეისრული ფორმის შეკიდული საბჯენი თაღით (რეაბილიტაციის დროს თაღის ორივე ჭუსლის ჩამოსწორებამდე პილასტრი ადგა). ამ თაღის გარდა, კამარა კიდევ ორ საბჯენ თაღს ეყრდნობა. მათგან ერთი, დარბაზის შუაშია, მეორე – დას. კედელთან. ორივე თაღი პილასტრებზეა დაყრდნობილი. შუა საბჯენი თაღის პილასტრები სამსაფეხურიანი კაპიტელებით არის დაგვირგვინებული. დას. კუთხის პილასტრები კი უკაპიტელოა. სამხრ. პილასტრის გვერდებზე, თითო განიერი, შეისრულთაღოვანი ნიშაა, რ-ებიც იატაკიდან 0,5 მ სიმაღლეზე იწყება. მსგავსი ნიშა ჩრდ. კედლის დას. ნაწილშიცაა. აღმ. ნაწილში კი ეკლესიის შესასვლელია მოქცეული.

შენობის ფასადები ბათქაშითაა გასწორებული და შეთეთრებულია. მათგან მხოლოდ განივი ფასადებია მორთული – აგურის წყობის შელრმაგებით გამოყვანილია ჯვრის თითო გამოსახულება, რ-თა შელრმაგებული ნაწილი მოპირკეთებულია ცისფრად მოჭიქული აგურით. აღმ. ფასადზე მდებარე ჯვრის გვერდებზე, თითო მცირე, ტოლმკლავა ჯვრის შელრმაგებული გამოსახულებაა.

კედლები დასრულებულია ოთხსაფეხურიანი ლაგვარდნით, რ-იც შედგება ჩვეულებრივად დაწყობილი და კუთხით შვერილი აგურის რიგების მონაცვლეობით.

ეკლესიის სახურავი დაბურულია ღარისებრი კრამიტით. შენობის სახურავის კეხის დას. კიდეში, კვადრატ. ბაზისზე, აღმართულია გვმით წრიული, ზემოთკენ ოდნავ შევიწროებული აგურის ს ა მ რ ე კ ლ ო, რ-იც ოთხი ნახევარწრიული თაღით გახსნილ მაღალ ფანიატურს წარმოადგენს. თაღების ჭუსლებთან გამოყოფილია ორსაფეხურიანი იმპოსტები. თაღებს ლეკალური აგურით ნაწყობი ლილვი შემოუყვება,რ-თა შორის (თაღის დონეზე) თითო, დაახლ. 0,7 მ სიმაღლის ლილვია მოქცეული. მათ ასწვრივ გამოყვანილია უფრო მოკლე ლილვი,რ-იც ლაგვარდანზეა მიბჯენილი. თითო ლილვია აყვანილი ღიობების მომაჯარხოებელი თაღის წყვრილიდან ლაგვარდნამდე. სამრეკლო გადახურულია თუნუქის კონუსისებრი სახურავით, რ-ზეც დადგმულია რკინის მაღალი ჯვარი.

თ. დვალი.

043. კოშკი, არქიტ. ძ. დვას ბენაანთ უბანში, ბენაშვილების ეზოში. თარიღდება გვიანდ. გვიანდ. შუა საუკუნეებით. ადგილ. მოსახლეობის გადმოცემით კოშკი ბოსტაშვილებს ეკუთვნოდათ.

კოშკი გვმით კვადრატულია (გარეთა ზომები ფუძის დონეზე – 6,3×6,3 მ), ზემოთკენ შევიწროებული. შემორჩენილია ხუთი სართულის სიმაღლეზე (სიმ. 10,6 მ). დაზიანებულია; ჩამონგრეულია



043. I სართულის გეგმა

სართულშია გადახურვები, რებიც ხის კოჭებზე ყოფილა გამართული (შემორჩენილია კოჭების საყრდენი ბუდეები), მონგრეულია მეხუთე სართულის კედლების ზედა ნაწილი. სართულის შემორჩენილ კედლებში ნაპრალები და ხვრელებია გაჩენილი.

კოშკი ნაგებია სწორხაზოვან რიგებად დაწყობილი, თანაბარი ზომის რიყის ქვით – კირის ხუ-



043. ჭრილი, ხედი აღმ.-კენ

ლაბზე გარეთა კუთხეები გამოყვანილია კვადრ. აგურით. კედლები ორივე მხრიდან გასწორებულია ბათქაშით.

კოშკის შესასვლელი I სართულის დას. კედელშია. კარი შეისრული თაღითაა გადახურული. შესასვლელის ჭრილები და თაღი აგურისაა. I სართული საცხოვრებელია, უსათოფურო. სართულის აღმ., სამხრ. და ჩრდ. კედლებში ორ-ორი სწორკუთხა ნიშაა. ჩრდ. კედელში, ნიშებს შორის, მოწყობილია გეგმით ნახევარწრიული, შეისრულთაღოვანი ბუხარი. დანარჩენი სართულები სათავდაცვოა. კედლებში გარეკეკენ დახრილი, ცალმაგი სათოფურებია გაჭრილი. მეოთხე და მეხუთე სართულების დას. კედელში თითო განიერი და მაღალი სწორკუთხა ღიობია, რ-ებიც ხით ყოფილა გადახურული (შემორჩენილია კვალი). სართულები ერთმანეთს მისადგმული კიბით უკავშირდებოდა.

თ. დვალი.

044. მთავარანგელოზთა ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას. ნაწილში, გზის პირას. თარიღდება XVIII ს-ით.

2009 წელს საქართვ. ისტ. ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდის დაფინანსებით ძეგლს



043. დას. ფასადი



044. გეგმა



044. განივი ჭრილი, სვლა აღმ-კენ

ჩაუტარდა სარესტ. სამუშაოები: აღდგა კედლების დანგრეული ნაწილები და ლაყუარდანი,ინტერიერი შეილესა გაჯით, აიგო კანკელი, ტკლ. გადაიხურა ღარისებრი კრამიტით.

ტკლ. გუმბათოვანია. წარმოადგენს ე. წ. „კუპელჰალეს“ ტიპის ნაგებობას. ეკლესიის შიდა სივრცე ერთიანია. შედგება წაგრძელებული დარბაზისაგან, რ-იც მძლავრი პილასტრების წყვილით ორ ტოლ ნაწილად იყოფა და ღრმა, ნახევარწრიული აფსიდისგან (შიდა ზომები: სიგრ. – 10,7 მ, სიგ. – 4,2 მ). ძირითადად ნაგებია დაუმუშავებული რიყის ქვით. ცალკული ადგილები, ფასადებზე დეკორატ. ელემენტები, გუმბათის ყელი და გუმბათის სახურავი ნაწყობია აგურით.

შენობის გარეთა კედლებში აშკარად გამოიყოფა ორი სამშენ. ფენა, რ-თა საზღვარი გრძივი კედლების დას. ნაწილში, მთელ სიმაღლეზე, უსწორმასწორო ხაზს ქმნის. ეკლესიის ძირითადი კორპუსის აღმ. ნაწილი, რ-იც სიგრძით დას. ნაწილს თითქმის ორჯერ აღემატება, უფრო ადრინდ. ჩანს. იგი თარაზულ რიგებად დაწყობილი, წვრილი რიყის ქვითაა ნაგები, დას. ნაწილი კი – რიყის ქვისა და აგურის რიგების მონაცვლეობით. საგარაუდოა, რომ ეკლესიამ ამჟამინდელი სახე ადრე ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილას მდგარი, დარბაზული ეკლესიის საფუძვლიანი გადაკეთების შედეგად მიიღო.

ეკლესიას ორი სწორკუთხა შესასვლელი აქვს: დას. კედლის შუაში და ჩრდ. კედლის აღმ. ნაწილში – საკურთხეველთან ახლოს. ორივე შესასვლელი გარედან საფეხურით შეღრმავებულ არეშია ჩასმული. მათგან დას-ისა შეისრული თაღითაა დასრულებული, ჩრდ-ისა კი მაღალი, ოთხსაფეხურიანი ფრიზით, რ-იც შედგება ჩვეულებრივად დაწყობილი და კუთხითშეჩერილი აგურის რიგების მონაცვლეობით.



044. დას. ფასადი



044. სვეტი სამხრ.-დას-დან

აფსიდში ერთი თაღოვანი სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს ორ-ორი სხვადასხვა ფორმისა და სიღრმის თაღოვანი ნიშაა მოწყობილი. აფსიდი, ეკლესიის დანარჩენი ნაწილისგან, გამოყოფილია განიერი პილასტრების წყვილითა და მათზე დაყრდნობილი ნახევარწრიული საბჯენი თაღით. პილასტრების მეორე წყვილი, შესაბამისი საბჯენი თაღით, დარბაზის სივრცეს ორ თანაბარ ნაწილად ყოფს. მათგან აღმ-ისაზე აღმართულია მაღალი, შიგნიდან და გარედან წრიული გუმბათი, რ-იც მნიშვნელოვნად აღემატება შენობის ძირითადი კორპუსის სიმაღლეს, დას. ნაწილს კი, ცილინდრული კამარა ხურავს. გუმბათის კვადრატულ საფუძველს პილასტრებზე გადაყვანილი საბჯენი თაღები ქმნის, რ-თა ქუსლის დონეზე მოწყობილია მაღალი, ორსაფეხურიანი იმპოსტები. გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის ყელზე გადასვლა აფრების მეშვეობით ხდება. გუმბათის ყელში გაჭრილია რვა ვიწრო, მაღალი, თაღოვანი სარკმელი.

დარბაზის დას. ნაწილში, სამხრ. და ჩრდ. კედლების მთელ სიგრძეზე, გამოყვანილია თითო

ღრმა, ნახევარწრიულთაღოვანი შეღრმავება. თაღები ორსაფეხურიან იმპოსტებს ეყრდნობა.

ეკლესიის შიდა სივრცეს, საკურთხევლისა და გუმბათის სარკმლების გარდა, კიდევ სამი სარკმელი აშუქებს. მათგან ორი, გრძივი კედლების აღმ. ნაწილში ერთმანეთის მოპირდაპირედ გაჭრილი სარკმელი თაღოვანია. მესამე – დას-ითაა – შესასვლელის ზემოთ. ეს უკანასკნელი ბევრად უფრო მოზრდილია და ორივე მხრიდან თარაზულადაა გადახურული.

შიდა სივრცის აღნაგობის მიუხედავად, გარედან მას ჯვარგუმბათოვანი შენობის სახე აქვს. ოთხივე ფასადზე, ჯვრის „მკლავები", მათ გვერდებზე არსებულ, ცალფერდა სახურავიანი ნაწილების მიმართ, ფრონტონით დასრულებულ შემაღლებას ქმნის.

ეკლესიის ფასადებიდან მხოლოდ აღმ-ისაა მორთული. მორთულობის ელემენტები, მოგვიანებით განახლებულ ნაწილებში, აგურითაა გამოყვანილი. ამავე ფასადზე, სარკმლის ზემოთ, საფეხურებიან პოსტამენტზე დაყრდნობილი, შეღრმავებული ჯვრის გამოსახულებაა, რ-ის ზემოთ, ფრონტონის არეში, ერთიმეორის გვერდით, ვერტიკალურად განლაგებული ორ-ორი რომბია. ფასადების კედლები დასრულებულია აგურის ხერხულა ლავგარდნით.

გუმბათის ყელზე სარკმლები მოქცეულია საფეხურით შეღრმავებულ თაღოვან არეში, რ-ებსაც შემოვლებული აქვს ლეკალური აგურით ნაწყობი თაღები. უფრო ზემოთ გამოყოფილია ლილვისებრი სარტყელი, რ-ზეც დაყრდნობილია ნახევარწრიულ ბაზებზე აღმართული მცირე ჯვრები. ჯვრებს შორის ჩაღრმავებული სამკუთხედებია. გუმბათის ყელი დასრულებულია მაღალი, საფეხუროვანი ლავგარდნით, რ-იც შედგენილია ჩვეულებრივი და კუთხით ნაწყობი აგურის რიგების მონაცვლეობით.

გუმბათი გადახურულია აგურის კონუსისებრი სახურავით.

თ. დვალი.

045. მწარეწყლის სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს მდ. ივრის მარცხ. ნაპირას, მშრალი ხევების – მწარეწყლის, კოდისხევის და ბაზარხევის შესაყარზე. თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევრით. გაითხარა 1977 წელს. აძც-ის კაე-ის მიერ (ექსპედ. ხელმძღვ. კ. ფიცხელაური, რაზმის ხელმძღვ. შ. დედაბრიშვილი). ხუთი გორასამარხიდან პირველი სამი გაძარცული იყო. დანარჩენი გორასამარხების ოთხკუთხა, კუთხეებმომრგვალებული, ორმოიანი სამარხები ჩაჭრილი იყო ღორღნარევ მიწაში. მათგან ერთი გორასამარხის (№ 4) ორმო (სიგრ. – 3 მ, სიგ. – 2,5 მ, სიღრმე – 2,5 მ) დამხრობილი იყო აღმ-იდან დას-ით. იგი ჭილოფგადაფარებული ძელებით ყოფილა გადახურული. ჭილოფზე დადასტურდა წითელი ოქრის კვალი. სამარხში აღმოჩნდა მსხვილფეხა საქონლის ძვლები და თიხის ხელით ნაძერწი შვიდი ჭურჭელი: ქვიშანარევი თიხის კარგად გამომწვარი, შავპრიალა, კოპებით და ამოღარული ხაზებით შემკული დერგი; ქვიშანარევი, კარგად გამომწვარი, მოწითალო ჯამი; მოვარდისფრო-მონაცრისფრო სამარილე და სამი ქილა. სამარხეული ჭურჭლიდან ზოგი ფრაგმენტებადაა შემორჩენილი.

მსგავსი ჭურჭელი გამოვლინდა მეორე (№ 5) გორასამარხის ორმოშიც (სიგრ. – 2 მ, სიგ. – 1,4 მ, სიღრმე – 2,3 მ).

გორასამარხებში მიცვალებულის ჩონჩხი არ აღმოჩენილა. სავარაუდოდ, აქ დაკრძალვის წესი შუა ბრინჯაოს ხანაში გავრცელებული კრემაცია უნდა ყოფილიყო.

მოპოვებული არქეოლ. მასალა დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

რ. რუსიშვილი.

ბიბლ.: 99; 308.

046. ნამოსახლარები, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ტერიტორიაზე, საავტომობილო გზის ორივე მხარეს. თარიღდება გვიანდ. ბრინჯაო ადრინდ. რკინის ხანით. ძეგლს მიაკვლია აძც-ის კაე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). გზის აღმ-ით მდებარე ნამოსახლარი დიდია და მაღალ ბუნებრივ ბორცვზეა გამართული. ბორცვის თხემი მოსწორებული აქვს და ორი განიერი ტერასა შემოუყვება. გზის დას-ით მცირე, ერთტერასიანი ნამოსახლარიცაა. ძეგლზე გამოვლინდა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.

ჯ. გვეტაძე

047. ოლეს სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, ოლეს მინდორზე. 1961 წ. აღმოჩნდა გორასამარხების ველი, დაახლ. 100-მდე სამარხით. ზედაპირულად აკრეფილი მასალის მიხედვით, სამარხები დათარიღდა შუა და გვიანდ. ბრინჯაოს ხანის მიჯნით. 1970 წ. ძეგლზე არქეოლ. გათხრები ჩაატარა ოაე ინ-ტის კაე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). შესწავლილ სამარხთა შორის დიდი გორასამარხები თითო-ოროლა იყო, მცირე ზომისა კი – მრავლად. დიდ გორასამარხთაგან ერთი მათგანი ქვაყრილიანია, ღრმა, ფართო, ოთხკუთხა ორმოთი. სამარხი გაძარცული აღმოჩნდა, მაგრამ მოპოვებული თიხის ჭურჭლის ნატეხების მიხედვით იგი შუა ბრინჯაოს ხანის თრიალეთური კულტურის ძეგლია. მცირე გორასამარხების ქვაყრილის დიამ. მერყეობს 6-იდან 12 მ-მდე, სიმ. საშუალოდ, 1 მ-მდეა. ქვაყრილების ქვეშ, ცენტრალურ ნაწილში, ოთხკუთხა, მოგრძო ორმოა (სიღრმე – 0,85-1,1 მ, სიგ. – 1,4-1,7 მ, სიგრ. – 1,7-2,5 მ). სამარხები ინჰუმაციურია. მიცვალებული წევს მარჯვ. ან მარცხ. გვერდზე, კიდურებმოხრილი, თავით დას-ისკენ ან ჩრდ.–დას-ისკენ მიმართული. ძეგლზე მცირე რაოდენობით აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი. მათი დამუშავებისა და შემკულობის მიხედვით, ეს სამარხებიც შუა და გვიანდ. ბრინჯაოს ხანის მიჯნით თარიღდება. სავარაუდოდ, ამ სამაროვნებზე პირველი სამარხები გაუმართავთ შუა ბრინჯაოს ხანის მიწურულში. სამარხთა უმეტესობა კი – მომდევნო ხანის დასაწყისში.

მოპოვებული არქეოლ. მასალა დაცულია საქართვ. ეროვნ.

მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

შ. ორემაშვილი.

048. საჯოგეხევის ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს აკაკიანთხევის ნამოსახლარის დას-ით, 3 კმ-ზე. იერის ვაკისა და მთიანეთის შესაყართან, ხევის მარცხ. ნაპირას. თარიღდება შუა ბრინჯაოს ხანით XX ს-ის 80-იან წლებში შეისწავლა აკც-ის კაპ-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). ნამოსახლარი (ფართობი – 150×100 მ) ხევისკენ ოდნავ დამრეც ტერასაზეა განლაგებული. ძეგლის პუმუსოვანი ფენის ქვეშ 1 მ სიმძლავრის ნაცროვანი ფენაა, რ-ის ქვეშ ჩნდება თიხატკეპნილი იატაკი, შემდეგ ისევ თხელი, 0,2 მ სიმძლავრის ნაცროვანი ფენა, ბოლოს კი – გრუნტი. როგორც შურფებში, ისე ზედაპირულად, დიდი რაოდენობით დადასტურდა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, ობსიდიანის ანატკეცები და რამდენიმე ნავისებრი ხელსაფქვავის ფრაგმენტი. აღმოჩნდა მსხვილფეხა საქონლის ძვლებიც.

მოპოვებული არქეოლ. მასალა დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

რ. რუსიაშვილი.

ბიბლ.: 187.

049. ფურცელწყლის ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, მდ. იერის მარცხ. ნაპირას. ფურცელწყლად წოდებულ ადგილზე, ტერასაზე. აღმოჩნდა 1977 წ. აკც-ის კაე-ის (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური, რაზმის ხელმძღვ. შ. დედაბრიშვილი) სადაზვერვო სამუშაოების დროს. ნამოსახლარის დას. ნაწილში გაჭრილია ღრმა სასილოსე ორმოები, რ-შიც კარგად შეინიშნება ნამოსახლარ ფენათა სტრუქტურა. ზედა ფენა ნაშალი, ნამონარეცხი ღორღია (სიმძლავრე – 0,8 მ). მის ქვეშ – ნამონარეცხი ნაცროვანი ფენა (სიმძლავრე – 0,4 მ). ამ ფენის ქვეშ კი უძრავი კულტ. ფენაა (სიმძლავრე – 1,3 მ) განლაგებული. ნამოსახლარის დას-ით მდებარე შემაღლებები ძლიერაა გადარეცხილი და, როგორც ჩანს, ტერასაზე განლაგებულ კულტურულ ფენებზე სწორედ აქედანაა ნამონარეცხი თავდაპირველად ნაცროვანი და შემდეგ ღორღნარევი ფენა. ნამონარეცხ ფენაში შეგროვილი მასალა შეიცავს თიხის ჭურჭელს, რ-იც თარიღდება შუა ბრინჯაოს ხანიდან მოკიდებული გვიანდ. ბრინჯაოს ადრინდ. საფეხურების ჩათვლით. ამრიგად, ტერასაზე ცხოვრება გვიანდ. ბრინჯაოს კლასიკური პერიოდისათვის უკვე შეწყვეტილია. უძრავი კულტ. ფენიდან დადასტურებულია თიხის ჭურჭლის მხოლოდ ორი ნატეხი, რ-იც დაახლოებით ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრის ფარგლებში ექცევა.

ნამოსახლარზე აკრეფილი კერამ. მასალა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

რ. რუსიაშვილი.

ბიბლ.: 98; 187.

050. ფურცელწყლის სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, მდ. იერის მარცხ. ნაპირას, ფურცელწყლად წოდებულ ადგილზე, ვაკეზე. აღმოჩნდა 1977 წ. აკც-ის კაე-ის (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური, რაზმის ხელმძღვ. შ. დედაბრიშვილი) დაზვერვების დროს. ამავე წელს სამაროვანზე გაითხარა თოთხმეტი ქვამოწაყრილიანი გორასამარხი, რ-თაგან რამდენიმე (№№ 1, 9, 10, 11) გაძარცული იყო. გორასამარხების თარიღი განსხვავებულია.

გ ო რ ა ს ა მ ა რ ხ ი № 2 (ერილის დიამ. – 4 მ, სიმ. – 0,5 მ) თარიღდება შუა ბრინჯაოს ხანით. სამარხი ორმო (სიგრ. – 1,7 მ, სიგ. – 1,3 მ, სილრმე – 1,3 მ) ჩაჭრილია ქვიშაქვიან ქანში, კუთხეებმომრგვალებულია და აღმოდან დას-ითაა დამხრობილი. ორმოს ზედაპირიდან 0,5 მ სილრმეზე აღმოჩნდა ერთმანეთში არეული თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. სამარხში მიცვალებულის ჩონჩხი არ ყოფილა. ძეგლზე გამოვლინდა ობსიდიანის ქუსლამოღარული, მკოცავი რეტუშით დამუშავებული ისრისპირი, კერამ. ჭურჭლის, რებიც დამზადებულია ქვიშანარევი და წმინდამარცვლოვანი თიხისგან და გამომწვარია. სამარხში აღმოჩენილ თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებს ზოგჯერ კარგად გაპრიალებული ან ხაოიანი ზედაპირი აქვს. ზოგჯერ ფრაგმენტის შიდაპირზე შეინიშნება ჩარხის კვალი. გვხვდება წერტილოვანი, წიწვისებრი, სავარცხლისებრად დატყეპრული ორნამენტი; ამოღარული ხაზებით შესრულებული სარტყელი.

გ ო რ ა ს ა მ ა რ ხ ი № 3 (დიამ. – 8 მ, სიმ. – 0,75 მ) შეიცავდა ტიხრით (სისქე – 0,5 მ) გამოყოფილ ორ სამარხ ორმოს. ორივე სამარხი ორმო კუთხეებმომრგვალებული ოთხკუთხედის ფორმისაა, თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრით. ერთი ორმოს (სიგრძ. – 1,5 მ, სიგ. – 1,2 მ, სიღრმე – 1,75 მ), აღმ. კედელში თახჩა იყო მოწყობილი. თახჩაში ეწყო სამარხეული ინვენტარი. ორმოში პირადმა დასვენებული იყო კიდურებმოხრილი მიცვალებული. სამარხში აღმოჩნდა: ხელით ნაძერწი, ქვიშანარევი თიხით დამზადებული ოთხი ჭილა, რ-თაგან ზოგი შავპრიალაა, ზოგიც ლეგამოწაბლისფრო და ღია ყავისფერი; ორი დაშლილი ჯამი (ერთი მოწითალოა, ზედაპირზე რუხი ლაქებით, ხაოიანი; მეორე – მოწითალო-მოწაბლისფროა, ხორკლიანი); ოთხი მოწაბლისფრო-მონაცრისფრო ბადია (ორი გლუვია, ერთი – ხაოიანი); მოვარდისფრო-მოწითალო და შავი, ქვიშანარევი კეცის მქონე გლუვი ფრაგმენტები; თიხის ჭურჭელზე გვხვდება ირიბი ჭდეები, კონცენტრული ამოკაწრული ხაზები. ობსიდიანის მასიური ანატკეცი – „დანა"; ცხოველის წინა მარჯვ. ფეხის ძვალი და კბილები.

მეორე სამარხი ორმოს (სიგრ. – 1,5 მ, სიგ. – 1,2 მ, სიღრმე – 1,75 მ), აღმ. და დას. კედლებში თახჩებია ამოჭრილი. სამარხში ესვენა მიცვალებული – გაშოტილი, იდაყვებში ოდნავ მოხრილი ხელებით და განზე გაწეული ქვედა კიდურებით. თავი კი უდევს დას. თახჩაში. აღმ. თახჩაში ინვენტარის ნაწილი

ეწყო, ნაწილი კი – სამარხ ორმოში, მიცვალებულის ფეხებთან. სამარხში აღმოჩნდა ქვიშანარევი თიხით დამზადებული შავი, გლუვი, ზოგჯერ კარგად გაპრიალებული ხუთი ქილა, რ-თაც სწორი ბრტყელბაკოიანი ან ოდნავ გადაშლილი პირი და ფართო ძირი აქვს. ორ მათგანს, ყელს ქვემოთ, ორი ამოკაწრული ხაზი გარშემოუყვება; სამი მოვარდისფრო-მოწითალო, მოწითალო-ლეგა და შავი ფერის ბადია; სამი ჯამი (ორის მხოლოდ ფრაგმენტებია), რ-თაც მოწითალო-მონაცრისფრო, მოწითალო და წაბლისფერი შეფერილობა აქვს; წმინდამარცვლოვანი თიხით დამზადებული კათხა, რ-იც მონაცრისფრო-მოწითალოდაა გამომწვარი და ზედაპირნაპრიალებია. ემჩნევა ნარხის კვალი. პირს ქვემოთ და წიბოზე, ერთმანეთის საპირისპიროდ, ორი მრგვალგანივკვეთიანი ყური აქვს მიძერწილი; მსხვილქვიშანარევი თიხით ნაძერწი მოვარდისფრო, გლუვი სამარილე; შავად გამომწვარი, ქვიშანარევი კეცის მქონე, ბიკონუსური ჭურჭელი სწორი, ბრტყელი პირით. რიყის ქვის სახრეხი და მსხვილფეხა საქონლის მალის ძვლები.

გ ო რ ა ს ა მ ა რ ხ ი № 4 (ყრილის დიამ. – 3 მ, სიმ. 0,5 მ, სამარხი ორმოს სიგრ. – 1,4 მ, სიგ. – 1,15 მ, სიღრმე – 1,3 მ) თარიღდება ძვ. წ. III ათასწლ. მეორე ნახევრით ან II ათასწლ. დასაწყისით. სამარხში მიცვალებული დასვენებული იყო აღმ. მხარეს, თავით აღმ-ით, მარცხ. გვერდზე კიდურებმოკეცილი. მენჯის ძვალზე ედო ქუსლამოღარული, მოცისფრო რეტუშით დამუშავებული ობსიდიანის ისრისპირი. სამარხში აღმოჩნდა წმინდამარცვლოვანი თიხისგან ხელით ნაძერწი კათხა და ტოლჩა. კათხა მოშავო-მოწაბლოსფროა, გლუვი. მხარზე და მუცელზე, ერთმანეთის საპირისპიროდ, ორი ყური აქვს მიძერწილი. შემკულია რელიეფური და ამოღარული ორნამენტით. ტოლჩა შავპრიალაა. პირზე და მუცელზე მრგვალგანივკვეთიანი, მიძერწვის ადგილებზე დაბრტყელებული ყურით. მუცელზე ფოსოა დატანილი.

გ ო რ ა ს ა მ ა რ ხ № 5-ის (ყრილის დიამ. – 7 მ, სიმ. – 0,6 მ) სამარხი ორმო (დიამ. – 3,3 მ, ფსკერის დონეზე – 2 მ, სიღრმე – 2,1 მ) წრიულია, ნაჭრილია თეთრმინარევებიან ყვითელ თიხნარში. გამოვლენილია თიხის შავპრიალა, თეთრმინარევებიანი, მკვრივკეციანი, ოდნავ პირგადაშლილი, ცილინდრულყელიანი ჭურჭლის ფრაგმენტი, რ-საც ყელს ქვემოთ, სამი კონცენტრული ხაზი გარშემოუყვება. მეორე ფრაგმენტი მონაცრისფრო-მოწაბლოსფროა, გლუვზედაპირიანი. აქვს დაბალი ყელი და ოდნავ გადაშლილი პირი. მასალის სიმცირის გამო ძ. დაუთარიღებელია.

გ ო რ ა ს ა მ ა რ ხ ი №6 (ყრილის დიამ. – 6 მ, სიმ. – 0,3 მ) თარიღდება ძვ. წ. II ათასწლ. I ნახევრის შუა ხანით. სამარხი ორმო (სიგრ. – 1,2 მ, სიგ. – 1,1 მ, სიღრმე – 0,9 მ) დამხრობილია აღმ-იდან დას-ით. სამარხში მიცვალებულის ჩონჩხი არ ყოფილა. ორმოში გამოვლინდა: ბრინჯაოს ქედიანი სატევარი, რ-საც ტარზე და მხრებზე სამანჭვლე ნახვრეტი აქვს დატანილი; საქონლის ძვლები და ცხვრის ჩონჩხი, რ-საც უკანა ფეხებთან ედო „დანა“ – ობსიდიანის მასიური ანატკეცი; თერთმეტი ჭურჭელი, ჭურჭლის ფრაგმენტები. სამარხეულ ჭურჭლებს შორის იყო შავპრიალა, მსხლის ფორმის, მხარზე ნაკაწრი და წერტილოვანი ორნა-



050. გორასამარხი №3. თიხის ჭურჭელი: 1 ბიკონუსური ჭურჭელი, 2 კათხა, 3-4-9 ქილა, 5 ჯამი, 6-7-8 ბადია, 10 რიყის ქვის სახრეხი, 11 სამარილე

მენტის სარტყლითა და ნაძერწი კოპებით შემკული დერგი; მოყავისფრო-მონაცრისფრო, მონაცრისფრო-ნაცრისფერლაქებიანი, მოწაბლისფრო-შავი და ლეგა-



050. გორასამარხი №6. თიხის დერგი

მონაცრისფრო გლუვი ან ხუხტად ნაპრიალები ქილები, მათ შორის იყო პირგადაშლილი, დაბალყელიანი, მრგვალმუცლიანი და ფართოძირიანი და მსხლისებრიც. უხეშადაა ნაძერწი სამარხეული ხუთი ბადია, რ-თაც ოდნავ მოყრილი პირი და ფართო ძირი აქვთ. მათი ზედაპირი გლუვია, ზოგჯერ ხუხტად ნაპრიალები, ახასიათებთ მოწითალო-მოწაბლისფრო, მოვარდისფრო-მონაცრისფრო, მოშავო-მოწაბლისფრო და მოვარდისფრო-მოწითალო შეფერილობა. მსხვილმარცვლოვანი თიხითაა დამზადებული გლუვი, ძირმომრგვალებული, წაბლისფერი და მოწითალო-მოყვითალო სამარილები.

გ ო რ ა ს ა მ ა რ ხ ი № 7 (ყრილის დიამ. – 8 მ, სიმ. – 0,7 მ) თარიღდება ადრინდ. ბრინჯაოს ხანის III პერიოდით. სამარხი ორმო (სიგრ. – 3,5 მ, სიგ. – 2 მ, სიღრმე – 0,8 მ) ნაჭრილია თეთრმინარევიან ყვითელ თიხაში. დამხრობილია სამხრ.-დას-ით. სამარხის ცენტრში მიცვალებული დაკრძალული იყო მარჯვ. გვერდზე, კიდურებმოხრილი, თავით სამხრ-ით დამხრობილი. ჩონჩხის დას-ით, 1 მ-ზე, კიდევ სამი ჩონჩხი აღმოჩნდა – ორი ბავშვის და ერთი მოზრდილის. თავით სამხრ-ით დამხრობილი მოზრდილის ჩონჩხის ქვედა კიდურები ბავშვის ჩონჩხზე ელაგა, რ-იც ერთპირად მოჭყლეტილი რიყის ქვაზე იყო დასვენებული.

სამარხში გამოვლინდა ბრინჯაოს საკინძი და ხელით ნაძერწი ოთხი ბადია. მათგან ორი გლუვზედაპირიანი, შავი და მოვარდისფრო-მოწაბლისფროა. დანარჩენი ორი კი – შავპრიალა. ბადიების პირი თხელია, ფართოა ან ოდნავპირმოყრილი. თითოეულს პირზე და მხარზე ან ოდნავ პირს ქვემოთ, გამჭოლი ნახვრეტის მქონე, ნისკარტისებრი ან ოდნავ გაზიდული მცირე ზომის ყური აქვს მიძერწილი; ლეგა-მონაცრისფრო, გლუვზედაპირიანი კოჭობი; გლუვზედაპირიანივე მოწითალო-მოწაბლისფრო, ქუსლიანი ფიალა, რ-ის ძირსაც გარედან ქსოვილის ანაბეჭდი ემჩნევა; პრიალა, წაბლისფერი ტოლჩა, რ-საც პირზე და მუცელზე გრძელი, ლენტური ყური აქვს მიძერწილი და შავპრიალა, შავი, ნაცრისფერი, მოწითალო-მოწაბლისფრო, მოვარდისფრო-მოწაბლისფრო, მოწითალო-მოყვითალო და წაბლისფერი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. ჭურჭლის უმრავლესობა დამზადებულია ქვიშანარევი თიხით, გვხვდება წმინდა მარცვლოვანი თიხით დამზადებული ცალებიც.

გ ო რ ა ს ა მ ა რ ხ ი № 8 (ყრილის დიამ. – 6 მ, სიმ. – 0,4 მ) მასალის სიმცირის გამო დაუთარიღებელია. ოთხკუთხა ორმო (სიგრ. – 2 მ, სიგ. – 1,8 მ, სიღრმე – 1,9 მ) ნაჭრილია ლორღნარევ ქანში, დამხრობილია ჩრდ.-დას-ით. სამარხ ორმოში აღმოჩნდა შავპრიალა, წმინდამარცვლოვანი თიხისგან დამზადებული ყელმაღალი ჭურჭლის ფრაგმენტი, რ-საც მხარზე რელიეფური [illegible] ხაზი, [illegible] პირზე კი ნაჭდევი [illegible].

გ ო რ ა ს ა მ ა რ ხ ი № 12-ის (ყრილის დიამ. – 5 მ, სიმ. – 0,5 მ) ოთხკუთხა ორმო ნაჭრილია თეთრმინარევიან, მოწითალო-მოყვითალო თიხნარში. სამარხი ორმო



050. გორასამარხი №6. ბრინჯაოს ქვიანი სატევარი და თიხის ბადიები

(სიგრ. – 1,3 მ, სიგ. – 0,8 მ, სიღრმე – 0,55 მ) ძლიერ დარბიბია. თარიღდება ძვ. წ. III ათასწლეულის

დასასრულით. მასში მიცვალებულის ჩონჩხი არ დადასტურებულა. სამარხში აღმოჩნდა თიხის



050. გორახამარხი №6. თიხის ჭილები

მოწითალო-მოწაბლისფრო, უხეშად ნაძერწი, ოდნავ პირმოყრილი ჯამი; უსწორმასწორო ჭურჭლის მოწითალო, გლუვი ფრაგმენტები; ობსიდიანის დაუსრულებელი ისრისპირი, სუსტად ამოღარული ქუსლით.

გორახამარხი № 13 (ცრილის დიამ. – 3,5 *მ*, სიმ. – 0,4 *მ*) თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრის შუახანებით. სამარხი ორმო (სიგრ. – 1,2 *მ*, სიგ. – 0,6 *მ*, სიღრმე – 1,3 *მ*) ჩაჭრილია თეთრმინარევიანი მოწითალო-მოყვითალო თიხნარში და ამოვსებულია მსხვილი რიყის ქვით. დამხრობილია სამხრ.-დას-იდან ჩრდ.-დას-ით. სამარხში აღმოჩნდა რიყის ქვის ძირმომრგვალებული სასმისი და თიხის ექვსი ჭურჭელი: ორი ჭილა, ორი ჯამი, კოჭობი და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. ორი ჭილა დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი ქვიშის მინარევიანი თიხით. აქვთ მოწითალო-მონაცრისფრო და მონაცრისფრო გლუვი ზედაპირი, გადაშლილი პირი, დაბალი ყელი და ფართო ძირი. ერთი მათგანი მსხლისებრია. ჯამები ნაძერწია თეთრმინარევიანი, წმინდამარცვლოვანი თიხით. აქვთ გლუვი მოშავო-წაბლისფერი და მონაცრისფრო ზედაპირი, უხეში ქვიშანარევი კეცი, ფართო თხელი, გადაშლილი პირი, გამობერილი მუცელი და ფართო ძირი. ყელს ქვემოთ და მხარზე გარშემოუყვება ამოკაწრული ხაზები; ფრაგმენტები მოწითალო-მონაცრისფროა, გლუვი. გვხვდება შავპრიალა ცალებიც, რ-ებსაც აქვთ უხეში, ქვიშანარევი კეცი.

სამაროვანზე აღმოჩენილი მასალა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

რ. რუსიშვილი.

ბიბლ.: 100; 308.

051. ყველაწმინდის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-დას. კიდეში, რობიტაანთ უბანში. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით. ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე ადრე სასაფლაო ყოფილა. შენობის მახლობლად რამდენიმე საფლავის ქვაა შემორჩენილი.



051. გეგმა

ეკლ. დარბაზულია (7,1×5 *მ*), ნაგებია რიყის ქვით. არქიტ.-კონსტრ. ელემენტები – კვადრ. აგურით. თითო-ოროლა აგური გარეთა კუთხეების ქვედა ნაწილის წყობაშიცაა ჩართული. კუთხეების



051. განივი ჭრილი, სვეტი აღმ.-კენ

ზედა ნაწილი კი, მთლიანად აგურისაა, რაც, სავარაუდოდ, შეკეთების დროინდელია.

2007 წელს, საქართვ. ისტ. ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდის დაფინანსებით ეკლესიას ნაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები (აღდგა ლავგარდნის დანგრეული ნაწილები, შეილესა ინტერიერი, დაიგო ქვის იატაკი, გაკეთდა ხის კანკელი, განახლდა კრამიტის საბურავი).

შესასვლელი ეკლესიას დასიდან აქვს. კარი შეისრული თაღითაა დასრულებული და გარედან ოდნავ შეღრმავებულ სწორკუთხა არეშია მოქცეული. კარის წირთხლებში მოწყობილია ურდულის ბუდეები.

ეკლ. დარბაზულია, გეგმით კვადრატ. (3,3×3,3 *მ*). აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-შიც გაჭრილია შიგნიდან შეისრულთაღიანი, გარედან კი თარაზულად გადახურული, მაღალი სარკმელი. ერთი მსგავსი სარკმელი დას. კედელში, შესასვლელის ზემოთაა.

აფსიდის გვერდებში თითო მაღალი, შეისრულთაღოვანი ნიშაა. მათგან ჩრდ. ნიშსა და აფსიდის ჩრდ. კუთხეს შორის მცირე ოთხკუთხა ნიშაა მოწყობილი, თითო შეისრულთაღოვანი ნიშა დას. კედელში, შესასვლელის გვერდებზეცაა. აფსიდის თაღი შეისრული ფორმისაა – ოდნავ შემაღლებული წვერით. თაღი, აფსიდის მხრებთან შედარებით, თითქმის ორჯერ უფრო განიერია, რის გამოც მისი ჭუსლები მხრების მიმართ გადმოშვერილია და საფეხურს ქმნის. გრძივი კედლები დანაწევრებულია ერთმანეთისგან პილასტრით გამოჯვნული ორ-ორი შეისრული თაღით. თითოეულ მათგანში მოწყობილია თითო სათოფურა, რაც ეკლესიის თავისებურებაა. სათოფურია მოწყობილი შესასვლელის სამხრ-ით მდებარე ნიშშიც. დარბაზი გადახურულია შეისრული კამარით, რ-იც ეყრდნობა ანალოგიური ფორმის ერთ შეკიდულ, საბჯენ თაღს.



051. დას. ფასადი

გარედან ეკლესიის კედლები გასწორებულია ბათქაშით, რ-იც საპირე ქვების ზედაპირის უმეტეს ნაწილს ფარავს. დას. ფასადზე, შესასვლელის ზემოთ, აგურის შელრმაებული წყობით, გამოყვანილია საფეხუროვან ბაზისზე აღმართული ჯვრის გამოსახულება, რის ქვერშ. მკლავის ქვემოთა ნაწილში ეკლესიის დას. სარკმლის ღიობია მოქცეული. ფასადები დასრულებულია ოთხსაფეხურიანი ლაგარდნით, რ-იც შედგება ჩვეულებრივად დაწყობილი და კუთხით შვერილი აგურის რიგების მონაცვლეობით.

ეკლესიის დას. ფრონტონის წვერზე დადგმულია კვადრატულსაფუძვლიანი, თითქმის ცილინდრული ფორმის, ოთხი თაღოვანი ღიობით გახსნილი მცირე ს ა მ რ ე კ ლ ო. თაღებს შორის, სამრეკლოს მთელ სიმაღლეზე, გამოყვანილია თითო ნახევარსვეტი. ყოველ მათგანში, გარკვეული ინტერვალის დაცვით, ჩართულია თარაზულად დადებული ორი აგური, რ-ებიც მათ სამ ნაწილად ყოფს. გაფორმების მიზნით, ოთხივე თაღის ზემოთ, წყობაში ჩასმულია ცისფრად მოჭიქული სამსამი აგური. სამრეკლო გადახურულია თუნუქის პირამიდული სახურავით (განახლებულია).

ო. დვალი.

052. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-აღმ. განაპირას, ძვ. სასაფლაოზე. ეკლ. დარბაზულია, ძლიერ წაგრძელებული (17,7×6,6 მ), შედგება სხვადასხვა პერიოდის ორი ნაწილისგან. თავდაპირველ დარბაზულ ეკლესიას (10,3×6,6 მ), რ-იც, სავარაუდოდ, XVI ს-ით თარიღდება, მოგვიანებით (XVIII ს-ის მიწურულს ან XIX ს-ის დასაწყისში), ფართობის გაზრდის მიზნით, დას. კედელი მოხსნეს და მოგრძო დარბაზი მიაშენეს. ამ უკანასკნელს კი, დას-იდან, აგურით ნაშენი სამსართულიანი ს ა მ რ ე კ ლ ო მიადგეს, რ-ის პირველი სართული ეკლესიის კარიბჭის დანიშნულებას ასრულებს. მეორე კარიბჭე გვიანდ. ნაწილის სამხრ. კედელზეა მიდგმული, ამ მხრიდან მოწყობილი კარის წინ.



051. ხედი სამხრ-დას-იდან

ეკლესიის ძვ. ნაწილი მთლიანად რიყის ქვითაა ნაგები. გარეთა კუთხეებში ჩართულია თითო-ოროლა კვადრ. აგური. გვიანდ. ნაწილის კედლები კი ძირითადად აგურისაა, რ-შიც თანაბარი ინტერვალებით, ერთრიგად დაწყობილი რიყის ქვის თარაზული შრეებია ჩართული. შიგნით არქიტ. დ კონსტრ. ელემენტები მთლიანად აგურისაა.

2010-2011 წწ-ში, საერთაშ. საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით ჩატარდა ეკლესიის სარეაბილიტაციო სამუშაოები. მნიშვნელოვნად შემცირდა გვიანდ. ნაწილის სარკმელთა ღიობები, ინტერიერი მთლიანად შეელესა გაჯით, დაიგო იატაკი, ეკლესიის გარშემო – ქვაფენილი, აიგო

კანკელი, ხოლო გზის გასწვრივ – ქვის კედელი. ეკლ. გადაიხურა ღარისებრი კრამიტით.

საბჯენი თაღი საკურთხეველს სივრცის დანარჩენი ნაწილისგან გამოყოფს. პილასტრებს შორის,



052. გეგმა

შენობას ორი მოქმედი შესასვლელი აქვს – სამხრ-იდან და დას-იდან. თითოეული მათგანი ნახევარწრიული თაღითაა დასრულებული და მოგვიანებით მიშენებული ნაწილის კედლებშია გაჭრილი. მესამე შესასვლელი თავდაპირველი ნაწილის ჩრდ. კედელშია (შეიმჩნევა მხოლოდ გარედან), რ-იც მოგვიანებით ამოუშენებიათ. კარი აგურითაა გამოყვანილი, შეისრულთაღოვანია და საფეხურით შეღრმავებულ არეშია ჩასმული, რ-საც ვიწრო, ხერხულა ზოლი აგვირგვინებს.

ეკლესიის შიდა სივრცე ძლიერ წაგრძელებულია. აღმ-ით დასრულებულია შენობის გეგმის სწორკუთხედშივე მოქცეული ნახევარწრიული აფსიდით, რ-ის ღერძზე გაჭრილია დაბალი, ნახევარწრიულთაღოვანი სარკმელი. ადრე მის ნაცვლად დას. ნაწილის მიშენების დროს გადიდებული, მაღალი, განიერი, თაღოვანი სარკმელი ყოფილა, რ-იც რეაბილიტაციის დროს დააპატარავეს. აფსიდის ჩრდ. გვერდში ორი შეისრულთაღოვანი და ერთი სწორკუთხა ნიშაა, სამხრ. გვერდში კი – ერთი შეისრულთაღიანი და ერთი სწორკუთხა ნიშა. მათგან თაღოვანი ნიშები თითქმის თანაბარი ზომისაა და დანარჩენ ორს სიდიდით ბევრად აღემატება.

ეკლესიის ძვ. ნაწილის გრძივ კედლებზე ოთხ-ოთხი პილასტრია, რ-ებსაც კამარის საბჯენი თაღები ეყრდნობა. პილასტრების აღმ. წყვილი და მათზე დაყრდნობილი კედელში, საფეხურით შეღრმავებული, შეისრული თაღებია, რ-ებიც პილასტრების გვერდებზე გამოყვანილ საფეხურს ეყრდნობა. შეისრული ფორმისაა საბჯენი თაღები და კამარაც.

ეკლესიის გვიანდ. ნაწილის გრძივი კედლები, ადრინდ. ნაწილის კედლების მსგავსად, პილასტრებითაა დანაწევრებული, ოღონდ აქ პილასტრები ერთსაფეხურიანია და მათ, კამარის საბჯენი თაღების გარდა, კედლის მიმდებარე თაღებიც ეყრდნობა. ძვ. ნაწილისგან განსხვავებით, აქ თაღები ნახევარწრიული ფორმისაა. შენობის გვიანდ. ნაწილს ისიც გამოარჩევს, რომ იგი თავდაპირველ ნაწილთან შედარებით, დაახლ. 0,7 მ-ით უფრო მაღალია.

ეკლ. ძუნწადაა განათებული. საკურთხევლის სარკმლის გარდა, შენობის ძვ. ნაწილის სამხრ. კედელში ორი შეისრულთაღოვანი სარკმელია გაჭრილი. ერთი თაღოვანი სარკმელი მოგვიანებით მიშენებული ნაწილის სამხრ. კედელშია, ხოლო ორი – დას. კედელში, შესასვლელის გვერდებზე. სამივე მათგანი ეკლესიის რეაბილიტაციის დროსაა მოწყობილი ადრე არსებული, საკმაოდ განიერი და მაღალი სარკმლების ადგილზე. კიდევ ერთი სარკმელი ყოფილა ჩრდ. კედლის შუაში, სამხრ. სარკმლის მოპირდაპირედ, რ-იც რეაბილიტაციის დროს ამოაშენეს.

ინტერიერის დას. ნაწილში ხის პატრონიკე ყოფილა მოწყობილი, რ-ისგანაც შემორჩენილია პილასტრების დას. წყვილში ჩამაგრებული ხის მძლავრი კოჭი და მასზე დასაყრდნობი კოჭების ხუთი ბუდე დას. კედელზე. პატრონიკეზე ხის კიბით ადიოდნენ. პატრონიკე დას. კედელში მოწყობილი თაღოვანი ღიობით სამრეკლოს მეორე სართულს უკავშირდებოდა.

ფასადები დასრულებულია მაღალი, პროფილირებული ლავ-



052. გრძივი ჭრილი, ხედი ჩრდ-კენ

გარდნით. ეკლესიის სახურავი ორფერდაა, კრამიტის.

სამრეკლო ეკლესიაზე ბევრად უფრო მაღალია. მისი ქვედა

ეროვნული ბიბლიოთეკა



052. ხედი სამხრ.-დასავლ.

ორი სართული გეგმით კვადრატულია და სამ მხარეს ნახევარწრიული თაღებითაა გახსნილი, რებიც დაყრდნობილია დას. კუთხეებში მდგომ, გეგმით კვადრატულ ორ ბურჯზე და ეკლესიის დას. კედელზე მოწყობილ პილასტრებზე. ორივე სართული დადაბლებული პროპორციების გუმბათოვანი კამარითაა გადახურული.



052. განივი ჭრილი, ხედი აღმ-კენ

სამრეკლოს ზედა სართული რვაწახნაგაა და ქვედა სართულებთან შედარებით – რამდენადმე მაღალი. სართულის ღერძულ წახნაგებში, რ-ებიც დანარჩენ წახნაგებთან შედარებით უფრო განიერია, მოწყობილია თითო მაღალი, ნახევარწრიული თაღი. დანარჩენი ოთხიდე წახნაგი კი ყრუა. თაღები წახნაგის სიბრტყის მიმართ საფეხურითაა შედრმავებული. ზემოდან მათ ლეკალური აგურით ნაწყობი ლილვი ეკლება. თაღებს ზემოთ, პორიზ. ლილვებით, შექმნილია ორი თანაბარი სიმაღლის არე. მათგან ქვედა არე, წყობაში ჩასმული, მწკრივად განლაგებული, მოწითალო აგურის გეომეტრიული ფიგურებითაა (წრეზე ფუძით დაყრდნობილი სამკუთხედი) მორთული. ზედა არის შუა ნაწილში კი თითო მრგვალი სარკმელია. სამრეკლო დასრულებულია მაღალი, პროფილირებული ლაქვარდით, გადახურულია პირამიდული ფორმის, აგურის რვაწახნაგა სახურავით.



052. ინტერიერი, ხედი სამხრ.-აღმ-კენ

სამხრ. კარიბჭე გეგმით კვადრატულია და სამ მხარეს ნახევარწრიული თაღებითაა გახსნილი. თაღები, სამრეკლოს პირველი სართულის მსგავსად, ორ კვადრატულ ბოძს და ეკლესიის კედელზე გამოყვანილ პილასტრებს ეყრდნობა. კარიბჭე შიგნით ბრტყელი გუმბათითაა გადახურული, გარედან კი – ორფერდა სახურავით.

თ. დვალი.

053. წმ. ელიას ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით 9-10 კმ-ზე, თელათწყლად წოდებულ ადგილზე. განკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს. ეკლ. დარბაზულია (6,1×4,3 მ), ნაგებია დაუდეგრად, სხვადასხვა ზომის ნატეხი ქვითა და რიყის ქვით. გარეთა კუთხეების წყობაში ალაგ-ალაგ კვადრ. აგურიცაა ჩართული. აგურითაა გამოყვანილი კამარა, კონქი და ეკლესიის შესასვლელი, რ-იც ჩრდ. კედლის დას. კიდეშია გაჭრილი. კარი თაღით ყოფილა გადახურული (შემორჩენილია დას. ქუსლის მცირე ნაწილი). იგი გარედან ჩასმულია საფეხურით შედრმავებულ სწორკუთხა არეში, რ-იც დასრულებულია ერთ რიგზე გამოყვანილი, ხერხულა წყობის ზოლით. შესასვლელი შიგნით, საფა-



053. ხედი დასავლ.

რაუდოდ, ხის ზღუდრით, თარაზულად ყოფილა გადახურული.

ეკლესიის შიდა სივრცე აღმოთ აფსიდითაა დასრულებული, რაც გეგმით უსწორმასწორო ნახევარწრის ფორმა აქვს და გრძივ კედლებს უშუალოდ ერთვის. აფსიდის ღერძზე გაჭრილია დაბალი, თარაზულად გადახურული სარკმელი, გვერდებში კი, თითო სწორკუთხა ნიშაა. სარკმლის ქვემოთ, კედელზე, აგურითა და ნატეხი ქვით ნაგები ოთხწახნაგა ტრაპეზია მიდგმული. აფსიდი გადახურულია აგურით ნაწყობი კონქით, რ-იც დარბაზის კამარისგან ოდნავ შეისრული ფორმის, აგურისაგე შეკიდული, საბჯენი თაღითაა გამოჯნული. ოდნავ შეისრული ფორმისაა კამარაც. იგი, აფსიდის თაღის გარდა, დას. კედლის მიმდებარე საბჯენ თაღსაც ეყრდნობა. ეს უკანასკნელი, აფსიდის თაღის მსგავსად, შეკიდულია.

აფსიდის სარკმლის გარდა, შიდა სივრცეს დას. კედელში გაჭრილი სარკმელიც აშუქებს. მას მიახლოებით, კვადრატის ფორმა აქვს და ბრტყლადაა გადახურული.

ეკლესიის კედლებში რამდენიმე სათოფურია მოწყობილი, რაც შენობას თავისებურებას ანიჭებს. მათგან თითო-თითო სათოფური გრძივ კედლებშია, ორი – დას. კედელში. შიგნით კედლები შეღესილია.

ეკლესიის ფასადებზე და შესასვლელის წყობაში, აქა-იქ, ნათულია ცისფრად მოჭიქული აგურის ნატეხები. შენობას სახურავის საფარი ჩამოშლილი აქვს. იგი, სავარაუდოდ, კრამიტით იყო გადახურული.

თ. დეკალი.

054. წმ. ნინოს ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ახალ სასაფლაოზე. ძ. თითქმის მთლიანადაა დანგრეული. შემორჩენილია მხოლოდ რიყის ქვითა და აგურის შერეული წყობით ნაშენი, აღმ., დას. და ჩრდ. კედლების მცირე ნაწილები (სიმ. 1-1,2 მ), დას. კედელში კი – შესასვლელის ზღურბლის ქვა.

ეკლესიის გეგმა გასუფთავების გარეშე არ იკითხება.

ბ. კუპრეიშვილი.

ზემო ქედი

(საკრებულოს ცენტრი)

055. ლომისის წმ. გიორგის ნიშა, ისტ., საკულტო ძ., მდებარეობს სოფლის განაპირას. თარიღდება XIX ს-ით. 1889 წელს, მეფის რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილებით შირაქში რუსები



055. გვერდშაპის დამლახვრელი წმ. გიორგის რელიეფური გამოსახულება

უნდა ჩამოესახლებინათ. ვაჟა-ფშაველას ინიციატივითა და ორგანიზატორობით სოფ. ზემო ქედში, ქვემო ქედსა და არხილოსკალოში ჩამოსახლდა და დამკვიდრდა აღმ. საქართველოს მთიანეთის მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი. მთიელებმა აქ ლომისის წმ. გიორგის სახელობის ნიშიც ააგეს. XX ს. 90-იან წწ-ში ნიშის ნაფუძარზე ადგილ. მაცხოვრებლებმა – ბურდულებმა ააგეს ამავე სახელწოდების ნიში, რ-ის აღმ. ფასადის წყობაში ჩასმულია დაახლ. წრიული ფორმის ქვის ფილა – გვერდშაპის დამლახვრელი წმ. გიორგის რელიეფური გამოსახულებით. რელიეფი ოსტატურადაა შესრულებული. სავარაუდოდ, იგი IX-X სს. განეკუთვნება.

ნ. გობეჯიშვილი.

056. ნამოსახლარები, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-აღმ-ით (0,5 კმ-ზე) და ჩრდ.-დას-ით (ერთი – 1 კმ-ზე, მეორე – 2,5-3 კმ-ზე). თარიღდება ძ. წ. II ათასწლეულის ბოლო – I ათასწლეულის დასაწყისით. აღმოჩნდა 2009 წ. ილიას სახელმწ. უნ-ტის მიერ წარმოებული არქეოლ. დაზვერვების დროს (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური).

ჩრდ.-აღმ. მდებარე ნამოსახლარი წრიულია (დიამ. – 100 მ). დაზიანებულია საჩონლისთვის სასამთრო სადგომების მშენებლობის დროს. ძგლის აღმ-ით დამრეცი ფერდობია, დას-ით – მაღალი მიწაყრილი. დას. მხარეს ებმის მეორე ნამოსახლარი (სიგრ. – 300 მ, სიგ. – 200 მ), რ-საც გარშემოუვლება მიწაყრილი (სიმ. – 2 მ).

ჩრდ.-დას-ით მდებარე ნამოსახლარებიდან ერთი (დიამ. – 200 მ-მდე) მთლიანად განადგურებულია გასული საუკუნის 70-იან წლებში. ბორცვი მთუსწორებიათ და აქ სხვადასხვა დანიშნულების საწყობები აუშენებიათ. სავარაუდოდ, ბორცვს გარსშემოუვლებოდა სათავდაცვო ზღუდე და თხრილი. ანარეკლ კერამ. მასალაში ჭარბობს ჭურჭლის მონაცრისფრო ფრაგმენტები.

მეორე ნამოსახლარი ბუნებრივი ბორცვის მოსწორებულ თხემზე იყო გამართული. ძ. ოვალურია (სიგრ. – 250 მ, სიგ. – 170 მ), გარშემოუყვება სათავდაცვო ზღუდე.

ვ. ვარაზაშვილი, კ. კ. ფიცხელაური.

057. ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ. განაპირას. თარიღდება გვიანდ. ბრინჯაო-ადრინდ. რკინის ხანით. წარმოადგენს თაქმოსწორებულ, ბუნებრივ, თხრილშემოვლებულ ბორცვს. 1970-იან წლებში მიაკვლია ՕԱՅ ინ-ტის კაე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური).

ნამოსახლარზე აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ნატეხები.

აღმოჩენილი მასალა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

კ. კ. ფიცხელაური.

ბიბლ.: 184.

058. სამარხი, არქეოლ. ძ. აღმოჩნდა შემთხვევით 1970 წ. სოფლის კლუბის საძირკვლის გათხრისას. ძ. შეისწავლა ՕԱՅ ინ-ტის კაე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). სამარხი თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევრით. ძეგლზე გამოვლინდა ხელით ნაძერწი ჯამი და ორი ქილა. ჭურჭლები ქვიშისა და წვრილი, თეთრმინარევიანი, მკვრივი თიხისგან არის დამზადებული. ქილებს ოდნავ გადაშლილი პირი და დაბალი ყელი აქვს. ერთი მათგანის მხარს გარშემოუყვება მსუბუქად ამოღარული მოკლე, ირიბი ხაზების ორი რიგი და ქვედა რიგზე მიბჯენილი ასეთივე ხაზებით შესრულებული ხვეულები. მეორე ქილას, ყელიდან მხარზე გადასვლის ადგილას, რელიეფური სარტყელი აქვს. კორპუსის ზედა ნაწილს კი – მოკლე, მსუბუქად ამოღარული ხაზებით შესრულებული ორნამენტი. ჯამი შავპრიალაა. აქვს ოდნავ გადაშლილი პირი, რ-საც ძირში დარი შემოსდევს. მხარს კი ამკობს მსხვილი, წერტილოვანი ორნამენტით შესრულებული ორი წყვილი ტეხილი ხაზი. ქილების ამოღარული და ჯამის წერტილოვანი ორნამენტი თეთრი, პასტისებრი ნივთიერებით არის შევსებული.

მოპოვებული არქეოლ. მასალა დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

რ. რუსიშვილი.

059. უსახელო გორის ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-დას-ით, 5 კმ-ზე, შირაქის პლატოს ჩრდ.-აღმ. ნაწილში. თარიღდება ძვ. წ. VIII-VII სს-ით. განადგურებულა ძვ. წ.



059. ღუმელი, გეგმა



059. ღუმელი, ჭრილები

VII ს-ის დასაწყისში – მტრის შემოსევის შედეგად. 1998 წ. შეისწავლა აკც-ის კაე-მ და ქ. ჰალეს (გერმანია) მარტინ ლუთერის სახ. უნ-ტის არქეოლოგთა ჯგუფმა (ხელმძღვ-ები: კ. ფიცხელაური, ა. ფურცვენგლერი). ნამოსახლარი წრიული (დიამ. 200 მ-მდე), ხელოვნურმიწაყრილიანი შემაღლებაა. მიწაყრილი ძეგლს გარშემოუყვებოდა სათავდაცვოდ. გაითხარა რამდენიმე საცხოვრ. სახლის ნაშ-



059. ღუმელი, საერთო ხედი



059. 1 ჭოთანი, 2 კოჭობი



059. შტანდარტი, ძვ. წ. IX-VIII სს.

თი მოლესილი იატაკებითა და კედლებმოლესილი ღუმლებით, ამასთან – ორი ორმო. ნამოსახლარის გარშემო, განსაკუთრებით აღმ-ით, ჩანს დასახლების კვალი (დასტურდება ნაცრიანი ადგილები). გამოვლინდა თიხის საბეჭდავები, კარგად გამომწვარი, უმეტესად მონაცრისფრო, მრავალფეროვანი ორნამენტით შემკული კერამიკა; სკვითური ორფრთიანი ისრისპირები, ბრინჯაოს აბჯრის ფრაგმენტები და შტანდარტი.

მოპოვებული არქეოლ. მასალა დაცულია ქ. დედოფლისწყაროს მხარეთმც. მუზეუმში.

ლ. ჭაბაშვილი.

ბიბლ.: 334.

060. ციხპარაანთ გორის ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, ყალადარის მთის სიახლოვეს, შირაქის ველზე თარიღდება ძვ. წ. VIII-VII სს-ით. 1996-97 წწ. შეისწავლა აკც-ის კაე-მ და ქ. ჰალეს (გერმანია) მარტინ ლუთერის სახ. უნ-ტის არქეოლოგთა ჯგუფმა (ხელმძღვ-ები: ქ. ფიცხელაური, ა. ფურტვენგლერი). ნამოსახლარი მრავალფენიანია. მისი ერთ-ერთი ფენა განადგურებული



060. დერგები



060. ნაგებობის ნაშთები



060. თიხის საბეჭდავები, ძვ. წ. IX-VIII სს.

ჩანს ძვ. წ. VII ს. დასაწყისში შემოსევის შედეგად. გათხრისას აღმოჩნდა, რომ [illegible] ფართოდ გამოიყენებოდა ალიზი. ნამოსახლარზე ფიქსირებულია ქვით მოკირწყლული ქუჩები და კარგად განვითარებული საკანალიზაციო სისტემა; რქოსანი ცხო-



060. 1 სასმისი, 2 ჭილა, 3 ფიალა, 4 ჯამი

ველის კერამ. ნიღბები, რ-ებიც შეიძლება სამ ტიპად დაიყოს. ნიღბები დადასტურდა სათავსების შიგნით და მის ფარგლებს გარეთაც. სავარაუდოდ, მათ რელიგიურ-მაგიური დანიშნულება უნდა ჰქო-



060. რქოსანი ცხოველის ნიღბები. ძვ. წ. IX-VIII სს.

ნოდა. გამოვლენილია ნაცრისფერი და მოყვითალო, კარგად გამომწვარი, მრავალფეროვანი ორნამენტის მქონე კერამ. ნაწარმი; თიხის საბეჭდავები; ქვის სანაყები, სასრესები, თოხები, მთელი ხელ-

საფქვავები და მისი ფრაგმენტები; ოსტეოლოგიური მასალა.

მასალა დაცულია ქ. დედოფლისწყაროს მხარეთმც. მუზეუმში.

ლ. ჭაბაშვილი.

ბიბლ.: 332; 333.

ზილჩის ველი

061. გორასამარხები, არქეოლ. ძ. მდებარეობს დედოფლისწყაროდან 80-85 *კმ*-ზე, მდ. ივრის ზეგანზე, ზილჩად წოდებულ დაცემულ ვაკეზე – შავ მთასა და დიდი შირაქის ველს შორის. ძეგლის შესწავლა დაიწყო 1981 წ. აკც-ის კაე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური, რაზმის ხელმძღვ. ზ. მახარაძე, გაითხარა გორასამარხი № 1) და გააგრძელა (1985-იდან 1989 წ-მდე) აკც-ის შირაქის არქეოლ. ექსპედიციამ (ხელმძღვ. ბ. მაისურაძე, გაითხარა № 2-დან № 10-ის ჩათვლით გორასამარხები). ძეგლები განსხვავებულად დათარიღდა: გორასამარხი № 1 თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისით; № 2 (ძირითადი, ქვედა დონის სამარხი) ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულით; ნაშვებული, ზედა დონის სამარხი – ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრით; № 3 – ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულით, № 4 – ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრით; № 5 – შუა ბრინჯაოს ხანის დასასრულით; № 6 და № 8 – დაუთარიღებელია დაზიანებისა და გაძარცვის გამო; № 7 – შუა ბრინჯაოდან გვიანდ. ბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი ხანით; № 9 და № 10 – ცრუ სამარხებია.

№ 1 გორასამარხი (დიამ. – 14 *მ*, სიმ. – 0,8 *მ*) ქვაყრილიანია. შემოსდევდა დიდი ქვების კრომლეხი. ქვაყრილის ქვეშ გამოვლინდა მართკუთხა, მომრგვალებულკუთხეებიანი, ჩრდ.-აღმ-ით დამხრობილი დასაკრძალავი კამერა (სიგრ. – 3,3 *მ*, სიგ. – 2 *მ*, სიმ. – 2,65 *მ*). სამარხში აღმოჩნდა დასაკრძალავი ორმოს გადამხურავი ხის ძელების ნაშთი. კამერის სამხრ-დას. ნაწილში, ორმოს იატაკიდან 0,45 *მ* სიმაღლეზე – მამაკაცის ჩონჩხი, რ-იც, საგარაუდოდ, ხის სარეცელზე ესვენა. მიცვალებული იწვა მარჯვ. გვერდზე, ძლიერ მოხრილი კიდურებით, თავით დას-ით. მიცვალებულის გვერდით, ხელებთან, იდო ბრინჯაოს მახვილი და მცირე სასმისი, ზურგს უკან – ამოკაწრული ორნამენტით შემკული მცირე თიხის ჭურჭელი. თიხის ჭურჭელი აღმოჩნდა სარეცლის ქვეშ, იატაკის დონეზე და კამერის სამხრ. კედელთან, ორმოს ძირზე. სარეცლის ქვემოთ დადასტურდა ცხვრის მთელი ჩონჩხიც, კამერის აღმ. ნაწილში კი – ძროხის მთელი ჩონჩხი, თავის ქალის გარეშე. სამარხში გამოვლენილი



061. გორასამარხი №1. 1 - ორყურა დერგი, 2 - ჭოთანი; 3 - დერგი, 4 - კოჭობი, 5 - ბრინჯაოს მახვილი

ჭურჭელი (ორყურა თუ უყურო დერგი, ქოთანი, კოჭობი, სასმისი და თიხის ჭურჭლის სხვა ფრაგმენტები) ქვიშანარევია, ცუდად გამომწვარი, ხელით უხეშად ნაძერწი.

№ 2 გორასამარხი (დიამ. – 18-22 *მ*, სიმ. – 1 *მ*) ქვაყრილიანია. მასში, მიწის პირიდან 1,2 *მ* სიღრმეზე აღმოჩნდა დას-იდან აღმ-ით დამხრობილი დასაკრძალავი ორმო – ძირითადი სამარხი (4,5×3), რ-ის დას. ნაწილში, 16 *სმ* სიღრმეზე, გამოვლინდა ადამიანის თავის ქალა და გაბნეული ძვლები. საგარაუდოდ, მიცვალებული დაკრძალული იყო მარცხ. გვერდზე, თავით დას-ისკენ და ესვენა არა იატაკზე, არამედ დიდი რაოდენობით ჩაყრილ-ჩალაგებულ ქვებზე. სამარხის ჩრდ. და სამხრ. ნაწილში მიმოფანტული იყო წერილფეხა და მსხვილფეხა საქონლის ძვლები. ჩრდ-აღმ. კუთხეში კი იდო ცხვრის თავის ქალა. სამარხში აღმოჩნდა: ქვის ჭურჭელი და ლახტისთავი; ობსიდიანის ქუსლამოღარული და კაჟის სამი ისრისპირი; ბრინჯაოს თხელი ფირფიტისგან დამზადებული ოთხი მოკლე, მილისებრი, კედლებგახსნილი ნივთი; აბჯრის ხუთი თხელი, მრგვალი ფირფიტა (დიამ. – 7-9 *სმ*), შუაში ერთი, ნახვრეტზე კი რამდენიმე ხვრელით. ფირფიტებს კიდეზე შემოუყვება კოპების ორი რიგი; სამარხებში გამოვლინდა აგრეთვე ყუნწიანი სატევარი; ოქროს მძივები (შემაერთებლები) და თხელი ოქროსავე ფირფიტისგან დამზადებული მძივები, ოქროს მასიური ორი სასფეთქლე ხვია; პასტის იოტები; თიხის სამი ჭურჭელი, რ-თაგან ერთი შავი ფერისაა, ქვიშანარევი თიხით დამზადებული. მეორე – ვარდისფერი, ქვიშანარევი თიხისგან, მესამე კი – შავად გამომწვარი, წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისგან ნაძერწი.

ძირითადი სამარხის ქვემოთ, ძირიდან 75 *სმ* სიღრმეზე, აღმოჩნდა ქვედა – ნაშვებული სამარხი, რ-შიც მიცვალებული ესვენა მარცხ. გვერდზე, ძლიერ მოხრილი კიდურებით, თავით დას-ით. მიცვალებულის წინ, სამარხის ჩრდ. მხარეს, გამოვლინდა წერილფეხა საქონლის ძვლები. ორმოში დადასტურდა აგრეთვე ქვის მსხლისებრი ლახტისთავი და თიხის ხუთი ჭურჭელი. ჭურჭელი დამზადებულია სუფთად განლექილი თიხისგან. მათ შორისაა შავპრიალა, ვარდისფერსარწყულიანი და შავი, ნაცრისფერსარწყულიანი და შავად გამომწვარი კათხები, ერთი ან ორი მრგვალგანივკვეთიანი ყურით. ორი კათხა სადაა, სამი – ამოღარული ორნამენტითაა შემკული.

№ 3 გორასამარხში (დიამ. – 15,4 მ, სიმ. – 1 მ) მიწის ზედაპირიდან 0,65 მ სიღრმეზე აღმოჩნდა გაძარცული დასაკრძალავი ორმო (2,8×2,5 მ), რ-იც აღმ-იდან დას-ით იყო დამხრობილი. სამარხში გამოვლინდა შავპრიალა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. ჭურჭლს მუცელზე გარშემოუყვება ორი ამოღარული ხაზი, რ-ის ქვემოთ ორი ფოსოა დატანილი; დადასტურდა აგრეთვე ძვლის საკიდები და წვრილფეხა საქონლის კოჭები.

№ 4 გორასამარხის (დიამ. ჩრდ-იდან სამხრ-ით – 15 მ, აღმ-იდან დას-ით – 12 მ, სიმ. – 0,8 მ) ცენტრში, მიწის ზედაპირიდან 0,7 მ სიღრმეზე, გამოვლინდა რიყის ქვის წრიული წყობა, რ-საც ჩრდ.-დას. ნაწილში ქვის წყობის მეორე რიგი ჰქონდა, ხოლო სამხრ.-აღმ-ით – რიყის ქვის დრომოსი (სიგრ. – 2,8 მ, სიგ. – 2 მ). ორმოს კედლები ამოშენებული იყო ქვით და თიხის ხსნარით. სამარხი კოლექტიური იყო. სამარხი ორმოს ჩრდ.-დას. ნაწილში ფიქსირებულია შელესილობის კვალი; ჩრდ. კედლის გასწვრივ – ხის ძელების ნაშთები; ქვის წრიული წყობის სიღრმეში – ცეცხლისა და ნაცრის კვალი. სამარხის იატაკის (აღმოჩნდა ზედაპირიდან 1,6 მ სიღრმეზე, სიგრ. – 3 მ, სიგ. – 2,5 მ) ცენტრში, ნაცარში, გამოვლინდა მიცვალებულის ძლიერ დამწვარი ძვლები და ადამიანის ქვედა ყბა, სამხრ.-დას-ით – თავის ქალის, მკლავისა და კიდურების ძვლების ფრაგმენტები. სამარხი ორმოს სხვადასხვა ნაწილში აღმოჩნდა ხელით ნაძერწი თიხის ექვსი ჭურჭელი; უხეში, ქვიშანარევი თიხისგან დამზადებული ქოთანი, ტოლჩა და შვერილიანი ჯამი. მათგან ქოთანი და ტოლჩა მოყავისფრო-მონაცრისფროდ არის გამომწვარი, ჯამი – მოყავისფროდ, აქვს რუხი ლაქები. ჭურჭლის ზედაპირი პრიალაა ან სუსტად ნაპრიალები; ქვიშანარევი მკვრივი კეცის მქონე ცილინდრული ჭურჭელი, ბადია და სამარხეული მეორე ჯამი. აქედან პირველი ორი რუხი ფერისაა, მესამე – მორუხო-მოყავისფრო, შავი ლაქებით. ჭურჭლს სუსტად ნაპრიალები ზედაპირი აქვს. ქოთნის პირსა და მხარზე, ასევე ცილინდრული ჭურჭლის პირსა და გვერდზე, ერთმანეთის მოპირდაპირედ, ოვალურგანივკვეთიანი ყურია მიძერწილი; ტოლჩას კი მასიური, კეხიანი, ოვალურგანივკვეთიანი ყური პირსა და მხარზე აქვს მიმაგრებული. ერთ-ერთი ჯამის პირზე შვერილია მიძერწილი.

№ 5 გორასამარხის (დიამ. – 7 მ, სიმ. – 0,7 მ) ცენტრალურ ნაწილში, მიწის ზედაპირიდან 0,68 მ სიღრმეზე აღმოჩნდა სამხრ.-აღმ-იდან ჩრდ.-დას-ით დამხრობილი, გაძარცული დასაკრძალავი ორმო (3×2 მ), რ-იც სავარაუდოდ, გადახურული იყო ხის ძელებით.

№ 7 გორასამარხი ქვაყრილიანი იყო, რ-ის ყრილი (შემორჩენილი სიმ. მიწის ზედაპირიდან – 0,1 მ) დაზიანებულია ამ ტერიტორიაზე გზის გაყვანის გამო. სიღრმეში გამოვლინდა წრიული ყრილი (წყობა?). მისი შიდა დიამ. – 9,5 მ-ია, გარეთა – 13 მ, ყრილების ზემოთ – თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. სავარაუდოდ, აქ ნაშენებული სამარხები იყო, რ-იც ასევე გზის გაყვანისას დაზიანდა. შიდა წრის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა ქვაყრილიანი დასაკრძალავი ორმო (3×2,6 მ), რ-იც ამოვსებული იყო საშ. და დიდი ზომის ქვებით. გადახურვის კვალი არ შეიმჩნეოდა. იატაკი მდებარეობდა ჰუმუსური ფენის (სიმძლავრე – 1,3 მ) ქვეშ. დასაკრძალავ ორმოში აღმოჩნდა მარჯვ. გვერდზე დასვენებული, თავით ჩრდ-ით მიმართული მიცვალებული, რ-საც მარცხ. ხელი სახის წინ ჰქონდა მოხრილი. მარჯვ. კი – გაჭიმული. მოხრილ მდგომარეობაში ელაგა ქვედა კიდურებიც. მიცვალებულის სახის წინ იდო ჩარხზე დამზადებული მკვრივი, თეთრმინარევიანი თიხის შავად გამომწვარი ქილა, რ-საც პირზე ამოღარული, ხოლო ტანის ქვედა ნაწილში – ამოკაწრული, წრიული ხაზები შემოუყვება. სამარხის ჩრდ.-აღმ. ნაწილში გამოვლინდა მსხვილფეხა საქონლის ძვლები.

გაძარცულ № 8 გორასამარხში არც თიხის და არც ოსტეოლოგიური მასალის არანაირი კვალი არ აღმოჩენილა. დასაკრძალავი ორმოს სამხრ. კედელთან, ნაყარ ფენაში, გამოვლინდა მხოლოდ ოქროს ხვია.

არქეოლ. მასალა ინახება ქ. დედოფლისწყაროს მხარეთმც. მუზეუმში.

რ. რუხიშვილი.

ბიბლ.: 9; 120; 165; 278; 279; 291; 309.

062. ნამოსახლარები, არქეოლ. ძ. ერთი ჯგუფი მდებარეობს ველის აღმ-ით და სამხრ-ით, მდ. ლეკისწყლის მარცხ. ნაპირას, სერზე, მეორე კი – ველის სამხრ.-აღმ-ით. თარიღდებიან ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლო – I ათასწლეულის დასაწყისით. მიკვლეულია 2009 წ. ილიას სახელმწ. უნ-ტის არქეოლ. დაზვერვების დროს (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). პირველი ჯგუფის ნამოსახლარებიდან ერთი მათგანი (სიგრ. – 100 მ, სიგ. – 50 მ) ჩრდ-იდან სამხრ-ითაა დამხრობილი. ალაგ-ალაგ შემორჩენილია სათავდაცვო ზღუდის ნაშთი. მეორე ნამოსახლარი მოგრძოა, სამხრ.-აღმ-იდან ჩრდ.-დას-ით მიმართული (სიგრ. – 150 მ, სიგ. – 40 მ). სამხრ. და აღმ. მხარე შემოსაზღვრულია ციცაბო ფერდობით, ჩრდ. მხარე – მაღალი ზღუდით. ზღუდის გარეთ, ჩრდ. ფერდობზე და დას-ით, კარგად ჩანს დასახლებების კვალი. ძეგლზე აიკრიფა თიხის ჭურჭლის მონაცრისფრო ფრაგმენტები.

მეორე ჯგუფის ნამოსახლართაგან ერთი ოვალურია, სამხრ-აღმ-იდან ჩრდ.-დას-ით მიმართული. გამართულია თავმომრგვალებულ სერზე. ზედაპირი სწორი აქვს, ჩრდ-ით დაფერდებული. გააჩნია სათავდაცვო ზღუდე (სიმ. – 3-4 მ), დანარჩენი მხარე ციცაბო ფერდობებითაა შემოსაზღვრული. ნამოსახლარზე აკრეფილი მასალა მონაცრისფროდ გამომწვარი თიხის ჭურჭელია.

ძეგლის მახლობლად, 50 მ-ზე, გამოვლინდა მეორე მოგრძო, აღმ-იდან დას-ით მიმართული, ცენტრში მცირე შემაღლების მქონე ნამოსახლარი (სიგრ. – 100 მ, სიგ.

– 50 მ), რ-საც სამხრ-იდან ციცაბო ფერდობები ესაზღვრება, ჩრდ-იდან კი – ტერასიანი სათავდაცვო ზღუდე.

ნამოსახლარებზე აკრეფილი მასალა დაცულია ილიას სახელმწ. უნ-ტში.

ვ. ვარაზაშვილი, კ. კ. ფიცხელაური.

063. რკინის სადნობი სახელოსნოები, არქეოლ. ძ. მიკვლეულია 2009 წ. ილიას სახელმწ. უნ-ტის არქეოლ. დაზვერვების დროს (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). სახელოსნოები ორი ჯგუფისგან შედგება. ერთი მდებარეობს ველის ჩრდ-დას-ით, ერთ-ერთი მშრალი ხევის სათავეში, მეორე – მდ. ლეკისწყლის ხეობიდან სამუხის ველზე გამავალი გზის მარჯვ. მხარეს, ხრამის ნაპირას. სავარაუდოდ, უნდა დათარიღდეს ძვ. წ. I ათასწლეულით.

პირველ ჯგუფში დადასტურდა რამდენიმე სახელოსნო (დიამ. – 30 მ-იდან 50 მ-მდეა). ზოგ მათგანზე შეიმჩნევა წიდის მოზრდილი ფრაგმენტებიც. მეორე ჯგუფში გამოვლინდა ოთხი პუნქტი (თითოეულის ზომებია, დაახლ. – 50×50 მ). კარგად ჩანს წიდის დიდი გროვები.

ვ. ვარაზაშვილი, კ. კ. ფიცხელაური.

თავწყარო

(ოზაანის თემის საკრებულო)

064. ორსაყდრები, ე კ ლ ე ს ი ა, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-აღმ-ით. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით. დარბაზულია, გეგმით სწორკუთხა. დანგრეულია. შემორჩენილია რიყის ქვითა და კირის დუღაბით ნაშენი კედლების ნაწილები, რ-თა შორის ყველაზე დიდ სიმაღლეზე აღმ. კედელი დგას (მაქს. სიმ. 2,5 მ).

შესასვლელი დას-იდანაა. აღმ-ით კუთხეებმომრგვალებული საკურთხეველია, რ-ის აღმ. კედელში სწორკუთხა სარკმელი, ხოლო ჩრდ. კედელში მცირე ოთხკუთხა ნიშაა მოწყობილი.

ბ. კუპრეიშვილი.

065. ტახტიფერდას ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლიდან სამხრ-ით, დაახლ. 2 კმ-ზე.

ძეგლზე წარმოდგენილია სხვადასხვა პერიოდის კულტ. ფენები. უძველესი ფენა თარიღდება ძვ. წ. XVII ს-ით, უახლესი – ძვ. წ. X-VII სს-ით. ნამოსახლარი ბუნებრივი ბორცვია (სიმ. – 20 მ, თხემის ზომები – 200×80 მ), რ-ის ჩრდ. ფერდზე ხელოვნური ტერასაა შექმნილი. ნამოსახლარი აღმოაჩინა და 1989-91 წწ. ბორცვის თხემზე მცირე არქეოლ. გათხრები ჩაატარა აკც-ის შირაქის არქეოლ. ექსპედიციამ (ხელმძღვ. ბ. მაისურაძე). ბორცვის თხემზე 1989 წ. გაკეთდა 10 მ-ის კვადრატები და ორი სადაზვერვო თხრილი. 1990 წ., თხრილებზე განახლებული სამუშაოების დროს, მრავლად აღმოჩნდა თიხის სხვადასხვა ჭურჭლის ფრაგმენტები, ბრინჯაოს ბრტყელი ცული, მახათი და სამეურნეო დანიშნულების ორმოები. იმავე დანიშნულების ორმოები (დიამ. – 1,45-1,75 მ, სიღრმე – 25-30 სმ) გაითხარა 1991 წელსაც. 2002 წლიდან ძეგლით დაინტერესდა ქ. ჰალეს (გერმანია) მარტინ ლუთერის სახ. უნ-ტის არქეოლოგთა ჯგუფი, მაგრამ მათ სამუშაოები პრაქტიკულად არ ჩაუტარებიათ. 2004-2006 წწ. გათხრები აკც-ის კავ-სთან ერთად გააგრძელა გერმანიის არქეოლ. ინ-ტის ევრაზიის განყ-ბამ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური, ი. ბოტცენბკერი), რ-მაც სამი წელი იმუშავა.

ნამოსახლარზე 2004 წელსვე გაითხარა შუა ბრინჯაოს ხანის კულტ. ფენის მქონე ნაცეხარი. სავარაუდოდ, აქ ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისში თავდაპირველად აუგიათ მძლავრი დასახლებული პუნქტი, რ-იც დაცული იყო თიხის გალავნით (სიგ. – 4 მ). დასახლება რამდენჯერმე განადგურებულა. შუა ბრინჯაოს ხანის საკმაოდ განვითარებულ საფეხურზე მისთვის შემოუვლიათ მძლავრი სათავდაცვო ზღუდე-გალავანი (სიგ. – 6 მ), რ-ის შიდა ნაწილი ხის გადაჯვარედინებული მორების ბადითაა ნაგები. ბადის შიდა ღიობები ქვა-ღორღით ყოფილა შევსებული. გალავანს ორივე მხრიდან ქვის სქელი პერანგი აქვს.

ბორცვის ზედაპირზე შემორჩენილი ქვის [illegible] მიხედვით, ციხეში [illegible] კედელში იყო დატანებული (სიგ. – 4 მ), რ-საც ორივე მხრიდან იცავდა გალავანში ჩაშენებული ოთხკუთხა კოშკები. ერთ-ერთი კოშკის წინ კედლის სიგ. 9 მ-ია.

ტახტიფერდას ნამოსახლარში დადასტურდა საზ-ბის მაღალი ფენის წარმომადგენლების სტაციონალური ნაბინავარი, სადაც ისინი თითქმის 400-500 წ. განმავლობაში ცხოვრობდნენ. მათი ნამოსახლარის საფორტიფიკაციო ნაგებობა გეგმარებით, მასშტაბურობით და სამშენ. ტექნიკით იდენტურია წინა აზიის თანადროული ძეგლებისა.

ძეგლზე მოპოვებული არქეოლ. მასალა ინახება ქ. დედოფლისწყაროს მხარეთმც. მუზეუმში.

რ. რუსიშვილი, ლ. ჭაბაშვილი.

ბიბლ.: 121; 190.

მირზაანი

(ზემო მაჩხაანის თემის საკრებულო)

066. ალავერდის ეკლესია, წ მ. ი ო ს ე ბ ა ლ ა ვ ე რ დ ე ლ ი ს ე კ ლ ე ს ი ა, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-აღმ. განაპირას, სასაფლაოზე.

ძ. სხვადასხვა პერიოდისა და სიდიდის ორი ნაწილისგან შედგება, რ-ებიც გეგმით ერთმანეთზე მიდგმულ სხვადახვა ზომის ორ სწორკუთხედს ქმნის. თავდაპირ-



066. გეგმა

ველად აქ მდგარა მცირე დარბაზული ეკლ. (გარეთა სიგ. – 4,2 მ, სიგრ. არ დგინდება), რ-იც მოგვიანებით განაახლეს (როგორც ჩანს, ძლიერი დაზიანების შემ-

დგომ), დას-იდან მიადგეს მოზრდილი დარბაზი (7,3×6,2 მ, ძვ. ეკლესიის შემორჩენილი ნაწილი (საკურთხეველი და დარბაზის თითქმის ნახევარი) ახ. ეკლესიის კორპუსში ჩართეს და მის საკურთხევლად აქციეს.

შენობის თავდაპირველი ნაწილი გვიანდ. შუა საუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს, მოგვიანებით მიშენებული ნაწილი კი – XVIII ს-ის მიწურულით ან XIX ს-ის დასაწყისით. როგორც ჩანს, ამავე დროისაა თავდაპირველ ეკლესიაზე დაშენებული სამრეკლო.

ეკლესიის ძვ. ნაწილი ნაგებია საშუალო ზომის რიყის ქვით – კირის სქელ დულაბზე. გვიანდ. ნაწილი კი – რიყის ქვისა და კვადრ. აგურის შერეული წყობით. კედლები ძირითადად ერთრიგად დაწყობილი რიყის ქვისა და აგურის თარაზული რიგების მონაცვლეობითაა ნაწყობი, არქიტ. და კონსტრ. ელემენტები კი მთლიანად აგურისაა.

ეკლესიას სწორკუთხა შესასვლელი დას-იდან აქვს. იგი გარედან საფლავის მოზრდილი ქვებითაა გამოყვანილი. შიგნიდან კი – აგურით. საკურთხეველის აფსიდი ოდნავ ნალისებრი ფორმისაა. მისი ქვედა ნახევარი თავდაპირველია და გრძივი კედლებიდან მოკლე მხრებითაა გამოყოფილი. აფსიდს მხრები იატაკიდან დაახლ. 2-2,3 მ სიმაღლეზე აუყვება. ზედა ნაწილი კი გვიანდელია და თავდაპირველი ეკლესიის კედლებს ზედა ნაწილებთან ერთად, მოგვიანებით, დარბაზის მიშენების დროსაა აღდგენილი. ამავე დროისაა კონქის თაღიც. კონქის თაღის წინ ფართო შეისრული თაღია, რ-იც საკურთხეველს დარბაზთან აკავშირებს. აფსიდში გაჭრილია ნახევარწრიული თაღით



066. აღმ. ფასადი



066. ხედი სამხრ.-აღმ-დან



066. გრძივი ჭრილი, ხედი სამხრ.-კენ

დასრულებული სარკმელი, რ-ის ორივე მხარეს მოწყობილია თითო ოთხკუთხა ნიშა. ორ-ორი მსგავსი სარკმელია გაჭრილი დარბაზის გრძივ კედლებში, ერთიც დას. კედელშია – შესასვლელის ზემოთ. მათგან სამხრ. კედლის აღმ. ნაწილში მდებარე სარკმლის ქვედა მოთ მოწყობილია ანგობი, რომელსაც კუთხა ნიშა. საკურთხევლის ბაქანი დარბაზის იატაკის მიმართ ოდნავ შემაღლებულია და შუაში ნახევარწრიული ამბიონი აქვს მოწყობილი.

დარბაზის გრძივი კედლების შუაში თითო განიერი პილასტრია, რ-ებზეც კამარის საყრდენი, შეისრული საბჯენი თაღია გადაყვანილი. შეისრული ფორმისაა კამარაც. თითო პილასტრი აღმ. და დას. კუთხეებშიცაა. მათ შესაბამისი კედლის მიმდებარე საბჯენი თაღები ეყრდნობა.

ინტერიერი შელესილია.

ეკლესიის ფასადებიდან მხოლოდ აღმ. და დას. ფასადებია მორთული. მათზე წყობაში შერმავებული, საფეხუროვან პოსტამენტზე დაყრდნობილი ჯვრის თითო გამოსახულებაა. აღმ. ფასადზე, დამატებით, ჯვრის ორივე მხარეს, ერთიმეორის თავზე განლაგებული, ორ-ორი რომბისებრი ელემენტია. დას. ფასადზე მდებარე ჯვრის ზედა მკლავში კი სარკმლის ღიობია მოქცეული.

ეკლესიის ორივე ნაწილის კედლები დასრულებულია ოთხსაფეხურიანი ლაგვარდნით, რ-იც ჩვეულებრივად და კუთხით ნაწ-

ყობი აგურის რიგების მონაცვლეობისგან შედგება.

სამრეკლო რვაწახნაგოვანია. ყველ წახნაგში შეისრულთაღიანი ღიობია მოწყობილი. წიბოებს კი სადა პილასტრი აუყვება, რთაც ზემოთ ორსაფეხურიანი ხოლი აკავშირებს. სამრეკლოს რვაწახნაგოვანი, პირამიდული სახურავი აქვს.

2010 წელს, საერთაშ. საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით ჩატარდა ეკლესიის სარეაბილიტაციო სამუშაოები. საკურთხეველში დაიდგა ტრაპეზი, მოეწყო ცემენტის იატაკი, აღდგა ლავგარდნის ჩამოშლილი ნაწილები, ეკლ. გადაიხურა ღარისებრი კრამიტით, ხოლო სამრეკლო – თუნუქით.

თ. დვალი.

067. ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის აღმ-ით, 1 *კმ*-ზე ქველაწმინდის ეკლესიასთან ახლოს, რამდენიმე *მ*-ში. თარიღდება შუა საუკუნეებით. შენობა გეგმით სწორკუთხაა. დანგრეულია – შემორჩენილია რიყის ქვით ნაგები კედლების მცირე ფრაგმენტები. შესასვლელი დას-ით ჰქონია, აღმ-ით – ნალისებრი აფსიდი.

ბ. კუპრეიშვილი.

068. კავთის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფელში, მცირე ბორცვზე. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.



068. ხედი სამხრ-დას-იდან

ეკლ. დარბაზულია (5×3,2 *მ*). ძირითადად ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვით, გარეთა კუთხეები, კარ-სარკმელთა ღიობები და ლავგარდანი – აგურით.

2007-08 წწ-ში ეკლ. შეკეთდა საერთაშ. საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ ფინანსური დახმარებით (ეკლესიის ირგვლივ მოიხსნა ნაყარი მიწა, გამაგრდა საძირკველი, კედლებში გაჩენილი ბზარები ამოივსო კირის ხსნარით, აღდგა კედლების ზედა, მონგრეული ნაწილები და ლავგარდანი, ეკლ. გადაიხურა კრამიტით).

შესასვლელი დას-იდანაა. კარი გარედან ოდნავ შეისრული თაღითაა გადახურული, შიგნიდან კი სწორკუთხაა. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის ღერძზე მცირე, ბრტყლად გადახურული სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ორივე მხარეს თითო სწორკუთხა ნიშაა. ერთი მსგავსი სარკმელი დას. კედელშიცაა. აღმ. სარკმლის ქვემოთ, კედელზე, აგურით ნაშენი ოთხწახნაგა ტრაპეზია მიდგმული. მსგავსი, ოღონდ ოდნავ მცირე ტრაპეზია მიშენებული ჩრდ. ნიშის ქვემოთაც. იგი, როგორც ჩანს, სამკვეთლოდ გამოიყენებოდა. აფსიდის ბაქანი დარბაზის იატაკთან მიმართებით საფეხურითაა (დაახლ. 20 *სმ*) შემაღლებული და რიყის ბრტყელი ქვებითაა მოგებული.

ეკლ. შიგნით გადახურულია რიყის ქვით ნაწყობი სამკუთხა კამარით. თითქმის იგივე ფორმისაა კონქის თაღიც, რ-იც წყერში ოდნავ მოძრგვალებულია.

ეკლესიის ფასადები სადაა. ერთადერთ დეკორაციულ მახვილს ქმნის დას. სარკმლის საპირე, რიც ცისფრად მოჭიქული აგურითაა გამოყვანილი.

შენობა დასრულებულია სამსაფეხურიანი ლავგარდნით, რის ქვედა და ზედა საფეხურები ნეულებრივად დაწყობილი აგურის რიგითაა გამოყვანილი, შუა კი – კუთხით შვერილი აგურის რიგით.

ეკლესიის სახურავის კეხის დას. კიდეში შემორჩენილი იყო აგურის სამრეკლოს ოთხწახნაგა საფუძვლის ნაშთი, რ-იც შეკეთების დროს მოიხსნა.

თ. დვალი.

069. კვირაცხოვლის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს შუა სოფელში, მთავარი სამარშრუტო გზის პირას. ძ. სხვადასხვა პერიოდის ორი შენობისგან შედგება – თავდაპირველად აქ მდებარე XVIII ს-ის პატარა დარბაზული ეკლესიისგან (8,1×5,2 *მ*) და მოგვიანებით (XIX ს-ში) მასზე დასიდან მიშენებული, რამდენადმე მოკლე, მაგრამ ოდნავ განიერი საკურთხევლისგან, რ-იც გეგმით თითქმის (6×5,9 *მ*) კვადრატს უახლოვდება.

2010 წელს საერთაშ. საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით ჩატარდა ეკლესიის სარეაბილიტაციო სამუშაოები. აღდგა თავდაპირველი ეკლესიის დას. კედელზე მდგარი აგურის ოთხწახნაგა სამრეკლო (შემორჩენილი იყო საფუძველი) და ლავგარდნის ჩამოშლილი ნაწილები, ეკლ. გადაიხურა ღარისებრი კრამიტით.

ეკლ. ძირითადად რიყის ქვითაა ნაგები, ღიობები, კონსტრ. ელემენტები და ლავგარდანი გამოყვანილია აგურით. გარდა ამისა, აგური ალაგ-ალაგ გარეთა კუთხეების წყობაშიცაა ნართული. კედლები შიგნიდან და გარედან შელესილია. ეკლესიისგან განსხვავებით, მინაშენის წყობაში აგური ჭარბადაა მოხმარებული. წყობაში ასევე გამოყენებულია საფლავის როგორც მთლიანი, ისე სხვადასხვა სიდიდის ფრაგმენტებიც.

ეკლესიას ორი სწორკუთხა შესასვლელი აქვს, ორივე მინაშენშია – სამხრ-იდან და დას-იდან. მათგან სამხრ-ისა მინაშენის შესაბამისი კედლის აღმ. ნაწილშია, ხოლო დას-ისა, გაცილებით განიერი, კედლის შუაშია გაჭრილი.

ეკლესიის შიდა სივრცე მნიშვნელოვნადაა დაგრძელებული (შიგნით სიგრ. საკურთხევლის ჩათვლით – 12 *მ*-ია). აღმ-ით იგი დასრულებულია საკურთხევლის ნახევარწრიული აფსიდით, რ-ის ღერძზე სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. აფსიდში სამი ნიშაა – ერთი სამხრ-ით და ორი ჩრდ-ით. საკურთხეველი ეკლესიის დარბაზის მიმართ საფეხურითაა (დაახლ. 20 *სმ*-ით) შემაღლებული და შუაში ნახევარწრიული ამბიონი აქვს მოწყობილი. საკურთხეველის იატა-



069. გეგმა

კი მოგებულია კვადრ. აგურით (21×21×4,5 *სმ*), აფსიდი გადახურულია წესიერი ფორმის კონქით.

ეკლესიის თავდაპირველი ნაწილის გრძივ კედლებზე ორი წყვილი პილასტრია, რ-ებზეც კამარის საბჯენი შეისრული თაღებია გადაყვანილი. შეისრული ფორმისაა კამარაც. პილასტრების აღმ. წყვილითა და მათზე დაყრდნობილი საბჯენი თაღით საკურთხევლის სივრცეა გამოყოფილი. გრძივ კედლებზე ორ-ორი განიერი, შეისრული თაღით გადახურული ნიშაა. მათ შორის აღმ. წყვილში თითო სარკმელია გაჭრილი, რ-თა თაღები შესაბამისი ნიშის თაღს ერწყმის. ორივე სარკმელი გარედან სწორკუთხაა.

დარბაზის იატაკიც აგურისაა, მაგრამ აქ აგური გაცილებით დიდი ზომისაა (35×35×8 *სმ*).



069. გრძივი ჭრილი, ხედი ჩრდ-კენ

ეკლესიის დას. მინაშენის გრძივი კედლების შუაში და კიდეებში ერთსაფეხურიანი პილასტრებია მოწყობილი, რ-ებზეც კამარის საბჯენი თაღებია დაყრდნობილი. კამარაც და თაღებიც შეისრულია.

მინაშენი განათებულია ოთხი თაღოვანი სარკმლით. მათ შორის ორი ჩრდ. კედელშია, პილასტრის გვერდებზე, ხოლო თითო-თითო – სამხრ-ით და დას-ით. ინტერიერი შელესილი და შეთეთრებულია.

ეკლესიის ფასადებიდან მხოლოდ დას-ისაა მორთული. აქ შესასვლელის გვერდებზე, ერთიმეორის ზემოთ, აგურის წყობით სამ-სამი შეღრმავებული, ტოლმკლავა ჯვარია გამოსახული. შესასვლელის თავზე მცირე, შეღრმავებული რომბია, უფრო ზემოთ – თაღოვანი სარკმელი და საფეხურებიან ბაზაზე აღმართული ჯვარი, რ-იც ფრონტონის წვერშია მოქცეული.

ეკლესიის ორივე ნაწილის კედლები დასრულებულია ოთხსაფეხუროვანი ლავგარდნით,რ-იც შედგენილია ჩვეულებრივად დაწყობილი და კუთხით შვერილი აგურის რიგების მონაცვლეობით.

თ. დვალი.



069. ხედი სამხრ-დას-იდან

070. ნაეკლესიარი, არქიტ. ძ. მდებარეობს მდებარეობს სოფლის აღმ-ით, 1 *კმ*-ზე, ყველაწმინდის ეკლესიის სამხრ-ით, რამდენიმე *მ*-ში.

ძ. მთლიანად დანგრეულია. შემორჩენილია დას. კედლის საძირკვლის ფრაგმენტები.

ბ. კუპრეიშვილი.



071. მხატვრის მიერ 1898 წელს აგებული სახლი

071. ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმი, ისტ. ძ. მდებარეობს ფიროსმანაათ უბანში. მემორ. კომპლექსი (მოიცავს 7 ჰა-ს). დაარსდა 1960 წ. მხატვრის მიერ 1898 წ. აშენებული სახლის ბაზაზე კომპლექსში შედის: საცხოვრ. სახლი, დამხმარე ნაგებობები, 1979 წ. აგებული საგამოფენო დარბაზი, რ-შიც ექსპონირებულია მხატვრის ორიგინალური ტილოები („გარმონზე დამკერელი ქალი", „დათვი თავისი ბელებით", „თამარ მეფე", „კალოობა", „მალაკნების ქეიფი", „მუშა სოსო", „მწოლიარე ქართველი ქალი", ნატურმორტი შაქრის თავით, „ქალი საალდგომო კვერცხებით", „შოთა რუსთაველი", „წარაფი"). მუზეუმში დაცულია 9 000-ზე მეტი ექსპონატი. მათ შორის ფიროსმანის 1890 წ. შეკვეთილი პირადი საქმე, რ-იც ნათელს ჰფენს ფიროსმანის ბიოგრაფიას; პაბლო პიკასოს ლითოგრაფია „ფიროსმანაშვილის პორტრეტი", XX ს-ის ქართველ მხატვართა (ლ. გუდიაშვილი, ქ. მალალაშვილი, კ. გურული, ნ. იანქოშვილი და სხვა) ნამუშევრები, XIX-XX სს. ქართული ყოფის ამსახველი ექსპონატები – ხალიჩები, ფარდაგები (მათ შორის ფიროსმანაშვილის მიერ მოქსოვილი ფარდაგი), ჭურჭელი, სამუშაო იარაღები და სხვ.

თ. ნატროშვილი.

ბიბლ.: 138.



071. მთავარი საგამოფენო დარბაზი

072. ყველაწმინდის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის აღმ-ით, 1 კმ-ზე, გორაზე. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით. აღგილ. მოსახლეობის გადმოცემით, 1870 წელს ამ ეკლესიაში დაქორწინებულა ცნობილი ქართვ. მხატვრის ნიკო ფიროსმანაშვილის უფროსი და მარიამი.

ეკლ. დარბაზულია და გრძივი ღერძის მიმართულებით შესამჩნევადაა წაგრძელებული (12,2×5,8 მ). ნაგებია რიყის ქვითა და აგურით, კედლები ძირითადად რიყის ქვისაა, რ-შიც, თანაბარი ინტერვალებით, აგურის თარაზული რიგებია ჩართული. სარკმელთა ღიობები და კონსტრ. ნაწილები გამოყვანილია კვადრ. აგურით. კედლები გარედან შელესილია.

ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს: სამხ-ით და დას-ით, ორივე გარედან საფლავის ქვით, შიგნიდან კი, ხის ძელებით თარაზულად გადახურული. დას. შესასვლელი მიწიდან 0,9 მ სიმაღლეზეა და წინიდან ქვის კიბე ჰქონდა მოწყობილი. კარს შიგნიდან შემორჩენილი აქვს კიბის სამი საფეხური, რ-თაგანაც ორი შესასვლელის ძირზეა გამოყვანილი, ერთი კი მის წინაა.



072. გეგმა

ეკლესიის შიდა სივრცე აღმ-ით დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით, რ-შიც განიერი, მაღალი, თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. თითო თაღოვანი სარკ-

მელი გრძივი კედლების აღმ. ნაწილში და დას. კედლის ღერძზეა. აფსიდში სამი სწორკუთხა ნიშაა.



072. განივი ჭრილი, ხედი აღმ-კენ

მათგან ერთი – სარკმლის სამხრითაა, ორი – ჩრდ-ით. ერთი სწორკუთხა ნიშა ჩრდ. კედლის აღმ. ნაწილშია, სარკმლის გვერდით. საკურთხევლის შუაში დგას კუბისებრი ტრაპეზი. საკურთხევლის იატაკი დარბაზის იატაკის მიმართ ოდნავ შემაღლებულია და აფსიდიდან დაახლ. 2 საფეხურითაა წინამოწეული.

გრძივი კედლების აღმ. კიდეში, იატაკიდან 2,6 *მ* სიმაღლეზე, პილასტრები იწყება, რ-ებზეც საბჯენი თაღია გადაყვანილი. თაღის ჭუსლებთან გამოყოფილია ქვის მაღალი იმპოსტები, რ-თა პროფილს თარო და დახრილი სიბრტყე შეადგენს. დარბაზის გრძივი კედლები და კამარა პილასტრების წყვილით და მათზე დაყრდნობილი საბჯენი თაღით ორ თანაბარ ნაწილად იყოფა. პილასტრები დარბაზის დას. კუთხეებშიცაა. მათ შესაბამისი კედლის მიმდებარე საბჯენი თაღი ეყრდნობა. კამარა და საბჯენი თაღები შეისრულია.

ეკლესიის ფასადებიდან მხოლოდ განივი ფასადებია მორთული. აღმ. ფასადზე, ფრონტონის არეში, აგურის წყობის შეღრმავებით, გამოყვანილია საფეხუროვან ბაზისზე დაყრდნობილი ჯვარი. მსგავსი ჯვარი დას. ფასადზეცაა, სარკმლის თავზე, ხოლო სარკმელსა და შესასვლელის არქიტრავს შორის ოდნავ შეღრმავებული, თაღოვანი ნიშაა მოთავსებული.

კედლები დასრულებულია აგურის ოთხსაფეხურიანი ლავგარდნით, რ-იც შედგენილია ჩვეულებრივი და ხერხულა წყობით გამოყვანილი რიგების მონაცვლეობით. სახურავი ორქანობიანია. დაბურულია ღარიანი კრამიტით.

ეკლესიის სახურავის კეხის დას. კიდეში დგას რვაწახნაგა, თაღებით გახსნილი აგურის ს ა მ რ ე კ ლ ო, რ-იც კვადრატულ ბაზისზეა აღმართული. აქვს პირამიდული სახურავი.

2010-11 წწ-ში ეკლ. შეკეთდა საერთაშ. საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ ფინანსური დახმარებით. ინტერიერში მოიხსნა ნალესობა, აღდგა კედლების მონგრეული ნაწილები და ლავგარდანი, ეკლ. გადაიხურა კრამიტით.



072. დას. ფასადი

თ. დვალი.

მიჯნის ყურე

მიჯნის ყურის არქეოლოგიური ბიბლიოგრაფია

073. ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს მდ. ალაზნის მარჯვ. ნაპირას, მიჯნის ყურედ წოდებულ ადგილზე, მინგეჩაურის წყალსაცავიდან ჩრდ.-დას-ით, ორიოდ კმ-ზე, მაღალ ბორცვზე. თარიღდება ახ. წ. I ათასწლეულის II ნახევრით. მიკვლეულია 2009 წ. ილიას სახელმწ. უნ-ტის მიერ ჩატარებული არქეოლ. დაზვერვების დროს (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური).

ანაკრეფი მასალა ინახება ილიას სახელმწ. უნ-ტში.

ჯ. ჯარაშვილი, კ. კ. ფიცხელაური.

ოზაანი

(საკრებულოს ცენტრი)

074. ამაღლების ეკლესია, არჭიტ. ძ. დგას სოფლიდან ჩრდ.-დას-ით, სამოდე კმ-ზე, ხშირი ტყით დაფარულ მთის ფერდობზე. თარიღდება IX ს-ით. მახლობელ ხანაშია მიშენებული დას. და სამხრ. კარიბჭეები. X-XI სს-ისაა კანკელი, ინტერიერის მოხატულობა კი XIII ს-ის I მეოთხედით თარიღდება.

ტაძარი გუმბათოვანია, ჩაწერილი ჯვრის ტიპის. გუმბათი ჩრდნობა საკურთხევლის კედლების ბოლოებში გამოყვანილ პილასტრისებრ, მძლავრ შეერილებს და მასიურ, კვადრ. გეგმის მქონე, ორ თავისუფლად მდგომ ბურჯს.

ეკლ. ძირითადად ნაგებია თანაბარი ზომის (23×23×5 *სმ*) აგურით. შენობის გარეთა კუთხეების წყობაში და აქა-იქ, ფასადებზე (მიწის დონეზე) კარგად ნათალი ქვებია გამოყენებული.

შენობის გეგმის სწორკუთხედი (17,2×11,4 *მ*) აღმ-ით სამი აფსიდალური შეერილითაა დასრულებული. ეკლესიის საკურთხეველი ნახევარწრიულ აფსიდისგან და ბემისგან შედგება. საკურთხეველის გვერდებზე აფსიდიანივე სათავსები – სამკვეთლო და სადიაკვნე, რ-ებშიც შესასვლელი ჯვრის შესაბამისი მკლავიდანაა.



074. საერთო ხედი ჩრდ.-აღმ.-იდან

ხიევ გუმბათქვეშა თაღს ოდნავ ნალისებრი ფორმა აქვს. მსგავსი ფორმისაა კონქის თაღიც და

გარდა ამისა, სამკვეთლოს მეორე შესასვლელი ბემიდანაც აქვს. ორივე სადგომის ზემოთ მოწყობილია მსგავსი გეგმის მქონე თითო დაბალი სათავსი. სამკვეთლოს ზემოთ არსებულ სადგომს სარკმლიანი აფსიდი აქვს, რ-იც აღმ. ფასადზე გადის. სადიაკვნის ზემოთ მდებარე ანალოგიურ სადგომს კი სარკმელი არ გააჩნია.

შესასვლელი სამია: დას-იდან – შუა ღერძზე, სამხრ-იდან და ჩრდ-იდან – დას. კუთხის მონაკვეთებში. სამივე შესასვლელი გარედან ნახევარწრიული, ხოლო შიგნიდან ნალისებრი თაღითაა დასრულებული. სამხ. და დას. შესასვლელები უმნიშვნელოდ, ხოლო ჩრდ-ისა – საფუძვლიანადაა გადაკეთებული.

სამხრ. და დას. შესასვლელების თაღის არე, სილრმეში, დიდი ქვის ფილით (გარედან) და აგურისა და რიყის ქვის წყობითაა (შიგნიდან) შევსებული. მათ საყრდენად, გეით. შუა საუკუნეებში, სამხრ. და დას. შესასვლელებში ჩადგეს ხის ძელები, მათგან სამხრისაში წირთხლები გააძლიერეს, ჩრდ. შესასვლელი კი დააგიწროეს და თაღის ქვეშ არსებული მთელი არე აგურის წყობით შეავსეს.

შიდა სივრცის ცენტრი ჯვრის მკლავების გადაკვეთის ადგილას წარმოქმნილი კვადრატია, რ-იც შიგნიდან და გარედან მრგვალი გუმბათითაა დასრულებული. ოთ-

ჯვრის მკლავების კამარებიც. გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის ყელის წრიულ საფუძველზე გადასვლა განხორციელებულია ორრიგად განლაგებული ტრომპების სისტემით. მათგან ქვედა, ძირითადი რიგის კუთხის ოთხივე ტრომპს, წესიერი კონქის ფორმა აქვს. მეორე რიგი კი შედგება რვა გაცი-

ლებით მცირე ტრომპისგან, რ-ებიც ოდნავ ზემოთ არიან განლაგებული და ქმნიან უშუალო გადასასვლელს წრეზე. მათ თავზე ოდნავ შეერილი, ვიწრო ხოლურაა,

რ-ის ზემოთ რვახარკმლიანი გუმბათის ყელია.

საკურთხეველის აფსიდის ნახევარწრეს ქვემოთ საფუძველი მოუყვება. აფსიდში ორი სარკმელია: მათი თაღები შიგნიდან ოდნავ ნალისებრია, გარედან კი – ნახევარწრიული. სარკმლებს ქვემოთ, კედელში, მოჩანს ამოშენებული ნიშების კვალი. სამხრ. სარკმლის ქვემოთ მდებარე ნიშა კონქით ყოფილა გადახურული, დანარჩენი ორი კი – თარაზულად. აფსიდისა და ბემის სახლვარზე, აგურით ნაშენი კუბისებრი ფორმის ტრაპეზი დგას.

ბემის წინ თაბაშირის კანკელია (შემორჩენილია ქვედა ნახევრის კედლის განაპირა ნაწილები), რ-იც საკურთხეველს მთავარი სივრცისგან გამოყოფს. კანკელს ერთადერთი გასასვლელი ჰქონია, რ-ის ორივე მხარეს არსებული სწორკუთხა არე თაღებით სამ ნაწილადაა გაყოფილი. თითოეულ არეში, ქვემოთ, გამოსახულია დოქი, რ-იდანაც ამოსულია გადახლართული მცენარეული ღერო თავში ჩაწნული ჯვრით.



074. გეგმა

თაღებს ზემოთ კუთხეები შევსებულია ორნამენტით. კანკელს გრეხილი ლილვისა და მოჩუქურთმებული ზოლისგან შემდგარი სწორკუთხა მოხარჩოება აქვს.



074. განივი ჭრილი, ხედი აღმ-კენ

ლადაა გადახურული. ზღუდის თავზე პატარა, [illegible] ლუნეტია. სამკვეთლოდან საკურთხეველში გასასვლელი ჩასმულია ღრმა თაღოვან ნიშაში — ტეხილი თაღის წვერში, მაშინ, როცა თავად გასასვლელის თაღოვანი თავი ნახევარწრიულია როგორც სამკვეთლოს, ისე საკურთხევლის მხრიდან. სადიაკვნის ჩრდ. კედელში კი, შესაბამის ადგილზე, ოდნავ შეღრმავებული ნიშა-თარო, რ-ის თაღოვანი თავი ასევე ტეხილია. სამკვეთლოს თავზე არსებულ სათავსში, კამარის ჩრდ. გვერდის დას. კიდეში, მოწყობილია საძრომი. სადიაკვნის თავზე არსებულ სათავსში კი საძრომი სადიაკვნის კამარის ჩრდ. გვერდის ქუსლის დონეზეა.

ჯვრის მკლავების ღერძებზე თითო დიდი სარკმელია გაჭრილი, რ-ებშიც ჩასმული ყოფილა მრგვალი ღიობების მქონე თაბაშირის

ბრწყინვალე ოსტატობით შესრულებული ზღუდის კედელი გაფორმებული ყოფილა შიგნიდანაც, რაზეც მიგვანიშნებს მის განახლებულ ნაწილში მოქცეული პატარა ნახევარსვეტი.

ზღუდის კედლის ამ ნაწილზე ამართულია, მომცრო ზომის აგურით (23×23×5 *სმ*) მოგვიანებით დაშენებული, ყრუ კედელი.

აფსიდისა და ბემის იატაკი მოგებული ყოფილა რვაწახნაგოვანი შორენკეცებით (შემორჩენილია მათი ბუდეები). კუთხის მონაკვეთების შესავსებად ასევე იყენებდნენ რომბისებრ და სამკუთხა ფორმის შორენკეცებსაც. ზოგიერთი შორენკეცი ორნამენტით იყო დაფარული.

სამკვეთლო და სადიაკვნე იმავდროულად გადახურებადაც გამოიყენებოდა. მათი აფსიდის თაღებს იმპოსტები არა აქვს. ორივე სათავსის შესასვლელი, მთავარი სივრცის მხრიდან, ხის ძელით თარაზუ-



074. აღმ. ფასადი

ჩარჩოები. მოგვიანებით (როგორც ჩანს ეკლესიის მოხატვის წინ)



074. ინტერიერი, კანკელის ნაწილი

ნაწილობრივ (სიმაღლის დაახლ. 2/3-ზე) ამოუშენებიათ.

ნაგებობის დას. კუთხის ნაწილებს, ასევე ჰქონდა განათების დამატებითი წყაროები – პატარა, უშუალოდ კამარის წვერზე მიბჯენილი სარკმლები. მათი მდებარეობა, სავარაუდოდ, დას. კარიბჭის მშენებლობით იყო ნაკარნახევი.



074. ინტერიერი, ხედი აღმ.კენ

სარკმლები გარედან კარიბჭის ამ ნაწილის სახურავის ქანობის თავზე მდებარეობს.

ინტერიერი შელესილი და მ ო ხ ა ტ უ ლ ი იყო. XX საუკუნის I ნახევარში ჯერ კიდევ იყო შემონახული მხატვრობის დიდი ნაწილი. ამჟამად შემორჩენილი ფრაგმენტები, დაზიანების მიუხედავად, მაინც გარკვეულ წარმოდგენას ქმნის ტაძრის მოხატულობის შესრულების სტილისა და იკონოგრაფიული პროგრამის თავისებურებების შესახებ. მხატვრობის კვალი არ ჩანს მხოლოდ სამკვეთლოსა და სადიაკვნეში (ორივე სათავსი შელესილია).

გამოხატულებას ახლავს წმინდანის ვინაობის ან მოცემული სცენის შინაარსის წარმომჩენი ქართ. ასომთ. წარწერები. ისტ. ცნობები მოხატულობის შესრულების თარიღის ან ქტიტორთა ვინაობის შესახებ შემონახული არ არის. საკურთხეველში, აფსიდის სამხრ. ნაწილშია დარჩენილი მთავრული ასოებით შესრულებული, ხუთსტრიქონიანი წარწერა (ქრისტე ღმერთო, შეუნდვენ მიქაელს, ამინ), რ-შიც მოხსენიებული მიქაელი მხატვარი უნდა იყოს.

მხატვრობა რამდენიმე ქრონოლოგიური ფენისგან შედგება. ორი ერთმანეთზე დადებული, ქრონოლოგიურად განსხვავებული ფენა ჩანს მხოლოდ გუმბათის ყელში და ერთგან – საკურთხევლის ბემაში. დანარჩენი მხატვრობა გადაწერილი არ არის, მაგრამ მისი ცალკეული ნაწილები (საკურთხეველში, მკლავებში, მკლავთა შორის სივრცეებში, გუმბათქვეშა ბურჯებზე, თაღებში) შესაძლოა თანდათანობით, დროის სხვადასხვა მონაკვეთში, XI-XIV სს. მანძილზე იყოს შესრულებული.



074. ინტერიერი, საკურთხევლის აფსიდი, მღვდელმოძღვრები



074. ინტერიერი, გუმბათის ჩრდ.-დას. ბურჯის აღმ. წახნაგი, ჯვრის გამზადება

ყელის ქვედა ნაწილში, სარკმელთა შორის გამოსახული ფიგურის უშუალო სიახლოვეში განლაგებული (ერთი ტერფი თითქოს „გადადის" კიდეც თაღზე).

თაღებში რვა წინასწარმეტყველის წელზედა გამოსახულებაა, მათგან შედარებით უკეთ არის შემონახული სამხრ-ით და დასით არსებული ხუთი ფიგურა. ცენტრში, საკურთხევლის თავზე გაირჩევა პატარა კვარცხლბეკზე აღმართული ჯვარი (კონტურული ნახატი), მისგან სამხრ-ით, სამხრ.-აღმ. ტრომპის მარცხ. ნაწილის თავზე – ელია(?), სამხრ.-აღმ. და სამხრ. სარკმლებს შორის – ელისე(?), სამხრ. და სამხრ.-დას. სარკმლებს შორის წინასწარმეტყველის სახელი უცნობია, სამხრ.-დას. და დას. სარკმლებს შორის – დანიელი, დას. და ჩრდ. -დას. სარკმლებს შორის – იონა.

ეკლესიის გუმბათში წარმოდგენილი იყო უფლის ამაღლების

ფერწერის ქრონოლოგიურ ფენებად დაყოფა და მათი დათარიღება შემდეგნაირია: 1. I ფენა – გუმბათის ყელი, ტრომპები და კედლის მონაკვეთები, მათ შორის – XI-XII სს – XII ს. I ნახევარი; II ფენა – ძირითადი სივრცე – XII-XIII სს. 2. I. ფენა – გუმბათის ყელი – კვირიკე III დიდის მეფობის ხანა 1009-1031-32 წწ.; II ფენა – გუმბათის ყელის ქვედა ნაწილი, ტრომპები და კედლის მონაკვეთები, მათ შორის, საკურთხევლის აფსიდი, სამივე მკლავი, ქტიტორთა პორტრეტი – XII ს. II ნახევარი, XII-XIII სს. და XIII ს. I მეოთხედი (თამარისა და ლაშა გიორგის მეფობის ხანა); III ფენა – თაღები და მკლავთაშორისი სივრცეები – XIV ს.

გუმბათის ყელში, სარკმელთა შორის, ჩრდ.-აღმ-ით, ღვთისმშობლის გამოსახულებაა. მისგან მარცხნივ და მარჯვნივ, ორი მთავარანგელოზი ფრონტალურ პოზაში და ხუთი მოციქულის სხვადასხვა მხარეს მიბრუნებული, მონუმ. ფიგურა, მათი ტერფები, გუმბათის



074. ინტერიერი, ჩრდ.-დას. თაღის დას. ნახევარი, განკითხვის დღე. დეტალი

სიმბოლური კომპოზიცია. დღემდე შემონახული ანალოგიური იკონოგრაფიული სქემის მქონე ქარ-



079. ინტერიერი, საკურთხევლის მოხატულობა, წმ. სტეფანე

თულ ძეგლთა შორის ოზაანის გუმბათის მხატვრობა, როგორც ჩანს, ყველაზე ადრინდელია.

წინასწარმეტყველთა რიგი დაფარულია მოხატულობის სხვა ფენით – ორნამენტული ხოლით, რ-ის მოტივი წარმოადგენს ბიზანტიურ ტაძართა კედლების მარმარილოს ფილებით მოპირკეთების იმიტაციას (ამ დროისაა გადაწერილი ღვთისმშობელი მოციქულთა რიგში და ორნამენტი გუმბათის ყელის აღმ. სარკმელში). მისი შემომსაზღვრელი, ზედა ხაზი წინასწარმეტყველების სახეებზე გადის. მსგავსი ორნამენტი საქართველოში გვხვდება XII ს. 80-იანი წლებიდან XIII ს. ბოლომდე. ეს ორნამენტი, ჩვეულებრივ, მხატვრობის ქვედა ნაწილშია და მას აფსიდისა და ძირითადი სივრცის მთელ სიგრძეზე შემოუყვება. ოზაანის ეკლესიის გუმბათის ყელი ასეთი ორნამენტით შემკობის ერთადერთი ნიმუშია.

ქვევით, ტრომპებში, მოთავსებულია მუდალიონებში ჩაწერილი ქერუბინები (მახარებელთა სიმბოლოები?). შემორჩენილია ფრთების ზედა წვეტის ზედა ნაწილები. თითოეული ტრომპის კიდე შემკულია განიერი, წითელი ხოლით, რ-იც ტრომპიდან ტრომპზე სამყრთიანი თაღის საშუალებით გადადის.

ტრომპებს შორის, თაღებქვეშ, განლაგებულია: აღმ-ით – ღვთისმშობელი ნიკოპსა, დას-ით – წინასწარმეტყველი დანიელი ორანტას პოზაში, სამხრ-ით – ღვთისმშობლისკენ მიმართული წინასწარმეტყველი დავითი, ჩრდ-ით – წინასწარმეტყველი ესაია, რ-საც კურთხევის ჯვრით ხელი გაწვდილი აქვს დას-ისკენ.

ყველა გამოსახულებს, დღესდღეობით, წელზევით არის შემონახული. თავდაპირველად, შესაძლოა, ისინი მუხლზევით ან მთელი ტანით იყვნენ გამოსახული. ტრომპების თავზე წარმოდგენილია ოთხი ანგელოზი, რ-ებიც ღვთისმშობლისკენ მიფრინავენ. მათი ჰიმატიონების ბოლოებს სოკოსებრი ფორმა აქვს.

საკურთხევლის აფსიდში კონქის კომპოზიცია (ვედრება?) განადგურებულია. მეორე რეგისტრში გამოსახულ არიან მოციქულები.



079. ინტერიერი, დას. მკლავის მოხატულობა, გარეთხედი დღე დეტალი

ბემაში წარმოდგენილი ფიგურები სიდიდით ბევრად აღემატება დანარჩენებს: ერთ-ერთი მოციქულის (სამხრ-ით) კისერზე გარეკვეთით ჩანს რეგისტრის ზედის ნაშთი, რაც ფერწერის ერთ ფენაში შრომის შედეგია. მესამე რეგისტრში 3/4-ით მიბრუნებული ათი მღვდელმოძღვარია გამოსახული. თითოეულ მათგანს გაშლილი გრაგნილი უჭირია ხელთ. მღვდელმოძღვართა შორის, ცენტრში, გაირჩევა პირი ღვთისა; ბემაში, ჩრდ. და სამხრ. კედლებზე – ორი დიაკვანი. მათგან ჩრდ-ით, ასომთ. წარწერის მიხედვით, წმ. სტეფანეა.

აფსიდის სამხრ. ნაწილში შემონახული მთავრული წარწერა, პრალეოგრაფიული მონაცემების მიხედვით, XII-XIII სს. თარიღდება.

აფსიდის მოხატულობას, ქვემოთ (ისევე, როგორც მთელ ეკლესიას), შემოუყვება გეომეტრიული ორნამენტის ორი ხოლი. მათგან ერთი მარმარილოს იმიტაციაა. მცენარეული ორნამენტი („უსახრულო ღეროს" მოტივი) ამკობს აფსიდის წრეთარგს. მონუმენტურია აფსიდის სამიეე სარკმლის წირთხლების ორნამენტები, რებიც სხვა ორნამენტისგან განსხვავებით, აქ ქსოვილთა იმიტაციაა.

ეკლესიის ძირითადი სივრცის მხატვრობა დაზიანებულია.

მიუხედავად იმისა, რომ განადგურებულია ზედა რეგისტრების

მოხატულობა, ჩანს, რომ ტაძრის მხატვრობის იკონოგრაფიული პროგრამა, ამავე პერიოდის სხვა ძეგლებთან შედარებით, უფრო რთულია. საუფლო და ვნებათა ციკლებთან ერთად, აქ, საკმაოდ



074. ხედი ჩრდ.-აღმ-იდან

დიდი რაოდენობით იყო წარმოდგენილი პროტოსახარების სცენები. დიდია კომპოზიციათა რაოდენობა. მათი უმრავლესობა მრავალფიგურიანია. გამოსახულებები დიდი ზომის არ არის, მაგრამ იქ, სადაც სიუჟეტი ლაკონურადაა გადმოცემული (*ჯოჯოხეთის წარმოტყვევნა*, *პეტრეს უარის ყოფა*) ფიგურების ზომები გადიდებულია.

სცენების განლაგება მიმართულია ჩრდ-იდან სამხრ-ისკენ და პირიქით. შემორჩენილი კომპოზიციები შემდეგნაირადაა განაწილებული: სამხრ. მკლავი, აღმ. კედელი, II რეგისტრი – *მირქმა*, *ნათლისღება*; სამხრ. კედელი, II რეგისტრი – *ფერისცვალება*, *ლაზარეს აღდგინება*; ჩრდ. მკლ-ავი, დას. კედელი, II რეგისტრი – *ფერხთა ბანა* (არ შემორჩენილა), *ლოცვა გეთსამანიის ბაღში*; აღმ. კედელი, II რეგისტრი – *იუდას ამბორი*, *პეტრეს უარის ყოფა*; სამხრ. მკლავი, სამხრ. კედელი, III რეგისტრი – *პილატეს სამსჯავრო*, *ქრისტეს განკიცხვა*; დას. კედელი – *ჯვრის ტვირთვა*; გუმბათქვეშა ჩრდ. ბურჯი, აღმ. წახნაგი – *ჯვრის გამზადება*; ჩრდ. მკლავი, ჩრდ. კედელი, III რეგისტრი – *ჯვარცმა*, *დატირება*, *მენელსა-ცხებლე დედანი ქრისტეს საფლ-ავთან* (ანგელოზს ახლავს სამსტ-რიქონიანი ასომთ. წარწერა – ლოდსა ზედა მჯდომარე ანგე-ლოზი); აღმ. კედელი, III რეგი-სტრი (სამსხვერპლოში შესასვლე-ლის თავზე) – *ჯოჯოხეთის წარმო-ტყვევნა*; სამხრ. მკლავი, აღმ. კედელი, III რეგისტრი (სადია-კვნეში შესასვლელის თავზე) – [illegible] *მოფენა*.

საუფლო დღესასწაულთა [illegible]რის არ ყოფილა გამოსახული *უფლის ამაღლება* (წარმოდგენილია გუმბათში) და *ღვთისმშობლის მიძინება*.

დას. მკლავში განკითხვის დღის კომპოზიციაა. შემორჩენილ მცირე ფრაგმენტებზე იკითხება: დას. კედელი, ერთიმეორის ქვემოთ – ტახტზე მჯდომი მოციქულები, ანგელოზები საყვირებით ხელში, წმ. დედანი; ჩრდ. და სამხრ. კედლების პილასტრები, II რეგისტრი – გრძელ, მოხდენილტანსაცმლიანი ორ-ორი ფიგურა ფრონტალურ პოზაში, ჩრდ. კედელზე – ცოდვილთა (?) თავებისა და ხელების ნაშთები. დას. კედელი, თაღქვეშ – შავ ფონზე გამოსახული ცოდვილთა თავები გახსნილი ბაგეებით; ჩრდ.-დას. კუთხის სივრცე დას კედელი, ერთიმეორის ქვეშ – ორთავიანი გველეშაპი, რ-იც ყლაპავს ცოდვილებს, ცეცხლოვანი მდინარე, ცოდვილთა მრავალრიცხოვანი ფრაგმენტები, მათი წამება ჯოჯოხეთში; სამხრ.-დას. კუთხის სივრცე, დას. კედელი – მეხვეტე



074. ხედი დას-იდან

გუმბათქვეშა სამხრ. ბურჯის აღმ. წახნაგზე, პირველ რეგისტრში, ქართ. მოხატულობებისთვის უჩვეულო ადგილზე, გაირჩევა ჯგუფური პორტრეტი – ორი მამაკაცი და მათ შორის ქალი. მათ არ უჭირავთ ეკლესიის მოდელი, ე. ი. ისინი ტაძრის მშენებლობის ქტიტორები კი არ არიან, არამედ ეკლესიის მოხატვის ინიციატორები XII-XIII სს. მიჯნაზე. ლოცვის ნიშნად მათ ხელები მკერდის წინ უჭირავთ. ზედა მარჯვ. კუთხეში, ცის სეგმენტში, გამოსახულია უფლის მარჯვ. ხელი, რ-იც კურთხევის ჟესტით მათკენ არის მიმართული. ეს ისტ. პირები, როგორც ჩანს, ხორნაბუჯის ერისთავები – მახატლისძენი არიან, რ-თა რეზიდენცია, ვახუშტის ცნობით, ტაძრის მახლობლად, ჩრდ-ით იყო განლაგებული; ისტ. წარწერათა განადგურების გამო, ამჟამად პირთა სახელების დადგენა შეუძლებელია.



079. აფსიდური შვერილები, ხედი სამხრ.-აღმ-იდან

ქრონოლოგიურად უკანასკნელ ეტაპს – პალეოლოგოსთა ეპოქას ეკუთვნის ეკლესიის თაღების მხატვრობა. განსაკუთრებით გამოირჩევა სამხრ.-დას. თაღის სოფიტზე გამოსახული *იესეს ძე*ლი. ქართ. კედლის მხატვრობის ძეგლებში იგი ამ კომპოზიციის ქვეშაზე მონუმ. გამოსახულებაა.

ჩრდ.-დას თაღის აღმ. ნაწილში გამოსახული ორი ფიგურიდან შემონახულია ერთი (მარჯვ.). იგი თაღქვეშ ხელში დახვეული გრაგნილით დგას. ამაგე თაღის დას. ნაწილში წელზევით ორი მარტვილია გამოსახული. ქვევით – შუახარე ჭალთა ორი ჯგუფი. სავარაუდოდ, მათ *განკითხვის დღესთან* აქვთ კავშირი.

დას. შემოსასვლელის მარჯვ. და მარცხ. წირთხლებზე წარმოდგენილია ორი მთავარანგელოზი კვერთხებით ხელში; ხოლო ტიმპანის სამხრ. ნაწილში – ქერუბინის ფრაგმენტები. ჩრდ. კედელზე გადაყვანილი თაღის სოფიტზე, ორ რეგისტრად, გამოსახულია ფრონტალური ფიგურების წყვილები; სამხრ. კედელზე გადაყვანილი თაღის ზედა ნაწილში – ქრისტეს სასწაულები. შემონახულია ორი სასწაულის ფრაგმენტი: სამხრ-ით – *განრღვეულის განკურნება*, ჩრდ-ით – *შეშლილთა განკურნება*. სამხრ. კედლის ქვედა რეგისტრში გაირჩევა წმ. დიმიტრი (კონტურები მკრთალია), ხოლო ბურჯის სამხრ. წახნაგზე – ცხენოსანი წმ. გიორგი, რ-იც ტყვეობიდან იხსნის ბიჭს.

ეკლესიის მოხატულობის ძირითადი ნაწილი XII-XIII სს-ების მონუმ. მხატვრობის დამახასიათებელ დეკორატ.-დინამიკური სტილის ნიმუშია. შესრულების მხატვრული დონით იგი თავისი დროის წამყვან ძეგლებს (ყინწვისი, ტიმოთესუბანი) უტოლდება.

ეკლესიის ფასადები სადაა. საფასადო სიბრტყე აგურის რეგულარული წყობითაა შექმნილი. მასში აგურითვე ნაწყობი თაღოვანი კარ-სარკმლებია გაჭრილი. აღმ-ით სამი გლუვი, აფსიდური შვერილია: შუაში – დიდი, ნახევარწრიული, გვერდებზე – სეგმენტისებრი. შუა შვერილში, სიმეტრიულად, ერთ დონეზე, საკურთხევლის დიდი სარკმლებია განლაგებული. გვერდითი აფსიდების გაცილებით მცირე სარკმლები სადგომების შესაბამისადაა გაჭრილი – ჩრდ. აფსიდში ორ იარუსად, სამხრ-ისაში კი სარკმელი ერთია და ქვემოთა სადგომს ანათებს. სარკმლები მოყვითალო ქვიშაქვის ფილაშია გამოკვეთილი და თაღითაა გადახურული.

სამივე შესასვლელი, როგორც ჩანს, ერთნაირად იყო გაფორმებული. სამხრ. და დას. შესასვლელებს აგურით ნაწყობი, ჰორიზ. გადანაკეცების მქონე არქივოლტი ამკობს.

ალმ. და ჩრდ. ფასადებზე, აქაიქ, შემორჩენილი იყო მოგვიანო, შეკეთებისდრინდელი ლაგვარდნის ნაშთები, რ-იც კუთხით შეჭრილი და ჩვეულებრივად ნაწყობი აგურის რიგების მონაცვლეობითაა გამოყვანილი. ლაგვარდნის, ისევე როგორც კანკელის ზედა ნახევრის განახლება და ჩრდ. შესასვლელის გადაკეთება, სავარაუდოდ, XVI ს-ში, მეფე ალექსანდრეს მეფობის ხანაში, უნდა განხორციელებულიყო.

ნაგებობის კორპუსს აგვირგვინებს გუმბათის მრგვალი, ოდნავ დაბალი, რვა თაღოვანი სარკმლის მქონე ყელი. სარკმლები კედლის სწორკუთხა შეღრმავებულ არეებშია ჩასმული და ლეკალური აგურით გამოყვანილი, ნახვარკოლონებზე დაყრდნობილი თაღედითაა



079. გუმბათი, ხედი სამხრ.-აღმ-იდან

მორთული; თაღედის ნახევარსვეტები ქვემოთ, სარკმლის დონეზე, წაკვეთილია. ლეკალური აგური გამოყენებულია ასევე სარკმელთა სწორკუთხა მოჩარჩოებაში და მათ

წყობაში. გუმბათის ყელის საფუძველი ხაზგასმულია ხერხულა წყობით გამოყვანილი სარტყლით, რ-ის შემადგენელი სამკუთხედების წიბოები გუმბათის ყელის ზედაპირთან ერთ სიბრტყეშია.



079. სამხრ. მინაშენი, წყობაში ნართული მორუჯურთმებული ქვის ფრაგმენტი

ეკლესიის სახურავი თავდაპირველად დაბურული ყოფილა მოჭიქული, ბრტყელი და ღარიანი კრამიტის კომბინირებული წყობით. მათგან ბრტყელ კრამიტებს, მათი დულაბზე უკეთ მოჭიდების მიზნით, ჰქონდა პატარა, მრგვალი, გამჭოლი ნასვრეტები.

ტაძარს დას-ით და სამხრ-ით, ფასადების მთელ სიგრძეზე, კამარანამოქცეული მინაშენები ეკვრის, რებიც, როგორც ჩანს, ნაწილ-ნაწილ შენდებოდა. საშენ მასალად აქაც გამოყენებულია ისეთივე ზომის აგური, როგორიც ტაძრის წყობაშია, და რიყის ქვა, რ-იც როგორც კედლების, ისე კამარების წყობაშია ნართული.

დას. მინაშენი სამი ნაწილისგან შედგება და თავდაპირველად სამხრ. კარიბჭესთან არ იყო დაკავშირებული. მინაშენის შუა ნაწილი, საკურთხე კარიბჭე, განაპირებზე მაღალია და რამდენადმე წინწამოწეული. იგი დამოუკიდებელი, ორფერდა სახურავით იყო დასრულებული. გვერდითი ნაწილების კამარების საყრდნობად, რებიც შუა ნაწილში მთელ სიგანეზეა გახსნილი, ტაძრის კედელთან გამოყვანილია პილასტრები – მათზე გადაყვანილი თაღებით. ჩრდ. მინაკუთხში ერთი, საკმაოდ განიერი, შეისრული თაღია, ხოლო სამხრ-ისაში – ორი, მსგავსი ფორმის, მაგრამ მნიშვნელოვნად ვიწრო. კარიბჭის სახურავი ტაძრის კედელთან დაბჯენილი იყო კამარისზედა სივრცეში მოწყობილ, ეკლესიის დას. კედელზე მიყრდნობილ აგურის ვიწრო ბოძებზე.

სამხრ. მინაშენის შუა ნაწილიც, გვერდითი ნაწილების მიმართ, რამდენადმე შემაღლებულია. ისიც ორფერდა სახურავით ყოფილა გადახურული. მინაშენი სამხრ. მხარეს გახსნილია განიერი, ნახევარწრიული თაღით, აღმ-ით და დას-ით (გვერდით ნაწილებში) კი – ვიწრო გასახვლელებით. მინაშენის აღმ. ნაწილში მოწყობილია ნახევარწრიულაფსიდიანი ეკვდერი, რ-იც აღმ-იდან და სამხრ-იდან განათებული იყო ორი თაღოვანი სარკმლით. ეკვდერი გადახურული იყო კამარით, რ-ის დასაყრდნობად ეკლესიის კედელზე გამოყვანილია მსუბუქი ტეხილის მქონე ორი თაღი. აფსიდში ორი ნიშაა, სარკმლის ქვემოთ, კედელთან კი – ტრაპეზი. შემორჩენილია აგურით ნაგები კანკელის კედლის ნაწილიც.



079. სამხრ. მინაშენი, წყობაში ნართული მორუჯურთმებული ქვის ფრაგმენტი

დას. და სამხ. კარიბჭეების დამაკავშირებელი ნაწილი მოგვიანებითაა მიშენებული. ამ კუთხის ნაწილის ფორმები (თითო სარკმლით სამხრ-ით და მეორე, უფრო მაღალა მდებარე, დას-ით) დანარჩენი ნაწილებისგან საგრძნობლად განსხვავდება.

ეკლესიის ერცული ეზო შემოსაზღვრული იყო რიყის დიდი ქვებით ნაგები გ ა ლ ა ვ ნ ი თ, რისგან მხოლოდ მცირე ფრაგმენტებია შემორჩენილი.

XX ს-ის 70-იან წლებში ნატარდა ძეგლის სარეაბილიტაციო სამუშაოები (ხელმძღვ. ო. თორთლაძე). აღდგა კედლების მონგრეული ნაწილები, ლავგარდანი და ფასადებზე საპირე წყობის ჩამოშლილი მონაკვეთები; გაიწმინდა და გამაგრდა მხატვრობის შემორჩენილი ნაწილები (მხატვარ-რესტავრატორები: კ. ბაკურაძე, გ. ჭეიშვილი). ტაძრის ქვედა კორპუსი გადაიხურა კრამიტით, გუმბათი კი – თუნუქის კონუსისებრი სახურავით; მინაშენების შემორჩენილ ნაწილებს გაუკეთდა კონსერვაცია.

2011 წ. საერთაშ. საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ მიერ ძეგლზე კვლავ ნატარდა სარემონტო სამუშაოები: მცენარეებისგან გაიწმინდა სახურავი, ფასადებზე აღდგა საპირე წყობის და ლავგარდნის ჩამოშლილი ნაწილები, ეკლ. ხელახლა გადაიხურა კრამიტით, დაკონსერვდა მინაშენების შემორჩენილი კედლები.

თ. დვალი, ფ. დვალიანი.

ბიბლ.: 257; 311; 323; 327; 328; 335.

075. მონეტების განძი, არქეოლ. ძ. აღმოჩნდა სოფლის სავარგულებში. ქვეყანაზე ადრინდ. მონეტის თარიღი 531-532 წლებია, გვიანდელისა კი – 632-641 წლები. ჩამარხული უნდა იყოს VII ს. მეორე ნახევარში. განძში თავმოყრილია სასანელთა იმპერიის ორმოცდაორ ზარაფხანაში მოჭრილი ფული. თავდაპირველად იგი შეგროვა და კპე-ს გადასცა (552 მონეტა) მხარეთმცოდნემ და პედაგოგმა ი. მენთეშაშვილმა. მოგვიანებით, განძის აღმოჩენის ადგილის მახლობლად, აპც-ის კპე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური) დაზვერვითი სამუშაოების დროს აღმოაჩინა განძის დარჩენილი ნაწილი (1278 ვერცხლის მონეტა). აქედან 1268 სასანურია, 10 კი – ბიზანტიური. სასანური მონეტებიდან სამი შაჰინ-შაჰის სახელით არის მოჭრილი, დანარჩენი – ხოსრო I-ის

ანუშირვანის, ჰორმიზდ IV-ის და ხოსრო II ფარვიზისა; ბიზანტიური მონეტები ერთობლივია – იმპერატორ ირაკლის და მისი ვაჟების ირაკლი-კონსტანტინესა და ირაკლიონის.

მონეტათაგან ზოგი უცნობია, გამოუქვეყნებელი. განძი ინახება საქართვ. ეროვნულ მუზეუმში.

თ. მათიკაშვილი.

076. ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით, გორაზე, მშრალი ხევის მარჯვ. მხარეს. თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლო საუკუნეებით. 2010 წ. მიაკვლია ილიას სახელმწ. უნტის არქეოლ. რაზმმა (ხელმძღვ. ვ. ვარაზაშვილი). ნამოსახლარი გეგმით ოვალურია (სიგრ. – 40 მ, სიგ. – 30 მ). ჩრდ-ით და სამხრ-ით ჩანს სათავდაცვო ზღუდე.

ვ. ვარაზაშვილი.

077. სამების ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-დას-ით,



077. გეგმა

1,5 კმ-ზე, მთის ქედზე. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ძ. სხვადასხვა პერიოდის ორი ნაწილისგან შედგება – მცირე ზომის, თითქმის კვადრ. გეგმის (4,8×4,3 მ) დარბაზული ეკლესიისგან და მასზე დას-იდან მოგვიანებით მიდგმული იმავე სიგანის და ოდნავ მოკლე სწორკუთხა ნაწილისგან (4,3×3,5 მ), რ-იც თავდაპირველი ნაწილის უშუალო გაგრძელებას კი არ წარმოადგენს, არამედ ოდნავ ირიბად ერწყმის და მასთან საერთო ორკალთა სახურავის ქვეშაა მოქცეული.

შენობის ორივე ნაწილი რიყის ქვითა და კვადრ. აგურით ტლანქადაა ნაგები. თავდაპირველი ნაწილი გარედან და შიგნიდან შელესილია. მოგვიანებით მიშენებული ნაწილის კედლების წყობა კი, თავდაპირველი ნაწილისგან განსხვავებულია. აქ საფასადო



077. გარეთა ჭრილი, ხედი აღმ-კენ

წყობის ქვედა ნახევარი რიყის ქვისაა, რ-შიც თანაბარი ინტერვალებით ჩართულია ორრიგად ნაწყობი აგურის ჰორიზ. რიგები. კედლების ზედა ნახევარი კი აგურისაა და მხოლოდ აქა-იქაა ჩართული რიყის ქვის მოკლე რიგები.

შესასვლელი მოგვიანებით მიშენებული ნაწილის დას. კედელშია. კარი შიგნიდან და გარედან გადახურულია აგურით ნაწყობი, დადაბლებული პროპორციების, ოდნავ ნალისებრი თაღით.

ეკლ. უაფსიდოა, აღმ-ით დას-



077. ინტერიერი, მოხატულობის ფრაგმენტი

რულებულია სწორკუთხა საკურთხეველით. საკურთხევლის ნაწილი დარბაზისგან გამოყოფილია მცირე სიგანის მხრებით, რ-ებიც ზემოთკენ თანდათან ეიწროვდება და კამარის მრუდს ერწყმის. საკურთხევლის აღმ. კედლის შუაში თაღოვანი სარკმელია მოწყობილი, ჩრდ. კედელში კი – მცირე ზომის ნიშა. თითო ნიშა გრძივ კედლებშიცაა, საკურთხეველთან ახლოს. შიგნიდან და გარედან სწორკუთხა მეორე სარკმელი გვიანდ. ნაწილს დას. კედელში შეუსვლელობის გამო ვერ ვხედავთ.

საკურთხევლის ბაჯანი დარბაზის იატაკის მიმართ ოდნავ შემაღლებულია, დარბაზის სივრცეში რამდენადმე (დაახლ. 1 მ-ით) წინ წამოწეული, შუაში კი ნახევარწრიული ამბიონი აქვს მოწყობილი.

საკურთხევლის კედლებზე და კამარაზე შემორჩენილია „ხალხური" მხატვრობის გაჭვარტლული ფრაგმენტები.

გვიანდ. ნაწილის გრძივ კედლებზე თითო ფართო პილასტრია, რ-ზეც აგურით ნაწყობი კამარის საბჯენი თაღი გადადის. „პილასტრების" ერთი წყვილი დარბაზის



077. ხედი დას-იდან

შუაშიცაა – შენობის ნაწილთა საზღვარზე. ისინი თავდაპირველი ეკლესიის დას. კედლის გაჭრის შედეგადაა მიღებული.

ეკლესიის იატაკი მოგებულია კვადრ. აგურით.

შენობა დგას რიყის ქვითა და აგურით ნაგებ მაღალ (სიმ. 0,8 მ) ბაქანზე.

ფასადები სადაა, დასრულებულია ორსაფეხურიანი, აგურით ნაწყობი ლავგარდნით, რ-საც განივ ფასადებზე, ფრონტონის ძირის დონეზე, პატარა, ჰორიზ. შემონა-

კვეთი აქვს. დას. ფასადზე, შესასვლელის გვერდით (ჩრდ-ით), პატარა ნიშაა, რ-იც გადახურულია ერთმანეთზე კუთხით მიყრდნობილი ორი აგურით.

სახურავი ორფერდაა, დაბურულია ღარისებრი კრამიტით. დას. ფრონტონის წვერზე დადგმულია ოთხწახნაგა, ოთხივე მხარეს სწორკუთხა ღიობით გახსნილი აგურის ს ა მ რ ე კ ლ ო, რ-იც დასრულებულია პირამიდული სახურავით.

2010 წელს ადგილ. მოსახლეობის მიერ ეკლ. დაუდევრად გარემონტდა: ინტერიერის მნიშვნელოვანი ნაწილი შეილესა გაჯით, ალმ. სარკმელი გარედან დადაბლდა, ფასადების დაზიანებული ნაწილები კი კირით გაილესა.

თ. დვალი.

078. უსანეთის ნაეკლესიარი, არქიტ. ძ. დგას სოფლის აღმ-ით 0,5-0,6 *კმ*-ზე, ტყეში. გადმოცემით თავის დროზე აუგია მეხრიშვილების საგვარეულოს და მისთვის გამრავლება უთხოვია. ნაეკლესიარზე შემორჩენილია ჩრდ. და სამხრ. კედლების მცირე ფრაგმენტები. ძ. ნაგები იყო რიყის ქვით კირის ხსნარზე. ნაეკლესიარის აღმ. ნაწილში ადგილ. მოსახლეობას აგურით მისივე სახელობის ნიში აუგია.

ბ. კუპრეიშვილი.

079. ყველაწმინდის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას. განაპირას, ყოფილ სოფ. ცლუნკაანის (ამჟამად სოფლის ერთ-ერთი უბანია) ტერიტორიაზე, ძვ. სასაფლაოზე. თარიღდება XVIII-XIX სს-ით.

ეკლ. დარბაზულია (7,7×5,5 *მ*), გარედან სწორკუთხა მოხაზულობის. ნაგებია რიყის ქვით. კამარა, საბჯენი თაღები და კარ-სარკმლების ღიობები გამოყვანილია კვადრ. აგურით. შესასვლელი დასიდანაა. შიგნიდან სწორკუთხა, ღიობი გარედან ბრტყელი თაღითაა გადახურული და შიგნითკენ თანდათან ვიწროვდება.

ეკლესიის შიდა სივრცე აღმით დასრულებულია საკურთხევლის ნახევარწრიული აფსიდით, რ-იც დარბაზისგან წყვილი პილასტრითა და მათზე დაყრდნობილი შეისრული თაღითაა გამოყნული. აფსიდში ერთი სწორკუთხა სარკმელი და ოთხი ნიშაა. მათგან



079. გრძივი ჭრილი, ხედი ჩრდ-კენ. გეგმა

სამი სარკმლის ჩრდ-ითაა, ერთი – სამხრ-ით. აფსიდი გადახურულია წესიერი ფორმის კონქით.

ეკლესიის დარბაზი მოკლეა, გეგმით კვადრატს მიახლოებული. გადახურულია შეისრული კამარით, რ-იც, საკურთხევლის თაღის გარდა, ეყრდნობა კიდევ ორ საბჯენ თაღს. მათგან ერთი დარბაზის შუაშია, მეორე – დას. კედელთან. ორივე თაღი შეკიდულია. დარბაზის სამხრ. და ჩრდ. კედლები დანაწევრებულია ერთმანეთის სიმეტრიულად განლაგებული, ორორი განიერი, მაღალი, შეისრულთაღოვანი ნიშით. თითო მსგავსი, ოღონდ გაცილებით დაბალი, ვიწრო ნიშა, დას. შესასვლელის გვერდზეცაა.

საკურთხევლის სარკმლის გარდა, შიდა სივრცეს სამხრ. კედლის აღმ. ნიშაში გაჭრილი სარკმელიც აშუქებს, რ-ის თაღი ნიშის თაღს ემთხვევა.

ეკლ. შიგნით შელესილია გაჯით, გარედან შელესილი და შეთეთრებულია – კირის ხსნარით. დას. ფასადზე, შესასვლელის ზემოთ, წყობის შეწევით გამოყვანილია მაღალი ჯვრის გამოსახულება, რ-იც საფეხუროვან პოსტამენტზე დგას.

კედლები დასრულებულია აგურის ორსაფეხურიანი ლავგარდნით. ეკლ. დაბურულია ღარისებრი კრამიტით.

ეკლესიის დას. კედელზე დადგმული იყო აგურის მრგვალი ს ა მ რ ე კ ლ ო, რ-ისგანაც მხოლოდ საფუძველია შემორჩენილი.



079. საერთო ხედი სამხრ.-დას-იდან

2008 წელს ადგილ. მოსახლეობის მიერ ძეგლზე ჩატარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები: დაიდგა კანკელი, კედლები შიგნიდან ხელახლა შეილესა გაჯით, ხოლო გარედან (მხოლოდ დაზიანებული ადგილები) – კირის ხსნარით.

თ. დვალი.

080. ყველაწმინდის მცირე **ეკლესია,** არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით, 200-300 *მ*-ზე, სასაფლაოზე. თარიღდება XVIII ს-ით.

ეკლ. დარბაზულია, ნაგებია წვრილი რიყის ქვითა და კვადრ. აგურით. შენობის კედლები ძირითადად რიყის ქვისაა, რ-იც სწორხაზოვნად გამავალ, თარაზულ რი-

გუმბათია ნაწყობი. გარეთა კუთხეებში, აგური და ალაგ-ალაგ, შირიმის ნაწილობრივ დამუშავებული ქვებიცაა ჩართული; კარ-სარკმლების ღიობები, შიგნით არქიტ. და კონსტრ. ელემენტები და ლავგარდანი გამოყვანილია აგურით. კედლების ზედაპირი შიგნიდან და გარედან გასწორებულია ბათქაშით.





080. გრძივი ჭრილი, ხედი ჩრდ.-კენ. გეგმა

ძ. ძლიერ დაზიანებულია: მონგრეულია კედლების ზედა ნაწილები, თითქმის მთლიანადაა ჩამოშლილი ლავგარდანი.

ეკლესიის გეგმის გარეგან სწორკუთხედში (5,7×4 მ) ჩაწერილია კვადრ. ფორმის დარბაზი და ღრმა, ნახევარწრიული აფსიდი, რის გვერდები უშუალოდ ერწყმის დარბაზის კედლებს.

შესასვლელი დას-იდანაა. კარი, შეისრული თაღითაა გადახურული და როგორც ფასადის, ისე ინტერიერის მხრიდან, საფეხურით შელრმავებულ სწორკუთხა არეშია ჩასმული. მათგან გარეთას ორსაფეხურიანი ხერხულა ფრიზი აგვირგვინებს, შიგნითას კი – ხის ძელი.

აფსიდი განათებულია მცირე ზომის სწორკუთხა სარკმლით, რის ღიობი გარეთკენ თანდათან მაღლდება. ერთი მსგავსი სარკმელი დას. კედელშიცაა, შესასვლელის ზემოთ. აფსიდში სამი მცირე ნიშაა: ერთი – სამხრ-ით, ორი – ჩრდ-ით. სარკმლის ქვემოთ დგას კედელზე მიყრდნობილი, აგურით ნაშენი ტრაპეზი. საკურთხეველის ბაქანი დარბაზის იატაკის მიმართ საფეხურითაა შემაღლებული და შუაში ნახევარწრიული ამბიონი აქვს მოწყობილი. საკურთხეველი დარბაზისგან გამოყოფილია მოგვიანებით ჩაშენებული აგურის კანკელით.

დარბაზის სამხრ. და ჩრდ. კედლებში, იატაკიდან 0,6 მ სიმაღლეზე, სიმეტრიულად თითო შეისრული ნიშაა მოწყობილი.

საკურთხეველი და დარბაზი გადახურულია ერთიანი, ტლანქად ნაწყობი კამარით, რ-საც აღმ. ბოლოში კონქისმაგვარი მომრგვალება აქვს.

ეკლესიის ფასადები სადაა. დას. ფასადის შუა ნაწილში, კედლის მთელ სიმაღლეზე, გამოიყოფა აგურით ნაწყობი შრე (გვიანდელია?), რ-შიც ჩართულია ცისფრად მოჭიქული აგურის სხვადასხვა ზომის ნაწილებით გამოყვანილი, არათანაბარი სიგრძის, ოთხი ხოლი. მათგან ერთი – შესასვლელის შელრმავებულ არეშია, მეორე – მის თავზე, ხოლო დანარჩენი ორი – შედარებით მოკლე, სარკმლის ზემოთ.



080. ხედი სამხრ.-დას.-იდან

ეკლესიის აღმ. და დას. ფასადებზე შემორჩენილია ოთხსაფეხურიანი ლავგარდნის მცირე ნაწილი, რ-იც ნეკულებრივად ნაწყობი და კუთხით წინწამოწეული აგურის რიგების მონაცვლეობისგან შედგება.

ეკლ. დაბურული იყო კრამიტით.

081. წმ. სტეფანეს ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ. ნაწილში, ოზაშვილების უბანში. შედგება სხვადასხვა პერიოდის ორი ნაწილისგან – თავდაპირველად აქ მდგარი XVIII ს-ის მცირე





081. გრძივი ჭრილი, ხედი ჩრდ.-კენ. გეგმა

დარბაზული ეკლესიისგან (8×5,5 მ) და მოგვიანებით (როგორც ჩანს XIX ს-ის II ნახ-ში), მასზე დასიდან მიდგმული, რამდენადმე განიერი და მაღალი მინაშენისგან (სიგრ. – 5,9 მ, სიგ. – 7,1 მ).

ეკლ. ძირითადად რიყის ქვითაა ნაგები. არქიტ. ელემენტები და კონსტრ. ნაწილები გამოყვანილია კვადრ. აგურით. მოგვიანებით მიშენებული ნაწილიც რიყის ქვისა და აგურისაა, ოღონდ წყობის ხასიათით თავდაპირველი ნაწილისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. მისი გარეთა კედლები რიყის ქვისაა, რ-შიც თანაბარი ინტერვალით, აგურის ორი რიგით გამოყვანილი თარაზული ზოლებია ჩართული. კუთხეები, კარ-სარკმლები, შიგნითა კედლები და კამარა, მთლიანად აგურისაა. დას. ნაწილის მიშენების დროს ეკლესიის ინტერიერი მთლიანად შეულესავთ, კედლები შეუთეთ-

რებიათ, კამარა კი ცისფრად შეუღებავთ.

ეკლესიას ორი ფართო, მაღალი, თაღოვანი შესასვლელი აქვს. ორივე მიშენებულ ნაწილშია – სამხრ-ით და დას-ით.

თავდაპირველ ეკლესიას შესასვლელი დას-იდან ჰქონია. აღმ-ით იგი დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით, რ-შიც ერთი თაღოვანი სარკმელი (გადაკეთე-



081. დას. ფასადი

ბულია მინაშენის მშენებლობისას) და ხუთი მცირე ნიშაა მოწყობილი: სამი – სარკმლის ჩრდ-ით, ორი – სამხრ-ით. მათგან ჩრდ-ით მდებარე ნიშებიდან ორი, ოდნავ მოზრდილია, შეისრული, ხოლო ერთი – სწორხკუთხა. სამხრ-ით მდებარე ნიშებიდანაც მოზრდილი შეისრულთაღოვანია, მცირე კი – სწორკუთხა.

ეკლესიის თავდაპირველი ნაწილის გრძივ კედლებზე ორი წყვილი, მარტივი პილასტრია, რ-ებსაც შეისრული საბჯენი თაღები ეყრდნობა. შეისრული ფორმისაა კამარაც. პილასტრების აღმ. წყვილით და მათზე გადაყვანილი საბჯენი თაღით საკურთხევლის სივრცეა გამოყოფილი.

გრძივ კედლებზე (შუა პილასტრის გვერდებზე), იატაკიდან 0,5 მ სიმაღლეზე, შეისრული ნიშებია მოწყობილი. მათ შორის ჩრდ. ორივე ნიშაში მოწყობილია ორ-ორი სათოფური.

მიშენებული ნაწილის შიდა სივრცე, თავდაპირველი ეკლესიის სივრცესთან შედარებით, რამდენადმე მაღალია და შეისრული კამარითაა გადახურული. კამარა შუა და დას. კედლის მიმდებარე საბჯენ თაღებს ეყრდნობა.

მინაშენის კედლებში სამი ფართო, მაღალი, თაღოვანი სარკმელია, რ-ებშიც ხის სწორკუთხა ალათებია ჩასმული. მათ შორის ერთი სამხრ. კედლის აღმ. ნაწილშია, ხოლო ორი (ამოშენებულია) – ჩრდ-ით. გარდა ამისა, ერთი გაცილებით მცირე ზომის თაღოვანი სარკმელი დას. კედელშია, შესასვლელის ასწვრივ.

ეკლესიის ფასადებიდან მხოლოდ დას-ისაა მორთული – ფრონტონის სიბრტყეში გამოსახულია შეღრმავებული ჯვარი.

ფასადები დასრულებულია ერთიანი, ორსაფეხურიანი, აგურის ლავგარდნით. თითოეულ ნაწილს დამოუკიდებელი ორფერდა, კრამიტით დაბურული სახურავი აქვს.

მინაშენის დას. კედელზე აგურის ს ა მ რ ე კ ლ ო ყოფილა დადგმული, რ-ის მხოლოდ საფუძველიღაა შემორჩენილი.

2011 წ. საერთაშ. საქველმოქმედო ფონდ „ქართუს" მიერ ეკლესიას ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები: აღდგა კედლებისა და ლავგარდნის დანგრეული ნაწილები, ინტერიერში მოიხსნა ნალესობა, დაიგო იატაკი, განახლდა სამრეკლო და სახურავი.

თ. დვალი.

082. ჭრელი საყდარი, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, სავარაუდოდ, განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.



082. ხედი დას-იდან

ძ. ძლიერ დაზიანებულია. შემორჩენილი კედლების მაქს. სიმ. 1,8 მ-ია.

ეკლ. დარბაზულია, [illegible] ნაგები ყოფილა მოზრდილი ზომის რიყის ქვის [illegible] წყობით, კირის დუღაბზე. შესასვლელი დას-იდან ჰქონია.

ადგილ. მოსახლეობის გადმოცემით, საყდარს გამონაყარის განკურნების ძალა შესწევდა.

პ. ქურდიანი.

პატარა შირაქის ველი

083. ნაგომრებისთავის ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს ნაგომრებისხევის მარჯვ. მხარეს, სერზე, ველის აღმ-ით, თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლო – I ათასწლეულის დასაწყისით. აღმოჩნდა 2009 წ. ილიას სახელმწ. უნ-ტის მიერ ჩატარებული არქეოლ. დაზვერვების (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური) დროს. ნამოსახლარის ჩრდ. მხარე ფერდობზეა, რ-იც ხეობაში ეშვება. აღმ., სამხრ. და დას. მხარე – სწორ ადგილზე. ფერდობის თავზე გამართულია წრიული ციტადელი (დიამ. – 50 მ), რ-საც ღრმა, განიერი თხრილი შემოუყვება. ცენტრი ჩავარდნილია. სამხრ-იდან აკრავდა ციტადელის გარე დასახლება, სათავდაცვო ზღუდით (სიგრ. – აღმ-დას. ხაზზე – 500 მ, სიგ. – ჩრდ.-სამხრ. ხაზზე – 400 მ). ნამოსახლარს აქვს ზღუდის გარე დასახლებაც (სიგრ. – დაახლ. 1 კმ). კარგად ჩანს ციტადელის ქვედა, მეორე თხრილიდან დაწყებული, ფერდობს ჩაყოლებული ნაგზაური, რ-იც ხეობისკენაა მიმართული. ძეგლზე აკრეფილი მასალა უხვია და მრავალფეროვანი. ჭარბობს კარგად გამომწვარი მონაცრისფრო, ლეგა ან რუხი კერამიკა, ქვის იარაღებიდან – სანაყები, ხელსაფქვავის ფრაგმენტები, თოხები.

არქეოლ. მასალა დაცულია ილიას სახელმწ. უნ-ტში.

ვ. ვარაზაშვილი, კ. კ. ფიცხელაური.

084. ნაგომრებისთავის სადგომი, არქეოლ. ძ. მდებარეობს ნაგომრებისთავის გორის სამხრ-

ით, უსახელო, მშრალი ხევის მარცხ. ნაპირზე, „ელდარის“ მეცხვარეობის მეურნეობის ტერიტორიაზე. მიეკუთვნება მუსტიეს ხანას. 1969 წ. გამოავლინა ია3 ინ-ტის კაე-ის ქვის ხანის რაზმმა (ხელმძღვ. თ. ბუგიანიშვილი). სადგომს უკავია 50×50 მ ფართობი. ნაპოვნია ორი გლუვი დარტყმის მოედნის მქონე და რელიეფურბურცულიანი, მოგრძო, დაბალი, ფართო კაეის ანატკეცი.

მოპოვებული არქეოლ. მასალა დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

თ. ბუგიანიშვილი.

085. ნამოსახლარები, არქეოლ. ძ. მდებარეობს ველის დას. ნაწილში. თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლო – I ათასწლეულის დასაწყისით.

აღმოჩნდა 2009 წ. ილიას სახელმწ. უნ-ტის მიერ ჩატარებული არქეოლ. დაზვერვების დროს (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). ერთი ნამოსახლარი ოვალურია (სიგრ. – 130 მ, სიგ. – 70 მ), მეორე დაზიანებულია ტერიტორიის ინტენსიურად დამუშავების გამო. არქეოლ. მასალა დიდ ფართობზეა (დაახლ. 300×300 მ) გაბნეული. ჭარბადაა მოპოვებული კარგად გამომწვარი, ნაცრისფერი და მოწალისფრო, ტალღური და რელიეფური ორნამენტით შემკული თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. დადასტურებულია ცხოველის ძვლებიც, რიყის ქვის იარაღები: სანაყები, სასრესები, თიხები, ხელსაფქვავის ნატეხები.

ანაკრეფი მასალა დაცულია ილიას სახელმწ. უნ-ტში.

ვ. ჯარაბაშვილი, კ. კ. ფიცხელაური.

086. ნამოსახლარები, არქეოლ. ძ. მდებარეობს ველის სამხრ.-აღმ. და სამხრ. მონაკვეთში, სერზე. თარიღდება II ათასწლეულის ბოლო – I ათასწლეულის დასაწყისით. აღმოჩნდა 2009 წ. ილიას სახელმწ. უნ-ტის მიერ ჩატარებული არქეოლ. დაზვერვების დროს (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). პირველი ნამოსახლარი აღმ. და დას. ნაწილში (სიგრ. – 200 მ, სიგ. – 20 მ) ნაკვეთილია, ჩრდ. მხრიდან შემოსდევს მიწაყრილიანი ტერასა (სიგ. – 20-25 მ).

ნამოსახლარს, ჩრდ-ითა და ჩრდ.-აღმ-ით, ხლუდის გარე დასახლებაც ჰქონია.

მეორე ნამოსახლარი სერის თავმოჭაკებულ ბორცვზეა განლაგებული, დამხრობილია აღმ.-დას. მიმართულებით (სიგრ. – 170 მ, სიგ. – 60 მ) და ამ ადგილზე თხრილითაა გადაკვეთილი. ჩრდ. მხრიდან გარშემოუყვება სათავდაცვო ხლუდე (სიმ. ზოგან 3-4 მ-ია).

ვ. ჯარაბაშვილი, კ. კ. ფიცხელაური.

087. რკინის საწნობი სახელოსნო, არქეოლ. ძ. მდებარეობს ველის ჩრდ.-დას. ნაწილში. სავარაუდოდ, შეიძლება დათარიღდეს I ათასწლეულის შუა ხანებით.

აღმოჩნდა 2009 წ. ილიას სახელმწ. უნ-ტის მიერ ჩატარებული არქეოლ. დაზვერვების დროს (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). სახელოსნო გამართულია ერთ-ერთი გორის ჩრდ. ფერდობზე. ძეგლს სამხრ.-იდან და სამხრ.-დას.-იდან განიერი, მშრალი ხევი ესაზღვრება.

ვ. ჯარაბაშვილი, კ. კ. ფიცხელაური.

სამრეკლო

(საკრებულოს ცენტრი)

088. ენამთის გორასამარხი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სავარგულებში, ალაზნის ველზე, წნორი-სამთაწყაროს გზის მარჯვ. მხარეს, ენამთად წოდებულ ადგილზე. თარიღდება ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრით. აღმოჩნდა 1984 წ. მიწის დამუშავების დროს. ძ., რ-საც ქვამიწაყრილი უკვე გადაკლეკილი ჰქონდა, გაითხარა 1985 წ. აძპ-ის შირაქის არქეოლ. ექსპედიციის მიერ (ხელმძღვ. ბ. მაისურაძე). მიწის ზედაპირიდან 0,85 მ სიღრმეზე გამოვლინდა უსწორმასწორო კედლების მქონე კოლექტ. სამარხი ორმო (4×4 მ). ძეგლის იატაკის დონე მდებარეობდა 1,9 მ სიღრმეზე. სამარხის ცენტრ. ნაწილში აღმოჩნდა ძირითადი მიცვალებულის ჩონჩხი, რ-იც დაკრძალული იყო მარცხ. გვერდზე თავით დას-ით, ჩრდ.-დას. კუთხეში კი მცხვეტფეხა იყო. მეოთხე მიცვალებულის ძვლებს ბავშვის ქალა და ძვლები. სამარხში გამოყენებული ... და ოქროს ხვია, პასტის მრგვალი რვა მძივი, ასეთივე ფორმის სარდიონის ოთხი მძივი, ცრემლისებრი სამი მძივსაკიდი, ძვლის სამკუთხა გულსაკიდი, ბრინჯაოს ოთხწახნაგა ბიპირამიდული ისრისპირი და ოთხწახნაგა სადგისი (ისრისპირი); ხელით ნაძერწი თექვსმეტი თიხის ჭურჭელი: დერგი, ხელადა, ორი ტოლჩა, სამ-სამი ჯამი და ჭოთანი, ხუთი ბადია და თიხის ჭურჭლის პირ-გვერდის მკრივე ფრაგმენტები. ხელადა მკვრივი, წვრილი თეთრმინარევიანი თიხით არის ნაძერწი, დანარჩენი ჭურჭლები – უხეში, ქვიშის ან ქვიშის და წვრილი თეთრმინარევიანი თიხით. კერამიკა არათანაბრადაა გამომწვარი, უმრავლესობა მოყავისფრო-მონაცრისფროა. ჭურჭელს ალაგ-ალაგ შავი, რუხი და ყვითელი ფერის ლაქები აქვს. ზოგიერთი ჭურჭლის ზედაპირი პრიალაა, ზოგიერთი – სუსტადაა ნაპრიალები. სამარხეული დერგის მხარზე, ერთმანეთის საპირისპიროდ, ორი მცირე შეერილია დაძერწილი. მსგავსი შეერილები მიძერწილია ჯამისა და ბადიის პირზეც. უკურია ორი ჯამი და ბადია. ამ ჭურჭლებს, სამარხის სხვა ფართობპირიანი ჭურჭლებისგან განსხვავებით, ოდნავ შიგნით გადახრილი პირი აქვს. სამ ბადიას, პირზე და მხარზე, ერთმანეთის მოპირდაპირედ, ზემოდან მომრგვალებული და შიგნიდან ბრტყელი, მცირე ზომის ორი ყური აქვს მიძერწილი. ასეთივე, ოღონდ ცოტა მოზრდილი ყურები აქვს სამარხის ქოთნებსაც. ტოლჩებსა და ხელადაზე ყური პირს ქვემოთ და მხარზეა დაძერწილი. ორ ჭურჭელზე (ქოთანზე და ტოლჩაზე) შეინიშნება შედრეკილი ძირი. სამარხში გამოვლინდა აგრეთვე მსხვილფენა საქონლის ძვლები და ხარის მთლიანი თავის ქალა.

მასალა ინახება ქ. დედოფლისწყაროს მხარეთმც. მუზეუმში.

რ. რუსიშვილი.

ბიბლ.: 165; 198.

089. თამარის გორა, ნ ა მ ო ს ა ხ ლ ა რ ი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-აღმ-ით 5 კმ-ზე. ნამოსახლარზე დადასტურებული თიხის ჭურჭლის ნატეხების ერთი ნაწილი თარიღდება გვიანდ. ბრინჯაო – რკინის ხანით, მეორე – გვიანდ. ანტ. ხანით. ძეგლს გასული საუკუნის 70-იან წლებში მიაკვლია ისპ ინ-ტის აპს-ის ქაე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). ნამოსახლარი გამართულია ბუნებრივი ბორცვის მოსწორებულ თხემზე და შემოუყვება სათავდაცვო თხრილი.

მოპოვებული არქეოლ. მასალა დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

ნ. გოძიაშვილი.

ბიბლ.: 184.

090. ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს ენამთის ხევის მარჯვ. მხარეს, ალაზნის ველზე. თარიღდება ძვ. წ. III ათასწლეულის II და II ათასწლეულის I ნახევრით.

აღმოჩნდა 2009 წ. ილიას სახელმწ. უნ-ტის მიერ ჩატარებული არქეოლ. დაზვერვების დროს (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). ძეგლის (სიგრ. – 160 მ, სიგ. – 100 მ, სიმ. – 2,5-3 მ) კულტ. ფენის (ჩარეცხილია ადიდებული წყლის გამო) სისქე 2-იდან 3 მ-მდეა. აკრეფილი მასალა შეიცავს შავპრიალა, კარგად გამომწვარი კერამიკის ფრაგმენტებს, მოწითალო-მოყვითალო, სუსტად გაპრიალებულზედაპირიან ნატეხებს, იშვიათად – გვიანდ. ბრინჯაოსათვის დამახასიათებელ კერამიკას. ჭარბადაა ობსიდიანის ანატკეც-ანამტვრევები.

ნამოსახლარის გარშემო აღმოჩნდა გორასამარხების ველიც (გადასწორებულია სახნავი სამუშაოების გამო), რ-ზეც ქვის გროვებია შემორჩენილი.

არქეოლ. მასალა ინახება ილიას სახელმწ. უნ-ტში.

მ. ვარაზაშვილი, კ. კ. ფიცხელაური.

091. ნამოსახლარი გორა, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-აღმ-ით, მლაშე ტბის აღმ-ით მდებარე მთის სამხრ. ფერდზე. ხელოვნურად მოსწორებულ ადგილას, რ-საც გარშემოუყვება სათავდაცვო თხრილი. თარიღდება გვიანდ. ბრინჯაო-რკინის ხანით. გასული საუკუნის 70-იან წლებში მიაკვლია აპს-ის ქაე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). ძეგლზე დადასტურებულია თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.

მოპოვებული არქეოლ. მასალა დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

ნ. გოძიაშვილი.

092. წმ. ელიას სამლოცველო, ნ ა მ ო ნ ა ს ტ რ ა ლ ი, ისტ., არქეოლ., არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის მახლობლად, ელიას მთაზე. სავარაუდოდ, დაარსდა VI ს-ის შემდგომ, არა უგვიანეს IX ს-ისა. სამლოცველოს დაფუძნება დაკავშირებული უნდა იყოს წმ. ასურელი მამის სტეფანე ხირსელის მიერ დაარსებულ მონასტერთან. ძეგლის შესახებ ცნობას გვაწვდის ა. დიუმა. რ-ის თანახმად, მთის შუაში გამოჭრილ ფართო მღვიმეში აშენებულია სამრეკლო, სადაც ხშირად დადიან მაცხოვრებლები. გადმოცემით ამ მღვიმეში ილია წინასწარმეტყველისთვის ყორანს საჭმელი მოჰქონდა და რომ მან საკუთარი წამოსასხამი თავის მოწაფეს ელისეს დაუტოვა, თვითონ კი მთის მწვერვალიდან ცაში ამაღლდა.

სამლოცველოს თავდაპირველი ნაგებობებისგან არაფერია შემორჩენილი. ისინი შესაძლოა მთლიანად მოქცეული ყოფილიყო ბუნებრივ მღვიმეში, რ-იც იმდროისათვის უფრო დიდი და საცხოვ-



092. ხედი აღმ-იდან

რებლადაც უფრო ვარგისი იყო. ის, რაც დღემდე შემორჩა ძეგლის მეორედ აღორძინების პერიოდის – XVI ს-ის უნდა იყოს, როცა



092. დას. ფასადი

კახთა მეფის ალექსანდრე II-ის დროს კომპლექსი ფაქტობრივად ხელახლა აშენდა. 1616 წ. კახეთის



092. სამხრ. ფასადი

აოხრებისას, სამლოცველო დაანგრიეს. აქ შემორჩენილი მთელი ქვევრები XVI ს. მონასტრის უშცარი გაუკაცრიელების ნიშანია. სამლოცველო მესამედ ერეკლე II-ის დროს აღორძინდა. ძ. იმ დროისთვის უკვე საფუძვლიანად დანგრეული პატარა ეკლესია აღადგინეს. ეკლესიის ნაგებობა ძირითადად ქვისაა, ნაწილობრივ ადობე

ლი აფსიდით, რ-იც ძირითადი სივრცისგან მოკლე ბემითაა გამოყოფილი (შიგნითა ზომები ღერძებზე: სიგრ. – 17,3 მ, სიგ. – 13,2 მ). მიდგმული სამრეკლოს პირველი სართულიდან. თითო კარი ჩრდ. და სამხრ. მკლავებშიცაა. აფსიდში ორი სარკმელია გაჭრილი. ორი წყობილი. თითო სარკმელი აქვს მკლავის გვერდით კედლებშიცაა. საკურთხეველის გვერდებზე თითო მცირე სათავსია. მათგან სამხრისას საკურთხეველი ბემაში გაჭრილი კარით უკავშირდება. ჩრდ. სათავსს კი დამოუკიდებელი შესასვლელი აქვს – ჩრდ-იდან. საჯარაუდოდ, ეს სადგომი ეკლესიის მსახურის ან მცველის საცხოვრ. უნდა ყოფილიყო.



093. გეგმა

ეკლესიას მთავარი შესასვლელი დას-იდან აქვს, ამ მხრიდან ფართო სარკმელი განიც მკლავებში, შესასვლელების თავზეა მოთულობით გამოირჩევა დას. ფასადი, რ-ის შუა, საფეხურით შერილ ნაწილს თაღოვანი პორტალი ამშვენებს. თაღის ფორმას მის თავზე მდებარე სარკმლის თაღსართიც იმეორებს (პორტალის მსგავსი თაღებითაა მორთული ეკლესიის დანარჩენი სარკმლებიც). ფასადს ასრულებს ერთმანეთზე გადაბმული სამი თაღი. ეს მოტივი, მეტნაკლებად, ჩრდ. და სამხრ. ფასადებზეც მეორდება.

ეკლ. დროთა განმავლობაში სპორტულ დარბაზად გამოიყენებოდა და თავდაპირველი სახე მნიშვნელოვნად ჰქონდა შეცვლილი.



093. გრძივი ჭრილი, ხედი სამხრ-კენ



093. სამხრ. ფასადი



093. ხედი ჩრდ-დას-იდან

2011-12 წწ-ში, საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ქართუს" დაფინანსებით ეკლესიას ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები. (გამაგრდა საძირკველი და დაზიანებული კედლები, აღდგა ცენტრ. ნაწილის გუმბათოვანი გადახურვა, მკლავების გადახურვები და სამრეკლოს ფანჩატური, ეკლ. გადაიხურა თუნუქით).

ზ. ჯინჭარაძე

სამუხის (ელდარის) ველი

094. რკინის სადნობი სახელოსნო, არქეოლ. ძ. მდებარეობს სამუხის ველის ცენტრში, პანტიხევის მარჯვ. მხარეს, მინდორში. თარიღდება ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით.

აღმოჩნდა 2009 წ. ილიას სახელმწ. უნ-ტის მიერ ჩატარებულ არქეოლ. დაზვერვების დროს (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). სახელოსნოს (ფართ. 70×70 მ-მდე) ირგვლივ კარგად ჩანს წიდის მოზრდილი ფრაგმენტები.

ვ. ვარაზაშვილი, დ. მჟავანაძე, კ. კ. ფიცხელაური.

095. ხორანთა (ჰერეთი) ნ ა ქ ა ლ ა ქ ა რ ი, ისტ., არქეოლ. ძ. ერთ-ერთი უძველესი ქალაქი. ვახუშტი ბატონიშვილი ქალაქის დაფუძნებას თარგამოსის ძეს ჰეროსს უკავშირებს, „ხოლო მტკვრისა და ალაზნის შესართავს ზეით, ჩდილოთკენ, მოერთვის ალაზანს მცირე-ალაზანი ანუ იორი, და ამათ შესართავს შორის არს ჰერეთი, რომელი აღაშენა ჰეროს, ქალაქი თვისისა სახელისა, და ამის გამო ისახელა ქუეყანაცა ესე, და აწ უწოდებენ ამას ადგილსა ხორანთას. და იყო ქალაქი და ციხე ყრუდმდე და ბერქამდე, შემდგომად მოოხრდა და აწცა ოხერ არს." ს. კაკაბაძე ერთმანეთში აიგივებს ხორანთას და ხორნაბუჯს და მას ხორნაბუჯის ძველ სახელად მიიჩნევს. მისი აზრით ხორანთა მდებარეობდა იორის შესართავსა და მტკვარს შუა, ალაზნის მარჯვ. სანაპიროზე. პ. ინგოროყვას ვარაუდით კი – მდინარეების ეგრისისწყლის და ალაზნის შესართავთან.

საქართვ. ეროვნული მუზეუმის მიერ 1965 წ. ჩატარებული არქეოლ. გათხრების (ხელმძღვ. ლ. ჭილაშვილი) შედეგად მოხდა



095. ნაგებობის ნაშთი, გეგმა

ნაქალაქარის ლოკალიზაცია. იგი ალაზან-იორის შესაყართან, მისგან ჩრდ-ით (დაახლ. 5 კმ-ზე), 10 ჰა-ზეა გაწვენილი. არქეოლ. მონაცემებით (თიხის უამრავ დამსხვრეულ ჭურჭელს შორის საყურადღებოა დიდი ზომის ჭურჭლის პირი ჯვრის ამოკაწრული გამოსახულებით, ქართულასოიანი დოქის



095. ნაგებობის ნაშთი, ჭრილი 1–1

ყური, ღვინის ამოსაღები და ა.შ.) და საისტორიო წყაროებით ხორანთაში, როგორც ჰერეთის პოლიტ., ადმ. და ეკონ. ცენტრში, ცხოვრება ძვ. წ. I ათასწლეულიდან აქტიურად მიმდინარეობდა. იგი მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქი იყო შუა საუკუნეებშიც. ხორანთას მჭიდრო ურთიერთობა უნდა ჰქონოდა როგორც ქართულ ქალაქებთან, ისე ალბანეთის ეკონ. ცენტრებთან (მოვაკანი, მინგეჩაური). იგი უნდა ყოფილიყო იბერების, ალბანელებისა და არმენიელების შეხვედრის ადგილი. VIII ს-ში ხორანთა მურვან-ყრუმ დაარბია, XIII ს-ში მონღოლებმა ბერქაყაენის შემოსევებით ერთიანად შემუსრეს იგი. ხორანთაში სამუდამოდ შეწყდა საქალაქო ცხოვრება. მას ახალორძინებლად აღარ გააჩნდა ეკონ. საყრდენი. ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ქალაქი განლაგებული იყო კლიმატური პირობების მხრივ მკაცრ ზონაში, სადაც სოფ. მეურნეობის ნორმალიზაციისთვის არ იყო სათანადო პირობები.

2009 წელს, ილიას სახელმწ. უნ-ტმა დაიწყო ამ უძველესი ქართ. რეგიონის გეგმიური შესწავლა (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). გათხრები მიმდინარეობდა მდ. იორის მარცხ. სანაპიროზე, ალეხილების ქედის ძირში, სამხრ-ით, მშრალი ხევის ორივე ნაპირზე. მონაპოვარი მასალის მიხედვით ძ. თარიღდება ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე ნახევრით და ახ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით. დადგინდა, რომ 10 ჰა-ზე გაწვენილი ნაქალაქარის (სასახლეებისა თუ ტაძრების ექვსი კომპლექსი) საყრ-

თო ფართი 400×400 მ-ია. ძ. თანამედროვე დასახლებებიდან რამდენიმე ათეულ კმ-ზე მდებარეობს და ფაქტობრივად დაუზიანებელია.



095. ნაგებობის ნაშთი. ხედი ჩრდ.-აღმ.-კენ

ნაქალაქარის ერთ-ერთი უბანი (სიგრ. – 200 მ) კლდის მასივითა და მაღალი სერებითაა დაცული. სამხრ. მხარე სამუხის ველისკენ იხსნება. ზოგ ადგილას კარგად



095. ნაგებობის ნაშთი, ქვის ბაზისი

ჩანს სათავსის კედლის ნაშთები. ზედაპირულ მასალაში ჭარბობს ქვევრისა და კრამიტის კარგად გამომწვარი მოყვითალო და მოწითალო ჭურჭლის ფრაგმენტები. ნაქალაქარის მეორე უბნის ზედაპირი დასერილია რამდენიმე მშრალი ხეობით. ძველზე აშკარად შეიმჩნევა ორი კულტ. ფენა – როგორც წინა ქრისტ., ისე ადრინდ. ქრისტ. ეპოქის. უბნის ერთი ბორცვი დახიანდა მიწის სათხრელი ტექნიკის გამოყენების გამო. დაინგრა ქვით ნაგები შენობის (სატაძრო კომპლექსი) აღმ. კედლის სამხრ. მონაკვეთი. ამასთან, მისგან 4 მ დაცილებული კედელი, რ-იც აღმ-იდან სახლვრავდა ნაგებობას, ან მის პორტიკს ქმნიდა (შესაძლოა იგი დამოუკიდებელი შენობის ფრაგმენტიც იყოს). აქვე გამოვლინდა კულტ. ფენიდან ამოგდებული სვეტის ქვის ლილვიანი, სამსაფეხურიან „კვარცხლბეკზე" დაყრდნობილი (რაც ი შვიათია არამარტო ამიერკავკასიაში) ბაზისი (სიმ. – 74 სმ, საკუთრივ ლილვისა – 20 სმ). ლილვი შედგენილმრუდიანი უნდა ყოფილიყო და მას ზედა ნაწილი უნდა აკლდეს. ბაზისი შთამბეჭდავი არქიტ. დეტალია და იმ მონუმ. საკულტო თუ სახ. ნაგებობის კუთვნილი იყო, რ-იც უთუოდ ურბანულ სივრცეში იყო აღმართული.

ნაგებობის დას-ით, 40-იოდე მ-ში, „ყადანაყარ" მიწაში აღმოჩნდა ბოლნური ჯვრის რამდენიმე ფრაგმენტი. ერთი მათგანი ალებასტრის თხელ ფირფიტაზე ამოკვეთილ წრეში ნაწერილი ჯვარია (გარე დიამ. – 14 სმ, სიდა – 9,5 სმ), რ-იც „მარგალიტების" მწკრივითაა მოჩარჩოებული. სხვა ფრაგმენტები კი ამავე ტიპის ცალკეული მკლავებია. მათი არშია სამკუთხედების რიგებითაა შედგენილი. ლილვიანი ბაზისის წინასწარული თარიღი – ელინისტური ხანაა, ხოლო [illegible] ძნელია V ს. შემდგომი ხანით დათარიღდეს. აქედან გამომდინარე, ქალაქი, შესაძლოა რაღაც წყვეტილებით, შვიდი საუკუნის მანძილზე მაინც ფუნქციონირებდა. ადგილზე დადასტურდა რამდენიმე დაზიანებული ქვაყუთი და წიდის ფრაგმენტები. ზედაპირული მასალა გამოირჩევა არქაული კრამიტისა და სხვა კერამ. ნაწარმის ფრაგმენტების სიუხვით. კერამიკა უმეტესად წითელი და ყვითელი ფერისაა.

ტერიტორიის შემდგომი გაწმენდის დროს გამოიკვეთა შთამბეჭდავი ნაგებობის (საკულტო?) კვალი. იგი ჩრდ.-დასიდან სამხრ.-აღმ-კენ მიმართული დარბაზია. კედლები (სიგ. – 1,4 მ) ნაგებია მსუბუქად დამუშავებული ან შერჩეული ქვიშაქვის ფილებითა და კვადრებით. შემაკავშირებლად გამოყენებულია თიხა (სისქე – 2-3 სმ). კედლის სტრუქტურა ორნაწილიანია: შედგება ქვის წყობისგან, რ-იც ნაგებობის აღმ. მხარეს 2 მ-დეა, და მასზე დაყრდნობილი ალიზის აგურის რიგებისგან. კარის ღიობი ჩრდ. კედლის აღმ. ნაწილშია. შიდა მხრიდან, ამავე კედლის პარალელურად, მისგან 10-15 სმ-ზე დგას ერთმანეთისგან 3,75 მ დაშორებული, გაურკვეველი ფუნქციის მქონე ორი ბაზისი.



095. ნაგებობის ნაშთი, ქვის ბაზისი

შენობა დელუვიურ შრეზე დგას, რ-იც ფერდობებიდან დანარეცხი ქვა-ღორღისაა, საკმაოდ მძლავრია და გადაფარული აქვს

ის სამშენ. დონე, რ-საც ლილვიანი ბაზისი და შესაბამისად, მონუმ. ნაგებობა განეკუთვნებოდა. ამ შრის თავზე კი სტერილური ფენა (სიმ. – 60-70 *სმ*) წარმოშობილა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ რამდენიმე ათეული წლის მანძილზე, თუ მთელ ქალაქში არა, მის ამ მონაკვეთში მაინც სიცოცხლე შეწყვეტილა.



095. შორენკეცის ფრაგმენტი ბოლნური ჯვრის გამოსახულებით და ასომთავრული წარწერით

ნაქალაქარის ტერიტორიაზე აკრეფილი მასალა ინახება ილიას სახელმწ. უნ-ტსა და დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ნაქალაქარის სამხრ.-დას-ით, რამდენიმე *კმ*-ზე, მდ. მტკვრის მარცხ. ნაპირას, იორ-ალაზნის შესართავთან 1750 წ. გაიმართა ბრძოლა ქართლ-კახეთის სამეფოსა და დაღესტნელ ფეოდალთა ლაშქარს შორის. ეს ბრძოლა ისტორიაში ცნობილია დ ა ნ დ ი ს ი ს ბ რ ძ ო ლ ი ს სახელით. დაღესტნელთა ცხენოსანი ჯარი თავს დაესხა ყაზახს (ამჟამად აზერბაიჯანი) და შემდეგ მდ. იორზე ჩამოდგა. ქართლ-კახეთის გაერთიანებულმა ლაშქარმა ერეკლე II-ის წინამძღოლობით მტერს გასასვლელი გზები შეუკრა. მოწინააღმდეგე მდ. იორს დაჰყვა და დანდისში, იორ-ალაზნის შესართავთან დადგა. ქართველები მტერს წამოეწივნენ და მძიმე ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვეს. თავად ერეკლე II მეწინავე ჯარში იბრძოდა. დაღესტნელთა გადარჩენილმა ნაწილმა ფლატიან გორას შეაფარა თავი, მაგრამ ფლატე მოსკდა და ლტოლვილნიც დაიღუპნენ. ქართველებმა ხელს იგდეს მრავალი ტყვე და ნადავლი. დანდისის ბრძოლის შემდეგ დაღესტნელი ფეოდალები კარგა ხანს ვეღარ ბედავდნენ საქართველოში ლაშქრობას, მხოლოდ მცირე რაზმები დათარეშობდნენ ქურდულად.

ვ. ვარაზაშვილი, კ. კახაძე,
ქ. ქ. ფიცხელაური.

ბიბლ.: 3; 53; 73; 81; 110; 157; 159; 191; 232 ბ; 300.

ტარიბნის ტაფობი

096. გორასამარხი ტარიბანა, არქეოლ. ძ., მდებარეობს ტარიბნად წოდებულ ადგილზე (საერთო სიმ. – 3 *მ*, ქვამიწაყრილის სიმ. – 2 *მ*, დიამ. – 40 *მ*). თარიღდება ძვ. წ. IV-III ათასწლეულების მიჯნით.

2002 წ. შეისწავლა ჰპმ-ის აჰც-ის და ქ. ჰალეს (გერმანია) მარტინ ლუთერის სახ. უნ-ტის ერთობლივმა არქეოლ. ექსპედიციამ (ხელმძღვ-ბი: კ. ფიცხელაური, ა. ფურტვენგლერი). ძ. დაზიანებული იყო განძთმაძიებლების მიერ.

ყრილის ქვეშ აღმოჩნდა დასაკრძალავი, კუთხეებმომრგვალებული ორმო (სიგრ. – 3,3 *მ*, სიგ. – 2,2 *მ*, სიღრმე – 1,2 *მ*), რ-იც დამხრობილია სამხრ.-აღმ-იდან ჩრდ.-დას-ით. სამარხში აღმოჩნდა ერთმანეთზე დალაგებული ადამიანის 63 ჩონჩხი. მიცვალებულები (ასაკი 4-5 წ-იდან 60 წ-მდე) ესვენა კიდურებმოხრილი, მარჯვ. ან მარცხ. გვერდზე, თავით სხვადასხვა მიმართულებით. სამარხში გამოვლინდა თიხის 29 ჭურჭელი – ფრაგმენტულად, ობსიდიანის ფუძემომრგვალებული ისრისპირი და ძვლის ორი კვირისთავი. სამარხეული კერამიკა დამზადებულია ხელით. თიხა წვრილ ან მსხვილმარცვლოვანია. რამდენიმე შემთხვევაში დადასტურდა კენჭის მინარევიანი და წმინდა, განლექილ თიხაზე დამზადებული ჭურჭელიც. მასალა უმეტეს შემთხვევაში კარგადაა გამომწვარი. ბადიების კეცი მკვრივია, მოყვითალო-მოწაბლისფრო, ან ლეგა-მონაცრისფრო. ზოგიერთის ზედაპირი ხელითაა მოგლუვებული, ხშირად გვხვდება სუსტად ნაპრიალებიც. კეცებს ორივე პირზე (წიბოვან-ულად) ან ერთ მხარეს მიძერწილი აქვს შვერილები. გამორჩეულია ერთი ჭურჭელი, რ-საც პირთან, ერთ მხარეს, მიძერწილი აქვს ერთმანეთთან მიჯრილი ორი („ტყუპი") შვერილი. ტოლჩებისთვის და სასმისებისთვის დამახასიათებელია ცალ ან ორივე მხარეს მიძერწილი ყურები. მათ, ქოთნებთან ერთად, კარგად ეტყობათ მხარზე გარდატეხის ხაზი (წიბო). ერთი ჭურჭლის დაზიანებულ მიდაპირზე ჩანს ქსოვილის ანაბეჭდი. საყურადღებოა ჯამი, რ-იც, სავარაუდოდ, სწორკედლიანია, პირთან სიმეტრიულად მიძერწილი ორი პატარა ყურით.

სამარხს სამხრ.-აღმ.-იდან უერთდებოდა დრომოსი (სიგრ. – 1 *მ*), რ-ის სიგ. ველის დონეზე 0,5 *მ*-ია, კამერასთან – 1 *მ* და მთავრდება საფეხურით (სიმ. 0,25 *მ*). დრომოსის ორივე გვერდი ამოშენებული იყო მცირე ზომის რიყის ქვის ერთი რიგით. დრომოსსა და კამერის შესასვლელში ჩონჩხების უმეტესობა მცირეწლოვანი ბავშვებისა იყო. კამერის ჩრდ. კედელთან აღმოჩნდა ცხოველის (თხა თუ ცხვარი) თავის ქალა. სამარხის ცენტრში რამდენიმე მიცვალებული, სავარაუდოდ, ცხოველის ტყავში იყო გახვეული.

ბორცვზე აღმართული ყოფილა რიყის და ქვიშაქვის ორ ათეულამდე მრგვალი ან კონუსური სტელა (სიმ. – 0,4 *მ*-იდან 1,2 *მ*-მდე, სიგ. – 0,4-0,5 *მ*). მსგავსი სტელის ფრაგმენტები მიმოფანტულია სამარხის მიმდებარე ტერიტორიაზე.

მოპოვებული არქეოლ. მასალა დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

ვ. ვარაზაშვილი.

097. ნამოსახლარები, არქეოლ. ძ. ერთი ნამოსახლარი მდებარეობს ტაფობის სამხრ. აღმ-ით, კოწახურის ქედის აღმ. მონაკვეთში. მეორე – ჩრდ. დას-ით, დაბალ სერზე.

მესამე კი, იქვე – მაღალ ხერხემლოვანი თითოეული მათგანი თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლო და I ათასწლეულის დასაწყისით.

ძ. აღმოჩენილია 2009 წ. ილიას სახელმწ. უნ-ტის მიერ ჩატარებული არქეოლ. დაზვერვების დროს (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). პირველი ნამოსახლარი (სიგრ. – 150 მ, სიგ. – 50 მ) დამხრობილია აღმ-დას. მიმართულებით. გარშემოუვლება დაბალი სათავდაცვო ხლუდე. მეორე ნამოსახლარი ოვალურია (სიგრ. – 80 მ, სიგ. – 30 მ), წაგრძელებულია ჩრდ.-აღმ-იდან სამხრ.-დას-ით. სამხრ. აღმ-იდან გასდევს ფლატე დანარჩენ მხარეს სათავდაცვო ხლუდე გარშემოუვლება. აღმ-დას. მიმართულებითაა დამხრობილი III ნამოსახლარი (სიგრ. – 45 მ, სიგ. – 20 მ). ძეგლის სამხრ. მხარე მთლიანად ფლატეა, დანარჩენი კი – ციცაბო ფერდობი, რ-საც გარშემოუვლება მაღალი სათავდაცვო ხლუდე.

ვ. ვარაზაშვილი, კ. კ. ფიცხელაური.

098. ნამოსახლარები, არქეოლ. ძ. მდებარეობს ტარიბნის ტაფობში, კოპახურების ქედის სამხრ-ით, მდ. ივრის მარცხ. ნაპირას, ხერხე, საქართვ. სასახლეო პუნქტიდან აღმ-ით 500-600 მ-ის დაშორებით, ვარაზმანავარად წოდებულ ადგილზე.

აღმოჩნდა 2009 წ. ილიას სახელმწ. უნ-ტის მიერ ჩატარებული არქეოლ. დაზვერვების დროს (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). ერთი ნამოსახლარი (თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლო და I ათასწლეულის დასაწყისით) სერის ძირშია, უბეში, რ-ის ინტენსიური გადარეცხვის შედეგად ზედაპირზეც კი ჩანს მონაცრისფრო, ზოგჯერ მორუხო კერამ. მასალა.

მეორე ნამოსახლარი აღმოჩნდა სერის კლდოვან ფერდობზე 60-70 მ სიმაღლეზე, ჩრდ.-აღმ-იდან სამხრ.-დას. მიმართულებით დამხრობილ, დახრამულ ტერასაზე (სიგრ. – 300-400 მ, სიგ. 60-100 მ). ძ. თარიღდება ძვ. წ. I ათასწლეულის ბოლო – ახ. წ. I-II ათასწლეულების მიჯნით. ტერასის კიდის, მთელ სიგრძეზე, ამოზიდულია ქვიშაქვის მაღალი მასივი, რ-იც, სავარაუდოდ, სათავდაცვო ხლუდე უნდა ყოფილიყო. ჩრდ.-აღმ.-ით ტერასა ჩაკეტილია ქვის დაბალი, მშრალი წყობით ნაგები კედლით. მსგავსი კედლითაა გადაკეტილი სამხრ.-დას. მხარეც. კლდეში იკვეთება კარიბჭე. შესასვლელი გზაც აქედან ყოფილა. ტერასაზე, განსაკუთრებით მის სამხრ.-დას. ნაწილში, სხვადასხვა ზომის (საშუალოდ – 10-15 მ) სათავსის ნაშთებია. უხვად იკრიფება კარგად გამომწვარი მოყვითალო ან მოწითალო, იშვიათად, მოწალისფრო კერამ. მასალა. გვხვდება მოჭიქული ჭურჭლის ფრაგმენტებიც.

ტერასის ზემოთ, 40-50 მ სიმაღლეზე, კლდის თხემზე (სიგრ. – 200 მ, სიგ. 40-50 მ) აღმოჩნდა მესამე ნამოსახლარი, რ-იც, სავარაუდოდ, ახ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებით თარიღდება. ნამოსახლარის სამხრ. მხარე კლდეა, დანარჩენი შემოსაზღვრულია რიყის ქვით დულაბზე ნაგები დაბალი გალავნით (სიგ. 1-1,5 მ). ჩრდ.-აღმ-ით შემორჩენილია დანგრეული გოდოლი, ეკლ. და გუმბათჩაქცეული აკლდამა. ნამოსახლარიდან ჩრდ.-აღმ-ით, 200 მ სიგრძისა და 70-80 მ სიგანის ფართობზე, ქვით ნაგები სათავსების ნაშთებია. შედარებით უკეთაა გადარჩენილი ჩრდ.-აღმ. კუთხე, სადაც კედლის სიმ. ზოგან 1-1,5 მ-ია. სამხრ-იდან იგი დაცულია კლდოვანი მასივით, სამხრ.-დას-იდან – გალავნით, ჩრდ.-დას. მონაკვეთი – ქვიშაქვის მაღალი, ვიწრო ზოლით, რ-საც დაახლ. შუა ადგილზე, ვიწრო წყვეტილი (შესასვლელი?) აქვს.

მოპოვებული არქეოლ. მასალა დაცულია ილიას სახელმწ. უნ-ტში.

ვ. ვარაზაშვილი, კ. კ. ფიცხელაური.

099. ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს მშრალი ხევების მწარეწყლის, კოდისწყლის და მდ. ოლეს შესართავთან. თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევრის ბოლო საუკუნეებით.

1977 წ. შეისწავლა აკც-ის კპე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). ძ. თითქმის განადგურებული იყო მეცხოველეობის ზამთრის ფერმების მშენებლობის დროს. ნამოსახლარზე გამოვლინდა მოყვითალო ფერის კერამიკის მცირე ფრაგმენტები.

მოპოვებული არქეოლ. მასალა დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

ვ. ვარაზაშვილი.

100. ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს მდ. ღორისწყლისა და ალაზნის შესართავთან, საქართვ. სასახლეო პუნქტის სამხრ-ით, 600-700 მ-ზე, შემაღლებულ ბორცვზე. თარიღდება ახ. წ. I ათასწლეულის I ნახევრით.

აღმოჩნდა 2009 წ. ილიას სახელმწ. უნ-ტის მიერ ჩატარებული არქეოლ. დაზვერვების დროს (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). ძ. სამი მხრიდან შემოფარგლულია ღრმა ხეობებით. მხოლოდ ჩრდ.-დას. მონაკვეთია ღია, რ-იც ვიწრო ზოლად დაბლდება და უერთდება ალაზნის ველს. აკრეფილ მასალაში ჭარბობს ყვითელი კერამიკა.

მოპოვებული არქეოლ. მასალა დაცულია ილიას სახელმწ. უნ-ტში.

ვ. ვარაზაშვილი, კ. კ. ფიცხელაური.

101. ნატბეურის ნამოსახლარი გორა, არქეოლ. ძ. მდებარეობს გორაზე, რ-საც სამხრ-ით ესაზღვრება მდ. იორი, ჩრდ.-დას-ით კი – არეულებად წოდებული ადგილი. თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრით. მიაკვლია აკც-ის კპე-ის შირაქის არქეოლ. რაზმმა (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური, რაზმის ხელმძღვ. ბ. მაისურაძე). ნამოსახლარის სამხრ. ფერდობი ჩარეცხილია. ძეგლზე აიკრიფა ქვის თოხები, შავად და მორუხოდ გამომწვარი კერამ. ჭურჭლისა და სხვადასხვა ფორმის ქვის იარაღები.

მოპოვებული არქეოლ. მასალა დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

ნ. გოძიაშვილი.

ქვემო ქედი

(საკრებულოს ცენტრი)

102. მეტალურგიული სახელოსნო, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ტერიტორიაზე, დიდი შირაქის ველის უკიდურეს ნრდ. ნაწილში. თარიღდება ძვ. წ. VI-V სს-ით. სახელოსნოს 50-მდე ჰა უკავია და ოდნავ დახრილია ნრდ-იდან სამხრ-ით. აღმოჩნდა 1963 წ. სკოლის ახ. კორპუსის მშენებლობის დროს. შეისწავლა ՈᲐᲔ ინ-ტის ჰᲐᲔ-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). სახელოსნოს სათავსები გამართულია კირნარევ თიხნარში, მოქცეულია 0,7 მ სიმძლავრის, თიხანარევი ნაცრისა და ნახშირისგან შემდგარ, ნაძრავ კულტურის ფენის ქვეშ. ძ. შეიცავს ცალკეულ ორმოებსა და კომპლექსურ სათავსებს. თითოეული მათგანი გეგმით მომრგვალებულია, თაღოვანი. სათავსების ზომები განსხვავებულია – სიღრმე მერყეობს 0,2-იდან 2,3 მ-მდე, დიამ. – 1-2 მ-მდე). გამოყენების შემდეგ ორმოებსა და სათავსებს იმთავითვე ავსებდნენ წარმოების გადანაყარით, ნაცრითა და ნახშირით. როგორც ჩანს, ქურა სწრაფად გამოდიოდა წყობიდან და მისთვის ახალ კომპლექსს აგებდნენ, საიდანაც გადანაყარს ძველ კომპლექსში ყრიდნენ. ამის გამო კარგად არის დაცული თიხაში ამოჭრილი კარი, საფეხური, თახჩა და სხვ. ზოგიერთი ორმო თიხით იყო ამოვსებული. სავარაუდოდ, ისინი თიხის დასაძველებელ ორმოებს წარმოადგენდნენ.

სახელოსნო (სულ გაითხარა 8 კომპლექსი) შედგება სხვადასხვა რაოდენობის ერთმანეთთან დაკავშირებული ნაგებობისგან. ყველა დამხმარე სათავსი უკავშირდება ცენტრალურს, სადაც მოთავსებულია ქურა, რ-ის ნახევარწრიული ფსკერი, შუაში, მაგიდასავითაა შემაღლებული. ამ შემაღლებისა და ქურის კედლების შელესილობის პირველი ფენა ნაცრისა და თიხის ნარევია. ქურის კედლები და ფსკერი შელესილია ბზენარევი თიხით.

სახელოსნოს ტერიტორიაზე გამოვლინდა: თიხის დიდ ჭურჭელში ჩაწყობილი ბრინჯაოს ორმოცი ე. წ. კახური ტიპის მთლიანადსხმული მახვილი; კირქვის, ტუფოგენური ქვიშაქვის, წვრილმარცვლოვანი პორფირიტის მაღნის გასაფხვიერებელი, სხვადასხვა ზომის მრგვალი ქვები (დიამ. – 10,4 სმ-დან 4 სმ-მდე); სპილენძისა და ბრინჯაოს დანალექებიანი ტიგელები; ქვისა და თიხის ყალიბები; ამოხვრეტილი ქვები, რ-შიც ლითონია ჩასხმული; სხვადასხვა ზომის ნახვრეტებიანი თიხის საცრები; განსხვავებული ფორმის სადგრები; ძვლის კოვზი; თიხის მაღალფეხიანი და ღარების მქონე, რქებიანი სადგრის მსგავსი თიხის დიდი ნივთები; მუფლის ფრაგმენტები; შეკაზმული ცხენის ქანდაკების ფრაგმენტი; თიხის ნაპრიალებზედაპირიანი ჭურჭელი; ქვევრები, ბორბლის იმიტაცია და სხვა.

მოპოვებული არქეოლ. მასალა დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

ნ. მამაიაშვილი.

ბიბლ.: 184.

103. ნასახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს შავი მთის ტერიტორიაზე. თარიღდება ადრინდ. შუა საუკუნეებით.

1986 წ. მიაკვლია აძՇ-ის შირაქის არქეოლ. ექსპედიციამ (ხელმძღვ. ბ. მაისურაძე). ნასოფლარის ტერიტორიაზე (ფართ. 200-300 კვ მ) მიმოფანტულია სამშენ. კერამ. მასალა (აგური, კრამიტი...). აიკრიფა მოჭიქული და წითლად გამომწვარი კერამ. ფრაგმენტები. ძეგლზე გამოვლინდა აგურით კირის ხსნარზე ნაგები კედლები (სიგ. – 2,4 მ); სადაზვერვო თხრილში – წითლად გამომწვარი, მოჭიქული და სამშენ. კერამიკა; ჯვრის მკლავის ნატეხი.

მოპოვებული არქეოლ. მასალა დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

ნ. გოძიაშვილი.

104. სადგომი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-აღმ-ით, 20-25 კმ-ის დაშორებით, ხიდის ქვაბულში, ე. წ. შავი მთის დას. ფერდობის ძირში, [illegible] ხრამის პირას. თარიღდება მუსტიეს ხანით.

1963 წ. მიაკვლია ՈᲐᲔ ინ-ტის ჰᲐᲔ-ის ქვის ხანის რაზმმა (ხელმძღვ. თ. ბუგიანიშვილი). ნაპოვნია კაჟის ფართო და გლუვი დარტყმის მოედნის მქონე დაბალი, ფართო, შემთხვევითი მოყვანილობის ანატკეცი და კაჟის მოგრძო, ოვალისებრ ანატკეცზე დამზადებული სახვრეტი.

მოპოვებული არქეოლ. მასალა დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

თ. ბუგიანიშვილი.

ბიბლ.: 35.

105. სადგომი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ნრდ-ით, 0,5-1 კმ-ზე, დიდგვერდად წოლებულ ადგილზე, მინდორზე. თარიღდება გვიანდ. მუსტიეს ხანით.

სადგომი 1964 წ. გამოავლინა ՈᲐᲔ ინ-ტის ჰᲐᲔ-ის ქვის ხანის რაზმმა (ხელმძღვ. თ. ბუგიანიშვილი). ძეგლზე ნაპოვნია მონაცრისფრო კაჟის მოგრძო, ორფერდა სამკუთხედისებრი წვეტანა, რ-იც გაფორმებულია ლამელაზე. ლამელას ფაცეტირებული, ამოზნექილი დარტყმის მოედანი აქვს.

ნივთი ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

თ. ბუგიანიშვილი.

ბიბლ.: 35.

106. საკულტო ნაგებობა, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ნრდ-აღმ-ით, 16 კმ-ზე, ე. წ. დიდ შავ მთაზე, საქართველოსა და აზერბაიჯანის სახელმწ. საზღვართან, ერთგვარ მოედანზე (სიგრ. – 100 მ, სიგ – 70 მ). თარიღდება V-VI სს-ით.

1989-1991 წწ. შეისწავლა აძՇ-ის შირაქის არქეოლ. ექსპედიციამ (ხელმძღვ. ბ. მაისურაძე). ნაგებობა გეგმით ოთხკუთხაა (16×13 მ), დამხრობილია აღმ-იდან დას-ით.

შესასვლელი დას-იდან ჰქონია. ნაგები იყო დიდი ზომის ბრტყელი აგურითა (30×30×5 *სმ*) და კირის დუღაბით. საძირკველი გარედან გამაგრებულია რიყის ქვით. შენობა გადახურული იყო წითლად შეღებილი, გვერდებაკეცილი და კურტანიანი კრამიტით. შიგნით, დას., სამხრ. და ჩრდ. ნაწილებში აღმოჩნდა აგურით ნაგები საკურთხევლის ნაშთები (სიმ. – ოთხი ან შვიდი აგურის წყობა); აგურითვე ყოფილა მოგებული იატაკი.

აღმოჩნდა: სვეტის ბაზა, ანტეფიქსები წითლად გამომწვარი, სიცოცხლის ხის რელიეფური გამოსახულებით, გარშემოყოლილი მცირე ზომის კოპებით; რკინის მრგვალქუდიანი ოთხკუთხაღეროიანი ლურსმნები; დიდი რაოდენობის კერამ. მასალა (მათ შორის წითლად შეღებილი, მოჭიქული ფაიანსი, ლეგა-მონაცრისფროდ გამომწვარი კერამიკა).

აღმოჩენილი არქეოლ. მასალა ინახება ქ. დედოფლისწყაროს მხარეთმც. მუზეუმში.

რ. რუხიშვილი.

ბიბლ.: 121.

107. სამარხი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფელში. აღმოჩნდა შემთხვევით საცურაო აუზის მშენებლობისას. მიეკუთვნება იალოილუთეფეს კულტურას. სამარხში გამოვლინდა ბრინჯაოს თხელი ფირფიტებისგან დამზადებული რომაული მუზარადი. იგი დეფორმირებულია. შემკულია რელიეფურად დატანილი ხაზებით. შუბლსაფარზე მცირე ნახვრეტები და შვერილებია. შემორჩენილი აქვს ბრინჯაოს რგოლის ფრაგმენტიც. სამარხში გამოვლინდა ბრინჯაოს სამაჯურები; მოწითალოდ და მოყავისფროდ გამომწვარი თიხისგან დამზადებული ჭურჭელი (სასმისები,ჯამები, ლანგარი,ქუსლიანი ვაზები).

აღმოჩენილი არქეოლ. მასალა ინახება ქ. დედოფლისწყაროს მხარეთმც. მუზეუმში.

რ. რუხიშვილი.

108. ხატის გორა, ნ ა მ ო ს ა ხ ლ ა რ ი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის აღმ-ით, ივრის პლატოს ჩრდ. განაპირას. თარიღდება გვიანდ. ბრინჯაო-ადრინდ. რკინის ხანით. მიაკვლია იაშ ინ-ტის კაშის არქეოლ. ექსპედიციამ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური).

ნამოსახლარი ხელოვნურ ბორცვზეა გამართული და გარშემო თხრილი შემოუყვება. ამჟამად ახალმოსახლე ფშავლებს აქ სალოცავი ნიში აუგიათ და ძველის სახელწოდებაც აქედან მოდის. ნამოსახლარზე აკრეფილია თიხის ჭურჭლის ნატეხები.

მოპოვებული არქეოლ. მასალა დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

ბიბლ.: 184.



107. რომაული მუზარადი

ჩათმის ტაფობი

109. რკინის სადნობი სახელოსნოები, არქეოლ. ძ. მდებარეობს მდ. ივრის მარჯვ. მხარეს, ჩათმად წოდებულ ადგილზე, ჩობანდაღის მთის ძირში, საქართველოსა და აზერბაიჯანის სახელმწ. საზღვართან. სავარაუდოდ, თარიღდება ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევრით.

2010 წლის დაზვერვებისას მიაკვლია ილიას სახელმწ. უნ-ტის არქეოლ. რაზმმა (ხელმძღვ. ვ. ვარაზაშვილი). საზღვართან, დაახლ. 6-7 *კმ*-ზე, 500-800 *მ* ინტერვალით, ფიქსირებულია ორ ათეულზე მეტი სახელოსნო, წიდის დიდი ფრაგმენტებით. ნაგებობები ხშირ შემთხვევაში ქვის კედლების ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი. ერთ-ერთ სახელოსნოს წრიულად (დიამ. – 12-15 *მ*) მოზრდილი ქვების ერთი რიგი შემოუყვება. იქვე შედარებით მცირე ზომის მსგავსი სახელოსნოებიცაა.

წიდის დიდი ზომის ფრაგმენტები დასტურდება ველის სამხრ.-აღმ. კიდეში აღმოჩენილ სახელოსნოთა ჯგუფშიც. მათგან გამოირჩევა ორი სათავსი (სიგრ. – 22 *მ*, სიგ. – 7 *მ*), რ-თა კედლები ქვიშაქვის დიდი ქვითაა ნაგები (შემორჩენილია წყობის ერთი რიგი). ორივეს შესასვლელი აღმ-იდან აქვს (მიწაში ჩადგმულია ორი მასიური ქვა), ჩრდ-იდან კი თითო მსგავსი სათავსი აქვთ მიდგმული.

ამ ჯგუფში კიდევ ორი სახელოსნოა.

ვ. ვარაზაშვილი.

ჭაჭუნის ვაკე

110. გორასამარხები, არქეოლ. ძ. მდებარეობს დედოფლისწყაროს დას-ით 50-52 *კმ*-ზე, მდ. ივრის მარცხ. ნაპირას, დალის (ჭაჭუნის)

მთის წყალსაცავის მიმდებარე ტერიტორიაზე. თარიღდება ადრინდ. და შუა ბრინჯაოს ხანით. 1985, 1989, 1990 და 1991 წლებში აკც-ის შირაქის არქეოლ. ექსპედიციის (ხელმძღვ. ბ. მაისურაძე) მიერ, გაითხარა 14 გორასამარხი, პირველი ჯგუფის შესწავლილი ოთხი ქვაყრილიანი გორასამარხიდან სამი გაძარცული იყო.

გორასამარხი № 1 (ყრილის დიამ. – 10-14 *მ*, სიმ. – 1 *მ*) მიეკუთვნება ცრუ სამარხს.

№ 2 გორასამარხში (ყრილის დიამ. – 13,5, სიმ. – 1 *მ*), მიწის ზედაპირიდან 1 *მ* სიღრმეზე, აღმოჩნდა კუთხეებმომრგვალებული დასაკრძალავი ორმო, რიც სამხრ.-დას-იდან ჩრდ.-აღმ-ით იყო დამხრობილი. მასში დიდი რაოდენობით ქვა იყო ჩაზვინული. ორმოს იატაკი განამარხებული ჰუმუსიდან 1,65 *მ* სიღრმეზე ჰქონდა. ორმოში აღმოჩნდა ბრინჯაოს ხეის ფრაგმენტი და პირამიდულთავიანი, ოთხწახნაგა ღეროს მქონე ისრისპირი; გიშრისა და სარდიონის მძივი; გადარჩენილი იყო მხოლოდ თავის ქალის ფრაგმენტები და ქვედა კიდურის ძვლები.

№ 3 გორასამარხში (ყრილის დიამ. – 17 *მ*, სიმ. – 1 *მ*) ქვაყრილი მხოლოდ დასაკრძალავ ორმოს ჰქონდა. დანარჩენი მიწაყრილი იყო. სამარხი სამხრ.-აღმ-იდან ჩრდ.-დას-ით იყო დამხრობილი.

№ 4 გორასამარხის დასაკრძალავი ორმო (3,2×2,2 *მ*) მიწის ზედაპირიდან 1,5 *მ*-ით ქვემოთ მდებარეობდა და დამხრობილი იყო სამხრ.-აღმ-იდან ჩრდ.-დას-ით. კედლის გასწვრივ ესვენა მიცვალებული, რიც თავით სამხრ.-დას-ით იყო მიმართული. სამარხის ცენტრალურ და ჩრდ.-დას. ნაწილში გამოვლინდა ბრინჯაოს ბალთისებრი ექვსი ნივთი გამჭოლი ხვრელებითა და გარშემო რელიეფური წერტილებით (აბჯრის ფირფიტები?), ბრინჯაოსავე ყუნწმოტეხილი სატევარი; მიცვალებულის მკერდის არეში – ოქროს თხელი ფურცლისგან დამზადებული მძივები, ოქროსავე მასიური სასაფეთქლე ხვია; სარდიონის სამი მძივი. სამარხში დადასტურდა თიხის რვა ჭურჭელიც.

ქვაყრილიანი იყო ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულის № 5 გორასამარხი (ყრილის დიამ. – 20 *მ*, სიმ. – 1 *მ*), რ-შიც დასაკრძალავი ორმო (2,9×2 *მ*) ზედაპირიდან 1,5 *მ* სიღრმეზე გამოვლინდა. ორმო სამხრ.-აღმ-იდან ჩრდ.-დას-ით იყო მიმართული. მის აღმ., დას. და ჩრდ. ნაწილებში აღმოჩნდა ხის ნაშთები (გადახურვის ფრაგმენტები?), ორმოს ცენტრში – მიცვალებული, რ-იც ესვენა თავით აღმ-ისაკენ, ძლიერ მოხრილი კიდურებით. მიცვალებულის ქვედა კიდურებთან გამოვლინდა თიხის ჭურჭელი და ბრინჯაოს ყუნწიანი სატევარი, ორმოს აღმ. ნაწილში – სარკლის (?) კვალი.

იმავე ხანას განეკუთვნება ქვამიწაყრილიანი გორასამარხი № 6 (ყრილის დიამ. – 12,5 *მ*, სიმ. – 80 *სმ*). დასაკრძალავი ორმო (2,4-2 *მ*) აღმოჩნდა მიწის პირიდან 80 *სმ*-ის სიღრმეზე, მისი იატაკი კი – განამარხებული ჰუმუსიდან 1,8 *მ* სიღრმეზე. ორმო დამხრობილი იყო სამხრ-იდან ჩრდ-კენ. მის ცენტრში დადასტურდა ძლიერ ნაშლილი თავის ქალა, ბარძაყის ძვლები. ყელის არეში – სარდიონის ბრტყელი მძივები, პასტის იოტები და ბრინჯაოს ხვიები. ორმოს აღმ. ნაწილში – ერთი თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს სატევარი ყუნწითა და ფოთლისებრი პირით. ამ გორასამარხშიც გამოვლინდა ხის კვალი, სავარაუდოდ, სარკლის ნაშთი.

კენოტაფს უნდა წარმოადგენდეს ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის შუახანების № 7 გორასამარხი. მასში გამოვლინდა თიხის ჭურჭელი და ბრინჯაოს პირამიდულთავიანი ისრისპირი (სიგრ. – 2,5 *სმ*). მიცვალებული არ აღმოჩენილა.

№ 7 გორასამარხის ჩრდ-ით, 20 *მ*-ში მდებარეობდა შუა ბრინჯაოს ხანის № 8 გორასამარხი (დიამ. – 27,5 *მ*, სიმ. – 1,5 *მ*). მიწის პირიდან 60-65 *სმ*-ის სიღრმეზე აღმოჩნდა ქვის წრიული ყრილი (ყრილის დიამ. – 9,5 *მ*, რაც ჰქონდა შიდა წრე (ყრილის დიამ. 4,5 *მ*). დასაკრძალავი ორმო, რ-იც სამხრ-იდან ჩრდ-ით იყო მიმართული, გამოვლინდა 1,65 *მ* სიღრმეზე. სამარხში აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, ძვლის რგოლი და საკიდი. ფრაგმენტულად იყო შემორჩენილი მიცვალებულის ჩონჩხი.

გორასამარხი №9 (ყრილის დიამ. – 14,4 *მ*, სიმ. 1,5 *მ*) აღმოჩნდა № 5 გორასამარხის სამხრ-ით, 20 *მ* მოშორებით. გორასამარხს გარშემოუყვებოდა ვერტიკალურად დაყენებული ქვები. სამხრ.-აღმ. ნაწილში დადასტურდა მოზრდილი ქვების დარღვეული წრეები; მიწის ზედაპირიდან 30 *სმ* სიღრმეზე, ცენტრში – ჩაშვებული სამარხის ნაშთი. სამარხის ჩრდ.-აღმ. ნაწილში გამოვლინდა მიცვალებულის ძვლის და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები; ყუნწიანი, ყუნწზე ნახვრეტით, ბრინჯაოს სატევრისპირი. სამარხი გამართული იყო ცარიელი დასაკრძალავი ორმოს (3,5×2,8 *მ*) თაგზე, რ-იც ზედაპირიდან 95 *სმ* სიღრმეზე აღმოჩნდა.

გორასამარხი №10 (ყრილის დიამ. – 27 *მ*, სიმ. – 0,8 *მ*) ცრუსამარხია.

№ 11 გორასამარხის (ყრილის დიამ. – 30 *მ*, სიმ. – 1,5 *მ*) ცენტრში, ზედაპირიდან 0,5 *მ* სიღრმეზე აღმოჩნდა დიდი ზომის ქვებით გადახურული, დასაკრძალავი ორმო (5,3×2,75 *მ*). მისი იატაკი დადასტურდა განამარხებული ჰუმუსიდან 1 *მ* სიღრმეზე. გამოვლინდა ხის ნაშთები. დასაკრძალავი ორმო ცარიელი იყო, მხოლოდ მის ჩრდ. ნაწილში აღმოჩნდა წვრილფეხა საქონლის ძვლის ფრაგმენტები.

გორასამარხი № 12, წარმოადგენდა ოდნავ შესამჩნევ ქვამიწაყრილიან ბორცვს (ყრილის დიამ. – 12 *მ*, სიმ. – 0,5 *მ*), რ-შიც მიწის ზედაპირიდან 1,3 *მ* სიღრმეზე გამოვლინდა დასაკრძალავი ორმო (სიგრ. – 1,8 *მ*, სიგ. – 1,3 *მ*). ორმოს ცენტრში აღმოჩნდა მიცვალებულის თავის ქალის ფრაგმენტები. დაზიანებული იყო ჩონჩხიც, რის გამოც დაკრძალვის

პოხის დადგენა ვერ მოხერხდა. ორმოს სამხრ.-დას. ნაწილში გამოვლინდა ცხვრის მთლიანი ჩონჩხი, თავის ქალის ახლოს – წერილფეხა საქონლის ძვლები. დადასტურდა ოცდაერთი თიხის ჭურჭელი. მათგან ცხრა ჯამი მოწითალო და მოწითალო-მოყავისფროა. მათი უმრავლესობა ფართო, ოდნავ შიგნით გადახრილი პირითაა. გვხვდება ოდნავ პირმოყრილი და სწორპირიანი ჯამიც. ჭურჭელი ფართო და ბრტყელძირიანია. სამი ჯამის ძირი ოდნავ შეზნექილია. ერთ პირმოყრილ ჯამის პირს ამოღარული კონცენტრული ხაზი გარშემოუყვება. ჭურჭლები ნაძერწია უხეშად. მათი უმეტესობა ასიმეტრიულია. გორასამარხის შვიდი ქილიდან ორი შავპრიალაა, დანარჩენი – მოყავისფრო-მონაცრისფრო, მოშავო-მოყავისფრო და მორუხო-მოყავისფრო შეფერილობის. ზოგ ჭურჭელს მრგვალი, კვერცხისებრი ან მხარში გაზიდული და ძირისკენ შევიწროებული მუცელი აქვს, ერთ ქილას – ოდნავ შეზნექილი ძირი. იგი სხვა ქილებისგან უხეში ძერწვითაც გამოირჩევა. მხოლოდ სამ ქილაზე გვხვდება ამოკაწრული კონცენტრული ხაზები, ტალღური და პრიალა ორნამენტი და ზემოდან დაძერწილი მეჭეჭისებრი კოპები. ქილის მხარს, კოპებთან ერთად, ხუთი მინიატურული ყურიც ამკობს. სამარხში გვხვდება მოშავო-მოყავისფრო, ყავისფრად ანგობირებული და გაპრიალებული, პირეიწრო, ყელდაბალი, მრგვალმუცლიანი ორი კოჭობი. ერთ მათგანს, ყელიდან მხარზე გადასვლის ადგილას, ამოკაწრული ხაზი შემოსდევს. მეორეს – ოთხი ასეთი ხაზი, რ-თა შორის, ერთმანეთის საპირისპიროდ, მოკლე, ირიბი ხაზებია დატანილი. სამარხეული ორი ქოთნიდან ერთი მოყავისფრო-მოწითალოა, სუსტად ნაპრიალები, პირეიწრო და გადაშლილი, ყელდაბალი. მეორე ქოთანი შავპრიალაა, გადაშლილი პირით. ორივე ქოთნის შუაში გამობერილი მუცელი ძირისკენ შევიწროებულია. გორასამარხის კერამიკულ კომპლექსში დამზადების ტექნიკით და ფორმით გამოირჩევა შავი, სარკისებრნაპრიალები სურა ვიწრო, ოდნავ გადაშლილი პირით, მაღალი, სწორი ყელით, სფერული მუცლითა და ძირშეზნექილი დაბალი ჭუსლით. სურას ყელზე შემოსდევს რელიეფური სარტყელი.

გაძარცული იყო ქვამოწაყრილიანი გორასამარხი №13 (ყრილის დიამ. – 11 მ, სიმ. – 0,5 მ), რ-შიც ზედაპირიდან 1 მ სიღრმეზე გამოიკვეთა ჩრდ.-აღმ-იდან სამხრ.-დას-ით დამხრობილი დასაკრძალავი ორმო (1,5×1,2 მ). მისი იატაკი დადასტურდა განამარხებული პუმუსიდან 0,5 მ სიღრმეზე.

ქვამოწაყრილიანივე იყო გორასამარხი № 14 (ყრილის დიამ. – 28 მ, სიმ. – 1 მ). დასაკრძალავი ორმო (5×2 მ) აქაც 1 მ სიღრმეზე აღმოჩნდა. მას წაგრძელებული ოვალის ფორმა ჰქონდა და ჩრდ-იდან სამხრ-კენ იყო დამხრობილი. ორმოს იატაკი გამოვლინდა განამარხებული პუმუსიდან 0,8 მ სიღრმეზე. მის ჩრდ. ნაწილში დადასტურდა მიცვალებულის თავის ქალის ფრაგმენტები, ქვედა კიდურების და მენჯის ძვალი. ძვლები არეული იყო, თითქოს ერთ მხარეს მიხვეტილი. აღმოჩნდა აგრეთვე მოწითალოდ გამომწვარი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.

ამავე წლებში შირაქის არქეოლ. ექსპედიციამ დალის მთის წყალსაცავის სამხრ-ით, I-2 კმ-ზე, მდ. ივრის მარჯვ. ნაპირზე მიაკვლია ათამდე გორასამარხს, რ-თაც პირობითად ეწოდა დალის მთის გორასამარხთა II ჯგუფი. გორასამარხები უმეტესად გაძარცული იყო. დასაკრძალავი ორმოები მიწის ზედაპირიდან სხვადასხვა სიღრმეზე გამოვლინდა. მათ განსხვავებული დიამ. და სიმ. ჰქონდათ და სხვადასხვა მხარეს (დას-იდან აღმ-ით და პირიქით, სამხრ.-აღმ-იდან ჩრდ.-დას-ით და პირიქით, ჩრდ.-აღმ-იდან სამხრ.-დას-ით, სამხრ-იდან ჩრდ-ით) იყვნენ დამხრობილი. ზოგი ნახანძრალი იყო, ზოგი კი მცირე ან მოზრდილი ზომის ქვებით იყო სავსე. დადასტურდა გადახურვის ხის კონსტრუქციის ფრაგმენტებიც. გორასამარხებში აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი (ქილა, სამარხები, მათ შორის ურნული ქვიშარის ჯამი, კათხა, ბადია), რ-თაც შავპრიალა, რუხი, მორუხო-მოყავისფრო,ყავისფერი რუხი ლაქებით, მოწითალო, მოყავისფრო-მონაცრისფრო, მოწითალო-მონაცრისფრო, უხეში, კარგად განლექილი, ქვიშანარევი და ა. შ. კეცი ჰქონდა, ზოგ შემთხვევაში ორნამენტირებული (წიწვოვანი, წერტილოვანი, ტეხილი ხაზები და ა.შ.); ბრინჯაოს სამფრთიანი, დეზიანი სკვითური ისრისპირი, სატევარი, რგოლის ფრაგმენტები; ნიჟარისგან დამზადებული საკიდი რგოლები; სარდიონის მძივსაკიდი, მძივები. ერთ-ერთ გორასამარხში დადასტურდა კოლექტიური სამარხი – 17 თავის ქალა ერთმანეთში არეული ძვლებით.

მოპოვებული არქეოლ. მასალა დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

2010 წ. ილიას სახელმწ. უნტის არქეოლ. რაზმმა (ხელმძღვ. ვ. ვარაზაშვილი) დაზვერვებისას მიაკვლია გორასამარხების კიდევ ერთ ველს. მათი უმეტესობა ქვამოწაყრილიანია (ყრილის დიამ. – 5 მ-იდან 20 მ-მდე, სიმ. – 0,40 მ-იდან 1 მ-მდე).

რ. რუხაშვილი.

ბიბლ.: 121; 279.

III. გორასამარხი, არქეოლ. ძ. მდებარეობს მდ. ივრის მარცხ. ნაპირას, ჭაჭუნად წოდებულ ადგილზე. თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევრით. აღმოჩნდა არქეოლ. დაზვერვების დროს. გაითხარა 1970 წ. ᲝᲐᲘ ინ-ტის ᲯᲐᲭ-ის მიერ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). გორასამარხი დაზიანებული იყო. შემორჩენილი ჰქონდა მცირე ქვაყრილი, რ-ის ქვეშ, ცენტრალურ ნაწილში, გამოვლინდა სამარხი ორმო (ზომების დადგენა ვერ მოხერხდა). ორმოს ცენტრში მიცვალებული დაკრძალული იყო მოხრილი კიდურებით, თავით დას-ით. სამარხში აღმოჩნდა ქვიშანარევი თიხის ხე-

ლით ნაძერწი ჭურჭელი: ორი ქილა, ჭოთანი და ბადია. ერთი ქილა მოწითალოა, კეცრცხისებრი. აქვს ფართო, ოდნავ გადაშლილი პირი და ვიწრო ძირი, მეორე – ნაცრისფერია, რუხლაქებიანი, ზედაპირი სუსტადაა ნაპრიალები. აქვს სწორი პირი, მომრგვალებული, ყელზე გადმოკეცილი ბაკო და დაბალი ყელი, სფერული მუცელი და ფართო ძირი. ყელიდან მხარზე გადასვლის ადგილას გარშემოუყვება ამოღარული და ამოტვიფრული ორნამენტი. გლუვი, მოყვითალო, მოვარდისფროა ქოთანი, რ-საც ფართო, გადაშლილი, ბრტყელბაკოიანი პირი და ფართო ძირი აქვს. გლუვია, რუხი, ნაცრისფერლაქებიანი ბადიაც (შემორჩენილია მხოლოდ პირის და მუცლის ფრაგმენტი), აქვს ფართო, გადაშლილი პირი და ძირისკენ მკვეთრად შევიწროებული კალთა.

მოპოვებული არქეოლ. მასალა დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

რ. რუსიშვილი.

112. რკინის სადნობი სახელოსნოები, არქეოლ. ძ. მდებარეობს მდ. ივრის მარცხ. ნაპირას, 3-4 *კმ*-ზე. თარიღდება ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით. აღმოჩნდა 2009 წ. ილიას სახელმწ. უნივერსიტეტის მიერ წარმოებული არქეოლ. დაზვერვების დროს (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). პირველი სახელოსნო გამართულია არა ხეობაში, არამედ ზეგანზე არსებულ სწორ ველზე (ფართ. 50×50 *მ*), რაც გარკვეულ თავისებურებას წარმოადგენს. ველის ზედაპირზე შეინიშნება წიდის სხვადასხვა ზომის ნაშთები. მეორე სახელოსნო ერთ-ერთი ხრამის ტერასაზეა, სადაც წიდის მსხვილ ნაშთებთან ერთად დადასტურდა რამდენიმე სათავსის კვალიც.

ე. გარაბაშვილი, კ. კ. ფიცხელაური.

113. სამგომები (ჭაჭუნა I, II და III), არქეოლ. ძ. მდებარეობს მდ. ივრის მარცხ. ნაპირას, ტარიბნის ტაფობსა და კოწახურის ქედის სამხრ-ით, 3-4 *კმ*-ზე. მიკვლეულია 1968 (ჭაჭუნა III) და 1976 (ჭაჭუნა I და ჭაჭუნა II) წწ-ში, ᲝᲐᲘ ინტ-ის ᲐᲫᲒ-ის ᲙᲐᲘ-ს (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური, ქვის ხანის რაზმის ხელმძღვ. თ. ბუგი-ანიშვილი) მიერ.

სადგომი ჭაჭუნა I ივრის ზეგანზე აღმოჩენილი პირველი აშელური ძეგლია. ჭაჭუნა II და III კი თარიღდება ადრინდ. მუსტიეს ხანით (მუსტიეს ეპოქის I ნახევარი).

სადგომი ჭაჭუნა I ბუნებრივი ბორცვის სწორ თხემზე, ორი მცირე გორასამარხის გვერდით გამოვლინდა. დაახლ. 50×50 *მ* ფართობზე შეგროვდა ქვის ქვედაპალეოლითური ნივთები: მონაცრისფრო მერგელის ნუკლეუსები, ანატკეცები და იარაღი. ნუკლეუსები დამზადებულია ქვარგვალებსა და ანამტვრეებზე: გამოიყოფა ორი ნუკლეუსი – ჩოპერი, ორი გრძივი ტიპის ერთფუძიანი, ერთი განივი ტიპის ერთფუძიანი და ერთი ორფუძიანი ორმხრივი ნაკეთობა. ანატკეცი ნამზადები მოგრძო, დაბალი, ფართო, შემთხვევითი და სამკუთხედისებრი მოყვანილობისაა. მათთვის დამახასიათებელია ფართო, გლუვი დარტყმის მოედანი და რელიეფური ბურცული. იარაღი შედგება ანატკეცებზე დამზადებული ექვსი ხელსაწყოსგან და წარმოდგენილია ცალპირა სწორი, ამოზნექილი და ამოზნექილ-ჩაზნექილსამუშაოპირიანი, კონვერგენტული, ორპირა, სწორი სამუშაოპირიანი და სამპირა ჩაზნექილსამუშაოპირიანი სახეკებით.

ჭაჭუნა I-ის სამხრ-ით, ფერდობის ძირში, ივრისპირა ვაკეზე, დაახლ. 1 *კმ* ფართობზე, მდებარეობდა სადგომი ჭაჭუნა II, რ-ის ზედაპირულად მოპოვებული მასალა მოიცავს ანდეზიტისა და კაჟის შუაპალეოლითურ არალევალუაურ ნივთებს – ნუკლეუსებს, ანატკეცებს, მზა იარაღს. ნუკლეუსები ერთფუძიანია, გრძივი და განივი ტიპის, ამორფული. დამზადებულია ქვარგვალებსა და ანამტვრეებზე. ანატკეც-ნამზადები მოგრძო ან დაბალია, ფართო, შემთხვევითი მოყვანილობის. ახასიათებთ გლუვი, ფართო, ბრტყელი კუთხით განლაგებული დარტყმის მოედანი და რელიეფური ბურცული, რ-საც ქვედა სიბრტყის ნახევარი უკავია.

იარაღი წარმოდგენილია ოთხი სახეკით-ჩოპერით, ანუ ცალმხრივი უხეში საჭეხით, რ-ებიც დამზადებულია ანდეზიტის დისკოსებრ ქვარგვალზე და არის ცალპირა, განივი ტიპის, სწორსამუშაოპირიანი, გრძივი ტიპის ამოზნექილსამუშაოპირიანი, გრძივი ტიპის ამოზნექილ-ჩაზნექილი სამუშაოპირიანი და სწორი, სამპირა, ამოზნექილ და ჩაზნექილსამუშაოპირიანი; სამი კონვერგენტული,გრძივი ტიპის ამოზნექილსამუშაოპირიანი და განივი ტიპის ჩაზნექილსამუშაოპირიანი საფხეკითა და ორი გვერდამოღარული ანკოშით.

ჭაჭუნა I-ისა და ჭაჭუნა II-ის აღმ-ით, 1-1,5 *კმ*-ის დაშორებით მდებარეობდა სადგომი ჭაჭუნა III. ძეგლზე გამოვლინდა ხუთი შუაპალეოლითური არალევალუაური ნივთი: გაკაჟებული ქანიცა და რიყის ქვის ერთფუძიანი გრძივი ტიპის და ამორფული ნუკლეუსები, არასწორ მოყვანილობის სამი მოგრძო ანატკეცი და განივი ტიპის ამოზნექილსამუშაოპირიანი სახეკი.

მოპოვებული არქეოლ. მასალა დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

თ. ბუგიანიშვილი.

ბიბლ.: 35; 39.

114. სამგომი, კოწახურები, არქეოლ. ძ. მდებარეობს მდ. ივრის მარცხ. ნაპირას, ტარიბნის ტაფობსა და კოწახურის ქედის სამხრ-ით 3-4 *კმ*-ზე, უსახელო ხევის მარჯვ. მხარეს, გორასამარხების ტერიტორიაზე. თარიღდება პალეოლითის ხანის დასასრულით.

ძეგლს 1961 წ. მიაკვლია ᲝᲐᲘ ინტ-ის ᲙᲐᲘ-ის ქვის ხანის რაზმმა (ხელმძღვ. თ. ბუგიანიშვილი). სადგომს უკავია 2000-2500 *კვ მ* ფართ., რ-იც კაჟის, ობსიდიანისა და ბაზალტის ქვის ნამტვრევებითაა მოფენილი. მიწის ზედაპირზე აიკრიფა: კაჟის ნივთები; სამი ნუკ-

ლეუსი, რ-თაგან ორი – ერთფუძიანია, გრძივი ტიპის, ერთი – ორფუძიანი, პრიზმისებრი; თოთხმეტი დაბალი, ფართო ან მოგრძო ფორმის, მცირე, თხელი ანატკეცი. მათ შორის ტრაპეციის მსგავსი ნამზადიცაა. გამოელინდა აგრეთვე ექსი დასრულებული იარაღი. მათთვის დამახასიათებელია მიკროლითიზაცია. იარაღების ჯგუფში შედის: ორიბი თავის მჭრელ, გვერდრეტუშირებული, ზურგდაბლაგვული სამკუთხედისებრი ლამელა – ნასართი, ანამტვრევზე დამზადებული ორპირიანი მიკროსაფხეკი (სამუშაო პირი ჩაზნექილია), რეტუშით ფუძემომრგვალებულ და ფუძემოტეხილ სამკუთხედისებრ ანატკეცზე გაფორმებული ორი წვეტანისებრი იარაღი, პირველად ანატკეცზე დამზადებული მიკროსაფხეკისებრი იარაღი, რ-საც სამუშაო პირი ოვალური აქვს და მოგრძო, ფართო ანატკეცზე გაფორმებული მიკროსახვრეტი.

ნივთები ინახება საქართველოვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ-ეთნ. საცავში.

თ. ბუგიანიშვილი.

ბიბლ.: 186.

ხორნაბუჯი

(საკრებულოს ცენტრი)

115. ხალხთა მეგობრობის მუზეუმი, ისტ. ძ. მდებარეობს სოფელში. დაარსდა 1985 წელს. განთავსებულია ერთსართულიან რუსულ სახლში, რ-იც ნიკეგოროდის დრაგუნთა პოლკის ოფიცრის გ. ნეჩველოდოვის საკუთრება იყო. იგი დრაგუნთა პოლკთან ერთად



ვაშლოვნის ნაკრძალი, მიჯნისწერე

ჩამოსულა წითელწყაროში და აქ დასახლებულა. სახლი მრავალულურსმნოდაა ნაგები. შედგება ოთხი ოთახისგან, რ-ებშიც დაცულია ნეჩველოდოვების პირადი ნივთები, ეთნ. და სხვადასხვა დოკუმენტური მასალა. სახლი პროგრესულად მოაზროვნე ქართველ და რუს მოღვაწეთა თავშეყრის ადგილი იყო. სხვადასხვა დროს გ. ნეჩველოდოვს სტუმრობდნენ რუსი პოეტები ა. პუშკინი და მ. ლერმონტოვი. 1858 წ. აქ შეჩერებულა ფრანგი მწერალი და მოგზაური ა. დიუმა.

ნ. გობეჯიშვილი.

III ყვარლის მუნიციპალიტეტი



● დასახლებული პუნქტი, სადაც არის ისტორიის და კულტურის ძეგლი

■ ცალკე მდგომი ძეგლი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ნაძალადევი ბრძოლა, მთავარანგელოზთა ეკლესიის კომპლექსი (III, 087), სამხრეთ ხედი აღმოდან



ყვარლის მუნიციპალიტეტი, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მუნიციპალიტეტი აღმოსავლეთ საქართველოში, შიგნიკახეთში, მდ. ალაზნის მარცხენა მხარეს. მოიცავს კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ ფერდობებს და ალაზნის ვაკის ნაწილს. ფართობი 1000,8 კმ 2-ია. ჩრდილოეთით ესაზღვრება დაღესტნის ავტონომიური რესპუბლიკა (რუსეთის ფედერაცია), სამხრეთით – გურჯაანისა და თელავის, დასავლეთით – ახმეტის, აღმოსავლეთით – ლაგოდეხის მუნიციპალიტეტები. 1917 წლამდე შედიოდა თბილისის გუბერნიის თელავის მაზრაში. 1921 წ. საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით ისევ თელავის მაზრაშია, 1930 წლიდან კი დამოუკიდებელი რაიონია. ყვარლის მუნიციპალიტეტში 1 ქალაქი (ყვარელი – მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი), 10 თემის საკრებულო (ახალსოფელი, ბალღოჯიანი, გავაზი, გრემი, ენისელი, კვეტარი, მთისძირი, საბუე, შილდა და ჭიკაანი) და 16 სოფელია. სოფლების უმეტესი ნაწილი ალაზნის ვაკეზეა განლაგებული, მცირე ნაწილი – გორაკ-ბორცვიან ზონაში.

2002 წლის აღწერის მიხედვით ყვარლის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენს 40,080 კაცს. განსახლების ძირითადი ზონა ვრცელდება 240-600 მ ფარგლებში. ქალაქად ცხოვრობს მუნიციპალიტეტის მთელი მოსახლეობის მხოლოდ 25,2%. უმეტესობა ქართველებია, მცირე რაოდენობით ცხოვრობენ აგრეთვე ავარიელები (ლეკები), ოსები, სომხები, ქურთები და სხვ. საშუალო სიმჭიდროვე 1კმ2-ზე შეადგენს 20 კაცს.

ყვარლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებობდა უძველესი დასახლებები. შილდისა და ენისლის მიდამოებში აღმოჩენილი არქეოლოგიური ნივთები გვიანდელი ბრინჯაოს ხანისაა. ძველი გავაზის, ბალღოჯიანისა და გრემის ტერიტორიაზე მოპოვებული საოჯახო თუ საომარი ნივთები კი ანტიკური ხანის. ქ. ყვარელში, სოფლებში ჭიკაანში და შაქრიანში სხვადასხვა დროს აღმოჩენილი განძი (ირანული და ევროპული მონეტები) თავისთავად ადასტურებს ქვეყნის სავაჭრო ურთიერთობებში ამ რაიონის აქტიურ ჩართულობას.

მუნიციპალიტეტის ჩრდილოეთი ნაწილი უჭირავს კახეთის კავკასიონის სამხრეთ კალთას მწვერვალ საჯიხვისთავიდან (2872 მ) მწვერვალ ჯვარისთავამდე (2394 მ), სადაც ძირითადად იურიული ასაკის ნალექებს (თიხაფიქლები, ქვიშაქვები, [illegible] კონგლომერატები) ჩამოყალიბებულია მოკლე, ეროზიული ხეობებით ძლიერ დაღარული საშუალ და მაღალმთიანი მთა-ხეობების რელიეფი, რომელიც ძალზე ციცაბო კალთებით გამოირჩევა.

კავკასიონის მთავარ ქედზე მაღალი მწვერვალები (ხუბიარა – 3104 მ, ასაკიდისთავისწვერი – 3047 მ, ჩელთისთავისწვერი – 30503 მ, ნინიკასციხე – 3116 მ, დიდგორა – 2917 მ და სხვ.) და უღელტეხილებია (ყადორი – 2363 მ, დურუჯი – 2884 მ, მუშაქი – 2157 მ).

კავკასიონის სამხრეთი კალთის ვიწრო და ძლიერ დახრილ ხეობებს შორის აღმართულია ვიწროთხემებიანი და ციცაბოკალთებიანი განშტოებები: გირგალი – საჯიხვის, ბურიანისწვერის, სათიბისგორის, ფოხალასთავის, წითელგორისთავის, ლანჯაურის, საყარაულოს, ჩადუნიანისთავის, ენძელებისმთების ქედები. მდ. დურუჯის მარჯვენა მხარეს, ყვარლის დასავლეთით, მდებარეობს კუდიგორის ქედი.

ყვარლის მუნიციპალიტეტის სამხრეთ ნაწილი გაშლილია ახალგაზრდა მეოთხეული ნალექებით აგებულ მთათაშუა ალაზნის აკუმულაციურ ვაკეზე, რომელიც მუნიციპალიტეტის ფარგლებში ზღ. 240-დან 400 მ-მდე ვრცელდება და ხასიათდება ბრტყელი, სუსტად დახრილი ზედაპირითა და ჩრდილოეთ პერიფერიაზე გამოზიდვის კონუსებითა და შლეიფებით. ყვარლის მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვანი ოროგრაფიული ერთეულებია მდინარეების: დურუჯის, ჩელთის, ინწობისა და ბურსას ხეობები. წიაღისეულია საშენი მასალები: სახურავი ფიქლები (ინწობა-საბუე), თიხები, მაღალხარისხოვანი მარმარილო, აგრეთვე მინერალური წყლები (შაქრიანის და ზინობიანის).

მუნიციპალიტეტის სამხრეთ ვაკე ნაწილში ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავაა. მთებში ჰავა

ზომიერად ნოტიოა: დაბალმთიანეთში იცის ზომიერად ცივი ზამთარი და ხანგრძლივი თბილი ზაფხული. საშუალმთიანეთში იცის ცივი ზამთარი და ხანგრძლივი ცივი ზაფხული. უფრო ზემოთ ცივი ზამთარი და მოკლე ზაფხულია. მუნიციპალიტეტის ჯაკე ტერიტორიაზე გაზაფხულ-ზაფხულზე ზოგჯერ გვალვებიც იცის. დამახასიათებელია სეტყვიანობა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდინარეთა ხშირი ქსელია. მთავარი სამდინარო არტერია მდ. ალაზანია, რომლის მარცხ. შენაკადებია: ინწობა, ჩელთი, დურუჯი, ბურსა, შაროხევი და სხვ. მდინარეები საზრდოობენ წვიმის, მიწისქვეშა და თოვლის წყლით. წყალდიდობა გაზაფხულ-ზაფხულზეა, წყალმცირობა – ზამთარში. ზოგი მდინარე ღვარცოფულია. მდინარეები გამოყენებულია სარწყავად, ნაწილობრივ ენერგეტიკული მიზნებისათვის.

ყვარლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რამდენიმე ხელოვნური წყალსაცავია (კუს წყაროს, ყვარლის, ნაგურგულას), რომლებიც საზოგადოების დასვენების საქმეს ემსახურება. სოფლებში ხინობიანსა და შაქრიანში გოგირდოვანი მინერალური წყაროებია.

ალაზნის ჯაკეზე გაბატონებულია უკარბონატო ალუვიური თიხნარი ნიადაგი, მთისპირებთან გამოზიდვის კონუსებსა და შლეიფებზე – ძლიერ ხარხაჩიანი ალუვიური და პროლუვიური ნიადაგებია. ალაზნისპირეთში ალუვიური კარბონატული ნიადაგია. მთების ქვემო ნაწილში განვითარებულია საშუალო და მცირე სისქის ტყის ყომრალი, შუა ნაწილში – ღია და გაეწრებული ტყის ყომრალი ნიადაგი, ტყის ზონის ზემოთ გავრცელებულია მთის მდელოს კორდიანი და კორდიან ტორფიანი ნიადაგები. გვხვდება ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგის ფრაგმენტები.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მრავალფეროვანი ფლორა და ფაუნაა. ჯაკეზე აქ-იქ შემორჩენილია ლეშამბოიანი ტყეები, რომელსაც ქმნის დაბლობის მუხა, ვერხვი, იფანი, მურყანი, რცხილა და სხვ. უხეადაა ლეშამბო: ეკალღიჭი, კატაბარდა, გარეული ვაზი, ღვდკეცი და ა.შ. ნატყეურ, აუთვისებელ ადგილებში სტეპის მცენარეები და ძეძვიანებია. მთებში, ტყის ქვედა სარტყელში არის წიფლნარი, რცხილა, მუხა, ცაცხვი, ნეკერჩხალი, წაბლი, ბზის კორომები. ქვეტყეს ქმნის კუნელი, ხლმარტლი, შინდი, თხილი, გარეული ტყემალი და სხვ. ტყის ზემო ნაწილში გაბატონებულია წიფელი. ტყის ზემოთ სუბალპური მდელოებია. ჩრდილოეთ ფერდობებზე ვხვდებით დეკიანებს, ტანბრეცილ ტყეებს, რომელსაც ქმნის ბოყი, არყი. 2500 მ-ის ზემოთ ალპური მდელოებია.

ცხოველთაგან გავრცელებულია: მურა დათვი, შველი, არჩვი, გარეული ღორი, მგელი, მელა, ტურა, კურდღელი, დედოფალა, ბუჩქნარის მემინდვრია, ძილგუდა, ზაზუნა. მრავლადაა ფრინველი. ქვეწარმავლებიდან გვხვდება: კუ, ხვლიკი, გველი. მდინარეებში არის ხრამული, მურწა, კარჩხალი, წურა, ლოქო, კობრი, გოჭალა, ჭანარი, ჭერეხი და სხვ.

ყვარლის მუნიციპალიტეტის ტერიტორია ერთიანდება ზომიერად ნოტიო სუბტროპიკულ ჯაკეად, ზომიერად ნოტიო მთა-ტყისა და მთა-მდელოს ლანდშაფტის ტიპებში.

მიუხედავად სამეურნეოდ ვარგისი ფართობის სიმცირისა (ტერიტორიის დიდი ნაწილი მთიანია და დასამუშავებლად უვარგისი), მუნიციპალიტეტის ეკონომიკაში პრიორიტეტული როლი უკავია სოფლის მეურნეობას. წამყვანი დარგია მევენახეობა, რომელიც ისტორიულად ჩამოყალიბებული მიმართულება, რომელიც იძლევა მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოებიდან მიღებული შემოსავლის 80%. ვაზის გავრცელებული ჯიშებია: რქაწითელი, საფერავი, კაბერნე და სხვ.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს მუნიციპალიტეტში უკავია 35,945 ჰა, აქედან სახნავი ფართობია 16,449 ჰა, მრავალწლიანი ნარგავები 6209 ჰა, საძოვრები 13,287 ჰა. კარგად განვითარებული მარცვლეულის (ხორბალი, სიმინდი) წარმოებაც, მეხილეობა, მეცხოველეობა, მეფრინველეობა, მებალეობა, მეფუტკრეობა.

მუნიციპალიტეტში განვითარებულია მრეწველობა, განსაკუთრებით – კვების. 36 სამრეწველო საწარმოდან 19 ღვინის ქარხანაა. ღვინის წარმოება მნიშვნელოვნად გაიზარდა 2000-2005 წლებში. ფართოდაა წარმოდგენილი პურის, საკონდიტრო ნაწარმის, უალკოჰოლო სასმელების წარმოება, სამშენებლო მასალების და კერამიკული ნაწარმის გამოშვება. განვითარებულია ხის გადამამუშავებელი მრეწველობა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რკინიგზის ხაზი არ გადის. სახელმწიფოს მნიშვნელოვან ცენტრებს იგი საავტომობილო გზებით უკავშირდება. სახელმწიფო მნიშვნელობის გზებია: ყვარელი-ლაგოდეხი, ყვარელი-ყვლისცხე-გურჯაანი, ყვარელი-თელავი, ყვარელი-ფშაველი-ახმეტა. ადგილობრივი მნიშვნელობის გზების საერთო სიგრძეა 139 კმ.

მუნიციპალიტეტის ხუროთმოძღვრული ძეგლებია: ძველი გავაზის ღვთისმშობლის ეკლ. (ახალსოფლის მახლობლად), გრემის მთავარანგელოზთა კომპლექსი, ნეკრესის სამონასტრო ანსამბლი, ალდგომის ეკლესია ენისელში, კურაცხოველის ეკლესია ჭიკაანში, შილდისა და ყვარლის ციხეები და სხვ.

ყვარლის მუნიციპალიტეტში მოქმედებს ჯანდაცვის (ყვარლის პოლიკლინიკა, საავადმყოფო, სოფლებში – ამბულატორიები), განათლების (ზოგადსაგანმანათლებლო და სამუსიკო სკოლები, ყვარლის სასპორტო სკოლა), კულტურის (თეატრი, ილია ჭავჭავაძის, კოტე მარჯანიშვილის, გრემ-ნეკრესის მუზეუმები, კულტურის სახლები, ბიბლიოთეკები) დაწესებულებები.

ყვარელი

001. ყვარელი, ქალაქი, მუნიციპალიტეტის ცენტრი, ისტ. ძ. მდებარეობს ალაზნის ვაკეზე. მდინარეების ბურსისა და დურუჯის (ალაზნის მარცხ. შენაკადები) შუამდინარეთში. ზ. დ. 450 მ, თბილისიდან 134 კმ-ზე. XVIII ს-იდან ქალაქური ტიპის სამოსახლოა.

XVIII ს-ის პირველ ნახევარში ოსმალთა და ყიზილბაშთა ბატონობით შევიწროებული და ლეკთა გამუდმებული თარეშით შეწუხებული კახეთის მოსახლეობა იყრებოდა და გარბოდა. გლეხთა აყრა-გაქცევამ, ხიზნობა-ყაჩაღობამ მასიური ხასიათი მიიღო. ქართლ-კახეთის მესვეურთა უპირველესი ამოცანა უკაცრიელი ადგილების კვლავ დასახლება და მოშენება იყო. ამ ამოცანის განხორციელებას თეიმურაზ II-ემ და ერეკლე II-ემ იმთავითვე ენერგიულად მოჰკიდეს ხელი. ეს ღონისძიება ყვარელსაც შეეხო. ერეკლემ XVIII ს-ის 60-იან წლებში ყვარლის ახლო მდებარე სოფლებში (ლომისციხე, ვეფხვისციხე) მოახალშენეები დაასახლა. ამით მან ხელი შეუწყო გაპარტახებული სოფლებისა და ყვარლის შემოგარენის სამეურნეო აღდგენა-აღორძინებას. ამას ადასტურებს ჰ. გიულდენშტედტიც. მისი ცნობით ლომისციხისა და ვეფხვისციხის მოსახლეებმა მძიმე შრომის შედეგად შეძლეს ცხოვრებისთვის ნორმალური პირობების შექმნა (გააშენეს ხეხილი და ა. შ.), უსაფრთხოების მიზნით კი ორივე სოფელში ააგეს სათავდაცვო კოშკები.

XVIII ს. 70-80-იან წლებში გაცხოველდა აღმ. საქართველოს სავაჭრო ურთიერთობა ჩრდ. კავკასიის ხალხებთან. საქართველოს სხვა მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრებთან ერთად, ამ ურთიერთობაში ყვარელიც აქტიურადაა ჩაბმული.

ყვარლის ეკონ. და სტრატეგიული მნიშვნელობის მაჩვენებელია ის, რომ აქ აშენდა ყვარლის ციხე, რ-თანაც მჭიდროდაა დაკავშირებული გვიანდ. შუა საუკუნეების ყვარლის პოლიტ. ისტორია. ციხის, როგორც ქართლისა და კახეთის კარიბჭის, მნიშვნელობა კარგად ესმოდა მოყვარესაც და მტერსაც, რაც ნათლად დამტკიცდა 1755 წ. ყვარლის ცნობილი ბრძოლის დროს, როცა ყვარლის ციხის დამცველებმა ლეკთა გაერთიანებულ ლაშქარს ქართლისა და კახეთის ერთბაშად აოხრების გეგმა ჩაუშალეს.

აღმ. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ (1801) ყვარელი შედიოდა თელავის მაზრაში. 1844 წლიდან იგი თელავის მაზრის ყვარლის უბნის ცენტრს წარმოადგენდა. 1930 წ. ყვარლის რ-ნი ცალკე რაიონად გამოიყო. მისი ადმ. ცენტრი გახდა დაბა ყვარელი. 1964 წლიდან კი იგი ქალაქია. ამჟამად – მუნიციპ-ის ცენტრი.

1950–1955 წწ. ყვარელში შეიქმნა ღვინის ქარხნების საწარმოო გაერთიანება, რ-მაც გააერთიანა შვიდი ღვინის ქ-ნა (წარმოების მოცულობა წლიურად შეადგენდა 100-120 მილიონ მანეთს). 1976 წ. მას დაემატა კონიაკის სპირტის სახდელი საამქრო და ეწოდა ღვინმრეწვის ქინძმარაულის საწარმოო გაერთიანება. ქარხნებში მზადდებოდა ყველა სახის ღვინო სამარკოდან დაწყებული და ორდინალური ღვინოებით დამთავრებული. რაიონის ეკონომიკაში გაერთიანების წვლილი იყო 97%. 1965 წ. დაიწყო და 1975 წ. დამთავრდა ღვინის მიწისქვეშა საცავის მშენებლობა (სიგრ. – 8,5 კმ).

1951 წ. გაიხსნა რაიონული ბიბლიოთეკა. 1983 წ. 1 იანვრის მონაცემებით აქ 27 000 წიგნი იყო. ბიბლიოთეკას მუნიციპალიტეტის სოფლებში აქვს 46 ფილიალი, სადაც წიგნების საერთო რაოდენობა 2 448 611 ერთეულს აღწევს.

1962-65 წწ. ყვარლის მიდამოებში აიგო ნაგურგულას წყალსაცავი, რ-საც უკავია 36 ჰა. მაქს. სიღრმე – 10-12 მ, მოც. – 1,5 მილ. კუბ მ. იკვებება მდინარეების ნაგურგულის და ბურსის წყლით.

1970 წ. აშენდა კუსწყროს წყალსაცავი (ფართ. 0,5 ჰა, სიღრმე – 8 მ, მოც. – 0,4 მილ. კუბ მ, იკვებება ფშანებით. 1972 წ. [illegible] დურუჯის ([illegible]) წყალსაცავი. კაშხლის (სიმ. – 8 მ, მოც. – 0,5 მილ. კუბ მ, რეკონსტრუქციის (1978 წ.) შემდეგ ფართ. გაიზარდა 32 ჰა-მდე. მაქს. სიღრმე – 20 მ, მოც. – 3,5 მილ. კუბ მ, იკვებება მდ. დურუჯის წყლით.

ყვარელში დაიბადნენ ცნობილი ქართვ. მწერალი და საზ. მოღვაწე ილია ჭავჭავაძე, გენერალი ნიკოლოზ (ნიკო) ჭავჭავაძე და გამოჩენილი ქართვ. რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი.

გ. ავრასიძე, შ. ვანიშვილი, კ. კახაძე.

ბიბლ.: 30 ბ; 48 ბ; 76.

002. აბაშის ციხე, არქიტ. ძ. მდებარეობს ქალაქის ჩრდ.-აღმ-ით 8 კმ-ზე, მდ. დურუჯის ხეობაში, იელგორად წოდებულ ადგილზე. თარიღდება XV ს-ით.

ციხე გეგმით თითქმის ოთხკუთხედია (38×24მ). სამშენ მასალად გამოყენებულია რიყის ქვა. ციხის აღმ. და დას. კედლებში ჩართულია თითო ოთხკუთხა კოშკი. მათგან აღმ-ისა მთლიანად გალავნის აბრისს გარეთაა გატანილი, დას-ისა კი გალავნის შიგნითაა. დაზიანებულია: ფრაგმენტულადაა შემორჩენილი ციხის ჩრდ. და სამხრ. კედლები, აღმ. კოშკი თითქმის მთლიანად დანგრეულია.

ციხის შესასვლელი ჩრდ.-დას. კუთხეშია. შესასვლელამდე ადის ქვის განიერი კიბე, რ-იც მიშენებულია დას. კოშკის ჩრდ. კედელზე. დას. კოშკი ოთხი სართულის სიმაღლეზეა შემორჩენილი. შესასვლელი მას პირველ სართულზე, აღმ-იდან აქვს. სართულის კედლებში რამდენიმე ნიშა და სათოფურია. მსგავსი ნიშები და სათოფურები დანარჩენ სართულებზეცაა. კოშკს ხის სართულშუა გადახურვა ჰქონია.

ბ. კუპრეიშვილი.

ბიბლ.: 229.

003. აღდგომის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს ქალაქის ჩრდ. ნაწილში, მზექალაშვილების უბანში. თარიღდება XVIII-XIX სს.

ეკლ. დარბაზულია (10,7×6,8 მ). ნაგებია რიყის ქვით. კარ-სარკმლების წირთხლებში, საკურთხევლის კუთხეებში და ფასადზე, დეკორატ. ელემენტების შესაქმნელად, გამოყენებულია კვადრ. აგური. დაზიანებულია: მთლიანად ჩამოქცეულია გადახურვა, აღმ. სარკმელთან განგრეულია აფსიდის კედელი, ალაგ-ალაგ მონგრეულია გრძივი კედლების ზედა ნაწილები.

შენობას ორი თაღოვანი შესასვლელი აქვს – სამხრ-იდან და დას-იდან. ორივე მათგანი შიგნიდან და გარედან სწორკუთხა შეღრმავებაშია ნასმული. დას. შესასვლელის გვერდებზე თითო სათოფურია.



003. გეგმა

აღმ-ით ღრმა, კუთხეებში მომრგვალებული და დარბაზის გრძივი კედლებიდან მხრებით გამოყოფილი, თითქმის ბრტყელი საკურთხეველია, რ-შიც დაბალი, შეისრულთაღიანი სარკმელია გაჭრილი. მსგავსი სარკმელია დას. კედელში, ხოლო ორ-ორი გრძივ კედლებში. საკურთხეველში, სარკმლის ორივე მხარეს, სხვადასხვა ზომის ორ-ორი ნიშაა, მათგან მოზრდილები ისრულთაღოვანია, პატარები – სწორკუთხა. ინტერიერი შელესილია.



003. გრძივი ჭრილი, ხედი ჩრდ-კენ

აღმ. ფასადზე, სარკმლის ზემოთ, წყობაში, შეღრმავებული ჯვარია გამოსახული. სამხრ. და დას. ფასადებზე, შესასვლელის ორივე მხარეს, ვერტიკალურად განლაგებული სამ-სამი შეღრმავებული რომბია. სამხრ. შესასვლელის ზემოთ და დას. ფრონტონზე, მცირე, ტოლმკლავა ჯვრის რელიეფური გამოსახულებაა. დას. შესასვლელის თავზე მცირე, სწორკუთხა ნიშაა. ეკლესიის კედლები დასრულებულია აგურის ოთხსაფეხურიანი ლავგარდნით.



003. დას. ფასადი

თ. დვალი.

004. ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲚᲝᲪᲐᲕᲘ, ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას ქალაქში, სამების სერზე. თარიღდება გვიან. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია, გეგმით სწორკუთხა (7,1×4,6 მ). ნაგებია სხვადასხვა ზომის ნატეხი ქვითა და აგურით. დაზიანებულია შენობის ლავგარდანი და გადახურვა. შესასვლელი დას-იდანაა. კარი გარედან თაღოვანია, შიგნიდან – სწორკუთხა. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია. აფსიდის ღერძზე შეისრული სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ორივე მხარეს მოწყობილია თითო ოთხკუთხა ნიშა. აფსიდი დარბაზისგან გამოყოფილია მხრებით, რ-ებსაც შეისრული ფორმის საერიუმფო თაღი ეყრდნობა. შეისრულია კამარაც. შენობა გადახურულია კრამიტით.

ბ. კუპრეიშვილი.

005. ᲓᲣᲑᲘᲡ ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას ქალაქის სამხრ. განაპირას, დაუბურ წყალგამყოფ ბულ ადგილზე. დარეგისტრირებულია XI ს-ით. 1990-იანი წლებიდან აქ დედათა მონასტერია.

ძ. სამკლესიანი ბაზილიკაა. ნაგებია სხვადასხვა ზომის, მეტ-ნაკლებად სწორხაზოვან რიგებად ნაწყობი რიყის ქვით. გარეთა კედლების (ძირითადად კუთხეების) წყობაში გამოყენებულია საკმაოდ დიდი ზომის რიყის ქვები და ალაგ-ალაგ შირიმი. შენობის გეგმის სწორკუთხედში (21,8×17 მ) ჩაწერილია ერთმანეთისგან კედლებით გამოყოფილი და თითო კარით დაკავშირებული სამი ნავი, რ-ებიც დამოუკიდებელ ეკლესიებს წარმოადგენენ და გვერდითი სადგომების დამაკავშირებელი დას. გარშემოსავლელი. ჩრდ. ეკლესიას აღმ-იდან ეკვრის გეგმით სწორკუთხა სათავსი, რ-იც სამხრ. კედელში გაჭრილი კარით მხოლოდ მთავარ ეკლესიას უკავშირდება. შენობა გადაკეთებულია, ამდროინდელია მთავარი ეკლესიის კამარისა და საბჯენი თაღების შემორჩენილი ნაწილები, კონქი, პილასტრები, კანკელი, გვერდის ნავების და დას. გარშემოსავლელის კედლები, სამხრ. ნავის აღმ. ბოლოში მოწყობილი სათავსის მნიშვნელოვანი ნაწილი და სხვ. მომდევნო ხანებში გარშემოსავლელის ჩრდ-დას. კუთხეში მოუწყვიათ მცირე კვადრ. სათავსი, ხოლო ჩრდ. ფასადზე მიუშენებიათ გაურკვეველი დანიშნულების ნაგებობა, რ-ისგანაც კედლების მცირე ნაწილიღაა შემორჩენილი.

1988 წ. ძეგლზე სარესტ. სამუშაოები ჩაატარა სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნომ (პროექტის ავტორი, არქიტ.-რესტავრატორი ზ. ქუფარაშვილი). აღდგა მთავარი ეკლესიის, სამკვეთლოს და სამხრ. ნავის აღმ. ბოლოში მოწყობილი სათავსის გადახურვა, გამაგრდა გვერდის ნავების და დას. გარშემოსავლელის კედლების შემორჩენილი ნაწილები.

ეკლესიას სამი შესასვლელი აქვს: დას-ით, სამხრ-ით და ჩრდ-ით. პირველი ორი განიერია, ჰქონია თაღოვანი გადახურვა (შემორჩენილია ორივე თაღის თითო ქუსლი), მესამე თარაზულად ყოფილა გადახურული.



005. გეგმა

მთავარი ეკლ. მნიშვნელოვნად აღემატება გვერდით ეკლესიებს. აქვს სამი შესასვლელი: ორი მათგანი გვერდის ეკლესიებიდანაა, ერთი – დას. გარშემოსავლელიდან. სამივე კარი გარედან თაღოვანია, შიგნიდან კი ხის მოზრდილი ძელებით ყოფილა გადახურული.

ეკლესიის შიდა სივრცე აღმ-ით დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით. აფსიდის ღერძზე გაჭრილია განიერი, მაღალი, ნალისებრი თაღით გადახურული, პარალელურწირთხლებიანი სარკმელი. იგი მოგვიანებით ამოუშენებიათ და მნიშვნელოვნად დაუვიწროებიათ (რესტავრაციის შემდგომ სარკმელს დაუბრუნდა თავდაპირველი სახე). ორი, გაცილებით მცირე, თაღოვანი სარკმელი სამხრ. კედელშიცაა.

გრძივ კედლებზე ორ-ორი მძლავრი პილასტრია, რ-ებზეც გადადის დარბაზის გადამხურავი კამარის საბჯენი თაღები. აფსიდს გარშემოუყვება მაღალი საფეხური. საკურთხევლის იატაკი ამაღლებულია. აფსიდის წინ მოწყობილი იყო ქვის კანკელი, რ-საც ჰქონდა ორი თაღოვანი შესასვლელი, ორი სწორკუთხა ფანჯარა და ერთი სწორკუთხა ღიობი (ამჟამინდელი კანკელი ნაწილობრივ სახეშეცვლილია).

ჩრდ.-აღმ. სათავსი (სამკვეთლო) გეგმით სწორკუთხაა, გადახურულია ბრტყელი კამარით, რ-ის სამხრ. ჭუსლი მთავარი ეკლესიის კედელზე მიშენებულ პილასტრსა და მასზე გადაყვანილ ორ თაღს ეყრდნობა. აღმ. კედელში ვიწრო თაღოვანი სარკმელია.

სამხრ. ეკლ. თავდაპირველად ერთ სივრცეს წარმოადგენდა, აღმ-ით დასრულებული იყო სწორი კედლით, რ-შიც მცირე ზომის თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. ეკლესიის ერთ-ერთი (როგორც ჩანს, ბოლო) გადაკეთების დროს, სადგომის აღმ. ბოლოში მოუწყვიათ მცირე სათავსი (სადიაკვნე?), რ-ის შესასვლელი დას-იდან, მოგვიანებით ჩაშენებულ კედელშია მოწყობილი. კარი დაუდევრადაა გამოყვანილი, გადახურულია თარაზულად. აღმ. სარკმლის გარდა, ოთახს კიდევ ერთი, სამხრ. კედელში გაჭრილი (გვიანდელია) თითქმის კვადრ. ფორმის სარკმელიც აშუქებს.

დას. გარშემოსავლელის დას. კედელში სამი განიერი, პარალელურწირთხლებიანი ღიობის ნაშ-



005. განივი ჭრილი, ხედი აღმ-კენ



005. გრძივი ჭრილი, ხედი სამხრ-კენ

თებია შემორჩენილი. გარშემოსავლელი, ისევე როგორც გვერდის ეკლესიები, გადახურული იყო ბრტყელი კამარით, რ-იც მთავარი ეკლესიის კედლებზე მიდგმულ პილასტრებსა და მათზე გადაყვანილ თაღებს ეყრდნობოდა.

თ. დვალი.

ბიბლ.: 222; 229; 335.

კედლებიდან ჩამოცვენილია საპირე ქვები.

ერთადერთი შესასვლელი ეკლესიას დას-იდან ჰქონია. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის ღერძზე ვიწრო და მაღალი, თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ორივე მხარეს მოწყობილია თითო, გეგმით ნალისებრი ნიშა.



005. ხედი ჩრდ.-დას-იდან

006. ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს ილია ჭავჭავაძის ქუჩაზე. თარიღდება განვითა(?) შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია (6,2×4,6 მ). ნაგებია უხეშად დამუშავებული, სხვადასხვა ზომის ქვებით. ძლიერ დაზიანებულია: ჩაქცეულია კამარა, დანგრეულია სამხრ. და დას. კედლების, კონქის დიდი ნაწილი. ჩრდ. კედელში, აფსიდის მხართან, ერთი ოთხკუთხა ნიშაა.

ბ. კუპრეიშვილი.

007. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას ილია ჭავჭავაძის ქუჩაზე. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით. დარბაზულია (10,9×6,5 მ). ნაგებია რიყის ქვით, აგურით და კირის დუღაბით. დაზიანებულია: ჩამოშლილია კრამიტის სახურავი და ფასადების მნიშვნელოვანი ნაწილი. ჩამოცვენილია ნალესობა.

ეკლესიას სამი სწორკუთხა შესასვლელი აქვს: დას-ით, სამხრ-ით და ჩრდ-ით (ამჟამად ამოშენებულია). აღმ-ით ღრმა ნალისებრი აფსიდია, რ-ის ღერძზე ფართო, თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ორივე მხარეს მოწყო-



007. გეგმა

ბილია სხვადასხვა ზომის, ორ-ორი სწორკუთხა ნიშა. აფსიდის იატაკი დარბაზის იატაკის მიმართ საფეხურითაა შემაღლებული, რამდენადმე წინწამოწეულია აფსიდის მხრების ხაზიდან და შუაში ნახევარწრიული ამბიონი აქვს. აფსიდის სარკმლის გარდა, თითო ფართო, სწორკუთხა სარკმელია სამხრ. და ჩრდ. კედლების აღმ. ნაწილში და დას. შესასვლელის თავზე (ნაწილობრივ ამოშენებულია). დარბაზი გადახურულია შეისრული ფორმის კამარით, რ-იც ეყრდნობა ორ საბჯენ თაღს. მათგან ერთი დარბაზის შუაშია, მეორე დას. კედელთან. შუა თაღი კრონშტაინებზეა გადაყვანილი, დას-ისა – კუთხის პილასტრებზე. ეკლესიის ფასადები დასრულებულია აგურის სამსაფეხურიანი ლავგარდნით. დას-ის კედელზე დადგმული ყოფილა აგურისავე სამრეკლო, რ-ის საფუძველიდაა შემორჩენილი.

კ. გიორგობიანი.

008. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას ქალაქის ჩრდ-ით 2 კმ-ზე, მდ. დურუჯის მარჯვ. ნაპირას, დოლოჭოპად წოდებულ ადგილზე. თა-

რიღდება განვით. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია (6,8×4,8 მ), ნაგებია ნატეხი ქვით და კირის დუღაბით. დაზიანებულია: ჩამონგრეულია გადახურვა, მონგრეულია კედლების ზედა ნაწილები, გარღვეულია აღმ. კედლის შუა და სამხრ. კედლის დას. ნაწილი. შენობას შესასვლელი ჩრდ-ით ჰქონია (ამჟამად ამოშენებულია). აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია. აფსიდის გვერდებში მოწყობილია თითო განიერი, სწორკუთხა ნიშა.

ბ. კუპრეიშვილი.

009. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას ქალაქის სამხრ.-აღმ-ით, 2 კმ-ზე, თურგაანად წოდებულ ადგილზე. თარიღდება ადრინდ. შუა საუკუნეებით.

ძ. სამეკლესიანი ბაზილიკაა (11,2×11,2 მ), ნაგებია რიყის ქვითა და კირის დუღაბით. გარეთა კუთხეების წყობაში და კონსტრ. ნაწილებში გამოყენებულია შირიმი.

ძლიერ დაზიანებულია: ჩამონგრეულია მთავარი ეკლესიის კამაროვანი გადახურვა, კონქი და კედლების საპირე წყობის დიდი ნაწი-



009. გეგმა

ლი, დანგრეულია დას. კედლის სამხრ. ნახევარი, განგრეულია აფსიდის კედელი, მთლიანადაა დანგრეული სამკუთხა. გვერდის ეკლესიების და დას. გარშემოსავლელისგან გარეთა კუთხეების ნაწილებიღაა დარჩენილი. ინტერიერი ამოვსებულია მიწითა და ჩამონაშალი ქვებით.

შუა ეკლ. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდითაა დასრულებული. ჩრდ. ეკლ. უაფსიდოა, აღმ-იდან მას ეკვრის განცალკევებული სათავსი სამკვეთლოსათვის, რ-იც მთავარ ეკლესიას თაღოვანი კარით უკავშირდება.

სამხრ. ეკლესიის და სამკვეთლოს გეგმა, გათხრა-გასუფთავების გარეშე არ დგინდება.

კ. გიორგობიანი.

010. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას ქალაქის სამხრ.-აღმ-ით, 4 კმ-ზე, ნიკოანთ ყურეც წოდებულ ადგილზე. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია (5,9×4 მ). ნაგებია სხვადასხვა ზომის ნატეხი ქვითა და რიყის ქვით, საკმაოდ დაუდეგრად. შესასვლელი სამხრ-ითაა. კარი გარედან თაღოვანია, შიგნით, ხის ძელებით, თარაზულად ყოფილა გადახურული (შემორჩენილია ძელების კვალი). შესასვლელის ჩრთხლებში საურდულე ხვრელებია. მათგან დას. ჩრთხლში მოწყობილი ხვრელი დას. ფასადზე გადის. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის ღერძზე დაბალი, ბრტყლად გადახურული სარკმელია. სარკმლის ქვემოთ, კედელზე, მიდგმულია ტრაპეზი. ერთი მსგავსი სარკმელი დას-ითაცაა. აფსიდში სამი მცირე ზომის სწორკუთხა ნიშაა. მათგან ორი სამხრ-ითაა, ერთი – ჩრდ-ით. სამხრ-ით მდებარე ერთ-ერთი ნიშა, რ-იც საკმაოდ ღრმაა და გეგმით ტეხილი მოხაზულობა აქვს, სავარაუდოდ, სამალავად გამოიყენებოდა. აფსიდი დარბაზისაგან გამოყოფილია მხრებით, რ-ებსაც ნახევარწრიული ფორმის თაღი ეყრდნობა. აფსიდი და დარბაზი გადახურულია ნახევარცილინდრული, ქარგილზე სხმული კამარით. დას. კედელზე და ტრაპეზზე შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები. ეკლესიის ფასადები აგურის საფეხუროვანი ლაყბარდნითაა დასრულებული.

ბ. კუპრეიშვილი.

011. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას ქალაქის აღმ-ით, 3,5 კმ-ზე, ნასოფლარ ყორეანის ტერიტორიაზე. თარიღდება განვით. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია, ნაგებია ყოფილა ნატეხი ქვით. ძლიერ დაზიანებულია: ჩამონგრეულია გადახურვა, კედლები სხვადასხვა სიმაღლეზეა შემორჩენილი. ინტერიერი ამოვსებულია მიწითა და ჩამონაშალი ქვით.

აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის ღერძზე ვიწრო, თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. სარკმლის გვერდებზე აფსიდის კედელი განგრეულია. აფსიდის ჩრდ. გვერდის შემორჩენილ ნაწილში მცირე ოთხკუთხა ნიშაა. სამხრ. კედელში შემორჩენილია შესასვლელის აღმ. წირთხლის ნაწილი, ჩრდ. კედელში კი, ორი ფართო გასასვლელის კვალი.

ეკლესიას სამხრ-იდან და დას-იდან მინაშენები ეკვროდა, რ-თაგანაც კედლების მცირე ნაწილებიღაა შემორჩენილი.

მ. აბაშიძე.

012. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას ქალაქის მიდამოებში, 3,5 კმ-ზე, წინკლდეებად წოდებულ ადგილზე, ტყეში. თარიღდება განვით. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია (5,8×4 მ). ნაგებია ნატეხი ქვით. დაზიანებულია: აჩრილია სახურავის საფარი, გამონგრეულია აფსიდის ჩრდ. გვერდის ნაწილი, ჩამოცვენილია ნალესობა.



012. გეგმა

ერთადერთი, გარედან სწორკუთხა, შიგნიდან კი თაღოვანი შესასვლელი დას-იდანაა. აღმ-ით ნა-

ხეყარწრიული აფსიდია. მის ღერძზე გაჭრილია ვიწრო, ოთხკუთხა სარკმელი, რ-ის ქვემოთ ქვის ტრაპეზია. ერთი მსგავსი სარკმელი დას. კედელშია – შესასვლელის ზემოთ. აფსიდის სარკმლის გვერდებზე თითო მცირე ზომის სწორკუთხა ნიშაა. ჩრდ. ნიშა კედლის სისქეში მოწყობილ სამალავს უკავშირდება. ერთი ოთხკუთხა ნიშა დას. კედელში, შესასვლელის სამხრ-ითაცაა.

ინტერიერი მოხატული ყოფილა. მოხატულობა შედარებით უკეთ სამხრ. კედელზეა შემორჩენილი, სადაც გველეშაპის დამლახვრელი წმ. გიორგია გამოსახული. საკურთხეველში ეკლესიის მამების ფიგურების ფრაგმენტებია, რანს საღებავით შესრულებული წარწერებიც.

შიგნით ეკლ. გადახურულია ნახევარწრიული კამარით. ნახევარწრიულია კონქის თაღიც.

შენობის ფასადები დასრულებულია აგურის წყობით გამოყვანილი ხერხულა ლაქვარდნით.

მ. აბაშიძე.

013. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას ქალაქის მიდამოებში, 3,5 კმ-ზე, წინკლდეებად წოდებულ ადგილზე. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით. ეკლ. დარბაზულია (9,2×6,5 მ). ნაგებია ნატეხი ქვითა და ფიქლით. ალაგ-ალაგ გამოყენებულია შირიმიც.

ეკლ. უაფსიდოა, აღმ-ით დასრულებულია სწორი კედლით, რ-ის შუაში გაჭრილია სწორკუთხა სარკმელი. სარკმლის სამხრ-ით, აღმ. კედლის კიდეში, განიერი, ოთხკუთხა ნიშა, ერთმანეთის საპირისპიროდ, სამხრ. და ჩრდ. კედლების შუა ნაწილშია.

შიგნით ეკლ. გადახურულია ქარგილზე სხმული შეისრული კამარით. კამარაზე და დას. კედელზე შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები.

შენობის ფასადები დასრულებულია თაროიანი ცერობის პროფილის ლაქვარდნით.

მ. აბაშიძე.

014. ვაზოვანის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას ქალაქის ჩრდ.-აღმ-ით, 3 კმ-ზე, მდ. ვაზოვანის მარცხ. ნაპირზე, მდინარიდან 50-იოდე მ მანძილზე. ეკლესიასთან ახლოს შეიმჩნევა ყორეები და ნასახლარების კვალი (ადრინდ. დასახლებებია?).

ძ. სამეკლესიანი ბაზილიკის ტიპისაა, სავარაუდოდ, თარიღდება VI ს-ით. ძლიერ დაზიანებულია. შემორჩენილია: შუა ეკლ., საკურთხევლის გვერდებზე მდებარე სათავსები – სამკვეთლო და სადიაკვნე და სამხრ. ეკლესიის აღმ. ნაწილი. შენობის დანარჩენი ნაწილის აგებულება გათხრა-გასუფთავების გარეშე არ ირკვევა.

ეკლ. ნაშენია რიყისა და ნატეხი ქვით. გარეთა კუთხეებში მოზრდილი თლილი ქვები და ალაგ-ალაგ შირიმია გამოყენებული. კედლები შიგნიდან და გარედან მობათქაშებული ყოფილა.



014. გეგმა

შუა ეკლესიას სამი თაღოვანი შესასვლელი აქვს. სამხრ-ით, დასით და ჩრდ-ით (ჩრდ. კარი მოგვიანებით ამოუშენებიათ). ეკლესიის ერცელი დარბაზი (შიგნითა ზომები: სიგრ. – 13,5 მ, სიგ. – 5 მ) აღმ-ით დასრულებულია ნალისებრი ფორმის აფსიდით (უმეტესი ნაწილი დანგრეულია), რ-ის წინ მოკლე ბემაა. აფსიდის ღერძზე გაჭრილია ვიწრო სარკმელი (შემორჩენილია სარკმლის ნაწილი), რ-ის ორივე მხარეს მცირე, ოთხკუთხა ნიშაა. აფსიდის სამხრ. გვერდზე შემორჩენილია მოხატულობის ნაშთები (მოშავო, მოყავისფრო და წითელი ფერის საღებავით გამოყვანილი კონტურები).

გრძივ კედლებზე სამ-სამი ორსაფეხურიანი პილასტრია, რებსაც კამარის საბჯენი თაღები ეყრდნობოდა. სამხრ. კედელში ორი განიერი, ნალისებრთაღოვანი სარკმელია. გრძივი კედლების აღმ. ნაწილში მოწყობილი კარებით შუა ეკლ. სამკვეთლოს და სადიაკვნეს უკავშირდებოდა. ორივე სათავსი უაფსიდოა, ვიწრო სარკმლით აღმ-იდან (ორივესგან თითო წირთხლიღაა დარჩენილი). სამკვეთლო მთლიანად ნანგრევებითაა ამოვსებული და მისი არქიტ. გადაწყვეტა არ ირკვევა. სადიაკვნე გადახურულია ცილინდრული კამარით. სათავსის ჩრდ. კედლის აღმ. კიდეში ღრმა ნიშაა.

სამხრ. ეკლესიისგან ნახევარწრიული აფსიდი და სამხრ. კედლის მცირე ნაწილიღაა დარჩენილი. ჩრდ. ეკლ. კი მთლიანად

დანგრეულია. ორივე ეკლ. ერთმანეთთან დაკავშირებული იყო დას. გარშემოსავლელით, რ-ის გადახურვა, ისევე, როგორც გვერდის ეკლესიებისა, შუა ეკლესიის კედლების მთელ სიგრძეზე მოწყობილ თაროს (შემორჩენილია სამივე კედელზე) ეყრდნობოდა.

თ. დვალი.

ბიბლ.: 223; 335.

015. ზემნის კიდურები, გ о რ ა ნ ა მ ო ს ა ხ ლ ა რ ი, არქეოლ. ძ. მდებარეობს მდ. უნარის მარცხ. ნაპირას. ზეგნის კიდურებად წოდებულ ადგილზე. გორანამოსახლარის (შემორჩენილი სიმ. 1 მ, დიამ. – 45 მ) ზედაპირი იხვნება. ნახნავში მრავლად ჩანს ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევრისათვის დამახასიათებელი შავად გამომწვარი, უხეშკეციანი თიხის ჭურჭლის ნამტვრევები.

ა. ნუცუბიძე.

ბიბლ.: 304.

016. კვირაცხოვლის ეკლესია, ნაეკლესიარი, არქიტ. ძ. მდებარეობს ქალაქის სასაფლაოზე. ნაეკლესიარის გეგმა არ იკითხება. შემორჩენილია სამხრ. და აღმ. კედლების მცირე ნაწილები. შენობა ნაგები ყოფილა ნატეხი ქვით.

ბ. კუპრეიშვილი.

017. კოშკი, არქიტ. ძ. მდებარეობს ილია ჭავჭავაძის სახლ-მუ-



017. I სართულის გეგმა

ზეუმის ეზოში. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით. გადმოცემით 1873 წ., ლეკების შემოსევის დროს, ილიას ფეხმძიმე დედა ამ კოშკში დაუმალავთ და სწორედ აქ დაბადებულა დიდი პოეტი და საზ. მოღვაწე.



017. II სართულის გეგმა

1986 წ. ძეგლზე სარესტ. სამუშაოები ჩაატარა სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნომ (პროექტის ავტორი, არქიტ.-რესტავრატორი გ. ნიკოლაძე). აღდგა ხის სართულშუა გადახურვები, ბანის



017. III სართულის გეგმა

სართულზე ქონგურებისა და მაშიკულების ნაწილი, პირველ სართულზე დაიგო აგურის იატაკი.

შენობა გეგმით კვადრატს მიახლოებული სწორკუთხედია (7,2×7 მ). ნაგებია რიყის ქვით. შესასვლელი პირველ სართულზეა, ჩრდ. კედლის შუაში. კარი სწორკუთხაა. შესასვლელის გვერდებზე თითო შეწყვილებული სათოფურია. მსგავსი ორ-ორი სათოფური დანარჩენ კედლებშია. ჩრდ. კედელში მოწყობილია ორი ნიშა, აღმ. და დას. კედლებში კი, თითო-თითო.

მეორე სართულის აღმ. კედელში, თაღოვანი ბუხარია, მის მოპირდაპირედ – განიერი ნიშა. ოთხივე კედელში, აქაც, სათოფურებია. მესამე სართულის ოთხივე კედელში ორ-ორი შეწყვილებული სათოფურია. მეოთხე სართული ბანია, რ-ის კედლები თავმომრგვალებული ქონგურებითაა დასრულებული. ბანის ოთხივე კედელში განლაგებულია ნისკარტისებრი მაშიკულები. სართულები ერთმანეთთან დაკავშირებული იყო ხის კიბით.

კოშკის გარეგნობა მარტივია. შესასვლელის თავზე გამოსახულია წყობაში შეღრმავებული ტოლმკლავა ჯვარი.

ა. გიორგობიანი.

018. კოშკი, არქიტ. ძ. დგას ტიციან ტაბიძის ქუჩაზე, ლ. ბუჯიაშვილის ეზოში. განეკუთვნება XVIII საუკუნეს. კოშკი გეგმით წრიულია (გარე დიამ. 6,8 მ), ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. შემორჩენილია ერთი სართულის სიმაღლეზე. შესასვლელი სამხრ-იდანაა. კარი აგურით ნაწყობი შეისრული თაღითაა გადახურული. შესასვლე-



018. I სართულის გეგმა

ლის გვერდებზე თითო სათოფურია, მოპირდაპირე მხარეს კი –

თაღოვანი ბუხარი (ამოშენებულია). სართულზე სამი დრმა ნიშაა, რ-ებშიც თითო შეწყვილებული სათოფურია მოწყობილი. კიდევ ერთი, დანარჩენებზე ოდნავ განიერი ნიშა (ამოშენებულია) კარის გვერდითაა (დას-ით).

ბ. კუპრეიშვილი.

019. ლაშარის დიდსალოცავი, ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს კუდიგორის ქუჩაზე. თარიღდება XVII-XVIII სს-ით. ეკლ. დარბაზულია (10,8×6 მ). ნაგებია ყორე ქვითა და აგურით. დაზიანებულია: ჩამოშლილია სახურავის საფარი, ფრაგმენტულადაა შემორჩენილი ლავგარდანი.

შესასვლელი სამია: დას-ით, სამხრ-ით და ჩრდ-ით. კარები გარედან თაღოვანია, შიგნიდან – თარაზულადაა გადახურული.



019. I სართულის გეგმა

აღმ-ით ღრმა, ნალისებრი აფსიდია, რ-ის ღერძზე თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. მსგავსი სარკმელია დას. კედელში, ხოლო ორ-ორი გრძივ კედლებშია. აფსიდის იატაკი ორი საფეხურითაა ამაღლებული. საკურთხეველში, სარკმლის სამხრ-ით ერთი, ჩრდ-ით კი ორი ნიშაა.

დარბაზი გადახურულია შეისრული კამარით, რ-იც ეყრდნობა ორ საბჯენ თაღს. მათგან ერთი დარბაზის შუაშია, ხოლო მეორე დას. კედელთან. შუა თაღი გადაყვანილია კრონშტაინებზე, დას. თაღი კი – კუთხის პილასტრებზე. სამხრ. და დას. კედლებში, კარის გვერდით, თითო სათოფურია. დას. ფასადზე, ფრონტონში, სამი შედრმავებული ჯვარია გამოსახული. ამავე ფასადზე შემორჩენილია აგურის სამსაფეხურიანი ლავგარდანი.

კ. გიორგობიანი.

020. ლაშარის ნიში, ნაეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს ქალაქში. დანგრეულია. შემორჩენილია მხოლოდ დას. კედლისა და ჩრდ-დას. კუთხის მცირე ნაწილი.

ბ. კუპრეიშვილი.

021. მარანი, არქიტ. ძ. მდებარეობს ქალაქის აღმ-ით, 3,5 კმ-ზე, ნასოფლარ ყორეანის ტერიტორიაზე. თარიღდება XIX ს-ით. ნაგებია ნატეხი ქვით. დაზიანებულია. კედლები შემორჩენილია 1-1,5 მ სიმაღლეზე. აღმ-ით განიერი შესასვლელია. ინტერიერში მიწის დონე აწეულია და ქვევრები არ ჩანს.

ბ. კუპრეიშვილი.



022. განივი ჭრილი, სვეტი სამხრ-კენ

022. კოტე მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმი, ისტ., არქიტ. ძ. მდებარეობს ქალაქის ცენტრში, კ. მარჯანიშვილის ქუჩაზე. აგებულია XIX ს. შუა წლებში სოლომონ ჭავჭავაძის (კ. მარჯანიშვილის პაპა დედის მხრიდან) მიერ. დღეისათვის, მეტ-ნაკლებად, შენარჩუნებულია სახლის თავდაპირველი სტრუქტურა და მხატვრული სახე. სწორედ ამ სახლში 1872 წ. 8 ივნისს დაიბადა გამოჩენილი ქართვ. რეჟისორი. გასულ საუკუნეში სახლი სხვადასხვა დროს სხვადასხვა დანიშნულებისათვის (პოსპიტალი – 1922-1938 წწ.; სამხ. კომისარიატი – 1938-1946 წწ.) გამოიყენებოდა. 1956 წ. თავდაპირველი შენობის ერთ ოთახში გაიხსნა მარჯანიშვილის ბ-კა-მუზეუმი. 1957 წ. დაარსდა სახლ-მუზეუმი. 1959 წ. ივნისში კი გაიხსნა მემორ. მუზეუმი, რ-საც რეაბილიტაცია ჩაუტარდა 1980-იან წლებში. მუზეუმში დაცულია 3 000 ექსპონატი. გამოფენის პირველ განყ-ბაში გამოფენილია ოჯახის წევრთა სურათები: პაპის (ს. ჭავჭავაძე), მშობლების – ელისაბედ სოლომონის ასულ ჭავჭავაძისა და ალექსანდრე ანდრიას ძე მარჯანიშვილის; დების – ნინოს, სოფიოს, თამარისა (გამოჩენილი სასულიერო მოღვაწე რ-



022. გეგმა

იც საეკლესიო წრეში ცნობილია ოუჯნალია (იუბენალია) II-ისა და დედა თამარის სახელით), ძმის – ვლადიმერის. მეორე განყ-ბა ასახავს მარჯანიშვილის მსახიობობის პერიოდს (1894-1897 წწ.) ქართ. თეატრში. მესამე განყ-ბა – მის სარეჟისორო მოღვაწეობას რუსულ სცენაზე (1897-1922 წწ.). მუზეუმში არის განყ-ბები: მარჯანიშვილი რუსთაველის თეატრის ხელმძღვ. 1922-1926 წწ. და მარჯანიშვილი მეორე სახელმწ. თეატრის ხელმძღვ. 1928-1933 წწ. მოწყობილია მარჯანიშვილის გარდაცვალებისა და ხსოვნისადმი მიძღვნილი სტენდი. რეჟისორის მემორ. ნივთების გარდა, მუზეუმში დაცულია მისი ფილმისა („ამოკი") და სპექტაკლების აუდიო და ვიდეო ჩანაწერები, ქართ. თეატრისა და კინოს გამოჩენილი მოღვაწეების მიმოწერა და ფოტოები, პიესები, ფერწერული (ლ. გუდიაშვილი, ე. ახვლედიანი, ჰ. ოცხელი და სხვ.), გრაფიკული და სკულპტურული ნამუშევრები, დეკორ.-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები, ხელნაწერები, წერილები, XX ს-ის დასაწყისის ანტიკვარული ავეჯი, ჭურჭელი და სხვ.

სახლი ორსართულიანია, ორივე სართული ერთი ოჯახის საცხოვრებლადაა განკუთვნილი. ნაგებია რიყის ქვით. კარ-სარკმლების ღიობები, ლაქვარდანი და სარკმლების თავსართები გამოყვანილია აგურით. ნაგებობა გეგმით სამხრ.-ჩრდ-ის მიმართულებით წაგრძელებული სწორკუთხედია (24,5×15 მ), რ-იც გრძივი კედლით ორ თანაბარ ნაწილადაა გაყოფილი. პირველ სართულზე მარანი და მასთან დაკავშირებული ერთი პატარა ოთახია, რ-საც შენობის ჩრდ. განაპირა მონაკვეთში სართულის ფართობის დაახლ. 1/4 უკავია. მეორე სართულზე კი, გრძივი კედლის ორივე მხარეს, სიმეტრიულად განლაგებული და ერთმანეთთან დაკავშირებული სამ-სამი ოთახია.



022. მთავარი (დას.) ფასადი

მარანი გრძივ ღერძზე განლაგებული, გეგმით კვადრ. ოთხი ბურჯითა და მათზე გადაყვანილი ნახევარწრიული, წვეროსთან ოდნავ შეტეხილი თაღებით გაყოფილია ორ ნაწილად. შესასვლელი ორია: მთავარი ფასადის მხრიდან (დას-იდან) და სამხრ-იდან. ორივე ღიობი თაღოვანია. სამხრ. ღიობი, საიდანაც მარანში ყურძენი შეჰქონდათ, ბევრად უფრო განიერია (სიგ. 2,4 მ). მარანი პატარა ოთახთან დაკავშირებული იყო კარით, რ-იც მოგვიანებით ამოუშენებიათ. ამჟამად ამ ოთახს ერთადერთი თაღოვანი შესასვლელი დას-იდან, მთავარი ფასადის მხრიდან აქვს. მარნის კედლებში ვიწრო, თაღოვანი სარკმლებია გაჭრილი: სამ-სამი აღმ-ით და სამხრ-ითაა, ორ-ორი დას-ით და ჩრდ-ით. ჩრდ-ის ორივე სარკმელი პატარა ოთახში გადის. მარნის კედლებში რამდენიმე მომცრო ნიშაა. ჩრდ. კედელთან, სცენასავით ამაღლებული ბაქანია (აქ დადგა მარჯანიშვილმა პირველი წარმოდგენები ოჯახის წევრთა მონაწილეობით), რ-ის აღმ. ნაწილში ქვის საწნახელია მოწყობილი. საწნახლიდან ყურძნის წვენი ქვაშივე გამოკვეთილი ღარებით ქვევრებში ისხმებოდა (დაცულია 52 ქვევრი, სულ 60 ტონის ოდენობით). ინტერიერი შელესილია. მარანი ხის მორებითაა გადახურული – თარაზულად [illegible].

შენობის გრძივი ღერძის მიმართულებით გადაყვანილი თაღით ორ ნაწილადაა გაყოფილი პატარა ოთახიც, რ-იც ჩრდ. კედელში მოწყობილი ორი ვიწრო თაღოვანი სარკმლითაა განათებული.

სახლის მეორე სართულის გეგმარება ნაწილობრივ სახეშეცვლილია. სართულზე, გრძივი კედლის ორივე მხარეს, სიმეტრიულად, სამ-სამი ოთახია განლაგებული. მათგან ფართობით შუა, მისაღები დარბაზები გამოირჩევა. განაპირა ორ-ორი ოთახი შედარებით მცირეა. ეს ოთახები დაკავშირებულია, როგორც ერთმანეთთან, ასევე მომიჯნავე დიდ დარბაზთან. დიდი დარბაზები, თავის მხრივ, ერთმანეთს კარით უკავშირდება. კედლებში გათბობისათვის, დუმლები და ბუხრებია მოწყობილი. გრძივი კედლის ჩრდ. კედელთან, კედლის სისქეში, სხვენზე ასასვლელი კიბეა, რ-ის შესასვლელი პატარა ოთახების დამაკავშირებელი კარის სამხრ. წირთხლშია. შენობას მთავარი (დასის) და სამხრ-ის ფასადების მხრიდან, ხის მოაჯირიანი, განიერი აივანი (სახეშეცვლილია) აკრავს, რ-იც აგურით ნაწყობ და ზემოთკენ თანდათან შევიწროებულ, მძლავრ სვეტებზეა დაყრდნობილი. სვეტები შელესილია, დაყრდნობილნი არიან კვადრატულ ბა-



022. საერთო ხედი ჩრდ.-დას-იდან

ხისებზე და პროფილირებული კაპიტელები აქვთ. აივნის აჟურული თაღები, ერთმანეთისგან თანაბარი ინტერვალით დაცილებულ, ხის ვიწრო და მოხდენილ სვეტებს შორისაა გადაყვანილი. აივანზე ასასვლელად, აივნისავე ფარგლებში, სამხრ. ნაწილში, მოწყობილია ხის ორმარშიანი კიბე. მეორე ასეთი კიბე აივნის ჩრდ. კიდეშიც ყოფილა. ამჟამინდელი, აივანზე გარედან მიდგმული კიბე, 1980-იანი წლებისაა.

შენობის ფასადები ძირითადად პირვანდელი სახითაა შემონახული. ხუროთმოძღვრული დამუშავების მხრივ გამორჩეულია ჩრდ. ფასადი. იგი შეულესავია და გამოყვანილია თევზიფხურად დაწყობილი, თითქმის ერთნაირი ზომის, რიყის ქვის რიგების მონაცვლეობით, რ-შიც, ორივე სართულის სარკმლების თავის დონეზე, სიმაგრისათვის, ჩართულია ერთიმეორეზე გადაბმული მუხის ძელებით გამოყვანილი სარტყელი. ანალოგიური სარტყელია მეორე სართულის სარკმლებს ზემოთაც. პირველი სართულის სარკმლები მოურთველია, ხოლო მეორე სართულის თითოეული სარკმლის თავზე აგურის წყობით გამოყვანილია სამკუთხა ფრონტონი. შენობის კედლები დასრულებულია აგურის საფეხუროვანი ლავგარდნით.

შენობის სახურავი ოთხქანობიანია. დახურული იყო ღარისებრი კრამიტით. ამჟამად გადახურულია კრამიტის ფერისა და ფორმის მქონე, თანამედროვე მასალით. მსგავსი გადახურვა აქვს აივნის დამოუკიდებელ ცალქანობიან სახურავს.

გარდა არქიტ. და მემორ. ღირებულებისა, სახლს ისტ. მნიშვნელობაც აქვს. ამ სახლში იკრიბებოდა მოწინავე ქართ. საზ.-ბა, რ-თა შორის იყვნენ – აკაკი და გიორგი წერეთლები, ილია ჭავჭავაძე, ალექსანდრე ყაზბეგი, დიმიტრი ყიფიანი, ივანე მაჩაბელი, ალექსანდრე ცაგარელი, ვასო აბაშიძე, ლადო ალექსი-მესხიშვილი, მაკო საფაროვა-აბაშიძისა და ა.შ.

ც. ბერძენიშვილი, თ. დვალი.

ბიბლ.: 66.

023. ნაეკლესიარი, არქიტ. ძ. მდებარეობს ქალაქის მიდამოებში, ბზათგორად წოდებულ ადგილზე, ტყეში. შენობის გეგმა არ იკითხება. ქვების გროვაში, ზოგან მოჩანს კედლის ფრაგმენტები.

ბ. კუპრეიშვილი.

024. ნათლისმცემლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას ქალაქის ცენტრში, რუსთაველის ქუჩაზე. აგებულია 1893 წელს, რუსეთის არმიის კავალერიის გენერლის ნიკოლოზ (ნიკო) ზურაბის ძე ჭავჭავაძის (1830-1897 წწ.) სახსრებით.

ეკლ. სწორკუთხედში ჩახაზული ჯვარ-გუმბათოვანი ტიპის ნაგებობაა (18×11 მ), ნაშენია აგურით. ეკლესიის შიდა სივრცეში ჯვრის სახეს ქმნის ოთხი კამაროვანი მკლავი, რ-ებიც გუმბათის ოთხსავე მხარესაა გაწვდილი. აღმ. მკლავი დასრულებულია საკურთხევლის აფსიდით. დანარჩენი მკლავები სწორკუთხაა. ჩრდ. და სამხრ. მკლავები მოკლეა. დას-ისა, გვერდით მკლავებზე თითქმის სამჯერ უფრო გრძელია და ორ-ორი განიერი თაღით უკავშირდება სამხრ. დას. და ჩრდ.-დას-ის კუთხის ნაწილებს.

შესასვლელი სამია – სამხრ. და ჩრდ. კედლების დას. მონაკვეთებში და დას. კედლის ღერძზე. სამივე კარის ღიობი შიგნითკენ თანდათან ვიწროვდება.

ნაგებობის [illegible] ცენტრი კვადრატულ [illegible]ზე აგებული თორმეტსარკმლიანი გუმბათია, რ-იც საკურთხევლის მასიურ შვერილებზე და დას-ით, ორ თავისუფლად მდგომ, მრგვალ ბურჯზე დაყრდნობილ, შეისრულ თაღებზეა აღმართული. გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის ყელის წრიულ საფუძველზე გადასვლა აფრების მეშვეობით ხდება. საკურთხევლის ორივე შვერილზე მოწყობილია ფრონტონით დასრულებული თითო მაღალი ნიშა.



024. გეგმა

ეკლესიის საკურთხევლის ნახევარწრიულ აფსიდში გაჭრილია განიერი, მაღალი, თაღოვანი სარკმელი, რ-ის ორივე მხარეს თითო, გეგმით ნახევარწრიული, თაღოვანი ნიშაა.

საკურთხევლის გვერდებზე, ორ სართულად, სადგომებია განლაგებული, ქვედა სართულის გეგმით სწორკუთხა, კამაროვანი სადგომები – სამკვეთლო და სადიაკვნე, რ-ებიც ეკლესიის ძირითად სივრცეს დას. კედელში მოწყობილი თაღოვანი კარით უკავშირდება, თითო თაღოვანი გასასვლელით კი – საკურთხეველს. სამკვეთლოს ჩრდ. კედელში განიერი თაღოვანი ნიშაა. ორივე სათავსის აღმ. კედელში თითო ფართო, მა-

დალი, თაღოვანი სარკმელია. საკურთხევლიდან სადიაკვნეში გასასვლელის აღმ. წირთხლში, საკურთხევლის სამხრ. კედლის სისქეში მოწყობილი კიბის უჯრედში შესასვლელია. კიბე ზემოთა სართულის სადგომებში ადის, ხოლო შემდეგ – კონქის თავზე მოწყობილ სამალავში. კიდევ ორი, მაგრამ ოდნავ განიერი კიბე დას. კედელშიცაა. ისინი ადრე არსებულ ხის პატრონიკეს უკავშირდებოდნენ.



024. განივი ჭრილი, ხედი აღმ-კენ

საკურთხევლის სარკმლის გარდა, სამ-სამი თაღოვანი სარკმელი, ერთმანეთის მოპირდაპირედ, გრძივ კედლებშია გაჭრილი. ერთიც – დას. კედლის ღერძზეა. გარდა ამისა, თითო მრგვალი სარკმელი ჩრდ. და სამხრ. შესასვლელების ზემოთაცაა.

ეკლესიის შიდა სივრცის შესატყვისია მისი გარე ფორმები. ფასადებზე ჯვრის მკლავები სიმაღლითა და დამრეცი ფრონტონითაა გამოყოფილი, რ-ებსაც ორივე მხარეს, ოდნავ დაბალი და ცალფერდა სახურავით გადახურული გვერდითი სადგომები ეკვრის.

აღმ. ფასადზე სამივე სარკმელს ლეკალური აგურით ნაწყობი ლილვი ევლება, რ-იც ცოკოლის დონიდან იწყება. საკურთხევლის სარკმლის ორივე მხარეს თითო მაღალი, სამკუთხა ნიშაა, ზემოთ კი, მაღალი, რელიეფური ჯვარი. ჯვრის განივი მკლავების ბოლოების ასწვრივ, ფრონტონის კუთხეების დონეზე, კონქისზედა სივრცის გასანათებლად, მოწყობილია ორი მრგვალი სარკმელი. ანალოგიური ორ-ორი სარკმელია ჯვრის სამხრ. და ჩრდ. მკლავების ფრონტონებშიც.

სამხრ. და ჩრდ. ფასადებზე ჯვრის მკლავების შესაბამისი სიბრტყეები გამოყოფილია ლეკალური აგურით ნაწყობი ორი მაღალი, რელიეფური თაღით. მკლავის ღერძზე გაჭრილ სარკმელს ორი ლილვით შედგენილი თაღოვანი ჩარჩო ევლება, რ-ის ზემოთ რელიეფური ჯვარია. ფასადების აღმ. ნაწილში, ერთმანეთის გვერდიგვერდ, სამ-სამი ცრუ სარკმელია. ხოლო დას. ნაწილში – სხვადასხვა სიმაღლის, ორ-ორი, თაღოვანი სარკმელი. თითო ცრუ სარკმელია ფასადების დას. კიდეებთან. ყველა სარკმელი თაღოვანი ლილვებითაა მოჩარჩოებული.

დას. ფასადი თავისი მოხაზულობით აღმ-ისას იმეორებს. ფასადის ღერძზე, ლილვით შემოფარგლულ თაღოვან არეში ჩასმული, განიერი, თაღოვანი შესასვლელია. კარის ზემოთ თაღოვანივე სარკმელია, ხოლო გვერდებზე ორ-ორი ცრუ სარკმელი, რ-თა შორის თითო პატარა, პატრონიკეზე ასასვლელი კიბის უჯრედების გასანათებელი, შეისრულთაღოვანი სარკმელია. ფრონტონის არეზე გამოსახულია მაღალი რელიეფური ჯვარი.

შენობის კედლები დასრულებულია ლავგარდნით, რ-ის პროფილს თარო, ბატიყელა და ლილვი შეადგენს.

თორმეტწახნაგა გუმბათის ყოველ წიბოს, მთელ სიმაღლეზე, ლეკალური აგურით გამოყვანილი ლილვი აუყვება. თითოეულ წახნაგში სამმაგი ლილვით მოჩარჩოებული ვიწრო, შეისრული თაღოვანი სარკმელია. სარკმლის წირთხლის ღერძზე არ ზის და ოდნავ მარჯვნივ იმდენადაა გადაადგილებული, რომ მისი მოჩარჩოების გარეთა ლილვი წიბოს ამყოლი ლილვის ნაწილს წარმოადგენს. სარკმელთა ზემოთ, ორ ჰორიზონტალურ ლილვს შორის მოქცეული, სწორკუთხა არეა, რ-შიც ორმწკრივად განლაგებული, ერთმანეთზე გადაბმული შვიდ-შვიდი რომბია გამოყვანილი. გუმბათის ყელი ლეკალური აგურით ნაწყობი ლავგარდნითაა დასრულებული. გუმბათი თუნუქის თორმეტწახნაგა სახურავითაა გადახურული.



024. აღმ. ფასადი

ძ. ჭავჭავაძეთა საგვარეულო ეკლესიად ითვლება. მასში დაკრძალულნი არიან გენერალი ნიკოლოზ (ნიკო) ზურაბის ძე ჭავჭავაძე, ცნობილი ქართ. ფილოსოფოსი ნიკო ზურაბის ძე ჭავჭა-



024. ხედი სამხრ.-დას.-დან

ვაძე და ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ზურაბ ნიკოლოზის ძე ჭავჭავაძე.

თ. დუალი.

025. სამების ეკლესიის კომპლექსი, არქიტ. ძ. მდებარეობს ქალაქის დას-ით, 4-5 კმ-ზე კუდიგორის მთაზე.

ძ. სამეკლესიიან ბაზილიკათა ტიპს მიეკუთვნება. თარიღდება VIII-IX სს-ით.

ეკლესიის აგების თარიღთან დაკავშირებით არსებობს მეორე მოსაზრებაც. არქეოლ. ნ. ბახტაძე, რ-იც 2009 წელს, ძეგლზე არქეოლ. გათხრებს აწარმოებდა, ეკლესიას VI ს-ით ათარიღებს.

ეკლ. ნაგებია სხვადასხვა ზომის, სრულიად დაუმუშავებელი ნატეხი ქვითა და კირის ხსნარით. გარეთა კედლების ზედაპირი გახეხილია ბათქაშით, რ-იც ქვებს შორის დარჩენილ არეებს ავსებს და მათი ზედაპირის მნიშვნელოვან ნაწილს ფარავს. შიგნით კედლები შელესილია.

შენობის კვადრატს მიახლოებულ გეგმაში (9,8×9,2 მ) ჩაწერილია ერთიმეორის გვერდით განლაგებული სამი სადგომი, რ-ებიც დამოუკიდებელ ეკლესიებს წარმოადგენენ. შენობის დას. ნაწილში, შუა ეკლესიის გაგრძელებაზე, გვერდითი ეკლესიების დამაკავშირებელი დერეფანია. ჩრდ. ეკლესიას აღმ-იდან ეკვრის, მასზე ოდნავ გრძელი, გეგმით სწორკუთხა სათავსი, რ-იც შუა ეკლესიასთან კარით არის დაკავშირებული და მთავარი საკურთხევლის დამხმარე სათავსის, ალბათ სამკვეთლოს ფუნქციებს ასრულებდა.

ეკლესიის შესასვლელი სამხრ. ეკლესიის სამხრ. კედლის შუა-



025. გეგმა

შია. კარი, მოზრდილი ზომის ქვით, თარაზულადაა გადახურული. შესასვლელის წინ მცირე ზომის, სამხრ-ით მთელ სიგანეზე გახსნილი, კამაროვანი კარიბჭეა, რ-საც

დამოუკიდებელი, ორფერდა სახურავი ხურავს.

შუა – მთავარ ეკლესიას შესასვლელი აქვს: სამხრ-ით და დას-ით. ორივე კარი შიგნიდან თალოვანია, გარედან – სწორკუთხა. კარების წირთხლებში დატანებულია საურდულე ხვრელები. მთავარი ეკლესიის დარბაზი შემაღლებული პროპორციებისაა (სიგრ. – 3,7 მ, სიგ. – 3,2 მ, სიმ. იატაკიდან კამარის წვერომდე – 6,6 მ). აღმ-ით იგი დასრულებულია საკურთხევლის ნახევარწრიული აფსიდით, რ-იც დარბაზის იატაკის მიმართ ოდნავ შემაღლებულია. აფსიდს ირგვლივ საფეხური შემოუყვება. საკურთხეველში გაჭრილია ნახევარწრიულთაღოვანი, გარეკენ შეყვიწროებული სარკმელი, რ-ის ორივე მხარეს თითო სწორკუთხა ნიშაა, ხოლო ქვემოთ, კედელზე, კუბური ფორმის ტრა-

პეზია (გვიანდელია) მიშენებული. აფსიდი გადახურულია კონქით, რის თაღი კვერცხისებრი ფორმისაა და თაროსებრ, ცერად ჩამოკვეთილ იმპოსტებზეა დაყრდნობილი. კვერცხისებრი ფორმისაა კამარაც. მოგვიანებით აფსიდის მხრების ხაზზე ქვის კანკელი მოუწყიათ.



025. განივი ჭრილი, ხედი აღმ.-კენ

მთავარ ეკლესიას, საკურთხევლის სარკმლის გარდა, სამხრ. კედელში გაჭრილი სარკმელიც აშუქებს. იგი საკურთხევლის სარკმელზე უფრო მაღალია და დადაბლებული, ნალისებრგვერდებიანი თაღი ხურავს. კიდევ ერთი, მაგრამ გაცილებით პატარა, კვადრატ. სარკმელი დას. კედლის ზედა ნაწილშია, ნავის გადამხურავი კამარის წვერთან. იგი გვერდითი ეკლესიების დამაკავშირებელი დერეფნის თავზე მოწყობილ სადგომში იხსნება. ეკლესიის სამივე კედელს, მთელ სიგრძეზე, დაბალი საფეხური გასდევს.

ინტერიერი, როგორც ჩანს, გეომეტრიული სახეებით ყოფილა შემკული (აქა-იქ შემორჩენილია წითელი და მოშავო ფერის საღებავებით გამოყვანილი ხაზები). მთავარი ეკლესიის ჩრდ. კედლის შუაში განიერი და მაღალი კარია, რ-იც სამკვეთლოში გადის. კარი მთავარი ეკლესიის მხრიდან თაღოვანია, სამკვეთლოს მხრიდან კი თარაზულადაა გადახურული.

სამკვეთლო განათებულია აღმ. კედელში გაჭრილი, ვიწრო, მაღალი, სწორკუთხა სარკმლით. გადახურულია ცილინდრული კამარით, რ-ის ერთი ქუსლი მთავარი ეკლესიის ჩრდ. კედელზე მიდგმულ ორ სწორკუთხა პილასტრს და მათზე გადაყვანილ სამ თაღს ეყრდნობა.



025. ჭრილი დას. გარშემოსავლელზე. ხედი დას.-კენ

ჩრდ. ეკლესიის ჩრდ. კედელში ერთი მცირე სწორკუთხა ხვრელია.

სამხრ. ეკლ. უაფსიდოა და აღმ-ით სწორი კედლითაა დასრულებული, რ-შიც გაჭრილია შიგნიდან თარაზულად, ხოლო გარედან ნალისებრი თაღით გადახურული სარკმელი. ერთი სწორკუთხა სარკმელია სამხრ. კედლის დას. ნაწილში. სადგომი გადახურულია ცილინდრული კამარით. კამარის დასაყრდნობად მთავარი ეკლესიის სამხრ. კედელზე ქვით ნაშენი, შირიმის მარტივი პროფილის (თარო და დახრილი სიბრტყე) კაპიტელებით დასრულებული ოთხი ცილინდრული სვეტია მიდგმული, რ-ებზეც ნალისებრი თაღებია გადაყვანილი.

გვერდითი ეკლესიების დამაკავშირებელი დერეფანი ეკლესიებისკენ თითო განიერი, ნალისებრი თაღითაა გახსნილი (შემორჩენილი იყო მხოლოდ სამხრ. თაღი). იგი განათებული იყო დას. კედელში გაჭრილი ვიწრო, სწორკუთხა სარკმლით, რ-იც მოგვიანებით ამოუქოლავთ. დერეფნის

თავზე, მოწყობილია კამაროვანი სათაესი, როგორც ჩანს ბერის სამყოფად, რ-იც მთავარი ეკლესიასთან იყო დაკავშირებული.



025. აქსონომეტრული ჭრილი

ის სიგანისაა და მასთან ერთად, საერთო ორფერდა სახურავითაა გადახურული. ეკლესიის არქიტექტურაში ამ სათაესის არსებობა სპეციფიკურია.

სადგომში ახასელელი ხვრელი დერეფნის კამარაში ყოფილა. სადგომის სამხრ. კედელთან მოწყობილია მაღალი, განიერი (სიმ. – 0,65 მ, სიგ. – 0,7 მ) ქვიტკირის საწოლი. დას. კედელში შიგნიდან სწორკუთხა, გარედან ნალისებრი თაღით გადახურული სარკმელია. სარკმლის ორივე მხარეს თითო სწორკუთხა ნიშაა. ერთი ნიშა ჩრდ. კედელშიცაა.

კარიბჭე ეკლესიაზე მოგვიანებითაა მიშენებული, გადახურულია ნახევარცილინდრული კამარით. კარიბჭის აღმ. კედელში სწორკუთხა ნიშაა, რ-შიც მოწყობილია სათოფურის მსგავსი ხვრელი.

ეკლესიის ფასადები ბაზილიკური მოხაზულობისაა. აღმ. ფასადზე მთავარი და გვერდითი ეკლესიის კედლები ერთმანეთს წყობით არ ებმის და მათ საზღვარზე ნაკერია შექმნილი. ფასადები დასრულებულია ნატეხი ქვით ნაწყობი ორსაფეხურიანი ლავგარდნით.



025. ხედი ჩრდ.-აღმ-იდან

ეკლესიას ჩრდ-იდან ეკვროდა მოგვიანებით აგებული, გეგმით არაწესიერი ოთხკუთხედის ფორმის, მოზრდილი (დაახლ. 9×9 მ) ნაგებობა (სატრაპეზო?), რ-ის განაც (ეკლესიის ჩრდ.-აღმ. კუთხესთან) შემორჩენილი იყო კედლების ნაშთები. კიდევ ერთი ნაგებობის კვალი შეინიშნებოდა ეკლესიის ჩრდ-ით, რ-იც, როგორც ჩანს, ეკლესიაზე მიშენებულ ნაგებობასთან იყო დაკავშირებული. სავარაუდოდ, აქ, თავის დროზე, სამონასტრო განაშენიანება იყო.

2009 წ. ძეგლზე სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა საქველმოქმედო ფონდ „ერთგულების“ დაფინანსებით (არქიტ.-რესტავრატორები: ნ. მინდორაშვილი, თ. ნემსაძე). აღდგა ეკლესიის დანგრეული ნაწილები, დაკონსერვდა ეკლესიაზე ჩრდ-იდან მიშენებული ნაგებობების შემორჩენილი კედლები, კეთილმოეწყო ეკლესიის მიმდებარე ტერიტ. ეკლ. გადაიხურა კრამიტის საბურავით.

სარეაბილიტაციო სამუშაოების პარალელურად ჩატარდა არქეოლ. გათხრებიც (არქეოლ. ნ. ბახტაძე). გათხრების შედეგად სამკეთლოს აღმ. ბოლოში აღმოჩნდა საძვალე, სამხრ. ეკლესიაში კი, სამი სამარხი. ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე გამოვლინდა: კერა, თონე, ქვევრები, წყლის რეზერვუარი და სხვ.

თ. დვალი.

ბიბლ.: 21; 22; 335.

026. სამუკაანთ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. მდებარეობს გ. სააკაძის ქუჩაზე. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია (6,3×4,2 მ), უაფსიდო. აღმ-ით იგი სწორი კედლითაა დასრულებული. შენობა ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. შესასვლელი დას-იდანაა. აღმ. კედლის შუაში გაჭრილია სწორკუთხა სარკმელი. თითო მსგავსი სარკმელია დანარჩენ კედლებშიც. სამხრ. კედლის აღმ. კიდეში მოწყობილია ერთი ოთხკუთხა ნიშა, ჩრდ. კედლის აღმ. კიდეში – ორი. მსგავსი ორ-ორი ნიშა ამავე კედლების შუა ნაწილშიცაა. დას. ფასადზე, ფრონტონში, კედლის წყობაში შეღრმავებული ჯვრის გამოსახულებაა. შენობა დაბურულია კრამიტით, რ-ის დიდი ნაწილი ჩამოცვენილია.

ბ. კუპრეიშვილი.

027. სისონაანთ კოშკი, არქიტ. ძ. დგას ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე. თარიღდება XVIII ს-ით.

კოშკი ოთხკუთხაა (9,3×9,3 მ), ნაგებია ნატეხი ქვით. ზოგიერთი არქიტ. ელემენტების წყობაში გამოყენებულია აგური. დაზიანებულია: შემორჩენილია ორი სართული და მესამე სართულის მცირე ნაწილი, ჩამოშლილია სართულშუა გადახურვები, რ-იც ხის ჯოფილა (ჩანს მხოლოდ კოჭის ბუდეები).

შესასვლელი პირველ სართულზეა, სამხრ. კედლის დას. კიდეში. კარი გარედან თაღით, ხოლო შიგნიდან თარაზულადაა გადახურული. კართან ახლოს (აღმ-ით) სათოფურია. აღმ. კედლის შუაში მოწყობილია ბუხარი, რ-ის ორივე მხარეს თითო ოთხკუთხა ნიშაა. მათ თავზე – თითო სათოფური. თითო სწორკუთხა ნიშა დანარჩენ კედლებშიცაა. მეორე სართულის ოთხივე კედელში ფართო სარკმლებია გაჭრილი.

გარედან, კოშკის აღმ. კედლის ხაზზე, სამხრ.-აღმ. კუთხესთან, შეშორჩენილია კოშკზე მიდგმული კედლის (სისქე 1,6 მ) ნაწილი.

ქ. გიორგობიანი.

028. უსანეთის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას ქალაქის სამხრ.-აღმ-ით, 3-4 კმ-ზე ქ. ყვარლიდან სოფ. ახალსოფლისაკენ მიმავალი გზის მარცხ. მხარეს, მთის ერთ-ერთი განშტოების კეხზე. თარიღდება XV-XVI საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია (7,3×5,2 მ), რ-საც დას-იდან, თითქმის მთელ სიგანეზე, ორსართულიანი სამრეკლო ეკვრის.

ეკლ. ნატეხი ქვით ტლანქადაა ნაგები. კედლების ზედაპირი შიგნიდან და გარედან გასწორებულია ბათქაშის სქელი ფენით, რ-ითაც საპირე ქვების მნიშვნელოვანი ნაწილია დაფარული. ერთადერთი შესასვლელი დას-იდანაა, სამრეკლოს პირველი სართულიდან. კარი გარედან ოდნავ დადაბლებული ნახევარწრის ფორმის თაღითაა გადახურული, შიგნიდან – ხის ძელებით – თარაზულად.

ეკლესიის დარბაზი გეგმით თითქმის კვადრატულია (სიგრ. – 3,6 მ, სიგ. – 3 მ) და შესამჩნევად მაღალი (სიმ. კამარის წვერამდე – 6 მ). აღმ-ით იგი დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით, რ-იც დარბაზისგან გამიჯნულია ჯოფილა ქვის კანკელით (შემორჩენილია ნაწილი). აფსიდის ღერძზე მცირე ზომის სარკმელია გაჭრილი, რ-საც თხელი ქვებით გამოყვანილი, თარაზული გადახურვა აქვს. სარკმლის ქვემოთ, კედელზე, კუბური ფორმის ტრაპეზია მიდგმული. აფსიდის ჩრდ. გვერდში პატარა, სწორკუთხა ნიშაა. სამხრ. გვერდში კი – სამალავი, რომელიც მთ მრუდხაზოვანია და აღმ-დას მიმართულებითაა წაგრძელებული (სიგრ. – 2,2 მ, მაქს. სიგ. – 0,75 მ). სამალავის აღმ. ბოლოში მოწყობილია მცირე ზომის ხვრელი, რ-იც აღმ. ფასადზე გადის.

აფსიდი გადახურულია ნახევარწრიული ფორმის, სხმული კამარით (სავარაუდოდ, იგი გვიანდელია). კამარა აფსიდის კედელს კუთხით შეერთვის, ისე, რომ მათი გადაკვეთის სახსარი, მთელ სიგრძეზე, მკაფიოდ გამოიყოფა და უსწორმასწორო ხაზს ქმნის. აფსიდი თაღი ნახევარწრიულია, გამოყვანილია აგურით. მსგავსი ფორმისაა დარბაზის კამარაც. აგური ალაგ-ალაგ გამოყენებულია კამარის წყობაშიც.

ინტერიერი ძუნწადაა განათებული. საკურთხევლის სარკმლის გარდა, შიდა სივრცეს კიდევ ერთი, სამხრ. კედლის აღმ. ნაწილში მოწყობილი სარკმელიც აშუქებს, რ-იც ასევე თარაზულადაა გადახურული.



027. I სართულის გეგმა



028. გრძივი ჭრილი, ხედი სამხრ.-კენ. გეგმა

სამრეკლო გეგმით თითქმის კვადრატულია (4,2×4,2 *მ*) და ეკლესიაზე ირიბადაა მიდგმული. ნაგებია ნატეხი ქვით. პირველი სართული მცირე, კამარიანი ოთახია. შესასვლელი მას ჩრდ-იდან აქვს. კარი გარედან თაღოვანია, შიგნიდან კი ხის ძელებით თარაზულადაა გადახურული. სართულის დას. კედელში, კამარის ქუსლის დონეზე, მცირე სარკმელია



028. ჩრდ. ფასადი

გაჭრილი, რ-საც გარედან შირიმის ერთ ქვაში გამოკვეთილი თაღი ხურავს, თაღის ზემოთ რელიეფური ჯვრის გამოსახულებაა. სართული გადახურულია ტლანქად ნაწყობი, შეკრული კამარით. კამარის წვერის წყობაში ჩასმული რამდენიმე კრამიტით გამოყვანილია ტოლმკლავა ჯვარი. სართულის კედლებზე მ ო ხ ა ტ უ ლ ო ბ ი ს ფრაგმენტებია შემორჩენილი.

სამრეკლოს მეორე სართული რვაწახნაგოვანია. პირველ სართულთან შედარებით, იგი უხეშადაა ნაგები და ფერითაც განსხვავებულია. სართულის თითოეულ წახნაგში თითო მაღალი, შეისრულთაღოვანი ღიობია. სართული გადახურულია გუმბათოვანი კამარით, გარედან კი რვაწახნაგა, პირამიდული ფორმის სახურავით. ეკლესიისა და სამრეკლოს კედლები დასრულებულია კუთხით წინწამოწეული და ჩვეულებრივად ნაწყობი აგურის (23×24×6 *სმ*) რიგების მონაცვლეობით შედგენილი ლაგვარდნით. ეკლ. გადახურულია კრამიტით.

თ. დვალი.

029. ღვთაების ეკლესია, არქიტ. ძ. დგას ვაკა-ფშაველას ქუჩაზე. თარიღდება XVII-XVIII სს-ით.

ეკლ. დარბაზულია (11,5×6,7 *მ*). ნაგებია ნატეხი ქვით და აგურით. დაზიანებულია შესასვლელები, არ შემორჩენილა ლავგარდანი, ჩამოცვენილია სახურავის საფარი.

ეკლესიას სამი თაღოვანი შესასვლელი აქვს. ერთი – დას-ით (ამოშენებულია), თითო-თითო – გრძივი კედლების შუაში. აღმ-ით ღრმა, ნახევარწრიული აფსიდია. აფსიდის ღერძზე ფართო, თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. მსგავსი ერთი სარკმელი დას. კედელშია, თითო-თითო გრძივი კედლების დას. ნაწილში. თითო სარკმელი ყოფილა ამავე კედლების აღმ. ნაწილშიც, აფსიდის მხრებთან ახლოს, რ-თა ნაცვლად, მოგვიანებით, განიერი, პარალელურწირთხლებიანი სარკმლები მოუწყიათ. აფსიდის სამხრ. გვერდში ერთი ოთხკუთხა ნიშაა, ჩრდ. გვერდში – ორი. აფსიდის იატაკი დარბაზის იატაკის მიმართ ორი



029. გეგმა

საფეხურითაა შემაღლებული და შუაში ნახევარწრიული ფორმის ორსაფეხურიანი ამბიონი აქვს მოწყობილი. დარბაზი გადახურულია შეისრული კამარით, რ-იც ორ საბჯენ თაღს ეყრდნობა. მათგან ერთი დარბაზის შუაშია, მეორე – დას. კედელთან. შუა თაღი კრონშტაინებზეა დაყრდნობილი, დას-ისა კი –პილასტრებზე. სამხრ., დას. და ჩრდ. კედლებში ორ-ორი სათოფურია გაჭრილი. ეკლესიის იატაკი ქართ. აგურითაა მოგებული. დას. კედლის კუთხეში შემორჩენილია სამრეკლოს საფუძვლის ნაშთი.

ბ. კუპრეიშვილი.

030. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, კ. შარჯანიშვილის ქუჩაზე. თარიღდება XVIII ს-ით.

ეკლ. დარბაზულია (9,2×6,2 *მ*). ნაგებია რიყის ქვით. კარ-სარკმლების წირთხლები და თაღები, კამარა, კონქი, საბჯენი თაღები, ლავგარდანი და ფასადების მორთულობა აგურისაა. დაზიანებულია: ჩამოშლილია კრამიტის სახურავის და ლავგარდნის დიდი ნაწილი.

შესასვლელი სამია: დას-ით (მოგვიანებით ამოუშენებიათ), სამხრ-ითა და ჩრდ-ით. სამივე კარი შეისრულთაღიანია და ორივე მხრიდან ჩასმულია სწორკუთხა შეღრმავებებში. შეღრმავებები შიგნიდან ღრმაა და ხის ბრტყელი გადახურვა აქვს. გარედან დასრულებულია აგურით ნაწყობი საფეხუროვანი ფრიზით. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-შიც ორი სწორკუთხა ნიშაა მოწყობილი. საკურთხეველი შეისრულთაღიანი, წესიერი ფორმის კონქითაა გადახურული. დარბაზის ყოველ კედელში თითო შეისრულთაღიანი სარკმელია. შეისრულია ეკლესიის კამარაც, რ-იც შუა შეკიდულ საბჯენ თაღსა და დას. კედლის მიმდებარე საბჯენ თაღს ეყრდნობა. ეს თაღი, შუა საბჯენი თაღისგან განსხვავებით, კუთხის პილასტრებზეა გადაყვანილი.

ეკლესიის გარეთა კედლები რიყის ქვის სწორხაზოვანი რიგებითაა ნაწყობი, რ-ებშიც აგურის, ერთმანეთისგან თანაბარი ინტერვალებით დაცილებული, თითო-რიგიანი შრეებია ჩართული. სამხრ. ფასადზე, შესასვლელის ორივე მხარეს, ვერტიკალურად, აგურის წყობით გამოყვანილი სამ-სამი შეღრმავებული რომბია. აგურითვეა გამოყვანილი აღმ. და დას. ფრონტონებზე გამოსახული თითო შეღრმავებული ჯვარი. ეკლესიის კედლები დასრულებულია აგურით ნაწყობი, ოთხსაფეხურიანი ლავგარდნით.

თ. დვალი.

031. ᲫᲕᲐᲛᲘᲫᲐᲛᲘᲐ, ე კ ლ ე ს ი ა, არქიტ. ძ. მდებარეობს ქალაქის მიდამოებში, 3,5 კმ-ზე. წინკლდეებად წოდებულ ადგილზე, ტყეში. თარიღდება განვით(?). შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია, (4,6×3,4 მ). ნაგებია სხვადასხვა ზომის ნატეხი ქვითა და კირის დუღაბით. დაზიანებულია: მოხგრეულია გარეთა კუთხეები, ჩამოშლილია ლავგარდანი, მთლიანად აყრილია სახურავის საფარი.

შესასვლელი დას-ითაა. კარი კედლის ღერძიდან ოდნავ ჩრდ-ითაა გადაადგილებული. იგი გარედან თალოვანია, შიგნიდან კი თარაზულადაა გადახურული.

აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-შიც გაჭრილია ვიწრო, ოთხკუთხა სარკმელი. სარკმლის ჩრდ-ით მცირე ზომის ოთხკუთხა ნიშაა. თითო ოთხკუთხა სარკმელი დას. კედლის ღერძზე და ჩრდ. კედლის დას. ნაწილშიცაა. ამ კედლებში ასევე თითო ოთხკუთხა ნიშაა მოწყობილი.

დარბაზი გადახურულია ქარგილზე სხმული ცილინდრული კამარით.

მ. აბაშიძე.

032. ᲫᲕᲐᲠᲚᲘᲡ ᲪᲘᲮᲔ, არქიტ., ისტ. ძ. მდებარეობს ქალაქის ცენტრ. ნაწილში, ვაკეზე აგებულია XVIII ს-ის I ნახ-ში. იგი კახეთის გეოგრ. შუა საუკუნეების ციხეებიდან ყველაზე დიდია. მიეკუთვნება ციხე-გალავანთა ტიპს და ამ ტიპის ციხეების მსგავსად დგას ვაკეზე. ჰქონდა განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა და იყენებდნენ მხოლოდ საბრძოლო ვითარებისას.

1755 წ. ავარიის ხანმა ნურსალ ბეგმა ქართლ-კახეთის წინააღმდეგ მთელი დალესტანი და ჭარ-ბელაქანი დარაზმა. მიიმხრო თარღუს შამხლის სამფლობელო, ყახიღუმუხის ხანი და ოცათასიანი ლაშქრით კახეთს შემოესია. ხანს იმედი ჰქონდა, რომ ციხეს აიღებდა და „კახეთიც ხელთ დარჩებოდა“. მეფე თეიმურაზმა და ერეკლე II-ემ სასწრაფოდ დაიწყეს ჯარის შეგროვება, რადგან კარგად ესმოდათ – ციხის დაკარგვით არათუ კახეთს დაკარგავდნენ, არამედ ქართლსაც, რომ სიმაგრის აღება „ქვეყნისათვის კარის ჩამოხსნას უდრიდა“. ამასობაში ნურსალ ბეგი ციხეს შემოადგა. „შემოსაფრეს ყვარლის ციხე ლეკთა, იყო ომი დღედაღამ, კარგად კაცურად და მამაცურად ებრძოდნენ მყოფნი ციხისანი“, მაგრამ მეციხოვნეებს თოფისწამალი შემოაკლდათ. საჭირო გახდა ლეკთა ალყის გარღვევა და მეციხოვნეთა გამხნევება. თეიმურაზმა და ერეკლემ 206 მოხალისე შეაგროვეს და მათი გამარჯვების შემთხვევაში, ყმობისგან გათავისუფლება აღუთქვეს. მოხალისეები ყვარლის ციხეში შეეჭრნენ და თოფისწამალი შეიტანეს. მეფეებმა პირობა შეასრულეს.

ყვარლის ციხეში მაშველი რაზმის შეგზავნასთან ერთად, ერეკლემ ცხენოსანთა რაზმი ჭარის დასარბევად გაგზავნა. ამ ხერხმა გაჭრა; ჭარელებმა გადაწყვიტეს ყვარლის ციხეს ჩამოსცლოდნენ და თავიანთი კუთხისთვის მიეხედათ. მათ გაჰქცა კაკის ბეგმა და შამხალმაც მოხსნეს ალყა და იქაურობას გაეცალნენ. მტრის ვერაგული ქმედებანი ერთმანეთში ბაშად აეხლართებინათ ქართველნი და კახეთიც – ნათლად. ამ გამარჯვების შემდეგ მნიშვნელოვნად შეუსუსტდა ლეკთა თარეში ქართლ-კახეთში.

ციხე რიყის ქვითაა ნაგები. მისი გეგმა კვადრატს მიახლოებული სწორკუთხედია (115×93 მ), რ-ის ოთხივე კუთხეში ცილინდრული კოშკებია ალმართული. კიდევ სამი კოშკი გალავნის ალმ., დას. და ჩრდ. კედლების შუაშია. მათგან დას. და ჩრდ. კოშკები გეგმით ნახევარწრიულია, ხოლო აღმ-ის, რ-ის პირველი სართული ციხის ჭიშკარია – სწორკუთხა. ციხეს გარს უვლიდა მეორე გალავანიც (შემორჩენილია დას. და სამხრ. კედლების ნაშთები) და მის ირგვლივ გამავალი არხი. მეორე გალავანზე და არხზე, თავის "კალმასობაში" ცნობას გვაწვდის იოანე ბატონიშვილი. "იოანე წარვიდა ციხისაკენ და თან გაჰყვა ალავერდის სახოუხუცესი. რა ციხესთან მივიდა იოანე, იხილა მეორე სხვა



032. საერთო ხედი ჩრდ.-აღმ.-დან

სულთანიც. ამის დანახვაზე ნუხის ხანმაც თავის ქვეყანას მიაშურა. მალე დალესტნელი სურხაი-ხანიც გამოეთიშა მოკავშირეებს. 28 სექტემბერს ყვარლის ციხეს ჩრდილოეთის მხრიდან ალყა და იქაურობას გაეცალნენ. მტრის ვერაგული ქმედებანი ერთმანეთში ბაშად აეხლართებინათ ქართველნი და კახეთიც – ნათლად. ამ გამარჯვების შემდეგ მნიშვნელოვნად შეუსუსტდა ლეკთა თარეში ქართლ-კახეთში.

ციხე რიყის ქვითაა ნაგები. მისი გეგმა კვადრატს მიახლოებული სწორკუთხედია (115×93 მ), რ-ის ოთხივე კუთხეში ცილინდრული კოშკებია ალმართული. კიდევ სამი კოშკი გალავნის ალმ., დას. და ჩრდ. კედლების შუაშია. მათგან დას. და ჩრდ. კოშკები გეგმით ნახევარწრიულია, ხოლო აღმ-ის, რ-ის პირველი სართული ციხის ჭიშკარია – სწორკუთხა. ციხეს გარს უვლიდა მეორე გალავანიც (შემორჩენილია დას. და სამხრ. კედლების ნაშთები) და მის ირგვლივ გამავალი არხი. მეორე გალავანზე და არხზე, თავის "კალმასობაში" ცნობას გვაწვდის იოანე ბატონიშვილი. "იოანე წარვიდა ციხისაკენ და თან გაჰყვა ალავერდის სახოუხუცესი. რა ციხესთან მივიდა იოანე, იხილა მეორე სხვა გალავანი შემორტყმული და გალავანს გარე არხი".

ციხის გალავანი სხვადასხვა სისტემისაა: ჩრდ. კედელი ორია-

რუსიანია, დანარჩენები – სამიარუსიანი. თითოეული იარუსი საბრძოლო ბილიკითაა დასრულებული, რ-იც საშუალოდ 1 მ სიგანისაა. ჩრდ. კედლის პირველი იარუსი 4-5 მ-ის სიმაღლეზე ყრუა. ზედა იარუსის კედელი შედარებით თხელია. მის ქვედა ნაწილში ძირს დახრილი, ერთმანეთისგან 2-2,5 მ-ით დაცილებული, მაღალი სათოფურებია. ზედაში კი, პირდაპირ მიმართული პატარა სათოფურები. გალავნის დანარჩენი სა-



032. ეზო, ხედი ჩრდ.-დას.-კენ

მი კედელი თითქმის ერთგვაროვნადაა გადაწყვეტილი და ზემოთკენ, იარუსების შესაბამისად, თანდათან თხელდება: მიწიდან, დაახლოებით 1 მ – სიმაღლეზე, სამივე კედლის ცოკოლის მსგავსი შვრილი გასდევს, რ-საც, როგორც ჩანს, ქვედა იარუსის ხის საბრძოლო ბილიკი ეყრდნობოდა. ქვედა იარუსზე, სათოფურები ორ დონეზეა განლაგებული. ქვედა დონეზე ძირს დახრილი მაღალი სათოფურებია, ზედაზე კი, მათ შუა, ცალმაგი და შეწყვილებული, პირდაპირ მიმართული სათოფურები. სათოფურები ანალოგიურადაა განლაგებული მეორე იარუსის კედელშიც.

XIX-XX სს-ებში ადგილობრივი მოსახლეობის მიერ კედლების დაშლამ და ქვის სამშენ. მასალად გამოყენებამ ციხის კედლებისა და კოშკების ზედა ნაწილს დაუკარგა პირვანდელი სახე. 1985-87 წწ-ში ძეგლზე სარესტ. სამუშაოები ჩაატარა სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნომ (რესტავრაციის პროექტის ავტორი, არქიტ. გ. ნიკოლაძე). აღდგა გალავნის და საბრძოლო ბილიკის დანგრეული ნაწილები, გალავნის კედლებს გაუკეთდა ქონგურები და სალოდეები.

ციხის კუთხის ყველა კოშკი სამსართულიანია და ბანით მთავრდებოდა. გვიანდ. შუა საუკუნეების ხანის კოშკების მსგავსად, აქაც კოშკები შიგნით ისევა გადაწყვეტილი, რომ, საჭიროების შემთხვევაში, საცხოვრებლად ყოფილიყო გამოყენებული. კოშკებიდან შედარებით უკეთესადაა შემონახული ჩრდ.-აღმ. კოშკი, რ-საც სამივე სართულზე, ცალ-ცალკე, ეზოდან აქვს შესასვლელი. ამასთან, მესამე სართულის დონეზე კოშკიდან გამოდის კიბე, რ-იც მებრძოლთათვის განკუთვნილ ბილიკს უერთდება. კოშკის სართულშუა გადახურვა, გარდა მესამე სართულისა, ხის იყო. მესამე სართული სფერული გუმბათითაა გადახურული. პირველ და მეორე სართულზე, შესასვლელების პირდაპირ, ბუხრებია. ქვედა სართულის ბუხარი თალოვანია, ამოყვანილია ქვით. ზედა – შეისრულთაღიანია. იგი აგურითაა ნაგები და სწორკუთხა ნარჩოშია ჩასმული. პირველი სართულის ბუხრის გვერდებზე თითო ოთხკუთხა, ბათოფურიანი ნიშაა [illegible]

დონეზე, ცალმაგი და შეწყვილებული სათოფურებია განლაგებული. სათოფურებიანი ნიშები მეორე სართულის ბუხრის გვერდებზეცაა. ამ სართულზე სათოფურები ორ დონეზეა განლაგებული. ქვემოთ, მაღალი, ძირს დაქანებული, ცალმაგი სათოფურებია, ზემოთ – შეწყვილებული სათოფურები. მეორედან მესამე სართულზე ასვლა კედლის სისქეში მოწყობილი კიბით ხდება. მესამე სართულის კედელშიც ღრმა, სათოფურიანი ნიშებია. კოშკი დასრულებულია ბანით (შემორჩენილია მცირე ნაწილი).

ჩრდ.-დას. კოშკი, ჩრდ.-აღმ. კოშკის მსგავსია. შესასვლელი სამივე სართულზე აქაც ცალ-ცალკეა. პირველი სართულის შესასვლელის ადგილზე კედელი განგრეულია და შესასვლელის გადაწყვეტა არ ირკვევა. მეორე და მესამე სართულების შესასვლელები შეისრული თაღით ყოფილა გადახურული. მათგან მეორე სართულის შესასვლელი, გარედან სწორკუთხა შელრმავებაში იყო ჩასმული.

კოშკის პირველ და მეორე სართულებს აქაც ხის გადახურვა ჰქონდა, მესამეს – გუმბათოვანი. გუმბათი კონუსურია, ნაწყობია აგურით. კედლებში აქაც სათოფურებია გაჭრილი. სართულებს შორის კავშირი განხორციელებულია კედლის სისქეში მოწყობილი კიბით.

სამხრ.-აღმ. და სამხრ.-დას. კოშკები სხვებზე მეტადაა დაზიანებული, მაგრამ შემორჩენილი ნაწილების მიხედვით ირკვევა, რომ მათაც მსგავსი გადაწყვეტა ჰქონდათ, ოღონდ გუმბათოვანი გადახურვის გარეშე.

ციხის შუა კოშკებიდან დასისას, პირველ და მეორე სართულებზე, ეზოდან, ცალ-ცალკე შესასვლელი აქვს. პირველი სართული სფერული გუმბათითაა გადახურული. კედლებში სათოფუ-

რიანი, ღრმა ნიშებია. ამ კოშკს სათადარიგო გასასვლელი აქვს პირველ სართულში, საიდანაც კედლის კიბე უკავშირდება გალავნის ბილიკს. ბილიკიდან მეორე კარით შეიძლება შესვლა მეორე სართულში. ქვედასაგან განსხვავებით, მეორე სართულის გეგმა ექვსგვერდაა. თითოეული გვერდი აგურით ნაწყობი მაღალი თაღებითაა დამუშავებული, რ-ებშიც სათოფურებია მოწყობილი. შესასვლელის პირდაპირ კი ბუხარია სათოფურით.

ანალოგიურია ჩრდ. კოშკი. პირველი სართულის გეგმა ნალისებრია და სფერული გუმბათითაა გადახურული. შესასვლელი ამ სართულზე, როგორც შიგნიდან (ციხის ეზოდან), ისე გარედანაცაა. დას. კედელში მეორე სართულზე ასასვლელი კიბეა, საკუთარი განათებითა და სათოფურით. კიბე აქაც ჯერ მებრძოლთა ბილიკზე ადის და შემდეგ, მხოლოდ იქიდან, შეიძლება მეორე სართულზე მოხვედრა. ეს სართული რვაგვერდაა. მათგან ხუთში მოწყობილია თითო ღრმა, ისრულთაღოვანი ნიშა, რ-ებიც იატაკიდან იწყება. თითოეულ ნიშაში თითო სათოფურია. სართულის სამხრ.-დას. გვერდში გეგმით ნახევარწრიული ბუხარია. სამხრ.-აღმ. გვერდში კი ზედა სართულთან (მთლიანად დანგრეულია) დამაკავშირებელ კიბის უჯრედში შესასვლელი.

აღმ. კედლის შუაში სართული კოშკის პირველ სართულში ციხის ჭიშკარია. იგი შეისრული კამარით გადახურული, ერთიანი, დაბალი და განიერი გასასვლელია. გვერდის კედლებში ღრმა და განიერი, გეგმით ნახევარწრიული ნიშებია მოწყობილი. მეორე და მესამე სართულის კედლები ნაწილობრივაა შემორჩენილი. მეორე სართულს კარი ეზოდან აქვს. მასზე, როგორც ჩანს, ხის კიბე იყო მიდგმული. მეორე სართულის კედლებში სათოფურებია გაჭრილი. ორი შეწყვილებული სათოფური მესამე სართულის შემორჩენილ დას. კედელშიცაა.

ციხეში, შესასვლელების თავზე, აგურის წყობით გამოყვანილი რომბები და ჯვრებია. ციხის მეორე გალავანი, პირველიდან 20-ოდე მ-ით ყოფილა დაშორებული. მასშიც პირველის მსგავსი სათოფურები იყო მოწყობილი.

თ. ლეჟავა, კ. კახაძე

ბიბლ.: 30ბ; 74; 76; 79; 88ა; 157; 172გ; 202თ; 335.

033. ყველაწმინდის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს ქალაქის ჩრდ.-აღმ-ით, დაახლ. 1 კმ-ზე, მთაზე. ილია ჭავჭავაძის ძეგლთან. თარიღდება XVII-XVIII საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია, ნაგებია ნატეხი ქვით. გამოყენებულია აგურიც. თაღოვანი შესასვლელი დასავლეთიდანაა. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის ღერძზე გაჭრილია ვიწრო, თაღოვანი სარკმელი. სარკმლის გვერდებზე მოწყობილია თითო ოთხკუთხა ნიშა. ქარგილზე სხმული, ცილინდრული კამარა გრძივ კედლებზეა გადაყვანილი. გარედან კედლები ხერხულა ლავგარდნითაა დასრულებული. შენობა დაბურულია კრამიტით.

მ. აბაშიძე

034. ცალგვერდა, ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს ქალაქის სამხრ.-დას-ით, სამიოდე კმ-ის მანძილზე, ვენახებში. სავარაუდოდ, თარიღდება განვით. შუა საუკუნეებით. ეკლ. დარბაზულია (8,3×5,2 მ). ნაგებია სხვადასხვა ზომის ნატეხი ქვით. დაზიანებულია: ჩაქცეულია კამარა და კონქი. თითქმის მთლიანადაა დანგრეული სამხრ. და დას. კედლები, განგრეულია აფსიდის შუა ნაწილი, ინტერიერი ამოვსებულია ქვებითა და მიწით. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია. აფსიდის გვერდებში მოწყობილია თითო ოთხკუთხა ნიშა. ჩრდ. კედლის შუაში სარკმელია.

მ. აბაშიძე

035. ციხე, არქიტ. ძ. მდებარეობს ქალაქის ჩრდ-ით 2 კმ-ზე, მდ. დურუჯის მარჯვ. ნაპირზე, დოლიჭოპად წოდებულ ადგილზე. თარიღდება შუა საუკუნეებით. ნაგები ყოფილა ნატეხი ქვით. შემორჩენილია მხოლოდ ჩრდ.-აღმ. და ჩრდ.-დას. კუთხის ნაშთი (სიმ. 4-5 მ).

ბ. კუპრეიშვილი.

036. ციხისჯვარი, ციხესიმაგრე, არქიტ. ძ. მდებარეობს ქალაქის აღმ-ით, მდ. ბურსის ხეობაში, ძნელად მისადგომ ადგილას. თარიღდება XIV-XV სს-ით. ციხე სამხრ.-ჩრდ-ის მიმართულებითაა წაგრძელებული (სიგრ. 90 მ, სიგ. 30 მ) და გეგმით ტეხილი მოხაზულობა აქვს. ძლიერ დაზიანებულია: შემორჩენილია გალავნის ჩრდ. და დას. კედლები (სიმ. 6-7 მ) და მათში ჩართული ნახევარწრიული კოშკების ნაწილები. გალავნის დანარჩენი კედლები თითქმის მიწის პირამდეა დანგრეული. ციხის ტერიტორიაზე შე-



036. გეგმა

მორჩენილია: ეკლ., ორსათავსიანი ნაგებობის (სასახლის?) ნაშთები და წყლის რეზერვუარები. შედარებით უკეთესადაა შემორჩენილი ციხის ეკლ. იგი დარბაზულია (5,1×4 *მ*), ნაგებია ნატეხი ქვით. შესასვლელი დას-იდანაა. კარი გარედან სწორკუთხაა, შიგნიდან – თაღოვანი. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის ღერძზე სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. მსგავსი სარკმელი სამხრ. კედელშიცაა. დარბაზი გადახურულია ნა-



036. ეკლესია, გეგმა

ხევარწრიული კამარით, ნახევარწრიულია კონქის თაღიც. დას-ით კუთხის პილასტრებზე გადაყვანილი კედლის მიმდებარე თაღია.

მ. აბაშიძე.

ბიბლ.: 229.

037. ცხრაკარა, ე კ ლ ე ს ი ა, არქიტ. ძ. დგას ქალაქის სამხრ.-დას-ით, 5-6 *კმ*-ზე, სოფ. ენისელიდან ქ. ყვარლისაკენ მიმავალი საავტ. გზის მარჯვ. მხარეს, გზიდან 0,8 *კმ*-ის მანძილზე, ვენახებში. თარიღდება VIII-IX სს-ით.

ძ. სამეკლესიიანი ბაზილიკაა. ნაგებია სხვადასხვა ზომის ქვიშაქვის ნატეხი ქვით. წყობა ირეგულარულია. შენობის გეგმის გარეგან სწორკუთხედში (13×12 *მ*) ჩაწერილია სამი სადგომი, რ-ებიც დამოუკიდებელ ეკლესიებს წარმოადგენენ. გვერდითი ეკლესიები ერთმანეთს დას. კარიბჭით – გარშემოსავლელით უკავშირდებიან. ჩრდ. ეკლესიას აღმ-იდან ეკვრის გეგმით სწორკუთხა, ნახევარცილინდრული კამარით გადახურული სათავსი – სამკვეთლო, რ-საც შესასვლელი მთავარი ეკლესიიდან აქვს.

შუა ეკლ. გვერდით ეკლესიებთან შედარებით, ჩვეულებისამებრ, უფრო ფართოა და მაღალი. აქვს ორი შესასვლელი – სამხრ-



037. გეგმა



037. განივი ჭრილი, ხედი აღმ-კენ

ით და დას-ით. ორივე კარი გარედან მოზრდილი ქვით თარაზულადაა გადახურული, ხოლო შიგნიდან თაღოვანია. საკურთხევლის აფსიდი გეგმით ნახევარწრიულია და საფეხურითაა შემაღლებული. აფსიდში გაჭრილია შიგნიდან და გარედან ნახევარწრიულთაღოვანი სარკმელი, რ-ის ორივე

მხარეს თითო მცირე, სწორკუთხა ნიშაა. სარკმლის ქვემოთ, კედლზე აგურით ნაგები ტრაპეზია (გვიანდახურული. სამკვეთლოს აღმ. კედელში ჟიწრო, სწორკუთხა სარკმელია. სამხრ. და ჩრდ. კედლებში კი – თითო მცირე, სწორკუთხა ნიშა. მათგან ჩრდ. ნიშა ღრმაა. მისი ნახევარი სამკვეთლოს ჩრდ.



037. გრძივი ჭრილი, ხედი სამხრ.-კენ

დელია) მიდგმული. აფსიდი გადახურულია კონქით. კონქის თაღი ნახევარწრიულია. იგი თხელი, ნატეხი ქვითაა ნაწყობი და დაყრდნობილია აფსიდის მხრების დამაგვირგვინებელ, თაროსებრ იმპოსტებზე. ნახევარწრიულია კამარაც კამარასა და აფსიდის თაღს შორის, გამოყვანილია დაახლ. 0,7-0,8 მ სიმაღლის შუბლი. მოგვიანებით, აფსიდის წინ, მოუწყვიათ აგურის კანკელი (შემორჩენილია ნაშთი), რ-ის ნაწილი სამკვეთლოში შესასვლელი კარის აღმ. წირთხლზეა მიყრდნობილი, რის გამოც შესასვლელი მთავარი ეკლესიის მხრიდან ოდნავ დაეიწროებულია.

საკურთხევლის სარკმლის გარდა, მთავარ ეკლესიას სამხრ. კედელში გაჭრილი კიდევ ორი სარკმელი აშუქებს, რ-თა ზედა ნახევარი კამარის გვერდშია მოქცეული. ორივე სარკმელი შიგნიდან გადახურულია თარაზულად, გარედან კი – შირიმის ერთ ქვაში გამოკვეთილი, ნახევარწრიული თაღით.

ჩრდ. კედლის აღმ. ნაწილში, აფსიდის მხართან ახლოს, სამკვეთლოში შესასვლელი ნალისებრ-თაღოვანი კარია, რ-იც სამკვეთლოს მხრიდან თარაზულადაა გადახურული. სამკვეთლოს აღმ. კედელში ჟიწრო, სწორკუთხა სარკმელია. სამხრ. და ჩრდ. კედლებში კი – თითო მცირე, სწორკუთხა ნიშა. მათგან ჩრდ. ნიშა ღრმაა. მისი ნახევარი სამკვეთლოს ჩრდ. კედელშია, ხოლო დანარჩენი ნაწილი მთავარი ეკლესიის კედელშია მოქცეული.

სამხრ. ეკლ. აღმ-ით დასრულებულია გეგმით ნალისებრი აფსიდით. ნალისებრი მოყვანილობისაა კონქის თაღიც. ეკლესიის შიდა სივრცე სამხრ-ით გახსნილია ორ მრგვალ ბურჯზე დაყრდნობილი სამმალიანი თაღედით, რ-იც ბაზილიკის მთავარ შესასვლელს წარმოადგენს.

შიგნით ეკლ. გადახურულია ქარგილზე სხმული ნახევარცილინდრული კამარით. კამარა მთავარი ეკლესიის კედელზე მიშენებულ ხუთ თაღს ეყრდნობა, თაღები – პილასტრებს. მსგავსს თაღედზეა დაყრდნობილი ჩრდ. ეკლესიისა და დას. კარიბჭის კამარებიც. მთავარი ეკლესიის ჩრდ. კედელზე ორი ასეთი თაღია, დას. კედელზე კი – სამი. თვით თაღები სხვადასხვა სიგანისაა. მათი ნაწილი ნალისებრია, ნაწილი ნახევარწრიული.

ჩრდ. ეკლ. აღმ-ით სწორი კედლითაა დასრულებული. ჩრდ-იდან აქვს დამოუკიდებელი, თაღოვანი შესასვლელი.

დას. კარიბჭე გვერდით ეკლესიებში მთელ სიგანეზეა გახსნილი და მათგან მხოლოდ კამარის საბჯენი თაღებითაა გამიჯნული. თაღოვანი შესასვლელი კარიბჭეს დას-იდან აქვს, მთავარი ეკლესიის შესასვლელის პირდაპირ.



037. აქსონომეტრული ჭრილი, ხედი სამხრ.-დას-იდან

ბაზილიკის ჩრდ.-დას. კუთხეში, ჩრდ. ეკლესიასა და დას. კარიბჭეს შორის, შეკიდული სა-



037. სვეტი სამხრ.-დასავლ.

ბჯენი თალებით გამოყოფილია გეგმით კვადრ. სივრცე, რ-საც შეკრული კამარა ხურავს.

ეკლესიის ფასადები დასრულებულია თაროსებრი ლაქვარდნით, რ-საც განივ ფასადებზე მოკლე პორიზ. შემონაკეცები აქვს.

1982-83 წწ. ძეგლზე სარესტ.-სამუშაოები ჩაატარა სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნომ (რესტავრაციის პროექტის ავტორი, თ. ნემსაძე). ეკლ. და მიმდებარე ტერიტ. გაწმენდა მცენარეებისგან, აღდგა კედლების დანგრეული ნაწილები და ლავგარდანი, შენობა გადაიხურა კრამიტით.

თ. დვალი.

ბიბლ.: 335.

038. ᲕᲛᲐᲠᲝᲡᲗᲐᲕᲘ, ეკლესია, არქიტ. ძ. დგას ქალაქის აღმ. განაპირას, ი. გაგარინის ქუჩის ბოლოში. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით. ეკლ. დარბაზულია (5,2×3,8 მ). ნაგებია ნატეხი ქვითა და აგურით. შესასვლელი დასითაა. აღმ-ით გეგმით არაწესიერი ნახევარწრის ფორმის საკურთხევლის აფსიდია, რ-შიც სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. სარკმლის სამხრ-ით და ჩრდ-ით თითო სწორკუთხა ნიშაა მოწყობილი. თითო, ოთხკუთხა სარკმელი ეკლესიის დას. და სამხრ. კედლებშიცაა. აფსიდი დარბაზისგან გამოყოფილია პილასტრებით, რ-თაც შეისრული, სატრიუმფო თაღი ყურდნობა. შეისრულია ქარგილზე ხმული კამარაც.

გარედან ეკლესიის კედლები ხერხულა ლავგარდნითაა დასრულებული. შენობა გადახურულია კრამიტით.

ბ. კუპრეიშვილი.

039. ილია **ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬ. ᲡᲐᲮᲚ-ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ,** ისტ. ძ. მდებარეობს ქალაქის ცენტრში, რუსთაველის ქუჩაზე. გაიხსნა 1938 წ. 1 მაისს ბ-კა-მუზეუმის სახით. 1943 წ. გადაკეთდა სახელმწ. მუზეუმად.

კომპლექსში შედის ჭავჭავაძეების საგვარეულო კოშკი, ილია ჭავჭავაძის მამისეული სახლი, მარანი, თონე, ბუდელი, წყლის წისქვილი. 1981 წ. ნოემბერში მემორ. მუზეუმი განთავსდა ახლად აგებულ სამსართულიან შენობაში (ავტორი, არქიტ. ბ. ჯორბენაძე). 1983-84 წლებში ძეგლზე სარესტ. სამუშაოები ჩაატარა სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნომ (რესტავრაციის პროექტის ავტორი, არქიტ. გ. ნიკოლაძე). საგვარეულო კოშკზე მოიხსნა გვიანდ. დანამატები, აღდგა სართულშუა გადახურვები და მოეწყო სართულების დამაკავშირებელი ხის კიბეები, გაკეთდა ქონგურები და სალოდეები.

1985-87 წლებში სარესტ. სამუშაოები ჩაუტარდა ილია ჭავჭავაძის მამისეულ სახლს წარმოდგენილ საძირკვლებზე აშენდა სახლის მესამე ოთახი და მარანი, ეზოში მოეწყო თონე, აიგო ბუდელი.

მუზეუმის ექსპოზიცია განლაგებულია ახლად აგებული შენობის მეორე და მესამე სართულებზე. მასალა დალაგებულია თემატურად. მუზეუმში დაცულია ილიას და მისი ოჯახის წევრთა მემორ. ნივთები, ილიას ხელნაწერები, მის მიერ დაარსებული ჟურნალ-გაზეთები; საგვარეულო გერბი, ბეჭედი, XVII-XIX სს. ავეჯი, იარაღი; ილიას თხზულებების თემებზე შექმნილი ნამუშევრები. მათ შორის ლ. გუდიაშვილის, კ. გურულის, ქ. მაღალაშვილის, უ. ჯაფარიძის. ამასთან, დაცულია ქართველ და უცხოელ საზ. მოღვაწეთა ხელნაწერები, მდიდარი ფოტომასალა და საარქივო დოკუმენტები.

ც. ბერძენიშვილი.

040. ნიკო (დიდი ნიკო) ზურაბის ძე **ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ,** არქიტ., ისტ. ძ. მდებარეობს ქალაქის ცენტრში. რუსთაველის ქუჩაზე, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის მოპირდაპირე მხარეს. აგებულია XIX ს. დასაწყისში. სახლი დროთა განმავლობაში სხვადასხვა დანიშნულებისათვის გამოიყენებოდა, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად შეეცვალა თავდაპირველი სახე. ერთხანს აქ სკოლა იყო, შემდეგ – კოტე მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმს გადაეცა დამხმარე ნაგებობად. ამჟამად შენობის ორი ოთახი მუზეუმის ადმინისტრაციას უკავია, ნაწილი საწყობადაა გამოყენებული.

სახლი ერთსართულიანია, დანაშენით შუა ნაწილზე ნაშენია აგურით.

შენობა გეგმით სამხრ.-ჩრდ. მიმართულებითაა წაგრძელებული და მთავარი (აღმ.) ფასადით მიმართულია ეზოსკენ. ოთახები სწორკუთხაა, განლაგებულია ანფილადურად. შუა ნაწილის პირველ სართულში ლოჯიაა, რ-იც



040. საერთო ხედი

ეზოს მხარეს გახსნილია სამი განიერი და მაღალი თაღით. მათგან შუა თაღი ღიაა, ხოლო გვერდითებში ადრე ხის ჭჟირული მოაჯირი იყო ჩასმული. შუა თაღის წინ სამსაფეხურიანი კიბეა. კავშირი შენობის დანარჩენ ნაწილთან ლოჯიიდან ხდებოდა. მეორე სართულზე ასასვლელი ხის კიბეც (ამჟამად ლითონის ხვეული კიბეა) სწორედ ლოჯიის ჩრდ.-დას. კუთხეში იყო მოწყობილი.

სახლის მთავარი, ეზოსკენ მიმართული ფასადი შულესილია. ლოჯიის სამივე თაღი დამუშავებულია ნალესობაში გამოყვანილი რუსტებით. მეორე სართულის საფასადო სიბრტყე, რ-იც პირველისგან პროფილირებული ლავგარდნითაა გამოყოფილი, სადა პილასტრებით დაყოფილია სამ ნაწილად. შუა ნაწილში გადმოკიდებულ აივანზე (ამჟამინდელი ლითონის აივანი გვიანდელია) გამოსასვლელი კარია, გვერდით ნაწილებში კი – თითო ვიწრო, მაღალი, სწორკუთხა სარკმელი. ფასადი დასრულებულია მაღალი, საფეხუროვანი ლავგარდნით.

თ. დვალი.

ბიბლ.: 66.

041. იღლია **ჯავჯავაძის ძეგლი,** მონუმ., ხელოვნ. ძ. დგას ქალაქის შემოგარენში, ცენტრიდან 3 კმ-ზე, მთაზე. დაიდგა 1966-1968 წწ. ძ. (ავტორები: თ. ღვინიაშვილი, კ. ნახუცრიშვილი). ძ. თუჯისაა (სიმ. 11 მ).

თ. ნიშაკაძე.

042. ჯვარპატიოსნის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას ქალაქში, ვ. მამულაშვილის კუთვნილ ეზოსახში. თარიღდება ადრინდ. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია (7,7×5,6 მ), ნაგებია ყორე ქვით (აგურის ნაწილებიც გვიანდ. შუა საუკუნეებისაა). ერთადერთი, შიგნიდან და გარედან ბრტყლად გადახურული შესასვლელი დას-იდანაა. აღმ-ით ღრმა ნალისებრი აფსიდია, რ-ის სიღრმე დარბაზის სიგრძის ტოლია. აფსიდის ღერძზე სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი, რ-ის ორივე მხარეს მოწყობილია თითო ოთხკუთხა ნიშა. მსგავსი თითო სარკმელი, ერთმანეთის პირდაპირ, სამხრ. და ჩრდ. კედლებშიცაა. აფსიდი გადახურულია აგურით ნაწყობი კონქით. რ-ის თაღი ნახევარწრიული ფორმისაა. დას-ით პილასტრებზე გადაყვანილი კედლის თაღია.

ეკლესიის დარბაზი უსვეტოდ მოკლეა, გადახურულია აგურის ნახევარცილინდრული კამარით. იატაკი მოგებულია ქართ. აგურით.

აღმ. და დას. ფასადების ფრონტონებში გამოსახულია თითო შელრმავებული ჯვარი. კედლები დასრულებულია აგურის საფეხუროვანი ლავგარდნით. შენობა გადახურულია კრამიტით.

ქ. გოთუამაია.

043. ჯვარპატიოსნის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს დაბა ... შენებლის ქუჩაზე. დანგრეულია. შემორჩენილია ნატეხი და რიყის ქვით ნაგები აფსიდის მცირე ნაწილი, რ-შიც მოწყობილია ფართო, თაღოვანი ნიშა.

ბ. კუპრეიშვილი.

ალმატი

(საბუის თემის საკრებულო)

044. ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის განაპირას, თარიღდება შუა საუკუნეებით. დანგრეულია. კედლები სხვადასხვა დონეზე, ფრაგმენტულადაა შემორჩენილი. ნაგები იყო დიდი ზომის ფიქლის ქვით თხელ კირის ხსნარზე. ეკლ. უაფსიდო ყოფილა, აღმ-ით დასრულებული იყო სწორი კედლით. შესასვლელი (შემორჩენილია კვალი) დას-იდან ჰქონია.

ბ. კუპრეიშვილი.

045. ლომისგორის წმ. გიორგი, ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით, 2 კმ-ზე, შემაღლებულ ადგილას. თარიღდება შუა საუკუნეებით. დანგრეულია. შემორჩენილია ჩრდ. კედელი – მთელ სიგრძეზე, აფსიდის ჩრდ. გვერდი და დას. კედლის მცირე ნაწილი. ეკლ. ნაგები იყო ნატეხი ქვით და ფიქლით. აღმ-ით დასრულებული ყოფილა ნახევარწრიული, შვერილი აფსიდით, რ-იც დარბაზისგან მხრებით იყო გამოყოფილი (გარეთა ზომები: სიგრ. – 14 მ, სიგ. დაახლ. – 7 მ). შესასვლელი ჩრდ-იდან და დას-იდან ჰქონია. დარბაზის შუაში შემორჩენილია ორიოდე მ-ის სიგრძის კედლის ნაშთი.

ქ. გოთუამაია.

046. წმ. ბარბარეს ეკლესია, არქიტ. ძ. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით. ეკლ. დარბაზულია (5,5×3,4 მ), უაფსიდო. ნაგებია სხვადასხვა ზომის ნატეხი ქვით და აგურით. დაზიანებულია: ჩაქცეულია კამარა. შესასვლელი დას-

იდანაა. აღმ. კედლის შუაში თარაზულად გადახურული სარკმელია გაჭრილი, რ-ის ჩრდ-ით ღრმა სწორკუთხა ნიშაა, ხოლო ქვემოთ, კედელზე, კუბური ტრაპეზია მიშენებული. აღმ. სარკმლის გარდა, ერთი მსგავსი სარკმელი სამხრ. კედელშიცაა. მის მოპირდაპირედ კი სწორკუთხა ნიშაა მოწყობილი.

შენობა გადახურულია კრამიტით დაბურული ხის სახურავით.

ეკლ. მოქცეულია განიერი კედლებით შემოფარგლული, სწორკუთხა მოხაზულობის (10,4×8,1 მ), პატარა ეზოს ჩრდ.-აღმ-ის კუთხეში. ეზოს შესასვლელი დას. კედლის სამხრ. კიდეში ჰქონია.

მ. აბაშიძე.

047. ᲬᲛ. ᲔᲚᲘᲐᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, ნ ა ე კ ლ ე ს ი ა რ ი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის განაპირას. დანგრეულია. ნაგები იყო რიყის ქვით.

ბ. კუპრეიშვილი.

048. ᲬᲛ. ᲗᲔᲝᲓᲝᲠᲔᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სასაფლაოზე. თარიღდება XVIII-XIX სს-ით.

ეკლ. დარბაზულია, ნაგებია აგურით. შიგნიდან და გარედან შელესილი ყოფილა. ძლიერ დაზიანებულია: ჩაქცეულია კამარა, ფასადებზე საპირე წყობის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამოშლილია, სამხრ. კედელი განგრეულია.

შესასვლელი დას-იდანაა. აღმ-ით სწორკუთხა საკურთხეველია, რ-იც დარბაზისგან არ არის გამოყოფილი. საკურთხევლის აღმ. კედლის შუაში თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. თითო მსგავსი სარკმელი დანარჩენ კედლებშიცაა. გარედან ოთხივე ფასადის კიდეებს ერთსაფეხურიანი პილასტრი აუყვება.

მ. აბაშიძე.

049. ᲬᲛ. ᲛᲐᲠᲘᲜᲔᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით. დაზიანებულია. მონგრეულია ჩრდ.-დას. კუთხე.

ეკლ. დარბაზულია (5,3×4,5 მ). ნაგებია რიყის და ნატეხი ქვით, კირის ხსნარზე. ალაგ-ალაგ გამოყენებულია აგურიც.

შესასვლელი დას-ითაა. კარი გარედან სწორკუთხაა, შიგნიდან – თაღოვანი. აღმ-ით ღრმა, ნახევარწრიული აფსიდია, რ-იც სილრმით დარბაზის სიგრძის ტოლია. აფსიდში ვიწრო, ოთხკუთხა სარკმელია გაჭრილი. მსგავსი თითო სარკმელი დანარჩენ კედლებშიცაა. აფსიდში, სარკმლის ორივე მხარეს, მოწყობილია თითო ოთხკუთხა ნიშა. ქვემოთ კი დგას კუბური ტრაპეზი. აფსიდის თაღი ნახევარწრიულია. ნახევარწრიულია კამარაც.

ფასადები დასრულებულია აგურის ხერხულა წყობით გამოყვანილი ლავგარდნით. შენობა გადახურულია კრამიტით.

ქ. გიორგობიანი.

ᲐᲮᲐᲚᲡᲝᲤᲔᲚᲘ

(საკრებულოს ცენტრი)

050. ᲐᲮᲐᲚᲡᲝᲤᲔᲚᲘ (ძვ. გავაზი), ისტ. ძ. მდებარეობს კავკასიონის ძირში, ალაზნის ველის მარცხ. მხარეში, მდინარეების ავანისხევსა (გავაზისწყალი) და შაროხევს შორის. სოფელი გაშენებული იყო მდ. ალაზნის მარცხ. შენაკადის – გავაზისწყლის ორივე ნაპირას. იგი მდებარეობდა მნიშვნელოვან გზასაყარზე, ერთი მხრივ, სავაჭრო გზაზე, რ-იც ქართლ-კახეთს აკავშირებდა ჰერეთთან, ალბანეთის შიდა რაიონებთან, სომხეთთან და მეორე მხრივ, მდ. შაროხევის ხეობის გაყოლით, კახეთ-ჰერეთის და დაღესტანს. გავაზი ფრინველის აღმნიშვნელი სახელია და მასვე უნდა დაუკავშირდეს პუნქტის სახელწოდებაც.

არქეოლ. გათხრებით დასტურდება, რომ გავაზი და მისი შემოგარენი, დასახლებული იყო ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში. იგი ადრინდ. ქრისტიანულ ხანაში და მთელი შუა საუკუნეების მანძილზე ძლიერ დასახლებას წარმოადგენდა. წერილობით წყაროებში კი პირველად იხსენიება IX ს. 40-იანი წლების ამბებთან დაკავშირებით, მაშინ, როცა გამძაფრდა ბრძოლა თბილისის ამირასა და სახალიფოს ცენტრალურ ხელისუფლებას შორის. ხალიფა გადამდგარ ამირასა და მისი მოკავშირე კახელების წინააღმდეგ ჯარი გზავნილა დამსჯელ რაზმებს. ერთ-ერთ დამსჯელ რაზმს ხელმძღვანელობდა არაბი სარდალი ხალიდ იბნ-იაზიდი (ქართ. წყაროებით ხალილ არაბი), რ-იც კახელებმა სასტიკად დაამარცხეს გავაზთან ჭორეპისკოპოს სამოყულ დონაურის მეთაურობით. X ს-ში ჰერეთის მთავარმა ადარნასე პატრიკმა, დაზაფების მიზნით, გავაზი და არიში დაუთმო აფხაზთა მეფეს კონსტანტინე III-ეს, რ-მაც კახთა ქორეპისკოპოს კვირიკე I-თან ერთად გაილაშქრა ჰერეთს და ალყა შემოარტყა ვეჟინის ციხეს. ქართლის მფლობელმა კონსტანტინემ გავაზიცა და არიშიც ქართლს შეუერთა. მის ხელში გადავიდა ჰერეთზე გამავალი, ბარდავიდან მომავალი, დიდი საეჭრო გზის მნიშვნელოვანი მონაკვეთი. რამდენიმე ხნის შემდეგ, ადარნასე პატრიკმა ისარგებლა კახეთის სამთავროს საგარეო პოლიტ. მდგომარეობის გართულებით და დაკარგული დაიბრუნა.

გავაზში აღმოჩენილი 1025 წლით დათარიღებული სამშენ. წარწერა გვამცნობს, რომ აქ მნიშვნელოვანი მშენებლობა მიმდინარეობდა.

IX ს-ში შიდა ქართლის მსხვილმა ფეოდალმა ფავნელმა მეფისგან ნაბოძები გავაზი შიომღვიმის მონასტერს მიჰყიდა. ამ ნასყიდობის აქტს ადასტურებენ გიორგი II და გიორგი III შიომღვიმისადმი ბოძებულ შეუვალობის სიგელში.

1064 და 1068 წწ. თურქ-სელჩუკებმა გავაზი და სხვა რიგი პუნქტები განძის ამირას გადასცეს.

მონღოლთა შემოსევების დროს გავაზი გადასახადებით დაუბეგრავთ. ქართლის ერისთავი გრიგოლ სურამელი შიომღვიმისადმი ბოძებული სიგელით ათავისუფლებს გავაზს ყოველგვარი სახელმწ. ბეგრისგან და კვლავ შეუვალს ხდის მას.

XV-XVI სს. კახეთის ეკონ. აღმავლობის ხანაში, განსაკუთრებით გაიზარდა გავაზის მნიშვნე-

ლობა. ამას ხელს ისიც უწყობდა, რომ იგი კახეთის პოლიტ. ცენტრიდან – გრემიდან ირანისაკენ მიმავალ გზაზე მდებარეობდა. გამომწვარი თიხის ფილებით მოგებული და საგანგებო სამეთვალყურეო კოშკებით დაცულ ამ გზაზე, თითო დღის სავალზე, ქარვასლები იყო მოწყობილი. გრემის შემდეგ პირველივე გაჩერება გავაზში იყო. ამიტომ ქარვასლა გავაზშიც აუგიათ.

მეორე გზა, თბილისიდან კახეთის გავლით, ბარდავისკენ და შემახისკენ მიდიოდა, შემდეგ, დარუბანდის გავლით, ჩრდ. ქვეყნებს უკავშირდებოდა. დაღესტნისაკენ მიმავალი ერთ-ერთი მთავარი გზა გავაზზე გადიოდა. აქედან გავრცელდა ქრისტიანობა მთაში, რის დამამტკიცებელ საბუთად დღევანდელ დაღესტანში არაერთი ქართ. წარწერა და ეკლესიაა შემონახული.

IX-XVI სს. გავაზის ძირითადი უბნები იყო: ბაზარი (თანამედროვე „ნაბაზრალი"), დარბაზოვანი, სამება და კოპალე.

შაჰ-აბასის მიერ კახეთის აოხრების (1614-1616 წწ.) შემდეგ გავაზი თანდათან დაკნინდა, თუმცა კვლავ მნიშვნელოვანი პუნქტი ჩანს XVIII ს. პირველ მეოთხედში.

1678 წ. თეიმურაზ პირველს, მეფე როსტომთან დროებითი დაზავების დროს, მისთვის „სანდო საფიცრით" სოფ. გავაზი და კისისხევი მიუცია.

1722 წლის საბუთით, სარუსთველოს დროშის განწესებისას, გავაზი და ყვარელი საწინამძღვროდ ყოფილა გამოცხადებული.

XVIII ს. 30-იან წლებში გავაზი თურქ-ოსმალებმა ააოხრეს. ამას დაერთო ლეკთა მუდმივი შემოსევებიც. შედეგად გავაზი თანდათან გაპარტახდა და დაცარიელდა. მოსახლეობა გადასახლდა ალაზნის ველზე, სადაც ამავე სახელწოდების სოფელი აშენდა.

XIX ს. 50-იან წლებში მიტოვებული გავაზი ხელახლა ალადგინეს და ახალსოფელი უწოდეს.

გავაზში მეურნეობის სხვა დარგებს შორის განსაკუთრებით მევენახეობა ყოფილა განვითარებული. აქ გავრცელებული ვაზის ჯიში გავაზური თეთრას სახელით იყო ცნობილი. გავაზური ვაზი და ღვინო ხოტბაშესხმულია „არჩილიანში" („ხილზედ ვსვემდი გავაზურს, ხვრეტა არ იყო იქ დოსი" და ა.შ.).

ზვარი და ღვინო, როგორც გაცვლითი ღირებულება, ისტ. საბუთებში, გავაზთან დაკავშირებით, ხშირად არის მოხსენიებული. მთელ კახეთში ღვინის და საერთოდ, მევენახეობის ნაწარმისთვის გავრცელებული იყო გავაზური საწყაო. ალექსანდრე კახთა მეფეს 1593 წლის ერთი საბუთით ყველაზე შეძლებული ასი გავაზელი გლეხისთვის სამოურავო ულუფად ხპილენძის დიდი გავაზური, სამსამი თუნგი ტკბილი და ექვს-ექვსი შაური დაუკისრებია.

1969-1972 წლებში საქართვ. სახელმწ. მუზეუმის არქეოლ. ექსპედიციამ (ხელმძღვ. ლ. ჭილაშვილი), სოფლის ტერიტორიაზე ჩაატარა არქეოლ. გათხრები. გათხრებით გაირკვა, რომ სოფელში განვითარებული ყოფილა მეურნეობის სხვადასხვა დარგი, რ-თა შორის წამყვანი მევენახეობა ყოფილა. სოფელს ჰქონია აგრარული ზონა, რ-იც მდინარეების ავანისხევსა და იულდას შორის მდებარეობდა და ირწყვებოდა არხით. ზონა დაყოფილი იყო ქვით ნაშენი ღობეებით შემოფარგლული სხვადასხვა ფართობის ეზოებად. ეზოების გეგმა დაახლ. სწორკუთხაა. ისინი ერთმანეთს სპეციალური „ქუჩებით" (ცენტრ. „ქუჩების" სიგ. დაახლ. 3 მ-ია) უკავშირდებოდა. აქვე აღმოჩნდა ნაგებობათა საძირკვლები და ცოკოლის ნაწილები, რ-ებიც ნატეხი ქვითა და ტალახით იყო ნაგები (შენობების ზედა ნაწილები, როგორც ჩანს, ხის ან ალიზის უნდა ყოფილიყო). ერთ-ერთ მათგანში, რ-საც ეტყობა მეორადი გამოყენების კვალი, მოგვიანებით სამჭედლოსახელოსნო მოუწყვიათ. გამოვლინდა რამდენიმე საწნახელიც. ზოგიერთი საწნახელი ორგანყოფილებიანია. მათში სხვადასხვა ჯიშისა და ფერის ყურძენს ერთდროულად წურავდნენ.

სოფ. გავაზში დაიბადნენ: ცნობილი ქართვ. მსახიობი მაკო (მარიამ) საფაროვა-აბაშიძე (1860-1940), კომპოზიტორი, ფოლკლორისტი აკაკი ანდრიაშვილი, პოეტი მედეა კახიძე.

გ. აფრასიძე,კ. კახაძე, ლ. მოწონელიძე.

ბიბლ.: 7; 17; 18; 136; 149; 162; 172გ; 175ა; 201; 216; 227; 228; 229; 233.

051. ალექსანდრე სვიმონის ძე **აფხაზის საფლავი**, ისტ. ძ. მდებარეობს სოფლის სასაფლაოს შესასვლელში. შემოზღუდულია რიყის ქვით. საფლავზე, შუაში, ძევს თლილი ქვა. ფიქლის კვარცხლბეკზე (სიმ. – 2 მ) დგას თეთრი მარმარილოს ბიუსტი. საფლავის ქვაზე კი წარწერაა: „აქ განისვენებს ამ ახალსოფლის დამაარსებელი თავადი ალექსანდრე სვიმონის ძე აფხაზი, რომელიც დაიბადა 1823 წელსა 21 მარტსა და გარდაიცვალა 1885 წელსა 2-სა დეკემბერს".

ც. ბერძენიშვილი.

052. ბაბაანთ კოშკი და **ეკლესია**, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის მიდამოებში, ბაბაშვილების ვენახში. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით. ორივე ნაგებობა ნაშენია ნატეხი და ყორე ქვით, კირის ხსნარზე.



052. I სართულის გეგმა

კ ო შ კ ი გეგმით კვადრატულია (6x6 მ), შემორჩენილია სამი

სართულის სიმაღლეზე. ჩაქცეულია სართულშუა გადახურვები, რ-ებიც გამართული ყოფილა ხის კოჭებზე (შემორჩენილია ბუდეები). შესასვლელი პირველ სართულზეა, სამხრ. კედელში. კარი გარედან სწორკუთხაა, შიგნიდან თაღოვანი. სართულის დანარჩენ კედლებში თითო სათოფურია. სათოფურები დანარჩენ სართულებზეცაა.

კოშკის სამხრ. მხრიდან მიდგმული აქვს პატარა დარბაზული ე კ ლ ე ს ი ა, რ-ისგანაც მხოლოდ აღმ-ის ნახევარიდაა შემორჩენილი (სიგ. – 2,5 მ). აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, სწორკუთხა სარკმლით და მის ორსავე მხარეს მოწყობილი თითო სწორკუთხა ნიშით. აფსიდი დარბაზისგან გამოყოფილი იყო ფართო პილასტრებით.

კ. ჯოხაძეობიანი.

053. დავითგარეჯი. ე კ ლ ე ს ი ა, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფელში, თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია (13,2×7,3 მ). ნაგებია ყორე ქვით. გამოყენებულია შირიმიც. დაზიანებულია: ჩაქცეულია გადახურვა, მონგრეულია კედლების ზედა ნაწილი. შესასვლელი სამია – დას-ით, სამხრ-ით და ჩრდ-ით. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის ღერძზე თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. სარკმლები ჩრდ. და დას. კედლებშიცაა. აღმ. სარკმლის ორივე მხარეს თითო ფართო, ოთხკუთხა ნიშაა. აფსიდის მხრებზე შემორჩენილია საკრიშტოფო თაღის ჭუსლები. აფსიდის ჩრდ. მხართან კი, კანკელის ნაშთი.



053. გეგმა

ბ. კუპრეიშვილი.

054. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას კ. დავითაიშვილის მიწის ნაკვეთზე. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია, გეგმით სწორკუთხა (4,9×3,3 მ). ნაგებია ყორე ქვითა და კირის ხსნარით. დაზიანებულია: ჩაქცეულია გადახურვა, კედლები დაბზარულია, ზედა ნაწილში – მორღვეული.

შესასვლელი დას-ითაა. შემორჩენილია მხოლოდ სამხრ. წირთხლი. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის ღერძზე სარკმლის კვალია შემორჩენილი. აფსიდის ჩრდ. გვერდში მოწყობილია ორი ფართო ნიშა. სამხრ-ისაში – ერთი. აფსიდის მხრებზე საკრიშტოფო თაღის ჭუსლებია შემორჩენილი.

ა. კოკანეიშვილი.

055. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას დიდ მინდვრად წოდებულ ადგილზე. თარიღდება განვით. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია (6,2×4,5 მ). ნაგებია სხვადასხვა ზომის ნატეხი ქვის ირეგულარული წყობით. დაზიანებულია: ჩაქცეულია კამარა, მონგრეულია კედლების ზედა ნაწილი. შესასვლელი დას-ითაა. კარი თარაზულადაა გადახურული.

აღმ-ით ოდნავ შებრტყელებული, ღრმა აფსიდია, რ-ის ღერძზე სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ორივე მხარეს მოწყობილია თითო ოთხკუთხა ნიშა. წინ კი დგას ქვის ტრაპეზი. ერთი ოთხკუთხა, პარალელეპიპედისებრი სარკმელი დას-ით, შესასვლელის ზემოთაცაა.

მ. აბაშიძე.

056. ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლიდან 3 კმ-ზე, ნაბაზრალად წოდებულ ადგილზე. თარიღდება განვით. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია, ნაგებია ნატეხითა და რიყის ქვით კირის ხსნარზე. კედლები შემორჩენილია სხვადასხვა დონეზე.

შესასვლელი დას-იდანაა. კარი სწორკუთხაა. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის ღერძზე ოთხკუთხა სარკმელია გაჭრილი. სარკმლის გვერდებზე მოწყობილია თითო ოთხკუთხა ნიშა. ჩრდ. კედელში – ორი. სამხრ. კედელში, მიდგმულია ქვის ტრაპეზი. სარკმლის კვალი შემორჩენილია შესასვლელის ზემოთაც.

მ. აბაშიძე.

057. ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის მიდამოებში. თარიღდება შუა საუკუნეებით. ეკლ. დარბაზულია, ნაგები იყო უხეშად დამუშავებული ქვით კირის ხსნარზე. შენობა თითქმის მთლიანად დანგრეულია – კედლები შემორჩენილია სხვადასხვა სიმაღლეზე. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის ღერძზე შემორჩენილია სარკმლის კვალი. აფსიდი დარბაზისგან გამოყოფილია მხრებით. შემორჩენილია კანკელის ფრაგმენტები.

მ. აბაშიძე.

058. ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სასაფლაოზე. დანგრეულია. შემორჩენილი სამხრ-ისა და ჩრდ. კედლების ფრაგმენტების სიმ. 1,5 მ-ია. ეკლ. ნაგები იყო მოზრდილი ზომის რიყის ქვითა და ნატეხი ქვით.

მ. აბაშიძე.

059. ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-აღმ-ით. თარიღდება შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია (7,5×4,7 მ). ნაგები იყო უხეშად თლილი ქვით კირის ხსნარზე. დანგრეულია – კედლები შემორჩენილია 1-1,5 მ-ის სიმაღლეზე. შესასვლელი დას-იდან ჰქონია. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის ღერძზე ფართო სარკმელია გაჭრილი. აფსიდის იატაკი, დარბაზის იატაკის მიმართ, ერთი საფეხურით მაღალია. აფსიდის მხრების ხაზზე შეინიშნება კანკელის კვალი.

მ. აბაშიძე.

060. თავწმინდა გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით 2 კმ-ზე, მდ-ების ავანისხევსა

და ქვაწერისწყლის შესართავთან, ტყიანი მთის კლდოვან კონცხზე, გალავნით (ძლიერ დაზიანებულია) შემოზღუდულ ეზოში, განეკუთვნება IX-X სს-ს. ეკლესიის ეზო ადგილის ტოპოგრაფიის შესაბამისად სამხრ.-ჩრდ.-ის მიმართულებითაა წაგრძელებული და სამი მხრიდან შემოსაზღვრულია ციცაბო ფერდობებით. ერთადერთი საცალფეხო გზა ძეგლს სამხრ.-დან ადგება. როგორც ჩანს, შესასვლელი გალავანს ამ მხრიდან ჰქონდა მოწყობილი. ეკლესიის ჩრდ-ით, 5 მ მანძილზე, დგას სწორკუთხა კოშკი.

ეკლ. დარბაზულია (11,8×6,9 მ). სამხრ. მხრიდან მას მთელ სიგრძეზე გვიანდ. მინაშენი (სიგ. 3,5 მ) ეკვრის. მეორე მინაშენი ეკლესიას ჩრდ-იდანაც ჰქონია. იგი ამჟამად თითქმის მთლიანად დანგრეულია და გასუფთავების გარეშე გეგმის კონტურის დადგენა არ ხერხდება.



060. გეგმა. 1 ეკლესია, 2 კოშკი

ეკლ. ნაგებია სხვადასხვა ზომის ნატეხი ქვით. აქვს სამი შესასვლელი: სამხრ-ით, დას-ით და ჩრდ-ით (ამჟამად დას-ის და ჩრდ-ისა ამოქოლილია). ხუროთმოძღვრული მათგანი მთლიანად მხოლოდ ჩრდ. შესასვლელადაა გადარჩენილი. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-შიც ვიწრო, შიგნიდან თაღოვანი, გარედან სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. ერთი სარკმელი დას. კედელშია, ორი კი – სამხრ-ისაში. მოგვიანებით (მინაშენის მშენებლობისას) სამხრ. სარკმლები დაიფარა, რის გამოც ახ. სარკმლები, მეორე იარუსად მოათავსეს განახლებულ კამარაში. ამჟამად ორივე ეს სარკმელი შიფვრის სახურავითაა დაფარული. აფსიდი დარბაზის იატაკის მიმართ, რამდენადმე (დაახლ. 0,3 მ-ით) შემაღლებულია და მთელ სიგრძეზე საფეხური გასდევდა (შემორჩენილია სამხრ. ნაწილი). აფსიდში ორი მაღალი, თაღოვანი ნიშაა. მათ შორის სამხრ. ნიშის ზემოთ, დამატებით, ერთი მცირე ნიშა-სამალავია მოწყობილი. სარკმლის ქვემოთ, კედელზე, ტრაპეზია მიდგმული. საკურთხევლის სივრცე დარბაზისგან გამოყოფილია გვიანდ. კანკელით, რ-ის შუაში მოწყობილია აღსავლის კარი.

ეკლესიის გრძივ კედლებზე ორ-ორი მარტივი პილასტრია, რებსაც ეყრდნობოდა კამარის საბჯენი თაღები. მოგვიანებით აღდგენილი კამარა საბჯენი თაღების გარეშეა და უშუალოდ ეყრდნობა გრძივ კედლებს. ეკლესიის დარბაზს, მთელ პერიმეტრზე, გასდევდა საფეხური.

ეკლესიის ინტერიერი კამარის აღდგენის დროს შეულესავთ და მოუხატავთ. მ ო ხ ა ტ უ ლ ო ბ ა ფრაგმენტულადაა შემორჩენილი საკურთხეველში, დარბაზის ჩრდ. და დას. კედლებზე. აფსიდის კონქში შემორჩენილ მხატვრობის ფრაგმენტებში შეიმჩნევა ტახტზე მჯდომი ფიგურა (ღვთისმშობელი ყრმით?) და ორი მთავარანგელოზი. ქვემოთ, ჩრდ-ით, ეკლესიის მამათა რიგის ფრაგმენტია. დარბაზში, ჩრდ. კედლის სამ რეგისტრად დაყოფილ მოხატულობიდან, შედარებით უკეთ

არის შემონახული პირველი რეგისტრის (კამარაში) კომპოზიციები. ალმ-იდან დას-ის მიმართულებით გამოსახულია: „ხარება“, „ლაზარეს აღდგინება“ და „ნათლისღება“. მეორე რეგისტრში, კედლის ალმ. მონაკვეთში, ჩანს ქრისტესა და ახალგაზრდა მამაკაცის თავები. ქვემოთ – კედლის შუა ნაწილში – ცხენზე ამხედრებული წმ. გიორგის ფრაგმენტი. დას. კედლის ჩრდ. მონაკვეთში, ქვემოთ, მოცემულია „ჯვარცმა“, აქვე გაირჩევა ასომთ. წარწერის ნაშთებიც. მოხატულობის კოლორიტი აგებულია თბილი, მოწითალო-ყავისფერი, თეთრი და ნაცრისფერი ფერების შეხამებაზე. ფერადოვანი ზედაპირის დამუშავება და გამოსახულებათა ნახატი გამარტივებული ხასიათისაა. მხატვრობა წარმოადგენს ე.წ. „ხალხური“ ნაკადის ნიმუშს და გვიანდ. შუა საუკუნეებს განეკუთვნება.



060. ეკლესია, განივი ჭრილი, ხედი ალმ-კენ

ეკლესიის სამხრ. მინაშენი ალმ-ით დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით. სამხრ-ით კი ორ სწორკუთხა ბურჯზე დაყრდნობილი სამმალიანი თაღედითაა გახსნილი. მინაშენის ალმ. კედელში, თაღოვანი სარკმლის ქვემოთ, ორფერდა სახურავით გადახურული ნაგებობის (ნიში?) ნაშთია, რ-ის სილუეტი ალმ. ფასადზე მთლიანად იკითხება. მინაშენი გადახურული [illegible] დამრეცი კამარით, რ-ის [illegible] ნაწილები ეკლესიის სამხრ. კედელზეა შემორჩენილი.

ეკლესიის სამხრ. ფასადის დას. კიდესთან შემორჩენილია არაწესიერი ფორმის ქვა, რ-ზედაც ეკლესიის თანადროული, ასომთავრულით შესრულებული, დაქარაგმებული, ოთხსტრიქონიანი წარწერაა: უ(ფალ)ო, შ(ეიწყალ)ენ ს(უ)ლ(ი)თა გ(იორგ)ი დღესა მ(ა)ს გ(ა)ნკითხვ(ისას)ა.

ფასადები სადაა, მოკლებულია მორთულობას. ეკლესიის ჩრდ. ფასადზე შემორჩენილია მოგვიანებით ნაწყობი, თაროსებრი ლავგარდნის რამდენიმე ქვა.



060. ეკლესია, ალმ. ფასადი



060. კოშკი, ჭრილი, ხედი დას-კენ

კოშკი ეკლესიის თანადროულია. ნაგებია მოზრდილი ზომის ნატეხი ქვით. დაზიანებულია: შემორჩენილია სამი სართული. ჩანგრეულია სართულშუა გადახურვა, რ-იც, კედლებში არსებული ბუდეების მიხედვით, ხის ძელებზე იყო გამართული. შესასვლელი მეორე სართულზე, ალმ. კედელშია გაჭრილი. პირველი სართულის კედლები ყრუა. მეორე სართულის დას. კედელში მაღალი, თაღოვანი ნიშაა, რ-შიც საისრე



060. კოშკი, აღმ. ფასადი

სვრელობია მოწყობილი. მესამე სართულის თითოეულ კედელში ორი საისრეა.

ფ. დეკანოზიშვილი, თ. დვალი.

ბიბლ.: 229.

061. თუშის ციხე, კ ო შ კ ი, არქიტ.-არქეოლ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, მდ. ავანისხევის მარჯვ. ნაპირას. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს. სავარაუდოდ, სახელი შეერქვა თუში მეცხვარეების გამო, რ-ებიც ციხეს ახლაც იყენებენ ცხვრის სადგომად.

თავდაპირველად ამ ადგილას მდგარა ჰატარა დარბაზული ეკლ., რ-ისთვისაც მოგვიანებით, გარედან, სქელი კედლები მიუშენებიათ და სათავდაცვო კოშკად გადაუკეთებიათ. კოშკი ორსართულიანია, შემორჩენილია 5 მ-ის სიმაღლეზე. ნაგებია ნატეხი ქვითა და კირის ხსნარით. ძ. დაზიანებულია: ჩამონგრეულია სახურავი, კედლები დაბზარულია, დაზიანებულია გარეთა კედლების მნიშვნელოვანი ნაწილი.

ნაგებობა გეგმით სწორკუთხაა, გარედან კუთხეებმოშრგვალებული (8,8×7,4 მ). შესასვლელი სამხრ-იდანაა. აღმ-ის და დას-ის კედლებში თითო ნიშაა, სამხრ. და ჩრდ. კედლებზე – თითო პილასტრი, რ-ებსაც ეკრდნობა ყალიბით გამოყვანილი შეისრული თაღი. სამხრ. და აღმ. კედლებში სათოფურებია გაჭრილი. დას. კედლის ასწვრივ, ჭერში – ბანზე გასასვლელი, ხოლო ჩრდ. კედლის თავზე ორი ხვრელია.

ციხეს ქვის კედლით შემოღობილი პატარა ეზო აქვს. ეზოში და ციხის ირგვლივ 1969 წ. არქეოლ. გათხრები ჩაატარა საქართვ. სახელმწ. მუზეუმის არქეოლ. ექსპედიციამ (ხელმძღვ. ლ. ჭილაშვილი). ეზოში აღმოჩნდა სქელკედლიანი, მიმწვანო-მოყვითალოდ მოჭიქული, ხაზოვანი ორნამენტით შემკული, დიდი ზომის ჯამის ძირის ნატეხები.

თუშის ციხის ირგვლივ, მის ზედაპირზე, მიმობნეულია დანგრეული ნაგებობების (ჭულბაქ-ფუნდუკები?) ქვები, მათ შორის, თლილიც. სადაზვერვო შურფის გათხრით გამოვლინდა კულტ. ფენა (სისქე – 0,4-0,5 მ). აღმოჩნდა რამდენიმე ქვევრის ნაშთი, მარნის ნაწილი სამი ქვევრით და ნასახლართა ქვის ყორეები.

ლ. მოწონელიძე.

ბიბლ.: 233.

062. კვირაცხოვლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის მახლობლად. თარიღდება XVIII ს-ით.

ეკლ. დარბაზულია. ნაგებია აგურით. დაზიანებულია: ნანგრევულია კამარა, მორღვეულია კედლების ზედა ნაწილი. შესასვლელი ორია – სამხრ-იდან და დას-იდან. ეკლ. უაფსიდოა, აღმ-ით დასრულებულია სწორი კედლით, რ-ის შუაში სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი (ამჟამად ამოშენებულია). მსგავსი, ერთმანეთის მიმართ სიმეტრიულად განლაგებული სარკმლები, ჩრდ. და სამხრ. კედლებშიცაა. სარკმლებს აგურით გამოყვანილი თაღები შემოუყვება. საკურთხევლის დარბაზისგან გამოყოფილია მარტივი პილასტრების წყვილით, რ-თა გარდა, გრძივ კედლებზე კიდევ ორ-ორი პილასტრია.

ეკლესიას დას-იდან მიშენებული ჰქონდა აგურით ნაშენი კარიბჭე (შემორჩენილია მკირე ნაწილი), რ-საც კაშარიანი გადახურვა ჰქონია.

ეკლესიის შემორჩენილი კედლები გარედანაა შეტენილი ქვიშა-კირის ხსნარით. ნაგებობის ინტერიერის ნაწერებულია ორსაფენებრივი პილასტრებით და მათ შორის მოქცეული სწორკუთხა არეებით.

ქ. გაორგობიანი.

063. კოპალეს წმ. გიორგი, ს ა მ ლ ო ც ვ ე ლ ო, არქიტ. ძ. მდებარეობს კოპალეს წოდებულ ადგილზე (ძვ. გავაზის ტერიტ.). თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ნაგებობა გეგმით სწორკუთხაა, ნაგებია რიყის მოზრდილი ქვებით კირის ხსნარზე. ეკლ. უაფსიდოა, აღმ-ით დასრულებულია სწორი კედლით, რ-შიც თალოვანი სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ირგვლივ შემორჩენილია მ ო ხ ა ტ უ ლ ო ბ ი ს ფრაგმენტები. დას. მხარე გახსნილია. სამხრ-ით კი კარია, რ-იც გაურკვეველი დანიშნულების სათავსში (დანგრეულია) გადის.

შენობას დას. მხრიდან ეკრის მოზრდილი, ძლიერ დაზიანებული საწნახელი.

ბ. კუპრეიშვილი.

064. კოშკი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის მახლობლად, ბაბაშვილების ვენახში.

კოშკი სათავდაცვოა, გეგმით სწორკუთხა. დანგრეულია. შემორჩენილია მხოლოდ აღმ. და ჩრდ. კედლის ფრაგმენტები. ჩრდ. კედელში, ნანს შესასვლელის კვალი.

მ. აბაშიძე.

065. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფელში, ეკლესიის ტერიტორიაზე. თარიღდება X-XIV სს-ით.

სამარხები შეღებულია ქიშა-ქვით ნაგები ქვაყუთებისგან; ზოგიერთის კედელი ერთი მთლიანი ქვისაა. მიცვალებულები დაკრძალულნი არიან ზურგზე, თავით დასავლეთ. რიგი სამარხებისა კოლექტიურია (3–5 მიცვალებული). დასტურდება მეორადი დაკრძალვაც. სამარხები ძირითადად უინვენტაროა. სამაროვანზე აღმოჩნდა მი-

ნის სადა და გრეხილლეროიანი სამაჯურები და მათი ნატეხები; მინის ინკრუსტირებული და სარდიონის მძივი; ფაიანსის მედალიონი; თიხის მოჭიქული ჭურჭლის ნატეხები, სამკურა ბალახის მოყვანილობის ტუნიანი დოქი, ჯამი, მთლიანი, ნაიდნისებრი ხელადა, ვერცხლის ჯვარი, რ-ზეც ჯვარცმაა გამოსახული; ორი გახვრეტილი, საკიდებად გამოყენებული მონეტა.

ა. ნუცუბიძე

ბიბლ.: 225.

066. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის მახლობლად, ვ. ლომიძის ვენახში. თარიღდება VI-VII სს-ით. აღმოჩნდა მიწის დამუშავების დროს. გამოჭრილნდა ქვის ფილებით შედგენილი სამარხი ინვენტარით (ბრინჯაოს აბზინდა, ბალთა და მინის მძივები).

გ. რჩეულიშვილი.

ბიბლ.: 236.

067. სამების ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს ყვარელ-ლაგოდეხის სამანქანო გზის პირას, 15 მ-ში.

ეკლ. დარბაზულია, აღმ-ით აქვს შტრილი, სწორკუთხა საკურთხეველი, რ-იც დარბაზისგან განიერი მხრებითაა გამოყოფილი (შიგნითა ზომები: სიგრ. – 11,1 მ, სიგ. – 5,2 მ). ნაგებია უხეშად დამუშავებული ქვით კირის ხსნარზე. დანგრეულია – კედლები შემორჩენილია 0,5-1 მ სიმაღლეზე. შესასვლელი სამხრ-იდან და დას-იდან ჰქონდა. საკურთხეველი დარბაზის იატაკის მიმართ, ერთი საფეხურით მაღალია.

ბ. კუპრეიშვილი.

068. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ, დგას სოფლის განაპირას. განკუთვნება VIII-IX სს. მოგვიანებით გადაუკეთებიათ.

ეკლ. დარბაზულია (7,9×4,5 მ). ნაგებია რიყის ქვით და აგურით. აქვს სამი შესასვლელი – დას-ით, სამხრ-ით და ჩრდ-ით. მათგან ბოლო ორი ამოშენებულია. აღმ-ით ნალისებრი აფსიდია, რ-ის ღერძზე გაჭრილია ვიწრო, სწორკუთხა სარკმელი. თითო მსგავსი სარკმელი სამხრ. და დას. კედლებშიცაა. აფსიდში, სარკმლის სამხრ-ით, ერთი სწორკუთხა ნაშა-



068. გეგმა

ეკლესიას სამხრ-ით, მთელ სიგრძეზე, ეკვრის გეგმით სწორკუთხა (სიგ. – 4,65 მ), ნალისებრაფსიდიანი მინაშენი, რ-იც სამხრ-ით მრგვალ სვეტზე დაყრდნობილი ორი ვიწრო თაღით (ამოშენებულია) იყო გახსნილი მოგვიანებით სამხრ. კედლის შუაში განიერი, სწორკუთხა შესასვლელის მიუწვდით. ერთი მსგავსი კარი დას. კედელშიცაა, რ-ითაც მინაშენი მასზე დას-იდან მიდგმულ სათავსს (შემორჩენილია კედლების ნაშთები) უკავშირდებოდა. მინაშენის ჩრდ. კედელში გამოყვანილია ორ სწორკუთხა ბოძზე დაყრდნობილი სამი სხვადასხვა სიგანის თაღი, მათგან შუა თაღის გვერდები ეკლესიის შესასვლელის წირთხლებთან ერთ სიბრტყეშია.

ქ. გოლუბიანი.

069. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფელში. განეკუთვნება VI ს.

ეკლ. ტეტრაკონქის ტიპისაა (13×13 მ). ნაგებია რიყის ქვით. VIII-IX სს-ისაა გუმბათის ყელი და



069. გეგმა

ტაძრის გარშემოსავლელი (აღმ. აფსიდის სამხრ. ნაწილიდან ჩრდ. აფსიდის დასაწყისამდე). შეკეთება-გადაკეთებით ძ. მნიშვნელოვნადაა სახეშეცვლილი. ეკლესიის სამხრ. შესასვლელთან ჩასმულ მოწითალო ქვაზე არსებული წარწერის თანახმად, 1852 წ. ძვ. ეკლ. შეუკეთებია თავად ივანე ამილახვარს.

XX ს-ის დასაწყისში ძ. კვლავ გაურემონტებიათ, სხვადასხვა დროს გარედან შეულესავთ და შეუთეთრებიათ.

1985-87 წწ. ძეგლზე სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაატარა სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნომ (რესტავრაციის პროექტის ავტორი, არქიტ. გ. ნიკოლაძე). ეკლესიის კედლებზე მოიხსნა გვიანდ. ნალესობა, თავდაპირველი სახით აღდგა საკურთხევლის და ჩრდ. აფსიდების მოგვიანებით გაფართოებული სარკმლები, მოიხსნა XX ს-ის დასაწყისში შიგნით აქა-იქ ნაშენებული კედლები და თუნუქის სახურავი, ეკლ. გადაიხურა კრამიტით.

2008 წ. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ ძეგლზე ჩაატარა მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები. მოიხსნა კრამიტის სახურავი და მის ქვეშ არსებული ცემენტის ხსნარის ფენა; სახურავზე დაიგო დარისებრი კრამიტი.



069. ჭრილი, ხედი სამხრ-კენ

შენობას ორი შესასვლელი აქვს, დას-იდან და სამხრ-იდან. ორივე კარი შესაბამისი აფსიდების ღერძებზეა გაჭრილი და ნალისებრი თაღი ხურავს.

ცენტრალურ გუმბათქვეშა კვადრატს ყოველი მხრიდან ეკვრის ღრმა, შიგნიდან ნალისებრი, ხოლო გარედან ნახევარწრიული აფსიდი. აფსიდის კონქებს არასწორი მომრგვალება აქვს. თვით კონქის თაღები და გუმბათქვეშა თაღები კი ნალისებრია და იმპოსტებს ემყარება. შიგნით აფსიდთა შეერთების კუთხეები გამაგრებულია ნახევარწრიული მოცულობებით, რ-ებიც კუთხეებს თაღების ქუსლებამდე აუყვება. მოცულობები ქვემოთკენ ოდნავ ფართოვდება და სწორკუთხა ფორმას იღებს.

საკურთხეველსა და დას. აფსიდეებში კონქის ქუსლები ერთიანი შეყრილი ლილვით იყო გამოყოფილი. სამხრ. და ჩრდ. აფსიდებში აღმ. მხრიდან გაჭრილია თითო კარი. სამხრ. კარი ამჟამად გადის გარშემოსავლელის აღმ. კიდეში მოწყობილ აფსიდიან სადგომში. ჩრდ. აფსიდში მდებარე კარი კი მოგვიანებით ამოუშენებიათ და შიგნიდან ნიშა მოუწყვიათ.

ტაძრის რვაწახნაგა გუმბათის ყელში სამი სარკმელია გაჭრილი: აღმ-ით, დას-ით და სამხრ-ით. გუმ-



069. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

ბათქაშა კვადრატიდან გუმბათის ყელის წრიულ საფუძველზე გადასვლა თავდაპირველად განხორციელებული იყო გუმბათქვეშა კვადრატის ოთხივე კუთხეში მოწყობილი ტრომპებით, რ-ებიც მოგვიანებით შეულესავთ და აფრების ფორმა მიუციათ. გუმბათის ყელის საფუძველს ეყრება სწორკუთხა ფორმის შეერილი.

გარშემოსავლელი შეკეთება-გადაკეთებებით მნიშვნელოვნადაა სახეშეცვლილი. თავდაპირველად იგი გარეთკენ მასიურ სვეტებზე დაყრდნობილი თაღებით იყო გახსნილი. გარშემოსავლელის სამხრ.-აღმ. ნაწილში ორი მცირე ზომის, აფსიდიანი სათავსია. აღმ. სადგომში შესასვლელი ეკლესიის სამხრ. აფსიდიდანაა. სამხრ. სადგომში კი – დას-იდან, გარშემოსავლელიდან. აღმ. სადგომს ნალისებრი აფსიდი აქვს, რ-ის ღერძზე გაჭრილია მცირე სარკმელი. მეორე სათავსის აფსიდი კი ნახევარწრიულია. ამ აფსიდშიც ერთ მცირე სარკმელია. ორივე აფსიდის კონქის თაღი ნალისებრია, მათი იმპოსტები კი – მარტივპროფილიანი (თარო და შეზნექილი სიბრტყე). ეკლესიის დას. შესასვლელის წინ, გარშემოსავლელის ცილინდრულ კამარას კვეთს პერპენდიკულარულად მდებარე კოლოფა კამარა, რ-იც ემყარება ორ საბჯენ თაღს.

გარშემოსავლელის მხრიდან, სამხრ. და დას. აფსიდთა შეერთების ადგილას (კუთხეში) აღმართულია სვეტი, რ-საც კედლის მიმდებარე ორი თაღი ემყარება. მათ ზემოთ იწყება გარშემოსავლელის კამარა, რ-საც ელიფსური საფუძველი აქვს და გადადის ნახევარწრეში. კამარა სხმულია. ამგვარი კონსტრუქცია მოწყობილი ყოფილა ჩრდ. და დას. აფსიდთა შეერთების ადგილზეც. გარშემოსავლელის კამარა ეკლესიის მხარეს ემყარება მრგვალ და სწორკუთხა ბურჯებზე გადაყვანილი ნალისებრი ფორმის თაღებით შექმნილ საერდენს.

გარედან კედლები და გუმბათის ყელი დასრულებულია თაროსებრი, ორსაფეხუროვანი ლაგარდნით.

ტაძრის ეზოში 1971 წ. საქართვ. სახელმწ. მუზეუმის არქეოლ. ექსპედიციამ (ხელმძღვ. ლ. ჭილაშვილი) გათხარა 35 სამარხი, სადაც გამოვლინდა X-XVIII სს-ების არქეოლ. ნიეთები.

თ. დვალი.

ბიბლ.: 26; 215; 223; 229; 335.

070. წმ. ბარბარეს ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის აღმ-ით 1 კმ-ზე, მდ. ავანისხევის მარცხ. ნაპირას, მთაზე. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია (8,2×6,5 მ). ნაგებია სხვადასხვა ზომის ნატეხი ქვითა და რიყის ქვით. კარ-სარკმლები და აფსიდის კუთხეები გამოყვანილია აგურით. დაზიანებულია: ჩაქცეულია კამარა და კონქის მნიშვნელოვანი ნაწილი, დანგრეულია კედლების ზედა ნაწილები. შემორჩენილ კედლებს გარეთა მოპირკეთება დიდ ფართობზე ჩამოშლილი აქვს.



070. გრძივი ჭრილი, ხედი ჩრდ-კენ. გეგმა

შესასვლელი დას-ითაა. კარი გარედან თაღოვანია, შიგნიდან კი თარაზულადაა გადახურული. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-შიც სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. სარკმელს ჩრდ. გვერდი და გადახურვის მცირე ნაწილი ჩამორჩა. თითო სარკმლის ქვეშ და ნაწილია შემორჩენილი ჩრდ. და სამხრ. კედლებშიც.

აფსიდი გადახურული იყო სხმული კონქით (შემორჩენილია ჩრდ-ის ნაწილი). შიგნით კედლები შელესილი ყოფილა.

თ. დვალი.

071. წმ. ელიას ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის დას-ით, 4 კმ-ზე. ელიანთ გორაზე.

ეკლ. დარბაზული ყოფილა. ნაგები იყო ნატეხი ქვითა და რიყის ქვით. დანგრეულია. აღმ-ით ჩანს აფსიდის კვალი.

ბ. კუპრეიშვილი.

ბალღოჯიანი

(საკრებულოს ცენტრი)

072. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ცენტრალურ ნაწილში, ბოჭორიშვილის კარმიდამოში. თარიღდება ძვ. წ. III-I სს. სამაროვნის ქვევრსამარხებში დადასტურდა სამკუჭა დოქები და ბრინჯაოს სამაჯურები.

ქ. ანდრონიკაშვილი.

გავაზი

(საკრებულოს ცენტრი)

073. კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფელში, გულოშვილის ეზოში. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს. კოშკი გეგმით სწორკუთხაა, შემორჩენილია სართულნახევრის სიმაღლეზე. შენობის პირველი სართულის კედლები ნაგებია მცირე ზომის რიყის ქვის ირეგულარული წყობით. კედლების ზედა ნაწილებიც რიყის ქვისაა, რ-ებიც დაწყობილია თარაზულ რიგებად. შესასვლელი პირველ სართულზეა, სამხრ-იდან. სართულის დანარჩენი კედლები ცრუა. სართულშუა გადახურვა გამართული ყოფილა ხის ძელებზე. შემორჩენილია კოჭების საყრდენი ბუდეები.

მ. აბაშიძე.

074. კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფელში, იმედიანთ უბანში. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

კოშკი სათავდაცვოა, გეგმით თითქმის კვადრ. (5,4×5,2 მ). ნაგებია რიყის ქვით კირის ხსნარზე. დაზიანებულია: შემორჩენილია სამი სართულის სიმაღლეზე. ნაქცეულია სართულშუა გადახურვები – შემორჩენილია კოჭების ბუდეები. პირველი სართული ამოვსებულია მიწით. მეორე სართულზე, ჩრდ. კედლის შუაში, შესასვლელის კვალია. აღმ. კედელში მოწყობილია გეგმით ნახევარწრიული ბუხარი, რ-ის ორივე მხარეს ორმაგი სათოფურებია გაჭრილი. სართულის დანარჩენ კედლებში ორ-ორი სათოფურია. სათოფურები კოშკის დანარჩენ სართულებზეცაა.

მ. აბაშიძე.

075. კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, ხაბეიშვილის ეზოში, განკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს. კოშკი სათავდაცვოა, გეგმით სწორკუთხა (5,3×4,5 მ). ნაგებია რიყის და ნატეხი ქვით კირის ხსნარზე. დაზიანებულია: შემორჩენილია სამი სართულის სიმაღლეზე (მეოთხე სართულის



075. II სართულის გეგმა

კედლები – ფრაგმენტულად). ნაქცეულია სართულშუა გადახურვები. კედლებზე ჩანს კოჭების ბუდეები. პირველი სართული ამოვსებულია მიწით. შეისრულთაღიანი შესასვლელი აღმ-ით, მეორე სართულზეა. ჩრდ. კედელში ჩანს ბუხრის კვალი. სართულის ოთხივე კედელში ორ-ორი სათოფურია. სათოფურები დანარჩენ სართულებზეცაა.

ბ. კუპრეიშვილი.

076. ყარაჯაანთ ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის აღმ-ით, 6 კმ-ზე, მდინარეების ალაზნისა და ავანისხევის შესართავთან. განკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (8,9×4 მ), რ-საც დას-იდან, მთელ სიგანეზე, თანადროული, ორსართულიანი სამრეკლო ეკვრის. შენობა ნაგებია სხვადასხვა ზომის ნატეხი ქვით. გამოყენებულია აგურიც.

შესასვლელი ეკლესიას დას-



076. გეგმა

იდან აქვს, სამრეკლოს პირველი სართულიდან. კარი გარედან სწორკუთხაა, შიგნიდან – თაღოვანი. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-იც დარბაზისგან ერთსაფეხურიანი პილასტრებითა და მათზე დაყრდნობილი ოდნავ შეისრული თაღითაა გამოყოფილი. აფსიდის ღერძზე შეისრულთაღოვანი სარკმელია, რ-ის ორსავე მხარეს თითო ოთხკუთხა ნიშაა. მსგავსი სარკმელი სამხრ-ით, ჩრდ-ით და დას-ითაცაა. აფსიდი დასრულებულია მთლიანად აგურით ნაწყობი კონქით. აფსიდში შეინიშნება მოხატულობის კვალი.

შიგნით ეკლ. გადახურულია ქარგილზე სხმული, ოდნავ შეისრული კამარით.

ეკლესიის კედლები გარედან დასრულებულია აგურით გამოყვანილი ლავგარდნით. ეკლ. გადახურულია ფიქლით.

სამრეკლოს შესასვლელი დას-იდან აქვს. გარედან შესასვლელის ორივე მხარეს, წყობაში, ნადგმულია თითო სწორკუთხა, მოგრძო ქვა, რ-ებზეც ორსტრიქონიანი წარწერის ნაშთებია შემორჩენილი. სამრეკლოს პირველ სართულს კამაროვანი გადახურვა აქვს.



076. სამრეკლო, II სართულის გეგმა

მეორე სართული კი რვაწახნაგოვანი, თაღებით გახსნილი ფანჩატურია, რ-იც აგურით ნაწყობი, პირამიდული სახურავითაა გადახურული.

კ. გიორგობიანი.

077. ყველაწმიდა, ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სასაფლაოზე. თარიღდება XIX ს-ით.

ეკლ. დარბაზულია, ნაგებია ნატეხი ქვით კირის ხსნარზე. დაზიანებულია: ჩამონგრეულია გადახურვა, დანგრეულია კედლების ზედა ნაწილები, იმდენად, რომ სარკმლების კვალი აღარ ჩანს. თაღოვანი შესასვლელი დას-იდანაა. კარის წირთხლები აგურისაა.

ეკლ. უაფსიდოა და აღმ-ით სწორი კედლითაა დასრულებული. საკურთხეველი დარბაზიდან არ არის გამოყოფილი.

ბ. კუპრეიშვილი.

078. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია (8,5×5,6 მ). ნაგებია რიყის და ნატეხი ქვით, კირის ხსნარზე. დაზიანებულია: ჩამონგრეულია კამარა და კედლების დიდი ნაწილი. შესასვლელი სამხრ-იდანაა.

აღმ-ით ოდნავ ნალისებრი ღრმა აფსიდია, რ-ის ღერძზე გაჭრილია სწორკუთხა სარკმელი. სარკმლის ჩრდ-ით ორი ოთხკუთხა, სამხრ-ით კი ერთი თაღოვანი



078. გრემი

ნიშაა მოწყობილი. აფსიდი გადახურულია კონქით, რ-ის თაღი ოდნავ შეისრულია.

ბ. კუპრეიშვილი.

გრემი

(ნაქალაქარი)

079. გრემი, ისტ., არქეოლ., არქიტ. ძ. XV-XVI სს-ში კახეთის ერთერთი საეკლ.-ეკონ. და კულტ.-ცენტრი. მდებარეობს ყვარლიდან 16, ხოლო თელავიდან 19 კმ-ზე, მდ. ინწობის (ალაზნის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირას.

ისტ. წყაროების მიხედვით გრემის ტერიტორიაზე მოსახლეობა გვიანდ. ბრინჯაოს ხანაში უნდა გაჩენილიყო. აქედან მოყოლებული იგი მნიშვნელოვან სამოსახლო პუნქტს წარმოადგენდა. ქალაქის დაარსება დაკავშირებულია იმ განსაკუთრებულ პოლიტ.-მდგომარეობასთან, რ-იც შეიქმნა XV-XVI სს-ებში, მაშინ, როცა ერთიანი ფეოდ. საქართველოს დაშლის შედეგად წარმოშობილი კახეთის სამეფო მნიშვნელოვნად დაწინაურდა. კახეთის ეკონ. აღმავლობის პოლიტ. პირობები განსაკუთრებით ხელსაყრელი შეიქმნა მას შემდეგ, როცა კახეთის მეფე ალექსანდრე I უომრად მოურიგდა სეფიანების ახლად შექმნილ სახელმწიფოს და მისი ვასალი გახდა. კახეთში გარკვეული დროით მშვიდობიანობა დამყარდა. ამ მხრის ეკონ. დაწინაურებას ხელი შეუწყო აგრ. ამოერკვევისის გზებთან (ვილან-შემახია-ასტრახანის, ე წ. „აბრეშუმის გზა“) სიახლოვემ.

სოფლის მეურნეობის, ხელოსნური წარმოებისა და ვაჭრობის განვითარების შედეგად XV-XVI სს. კახეთში აღმოცენდა ახ. ქალაქები, რ-ებიც ვაჭრობა-ხელოსნობის მნიშვნელოვან ცენტრებს წარმოადგენდნენ. მათ შორის იყო გრემიც, რ-იც 1466 წ. ახლად გამოყოფილი კახეთის სამეფოს პოლიტ.-ადმ. ცენტრი ხდება. აქედან მოყოლებული, ვიდრე XVII ს. 70-იან წლებამდე (1665 წ. არხილმა კახეთის დედაქალაქი თელავში გადაიტანა), გრემი კახეთის სამეფოს დედაქალაქი იყო.

ივანე ჯავახიშვილის აზრით ქალაქის შენება ანუ დაბის ქალაქად ქცევა, მარტო სტიქიური და ბუნებრივი, თანდათანობითი ზრდის შედეგი კი არ იყო, არამედ, შესაძლოა, ქალაქი ერთდროულადაც მთავრობის განკარგულებით – მეფის ბრძანებითაც ყოფილიყო შექმნილი.

გიორგი VIII-ემ კახეთში ფეოდ. ომების მოკიდება და გამაგრება, სავარაუდოდ, დაიწყო ცენტრის შერჩევით. ასეთ ცენტრად მან გრემი ჩათვალა.

გრემის ისტორიიდან მცირე ცნობებია შემონახული. კახეთის მეფე ალექსანდრე II-ის შვილი კონსტანტინე, რ-იც შაჰ-აბასის ქარზე იზრდებოდა, შაჰმა ჯარით კახეთში გამოისტუმრა და დაავალა მოეკლა მამა და ტახტი თვითონ დაეკავებინა. გამაჰმადიანებულმა კონსტანტინემ მუხანათურად მოკლა მამა, ძმა, რუსთველი ეპისკოპოსი და მაჰმადიანური წესის მიხედვით თავისი რძლის – ქეთევანის ცოლად შერთვაც მოიწადინა. ქეთევან დედოფალმა მამისმკვლელის წინააღმდეგ აამხედრა კახეთი. კახელებმა მტერს სძლიეს, ხოლო მკვლელს სამაგიერო მიუზღვეს და გამარჯვება გრემში იზეიმეს.

კახეთის ეკონ. აღმავლობა შაჰ-აბასის ამაოხრებელი შემოსევების შედეგად (1614-1616) შეწყდა, ნანგრევებად იქცა გრემიც. „მიერით არის დაბა და არღარა ქალაქი“. გრემის დაცემაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, აგრეთვე დაწესებულ ფეოდალთა გამუდმებულმა შემოსევებმა.

XVIII ს. 50-იანი წლებიდან სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა სათავდაცვო ნაგებობათა მშენებლობა-განახლება ქართლ-კახეთში. ერეკლე II-ემ კახეთის სხვა მნიშვნელოვან ციტადელებთან ერთად განაახლა და შეაკეთა გრემის გალავანი. როგორც სამეფო ქალაქს, მას განაგებდა მეფის მოურავი. წყაროებიდან ირკვევა, რომ გრემში თავთავიანთი ყმა, ხელოსნები და ვაჭრები ჰყავდა სამეფო კარსა და ეკლ.-მონასტრებს (მცხეთის საკათალიკოსოს, დავით გარეჯისა და შუამთის მონასტრებს).

გრემის არქეოლ. გათხრები მიმდინარეობდა 1939-49 წწ. (ხელმძღვ. ა. მამულაშვილი) და 1963-67 წწ. (ხელმძღვ. პ. ზაქარაია). განათხარ მასალაში ჭარბობს თიხის წითელკეციანი საოჯახო ჭურჭელი, რ-იც, სავარაუდოდ, ადგილ. წარმოებისა უნდა იყოს. გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა (სპარსული და ჩინური კერამ.) აშკარად ადასტურებს ქალაქის საეკლ.-ეკონ. ურთიერთობას იმ დროის მოწინავე ცენტრებთან, რებსაც უკავშირდებოდა კეთილმოწყობილი გზებით. ერთ-ერთი ასეთი გზა გრემიდან გავაზის, ბაზარ-ბაგების, კახისა და შემახის გავლით ირანის ქალაქებისკენ მიემართებოდა. მაგრამ მთელი შუა საუკუნეების მანძილზე ვაჭრობის თავისუფალ განვითარებას მნიშვნელოვნად ბორკავდა ფეოდალურ საბაჟოთა სისტემა. სხვა მნიშვნელოვანი ქალაქების მსგავსად, ფეოდ. საბაჟო გრემშიც იყო.

გრემი წარმოადგენდა კახეთის მნიშვნელოვან კულტურის ცენტრსაც. აქ ამრავლებდნენ ძვ. ხელნაწერებს, რ-თაგან ცნობილია ანა დედოფლის გადაწერილი „ქართლის ცხოვრება“ (XV ს.), თინათინ დედოფლის თაოსნობით მომზადებული კრებული სვინაქსარი (1535 წ.) და სხვ. გრემში მწიგნობრულ-შემოქმედებითი საქმიანობა გაცხოველდა XVI ს. მიწურულიდან, როდესაც სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ დავით I, ქეთევან დედოფალი, მოგვიანებით – თეიმურაზ I.

გრემმა სულ რაღაც 150 წელი იარსება. ქალაქს ეკავა 50-მდე ჰა და შედგებოდა სამი ძირითადი

ნაწილისაგან: 1. მ თ ა ვ ა რ ა ნ - გ ე ლ ო ზ თ ა ე კ ლ ე ს ი ი ს კ ო მ პ ლ ე ქ ს ი, რ-შიც შედის: მთავარანგელოზთა ეკლ., სამხარ-თულიანი სასახლე, სამრეკლო და სამეურნეო ნაგებობანი, საწნახ-ლიანი მარანი, ლითონის მცირე ზომის ნივთების დასამზადებელი ქურა. ქალაქის ეს ნაწილი შემო-ზღუდული იყო კოშკებიანი გა-ლავნით. ჰქონდა ქვით ნაგები სა-დუმლო გასასვლელი მდ. ინ-წობისკენ. 2. მ ე ფ ე – დ ი დ ე - ბ უ ლ თ ა უ ბ ა ნ ი – მდებარე-ობდა ქალაქის ჩრდ.-აღმ. ნაწილში. მას 20 ჰა-ზე მეტი ტერიტ. ჰქონია დაკავებული. აქ განლაგებული იყო სამეფო სასახლეები, შადრევ-ნიანი შენობა, რეკუთხა კოშკი, აბანო და სხვ., 3. ს ა ვ ა ჭ რ ო უ ბ ა ნ ი, რ-ის ცენტრ. ნაგებობა იყო ქულბაქები (ბაზარი), რ-საც ესახლვრებოდა ჭარგასლა (სასტუმ-რო). ამავე უბანში მდებარეობდა აბანო, რ-იც ქალაქის მოსახლეო-ბისთვის და სტუმრებისათვის იყო განკუთვნილი. გარდა ამისა, ამ უბანში აგებული იყო რამდენიმე ეკლ. მათგან სამი ერთიმეორეზეა მიდგმული, დანარჩენები კი ცალ-ცალკე დგას.

ქალაქი საკმაოდ კეთილმოწყო-ბილი იყო. იგი ორი მხრიდან მარაგდებოდა წყლით. ერთი წყალ-სადენი მოემართებოდა მდ. ინწობის, ხოლო მეორე – მდ. ბოლითის მხრიდან, შემდეგ კი კერამ. მილე-ბით, ნაწილდებოდა ქალაქში. კერა-მიკული მილებისგან შედგენილი წყალსადენის ნაწილი მთლიანად დულაბშია ჩასმული, ნაწილი დუ-დაბის გარეშეა. კომუნ. დანიშნუ-ლების წყალი შემოდიოდა პატარა არხებით (სიგ. 1.2 მ, სიმ. 07-0.8 მ), რ-თა კედლები ნატეხი ქვით იყო ამოყვანილი, ხოლო დიდი არხით ქალაქის მიდამოები ირწყვებოდა.

ქალაქში იყო ექვსი აუზი, რ-თა უმეტესი ნაწილი სასახლეებ-თან იყო დაკავშირებული და მუდ-მივად მოქმედებდა.

საგარაუდოდ, გრემი არსე-ბობდა თეიმურაზის მეფობის და-მთავრებამდე (1648 წ.). მას შემდეგ იქცა, მახლობლად, ჩრდ.-აღმ-ით განსდა სოფ. გრემი.

1980-იან წლებში მთავარანგე-ლოზთა ეკლესიის კომპლექსზე და ნაქალაქარის რიგ ძეგლებზე სარესტ.-საკონსერვაციო სამუ-შაოები ჩაატარა სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნომ (რეს-ტავრაციის პროექტის ავტორები, არქიტ-ები: ნ. ბაკურაძე, ნ. ქანჩელი, ნ შელიაგა, რ. ცხადაძე).

1999 წ. გრემში აღდგა მამათა მონასტერი, ხოლო 2009 წ. გაიხსნა წმ. აბიბოს ნეკრესელის სახ. სა-სულიერო სემინარია.

2011 წ. ნაქალაქარის ტერი-ტორიაზე კვლავ ჩატარდა სარესტ-საკონსერვაციო სამუშაოები (პრო-ექტის ავტორები: მ. გელაშვილი, ბ. კოტეტიშვილი). მთავარანგე-ლოზთა ეკლ. და პალატი-სამრეკ-ლო გადაიხურა კრამიტით. აშენ-და ახ. საგამოფენო დარბაზი, კაფე მოეწყო ავტოსადგომი. გაკეთდა მთავარანგელოზთა კომპლექსის ტერიტორიის დამის განათება.

გ. აფრასიძე

ბიბლ.: 6; 48ა; 23; 30გ; 49; 51; 71; 72; 75; 79; 133; 134; 142; 168; 171; 172გ; 199გ; 207; 212; 229; 239; 259; 273; 290; 294; 310.

080. ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარე-ობს ნაქალაქარის სავაჭრო უბნის ჩრდ.-აღმ. განაპირას. თარიღდება XVI-XVII სს-ით.

ეკლ. დარბაზულია (6.2×4.2 მ, რ-საც გვერდებზე გვიანდ. მინა-შენები ეკვრის. მათგან სამხრ-ისა სიგრძით ეკლესიის ტოლი, ჩრდ-ისა – ოდნავ მოკლე. სამივე ნაგებია ნატეხი ქვის ირეგულა-რული წყობით. ალაგ-ალაგ გამოყე-ნებულია აგური.

ეკლესიას შესასვლელი და-იდან აქვს. კარი შეისრული თაღი-თაა გადახურული და გარედან სწორკუთხა შელრმავებაშია ჩას-მული. კარის ზემოთ თაღოვანი შელრმავებაა, ხოლო გვერდებზე – თითო სწორკუთხა ნიშა, რ-ებშიც თითო ხაჯარია ჩასმული.

ეკლესიის დარბაზი მოკლეა. აღმ-ით ნახევარწრეული აფსიდია, რ-ის ღერძზე თაღოვანი სარკმე-ლია გაჭრილი. აფსიდში ორი სწორკუთხა ნიშაა. თითო სწორ-კუთხა ნიშა გვერდის კედლებში-ცაა. დარბაზი გადახურულია შე-ისრული კამარით. მსგავსი ფორ-მისაა კონქის თაღიც.

სამხრ. მინაშენს შესასვლელი დას-იდან ჰქონია (შემორჩენილია სამხრ. წირთხლის ნაწილი). მინა-შენი გადახურული ყოფილა შე-ისრული კამარით, რ-ის დას. ნა-ხევარი დანგრეულია.

ჩრდ. მინაშენის შესასვლე-ლიც დას-იდანაა. კარი შეისრულ-თაღოვანია, გამოყვანილია აგურით. მინაშენი შიგნიდანაც სწორკუთ-ხაა, გადახურულია შეისრული კა-მარით, რ-ის სამხრ. ქუსლი ეკლე-



080. ხედი სამხრ.-დასავლეთიდან

ხიის კედელზე მიშენებულ ორ თაღს ეყრდნობა. აღმ. და ჩრდ. კედლებში თითო სწორკუთხა სარკმელია. აღმ. სარკმლის ქვემოთ დგას კუბური ტრაპეზი. ჩრდ. კედელში ერთი ნიშაა.

სამხრ. მინაშენის აღმ. ფასადი მორთული იყო ორი ხაჩკარით, რ-ებიც სარკმლის გვერდებზე მდებარე, მაღალ, სწორკუთხა ნიშებში იყო ჩასმული (შემორჩენილია მხოლოდ ჩრდ. ნიშაში). ეკლესიისა და მინაშენების კედლები დასრულებულია აგურის სამსაფეხურიანი ლავგარდნით. ორივე მინაშენი გადახურულია ცალფერდა სახურავით, რ-ებიც ეკლესიის სახურავის შესაბამისი კალთების გაგრძელებაზეა.

თ. დვალი.

ბიბლ.: 75; 229; 335.

081. ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს ნაქალაქარის სავაჭრო უბნის ჩრდ. განაპირას, მთის ფერდობზე. თარიღდება XV-XVI სს-ით.



081. გეგმა

ეკლ. გუმბათოვანია, რ-ის შიგნითა ჯვაროვანი გეგმა გარედან კვადრატშია (6×6 მ) ჩასმული. კედლები ძირითადად სხვადასხვა ზომის ნატეხი ქვის ირეგულარული წყობითაა ნაგები. გუმბათი და გუმბათქვეშა კვადრატი მთლიანად აგურისაა.

ეკლესიას შესასვლელი დასიდან აქვს. კარი შეისრული თაღითაა გადახურული. ჯვრის მკლავები საგრძნობლად მცირე სიღრმისაა. მათგან ერთი – აღმ-ისა – აფსიდიანია, დანარჩენები – სწორკუთხა. სამხრ. და ჩრდ. მკლავების



081. განივი ჭრილი, ხედი აღმ-კენ

ძირი ეკლესიის იატაკიდან 0, 7 მ-ით მაღლაა. საკურთხევლის აფსიდი გვერდის მკლავებზე ოდნავ ღრმაა, ხოლო დას. მკლავს სიღრმით თითქმის სამჯერ აღემატება. აფსიდის ღერძზე თარაზულად გადახურული განიერი სარკმელია, რ-ის ორსავე მხარეს თითო სწორკუთხა ნიშაა. ერთი სწორკუთხა ნიშა ჩრდ. მკლავის ჩრდ. კედელშია. მისი ნახევარი კედლის სისქეშია მოქცეული, ხოლო ნახევარი, რ-იც ირგვლივ ბრტყელი ქვებითაა შემოსაზღვრული, კედლის სიბრტყის გარეთაა. საკურთხევლის სარკმლის გარდა, თითო სწორკუთხა სარკმელი დანარჩენ მკლავებშიცაა.

საკურთხევლის გვერდებზე გეგმით სწორკუთხა, შეისრული კამარით გადახურული სამკვეთლო და სადიაკვნეა, რ-თა იატაკი გვერდის მკლავების ძირების დონეზეა. ორივეს შესასვლელი დას-იდანაა, შესაბამისი მკლავიდან. ორივე კარი შეისრულთაღოვანია. სათავსები განათებულია აღმ. კედელში გაჭრილი თითო სწორკუთხა სარკმლით.

ჯვრის მკლავების გადაკვეთაზე აღმართულია შიგნიდან მრგვალი, ხოლო გარედან რვაწახნაგოვანი გუმბათი. გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის ყელის საფუძვლის წრიულ მოხაზულობაზე გადასვლა განხორციელებულია აფრების მეშვეობით. გუმბათის ყელში ოთხი მაღალი შეისრულთაღოვანი სარკმელია. ჩრდ.-აღმ. ნაწილში, სარკმლებს შორის, მცირე ზომის (40×40 სმ) ხვრელია.

შიგნით კედლები შელესილი ყოფილა.

ეკლ. გარედან მასიურია. ქვედა ნაწილი კუბური მასაა, ხოლო ზემოთ, სახურავის დონეზე, გამოყოფილია ფრონტონით დასრულებული ჯვრის მკლავები, რ-ებიც იმდენად დაბალია, რომ აღმ. და დას. ფასადებზე მკლავებისა და გვერდის ნაწილების სახურავის კალთები თითქმის ერთ სიბრტყეშია მოქცეული. ეკლესიის დას.



081. გრძივი ჭრილი, ხედი ჩრდ-კენ

კედელში ჩართული ყოფილა რამდენიმე ხაჩკარი, რ-თაგანაც ერთილაა შემორჩენილი. ფასადები დასრულებულია ნატეხი ქვით ნაწყობი თაროსებრი ლავგარდნით. შენობა გადახურულია კრამიტით.



081. აღმ. ფასადი

ეკლესიას გარს ეკლებოდა ნატეხი ქვით ნაგები, გუმბათ სწორკუთხა მოხაზულობის გ ა ლ ა ვ ა ნ ი (სიმ. 3 მ), რ-ის კედლებში სამეურნეო დანიშნულების ნაშენებია მოწყობილი.

თ. დვალი.

ბიბლ.: 75; 229; 335.

082. ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს ნაქალაქარის სავაჭრო უბნის ჩრდ.-აღმ. განაპირას. XVI-XVII სს-ით.

ეკლ. დარბაზულია (5,9×3,7 მ), ნაგებია ძირითადად აგურით. შესასვლელი დას-იდანაა. კარი შეისრულთაღოვანია. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე შეისრული სარკმელია გაჭრილი. მსგავსი სარკმელია დას. კედელშიც. აფსიდში, სარკმლის ორივე მხარეს, თითო შეისრულთაღოვანი ნიშაა. გუმბათ ნახევარწრიული და ნახევარგუმბათით გადახურული ერთი ნიშა ჩრდ. კედელშიცაა. დარბაზი გადახურულია შეისრული კამარით. მსგავსი ფორმისაა კონქის თაღიც.

ნაგებობის ფასადებიდან მხოლოდ დას-ისაა მორთული. შესასვლელი მოქცეულია საფეხურით შემაღებულ სწორკუთხედში, რ-საც ზემოდან კუთხით შვერილი აგურების ორი რიგით შედგენილი ფრიზი აგვირგვინებს. შესასვლელის გვერდებზე წყობის შედრმაგებით, გამოყვანილია საფეხურებიან პოსტამენტზე დაყრდნობილი თითო მაღალი ჯვარი – დეკორატიულად გაფორმებული მკლავებით. შესასვლელის ზემოთ მცირე სწორკუთხა ნიშაა. ნიშის ზემოთ, ფრონტონის არეში – სარკმელი. სარკმლის ზემოთ და გვერდებზე თითო სწორკუთხა შედრმაგებაა, რ-ებშიც თითოვე ხანკარია ჩასმული.

ფასადები დასრულებულია აგურის ოთხსაფეხურიანი, ხერხულა ლავგარდნით. ეკლ. გადახურულია ღარისებრი კრამიტით.

თ. დვალი.

ბიბლ.: 75; 229; 335.



082. ხედი დას-იდან

083. ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს ნაქალაქარის სავაჭრო უბნის ჩრდ.-აღმ. განაპირას. მთის ფერდობზე. თარიღდება XVI-XVII სს-ით.



083. გეგმა

ეკლ. დარბაზულია (5×3,9 მ), ნაგებია ნატეხი ქვით. წყობა ტლანქია. შესასვლელი დას-იდანაა. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის ღერძზე სწორკუთხა სარკმელია. მის ორივე მხარეს კი – თითო სწორკუთხა ნიშა. ერთი სწორკუთხა ნიშა ჩრდ. კედელშიცაა.



083. ეკლესიის ჭრილი. ხედი ჩრდ.-დან

აფსიდი გადახურულია ტლანქად ნაწყობი არაწესიერი ფორმის კონქით. კონქის თაღი ოდნავ შეისრულია, მსგავსი ფორმისაა კამარაც დას. კედელში. შესასვლელის ზემოთ, სწორკუთხა სარკმელია.



083. ხედი სამხრ.-აღმ-დან

ეკლესიის დას. კედელზე დადგმულია მახიური და ტლანქად ნაშენი ოთხგვერდა სამრეკლო, რ-ის უმეტესი ნაწილი ნატეხი ქვისაა, ნაწილი – აგურის. სამრეკლოს ოთხივე გვერდში თითო ვიწრო, შეისრული თაღით გადახურული

ლობია. სამრეკლოს პირამიდული ფორმის სახურავი აქვს.

თ. დვალი.

ბიბლ.: 75; 229; 335.

084. ეკლესიების კომპლექსი, არქიტ. ძ. მდებარეობს ნაქალაქარის სავაჭრო უბნის აღმ. განაპირას, მთავარანგელოზთა მთის ძირში. შედგება სხვადასხვა პერიოდის, ერთმანეთის გვერდიგვერდ მდგარი სამი დარბაზული ეკლესიისგან. თარიღდება XVI-XVII სს-ით. თავდაპირველად აუგიათ მცირე



084. სული სამხრ.-აღმ.-დან

ზომის (3,6×3,6 *მ*) ეკლ. რ-ისთვისაც სამხრ-იდან მიუშენებიათ სიგრძით ტოლი, მაგრამ ოდნავ უფრო ვიწრო ეკლ. (6×2,9 *მ*), ხოლო ჩრდ-ით, 1,2 *მ* მოშორებით, დაუდგამთ გაცილებით მოზრდილი ეკლ. (3,6×4,5 *მ*) თავდაპირველი ეკლესიისათვის კი სამრეკლო დაუშენებიათ. ბოლოს, თავდაპირველ და ჩრდ-ით მდგარ ეკლესიას შორის, მოუწყვიათ ვიწრო, გეგმით სწორკუთხა სათავსი (სიგ. 1,2 *მ*), რ-ის თავზე, მომდევნო ხანებში, მეორე სართული დაუშენებიათ. ეკლესიები ძირითადად ნატეხი ქვის ირეგულარული წყობითაა ნაშენი. სამრეკლო და სათავსის მეორე სართული მთლიანად აგურისაა.

სამივე ეკლესიას შესასვლელი დას-იდან აქვს. შუა ეკლესიის კარი სწორკუთხაა, განაპირებისა – შეისრულთაღოვანი. სამივე ეკლ. აღმ-ით დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით, რ-ის ღერძზე თაღოვანი სარკმელია მოწყობილი. მის ორივე მხარეს კი – თითო მცირე ზომის ნიშა. თითო ნიშა ჩრდ. ეკლესიის გრძივ კედლებშია, ერთი – სამხრ. ეკლესიის ჩრდ. კედელში. შუა და ჩრდ. ეკლესიებში, საკურთხევლის სარკმლის გარდა, თითო მსგავსი სარკმელი დას., სამხრ. და ჩრდ. კედლებშიცაა.

ეკლესიები შიგნით გადახურულია ოდნავ შეისრული კამარით, გარედან კი – კრამიტის ორკალთა სახურავით. სათავსის მეორე სართულის სახურავი ცალფერდაა.

სამრეკლო ექსწახნაგა ფანჩატურია, რ-ის ქვედა წახნაგში თითო განიერი, მაღალი თაღია. გადახურულია ნახევარსფერული გუმბათით.

ეკლესიების კედლები დარუ-ლებულია აგურის საფეხურებიანი, ხერხულა ლაგვარდნით. ანალოგიური ლაგვარდანი სამრეკლოს ფანჩატურსაც აქვს. სამხრ-ით მდგარი ეკლესიის დას. ფასადზე, შესასვლელის ზემოთ, მცირე ზომის სწორკუთხა ნიშაა. მის ორივე მხარეს კი – თითო, გაცილებით მაღალი, სწორკუთხა ნიშა, რ-ებშიც თითოვე ხაჩკარია ჩასმული. მსგავსი ნიშა ჩრდ-ით მდგარი ეკლესიის შესასვლელის გვერდითაცაა.

თ. დვალი.

ბიბლ.: 75; 229; 335.



085. გეგმა

085. თარსა გალავანი, ეკლესია, არქიტ. ძ. დგას ნაქალაქარის დას. ნაწილში, ქარვასლებს შუა მდებარე ტერიტორიაზე. ეკლესიის დას. შესასვლელის ზემოთ დაცული სამენოვანი (ქართული, სომხური, სპარსული) წარწერის თანახმად, აგებულია 1595 წ. მეფე ალექსანდრე II-ის კარის მდივნის მათარსას (სომხური წარწერის მიხედვით მკრტენს, ზაქარიაძეს) დაკვეთით, როგორც თავისი "კარის ეკლესია".

ეკლ. სწორკუთხედში (10,7×7,5 *მ*) ჩაწერილი გუმბათოვანი ნაგებობაა. ნაგებია აგურითა და ნატეხი ქვის მოზრდილი ლოდებით. გუმბათქვეშა კუთხეებში გამოყენებულია სპეციალურად გამომწვარი ლეკალური აგური. დაზიანებულია კედლების ზემოთა ნაწილები, მთლიანად ჩანგრეულია გადახურვა, ჯვრის მკლავების გადაკვეთაზე აღმართული გუმბათოთურთ.

ეკლესიას სამი ფართო შესასვლელი აქვს: სამხრ-ით, დას-ით და ჩრდ-ით. შეისრული ფორმის კამარით გადახურულ თითოეულ მკლავში თითო, ფართო, თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. ჯვრის აღმ. მკლავი თავისებურა-

და გადაწყვეტილი: აქ ორ სართულად ორი საკურთხეველია მოწყობილი, რ-თაც გვერდებზე



085. ინტერიერი, ხედი აღმ-კენ

სწორკუთხა სადგომები (სამკვეთლო და სადიაკვნე) ესაზღვრება. ქვედა საკურთხევლის იატაკი თითქმის 1 მითაა ამაღლებული. საკურთხევლებსა და სადგომებში თითო თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. ზემოთა საკურთხეველი გაცილებით მაღალია. მისი კონქის თაღი ნახევარწრიულია. საკურთხევლის ბაქნის კიდეს ხის მოაჯირი გასდევდა. ქვემოთა საკურთხევლის გვერდებზე, ზედა საკურთხეველში ასასვლელად, მოწყობილია კიბეები. გვერდითი სადგომებიდან საკურთხეველთან მხოლოდ ზემოთა სადგომებია დაკავშირებული. ქვემოთა სადგომები კი, თითო თაღოვანი შესასვლელით, ჯვრის განივ მკლავებს უკავშირდება. ოთხივე სათავსი შეისრული კამარითაა გადახურული.

პირველი სართულის ქვემოთ, მიწაში ღრმად ჩაძირულ საძვალეში, კიდევ ერთი საკურთხეველია, რ-შიც ჩასასვლელად ქვის კიბეა მოწყობილი. კიბე მცირე შესასვლელს უკავშირდება. საძვალის საკურთხევლის კონქში, თაღოვანი, შიგნიდან გარეთ მკვეთრად ამაღლებული სარკმელია.

ეკლესიის დას. მკლავი გვერდით ნაწილებთან განიერი, მაღალი, შეისრული თაღითაა დაკავშირებული. გვერდითი ნაწილების თავზე მოწყობილია მცირე სამალავები, რ-შიც შესასვლელი ხვრელები შესაბამისი განივი მკლავებიდანაა.

შიგნით კედლები შელესილი ყოფილა. შემორჩენილია ნალესობის ფრაგმენტები.



085. ხედი სამხრ-დას-იდან

ეკლესიის ფასადები შეისრულთაღოვანი, შეღრმავებული არკებით სამ-სამ მონაკვეთადაა დაყოფილი. მოპირდაპირე ფასადები დამუშავებით ერთმანეთის მსგავსია. ფასადის ღერძის ჯვრის მკლავების შესაბამისად, თითო მაღალი, შელრმავებული არე გვერდებზე კი – შედარებით დაბალი არე. ოთხივე ფასადზე შუა თაღები თითქმის თანაბარი სიგანისა და სიმაღლისაა, გვერდითი თაღები განივ ფასადებზე ვიწრო



085. დას. ფასადი, სამშენებლო წარწერა

და მაღალია, გრძივ ფასადებზე კი, განიერი და დაბალი.

ეკლესიას გარს ეკვლება რიყის ქვითა და ნატეხი ქვით ნაგები გ ა ლ ა ვ ა ნ ი, რ-ის შემორჩენილი კედლების სიმ. 3 მ-ს არ აღემატება. გალავნის დას. კედელში თაღოვანი შესასვლელია (სიგ. 1,7 მ). შესასვლელის გვერდებზე თითო შეისრული ნიშაა, მათ ზემოთ კი, თითო მცირე ზომის სწორკუთხა ნიშა. შესასვლელის ზემოთ ორი სათოფურია. გალავნის შიგნით ეკლესიის ჩრდ-ით, სხვა, ადრინდ. გალავნის ნაშთია, რ-იც, შეიძლება ქალაქის ამ კვარტლის გალავნის ნაწილიც იყოს. არსებულ გალავანს ჩრდ. მხრიდან აკრავს კედლებით შემოფარგლული, პატარა ეზო.

თ. დვალი.

ბიბლ.: 18; 27; 75; 79; 229; 323; 335.

086. მარანი, არქიტ. ძ. მდებარეობდა მცხეთიდებულთა უბნის აღმ. განაპირას. შემორჩენილია მხოლოდ საწნახლის ნანგრევები.

საწნახელი სხვადახვა სიგრძის ორი ნაწილისგან შედგება (4,25×1,28 მ). ნაგებია ნატეხი ქვით, შიგნით შელესილი ყოფილა. ყურძნის დაწურვა ორივე ნაწილში ხდებოდა. იატაკზე არსებული ღარებით, წვენი სპეციალურ ხვრელებთან გროვდებოდა, საიდანაც შემდეგ მარანში გადიოდა.

თ. დვალი.

ბიბლ.: 75; 229.

087. მთავარანგელოზთა ეკლესიის კომპლექსი, არქიტ. ძ. მდებარეობს ნაქალაქარის ტერიტორიაზე. კომპლექსი მდებარეობს მდ. ინწრობის მარჯვ. ნაპირზე, მთის ერთ-ერთი ქედის შემაღლებულ ბოლოში და თავს დაჰყურებს ნაქალაქარს. ადგილი, რ-ზედაც კომპლექსია გაშენებული საგანგებოდაა შერჩეული. ნაგებობები კო



087. გეგმა. 1 მთავარანგელოზთა ეკლესია, 2 პალატი-სამრეკლო, 3 კოშკი, 4 ნაგებობა, 5 კარიბჭე, 6 გალავანი

გარემოსთან იმდენადაა შეხამებული, რომ მის ორგანულ ნაწილად აღიქმება.

კომპლექსი შედგება: მთავარანგელოზების მიქელის და გაბრიელის სახელობის გუმბათოვანი ტაძრის, პალატი-სამრეკლოს და კოშკებიანი გალავნისგან.

ტაძარი აუგია ლეონ კახთა მეფეს. ამაზე მოგვითხრობს ეკლესიის შიგნით, დას. კარის ზემოთ არსებული ბერძნ. ფრესკული წარწერა.

„ქ. აღიმართა და განახლდა ღვთაებრივი და ყოვლადწმინდა ტაძარი ყოველთა უდიდესთა მიქელისა და გაბრიელისა, სახელოვანი მეფის ლეონის შეწევნით, ხარჯით, გულსმოდგინებითა და შრომით, მაშინ, როდესაც მღვდელმთავარი იყო ნიკოლოზი. 7085 წელს, აგვისტოს თვის 29-ს, [illegible] საბას წინამძღვრობის დროს... ქარტულარიოსი, ბერმონაზონი და პროტოსვინგელოზი სალონიკელი“.

წარწერაში მოცემული თარიღი 7085 წ., ახ. წ. 1577 წ. გამოდის, მაგრამ ამ დროისათვის მეფე ლეონი უკვე გარდაცვლილია (გარდაიცვალა 1574 წელს), ტექსტი კი მის სიცოცხლეშია შესრულებული. სამწუხაროდ, ეს წარწერა ტაძრის აგების ზუსტ თარიღს არ იძლევა. რუსი ელჩების ცნობით, რ-ებიც საქართველოში იმყოფებოდნენ 1589-1590 წწ., გ. ჩუბინაშვილი ასკვნის, რომ ტაძარი აგებულია 1565 წელს. ამ დასკვნას მხარს უმაგრებს სამხრ.-დას. კუთხის ოთახის დას. კედლის მხატვრობაში ნართული ლეონ მეფის გამოსახულება ეკლესიის მოდელით ხელში და მისი თანმხლები ასომთ. წარწერა: “მეფე ლეონ აღმშენებელი”. მეფის საფლავიც ტაძრის ამ ნაწილშია. დას. კედლის წინ.

ბერძნულ სამშენ. წარწერის დასაწყისშივე ნათქვამია: “აღიმართა და განახლდა ღვთაებრივი და ყოვლადწმინდა ტაძარი...”, წარწერის ამ ცნობას პირველად ყურადღება გ. ჩუბინაშვილმა მიაქცია და “მატიანე ქართლისას” ერთ ცნობაზე დაყრდნობით გამოთქვა ვარაუდი, რომ XI ს-ში აქ უკვე მდგარა მიქელ-გაბრიელის სახელობის ეკლ. და ტაძარი შესაძლოა მის ნაშთზე იყოს აგებული.

მეორე პიროვნება, რ-იც წარწერაში იხსენიება, არის მღვდელმთავარი ნიკოლოზი. სხვადასხვა საბუთებთან შეჯერებით, იგი გაიგივებულია ალავერდელ ნიკოლოზ მთავარეპისკოპოსთან.

წარწერაში მოხსენებული მესამე პიროვნებაა საბა, რ-იც იმ დროს მონასტრის წინამძღვარი ყოფილა. შ. ამირანაშვილის აზრით იგი შეიძლება იყოს ტაძრის მომხატველიც.

ეკლ. ჯვარ-გუმბათოვან ნაგებობათა ტიპს მიეკუთვნება. ნაშე-

ნია აგურით. ჩრდ. და სამხრ. ფასადის ზოგ ადგილას ჩართულია რიყის ქვა.



087. მთავარანგელოზთა ეკლესია, გეგმა

ეკლესიის გეგმა კვადრატს მიახლოებული სწორკუთხედია (15,6×12,45 მ). ამ ტიპის ძეგლების მსგავსად, გუმბათი საკურთხევლის კუთხეებსა და დას-ის ორ, გეგმით წრიულ ბოძს ეყრდნობა. შესასვლელი სამია: დას-ით, ჩრდ-ით და სამხრ-ით. სამივე კარი შესაბამისი მკლავის ღერძზეა გაჭრილი. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია. აფსიდის წინ – ღრმა ბემა, რ-იც აფსიდისგან პილასტრებითა და მათზე დაყრდნობილი თაღითაა გამოყოფილი. საკურთხევლის გვერდებზე განლაგებულია სამკვეთლო და სადიაკვნე. ორივე სათავსი აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდითაა დასრულებული და ეკლესიის ძირითად სივრცეს დას. კედელში მოწყობილი კარით უკავშირდება. სამივე აფსიდში გაჭრილია თითო თაღოვანი სარკმელი.

ეკლესიის შიდა სივრცე ვიწრო და მაღალია. გუმბათის საყრდენი ოთხივე თაღი და კამარები შესრულია. დას. მკლავში ერთი საბჯენი თაღია – პილასტრებისა და კონსოლების გარეშე. სამივე მკლავის არეში, ერთმანეთის გვერდით, განლაგებულია ორ-ორი მაღალი, თაღოვანი სარკმელი. ამათ გარდა, თითო თაღოვანი სარკმელი გვერდითი ნავების დას. კედელშია. რვა ნახევარწრიულთაღოვანი სარკმელი კი გუმბათის ყელშია გაჭრილი. გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის ყელის წრიულ საფუძველზე გადასვლა აფრების მეშვეობით ხდება.

ეკლ. მთლიანად მ ო ხ ა ტ უ ლ ი ა. ამჟამად მრავალი გამოსახულება (კამარებზე, გუმბათქვეშა ბურჯების და კედლების ზედა ნაწილებში) დაზიანებულია ან სრულიად განადგურებული. თავდაპირველ რთულ იკონოგრაფიაზე გარკვეულ წარმოდგენას ქმნის ეკლესიის ინტერიერში დღემდე შემონახული მხატვრობის ნაწილი. კერძოდ: სიმბოლური შინაარსის კომპოზიციები, საუფლო დღესასწაულების და ვნებათა სცენები, ქტიტორთა პორტრეტები. განსაკუთრებით მრავლადაა წარმოდგენილი ცალკე მდგომი წმინდანები. მთელი ტანით, მუხლზევით, წელზევით გამოსახული ფიგურები, რიგ შემთხვევაში, მოთავსებულია დეკორატ. თაღებქვეშ ან ჩაწერილია მედალიონებში (უმეტესად, წელზედა ფიგურები).

გამოსახულებებს ახლავს თეთრი ფერის ასოებით შესრულებული ქართ. ან ბერძნ. წარწერები. ბერძნულადაა დაწერილი გრაგნილთა ტექსტებიც (ასოები აქ შავი ფერისაა).

გამოსახულებათა სიმრავლის მიუხედავად, ეკლესიის ინტერიერში მათი განლაგება არ იწვევს კედლების ზედაპირის დანაწევრების ისეთ შთაბეჭდილებას, როგორსაც ხშირად ვხვდებით XVI ს. სხვა ძეგლებში.

მოხატულობისთვის თავისებური „საფუძვლის“ როლს ასრულებს კედლების ქვედა ნაწილში განლაგებული გეომეტრიული ორნამენტის ფართო ზოლი – დიდი ზომის სხვადასხვა ფერის სწორკუთხედები, რ-იც შემკულია შიგ ჩახატული რომბებით, წრეებით, ძვირფასი ქვებით (იმიტაცია). ლამაზი ორნამენტი, ისევე როგორც გუმბათქვეშა თაღებისა და კამარების ცენტრში მოცემული სტილიზებული მცენარეული მოტივები, აქ ხაზგასმული მნიშვნელობითაა წარმოდგენილი და ძლიერ დეკორატ. ეფექტს ქმნის.

სავარაუდოდ, თავისი პირვანდელი სახით, გრემის მხატვრობა საზეიმო ხასიათისა იყო. ამ შთაბეჭდილებას უთუოდ აძლიერებდა კოლორიტში გაბატონებული მკვეთრი ცისფერი, მწვანე, ყვითელი, მოწითალო-ყავისფერი და ლურჯი ფერი. ასევე ოქროც, რ-იც შეიმჩნევა წმ. პეტრეს შარავანდზე (დას. კედელი).

ეკლესიის მხატვრობა შემდეგნაირადაა განაწილებული:

საკურთხევლის აფსიდი: კონქი – ტახტზე მჯდომი ღვთისმშობელი, მარჯვნივ და მარცხნივ – ორი მთავარანგელოზი თაყვანისცემის პოზაში, ზევით – დიდისა ზრახვის ანგელოზი; მეორე რეგისტრი – *საიდუმლო სერობა*; მესამე რეგისტრი – *ზეციური ლიტურგია*; მეოთხე რეგისტრი – *მოციქულთა ზიარება*; მეხუთე რეგისტრი – *მსხვერპლის თაყვანის-*

ცემა (ჩრდ-იდან სამხრ-კენ): წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი, წმ. იოანე ოქროპირი, წმ. ბასილი, წმ. ათანასე; სარკმლის წირთხლები: ჩრდ-ით – წმ. ნიკოდიმე(?), სამხრ-ით – წმ. რომანოზ მგალობელი; სატრიუმფო თაღი და პილასტრები – ლენტისებრი ორნამენტი.



087. მთავარანგელოზთა ეკლესია, გრძივი ჭრილი, ხედი სამხრ-კენ

ბემა, ჩრდ-ით და სამხრ-ით: პირველი რეგისტრი (კონქის კომპოზიციის დონეზე) – წინასწარმეტყველი (მთელი ტანით) თაღებქვეშ; მეორე რეგისტრი – თითო მღვდელმთავრის ფიგურა (მუხლზევით) თაღებქვეშ; მესამე რეგისტრი – *ზეციური ლიტურგია*; მეოთხე რეგისტრი – *მოციქულთა ზიარება*; მეხუთე რეგისტრი – სამხრ-ით – დიაკვანი(?).

ჩრდ. და სამხრ-აღმ. გუმბათქვეშა ბურჯები, სამხრ. და ჩრდ. პილასტრები: პირველი რეგისტრი – თითო წინასწარმეტყველი (მთელი ტანით) თაღქვეშ; მეორე მღვდელმთავარი (მუხლზევით) თაღქვეშ; მესამე რეგისტრი – *ზეციური ლიტურგია*; მეოთხე რეგისტრი – *მოციქულთა ზიარება*; მეხუთე რეგისტრში გამოსახულებები არ ჩანს აქ აღმართული კანკელის გამო.

ამაგე ბურჯების დას. მხარე: ჩრდ.-აღმ. ბურჯი – ზედა ორი რეგისტრი განადგურებულია; მესამე რეგისტრი – *ხარება*: ანგელოზი ნაგებობის ფონზე; მეოთხე რეგისტრი – წმ. დიონისე (წელზევით, მედალიონში).

სამხრ.-აღმ. ბურჯი: პირველი რეგისტრი – მაცხოვარი (მთელი ტანით), მიბრუნებულია სამი მეოთხედით, დგას თაღქვეშ, მარჯვხელით აკურთხებს. მეორე რეგისტრი – წმ. ნილოსი (მთელი ტანით); მესამე რეგისტრი – *ხარება*: ტახტზე მჯდომი ღვთისმშობელი; მეოთხე რეგისტრი – წმ. ათანასე (ალექსანდრიელი?) მედალიონში.

ორივე ბურჯის ქვედა მონაკვეთები – დეკორატ. მოტივი: სამი ფერის ყავისფერი, ლურჯი და მოწითალო-ყავისფერი ზოლები.

ეკლესიის სამხრ. მკლავი, აღმ. კედელი: პირველი რეგისტრი – ორი წმინდანი (მთელი ტანით) თაღებქვეშ: წმ. ისააკი, წმ. ბარუქი; მეორე რეგისტრი – *უფლის შობა*; მესამე რეგისტრი – სახარების სცენა (სასწაული?); მეოთხე რეგისტრი – *კვდრება*; მეხუთე რეგისტრი, სადიაკვნეში შესასვლელის ჩრდ-ით – წმ. კლავდი, სამხრ-ით – წმ. სისინი, შესასვლელის თავზე – წმ. ერეკლე (მხოლოდ თავი). სამივე მედალიონშია ჩაწერილი.

სამხრ. მკლავი, სამხრ. კედელი: პირველი რეგისტრი – დიდისა ზრახვისა ანგელოზი; მეორე რეგისტრი – წმ. *იოანე ნათლისმცემლის თაეის კვეთა*, წმ. *იოანე პეროდეს წინაშე*(?); მესამე რეგისტრი – წმინდანი (მთელი ტანით), რ-საც უჭირავს ჯვარი და წიგნი, იქვე, ბერძნ. წარწერა – „ღმერთი იქმს სასწაულს ლაზარესას“ და

„გალესიონის მთაზე განმკურნებლის“; სარკმლის გვერდით, კედლის აღმ. და დას. მონაკვეთები – თითო მესვეტე; მეოთხე რეგისტრი, სარკმელთა შორის – წმ. იონაკ (მუხლზევით), სარკმლის აღმ-ით და ზომის წმინდანები მედალიონებში: აღმ. სარკმელი, აღმ. წირთხლი – წმ. პანტელეიმონი, წმ. ათლიესი, დას. წირთხლი – წმ. ნიკიტა, წმ. ანბოდი; დას. სარკმელი, აღმ. წირთხლი – წმ. იაკობ სპარსი, წმ. მიქელი. დას. წირთხლი – წმ. ევსტრატი, წმ. აპექსიმი. განლაგების დონის მიხედვით, წმინდანთა ორ რეგისტრად დაყოფა შესაბამება ამ კედლის მოხატულობის მესამე და მეოთხე რეგისტრებს.

სამხრ. მკლავი, დას-ით: პირველი რეგისტრი – *ოთხი წმინდანი* (მთელი ტანით) თაღებქვეშ; მეორე რეგისტრი – *მირქმა*; მესამე რეგისტრი – *პეტრეს უარისყოფა*.



087. მთავარანგელოზთა ეკლესია, ინტერიერი, ხედი ჩრდ.-აღმ-კენ

დას-ით – ლურჯი და მოწითალო – ყავისფერი ზოლები; მეხუთე რეგისტრი – ექვსი წმ. დედა (მედალიონებში): აღმ-იდან დას-ისკენ – პირველი წმინდანის სახელი აღარ იკითხება, ბარბარა, პარასკევა, ანასტასია, ფოტინი, ევდოკია; მეექვსე რეგისტრი (აღმ-იდან დას-ისკენ) – წმ. გრიგოლ დეთისმეტყველი, წმ. იოანე ოქროპირი, წმ. ბასილი და წმ. გიორგი; მეშვიდე რეგისტრი, კარის აღმ-ით – წმ. გუ[ო]რია, – დას-ით – წმ. სიმონი, წმ. ხაბიბო (სამივე მედალიონშია).

სარკმელთა წირთხლები – ორ-ორი წმინდანი თითოეულ წირთხლზე: ზევით წელზედა ფიგურები,. ქვევით – უფრო მცირე



087. მთავარანგელოზთა ეკლესია, ინტერიერი, ხედი სამხრ.-აღმ-კენ



087. მთავარანგელოზთა ეკლესია, ინტერიერი, სამხრ. მკლავი, აღმ. კედელი, ფრაგმენტი

ეკლესიის დას. მკლავი, სამხრ-ით: პირველი რეგისტრი, კამარის სამხრ. გვერდი, საბჯენი თაღის აღმ-ით და დას-ით – თითო წმინდანი (წელზევით); მეორე რეგისტრი – მხატვრობა განადგურებულია (ნალესობა ახალია); მესამე რეგისტრი, აღმ-ით – *ქადაგება სინაგოგაში*, დას-ით – *ნათლისღება*(?); მეოთხე რეგისტრი, გუმბათქვეშა სამხრ.-დას. ბურჯიდან ტაძრის დას. კედელზე გადაქცევილი თაღის აღმ-ით და დას-ით – ორი წინასწარმეტყველი (მთელი ტანით) გაშლილი გრაგნილებით ხელში: აღმ-ით – წინასწარმეტყველი დავითი.

დას. მკლავი, დას. კედელი: ზედა ორი რეგისტრის უდიდესი ნაწილი განადგურებულია; მესამე და მეოთხე რეგისტრები, სარკმლებს შორის: მესამე რეგისტრი – წმინდანი (მთელი ტანით, თავი და წარწერა აღარ აქვს); მეოთხე რეგისტრი – წმ. ნიკოლოზ მცირე (მუხლზევით); მეხუთე რეგისტრი, სარკმლებს ქვემოთ – *ღეთისმშობლის მიძინება* (უჭირავს მთელი რეგისტრი); მეექვსე რეგისტრი, კარის თავზე – ისტ. შინაარსის წარწერა (ფონი – თეთრი, ასოები – შავი), კარის სამხრ-ით და ჩრდ-ით – მოციქულები პეტრე და პავლე (წელზევით).

დას. კედლის სარკმელთა წირთხლები: სამხრ. სარკმელი, ჩრდ. წირთხლი – წმ. ერმილე (სამხრ. წირთხლზე შემონახულია მხოლოდ წმინდანის სხეულის ნაწილი); ჩრდ. სარკმელი, სამხრ. წირთხლი – წმ. ანდრონიკე. წელზედა ფიგურები დიდი ზომისაა. გამოსახულებების ქვემოთ დარჩენილი ვიწრო მონაკვეთები დაფარულია მუქი მოწითალო-ყავისფერი საღებავით.

დას. მკლავი, ჩრდ. კედელი: ზედა ორი რეგისტრის მოხატულობა განადგურებულია; მესამე რეგისტრი, აღმ-ით – *ფერისცვალება*, დას-ით – *ფერხთა ბანა*; მეოთხე რეგისტრი, გუმბათქვეშა ჩრდ.-დას. ბურჯიდან ტაძრის დას. კედელზე გადაქცევილი თაღის თავზე, აღმ-ით და დას-ით – ორი წმინდანი (მთელი ტანით), ორივეს გაშლილი გრაგნილები უჭირავს (წინასწარმეტყველები?); ზემოთ, საბჯენი თაღის ჩრდ. მონაკვეთი – წმინდანი მთელი ტანით (დარჩენილია მხოლოდ სილუეტი).

ეკლესიის ჩრდ. მკლავი, აღმ. კედელი: პირველი რეგისტრი – ორი წმინდანი (მთელი ტანით) თაღებქვეშ; მეორე რეგისტრში ამჟამად გაურკვეველი სცენის ნაშთები; მესამე რეგისტრი – *თომას ურწმუნოება*; მეოთხე რეგისტრი – მოციქულები პეტრე და პავლე (ხელში უჭირავთ ეკლესიის მოდელი), წმ. დამიანე (მთელი ტანით); მეხუთე რეგისტრი, სამსხვერპლოში შესასვლელის ჩრდ-ით და სამხრ-ით – მთავარანგელოზები მიქელი და გაბრიელი (მუხლზევით).

ჩრდ. მკლავი, ჩრდ. კედელი: პირველი რეგისტრი – დიდისა ზრახვის ანგელოზი; მეორე რეგისტრი – ამჟამად გაურკვეველი სცენის ფრაგმენტები; მესამე რეგისტრი, სარკმლებს შორის – წმ. მარდარი (მთელი ტანით), აღმ. სარკმლის გვერდით – შემორჩა შარავანდის ნაწილი (მესვეტე?); მეოთხე რეგისტრი, სარკმელთა შორის – წმ. ათანასე ათონელი (მუხლზევით), სარკმელთა გვერ-



087. მთავარანგელოზთა ეკლესია, ინტერიერი, სამხრ. მკლავი, დას. კედელი, პეტრეს უარისყოფა

დით, აღმ-ით და დას-ით – სხვადასხვა ფერის ზოლები (ორ-ორი თითოეულ მხარეს); მეხუთე რეგისტრი – ექვსი წმ. მეომარი (წელზედა ფიგურები მედალიონებში); აღმ-იდან მესამე – თევდორე ტირონი, შემდეგი – თევ[ო]დორე და დიმიტრი; მეექვსე რეგისტრი (აღმ-იდან დას-ისკენ) – წმ. კოზმანი, კონსტანტინე და ელენე, ...ობ. პერსელი (მეომრის ტანსაცმელშია, ხელში ხმალი უჭირავს); მეშვიდე რეგისტრი, კარის აღმ-ით – წმ. პელაგია, დას-ით – წმ. სოფია, წმ. ეპრაქსია.

ამავე კედლის სარკმელთა წირთხლები – ორ-ორი წმინდანი თითოეულ წირთხლზე (ისევე როგორც მოპირდაპირე მხარეს, სამხრ. ნავის სამხრ. კედელზე): ზევით – წელზედა ფიგურები, ქვევით – უფრო მცირე ზომის წმინდანები მედალიონებში: აღმ. სარკმელი, აღმ. წირთხლი – წმ. დიკენდიე, წმ. ფოტინე, დას. წირთხლი – წმ. სერგი, წმ. დედა (სილუეტი); დას. სარკმელი, აღმ. წირთხლი – წმ. დიკტორი (ზევით), დას. წირთხლი – წმ. მინა, წმ. კო[უ]რიკე. აქაც, წმინდანთა ორ რეგისტრად დაყოფა მათი განლაგების დონის მიხედვით, შეესაბამება ამ კედლის მოხატულობის მესამე და მეოთხე რეგისტრებს.

ჩრდ. მკლავი, დას. კედელი: მხატვრობის მეტი ნაწილი განადგურებულია. ქვევით, გუმბათქვეშა ჩრდ-დას. ბურჯიდან ჩრდ. კედელზე გადაყვანილი თაღის თავზე გაირჩევა ძალიან დაზიანებული *ჯოჯოხეთის წარმოჩენის* კომპოზიცია.

ეკლესიის სამხრ-დას. მკლავთაშორისი სივრცე: აღმ. კედელი, პირველი რეგისტრი – ღვთისმშობელი (მთელი ტანით, დგას ფეხსადგამზე), მარცხნივ და მარჯვნივ – ორი ექვსფრთედი; მეორე რეგისტრი – ორი წინასწარმეტყველი (მედალიონებში): ჩრდ-ით – იონა;

სამხრ-ით, კამარის სამხრ. გვერდი, პირველი რეგისტრი – მთავარანგელოზები და ექვსფრთედები (ორ-ორი); სამხრ. კედლის ზედა ნაწილი, მეორე რეგისტრი – ვნების ორი სცენა; დას-ით – *ჯვრის ტეირთვა*; მესამე რეგისტრი – ოთხი წმ. მეომარი (მთელი ტანით) თაღებქვეშ (აღმ-იდან დას-ისკენ): დიმიტრი, თევდორე, თევდორე სტრატილატი, პროკოპი.

დას. კედელი, პირველი რეგისტრი, სარკმლის სამხრ-ით – მღვდელმთავარი (მარჯვ. ხელით აკურთხებს); მეორე რეგისტრი, სარკმლის სამხრ-ით და ჩრდ-ით – ორი მღვდელმთავარი(?) medალიონებში; მესამე რეგისტრი – ორი წმინდანი ბერის ტანსაცმელში (შედარებით მცირე ზომის ფიგურები მთელი ტანით): ჩრდ-ით წმ. ისიდორე, მეორე რეგისტრი – ტახტზე მჯდომი ღვთის-



087. მთავარანგელოზთა ეკლესია, ხედი სამხრ-დან

მშობელი, ხელში უჭირავს ყრმა, იქვე – ორი ისტ. პირი: წინ, ქართ. ასომთ. წარწერის თანახმად – მეფე ლეონ აღმშენებელი, მის გვერდით, როგორც ჩანს, მისი ვაჟი ალექსანდრე მეომრის ტანსაცმელში (წარ-

წერა დაზიანებულია); სარკმლის ჩრდ. წირთხლი – წმ. ბონიფაციუსი.

კამარის ჩრდ. გვერდი, პირველი რეგისტრი – ექვსფრთედები, ცეცხლოვანი ბორბლები (მთავარანგელოზებიც?); მეორე რეგისტრი, სამხრ.-დას. გუმბათქვეშა ბურჯიდან დას. კედელზე გადაყვანილი თაღის თავზე, აღმ-ით და დას-ით – წინასწარმეტყველები სოფონია და ანგია (ორივე მედალიონშია).

ჩრდ.-დას. მკლავთაშორისი სივრცე: აღმ. კედელი, პირველი რეგისტრი – კომპოზიციის ნაშთები (შინაარსის დადგენა არ ხერხდება); მეორე რეგისტრი – ორი წინასწარმეტყველი მედალიონებში: სამხრ-ით – ნაუმი;

კამარის სამხრ. გვერდი, პირველი რეგისტრი – *მენელსაცხებლე დედანი ქრისტეს საფლავთან*; მეორე რეგისტრი, სამხრ.-დას. გუმბათქვეშა ბურჯიდან დას. კედელზე გადაყვანილი თაღის თავზე, აღმ-ით და დას-ით – წინასწარმეტყველები ოსე და აბდია (ორივე მედალიონებშია);

დას. კედელი, მეორე რეგისტრი, სარკმლის სამხრ-ით – წინასწამეტყველი ნათანაელი, ჩრდ-ით – წინასწარმეტყველი ელია; მესამე რეგისტრი – სამი წმინდანი ბერის სამოსელში: სამხრ-იდან პირველი – წმ. ანტონი, მეორე – წმ. არსენი(?), მესამე – წმ. ეფრემი ან წმ. ექვთიმე; სარკმლის სამხრ. წირთხლი – წმ. ნესტორი, ჩრდ. წირთხლი – წმ. ტარახოსი; მეორე და მესამე რეგისტრებს ამ კედელზე ერთმანეთისგან ყოფს არა რეგისტრის აღმნიშვნელი მოწითალოყავისფერი ხაზი, არამედ სტილიზებული მცენარეული ორნამენტის განიერი ზოლი;

კამარის ჩრდ. გვერდი, პირველი რეგისტრი – დაზიანებული სცენის ნაშთები (შინაარსის დადგენა არ ხერხდება); ჩრდ. კედელი, მეორე რეგისტრი, აღმ-ით დატირება (ბერძნულ წარწერაში მოხსენიებულია როგორც ქრისტეს გარდამოხსნა), დას-ით – ჯვარცმა მესამე რეგისტრი – ოთხი წმ. დედა (მთელი ტანით თაღნარის ქვეშ: აღმ-იდან მესამე წმინდანის ახლოს შემონახულია ქართ. ასომთ. წარწერის სამი ასო – სტს (ანასტასია?).

გუმბათის ნახევარსფეროს: ქრისტე პანტოკრატორი მედალიონში; მედალიონის ირგვლივ – ქართ. ასომთ. წარწერა: [უფ]ალო: გარდამოიხილე ზეცით და [იხილე და მოხედე ვენახსა ამას] და მტკიცე ესე: რომელ: დ[აასხა მარჯუენემან შენმან].

გუმბათის ნახევარსფეროს ქვედა ნაწილი – წელზედა ფიგურების რიგი: აღმ-ით, ცენტრში – ღვთისმშობელი, ირგვლივ – მთავარანგელოზები და ექვსფრთედები.

გუმბათის ყელი, სარკმლთა შორის – წინასწარმეტყველები ორ რეგისტრად (ზევით – მთელი ტანით, ქვევით – წელზედით): ზედა რეგისტრი, ცენტრ. – სარკმლის სამხრ-ით – დავითი – (შემონახულია წარწერა), რიგით მეხუთე ფიგურა – ბარუქი(? გრაგნილის ტექსტი ბარუქი – 3,36), მეშვიდე – ელია ან ელისე, მერვე – სოლომონი(?); ქვედა რეგისტრი, ცენტრ. სარკმლის სამხრ-ით (საათის ისრის მიმართულებით) – ამბაკუმი, გედეონი, ეზეკიელი, ენოქი (შემდეგი წინასწარმეტყველის სახელი არ იკითხება), დანიელი, ზაქარია, იაკობი. წინასწარმეტყველებს გაშლილი გრაგნილები უჭირავთ ხელში. გუმბათის ყელის სარკმლთა წირთხლები შემკულია მცენარეული ორნამენტით.

აფრების თავზე, გუმბათის ყელის შეერილამდე, აღმ-ით, ცენტრში – პირი ღვთისა, ირგვლივ ქრთმეორის მონაცვლეობით – მახარებელთა სიმბოლოები და მთავარანგელოზები (წელზედით); აფრები – მახარებლები: ჩრდ.-აღმ-ით – მთე, სამხრ.-აღმ-ით – იოანე ღვთისმეტყველი – სამხრ.-დას-ით – მარკოზი.

გუმბათქვეშა სამხრ.-დას. ბურჯის აღმ. მხარე – ზედა ორი რეგისტრის მეტი ნაწილი დაღუპულია (მეორე რეგისტრში შემორჩა მთელი ტანით მოცემული წმინდანის სხეულის ქვედა ნაწილი); მესამე რეგისტრი – წმ. არსენი (მთელი ტანით); მეოთხე რეგისტრი – წმ. მეთოდე (მედალიონში); ამავე ბურჯის ჩრდ-ის მხარე, პილასტრი – ზედა ორი რეგისტრი ძალიან დაზიანებულია; მესამე რეგისტრი – წმ. ნიკიფორე (მთელი ტანით); მეოთხე რეგისტრი – მთავარანგელოზი გაბრიელი (მედალიონში).

გუმბათქვეშა სამხრ.-დას. ბურჯიდან დას. კედელზე გადაყვანილი თაღის სოფიტი – ორი წმინდანი (მთელი ტანით): აღმ-ით – წმ. საბა, დას-ით – წმინდანი ბერის სამოსელში (სახელი არ იკითხება); ქვევით, დას. კედლის პილასტრი – წმ. ბართლომე მეუდაბნოე (მუხლზევით); ამავე ბურჯიდან სამხრ. კედელზე გადაყვანილი თაღის სოფიტი, ჩრდ-ით – წმ. ევანტე, სამხრ-ით – წმ. სპირიდონი (ორივე წელზევით); ქვევით, სამხრ. კედლის პილასტრი – წმ. პავლე თიბელი (მუხლზევით).

სამხრ.-დას. გუმბათქვეშა ბურჯის ქვედა ნაწილი – თაღნარის ქვეშ გამოსახული ოთხი ფიგურა (მთელი ტანით): აღმ-ით – წინამძღვარი საბა კვერთხით ხელში, სამხრ-ით – წმ. ლუკა,დას-ით – წმ. ზოსიმე ბარძიმით და კოვზით, ჩრდ-ით – წმ. მათე (ორივე მახარებელს სახარება უჭირავს ხელში).

გუმბათქვეშა ჩრდ.-დას. ბურჯის აღმ. მხარე – ზედა ორი რეგისტრი განადგურებულია (აქ ახ. ნალესობაა); მესამე რეგისტრი – წმ. დავით თესალონიკელი (მთელი ტანით); მეოთხე რეგისტრი – წმინდანი(?) მედალიონში (იკითხება ქართ. ასომთ. წარწერის ბოლო ორი ასო... ლი); ამავე ბურჯის სამხრ-ის მხარე, პილასტრი – ზედა ორი რეგისტრი განადგურებულია; მესამე რეგისტრი – წმ. ევდოკია (მთელი ტანით); მეოთხე რეგისტრი – მთავარანგელოზი მიქაელი (მედალიონში).

გუმბათქვეშა ჩრდ.-დას. ბურჯიდან ეკლესიის დას. კედელზე გადაყვანილი თაღის სოფიტი – ორი წმინდანი (მთელი ტანით): აღმ-ით – წმინდანის სახელი არ იკითხება, დას-ით – წმ. ევსტათი (წმ. ესტატე ან წმ. ევსტრატი – თ.



087. პალატა-სამრეკლო, I სართულის გეგმა

ჯაუხიშვილის მიხედვით; სხვა მოსაზრების თანახმად – წმ. ეჯვინიოსი); ქვევით, დას. კედლის პილასტრი – წმ. ონოფრე მეუდაბნოე (მუხლზევით); ამავე ბურჯიდან ეკლესიის ჩრდ. კედელზე გადაყვანილი თაღის სოფიტი, სამხრით – წმ. სილიბისტრო (წელზევით), ჩრდ-ით – წმინდანის სახელი აღარ იკითხება; ქვევით, ჩრდ. კედლის პილასტრი – წმინდანი (მუხლზევით).

ჩრდ.-დას. ბურჯის ქვედა ნაწილი – თაღნარის ქვეშ გამოხახული ოთხი ფიგურა (მთელი ტანით): აღმ-ით – წმ. პახუმი კვერთხით ხელში, სამხრ-ით წმ. იოანე ღვთისმეტყველი (ქართ. ასომთ. ასოებით დაწერილია წმ. ღთოლ), დას-ით – წმ. მარიამ მეგვიპტელი. ჩრდ-ით – წმ. მარკოზი (ორივე მახარებელს სახარება უჭირავს ხელში).

მიუხედავად დღევანდელი მდგომარეობისა, გარკვევით ჩანს, რომ მხატვრობა განსაკუთრებული მნიშვნელობის სამეფო შეკვეთაა: შესრულების დონით და მხატვრულ-ისტ. თვალსაზრისით, იგი თავისი დროის გამორჩეულ ძეგლს წარმოადგენს, რ-ის უახლოესი სტილისტ. პარალელები ათონის მთის მოხატულობათა მცირის მოიპოვება.

ცნობილია, რომ XVII ს. გრეგორის ფერწერის განახლებაზე მუშაობდნენ მოსკოვიდან მოწვეული ოსტატებიც, მაგრამ ეს საკითხი ჯერჯერობით სპეც. კვლევის საგანი არ გამხდარა.

ეკლესიის ფასადები სწორკუთხა შეღრმავებული არეებით და მათში ჩასმული შეისრული თაღებით დაყოფილია სამ-სამ მონაკვეთად, რ-ებიც შეფარდებულია ფასადის სამნაწილედობასთან: შუა, მაღალ, ფრონტონით დასრულებულ არეებში თაღები შედარებით მაღალია, გვერდის ნაწილებში – უფრო დაბალი. აღმ. და დას. ფასადები, სხვებისგან განსხვავებით, უფრო მეტადაა მორთული. აქ, სამივე არეში, თითქმის ერთ ჰორიზონტზე გამოყვანილია



087. პალატა-სამრეკლო, II სართულის გეგმა

პატარა, დაკიდული თაღების მწკრივი. თითოეული ფასადის შუა არეში, აგურის წყობის შეღრმავებით, გამოსახულია მაღალი ჯვარი. აღმ. ფასადზე კი, ერთ ვერტიკალზე, სხვადასხვა ფორმისა და ზომის ორი ჯვარია გამოსახული. მათგან ქვედა – რელიეფურია, ხოლო ზედა – კედლის სიბრტყეშია ჩამჯდარი.

გუმბათის ყელი გარედან რვაწახნაგაა, გუმბათის ყელის თითოეულ წიბოს ლეკალური აგურით ნაწყობი ლილვი აუყვება, რ-ებიც აგურის დეკორატ. წყობით სიმაღლეში შუაზე წყდება. ლილვებით შემოფარგლულ სწორკუთხა არეების ზედა ნაწილში თითო შეისრული თაღია, მათ ზემოთ კი – აგურის ხერხულა წყობით გამოყვანილი ზოლი.

ეკლ. თავდაპირველად გადახურული ყოფილა მოჭიქული კრამიტით.

ეკლესიის სამხრ-ით დგას პ ა ლ ა ტ ი - ს ა მ რ ე კ ლ ო, რ-იც ეკლესიაზე ადრეა აგებული. ეკლ. პალატთან იმდენად ახლოს დგას, რომ მშენებლობისას მისთვის სამხრ.-დას-ის კუთხის ჩამოთლაც კი დასჭირვებიათ, რათა ეკლესიასა და მანამდე არსებულ პალატს შორის გასასვლელი დარჩენილიყო.

პალატი-სამრეკლო რამდენიმე ქრონოლოგიურ ფენას შეიცავს, რ-ებიც ერთმანეთში ისეა შერეული, რომ მათი გამოყენა ყველგან ზუსტად ვერ ხერხდება.

ნაგებობის უადრესი ფენა პირველი სართულის ვრცელი დარბაზია, რ-იც მთლიანად აგურითაა ნაშენი. დარბაზი მძლავრი პილასტრების წყვილითა და მათზე დაყრდნობილი თაღით გაყოფილია ორ თანაბარ ნაწილად. სამხრ. მონაკვეთს სამხრ-იდან ერთვის ოდნავ შემაღლებული იატაკის მქონე კამაროვანი ნაწილი, რ-ის კედლებში განლაგებულია ოთხი ღრმა, მაღალი, თაღოვანი ნიშა. დარბაზის ორივე ნაწილს შეისრული კამარა ხურავს. დარბაზში შესასვლელი ჩრდ. კედლის შუაშია. მისი თაღოვანი გადახურვა, გარედან, კედლის შეღრმავებულ სწორკუთხა არეშია მოქცეული, რ-ის თავს კუთხით შვერილი აგურებით გამოყვანილი ფრიზი გასდევს. ამავე კედლის ზედა ნაწილში მოწყობილია სამი მცირე ზომის სარკმელი. აღმ. კედელში ერთი განიერი სარკმელია, რ-იც XIX საუკუნეშია გაჭრილი. ამავე დროს დას. კედელში მოუწყვიათ კარი. იგი მის გვერდით მდებარე სარკმელთან ერთად, მალევე ამოუქოლავთ და შიგ სათოფურები დაუტანებიათ.

დარბაზის აგების შემდგომ (როგორც ჩანს ეკლესიის მშენებლობისას), მისთვის სამხრ-იდან მოუდგამთ ირეგულარული გეგმის სადგომები, რის გამოც დარბაზის სამხრ. კედლის შუაში მოუწყვიათ კარი. ამ კარით ვხვდებით უსწორო გეგმის კამაროვან სათავსში, რ-ის სამხრ. კედელში ბუხარია (გვიანდელია), ხოლო გრძივ კედლებში – სამი ნიშა. სათავსის დას-ით გეგმით წრიული საპირფარეშოა, ორი სარკმელ-სათოფურით. მოპირდაპირე ბოლოში კი – კიბის უჯრედი, საიდანაც მარჯვ. მარში



087. პალატი-სამრეკლო, ჭრილი, ხედი ჩრდ.-დას.-კენ

მეორე სართულზე მიემართება, მარცხ. კი – მესამეზე. ამავე დონეზე ერთი განცალკევებული სათავსია, რ-საც შესახვლელი მხოლოდ ეზიდან აქვს. როგორც ჩანს, ეს სათავსი მცველის სადგომს წარმოადგენდა.



087. პალატი-სამრეკლო, სამხრ.-აღმ. ფასადი

მეორე სართულის შუაში კვადრ. დარბაზია, რ-საც სამი სწორკუთხა მკლავი შეერთვის. დარბაზი გუმბათითაა გადახურული, რ-ის წვერში მოწყობილია წრიული ხვრელი, დარბაზის იატაკში კი სწორკუთხა ხვრელი ეფინება. ამ ხვრელებით სამივე სართული ერთმანეთს უკავშირდებოდა.

გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის წრიულ საფუძველზე გადასვლა აფრების მეშვეობით ხდება. თვით აფრები აღნაგობით რთულია, გამოყვანილია ბადისებრი წყობით. დარბაზის მკლავებიდან აღმ. მკლავის იატაკი ოდნავ შემაღლებულია. მკლავში ერთი სარკმელია გაჭრილი. ჩრდ. მკლავში თონეა, რ-ის გეერდით, კირის დუღაბით, გამოყვანილია მოზრდილი, ჯამისებრი ნაღრმავება (როგორც ჩანს ცომის მოსაზელად). სამხრ. მკლავი, დანარჩენებთან შედარებით, თითქმის ორჯერ უფრო მაღალია. მის ორ კედელში თითო ნიშაა. სამხრ.-აღმ. კუთხეში კი – ორი კარი. ერთი მათგანი მკლავს კიბის უჯრედთან აკავშირებს, მეორე კი – მეორე ზომის, გუმბათქვეშა კვადრატის დახურულ კვადრატულ სათავსთან, რ-ის კედლებში მოწყობილია ბუხარი, ნიშა და სარკმელი.

ნაგებობის ჩრდ.-აღმ. კუთხეში, მეორე სართულის ნახევრის დონეზე, წრიული გეგმის პატარა სათავსია, რ-შიც მესამე სართულზე ასასვლელი კიბის უჯრედიდან ვხვდებით. სათავსი სეგმენტისებრი, გუმბათოვანი კამარითაა გადახურული, კედელში კი, ორი სწორკუთხა ნიშა და ერთი სარკმელია. ამ სათავსის თავზე, მესამე სართულის დონეზე, მოწყობილია გეგმით წრიული და ასევე გუმბათოვანი კამარით გადახურული სამრეკლოს ფანჩატური. იგი გარედან სამი წახნაგითაა მოფარგლული, რ-ებშიც თითო მაღალი, განიერი შეისრული თაღია.

კიბიდან ფანჩატურში შესვლამდე წინკარის მსგავსი მოგრძო კამაროვანი სათავსია, რ-საც სამი კედელი აქვს, მეოთხე მხარე – მთლიანად ღიაა. სათავსის ორ კედელში სხვადასხვა ზომის თითო სარკმელია. მესამე კედელში კარია, რ-ითაც შევდივართ საკმაოდ დიდ, კამაროვან დარბაზში. XIX ს-ში სათავსის სახურავზე დაუდგამთ ექვსწახნაგა, პირამიდული სახურავით გადახურული ფანჩატური.

ნაგებობის ფასადები სადაა. პირველი ფენის დიდი დარბაზი და პალატ-სამრეკლოს ზედა ნაწილი თითქმის სულ აგურისაა, შუა მესამედი კი ნაგებია აგურისა და ნატეხი ქვის შერეული წყობით.

როგორც აღინიშნა, ეკლესიის მშენებლობა დასრულებულა 1565 წელს, როცა პალატი უკვე იდგა. აქედან გამომდინარე, პალატის აგების ზედა ზღვარი 1565 წელია, ხოლო ქვედა – 1466 წ., როდესაც მეფე გიორგი VIII-მ აქ საფუძველი ჩაუყარა კახეთის ახალ დედაქალაქს. ოთხსართულიანი სამრეკლო ეკლესიის მშენებლობისას აღუმართავთ, ხოლო სამრეკლოს ექვსწახნაგა ფანჩატური XIX ს-ში აუგიათ.

1965 წ. ეკლესიის ეზოში ჩატარდა არქეოლ. სამუშაოები, რათა შედეგადაც გამოჩნდა სხვადასხვა პერიოდისა და დანიშნულების ნაგებობები. ეკლესიის ჩრდ-ით აღმოჩნდა ტრაპეციული გეგმის ნაგებობის საძირკველი. ნაგებობაში შემორჩენილი იყო აგურისკედლებიანი ოთხკუთხა (1,1×0,7 მ) ქურა, თონე და აგურით



087. საერთო ხედი სამხრ.-დას-იდან

მოგებული იატაკის ფრაგმენტი. ნაგებობის გაგრძელებაზე სწორკუთხა სათავსის საძირკვლის ნაშთებია, რ-ის იატაკში ჩადგმული

იყო სხვადასხვა ზომის ქვევრები და თონე. ქვევრები ამ სათავსის აღმ-ითაცაა, რ-თა განლაგებით ირკვევა, რომ ადრე ეზო უფრო ფართო ყოფილა, რადგან ზოგიერთი ქვევრი დღევანდელ გალავნის ქვეშაა მოქცეული, ზოგიც მის ფარგლებს გარეთაა.

ეკლესიის აღმ-ით, ეზოს დონის ქვემოთ, გაწმენდის შედეგად, აღმოჩნდა სამხრ.-ჩრდ-ის მიმართულებით წაგრძელებული ნაგებობა, რ-ის გარე კედლად გალავანია გამოყენებული. ამ კედელში

სამი სარკმელი და ერთი ნიშაა. ეზოს მხარეს მდებარე კედელზე კი მიშენებულია ნაგებობა, რის ფსკერზე ღარია, რ-იც საწნახლის ჩრდ. კედელში გადის. ნაგებობის დას. კედელში განიერი კარია. კარის გვერდით ოთხკუთხა (3,5×3 მ) ბურჯი, რ-საც დას-იდან ეკვრის მცირე ზომის სათავსი. სათავსის დას. კედელში ბუხარია, ხოლო აღმ. კედელში – კარი. ამ ნაგებობის გაგრძელებაზე, სამხრ-ით, გალავანზე, მიდგმული ყოფილა ნატეხი ქვით ნაგები, სწორკუთხა შენობა (შემორჩენილია საძირკველი). იქვე ეკლესიასა და ამ ნაგებობას შორის კიდევ ყოფილა რაღაც ნაგებობა, რ-ისგანაც მხოლოდ სამხრ. კედლის ფრაგმენტია დარჩენილი. აღმ-ით მდებარე ნაგებობის სამხრ-ით, გალავნის გაყოლებაზე, ჩადის კიბე, რ-იც ეზოს, სათადარიგო კარით გარეთ გადის.

გალავანი რელიეფის შესაბამისადაა ნაშენი და გეგმით რთული მოხაზულობა აქვს. გალავნის მთავარი შესასვლელი მოთავსებულია ჩრდ-აღმ. კუთხეში, ორ ბურჯს შორის. კარი თაღოვანია, საგანგებოდ გამაგრებული. შესასვლელის გვერდებზე თითო სათოფურია, ხოლო ზემოთ – ორი შეწყობილებული და ოთხი ძირს დახრილი სათოფური. გალავნის დას. კედლის შემორჩენილ ნაწილშიც სათოფურებია განლაგებული. კედლის შუაში ცალმაგი და ორმაგი სათოფურებით აღჭურვილი ნახევარწრიული შეკრილია. ეზოს მხრიდან, გალავნის აღმ. მონაკვეთი მიწის პირამდეა დანგრეული, რის გამოც საბრძოლო ელემენტები არ შერჩენია.

გალავნის სამხრ. კუთხეში ჩართულია სწორკუთხა კოშკი, რისგანაც ნაწილობრივ ორი სართულია შემორჩენილი. გათხრების შედეგად გაირკვა, რომ კოშკის პირველი სართული რომელიღაც პერიოდში მიწით ამოუვსიათ და შიგ სხვადასხვა ზომის ორი თონე მოუწყვიათ. კოშკის მეორე სართულის გრძივ კედლებში თითო სათოფურია, წინაში კი – ძირს

დახრილი ორი სათოფური. კოშკთან ახლოს, გალავანში, დატანებულია კარი. ამ კარით გადიოდნენ გვირაბში, რ-იც გარედან გალავანს მიჰყვებოდა და მდ. ინწობასთან ჩადიოდა.

გალავნის სამხრ. კოშკსა და სამრეკლოს შორის მდებარე კედელი ბურჯით შუაზეა გაყოფილი. კოშკსაც და კედელსაც აკლია ზედა ნაწილი. პირველში ორი ცალმაგი სათოფურია, მეორე კი ჯრუა. სამრეკლოს კუთხეში, კლდეზე, დაშენებულია გალავანზე გადასასვლელი კიბე.

გარედან გალავანში ჩართულია რამდენიმე ნახევარწრიული კონტრფორსი, რ-ებშიც ზოგან აგურის წყობაა. შესასვლელის დამცავ ბურჯებზე აგური მორთულობის მიზნითაა გამოყენებული. არშია ზოგან აგურის ვერტ. წყობითაა გამოყვანილი, ზოგან კი თევზიფხური წყობით. რაც საფუძველს გვიქმნის ვიფიქროთ, რომ გალავნის ჩრდ. ნაწილი და შესასვლელი XVIII ს-ის განახლებას მიეკუთვნება. გალავანში ჩანს სხვა ფენებიც, მაგრამ მათი გამოვლენა და ზუსტად დათარიღება შეუძლებელია.

პალატის აღმ-ით, ეზოს შიგნით, შემორჩენილია პალატის თავდაპირველი გალავნის მცირე ნაწილი, რ-იც ზედა ტერასის მხრიდან 0,5 მ სიმაღლისაა, ხოლო გარედან მისი სიმ. 6 მ-მდეა. ამ კედლის წყობა გალავნის სხვა კედლებისგან სრულიად განსხვავებულია და ოდნავ დამუშავებული, თარაზულ რიგებად დაწყობილი ქვის მოზრდილი კვადრებითაა ნაწყობი.

ფ. დეკდარიანი, თ. ლეჟავა.

ბიბლ.: 6; 28; 70; 75; 79; 208; 229; 264; 323; 335.

088. რვაბვერდა ნაგებობა, არქიტ. ძ. მდებარეობდა მეფე-დიდებულთა უბანში. შემორჩენილია საძირკველი და აქა-იქ აგურით მოგებული იატაკის ფრაგმენტები.

ნაგებობის გეგმა შიგნით და გარედან რვაწახნაგაა (გარეთა ზომები ღერძებზე – 10,5 მ, შიგნით – 5,5 მ). შენობის შიდა და გარე წახნაგებს შორის 2,5 მ-ია. შიდა კედლებს აგურის ერთი ფენა შეშოუყვება. აღმ. წახნაგის წინ ერთიგად დაწყობილი აგურებით დახახლ. 1,3 მ სიგანის საფეხური იქმნება. შესაძლოა, რომ შენობის შესასვლელი ამ წახნაგში იყო მოწყობილი.

შენობა, როგორც ჩანს, საცხოვრებლად იყო გამოყენებული და არა სათავდაცვოდ.

თ. ლეჟავა.

ბიბლ.: 75; 229.

089. სავაჭრო უბნის აბანო, არქიტ. ძ. მდებარეობს ე. წ. სავაჭრო უბნის დას. ნაწილში. თარიღდება XV-XVI სს-ით.

აბანოს ძირითადი, საბანაო ნაწილი გეგმით კვადრატს მიახლოებული სწორკუთხედია (13×11 მ), რ-ზედაც ჩრდ-იდან შიგნიდან ათწახნაგა (გარეთა მოხაზულობა არ ირკვევა) გასახდელია მიდგმული. გასახდელში შესასვლელი ჩრდ-ით მდებარე ერთ-ერთ წახნაგშია. მის მოპირდაპირედ საბანაო ნაწილში გასასვლელი კარია. დანარჩენი წახნაგების ქვედა ნაწილში, იატაკიდან 0,5 მ სიმაღლეზე, გეერდგეერდ, ოთხ-ოთხი მცირე ზომის ნიშაა, ზემოთა ნაწილში კი თითო ღრმა ნიშა, რ-თა ძირი და კედლები შელესილია. გასახდელის ცენტრში თხელკედლიანი წრიული აუზია.

საბანაო ნაწილი ორხართულიანია. ქვედა სართული გათბობისთვის იყო განკუთვნილი, ზედა – საბანაოდ. საქვაბე ქვედა სართულის დონეზე, აღმ. ნაწილის შუაშია. მის თავზე, ზედა სართულის მთელ სიგანეზე, მოწყობილია კამაროვანი წყალსაცავი. აქედან ცხელი წყალი, კედლებში დატანებული მილებით, შესაბამისი ადგილებისკენ მიედინებოდა. მეორე



089. გეგმა

წყალსაცავი, რ-იც ციცე წყლისათვის იყო განკუთვნილი, სამხრ. კედლის გაყოლებაზეა და ასევე კამარით ყოფილა გადახურული.

საბანაო ნაწილს გეგმის სწორკუთხედში ჩაწერილი ტოლ-



089. ხედი სამხრ.-დას.-დან

მკლავა ჯვრის ფორმა აქვს. ცენტრში, ჯვრის მკლავების გადაკვეთაზე, მოზრდილი რვაწახნაგა სათავსია, რ-საც ოთხი მხრიდან ერთვის თითო ღრმა უბე. მათგან სამი სწორკუთხაა, ხოლო მეოთხეს, აღმ-ით მდებარეს, სამწახნაგა დაბოლოება აქვს. შემორჩენილი ნაწილების მიხედვით დგინდება, რომ უბეები შეისრული კამარით იყო გადახურული, ცენტრ. ნაწილი კი – გუმბათოვანით.

საბანაო ნაწილის ოთხივე კუთხეში განცალკევებული საბანაო სათავსებია, რ-ებსაც შესასვლელი ცენტრ. სათავსიდან აქვთ. აღმ. კუთხეებში მდებარე ორივე სათავსის აღმ. ბოლოში 1 *მ* სიმაღლის კედლით გამოყოფილი აუზია, რ-ებშიც ციცე და ცხელი წყალი ცალ-ცალკე შედიოდა.

დას. კუთხეებში მდებარე სათავსები სხვადასხვაგვარადაა გადაწყვეტილი. მათგან სამხრ.-დას. კუთხის სათავსი კვადრატულია. მასში მილები არ შედის. ჩრდ.-დას. კუთხეში მდებარე სათავსი უფრო მოზრდილია და მისი დასის ნაწილი შენობის ძირითადი კორპუსის გარეთ გადის.

აბანოს ძირითადი კორპუსის კედლებში ექვსს ადგილას მოწყობილია გეგმით სწორკუთხა, მოზრდილი ღრმული, რ-ებშიც წყლის მილები შედის და გამოდის. კედლების დაზიანების გამო, მათი დანიშნულების განსაზღვრა არ ხერხდება.

მეორე სართულის აგურის იატაკი დაურდნობილი იყო აგურისავე ოთხკუთხა სვეტებზე. იატაკის კონსტრუქცია საინტერესოდაა გადაწყვეტილი. სვეტებზე კუთხეებით დაყრდნობილია დიდი ზომის (67×60×7 *სმ*) აგურები. მასზე დასხმულია კირის ხსნარი, ზემოდან კი ჩვეულებრივი ზომის აგურია დაფენილი, რ-იც სქელი დუღაბითაა გადალესილი. იატაკი შემოსასვლელისაკენ (ჩრდ.-დას-ით), ოდნავ დაქანებულია. კარის ღიობში ღარია, რ-იც ჯერ ჩრდ.-დას. კუთხის სათავსის აღმ. კედლის ძირს გაუყვება, ხოლო შემდეგ მილს უერთდება და გარეთ გადის. აქედან კი აგურებით გამოყვანილი ღარით ჩრდ-სკენ (კოლექტორისკენ?) მიემართებოდა.

გათხრებისას დიდი რაოდენობით აღმოჩნდა კერამ. ნამტვრევები და ფაიანსის ჭურჭლის ფრაგმენტები.

თ. დვალი.

ბიბლ.: 75; 229; 335..

090. სამეფო აბანო არქიტ. ძ. მდებარეობს ქ. წ. მეფე-დიდებულთა უბნის ჩრდ-დას. განაპირას, თარიღდება XV-XVI სს-ით.

აბანოს გეგმით რთული, ტიპური მოხაზულობა აქვს. შედგება სხადასხვა ზომის ორი ნაწილისგან, რ-თა კედლები ერთმანეთს არ ებმის. ნაგებია აგურით (22×22×4; 23×23×5 *სმ*). აქა-იქ (ჩანართად) გამოყენებულია ნატეხი ქვაც. მოზრდილ ნაწილში (მაქს. ზომები: სიგრ. 14 *მ*, სიგ. 12 *მ*) საბანაო და მასთან დაკავშირებული სათავსებია. მომცროში (მაქს. ზომები: სიგრ. 11 *მ*, სიგ. 10,5 *მ*) – გასახდელი და სხვა დამხმარე სათავსები.

აბანოში შესასვლელი მომცრო ნაწილის აღმ. კედლის სამხრ. კიდესთანაა. შესასვლელიდან ვხვდებით მცირე ზომის კვადრატულ წინკარში, აქედან კი – ცენტრალურ სათავსში, რ-საც გეგმით კუთხეებნამოჭრილი კვადრატის ფორმა აქვს. მას ოთხივე მხრიდან ერთვის რამდენადმე დაბალი თითო სწორკუთხა სათავსი – გასახდელი. მათი იატაკი ცენტრ. სათავსის იატაკიდან 0,5 *მ*-ითაა შემაღლებული, რის გამოც ცენტრალურ სათავსს მთელ პერიმეტრზე საფეხური აქვს მოწყობილი. ამ სათავსებიდან სამი ტოლია, ხოლო მეოთხე (ჩრდ-ით მდებარე) დანარჩენებზე ოდნავ ღრმაა და განიერი. ცენტრ. სათავსის შუაში და ჩრდ. სათავსში მოწყობილია აუზი. ცენტრალურ სათავსში მდებარე აუზი უფრო მხატვრულადაა გადაწყვეტილი და, მეორესთან შედარებით, ოდნავ მოზრდილიცაა. იგი ექვსი ნახევარწრისგან შედგენილი, თხელი კედლითაა (სიმ. დაახლ. 1 *მ*) შემოფარგლული. აუზის ცენტრში ამოდის კერამ. მილი. მეორე აუზი რვაწახნაგაა და მთლიანად იატაკშია ჩამჯდარი.

შენობის სამხრ.-დას. და ჩრდ.-დას. კუთხეებში კიდევ თითო სათავსია, რ-ებიც ცენტრალურ სათავსს კარით უკავშირდება. მათგან ჩრდ.-დას. სათავსიდან აბანოს საბანაო ნაწილში გავდიოვართ. სათავსის დას. კედელში მეორე კარია, რ-ის წინ, მოგვიანებით ამოყვანილი ორი კედლით, მცირე სა-

თავსი (საპირფარეშო?) მოუწყვიათ. სამხრ.-დას-ის კუთხეში მდებარე სათავსი განიერი გასასვლელით დაკავშირებულია კიდევ ერთ სათავსთან, რ-იც შენობის დას. კედლის ხაზიდან გარეთაა გასული.

აბანოს მეორე, ორსართულიანი ნაწილი საბანაოდ იყო განკუთვნილი. ქვედა სართულზე (სიმ.



690. გეგმა

0,7 მ) კალორიფერია, რ-იც ჰაერის გათბობისათვის იყო განკუთვნილი. საცეცხლეც ამავე სართულზეა – ჩრდ. კედელთან. ამ კედელში მოზრდილი კარია, საიდანაც საცეცხლეში შეშას აწყობდნენ. საცეცხლე კვადრ. ფორმისაა. მას თავზე ედგა ლითონის ტაშტი. ტაშტის თავზე მოწყობილი იყო გრძელი კამაროვანი წყალსაცავი, რ-იც ათ კუბ. მ-ზე მეტ წყალს იტევდა. წყალსაცავიდან, კედლებში დატანებული კერამ. მილებით, ცხელი წყალი მიემართებოდა სათანადო ადგილებში.

კალორიფერში აგურის სვეტები ერთმანეთის მიმართ ისეა განლაგებული, რომ მათ კუთხეებზე დაყრდნობილიყო სპეც. ზომის (45×45×10 სმ) გამომწვარი აგური. დანარჩენი ადგილები შევსებულია მათ ფორმასთან მისადაგებული ზომების გამომწვარი აგურებით. მათზე დასხმულია 3-5 სმ სისქის კირის დუღაბი, რ-ზეც დაფენილია ჩვეულებრივი ზომის (22×22×4 სმ) აგური.

ცხელი წყლის აუზის გარდა, აბანოს ორი აუზი ჰქონდა ცივი წყლისთვისაც. ერთი დიდია, მეორე – პატარა. ორივე აუზი გვერდიგვერდაა – საბანაო ნაწილის ჩრდ.-აღმ. კუთხეში და ერთმანეთს [illegible]დილი, სწორკუთხა ხვრელით უკავშირდება. ამ ხვრელის გარდა, ისინი ერთმანეთს მათ ქვემოთ მდებარე მილითაც უკავშირდებოდნენ. პატარა აუზს მეორე ხვრელიც აქვს, რ-იც მის მომიჯნავე საბანაო ოთახში გადის.

აბანოს დას. ნაწილის შუაში კიდევ ერთი აუზია, რ-შიც ცხელი და გარედან შემომავალი ცივი წყალი ერთმანეთს ერეოდა. ამ აუზიდან წყალს მის გვერდით (სამხრ-ით) მდებარე საბაზანო ოთახიდანაც იღებდნენ, რისთვისაც მათ შორის არსებულ კედელში გაჭრილია სარკმლისმაგვარი ხვრელობი.

აბანოს საბანაო სათავსები სხვადასხვაგვარია. შენობის ცენტრ. ნაწილი უჭირავს გეგმით რვაგვერდა სათავსს, რ-საც ღერძული წახნაგების მხრიდან, მთელ სიგანეზე გახსნილი, თითო სათავსი ერთვის. ოთხივე მათგანი თანაბარი ზომისაა და სამწახნაგოვანი დაბოლოება აქვს. ჩრდ. სათავსი ცხელ წყალსაცავს ესაზღვრება. აქ, შუა წახნაგის ზედა ნაწილში, სარკმლისმაგვარი ხვრელია, რ-იც შესაძლოა საკონტროლოდ იყო განკუთვნილი. წახნაგის ქვედა ნაწილში კი ერთი მილი შემოდის. დას. სათავსის მარჯვ. წახნაგზე, ერთიმეორის ზემოთ, მოთავსებულია ცივი და ცხელი წყლისათვის განკუთვნილი ორი მილი (დიამ. 6-8 სმ). ამ მილების ქვეშ, დუღაბში, ჩადგმულია ქვაბის ფორმის კერამ. ჭურჭელი (დიამ. 40 სმ, სიმ. 30 სმ). აღმ. სათავსი, შუა წახნაგში გაჭრილი კარით, დაკავშირებულია კვადრ. გეგმის სათავსთან, რ-ის ჩრდ. კედელში ორი მილი შემოდის. მათ ქვემოთ ქვაბის ფორმის ჭურჭელია ჩადგმული. სათავსის სამხრ. კედელზე მცირე ზომის თაღოვანი ნიშაა. სამხრ. სათავსიც, აღმ. სათავსის მსგავსად, მილების გარეშეა. რვაგვერდა სათავსთან გაერთიანებული ოთხივე სათავსის იატაკი დაქანებულია რვაგვერდა

სათავისკენ. ამ უკანასკნელის იატაკი – სამხრ.-დას. წახნაგისაკენ, შესასვლელისაკენ. მის წინ იწყება წყლის გასაყვანი ღარი, რ-იც ჯერ კედელს მიჰყვება, შემდეგ კი იატაკქვეშ გადის და ჩვეულებრივი მილით მიემართებოდა მდინარისაკენ.

ნაგებობის ჩრდ.-აღმ. და ჩრდ.-დას. ნაწილში თითო სააბაზანო სათავსია. ჩრდ.-აღმ. ნაწილში მდებარე სათავსი მარტივადაა გადაწყვეტილი. აბაზანა მოიცავს სათავსის აღმ. ნახევარს და დანარჩენი ნაწილისგან გამოყოფილია თხელი კედლით. მის წინ, ჩრდ. კედელზე, მიშენებულია თხელი, დაახლ. 1 მ სიგრძის დაბალი კედელი, რ-იც ჩამოსაჯდომად იქნებოდა განკუთვნილი. სათავსის ჩრდ. კედელში სამი მილი შემოდის. მათგან ერთი – ჩამოსაჯდომის გვერდითაა, ორი – აბაზანის ფარგლებში.

მეორე სააბაზანო სათავსი ორი ნაწილისგან შედგება და უფრო კეთილმოწყობილია. აბაზანის სამივე კედელში, მთელ სიგანეზე მოწყობილია ღრმა, შეისრულთაღოვანი ნიშა, ჩამოსაჯდომი საფეხურით. მეორე საფეხური აბაზანის ფსკერზეა, რ-იც მის ოთხივე კედელს მთელ სიგრძეზე გასდევს. აქაც, სააბაზანოს წინა ნაწილის ჩრდ. კედელზე, ისევე როგორც აღმ-ით მდებარე სააბაზანო სათავსში, მიშენებულია ჩამოსაჯდომი, რ-ის გვერდით მილია.

ორივე აბაზანის და აუზების კედლები შელესილია მკვრივი, წყალგაუმტარი ხსნარით.

აბანოს გასახდელი და სააბანო ნაწილის ცენტრ. სათავსები გუმბათოვანი კამარებით იყო გადახურული, დანარჩენი სათავსები კი – შეისრული კამარებით.

მოგეხსენებით, აღმ-ის მხრიდან, აბანოს ნაწილებს შორის აუგიათ გეგმით სწორკუთხა (6,5×5,5 მ) სათავსი (კედლები შემორჩენილია 0,4-0,5 მ სიმაღლეზე), რ-ის შუაში დარჩენილია აგურის იატაკის ნაწილი. მის ქვეშ კი წყალსადენის მილი.

თ. დვალი.

ბიბლ.: 75; 229; 335.

091. სასახლე I, არქიტ. ძ. მდებარეობს ე. წ. მეფე-დიდებულთა უბანში, მდ. ინწობის მარჯვ. ნაპირას. პატარა შემაღლებაზე განკუთვნება XV-XVI სს.

სასახლის გეგმა სამხრ.-ჩრდ. მიმართულებით წაგრძელებული სწორკუთხედია (დაახლ. 28×16 მ). შემორჩენილია მხოლოდ დას. ნაწილის ნანგრევები. აღმ. ნაწილი კი მდინარეს წაულია. შემორჩენილი კედლები ზოგან ძლივს აღწევს პირველი სართულის იატაკის დონემდე, რ-იც მიწის დონიდან 3-4 მ სიმაღლეზეა.



091. გეგმა

სასახლეს მთავარი შესასვლელი სამხრ-იდან ჰქონია. შესასვლელს წინიდან ადგებოდა უზარმაზარი, კირის დულაბით ჩამოსხმული კიბე (სიგრ. – 6 მ, სიგ. – 3,3 მ), რ-ისთვისაც მდინარეს ძირი გამოუკლია, ჩამოუქცევია და ხრეშით დაუფარავს. კიბის მოპირდაპირე მხარეს აღმოჩნდა აგურით ნაგები რვაგვერდა აუზი (სიგ. 1,5 მ, სიღრმე – 1 მ), რ-ის შიდა ზედაპირი შელესილია კირის მკვრივი ხსნარით. აუზს ერთ მხარეს (ზედა ნაწილში) აქვს წყლის შესაყვანი, ხოლო ფსკერზე – წყლის გასაყვანი მილი. [illegible] აუზი სასახლის მორღვეულ ნაწილში, მიწის დონეზე მდგარა.

სასახლის შიდა გეგმარება, კედლების ფრაგმენტულობისა და მრავალგზის გადაკეთების გამო, ზუსტად არ ირკვევა. როგორც ჩანს, სასახლის დას. ნაწილში ცალკეული ოთახები ყოფილა, ჩრდ. ნაწილში კი – საკმაოდ მოზრდილი დარბაზი. შესასვლელის წინ მოწყობილი იყო წინკარი (ფართ. დაახლ. 8 კვ მ), რ-ის იატაკი აგურით ყოფილა მოგებული. აგურისავე იატაკის ნაშთი აღმოჩნდა სასახლის ჩრდ. მონაკვეთშიც. შემორჩენილი ნაწილიდან ჩანს, რომ ერთ-ერთი გადაკეთების დროს სასახლის იატაკი აუმაღლებიათ და კირის ხსნარით მოულესავთ.

თ. დვალი.

ბიბლ.: 75; 229.

092. სასახლე II, არქიტ. ძ. მდებარეობს ე. წ. მეფე-დიდებულთა

უბანში, მდინარიდან 60-70 მ. მანძილზე. მთლიანად დანგრეულია. ნანგრევებში გაირჩევა სხვადასხვა დროის ოთხი სამშენ. ფენა. ყოველი შემდეგი ნაგებობა ძველ სადირკვლეზე კი არ არის დაშენებული, არამედ იქვე ახლოს, ახ. გეგმითაა აგებული.

სახახლის გეგმა, დაზიანების გამო, სრულად არ იკითხება. მისგან შემორჩენილია მხოლოდ სადირკვლის (სისქე – 2,2 მ) ნაწილები. ამავე პერიოდს განეკუთვნება ნანგრევების სამხრ. განაპირას მდებარე ნაგებობის ნაშთიც (შემორჩენილია ნატეხი ქვით ნაგები, 1 მ სიმაღლის კედლები). ამ ნაგებობის დანგრევის შემდეგ, მისი სამხრ. კედლის ნაწილის გამოყენებით, აუგიათ უფრო დიდი ნაგებობა, რ-ის კედლები 2-3 მ. სიმაღლეზეა შემორჩენილი, მაგრამ პირველი სართულის იატაკი უფრო მაღლა მდებარეობდა. ამ ნაგებობის კედლები სხვებისგან განსხვავებულადაა ნაგები. საშენ მასალად ძირითადად გამოყენებულია მოზრდილი ზომის ნატეხი ქვა, რ-თა შორის დარჩენილი არეები წვრილი ქვითაა შევსებული.

სახახლის დას-ით კიდევ რაღაც შენობა მდგარა. მისგან, დაზიანებული სახით, მოღწეულია კვადრ. სვეტებზე დაყრდნობილი აივნის ნაწილი და აუზი, რ-იც მის წინ მდებარე ეზოში იდგა. აუზი გეგმით კვადრატულია (3×3 მ), სქელკედლებიანი. მასში წყალი კერამ. მილებით შედიოდა.

მომდევნო ხანებში, ნანგრევებზე, აუგიათ კიდევ ერთი, გეგმით სწორკუთხა (21,5×9 მ) შენობა, რ-იც ადრე აგებულ სახახლეზე ბევრად უფრო პატარაა. მთავარი ფასადის მხარეს მას აქვს პილასტრები (შესაძლოა ამ მხარეს აივანი გასდევდა). აქაც შემორჩენილია პირველი სართულის იატაკი, რ-იც, დანარჩენი ნაგებობებისგან განსხვავებით, მოფენილია სხვადასხვა ზომის დიდი აგურებით.

ო. დვალი.

ბიბლ.: 75; 229.



092. გეგმა

093. "საჭარაულო", წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს მთაყარანგელოზთა ეკლესიის კომპლექსის დას-ით, მთის ქედზე.

ეკლ. დარბაზულია (6,3×4,8 მ). განეკუთვნება XV–XVI სს. შენობებით, როგორც ჩანს, XVII საუკ. I ნახ-ში, მასზე კოშკი დაუშენებიათ და საყარაულო ნაგებობად უქცევიათ. რის გამოც ადგილ. მოსახლეობა მას „საყარაულოს" უწოდებს.

ეკლ. ნაგებია ნატეხი ქვის ირეგულარული წყობით. ღიობების წყობაში და ალაგ-ალაგ კონსტრ. ნაწილებში, გამოყენებულია კვადრ. აგური.

შესასვლელი დას-იდანაა. კარი მოზრდილი ქვით თარაზულადაა გადახურული და გარედან საფეხურით შედრმავებულ სწორკუთხა არეში ხის.

აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის გვერდებში თითო მცირე ზომის სწორკუთხა ნიშაა. მსგავსი ერთი ნიშა ჩრდ. კედლის აღმ. ნაწილშია. განათებისათვის ყოველ მხარეს თითო, ოდნავ შე-



093. გეგმა, გრძივი ჭრილი, ხედი სამხრ.-კენ

ისრული თაღით გადახურული სარკმელია. აფსიდი წესიერი ფორმის კონქითაა გადახურული, დარბაზი – ცილინდრული კამარით.

შენობის დას. ფასადზე, შესასვლელის ორივე მხარეს, თითო პატარა, სწორკუთხა ნიშაა. კედლები დასრულებული იყო აგურით ნაწყობი ორსაფეხურიანი ლაქვარდნით.



093. ხედი სამხრ.-დას.-იდან

კოშკი ეკლესიაზე მოკლეა, გეგმით კვადრ. (4,8×4,8 მ). მისი დას., სამხრ. და ჩრდ. კედლები ეკლესიის შესაბამისი კედლების ასწვრივაა, ხოლო აღმ-ისა ეკლესიის აღმ. კედლიდან თითქმის 2 მ-ით, დას-ისკენაა გადაადგილებული და კონქის თაღის ხაზს ემთხვევა. ამიტომ ეკლესიის აღმ. ბოლო თავდაპირველი სახითაა შემორჩენილი.

კოშკის კედლების ზედა ნაწილები მონგრეულია, რის გამოც მისი სართულიანობა არ ირკვევა. სამხრ. და ჩრდ. კედლებზე შემორჩენილია სალოდეების კვალი.

ეკლესიას გარშემოუკეთდა გ ა ლ ა ვ ა ნ ი (შემორჩენილია ჩრდ.-დას. მხარე), რ-ესაც შესასვლელი დას. მხრიდან ჰქონია.

თ. დვალი.

ბიბლ.: 75; 229; 335.

094. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ე. წ. მეფედიდებულთა უბანში. შენობა გეგმით მოგრძო სწორკუთხედია (20,8×7 მ). შედგება სხვადასხვა ზომის ოთხი ოთახისგან. ნაგები ყორფილა რიყის ქვით (კედლები შემორჩენილია 0,3 მ სიმაღლეზე). შესასვლელი, როგორც ჩანს, სამხრ-იდან ჰქონია. შემორჩენილია კარბჯილმაგარი, ოთკუთხა (3,7×2,2 მ) სათავსის საძირკველი.

თ. დვალი.

ბიბლ.: 75; 229.

095. სწორკუთხა ნაგებობა არქიტ. ძ. მდებარეობს ე. წ. მეფედიდებულთა უბნის ჩრდ. განაპირას. მოსახლეობაში ცნობილია როგორც "აკლდემია", თუმცა, ისტორიულ წყაროებში ამის დამადასტურებელი ცნობა არ არის შემორჩენილი.

დანგრეულია. შემორჩენილია მხოლოდ საძირკველი.

ნაგებობის გეგმა კვადრატს მიახლოებული სწორკუთხედია (20,5×18,5 მ), შედგებოდა ორი სხვადასხვა ზომის ნაწილისგან. აღმ. ნაწილში, რ-იც ფართობით დას. ნაწილს სამჯერ აღემატება, გვერდიგვერდ განლაგებულია, აღმ-დას-ის მიმართულებით წაგრძელებული, თითქმის თანაბარი ფართობის, სამი დარბაზი. მათგან შუა და სამხრ-ით მდებარე – ერთიანია, ჩრდ-ით მდებარე კი, ორ არათანაბარ სათავსად იყო გაყოფილი. ნაგებობის მეორე, მთავარი ნაწილისგან კედლით გამოჯნული ნაწილის კედლებში, თითო დიდი ოთახია, რ-თა შორის მოქცეულ ნაწილში, სხვადასხვა ზომის, ოთხი პატარა სათავსი "ჭადრაკულად" ყოფილა განლაგებული. როგორც ჩანს, ისინი სამეურნეო დანიშნულებისათვის გამოიყენებოდა.

შენობის კედლები ნაგები ყორფილა რიყის ქვით და აგურით. აქა-იქ შემორჩენილი ფრაგმენტებით ირკვევა, რომ დარბაზებში იატაკი მოგებული იყო აგურით.

ნაგებობის ნანგრევებში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ღია ცისფერი და მუქი ლურჯი ფერის შორენკეცები.

თ. დვალი.

ბიბლ.: 75; 229.



095. გეგმა

096. ჭულბაქები და ქარვასლა, არქტ. ძ. მდებარეობს ჯ. წ. საფაქრო უბნის ცენტრალურ ნაწილში. ჭ უ ლ ბ ა ქ ე ბ ი ს გეგმა ადმ-იდან დას-ის მიმართულებით წაგრძელებული სწორკუთხედია (44×30 მ), რ-ის შუაში იგივე მოხაზულობის ეზოა. ეზოში შესასვლელი ჩრდ. მხრიდანაა. ეზოს ირგვლივ, ერთმანეთის მიყოლებით, განლაგებულია დუქნები, რ-ებსაც მცირე გამონაკლისების გარდა, თითქმის ერთნაირი აგებულება აქვს – მოგრძო, ყრუკედლებიანი შეისრულკამაროვანი სათავსი (ფართ. დაახლ. 10 კვ მ-ია), რ-ის წინ იმავე სიგანისა და 1,5 მ სიღრმის ლოჯიაა. დუქნები ერთდროულადაა ნაგები. კედლები და კამარები ნაწყობია ნატეხი ქვით. ქვედა დუქანს ჰქონია ბუხარი. ზოგიერთი დუქანი ორსართულიანი ყოფილა. ჩრდ. რიგის დას. კიდეში მდებარე ორსართულიანი დუქნების ქვემოთ სარდაფებია, რ-ებიც ერთმანეთს კარით უკავშირდება. ორივე სარდაფის კედლები შელესილია. შესაძლოა, ისინი მაცივრის როლს ასრულებდა. ამავე რიგის ერთ-ერთი დუქნის უკანა ნაწილში, დაბალი კედლით, გამოყოფილია ვიწრო ადგილი, რ-ის კედლები შიგნიდან წყალგაუმტარი ხსნარითაა შელესილი. ეზოს დას. რიგში ოთხი დუქანია. მათგან სამს დას-იდან ეკვრის ერთიანი, მოზრდილი სათავსი (ფართ. 40 კვ მ), რ-იც კარით მხოლოდ განაპირა დუქნებს უკავშირდება. შუა დუქანში აგებულია ექვსგვერდა აუზი. სავარაუდოდ, ეს დუქანი „სალხინო“ ადგილიც იყო.

ჭიშკართან, ეზოში გასასვლელის ადმ. გვერდში, მოწყობილია პატარა სათავსი (მებაჟის ან მცველის სამყოფი?), რ-იც დანარჩენი სათავსებისგან რეგორც ფართობით, ისე ორიენტაციითაც განსხვავდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



096. ჭულბაქები, დუქნების ჩრდ. რიგი, ხედი სამხრ.-დას-იდან



096. ჭულბაქები, გეგმა

სამხრ. რიგში თანაბარი ფართობის ათი სათავსია, ადმ. რიგში კი – ოთხი. მათგან ორს ლოჯია ეზოს მხარეს აქვს, ორს კი – ქარვასლაში გასასვლელის მხარეს.

ქ ა რ ვ ა ს ლ ა ჭულბაქებს ადმ-იდან ეკვრის. თავდაპირველად ამ ადგილას მდგარა მოზრდილი თონეებიანი შენობები, შემდეგ კი ქარვასლა (75×14 მ) აუგიათ. ამჟამად ქარვასლისგან მხოლოდ საძირკვლის ნაშთებია შემორჩენილი, რის გამოც მისი გეგმა ზუსტად არ იკითხება. შენობის გრძივი დერძის ორივე მხარეს ერთრიგად განლაგებულია 16-16 სათავსი (ფართ. მერყეობს 14 კვ მ-დან 23 კვ მ-მდე), მათ შორის კი განიერი ტალანი ყოფილა, რ-ის იატაკქვეშ გადის წყალსადენი.



096. ჭულბაქები, დუქნების ჩრდ. რიგი, ხედი სამხრ.-აღმ-იდან



096. ქარვასლა, საერთო ხედი

ქარვასლის სამხრ. და ჩრდ. კედლები შეჭრილია ქულბაქების აღმ. კედელში. რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ იგი ქულბაქებზე ადრე ყოფილა აგებული.

ქულბაქებისა და ქარვასლის ტერიტორიაზე გათხრების დროს აღმოჩნდა ვერცხლისა და სპილენძის რამდენიმე მონეტა. მათი უმრავლესობა ცუდადაა დაცული. ერთი ვერცხლის მონეტა, რ-იც ქულბაქების ტერიტორიაზე იყო ნაპოვნი ეკუთვნის შაჰ-ისმაილს და თარიღდება 1502-1524 წლებით, ხოლო ორი სპილენძის მონეტა, რ-ებიც ნაპოვნი იყო ქარვასლის ტერიტორიაზე, თარიღდება XV ს-ის II ნახ-ით.

თ. დვალი.

ბიბლ.: 75; 229; 335.

097. შადრევნიანი პავილიონი, არქიტ. ძ. მდებარეობს ე. წ. მეფედიდებულთა უბანში, მდ. ინწობის ნაპირას.

ნაგებობის გეგმა თითქმის კვადრატულია (12,7×11,8 *მ*) და ოთხივე მხარეს გახსნილი, შუაში კი, შადრევანია, რ-იც იატაკის დონის ქვემოთაა. პავილიონისაკენ მიმდინარე წყლის სათავე ნაგებობა (შემორჩენილია ნაშთი) მოშორებით, მდ. ბოლნისის სათავესთან ყოფილა აგებული. სათავე ნაგებობიდან წყალი კერამ. მილებით მოედინებოდა და ჩადიოდა პავილიონის აღმ. გვერდზე მიშენებულ მცირე ზომის, წრიულ აუზში. აქედან კი შადრევნისაკენ მიემართებოდა. წყლის მოძრაობისათვის საჭირო წნევის შესაქმნელად, აუზის ფსკერი შადრევნის ფსკერზე ბევრად ქვემოთ მდებარეობდა. წყალი აუზიდან შადრევნისკენ ჯერ ჰორიზონტალურად მიედინებოდა, შადრევანთან მიახლოებისას კი, ძირს ეშვებოდა, შემდეგ ისევ ჰორიზონტალურად მიედინებოდა შადრევნის ფსკერისაკენ და მის ცენტრში ამოდიოდა.

პავილიონის ჩრდ.-დას-. კუთხეში მოწყობილი ყოფილა, პატარა მოგრძო ოთახი, რ-ის დანიშნულება არ ირკვევა. ოთახის წინ შემორჩენილია კიბის ორი საფეხური. შესაძლოა, აქედანვე იყო პავილიონში შესასვლელი.

პავილიონი დგას ნატეხი ქვით ნაგებ ცოკოლზე (სიმ. დაახლ. 0,5-0,6 *მ*). ბურჯების შემორჩენილი ნაწილები და იატაკი კვადრ. (22×22×4 *სმ*, 23×23×4 *სმ*) აგურისაა.

ნაგებობა, როგორც მიაჩნიათ, რთული აგებულების გუმბათოვანი კამარებით ყოფილა გადახურული. გადახურვა დაურღვეველი



097. გეგმა

იყო მძლავრ, ოთხკუთხა ბოძებზე, რ-თაგან ძირებიდაა შემორჩენილი (ორ-ორი აღმ. და დას. გვერდებზე, ხოლო ოთხი – შუა ხაზზე).

თ. დვალი.

ბიბლ.: 75; 229.

098. ციხე-დარბაზი სამება, კ ო მ პ ლ ე ქ ს ი, არქიტ. ძ. მდებარეობს ნაქალაქარის ჩრდ.-დას-ით, დაახლ. 1 *კმ*-ზე, მთის წვერზე. თარიღდება X-XIII სს-ით.

ციხე-დარბაზი გალავნითაა შემოფარგლული და გეგმით რთული მოხაზულობისაა. შედგება საცხოვრ. დარბაზის, კარის ეკლესიის, კოშკის და წყალსაცავისგან. მოგვიანებით, XV-XVII სს-ში, ჩრდ.-დას-იდან მიუდგამთ კოშკური საცხოვრ. სამხრ.-დას-იდან კი – მცირე ზომის კოშკი. ციხე-დარბაზს, დღევანდელი სახელწოდება „სამება", მოგვიანებით, მასში მდგარი ეკლესიის სახელობის გამო შეერქვა.



098. გეგმა

ციხე-დარბაზში შესასვლელი სამხრ.-დას-ითაა, ორ კოშკს შორის. შესასვლელის წინ ხუთსაფეხურიანი კიბეა. შესასვლელით პატარა ეზოში (ფართ. დაახლ. 30-35 *კვ მ*-ია) ვხვდებით, რ-თანაც, თავის მხრივ, დაკავშირებულია საცხოვრ. დარბაზი, ეკლ. და კოშკი. ეზო მეორე კიბით, რ-იც ეკლესიის სამხრ.-დას. კუთხესთან იწყება, მეორე კოშკს უკავშირდება.

ე კ ლ ე ს ი ა დარბაზულია (6×4 *მ*). აღმ-ით დასრულებულია ნახევარწრიული, შვერილი აფსიდით, რ-იც გალავნის გარეთაა გასული. შენობა ნაგებია მოგრძო ნატეხი ქვით, რ-იც დაწყობილია მეტ-ნაკლებად წესიერ, თარაზულ რიგებად. მოგვიანებით განახლებული ნაწილები (კამარა, კონქი, შესასვლელის წირთხლები და თაღი) აგურისაა, გარედან კედლების ზედა ნაწილები კი, დაუდევრად ნაწყობი, სხვადასხვა ზომის, ნატეხი ქვითაა აღდგენილი.

ერთადერთი შესასვლელი ეკლესიას დას-იდან აქვს. კარი შეისრული თაღითაა გადახურული. ინტერიერი განათებულია აფსიდის ღერძზე გაჭრილი შეისრულთაღოვანი სარკმლით, რ-ის ქვემოთ, კედელზე, ოთხკუთხა ტრაპეზია მიშენებული. დარბაზის გრძივ კედლებში, ერთმანეთის პირდაპირ, თითო სწორკუთხა ნიშაა. დარბაზი გადახურულია შეისრული კამარით, მსგავსი ფორმისაა კონქის თაღიც.



098. ჭრილი, ხედი აღმ.-დან

ეკლესიის დას-ით დგას გარედან ნახევარწრიული, შიგნით კი წრიული (დიამ. 3 *მ*) კ ო შ კ ი, რ-ის უმეტესი ნაწილი გალავნის გარეთაა. შემორჩენილია I სართულის ნაწილი. კარი ქვის მასიურ მოქცეულ კედელშია – მიწიდან 2,5 *მ* სიმაღლეზე. შიგნით, კარის წინ საფეხურია. კედლები კარგადაა შელესილი. სავარაუდოდ, აქ წყალსაცავი უნდა ყოფილიყო. კოშკის ზედა სართულები საცხოვრ. და სათავდაცვო იყო.

მეორე კ ო შ კ ი შესასვლელის მარჯვნივაა. იქ ასასვლელი კიბე გალავნის კედელშია მოწყობილი. კოშკიდან პირველი სართულის ნაწილიდაა შემორჩენილი.

დ ა რ ბ ა ზ ი გეგმით ტრაპეციის მსგავსია. მასში შესასვლელი სამხრ. კედელში, ეკლესიის ჩრდ.-დას. კუთხესთან ყოფილა მოწყობილი. დარბაზის აღმ. კედელში გაჭრილია სამი განიერი, თარაზულად გადახურული სარკმელი. კედლის შუა ნაწილში ნახევარწრიული დიდი ბუხარი, რ-ის ზურგი გალავნის გარეთაა მოქცეული. დარბაზის დას. ნაწილში, სქელი კედლით, გამოყოფილია სათავსი (სავარაუდოდ წყალსაცავი), რ-იც შიგნით მკვრივი ხსნარითაა შელესილი. დარბაზი მოგვიანებით გადაუკეთებიათ – გადაუხურავთ აგურის კამარით. სავარაუდოდ, მას მეორე სართულიც ჰქონდა.

მოგვიანებით, ციხე-დარბაზისათვის, ფართობის გადიდების მიზნით, ჩრდ. მხრიდან მიუდგამთ გარედან ნახევარწრიული, შიგნით კი რვაგვერდა კ ო შ კ უ რ ი ნ ა გ ე ბ ო ბ ა (შემორჩენილია ერთი სართული), რ-ის ჩრდ-ით მიმართული ხუთი წახნაგიდან სამში თითო სარკმელია გაჭრილი,

ორში კი – სწორკუთხა ნიშაა მოწყობილი. იატაკში დიდი ზომის ქვევრებია ჩაფლული. აღმ. წახნაგში, იატაკის დონეზე, დატანებულია საკანალიზაციო მილი. მეორე ასეთი მილი დარბაზის აღმ. კედელშიცაა. ორივე მილი, კედლის



098. ხედი ჩრდ.-დას-იდან

წყლისგან დასაცავად, გარეთ, კედლიდანაა გამოშვერილი და მთავრდება სპეციალურად გამოთლილი, ღარიანი ქვით. ნაგებობის აღდგენისას, სართული აგურის გუმბათით გადაუხურავთ. კოშკის ზედა სართულები, სავარაუდოდ, საცხოვრებლად და სათავდაცვოდ იყო განკუთვნილი.

კოშკური ნაგებობა ციხე-დარბაზთან დაკავშირებული იყო ჩრდ. კედელში მოწყობილი მოგრძო დერეფნით. დერეფანში, კოშკური ნაგებობიდან, განიერი კარი გამოდის. დერეფნის აღმ. ბოლოში კიბეა, რ-ითაც დერეფანი კოშკურა ნაგებობის და დარბაზის II სართულებთან იყო დაკავშირებული. დერეფნის მეორე ბოლოში საპირფარეშოა. მის წინ მეორე კიბეა, რ-იც ადის გალავანზე, აქედან კი შესაძლებელი იყო წყალსაცავიანი კოშკის II სართულზე მოხვედრა.

1964 წელს ციხე-დარბაზის ტერიტ. გაწმინდა საქართვ. სახელმწ. მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. პ. ზაქარაია). აღმოჩენილი მასალა XI-XIII სს-ით და XV-XVII სს-ით თარიღდება.

თ. დვალი.

ბიბლ.: 75; 229; 335.

099. ხისსვეტებიანი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობდა ნაქალაქარის ჩრდ. განაპირას. მთლიანად დანგრეულია. შემორჩენილი კედლების სიმაღ. 0,5-0,7 *მ*-ია. ნაგებობის გეგმა სამხრ.-ჩრდ-ის მიმართულებით წაგრძელებული სწორკუთხედია (16,7×8 *მ*), რ-საც აღმ-იდან, მთელ სიგრძეზე, ეკვრის შედარებით ვიწრო (ჩრდ.) ნაწილი. ამ ნაწილის ჩრდ. კედელი ძირითადი ნაწილის ჩრდ. კედლის გაგრძელებაა, ხოლო სამხრ-ისა აცდენილია და ძირითადი ნაწილის სამხრ. კედელზე გარედანაა მიდგმული.

ძირითადი ნაწილის კედლები ნაგებია ნატეხი ქვითა და აგურით (22×22×4; 23×23×4 *სმ*), ხოლო ვიწრო ნაწილისა – რიყის ქვით. ძირითად ნაწილში ერთი დიდი დარბაზი და შედარებით მცირე სათავსია. ვიწრო ნაწილი ერთიანია და როგორც ჩანს, აივანს წარმოადგენდა.

ძირითადი ნაწილის კედლები ერთ დონეზეა ამოყვანილი. მშენებლობისას მათში ჩაუდგამთ ხის ოთხკუთხა (25×25 *სმ*) სვეტები, რ-ებიც მოპირდაპირე კედლებზე ერთნაირადაა განლაგებული. სვეტებზე, სავარაუდოდ, გადებული იყო ხის კოჭები, რ-ებსაც შენობის გადახურვა ეყრდნობოდა (გათხრების დროს ინტერიერში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა კრამიტის ნამტვრევები).



099. გეგმა

სახლს აღმ-იდან აკრავს ერცელი ეზო (ფართ. დაახლ. 200 *კვ. მ*), რ-იც შემოზღუდული ყოფილა რიყის ქვის კედლებით. მათ შე-

რის ერთი, რ-იც მდინარის გასწვრივაა, ორმაგია. კედლებს შორის მოქცეული არე (სიგ. 0,5-0,6 მ) სიგრძეში სამ ნაწილად იყოფა. შუა ნაწილის სიგრძე ეზოს სიგანის ტოლია, ხოლო განაპირა მონაკვეთები მცირეა. მათგან სამხრ.-ისაში წყალსადენის რთული სისტემა იყო მოწყობილი. წყალსადენის მილები (სიგრ. 46 სმ, განიერი მხარის შიდა დიამ. 16 სმ) აქ განლაგებული იყო ორ დონედ. ქვედა დონეზე განლაგებული მილებით წყალი ქალაქისკენ (სამხრ.-ისკენ) მიედინებოდა, მეორე დონეზე განლაგებული მილებით კი – აღმ.-იდან დას.-კენ.

ეზოს აღმ. ნაწილში მოწყობილი იყო მცირე ზომის (1,1×0,8 მ) აუზი, რ-შიც, აუზსა და ორმაგ კედელს შორის აგებული კედლის მეშვეობით, კერამ. მილებით, წყალი ორმაგი კედლის შუა ნაწილიდან შემოდიოდა.

მოგვიანებით სახლი დაუნგრევიათ. მის ნანგრევებზე კი რვაგვერდა კოშკი დაუდგამთ, რ-ის შემორჩენილი კედლები (სიმ. 0,8-1 მ) მთლიანად რიყის ქვითაა ნაგები.

თ. დეკლა

ბიბლ.: 75; 229.

ბრეშე

(საკრებულოს ცენტრი)

100. დროებითი სადგომი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-დას-ით, მშრალი ხევის მარცხ. ნაპირას, გრემისა და ლაფანყურის დამაკავშირებელ გზასთან. გაითხარა 1965 წ. ՕՃՅ ინ-ტის კახეთის არქეოლ. ექსპედიციის ერთერთი რაზმის მიერ (ხელმძღვ. შ. დედაბრიშვილი). თარიღდება ძვ. წ. IV ათასწლეულის II ნახევრით. გამოვლინდა სამეურნეო ორმო, რ-შიც მოპოვებულია ანგობის (წერნაქის) სქელი ფენით დაფარული, წითლად გამომწვარი სხვადასხვა ჭურჭლის ნამტვრევები. მათ შორის – რამდენიმე დერგის ფრაგმენტი. დერგებს, ყელიდან მუცელზე გადასვლის ადგილას, მკვეთრად გამოყოფილი მხარი აქვს. მხართან ურთიერთსაპირისპიროდ კი მიძერწილია ორი ზურგამობურცული ყური. ერთერთი ჭურჭლის ყელი გახვრეტილია. ჭურჭლებზე შემორჩენილია ნაპრიალები, მოყავისფრო, თხელი აპკის კვალი.

ორმოდან 7 მ-ის დაშორებით გამომწვარი თიხის ზოლია (სიგრ. – 3 მ). აქ აღმოჩენილი ბათქაშის ნატეხები, სავარაუდოდ, ნაგებობის (დროებითი გასახერებელი პუნქტი?) არსებობას ადასტურებს. აქვე აღმოჩნდა დამწვარი თიხის ჭურჭლისა და ძვლის ფრაგმენტები.

ვ. გარაბაშვილი, ბ. მაისურაძე

ბიბლ.: 229; 268.

101. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-დას-ით 2,5 კმ-ზე, მდ. ინწობის მარჯვ. ნაპირზე. აგებულია XVIII ს-ში.

ეკლ. დარბაზულია (8,3×5,8 მ). ნაგებია ნატეხი ქვითა და აგურით. შესასვლელები დას.-იდან და ჩრდ.-დანაა. დას. კარს, რ-იც ორივე მხრიდან შეისრული თაღით ყოფილა გადახურული, გადახურვის





101. გრძივი ჭრილი, ხედი სამხრ.-კენ, გეგმა

უმეტესი ნაწილი ჩამონგრეულია. ეკლესიის დარბაზი ქვადრაგს მიახლოებული სწორკუთხედია (4,7×4,3 მ). აღმ.-ით მას ერთვის ნახევარწრიული აფსიდი, რ-ის დერძზე გაჭრილია თაღოვანი სარკმელი. იგი მთლიანად აგურითაა გამოყვანილი ისე, რომ მისი ზედა ნახევარი კონქის ფარგლებშია მოქცეული. თითო თაღოვანი სარკმელი დას. და სამხრ. კედლებშიცაა. ეს უკანასკნელი კამარის ზედაპირშია მოქცეული. აღმ. და სამხრ. სარკმელი ორივე მხრიდან შეისრულთაღიანია. დას.-ისა – ნახევარწრიული. დარბაზის კედლები სადაა, უპილასტრო. აფსიდი დასრულებულია აგურით ნაწყობი კონქით, რ-ის თაღს ბოლოებგაშლილი ნახევარწრის ფორმა აქვს. მსგავსი ფორმისაა კამარაც. მისი გვერდები წვრილი რიყის ქვითაა გამოყვანილი, ხოლო წვერი – მთელ სიგრძეზე – აგურით.



101. დას. ფასადი

ეკლესიის ფასადები ძირითადად ნატეხი ქვისაა. კედლები დანაწევრებულია საფეხურით შერმავებული, თანაბარი სიმაღლის, სწორკუთხა არეებით, რ-ებიც კუთხით შვრილი აგურებით გამოყვანილი ვიწრო ფრიზითაა დასრულებული. გრძივ ფასადებზე სამ-სამი არეა, განივ ფასადებზე – ორ-ორი. არეები ერთმანეთისგან გამიჯნულია აგურით ნაწყობი, მარტივი პილასტრებით, რ-თა წინა მხარე კედლის დანარჩენ ნაწილთან ერთ სიბრტყეშია. მსგავსი პილასტრი აუკეთებია შენობის ოთხივე კუთხეს. აღმ. ფასადის პილასტრში საკურთხევლის სარკმელი

გამოდის. დას. არეების გამმიჯნავი „პილასტრი“ სიგანით დანარჩენებს ბევრად აღემატება. იგი იმდენად განიერია, რომ მასში ეკლესიის შესასვლელია მოწყობილი.

ფასადები დასრულებულია აგურის ორსაფეხურიანი ლაგვარდნით, რ-ის უმეტესი ნაწილი ჩამოშლილია. ეკლ. გადახურული იყო ღარისებრი კრამიტით.

თ. დვალი.

ბიბლ.: 75; 229.

102. კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-დას-ით, გ. ბარძიმაშვილის ვენახში. თარიღდება XVII ს-ის I ნახ-ით. კოშკი გეგმით კვადრატულია (4,6×4,6 *მ*). ნაგებია ნატეხი ქვითა და რიყის ქვით. შემორჩენილია ოთხი სართულის სიმაღლეზე. პირველი სართული ერუკედლებიანია, ამოვსებულია



102. II სართულის გეგმა

მიწითა და ჩამონაშალი ქვებით. შესასვლელი მეორე სართულზე, აღმ. კედელშია. კარი თაღოვანია, გამოყვანილია კვადრ. აგურით (22×22×5 *სმ*). შესასვლელის გვერდებზე თითო სათოფურია. ერთი სათოფური კარის მოპირდაპირედ, დას. კედელშია, ხოლო ორ-ორი – სამხრ. და ჩრდ. კედლებში. მესამე სართულის ჩრდ. კედლის შუაში აგურით ნაწყობი ბუხარია, რ-ის მარჯვნივ მცირე ზომის, სამკუთხა თაღით გადახურული ნიშა და ერთი სათოფურია. ერთი პატარა, სწორკუთხა ნიშა და ერთი სათოფურია მოპირდაპირე კედელშიც. დას. კედელში, მარცხნივ, შეწყვეტილებული სათოფურია, ხოლო მარჯვნივ – ცალმაგი. ორი ცალმაგი სათოფურია აღმ. კედელში. მეოთხე სართულის ზედა ნაწილი მორღვეულია. სართულის დას. კედლის შუაში განიერი კარია, რ-იც გადიოდა ხის შვერილ აივანზე. სამხრ. და ჩრდ. კედელში კი, თითო სათოფურია.

კოშკს ხის სართულშუა გადახურვა ჰქონია.

ა. ზაქარაია.

ბიბლ.: 75; 229.

103. ნათლისმცემლის კომპლექსი, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-დას-ით 0,7 *კმ*-ზე, მდ. ინწობის მარჯვ. ნაპირას, ვაკეზე. თარიღდება XVI ს-ით. კომპლექსში შედის: ორი ეკლ. და ნიში. თავდაპირველად აუგიათ დარბაზული ეკლესია და ნიში, შემდეგ – გუმბათიანი ეკლ.

დ ა რ ბ ა ზ უ ლ ი ე კ ლ ე ს ი ა გეგმით თითქმის კვადრატულია (3,8×3,5 *მ*), უაფსიდო. ნაგებია ნატეხი ქვით. დაზიანებულია: ჩანგრეულია გადახურვა, მონგრეულია აღმ. და დას. კედლების ზედა ნაწილები. შესასვლელი დას-ითაა, რ-იც გარედან საფეხურით შერმავებულ, ოთხკუთხა არეშია ჩასმული. კარს ზედა ნაწილი მოხგრეული აქვს და მისი გადახურვის ფორმა არ დგინდება. შემორჩენილი კვალის მიხედვით, იგი შიგნიდან თარაზულად ყოფილა გადახურული.



103. გუმბათიანი ეკლესია, გეგმა

ეკლესიის აღმ. და სამხრ. კედლებში თითო სწორკუთხა სარკმელია. აღმ. კედელში ორი მაღალი და ერთი დაბალი ნიშაცაა მოწყობილი. სამივე ნიშა გადახურულია ერთმანეთზე მიდრეკილი ორ-ორი ბრტყელი ქვით. დარბაზი გადახურული ყოფილა ხის რულით. ფასადები სადაა. აღმ-ის კედელში, მორთულობის მიზნით, მოჭიქული ქვაა ჩასმული.

გ უ მ ბ ა თ ი ა ნ ი ე კ ლ ე ს ი ა გეგმით გარედან სწორკუთხაა (6,5×5 *მ*), შიგნიდან – ტოლ-



103. გუმბათიანი ეკლესია, ჩრდილო, ხედი აღმ.-კენ

მკლავა ჯვრის ფორმისა, რომლის აღმ. მკლავი დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით. კედლები ნაგებია ნატეხი ქვით. გუმბათის ყელი გამოყვანილია აგურისა და ნატეხი ქვის შერეული წყობით,ხოლო მისი ლაგვარდანი და სახურავი მთლიანად აგურისაა. შესასვლელი დას-იდანაა. კარი აგურის ნახევარწრიული თაღითაა გადახურული. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის ღერძზე

ნახევარწრიულთაღოვანი სარკმელია გაჭრილი. თითო მსგავსი სარკმელი ეკლესიის დანარჩენი მკლავების ღერძებზეა, ხოლო ოთხი, გაცილებით მაღალი სარკმელი, გუმბათის ყელშია. აფსიდში, სარკმლის ორივე მხარეს, თითო ოთხკუთხა ნიშაა მოწყობილი. აფსიდის გვერდებზე განთავსებულია უფსი-



103. გუმბათიანი ეკლესია, ჭრილი, ხედი ჩრდ.-კენ

დო და ისრული კამარით გადახურული თითო მცირე სათავსი. მათგან ჩრდ-ისა სამკვეთლოა, სამხრ-ისა კი – სადიაკვნე. შესასვლელები მათ მხოლოდ აფსიდიდან აქვთ და აღმ. კედელში გაჭრილი, თითო თაღოვანი სარკმლით ნათდებიან. მათ ქვემოთ, კედელზე, მიდგმულია ნახევარწრიული მცირე ტრაპეზი. სამკვეთლოს სამხრ. კედელში პატარა, სწორკუთხა ნიშაა. ერთი ნიშა ჩრდ. მკლავის ჩრდ. კედელშია, რ-იც ეშმაზის დანიშნულებას ასრულებდა.

ჯვრის მკლავების გადაკეთაზე აღმართულია შიგნიდან წრიული, ხოლო გარედან რვაწახნაგოვანი გუმბათი. გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის ყელის საფუძვლის წრიულ მოხაზულობაზე გადასასვლელად გამოყენებულია აფრები. გუმბათის ყელში, დას. და ჩრდ. სარკმლებს შორის, მცირე ზომის ოთხკუთხა ხვრელია, რ-ის დანიშნულება არ ირკვევა.

გარედან შენობას ჩვეულებრივი ჯვარ-გუმბათიანი ეკლესიის სახე აქვს – ფრონტონით დასრულებული ოთხი მკლავით და ცალფერდა სახურავით გადახურული კუთხის დაბალი ნაწილებით. გუმბათის ყელის წიბოებს ლეკალური აგურით ნაწყობი ლილვი აუყვება, რ-ებზეც დაყრდნობილია ნახევარწრიული თაღები. ოთხივე ფასადზე, ფრონტონის არეში, კედლის სიბრტყიდან შეერილი ოთხ-ოთხი აგურით, არიან გამოსახულია თითო მარტივი ჯვარი. დას. ფასადზე, შესასვლელის ორივე მხარეს, თითო სწორკუთხა შელრმავებაა. კედლები და გუმბათის ყელი დასრულებულია საფეხურებიანი ლავგარდნით, რ-იც შედგება ჩვეულებრივად ნაწყობი და კუთხით შეერილი აგურების რიგების მონაცვლეობით.



103. გუმბათიანი ეკლესია, ხედი სამხრ.-დას-იდან

გუმბათიანი ეკლესიის ჩრდ.-დას-ით, ათიოდე მ-ის მანძილზე, დგას გეგმით კვადრ. (1,35×1,35 მ), ნატეხი ქვითა და აგურით ნაშენი ორფერდახურავიანი ნიში (სიმ. 1,9 მ), რ-ის დას. წახნაგში ნახევარწრიული თაღით გადახურული შელრმავებაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლ.: 27; 75; 229; 333.

104. პეტრე-პავლეს ეკლესია, არქიტ. ძ. დგას საბავშვო ბაღის ეზოში. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით. ეკლ. დარბაზულია, გეგმით სწორკუთხა. ნაგებია ნატეხი ქვით და აგურით. ძ. შელესილ-შეთეთრებულია. შესასვლელი ორია – ჩრდ-იდან და დას-იდან. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის ღერძზე შეისრულთაღიანი სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ჩრდ-ით ერთი ოთხკუთხა ნიშაა მოწყობილი. ქვემოთ კი, კედელზე, მიდგმულია ტრაპეზი. თითო სარკმელი სამხრ., დას. და ჩრდ. კედლებშიცაა. კონქის თაღი შეისრულია. მსგავსი ფორმისაა კამარაც.

ეკლესიის ფასადებზე, პილასტრების მეშვეობით, შექმნილია სწორკუთხა არეები. კედლები დასრულებულია აგურის კბილანისებრი წყობით შექმნილი სამსაფეხურიანი ლავგარდნით. შენობა გადახურულია კრამიტით.

ბ. კუპრეიშვილი.

105. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ. განაპირას, მდ. ინწობის პირას. ეკლესიის კედლები ორ სხვადასხვა პერიოდის ფენას შეიცავს. თავდაპირველი ფენა, სავარაუდოდ, XVI ს-ით თარიღდება, მოგვიანებით განახლებული ნაწილები კი XVIII სს-ით. აღდგენილია საკურთხევლის გადახურვა, აქა-იქ კედლების ნაწილები და შენობის გარე კუთხეები. აღდგენის დროს ჩრდ. კედელში, სომხური საეკლესიო წესების შესაბამისად, მოწყობილია სანათლავი ნიშა.

ეკლ. გეგმით სწორკუთხაა (5,15×4,7 მ), უაფსიდო. აღმ-ით დასრულებულია სწორი კედლით. შენობა ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. შესასვლელი დას-იდან აქვს. კარი გარედან გადახურულია შეისრული თაღით. შიგნიდან – სწორკუთხაა. დარბაზის აღმ. კედელში სწორკუთხა სარკმელია

გაჭრილი. მის ქვემოთ, კედელს, მოგვიანებით აგებული აგურის ტრაპეზი ეკვრის. ერთი ბრტყლად გადახურული, გარეთკენ მკვეთრად შევიწროებული სარკმელი დას. კედელშიცაა. სარკმლის ღიობი შიგნიდან თითქმის კარის სიგანეა. საკურთხეველი დარბაზისგან არ არის გამოყოფილი, გადახურულია ტლანქად ნაწყობი, შეისრული კამარით. სამხრ. კედლის დას. ნაწილში მცირე სწორკუთხა ნიშაა მოწყობილი, სანათლავი ნიშას ზემოთ კი, ერთ დონეზე – ორი სათოფური. დარბაზი გადახურულია აგურის წესიერი წყობით გამოყვანილი კამარით, რ-ის უმეტესი ნაწილი, კედლებთან ერთად, შელესილია.

შენობის გარეგნობა მარტივია, ტლანქი. კედლები დასრულებულია ქვიშაქვის ლავგარდნით, რ-იც, როგორც ჩანს, აღმ-ით მდგარ ეკლესიას ეკუთვნოდა. ლავგარდნის პროფილს თარო, ოდნავ შეზნექილი ზედაპირი და ლილვი შეადგენს (შემორჩენილია მხოლოდ რამდენიმე ქვა).

ეკლესიას დას-იდან ეკვრის სწორკუთხა მინაშენი, რ-იც დას. ფასადის წყობაში ჩასმულ მარმარილოს ფილაზე არსებული წარწერის თანახმად, 1947 წ. აუგია სოფ. შილდის მკვიდრს ქეთევან ლობაურს „ძვ. ნაშთის“ ადგილას, რ-იც 1946 წ. წყალს წაუღია. მინაშენი აგურითაა ნაგები. გადახურულია ხის ნივნივებზე გამართული ორფერდა სახურავით.

ეკლესიის შორიახლოს (აღმ-ით) მდგარა აგურით ნაგები ეკლ., რ-ის კედლების ნანგრევები მდ. ინწობის კალაპოტშია ჩაცვენილი. მათგან ზოგიერთს ქვიშაქვის ლავგარდნის რამდენიმე ქვა შემორჩა.

თ. დვალი.

ბიბლ.: 75.

106. ყორისთავის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სასაფლაოზე. თარიღდება განვით. შუა საუკუნეებით. ეკლ. დარბაზულია (5×3,6 მ). ნაგებია სხვადასხვა ზომის ნატეხი ქვით კირის ხსნარზე. დაზიანებულია: ჩამოცლილია საბურავი,ჩამონგრეულია ლავგარდანი, დაბზარულია კედლები.

შესასვლელი დას-იდანაა. კარი თარაზულადაა გადახურული.

აღმ-ით ღრმა, ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის ღერძზე სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ჩრდ-ით და სამხრ-ით მოწყობილია თითო ოთხკუთხა ნიშა. თითო ვიწრო, სწორკუთხა სარკმელი სამხრ. და დას. კედლებშიცაა. აღმ. სარკმლის ქვემოთ, კედელზე, მიდგმულია ტრაპეზი. კონქის თაღი ნახევარწრიულია. დარბაზი გადახურულია ნახევარცილინდრული, ქარგილზე სხმული კამარით.

ბ. კუპრეიშვილი.

107. ჭმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სასაფლაოზე. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით. ეკლ. დარბაზულია (8×4,5 მ). სამხრ-იდან და ჩრდ-იდან, მთელ სიგრძეზე გვიანდ. მინაშენები ეკვრის. სამივე ნაგებია სხვადასხვა ზომის ნატეხი ქვით კირის ხსნარზე.

ძ. დაზიანებულია: ჩამოშლილია ეკლესიისა და სამხრ. მინაშენის საბურავი, ჩაქცეულია ჩრდ. მინაშენის გადახურვა, მორღვეულია ჩრდ. მინაშენის ჩრდ. კედლის გარეთა წყობის დიდი ნაწილი და ჩრდ.-დას. კუთხე, მონგრეულია სამხრ. მინაშენის სამხრ. კედლის ნაწილი.

ეკლესიის შესასვლელი დასიდანაა. კარი გარედან თაღოვანია, შიგნიდან – სწორკუთხა. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-შიც თარაზულად გადახურული სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ორივე მხარეს მოწყობილია თითო ოთხკუთხა ნიშა, ქვემოთ კი, კედელზე, მიშენებულია სამწახნაგა ტრაპეზი. თითო სარკმელი ჩრდ. და დას. კედლებშიცაა. გრძივ კედლებში თითო ოთხკუთხა ნიშაა. კონქის თაღი და დარბაზის გადამხურავი კამარა შეისრული ფორმისაა.

მინაშენებს შესასვლელი დასიდან აქვს. ორივე კარი გარედან თაღოვანია, შიგნიდან – სწორკუთხა. სამხრ. მინაშენი, ჩრდ. მინაშენთან შედარებით, უფრო ვიწროა (შიგნით სიგ. 1,75 მ-ია), აღმ-ით დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით, რ-შიც ორი სარკმელია გაჭრილი. ერთი [illegible] ღერძზეა, მეორე – სამხრ. კედელშია და სამხრ. ფასადზე გადის. აღმ. სარკმლის ქვემოთ ძევს მრგვალი ტრაპეზი.

ჩრდ. მინაშენი უაფსიდოა და აღმ-ით სწორი კედლითაა დასრულებული (შიგნით სიგ. 2,8 მ-ია). მინაშენი განათებული იყო ორი სარკმლით. მათგან ერთი, აღმ. კედელშია, მეორე ჩრდ. კედელში.



107. გეგმა

აღმ. სარკმელი თაღოვანია და პარალელური წირთხლები აქვს. მეორე – სწორკუთხაა, გარეთკენ ოდნავ შევიწროებული. ჩრდ. კედელში ორი ოთხკუთხა ნიშაა მოწყობილი.

კ. გიორგობიანი.

108. ჭმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, გ. ხახუტაშვილის ვენახში. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია (6,4×4,5 მ). ნაგებია ნატეხი ქვითა და აგურით. წყობა ირეგულარულია. დაზიანებულია: ჩაშლილია გადახურვა. თითქმის მთლიანადაა მორღვეული ჩრდ. და სამხრ. ფასადების საპირე წყობა. არ შემორჩენილა ლავგარდანი.

შესასვლელი დას-იდანაა. კარი გარედან შეისრულია, შიგნით

კი, თარაზული გადახურვა აქვს. აღმ-ით უსწორმასწორო, ღრმა აფსიდია, რ-შიც შეისრულთაღიანი სარკმელი და ორი მცირე ზომის ოთხკუთხა ნიშაა. მსგავსი თითო ნიშა გრძივ კედლებშიცაა. აფსიდში, სარკმლის ქვემოთ და ჩრდ. ნიშის მარჯვნივ, კედელზე, მიშენებულია სამწახნაგა ტრაპეზი. აფსიდის თაღი ოდნავ შეისრულია. დას. კედელში, კარის ზემოთ, შეისრულთაღიანი სარკმელია. დარბაზი გადახურულია ქარგილზე სხმული შეისრული კამარით. ინტერიერი შელესილია. იატაკი მოგებულია კვადრ. ფილებით.

ბ. კუპრეიშვილი.

109. წმ. ნიკოლოზის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ. განაპირას, მდ. ინწობის მარჯვ. ნაპირზე, ძვ. სასაფლაოზე. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ეკლ. გუმბათიანია, ნაგებია ნატეხი ქვითა და აგურით. კედლები ძირითადად ნატეხი ქვისაა. კონსტრ. ნაწილები, კარ-სარკმლების ღიობები, გუმბათი და ფასადთა მორთულობის ელემენტები გამოყვანილია აგურით. ეკლესიის ჯვაროვანი გეგმა გარედან მოგრძო სწორკუთხედშია (8×5,8 მ) ჩაწერილი. ნაგებობის სივრცობრივ-კომპოზიციურ ცენტრს ქმნის ჯვრის მკლავების გადაკვეთაზე აღმართული მაღალი გუმბათი. აღმ. მკლავი აფსიდიანია, დანარჩენები – სწორკუთხა. სამხრ. და ჩრდ. მკლავები მოკლეა, დას-ისა, გვერდის მკლავებთან შედარებით, ორჯერ უფრო ღრმაა და გვერდებიდან გეგმით სწორკუთხა, შეისრული კამარით გადახურული თითო უბე შეერთვის.



109. გეგმა



109. გრძივი ჭრილი, ხედი სამხრ.-კენ

ეკლესიას ორი შეისრულთაღოვანი შესასვლელი აქვს, დასიდან და ჩრდ-იდან. ორივე კარი შესაბამისი მკლავის ღერძზეა გაჭრილი. მათგან დას. კარი გარედან ჩასმულია საფეხურით შელრმავებულ სწორკუთხა არეში, რ-ის თავს აგურით გამოყვანილი ხერხულა ლაქგარდანი გასდევს.

საკურთხევლის აფსიდი ნახევარწრიული ფორმისაა. აფსიდის გვერდებზე გეგმით სწორკუთხა და შეისრული კამარით გადახურული თითო სათავსია – სამკვეთლო (ჩრდ-ით) და სადიაკვნე (სამხრ-ით), რ-თაც აღმ-ით თითო თაღოვანი სარკმელი აქვს. ორივე მათგანი საკურთხეველს სწორკუთხა კარით უკავშირდება. მსგავსი კარით სამკვეთლო ჩრდ. მკლავთანაცაა დაკავშირებული. აფსიდში და დანარჩენი მკლავების ღერძებზე გაჭრილია თითო თაღოვანი სარკმელი. აღმ. სარკმლის ქვემოთ დგას მრავალკუთხა ტრაპეზი. სამხრ. და ჩრდ. მკლავების აღმ. კედლებში და დას. მკლავის გვერდით კედლებში მაღლა, თითქმის ერთ დონეზე, მოწყობილია თითო სწორკუთხა ნიშა. [illegible] სებული ყოფილა მარმარილოს თითო ფილა ქართ. ასომთ. წარწერით. დას. მკლავის სამხრ. კედელში არსებული ფილა დაკარგულია, ჩრდ. კედლის ფილაზე კი სამოცდე ასოლაა დარჩენილი. ჩრდ. მკლავში მდებარე ფილის ზედაპირის მნიშვნელოვანი ნაწილი ამომტვრეულია და ექვსი სტრიქონიდან თითო-ოროლა ასოლაა დარჩენილი. შედარებით უკეთაა შემორჩენილი სამხრ. მკლავში მდებარე ფილაზე ამოკვეთილი წარწერა. რ-იც რვა სტრიქონისგან შედგება, მაგრამ დაზიანების გამო მისი სრულად აღდგენა მაინც არ ხერხდება.

გუმბათის ყელი შიგნიდან წრიული, ხოლო გარედან რვაწახნაგოვანია. გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის ყელის წრიულ საფუძველზე გადასვლა აფრების მეშვეობით ხდება. გუმბათის ყელში რვა თაღოვანი სარკმელია გაჭრილი.



109. ხედი სამხრ.-დას-იდან

ეკლესიის გარეგნობა მარტივია. ოთხივე ფასადის შუა ნაწილი, ჯვრის მკლავების შესაბამისად, რამდენადმე შემაღლებულია და ორფერდა სახურავითაა გადახუ

რული. გვერდის ნაწილები კი – ცალფერდა სახურავით. ფასადებიდან დეკორატიულად მხოლოდ აღმ. და დას. ფასადებია მორთული. ორივეზე, ფრონტონის არეში, გამოსახულია რელიეფური ჯვარი, რ-ის ქვედა მკლავს საფეხურების მსგავსი ორი განშტოება აქვს. გუმბათის ყელის წიბოებს ლეკალური აგურით ნაწყობი ლილვი აუყვება, რ-ებზეც დაყრდნობილია ასევე ლეკალური აგურით გამოყვანილი ნახევარწრიული თაღები. თაღედი დაყრდნობილია ნახევარწრიული ფორმის აგურის მაღალ სარტყელზე. ყოველ წახნაგზე თითო თაღოვანი შეღმავებაა. სარკმლების გვერდებზე, ერთ დონეზე, ჯგუფად, ნასმულია ორი ცისფერი და ორი შავი ექვსწახნაგა ფილა, რ-თა მონაცვლეობით განლაგება ჯვრის სახეს ქმნის. გუმბათის ყელი დასრულებული იყო ქვის ლაფგარდნით (შემორჩენილია მცირე ნაწილი), რ-ის პროფილს თარო,წრეთარგი და ლილვი შეადგენს. ასეთივე პროფილის რამდენიმე ქვაა შემორჩენილი აღმ. ფასადზეც. მოგვიანებით ლავგარდნის მნიშვნელოვანი ნაწილი აგურით აღუდგენიათ.

ეკლ. გადახურული იყო ღარისებრი კრამიტით (შემორჩენილია ნაწილი). გუმბათი, სავარაუდოდ, პირამიდული ფორმის სახურავით იყო დასრულებული.

თ. დვალი.

ბიბლ.: 27; 75; 335.

110. წმ. სტეფანეს ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის დასით, 4-5 კმ-ზე, მდ. ბოლნისის ხეობაში. მდ-ების ბოლნისა და მასხარის შესართავთან. თარიღდება VI-VII სს-ით. ძ. არქიტ. კომპოზიციით სამეკლესიანი ბაზილიკის ნაირსახეობაა (გარე მაქსიმ. ზომებია – 18,2×15,8 მ). შედგება სამნაწილიანი საკურთხეველის, მთავარი და ჩრდ. ეკლესიებისგან. შენობა მოგვიანებით (XV-XVI სს-ში) აღუდგენიათ, რ-ის დროსაც მნიშვნელოვნად შეუცვლიათ მთავარი ეკლესიის პირვანდელი სახე.

ეკლ. ნაგებია სხვადასხვა ზომის ნატეხი ქვის ირეგულარული წყობით. აღდგენილი ნაწილები ძირითადად აგურისაა.

ძ. დაზიანებულია: ჩაქცეულია მთავარი ეკლესიის კამარა და მისი საბჯენი თაღები. მთლიანადაა დანგრეულია ჩრდ. ეკლ. შეისრული თაღით გადახურული კარი მოუწყვიათ. ამავე დროსაა გაჭრილი დას. შენახულია, რ-



110. გეგმა

თავდაპირველად ნაგებობას შესასვლელები მხოლოდ სამხრ-იდან და ჩრდ-იდან ჰქონია. ორივე ელიც ფორმითა და ზომით ისეთია, როგორც გვერდის კარები გადაკეთების შემდეგ.



110. გრძივი ჭრილი, ხედი ჩრდ.-კენ

შიგნიდან მკვეთრად გამოხატული ნალისებრი თაღით იყო გადახურული, ხოლო გარედან, როგორც ჩანს, თარაზული გადახურვა ჰქონია. განახლების დროს ორივე კარის ღიობში გაცილებით დაბალი, მთავარი ეკლ. ერცულია (შიგნითა ზომები: 16×7,4 მ). აღმ-ით დასრულებულია საკურთხეველის მკვეთრად გამოხატული ნალისებრი აფსიდით, რ-ის წინ მცირე სიღრმის ბემისმაგვარი სივრცეა.

განახლების დროს ბემა დაუგრძელებიათ და შეისრული კამარით გადაუხურავთ, აფსიდი კი – დადაბლებული კონქით. აფსიდის კედლის სისქეში მოწყობილი ვიწრო (სიგ. 0,8 მ) გასასვლელით უკავშირდება. სადიაკვნეს მეორე შესასვლელი გარედანაც აქვს – დას-იდან. კარი გარედან ტიმპანითაა დასრულებული, შიგნით კი – აგურით ალდგენილი, განიერი თაღით. შიგნიდან სადიაკვნე გადახურულია დადაბლებული, არაწესიერი ფორმის გუმბათოვანი კამარით, რ-ის წრიულ ღერძზე გაჭრილია ვიწრო, მაღალი, თაღოვანი სარკმელი. აფსიდის შუაში დგას გვიანდ., აგურით ნაგები ტრაპეზი, რ-ის ძირი კვადრატულია, შუა ნაწილი ცილინდრული, ხოლო ზემოდან ქვის სწორკუთხა ფილა ხურავს.

აფსიდის ორივე მხარეს გეგმით კვადრ. თითო სათავსია – სამკვეთლო და სადიაკვნე. ორივეს მთავარი ეკლ. ბემის კედლის სისქეში მოწყობილი ვიწრო (სიგ. 0,8 მ) გასასვლელით უკავშირდება. სადიაკვნეს მეორე შესასვლელი გარედანაც აქვს – დას-იდან. კარი გარედან ტიმპანითაა დასრულებული, შიგნით კი – აგურით ალდგენილი, განიერი თაღით. შიგნიდან სადიაკვნე გადახურულია დადაბლებული, არაწესიერი ფორმის გუმბათოვანი კამარით, რ-ის წრიულ საფუძველზე გადასვლა განხორციელებულია სათავსის ოთხივე კუთხეში ირიბად გადებული, ორორი ბრტყელი ქვით. სამკვეთლო გადახურულია ცილინდრული კამარით. ორივე სათავსი განათებადია აღმ. კედელში გაჭრილი თითო თაღოვანი სარკმლით. სამკვეთლოს აღმ. კედელში სარკმლის ქვემოთ, მიდგმულია ტრაპეზი.

აფსიდის გვერდებზე კედლის სისქეში, მოწყობილია თითო სამარხი კამერა, რ-თა კარის ძირი აღმ. ფასადზე ცოკოლიდან ოცდაათიოდე სმ-ის სიმაღლეზეა.

დარბაზის გრძივ კედლებზე თავდაპირველად გამოყოფილი იყო ორი წყვილი მარტივი პილასტრი, რ-ებსაც კამარის საბჯენი თაღები ეყრდნობოდა. მოგვიანებით, გრძივი კედლების ზემოთა ნაწილების აღდგენისას, არსებულ პილასტრებზე მიუშენებიათ თითქ



110. განივი ჭრილი, ხედი აღმ-კენ



110. ინტერიერი, მთავარი ეკლესია, ხედი დას-კენ



110. აღმ. ფასადი

მის ორჯერ უფრო განიერი, მძლავრი პილასტრები, რ-ებსაც ეყრდნობოდა კამარის საბჯენი თაღები. პილასტრებს შორის თითო შეისრული თაღია. თაღებს ზემოთ კი – თითო დაბალი, შეისრულთაღოვანი სარკმელი, რ-თა ნახევარი კამარის მრუდშია მოქცეული და შიგნიდან გარეთკენ მაღლდება. ერთი სარკმელი დას. შესასვლელის თავზეა.

ჩრდ. ეკლესიიდან საძირკვლიდაა დარჩენილი. აღმ-ით იგი დასრულებული იყო ნახევარწრიული აფსიდით.

მთავარი ეკლესიის ჩრდ. კედლის გასწვრივ შემორჩენილია პი-

ლასტრების საყრდენები, რ-ებიც ერთმანეთისგან არათანაბარი მანძილებით არიან დაშორებული. ჩრდ-ით, როგორც ჩანს, ეკლ. გახსნილი იყო ორ სწორკუთხა სვეტზე დაყრდნობილი სამი თაღით (1941 წ. ეკლესიის აზომვის დროს შემორჩენილი იყო ერთი, აღმ-ით მდებარე, სვეტის ძირი).

ფასადებიდან მხოლოდ დას. ფასადია მორთული, რ-ის ზედა, მოგვიანებით განახლებულ ნაწილში, სარკმლის ორივე მხარეს, თითო მოზრდილი ჯვარია გამოსახული.

თ. დეკალი

ბიბლ.: 75; 323; 335.

ბრძელი ჭალა

(გრემის თემის საკრებულო)

111. ეკლესია, არქიტ. ძ. დანგრეულია. შემორჩენილია ნახევარწრიული აფსიდისა და ჩრდ. კედლის აღმ. ნაწილის ფრაგმენტები. ეკლ. ნაგები ყოფილა ნატეხი ქვითა და კირის ხსნარით.

ბ. კუპრეიშვილი.

112. კოშკი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-დას-ით, ციხის ფერდად წოდებულ ადგილზე. კოშკი გეგმით სწორკუთხაა. შემორჩენილი კედლები (სიმ. 0,6 მ) ნაგებია ნატეხი ქვით.

ბ. კუპრეიშვილი.

ენისელი

(საკრებულოს ცენტრი)

113. აღდგომის ეკლესიის კომპლექსი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, სამიოდე კმ-ზე, მდ. ინწობის მარცხ. ნაპირას, ვაკეზე. ადრე ამ ადგილას გაშენებული ყოფილა სოფ. შიხიანი (დამოწმებულია ეკლესიაზე არსებული წარწერით), რ-საც ეკლესიის სახელი "აღდგომა" ბოლო დროს შერქმევია. კახეთში, 1589-1590 წლებში, მეფე ალექსანდრესთან მყოფი რუსი ელჩების ცნობით, სოფელ შიხიანს იმჟამად უკვე ერქვა მეორე სახელი "აღდგომა".

კომპლექსი სხვადასხვა დროის რამდენიმე ნაგებობისგან შედგება. თავდაპირველად აქ მდგარა მცირე ზომის დარბაზული ეკლ-რ-ისთვისაც დას-იდან საძვალე მიუშენებიათ. შემდგომ, ჩრდ-იდან, მათთვის გალავნით შემოუფარგლავთ პატარა ეზო, ხოლო სამხრ-



113. დარბაზული ეკლესია, ხედი სამხრ.-აღმ-იდან



113. გუმბათიანი ეკლესია, გეგმა

ლესიის აღმ-ით, ათიოდე მეტრის მანძილზე, აღუმართავთ დიდი გუმბათიანი ტაძარი, რ-ის დას. ფა-

ით ორსართულიანი სამრეკლო დაუდგამთ. მომდევნო ხანებში ეკ- სადის წყობაში ჩასმულია მოზრდილი, თითქმის კვადრ. ფორმის

ქვის ფილა ასომთ. წარწერით. წარწერა შედგება ორი ნაწილისგან. პირველი დაწერილია იამბიკური ლექსით, მეორე გვამცნობს, რომ ტაძარი აუშენებიათ ლევან მეფის ძეს ალექსანდრესა (1574-1605 წწ.) და მის მეუღლეს თინათინ დედოფალს. აკად. გ. ჩუბინაშვილი მას ალექსანდრეს მეფობის პირველ ხანებს მიაკუთვნებს, რადგან წარწერაში მხოლოდ მეფე-დედოფალი არიან მოხსენიებულნი – უშვილებოდ.



113. გუმბათიანი ეკლესია, გრძივი ჭრილი, ხედი სამხრ.-კენ

ეკლესიას ჯვარგუმბათოვან ნაგებობათა ადრევე ჩამოყალიბებული ტიპის გეგმა აქვს. ნაგებია მთლიანად აგურით.

შენობის გეგმის გარე სწორკუთხედში (15,3×12 მ) ჩაწერილი ჯვრული სივრცის შემადგენელი ოთხი მკლავიდან, სამი სწორკუთხაა. მეოთხე, აღმ. მკლავი, ნახევარწრიული, ღრმა ბემის მქონე აფსიდითაა დასრულებული. ნაგებობის ცენტრში აღმართულია შიგნიდან წრიული, ხოლო გარედან რვაწახნაგოვანი გუმბათი, რიც ეყრდნობა საკურთხევლის კუთხეებსა და გეგმით წრიულ ორ ბოძს. შესასვლელი სამია: დასით, ჩრდ-ით და სამხრ-ით. სამივე კარი შესაბამისი მკლავის ღერძზეა გაჭრილი. შესასვლელები გარედან შეისრული თაღითაა გადახურული, შიგნიდან – თარაზულად. აფსიდი ბემისგან პილასტრებითა და მათზე დაყრდნობილი თაღითაა გამოყოფილი. საკურთხევლის გვერდებზე თითო შეისრულკამაროვანი სათავსია – სამკვეთლო და სადიაკვნე. მათგან საკურთხეველს, ბემაში გაჭრილი კარით, მხოლოდ სამკვეთლო უკავშირდება. ორივე სათავსი აღმ-ით დასრულებულია აფსიდით, რიც დანარჩენი სივრცისგან პილასტრებითა და მათზე გადაყვანილი თაღით გამოიყოფა. სამკვეთლოს აფსიდი ნახევარწრეზე ოდნავ ღრმაა. სადიაკვნეში, პირიქით – ნახევარწრეზე ნაკლები მოხაზულობის. ამასთან, აღმ. კედელი, აქ, სამკვეთლოსთან შედარებით, ორჯერ უფრო სქელია. ამ სათავსის სამხრ. კედელში მოზრდილი, სწორკუთხა ნიშაა. ორივე სათავსი ეკლესიის ძირითად სივრცეს დას. კედელში მოწყობილი კარით უკავშირდება, რ-თა თავი მთლიანად თარაზული კი არ არის, არამედ, კუთხეები მომრგვალებული აქვს. ანალოგიური ფორმისაა სამკვეთლოდან ბემაში გასასვლელი კარის გადახურვაც. სამივე აფსიდში გაჭრილია თითო ნახევარწრიულთაღოვანი სარკმელი. საკურთხევლისა და სამკვეთლოს აფსიდების შუაში აგურის ტრაპეზი დგას. პირველი მათგანი ცილინდრულია – ოთხკუთხა ფილით დასრულებული, მეორე – ოთხკუთხაა.

გუმბათქვეშა ბოძები მაღალია, კვადრატულ ბაზისებზე დადგმული. ბოძები ჩვეულებისამებრ, სვეტისთავებით კი არ არის დასრულებული, არამედ მათზე, უშუალოდ, სწორკუთხა ნაწილია დასმული, რ-ის გამოშვერილი კუთხეები დამუშავებულია ორ-ორი საფეხურით. ბოძების მოპირდაპირე მხარეზე მდებარე პილასტრების ქვედა ნახევარი სწორკუთხაა, ზედა – ნახევარწრიული. ეკლესიის დას., შეისრული კამარით გადახურული კუთხის ნაწილები შესაბამისს

მკლავებს მაღალი, შეისრული თაღით უკავშირდება.

ჯვრის მკლავები გადახურულია შეისრული კამარით. კამა-



113. გუმბათიანი ეკლესია, ინტერიერი, ხედი ჩრდ.-აღმ.კენ

რის აღნაგობაში სახასიათოა საბჯენი თაღების თავისებური წყობა. თითოეული კამარის შუაში თითო საბჯენი თაღია. ისინი, ჩვეულებისამებრ, კონსოლებს კი არ ეყრდნობა, არამედ, უშუალოდ, კედლის სიბრტყეს მიჰყვება, თვით კამარის მონაკვეთები კი, მათ მიმართ საფეხურითაა შელრმავებული.

გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის ყელის წრიულ მოხაზულობაზე გადასვლა აფრების საშუალებით ხდება. გუმბათის ყელში თაედაპირველად გაჭრილი ყოფილა რვა მაღალი, თაღოვანი სარკმელი, რ-თაგანაც ოთხი (ქვეყნის მხარეებისკენ მიმართული) მოგვიანებით გარედან ამოუშენებიათ. ორ-ორი სარკმელი დანარჩენ მკლავებშია, თითო თაღოვანი სარკმელი კი დას. კუთხის ნაწილების დას. კედლებში.

შიგნით, ძირითადი სივრცის კედლებს, მთელ სიგრძეზე, ნატეხი ქვით ნაწყობი, დაბალი საფეხური გასდევს.

ეკლესიის ფასადთა მორთულობის მთავარი ელემენტებია დეკორატ. თაღები და შელრმავებული ჯვრები. ფასადები, შელრმავებული არეებით, დაყოფილია სამ-სამ მონაკვეთად. თითოეული ფასადის შუაში, ჯვრის მკლავების შესაბამისად, მაღალი შეისრულთაღოვანი არეა, გვერდებზე კი გაცილებით დაბალი, სწორკუთხა შელრმავებებში ჩასმული, შეისრული თაღები. ფასადების მორთულობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია ფართო, მაღალი შელრმავებული ჯვარი, რ-იც ოთხივე ფასადზე, ცენტრ. არის ზემოთა ნაწილშია გამოსახული. აღმ. ფასადზე, ჯვრის ქვემოთ, გვერდიგვერდ განლაგებული სამი თაღია, რ-თაგანაც შუა საკურთხეველის სარკმელს შემოფარგლავს. გვერდით არეებში, ორ იარუსად განლაგებული, ერთმანეთზე გადაბმული, სამ-სამი შეისრული თაღია. ქვედა რიგის შუა თაღებში სამკვეთლოსა და სადიაკვნის სარკმლებია მოქცეული.

დას. ფასადი აღმ-ისგან განსხვავებით, მეტადაა მორთული. ფასადის ქვედა ნაწილში საფეხურით შელრმავებული, სწორკუთხა არეა. იგი დასრულებულია სამი შეისრული, დეკორატიული თაღით, რ-თა თავზე კუთხით შვერილი აგურების სამი რიგით შედგენილი ფრიზია. ქვედა ნაწილში კი, სწორკუთხა შელრმავებაში ჩასმული, განიერი, შეისრულთაღოვანი შესასვლელი. თაღის შუა ნაწილი დაკავებული აქვს მაღალ, სწორკუთხა შელრმავებებში ჩასმულ ორ სარკმელს – მათ შორის მოქცეული პატარა ჯვრით. სარკმლებს ქვემოთ, წყობაში, ჩასმულია ქვაშაქვის ოთხკუთხა ფილა სამშენ. წარწერით.

ფასადის გვერდის მონაკვეთებს მაღალ სწორკუთხედებში ჩასმული, შეისრულთაღოვანი არეები მოიცავს. თითოეული მათგანი კუთხით შვერილი აგურებით შედგენილი ზოლით გაყოფილია ორ ნაწილად. რ-თაგანაც ქვედა თითქმის ერთნახევარჯერ მაღალია ზედაზე. ორივე ნაწილში სამ-სამი დეკორატ. თაღია. ზედა ნაწილის შუა თაღში, რ-იც გვერდით თაღებთან შედარებით გაცილებით მაღალია, დას. კუთხის ნაწილების სარკმლებია მოქცეული. სამი დაბალი შეისრული თაღია განლაგებული არეების ქვედა ნაწილშიც.



113. გუმბათიანი ეკლესია, საერთო ხედი სამხრ.-აღმ-დან

სამხრ. და ჩრდ. ფასადები, დამუშავებით, ერთმანეთის ანალოგიურია. შუა თაღოვანი არის ზედა ნაწილში გამოსახულია მაღალი, ფართო ჯვარი, მის ქვემოთ ორი

სარკმელი, ხოლო მათ ქვეშ – სწორკუთხა შეღრმავებაში ჩასმული, შეისრულთაღოვანი შესასვლელი. ფასადის გვერდით ნაწილებზე კი თითო განიერი თაღი.

ჯვრის მკლავების გვერდითი კედლებიც დანაწევრებულია სწორკუთხა შეღრმავებებში ჩასმული, შეისრული თაღებით. აღმ. და დას. მკლავების კედლებზე ოთხ-ოთხი ასეთი შეღრმავებაა, დანარჩენ ორზე – სამ-სამი.

გუმბათის ყელი სიმაღლეში ორ ნაწილადაა გაყოფილი. ქვედა ნაწილში, რ-იც ზედაზე ოთხჯერ უფრო მაღალია, თითოეულ წახნაგზე თითო შეღრმავებული სწორკუთხა არეა, რ-იც გვერდებიდან წიბოების ამყოლი ლილვებითაა მოფარგლული, ხოლო ზემოდან – აგურის დაკბილული წყობით. თითოეულ წახნაგზე შეისრული თაღით დასრულებული, განიერი შეღრმავებაა. წახნაგების ღერძზე კი ვიწრო, მაღალი სარკმელი, რ-იც ასევე სწორკუთხა შეღრმავებულ არეშია მოქცეული.

გუმბათის ყელის ზემოთა მონაკვეთის წახნაგებზე სამ-სამი, აგურის დაკბილული წყობით დასრულებული, შეღრმავებული სწორკუთხედია გამოყვანილი. გუმბათის ყელი დასრულებულია აგურისავე ლავგარდნით, რ-ის პროფილს წრეთარგი და ლილვი შეადგენს. გუმბათის პირამიდული სახურავი თუნუქითაა დაფარული. ეკლესიის მკლავები და მათ შორის მოქცეული ნაწილები გადახურულია ღარისებრი კრამიტით.

ეკლესიის ჩრდ. მკლავის სახურავის კიდეზე დადგმულია პატარა სამრეკლო, რ-იც თაღებით გახსნილ და პირამიდული სახურავით გადახურულ, ცილინდრული ფორმის ფანჩატურს წარმოადგენს.

ტაძრის დას-ით მდგარი, გვიანდ. შუა საუკუნეების ე კ ლ ე ს ი ა ნატეხი ქვითა და რიყის ქვითაა ნაგები – საკმაოდ დაუდევრად. ერთადერთი, სწორკუთხა შესასვლელი მას სამხრ-იდან აქვს. აფსიდი არაწესიერი ნახევარწრის ფორმისაა, გადახურულია დადაბლებული პროპორციების, უსწორმასწორო კონქით. მსგავსადაა ნაწყობი კამარაც. აფსიდში და დას. კედლის ზედა ნაწილში თითო მცირე ზომის, სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. აღმ. სარკმლის ქვემოთ, კედელზე, ტრაპეზია მიდგმული. აფსიდის სამხრ. გვერდში პატარა, სწორკუთხა ნიშაა. კედლები შელესილი და მ ო ხ ა ტ უ ლ ი (შემორჩენილია ფრაგმენტულად) ყოფილა.

ფასადები სადაა. კედლები დასრულებულია აგურის საფეხურებიანი ლავგარდნით, რ-იც კარის გადახურვასთან ერთად, შეკეთების დროინდელია.

ეკლესიაზე დას-იდან მიდგმულია რიყის ქვითა და აგურით



113. სამრეკლო, ხედი სამხრ.-დას.-იდან

ნაშენი საძვალე. შესასვლელი მას სამხრ-იდან აქვს. ნაგებობის გეგმა კვადრატს მიახლოებული სწორკუთხედია. გადახურულია შეისრული კამარით, რ-იც აღმ-ით ეყრდნობა შეკიდულ თაღს. სამხრ. კედლის აღმ. ბოლოში სამკუთხა თაღით გადახურული ნიშაა. სამხრ., დას. და ჩრდ. კედლების შუაში განიერი და თარაზულად გადახურული თითო სარკმელია. ლავგარდანი და გადახურვა აგურისაა.

ორივე შენობის მომფარგლავი გალავანი რიყისა და ნატეხი ქვითაა ნაშენი. გალავანი თითქმის მთლიანადაა დანგრეული, მაგრამ, ჩანს, რომ შესასვლელი მას ჩრდ. კედლის დას. ბოლოში ჰქონია.

ეკლესიიდან სამხრ-ით, რამდენიმე ნაბიჯზე, დგას დაუდევრად ნაშენი ორსართულიანი ს ა მ რ ე კ ლ ო, რ-იც XV ს-ის ბოლოს ან XVI ს-ის დასაწყისს მიეკუთვნება. მისი ქვედა სართული კუბური ფორმისაა და ოთხივე მხრიდან განიერი, ოდნავ შეისრული თაღებითაა გახსნილი. მეორე სართული რვაგვერდა ფანჩატურია, რ-ის თითოეულ წახნაგში თითო ვიწრო, მაღალი, შეისრული თაღია. ნაგებობის ქვედა ნახევარი ნატეხი ქვითაა ნაგები, ზედა კი – აგურით. ორივე სართულს გუმბათოვანი კამარა ხურავს. აგურისაა ლავგარდანიც, რ-იც კუთხით შეყრილი აგურების ორი რიგისგან შედგება.

კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიაზე შემორჩენილია ქვის სწორკუთხა შენობების კედლების საძირკვლები და ქვედა ნაწილები. ზოგიერთი შენობის გარშემო მოჩანს მცირე ზომის სათავსები.

თ. დვალი.

ბიბლ.: 17; 27; 75; 323; 335.

114. ბრძელი ბუზეების სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს მდების ალაზნისა და ინწობის ძვ. შესართავთან, 0,2 კმ-ზე. განეკუთვნება ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებს. გაითხარა 1976 წ. აძცის ძაძ-ის ყვარლის რ-ნის რაზმის მიერ (ხელმძღვ. ბ. მაისურაძე).

სამაროვანზე გამოვლინდა 18 ორმოსამარხი. მათი ერთი ნაწილი აღმოჩნდა სახნავ მიწაზე და განადგურდა მიწის მოხვნის დროს. მეორე, მეტნაკლებად შემორჩენილი ნაწილი – თიხნარ ფენაშია.

სამაროვნის ჩიადაგმა ძვლები თითქმის არ შემოინახა. ამიტომ მიცვალებულის პოზის გარკვევა შეუძლებელია. ძეგლზე დადასტურდა: მსხვილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისგან და სუფთა, განლექილი თიხისგან ჩარხზე დამზადებული, მოყავისფროდ, მონაცრისფროდ და შავად გამომწვარი სხვადასხვა ორნამენტებით (კონცენტრულად ამოღარული ხაზები, ფრჩხილისეული, ირიბი ნაჭდევები, წიწვოვანი) შემკული ჭურჭელი: ლანგარი, ჯამი, ქვაბქო-

თანა, ქოთანი, ქილა, დოქი, დერგი, ხელადა, ტოლჩა, კათხა, სასმისი, მათარა, ქვევრი, პირმოყრილი მცირე ჭურჭელი; იარაღ-საჭურველი წარმოდგენილია რკინის მოხრილი დანებით, მასრაგახსნილი, პირის ორივე მხარეს ქედიანი შუბისპირებით (სიგრ. 1,25 მ). სამკაულები – მრგვალგანივკვეთიანი მავთულისგან დამზადებული, თექ ზიფხური ორნამენტით შემკული, ბრინჯაოს სამაჯურით, ერთი ჩქიფით; სხვადასხვა ფერის სარდიონის (ცილინდრული, სფერული, დაწახნაგებული, კასრისებრი, ბირთვისებრი, ექვსწახნაგა) და პასტის სფერული ფორმის მძივებით.

ც. მურადელი

ბიბლ.: 119; 304.

115. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია (4.45×3,75 მ), ნაგებია სხვადასხვა ზომის ნატეხი ქვით. დაზიანებულია: აყრილია სახურავის საფარი, ჩამოშლილია ლავგარდანი და აქა-იქ კედლების ზედა ნაწილები.

შესასვლელი დას-იდანაა. კარი გარედან თაღოვანია, შიგნიდან კი თარაზულადაა გადახურული. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-იც დარბაზის გრძივ კედლებს მხრების გარეშე უერთდება. აფსიდის ღერძზე გაჭრილია განიერი, სწორკუთხა სარკმელი. სარკმლის ქვემოთ, კედელზე, ოთხწახნაგა ტრაპეზია მიდგმული. აფსიდის ორივე ბოლოში თითო სწორკუთხა ნიშაა.



115. გეგმა

დას. ფასადზე შესასვლელის ორივე მხარეს, თაღოვანი ნიშებია, რ-ებშიც ხანკარებია ჩასმული.

ბ. კუპრეიშვილი.

116. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას-ით, 0,7 კმ-ზე, მდ. ინწობის მარჯვ. ნაპირას.

ეკლ. დარბაზულია (6,3×4,9 მ), შეიცავს ქრონოლოგიურად განსხვავებულ ორ სამშენ. ფენას. თავდაპირველი ნაწილი, რ-იც, სავარაუდოდ, XVI ს. განეკუთვნება, ნაწყობია სხვადასხვა ზომის ნატეხი ქვით. გარეთა კედლების წყობაში, აქა-იქ, გამოყენებულია საკმაოდ დიდი ზომის ქვები, რ-თა სიგრ. 1,5-1,7 მ აღწევს. მოგვიანებით (როგორც ჩანს XVIII ს-ში) შენობის დანგრეული ნაწილები (კონქი, კამარა, დას. ფასადი, აღმ. კუთხეების ზედა ნაწილები, ლავგარდანი) აღუდგენიათ აგურით და ეკლ. შიგნიდან და გარედან შეულესავთ. ამავე რემონტის დროს გრძივ კედლებში შეუყვანიათ თითო ოთხკუთხა ნიშა, ხოლო საკურთხეველი დარბაზისგან ხის კანკელით (შემორჩენილია კვალი) გაუმიჯნავთ.



116. გეგმა



116. გრძივი ჭრილი, ხედი ჩრდ-კენ

ერთადერთი შესასვლელი დას-იდანაა. კარი გარედან შეისრულთაღოვანია, შიგნიდან კი ხის ფიცრული გადახურვა აქვს. ეკლესიის თითქმის კვადრ. დარბაზი აღმ-ით დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით. აფსიდის



116. განივი ჭრილი, ხედი აღმ-კენ

ღერძზე გაჭრილია განიერი, თარაზულად გადახურული სარკმელი. მის ორივე მხარეს თითო მცირე, ოთხკუთხა ნიშაა. საკურთხევლის შუაში დგას მთლიანი ქვის ტრაპეზი. აფსიდი გადახურულია ტლანქად ნაწყობი დადაბლებული კონქით, რ-შიც ორი რეზონატორია ჩასმული. საკურთხევლის სარკმლის გარდა, შიდა სივრცეს დას. კედელში გაჭრილი სარკმელიც აშუქებს, რ-საც აღმ. სარკმლის მსგავსად, თარაზული თავი აქვს. დარბაზი გადახურულია ცილინდრული კამარით.

შენობის ფასადები სადაა, კედლები დასრულებულია მაღალი ოთხსაფეხურიანი, ხერხული ლავგარდნით. დას. ფასადზე, სარკმლის ორივე მხარეს, თითო ოთხკუთხა

ნიშაა, რ-ებშიც ხაჭკარებია ჩასმული. შენობა გადახურულია ღარისებრი კრამიტით.



116. ხედი ჩრდ-დას-იდან

ეკლესიას გარს ევლება რიყისა და ნატეხი ქვით ნაგები, გეგმით სწორკუთხა (17,2×12,6 მ) მოხაზულობის გ ა ლ ა ვ ა ნ ი (მაქს. სიმ. 1,5 მ), რ-საც ჩრდ-დას. კუთხე მონგრეული აქვს, ხოლო აღმ. კედლის ჩრდ. ბოლოში შესასვლელია მოწყობილი.

თ. დვალი.

ბიბლ.: 75; 335.

117. ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-დას-ით, 2,5 კმ-ზე. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით. ეკლ. დარბაზულია (5×3,8 მ). ნაგებია რიყის ქვის ირეგულარული წყობით. აქა-იქ გამოყენებულია აგური. ძლიერ დაზიანებულია: ჩამონგრეულია კამარა, მონგრეულია კედლების ზედა ნაწილები.

შესასვლელი დას-იდანაა. კარის გარეთა გადახურვა ჩამონგრეულია და მისი ფორმა არ დგინდება. შიგნიდან კი თარაზულად იყო გადახურული (შემორჩენილია კვალი).

ეკლ. უაფსიდოა. სწორკუთხოვანი დარბაზის აღმ. კედელში გაჭრილია ფართო, მაღალი სარკმელი. ერთი სარკმელი შენობის სამხრ. კედელშიცაა. აღმ. სარკმლის ქვემოთ ორი მცირე ნიშაა, რ-ებსაც ერთმანეთს კუთხით მიბჯენილი ორი აგურისგან შედგენილი გადახურვა აქვს. მსგავსი ერთი ნიშა აღმ. კედლის სამხრ. კიდესთანაცაა.

შიგნით ეკლ. ერთიანი კამარით იყო გადახურული.

თ. დვალი.

118. ᲖᲐᲥᲐᲠᲓᲔᲓᲐ, ე კ ლ ე ს ი ა, არქიტ. ძ. დგას სოფელში. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია (6,5×4,95 მ). ნაგებია ნატეხი ქვით. დაზიანებულია: აყრილია საბურავი, მონგრეულია კედლების ზედა ნაწილები და ლავგარდანი.

შესასვლელი დას-ითაა. კარი გარედან თაღოვანია, შიგნიდან – სწორკუთხა.

აფსიდი ნახევარწრიული ფორმისაა, რ-ის ღერძზე გაჭრილია სწორკუთხა სარკმელი. ასეთივე სარკმელი შესასვლელის ზემოთაცაა. აფსიდის ორივე გვერდში თითო მცირე ზომის სწორკუთხა ნიშაა. თითო მსგავსი ნიშა დარბაზის გრძივ კედლებშიცაა.

შიგნით ეკლ. გადახურულია ქარგილზე სხმული უსწორმასწორო კამარით.

დას. ფასადზე, შესასვლელის გვერდებზე და ზემოთ მოწყობილია თითო ოთხკუთხა ნიშა.

პ. კიკნაძე შვილი.

119. ᲘᲝᲐᲜᲔ ᲜᲐᲗᲚᲘᲡᲛᲪᲔᲛᲚᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ეკლ. გეგმით კვადრატს მიახლოებული სწორკუთხედია (6,2×5,2 მ), ნაგებია რიყის ქვის, ნატეხი ქვისა და აგურის ირეგულარული წყობით.

შესასვლელი დას-იდანაა. კარი გარედან შეისრული თაღითაა დასრულებული, შიგნიდან კი თარაზული გადახურვა აქვს.

აღმ-ით არაწესიერი ნახევარწრის ფორმის, ღრმა აფსიდია, რ-შიც თაღოვანი სარკმელი და მისგან ჩრდ-ით ერთი პატარა, თაღოვანი ნიშაა მოწყობილი. თითო თაღოვანი სარკმელი, ერთმანეთის პირდაპირ, გრძივ კედლებშიცაა.

ეკლესიის დარბაზი შესამჩნევად მოკლეა, გადახურულია ცილინდრული კამარით, რ-იც აფსიდის თაღს და დას. კედლის მიმდებარე, კუთხის პილასტრებზე გადაყვანილ საბჯენ თაღს ეყრდნობა.

ფასადები სადაა. დას. ფასადზე კარის თავზე პატარა ოთხკუთხა

ეროვნული ბიბლიოთეკა



119. გეგმა

ნიშებია მოწყობილი, ხოლო ფრონტონში, აგურის წყობით, გამოსახულია ჩაღრმავებული ჯვარი. ფასადები დასრულებულია აგურის სამსაფეხურიანი ლავგარდნით. შენობა გადახურული იყო კრამიტით.

თ. დვალი.

120. ᲙᲘᲠᲐᲪᲮᲝᲕᲚᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფელში. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით. ეკლ. დარბაზულია (8,1×5,5 მ). ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვით.



120. გეგმა

შესასვლელები სამხრ. და დას. კედლებშია. კარები აგურითაა გამოყვანილი. ორივე მათგანი გარედან თაღოვანია, შიგნიდან კი, თარაზულადაა გადახურული. აღმ-ით ღრმა ნახევარწრიული აფსი-

დია, რ-ის ღერძზე სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. თითო მსგავსი სარკმელი დას., სამხრ. და ჩრდ. კედლებშიცაა. აფსიდში სამი გვიმით ნახევარწრიული, შეისრულთაღოვანი ნიშაა. მათგან ერთი სარკმლის ქვემოთაა, თითო – გვერდებში. საკურთხევლის შუაში დგას აგურით ნაშენი ოთხწახნაგა ტრაპეზი. კონქის თაღი შეისრულია. მსგავსი ფორმისაა კამარაც. იატაკი მოგებულია ქართ. აგურით.

ეკლესიის კედლები დასრულებული იყო აგურის ლავგარდნით, რ-იც მთლიანად ჩამოშლილია.

შენობა გადახურული ყოფილა ღარისებრი კრამიტით.

ბ. კუპრეიშვილი.

121. კოპალეს ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას-ით 4 კმ-ზე, ახმეტა-ყვარლის გზატკეცილის მარცხ. მხარეს, გზიდან 0,4 კმ-ზე.

დანგრეულია. ადგილობრივთა გადმოცემით იგი 1959 წელს აუფეთქებიათ. შემორჩენილია: ჩრდ. და დას. კედლების მცირე ნაწილები და საკურთხევლის აფსიდის ჩრდ. კიდე (სიმ. დაახლ. – 1,4 მ). ეკლესიის მიახლოებითი ზომებია: 8,6×6 მ, კედლების სისქე – 0,9 მ. შენობა ნაგები იყო ნატეხი ქვის ირეგულარული წყობით. კედლები გასწორებული ყოფილა ბათქაშით.

თ. დვალი.

122. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ცენტრში. თარიღდება ადრეინდ. შუა საუკუნეებით. ძეგლს მიაკვლია აკც-ის არქეოლ. ძეგლთა ნუსხის ექსპედიციამ. სამაროვანი წარმოადგენს ქვაყუთის ტიპის სამარხებს და შედგენილია დიდი ზომის ქვის ფილებისაგან. მიცვალებულთან ერთად აღმოჩნდა ბრინჯაოს ბეჭდები.

კ. ანდრონიკაშვილი.

123. ყველაყმიწდის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, სამხრ.-აღმ-ით, სასაფლაოზე. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია (5,7×4,5 მ). შეიცავს ქრონოლოგიურად განსხვავებულ ორ სამშენ. ფენას. თავდაპირველი კედლები ნაგებია ნატეხი ქვის ირეგულარული წყობით. კედლები შელესილი და შეთეთრებულია, ზედაპირი – უსწორმასწორო. მოგვიანებით განახლებული ნაწილები, ძირითადად აგურისაა, რ-ის წყობაში ნატეხი და რიყის ქვაცაა ჩართული.

შესასვლელი დას-ითაა. კარი გარედან შეისრულთაღიანია, შიგნიდან – სწორკუთხა. თაღი ჩასმულია საფეხურით შედრმაგებულ, სწორკუთხა არეში, რ-იც აგურის სამსაფეხურიანი ფრიზითაა დასრულებული. ეკლესიის დარბაზი კვადრატულია.



123. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

აღმ-ით არაწესიერი ნახევარწრის ფორმის აფსიდია. რ-შიც დაბალი, ბრტყლად გადახურული სარკმელია გაჭრილი. თითო მსგავსი სარკმელი დანარჩენ კედლებშიცაა. აფსიდში, სარკმლის ორივე მხარეს, თითო სწორკუთხა ნიშაა. თითო მსგავსი ნიშა, ერთმანეთის პირდაპირ სამხრ. და ჩრდ. კედლებშიცაა. საკურთხეველი გადახურულია უსწორმასწორო, სხმული კონქით, რ-ის თაღის წვერის ნაწილი კამარის წყობაშია მოქცეული. დარბაზი გადახურულია ტლანქად სხმული კამარით. იატაკი მოგებულია აგურით.

ეკლესიის ფასადებზე შემორჩენილია აგურის ხერხულა ლავგარდნის ნაწილები.

ეკლესიის სახურავის დას. კიდეში დგას კვადრ. გვიმის, ოთხივე მხარეს ნახევარწრიული თაღებით გახსნილი, აგურის სამრეკლო, რ-საც კვერცხისებრი ფორმის გადახურვა აქვს.

თ. დვალი.

124. წმ. ელიას ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრ. ნაწილში. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია (7,8×5,8 მ), ნაგებია სხვადასხვა ზომის ნატეხი ქვით. დაზიანებულია: ჩამოშლილია ლავგარდანი და აქა-იქ კედლების ზედა ნაწილები, აყრილია კრამიტის საბურავი. სახურავზე მცენარეულობაა ამოსული.

შესასვლელი დას-ითაა. კარი გარედან თაღოვანია, შიგნიდან სწორკუთხა. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-შიც მაღალი, ოთხკუთხა სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ჩრდ-ით მოწყობილია ორი ნიშა. მათ შორის ერთი თაღოვანია, მეორე – სწორკუთხა. სამხრ-ით კი ერთი მცირე ზომის ოთხკუთხა ნიშაა. ერთი ოთხკუთხა სარკმელი დას. კედელშიცაა – კარის ზემოთ.

აფსიდი გადახურულია კონქით, რ-ის თაღი ოდნავ შეისრულია. დარბაზი გადახურულია ოდნავ შეისრული ფორმის სხმული კამარით.



124. გეგმა

ეკლესიის სამხრ-ით შემორჩენილია გალავნის ფრაგმენტი.

ბ. კუპრეიშვილი.

ვეძისხევი, ნასოფლარი, იხ. სოფ. შილდა

ზინობიანი
(ჭიკაანის თემის საკრებულო)

125. ნასახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის განაპირას, ჩრდ-ით. თარიღდება ადრეინდ. რკინის ხანით. 1978 წელს მიაკვლია აპც-ის არქეოლ. ძეგლთა ნუსხის განყ-ბის ექსპედიციამ (ხელმძღვ. გ. ცქიტიშვილი). ნასახლარის შემორჩენილი კედლების (სიმ. – 0,6 მ, სისქე – 1 მ) შიდა და გარე პირი ნაგები იყო დიდი ზომის ქვების მშრალი წყობით. საპირე ქვებს შორის არე შევსებული იყო წვრილი ქვებით.

კ. ანდრონიკაშვილი.

126. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის განაპირას, სამხრ.-აღმ-ით, სასაფლაოზე. თარიღდება გვიანდ. ბრინჯაოს ხანით. 1978 წელს მიაკვლია აპც-ის არქეოლ. ძეგლთა ნუსხის განყ-ბის ექსპედიციამ (ხელმძღვ. გ. ცქიტიშვილი). სამაროვანი ქვაყრილიანი ორმოსამარხებია, რ-შიც მიცვალებულები დაკრძალულია მარჯვ. გვერდზე, თავით ჩრდ-აღმ-კენ.

კ. ანდრონიკაშვილი.

127. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის განაპირას, ჩრდ-და-ით, მუხნარად წოდებულ ადგილზე. თარიღდება ადრეინდ. შუა საუკუნეებით. ძეგლს 1978 წელს მიაკვლია აპც-ის არქეოლ. ძეგლთა ნუსხის განყ-ბის ექსპედიციამ (ხელმძღვ. გ. ცქიტიშვილი). სამაროვანი წარმოდგენილი იყო ქვაყუთების სახით.

კ. ანდრონიკაშვილი.

128. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით, 1 კმ-ზე. თარიღდება ადრეინდ. რკინის ხანით. 1978 წ. შეისწავლა აპც-ის არქეოლ. ძეგლთა ნუსხის განყ-ბამ (ხელმძღვ. გ. ცქიტიშვილი). სამაროვანზე დადასტურდა ქვაყუთები და ორმოსამარხები. ქვაყუთები შედგებოდა მცირე ზომის ფილებისაგან და ფილებითვე იყო გადახურული. აღმოჩნდა თიხის შავად გამომწვარი, უხეშკეცხიანი, სფერულმუცლიანი ჭურჭელი მომაღლო ყელით და გადაშლილი პირით. ერთ-ერთ სამარხში გამოვლინდა რკინის შუბისპირი და ნაცრისფრად გამომწვარი უხეშკეცხიანი თიხის ნამტვრევები.

ჯ. გვეტაძე

კუჭატანი
(საკრებულოს ცენტრი)

129. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფელში. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია (11×6,8 მ). ნაგებია ნატეხი ქვითა და აგურით. დაზიანებულია: თითქმის



129. გეგმა

მთლიანადაა დანგრეული დას. კედელი, აყრილია სახურავის საფარი, ჩამოშლილია ლავგარდანი.

შესასვლელი სამხრ-ითაა. კარი საკმაოდ ვიწროა (სიგ. 0,7 მ). გარედან იგი თაღოვანია, შიგნიდან კი თარაზულადაა გადახურული. შესასვლელის გვერდებზე თითო სათოფურია, რ-ებიც კარის ღერძისკენ არიან მიმართული.

ეკლესიის შიდა სივრცე აღმ-ით დასრულებულია ოდნავ ნალისებრი აფსიდით. კონქის თაღი ნახევარწრიული ფორმისაა. აფსიდის ღერძზე გაჭრილია თაღოვანი სარკმელი. თითო თაღოვანი სარკმელი ჩრდ. და სამხრ. კედლებშიცაა. აფსიდის შუაში დგას ქვის ტრაპეზი. ეკლესიის დარბაზი გადახურულია ნახევარცილინდრული კამარით. კამარა ორ, ნახევარწრიული ფორმის საბჯენ თაღს ეყრდნობა. მათგან ერთი, დარბაზის შუაშია, ეყრდნობა კრონშტეინებს, მეორე – დას. კუთხის პილასტრებს.

კ. გიორგობიანი.

130. დვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით. ნაგებია რიყის ქვით და აგურით.

ეკლ. დარბაზულია (9,75×6,1 მ). სამხრ-იდან და დას-იდან, მთელ სიგრძეზე, გვიანდ. მინაშენები ეკვრის. მათგან სამხრ-ისა ერთიანია, ჩრდ-ისა კი ორი სხვადასხვა ზომის ნაწილისგან შედგება, რ-თაგანაც დას-ისა თითქმის მთლიანად დანგრეულია (შემორჩენილია მხოლოდ ჩრდ. კედლის აღმ. კიდე).

ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს: სამხრ-იდან (მინაშენიდან) და დას-იდან. მესამე კარი ჩრდ. კედლის აღმ. ნაწილშია გაჭრილი, რ-იც ჩრდ. მინაშენის აღმ. ნაწილში გადის. ეკლესიის შიდა სივრცე აღმ-ით დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით, რ-ის ღერძზე თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ჩრდ-ით და სამხრ-ით მოწყობილია თითო პატარა, ოთხკუთხა ნიშა. აფსიდი დარბაზის იატაკის მიმართ საფეხურითაა შემაღლებული. აფსიდის თაღი და კამარა ნახევარწრიულია.



130. გეგმა

სამხრ. მინაშენი აფსიდიანია. შესასვლელი მას სამხრ-იდან და დას-იდან აქვს. სამხრ. შესასვლე-

ლი ორმალიანია – სწორკუთხა ბოძით თაღებს შორის, დას-ისა – თაღოვანი. სამხრ. შესასვლელის აღმ. თაღი და დას. შესასვლელი მოგვიანებით ამოუშენებიათ. აფსიდი გეგმით კვერცხისებრი ფორმისაა. მასში მხოლოდ თაღოვანი სარკმელია მოწყობილი. აფსიდის თაღზე შემორჩენილია საღებავით შესრულებული ასომთ. წარწერის ფრაგმენტები. მინაშენი გადახურულია ერთიანი ცილინდრული კამარით, რ-ის დასაყრდნობად ეკლესიის სამხრ. კედელზე საკმაოდ სქელი კედელია მიშენებული. კედლის დას. ნახევარში ორი თაღია გამოყვანილი, აღმ. ნახევარში კი – ორი ნიშა.

ჩრდ. მინაშენის აღმ. ნაწილი, დას. ნაწილზე თითქმის ერთნახევარჯერ უფრო გრძელია. აღმ-ით იგი დასრულებულია სწორი კედლით, რ-შიც ერთი ვიწრო სარკმელი და ორი მცირე ზომის ოთხკუთხა ნიშაა. აღმ. სარკმლის გარდა, თითო სარკმელი მინაშენის ჩრდ. და დას. კედლებშიცაა. მათგან დას. სარკმელი უჩვეულოდაა გადაწყვეტილი. სარკმლის ღიობი კედლის სისქეში ვერტიკალურადაა შეჭრილი, შემდგომ მიმართულებას იცვლის და ჩრდ. ფასადზე გადის. მინაშენს ცილინდრული კამარა ხურავს, რ-იც ეკლესიის ჩრდ. კედელზე მიშენებულ პილასტრს და მასზე გადაყვანილ ორ თაღს ეყრდნობა.

ეკლესიის დას. ფასადის ფრონტონის წვერზე დაშენებული ყოფილა პატარა ოთხწახნაგა ს ა მ რ ე კ ლ ო, რ-ის საფუძველიღაა დარჩენილი.

ჯ. გიორგობიანი.

მთისძირი

(საკრებულოს ცენტრი)

131. მთისძირი, სოფელი, ისტ. ა რ ე შ ი, ა რ ი შ ი, 1944 წ-მდე ხაშალხუტი, ისტ. ძ. მდებარეობს მდ. არეშის ზედა წელში, ქ. ყვარლიდან 26 კმ-ზე.

1973-1982 წწ. არეშში არქეოლ. გათხრები ჩაატარა საქართვ. სახელმწ. მუზეუმის არქეოლ. ექსპედიციამ (ხელმძღვ. ლ. ჭილაშვილი). არეში შუა საუკუნეებშიც მნიშვნელოვანი დასახლება ყოფილა, იგი ქრისტიანობის გავრცელების ადრეული საფეხურებიდანვე მოქცეულა ქრისტიანულ ორბიტაში, რასაც მოწმობს აქ გათხრილი და შესწავლილი ცხრა ნაეკლესიარი.

არეშის დაწინაურებას, ხელსაყრელ გეოგრაფიულ გარემოსთან ერთად, ხელი შეუწყო სავაჭრო გზამ, რ-ითაც ადრინდ. შუა საუკუნეებში ქართლი და კახეთი ალბანეთს უკავშირდებოდა და ეწ. ცხვრის გზამ, რ-ითაც ცხვარი დაღესტნის მთებში აჰყავდათ.

არსებობს მოსაზრება (ლ. ჭილაშვილი), რომ ტოპონიმი არეში (არიში) მომდინარეობს არაბული სიტყვიდან და ნიშნავს კარავს, ბანაკს (დამკვიდრდა IX ს-ში). ამ ტოპონიმის გაჩენა შესაძლოა არაბთა ლაშქრობებს უკავშირდებოდეს. მანამდე აქ არსებული დასახლების სახელი უცნობია. რაც შეეხება სოფლის დღევანდელ სახელწოდებას – მთისძირი, იგი, როგორც ჩანს, მის ადგილმდებარეობას უკავშირდება.

„მატიანე ქართლისაის“ ცნობით, X ს-ის დასაწყისში კოსტანტი აფხაზთა მეფისა და კვირიკე კახთა ქორეპისკოპოსის შეერთებულმა ჯარმა ჰერეთის ლაშქარი დაამარცხა და ადარნასე ჰერთა პატრიკმა, ეჯჯინის ზავის თანახმად, არიში გავაზთან ერთად, კოსტანტი მეფეს დაუთმო.

არეში შერეული დასახლების ტიპს განეკუთვნებოდა, სადაც ერთნაირად ძლიერად იყო წარმოდგენილი, როგორც მთის, ისე ბარის მეურნეობა.

არიში არიშიანების საგვარეულო ფუძედ იქცა. აქედან აღზევებულმა ჰერმა დიდებულებმა – არიშიანებმა XII-XIII სს-ში მაღალ პოლიტიკურ მდგომარეობას მიაღწიეს.

XIV-XV სს-ის მიჯნაზე, თემურ ლენგის არაერთგზის შემოსევების შედეგად, არიში დაქვეითდა და ადრინდ. მნიშვნელობა დაკარგა.

ლ. მოწონელიძე

ბიბლ.: 149; 199ა; 224.

132. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას ვარდისგორად წოდებულ ადგილში, თარიღდება ადრინდ. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია, აღმ-ით დასრულებულია ნახევარწრიული, შვერილი აფსიდით (შიდა ზომები: სიგრ. – 6 მ, სიგ. 3,4 მ). ეკლესიას ჩრდ-იდან ეკვრის გეგმით სწორკუთხა, ოდნავ მოკლე სათავსი (სამკვეთლო?), ხოლო დას-იდან (მთელ სიგანეზე) – კარიბჭე. შენობა ნაგებია სხვადასხვა ზომის ნატეხი ქვითა და კირის ხსნარით. დაზიანებულია: ჩაქცეულია გადახურვა, დანგრეულია კედლების ზედა ნაწილები და დას. კედლის ჩრდ. ნახევარი, განგრეულია აფსიდის ჩრდ. გვერდი, მონგრეულია ჩრდ. სათავსის ჩრდ.-აღმ-ის კუთხე.

ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს. სამხრ-იდან და დას-იდან –



132. გეგმა

კარიბჭიდან. სამხრ. კარი გარედან თარაზულადაა გადახურული, შიგნიდან – თაღოვანია. დას. კარიდან სამხრ. წირთხლის ნაწილიღაა შემორჩენილი. ეკლესიის შიდა სივრცე განათებული იყო ორი სარკმლით. მათგან ერთი აფსიდშია, ხოლო მეორე სამხრ. კედელში – შესასვლელის ოდნავ აღმ-ით. დარბაზის ჩრდ. კედლის აღმ. ბოლოში მოწყობილია ოთხკუთხა ნიშა, შუაში კი, თარაზულად გადახურული განიერი კარი, რ-იც ჩრდ-ის სათავსში (სამკვეთლოში) გადის.

კარიბჭის (შიდა ზომები: სიგრ. 1,75 მ, სიგ. 3,8 მ) გვერდის კედლები ყრუა, დას-ით კი თითქმის მთელ სიგანეზე იყო გახსნილი.

ჯ. გიორგობიანი.

133. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას „თელავის ყურის“ მთაზე. თარიღდება ადრინდ. შუა საუკუნეებით. ეკლ. დარბაზულია (9,3×5,9 მ), ნაგები იყო სხვადასხვა ზომის ნატეხი ქვითა და რიყის ქვით. დანგრეულია. მეტ-ნაკლები დანაკარგებით მხოლოდ ჩრდ. კედელი და საკურთხევლის ნაწილია შემორჩენილი. ინტერიერი ამოვსებულია ქვებითა და მიწით.

აღმ-ით ეკლ. დასრულებულია ნალისებრი აფსიდით. აფსიდის შუაში სარკმელია, მის გვერდებზე კი თითო ოთხკუთხა ნიშა. ჩრდ. ნიშის ზემოთ პატარა, გეგმით მრუდხაზოვანი მოხაზულობის ნიშაა (სამალავი?).

მ. აბაშიძე.

134. ეკლესია, არქიტ., არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით 1,5 კმ-ზე, ტყეში. მდ. არეშის მარჯვ. ნაპირზე. მდინარისა და მისი ერთერთი მარჯვ. შენაკადი ღელის გამყოფ ქედზე.

ეკლ. დგას მოზრდილი ეზოს შუაში, რ-იც აღმ-იდან და დას-იდან მდინარისა და ღელის ციცაბო ნაპირებითაა მოსაზღვრული. სამხრ-იდან და ჩრდ-იდან კი სქელი (სისქე 1,2 მ) კედლით, რიც მდინარისა და ღელის ნაპირებს შორისაა და წინიდან, მთელ სიგრძეზე, დამცავი თხრილი გასდევს.

ძ. სამეკლესიანი ბაზილიკაა (12,8×8,7 მ), ნაგებია რიყის მსხვილი ქვით და კირის ხსნარით. სავარაუდოდ, თარიღდება ადრინდ. შუა საუკუნეებით. 1980 წ. გათხარა საქართვ. სახელმწ. მუზეუმის არეშის არქეოლ. ექსპედიციამ (ხელმძღვ. ლ. ჭილაშვილი). ეკლ. ძლიერაა დაზიანებული. მისგან არსებითად მხოლოდ საკურთხევლის ნაწილიღა დგას (მაქს. სიმ. 2,2 მ-ია). დანარჩენი კედლების უმეტესი ნაწილი დანგრეულია.

მთავარ ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს: სამხრ-იდან და დას-იდან. აღმ-ით იგი დასრულებულია საკმაოდ ღრმა, ნალისებრი ფორმის აფსიდით, რ-ის ჩრდ-ით მსგავსი ფორმის აფსიდით დასრულებული სათავსია – სამკვეთლო, რ-საც მთავარი ეკლ. ჩრდ. კედლის აღმ. ნაწილში გაჭრილი კარით უკავშირდება. მთავარი ეკლესიის გრძივი კედლების გასწვრივ შემორჩენილია საფეხურის ფრაგმენტები.

სამხრ. და ჩრდ. ეკლესიები მთავარ ეკლესიაზე გაცილებით უფრო ვიწროა (სიგ. 1,3 მ). მათგან სამხრ. ეკლ. ნალისებრაფსიდიანია, ხოლო ჩრდ-ისა – უაფსიდოა და აღმ-ით სწორი კედლითაა დასრულებული. სამხრ. ეკლესიის სამხრ. კედელი მთლიანად დანგრეულია და მისი გეგმარება არ ირკვევა.

ეკლ. დაბურული ყოფილა ღარისებრი და ბრტყელი კრამიტით.

ეკლესიის გათხრისას აღმოჩნდა ლუთერიის (ტუხიანი ლანგარი), წითელკეციანი ჯამისა და თეფშის ფრაგმენტები, მთის ბროლის მძივი, აქატის მძივის ნატეხი და სხვა. განათხარი მასალის მიხედვით, როგორც ჩანს, ეკლ. IX ს-ის ახლო ხანებამდე ფუნქციონირებდა.

ეკლესიიდან სამხრ.-აღმ-ით, 10 მ მანძილზე, დგას რიყის ქვის მშრალი წყობით ნაგები, დარბაზული (9,8×5,1 მ) ეკლესია (შემორჩენილი კედლების მაქს. სიმ. 1,2 მ-ია). შესასვლელი ეკლესიას დას-იდან და სამხრ-იდან აქვს. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის იატაკი მოგებულია მსხვილი ქვებით. იგი შესაძლებელია თიხით იყო მოლესილი. აფსიდის შუაში, კედელზე, მიშენებულია მსხვილი ქვებით ნაგები ტრაპეზი. აფსიდის იატაკი დარბაზის იატაკის მიმართ საფეხურითაა ამაღლებული და მოწყობილი აქვს ოთხკუთხა ამბიონი. შენობა გადახურული იყო ღარისებრი და ბრტყელი კრამიტით.



134. გეგმა

ეკლესიის გათხრისას, კრამიტის ნატეხებთან ერთად, აღმოჩნდა წითელკეციანი ჯამის ფრაგმენტი, რ-იც IV-VI სს-ებით თარიღდება.

ეკლესიებიდან დას-ით, ღელის მარჯვ. მაღალ ნაპირზე, გაითხარა ნასახლარი – ორი გვერდიგვერდ მდგარი ნაგებობა, რ-თა თარიღი, არქეოლ. მასალის მიხედვით, შეიძლება VI-XI სს-ით განისაზღვროს. მათგან ერთი, შედარებით მოზრდილია (11,8×7,75 მ), გეგმით ტრაპეციული. დამხრობილია აღმ.-დას-ის მიმართულებით. შესასვლელი დას-იდან აქვს. შენობა ნაგები ყოფილა დიდი ზომის რიყის ქვებით და კირის ხსნარით. შემორჩენილი კედლების მაქს. სიმ. 1,1 მ-ია. იატაკი თიხატკეპნილია. იატაკზე, დამწვარი სახურავის კრამიტის ნატეხებთან ერთად, გამოვლინდა ხანძრის შედეგად სანახევროდ გამომწვარი ალიზის აგურებიც (21×20×6 სმ). როგორც ჩანს, კედლების ნაწილი ალიზისა უნდა ყოფილიყო. შენობა გადახურული იყო ბრტყელი და ღარისებრი კრამიტით. ღარისებრი კრამიტები სხვადასხვაგვარადაა მორთული (ორ პარალელურ ხაზს შორის ჩასმული სამკუთხედები – ფუძეების შენაცვლებით, ხაზოვანი ორნამენტი, რომელიც მოიცავს კრამიტის მთელ ზედაპირს, ოვალები შუაში კოპებით, ჯვრის გამოსახულებები). ბრტყელი კრამიტის ორ ნატეხზე შემორჩენილია ქართ. ასოები.აღმოჩნდა ლუთერია (VI-VIII სს), მოჭიქული ჯამების ფრაგმენტები (IX ს), ანგობით მოხატული, მოჭიქული ნატეხი (X-XI სს).

ნაგებობის აღმ-ით, 0,7 მ მანძილზე, დგას ოდნავ პატარა, გეგმით ოთხკუთხა (5,4×6,2 მ) ნაგებობა. იგი ნაგებია უფრო მარტივად, ვიდრე პირველი – ქვიშაქვით და ნატეხი ქვით, ტალახის ხსნარზე. შესასვლელი დას-იდან აქვს. ნაგებობის წმენდის დროს გამოჩნდა დამწვარი ძელების და ალიზის აგურების ფენა. ნაგებობა გადა-

ხურული ყოფილა ბრტყელი და ღარისებრი კრამიტით. კრამიტები სადაა. ნაგებობის ცენტრში, დალეწილი კრამიტის ფენაში, დადასტურდა ბავშვის უინვენტარო სამარხი.

თ. დვალი.

ბიბლ.: 224.

135. ეკლესია, არქიტ., არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით, 1,7 *კმ*-ზე, მდ. არეშის მარჯვ. ნაპირზე, ტყეში. განეკუთვნება VIII-IX სს.

ძ. სამეკლესიიანი ბაზილიკაა, სამი მხრიდან ერთიანი გარშემოსავლელით (12,7×10,8 *მ*). შენობა ნაგები ყოფილა რიყისა და ნატეხი ქვით – თიხის ხსნარზე. შემორჩენილია კედლების წყობის 4-8 რიგი (მაქს. სიმ. 1,2 *მ*-ია).



135. სამეკლესიიანი ბაზილიკა. გეგმა

მთავარ ეკლესიას (10,15×5,5 *მ*) ორი შესასვლელი აქვს – სამხრ-ით და დას-ით. აღმ-ით იგი დასრულებულია კვერცხისებრი ფორმის აფსიდით, რ-იც გრძივი კედლებიდან ერთსაფეხურიანი მხრებითაა გამოყოფილი. მოგვიანებით აფსიდი დარბაზისგან რიყის ქვით ნაგები კანკელით გაუმიჯნავთ, რისგანაც წყობის სამი რიგიღაა შემორჩენილი.

მთავარი ეკლესიის ჩრდ. კედლის აღმ. ნაწილში კარია, რ-იც მთავარი ეკლესიის აფსიდის ჩრდ-ით მდებარე, სწორკუთხა გეგმის სათავსში გადის. მთავარი ეკლესიის შუაში დგას გეგმით თითქმის კვადრ. (1×1,1 *მ*), ზემოთკენ ოდნავ შევიწროებული ნაგებობა (სიმ. 1 *მ*), რ-საც აღმ. წახნაგში მოწყობილი აქვს პატარა, ოთხკუთხა ნიშა.

სამხრ. ეკლ. უაფსიდოა. იგი ვიწრო და გრძელი დერეფანია. სამხრ. ეკლესიის სამხრ. კედლის შუაში ორმალიანი თაღოვანი შესასვლელის ნაშთია – თაღებს შორის კვადრ. სვეტით. მეორე შესასვლელი გარშემოსავლელის დას. კედლის შუაშია.

ჩრდ. ეკლ. აფსიდიანია. დამოუკიდებელი შესასვლელი მას არ ჰქონია.

ეკლესიის გათხრისას გამოვლინდა კრამიტის ნატეხები და წითელკეციანი, კარგად დამუშავებული და გამომწვარი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. ჭურჭლის შიდაპირი დაფარულია შავი თუ მუქი ყავისფერი მასით.

ეკლესიის აღმ-ით, 35 *მ*-ზე, ოთხკუთხა გეგმის (6,6×5,5 *მ*) ნაგებობის ნანგრევებია. იგი ნაგები ყოფილა რიყისა და ნატეხი ქვით – თიხის ხსნარზე. ერთადერთი შესასვლელი მას აღმ-იდან ჰქონია. შიგნით, ჩრდ.-დას. კუთხეში, ჩაფლული ყოფილა ბრტყელძირიანი ქვევრი (აღმოჩნდა თოკისებრი ორნამენტით შემკული ნატეხები). გამოვლინდა, აგრეთვე, წითელკეციანი ჯამისა და ტუჩიანი ჭურჭლის ფრაგმენტები, რკინის მოგრძო ნივთი (ურდული?).

თ. დვალი.

ბიბლ.: 224.

136. ეკლესია, არქიტ., არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით, 2 *კმ*-ზე, ტყეში. მდ. არეშის მარჯვ. ნაპირზე. სავარაუდოდ, თარიღდება ადრინდ. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია (7,2×4,8 *მ*). ნაგებია რიყის ქვით, ნატეხი ქვითა და ტალახით. კედლები შემორჩენილია 1 *მ* სიმაღლეზე. შესასვლელი სამხრ-ით და დას-ითაა. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-იც დარბაზისგან გამიჯნული ყოფილა კანკელით. კანკელის კედელში (შემორჩენილია ქვედა ორი რიგი) აღმოჩნდა ბაზალტის არქაული ხელსაფქვავის ქვა (მსგავსი ხელსაფქვავები აღმოჩნდა ეკლესიის გარეთაც).

ეკლესიას სამხრ-იდან და დას-იდან ერთიანი, ვიწრო მინაშენი ეკვროდა. შესაძლოა, [illegible] ეკლესიის ზღუდეს [illegible] ლებდა. მისი კედლები (სიმ. 0,3 *მ*) მთელ სიგრძეზეა შემორჩენილი. მინაშენში შესასვლელი დას. ფრთაშია მოწყობილი – ჩრდ-იდან. ამ მხარეს იგი მთელ სიგანეზეა გახსნილი.

ეკლ. გადახურული იყო ბრტყელი და ღარისებრი კრამიტით.

ეკლესიის გათხრების დროს აღმოჩნდა ღარისებრი და ბრტყელი კრამიტის ნამტვრევები, საოჯახო, სადა კერამიკის ფრაგმენტები. ეკლესიის შუაში გაითხარა გვიანდ. ბრინჯაოს ხანის ორმოსამარხი. აღმოჩნდა თიხის მოზრდილი, მუცელგანიერი, ორყურა ქილა (სიმ. 28 *სმ*), ცალყურა ქილა (სიმ. 17 *სმ*) და თიხის ცალყურა დოქი (სიმ. 21 *სმ*). ასევე, სხვა ჭურჭლის ნატეხებიც.

ეკლესიის დას-ით, 10 *მ* მანძილზე, გაითხარა გეგმით სწორკუთხა (3,8×2 *მ*) ნაგებობა. იგი ნაგები ყოფილა რიყისა და ნატეხი



136. გეგმა

ქვით – თიხის ხსნარზე (შემორჩენილი იყო ქვის წყობის მხოლოდ სამი რიგი). შენობა დამხრობილია სამხრ.-ჩრდ-ის მიმართულებით. შესასვლელი მას სამხრ-იდან ჰქონია. ნაგებობის გაწმენდისას დადასტურდა კრამიტის ფრაგმენტები და საოჯახო, სადა ჭურჭლის უსახური ნატეხები.

ეკლესიის სამხრ.-დას-ით, 15 *მ* მანძილზე, გაიწმინდა გეგმით თო-

თქმის კვადრ. (5,8×5,1 მ) ნაგებობა. შემორჩენილი იყო რიყისა და ნატეხი ქვით ნაგები კედლების წყობის ერთი რიგი. შემაკავშირებლად აქაც ტალახის ხსნარი ყოფილა გამოყენებული. ნაგებობის ჩრდ.-აღმ. კუთხეში აღმოჩნდა ქვევრი, რ-ის გვერდები შემკული იყო ამოღარული, ტალღური ორნამენტით. სამხრ. კედელთან, 0,8 მ სიღრმეზე, გამოვლინდა მსხვილი ქვებით შემოწყობილი სამარხი, რ-შიც დადასტურდა მოკვისფროდ გამომწვარი, დაშლილი ქილა, ცალყურა დიდი ზომის დაშლილი დოქი, ქვის ბრტყელი ფიალა და სხვადასხვა ჭურჭლის ნატეხები.

ნაგებობის გარეთ, ჩრდ.-დას. კუთხესთან, აღმოჩნდა კიდევ ერთი ანალოგიური სამარხი, ოღონდ უფრო მცირე ზომისა. იგი ქვით იყო ნაშენი. სამარხში ჩონჩხი არ დადასტურებულა. აღმოჩნდა ყაჯისფრად გამომწვარი თიხის მომცრო სასმისი, თიხის ჭურჭლის (ორი ცალყურა სასმისი, ერთი ლამბაქი ბრტყელი, ვერტიკალურად გახვრეტილი შველილით) ნატეხები.

სამარხეული ჭურჭელი ფორმით და კეცით ადრინდ. ბრინჯაოს ხანის კერამიკის მსგავსია, თუმცა, აქვს განსხვავებული ნიშნებიც.

თ. დვალი.

ბიბლ.: 224.

137. ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ., არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით, 2,5 კმ-ზე, ტყეში. მდ. არეშის ერთერთი შენაკადი ღელის მარცხ. ნაპირზე, მისგან 30-40 მ-ის მანძილზე. განკუთვნება ადრინდ. შუა საუკუნეებს

ეკლ. დარბაზულია (8×4,8 მ). ნაგებია ნატეხი ქვითა და თიხის ხსნარით – უსაძირკვლოდ. დანგრეულია. კედლები შემორჩენილია 0,9 მ სიმაღლეზე.

ეკლესიას სამი შესასვლელი აქვს: ჩრდ-ით, დას-ით და სამხრ-ით. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია. აფსიდის შუაში, იატაკიდან 0,2 მ სიმაღლეზე, შემორჩენილია ნახევარწრიული შელრმავების (სიგ. – 0,8 მ) ქვედა ნაწილი.

ეკლესიას სამხრ. მხრიდან მინაშენი ჰქონია, რ-ისგანაც აღმ. კედელი და სამხრ. კედლის ნაწილია (სიმ. 0,3 მ) შემორჩენილი.



137. გეგმა

შენობა გადახურული ყოფილა ბრტყელი და ღარისებრი კრამიტით.

თ. დვალი.

ბიბლ.: 224.

138. ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲝᲕᲐᲜᲘ, არქიტ., არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის თავში, მდ. არეშის მარჯვ. ნაპირას, საკარმიდამო ნაკვეთებს შორის, „ბეჭას კაკლებად“ წოდებულ ადგილზე.

1973–1976 წწ. ძ. გათხარა საქართვ. სახელმწ. მუზეუმის არეშის არქეოლ. ექსპედიციამ (ხელმძღვ. ლ. ჭილაშვილი). ეკლესიას კონსერვაცია ჩაუტარდა 1980-იან წლებში.

ეკლ. სამნავიანი ბაზილიკაა. განკუთვნება ადრინდ. შუა საუკუნეებს. მოგვიანებით, მას სამხრიდან, დას-იდან და ჩრდ-იდან მიაშენეს გარშემოსაველელი (ეკლესიის საერთო სიგრძეა 27 მ, სიგ. – 21 მ). სამაროვანი თარიღდება X-XIV სს-ით.

ნაგებობა გეგმით აღმ.-დას-ის ხაზზე ოდნავ წაგრძელებული სწორკუთხედია (22,8×14 მ, კედლების სისქე 1,1 მ-ია). შენობა ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვით. შიგადაშიგ გამოყენებულია ფიქალიც. გარეთა კუთხეები გამოყვანილია მოზრდილი ზომის, უხეშად დამუშავებული ქვებით.

ძ. ძლიერაა დაზიანებული. იგი საგანგებოდ არის დამწვარი და დანგრეული (რაც ალბ. XIV ს-ის ბოლოს ან XV ს-ის დასაწყისში). შედარებით უკეთ არის გადარჩენილი მისი აღმ. მხარე. შემორჩენილი კედლების სიმ. დას-კენ თანდათან კლებულობს და ბოლოს წყობის ერთ რიგამდე დადის.

ბაზილიკას სამი შესასვლელი აქვს: სამხრ-ით, ჩრდ-ით და დას-ით. სამივე შესასვლელი (სიგ. 1,9 მ) შესაბამისი კედლის შუა ნაწილშია და გარედან 25-27 სმ სიმაღლის ბაქანი აქვს მიშენებული.

ბაზილიკის შიდა სივრცე, სამი წყვილი ოთხკუთხა ბაზისებიანი (1×1,5 მ, სიმ. 0,2 მ), მრგვალი სვეტით სამ ნავად იყო გაყოფილი. სვეტებიდან შემორჩენილია მხოლოდ ჩრდ. რიგის შუა სვეტი. იგი ნაგებია მომცრო ზომის, საგანგებოდ დამუშავებული რიყის ქვებისგან (ხშირ შემთხვევაში ქვებს კონუსური ფორმა აქვს მიცემული და დაწყობილი არიან ფუძით გარე პირისაკენ) და გალესილია კირის წმინდა ხსნარით. ბაზისები კი ნატეხი ქვითა და კირის დუღაბითაა გამოყვანილი და კირითვეა მთლიანად მოლესილი.

მთავარი ნავი, გვერდითებთან შედარებით, სამჯერ უფრო განიერია (სიგ. 5,1 მ). აღმ-ით იგი დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით (შემორჩენილია 5,8 მ სიმაღლეზე), რ-ის წინ მოკლე ბემაა. აფსიდის შუაში დგას გვიანდ. გეგმით ოთხკუთხა ტრაპეზი. საკურთხეველი ნათდებოდა ვიწრო, მაღალი სარკმლით, რ-იც საკურთხეველის იატაკიდან 2,3 მ სიმაღლეზეა.

საკურთხეველის გვერდებზე გეგმით სწორკუთხა თითო სათავსია, რ-ებსაც შესასვლელი დას-იდან, შესაბამისი ნავის მხრიდან აქვთ. ორივე სათავსის აღმ. კედელში მოწყობილია ვიწრო სარკმელი, საკურთხეველის მხარეს მდებარე კედელში კი, პატარა, სწორკუთხა ნიშა.

მოგვიანებით, გარშემოსავლელების მშენებლობის დროს, საკურთხეველის იატაკი, საგრძნობლად აუმაღლებიათ (0,9 მ-ით), წინ წამოუწევიათ (დაახლ. 1,5 მ-ით) და გაუგანიერებიათ თითქმის გვერდითი სათავსების კარებამდე. ამა-

ვე დროს, საკურთხევლის შვერილი ნაწილის კიდეების ხაზზე აუგიათ კანკელი, რ-იც გვერდებიდან ყრუ კედლებით იყო შემოფარგლული, ცენტრ. ნავის მხარეს კი გახსნილი იყო აგურით ნაგებ, ექვსს მრგვალ სვეტზე დაყრდნობილი (განაპირა სვეტები შერწყმულია კედელთან), ნახევარწრიული თაღებით. სვეტები დასრულებული ყოფილა აგურით ნაწყობი კაპიტელებით. კანკელი შელესილი ყოფილა კირის ხსნარით.

საკურთხეველზე ასასვლელად შუა თაღის არეში მოწყობილია სამსაფეხურიანი კიბე. საკურთხევლის იატაკში, საცდელი თხრილის გავლებისას, აღმოჩნდა ეკლესიის თავდაპირველი ტრაპეზი, რ-იც სარკმლის ქვემოთ, კედელზე იყო მიშენებული. გრძივ და დას. კედლებს, მთელ სიგრძეზე, გასდევს ქვით ამოშენებული და კირის ხსნარით შელესილი საფეხური (სიგ. 0,4 მ, სიმ. 0,28 მ).



138. გეგმა

გარშემოსავლელის სამხრ. და ჩრდ. ნაწილები აღმ-ით ღრმა, ნალისებრი ფორმის აფსიდებითაა დასრულებული. მათგან სამხრ. ნაწილის აფსიდის იატაკი შემაღლებულია და აფსიდიდან რამდენადმე (დაახლ. 0,7 მ-ით) წინაა წამოწეული. აფსიდის წინ, გარშემოსავლელის სამხრ. კედელზე მიშენებულია 0,7 მ-ის სიმაღლის ოთხკუთხა (1×0,7 მ) ემბაზი. გარშემოსავლელის სამხრ. კედელში მოწყობილი იყო ექვსი განიერი თაღი, რ-ებიც შვიდ სვეტს ეყრდნობოდა (განაპირა სვეტები შესაბამის კედლებთან შერწყმული). მათგან ორი (აღმ-დან მესამე და მეოთხე) გეგმით სწორკუთხაა, დანარჩენები – წრიული (დიამ. 1 მ).

გარშემოსავლელის დას. ნაწილის დას. კედელში მოწყობილი ყოფილა სამმაგი თაღოვანი შესასვლელი. თაღები დაყრდნობილი იყო ოთხ მრგვალ სვეტზე, რ-თაგანაც განაპირები, სამხრ. ნაწილის განაპირა სვეტების მსგავსად, შესაბამის კედელს ერწყმოდა. ერთი სვეტი მოქცეულია დას. კედლის სამხრ. ნაწილში. შესაძლოა, კედლის ამ ნაწილში თაღის მოწყობა სურდათ, რაც მინაშენის მშენებლობის დროსვეა უარყოფილი.

გარშემოსავლელის ჩრდ. ნაწილი, სამხრ და დას. ნაწილებთან შედარებით გაცილებით მეტადაა დანგრეული. შესასვლელი მას ჩრდ. კედლის შუაში აქვს, ბაზილიკის შესასვლელის მოპირდაპირედ.

გარშემოსავლელის სამივე ნაწილი გადახურული იყო კამარით, რ-იც ბაზილიკის შესაბამის კედლებზე მიშენებულ, სწორკუთ-



138. ეკლესია, ინტერიერი, ხედი აღმ-კენ

ხა პილასტრებს და მათზე გადაყვანილ თაღებს ეყრდნობოდა. თვით პილასტრების დასაყრდნობათ კი, ბაზილიკის კედლების გასწვრივ, მოწყობილია 1,5 *მ* სიგანის ბაქანი.

შენობა დახურული იყო ბრტყელი და ღარისებრი კრამიტით. გა-



138. ეკლესია, ინტერიერი, გარშემოსავლელის სამხრ. ფრთა, ხედი აღმ-კენ

თხრისას აღმოჩნდა რამდენიმე ბრტყელი კრამიტის ნატეხი, ერთი და იმავე ყალიბით გამოყვანილი ჯვრითა და ორსტრიქონიანი, მეტნაკლები სისრულის ქართ. წარწერით. წარწერის პირველი სტრიქონი ლიგის ქვეშ მოქცეული სამი ასოსგან შედგება, ხოლო მეორეზე, დაქარაგმებული და უკუღმა დაშტამპული ორი ასოა „შეიწყალე".

გარშემოსავლელის დას. კედლის ქვეშ ნაწილობრივ მოყოლილია ქვის ოთხი უინვენტარო სამარხი. ეკლ. ინტერიერში კი მრავალფეროვანი არქეოლ. მასალა აღმოჩნდა, რ-იც ნანგრევებში იყო არეული. მათ შორის საყურადღებოა წითელკეციანი ჭურჭლის კარგად დამუშავებული, ზოგჯერ გაპრიალებულზედაპირიანი ნატეხები (IV-VI სს.), ასევე, მისი თანადროული, ან ოდნავ მოგვიანო ხანის ტუჩიანი ლანგრის ფრაგმენტები. აღსანიშნავია მოჭიქული ჯამების ფრაგმენტები, რ-იც ქ. სამარიდანაა შემოტანილი და IX ს-ით თარიღდება. ერთფერად და მრავალფერად მოჭიქული, გეომეტრიული და მცენარეული ორნამენტით შემკული ჯამები; ფრინველებისა და ქალ-ჩიტების გამოსახულებიანი წითელი და შავი სადებავებით მოხატული, თხელკეციანი, ცალყურა სასმისები. ჯხვდებით ნაწილობრივ მოჭიქულ ჯამებს (XIII ს. მეორე ნახევარი და XIV ს.). გარდა კერამიკისა, აღმოჩნდა რკინის ლურსმნები, სატევრის პირი, ბოძალი, აბზინდა, კლიტის ფრაგმენტი. გარშემოსავლელის ჩრდ. ნაწილის აფსიდის იატაკზე – სპილენძის ჯვარი. ეკლესიის სამხრ-ით, სადაზვერვო თხრილში – გვიანდ. შუა საუკუნეების ბრტყელძირიანი, მოუჭიქავი ჯამები, რ-ებიც შეიძლება დაუკავშირდეს ბაზილიკის და საერთოდ, არეშის განადგურების შემდეგ, აქ დამკვიდრებულ მოსახლეობას.

ეკლესიის ორგვლივ ვრცელი ადგილი ჰქონდა დათმობილი ს ა მ ა რ ო ვ ა ნ ს, რ-ზეც გაითხარა ტერიტორიის მხოლოდ მცირე, ეკლესიის მიჯრით (სამხრ-ით) მდებარე, დაახლ. 100 *კვ მ* ფართობი. შესწავლილია 21 სამარხი (16 ქვაყუთი, სამი ორმოსამარხი და ორი ქვებშემოწყობილი ორმოსამარხი). ქვაყუთები შედგენილია ქვის ფილებით, ალაგ-ალაგ გამოყენებულია რიყის ქვაც. ზოგ შემთხვევაში ქვები, სასურველი ფორმის მისაღებად, საგანგებოდ არის გათლილი. ცამეტ სამარხში დადასტურდა თითო ჩონჩხი, დანარჩენი – კოლექტიური სამარხებია. სამარხეული ინვენტარი გამოვლინდა ათ სამარხში. ესენია: X-XIV სს-ის თიხის ჭურჭელი, სადა და მოჭიქული კერამ., სპილენძისა და ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭდები, სპილენძის საკიდები, ბურთულა ღილები, სხვადასხვა მინერალების მძივები, მინის სამაჯურები და მინისავე გაურკვეველი ფორმის ჭურჭლის ფრაგმენტები.

ეკლესიის ჩრდ.-დას-ით, ღელის პირას, ჩეიდმეტჰექტრიანებად წოდებულ ადგილზე, გაითხარა ორფენიანი ნ ა ს ა ხ ლ ა რ ი. ფენების სიმძლავრე 0,4 *მ*-ია. ფენები ერთმანეთისგან გამოყოფილი იყო მიწატკეპნილით. გათხრების დროს ზედა ფენაში გამოჩნდა მარნის ნაწილი ერთ ქვევრთან და ნასახლარის, ნაშთი, კედლების ფრაგმენტები, წნულის ანაბეჭდიანი ბათქაშის ნაწილები (ხშირად ცეცხლში გამომწვარი) და კრამიტის ფრაგმენტები. საფიქრებელია, რომ ნაგებობები ხის იყო, ჰქონდა თიხით შელესილი წნელის კედლები და კრამიტის სახურავი.

ნასახლარის ორივე დონეზე გამოვლინდა მოჭიქული და მოუჭიქავი, საოჯახო კერამიკის მრავალრიცხოვანი ნიმუშები. ფრინველისგამოსახულებიანი, გეომეტრიულ და მცენარეულორნამენტიანი, აგრეთვე, ნალვენთებიანი და ანგობით მოხატული. ქვედა ფენაში დადასტურდა უპირატესად IX-X საუკუნეებისთვის დამახასიათებელი ჭურჭელი. ზედა ფენა უფრო XII-XIV სს-ის მასალით არის წარმოდგენილი (ჭიქურის იმიტაციით შემკული ჭურჭელი და მინის სამაჯურის ნატეხები). ერთ-ერთ ჯამის ფსკერზე, ყავისფერ ფონზე ამოკაწრულია წრე, რ-ის შუაშიც ამოკაწრულია ასო „ქ".

ნასახლარზე ასევე დადასტურდა სამი ორმო, რ-ებიც, როგორც ჩანს, მარცვლეულის შესანახად იყო განკუთვნილი, მწყობრიდან გამოსვლის შემდეგ კი ნაგვით ამოავსეს. ორმოებში ჩაყრილი იყო სხვადასხვა ჭურჭლის ნაწილები, კრამიტის, მინის სამაჯურების, ასევე რკინის დანის ნატეხები. ორმოებში აღმოჩენილი ნივთებიდან განსაკუთრებით საინტერესოა ცხენის თანამედროვე ფორმის ნალი, მწვანედ მოჭიქული, ნიჟარისებრი ჭრაქი, ინკრუსტირებული მინის სამაჯურის ნატეხი და დიდი ზომის ქოთანი.

ეკლესიასთან ახლოს გადიოდა მდ. არეშიდან გამოყვანილი არხი, რ-იც აკვედუკების მეშვეობით ორ ღელეზე გადადიოდა. აკვედუკების ფრაგმენტები და არხის ცალკეული მონაკვეთები დაფიქსირდა მდინარისპირა ფლატეებზე და ღელეთა ნაპირებზე.

თ. დვალი.

ბიბლ.: 224; 226; 229; 335.

139. ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲝᲕᲐ-ᲑᲝ, არქიტ., არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის თავში, მდ. არეშის მარცხ. ნაპირას, მდინარიდან ოცოდე მ-ის მანძილზე, შემაღლებულ ადგილზე. ძ. ნანგრევებად იყო ქცეული და მთლიანად იყო დაფარული მიწითა და მცენარეულობით. გათხარა 1977-78 წწ. საქართვ. სახელმწ. მუზეუმის არეშის არქეოლ. ექსპედიციის მიერ (ხელმძღვ. ლ. ჭილაშვილი). გათხრების შედეგად მოპოვებული ნივთიერი მასალის საფუძველზე ლ. ჭილაშვილი მიიჩნევს, რომ IV ს-ში, აქ აუგიათ დარბაზული ეკლესია (10×6,8 მ), რ-იც V-VI სს-ის მიჯნაზე მტერს დაუნგრევია და მალევე (საგარაუდოდ, VI ს-ში) აღუდგენიათ. განახლების დროს, მისთვის სამი მხრიდან (სამხრ-იდან, დას-იდან და ჩრდ-იდან) მიუშენებიათ გარშემოსაველელი და სამეკლესიოან ბაზილიკად გადაუკეთებიათ. IX ს-ის შუა წლებში ეკლ. მტერს კვლავ დაუნგრევია, რის შემდეგაც იგი აღარ აღდგენილა. ნაგებობის ნანგრევები დროთა განმავლობაში მიწით დაიფარა და ამ ადგილს XI-XIII სს-ში სასაფლაოდ იყენებდნენ.

ეკლ. გეგმით კვადრატულია (12,5×12,5 მ). შენობის შემორჩენილი კედლები (მაქს. სიმ. 0,9 მ-ია) ნაგებია რიყის ქვითა და თიხის ხსნარით. გამოყენებულია ალიზიც. გარშემოსაველელის კედლები ეკლესიის კედლებს არ ებმის. ისინი თავდაპირველი ეკლესიის კრამიტის ნამტვრევებისა და ნამწვავის ფენაზე არიან დაშენებული და წყობის ხასიათითაც განსხვავდებიან.

მთავარ ეკლესიას სამი შესასვლელი აქვს: სამხრ-იდან, დას-იდან და ჩრდ-იდან. კედლებში დატანებული ყოფილა ღიობები (დას. კედლის კიდეებში, ჩრდ. კედლის შუა ნაწილში და სამხრ. კედელში – ორ ადგილას), რ-ებიც შემდგომში ნაწილობრივ ამოუშენებიათ და მათ ნაცვლად, თახნები მოუწყვიათ. აღმ-ით ორსაფეხურიანი მხრებით გამოყოფილი, ნალისებრი აფსიდია. აფსიდში, კედლიდან ოდნავ მოშორებით, შემორჩენილი იყო აგურით (23×23×4 *სმ*, 23×25×5 *სმ*, 25×27×6 *სმ*) ნაგები და სილის ხსნარით გალესილი ტრაპეზი (0,7×0,6 მ, სიმ. 0,4 მ). ეკლესიის გადაკეთების დროს, აფსიდის იატაკი აუმაღლებიათ (დაახ. 0,5 მ-ით) და ტრაპეზი მთლიანად მიწით დაუფარავთ. ამავე დროს აუგიათ კანკელი. მისი ფუძე თიხატკეპნილზე ორწყებად დალაგებული კვადრ. აგურებისგან შედგება, ფუძეზე დადგმულია აგურით ნაგები ოთხი მრგვალი (დიამ. 35 *სმ*) სვეტი, რთა შორის ბრტყელი კრამიტების სიგრძივი ნახევრებით ამოშენებულია კედელი. აფსიდში ასასვლელად, შუა სვეტებს შორის, მოწყობილია ორსაფეხურიანი კიბე. ეკლესიის იატაკი რიყის ქვის ფილებით იყო მოგებული.

საკურთხევლის ჩრდ-ით გეგმით სწორკუთხა სამკვეთლოა, რიც მთავარ ეკლესიას ამ უკანასკნელის ჩრდ. კედელში მოწყობილი კარით უკავშირდებოდა.

სამხრ. ეკლ. აღმ-ით დასრულებულია ნალისებრი აფსიდით. ეკლესიის სამხრ. კედელი სრულად არ არის შემორჩენილი (ნაზიანებულია გვიანდ. სამარხების მშენებლობისას), რის გამოც მისი თავდაპირველი გეგმარება არ ირკვევა.

ჩრდ. ეკლ. უაფსიდოა, აღმ-ით დასრულებულია სწორი კედლით, რ-შიც გაჭრილია სამკვეთლოსთან დამაკავშირებელი კარი.



139. გეგმა

შენობა გადახურული იყო ხის კონსტრუქციაზე დაწყობილი დარისებრი და ბრტყელი კრამიტით.

არქეოლ. გათხრების დროს გამოჩნდა შვიდი სამარხი და რამდენიმე სამარხის ნაშთი. მათგან ოთხი, რ-ებიც ეკლესიის ფარგლებს გარეთ იყო მოქცეული, ეკლესიის დანგრევის შემდგომ პერიოდს XI-XIII სს-ს განეკუთვნება, როდესაც ეს ადგილი სამაროვნად ქცეულა. დანარჩენი სამი სამარხიდან ორი – ეკლესიის

ფუნქციონირების (VI-IX სს.) დროისაა, ხოლო მესამე, რ-იც მთავარი ეკლესიის აფსიდში, იატაკის ქვეშ აღმოჩნდა, ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ეკლესიის აგებას და IV ს-ის I ნახევრით თარიღდება. იგი შედგენილი იყო ორი გრძივი და ორი განივი ქვიშაქვის ფილით. გადახურული იყო ექვსი ბრტყელი ქვით და აღმ. ბოლოთი აფსიდის კედლის ქვეშ იყო მოქცეული. სამარხში გამოვლინდა დაშლილი ჩონჩხი და რკინის ნივთების უფორმო ნატეხები.

გათხრების დროს, ბორცვის კორდონ ფენაში აღმოჩნდა, როგორც IX-X სს-ის, ისე XI-XIII სს-თვის დამახასიათებელი ნივთიერი მასალა: მოცისფრო და სოსანისფერი სალებავებით მოხატული და მოჭიქული ჯამების ნატეხები, რკინის ლურსმნები, სპილენძის რგოლი, რკინისა და მინის სამაჯურები და სხვ.

ეკლესიის სამხრ-ით, ათიოდე მ-ის მანძილზე, აღმოჩნდა კერამიკის გამოსაწვავი ჭურა – დიდი ლოდებით შემოფარგლული ოვალური მოხაზულობის არე, რ-იც სავსე იყო დამწვარი თიხითა და კრამიტის ნამტვრევებით. ჭურას ჰქონდა კრამიტის ნატეხებითა და თიხით გამოყვანილი ცხაური, რ-იც ჯერდნობოდა თიხით მოლესილ კედელსა და ჭურის შუაში მდგარ, ქვითა და თიხით ნაგებ ოვალურ სვეტს. სვეტის ძირი შედარებით განიერია, ხოლო ზემოთ თანდათან ვიწროვდება. სიმხურვალე ამოდიოდა ცხაურში მოწყობილი, მრგვალი ხვრელებიდან, რ-ებიც სვეტის ირგვლივ და ჭურის კედლის გასწვრივაა განაწილებული.

ეკლესიის დას-ით, მდინარის ფლატის პირას, აღმოჩნდა რიყის ქვებით მოკირწყლული გზის ნაშთი (სიგრ. 10 მ). გზა, როგორც ჩანს, თავის დროზე, მდინარის ნაპირს მისდევდა და ქალაქის ზედა უბნებს დანარჩენ ნაწილებთან აკავშირებდა.

თ. დვალი.

ბიბლ.: 224; 229; 335.

140. ეკლესია და სამაროვანი. არქიტ., არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის თავში, მდ. არეშის მარცხ. ნაპირზე, მდ. არეშისა და უსახელო ღელის შესართავთან.

ეკლ. დგას შემაღლებულ ადგილზე, რ-საც დას-იდან მდინარის ფლატე სახლვრავს, სამხრ-იდან და აღმ-იდან კი – ღელე. ადრე სოფლის ამ უბანში ლეკებს უცხოვრიათ და მას ენძება რქმევია, რის გამოც ადგილობრივი მოსახლეობიდან ზოგიერთი ეკლესიას ენძებას უწოდებს.

ეკლ. თარიღდება ადრინდ. შუა საუკუნეებით. სამაროვანი – XI-XIII სს-ით.

ძ. გაითხარა 1978 წ. საქართვ. სახელმწ. მუზეუმის არეშის არქეოლ. ექსპედიციის მიერ (ხელმძღვ. ლ. ჭილაშვილი).



140. გეგმა

ეკლ. სამეკლესიანი ბაზილიკაა. იგი სხვადასხვა პერიოდის ორ სამშენ. ფენას შეიცავს. შენობის სწორკუთხოვან გეგმაში (17,5×15,8 მ) ნაწერილია, ერთმანეთისგან კედლებით გამიჯნული, სამი სადგომი, რ-ებიც დამოუკიდებელ ეკლესიებს წარმოადგენენ. შუა ეკლ. გვერდით ეკლესიებთან შედარებით, უფრო განიერი და მაღალია. აღმ-ით იგი დასრულებულია საკურთხევლის აფსიდით. საკურთხევლის სამხრ-ით მოწყობილია გვგმით სწორკუთხა მცირე სათავსი – სადიაკვნე. [illegible] სამხრ. კედლის აღმ. ბოლოში გაჭრილი კარით უკავშირდება. მეორე შესასვლელი სათავსს დას-იდან, სამხრ-ის ეკლესიიდან აქვს.

ჩრდ. ეკლ. ერთიანია – დაუნაწევრებელი. აღმ-ით იგი დასრულებულია სწორი კედლით, რ-იც სამხრ. სათავსის აღმ. კედლის მსგავსად, შუა ეკლესიის აღმ. კედელს ებმის. შუა ეკლესიის ჩრდ. კედლის აღმ. ნაწილში, სადიაკვნეში შესასვლელის მოპირდაპირედ არსებული კარის მიხედვით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ უკანასკნელის მსგავსი სათავსი საკურთხევლის ჩრდ-ითაც იყო მოწყობილი, რ-იც სამკვეთლოდ გამოიყენებოდა. ამ სათავსში შესასვლელის გვერდით (დას-ით, დაახლ. 1,5 მ მანძილზე), შუა ეკლესიის ჩრდ. კედელში, კიდევ ერთი კარია (მოგვიანებით ამოუშენებიათ), რ-იც ჩრდ. ეკლესიაში გადის. გვერდითი ეკლესიები ერთმანეთთან დაკავშირებულია დერეფნით, რ-

 იც მათ შორის, შენობის დას. ნაწილშია მოწყობილი.

გათხრებისას ეკლესიის აღმ. კედლის მთელ სიგრძეზე, ასევე აღმ. სათავსების გარეპირის გასწვრივ, გამოჩნდა სამსაფეხურიანი ცოკოლი, რ-საც ეყრდნობოდა შესაბამისი კედლები. გვერდითი ეკლესიების კედლებს ცოკოლი არა აქვს და მათი საძირკველიც გაცილებით დაბალია, ვიდრე ცოკოლიან ნაწილში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლოა წარმოვიდგინოთ ეკლესიის თავდაპირველი აღნაგობა – სამსაფეხურიან ცოკოლზე მდგარი დარბაზული ეკლ., საკურთხევლის ორსავე მხარეს მდებარე სწორკუთხა სათავსებით. გვერდითი ეკლესიების და მათი დამაკავშირებელი დერეფნის მშენებლობა, ეკლესიის აგებიდან მოკლე ხანში ჩატარებულ გადაკეთებას უკავშირდება.

ეკლ. ნაგებია მოზრდილი ზომის, ერთმანეთზე კარგად მორგებული რიყის ქვითა და კირის ხსნარით. კამარების, მთავარი ეკლესიის პილასტრების და მთავარი ეკლესიიდან ჩრდ. ეკლესიაში გასასვლელი კარის თაღის წყობაში გამოყენებულია აგურიც.

ძ. ძლიერაა დაზიანებული. თითქმის მთლიანადაა დანგრეული სამხრ. ეკლ. და დას. გარშემოსავლელი. დანგრეულია ჩრდ. ეკლესიის დას. ნაწილი და შუა ეკლესიის სამხრ. კედელი.

საკურთხევლის აფსიდი გეგმით ნალისებრი ფორმისაა. აფსიდში გაჭრილია თითქმის პარალელურწირთხლებიანი სარკმელი. საკურთხეველი 0,85 მ-ით არის შემაღლებული. მასზე ასასვლელად მოწყობილია 1 მ სიგანის ოთხსაფეხურიანი კიბე. კიბის პირველი საფეხური შელესილია და წითლადაა შეღებილი. აფსიდს ირგვლივ შემოუყვება ერთსაფეხურიანი შემაღლება. სარკმლის ქვეშ, კედელზე, მიდგმულია ქვით ნაგები, მორკალული ფორმის ტრაპეზი (ტრაპეზის გაწმენდისას დუღაბში აღმოჩნდა ადრინდ. შუა საუკუნეების თიხის ლანგრის ფრაგმენტები). აფსიდის ჩრდ. ბოლოსთან შემორჩენილი იყო აგურის კანკელის ნაშთები (რვაკუთხა აგურის ნატეხები და ორი მთელი აგური).

ჩრდ. ეკლესიის აღმ. კედლის გასწვრივ საფეხურით შემაღლებული ბაქანია, რ-ის შუაში დგას ქვითა და აგურით ნაგები, კედელზე მიყრდნობილი, ოთხკუთხა ტრაპეზი, ხოლო სამხრ. კედლის აღმ. კიდეში, საკმაოდ განიერი (სიგ. 1,15 მ-ია), ღრმა ნალისებრთაღოვანი ნიშაა.

სამხრ. ეკლესიიდან სამხრ.-აღმ. სათავსში შესასვლელი კარის მარჯვნივ, კუთხეში, ნატეხი აგურებით ნაშენი ემბაზია, რ-იც შენობის ერთ-ერთი გადაკეთების დროინდელი უნდა იყოს.

ეკლესიას სამხრ-იდან ჰქონია ორ მრგვალ სვეტზე (დიამ. 0,8 მ) დაყრდნობილი, სამმალიანი თაღოვანი შესასვლელი. შემორჩენილია ორივე სვეტის ნაშთი, რ-ებიც ნაგებია ნატეხი ქვით და გალესილია კირის დუღაბის მტკიცე ხსნარით.

ჩრდ. ეკლესიის სამხრ. კედლის აღმ. ნაწილზე, მთავარ ეკლესიაში შესასვლელი კარის დას. წირთხლამდე, შემორჩენილია კამარის ნაშთი. დანარჩენი კედელი კი, ამ დონეზე, ვერტიკალურია, რაც გვავარაუდინებს, რომ ეკლესიის დას. ნაწილში კამარა კედელზე მიშენებულ პილასტრებს და მათზე გადაყვანილ თაღებს ეყრდნობოდა. ისევე, როგორც სამხრ. ეკლესიისა და დას. გარშემოსავლელის კამარები. ორივეში ოთხ-ოთხი პილასტრია შემორჩენილი.

ეკლესიის მწყობრიდან გამოსვლის შემდეგ, მის სამხრ.-აღმ. კუთხესთან, აუგიათ პატარა (8,4×5,6 მ), ნახევარწრიულაფსიდიანი სამლოცველო, რ-ის ჩრდ. კედელი დაშენებულია სადიაკვნის სამხრ. კედლის ნაშთზე. სამლოცველოს თავდაპირველად სამი შესასვლელი ჰქონია: სამხრ-იდან, დას-იდან და ჩრდ-იდან. მოგვიანებით, ჩრდ-ის და დას-ის კარები ამოუქოლავთ.

ეკლესიის ეზო შემოზღუდული იყო დიდი ზომის რიყის ქვებითა და ნატეხი ქვის მშრალი წყობით ნაგები გალავნით, რ-იც, სავარაუდოდ, IX-X სს-ით თარიღდება. გალავანი ეკლესიის სამხრ.-დას. კუთხესთან იწყება, მიემართება სამხრ-ით და ხევის ღელის პირამდე. აქედან იგი სწორი კუთხით უხვევს აღმ-ისკენ და ღელეს გაუყვება. დაახლ. ოცი მ-ის შემდეგ უხვევს ჩრდ-ისკენ და მრუდი ხაზით მიემართება ეკლესიის ჩრდ.-აღმ. კუთხისკენ.

ეკლესიის ეზოში გავლებულ სადაზვერვო თხრილში აღმოჩნდა ოთხი, რკინის განსხვავებული ფორმის (ოთხკუთხა, რომბისებრი, ორკაპა, ფოთლისებრი) ისრისპირი, რაც არ გამორიცხავს არც ქრონოლოგიურ სხვაობას და არც განსხვავებულ მეპატრონეს და თავისთავად მიგვანიშნებს ძეგლის ტრაგიკულ ისტორიაზე. ეზოშივე, ეკლესიის სამხრ. კედლიდან ვიდრე ღელის პირამდე, გაითხარა სამაროვანი (18 სამარხი და ათამდე დარღვეული სამარხი) (34×10 მ). სავარაუდოა, რომ სამაროვანი ვრცელდებოდა ეკლესიის აღმ. და ჩრდ. მხარესაც. სამარხები ორ ფენად იყო განლაგებული. მათი ნაწილის სახურავები მიწის ზედაპირიდან 0,3-0,4 მ სიღრმეზე მდებარეობდა. სამარხთა დიდი ნაწილი ქვაყუთებია, რ-ებიც ოთხივე მხრიდან შემოსაზღვრულია შედარებით სწორი ფილებით და გადახურული იყო მსგავსივე ოთხი-ხუთი ფილაქვით. სამარხთა ნაწილი გარშემოწყობილი იყო მოზრდილი, ბრტყელი, რიყის ქვებით და გადახურული იყო რიყის ქვებითვე. ორი სამარხი უხეშად დამუშავებული ნატეხი ქვების რამდენიმე რიგით იყო ამოშენებული. ორ შემთხვევაში დადასტურდა ორმოსამარხები, ასევე ნაჩქარევად დაფლული მიცვალებულები. სამარხთა დიდი ნაწილი ინდივიდუალურია, ნაწილში კი, წყვილად დაკრძალვაა დაფიქსირებული. ზოგი ხელმეორედაა გამოყენებული და შესაძლოა, მრავალგზისაც. ყველა სამარხი დამხრობილია დას.-აღმ-ისკენ. ჩონჩხების პოზა (სადაც დადგენა მოხერხდა) ქრისტიანულია – ზურგზე გაშოტილი, თავით დას-ისაკენ, ხე-

ლები დაწყობილი აქვთ მკერდზე ან მუცლის არეში, ზოგჯერ – ტანის გასწვრივ. სამარხთა უმეტესობა უინვენტაროა. ინვენტარში ჭარბობს მინის სამაჯურები: ცისფერი, შავი, ღეინისფერი, სადაღეროიანი, გრეხილღეროიანი, ბრტყელი, დიდი და მცირე ზომის; თხელკედლიანი მინის ჭურჭლის ფრაგმენტები, მინის და ფაიანსის, სარდიონის და სხვა მინერალების მძივები. აღმოჩნდა, ასევე, სპილენძის ბეჭდები, აბზინდა, სამაჯური; რკინის დანა და სხვ. თიხის ნაწარმიდან დადასტურდა მოჭიქული ჯამების ფრაგმენტები, ჩამოღვენთილი ჭიქურით შემკული ფირუზისფერი და ოხანისფერი ხალებით, რ-თა თარიღი IX-XI სს-ით შეიძლება განისაზღვროს. ასევე XI-XII სს-ისათვის დამახასიათებელი, ამოკაწრული ორნამენტით მორთული და ერთფერად მოჭიქული ჯამები.

თ. დეკალი.

ბიბლ.: 224; 229; 335.

141. მთისძირის ბანძი, არქეოლ. ძ. აღმოჩნდა 1962 წ. მიწის ხვნის დროს, სოფლის ცენტრალურ ნაწილში. 1988 წ. ამ ადგილზეც მიწის დამუშავების დროს, წააწყდნენ აღმოჩენილი განძის დარჩენილ ნაწილს. დღეისათვის განძის შემადგენლობაშია 697 ვერცხლის მონეტა: სასანური დრაქმები, ომაიანი და აბასიანი ხალიფების სახელით მოჭრილი მონეტები. მონეტების მოჭრის ადგილებია: მადინათ ას-სალამი, მუჰამადია, ბასრა, ვასიტი, ბალხი, ქუფა, დამასკო, ქირმანი, სამარყანდი და სხვა. ყველაზე ძვ. მონეტებია სასანური დრაქმები. ყველაზე ბოლოს მოჭრილთაგან კი ჰარუნ-არ-რაშიდის (786-809 წწ.) და ამინის (809-813-814 წწ.) სახელებით მოჭრილი მონეტები.

განძი ჩაფლული უნდა იყოს IX ს. I მეოთხედში. დაცულია საქართვ. ეროვნულ მუზეუმში.

ი. ჯალადანია.

ბიბლ.: 224; 246; 247.

142. საყდრისწურის ეკლესია, არქიტ., არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლიდან სამხრ.-აღმ-ით, 1 კმ-ზე, ტყეში, ორ უსახელო ღელეს შორის, სწორ ადგილზე. რ-საც ირგვლივ ხელოვნური თხრილი შემოუყვება. ნანგრევების სახით შეტებითი ოთახებია – სამკვეთლო და სადიაკვნე. შენობის დას. ნაწილში, გვერდით ეკლესიებს შორის, მოწყობილია დერეფანი, რიც მათ ერთმანეთთან აკავშირებს.

ეკლ. დროთა განმავლობაში რამდენჯერმე გადაუკეთებიათ,



142. გეგმა

მორჩენილი ეკლ. ხშირი ბუჩქნარით და მრავალწლიანი ხეებით იყო დაფარული.

1976-77 წწ. ძ. გათხარა საქართვ. სახელმწ. მუზეუმის არეშის არქეოლ. ექსპედიციამ (ხელმძღვ. ლ. ჭილაშვილი), ხოლო 1981-84 წწ. მას სარესტ.-საკონსერვაციო სამუშაოები ჩაუტარდა სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნოს მიერ, რის შედეგადაც ნაგებობამ მიიღო დასრულებული სახე.

ძ. სამეკლესიანი ბაზილიკაა. თარიღდება VI ს-ით. შენობა აგებულია სხვადასხვა ზომის რიყის ქვითა და ნატეხი ქვით. წყობა ირეგულარულია. კედლის გული შედგენილია მცირე ზომის ქვებით, ღორღით და კირის ხსნარით. შესასვლელების შემორჩენილი თაღები გამოყვანილია ნატეხი ქვითა და თხელი რიყის ქვებით.

შენობის გეგმის სწორკუთხედში (18,6×14,9 მ) მოქცეულია სამი სადგომი, რ-ებიც დამოუკიდებელ ეკლესიებს წარმოადგენენ. საკურთხევლის გვერდებზე დამარამაც მას ნაწილობრივ შეუცვალა თავდაპირველი სახე.

მთავარ ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს: სამხრ-იდან (შემორჩენილი იყო წირთხლების მცირე ნაწილი) და დას-იდან. დას. კარი გარედან თარაზულად ყოფილა გადახურული, ხოლო შიგნიდან კეერცხისებრი ფორმის თაღი ხურავს.

მთავარი ეკლ. აღმ-ით დასრულებულია ნალისებრი აფსიდით, რ-იც გრძივი კედლებიდან ორსაფეხურიანი მხრებითაა გამოყოფილი. აფსიდს, მღვდელმსახურთა დასჯდომად, მთელ სიგრძეზე შემოუყვება საფეხური, რ-იც მოგვიანებით, საკურთხევლის იატაკის ამაღლების და კანკელის მოწყობის დროს, მიწით დაუფარავთ. კანკელიდან შემორჩენილი იყო კვადრ. აგურით (25×25×6 სმ, 25×25×7 სმ, 24,5×24,5×5,5 სმ) ნაგები ცოკოლის ნაშთი და აგურისავე ნახვრეტებიანი ფრაგმენტები. საკურთხეველში ასასვლელად, აღ-

სავლის კარის წინ, მოწყობილია ოთხსაფეხურიანი კიბე.

მთავარი ეკლესიის გრძივი კედლები (შემორჩენილი იყო 1,8 მ სიმაღლეზე) დანაწევრებულია ორ-ორი ორსაფეხურიანი პილასტრით, რ-ებსაც კამარის საბჯენი თაღები ეყრდნობოდა. თითო პილასტრი დარბაზის დას. კუთხეებშიცაა. მათზე დას. კედლის მიმდებარე საბჯენი თაღი იყო გადაყვანილი. გრძივი კედლების აღმ. ბოლოში, ერთმანეთის პირდაპირ, თითო კარია, რ-ებიც საკურთხევლის გვერდით მდებარე სათავსებში გადის. ორივე გეგმით სწორკუთხაა და დას. კედელში მოწყობილი აქვს კარი (სამხრ. სათავსისა ამოშენებულია), რ-ითაც შესაბამის ეკლესიას უკავშირდება. მოგვიანებით ჩრდ. სათავსის აღმ. ბოლოში აუშენებიათ ორსაფეხურიანი მხრებით გამოყოფილი აფსიდი, რ-ის კედელზე მიდგმულია კუბური ტრაპეზი.

ჩრდ. ეკლესიის ჩრდ. კედელში მოწყობილია კვადრ. სვეტზე დაყრდნობილი, ორმალიანი, თაღოვანი შესასვლელი, რ-იც შენობის ერთ-ერთი გადაკეთების დროს ამოუშენებიათ. გარდა ამისა, შესასვლელთან ახლოს (აღმ-ით) აუგიათ ტიხარი და ეკლესიის აღმ. ნაწილში პატარა სათავსი მოუწყვიათ. მასში მოხვედრა მხოლოდ შუა ეკლესიიდან (ჩრდ. სათავსის გავლით) იყო შესაძლებელი.

სამხრ. ეკლესიიდან სამხრ. კედლის დას. ნაწილი და დას. კედელია (სიმ. 0,8 მ) შემორჩენილი. შესასვლელი მას სამხრ. კედლის შუა ნაწილში ჰქონია (სიგ. 1,4 მ).

ეკლესიის იატაკი მოლესილია კირისხსნარით, რ-იც მოგვიანებით, სამარხებისთვის ჩაუჭრიათ და აღარ აღუდგენიათ.

ნალესობის შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით ირკვევა, რომ ეკლ. მ ო ხ ა ტ უ ლ ი ყოფილა. ფრაგმენტები არაერთგვაროვანია. ერთ შემთხვევაში ნახატი შესრულებულია გაჯის ნალესობაზე, სხვაგან – კირის ხსნარზე.

ეკლ. დაბურული ყოფილა ღარისებრი და ბრტყელი კრამიტით. ბრტყელი კრამიტის შემორჩენილი ნაწილები შემკულია რელიეფური ჯვრებით, ღარისებრის კი, მარტივი ხაზოვანი და რომბისებრი სახეებით.

ეკლესიის დას. ფასადის ჩრდ. კიდეზე მიდგმულია გეგმით თითქმის კვადრ. (3,5×3,2 მ), ნახევარწრიულაფსიდიანი ს ა მ ლ ო ც ვ ე ლ ო, რ-ისგანაც გეგმის კონტურიღაა დარჩენილი.

ეკლესიის თხრისას, ინტერიერში გაიწმინდა სამი სამარხი. მათგან ერთი ჩრდ.-აღმ. სათავსში, მეორე ჩრდ. ეკლესიაში – შესასვლელის წინ, ხოლო მესამე დასავლეთიდან მიშენებულ სამლოცველოში.

სამკვეთლოში მდებარე სამარხს თითქმის მთელი სათავსი უკავია. იგი ქვის ბრტყელი ფილებით იყო შედგენილი და ზემოდანაც რამდენიმე ბრტყელი ქვა ეხურა. სამარხი რამდენჯერმე (მინიმუმ სამჯერ მაინც) გამოყენებული, რამაც მიცვალებულთა ძვლების არევა გამოიწვია. სამარხის წმენდისას აღმოჩნდა მოჭიქული ჭურჭლის ნატეხები და მოოქრული ვერცხლის მედალიონი ცხენზე ამხედრებული წმ. გიორგის რელიეფური გამოსახულებით.

ჩრდ. ეკლესიაში არსებული სამარხიც ქვის ფილებითაა შედგენილი და ქვისავე ფილებით იყო გადახურული. მასში სამარხეული ინვენტარი არ დადასტურებულა.

მესამე სამარხი რიყის ქვით იყო შემოწყობილი, ზემოდან არაფერი არ ეფარა. მასში, სავარაუდოდ, სამი მიცვალებული იყო დაკრძალული. სამარხში აღმოჩნდა ვერცხლის ორი ფარაკიანი ბეჭედი. მათგან ერთზე ვარდულითა და სიმეტრიულად განლაგებული სამ-სამი წერტილით ჯვარია გამოყვანილი, მეორეზე – გამოსახულია რომბი – წვეროებში პატარა წრეებით.



142. ინტერიერი, მთავარი ეკლესია, ხედი დას-კენ

სამარხები, სავარაუდოდ, ეკლესიის ფუნქციონირების დროს, XI-XIII სს-ში უნდა იყოს მოწყობილი.

ეკლესიის გათხრისას აღმოჩნდა თიხის ჭრაქი, რ-იც VI ს-ით თარიღდება.

გათხრებისას მოპოვებულ ნივთიერ მასალაზე დაყრდნობით, ეკლესიამ ფუნქციონირება, როგორც ჩანს, მტრის ხელით, XIV ს-ის ბოლოს ან XV ს-ის დასაწყისში შეწყვიტა.

ეკლესიის ირგვლივ შემორჩენილია სხვადასხვა ნაგებობის ნაშთები.

ეკლესიის ჩრდ.-დას-ით, ათიოდე მ-ის მანძილზე გაითხარა მოზრდილი ზომის ქვებითა და კირის ხსნარით ნაგები, დას.-აღმ-ის ხაზზე დამხრობილი ოთხკუთხა (4,4×3,4 მ) ნაგებობის ნანგრევები. ნაგებობის შიგნით, ჩრდ. კედელზე მიდგმული იყო მიწით ამოვსებული ქვაყუთი.

ეკლესიის სამხრ.-დას-ით, დაახლ. 50 მ მანძილზე, აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი VII-VIII სს-ის ქურა (სიგრ. 3 მ), რ-ისგანაც შემორჩენილი იყო საცეცხლე და ჭურჭლის გამოსაწვავი განყოფილებების ნაწილები. დადასტურდა თიხის ძლიერ დამწვარი, თითქმის კვადრ. ფორმის, კუთხეებმომრგვალებული, ბრტყელი აგურები, რ-ებიც ჭურჭლის გამოსაწვავი განყოფილების კამაროვანი გადახურვის ნაწილს შეადგენდნენ. აგურების ზედაპირს ორ-ორი დიაგონალური, ამოღარული ზოლი მიუყვება. საცეცხლე განყობა თიხნარ ნიადაგში იყო ამოჭრილი. ამ ნაწილში დადასტურდა ნაცრის სქელი ფენა. ჭურჭლის გამოსაწვავ ნაწილში აღმოჩნდა სქელკედლიანი თიხის ჭურჭლის მრავალი ფრაგმენტი, მათ შორის საშ. ზომის ქვევრების ძირები. შესაძლოა, ქურა ქვევრების გამოსაწვავი იყო.

თ. დვალი.

ბიბლ.: 224; 229.

ნეკრესი
(ნაქალაქარი)

143. ნეკრესი, ნ ე ლ ქ ა რ ი, ნ ე ლ ქ ა რ ი ს ი, ისტ. ქალაქი. ისტ., არქეოლ., არქიტ. ძ. მდებარეობს ქ. ყვარლის დას-ით, 8 *კმ*-ზე, ყვარელ-თელავის საავტ. გზის მარჯვ. მხარეს, 3,5 *კმ*-ზე, კავკასიონის მთებისა და ალაზნის ველის შესაყარზე. ნაქალაქარი გაშენებული იყო მთის ორ განშტოებას შორის მოქცეულ ვაკეზე და ნაწილობრივ ერთ-ერთი კონცხის ფერდობზე, რ-საც ადგილ. მოსახლეობა ნაზვრევ გორას უწოდებს.

ნეკრესის ტერიტორიაზე, სანამ აქ ქალაქი გაშენდებოდა, ადამიანის ცხოვრების კვალი ძვ. წ. მესამე ათასწლეულიდან არის საგულვებელი. ამ ვარაუდს საფუძველი შეუქმნა 1960-იან წლებში შემთხვევით აღმოჩენილმა სამარხეულმა კომპლექსმა, რ-შიც დადასტურდა ადრინდ. ბრინჯაოს ხანის კერამიკის ნიმუშები.

ლეონტი მროველის მიხედვით, ქ. ნეკრესის მშენებლობას ჯერ კიდევ ძვ. წ. II ს. I ნახ-ში საფუძველი ჩაუყარა (ან უკვე არსებული დასახლება დიდი სამუშაოების ჩატარებით ქალაქად აქცია) მეფე ფარნაჯომმა, რ-მაც „იწყო შენებად კახეთს ქალაქსა ნელქარისსა, რომელ არს ნეკრესი“. მეფე მირვანის ძე არშაკმა, რ-იც „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით მეცხრე მეფე იყო (ძვ. წ. I ს-ის დასასრული), „განაშუენა ნელქარ, ქალაქი კახეთისა, რომელ არს ნეკრესი“. ქ. ნეკრესის გამაგრება მომდევნო ხანებშიც გრძელდებოდა. ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის მირიანის მეფობის დასაწყისში, როდესაც მირიანი ჯერ მცირეწლოვანი იყო და ქვეყანას მისი მამამძუძე (აღმზრდელი) მირვანოზი განაგებდა, „ამან მირვანოზ ჰმატა ყოველთა სიმაგრეთა ქართლისათა და უმეტეს ყოველთასა მოამტკიცნა ზღუდენი ნეკრესისა ქალაქისანი“. „ქართლის ცხოვრების“ ამ ცნობიდან ჩანს ნეკრესის, როგორც ციხე-სიმაგრის, განსაკუთრებული მნიშვნელობა. ლ. ჭილაშვილის აზრით, ქალაქი სამხრ-იდან დაცული ყოფილა ქვის მსხვილი კვადრების მშრალი წყობით ნაშენი კედლით (სიგრ. დაახლ. 150 *მ* სიგ. – 1,8 *მ*), რ-იც ე. წ. ნაზვრევი გორის წვერამდე აუყვებოდა კლდოვანი კონცხის თხემს.

უკვე ადრინდ. ქრისტიანულ ხანაში, ახლადგაქრისტიანებულ იბერიის სამეფოში, მირიან მეფის შვილიშვილი, მეფე თრდატი, რ-იც „სარწმუნოებასა შინა დიდსა“ იმყოფებოდა, ნეკრესში აშენებს ეკლესიას.

V ს-ში ვახტანგ გორგასალმა ქ. ნეკრესი, ჭერემთან და ხორნაბუჯთან ერთად, საუფლისწულოდ მისცა სამი ძეთაგან პირმშოს, პირველი ცოლისგან შეძენილ დაჩის.

მდებარეობისა და მთასთან ურთიერთკავშირის გამო, ნეკრესს იმთავითვე მიეცა დიდი მნიშვნელობა. აქედან ვრცელდებოდა ქართლის პოლიტ. და კულტ. გავლენა აღმ. კავკასიის მთიანეთზე.

ნეკრესის, როგორც ქალაქის, ისტორიის შესახებ ცოტა ცნობები შემოგვრჩა. ვახუშტი ბაგრატიონის ვარაუდით, ნეკრესში ცხოვრება თემურ ლენგის შემოსევებამდე გრძელდებოდა. მას შემდეგ კი აქ მხოლოდ სამონასტრო კომპლექსი და ნეკრესის საეპისკოპოსო დარჩა. „და არს აწცა საეპისკოპოზო, და ზის ეპისკოპოზი, არამედ არღარა არს ქალაქი“, – წერს ვახუშტი ბაგრატიონი.

VI ს-ის II ნახევარში ნეკრესში დამკვიდრდა და საეპისკოპოსოს განაგებდა ერთ-ერთი იმ ასურელ მამათაგანი, რ-თაც თავიანთი აღმშენებლობითი და სასწაულმოქმედი მოღვაწეობით „განაკვირნეს ყოველნი ქართველნი“. აბიბოსი (შემდგომში ნეკრესელად წოდებული).

აბიბოს ნეკრესელის მიერ ეპარქიის მართვა მძიმე ხანას დაემთხვა. ეს ის დროა, როცა ქართლში გაძლიერებული სპარსელები აქტიურად ნერგავდნენ ირანის ოფიციალურ რელიგიას – ზოროასტრიზმს. ამას წინ აღუდგა მღვდელმთავარი. მან მოსპო ნეკრესის ტაძრის მახლობლად სპარსთა საგზებელი – წყლით ჩააქრო რიტუალური ცეცხლი, რის გამოც სპარსელებმა შეიპყრეს და მარზაპანის ბრძანებით „ზენა სოფლად, რომელსა ჰქვიან რეხი“ ქვებით ჩაქოლეს. წმ. აბიბოსის ნაწილები ადგილობრივმა მამებმა სამთავისის ტაძარში დაკრძალეს, ხოლო ქართლის ერისმთავრის სტეფანოზის დროს, კათალიკოს თაბორის (629-634) თაოსნობით, წმ. მღვდელმოწამის ნაწილები სამთავისიდან მცხეთის სამთავროს ტაძარში გადმოასვენეს.

აბიბოს ნეკრესელის შეუპოვრობამ და სარწმუნოებისთვის თავგანწირვამ დიდი როლი ითამაშა ეპარქიის გაძლიერებისა და გაზრდის საქმეში.

საქართველოს წმ. სამოციქულო ეკლესიამ წმ. მღვდელმოწამე აბიბოს ნეკრესელის ხსენების დღედ დააწესა 12 დეკემბერი.

თავისი არსებობის მანძილზე ნეკრესის ეპარქია მნიშვნელოვან როლს ასრულებდა კახეთის ისტ. ცხოვრებაში. XVI ს. II ნახევრიდან ოთხი სადროშოდან მეორე სადროშოს წინამძღოლად ნეკრესელი მღვდელმთავარი ითვლებოდა. ნეკრესის საეპისკოპოსო კი კახეთის სამეფოს მემარჯვენე საპასპეტოს წარმოადგენდა. ქართ. სამართლის დოკუმენტებში შემორჩენილი ცნობით XVIII ს-ში ნეკრესის ეპისკოპოსს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა და მისი კურთხევა განსაკუთრებული პატივით წარმოებდა. კერძოდ, თეიმურაზ II-ს ნეკრესელის თხოვნა დაუკმაყოფილებია და მისთვის ბისონით კურთხევის უფლება უწყალობებია. ეს მომხდარა „კახეთის ეპისკოპოსებს შორის ყველაზე განდიდებულის“ ალაქურდელის თანხმობით.

XVII ს. დასაწყისიდან შაჰ აბას I-მა კახეთს ნეკრესის სამღვდელმთავრო ტერიტორიის ნაწილი – კაკუნისელი ჩამოაშორა და აქ მუსლიმანური სასულთნო შექმნა.

XVIII ს. I მეოთხედიდან გაღმა მხრის მომძლავრებულმა ლეკებმა აქ საბოლოო გაბატონება მოინდომეს. ქრისტიანი მოსახლეობის აყრისა და განადგურების შემდეგ, ეს მხარე (საინგილო და მისი მიმდებარე ტერიტორიები) დროებით ჩამოსცილდა კახეთს. ქართ. ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებასთან (1801) ერთად ნეკრესის საეპისკოპოსოც გაუქმდა. მისი აღდგენა მხოლოდ 1995 წ. მოხდა. 1997 წლიდან ეპარქიას მართავს მიტროპოლიტი სერგი (ჭეკურიშვილი).

2000 წელს განახლდა და აღდგა ნეკრესის მამათა მონასტერი. 2002 წელს საქართველოს წმ. სინოდის განჩინებით ნეკრესის ეპარქიას ნეკრესის და ჰერეთის ეპარქია ეწოდა. ეპარქიის კათედრა და რეზიდენცია მდებარეობს ქ. ყვარელში.

1984 წელს საქართვ. სახელმწ. მუზეუმის არქეოლ. ექსპედიციის მიერ (ხელმძღ. ლ. ჭილაშვილი, 2004 წ-დან – ნ. ბახტაძე) დაიწყო და დღემდე გრძელდება ნაქალაქარის არქეოლ. შესწავლა.

გ. აფრასიძე, თ. დვალი, კ. კახაძე

ბიბლ.: 22; 64; 142; 199ა; 229; 230; 231.

144. ეკლესია, არქიტ., არქეოლ. ძ. მდებარეობს ნაქალაქარის ცენტრში, ჭაბუკაურად წოდებულ ადგილზე.



144. გეგმა

ეკლ. სამნავიანი ბაზილიკაა. განკუთვნება ადრინდ. შუა საუკუნეებს. ძეგლზე არქეოლ. გათხრები მიმდინარეობდა 1998 წ-დან 2010 წ-მდე (ხელმძღ. ლ. ჭილაშვილი, 2004 წ-დან – ნ. ბახტაძე). ლ. ჭილაშვილი ბაზილიკას მეფე თრდატის მიერ აგებულ ეკლესიად მიიჩნევს და IV ს-ის 70-80-იანი წწ-ით ათარიღებს. ამ მოსაზრებას დამატებითი მონაცემებით ამაგრებს ნ. ბახტაძეც. ძეგლის არქეოლ. გამოკვლევამ ცხადყო, რომ ბაზილიკა აგებული იყო ასევე მოზრდილი ხომის წარმარ-



144. ხედი დას-დან

თული ტაძრის ადგილზე, რ-ის საძირკვლის ნაწილი ახ. ნაგებობის მშენებლობისას გამოუყენებიათ.

შენობის შემორჩენილი ნაწილები ნაგებია სხვადასხვა ზომის, ნატეხი ქვითა და კირის ხსნარით. კედლები შიგნიდან შელესილი ყოფილა.



144. ბაზილიკის დას-ით მდგარი დარბაზული ეკლესიის ნაშთი. ხედი აღმ-იდან

ეკლესიის გეგმის გარეგან სწორკუთხედში (38,8×15,4 მ) ნაწერილია სამი ნავი, რ-ებიც ერთმანეთისგან ოთხკუთხა სვეტების ხუთი წყვილითაა გამოყნული. შუა ნავი, გვერდით ნავებთან შედარებით, თითქმის ორნახევარჯერ უფრო განიერია და აღმ-ით დასრულებულია ღრმა, გეგმით სწორკუთხა საკურთხეველით. საკურთხეველის გვერდებზე განცალკევებული, სწორკუთხა სათავსები – სამკვეთლო და სადიაკვნე. თითოეული მათგანი დას. კედელში მოწყობილი კარით უკავშირდება შესაბამის ნავს. ეკლესიას სამი შესასვლელი აქვს: დას-იდან, სამხრ-იდან და ჩრდ-იდან.

არქეოლ. გათხრების შედეგად გაირკვა, რომ ბაზილიკა მიწისძვრის შედეგად დანგრეულა. მომდევნო ხანებში, დანგრეული ეკლესიის ჩრდ. კედლის აღმ. ნახევარზე, მიუშენებიათ გაცილებით მცირე ზომის (დაახლ. 22,3×11 მ), გეგმით სწორკუთხა ეკლ., რ-ის სამხრ. კედლად ბაზილიკის ჩრდ. კედელი გამოუყენებიათ, ხოლო ახ. ეკლესიის აღმ. კედელი, ბაზილიკის აღმ. კედლის ხაზიდან რამდენადმე (დაახ. 2,5 მ-ით) წინ წაუწევიათ. გარდა ამისა, ბაზილიკის



144. ბაზილიკის გათხრებისას აღმოჩენილი ზეთის ლამპარი, ბრინჯაო, IV ს.

შუა და ჩრდ. ნავების დამაკავშირებელი თაღებიდან ორი (აღმ-იდან პირველი და მეორე) ამოუშენებიათ. აღმ-იდან მეორე სვეტსა და ჩრდ. კედელს შორის კი კედელი ნაუშენებიათ და ბაზილიკის ჩრდ. ნავის აღმ. ნახევარი, სამკვეთლოსთან ერთად, ახ. ეკლესიისათვის მიუერთებიათ.

ახ. ეკლ. შეიცავს მოგრძო, აღმ-ით ნალისებრი აფსიდით დასრულებულ დარბაზს (შიდა ზომები: სიგრ. – 17 მ, სიგ. – 5 მ), დას. კარიბჭეს და ვიწრო ნავს. ეს უკანასკნელი დარბაზს და დას. კარიბჭეს ჩრდ-იდან ეკვრის და მათ თითო კარით უკავშირდება. ჩრდ. ნავის აღმ. ნაწილში გამოყოფილია ნახევარწრიული აფსიდით დასრულებული სათავსი, რ-იც დაკავშირებულია, როგორც შესაბამის ნავთან, ისე დარბაზთანაც.



144. ბაზილიკის გათხრებისას აღმოჩენილი მინის სანელსაცხებლე ჭურჭელი, IV-V სს.

ახალ ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს: ჩრდ. ნავის ჩრდ. კედლის შუაში და კარიბჭის დას. კედელში. ეკლესიის საკურთხეველი დარბაზის იატაკის მიმართ ოდნავ შემაღლებულია. საკურთხევლის აფსიდს ორგვლივ შემოუყვება განიერი საფეხური, რ-ის შუაში მოწყობილია ქვის ტახტი.

ეკლესიის დას-ით, ორიოდე მ-ზე, შემორჩენილია მცირე ზომის დარბაზული ეკლესიის ნაშთი, რ-იც აღმ-ით ნახევარწრიული, შეკრილი აფსიდითაა დასრულებული (გარეთა ზომები: სიგრ. – 10,2 მ, სიგ. 6,1 – მ).



144. ფასადის შესამკობი თიხის ფილა

არქეოლ. გათხრების შედეგად ტაძრის საძირკვლის დონეზე აღმოჩნდა შავად და ლეგად გამომწვარი, ნაპრიალები თიხის ჭურჭლისა და კრამიტის ფრაგმენტები, საბჭენი თაღების შირიმის ქვაში გამოთლილი ქვების სხვადასხვა ზომის ნაწილები, რკინის ლურსმები (300-ზე მეტი), ხის ძელების ნაშთი, ბრინჯაოსა და მინისგან დამზადებული ლამპრები, ჭაღები და სხვ.

ბაზილიკის სამხრ.-დას. კუთხეში დადასტურდა მიწაში ჩადგმული ქვევრი. ბაზილიკის ნავების გამყოფი სვეტების სამხრ. რიგში, დას.-იდან პირველი სვეტის წყობაში, იატაკიდან დაახლ. 1,5 *მ* სიმაღლეზე, აღმოჩნდა ქვის ფილის ნაწილი (24×12 *სმ*), რ-ზედაც ამოკაწრული იყო რვასტრიქონიანი ქართ.



144. ბაზილიკის გათხრებისას აღმოჩენილი თიხის სამკუმა დოქი. IV-V სს.

წარწერა. წარწერის ფრაგმენტი შემორჩენილი იყო ფილის მეორე მხარეზეც.

ლ. ჭილაშვილი წარწერას ეკლესიის მშენებლობის პერიოდს უკავშირებს და მისი შექმნის დროდ 370-380-იან წლებს მიიჩნევს.

თ. დვალი.

ბიბლ.: 20; 22; 230.

145. ეკლესია, არქიტ., არქეოლ. ძ. მდებარეობს ნაქალაქარის დას. ნაწილში, ნაგებებად წოდებულ ადგილზე, სამლოცველოს ჩრდ.-აღმ-ით ოციოდე მ-ზე. აღმოჩნდა 1987 წელს, არქეოლ. გათხრების შედეგად.

ძ. სამეკლესიანი ბაზილიკაა, განეკუთვნება VI-VII სს. შენობა ნაგები იყო სხვადასხვა ზომის ნატეხი ქვითა და კირის ხსნარით. კუთხეებში გამოყენებული ყოფილა სუფთად ნათალი შირიმიც.

ნაგებობის გეგმის გარეგან სწორკუთხედში (17,3×13,5 *მ*) მოქცეულია ერთმანეთისგან კედლებით გამოყოფილი სამი სადგომი, რ-ებიც დამოუკიდებელ ეკლესიებს წარმოადგენს. შუა ეკლესიას შესასვლელები სამხრ-იდან და დას-იდან აქვს. აღმ-ით იგი დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით. აფსიდის გვერდებზე, გვერდის ნაგების აღმ-ის ბოლოებში, მოწყობილია თითო სწორკუთხა სათავსი – სამკვეთლო და სადიაკვნე, რებიც შუა ეკლესიას კარით უკავშირდებიან. ორივე სათავსში, საკურთხევლის მხარეს მოქცეული კედლის აღმ. კიდეში, თითო მოხრდილი ნიშაა. სამკვეთლოს აღმ. კედელზე მიშენებულია ოთხკუთხა ტრაპეზი.



145. გეგმა

სამხრ. და ჩრდ. ეკლესიები ერთმანეთს შენობის დას. ნაწილში მოწყობილი დერეფნით (გარშემოსავლელით) უკავშირდებოდა ეკლ. აღმ-ით დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით. სამხრ. ეკლესიის სამხრ. კედელში ორმალიანი თაღოვანი შესასვლელია – თაღებს შორის წრიული სვეტით. ანალოგიური შესასვლელია მოწყობილი დას. გარშემოსავლელის დას. კედლის შუაშიც. ჩრდ. ეკლესიას ჩრდ-იდან დამოუკიდებელი შესასვლელი აქვს.

ეკლესიის გათხრისას, გვერდის ნაგებში და მის ირგვლივ, აღმოჩნდა სამარხები. გათხრებით გაირკვა, რომ ეკლესიას ფუნქციონირება, სავარაუდოდ, XIV ს-ში შეუწყვეტია.

თ. დვალი.

ბიბლ.: 22; 230.

146. ნაბეგობის ნაშთი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-აღმით, 2 კმ-ზე, ნეკრესის ნაქალაქარის მახლობლად, კლდოვან სერზე, რსაც ადგილ. მოსახლეობა „ქალიაყანას“ უწოდებს. შემორჩენილია ნატეხი ქვებითა და კირის ხსნარით ნაშენი, კვადრ. გეგმის

(5,7×5,7 მ), ნაგებობის ნაშთი (შემორჩენილი კედლების მაქს. სიმ. – 1,5 მ, სისქე – 1,15 მ). ადგილის სახელწოდება უკავშირდება ხალხში ლექსად ქცეულ ლეგენდას: ობოლ მწყემს ბიჭს შეჰყვარებია მშვენიერი ასული და მისთვის ცოლობა უთხოვია. ქალს პირობა დაუდია, რომ ბიჭს ნატვრას შეუსრულებდა იმ შემთხვევაში, თუ იგი ხელში აყვანილს აიყვანდა მთაზე და იქ სალამურის ხმას მოასმენინებდა. მწყემსს პირობა სიცოცხლის ფასად შეუსრულებია.

ლ. ჭილაშვილი, რ-იც ამ ტოპონიმს ინდური პანთეონის ქალღმერთს, უზენაესი ღვთაების შივას ცოლს – ქალს უკავშირებს, ნაგებობასაც წინაქრისტიანული ხანის სამლოცველოდ მიიჩნევს.

თ. დვალი.

ბიბლ.: 231.

147. სამლოცველო, არქეოლ., არქიტ. ძ., მდებარეობს ნაქალაქარის დას. ნაწილში, ნაგებებად წოდებულ ადგილზე. გაითხარა 1980-იანი წლების II ნახ-ში. (ხელმძღ. ლ. ჭილაშვილი).

ძ. მრავალფენიანია. მისი ქვედა ფენა (სიმძლავრე 30-40 სმ) შეიცავდა წარმართულ სამლოცველოს – საკურპო მოედნით. მეორე ფენა – მაზდეანურ სამლოცველოს და სამაროვანს, ხოლო მესამე – მარნის ნაშთებს. არქეოლ. მასალაზე დაყრდნობით, ლ. ჭილაშვილი ვარაუდობს, რომ ძვ. წ. IV-II სს-ში, თავდაპირველად აქ აუგიათ წარმართული სამლოცველო, ხოლო დანგრევის შემდეგ, ძვ. წ. II ს-ში, მისთვის ზემოდან დაუდგამთ მაზდეანური სამლოცველო (ფართ. დაახლ 80 კვ მ), რ-იც ახ. წ. IV ს-მდე ფუნქციონირებდა. სამლოცველოს დანგრევის შემდგომ, აქ მარანი აუგიათ, რ-იც ქალაქთან ერთად, განადგურებული ჩანს ახ. წ. V ს-ის ბოლოს. ამის შემდგომ, ხანგრძლივი დროის მანძილზე ამ ადგილზე ცხოვრების კვალი აღარ შეინიშნება. მარანზე მიშენებული სამოსახლოს მშ[illegible] განა-განახლება IX [illegible]დება, ფუნქციონირება კი XIV-XV სს-ში შეწყვეტილა.



147. მარნის ჩრდ. ხათავსის ქვეშ არსებული წარმართული სალოცავი, ხედი სამხრ-იდან

ქვედა ფენაში დაფიქსირდა დამწვარ-დანახშირებული იატაკი, ცეცხლისგან გაწითლებული ადგილები და რამდენიმე ორმო (დიამ. 25-30 სმ, სიღრმე – 40-70 სმ). რ-ებშიც, სავარაუდოდ, შეწირული მსხვერპლის სისხლი გროვდებოდა. სამსხვერპლო მოედანს აღმ-იდან ეკვროდა კრემაციული სამარხების შემცველი მოედანი 13 ქვებშემოწყობილი ბუდით, სადაც დაფიქსირდა დამწვარი ადამიანების ნაშთი-ნაცარი. სამლოცველოს იატაკზე დადასტურდა მსხვერპლად შეწირული ცხოველების ძვლები,რამდენიმე ლეგაპრიალა კერამიკის ნატეხი, მათ შორის გადაშლილპირიანი ლანგრის პირის პროფილირებული ფრაგმენტები.

მეორე ფენაში, მაზდეანური სამლოცველოს ჩრდ. კედლის გასწვრივ, დაფიქსირდა ნაცრის გროვა, ცეცხლისგან დაწითლებული კედლის ქვები და ბრინჯაოს წკეპლები (წკეპლების კონა და ორი წკეპლა). სამლოცველოს სამხრ.



147. მარანი, გეგმა

და აღმ. კედლებთან, მთლიანად მოწყობილი ყოფილა ძვ. წ. II ს. და ახ. წ. II-IV სს. სამაროვანი. სა-

მარანში ჩადგმული ყოფილა რამდენიმე ათეული ქვევრი. ზოგი მათგანი მტრის შემოსევებისას



147. მარანი, საწნახლები

ხებაც. ქვაზე ამოკვეთილი წარწერებიდან ექვსივე ეპიტაფიაა. ყველა წარწერიანი ქვა გამოყენებული იყო საშენ მასალად.

ლ. ჭილაშვილი ეპიტაფიებიდან ხუთს, ძეგლის მეორე ფენას



147. საფლავის ქვის ფრაგმენტი ახლომავრული წარწერით

მარხებში აღმოჩნდა წითელპრიალა კერამ.

მ ა რ ა ნ ი გეგმით თითქმის კვადრატულია (19,5×18,9 მ). თარიღდება ახ. წ. IV ს-ით. ნაგები ყოფილა ნატეხი ქვითა და კირის დულაბით. შესასვლელი და-ს-დან ჰქონია. ამ მხრიდან შენობას მთელ სიგრძეზე გასდევდა ხუთი განიერი მალით გახსნილი კარიბჭე (გადანგრეულია). შიგნით, აღმ. და ჩრდ. კედლების გასწვრივ, მოწყობილი იყო ქვით ნაშენი ხუთი საწნახელი. მათი ნაწილი თავდაპირველია, ნაწილი – მოგვიანებითაა მიშენებული. ჩრდ. კედელზე, საწნახლის გარდა, მიშენებულია მოზრდილი, სწორკუთხა გეგმის რეზერვუარი, რ-შიც წყალი, საკმაოდ მოშორებით მდებარე წყაროდან, თიხის მილებით მოედინებოდა. ჩრდ. მხრიდან მარანს მიშენებული ჰქონია გეგმით სწორკუთხა ნაგებობა, რ-ის იატაკი, მარნის იატაკთან შედარებით, დაახლ. 2 მ-ით მაღლაა.

დაზიანებულა, ზოგიც მოსახლეობას წაულია. აქვე დადასტურდა წითლად გამომწვარი, ნაპრიალები თიხის ნაწარმი და შვიდი ქართ. ასომთ. წარწერა. მათგან ექვსი ქვაზეა ამოკაწრული, ხოლო ერთი ქვევრის პირზეა შესრულებული



147. მარნის წარმართულ ფენაში აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი

(წარწერების დათარიღების საკითხი სადავოა, აზრთა სხვადასხვაობაა მათი წაკითხვის შესახ-

უკავშირებს და მათი შესრულების დროს ძვ. წ. II-I სს-დან ვიდრე ახ. წ. II-III სს-მდე მიიჩნევს (ამავე პერიოდს მიაკუთვნებს იგი ამ ტერიტორიიდან მოშორებით აღმოჩენილ ორ წარწერასაც). ერთ წარწერას კი, რ-იც ერთ-ერთი საწნახლის კედელში იყო ჩართული, ძვ. წ. IV-II სს-ით ათარიღებს.

თ. დუალი.

ბიბლ.: 22; 231.

148. სამონასტრო კომპლექსი, არქიტ. ძ. მდებარეობს ნაქალაქარის თავზე, ტყით შემოსილ მთის ფერდობზე, ე. წ. ნახერევ გორაზე.

სამონასტრო კომპლექსში შედის სხვადასხვა დროისა და დანიშნულების რამდენიმე ნაგებობა: უძველესი მცირე ეკლ., ღვთისმშობლის შობის სამეკლესიანი ბაზილიკა, მთავარანგელოზთა ეკლ., ეპისკოპოსის პალატი, მარანი, კოშკი, სატრაპეზო, მცირე სამლოცველოები, ბერთა სენაკები, საცხოვრ. და სამეურნეო დანიშნულების შე-



148. ხაურთო ხედი სამხრ.-დას.-იდან

ნობათა ნაშთები. მონასტერი შემოფარგლული ყოფილა გალავნით (შემორჩენილი იყო ფრაგმენტულად). გალავნის გარეთ, ფერდობზე, ბევრგან, სხვადასხვა ნაგებობათა ნაშთებია.

მონასტერში ყოველწლიურად, 7 იანვარს, ქრისტესშობის ღამეს, იმართება სახალხო დღესასწაული ნეკრესობა. ეს ერთადერთი ქრისტ. დღესასწაულია, რ-ის დროსაც სხვა შესაწირ ცხოველთან თუ ფრინველებთან ერთად, ღორსაც სწირავდნენ. საიდან მოდის ეს ტრადიცია წყაროებით არ დასტურდება. ხალხში გავრცელებული თქმულების თანახმად, ლეკებს ერთ-ერთი შემოსევის დროს, მონასტერი ალყაში მოუქცევიათ. ალყა დიდხანს გაგრძელებულა. მონასტერში შეხიზნულებს ღორები დაუკლავთ და იქაურობა მათი სისხლითა და ხორცით გაუვსიათ. ამის დანახვაზე ღორისმოძულე მტერს ალყა მოუხსნია და იქაურობას გასცლია.

აკად. ლ. ჭილაშვილი ღორის შეწირვის რიტუალის წარმომავლობას ინდოირანული ღვთაების – მითრას თაყვანისცემის რიტუალთან აკავშირებს, რ-ის ძირითადი აქტი ტახის მსხვერპლად შეწირვაა. მსხვერპლშეწირვა მითრას შობის ღამეს ხდება (ქრისტესშობის დღე მითრას შობის დღეს ემთხვევა) და გათენებამდე გრძელდება. ამჟამად, ქრისტ. ეკლესიის პირობებში, ღორების მსხვერპლშეწირვა ქრისტესშობის ღამეს (შუაღამის შემდეგ) ქალიაყვანის მთის ძირში იწყება, შემდეგ კი მიმდინარეობს ნაქალაქარის ტერიტორიაზე, ვიდრე სამონასტრო კომპლექსამდე.

მცირე ეკლესია მდებარეობს კომპლექსის ცენტრალურ ნაწილში. მკვლევართა უმრავლესობა მას საქართველოში დღემდე შემორჩენილ ეკლესიათა შორის, ერთ-ერთ ყველაზე ადრინდელად მიიჩნევს. გ. ჩუბინაშვილი, რ-მაც ეკლ. XX ს-ის 20-იანი წლების დასაწყისში შეისწავლა ნაგებობას IV ს-ის II ნახევრით ათარიღებს და ვარაუდობს, რომ იგი ის ეკლესიაა, რ-ის ამგებლადაც მემატიანე მეფე თრდატს ასახელებს. ზოგი მკვლევარი (ლ. ჭილაშვილი, ნ. ბახტაძე) თრდატის მიერ აგებულ ეკლესიად მონასტრის ამ ნაგებობას კი არ მიიჩნევს, არამედ მის ქვემოთ, ნეკრესის ნაქალაქარში, ჭაბუკაურად წოდებულ ადგილზე მდებარე სამნავიან ბაზილიკას.

მართალია, ეკლ. სილუეტით სამნავიან ბაზილიკას წააგავს, მაგრამ აღნაგობით გამორჩეულად თავისებურია. პირველ რიგში, იგი მინიატურულია. მისი სიგრ., სიგანეზე უფრო ნაკლებია (გარეთა ზომები: სიგრ. – 4,7 მ, სიგ. 9,1 მ), ხოლო შიგნით ნაგები ერთმანეთისგან, ჭეშულებისამებრ, ბოძებით კი არ არიან გამოყნული, რაც ნამდვილი ბაზილიკებისთვისაა დამახასიათებელი, არამედ დაკავშირებული

არიან თითო განიერი თაღით, რ-თა მალი თითქმის შუა ნავის სიგრძის ტოლია. ამას გარდა, ეკლესიას შესასვლელები აღმ-იდან, გვერდის ნავებიდანაც ჰქონია.

შენობა ნაგებია ნატეხი ქვითა და კირის დუღაბით. დგას საყრდენი კედლით შექმნილ ბაქანზე, რ-ის შიგნით, განთავსებულია ცილინდრული კამარით გადახურული კრიპტა.

შიცაა – თაღის ზემოთ. საკურთხეველში, სარკმლის ორივე მხარეს, თითო სწორკუთხა ნიშაა. ნავი გადახურული ყოფილა კამარით, ხოლო აფსიდი – კონქით (მოგვიანებით განუახლებიათ, მაგრამ ჩვენამდე არც მათ მოუღწევია).

ჩრდ. ნავი, შუა ნავთან შედარებით, თითქმის ორჯერ უფრო დაბალია, მაგრამ ოდნავ უფრო განიერი. გადახურულია კოლოფა ბიც ამოუშენებიათ და მხოლოდ სარკმელი დაუტოვებიათ.

ნავი გადახურული ყოფილა რამდენიმე ფენად დალაგებული ფიქლით. მოგვიანებით შუა ნავის გვერდის კედლებზე თითო თაღი მიუშენებიათ (ჩრდ. თაღი დღემდეა შემორჩენილი). უფრო გვიან



148. გეგმა. 1 მცირე ეკლესია, 2 ღვთისმშობლის შობის ეკლესია, 3 მთავარანგელოზთა ეკლესია, 4 წმ. გიორგის ეკლესია, 5 ეპისკოპოსის სასახლე, 6 კოშკ-სამრეკლო, 7 მარანი, 8 სატრაპეზო, 9 სატრაპეზო, 10 პალატი, 11 მარანი, 12 გალავანი, 13 ბერების ხენაკების ნაშთები

დროთა განმავლობაში ძეგლმა მნიშვნელოვანი დაზიანებები და გადაკეთებები განიცადა, რამაც მას შეუცვალა თავდაპირველი სახე. შემორჩენილი იყო: შუა ნავი (კამარის ქუსლის დონემდე), ჩრდ-ის ნავი და სამხრ-ის ნავის კედლების ნაშთები.

ბაზილიკის შუა ნავი ვიწროა და მეტისმეტად მაღალი (შიგნითა ზომები: სიგ. 1,6 მ, სიმ. – 6,6 მ). აღმ-ით დასრულებულია ნალისებრი აფსიდით, რ-შიც გაჭრილია ნალისებრივე თაღით დასრულებული მაღალი სარკმელი. ერთი, მცირე ზომის, ბრტყლად გადახურული სარკმელი სამხრ. კედელში ... კამარით. ნავი სამ მხარეს (აღმ-ით, დას-ით და ჩრდ-ით) გახსნილი იყო სხვადასხვა სიგანის, ნალისებრი თაღით დასრულებული ღიობით. მოგვიანებით სამივე ღიობი მთლიანად ამოუშენებიათ. მათგან ჩრდ. და დას. ღიობებში მცირე სარკმლები გაუჭრიათ, ხოლო აღმ-ისაში – ბრტყლად გადახურული შესასვლელი მოუწყვიათ. ჩრდ. ღიობი ერთდროულად კი არ ამოშენებულა, არამედ ორ ეტაპად. თავდაპირველად მასში (როგორც ჩანს, თაღის ჩამონგრევის თავიდან აცილების მიზნით) უფრო ნაკლები სიგანის თაღოვანი ღიობი ჩაუშენებიათ, ხოლო შემდგომ ეს ღიობიც ...

კი ჩრდ. ნავის სახურავზე დაუშენებიათ მეორე სართული, რ-ისგანაც შემორჩენილი იყო მხოლოდ აღმ. კედლის ნაშთი.

სამხრ. ნავი ჩრდ. ნავის მსგავსი და მასზე ოდნავ მოზრდილია, მაგრამ ფორმით არასწორი. ნავის დას. კედლის ჩრდ. ნახევარი, მთავარ და ჩრდ. ნავების დას. კედლებთან ერთ სიბრტყეს ქმნის, შემდგომ ტყდება, მცირე კუთხით იცვლის მიმართულებას და სამხრ.-აღმ-ით ეპისკოპოსის სასახლემდე მიემართება. ეკლესიასა და სასახლეს შორის კი, მონასტრის ძირითადი შესასვლელია მოწყობილი.

სამხრ. ნავის აღმ. და დას. ღიობები ჩრდ. ნავის ღიობების სიმეტრიულად იყო განლაგებული. მათ შორის აღმ. ღიობს მხოლოდ ჩრდ. წირთხლიდა ჰქონდა შემორჩენილი. დას-ისას კი, წირთხლთან ერთად, თაღის ქუსლიც და ღიობში მოგუიანებით ჩაშენებული კედლის ნაწილიც. მთავარი ნავიდან სამხრ. ნავში გასასვლელი თაღი ასევე მთლიანად იყო ამოშენებული. მასში დატოვებული იყო მცირე ზომის სარკმე-



148. მცირე ეკლესია, გეგმა

ლი. მთავარი ნავის სამხრ. კედელზე შემორჩენილი იყო სამხრ. ნავის კამარისა და სახურავის ნაშთები, რ-თა მიხედვითაც ჩანდა, რომ კამარის ღერძი მიმართული იყო არა ნავის სიგრძეზე, როგორც ეს ჩრდ. ნავშია, არამედ მის გარდიგარდმო, ხოლო ნავის სახურავი, ჩვეულებისამებრ, სამხრ-ით კი არ იყო დაქანებული, არამედ იგი თითქმის ჰორიზ. უნდა ყოფილიყო – მცირე დაქანებით აღმ-ით და დას-ით.

ჩრდ. ნავის ქვეშ მდებარეობს კრიპტა. მასში ჩასასვლელი ქვის კიბე ჩრდ. ნავიდანაა. კრიპტა ფართობით ჩრდ. ნავზე ოდნავ მოზრდილია და, როგორც აღმ-ით, ისე ჩრდ-ით, გადის ნავის აბრისის გარეთ. კრიპტა გადახურულია კამა-



148. მცირე ეკლესია, ჭრილი, ხედი დას.-კენ

რით, რ-ზეც ჩრდ. ნავის აღმ. და ჩრდ. კედლებია დაყრდნობილი.

XX ს-ის ბოლო მესამედში ეკლესიას არესტ. სამუშაოები ჩაუტარა სპეც. სამეცნ.-არესტ. საწ. სახელოსნომ. მოიხსნა ჩრდ. ნავის სახურავზე დაშენებული ნაგებობის შემორჩენილი კედლის ნაშთი, გამაგრდა შუა ნავის კედლების მორყეული წყობა; შენობა გადაიხურა კრამიტით.

დას-ის მონგრეული კუთხე. გაიხსნა ჩრდ. ნავის ჩრდ. ღიობი და გადაეწყო ნალისებრი თაღი, განახლდა ლავგარდანი [illegible] კეთდა კრიპტაში ჩასასვლელი ქვის საფეხურებიანი კიბე, ამაღლდა ცენტრ. და ჩრდ. ნავების იატაკი, განახლდა საბურავი (არქიტ.-რესტავრატორი რ. ცხადაძე).

2009-2010 წწ-ში კულტ. მემკვიდრეობის ეროვნ. სააგენტოს მიერ, მონასტრის ამ ეკლესიისთვის თავდაპირველი ფუნქციის დაბრუნების მიზნით, ჩატარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები (არქიტ.-რესტავრატორი მ. გელაშვილი). აღდგა სამლოცველოს დანგრეული ნაწილები. გაიხსნა ჩაშენებული ღიობები. მოიხსნა ბოლო აღდგენისას მოგებული იატაკის ფენა. აღდგა სამხრ. ნავი (კამარის გარეშე) და გადაიხურა ორფერდა სახურავით.

სამონასტრო კომპლექსის სარეაბილიტაციო სამუშაოების პარალელურად, ამავე წლებში არქეოლ. გათხრები ჩატარდა, როგორც სამლოცველოში, ისე მის ირგვლივ (არქეოლ. ნ. ბახტაძე). გათხრების შედეგად შუა და სამხრ. ნავის ფარგლებში, იატაკის ქვეშ, აღმოჩნდა ქვიტკირის კედ-



148. ღვთისმშობლის შობის ეკლესია, გეგმა

2000 წელს აღდგა შუა ნავის კამარა და კონქი, ჩრდ. ნავის ჩრდ.-ლებით ერთიმეორის გვერდით გამოყვანილი და ბრტყელი ქვე-

ბით გადახურული ხუთი აკლდამა, რ-ებშიც აღმოჩნდა მამაკაცების, ქალებისა და მცირეწლოვანი ბავშვების ძვლები. აკლდამებში დადასტურდა კერამ. ნაკეთობების მცირე ფრაგმენტებიც.



148. ღვთისმშობლის შობის ეკლესია, განივი ჭრილი, ხედი აღმ-კენ

ჩრდ. ნაოს ქვეშ, კრიპტის გათხრისას, აღმოჩნდა ამოშენებულკედლებიანი და ერთმანეთისგან თხელი კედლით გამოყოფილი ორი აკლდამა, რ-ებიც აღმ-დას-ის ხაზზე იყვნენ განლაგებული და ძვლებით მთლიანად იყო ამოვსებული. აკლდამებში ასევე დაფიქსირდა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები და ქამრის ლითონის დეტალები. გათხრების შედეგად მოპოვებულ მასალაზე დაყრდნობით ნ. ბახტაძე დაასკვნის, რომ მთავარი და სამხრ. ნაოების ფარგლებში არსებული აკლდამები საოჯახოა და სამლოცველოს აგებამდეა მოწყობილი. სამლოცველო კი, მისი აზრით, საფლავის ზედა ეკლესიაა და საგანგებოდ არის აგებული სამარხებზე, რ-თა გამოყენების ხანად VI-IX სს-ს მიიჩნევს.

ლ. ჭილაშვილი, მართალია, იზიარებს გ. ჩუბინაშვილისეულ თარიღს, მაგრამ იგი ეკლესიას მიიჩნევს წარმართული სამლოცველოს გადაკეთების გზით მიღებულ ნაგებობად, რ-ის ცვლილებები ქრისტ. დოგმატიკით უნდა მომხდარიყო. მისი დაკვირვებით ნაგებობაც და კრიპტაც გადაკეთებულა რასადმი მიძღვნილ ტაძრის არხებობას, სადაც [illegible] ნადო (ღორის შეწირვის) რიტუალი. მისივე აზრით, არც ნეკრესობა და არც მისი თანმხლები ღორის შეწირვის აუცილებელი რიტუალია წარმომავლობით ქრისტიანული, რადგან ღორის შეწირვა მითრას დღეობის შემადგენელი ნაწილია.

ძვ. ეკლესიის აღმ-ით დგას კომპლექსის მთავარი ნაგებობა ღვთისმშობლის შობის სახელობის ს ა მ ე კ ლ ე ს ი ი ა ნ ი ბ ა ზ ი ლ ი კ ა, მონასტრის ყველაზე დიდი და კარგად შემონახული ნაგებობა (17,2×12,7 მ).

ძ. თარიღდება VI-VII სს-ის მიჯნით. ნაგებია დიდი ზომის ნატეხი ქვით. კუთხეებში და კონსტრ. ნაწილებში გამოყენებულია ფოროვანი შირიმი.

ეკლესიას სამი შესასვლელი აქვს: დას-ით, სამხრ-ით (მოგვიანებით მთლიანად ამოუშენებიათ და შიგნიდან ნიშა მოუწყვიათ, რიც თითქმის იატაკამდე აღწევს) და ჩრდ-ით. სამიქე კარი განიერია, ნალისებრთაღიანი. ნაგები ერთმანეთისგან გამოყოფილია ყრუ კედლებით. გვერდის ნაგებში ორი



148. ღვთისმშობლის შობის ეკლესია, გრძივი ჭრილი მთავარ ეკლესიაზე, ხედი აღმ-კენ

ბამდე ერთ არქიტექტურულ სივრცეს ქმნიდა და არ გამოირიცხავდა აქ ინდივიდუალური ღვთაების – მითეკლესიაა, რებიც ერთმანეთს დასის გარშემოსაველელით უკავშირდებიან.

შუა, მთავარი სადგომი, აღმ-ით დასრულებულია ღრმა საკურთხევლით, რ-იც ნალისებრ აფსიდს



148. ღვთისმშობლის შობის ეკლესია, ხედი ჩრდ.-აღმ-იდან

და მის წინ მდებარე მოკლე ბემას შეიცავს. აფსიდის ღერძზე, მაღლა, ნახევარწრიულთაღოვანი სარკმელია გაჭრილი. ორი, ბრტყლად გადახურული სარკმელი, სამხრ. კედელშიცაა. აფსიდს, მთელ სიგრძეზე, გასდევს მღვდელმსახურთა ჩამოსაჯდომი საფეხური, რ-ის შუაში, აღმ. სარკმლის ქვემოთ, გამოყოფილია მონასტრის წინამძღვრისათვის განკუთვნილი ადგილი. აფსიდში დგას ტრაპეზი, ჩრდ. გვერდზე კი მიშენებულია ერთიანი, დაუდევრად ნაგები მაგიდა, რ-იც სამკვეთლოდ გამოიყენებოდა. ამავე მხარეს, ზემოთ, მოწყობილია ნიშა. საკურთხეველი დარბაზისგან გამოყოფილია გვიანდ. კანკელით. კანკელს ორი თანაბარი სიმაღლის, შეისრულთაღოვანი კარი (შუაში და ჩრდ. კიდეში) და სამი ნიშა აქვს. მათგან ორი, რ-ებიც კანკელის ზედა ნაწილში, ალსავლის კარის აქეთ-იქით არიან განლაგებული – სწორკუთხაა, გამჭოლი. მესამე კი, შეისრულთაღოვანია. ეს უკანასკნელი კანკელის სამხ. კიდეშია მოწყობილი და სიმაღლით კარების ტოლია. აფსიდის თაღი ოდნავ ნალისებრი ფორმისაა. მისი ქუსლების დონეზე მარტივპროფილიანი იმპოსტებია გამოყოფილი. სადგომი გადახურულია ნახევარწრიული კამარით, რ-იც კონსოლებზე დამყარებულ ორ საბჯენ თაღს ეყრდნობა. მათგან ერთი დარბაზის შუაშია, მეორე – დას. კედელთან.

საკურთხევლის ჩრდ-ით და სამხრ-ით განცალკევებული სათავსებია, რ-ებიც გვერდითი ფრთების აღმ. ნაწილშია განთავსებული. თითოეულ მათგანს შუა ეკლ. საკურთხეველთან ახლოს გაჭრილი, სწორკუთხა კარით უკავშირდება. ორივე სათავსი სწორკუთხაა, თითო სარკმლით აღმ-ით. სამკვეთლოს სამხრ. კედელში ორი ნიშაა. ერთი, მოზრდილი (სიმ. – 92 *სმ*, სიგ. – 75 *სმ*, სიღრმე – 75 *სმ*) – აღმ. კედელთანაა, მეორე, გაცილებით მცირე ზომისა კი – მოშორებით. მსგავსი ნიშები სადიაკვნის სამხრ. კედელშიცაა.

შუა ეკლესიის ინტერიერი შელესილი და მოხატულია. მ ო ხ ა ტ უ ლ ო ბ ა შესრულებულია კახეთის მეფის ლევანის თაოსნობით (XVI ს-ის შუა ხანებში – 1550 წლამდე). მოხატულობის ნაწილი (კამარის დას. მონაკვეთში, კედლების ქვედა რეგისტრებში) დაზიანებულია. ამის მიუხედავად, შემორჩენილი ნაწილი საკმაოდ ვრცელია და საერთო წარმოდგენას ქმნის მისი იკონოგრაფიული პროგრამის შესახებ. სცენათა თანმხლები, ქართ. ასომთ. დამწერლობით შესრულებული წარწერები მათ შინაარსს და ცალკე გამოსახულ წმინდანთა ვინაობას განმარტავენ. ვხვდებით ასევე ბერძნ.



148. ღვთისმშობლის შობის ეკლესია, ინტერიერი, მთავარი ეკლესია, საკურთხევლის კონქი

წარწერებსაც. ასოები ჩვეულებრივ თეთრი ფერისაა, მხოლოდ გრაგნილთა ბერძნ. წარწერებისთვისაა გამოყენებული შავი საღებავი.



148. ღვთისმშობლის შობის ეკლესია, ინტერიერი, მთავარი ეკლესია, სამხრ. კედელი, „მაცხოვრის დატირება"

საკურთხევლის მოხატულობა დაყოფილია ოთხ რეგისტრად. კონქსა და ბემის კამარის მოხატულობაში წარმოჩენილია განკაცების დოგმატური იდეა. კონქში წარმოდგენილია ტახტზე მჯდომარე ღვთისმშობელი ყრმით და აქეთიქით მისკენ მიმართული მთავარანგელოზები – მიქელი და გაბრიელი, რ-თაც ხელთ გაშლილი გრაგნილები უპყრიათ. ბემის კამარის წვეროში გამოსახულია დიდისა ზრახვის ანგელოზი, ხოლო ჩრდ. და სამხრ. გვერდებზე – მოსე და აარონი. საკურთხევლის მოხატულობის დანარჩენ ნაწილს საფუძვლად უდევს მსხვერპლის თემა. აფსიდისა და ბემის კედლებზე, მეორე და მესამე რეგისტრებში, მოცემულია ზეციური ლიტურგია და მოციქულთა ზიარება, მეოთხეში – წმ. მსხვერპლის თაყვანისცემა (ეკლესიის მამათა შორის, ცენტრში, სარკმლის ქვემოთ, გაირჩევა დისკოზე დასვენებული ჩვილი ქრისტე (შემორჩენილია მცირე ზომის ფრაგმენტი). მხატვრობას ასრულებს გეომეტრიული ორნამენტის ზოლი. მცენარეული ორნამენტითაა შემკული საკურთხევლის მხრები. საკურთხევლის სარკმლის წირთხლებზე გამოსახულია თითო ექვსფრთედი ქერუბიმი ხელში. მოხატულია კანკელიც. მის წინა მხარეს, აღსავლის კარის თაღის ორივე მხარეს, წარმოდგენილია თითო ექვსფრთედი სამწერობლებით ხელში. სამხრით, ნიშაში – დიაკვანი. კანკელის



148. ღვთისმშობლის შობის ეკლესია, ინტერიერი, მთავარი ეკლესია, ლევან მეფე ეკლესიის მოდელით ხელში, დედოფალი თინათინი, უფლისწული ალექსანდრე

განაპირა ნაწილები (ნიშების თავზე) შემკულია მცენარეული ორნამენტით. გასასვლელების წირთხლები და თაღების სოფიტები კი, გეომეტრიული ორნამენტით.

დარბაზის კამარის აღმ. მონაკვეთში გამოსახულია ქრისტე ყოვლისმპყრობელი მედალიონში, რომელიც ოთხ ანგელოზს უჭირავს. ანგელოზები კამარის ორივე გვერდზე მთელი ტანით არიან წარმოდგენილნი. აქვე თითო ექვსფრთედია გამოსახული. მედალიონს შემოუყვებოდა ბერძნ. წარწერა, რისგანაც მხოლოდ ერთი სიტყვა – ჰხედვიდა (ნაწყვეტი ტექსტისა „ზეცით ჰხედვიდა უფალი") შემორჩა. ანალოგიური კომპოზიცია სქემა მეორდებოდა კამარის დას. მონაკვეთშიც. ამჟამად მედალიონი და მასში ჩაწერილი გამოსახულების უმეტესი ნაწილი განადგურებულია. კამარის გვერდებზე გაირჩევა ანგელოზთა და ცეცხლოვან ბორბალთა გამოსახულებების ნაშთები. კამარის საბჯენი თაღების სოფიტებზე წარმოდგენილია წმინდანების (წინასწარმეტყველების?) ფიგურები (მთელი ტანით ან წელზევით).

დარბაზის კედლებზე რეგისტრების რაოდენობა შემდეგნაირადაა განაწილებული: გრძივ კედლებზე – სამ-სამი, დას. კედელზე – ოთხი. სამხრ. კედელზე, პირველ რეგისტრში (აღმ-იდან დას-ის მი-

მართულებით) წარმოდგენილია: ხარება, შობა, მირქმა, ნათლისღება; მეორე რეგისტრში – საიდუმლო სერობა, იუდას ამბორი, ქრისტეს დატირება, მენელსაცხებლე დედანი ქრისტეს საფლავთან; მესამე რეგისტრში – ხუთი წმ. მეომარი. მათ შორის აღმ-იდან მეორე წმ. თევდორე სტრატილატია, მესამე – წმ. დემეტრე, მეოთხე – წმ. თევ-



148. მთავარანგელოზთა ეკლესია, გეგმა

დორე (ტირონი?). ამავე რეგისტრში, კედლის დას. მონაკვეთში, გამოსახულები არიან ისტ. პირები: მეფე ლევანი ეკლესიის მოდელით ხელში, დედოფალი თინათინი და მათი ძე ალექსანდრე. ფიგურებს თავებს ზევით შემორჩენილია დაზიანებული ორსტრიქონიანი ბერძნ. წარწერა. ფიგურები 3/4 პოზით არიან წარმოდგენილნი, მიუხედავად იმისა, რომ პალეოლოგოსთა ეპოქიდან (XIII ს-ის ბოლო – XV საუკუნის I ნახევარი) მოყოლებული ისტ. პირები, უმეტეს შემთხვევაში, ფრონტალურ პოზებში გამოისახებოდნენ. საყურადღებოა ასევე, რომ მეფე ლევანი, თინათინისა და ალექსანდრეს ფიგურებთან შედარებით, წინ არის გამოწეული. მეფის გამოსახულების ხაზგასმა ნეკრესის მოხატულობის თავისებურებაა და, რაც მთავარია, ემსახურება მისი, როგორც ქვეყნის მმართველის და

შესვლა; მეორე რეგისტრში – ჯოჯოხეთის წარმოტყვენა, თომას ურწმუნოება, ამაღლება, პენტეკოსტის მოფენა; მეხუთე რეგისტრში – წმ. ბერები: [illegible] წმინდანი – საბაა, მეხუთე – წმ. ანტონი. ამავე მხარეს, კარის წირთხლებზე, ორი წმინდანია – სერგი (დას-ით) და ბაქო (აღმ-ით). ტიმპანში დარჩენილია წმინდანის გამოსახულების ფრაგმენტი (წარწერა არ შემორჩენილა).

დას-ის კედელზე, პირველ რეგისტრში – ჯვარცმაა, მეორე რეგისტრში – ღვთისმშობლის მიძინება, მესამე რეგისტრში – ღვთისმშობლის შობა (სამხრ-ით) და ტაძრად მიყვანება (ჩრდ-ით), მეოთხე რეგისტრში – წმ. დედანი. კედლის ჩრდ. მონაკვეთში წმ. ბარბარესა და წმ. ეკატერინეს გამოსახულებაა. სამხრ-ით ალარც მხატვრობა და ალარც წარწერები იკითხება. კარის წირთხლებზე, სამხრ-ით, წარმოდგენილია წმ. ონოფრე, ჩრდ-ით – წმ. მაკარი, ტიმპანში – მთავარანგელოზი (დიდება ზრახვისა ანგელოზი?).

მოხატულობის დამახასიათებელი სტილისტ. ნიშნებია: მრავალფიგურიანი კომპოზიციები, რთული არქიტ. და მთიანი ფონები, გამოსახულებათა დინამიკური მიმართებები, ინტერიერის ხიმებთან შედარებით, რეგისტრებისა და სცენების დიდი რაოდენობა. ყოველივე ამის საფუძველს წარმოადგენს პალეოლოგოსთა ხელოვნების მხატვრული ტრადიცია, რ-იც დამახასიათებელია პოსტბიზანტიური ხელოვნებისათვის, რომელიც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთაც (მაგ., ათონის მთის ეკლესიათა მოხატულობები). ეს აისახა გამოსახულებების ფერადოვანი ზედაპირის დამუშავებაშიც. მკვეთრი ამოთეთრებები, „ჩრდილები“, კონტრასტული ტონები ტანსაცმელზე ასოციაციას იწვევს პალეოლოგოსთა ხელოვნების ფერწერულ მოდელირებასთან. ამ დროისათვის მაღალია მხატვრობის შესრულების დონე. განსაკუთრებით აღსანიშნავია საერო პირთა პორტრეტები. კოლორიტს თავისებურ ელფერს ანიჭებს

მკვეთრი ცისფერი საღებავი (ულტრამარინი). ამასთან ერთად, გამოყენებულია ოქროსფერი ოქრა, თბილი მოწითალო-ყავისფერი, ღია ვარდისფერი, ღია მწვანე, მონაცრისფრო-ცისფერი.

1980-იან წწ-ში მოხატულობას ჩაუტარდა საკონსერვაციო სამუშაოები (რესტავრატორი შ. აბრამიშვილი). 2012 წელს კი დაგეგმილი საკონსერვაციო სამუშაოების I ეტაპით გათვალისწინებული



148. მთავარანგელოზთა ეკლესია, ჭრილი, სვეტი სამხრ.-კენ

სამუშაოები ჩაუტარდა დას. კედელზე შემორჩენილ მოხატულობას (რესტავრატორი დ. გაგოშიძე)

სამხრ. ეკლ. აღმ-ით დასრულებულია უსარკმლო, გეგმით ნახევარწრიული აფსიდით, რ-ის კონქის თაღი ქვრდნობა შირიმის კაპიტელებს, კამარა კი – ორ საბჯენ თაღს. სამხრ. ეკლესიის სამხრ. კედელში ორმალიანი თაღოვანი შესასვლელია – თაღებს შორის მარტივპროფილიანი კაპიტელით დასრულებული წრიული სვეტით. ანალოგიური შესასვლელი იყო მოწყობილი ჩრდ. ეკლესიის ჩრდ. კედელშიც.

ჩრდ. ეკლ. (აღდგენილია 1970-იან წწ-ში), როგორც ჩანს, სამხრ. ეკლესიის სიმეტრიულად იყო აგებული.

დას. გარშემოსავლელი გადახურულია სამ საბჯენ თაღზე დაყრდნობილი ცილინდრული კამარით. გარშემოსავლელის დას. კედელში, მთავარი ეკლესიის კარის პირდაპირ, ნალისებრთაღიანი შესასვლელია.

შენობის ფასადები დასრულებულია შირიმის თაროსებრი ლავგარდნით, რ-იც რეაბილიტაციის დროს,ძვ. ლავგარდნის დონეზე მოეწყო. საკურთხევლის სარკმლის თავზე, წყობიდან გამოშვერილი შირიმის თხელი ქვებით გამოყვანილია ნალისებრი თალი – პორიზ. გადანაკეცებით ორივე ბოლოში. დას. ფასადის ზედა ნაწილში განიერი და მაღალი თაღოვანი შეღრმავებაა, რ-შიც ორსაფეხურიან პოსტამენტზე დაყრდნობილი ჯვრის რელიეფური გამოსახულებაა.

ეკლ. გადახურული იყო დიდი ზომის კრამიტით.

მთავარანგელოზთა ეკლესია, დგას კომპლექსის დას. ნაწილში, ბაზილიკის და ეპისკოპოსის სახახლის ქვემოთ. თარიღდება VIII-IX სს-ით. წარმოადგენს სამეკლესიანი კომპოზიციის გუმბათიან ვარიაციას.

ეკლ. ნაგებია ნატეხი და რიყის ქვით. კონსტრ. ნაწილებში გამოყენებულია მოყვითალო შირიმი.

ძ. გეგმით უწვეულო შთაბეჭდილებას ტოვებს – იგი თითქოს სხვადასხვა ნაწილებისგან არის შედგენილი. თავდაპირველად აიგო ცენტრ., გეგმით კვადრ. ნაწილი (5,3×5,3 მ), შემდგომ მას აღმ-იდან მიადგეს ხუთწახნაგოვანი აფსიდი, ხოლო სამხრ., დას. და ჩრდ. მხრიდან – ერთიანი გარშემოსავლელი, რ-ის სამხრ. და ჩრდ. ნაწილებს აღმ-იდან აფსიდები მიაშენეს. აგების ეს მეთოდი გამოყენებულია კედლების წყობაშიც. ეკლესიის ცენტრ. ნაწილის კედლების წყობა, აფსიდის თაღის ჭესლის დონემდე, ერთსახოვანია – თეგზიფხური. წყობა დასრულებულია პორიზონტალურად დაწყობილი ფილების ერთი რიგით, რ-ის შემდგომაც იწყება ნატეხი ქვისა და რიყის ქვის ჩვეულებრივი წყობა. გარშემოსავლელში ჯვრ კედლებია ამოყვანილი, ხოლო შემდგ ქარგილზე ჩამოსხმულია კამარები.

ეკლესიას ორგანული ნაწილი

ვერ ნახავთ

მალიანი შესახვლელი აქვს სამხრ-იდან და დას-იდან – გარშემოსავლელიდან. თაღები ნალისებრი ფორმისაა. მათ შორის მრგვალი სვეტია, რ-იც დასრულებულია შირიმის კვადრ. ფილით. ორივე კარის პირდაპირ, ეკლესიის ცენტრ. ნაწილის კედლებში, ბრტყლად გადახურული თითო კარია.

საკურთხევლის აფსიდი ნალისებრი ფორმისაა. მის ღერძზე გაჭრილია შიგნიდან და გარედან ნალისებრი თაღით გადახურული სარკმელი. მსგავსი სამი სარკმელი გუმბათის ყელშია – აღმ-ით, სამხრ-ით და დას-ით. ერთი სარკმელი ცენტრ. ნაწილის სამხრ. კედელშიცაა. იგი შიგნიდან თარაზულადაა გადახურული, ხოლო გარედან თაღოვანია. აფსიდის თაღის იმპოსტები შირიმისაა. მათ პროფილს თარო და დახრილი სიბრტყე შეადგენს. საკურთხეველი დარბაზის მიმართ სამი საფეხურით მაღალია. მეორე და მესამე საფეხურზე დადგმულია გვიანდ. კანკელი, რ-საც ერთი კარი აქვს შუაში. კანკელი ნაგებია ნატეხი ქვით, კრამიტის ნამსხვრევებით და



148. მთავარანგელოზთა ეკლესია, ინტერიერი, ცენტრ. ნაწილი, სვეტი აღმ.-კენ

ორგვარი აგურით. საკურთხევლის შუაში დგას ტრაპეზი.



148. მთავარანგელოზთა ეკლესია, ინტერიერი, ცენტრ. ნაწილი, ჩრდ.-დას. ტრომპი

ეკლესიის ცენტრ. ნაწილი დაგვირგვინებულია მაღალი, შიგნიდან წრიული, ხოლო გარედან რვაწახნაგოვანი გუმბათით. სამხრ-ით, დას-ით და ჩრდ-ით გუმბათი კვადრატის შესაბამის კედლებზეა დაყრდნობილი, ხოლო აღმ-ით – აფსიდის წინ მდებარე საბჯენ თაღზე.

გუმბათქვეშა კვადრატიდან, გუმბათის წრიულ საფუძველზე გადასვლა, აღმ. და დას. კუთხეებში, სხვადასხვა ხერხითაა განხორციელებული. აღმ-ით, გუმბათქვეშა კვადრატის ორივე კუთხე, თანდათანობით, აფრისმაგვარადაა შევსებული და გუმბათქვეშა თაღის წვეროს დონეზე, დარჩენილი კუთხეების თავზე ირიბად გადებულ ორ ფილასთან ერთად, გუმბათის წრიულ საფუძველს ქმნის. დას. კუთხეებში კი დიდი ზომის, ნალისებთაღიანი ტრომპებია – შირიმის ქვის ჰორიზ. ქუსლებით. ტრომპებს გეგმითაც ნალისებრი ფორმა აქვს. დას-ით, მათი ქუსლების დონიდან, კვადრატიდან წრეზე გადასვლა ისე იწყება, რომ ტრომპები უკვე წრის არეშია მოქცეული. ამ წრიული არის ზემოთ, წყობიდან გამოშვერილი თხელი ქვებით, გამოყვანილია წრიული სარტყელი, რ-ის ზემოთ საკუთრივ გუმბათის ყელი იწყება. ყელის მთელ სიმძიმეს იჭერს აფსიდის წინ მდებარე დიდი თაღი. დანარჩენი წახნაგებით იგი ეყრდნობა კედლებს.

ჩრდ. ეკლესიაში მოხვედრა მხოლოდ დას. გარშემოსავლელიდანაა შესაძლებელი, რ-თანაც ის როგორც კედლებით, ისე კამარითაცაა შერწყმული. კამარა არაწესიერი ფორმისაა, ჩამოსხმულია ქარგილზე და წვეროში აქვს შემაღლება. აფსიდი გეგმით ნახევარწრიულია, მისი თაღი კი – ნალისებრი. თაღს წვერში აქვს მცირე ოვალური შემაღლება. იმპოსტები შირიმისაა – თაროთი და წრეთარგით. ნავი განათებულია ერთადერთი მცირე ზომის სარკმლით, რ-საც ორივე მხრიდან ნალისებრი თაღი ხურავს.



148. მთავარანგელოზთა ეკლესია, ხედი სამხრ.-აღმ-იდან

სამხრ. ეკლ. თავდაპირველად, როგორც ჩანს, ჩრდ. ეკლესიის მსგავსად იყო აგებული, მაგრამ გადაკეთებისას, დას. დერეფნის მსგავსად შეიცვალა. გადაკეთება ცენტრ. ნაწილის კედლებთან შეეხო კამარებს და მათ საყრდენ სისტემას. ამჟამად ორივე კამარა მთავარი ეკლესიის კედლებზე მიდგმულ ოთხ-ოთხ პილასტრს და მათზე გადაყვანილ ნალისებრ თაღებს ემყარება. იმპოსტები შირიმისაა – წრეთარგის ფორმისა. შუა თაღებში ეკლესიაში შესასვლელია მოქცეული. კამარა ნალისებრია, მაგრამ შემაღლების გარეშე. იგი დას. კედლამდე მიდის (არ უერთდება დას. კორიდორის კამარას) და მისგან თაღითაა გამიჯნული. აფსიდა აქაც ნახევარწრიულია, მისი თაღი კი – ნალისებრი. აფსიდში გაჭრილი სარკმელი პა-

ტარაა, შიგნიდან და გარედან გადახურულია ნალისებრი თაღით. სარკმლის ქვემოთ, კედელზე, მი-



148. ეპისკოპოსის პალატი, ინტერიერი, სამხრ. კედლის ნაწილი

შენებულია კუბური ტრაპეზი, სარკმლის მარჯვნივ კი, ნაწილობრივ მიწაში ჩაფლული სამკვეთლო დგას.

დას. გარშემოსავლელს აქვს კოლოფა კამარა, რ-იც სამხრ. ნაცის კამარის მსგავსად, ცენტრ. ნაწილის კედელზე, მიშენებულ ნალისებრი თაღების მწკრივს ეყრდნობა.

ეკლ. გარედან შედარებით მსხვილი, ნატეხი ქვითაა ნაგები. საკურთხეველის შვერილის კუთხეები ნაწყობია მოყვითალო შრომის თლილი ქვებით. შვერილის თითოეული წახნაგი, ზემოთ, მოთუხულია წრიული მოხაზულობის ორსაფეხურიანი შელრმავებით, რ-იც სიღრმეში წითელი სალებავითაა დაფერილი.

გუმბათის ყელი მაღალია. მისი ყველა წიბო და სარკმელთა თამასები სუფთად თლილი შრომისაა. თითოეული წახნაგი გაწყობილია წყობაში მცირედ შელრმავებული, ნალისებრთაღოვანი ნიშით. ნიშები იწყება გუმბათის საყრდენი კეხრატიდან, რ-ის ყოველი კუთხე ერთქანობიანი სახურავითაა გადახურული. საკურთხეველის შვერილი, კედლები და გუმბათის ყელი დასრულებულია შირიმის თლილი ქვის ლაქვარდნით (დიდი ნაწილი აღდგენილია



148. ეპისკოპოსის პალატი, I სართული, მარანი, ხედი სამხრ.-დას.-კენ

სარესტავრაციო სამუშაოების შედეგად). შენობა დაბურულია ღარისებრი კრამიტით.

მონასტრის სამხრ. ნაწილში, უძველეს ეკლესიასა და ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის წინ, ფლატის თავზე, შემორჩენილია სიგრძივ განლაგებული სამონასტრო დანიშნულების რამდენიმე ნაგებობა, რ-თა შორის განსაკუთრებით საინტერესოა შენელოვანია ეპისკოპოსის პალატი. ამ ნაგებობათა განლაგება ცხადად გვიჩვენებს, რომ მთელი მონასტერი თავდაპირველად სწორედ ამ ადგილას იყო კონცენტრირებული. მას შემდეგ, რაც ეს ადგილი მთლიანად იქნა ათვისებული, მონასტერი გაფართოვდა დას-ით, სადაც IX ს-ში აიგო გუმბათოვანი ეკლ. ხოლო შემდეგ, ამავე მხარეს, სატრაპეზო და ბერმონაზონთა საცხოვრ. ნაგებობა. ბერების უძველესი საცხოვრებლები და რამდენიმე დამოუკიდებელი სენაკი, ეპისკოპოსის პალატზე აღმ-იდან იყვნენ მიდგმული

ეპისკოპოსის პალატს შეადგენს მოზრდილი ორსართულიანი ნაგებობა. ქვედა სართულის შესასვლელი დას. კედელშია. კარი (სიგ. 1,5 მ) თარაზულადაა გადახურული. კარის სამხრ-ით განიერი, მაღალი, სწორკუთხა სარკმელია (ამოშენებულია). სართულის (10×5,3 მ) შუაში დგას რვაწახნაგა სვეტი, რ-საც ემყარებოდა II სართულის იატაკის ძირითადი კო-

ელექტრონული ვერსია

ჭები. მოგვიანებით სვეტს აღმ-იდან და დას-იდან, სართულის სიგრძეზე, კედლები მიაშენეს და სართული ორ ნაწილად გაყვეს, ხოლო

ჩრდ. ნაწილის დას. ბოლოში მცირე ზომის სათავსი მოაწყვეს.

პალატის ზედა სართულში შესასვლელი მოწყობილია ჩრდ. კედლის შუაში. კარი ნალისებრი თაღითაა დასრულებული. სართულის აღმ. და დას. კედლებში ორ-ორი მოზრდილი, ნალისებრი თაღით გადახურული ღიობია, რ-ებიც იატაკის დონიდან იწყება. ხუთი მსგავსი ღიობი სამხრ. კედელშია – ალაზნის ველისკენ. აღმ. ღიობების ზემოთ, ფრონტონის არეში, პატარა, ნალისებრი თაღით დასრულებული სარკმელია. ამავე კედლის ხამხრ. და ჩრდ. ნაწილებში და ღიობების ზემოთ, თითო სწორკუთხა ნიშაა. დას. კედლის სამხრ. ნაწილში ერთი განიერი, ბრტყლად გადახურული ღიობია, რ-ელიც, როგორც ჩანს, მოგვიანებითაა გაჭრილი.

პალატს აღმ-იდან ეკვრის ოდნავ წაგრძელებული სათავსი – მ ა რ ა ნ ი, რ-იც პალატის ქვე და სართულთან ორი განიერი, ნალისებრთაღოვანი მალითაა დაკავშირებული შირებული და არსებითად ერთ სივრცეს ქმნის. მარნის დას. ნაწილის ჩრდ. კედელზე ქვიტკირის მოზრდილი საწნახელი ყოფილა მოშენებული. აქედან ხის ღარებით, ყურძნის წვენი მარნის იატაკში ჩაფლული ქვევრებისკენ მიედინებოდა. მარანს ბრტყელი გადახურვა ჰქონდა, რ-იც პალატის ზედა სართულის აღმ. ფასადის წინ ღია ტერასას ქმნიდა. მარნის ჩრდ-აღმ. კუთხეში [illegible] კიბეა, რ-იც ტერასაზე [illegible]

მარანს ჩრდ-იდან ეკვრის გეგმით ოთხკუთხა და ცილინდრული კამარით გადახურული საკმაოდ მაღალი ნაგებობა, რ-ის თავზე მოწყობილია პატარა სათავსი. ამ სათავსში შესასვლელი ტერასიდანაა. XVI ს-ში ნაგებობაზე სათაყდაცვო კოშკი დაუშენებიათ. კოშკი მაღალია, ოთხკუთხა (5,3×3,6 მ). ნაგებია ნატეხი ქვით. წარმოადგენს კომპლექსის მთავარ ვერტიკალურ დომინანტს. კოშკის მეოთხე სართულის (გამოიყენებოდა მონასტრის სამრეკლოდ) ოთხივე კედელში გაჭრილია ფართო თაღოვანი სარკმლები. დანარჩენ სართულებში კი, მხოლოდ სათოფურებია მოწყობილი. კოშკის სახურავი ქვისაა, ორქანობიანი.

მარნის აღმ. კედელში კარია, რ-იც გადის მცირე ზომის კამაროვან დარბაზში. დარბაზს აღმ-იდან ეკვრის კიდევ ერთი სათავსი. დარბაზისა და ამ სათავსის იატაკების ქვეშ რამდენიმე კამაროვანი სარდაფია, რ-ებსაც სარკმლების ნაცვლად, მცირე ხვრელები აქვს. სავარაუდოდ, ამ ნაწილში ბერმონაზონთა საერთო საცხოვრ. იყო მოწყობილი. უფრო ქვემოთ კი რამდენიმე განცალკევებული სენაკი.

კომპლექსის დას ნაწილში, უძველეს ეკლესიასა და მთავარანგელოზთა ეკლესიას შორის, სანახევროდ ფერდობში შეჭრილი, ერთსართულიანი, ნატეხი ქვით ნაგები, გეგმით სწორკუთხა (შიდა ზომები: 7,1 × 4,9 მ) შენობაა, რ-იც მონასტრის ს ა ტ რ ა პ ე ზ ო დ ა ა მიჩნეული. ერთადერთი შესასვლელი მას დას-იდან აქვს. კარი ბრტყლადაა გადახურული. შესასვლელის ზემოთ, ფრონტონის არეში, მცირე ზომის სწორკუთხა სარკმელია. კარის ჩრდ-ით კი – სწორკუთხა ნიშა. გრძივი კედლები დანაწევრებულია მარტივი პილასტრებითა და მათზე დაყრდნობილი ნახევარწრიული თაღებით. სამხრ. კედელზე სამი თაღია, ჩრდ-ისაზე – ორი. აღმ. კედელში გეგმით ნახევარწრიული, განიერი და



148. კოშკი-სამრეკლო, ხედი აღმ-იდან

მაღალი, თაღოვანი ბუხარია. კედელში, ბუხრის გარდა, შვიდი, თითქმის თანაბარი სიმაღლის, სწორკუთხა ნიშაა მოწყობილი. მათგან ექვსი სიგანით ერთმანეთის ტოლია, ხოლო ერთი (ბუხრის ზემოთ), დანარჩენებზე თითქმის სამჯერ უფრო განიერია. კიდევ სამი სწორკუთხა ნიშა ჩრდ. კედელშია, ორი კი დას. კედელში.

სატრაპეზოს სამხრ-იდან ექვრის მასზე ორჯერ უფრო მოკლე, სწორკუთხა, ცილინდრული კამარით გადახურული სათავსი, რ-საც იგი სამხრ. კედლის აღმ. ნაწილში (თაღის არეში) გაჭრილი კარით უკავშირდება.

ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის ჩრდ.-აღმ-ით, 2009 წელს წარმოებული არქეოლ. გათხრების (ხელმძღ. ნ. ბახტაძე) შედეგად აღმოჩნდა ქვიტკირის კედლებით შექმნილი სამი ტერასა და მათზე განლაგებული ბერების საცხოვრ.



148. სატრაპეზო, გეგმა

და საყოფაცხოვრებო ნაგებობების ნაშთები. ნაგებობების მახლობლად გამოვლინდა ქვით ნაგები წყარო და თონე, რ-საც წაკვეთილი კონუსის ფორმა ჰქონია, პირი კი სტილიზებული ჯვრის გამოსახულებებით ყოფილა შემკული. გათხრებისას დაფიქსირდა XI-XIII სს-ის თიხის მოუჭიქავი და მოჭიქული ჭურჭლის ნატეხები. ლარისებრი და ბრტყელი კრამიტის ფრაგმენტები. ამავე ტერასაზე აღმოჩნდა კიდევ ერთი სენაკის ნაშთი.

ძეგლს სხვადასხვა დროს ჩაუტარდა სარესტ.-აღდგენითი სამუშაოები. 1940-იან წლების ბოლოს, კულტურის ძეგლთა დაცვის განყოფილების მიერ აღადგა და გაფართოვდა მონასტრამდე მიმავალი საურმე გზა.

1949 წელს მცენარეულობისგან გაიწმინდა და დეტალურად



148. სატრაპეზო, გრძივი ჭრილი, ხედი სამხრ.-კენ

აიზომა მონასტრის სამნავიანი ბაზილიკა (არქიტ. ჯ. ცინცაძე).

1970-იან წწ-ში სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნომ რესტავრაცია ჩაუტარა ღვთისმშობლის შობის სახელობის სამეკლესიიან ბაზილიკას (პროექტის ავტორი, არქიტ. ო. თორთლაძე). აღდგა ჩრდ. ნავი, ლავგარდანი; შენობა გადაიხურა კრამიტით.

1980-იანი წლების ბოლოს სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნოს მიერ საკონსერვაციო სამუშაოები ჩაუტარდა ღვთისმშობლის შობის სახელობის სამეკლესიიანი ბაზილიკის მოხატულობას (რესტავრატორი შ. აბრამიშვილი). გარდა ამისა, შეკეთდა შენობის დაზიანებული ნაწილები, მოიხსნა 1970-იან წლებში მოწყობილი ლავგარდნის ნაწილი და სახურავის საფარი; მოეწყო ახ. ლავგარდანი და შენობა ხელახლა გადაიხურა კრამიტით (პროექტის ავტორი, არქიტ. რ. ცხადაძე).

2001-2008 წწ-ში სარესტ.-საკონსერვაციო სამუშაოები ჩაუტარდა მონასტრის ქვედა ნაგებობას. ბერების საცხოვრებლად აშენდა ხის სახლი.

2003-2004 წწ-ში, ნაზვრევი გორის ძირში, მონასტრისკენ მიმავალი გზის დასაწყისთან, ამოწვწმ. მღვდელმოწამე [illegible] სელის სახელობის გუმბათოვანი ტაძარი. მის მახლობლად კი – სენაკები, ახ. სატრაპეზო და სასტუმრო მომლოცველთათვის (პროექტის ავტორი, არქიტ. თ. ბერიძე).

2009-2010 წწ-ში საქართვ. კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და საქართველოს კულტურის დაცვის ფონდის მეოხებით, გაუმჯობესდა მონასტრამდე ასასვლელი საავტ. გზა, კეთილმოეწყო მონასტრის ტერიტ., სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა ღვთისმშობლის შობისა და მთავარანგელოზთა ეკლესიებს



148. სატრაპეზო, ხედი სამხრ.-დას-იდან

და ეპისკოპოსის პალატის კომპლექსის ნაგებობებს (პროექტის ავტორი, არქიტ.-რესტავრატორი მ. გელაშვილი). აშენდა დამთვალიერებელთა მომსახურების ცენტრი

(პროექტის ავტორი, არქიტ. ნ. მინდორაშვილი), გადაიხურა ღვთისმშობლის შობის ეკლესიის ჩრდ.-



148. სატრაპეზო, ინტერიერი, ხედი ჩრდ.-აღმ.-კენ

აღმ-ით ღია ცის ქვეშ მდებარე მარანი, დაკონსერვდა მის წინ მდებარე ქვიტკირის საწნახელი (პროექტის ავტორი, არქიტ. ვ. ორბელაძე), ეპისკოპოსის პალატში ამოჭრილდა საგამოფენო დარბაზი. გამოფენაზე წარმოდგენილია ნაქალაქარ ნეკრესის ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლ. გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა და მონასტრის ისტორიასთან დაკავშირებული წერილობითი დოკუმენტები.

2011 წელს, საქართვ. კულტ. მემკვიდრეობის დაცვის ეროვნ. სააგენტომ საკონსერვაციო სამუშაოები ჩაუტარდა ღვთისმშობლის შობის სახელობის სამეკლესიოანი ბაზილიკის დას. კედლის მოხატულობას (რესტავრატორი დ. გაგოშიძე).

მონასტერში ყოველწლიურად, 7 იანვარს, ქრისტესშობის ღამეს, იმართება სახალხო დღესასწაული ნეკრესობა. ეს ერთადერთი ქრისტ. დღესასწაულია, რის დროსაც სხვა შესაწირ ცხოველთან თუ ფრინველებთან ერთად, ღორსაც სწირავდნენ. საიდან მოდის ეს ტრადიცია წყაროებით არ დასტურდება. ხალხში გავრცელებული თქმულების თანახმად, ლეკებს,ერთ-ერთი შემოსევის დროს, მონასტერი ალყაში მოუქცევიათ. ალყა დიდხანს გაგრძელებულა. მონასტერში შეხიზნულებს ღორები დაუკლავთ და იქაურობა მათი სისხლითა და ხორცით გაუვსიათ. ამის დანახვაზე ღორისმოძულე მტერს ალყა მოუხსნია და იქაურობას გასცლია.



148. წმ. გიორგის ეკლესია, ხედი დას-დან

აკად. ლ. ჭილაშვილი ღორის შეწირვის რიტუალის წარმომავლობას ინდოირანული ღვთაების მითრას თაყვანისცემის რიტუალთან აკავშირებს, რ-ის ძირითადი აქტი ტახის მსხვერპლად შეწირვაა. მსხვერპლშეწირვა მითრას შობის დამეს ხდება (ქრისტესშობის დღე მითრას შობის დღეს ემთხვევა) და გათენებამდე გრძელდება. ამჟამად, ქრისტ. ეკლესიის პირობებში, ღორების მსხვერპლშეწირვა ქრისტესშობის დამეს (შუაღამის შემდეგ) ქალიაქვანის მთის ძირში იწყება, შემდეგ კი მიმდინარეობს ნაქალაქარის ტერიტორიაზე, ვიდრე სამონასტრო კომპლექსამდე.

გ. დუნდარიანი, თ. დვალი.

ბიბლ.: 18; 19; 21; 22; 28; 42; 55; 74; 79; 207; 231; 264; 323; 335.

149. სატაძრო კომპლექსი, არქეოლ., არქიტ. ძ. მდებარეობს ნაქალაქარის ზღუდის გარეთ, ე.წ. ნაზვრევი გორის ძირში, ვაკე ადგილზე.

კომპლექსის ნანგრევები 1980-იანი წლების დასაწყისამდე ყოფილა შემორჩენილი, რ-ებიც 1981-82 წწ-ში, მიწის სამუშაოების დროს, ისინი მთლიანად დაუნგრევიათ.

1984 წელს ძგლზე არქეოლ. გათხრები ჩატარა საქართვ. სახელმწ. მუზეუმის არქეოლ. ექსპედიციამ (ხელმძღ. ლ. ჭილაშვილი).

სამეცნ. ლიტერატურაში ძგლის დანიშნულების შესახებ არსებობს ორი განსხვავებული თვალსაზრისი: ლ. ჭილაშვილი მას მაზდეანურ ტაძრად მიიჩნევს და II-IV სს-ით ათარიღებს. მისი აზრით, ტაძარი საქართველოში ქრისტიანობის დამკვიდრებისთანავე დაუნგრევიათ და მის ნაშთებზე ცეხე-დარბაზი აუგიათ. მეორე თვალსაზრისით (გ. ყიფიანი) ძ. მანიქეველთა მონასტერია. მისი მშენებლობა მეფე რევის ზეობის წლებს (265-280) უკავშირდება, ხოლო განადგურება – რელიგიურ-რეფორმისტულ ექსპედიციებს, რ-ებიც ირანის მეფის ვარაჰრან II-ის დროს, 276-293 წწ-ში განხორციელდა.

კომპლექსი შედგ. ერთმანეთისგან ვიწრო დერეფნებით გამიჯნულ, დამოუკიდებელ ნაგებობას შეიცავს. მათი დაგეგმარება და ურთიერთგანლაგება ქმნის კვადრატს (დაახლ. 42×42 მ), რ-იც ზღუდით ისეა შემოფარგლული,



149. გეგმა

რომ ნაგებობებსა და ზღუდეს შორის ვიწრო (სიგ. 1,5 მ) დერეფანია დარჩენილი. კომპლექსის ცენტრში, თითქმის კვადრ., ერთსათავსიანი (ფართ. დაახლ: 70 კვ მ) ნაგებობაა, რ-ის ოთხივე მხარეს თითო დამოუკიდებელი შენობა დგას. თითოეული მათგანის ძირითადი ნაწილია ნალისებრაფსიდიანი სათავსი (ფართ. დაახლ. 55 კვ მ). ოთხივე სათავსს აფსიდი კომპლექსის ცენტრში მდებარე ნაგებობისკენ აქვს მიმართული. აფსიდის მოპირდაპირე მხარეს კი საკმაოდ განიერი (სიგ. დაახლ. 4,5 მ) შესასვლელი აქვს მოწყობილი. თითოეული შესასვლელის წინ, შენობის შემომხვევი კედლის შუაში, თითქმის იგივე სიგანის ღიობია. სამხრ. და ჩრდ. ნაწილებში მდებარე აფსიდიან სათავსებს ორივე მხრიდან გკვრის იგივე სიგრძის, მაგრამ ოდნავ უფრო ვიწრო, თითო სწორკუთხა სათავსი. ორივე ნაგებობაში გვერდის სათავსები გეგმარებით ერთმანეთის მსგავსია, ისინი აფსიდიანი სათავსისგან ერუ კედლით არიან გამოყოფილი. თითოეულ მათგანს თითო შესასვლელი აქვს. სხვადასხვა ზომის სწორკუთხა სათავსები (ცენტრ. ნაგებობის აღმ-ით და დას-ით მდებარე სათავსები, აფსიდიანი სათავსის შედარებით, ოდნავ უფრო მეტია) რის გამოც, აფსიდი, სწორკუთხა შვერილის სახით, ნაგებობის კონტურს გარეთ გამოდის. აღმ. აფსიდიანი სათავსის სამხრ-ით, მარცხნივ მდებარე სათავსები თანაბარი ფართობისაა (დაახლ. 28 კვ მ). მათ შორის ვიწრო დერეფანია. ორივე სათავსში შესახვლელი ამ დერეფნიდანაა. დას. აფსიდიანი სათავსის მარცხნივ (ჩრდ-ით) მდებარე სათავსებიდან პირველი – მომცროა (დაახლ. 32 კვ მ) და ფართობით მარჯვნივ მდებარე ოთახის ტოლია. ხოლო მეორე – მოზრდილია (ფართ. დაახლ. 53 კვ მ). გარდა ამისა, შენობის ჩრდ.-აღმ. და სამხრ.-დას. კუთხეებში კიდევ თითო განცალკავებული, ოთხკუთხა ნაგებობაა.

შენობების შემორჩენილი კედლები ნაგებია მოზრდილი ზომის, ტლანქად დამუშავებული ნატეხი ქვით კირის ხსნარზე. მოგვიანებით აგებულ კედლებში (სისქე 1,5 მ-ია), ნატეხ ქვასთან ერთად, გამოყენებულია აგურიც (33/38×2/3 სმ).

ნაგებობის გათხრისას დადასტურდა I-IV სს-ის თიხის ჭურჭლის



149. საერთო ხედი ჩრდ.-აღმ-დან (ნეკრესის მიმაბრდან)

ფრაგმენტები. მათ შორის გამოიყოფა წითელპრიალა ნატეხები, მოთეთრო ნაწარმი, ყვლწიბოვანი და ყურიანი დოქის ფრაგმენტები. არქეოლ. მონაპოვრიდან ყურადღებას იპყრობს სამხრ. აფსიდიან ნაგებობაში გამოვლენილი სარიტუალო დანიშნულების, თიხის მოზრდილი, განიერმუცლიანი და ბრტყელძირიანი ქილის ქვედა ნაწილი, რ-ის ფსკერზე შემორჩენილი იყო სამფეხა სადგარის კვალი; რკინის ორკაპა ჩანგალი, რიც, სავარაუდოდ, ასევე რიტუალის შესრულების დროს გამოიყენებოდა და ოთხკუთხა კვეთის ბოლოებმოკაუჭებული, ნალისებრი ფორმის რკინის ნივთი.

თ. დვალი.

ბიბლ.: 22; 209.

საბუე

(საკრებულოს ცენტრი)

150. საბუე, საბუეთი, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს კახეთის კაკჰიონის სამხრ. კალთაზე, მდ. ინწობის (ალაზნის მარცხ. შენაკადი) მარცხ. ნაპირას. სოფელი დასახლებული იყო შუა საუკუნეებიდან. წერილობით წყაროებში იხსენიება XVIII ს-იდან. ერეკლე II-ის მეფობის პერიოდში აქ აშენდა და განახლდა ციხეები, ციხე-გალავნები. ამ დროისათვის საბუე ნადირაშვილების კუთვნილება იყო.

1812 წ., კახეთის აჯანყების დროს, რ-შიც ჩართული იყვნენ საბუელებიც, შილდასთან გამართული ბრძოლის შემდეგ, გენერალ დიმიტრი ორბელიანის რაზმმა საბუე ბალ-ვენახიანად გადაბუგა და გაანადგურა.

საბუეში დაიბადა სასულიერო მოღვაწე, ალავერდის ეპისკოპოსი პეტრე კონჭოშვილი (1836-1909. დაკრძალულია ალავერდის ტაძარში), საღვთო წიგნების, მათ შორის ბიბლიის ქართ. ტექსტის რედაქციისა და ბეჭდვის ერთერთი მონაწილე. ავტორი წიგნისა „მოგზაურობა წმ. ქალაქს იერუსალიმსა და წმ. ათონის მთაზედ“. საბუეში ერთხანს ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მწერალი ბარბარე ჯორჯაძე (1811-1895) – რაფიელ ერისთაეის და.

გ. აფრასიძე.

ბიბლ.: 17; 48ა; 172გ; 199გ; 202ზ; 229.

151. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფელში, თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ეკლ. ნანგრევებადაა ქცეული და მთლიანად დაფარულია ეკალბარდებით. ნანგრევებში იკვეთება აფსიდის რკალი, საკურთხეველის ორივე მხარეს არსებული სათავსების ნაშთები, სამხრ. კედლის შუა ნაწილი – პილასტრითა და შესასვლელის წირთხლით და ჩრდ-დას-ის კუთხე. შენობა ნაგები ყოფილა სხვადასხვა ზომის ნატეხი ქვით.

მ. აბაშიძე.

152. ელიას ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს ჭინჭრიანად წოდებულ ადგილზე. თარიღდება IX-X სს-ით.

ეკლ. გეგმით სწორკუთხაა (8,1×4,8 მ). ნაგებია რიყის ქვითა და კირის ხსნარით. ძლიერ დაზიანებულია: დანგრეულია ჩრდ. და დას. კედლების უმეტესი ნაწილი, ჩაქცეულია კამარა, კონქი. ინტერიერი ნანგრევებითა და მიწითაა ამოვსებული. შესასვლელი



152. გეგმა

სამხრ-იდანაა. კარს გადახურვა ჩამოშლილი აქვს. აღმ-ით ღრმა, კარგად გამოყვანილი, ნალისებრი აფსიდია. აფსიდის შუაში გაჭრილია ვიწრო სარკმელი, რ-ის ჩრდ-ით და სამხრ-ით მოწყობილია თითო ოთხკუთხა ნიშა.

მ. აბაშიძე.

153. კვირაცხოვლის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობდა სოფლის ეზოში. საბჭოთა ხელისუფლებამ ეკლესია გადააკეთა სკოლის სახელოსნოდ და მთლიანად დაუკარგა პირვანდელი სახე.

მ. აბაშიძე.

154. კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფელში, ს. ბაწილაშვილის ეზოში. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

კოშკი ოთხკუთხაა, სათავდაცვო. ნაგებია ყორე ქვით – სქელ კირის ხსნარზე. შემორჩენილია ორი სართულის სიმაღლეზე. პირველი სართული ამოვსებულია მიწით. შესასვლელი მეორე სართულის აღმ. კედელშია. კარს ქვედა ნახევარი ჩამონგრეული აქვს. სართულის ოთხივე კედელში ორ-ორი სათოფურია გაჭრილი.

მ. აბაშიძე.

155. კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფელში, რ. კონჭოშვილის ეზოში. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით. კოშკი ოთხკუთხაა, ნაგები იყო ყორე ქვითა და კირის ხსნარით. შემორჩენილია მხოლოდ პირველი სართულის კედლები, რებზეც დაშენებულია სამეურნეო დანიშნულების სათავსი.

ბ. კუპრეიშვილი.

156. მარანი, არქიტ. ძ. მდებარეობს ვ. ჩაბალაშვილის ეზოში. თარიღდება XIX ს-ით. შენობა გეგმით ოთხკუთხაა. ნაგებია ნატეხი ქვითა და კირის სქელი ხსნარით. შესასვლელი სამხრ-იდან აქვს. კარი თაღოვანია. შიგნით, ჩრდ. ნაწილში, მოწყობილია საწნახელი. აღმ. კედელში თახჩების რიგია. ქვევრები განლაგებულია ქაოსურად.

მ. აბაშიძე.

157. მაცხოვრის ეკლესია, არქიტ. დგას სოფელში, თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია (7,9×5,1 მ). ნაგებია ნატეხი ქვითა და რიყის ქვით. გამოყენებულია აგურიც. შესასვლელი დას-ითაა. კარი თარაზულადაა გადახურული. ეკლესიის დარბაზი შესამნევად მოკლეა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმ-ით დასრულებულია ნალისებრი ფორმის აფსიდით, რ-ის სიღრმე დარბაზის სიგრძის ტოლია. აფსიდის ღერძზე შეისრულთაღოვანი სარკმელია გაჭრილი. თითო მსგავსი სარკმელი დანარჩენ კედლებშიცაა. აფსიდში, სარკმლის ორივე მხარეს, თითო, გეგმით თითქმის ნახევარწრიული, შეისრულთაღოვანი ნიშაა. აფსიდი გადახურულია კონქით. კონქის თაღი შეის-



157. გეგმა

რულია. შეისრული ფორმისაა კამარაც, რ-იც დას-ით კედლის მიმდებარე საბჯენ, კრონშტაინებზე დაყრდნობილ, თაღზეა დაბჯენილი.

ეკლესიის დას. ფასადზე, სარკმლის ზემოთ, კედლის წყობაში, ჩასმულია ქვა ჯვრის რელიეფური გამოსახულებით. ჯვრის ქვემოთ, თაეისუფალ არეზე, ფრაგმენტულად შემორჩენილი ნუსხური წარწერაა. ფასადები დასრულებულია კუთხით შერილი აგურების რიგით გამოყვანილი ლაქარდნით.

შენობა გადახურული იყო კრამიტით (ამჟამად მთლიანად აერილია).

კ. გიორგობიანი.

158. მუგუთის წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით, 7 კმ-ზე, მუგუთად წოდებულ ადგილზე. თარიღდება შუა საუკუნეებით. ეკლ. დარბაზულია, უაფსიდო. ნაგები იყო ნატეხი ქვითა და კირის ხსნარით. შემორჩენილია ნანგრევების სახით. აღმ. კედლის შუაში გაჭრილია სარკმელი, რის ქვემოთ, კედელზე ტრაპეზია მიშენებული.

ეკლესიის დას-ით, რამდენიმე მ-ის მანძილზე, ნაგებობის (მ ა რ ა ნ ი?) ნანგრევებია. იქვე შეინიშნება რამდენიმე დიდი ზომის ქვევრის კვალი. ძეგლის გარშემო შემორჩენილია გ ა ლ ა ვ ნ ი ს ფრაგმენტები.

ბ. კუპრეიშვილი.

159. ნათლისმცემლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით, 6–7 კმ-ზე, მდ. ინწობის (ალაზნის მარცხ. შენაკადი) მარცხ. ნაპირას, ყადორის უღელტეხილისაკენ მიმავალი საჭაპანო გზის პირას, კლდოვანი მთის ძირში. თარიღდება VIII-IX სს-ით.

ეკლ. დიდი ზომის სამეკლესიანი ბაზილიკაა. შენობის გეგმის სწორკუთხედში (18,2×14,8 მ) ნაწერილია სამი სადგომი, რ-ებიც დამოუკიდებელ ეკლესიებს წარმოადგენენ. შუა ეკლ. აღმ-ით დასრულებულია საკურთხევლის აფსი-



159. გეგმა

დით, რ-ის გვერდებზე გეგმით სწორკუთხა სათავსებია – სამკვეთლო და სადიაკვნე. შენობის დას. ნაწილში განიერი დერეფანია, რ-იც გვერდის ეკლესიებს ერთმანეთთან აკავშირებს.

შენობა ძლიერ არის დაზიანებული: დანგრეულია მთავარი ეკლესიის კამარა, კონქი და ჩრდ. კედლის დიდი ნაწილი, მთლიანად მიწითა და ნანგრევებითაა ამოვსებული ჩრდ. ეკლ. და სამკვეთლო, დანგრეულია დას. გარშემოსავლელის დას. კედელი. სადიაკვნესაც კამარა აქვს ჩამოშლილი.

ეკლ. ნაგებია სხვადასხვა ზომის ნატეხი ქვით. წყობა ძირითადად ირეგულარულია. საპირე წყობის გარკვეული ნაწილი შედგენილია ცერად დაწყობილი ქვების სწორხაზოვნად გამაეალი რი-

გებით, რ-ებიც თხელი ქვებით გამოყვანილ თითორიგიან შრეებს შორისაა მოქცეული. გამოყენებულია დიდი ზომის (25×25×7 *სმ*)

აგურიც, რ-ითაც ძირითადად მთავარი ეკლესიის შესასვლელების თაღები და კონქის თაღია (შემორჩენილია ორივე ქუსლის წყობა) ნაწყობი. აგური ფხვიერია, ცუდად



159. ჭრილი, ხედი აღმ-კენ

გამომწვარი. საკურთხევლის კუთხეები და სარკმლის გარეთა ღიობი გამოყვანილია შირიმით. მოგვიანებით (სავარაუდოდ, XVI ს-ში) ნატარებული რემონტის შედეგად აღდგენილ ნაწილებში გამოყენებულია მცირე ზომის (23×23×5 სმ) აგური და აქა-იქ ცისფრად მოჭიქული კრამიტის ნატეხები.

მთავარ ეკლესიას სამხრ-ით და დას-ით, ორი საკმაოდ მაღალი შესასვლელი აქვს. ორივე კარი ნახევარწრიული თაღითაა გადახურული. შენობის აღდგენისას ორივე თაღი ამოუშენებიათ და შესასვლელები საგრძნობლად დაუდაბლებიათ (მთავარი ეკლესიის მხრიდან ორივე კარის ზემოთ შემორჩენილია თავდაპირველი თაღის შეერილის ნაშთი).

საკურთხევლის აფსიდს სრული ნალის ფორმა აქვს. ნალისებრი ფორმისა იყო კონქის თაღიც (შემორჩენილია ორივე ქუსლი), რ-იც შირიმის რთულპროფილიან იმპოსტებს ეყრდნობა. აფსიდში გაჭრილია ვიწრო, მაღალი სარკმელი. იგი შიგნიდან შირიმის ქვით, თარაზულადაა გადახურული, ხოლო გარედან – ერთ ქვაში გამოკვეთილი, ნახევარწრიული თაღით, რ-ის გვერდებზე, იმავე ქვაზე, მარჯვნივ, ტოლმკლავა, ბოლოებგაფართოებული ჯვარია გამოსახული, მარცხნივ – ორი მოგრძო ჩაღრმავება, რ-თა ერთი ბოლო სწორკუთხაა, მეორე – მომრგვალებული.

მთავარი ეკლ. განათებული იყო სამი სარკმლით. ორი მათგანი სამხრ. კედელშია, ერთი (გვიანდ.) – დას. კედელში (იყო თუ არა სარკმლები ჩრდ. კედელში ამჟამად აღარ ჩანს).

ეკლ. შიგნიდან შელესილი და მოხატული ყოფილა – შემორჩენილია კვალი.

სადიაკვნეს ორი სწორკუთხა შესასვლელი აქვს. ერთი მთავარი ეკლესიდანაა, მეორე (მოგვიანებით ამოუშენებიათ) – სამხრ. ეკლესიიდან. როგორც ჩანს, ანალოგიურად იყო გადაწყვეტილი სამკვეთლოც (დას. კედელი დაფარულია ნანგრევებით, ხოლო კარის ადგილას სამხრ. კედელი დანგრეულია).

სამხრ. ეკლ. შედარებით უკეთაა შემორჩენილი. სამხრ-იდან მას ორმალიანი თაღოვანი შესასვლელი აქვს. მოზრდილი ზომის აგურით ნაწყობი, ნალისებრი თაღებით. თაღები ეყრდნობა ოთხკუთხა კაპიტელით დასრულებულ მრგვალ ხვეტს. სამხრ. ეკლ. გადაკეთებულია. მასში თავდაპირველი კამარის ჩამონგრევის შემდგომ ახ. კამარა აუგიათ, რ-იც თავდაპირველი კამარის ქვემოთაა და დაყრდნობილია მთავარი ეკლესიის კედელზე მიშენებულ თაღედზე. თაღედის ბოლო, დას-ით მდებარე პილასტრი ფარავს ადრე აქ არსებულ თაღს, რ-იც აკავშირებდა სამხრ. ეკლესიასა და დას. გარშემოსავლელს.



159. აღმ. ფასადი

ჩრდ. ეკლესიის ჩრდ. კედლის შუაში გაჭრილია ვიწრო, სწორკუთხა სარკმელი. ეკლ. გადახურული იყო ცილინდრული კამარით. იგი დაყრდნობილი იყო მთავარი ეკლესიის ჩრდ. კედელზე მოწყობილ საფეხურზე, რ-იც შე-

ქმნილია კედლის ზედა ნაწილის სისქის შემცირებით.



159. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

დას. გარშემოსავლელის კამარაც მოგვიანებითაა აგებული და თავდაპირველ კამარასთან შე-



159. აღმ. ფასადი, საკურთხევლის სარკმელი

დარებით, გაცილებით დაბლაა და მთავარი ეკლესიის კედელზე მიშენებულ თაღედს ეყრდნობა. თა-

დედის ჩრდ. მალი ნაწილობრივ ჩრდ. ეკლესიის ჩრდ. კედელშია შეჭრილი. ჩრდ. ეკლესიაში, მთავარი ეკლესიის დას. კედლის ხაზზე, ჩაშენებულია კედელი თაღოვანი კარით (ამოშენებულია), რმაც ჩრდ. ეკლ. დას-იდან დაკეტა. გარშემოსავლელის ძვ. კამარის ქუსლი ჩრდ. ეკლესიის კამარის ქუსლის დონეზეა. ისევე როგორც ჩრდ. და სამხრ. ეკლესიებში, კამარა აქაც დაურდნობილი იყო კედლის მთელ სიგრძეზე მოწყობილ საფეხურზე.

ეკლესიის დას. ფრონტონის წყობაში, შირიმის ქვაზე, ტოლმკლაკებიანი, რელიეფური ჯვარია გამოსახული. ფასადები დასრულებული ყოფილა აგურის ორსაფეხურიანი ლავგარდნით, რ-ის ქვედა საფეხური ლეკალური აგურით იყო გამოყვანილი.

აღდგენის შემდეგ, მალევე ეკლესიისთვის სამხრ-იდან, მიუშენებიათ გეგმით სწორკუთხა, სამსართულიანი კ ო შ კ ი, რ-ის ჩრდ. კედელი დაშენებულია ეკლესიის სამხრ. კედელზე.

ეკლესიის ეზო, რ-ის ნაწილი ხელოვნურად იყო გამაგრებული, გარშემოვლებული იყო ქვის კედ-



159. კოშკი, ხედი ჩრდ.-აღმ-იდან

ლით (შემორჩენილია ფრაგმენტები). მოგვიანებით, ეკლესიის [illegible] დეს შემოავლეს მეორე, უფრო მაღალი, სათავდაცვო კედელი, რ-იც გაცილებით დიდ ტერიტორიას ფარგლავდა. გალავნის სამხრ. ნაწილში ჩართულია ორსართულიანი კოშკი, რ-ის პირველი სართული თაღოვანი კარიბჭეა, მეორე სართული კი გუშაგებისთვის იყო განკუთვნილი. გალავნის გარეთ, დას-ით, ხრამის პირას, შემორჩე-

ნილია დიდი, გეგმით წრიული და სათოფურებით აღჭურვილი კოშკის ნანგრევები. ეკლესიის თავდაპირველი ზღუდის სიახლოვეს კი – სხადასხვა ზომის რამდენიმე ნაგებობის კვალი.

თ. დვალი.

ბიბლ.: 229; 323; 335.

160. ნათლისმცემლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია (12,2×6,6 მ). ნაგებია რიყის ქვით და აგურით. შიგნიდან და გარედან შელესილია. შესასვლელი დას-იდან და ჩრდ-იდან აქვს. ორივე კარი ნახევარწრიული თაღითაა გადახურული და შიგნიდან ნახევარწრიულთაღოვან შეღრმავებებშია ჩასმული. აღმ-ით საკმაოდ ღრმა, ნახე-

ვარწრიული აფსიდია, რ-ის ღერძზე ნახევარწრიულთაღოვანი სარკმელია გაჭრილი. თითო მსგავსი



160. გრძივი ჭრილი, ხედი ჩრდ-კენ. გეგმა

სარკმელი სამხრ. და დას. კედლებშიცაა. აფსიდის გვერდებში ორ-ორი ნიშაა. საკურთხევლის ბაქანი, დარბაზის იატაკის მიმართ, სა-



160. დას. ფასადი

ფეხურითაა შემაღლებული და შუაში ნახევარწრიული ამბიონი აქვს მოწყობილი. ეკლესიის გრძივი კედლები დანაწევრებულია პილასტრით და მასზე დაყრდნობილი ორ-ორი დეკორატ. თაღით. დარბაზი გადახურულია ნახევარცილინდრული კამარით, რ-იც კონქის თაღის გარდა, კიდევ ორ საბჯენ თაღს ეყრდნობა. თაღები – პროფილირებულ კრონშტაინებს. ერთი საბჯენი თაღი დარბაზის შუაშია, პილასტრების ასწვრივ, მეორე – დას. კედელთან.

ფასადები სადაა. აღმ. და დას. ფრონტონებზე, აგურის წყობით, გამოსახულია საფეხურებიან პოსტამენტზე დაყრდნობილი, თითო შელრმავებული ჯვარი. ფასადები აგურით ნაწყობი სამსაფეხურიანი ლავგარდნითაა დასრულებული.



160. ხედი ჩრდ.-დას-იდან

ეკლ. გადახურულია დარისებრი კრამიტით.

ეკლესიის დას. ფრონტონის წვერზე დადგმულია აგურით ნაგები ს ა მ რ ე კ ლ ო, რ-იც ექვს მრგვალ სვეტზე დაყრდნობილ, ნახევარწრიული თაღებით გახსნილ, ქვაწყობაზე ფანჩატურს წარმოადგენს.

თ. დეკალი.

161. ორმოცები, ე კ ლ ე ს ი ა, არქიტ. ძ. დგას სოფელში. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია. ნაგებია ნატეხი ქვით – კირის ხსნარზე. კონსტრ. ნაწილების და კარ-სარკმლების წყობაში, გამოყენებულია კვადრ. აგური. დაზიანებულია. სახურავზე აყრილია კრამიტი.

შესასვლელი დას-ითაა. კარი თარაზულადაა გადახურული. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია. აფსიდის ღერძზე ნახევარწრიული თაღით გადახურული სარკმელია



161. გეგმა

გაჭრილი. თითო მსგავსი სარკმელი სამხრ. (ამოშენებულია) და დას. კედლებშიცაა. აფსიდის ჩრდ. გვერდში მოწყობილია სამი სხვადასხვა ზომის ნიშა. მათგან ერთი, შედარებით მოზრდილი, თაღოვანია, დანარჩენი ორი – სწორკუთხა. სამხრ-ით, ერთი მეორის თავზე, ორი სწორკუთხა ნიშაა. ზედა ნიშაში სამალავია. კონქის თაღი ნახევარწრიულია. ნახევარწრიულია კამარაც. იგი სხმულია.

ფასადები დასრულებულია მარტივპროფილიანი ლავგარდნით.

კ. გიორგობიანი.

162. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია (11,7×7 მ). ნაგებია რიყის ქვით და აგურით. კედლები ძირითადად რიყის ქვისაა, კარ-სარკმელთა ღიობები, კონსტრ. ნაწილები და ფასადთა მორთულობის ელემენტები გამოყვანილია კვადრ. აგურით. შენობა შიგნიდან და გარედან შელესილ-შეთეთრებულია.

ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს. დას-იდან და ჩრდ-იდან. ორივე კარი თარაზულადაა გადახურული და შიგნიდან შეღისრულ შელრმავებაშია ჩასმული. აღმ-ით ნალისებრი აფსიდია, რ-ის ღერძზე შიგნიდან და გარედან დადაბლებული თაღით გადახურული სარკმელია გაჭრილი. მსგავსი თითო სარკმელი შენობის დანარჩენ

კედლებშიცაა. აფსიდში, სარკმლის ქვემოთ და გვერდებზე, თითო შეისრულთაღოვანი ნიშაა. მათგან სარკმლის ქვემოთ მდებარე ნიშა, გეგმით სწორკუთხაა, დანარჩენი ორი – ნახევარწრიული. საკურთ-



162. გრძივი ჭრილი, ხედი ჩრდ-კედ. გეგმა

ხევლის ბაქანი, დარბაზის იატაკის მიმართ, საფეხურითაა შემაღლებული და შუაში ნახევარწრიული ამბიონი აქვს მოწყობილი.

შიგნით ეკლ. გადახურულია ოდნავ შეისრული კამარით. იგი ერთ შეკიდულ საბჯენ თაღს და დას. კედლის მიმდებარე თაღს ეყრდნობა. ის კი – კუთხის პილასტრებს.



162. ხედი ჩრდ-დას-იდან

აღმ. ფასადის ფრონტონზე, აგურის წყობის შეღრმავებით, გამოსახულია საფეხურებიან პოსტამენტზე დაყრდნობილი ჯვარი, რ-იც ღერძიდან ოდნავ სამხრ-ითაა გადაადგილებული. დას. ფასადზე, შესასვლელის ორივე მხარეს, ერთ ვერტიკალზე განლაგებული ოთხ-ოთხი შეღრმავებული რომბია. ფასადის კიდეებთან კი თითო განიერი, შეისრულთაღოვანი ნიშა. ერთი პატარა, სწორკუთხა ნიშა შესასვლელის ზემოთაცაა. ფრონტონზე კი სამი დიდი შეღრმავებული ჯვარია. ჩრდ. ფასადზე, შესასვლელი მორთულია, მის ორივე მხარეს, ვერტიკალურად განლაგებული სამ-სამი რომბით.

ფასადები დასრულებულია აგურის ორსაფეხურიანი ლავგარდნით. გადახურულია ღარისებრი კრამიტით.

თ. დვალი.

163. ყადორის ციხე, არქიტ. ძ. დგას სოფლიდან ჩრდ.-აღმ-ით 8-9 კმ-ზე, ყადორის უღელტეხილზე, გაშლილ ადგილას. აგებულია XVIII ს-ის II ნახ-ში. რუსეთის მთავრობის მიერ, კახეთიდან დაღესტანში გადასასვლელი საჭაპანო გზის დასაცავად. ადგილ. მოსახლეობა ნაგებობას ყადორის ციხეს უწოდებს.

ნაგებობა გეგმით კვადრატულია (17,4×17,4 მ), სამსართულიანი. გარედან მის ორ მოპირდაპირე (ჩრდ-აღმ. და სამხრ.-დას.) კუთხეზე მიშენებულია გეგმით სწორკუთხა, სამსართულიანი კოშკი, რ-ებიც თითქმის მთლიანად შემორჩენილია, მის კონტურს გარეთაა გამოსული.

შენობა ნაგებია ფიქლით, ნატეხი ქვითა და კირის სქელი ხსნარით. შესასვლელების ღიობებისა და სათოფურების წყობაში გამოყენებულია ტლანქად დამუშავებული დიდი ზომის ქვებიც. ძლიერ დაზიანებულია. იგი XIX ს-ის შუა წლებში ლეკებს გადაუწვავთ. შემორჩენილია ორი სართული და მესამე სართულის კედლების უმნიშვნელო ნაწილი. თითქმის მთლიანადაა დანგრეული სამხრ.-დას. კუთხეში მდგარი კოშკი (6,8×5,2 მ).

შესასვლელი პირველ სართულზე, სამხრ. კედლის დას. ნაწილშია. სართული სხვადასხვა ფართობის რამდენიმე სათავსისგან შედგება, რ-ებიც ერთმანეთისგან კედლებითაა გამიჯნული. სამივე სართულის კედლებში განიერი, თითქმის კვადრ. ფორმის სარკმლები და ვიწრო სათოფურებია.



163. გეგმა

ჩრდ.-აღმ. კუთხეზე მიშენებულ კოშკს (6,8×5,8 მ) ორი შესასვლელი აქვს – სამხრ.-იდან და დას.-იდან. ორივე კოშკის სართულები ციხის შესაბამისს სართულებთან კარით იყო დაკავშირებული.

ქ. გიორგობიანი.

ბიბლ.: 289.

164. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს საბავშვო ბაღის ეზოში. მთლიანად დანგრეულია. შემორჩენილია საძირკვლის ფრაგმენტები და გროვად დაყრილი მოზრდილი ნატეხი ქვები.

ბ. კუპრეიშვილი.

165. წმ. შიოს ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-ით, სასაფლაოზე. თარიღდება VI ს-ით.

ძ. სამეკლესიოანი ბაზილიკაა (15,5×12,6 მ). ნაგებია მოზრდილი ზომის ნატეხი ქვითა და რიყის ქვით. მოგვიანებით განახლებული



165. გეგმა

და შეკეთებული ნაწილები კვადრ. აგურისაა.

შენობის გეგმის სწორკუთხედში (15,5×12,6 მ) მოქცეულია სამი სადგომი, რ-ებიც დამოუკიდებელ ეკლესიებს წარმოადგენენ. შენობის დას. ნაწილში დერეფანია, რ-იც გვერდით ეკლესიებს ერთმანეთთან აკავშირებს.

ძ. ძლიერ იყო დაზიანებული. ჩამონგრეული იყო მთავარი ეკლესიის კამარა და კონქის მნიშვნელოვანი ნაწილი, სამხრ. ეკლესიისა და დას. გარშემოსავლელის გადახურვა. დანგრეული იყო მთავარი ეკლესიის სამხრ. კედლის დას. ნაწილი და სამხრ. ეკლესიის სამხრ. კედელი.



165. განივი ჭრილი, ხედი აღმ-კენ

1988 წ. ძეგლზე სარესტ. სამუშაოები ჩაატარა სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნომ (პროექტის ავტორი, არქიტ.-რესტავრატორი ზ. ქუფარაშვილი). აღდგა მთავარი ეკლესიის კამარა და კედლების დანგრეული ნაწილები, მოიხსნა გვიანდ. დანამატები, დაკონსერვდა სამხრ. ეკლესიისა და დას. გარშემოსავლელის შემორჩენილი



165. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

კედლები; მთავარი და ჩრდ. ეკლ. და სამხრ. ეკლესიის აღმ. ბოლო გადაიხურა დარისებრი კრამიტით.

მთავარი ეკლესიის შესასვლელები სამხრ. და დას. კედლებშია. ორივე კარი გარედან, უსწორო ფორმის ლოდით, თარაზულადაა გადახურული, ხოლო შიგნიდან – შირიმით ნაწყობი ნალესებრი თაღით. საკურთხეველის აფსიდი გეგმით ნალისებრი ფორმისაა. მკვეთრად გამოხატული ნალისებრი ფორმა ჰქონდა კონქის თაღსაც (შემორჩენილი იყო ორივე ქუსლი). ეკლესიის შეკეთების დროს, კონქი აგურით განუახლებიათ და იგი მნიშვნელოვნად დაუდაბლებიათ. თაღის ქუსლებთან, კედლიდან ოდნავ შეერილი, თხელი ქვის, თაროსებრი იმპოსტებია. აფსიდის ღერძზე გაჭრილია სარკმელი, რ-საც შიგნიდან თარაზული გადახურვა აქვს, გარედან კი გადახურულია შირიმის ქვაში გამოკვეთილი თაღით. საკურთხევლის სარკმლის გარდა, მთავარი ეკლ. სამხრ. კედელში მოწყობილი ორი სარკმლითაც ნათდებოდა. ორივე შიგნიდან თარაზულადაა გადახურული. მათგან აღმ-ით მდებარე სარკმელს გარედან შემორჩენილი ჰქონდა ზედა ქვა, რ-შიც ნალისებრი თაღია გამოკვეთილი. თაღს ირგვლივ ეკვება ჰორიზონტალურბოლოებიანი ეაწრო ლილვი, რ-საც წყვროზე ადგას პატარა, ბოლოებგაფართოებული ჯვარი. ჯვრის მარცხნივ, იმავე ქვაზე, ასომთავრულით შესრულებული, დაქარაგმებული წარწერაა („ქრისტე

სტეფანეი შეიწყალე“), რ-შიც ეკლესიის მშენებელია მოხსენიებული.

მთავარი ეკლ. გადახურული იყო ერთიანი კამარით – საბჯენი თაღების გარეშე.

ჩრდ. ნავის აღმ. ბოლოში მოწყობილია გეგმით სწორკუთხა და დადაბლებული კამარით გადახურული, პატარა სათავსი, რ-იც სამკვეთლოდ გამოიყენებოდა. სათავსში შესასვლელი მთავარი ეკლესიის ჩრდ. კედლის აღმ. ბოლოშია – აფსიდთან. კარი ორივე მხრიდან სწორკუთხაა. სათავსის აღმ. კედელში ჯვრო, შიგნიდან სწორკუთხა, გარედან კი ნალისებრთაღიანი სარკმელია გაჭრილი. მის ქვემოთ დგას მოგვიანებით აგებული კუბური ფორმის ტრაპეზი. სამხრ. და ჩრდ. კედლებში თითო მცირე, სწორკუთხა ნიშაა.

სამხრ. ეკლესიის აღმ. ბოლოში ნახევარწრიული აფსიდია, რ-საც აქვს ბრტყელი კონქი და ბრტყელად გადახურული ჯვრო სარკმელი. ეკლესიის დანარჩენი სივრცე გადახურული იყო დადაბლებული კამარით. მისი ჩრდ. ჭუსლი დაყრდნობილი იყო მთავარი ეკლესიის სამხრ. კედლის მთელ სიგრძეზე მოწყობილ საფეხურზე, რ-იც შექმნილია კედლის ზედა ნაწილის შეთხელებით. ეს საფეხური მოჩანს გარედანაც, აღმ. ფასადზე, რადგან მთავარი და სამხრ. ეკლესიების კედლები ერთმანეთს არ ებმის.

ჩრდ. ეკლ. მოგრძო და უსარკმლო კორიდორია, აღმ-ით დასრულებულია ქრუ კედლით. მოგვიანებით, გადაკეთების დროს, ჩრდ. ეკლ. დას. გარშემოსავლელისგან გაუმიჯნავთ მთავარი ეკლესიის დას. კედლის ხაზზე აგებული აგურის კედლით (მოიხსნა რესტავრაციის დროს), რ-შიც ჯვრო, სწორკუთხა კარი იყო დატანებული.

დას. გარშემოსავლელს დას. კედელში მოწყობილი ჰქონდა სამმალიანი თაღოვანი შესასვლელი (შემორჩენილია მხოლოდ სწორკუთხა ბოძები), რ-იც რამდენადმე ჩრდ-ითაა გადაადგილებული (შესაძლოა, ჩრდ. ეკლესიის უკეთ განათების მიზნით). კამარა, სამხრ. ეკლესიის მსგავსად, აქაც მთავარი ეკლესიის კედელზე მოწყობილ საფეხურს ეყრდნობოდა.

ეკლესიის ფასადები დასრულებული იყო გვიანდ., ხერხულა ლავგარდნით. რესტავრაციის დროს, ანალოგიებზე დაყრდნობით, ეკლესიას გაუკეთდა შირიმის თაროსებრი ლავგარდანი.

თ. დვალი.

ბიბლ.: 323; 335.

166. ხმალა, ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფელში თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია (6,2×4,5 მ). ნაგებია ნატეხი ქვით. დაზიანებულია: მთელ სიმაღლეზეა მორღვეული დას. ორივე კუთხე, დაბზარულია კედლები, კონქი. ჩამოშლილია ლავგარდანი. აერილია კრამიტის სახურავი.



166. გეგმა

ეკლესიაში შესასვლელი დასავლეთიდანაა. კარი კვადრ. აგურით ნაწყობი, შეესრულა თაღითაა დარკალული. აღმ. ფასადის ცენტრში გაჭრილია სარკმელი. სარკმლის ორივე მხარეს თითო სწორკუთხა ნიშაა. თითო შეისრულთაღოვანი სარკმელი სამხრ. და დას. კედლებშიცაა. კამარა სხმულია. იგი ცილინდრული ფორმისაა.

ბ. კუპრეიშვილი.

167. ჯორჯაძეების ციხე-დარბაზის კომპლექსი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფელში, მდ. ინწობის მარჯვ. ნაპირას, ვაკეზე. თარიღდება XVII-XVIII სს-ით.

ციხის გეგმა აღმ-იდან დასავლეთისაკენაა წაგრძელებული. მისი სამხრ. და ჩრდ. კედლები სწორხაზოვანია, ერთმანეთის პარალელური. აღმ-ისა კი, რ-შიც ადრე ამ ადგილას მდგარი სასახლეა ჩართული, ტეხილია. ციხის ჩრდ.-აღმ., ჩრდ.-დას. და სამხ-დას. კუთხეში მდგარა გეგმით წრიული კოშკები. მათგან დასავლეთის ორივე კოშკი და ციხის დას. კედელი მდინარეს წაუღია, ხოლო ჩრდ.-აღმ. კუთხეში მდგომი კოშკი საცხოვრებლად იყო გამოყენებული. ნაწილობრივ შემორჩენილია ორი სართული. ციხის ჩრდ. კედლის შუაში დგას გეგმით ნახევარწრიული კოშკი, რ-იც გალავანზე მოგვიანებითაა მიდგმული. გალავნის სამხრ. კედლის დას. ბოლოში, მდინარის ფლატის პირას, შემორჩენილია სამხრ-იდან



167. სახახლე. I სართულის გეგმა

ჩრდ-ისკენ წაგრძელებული, გაურკვეველი ნაგებობის ნანგრევები. გალავნის შიგნით და გარეთ მჭიდროდ არიან დასახლებულნი, რაც ხელს უშლის ციხე-დარბაზის ნაგებობათა თავდაპირველი სახის წარმოდგენას.



167. სასახლე. II სართულის გეგმა

გალავნის სამხრ. კედლის შუაში თაღოვანი ჭიშკარია. ციხის კედლები (სიმ. 5-6 მ) ნაგებია რიყის ქვითა და კირის ხსნარით. კედლებს ქონგურები არ გააჩნია და თავი გადამრგვალებული აქვს. კედლების ქვედა ნაწილი ყრუა, ზემოთ კი ხის საბრძოლო ბილიკი იყო მოწყობილი. ამ დონეზე შორიშორს განლაგებულია პირდაპირ მიმართული და ძირს დახრილი სათოფურები. გალავნის ჩრდ. კედლის შუაში მოწყობილი ყოფილა ბუხარი.

სასახლე გეგმით წაგრძელებული სწორკუთხედია (15,3×6,4 მ), ნაგებია რიყის ქვით. შესასვლელების წყობაში გამოყენებულია კვადრ. აგური. შენობა შედგება ორი, თითქმის თანაბარი ზომის ნაწილისგან, რ-თა შორის მოქცეულია ვიწრო, კამაროვანი ტალანი.

სასახლის თითოეულ ნაწილში თითო ოთახია (ფართ. დაახლ. 25-30 კვ მ). შემორჩენილია ორი სართული და მესამე სართულის ჩრდ. კედლის ნაწილი.

შესასვლელი ორივე ნაწილის ოთახებს ტალანიდან აქვს. ტალანში შესასვლელი დას-იდანაა. ტალანის კამარის დას. ბოლოში იწყება განიერი, ოთკუთხა ხვრელი, რ-იც მესამე სართულამდე ადის.

პირველი სართულის ორივე ოთახი თითქმის ერთმანეთის მსგავსია. ორივე ოთახში გეგმით ნახევარწრიული თითო ბუხარია. კედლებში დატანებულია სწორკუთხა თახჩები. ორივე ოთახში მოწყობილი იყო ხის კიბე, რ-იც მეორე სართულის ოთახში ადიოდა.

მეორე სართულის ოთახების გადაწყვეტა პირველის მსგავსია. ოთახები ერთმანეთთან დაკავშირებულია მეორე სართულის ტალანში, ერთმანეთის პირდაპირ მდებარე კარებით. ამავე ტალანში იწყება მესამე სართულზე ასასვლელი ქვის კიბე დას-ით მდებარე ოთახის ჩრდ. კედლის შუაში ბუხარია. მის გვერდებზე, ერთი მეორის ზემოთ, თითო სწორკუთხა სარკმელი. სარკმლები ანალოგიურადაა განლაგებული სამხრ. კედელშიც, მხოლოდ მათ შორის, ბუხრის ნაცვლად, სწორკუთხა ნიშაა მოწყობილი. მსგავსი ორი ნიშაა დას. კედელშიც, ხოლო ერთი – აღმ. კედელში.

აღმ-ით მდებარე ოთახის აღმ. კედლის ჩრდ. ბოლოში და ჩრდ. კედლის დას. ნაწილში თითო განიერი სარკმელია. ოთახის კედლებში რვა სათოფურია გაჭრილი. მათგან ორ-ორი აღმ. და ჩრდ. კედლებშია, ხოლო ოთხი – სამხრ. კედელში. დას. კედელში ერთი სწორკუთხა ნიშაა.

სასახლის მეზობელ სართულიდან შემორჩენილია დას. ნაწილის ჩრდ. კედელი, რ-შიც მოწყობილი იყო მადალი, განიერი ნიშები. მათ შორის კი – ოთხი შეწყობილი სათოფური.

სართულშია გადახურვები გამართული ყოფილა ხის კოჭებზე (შემორჩენილია კოჭების საყრდენი ბუდეები).

ციხის ჩრდ. კედელზე მიდგმული კოშკი სამი სართულის სიმაღლეზეა შემორჩენილი. კოშკის პირველი სართულის მომრგვალებულ კედელში ხუთი შეწყობილებული სათოფური და გეგმით ნახევარწრიული ერთი ბუხარია. ამ სართულს კარი ეხსნება აქვს. სართულს კოჭოვანი გადახურვა ჰქონია.

კოშკის მეორე სართული პირველის მსგავსადაა გადაწყვეტილი, მაგრამ, მისგან განსხვავებით, სათოფურები ნიშებში არ არის მოთავსებული. სართული გადახურულია დადაბლებული გუმბათოვანი კამარით.

კოშკის მესამე სართულის კედლებიდან მცირე ნაწილღაა დარჩენილი.

თ. დვალი

ბიბლ.: 74.

სანავარდო

(კუჭატნის თემის საკრებულო)

168. წითელი საჭდარი, ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას. დანგრეულია. შემორჩენილია საკურთხევლის, სამხრ. და ჩრდ. კედლების მცირე ნაწილები.

ბ. კუპრეიშვილი.

169. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლიდან სამხრეთით, 0,5 კმ-ზე, სოფ. ქვლისციხიდან დაბა ყვარლისკენ მიმავალ საავტომობილო გზის პირას, მარცხ. მხარეს, თეთრი გიორგის მკლავად წოდებულ ადგილას. თარიღდება VIII-IX სს-ით.

ძ. სამკლესიანი ბაზილიკაა. იგი ძირითად ფორმებში ტრადიციულად შეჩუქაებულ კომპოზიციურ სტრუქტურას იმეორებს.

შენობა ნაგებია მოზრდილი, ნატეხი ქვის ირეგულარული წყო-

ბით. დროთა განმავლობაში ეკლე-სიამ მნიშვნელოვანი ნგრევა და არაერთი გადაკეთება (საკარა-ულოდ, გვიანდ. შუა საუკუნეებში) განიცადა, რამაც მას სრულიად შეუცვალა თავდაპირველი სახე. მთლიანადაა დანგრეული ჩრდ.



169. გეგმა

ეკლ. და დას. გარშემოსაველელი, განახლებულია მთავარი ეკლესიის კამარა, კონქი, გარეთა კედლების ზედა ნაწილები და ლავგარდანი; აღდგენილია სამხრ. ეკლესიის სამხრ. კედლის უმეტესი ნაწილი. ეკლ. შიგნიდან და გარედან შელე-სილი და შეთეთრებულია.

მთავარ ეკლესიას (გარეთა ზომები: 7,5×4,3 მ) სამი შესასვე-ლელი აქვს: სამხრ-იდან, დას-იდან და ჩრდ-იდან. სამივე კარი თარა-ზულადაა გადახურული. მათგან სამხრ. და დას. კარები თავდაპირ-ველი სახითაა შემორჩენილი, ხო-ლო დას-ისას წირთხლების მნიშ-ვნელოვანი ნაწილი და გადახურვა აღდგენილი აქვს.



169. ჭრილი, ხედი აღმ-კენ

აღმ-ით ნალისებრი აფსიდია, რ-ის ღერძზე გაჭრილია გარეთკენ შეკიდროებული და თარაზულად გადახურული ვიწრო სარკმელი. აფსიდის სამხრ. გვერდში მცირე სწორკუთხა ნიშაა. აფსიდი გადა-ხურულია ტლანქად ნაყობი კონ-ქით, რ-ის თაღი კერცხისებრი ფორმისაა (მსგავსი ფორმა აქვს კამარაც) და აფსიდის მხრების დამაგვირგვინებელ, მარტივი პრო-ფილის (თარო და შეზნექილი მრუდი ზედაპირი) მაღალ იმპოს-ტებს ეყრდნობა. საკურთხევლის სარკმლის გარდა, მთავარ ეკლე-სიას კიდევ ორი, ბრტყლად გადა-ხურული სარკმელი აშუქებს. მათ-გან ერთი სამხრ. კედლის შუაშია, ხოლო მეორე, დას. კედლის ზედა ნაწილში. ეს უკანასკნელი საკმა-ოდ ვიწროა და პარალელური წირ-თხლები აქვს.

სამხრ. ეკლესიის კედლები მთავარი ეკლესიის კედლებს წყო-ბით არ ებმის. აღმ-ით იგი დასრუ-ლებულია ღრმა, ნალისებრი აფსი-



169. ხედი სამხრ.-დას-იდან

დით, რ-შიც სწორკუთხა სარკმე-ლია გაჭრილი. ეკლესიის სამხრ. კედელში მოწყობილი იყო ორმა-ლიანი, თაღოვანი შესასვლელი – თაღებს შორის მრგვალი სვეტით, რ-ის დას. მალი მოგვიანებით აგუ-რითა და ნატეხი ქვით მთლიანად ამოუშენებიათ (საკმაოდ ტლანქად), ხოლო აღმ. მალში, ვიწრო, და-დაბლებული თაღით დასრულე-ბული კარი მოუწყვიათ. ასევე გვი-ანდელია სამხრ. ეკლესიის დას. ნაწილში, მთავარი ეკლესიის დას. კედლის ხაზზე აგებული ორი პი-ლასტრი და მათზე დაყრდნობი-ლი ნალისებრი თაღი, რ-იც თხელი ქვის ფილებითაა ნაწყობი.

შიგნით ეკლ. მშვილდისებრი ფორმის ქვის კამარითაა გადახუ-რული. იგი ეყრდნობა მთავარი ეკლესიის სამხრ. კედელზე მიდგა-მულ ორ პილასტრს და მათზე გადაყვანილ სამკალთს.

ეკლესიის დას. გარშემოსავ-ლელიდან შემორჩენილია სამხრ.-დას. კუთხის ნაშთი და კამარის საყრდენი კედლების მცირე ნაწი-ლები, რ-ებიც მთავარი ეკლესიის დას კედელზე არიან მიშენებული.

ჩრდ. ეკლესიის კედლების კვა-ლიც კი აღარ ჩანს.

ეკლესიის ფასადები დასრუ-ლებულია აგურის ნაწყობი ხერ-ხულა ლავგარდნით, რ-ის დიდი ნაწილი ჩამოშლილია.

ეკლ. გადახურული იყო ღარი-სებრი კრამიტით.

თ. დვალი.

ბიბლ.: 335.

საცხენე

(ახალსოფლის სოფლის საკრებულო)

170. ციხე, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ. განაპირას. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით. ციხე გეგმით სწორკუთხაა (ამჟა-მად მისი ტერიტ. გამოყენებულია სამეურნეო დანიშნულებისამებრ). ნაგებია სხვადასხვა ზომის ნატე-ხი ქვითა და კირის ხსნარით. ცი-ხის სამხრ.-აღმ. კუთხეში მასიური ბურჯია ჩართული. სამხრ.-დას-ით კი – მომცრო მრგვალი კოშკი (შემორჩენილია დაახლ. 5-6 მ სი-მაღლეზე), რ-ის კედლებში ნიშებია მოწყობილი.

ციხე განკუთვნილი იყო მრა-ვალრიცხოვანი გარნიზონის სად-გომად, რასაც მოწმობს გალავნის კედელთან მიჯრით მიშენებული სათავსების ნაშთები. ციხის შეის-რულთაღიანი შესასვლელი გა-ლავნის სამხრ. კედელშია. კედე-ლი სათოფურებითაა აღჭურვილი.

მ. აბაშიძე.

შაძრიანი

(გრემის თემის საკრებულო)

171. აბანო, არქიტ. ძ. მდებარე-ობს სოფლის მიდამოებში. თა-რიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებ-

ით. შემორჩენილია ნანგრევების სახით (კედლების მაქს. სიმ. – 1,5 მია).

შენობა გეგმით ტეხილი მოხაზულობისაა, ნაგები იყო ნატეხი ქვით და აგურით – კირის ხსნარზე. შედგებოდა ორი სხვადასხვა ზომის ნაწილისგან. მოზრდილ ნაწილში (გარეთა ზომები: სიგრ. – 8,3 მ, სიგ. – 5,1 მ) ორი თანაბარი



171. გეგმა

ფართობის ოთახია – საბანაო და მასთან დაკავშირებული გასახდელი. მომცროში (გარეთა ზომები: სიგრ. – 6,7 მ, სიგ. – 3,7 მ) – მოსაცდელი. საბანაო ოთახის დას., სამხრ. და ჩრდ. კედლებში ფართო, თაღოვანი ნიშებია. აღმ. კედელში დატანებული გასასვლელი გასახდელ ოთახში გადის. გასახდელის ჩრდ. კედელში არსებული გასასვლელი კი – მოსაცდელ ოთახში.

აბანოს შესასვლელი მოწყობილი ყოფილა მოსაცდელი ოთახის ჩრდ. კედელში (შემორჩენილია ერთი წირთხლი). ამ ოთახის სამხრ.-დას. კუთხეში დაბალი, მოგრძო თარო მოწყობილი.

ჯ. გიორგობიანი.

172. ქვირაცხოვლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით, 1 კმ-ზე. თარიღდება VI-VII სს.

ძ. სამეკლესიიანი ბაზილიკაა, გარშემოსავლელით სამივე მხრიდან (11,3×9,3 მ), რ-ის გვერდითი ფრთები დამოუკიდებელ ეკლესიებს წარმოადგენს. ჩრდ. ეკლესიას აღმ-იდან ეკვრის განცალკევებული, პატარა სათავსი, რ-იც სამკვეთლოდ გამოიყენებოდა.

შენობა ნაგებია რიყის და ნატეხი ქვით, კარ-სარკმლები გამოყვანილია შირიმის სუფთად გათლილი ქვებით.



172. გეგმა

შუა ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს – სამხრ. ეკლესიიდან და დას. გარშემოსავლელიდან. ორივე კარი შიგნიდან შირიმით ნაწყობი, ნახევარწრიული თაღითაა გადახურული, გარედან კი არაწესიერი ფორმის, მოზრდილი ქვით.

აღმ-ით ნალისებრი აფსიდია, რ-შიც გაჭრილია პარალელურწირთხლებიანი, თაღოვანი სარკმელი. ორი მსგავსი სარკმელი სამხრ. კედელშიცაა. მათი ნაწილი კამარის მრუდშია მოქცეული. აფსიდი დასრულებულია წესიერი ფორმის კონქით. მის თაღს სრული ნალის ფორმა აქვს და დაყრდნობილია აფსიდის მხრების გამაგვირგვინებელ, შირიმის მაღალ იმპოსტებზე, რ-თა პროფილს თა-რო და დახრილი [illegible] შეადგენს. შუა ეკლესიის გრძივი კედლები ერთიანია, დაუნაწევრებელი. ჩრდ. კედლის აღმ. კიდეში, აფსიდის კუთხესთან, ბრტყლად გადახურული კარია, რ-იც სამკვეთლოში გადის.

სამკვეთლო უაფსიდო, ცილინდრული კამარით გადახურული სათავსია, განათებულია აღმ-ის პარალელურწირთხლებიანი სარკმლით. იგი შიგნიდან სწორკუთხაა, გარედან კი შირიმის



172. გრძივი ჭრილი, ხედი სამხრ-კენ

ქვაში გამოკვეთილი თაღი ხურავს, რ-იც შემკულია რელიეფური, ჰორიზონტალურბოლოებიანი ვიწრო წარბით.



172. ხედი ჩრდ.-დას-იდან

სამხრ. ეკლესიის აღმ. ბოლოში ნახევარწრიული აფსიდია (შე-

მორჩენილია 1,4 *მ* სიმაღლეზე), რის შუაში სარკმლის ძირია შემორჩენილი.

ჩრდ. ეკლ. მოგრძო, უსარკმლო დერეფანია. აღმ-ით დასრულებულია სწორი კედლით.

დას. გარშემოსაველელიდან მხოლოდ დას. კედლის განაპირა ნაწილებიდა დგას (მაქს. სიმ. – 0,9 *მ*). კედლის შუა ნაწილი დანგრეულია, რის გამოც კედლის ამ ნაწილში შესასვლელის არსებობის შესახებ დაბეჯითებით რაიმეს თქმა შეუძლებელია.

2011 წ. საერთაშორისო-საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით ძეგლზე ჩატარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები (პროექტის ავტორი, არქიტ-რესტავრატორი ზ. ქუფარაშვილი). აღდგა მთაყარი და ჩრდ. ეკლესიის კედლების მონგრეული ნაწილები და გადახურვა, დაკონსერვდა გარშემოსავლელის შემორჩენილი კედლები.

თ. დვალი.

173. ᲡᲐᲛᲔᲒᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის აღმ-ით 3 *კმ*-ზე, ქეშახეთისა და თხილიანისწყლების გამყოფი მთის ერთ-ერთ განშტოებაზე. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია (8,6×5,3 *მ*). ნაგებია ნატეხი ქვითა და აგურით. 1980 წ. ადგილ. მოსახლეობას ეკლესიის კედლების დანგრეული



173. გეგმა

ნაწილები აგურით აღუდგენია (საკმაოდ დაუდეგრად) და შენობა კრამიტით გადაუხურავს.

ეკლესიას სამი შესასვლელი აქვს: დას-იდან, სამხრ-იდან და ჩრდ-იდან. სამივე კარი გარედან შეისრულია. შიგნიდან კი თარაზულად, ხის ძელებით ყოფილა გადახურული (რემონტის დროს შესასვლელები შიგნიდან რკინაბეტონის სარებით გადაუხურავთ). კარების წირთხლებში მოწყობილია საურდულე ხვრელები.

აღმ-ით საკურთხევლის ნახევარწრიული აფსიდია, რ-იც დარბაზისგან მარტივი პილასტრების წყვილით და მათზე დაყრდნობილი, შეისრული თაღითაა გამოყოფილი. აფსიდის ღერძზე გაჭრილია სწორკუთხა სარკმელი, რ-ის ორივე მხარეს, სიმეტრიულად, განლაგებულია მცირე ზომის, სწორკუთხა ნიშები. მათ შორის თითო-თითო აფსიდის გვერდებშია, დანარჩენი ორი კი – მის ბოლოებში. ერთი თაღოვანი სარკმელი ეკლესიის დას. კედელშიცაა. საკურთხეველი დასრულებულია წესიერი ფორმის კონქით. მისი უმეტესი ნაწილი ნაწყობია აგურით. საკურთხეველში, სარკმლის ქვემოთ, კედელზე, აგურით ნაწყობი ტრაპეზია (შემორჩენილია ნაწილი) მიდგმული. შიგნიდან ეკლ. გადახურულია ოდნავ შეისრული კამარით.



173. გრძივი ჭრილი, ხედი ჩრდ-კენ

ეკლესიის ფასადები დანაწევრებულია განიერი, საფეხურით შელრმავებული, სწორკუთხა არეებით. განივ ფასადებზე თითო შელრმავებაა, გრძივ ფასადებზე – ორ-ორი. განივ ფასადებზე, შელრმავების ზემოთა ნაწილში, მკრთალად განლაგებული ოთხ-ოთხი შეისრული თაღია მოწყობილი. გრძივი ფასადების შელრმავებებში კი მხოლოდ თითო განიერი თაღია. შელრმავებები დასრულებულია კუთხით შვერილი აგურებისგან გამოყვანილი ფრიზით. აღმ. და დას. ფასადებზე, ფრონტონის არეში, აგურის წყობის შელრმავებით, გამოსახულია თითო მცირე ზომის არი. მათ შორის აღმ. ჯვრის ქვედა



173. დას. ფასადი

ნაწილი მოქცეულია შელრმავებულ არეში.

თ. დვალი.

174. ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲔᲑᲘ, კ ო მ პ ლ ე ქ ს ი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-დას-ით, დაახლ. 1 *კმ*-ზე, სასაფლაოსთან, ტყიანი მთის ფერდობზე. კომპლექსის ტერიტ. ჩრდ-იდან სამხრ-ისკენაა დაფერდებული. სასახლეები ფერდობის დახრილობის შესაბამისად, სხვადასხვა დონეზე დგას, ერთმანეთისგან ორმოციოდე მ-ზე. ორივე მათგანი აღმ-იდან დას-ისკენაა ორიენტირებული. ორივე, როგორც ჩანს, ორსართულიანი ყოფილა. მათ მახლობლად, აღმ-ით, დგას დარბაზული ეკლ. სასახლეები, სავარაუდოდ, აგებული უნდა იყოს IX-X სს-ში. ეკლ. გვიანდ. შუა საუკუნეებს განეკუთვნება.

ჩრდ-ით, შედარებით უფრო მაღლა მდგარი ნაგებობიდან (მისახლ. ზომები: სიგრ. – 30 *მ*, სიგ. – 15 *მ*), აღმ. კედლის ნაწილი (სიმ. დაახლ. 6,5 *მ*) და ჩრდ. კედლის ნაშთებიდაა შემორჩენილი. აღმ. კედელი შეიცავს ორ ქრონოლოგიურად განსხვავებულ ფენას, რებიც ერთმანეთისგან გაირჩევა საშენი მასალით და ბათქაშის ფერით. კედლის ქვედა ნაწილი (დაახლ. 2 *მ* სიმაღლეზე) წვრილი,

ნატეხი ქვითაა ნაწყობი და, ბათქაშის გამო, მოყვითალო ფერი დაჰკრავს. ზემოთა ნაწილი ბევრად



174. ეკლესია, ჭრილი, ხედი ჩრდ.-კენ. გეგმა

უფრო მოზრდილი ქვებითაა ნაგები და რუხი ფერისაა. კედლის ქვედა ნაწილს შესასვლელის წირთხლი შემორჩა. ზედას კი, ერთი მცირე ზომის, სწორკუთხა ნიშა. სასახლის შუაში, გრძივი ღერძის გასწვრივ, ორი სვეტი მდგარა (დიამ. – 0,9 მ). შემორჩენილია ერთის ნაწილი და მეორის ბაზისი (მანძილი სვეტების ღერძებს შორის – 14,3 მ, ხოლო სვეტების ღერძებიდან განივ კედლებამდე – 7,8 მ).

სამხრ-ით მდგარი ნაგებობა გეგმით სწორკუთხაა (25×15 მ) და ჩრდ-ით მდგარ ნაგებობასთან შედარებით უკეთაა შემორჩენილი. პირველი სართულის აღმ. კედელში ფართო (სიგ. – 2,2 მ-მდე), თაღოვანი კარია გაჭრილი. თაღი ნახევარწრიულია და თხელი, მოგრძო, ნატეხი ქვითაა ნაწყობი. ამავე კედელში, მეორე სართულის დონეზე, მოწყობილი ყოფილა განიერი (სიგ. – 2 მ), მაღალი, თაღოვანი ღიობები (შემორჩენილია თაღებს შორის არსებული სვეტის ნაწილი და ერთი თაღის გვერდი, შესაბამის წირთხლთან ერთად). შენობის ჩრდ.. კედელს, მთელ სიგრძეზე, გასდევს სართულშუა გადახურვის კოჭების საყრდენი ბუდეები, რ-ებიც ერთმანეთისგან თანაბარი მანძილით (დაახლ. – 4-4 მ) არის დაშორებული. მეორე სართულის დონეზე, აღმ. კედელი ჩრდ-ით გრძელდება და პირველი სართულის ჩრდ. კედლის ხაზს ცილდება. სავარაუდოდ, ამ მხარეს მეორე სართული გრძელდებოდა და პირველ სართულთან შედარებით უფრო მეტ ფართობს მოიცავდა.

ნაგებობებს შორის რამდენიმე საფლავია.

ე კ ლ ე ს ი ა გეგმით წაგრძელებული სწორკუთხედია (9,5×5,1 მ). ნაგებია ნატეხი ქვით. კარ-სარკმლების ღიობების, კონქის და ნაწილობრივ გარე კუთხეების წყობაში გამოყენებულია აგური (21×21×4 სმ). დაზიანებულია: ჩამონგრეულია კამარა და კონქის უმეტესი ნაწილი. ინტერიერი, დაახლ. 1 მ სიმაღლეზე, ნანგრევებითა და მიწითაა ამოვსებული. მონგრეულია გარეთა კედლების ზედა ნაწილები. ჩრდ. ფასადის მნიშვნელოვანი ნაწილი დაფარულია მიწით.

შესასვლელი სამხრ-იდანაა. კარი გარედან თაღოვანი ყოფილა. შიგნიდან კი მიჯრით დაწყობილი ხის ძელებით გადახურული (შემორჩენილია 1 ძელი). აღმ-ით



174. ეკლესია, აღმ. ფასადი

ნახევარწრიული აფსიდია, რ-შიც ფართო, თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ორივე მხარეს თითო სწორკუთხა ნიშაა. თითო სარკმელი სამხრ-ით (შემორჩენილია ქვედა ნახევარი) და დასავლეთიდანაა. დას. სარკმელი ორივე მხრიდან თაღოვანია. მოგვიანებით სარკმლის გარეთა [illegible] წყობით შეუვსიათ და [illegible] სწორკუთხა მოხაზულობა მიუციათ.

აღმ. და დას. ფასადებზე, სარკმლების ზემოთ, აგურის წყობით, საფეხურებიან საფუძველზე დაყრდნობილი, შეღრმავებული ჯვარია გამოსახული.

ეკლ. გადახურული იყო ღარისებრი კრამიტით.

თ. დვალი.

175. ღვთისმშობლის ეკლესია,

არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ. განაპირას, ძველ სასაფლაოზე. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია (10,1×6,15 მ), შიგნიდან და გარედან შელესილი და შეთეთრებულია.

ეკლესიის შიდა აღნაგობას ატყვია გვიანდ. აღდგენა-გადაკეთების კვალი. როგორც ჩანს, შენობას საფუძველი ჩაეყარა გვიანდ. შუა საუკუნეებამდე გაცილებით უფრო ადრე.

ერთადერთი შესასვლელი სამხრ. კედლის დას. ნაწილშია. კარი ბრტყლადაა გადახურული. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-იც დანარჩენი სივრცისგან ორსაფეხურიანი მხრებითაა გამოყოფილი. აფსიდში სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. მის ქვემოთ, კედელზე, მიშენებულია კუბური ფორმის ტრაპეზი. ერთი ვიწრო, სწორკუთხა სარკმელი სამხრ. კედელშია, ხოლო მეორე, თაღოვანი – დას. კედლის ზედა ნაწილში. გრძივი კედლები და კამარა განიერი, ორსაფეხურიანი პილასტრების წყვილით და მათზე დაყრდნობილი საბჯენი თაღით გაყოფილია ორ თანაბარ ნაწილად. თითო ორსაფეხურიანი პილასტრი დას. კუთხეებშიცაა. მათზე კედლის მიმდებარე, ორსაფეხურიანი თაღი იყო გადაყვანილი. ორივე პილასტრის წინა საფეხური, იატაკიდან დაახლ. 3 მ სიმაღლეზე შეწყვეტილია და ეკლესიის აღდგენის დროს აღარ განუახლებიათ. რის გამოც, დას. კედლის მიმდებარე

საბჯენი თაღი ორის ნაცვლად, ერთსაფეხურიანია. ასევეა სახეშეცვლილი კონქის თაღიც.

ჩრდ. კედელში მოწყობილია ორი სხვადასხვა ზომის, სწორკუთხა ნიშა. მათგან ერთი, უფრო მოშცრო, აფსიდის მხართანაა, მეორე – დას. ნაწილში.

ფასადები სადაა, მორთულობის გარეშე. კედლები დასრულებულია აგურის სამსაფეხურიანი ლაყბარდნით.

ეკლესიის დას. ფრონტონის წვერზე დადგმულია აგურით ნაგები, ოთხ კვადრატულ სვეტზე დაყრდნობილი, ნახევარწრიული



175. გრძივი ჭრილი, ხედი სამხრ.-კენ. გეგმა

თაღებით გახსნილი სამრეკლო, რ-საც თუნუქით დაბურული, პირამიდული სახურავი ხურავს.

თ. დვალი.

176. ციხე-გალავანი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, 1-1,5 კმ-ზე, სწორ ადგილას. აგებულია XVIII ს-ში.

ციხე გეგმით კვადრატს მიახლოებული სწორკუთხედია (დაახლ. 50×60 მ). გალავნის ოთხივე კუთხეში ცილინდრული კოშკი დგას, რ-ებიც მთლიანად მის ფარგლებს გარეთაა მოქცეული. გალავანიც და კოშკებიც ნაგებია რიყის ქვითა და კირის ხსნარით. კოშკების შესასვლელები და ზოგიერთი ელემენტი გამოყვანილი ყოფილა კვადრ. აგურით. დაზიანებულია: მეტ-ნაკლები დანაკარგებით შემორჩენილია გალავნის აღმ. და ჩრდ. კედლები. მნიშვნელოვანი ნაწილები აკლია დას. კედელს, ხოლო სამხრ. კედელი თითქმის მთლიანად დანგრეულია. კოშკები მხოლოდ სართულნახევრის სიმაღლეზეღა დგას.

ოთხივე კოშკი თითქმის ერთი ტიპისაა. თითოეულ სართულს შესასვლელი ეზოს მხარეს მდებარე სწორ კედელში აქვს მოწყობილი. შესასვლელთა თაღები გარედან, აგურის წყობით გამოყვანილ, საფეხურით შელრმავებულ სწორკუთხა არეში ყოფილა ჩასმული (შემორჩენილია ნაშთები). კოშკების პირველ სართულზე, კარის პირდაპირ, აგურით მოპირკეთებული, ნახევარწრიული ბუხარია. ოთხივე კოშკის მეორე სართულის კედელი, პირველი სართულის კედელთან შედარებით, რამდენადმე შეთხელებულია, რაც ხის კოჭოვანი გადახურვის დასაყრდნობად, სართულებს შორის, დაახლ. 20 სმ-ის სიგანის საფეხურს ქმნის. მეორე სართულის კედელი შედარებით მეტ სიმაღლეზე ჩრდ.-დას. და ჩრდ.-აღმ. კოშკებს შემორჩათ. მათგან ჩრდ.-დას. კოშკის კედელში ექვსი სათოფურია გაჭრილი, მეორეში – შვიდი. სამხრ.-დას. კოშკში, შესასვლელის პირდაპირ, ერთი სათოფურის კვალია შემორჩენილი. სამხრ.-აღმ. კოშკის მეორე სართულის კედლის უმეტესი ნაწილი დანგრეულია.

გალავანი ორიარუსიანია. მისი ქვემოთა ნაწილი ყრუა. ზემოთაში კი, თანაბარი ინტერვალებით, სათოფურებია გაჭრილი. გალავანს ირგვლივ ხის საბრძოლო ბილიკი შემოუყვებოდა (რამდენიმე საყრდენი ძელი შემორჩა ჩრდ. და დას. კედლებს). გალავანს ქონგურები არ გააჩნია და თავი გადამრგვალებული აქვს.

თ. დვალი.

177. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას. თარიღდება XVIII საუკუნეებით.

ეკლ. გეგმით თითქმის კვადრატულია (8,8×8 მ). დას-იდან, მთელ სიგანეზე, ეკეროდა გვიანდ. მინაშენი (შემორჩენილია საძირკვლის ნაშთები).

შენობა ნაგებია ნატეხი ქვით. ფასადები მოგვიანებით შეულესავთ.

ერთადერთი შესასვლელი ეკლესიის დას. კედლის ჩრდ. ნახევარშია. კარი თარაზულადაა გადახურული. აღმ-ით არაწესიერი ფორმის აფსიდია, რ-ის შუაში თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ჩრდ-ით ოთხკუთხა ნიშაა. აფსიდის მხრების ხაზზე დგას ოთხწახნაგა ტრაპეზი. ეკლესიის დარბაზი საგრძნობლად მოკლეა, გადახურულია ნახევარწრიული ფორმის სხმული კამარით.

აღმ. ფასადზე, სარკმლის ქვეშ, შელრმავებული ჯვარია გამოსახული.

ეკლ. გადახურულია კრამიტით.

ქ. გიორგობიანი.

178. ჯალის წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით, 3 კმ-ზე, ახმეტა-ყვარლის გზატკეცილის პირას. სწორ ადგილას. თითქმის მთლიანად დანგრეულია (შემორჩენილი კედლების მაქს. სიმ. 0, 8 მ-ია), რის გამოც მისი გეგმარების ზუსტად დადგენა არ ხერხდება. ეკლ. დარბაზულია (დაახლ. 9,7×6,3 მ). ნაგები ყოფილა ნატეხი ქვის ირეგულარული წყობით.

ეკლესიას ორი განიერი შესასვლელი ჰქონია – სამხრ-ით და დას-ით. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია. გრძივი კედლების შუაში თითო მარტივი პილასტრის კვალი მოჩანს.

ეკლესიას სამხრ-იდან ჰქონია ჯვრო მინაშენი, რ-ისგან მხოლოდ ორი, აღმ. და დას. კედლების კვალია შემორჩენილი.

თ. დვალი.

179. ЗУРОВИС ЦИХЕ, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-დას-ით, 5 კმ-ზე, მთაზე. თარიღდება შუა საუკუნეებით. ნაგები იყო სხვადასხვა ზომის ნატეხი ქვით. დანგრეულია. ციხე აღმ-იდან დას-ისკენაა წაგრძელებული. გალავნის დას. ნაწილში ჩართულია მასიური ბურჯი და სათვალთვალო კოშკი (შემორჩენილია დას. და ჩრდ. კედლები). კიდევ ერთი კოშკის ნაშთია შეიმორჩენილი გალავნის აღმ. ნაწილში. ციხის ტერიტორიაზე წყლის დიდი ზომის რეზერვუარის ნაშთიცაა.

ჰ. აბაშიძე

ШОЛДА

(საკრებულოს ცენტრი)

180. ШОЛДА, სოფელი ყვარლის მუნიციპ-ში, ისტ. ძ. მდებარეობს კახეთის კავკასიონის სამხრ. კალთის ძირში, მდ. ხელთის ნაპირას, ისტორიულ ნეკრესთან ახლოს. ზ. დ. 500 მ ყვარლიდან 20 კმ თელავიდან (უახლოესი რკინიგზის სადგური) 27 კმ 2002 წ. აღწერით სოფელში ცხოვრობდა 5531 კაცი.

XX ს-ში შილდის მიდამოებში ჩატარებული არქეოლ. გათხრების მიხედვით დასახლებული ჩანს ადრინდ. ბრინჯაოს ხანიდან. სოფელი წერილობით წყაროებში XV ს-დან იხსენიება. გიორგი VIII-მ კახეთში „მოსპო ჰერ-კახთა ერისთავნი და დასხა მოურავნი, მათ შორის შილდა-ყუარელს". ეს ორი სოფელი ერთ სამოურავო ერთეულს წარმოადგენდა და მას მეფის მოურავი განაგებდა. საქართველოს ერთ-ერთი დიდი, ნაყოფიერი და მდიდარი სოფლის ერთი ნაწილი ამბროსი ნეკრესელს შეწირეს, მეორე ნაწილი კი ფეოდალთა მფლობელობაში იყო. მათ შორის ჯახვახიშვილებისა და „უწარჩინებულესი და შემძლეველი რუსიშვილებისა, რ-თაც თამარ მეფემან უბოძა... თავადობა და აწ არიან შილდას მოსახლენი".

ისევე როგორც მთელ კახეთს, სოფელსაც მოსვენებას არ აძლევდა შინაური, მეზობელი თუ გარეშე მტერი. XVI ს-ში, იმამყულიხანის დროს, მიუხედავად დიდი მკვდრობისა, კახეთმა და, რა თქმა უნდა, შილდამაც თავდაცვა ვერ მოახერხა, რადგან მომხდურნი „აღიყრებოდიან და ჰყოფდნენ ციხე-სიმაგრეთა და გამაგრდებოდიან მათ შინა თელავს... შილდაჭარელს... და სხვათა ადგილებთა შინა და იხრდებოდა ქუეყანა რბევა კირთებითა".

1716 წ. სოფელს ლეკები დაესხნენ. ადგილ. მოსახლეობა თავგამოდებით იცავდა თავს. „ხოლო განმაგრდნენ მდაბიურნი და მოსრნეს მრავალნი ლეკნი", მაგრამ „შემდგომად შემუსრნეს და წარუხვნეს სიმაგრენი ლეკთა". მტერმა ცეცხლს მისცა სათავდაცვო ნაგებობები. უამრავი ადამიანი შიგ გამოიწვა, ნაწილი კი ტყვედ წაასხეს.

1729 წ. შილდა სასტიკად აოხრეს თურქოსმალებმა. 1812 წ. აპრილის დამდეგს, როცა დაიწყო კახეთის ავღანყების მეორე ეტაპი, ავღანყებაში აქტიურად ჩაებნენ გალმა მხრის სოფლის გლეხები, მათ შორის შილდაც. ალექსანდრე ბატონიშვილი სოფელში თიანეთიდან ჩავიდა. მასთან დასახმარებლად 1200 ლეკი ჩამოვიდა. ბატონიშვილის ლაშქარი თანდათან იზრდებოდა. სამთავრობო ჯარი შილდისკენ წავიდა და 21 სექტემბერს ბატონიშვილს შეება. მწვავე ბრძოლას შედეგი არ მოჰყოლია. ალექსანდრე ქიზიყისკენ გაეშურა, რათა მთავრობის ჯარისკაცების დასახმარებლად ფაშაანს მიმავალი გენერლის დ. ორბელიანისთვის გზა გადაეღობა, მაგრამ გენერალმა გზის გაკაფვა შეძლო. ბატონიშვილი კვლავ შილდაში დაბრუნდა. 10 ოქტომბერს შილდასთან სასტიკი ბრძოლა გაიმართა, რამაც შედ საათს გასტანა. ალექსანდრე ბატონიშვილის 6 000-იანმა ლაშქარმა უკან დაიხია. მთავრობის ჯარის ნაწილი, მხ. ერისთავის სარდლობით, უკანდახეულებს დაედევნა. ბატონიშვილი შეიბრუნდა და გათამამებულ მდევარს ალყა შემოარტყა. ერისთავს 300 კაცისგან შემდგარი რაზმი მიაშველეს, რ-მაც დიდი ზარალის ფასად, ძლივს დააღწია თავი ტყვეობას. ალექსანდრე ბატონიშვილი შილდიდან ველისციხის კენ წავიდა. განრისხებული ორბელიანი სასტიკად გაუსწორდა შილდას. მისი ბრძანებით სოფელი გადაბუგეს, ბაღ-ვენახები გაჩეხეს, ქვითკირის სახლები კი მიწასთან გაასწორეს.

XIX ს-ის პირველ ნახევარში შილდა სახაქონლო-ფულად ურთიერთობაში ჩაება. სახელმწიფო გლეხთა 28,6% სამუშაო ძალის გაქირავებით ირჩენდა თავს. გარდა ხვნა-თესვისა, აქაური გლეხობა ამზადებდა აბრეშუმს და მისი გაყიდვით ცხოვრობდა. გლეხობის ზედა ფენა, რ-ის ხელშიც იყო სახნავ-სათესი მიწების და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის უმეტესი ნაწილი, წარმოადგენდა სახაქონლო პროდუქციის ძირითად მწარმოებელს.

სოფელში XX ს-შიც მისდევდნენ მებაღე-მევენახეობას, მეცხოველეობას. მოჭედებდა ღვინის და ხილის წვენის ქ-ნები.

შილდიდან იყვნენ: საზ. მოღვაწე ლადო აღნიაშვილი, რ-მაც „ქართული საერო ხორო" შექმნა, სადაც უმთავრესად შილდიდან ჩამოყვანილი გლეხები მღეროდნენ (პირველი კონცერტი 1886 წ. 26 დეკემბერს გაიმართა). ცნობილი სახალხო მომღერალი ლევან ასაბაშვილი (დედას ლევანა), ძვ. ქართ. რომანსებისა და საესტრადო სიმღერების უბადლო შემსრულებელი, საქ. სსრ დამს. არტისტი მერი შილდელი (მინილაშვილი), სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი, ცნობილი გეორგმშენი აბესალომ ყურაშვილი, საქ. სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამს. მოღვაწე გიორგი მერკვილაძე და ა.შ.

გ. აფრასიძე, ლ. მიქელაძე

ბიბლ.: 17; 48ა; 81; 90.

181. ᲐᲑᲣᲚᲘᲡ ᲛᲐᲠᲐᲜᲘ, ე კ ლ ე ს ი ა, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით, 3-4 კმ-ზე, ნასოფლარ ვეძისხევის ტერიტორიაზე. თარიღდება XVIII-ით.

შენობა გეგმით სწორკუთხაა (13,2×8,2 მ), ნაგებია ძირითადად ნატეხი ქვით. სარკმლები, პილასტრები, საბჯენი თაღები და კამარა – კვადრ. აგურით. ნაგებობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმ.-დას-ის მიმართულებით ზუსტი ორიენტაცია, მარნისთვის საჭირო ელემენტების (საწნახელი,



181. გეგმა

ქვევრები და სხვ.) უქონლობა, ადასტურებს, რომ იგი თავიდანვე საკულტო დანიშნულებისათვის იყო აგებული.

ძ. ძლიერ დაზიანებულია: მთლიანად დანგრეულია დას. კე-



181. განივი ჭრილი, ხედი აღმ-კენ

დელი, ჩამონგრეულია კამარისა და საბჯენი თაღების უმეტესი ნაწილი, მონგრეულია აღმ. კედლის ზედა ნაწილი.

ეკლ. უაფსიდოა, აღმ-ით დასრულებულია სწორი კედლით, რ-



181. გრძივი ჭრილი, ხედი ჩრდ-კენ

ის შუაში თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. ორ-ორი მსგავსი სარკმელი, ერთმანეთის პირდაპირ, გრძივ კედლებშიცაა. მათი თაღები კამარის მრუდშია მოქცეული.



181. ხედი სამხრ.-დას-იდან

ერთადერთი შესასვლელი ეკლესიას დას-იდან ჰქონია. დარბაზის გრძივი კედლები მარტივი პილასტრების ორი წყვილით სამ-სამ თანაბარ ნაწილად იყოფა. პილასტრებზე საბჯენი თაღები იყო გადაყვანილი, რებსაც კამარა ეკრდნობოდა. კამარის ქუსლი, შესაბამისი კედლის მიმართ, რამდენადმე (დაახლ. 12-14 *სმ*) წინაა წამოწეული და კედლის მთელ სიგრძეზე მცირე საფეხურს ქმნის. მსგავსი საფეხური საბჯენი თაღების ქუსლების დონეზეცაა.

პილასტრების აღმ. წყვილით და მათზე დაყრდნობილი საბჯენი თაღით ნაგში საკურთხეველის სივრცე იყო გამოყვანილი. საკურთხეველის კედლებს მთელ სიგრძეზე გასდევდა აგურითა და ნალესობით გამოყვანილი მცირედ ნაშვერი თარო.

შენობის გარე პერანგისათვის გამოყენებულია სხვადასხვა ზომის ნატეხი და რიყის ქვა. აგურით მხოლოდ სარკმლის ღიობებია მოპირკეთებული.

თ. დვალი.

182. ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲛ. ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფელში, გ. ჭუნაშვილის ეზოში. მთლიანად დანგრეულია. შემორჩენილია ნატეხი ქვითა და კირის ხსნარით ნაგები კედლის (აღმ.) მცირე ნაწილი, რ-თანაც სოფლის მოსახლეობამ ააგო მცირე ზომის სალოცავი ნიში.

ბ. კუპრეიშვილი.

183 ᲐᲦᲜᲘᲐᲐᲜᲗ ᲪᲘᲮᲔ, კ ო შ კ ი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის მიდამოებში. თარიღდება XVIII ს-ით. კოშკი სათავდაცვოა, გეგმით სწორკუთხა. ნაგები ყოფილა რიყის ქვითა და კირის სქელი ხსნარით. დანგრეულია. შემორჩენილია აღმ., ჩრდ. და დას. კედლების მცირე ნაწილები. ჩრდ. კედლის შუაში თაღოვანი ბუხარია; მის გვერდით – ორი ოთხკუთხა ნიშა. ნიშები დას. და აღმ. კედლებშიცაა. აღმ. კედელში გაჭრილია სათოფურები.

ბ. კუპრეიშვილი.

184. ᲐᲦᲜᲘᲐᲐᲜᲗ ᲪᲘᲮᲔ II, კ ო შ კ ი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის მიდამოებში, ტყეში. თარიღდება შუა საუკუნეებით. ძლიერ დაზიანებულია. შემორჩენილია ერთი სართულის სიმაღლეზე. ნაგები იყო ნატეხი ქვით და ფიქლით კირის ხსნარზე. ნაკვალევის მიხედვით შესასვლელი ჩრდ. კედელში უნდა ყოფილიყო. კოშკის ოთხივე კედელში ნიშებია მოწყობილი. აღმ. კედელში – სათოფურები.

ბ. კუპრეიშვილი.

185. ლადო ᲐᲦᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ, ისტ. ძ. თარიღდება 1860-1904

წწ. მდებარეობს ლ. აღნიაშვილის ქუჩაზე. თარიღდება XIX ს-ით. შენობა ორსართულიანია. მეორე სართულზე დაცულია საზ. მოღვაწის პირადი ნივთები. საცხოვრ. სახლის ფასადზე მემორ. დაფაა წარწერით: „ამ სახლში დაიბადა ცნობილი საზოგადო მოღვაწე და პედაგოგი ლადო დიმიტრის ძე აღნიაშვილი 1860-1904 წწ.“

სახლში ამჟამად ცხოვრობენ მისი ნათესავები.

თ. ჩიბაკაძე

186. ᲑᲝᲯᲝᲑᲝᲠᲘᲡ ᲜᲐᲡᲝᲤᲚᲐᲠᲘ, არქეოლ., არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლიდან აღმ-ით, 2 კმ-ზე, ტყეში. თარიღდება განვით. შუა საუკუნეებით. შემორჩენილია ქვითკირის საცხობრ. ნაგებობების ნაშთები. დასტურდება მოჭიქული კერამიკის ფრაგმენტები.

გ. რჩეულიშვილი, ა. ლულაღუტაშვილი

187. ᲑᲣᲒᲠᲘᲐᲜᲗ ᲙᲝᲨᲙᲘ, ე კ ლ ე ს ი ა, არქიტ. ძ. დგას სოფელში. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია, ნაგებია სხვადასხვა ზომის ნატეხი ქვით სქელ კირის ხსნარზე. გამოყენებულია აგურიც. შესასვლელი დას-იდანაა. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-შიც ოთხკუთხა სარკმელია გაჭრილი. მსგავსი სარკმლები სამხრ., დას. და ჩრდ. კედლებშიცაა. აფსიდი დარბაზისგან გამოყოფილია მხრებით, რ-ებსაც კონქის თაღი ეყრდნობა. ეკლესიის კედლებს გასდევს ერთსაფეხურიანი ჩამოსაჯდომი.

შიგნით ეკლ. გადახურულია ქარგილზე სხმული, ოდნავ შეისრული კამარით.

ეკლესიისათვის მოგვიანებით დაუშენებიათ კოშკი (სახელწოდებაც აქედან მოდის), რ-ისგანაც კედლების მცირე ნაწილებიღაა დარჩენილი.

მ. აბაშიძე

188. ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით, 2 კმ-ზე, ნასოფლარ ეჟისხევის ტერიტორიაზე, მდ. ეჟისხევის მარჯვ. ნაპირას, სწორ ადგილზე. თარიღდება VI ს-ით.



188. გეგმა

ძ. სამეკლესიანი ბაზილიკაა, ნაგებია სხვადასხვა ზომის ნატეხი ქვის და რიყის ქვის შერეული წყობით. კედლები შიგნიდან და გარედან შელესილი ყოფილა.

შენობის გეგმის სწორკუთხედში (10×9,5 მ) ჩაწერილია სამი განცალკევებული ნავი, რ-ებიც დამოუკიდებელ ეკლესიებს წრმოადგენს. შუა ეკლ., გვერდითებთან შედარებით, უფრო ფართოა და მაღალი. შესასვლელები მას დას-იდან და სამხრ-იდან აქვს. ორივე კარი განიერი და მაღალია. ისინი შიგნიდან ნალისებრი თაღითაა დახურულებული, ხოლო გარედან – მოზრდილი ქვის ზღუდრით. საკურთხეველის აფსიდი, რ-იც საფეხურითაა შემაღლებული, გეგმით ნახევარწრიულია. მასში მოწყობილია ვიწრო, შიგნიდან და გარედან ბრტყლად გადახურული სარკმელი და ორი მცირე კვადრ. ნიშა. აფსიდი გადახურულია წრისებრი ფორმის კონქით, რ-ის თაღი ნალისებრი ფორმისაა (მსგავსი ფორმისაა კამარაც) და რიყის ქვის თაროსებრ იმპოსტებს ეყრდნობა. სამხრ. კედელში ორი სარკმელია გაჭრილი. თავი კამარის ქუსლის დონეზეა. ორივეს გადახურვა ჩამონგრეულია.



188. სამხრ. ფასადი



188. განივი ჭრილი, ხედი აღმ-კენ

ეკლესიის აღმ. ნაწილში ჩრდ. კედლის აღმ. ნაწილში ჩრდ. ეკლესიაში გასასვლელი მაღალი, ნალისებრთაღიანი კარია, რ-იც ჩრდ. ეკლესიის მხრიდან ბრტყლადაა გადახურული.

გვერდითი ეკლესიები ვიწრო, გრძელი კორიდორებია. მათგან სამხრ-ისა, აღმ-ით, ნალისებრი აფსიდითაა დასრულებული. ჩრდ-ხედვით, ისინი თარაზულად ყოფილა გადახურული.

შუა ეკლესიის სამიქე კედელს მთელ სიგრძეზე გასდევდა ჩამოსაჯდომი საფეხური (შემორჩენილია ნაწილობრივ).



188. ინტერიერი, შუა ეკლესია, ხედი აღმ-კენ

ეკლესიის კამარა ეყრდნობა ორ განიერ საბჯენ თაღს, რ-გან ერთი ნაეის შუაშია, მეორე – დას. კედელთან. ჩრდ. კედლის აღმ. ნაწილში ჩრდ. ეკლესიაში გასასვლელი მაღალი, ნალისებრთაღიანი კარია, რ-იც ჩრდ. ეკლესიის მხრიდან ბრტყლადაა გადახურული.

გვერდითი ეკლესიები ვიწრო, გრძელი კორიდორებია. მათგან სამხრ-ისა, აღმ-ით, ნალისებრი აფსიდითაა დასრულებული. ჩრდ-

ისა კი – სწორი კედლით. სამხრ. ეკლესიის სამხრ. კედელში მოწყობილია ფართო შესასვლელი – ორმაგი ნალისებრი თაღი მრგვალ ბოძზე (ამჟამად ამოყორილია). აფსიდში გაჭრილია ბრტყლად გადა-



188. სვეტი ჩრდ.-აღმ.-იდან

ხურული სარკმელი, რ-ის ქვემოთ, კედელზე, ქვის ტრაპეზია მიშენებული. ნალისებრი ფორმისაა აფსიდის კონქის თაღიც. მის ქუსლებთან თაროსებრი იმპოსტებია გამოყოფილი. ორივე ეკლესიის კამარა ოდნავ ნალისებრი ფორმისაა და დაყრდნობილია ნავის შუაში მოწყობილ შეკიდულ საბჯენ თაღზე. ჩრდ. ეკლესიის აღმ. კედელში გაჭრილია თარაზულად გადახურული, ვიწრო, მაღალი სარკმელი. გრძივ კედლებს (დას. ნაწილში) და დას. კედელს ქვის ჩამოსაჯდომი საფეხური გასდევს.

გარეთა კედლები დასრულებული იყო ნატეხი ქვით ნაწყობი, მაღალი, ორსაფეხურიანი ლავგარდნით (შემორჩენილია ფრაგმენტულად). შენობა გადახურული იყო ბრტყელი და ღარისებრი კრამიტით.

თ. დვალი.

ბიბლ.: 335.

189. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით, დაახლ. 1.5 *კმ*-ზე, ნასოფლარ ვეძისხევის ტერიტორიაზე (სამხრ.-აღმ. ნაწილში). განკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია, შეიცავს ორ, ქრონოლოგიურად განსხვავებულ სამშენ. ფენას. თავდაპირველად აქ მდგარა ნახევარწრიულაფსიდიანი, დარბაზული ეკლესია, რ-იც დანგრევის შემდგომ მნიშვნელოვანი სახეცვლილებით განუახლებიათ – გაუუქმებიათ აფსიდი, შიდა სივრცე, აღმ-იდან, სწორი კედლით შემოუზღუდავთ და დარბაზი შიგნიდან ცილინდრული კამარით გადაუხურავთ. შენობის ძვ. და მოგვიანებით განახლებული ნაწილები ნატეხი ქვის ორგულარული წყობითაა ნაგები. კედლების ზედაპირი გასწორებულია ბათქაშით. მიუხედავად ამისა, ზედაპირი მაინც უსწორმასწოროა და უხეშია.

შენობა დაზიანებულია: მთლიანად ჩამონგრეულია კამარა, კედლების ზედა ნაწილები.

ერთადერთი შესასვლელი დასავლეთიდანაა. კარი გარედან მშვილდისებრი თაღითაა გადახურული, ხოლო შიგნიდან – სწორკუთხაა. აღმ. და დას. კედლებში თითო სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. როგორც ჩანს, კიდევ ერთი სარკმელი ეკლესიას სამხრ.-დასავლ. ჰქონდა (ამ ადგილას კედელი განგრეულია და სარკმლის კვალი არ ჩანს).

ეკლესიის აღმ. და ნაწილობრივ დას. კედლებზე შემორჩენილი კვალის მიხედვით კამარას წესიერი ნახევარწრის ფორმა არ ჰქონდა.

თ. დვალი.

190. ეკლესია და სასახლე, არქიტ. ძ., მდებარეობს სოფლის მიდამოებში, გრძელ ქედად წოდებულ ადგილას. ორივე შენობა დანგრეულია. ნაგები იყო ნატეხი და რიყის ქვით – კირის ხსნარზე.

ეკლესიიდან შემორჩენილია ჩრდ. კედელი (სიმ. 0,3 *მ*) და მისი მინაშენის მცირე ნაწილი. ეკლესიასთან ახლოს (ჩრდ-ით) სასახლის კედლების ნაწილებია (მაქს. სიმ. 1 *მ*). სასახლე გეგმით სწორკუთხაა, შედგებოდა რამდენიმე სათავსისგან. სასახლის დას-ით ორი საწნახლის ნანგრევები და წყლის რეზერვუარის ნაშთებია (ჩანს წყალსადენის თიხის მილი).

ბ. კუპრეიშვილი.

191. ვარცანის ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ზემოთ, ჩრდ-ით, 4-5 *კმ*-ის მანძილზე, ტყეში. ნაგები ნატეხ ქვაბულ ადგილზე.

ეკლ. გუმბათოვანია, „ჯახაჯულის ჯვრის“ ტიპის (14,5×12,8 *მ*). თარიღდება IX ს-ით.

კახეთის მეფე ალექსანდრეს 1579 წლის დოკუმენტში. რ-ითაც იგი მცხეთის საკათალიკოსო კათედრას უდასტურებს ქონებრივ უფლებებს, სხვა ეკლესია-მონასტრებთან ერთად მოხსენიებულია ასევე „ეჟის ხევს მონასტერი ვარცანისა“, ხოლო სხვა დოკუმენტის ასლში, მცხეთის კათედრის უძრავი ქონების ნუსხით, რ-იც XIV ს-ის ბოლო – XV ს-ის დასაწყისს განეკუთვნება, შილდის ვარცანის მონასტერი ღვთისმშობლის სახელზე კურთხეულადაა მოხსენიებული.

ეკლ. ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვით. წყობაში ალაგ-ალაგ შესამჩნევია სწორხაზოვნად გამავალი რიგები. გუმბათქვეშა საბჯენი თაღებისა და კონქის თაღის იმპოსტები შირიმისაა. შირიმი ალაგ-ალაგ შენობის გარეთა კუთხეების წყობაშიცაა გამოყენებული. გარდა ამისა, გამოყენებული ყოფილა ორი სხვადასხვა ზომის (25×25×6 *სმ*, 23×23×4,5 *სმ*) აგურიც.

XX ს-ის 30-იან წლებში ეკლ. აუფეთქებიათ, რის გამოც ჩამონგრეულა გუმბათი, გუმბათქვეშა თაღები, სამხრ. და დას. მკლავების კამარები და კონქის მნიშვნელოვანი ნაწილი; კედლებს გაჩენილი ჰქონდათ ვეება ბზარები. ინტერესი ამოვსებული იყო ნანგრევებით.

1974-75 წწ-ში ძეგლზე მცირე მასშტაბის სარესტ. სამუშაოები ჩაატარა სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნომ (რესტავრაციის პროექტის ავტორი, არქიტ. ო. თორთლაძე).

1985-87 წწ-ში ძეგლზე ჩატარებული სარესტ. სამუშაოების დროს (რესტავრაციის პროექტის ავტორი, არქიტ გ. ნიკოლაძე) აღდგა კედლების დანგრეული ნაწილები, გუმბათქვეშა კვადრატი –

ტრომპებითურთ, ოთხივე მკლავის კამარა და კონქი; თავდაპირველი თარო და დახრილი სიბრტყე კონქის და კამარების ჭუსლის დონეზე საფეხურია, რ-იც წარმოქმნილია კედლის მიმართ ჭუსლის კედელში შელრმავებით.



191. გეგმა

შირიმის ლავგარდნის აღმოჩენილი ფრაგმენტის მიხედვით მოეწყო შირიმისაც ლავგარდანი. ეკლ. გადაიხურა დარისებრი კრამიტით.

ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს – სამხრ-იდან და დას-იდან. შესასვლელები გარედან თარაზულადაა გადახურული, შიგნიდან – ნალისებრი თაღით.

საკურთხეველი ნახევარწრიულ აფსიდს და მის წინ მდებარე არალრმა ბემას მოიცავს. მოგვიანებით, საკურთხეველი, ეკლესიის იატაკის მიმართ, რამდენადმე (დაახლ. 0,5 მ-ით) აუმაღლებიათ, აფსიდის კედლის გასწვრივ კი საფეხური მოუწყვიათ. აფსიდში გაჭრილია თაღოვანი სარკმელი. მის ქვემოთ, კედელზე, კუბური ფორმის ტრაპეზია (გვიანდელია) მიდგმული. აფსიდი გადახურულია კონქით, რ-ის თაღს ნალისებრი ფორმა აქვს. თაღის იმპოსტების პროფილს შეადგენს დაბალი განათებულია აღმ. კედელში გაჭრილი სარკმლით. სამკვეთლოს სარკმელი თარაზულადაა გადახურული, სადიაკვნეს სარკმელი კი, ორივე მხრიდან თაღოვანია. სამკვეთლოს გრძივ კედლებში თითო ნიშაა მოწყობილი (სამხრისა შედარებით მაღალია). ორი მცირე ნიშა სადიაკვნის ჩრდ. კედელშიცაა. სამკვეთლოს თავზე სწორკუთხა, სხმული კამარით გადახურული სათავსია, რ-საც შესასვლელი ტაძრის ჩრდ. მკლავიდან ჰქონდა (მოგვიანებით, ეკლესიის მოხატვის წინ, ამოუშენებიათ). სათავსი განათებულია აღმ. კედელში გაჭრილი სწორკუთხა სარკმლით.

ეკლესიის დანარჩენი მკლავებიდან დას-ისა ოდნავ უფრო ღრმაა. დას. მკლავის დას. კედლის ღერძზე შიგნიდან ბრტყლად გადახურული და გარედან თაღოვანი სარკმელია. სარკმლის ერთი წირთხლის ნაწილი შემორჩენილი იყო სამხრ. მკლავის სამხრ. კედელზეც. ჩრდ. მკლავი უსარკმლოა.

დას. კუთხეების სათავსები ჯვრის შესაბამის მკლავებს მაღალი, ნალისებრთაღოვანი გასასვლელებით უკავშირდება. მათგან სამხრ.-დას. სათავსის თაღები კარგად გათლილი შირიმის კვადრებითაა ნაწყობი. ჩრდ.-დას. სათავსის თაღები კი, ნაწილობრივ შირიმის თლილი კვადრებით და ბრტყელი რიყის ქვებით. თაღები



191. ჭრილი, ხედი სამხრ.-კენ

დაერდნობილია შირიმის იმპოსტებზე, რ-ებსაც დანარჩენი იმპოსტების ანალოგიური პროფილი აქვთ. ორივე სათავსის კამარა სხმულია და ორიენტირებულია სამხრ-დან ჩრდ-კენ.



191. ხედი სამხრ.-აღმ-დან

გუმბათქვეშა კვადრატი ოთხივე კუთხის საყრდენში ჭრის პატარა შემავალ კუთხეს. გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის ყელის წრიულ მოხაზულობაზე გადასვლა განხორციელებული იყო ტრომპების მეშვეობით. გუმბათის ყელი, საგარაუდოდ, შიგნიდან მრგვალი, ხოლო გარედან რვაწახნაგა უნდა ყოფილიყო. მასში, როგორც ჩანს, გაჭრილი იყო ოთხი სარკმელი.

ეკლ. მოგვიანებით (XVI ს-ში) მოუხატავთ. აფსიდში შემორჩენილია მ ო ხ ა ტ უ ლ ო ბ ი ს ფრაგმენტები.

ეკლესიის ორივე შესასვლელის წინ მოწყობილი იყო ყველა მხარეს განიერი, მაღალი ნალისებრი თაღებით გახსნილი კარიბჭე (შემორჩენილი იყო მხოლოდ დას. კარიბჭე, რ-იც ალდგენილ იქნა თავდაპირველი სახით. სამხრ. კარიბჭიდან სვეტების ნაწილებლა იყო დარჩენილი, რ-ებიც დაკონსერვდა). ორივე მათგანი შექმნილი იყო ოთხივე კუთხეში მდგარი, გეგმით კვადრ. (1×1 მ) სვეტით და გადახურული იყო კოლოფა კამარით, რ-იც ეყრდნობოდა სვეტებზე გადაყვანილ ნალისებრ თაღებს. მოგვიანებით, დას. კარიბჭის გამაგრების მიზნით, გეყრდითი თაღები მთლიანად ამოუშენებიათ, ხოლო წინა თაღში ჩაუშენებიათ კედელი, სამხრ. ნაწილში ვიწრო, სწორკუთხა შესასვლელით (გვიანდ. დანამატები მოიხსნა რესტავრაციის დროს).

თ. დვალი.

ბიბლ.: 323; 335.

192. ᲕᲐᲮᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲨᲙᲘ ᲓᲐ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲔᲑᲘ, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის თავში, მდ. ჩელთის პირას. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით. კოშკის აღმ-ით და დას-ით, დაახლ. 30-35 მ-ზე, ამავე დროის თითო პატარა დარბაზული ეკლ. დგას, რებსაც სახელი დაკარგული აქვთ. ადგილ. მოსახლეობა კოშკის მიმდებარე ტერიტორიას თავად ვახვახიშვილების სახელს უკავშირებს და სამივე ნაგებობას მათ აგებულად მიიჩნევს.

კ ო შ კ ი გეგმით კვადრატულია (6,2×6,2 მ), ზემოთკენ შევიწროებული. ნაგებია ნატეხი ქვის ირეგულარული წყობით. კედლების ზედაპირი შიგნიდან და გარედან გასწორებულია ბათქაშით, რ-იც ქვებს შორის არსებულ არეებს ავსებს და ნაწილობრივ ქვის ზედაპირებსაც ფარავს. შესასვლელის წირთხლები და თაღი, ნიშები და ბუხარი გამოყვანილია ქართ. აგურით.

შენობა დაზიანებულია: შემორჩენილია სამი სართულის სიმაღლეზე, ჩამოშლილია სართულშუა ხის გადახურვა, მთელ სიმაღლეზე გაბზარულია დას. კედელი.





192. კოშკი, დას. ფასადი. I სართულის გეგმა

კოშკში შესასვლელი დასავლეთიდანაა, პირველი სართულის დონეზე. კარი გარედან თაღით იყო დასრულებული (შემორჩენილია ორივე ჭუსლი), შიგნიდან კი ფიც-

რული გადახურვა ჰქონია. კარის წირთხლებში საურდულე ხვრელებია. აღმ. კედლის შუაში ნახევარწრიული, შეისრულთაღიანი (უმეტესი ნაწილი ჩამონგრეულია) ბუხარია. ბუხრის გვერდებზე, ჩრდ. კედლის შუაში და სამხრ. კედლის აღმ. კიდესთან, თითო თაღოვანი ნიშაა. ჩრდ. ნიშის თაღი შეისრუ-





192. კოშკი, ჭრილი, ხედი ჩრდ.-კენ. II სართულის გეგმა

ლია, დანარჩენებისა – ნახევარწრიული, შედარებით ტლანქად არიან ნაწყობი. სართულის კედლების ზედა ნაწილში კიდევ რვა სწორკუთხა ნიშაა. მათგან სამი ჩრდ-ითაა, ოთხი სამხრ-ით, ხოლო ერთი, საკმაოდ გრძელი – დას-ით. მათი გადახურვა ჭერის დონეზეა. სართულის სამხრ. კედელში ორი შეწყვილებული სათოფურია, ჩრდ. კედელში კი ერთი შეწყვილებული და ერთი ცალმაგი სათოფური.

კოშკის მეორე სართულის თითოეულ კედელში ორ-ორი ცალმაგი სათოფურია გაჭრილი. სათოფურები ანალოგიურადაა განლაგებული მესამე სართულზეც. მხოლოდ აღმ. მხარეს, ორის ნაცვლად, ერთი სათოფურია გაჭრილი. ამ და სამხრ-ით მდებარე ერთი სათოფურის გარდა, ყველა დანარჩენი შეწყვილებულია.

შენობის დას. ფასადზე, შესასვლელის გვერდებზე, კარის თაღოვანი გადახურვის დონეზე, თითო, მცირედ შელრმავებული თაღოვანი ნიშაა.

კოშკის აღმ-ით მდგარი ეკლესია თითქმის მთლიანად დანგრეულია (შემორჩენილი კედლების მაქს. სიმ. 0,7 მ-ია). ეკლ. გეგმით სწორკუთხაა (6×4,9 მ), უაფსიდო. შემორჩენილი კედლები ნაგებია რიყის ქვითა და კირის ხსნარით. აქა-იქ გამოყენებულია კვადრ. აგურიც. ეკლესიას შესასვლელი დას-იდან ჰქონია (შემორჩენილია მხოლოდ ერთი წირთხლის მცირე ნაწილი).

XX ს-ში ადგილ. მოსახლეობას, საკურთხევლის ადგილას, მოგვიანებით პატარა სასახლე ნიში აუგიათ.

კოშკის დას-ით მდგარი ეკლესია უაფსიდოა და აღმ-ით სწორი კედლითაა დასრულებული (5,25×3,85 მ). ნაგებია სხვადასხვა (ალაგ-ალაგ საკმაოდ მოზრდილი) ზომის რიყის ქვით. შესასვლელის წირთხლები და თაღი, აღმ. სარკმლის წირთხლები და აქა-იქ გარე კუთხეების ნაწილი გამოყვანილია აგურით. დაზიანებულია: ჩამონგრეულია კამარა და ეკლესიის შიგნით გროვადაა დაყრილი, დას. კედელი კარის დიობის სიგანეზე გარღვეულია, ნამოშლილია ლავგარდანი.

შესასვლელი დას-იდანაა. კარი გარედან თაღით ყოფილა გადახურული (შემორჩენილია ერთი ქუსლის ნაწილი), ხოლო შიგნიდან ხის თარაზული გადახურვა ჰქონია. საკურთხევლის გვერდითი კედლები დარბაზის გრძივი კედლების უშუალო გაგრძელებაა. აღმ. კედლის შუაში მცირე, სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. გრძივი კედლების აღმ. ნაწილში თითო მცირე ნიშაა მოწყობილი, რ-ებიც გადახურულია ერთმანეთთან კუთხით მიდგმული ორ-ორი აგურით.

თ. დვალი.

193. ზეგაანის ღვთისმშობელო, ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-აღმ-ით 10 კმ-ზე, ნასოფლარ ზეგაანის ტერიტორიაზე. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით. ეკლ. დარბაზულია, (9,6×6,3 მ), ნაგებია რიყის ქვით და აგურით.



194. გეგმა

შესასვლელი ორია: სამხრ-იდან და დას-იდან. კარები გარედან თაღოვანია, შიგნიდან – სწორკუთხა. აღმ-ით ნახევარწრიული, ღრმა აფსიდია, რ-ის ღერძზე ოთხკუთხა სარკმელია გაჭრილი. თითო მსგავსი სარკმელი გრძივ კედლების აღმ. ნაწილშია – ერთმანეთის პირდაპირ, ხოლო ერთი – დას-ით. აფსიდში, სარკმლის სამხრ-ით და ჩრდ-ით თითო ოთხკუთხა ნიშაა. საკურთხეველი საფეხურთაა შემაღლებული და შუაში ნახევარწრიული ამბიონი აქვს მოწყობილი.

შიგნით ეკლ. გადახურულია შეისრული კამარით, რ-იც ორ საბჯენ თაღს ეყრდნობა. მათგან ერთი – დარბაზის შუაშია, ხოლო მეორე – დას. კედელთან. შუა თაღი მარტივი პროფილის კრონშტეინებზეა გადაყვანილი, ხოლო დას-ისა – კუთხის პილასტრებზე. ფასადები შელესილია.

მ. აბაშიძე.

194. კოშკი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის თავში, ჩრდ. განაპირას, მდ. ჩხლთის მარცხ. ნაპირას. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით. კოშკი გეგმით კვადრატულია (6,5×6,5 მ), ოთხსართულიანი.



194. ჩრდ. ფასადი. I სართულის გეგმა

ნაგებია ძირითადად წყრილი რიყის ქვით. არქიტ. ელემენტების (ძირითადად თაღების) გამოსაყვანად გამოყენებულია კვადრ. აგური. კოშკის გარეთა კედლების წყობაში აშკარად შესამჩნევია ქრონოლოგიურად განსხვავებული ორი სამშენ. ფენა, რ-ებიც ერთმანეთისგან, როგორც ფერით, ისე წყობის ხასიათითაც განსხვავდება. კოშკის ოთხივე კედლის ზედაპირი (დაახლ. ორი სართულის სიმაღლეზე) გასწორებულია ბათქაშით, რის გამოც უფრო ღია ფერისა ჩანს. კედლების ზედა ნაწილები შეულესავია. აქ ქვა თითქმის იგივე ზომისაა, მაგრამ ქვიდა ნაწილებისგან განსხვავებით, ფორმისა და ზომის მიხედვით შერჩეულია და დაწყობილია ჰორიზონტალურ რიგებად.

შესასვლელი ორია – პირველ და მეორე სართულზე, ჩრდ-ით. ორივე კარი თაღოვანია. გამოყვანილია აგურით. შიგნით კი, ფიცრული გადახურვა აქვთ.

კოშკის პირველი სართულის შესასვლელის პირდაპირ, სამხრ. კედელში, გეგმით ნახევარწრიული, თაღოვანი ბუხარია, რ-ის ორივე მხარეს თითო, სწორკუთხა ნიშაა





194. ჭრილი, ხედი აღმ-კენ. II სართულის გეგმა

მოწყობილი. აღმ., დას. და ჩრდ. კედლებში ორ-ორი ცალმაგი სათოფურია. ერთი შეწყვილებული სათოფურია სამხრ. კედლის აღმ. ნაწილში, ნიშის ქვემოთ.

მეორე სართულის აღმ. კედელში ორი ცალმაგი სათოფურია, დას-ისაში – ერთი. თითო შეწყვილებული სათოფური სამხრ-ით და ჩრდ-ითაა. აღმ. კედლის სამხრ. ნაწილში აგურით გამოყვანილი შეისრულთაღიანი ბუხარია. ბუხრის მარჯვნივ, ოდნავ ზემოთ, სწორკუთხა ნიშა. მსგავსი ნიშა დას-ითაცაა. სართულის სამხრ.–დას. კუთხესთან, კედლებში, თიხის სამი მცირე ქოთანია ჩადგმული (ორი სამხრ-ით, ერთი – დას-ით), რ-ებსაც, სავარაუდოდ, ტკბილისა და თოფის წამლის შესანახად იყენებდნენ.

მესამე სართულის თითოეულ კედელში თითო შეწყვილებული სათოფურია. აღმ., სამხრ. და დას. კედლებში – თითო სწორკუთხა ნიშიც.

მეოთხე სართულის ჩრდ. და სამხრ. კედლებში თითო სწორკუთხა ღიობია (სიმ. – 80 სმ-მდე, სიგ. – 60 სმ-მდე). აღმ. კედელი ყრუა, ხოლო დას-ისაში ერთი შეწყვილებული სათოფურია მოწყობილი.

კოშკის სართულშუა გადახურვა ხის ყოფილა (შემორჩენილია კოჭების საყრდენი ბუდეები).

თ. დვალი.

195. კოშკი, არქიტ. ძ. დგას ბუშელაშვილების უბანში. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით. კოშკი გეგმით თითქმის კვადრატულია (6,9×6,3 მ). ნაგებია რიყის ქვითა და კირის ხსნარით. შემორჩენილია ორი სართული. პირველი სართული ამოვსებულია ნანგრევებითა და მიწით. შესასვლელი მეორე სართულის აღმ. კედელშია. სართულის კედლებში ექვსი თაღოვანი ნიშა და ცხრა სათოფურია მოწყობილი. სამხრ. კედლის შუაში აგურით ნაგები, გეგმით ნახევარწრიული, შეისრულთაღოვანი ბუხარია. კოშკს ხის სართულშუა გადახურვა ჰქონია.

მ. აბაშიძე.

196. კოშკი, არქიტ. ძ. დგას ნასოფლარ ვეძისხევის სამხრ. ნაწილში, შილდიდან ბარცანისკენ მიმავალი გზის მარცხ. მხარეს, გზიდან დაახლ. 60 მ-ზე. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით. ძირითადად სამხ. დანიშნულებისა იყო. სავარაუდოდ, გამოიყენებოდა დროებით საცხოვრებლადაც.

კოშკი გეგმით კვადრატულია (6,2×6,2 მ), ზემოთ ოდნავ შევიწროებული. შემორჩენილია სამი სართულის სიმაღლეზე. შენობა ნაგებია რიყის და ნატეხი ქვის





196. დას. ფასადი. I სართულის გეგმა

ორეგულარული წყობით. კედლების ზედაპირი შიგნიდან და გარედან გასწორებულია ბათქაშით.

კოშკში შესასვლელი პირველ სართულზეა, დას-იდან. კედელი კარის ადგილას დანგრეულია და შესასვლელს მხოლოდ თაღის ქუსლების და სამხრ. წირთხლის მცირე ნაწილიდა შემორჩა. სართულის კედლებში ხუთი სათოფურია გაჭრილი. ერთ-ერთი მათგანი ფართოა და ქვემოთ ეშვება. დანარჩენები ვიწროა. ზოგი მათგანი ჰორიზონტალურად არის გაჭრილი, ზოგი – ზევით. ერთ-ერთი სათოფურის ქვემოთ ქვის ნაშალია. სათოფურების ირგვლივ ქვის ნაშალი ჩანს.





196. ჭრილი, ხედი აღმ-კენ. II სართულის გეგმა

მეორე სართულის კედლებში შეიდი შეწყვილებული და ერთი ცალმაგი სათოფურია გაჭრილი.

მესამე სართულის კედლების მნიშვნელოვანი ნაწილი დანგრეულია. როგორც შემორჩენილი კედლების მიხედვით ირკვევა, აღმ., დას. და ჩრდ. კედლებში თითო განიერი ღიობი იყო მოწყობილი. მათგან აღმ. და ჩრდ-ისა – სარკმლისაა. დას-ისა – კარის, რ-იც გადიოდა ხის ძელებზე დაყრდნობილ (შემორჩენილია ძელების ნაწილები) ღია აივანზე. სართულის კედლებში სათოფურები და რამდენიმე ნიშაა დატანებული.

თ. დვალი.

197. კოშკი, არქიტ. ძ. დგას ნასოფლარ ვეძისხევის შუაში, თა-





197. ჭრილი, ხედი აღმ-კენ. გეგმა

გადახურვის ხის ძელები იყო დაყრდნობილი.

მეორე სართულის კედლებში შეიდი შეწყვილებული და ერთი ცალმაგი სათოფურია გაჭრილი.

მესამე სართულის კედლების მნიშვნელოვანი ნაწილი დანგრეულია. როგორც შემორჩენილი კედლების მიხედვით ირკვევა, აღმ., დას. და ჩრდ. კედლებში თითო განიერი ღიობი იყო მოწყობილი. მათგან აღმ. და ჩრდ-ისა – სარკმლისაა. დას-ისა – კარის, რ-იც გადიოდა ხის ძელებზე დაყრდნობილ (შემორჩენილია ძელების ნაწილები) ღია აივანზე. სართულის კედლებში სათოფურები და რამდენიმე ნიშაა დატანებული.

თ. დვალი.

რიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით. კოშკი გეგმით სწორკუთხაა (6,6×6,1 *მ*), ზევითკენ შევიწროებული. ნაგებია სხვადასხვა ზომის ნატეხი ქვით. გარეთა კუთხეებში შედარებით მოზრდილი ქვებია გამოყენებული. გარე კედლების ზედაპირი (2–3 *მ* სიმაღლეზე), გასწორებულია ბათქაშით. კედლების ზემოთა ნაწილი – შეულესავია და საპირე ქვებიც შედარებით წვრილია.

კოშკის პირველი სართული სანახევროდ ნანგრევებითა და მიწითაა ამოვსებული. სართულის აღმ., სამხრ. და ჩრდ. კედლებში მოწყობილია ორ-ორი შეწყვილებული სათოფური. დას. კედელში სამი სათოფურია. მათგან ერთი შეწყვილებულია, ორი – ცალმაგი.



197. დას. ფასადი. II სართულის გეგმა



197. ხედი სამხრ.-დას.-იდან

კოშკში შესასვლელი დასიდანაა, მეორე სართულის დონეზე. კარი გარედან თაღოვანია, გამოყვანილია აგურით. ხოლო შიგნიდან ფიცრული გადახურვა ჰქონია. შესასვლელის პირდაპირ, აღმ. კედლის შუაში, აგურით ნაწყობი, გეგმით ნახევარწრიული, შეისრულთაღიანი ბუხარია. რ-ის გვერდებზე თითო ცალმაგი სათოფურია. მსგავსი სათოფური დას. კედელში, სართულის ჩრდ.-დას. კუთხესთანაცაა. ორი შეწყვილებული სათოფური – სამხრ-ით, თითოთითო კი – ჩრდ. და დას. კედლებშია. ჩრდ. სათოფურის ორივე მხარეს თითო პატარა, შეისრულთაღიანი თახჩაა.

კოშკის მესამე სართულის აღმ., დას. და სამხრ. კედლებში ორ-ორი ცალმაგი სათოფურია. მათგან აღმ. და დას. სათოფურებს შორის თითო სწორკუთხა თახჩაა მოწყობილი. ერთი მსგავსი თახჩა ჩრდ. კედლის შუაშიცაა.

მეოთხე სართულის კედლები ნაწილობრივ დანგრეულია. აღმ. და ჩრდ. კედლების შუაში, თითო პარალელურწირთხლებიანი, თარაზულად გადახურული სარკმელია. დას. კედლის შუაში კი სწორკუთხა თახჩა. მის ორივე მხარეს თითო სათოფურია. ორი სათოფურია აღმ. კედელშიც – სარკმლის გვერდებზე.

კოშკის სართულშუა გადახურვა გამართული ყოფილა ხის ძელებზე (კედლებზე შემორჩენილია ძელების საყდენი ბუდეები).

თ. დვალი.

198. კოშკი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის მიდამოებში, უკანჭალად წოდებულ ადგილას. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

შენობა გეგმით სწორკუთხაა. ნაგები იყო ნატეხი ქვით. დანგრეულია: კედლები შემორჩენილია 1,5-2 *მ* სიმაღლეზე. ჩრდ. კედელში შეინიშნება შესასვლელის კვალი.

ბ. კუპრეიშვილი.

199. კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფლის მიდამოებში, მდ. ჩელთის მარცხ. ნაპირას. დანგრეულია.

შენობა გეგმით სწორკუთხაა. ნაგები ყოფილა ნატეხი და რიყის ქვით. ჩრდ. კედელში შეიმჩნევა შესასვლელის კვალი. დას. კედლის შემორჩენილ ნაწილში ბუხარია, მის გვერდით – სწორკუთხა ნიშა. აღმ. კედელზე ჩანს ვიწრო სათოფურები.

ბ. კუპრეიშვილი.

200. კოშკი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის მიდამოებში, ციხეანგრევებად წოდებულ ადგილას. დანგრეულია (შემორჩენილი კედლების მაქს. სიმ. 1 *მ*-ია). კოშკი გეგმით სწორკუთხაა. ნაგები ყოფილა რიყისა და ნატეხი ქვით კირის ხსნარზე.

ბ. კუპრეიშვილი.

201. ლაშარის ჯვარი, ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფელში. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით. ეკლ. დარბაზულია, ნაგებია ნატეხი ქვით. მოგვიანებით შეულესავთ და შეუთეთრებიათ. დაზიანებულია: ჩაქცეულია გადახურვა, მორღვეულია კედლების ზედა ნაწილი. შესასვლელი ჩრდიდანაა. ეკლ. უაფსიდოა და აღმ-ით სწორი კედლითაა დასრულებული, რ-ის შუაში გაჭრილია ოთხკუთხა სარკმელი. მსგავსი სარკმელი დას. კედელშიცაა. სამხრ. კედელში მოწყობილია დრმა ნიშა. დარბაზში დგას მასიური ტრაპეზი, რ-საც დას-იდან ნიშები აქვს.

ბ. კუპრეიშვილი.

202. ნაეკლესიარი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით, 2 *კმ*-ზე, ტყეში. შემორჩენილია მხოლოდ ჩრდ. კედლის მცირე ფრაგმენტი. ეკლ. ნაგები იყო ნატეხი ქვითა და კირის ხსნარით.

ბ. კუპრეიშვილი.

203. ნათლისმცემლის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის განაპირას. თარიღდება ადრინდ. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია, რ-საც ჩრდიდან, მთელ სიგრძეზე, თანადროული მინაშენი ეკვრის (8,2×7,5 *მ*).



203. გეგმა

ძ. ნაგებია ნატეხი ქვით კირის ხსნარზე, გამოყენებულია შირიმიც. შესასვლელი სამხრ-იდანაა. კარი სწორკუთხაა. მსგავსი კარი ეკლესიის ჩრდ. კედლის დას. ნაწილშიცაა, რ-იც მინაშენში გადის.

ეკლესიის შიდა სივრცე აღმ-ით დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით, რ-ის ღერძზე ვიწრო, ნახევარწრიულთაღოვანი სარკმელია გაჭრილი. ერთი ვიწრო, ოთხკუთხა სარკმელი სამხრ-ით, შესასვლელის მარჯვ. მხარესაა. აღმ. სარკმლის ქვეშ, კედელზე, მიდგმულია ტრაპეზი. აფსიდის გვერდებში თითო ოთხკუთხა ნიშაა მოწყობილი. აფსიდი დარბაზისგან გამოყოფილია ორსაფეხურიანი მხრებით. კაპიტელებით დასრულებულ მეორე საფეხურს სფერული კონქის სატრიუმფო თაღი ეყრდნობა. დარბაზი გადახურულია ნახევარცილინდრული კამარით. აფსიდის იატაკი ერთი საფეხურითაა ამაღლებული.

ეკლესიას ჩრდ. მხრიდან, მთელ სიგრძეზე, გასდევს თანადროული მინაშენი, რ-იც ორი ღია თაღით (დღეისთვის ამოშენებულია) უკავშირდებოდა ეკლესიას. თაღები გადაყვანილია ოთხკუთხა ბურჯზე. მინაშენი აღმ-ით დასრულებულია ნალისებრი აფსიდით. მის ღერძზე ვიწრო, ნახევარწრიულთაღიანი სარკმელია გაჭრილი. კონქის თაღი ნახევარწრიულია. მსგავსი ფორმისაა კამარაც.

კ. გიორგობიანი.

204. ორსაყრდენი, ნაეკლესიარი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-დას-ით, 3 *კმ*-ზე, ადგილ ვაკესარბიელად წოდებულ ადგილზე. თარიღდება შუა საუკუნეებით.

ეკლ. გეგმით სწორკუთხაა. ნაგები იყო ნატეხი ქვით. დანგრეულია: კედლები (შემორჩენილია 20-30 *სმ* სიმაღლეზე) მიწითა და მცენარეულობითაა დაფარული. ეკლ. უაფსიდოა, აღმ-ით დასრულებულია სწორი კედლით. ნაგებობის ტერიტორიაზე ქვის ქვევრებია.

მ. აბაშიძე.

205. ორსაყრდენი, ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-დას-ით 3 *კმ*-ზე, ტყეში. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.



205. გეგმა

ეკლ. დარბაზულია (5,5×3,5 *მ*). ნაგებია ნატეხი ქვით და ფიქლით კირის ხსნარზე. დაზიანებულია: ჩამოშლილია სახურავის საფარი და ლავგარდანი, დეფორმირებულია კედლები.

შესასვლელი სამხრ-იდანაა. კარი სწორკუთხაა. აღმ-ით ნალისებრი აფსიდია, რ-ის ღერძზე გაჭრილია ვიწრო, ოთხკუთხა სარკმელი, რ-საც ძირი საფეხურებად აქვს დამუშავებული. სარკმლის ჩრდ-ით ორი ოთხკუთხა ნიშაა, სამხრ-ით კი – სამი. შუა ნიშაში მოწყობილია მცირე სამალავი. სარკმლის ქვემოთ, კედელზე, მიშენებულია ტრაპეზი.

გრძივ კედლებზე შემორჩენილია მხატვრობის ფრაგმენტები. დარბაზი გადახურულია ქარგილზე სხმული ნახევარცილინდრული კამარით.

მ. აბაშიძე.

206. სამლოცველო, წარმართული საკულტო ნაგებობა, არქეოლ., არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-აღმ-ით, ე. წ. ბუკიანთ ნაქუნახარში. თარიღდება ძვ. წ. XIV-XII სს-ით.

1976-78 წწ-ში შეისწავლა აპცის კაპ-ის ექსპედიციის რაზმმა (ხელმძღვ. ბ. მაისურაძე). გაითხარა დარბაზული ნაგებობა, ტაძრის ჭანდაკება, ბრინჯაო, ძვ. წ. XIV-XII სს.



206. თხის ჭანდაკება, ბრინჯაო, ძვ. წ. XIV-XII სს.

ახლ. 34×32 *მ* ფართობი. გამოვლინდა ნატეხი ქვის მშრალი წყობით ნაშენი, გეგმით წრიული მოყვანილობის ნაგებობის (დიამ. აღმ.-დას-ის ხაზზე – 12 *მ*, სამხრ.-ჩრდ-ის ხაზზე – 14 *მ*, კედლის სისქე – 1,5 *მ*) ნაშთი, რ-ის აღმ. ნახევარი მიწის ხვნის დროს იყო განადგურებული. ნაგებობის შუა ნაწილში დაფიქსირდა ნატეხი ქვითვე ნაშენი, ასევე წრიული ნაგებობა (დიამ. აღმ-დას-ის ხაზზე – 9,5 *მ*, სამხრ.-ჩრდ-ის ხაზზე – 8,5 *მ*, კედლის სისქე – 1,2 *მ*). დიდი ნაგებობის ჩრდ.-აღმ. ნაწილში დაფიქსირდა კედლის რადიალურად გადამკვეთი, ერთმანეთის პარალელური ორი კედელი, რ-თა შორის მოქცეული იყო შესასვლელი დერეფანი (სიგრ. – 3,4 *მ*, სიგ. – 4 *მ*). შესასვლელთან (ნაგებობის შიგნით) იდგა ნაცრით სავსე



206. ტახის ჭანდაკება, ბრინჯაო, ძვ. წ. XIV-XII სს.

თიხის ჭურჭელი. ერთი მსგავსი ჭურჭელი დაფიქსირდა შიდა ნაგებობის სამხრ. ნაწილში, ხოლო მეორე დიდი ნაგებობის სამხრ.-აღმ. ნაწილში – კედელთან. შიდა წრიულ ნაგებობაში მდგარ ჭურჭელში აღმოჩნდა ბრინჯაოს 72 შუბისპირი, ორი სატევარი, ორი ცული, უმბონები, სამი ნამგალი და ბალთა. მეორე ჭურჭელი კი სავსე იყო ერთმანეთზე შედუღებული ბრინჯაოს ნივთებით (მცირე ზომის ქანდაკებები, სამკაულები, ცულის სამი იმიტაცია, ღილები, მძივები, საკიდები ფრინველების და ცხოველების გამოსახულებით და სხვ.). ჭურჭელში ასევე დაფიქსირდა სარდიონის, მინის და პასტის მძივები.



206. ცული, ბრინჯაო, ძვ. წ. XIV-XII სს.

გათხრების დროს, შიდა ნაგებობის გარეთ, აღმოჩნდა სამი დიდი ორმო (5×3 *მ*, 2,8×2,3 *მ*, 2×1 *მ*), რ-ებშიც, სავარაუდოდ, ხდებოდა ნივთების შეწირვა. თითოეული მათგანი მეტად მდიდარი იყო არქეოლ. მასალით. ორმოებში გამოვლინდა ასზე მეტი ნივთი ან ნაცრისფრად გამომწვარი თიხის ჭურჭელი (ნატეხები), ბრინჯაოს შუბისპირი, შუბისპირის იმიტაცია. მეორე ორმოში – თიხის დიდი ზომის ჭურჭლის ნატეხები, სასმისები, ბრინჯაოს მახვილის ცხრა იმიტაცია. მესამე ორმოში



206. შუბისპირი, ბრინჯაო, ძვ. წ. XIV-XII სს.

– დიდი და მცირე ზომის ჭურჭელი, ჭურჭლის ნატეხები.

არქეოლ. მასალა დიდი რაოდენობით გამოვლინდა სამლოცველოს დანარჩენ ტერიტორიაზეც. მათ შორის, სარდიონის, მინის, პასტის და ბრინჯაოს მძივების გარდა, დადასტურდა ბრინჯაოს სამაჯურები, ამიერკავკასიური ტიპის ბრინჯაოს ცულები (მათ შორის 114 იმიტაცია), სატევრები, ბრინჯაოს აბზრის ფირფიტები, სატეხი, ნამგლები, კაუჭები, ბრინჯაოსავე ანტროპომორფული და ზოომორფული ქანდაკებები. მთლიანად ტერიტორიაზე აღმოჩნდა ბრინჯაოს 3457 ნივთი.

ნაგებობის შიგნით, შესასვლელთან ახლოს, დადასტურდა

ქვებით შემოკავებული ოთხკუთხა ბაქანი – საკურთხეველი.

სამლოცველოზე საწესო რიტუალები, ძირითადად, ნაყოფიერების ღვთაების პატივსაცემად სრულდებოდა, რ-იც, ამავე დროს, ნადირობის ღვთაებაც იყო. ბრინჯაოს მასალის სიმრავლე, ბრინჯაოს ზოდები, საბრძოლო იარაღისა და სამკაულების ნახევარფაბრიკატების არსებობა არ უნდა გამორიცხავდეს სამლოცველოს შექმნაში მეტალურგ ხელოსანთა მონაწილეობასაც.

სამლოცველოს ფუნქციური დატვირთვის შესახებ განსხვავებული ვარაუდი გამოთქვა ლ. ჭილაშვილმა. მისი აზრით, ქვეყნის მხარეების მიმართ სამლოცველოს ორიენტაციით, არქიტ. ფორმებით და ზოგიერთი შენაწირი ნივთის რაობით იგი უნდა უკავშირდებოდეს ციურ მნათობთა ტრიადას – მზეს, მთვარეს და ვენერას. ამ მნათობებთან უნდა იყოს დაკავშირებული ასევე, სამლოცველოს შიგნით სამი ორმოს მოწყობაც და სამი ჭურჭლის დადგმაც.

ბ. მაისურაძე

ბიბლ.: 102ვ; 119; 122; 231; 308.

207. სახარის ჯვარი, ე კ ლ ე ს ი ა, არქიტ. ძ. მდებარეობს ლ. მამუკოშვილის ეზოში. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით. ეკლ. დარბაზულია (5,4×3,4 მ). ნაგებია რიყის ქვითა და კირის დუღაბით – ტლანქად. დაზიანებულია: ჩაქცეულია კამარა, მორღვეულია კედლების ზედა ნაწილი.

შესასვლელი დას-იდანაა. კარი გარედან თაღოვანია, შიგნიდან სწორკუთხა. ეკლ. უაფსიდოა, აღმ-ით დასრულებულია სწორი კედლით, რ-შიც ვიწრო, ოთხკუთხა სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ქვემოთ დგას ოთხკუთხა ტრაპეზი. ჩრდ. კედლის აღმ. კიდეში ოთხკუთხა ნიშაა.

შენობას ხის ნივნივებზე მოწყობილი კრამიტის გადახურვა აქვს.

პ. კოკაჩიშვილი

208. უკანჯალა, ნ ა ს ო ფ ლ ა რ ი, არქეოლ., არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლიდან ჩრდ.-აღმ-ით, 3 კმ-ზე, ტყიან გორაკზე. ნასოფლარზე შემორჩენილია ქვიტკირის ნაგებობების ნაშთები.

გ. რჩეულიშვილი, ა. ღულაღუტაშვილი

209. ფაშაანის ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლიდან სამხრ-ით, 10-12 კმ-ზე, ნასოფლარ ფაშაანის ტერიტორიაზე. თარიღდება XVIII ს-ით.

ეკლ. დარბაზულია (10,2×6,5 მ). ნაგებია აგურითა და რიყის ქვით. დაზიანებულია: აყრილია გადახურვა; დას. კედელი შუაში, მთელ სიმაღლეზე, გაბზარულია. შენობას ორი შესასვლელი აქვს: დას-ით და ჩრდ-ით. ჩრდ-ის კარი კედლის დას. ნაწილშია, დას-ისა – შუაში. ორივე გარედან თარაზულადაა გადახურული, ხოლო შიგნიდან თაღოვანია. დას. კარი, ჩრდ. კართან შედარებით, ბევრად უფრო განიერია (სიგ. თითქმის 2 მ-ია).



209. გეგმა

აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის იატაკი საფეხურითაა შემაღლებული და შუაში ნახევარწრიული ამბიონი აქვს მოწყობილი. აფსიდის ღერძზე გაჭრილია ნახევარწრიულთაღოვანი სარკმელი. თითო მსგავსი სარკმელი სამხრ., დას. და ჩრდ. კედლებშიცაა. აფსიდში, სარკმლის ორივე მხარეს, გეგმით ნახევარწრიული, თითო თაღოვანი ნიშაა. სარკმლის წინ კი, კედლიდან ოდნავ მოშორებით, დგას ტრაპეზი. გრძივ კედლებზე ორ-ორი მარტივი პილასტრია. მათზე კედლის თაღებია გადაყვანილი. პილასტრების აღმ. წყვილი აფსიდს დარბაზისგან გამოყოფს. პილასტრების [illegible] სადა კრონშტაინებია, რ-ებსაც კამარის საბჯენი ფადები ეყრდნობა. თითო პილასტრი დარბაზის დას. კუთხეებშიცაა. მათზე დას. კედლის მიმდებარე საბჯენი თაღია გადაყვანილი. შიგნით ეკლ. გადახურულია აგურით ნაწყობი, ნახევარცილინდრული კამარით. აგურისაა კონქიც.

ეკლესიის ფასადები რიყის ქვის ირეგულარული წყობითაა ამოყვანილი. წყობაში ჩართულია ერთმანეთისგან თანაბარი მანძილებით დაშორებული აგურის თითორიგიანი შრეები. აღმ. ფასადზე, ფრონტონის არეში, გამოსახულია კედლის სიბრტყეში შეღრმავებული ჯვარი. კედლები დასრულებულია აგურის საფეხუროვანი ლავგარდნით. დას. ფრონტონის წვერზე დადგმულია აგურით ნაგები ოთხწახნაგა, ოთხივე მხარეს თაღებით გახსნილი, პირამიდული სახურავით დასრულებული ს ა მ რ ე კ ლ ო.

კ. გიორგობიანი

210. ღვთაების ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ცენტრში, ი. ჭავჭავაძის ქუჩაზე. ჩრდ. შესასვლელის ზემოთ არსებული ექვსსტრიქონიანი წარწერის თანახმად ძ. აშენებულია 1865 წ. გიორგი, სოლომონ ასაბაშვილის და ივანე ლომოურის მიერ.

ეკლ. დარბაზულია (15,1×7,6 მ). ნაგებია აგურით. შენობას ორი შესასვლელი აქვს. ჩრდ. კედლის შუაში და დას. კედელში. ორივე კარი, გარედან და შიგნიდან თაღოვან შეღრმავებაშია ჩასმული. ეკლესიის ვრცელი დარბაზი აღმ-ით დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით, რ-ის ღერძზე განიერი, მაღალი, ნახევარწრიული თაღით გადახურული სარკმელია. აფსიდში ოთხი თაღოვანი ნიშაა. მათგან ორი, რ-ებიც სარკმლის აქეთ-იქით, ერთმანეთის სიმეტრიულადაა მოწყობილი, გეგმით ნახევარწრიულია, ხოლო ორი სწორკუთხა. მათ შორის ერთი სარკმლის ქვემოთაა, მეორე – აფსიდის ჩრდ. გვერდის ბოლოსთან. თითო თაღოვანი ნიშაა, ერთმანეთის მო-

პირდაპირედ, გრძივი კედლების აღმ. ნაწილში. საკურთხევლის სარკმლის გარდა, ეკლესიას კიდევ ხუთი თაღოვანი სარკმელი აშუქებს: ერთი – დას-ით, შესასვლელის ზემოთაა, ორ-ორი კი – ჩრდ. და სამხრ. კედლებში. აფსიდის იატაკი ოდნავ შემაღლებულია (დაახლ. 20 სმ-ით) და შუაში ნახევარწრიული ამბიონი აქვს. აფსიდს მთელ სიგრძეზე საფეხური გასდევს, რ-ის შუაში მოწყობილია ტახტი.



210. გეგმა

დარბაზის გრძივი კედლები დანაწევრებულია სამ-სამი ერთრიანი კრონშტაინებია, რ-ებსაც კამარის საბჯენი თაღები ეყრდნობა.

ეკლესიას დას. მხრიდან მიდგმული აქვს გეგმით კვადრ. (3,9×3,9 მ), სამსართულიანი ს ა მ ე კ ლ ო. რ-ის პირველი სართული განიერი, მაღალი თაღებითაა გახსნილი. თაღები გადაყვანილია ოთხივე კუთხეში მდგარ ოთხკუთხა ბოძებზე. სართული გადახურულია გუმბათოვანი კამარით. პირველი სართულის მსგავსადაა გადაწყვეტილი მეორე სართულიც, მაგრამ, პირველთან შედარებით, იგი ოდნავ დაბალია, გადახურვის გარეშე. ორივე სართულის თაღების ქუსლებთან გამოყოფილია სამსაფეხურიანი იმპოსტები. მესამე სართული შიგნიდან წრიულია, გარედან კი ექვსწახნაგიანი ფანჩატურია. ფანჩატურის წიბოებს, მთელ სიმაღლეზე, სამ-სამი ნახევარსვეტი ასდევს, რ-ებიც დაყრდნობილი ანალოგიური ლილვებისგან შედგენილ ჰორიზონტალურ სარტყელზე. თითოეულ წახნაგში თითო, ვიწრო, მაღალი, თაღია. თაღებს გარედან ლილვებით შედგენილი განიერი საპირე ევლება. ფანჩატურს ზედა ნაწილი მონგრეული აქვს.

ეკლესიის ფასადები ერთსაფეხურიანი პილასტრებითა და მათზე გადაყვანილი თაღებითაა დანაწევრებული. გრძივ ფასადებზე ექვს-ექვსი თაღია, აღმ. ფასადზე – სამი, დას. ფასადზე კი – ორი. თაღების ქუსლებთან გამოყოფილია სამსაფეხურიანი იმპოსტები. აღმ. ფასადის ფრონტონზე სამი შელრმავებული ჯვარია გამოსახული. სამრეკლოს პირველი სართულის სამივე ფასადზე, თაღებს ზემოთ, მოწყობილია მშვილდისებრი თაღით გადახურული ნიშა, რ-ის ორივე მხარეს თითო შელრმავებული რომბია.



210. ხედი ჩრდ.-აღმ-დან



210. გრძივი ჭრილი, ხედი ჩრდ.-კენ

საფეხურიანი პილასტრითა და მათზე გადაყვანილი, საფეხურით შელრმავებული, სამ-სამი თაღით. პილასტრების ასწერივ სამსაფეხურიანი იმპოსტები. მესამე სართული შიგნიდან წრიულია, გარედან კი ექვსწახნაგიანი ფანჩატურის წიბოებს, მთელ სიმაღლეზე, სამ-სამი ნახევარსვეტი ასდევს, რ-ებიც დაყრდნობილი ანალოგიური ლილვებისგან შედგენილ ჰორიზონტალურ სარტყელზე. თითოეულ წახნაგში თითო, ვიწრო, მაღალი, თაღია. თაღებს გარედან ლილვებით შედგენილი განიერი საპირე ევლება. ფანჩატურს ზედა ნაწილი მონგრეული აქვს.

ეკლესიის ფასადები ერთსაფეხურიანი პილასტრებითა და მათზე გადაყვანილი თაღებითაა დანაწევრებული. გრძივ ფასადებზე ექვს-ექვსი თაღია, აღმ. ფასადზე – სამი, დას. ფასადზე კი – ორი. თაღების ქუსლებთან გამოყოფილია სამსაფეხურიანი იმპოსტები. აღმ. ფასადის ფრონტონზე სამი შელრმავებული ჯვარია გამოსახული. სამრეკლოს პირველი სართულის სამივე ფასადზე, თაღებს ზემოთ, მოწყობილია მშვილდისებრი თაღით გადახურული ნიშა, რ-ის ორივე მხარეს თითო შელრმავებული რომბია.

ფასადებს აგურის საფეხუროვანი ლაყეგარდნი ასრულებდა (აქა-იქ შემორჩენილია ფრაგმენტები). ეკლ. დაბურული იყო ღარისებრი კრამიტით.

თ. დვალი.

211. ღვთისმშობლის ეკლესიის კომპლექსი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-დას. განა-

პირას, მდ. ჩელთის მარცხ. ნაპირას. კომპლექსში შედის: ღვთისმშობლის ეკლესია, 2 კოშკი, 3 კარიბჭე, 4 ნაგებობის ნაშთი, 5 გალავანი



211. გეგეგმა. 1 ღვთისმშობლის ეკლესია, 2 კოშკი, 3 კარიბჭე, 4 ნაგებობის ნაშთი, 5 გალავანი

მშობლის ეკლ., კოშკი, ნაგებობათა ნაშთები და გალავანი.

ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს ე კ ლ ე ს ი ა. თარიღდება VI ს-ით. დგას ეზოს შუაში, რ-ის დიდი ნაწილი ძველ სასაფლაოს უკავია. ძ. სამეკლესიოანი ბაზილიკაა, ნაგებია სხვადასხვა ზომის (ზოგან – ძალზე დიდი) ნატეხი ქვითა და რიყის ქვით.

ეკლესიის გეგმის გარეგან სწორკუთხედში (22,2×16,2 მ), გვერდიგვერდ, მოქცეულია სამი ნაგი, რ-ებიც დამოუკიდებელ ეკლესიებს წარმოადგენს. შუა ეკლ. გვერდით ეკლესიებთან შედარებით, ჩვეულებისამებრ, უფრო ფართოა და მაღალი. შენობის დას. ნაწილში, მთავარი ეკლესიის გაგრძელებაზე, კამაროვანი დერეფანია, რ-იც გვერდით ეკლესიებს ერთმანეთთან აკავშირებს.

ძეგლს, რამდენჯერმე შეკეთების გამო, თავდაპირველი სახე მნიშვნელოვნად აქვს შეცვლილი. ყველაზე დიდი შეკეთება ნაგებობას XIX ს-ში განუცდია (როგორც ჩანს, აქ ამბროსი ნეკრესელის მოღვაწეობის დროს). ამ დროს გაანუახლებიათ მთავარი ეკლესიის კედლების ზედა ნაწილები და კამარა. მოუწყვიათ აგურის სამსაფეხურიანი ლავგარდანი, გადაუკეთებიათ გვერდითი ნავების შესასვლელები, მთავარი ეკლ. და გვერდითი ეკლესიების დამაკავშირებელი დერეფანი შიგნიდან მთლიანად შეულესავთ და შეუთეთრებიათ.



211. ღვთისმშობლის ეკლესია. გეგმა

1980-იანი წლების II ნახ-ში ძეგლზე სარესტ. სამუშაოები ჩატარა სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნომ (პროექტის ავტორი, არქიტ.-რესტავრატორი ნ. ქანთელი). აღდგა ეკლესიის კედლების დანგრეული ნაწილები, აგურის გვიანდ. ლავგარდნის ნაცვლად, მოეწყო შირიმის თაბაშირებრი ლავგარდანი. შიგნით, კედლები გაიწმინდა გვიანდ. ნალესობისგან. გაიხსნა მოგვიანებით ამოშენებული ღიობები. ეკლ. გადაიხურა ღარისებრი კრამიტით.

შუა ეკლესიას სამი მაღალი შესასვლელი აქვს: სამხრ-ით, დას-ით და ჩრდ-ით. სამივე კარი გარედან, დიდი ზომის, არაწესიერი ფორმის ქვით, თარაზულადაა გადახურული, ხოლო შიგნიდან ნალისებრი თაღი ხურავს.

შუა ეკლ. აღმ-ით დასრულებულია ნალისებრი აფსიდით. აფსიდში მოწყობილია ნახევარწრიული თაღით გადახურული სარკმელი, რ-საც თითქმის პარალელური წირთხლები აქვს. სარკმლის ჩრდ-ით სწორკუთხა ნიშაა. თითო თაღოვანი სარკმელი (განახლებულია რესტავრაციის დროს) დანარჩენ კედლებშიცაა. საკურთხეველის თაღი ნალისებრია. თაღის ჭუსლებთან მარტივი პროფილის (თარო და ოდნავ შეზნექილი სახელოსნომ (პროექტის ავტორი, არქიტ.-რესტავრატორი ნ. ქანთელი). აღდგა ეკლესიის კედლების დანგრეული ნაწილები, აგურის გვიანდ. ლავგარდნის ნაცვლად, მოეწყო შირიმის თაბაშირებრი ლავგარდანი. შიგნით, კედლები გაიწმინდა გვიანდ. ნალესობისგან. გაიხსნა მოგვიანებით ამოშენებული ღიობები. ეკლ. გადაიხურა ღარისებრი კრამიტით.

შუა ეკლესიას სამი მაღალი შესასვლელი აქვს: სამხრ-ით, დას-ით და ჩრდ-ით. სამივე კარი გარედან, დიდი ზომის, არაწესიერი ფორმის ქვით, თარაზულადაა გადახურული, ხოლო შიგნიდან ნალისებრი თაღი ხურავს.

შუა ეკლ. აღმ-ით დასრულებულია ნალისებრი აფსიდით. აფსიდში მოწყობილია ნახევარწრიული თაღით გადახურული სარკმელი, რ-საც თითქმის პარალელური წირთხლები აქვს. სარკმლის ჩრდ-ით სწორკუთხა ნიშაა. თითო თაღოვანი სარკმელი (განახლებულია რესტავრაციის დროს) დანარჩენ კედლებშიცაა. საკურთხეველის თაღი ნალისებრია. თაღის ჭუსლებთან მარტივი პროფილის (თარო და ოდნავ შეზნექილი ზედაპირი) იმპოსტებია. სატრიუმფო თაღის ზემოთ, კამარამდე, აწყობილია მაღალი შუბლი. საკურთხე

ველი ორი საფეხურითაა ამაღლებული. აფსიდს მთელ პერიმეტრზე საფეხური გასდევს, რ-ის შუა ნაწილში, სარკმლის ქვემოთ, წინამძღვრის ტახტია მოწყობილი. დარბაზი გადახურულია დადაბლებული პროპორციების კამარით, რ-იც სამხრ. კედლის აღმ. კიდეში სწორკუთხა მოხაზულობის დრმა ნიშაა.



211. ღვთისმშობლის ეკლესია, განივი ჭრილი, ხედი აღმ.-კენ



211. ღვთისმშობლის ეკლესია, გრძივი ჭრილი, ხედი აღმ.-კენ

დაუდეგრად ნაწყობ ორ შეკიდულ საბჯენ თაღს ეყრდნობა.

ჩრდ. ნავის აღმ. ბოლოში მოწყობილია გვგმით სწორკუთხა, ცილინდრული კამარით გადახურული სათავსი, რ-იც კარით უკავშირდება როგორც ჩრდ. ნავს, ასევე მთავარი ეკლესიის საკურთხეველს.

ჩრდ. ეკლესიაც უაფსიდოა. შესასვლელი მას ჩრდ-იდან აქვს. ორივე გვერდითი ეკლ. სხმული კამარითაა გადახურული.

დას. გარშემოსაველის დას. კედელში თარაზულად გადახურული შესასვლელია (გვერდები და კარის ზემოთ წყობის მნიშვნელოვანი ნაწილი მოგვიანებით განუახლებიათ), რ-იც გარედან აგურით გამოყვანილ, ნახევარწრიული თაღით დასრულებულ შეღრმავებაშია ჩასმული.

შენობის ფასადები სადაა. აღმ. ფასადზე საკურთხევლისა და სამკვეთლოს სარკმლები შემკულია ჰორიზ. გადანაკეცების მქონე, რელიეფური თავსართით. მსგავსი თავსართი ამკობდა სამხრ. ეკლესიის სარკმელსაც, რ-იც ფასადების შელესვა-შეთეთრების დროს მოუმტვრევიათ. ეკლესიის კედლები დასრულებული იყო თაღების მწკრივით დამუშავებული ქვიშაქვის ლაგებარდნით.

კ ო შ კ ი დგას ეკლესიის ჩრდ-დას-ით, დაახლ. 10 მ მანძილზე აგებულია XVIII ს-ში. იგი გეგმით კვადრატულია (5×5 მ) – სამსართულიანი. ნაგებია რიყის და



211. კოშკი, I სართულის გეგმა

ნატეხი ქვით. გეიანდ. გადაკეთების შედეგად სახეშეცვლილია. თავდაპირველად სართულშუა გადახურვები ხის ყოფილა. მოგვიანებით ქვედა ორი სართული გადაუხურავთ ქვის კამარით, რ-თა დასაყრდნობად ორივე სართულის ოთხივე კუთხეში აუგიათ გეგმით კვადრ., მასიური სვეტი. სვეტებზე კედლების გასწვრივ დაუდევრად ნაწყობი, არაწესიერი ფორმის საბჯენი თაღებია გადაყვანილი. გადაკეთების დროის კოშკი აგურის წყობით, რამდენადმე აუმაღლებიათ. აღმ. და დას. ფასადებზე ჩანს, რომ თავდაპირველად, კოშკის სახურავის კალთები სამხრ-ით და ჩრდ-ით იყო დახრილი (ორივე კალთის კონტური თითქმის მთელ სიგრძეზეა შემორჩენილი). ამაღლების შემდეგ კოშკი ისევ ორკალთა სახურავით გადაუხურავთ, ოღონდ კალთები სამხრ-ისა და ჩრდ-ის ნაცვლად, აღმ-ით და დას-ით დაუხრიათ.



211. კოშკი, ჭრილი, ხედი აღმ-კენ

კოშკში შესასვლელი პირველ სართულზე, სამხრ-იდანაა. კარი შეისრულთაღიანია, გამოუკვანილია აგურით. სართულის აღმ. კედელში ერთი, დას-ისაში კი ორი სწორკუთხა სარკმელია. დას. კედელში თაღოვანი ბუხარია. ჩრდ. კედელში მცირე, სწორკუთხა ნიშაა. ერთი მსგავსი ნიშა სამხრ. კედელშია – შესასვლელის ზემოთ.

მეორე სართულზე ასასვლელად ქვის კიბეა მოწყობილი. მისი ქვემოთა ნაწილი დას-იდან, სართულის სამხრ-აღმ. კუთხეში აგებულ ბურჯს ეკვრის, შემდეგ კი შესასვლელის ზემოთ, კედლის გამონგრეულ ნაწილში მოწყობილ „კიბის უჯრედს“ უკავშირდება. ჩრდ. და სამხრ. კედლებში ორ-ორი, აღმ. და დას-ისაში კი თითო სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. ამასთან, სართულის კედლებში ორ-ორი ფართო, სწორკუთხა საძიფურია მოწყობილი. მათ შორის დას. სათიფურები ეკლესიის ქვაშაქის ლაგვარდნის ქვითაა გადახურული, რ-თა წინა პირი დამუშავებულია ნალისებრი თაღების მწკრივით (ლაგვარდნის ერთი ქვა ფასადის წყობაშიცაა ჩართული). ჩრდ. სათიფურები ამჟამად გეიანდ. კედლითაა დაფარული. კედლის ამ ნაწილში საპირფარეშოა მოწყობილი და ჩრდ-დას. სათიფურმაც მასთან დამაკავშირებელი ფუნქცია მიიღო.

მეორე სართულის კამარაში მესამე სართულზე ასასვლელი ხვრელია. მესამე სართული მაღალია, კამაროვანი. მის ოთხივე კედელში გაჭრილი იყო ორ-ორი ფართო, თაღოვანი სარკმელი, რებიც მოგვიანებით ამოუშენებიათ და მათში ბუხარი, სათიფურები და მცირე სარკმლები მოუწყვიათ. სართულის გადახურვის ჩრდ-აღმ. კუთხესთან სწორკუთხა, ასაძრომი ხვრელია, რ-იც გვიან დაშენებულ კამარისზედა სივრცეში ადის.

გალავანი გეგმით უსწორო მრავალკუთხედია და ოდნავ აღმ-დას-ის მიმართულებითაა წაგრძელებული. ნაგებია რიყის ქვით. წყობაში ალაგ-ალაგ გამოყენებულია აგური, შემორჩენილი ნაწილებით ირკვევა, რომ იგი ორიარუსიანი ყოფილა, მაგრამ არ ჩანს, კედლებს თავი მომრგვალებული ჰქონდა თუ ქონგურებით იყო დასრულებული. გალავნის ქვედა იარუსი ყრუ ყოფილა, II



211. კოშკი, აღმ. ფასადი

იარუსი კი – საბრძოლო. ქვედა და ზედა იარუსების კედლებს შორის სისქეთა სხვაობა 20-30 სმ-ია. (კედლები ნაწილობრივ შემორჩენილია სამხრ-ით, დას-ით და ჩრდ-ით).

შესასვლელი გალავნის დას-იდან ჰქონია – დას. კედელში ჩართული კოშკის პირველი სართულიდან, რ-იც ერთიან თაღოვან გასასვლელს წარმოადგენდა. შემორჩენილი იყო გასასვლელის

მხოლოდ გარე, მთლიანად აგურით იყო ნაწყობი თაღი, რ-იც ჩამჯდარი იყო სწორკუთხა შელრმავებულ არეში, რ-ის გვერდებზე, ერთი მეორის ზემოთ, წყობაში შელრმავებული ოთხ-ოთხი რომბი იყო განლაგებული. კოშკს გვერდებზე მიდგმული ჰქონია საბრძოლო ელემენტებით ალჯურველი თითო საცხოვრ. ნაგებობა. ორივე დანგრეულია და მათ მხოლოდ ერთი, დას-ის კედლის ნაწილიღა შემორჩათ.



211. საერთო ხედი ჩრდ-აღმ-დან

კოშკზე სამხრ-იდან მიდგმული შენობა ჩრდ-ისაზე ოდნავ უფრო პატარაა (სიგრ. დაახლ. 5 მ-ია). შემორჩენილი კედლის შუაში აგურით ნაწყობი, სწორკუთხა შელრმავებულ არეში ჩასმული, ბუხარია, რ-ის ორივე მხარეს სამი ცალმაგი და ერთი ორმაგი სათოფურია მოწყობილი. კოშკის ჩრდ-ით მდებარე სათავსის კედელშიც აგურით გამოყვანილი ბუხარია, მაგრამ იგი სწორკუთხა შელრმავებაში არ ხის. ბუხრის გვერდებზე სხვადასხვა ზომის თითო სწორკუთხა ნიშაა. მათგან სამხრ-ით მდებარე ნიშაში, რ-იც მეორე ნიშაზე უფრო მოზრდილია – ერთი სათოფურია. ბუხრის ჩრდ-ით მდებარე ნიშის გვერდით შეწყვეტილებული სათოფურით ალჯურველი ნიშაა, მის მარჯვნივ კი – ცალმაგი სათოფური.

კოშკის ჩრდ-ით მდგარი ნაგებობის მარჯვნივ სწორკუთხა გვერდიდი ბუხარი, მის ორივე მხარეს კი, ორ-ორი დიდი ნიშა. კედლის ზედა ნაწილში შემორჩენილია ორმაგი სათოფურები.

თ. დეკალო.

ბიბლ.: 22; 28; 74; 79; 323; 335.

212. შტორის (ტურის) ციხის კომპლექსი, არქიტ., ისტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, 5 კმ-ზე, მდ-ების ალაზნისა და ჭელთის შესართავიდან ოდნავ ქვემოთ, მდ. ალაზნის მარცხ. ნაპირას, ფლატის თავზე. თარიღდება IX-X სს-ით.

ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“-ს მიხედვით შტორის ერისთავი იყო მფლობელი მდ. ალაზნის მარცხ. სანაპიროზე მდებარე ტერიტორიისა „შტორის ხევიდან მაჭის წყლამდე ალაზნის აღმოსავლეთი დიდოეთითურთ, რომელ არს აწ გალმა-მხარი“.

„მატიანე ქართლისაის“ ცნობით 1039-1040 წწ. ბაგრატ IV-ს, მიქელ-გაბრიელის მთასთან ბრძოლის დროს, პანკისის, ხორნაბუჯის და მაჭის ერისთავებთან ერთად, დაუტყვევებია „ჯედი, დისწული გოდერძი შტორის ერისთავისა და მაჭელი“. დ. მუსხელიშვილს ანა დედოფლისეულ ხელნაწერზე დაყრდნობით, რ-შიც გო-



212. გეგმა

დერძი მოხსენიებულია „ტურის“ ერისთავად, საერისთავოს სახელწოდებად ტური უფრო მართებულად მიაჩნია და ციხეს ტურის ერისთავების რეზიდენციად თვლის.

ციხე აგებულია გორაკზე, რიც აღმ-იდან, სამხრ-იდან და ჩრდიდან მშრალი ხევებითაა მოსაზღერული. დას-იდან კი მდ. ალაზ-



212. გალეშია, გეგმა

ნის ფლატით. ციხის გალავანი გორაკის თავს გასდევს და გეგმით ჩრდ.-სამხ. მიმართულებით წაგრძელებული არაწესიერი მრავალკუთხედია. ციხე ორი მონაკეთისგან შედგება: სამკუთხა მოხაზულობის ციტადელისა და გალავნით შემოფარგლული ეზოსგან, რ-ის სამხრ.-აღმ. ნაწილში დგას მცირე ეკლ. ციხე ნაგებია რიყის ქვითა და ნატეხი ქვით კირის ხსნარზე. კედლების ქვემოთა ნაწილში ქვები შედარებით დიდი ზომისაა.

ციტადელს (ფართ. დაახლ. 900 კვ მ) ციხის სამხრ. ბოლო აქვს მოკავებული. იგი ციხის დანარჩენ ნაწილზე უფრო აღრინდელია. ციტადელის ჩრდ.-აღმ. და ჩრდ.-დას. კუთხეებში დგას გეგმით ნახევარწრიული თითო კოშკი. მათგან დას-ით მდებარე, ზედ ფლატის თავზეა, მეორე მისგან 25 მ მანძილზეა, მშრალი ხევის პირას. დას-ით მდებარე კოშკი (გარე დიამ. 8,4 მ) სართულნახევრის სიმაღლეზეა შემორჩენილი. კოშკს ბლაგვი კუთხით უერთდება კედელი (მაქს. სიმ. 6,1 მ), რ-იც აღმ-ით, მეორე კოშკისაკენ, სწორხაზოვნად მიემართება და გარედან გამაგრებულია კონუსური ფორმის ორი კონტრფორსით. მეორე კონტრფორსის შემდეგ კედელი მიმართულებას იცვლის და უერთდება ჩრდ.-აღმ. კუთხეში მდგარ კოშკს (გარე რადიუსი 6,8 მ, შემორჩენილი სიმ. – 4,4 მ). ციტადელის დას. მხარე მდ. ალაზანს ნაუქცევია (კედლების ნანგრევები შემორჩენილია მდინარის ნაპირზე), რის გამოც მისი დაგეგმარება არ დგინდება. დანარჩენი კედლებიდან შემორჩენილია მხოლოდ აღმ. და დას. კედლების ნაწილები.

ციხის ეზო ფართობით, ციტადელს თითქმის ხუთჯერ აღემატება (შიდა ზომები: სიგრ. – 75 მ, სიგ. – 48 მ). ეზოს სამიღე კუთხეში დგას გეგმით ნახევარწრიული კოშკი. მათგან ყველაზე უფრო დიდი ჩრდ.-დას. კუთხეში მდგარი კოშკია (შიდა რადიუსი – 6,15, ფართ. დაახლ. – 60 კვ მ). დანარჩენი ორი კი თითქმის თანაბარი ზომისაა (შიდა რადიუსი – 3,7 მ). სამიღე კოშკი ძლიერ დაზიანებულია. მათგან ერთი (შუაში მდგარი), დანგრეულია, დანარჩენ ორს კი მნიშვნელოვანი ნაწილები აკ-



212. ციხის სამხრ.-დას-ით მდგარი კოშკი, ხედი სამხრ.-აღმ-იდან

ლია. ჩრდ.-დას. კოშკი მოგვიანებით აღუდგენიათ. განახლებულ კედელში სათოფურებია მოწყობილი. გვიანდ. შეკეთების კვალი სამხრ.-აღმ. კოშკზეცაა შემორჩენილი. აქ სართულშუა გადახურვის დონეზე (შემორჩენილია ხის ძელების საყრდენი ბუდეები), მოზრდილი ღიობია, რ-ის მოგვიანებით ამოუშენებიათ და შიგ სათოფურები მოუწყვიათ.

ციხის გალავნის კედლები მთელ სიგრძეზეა შემორჩენილი, მაგრამ მათაც ზედა ნაწილები მონგრეული აქვს. დას. კედელი კი, მდ. ალაზანს ნაუქცევია. გალავნის აღმ. კედელი ციტადელის ჩრდ.-აღმ. კოშკზე. ამ უკანასკნელის დანგრეყის შემდეგომაა მიშენებული. კედელი გამაგრებულია ნახევარწრიული კონტრფორსით. თითო ანალოგიური კონტრფორსითაა გამაგრებული გალავნის ჩრდ. და ჩრდ.-დას. კოშკისა და შუა კოშკის დამაკავშირებელი კედლებიც. ამ უკანასკნელში, ჩრდდას. კოშკთან ახლოს, ციხის შესასვლელია მოწყობილი, რ-იც მოგვიანებით ამოუშენებიათ.

ციხის ეზოში, სამხრ.–აღმ-ით, კუთხეში, დგას რიყის ქვითა და ნატეხი ქვით ნაგები დარბაზული ეკლესია თანადროული მინაშენებით სამხრ-იდან და დას-იდან (5,2×6,7 მ). სამხრ. მინაშენის აღმ. ნაწილში განცალკევებული, გეგმით სწორკუთხა სათავსია. მინაშენის დანარჩენი ნაწილი დას. მინაშენთანაა გაერთიანებული და გარშემოსაველის სახე აქვს.

ძ. ძლიერ დაზიანებულია: აჩრილია ეკლესიის სახურავის საფარი, ჩამოშლილია ლავგარდანი, დეფორმირებულია ეკლესიისა და სამხრ. მინაშენის კამარები, დანგრეულია დას. მინაშენის დას. კედლის ნაწილი და კამარა.

ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს. სამხრ. და დას. მინაშენებიდან. სამხრ. კარი, ორივე მხრიდან, თარაზულადაა გადახურული, დას-ისა კი შიგნიდან თაღოვანია, ხოლო გარედან – სწორკუთხა. ეკლესიის დარბაზი აღმ-ით დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით, რ-შიც ნალისებრი თაღით გადახურული, მაღალი სარკმელია გაჭრილი. თითო თაღოვანი სარკმელი სამხრ., ჩრდ., დას. კედლებშიცაა. აღმ. სარკმლის ორივე მხარეს, სხვადასხვა სიმაღლეზე, თითო ოთხკუთხა ნიშაა მოწყობილი. სარკმლის ქვემოთ კი, კედელზე, მიდგმულია ტრაპეზი. აფსიდის თაღი ნალისებრია. დარბაზი გადახურულია ქარგილზე სხმული ცილინდრული კამარით. ინტერიერში, კედლებზე, შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები.

ეკლესიის სამხრ. კედლის აღმ. ბოლოში განიერი, თარაზულად გადახურული კარია, რ-იც სამხრ. მინაშენის აღმ. ნაწილში მოწყო-

ბილ სათავსში გადის. სათავსის აღმ. კედელში თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. თითო მსგავსი სარკმელი სამხრ. და დას. კედელშიცაა. სამხრ. კედელში სამი სწორკუთხა ნიშა, ხოლო ჩრდ.ისაში ერთი დიდი ზომის ნიშაა.

სამხრ. მინაშენის დას. ნაწილი უსარქმლოა. მინაშენის სამხრ. კედელში მოწყობილია ორი სწორკუთხა ნიშა.

დას. მინაშენს შესასვლელი დას. კედლის ჩრდ. ბოლოში აქვს. კარი გარედან საფეხურით შელრმავებულ არეში ყოფილა მოქცეული.

ეკლესიის დას. შესასვლელთან, მოგვიანებით, აუგიათ ს ა მ რ ე კ ლ ო, რ-ის ერთი ბოძიდაა (1×1 მ) შემორჩენილი.

ციხის სამხრ.-დას-ით დაახლ. 0,4 კმ-ზე, დგას XVII-XVIII სს-ში აგებული დარბაზული (11×6,3 მ) ეკლ. იგი ნაგებია ნატეხი და რიყის ქვით. აქვს სამი შესასვლელი: დას-იდან, სამხრ-იდან და ჩრდიდან. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის ღერძზე თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. თითო მსგავსი სარკმელი სამხრ. და დას. კედლებშიცაა. დარბაზის გრძივი კედლები და კამარა პილასტრების წყვილითა და მათზე დაყრდნობილი საბჯენი თაღით ორადაა გაყოფილი.

ეკლესიის კედლები გარედან ბათქაშითაა გასწორებული. დას. ფასადის სამხრ. ნაწილში, მიწიდან 1 მ სიმაღლეზე, მოწყობილია მცირე, ოთხკუთხა ნიშა, ხოლო ფრონტონზე, საფეხუროვან ბაზისზე დაყრდნობილი შელრმავებული ჯვარია გამოსახული.

თ. დვალი

ბიბლ.: 71; 79; 149; 151ბ; 293ბ; 335.

213. შუაგორის ციხე, კ ო შ კ ი, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით, 8-10 კმ-ზე, ნასოფლარ შუაგორში, მდ. ჩელთის მარცხ. ნაპირას, ტყიან მთაზე. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით. კოშკი გეგმით ოთხკუთხაა. ნაგებია სხვადასხვა ზომის ნატეხი ქვითა და კირის სქელი ხსნარით. შემორჩენილია ორი სართული და მესამე სართულის კედლების მცირე ნაწილი. პირველი სართული ამოვსებულია მიწით. შესასვლელი მეორე სართულის სამხრ. კედელშია (შემორჩენილია მარჯვ. წირთხლი). დას. კედელში კი – ნახევარწრიული ბუხარია. სართულის ოთხივე კედელში ვიწრო სათოფურებია დატანებული. კოშკის კუთხეები ოთხივე მხარეს, გარედან, გამაგრებულია მასიური, ოთხკუთხაქე ბურჯებით.

კოშკის გარშემო გ ა ლ ა ვ ნ ი ს ფრაგმენტებია.

მ. აბაშიძე

214. ციხე, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის აღმ-ით, 2,5 კმ-ზე. თარიღდება შუა საუკუნეებით. ნაგები იყო ნატეხი ქვით და ფიქლით კირის ხსნარზე. ძ. დანგრეულია. დაახლოებით 2-3 მ სიმაღლეზე შემორჩენილია მხოლოდ სამხრ.-აღმ. კუთხე. კედლის სისქე 1,55 მ-ია.

მ. აბაშიძე

215. ციხე-გალავანი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით, მდ. ჩელთის მარცხ. ნაპირზე. თარიღდება XVIII ს-ით. ეკუთვნოდათ ვახვახიშვილებს.

ციხე ვაკეზე მდებარეობს, ფლატის პირას. ნაგებია რიყის ქვითა და კირის ხსნარით. ციხე გეგმით ოთხკუთხა ყოფილა. ოთხივე კუთხეში მდგარა ცილინდრული კოშკები. დროთა განმავლობაში ფლატე ჩაშლილა და გალავნის ჩრდ. კედელი – კოშკებითურთ და დას. კედლის მნიშვნელოვანი ნაწილი თან ჩაუტანია. შემორჩენილია მხოლოდ აღმ. დას. და სამხრ. კედლების ნაწილები. მათგან დას. და სამხრ. კედლების შუაში დგას თითო სწორკუთხა კოშკი, რ-ებიც მთელი კორპუსით გალავნის ფარგლებს გარეთ არიან გასული.

ციხის შესასვლელი სამხრ. კედლის შუაში მდგარი, სამსართულიანი კოშკის (7,4×6,7 მ) ქვედა სართულშია მოწყობილი. სართული ორი განიერი, შეისრულთაღოვანი კარითაა აღჭურვილი. მათგან გარეთა კარი (სიგ. – 2,7 მ) გარედან ჩასმულია საფეხურით შელრმავებულ სწორკუთხა არეში, რ-საც კუთხით შვერილი, აგურებით გამოყვანილი ტაბალი ფრიზი აგვირგვინებს, სართულის გვერდის კედლებში თითო, განიერი, მაღალი, შეისრულთაღოვანი ნიშაა. ეზოს მხრიდან, შიდა კარის დასაცავად, მოწყობილია თითო შეწყვილებული სათოფური, რ-თა ხვრელი კარის აქეთ-იქით გამოდის. სართული ცილინდრული კამარითაა გადახურული. შემორჩენილი კვალის მიხედვით, ზედა სართულებს ხის გადახურვა ჰქონია. კოშკის მეორე და მესამე სართულები



215. გეგმა

XIX ს-ში საცხოვრებლად გადაუკეთებიათ, რის გამოც თავდაპირველი სახე მნიშვნელოვნად აქვს შეცვლილი. ორივე სართულის კედლებში ცალმაგი და შეწყვილებული სათოფურები ყოფილა განლაგებული. მეორე სართულის დას. კედელში ბუხარია. კოშკის მესამე სართულის, ეზოს მხარეს მოქცეულ კედელში გაჭრილია ორი დიდი და ერთი პატარა სარკმელი. ჰქონდა თუ არა კოშკს მეოთხე სართული ან საბრძოლო ბანი, არ ირკვევა.

ციხის დას. კედელში ჩართული კოშკიც სამი სართულის სიმაღლეზეა შემორჩენილი და სამხრ. კოშკის მსგავსია. კოშკის პირველი სართულის სამხრ. კედელში ციხის სათადარიგო შესასვლელია. კარი შეისრული თაღითაა გადახურული და გარედან

ნასმულია საფეხურით შელრმავებულ სწორკუთხედში, რ-იც ზემოთ კბილანებით სრულდება.



215. ხედი სამხრ.-დას.-დან

პირველი სართულის აღმ. კედელში მოწყობილია ციხის ეზოში გასასვლელი კარი. დანარჩენ ორ კედელში კი – განიერი და ღრმა ნიშები. კოშკის მეორე და მესამე სართულები, გადაკეთების შედეგად, აქაც სახეშეცვლილია, რის გამოც რიგი თავდაპირველი დეტალების დადგენა არ ხერხდება. ორივე სართულს სამხრ-ით ჰქონია კარი, რ-იც, როგორც ჩანს, ხის აივანზე გადიოდა. ორივე სართულის კედლებში მოწყობილია ცალმაგი და შეწყვილებული სათოფურები. მეორე სართულის დას. კედელში საპირფარეშოა.

ციხის კუთხეებში მდგარი კოშკებიდან ყველაზე უკეთ შემორჩენილია სამხრ.-აღმ. კოშკი, მაგრამ მასაც ზედა ნაწილი მონგრეული აქვს. შემორჩენილია ოთხი სართული. პირველ და მეორე სართულებს შესასვლელები ცალკ-ცალკე აქვს – ეზოდან. პირველი სართული ყრუა. მეორე სართულზე ცალმაგი და შეწყვილებული სათოფურებია განლაგებული. ცილმაგი სათოფურები მიწისკენაა მიმართული, ორმაგი – პირდაპირ. კოშკის მესამე სართული მეორის მსგავსად ყოფილა გადაწყვეტილი, მაგრამ XIX ს-ში მოწყობილი კარ-სარკმლებით, მისი თავდაპირველი გადაწყვეტა დარღვეულია. კოშკის ბოლო, მეოთხე სართულიდან შემორჩენილია დაახლ. 1,3 მ სიმაღლის კედელი, რ-შიც ერთმანეთისგან თანაბარი მანძილებით დაცილებული, ექვსი სალოდეა მოწყობილი.

ციხის სამხრ-დას. კუთხის კოშკიდან სამხრ. კედლის ნაწილიდა დგას (სიმ. 2 მ). მასში ორი შეწყვილებული სათოფური და ერთის ნაწილიდაა შემორჩენილი.

ციხის გალავანი ორიარუსიანია (სიმ. 6-7 მ). საბრძოლო, ძირითადად, მეორე იარუსია, მაგრამ



215. სამხრ.-დას. კოშკი, ხედი ჩრდ.-აღმ-იდან

სათოფურები ქვედა იარუსის კედლებშიცაა მოწყობილი. ქვედა იარუსის კედლების სისქე დაახლ. 2 მ-ია, ზედასი – 0,8-0,9 მ. გალავნის მეორე იარუსის დონეზე, კედლებს შორის სისქეთა სხვაობა. ქმნის 1-1,2 მ სიგანის საბრძოლო ბილიკს. მეორე იარუსის კედლებში, ერთმანეთისგან 1,5-2 მ დაშორებით, განლაგებულია ძირს დაჩრილი ცალმაგი და პირდაპირ-მართული, შეწყვილებული სათოფურები. გალავანს თავი გადამრგვალებული აქვს.

ციხეს კიდევ ერთი სათადარიგო კარი ჰქონია, რ-იც აღმ. კედლის შუაშია მოწყობილი და შეისრული თაღითაა გადახურული.

თ. დვალი.

ბიბლ.: 74; 335.

216. ᲫᲔᲚ-ᲫᲚᲘᲔᲠᲘ, ნ ა ე კ ლ ე ს ი ა რ ი, არქიტ. ძ. მდებარეობს რ. სადირაშვილის კარ-მიდამოში. ეკლესიიდან შემორჩენილია ჩრდ. კედლის მცირე ნაწილი. ნანგრევების სიახლოვეს ადგილ. მოსახლეობამ ააგო ნიში.

ბ. კუპრეიშვილი.

217. ᲬᲛ. ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის თავში, საკარმიდამო ნაკვეთების ტერიტორიაზე. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით. ეკლ. დარბაზულია (5,9×4,3 მ). ნაგებია რიყის ქვით – ტლანქად. კარ-სარკმლებისა და ნაწილობრივ გარეთა კუთხეების წყობაში გამოყენებულია აგური. დაზიანებულია: არ შემორჩენილა ლაგარდანი, ნამოშლილია საბურავი.

შესასვლელი დას-ითაა. კარი გარედან თაღოვანია, შიგნიდან სწორკუთხა. ეკლესიის კედლ. ფორმის დარბაზი აღმ-ით დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით, რ-იც უკონქოა და დარბაზთან ერთად, გადახურულია საერთო კამარით. ამის გამო აფსიდის კედელი არ ერწყმის კამარას და მისი ჭუსლის დონეზე, აფსიდის მომრგვალების შესაბამისად, წარმოქმნის საფეხურს. თავად კამარა არაწესიერი ნახევარწრეა და წყობითაც ტლანქია. აფსიდში და დას. კედლის ღერძზე თითო მცირე, სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. ორივე სარკმელს პორიზ. გადახურება და თითქმის პარალელური წირთხლები აქვს. აღმ. სარკმლის ქვემოთ, კედელს აგურის ტრაპეზი ეკვრის.

შენობის საფასადო წყობა ირეგულარულია. მასში, აქა-იქ, რიყის წვრილი ქვებისგან შედგენილი თითო ჰორიზ. ხოლია ჩართული. ეკლ. გადახურული იყო ღარისებრი კრამიტით, რ-ის ნაწილი ნაგებობის ირგვლივაა მიმობნეული.

თ. დუალი.

218. ᲬᲛ. ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის მიდამოებში, უკანჭალად (ნასოფლარი?) წოდებულ ადგილზე. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია (5,7×4,3 მ). ნაგებია სხვადასხვა ზომის ნატეხი და ფიქლის ქვით კირის ხსნარზე. დაზიანებულია: დეფორმირებულია და ბევრ ადგილზე განგრეულია ეკლესიის კედლები. აკრილია სახურავის საფარი, ჩამოშლილია ლაქვარდანი.

შესასვლელი სამხრ-ითაა. კარი გარედან თარაზულადაა გადახურული, შიგნიდან – თაღოვანია. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის ღერძზე ვიწრო, ოთხკუთხა სარკმელია გაჭრილი, რ-საც საფეხურებიანი რაფა აქვს. სარკმლის სამხრ-ით და ჩრდ-ით თითო ოთხკუთხა ნიშაა მოწყობილი. თითო ვიწრო, სწორკუთხა სარკმელი ეკლესიის ჩრდ. და სამხრ. კედლებშიცაა. აღმ. სარკმლის ქვემოთ, კედელზე, მიდგმულია ტრაპეზი. აფსიდი დარბაზისგან გამოყოფილია მხრებით, რ-საც კონქის თაღი ეყრდნობა.

შიგნით ეკლ. გადახურულია ქარგილზე სხმული, ნახევარცილინდრული კამარით.

კ. გიორგობიანი.

219. ᲬᲛ. ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲨᲙᲘ, არქიტ. ძ. დგას სოფლის ძვ. სასაფლაოზე. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია (6,8×4,95 მ). დას-იდან ეკვრის გეგმით კვადრ. (4,95×4,95 მ), სამსართულიანი კოშკი, რ-იც ეკლესიას წყობის გადაბმით უკავშირდება. ძ. ნაგებია ნატეხი და რიყის ქვით კირის ხსნარზე. გამოყენებულია აგურიც.

ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს. ჩრდ. და სამხრ-ით. დას. კედელში გაჭრილი კარით იგი კოშკის პირველ სართულს უკავშირდება. ეკლესიის დარბაზი აღმ-ით დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით, რ-ის ღერძზე თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. სარკმლის სამხრ-ით მოწყობილია ერთი თაღოვანი ნიშა, ჩრდ-ით კი – ორი. ერთი მათგანი გეგმით ნახევარწრიულია. თითო თაღოვანი სარკმელი სამხრ. და ჩრდ. კედლებშიცაა. ჩრდ. სარკმლის ქვეშ მოწყობილია ოთხკუთხა ნიშა. აფსიდის შუაში დგას კუბური ფორმის ტრაპეზი.



219. გეგმა

შიგნით ეკლ. გადახურულია შეისრული ფორმის, ქარგილზე სხმული კამარით.

კოშკის პირველი სართულის ჩრდ. და სამხრ. კედლებში მოწყობილია თითო ოთხკუთხა ნიშა. სამივე სართულის სამხრ., დას. და ჩრდ. კედლების შუაში კი ორმაგი სათოფურებია. თითო ცალმაგი სათოფურია აღმ. კედლის ბოლოებში.

ბ. კუპრეიშვილი.

220. ᲬᲛᲘᲜᲓᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-აღმ-ით, 2 კმ-ზე. თარიღდება XIX ს-ით. ეკლ. დარბაზულია (7,4×4,4 მ), ნაგებია აგურით სქელ, კირის ხსნარზე. ძლიერ დაზიანებულია: ჩაქცეულია კამარა და კონქი, მონგრეულია კედლების ზედა ნაწილი.

შესასვლელი დას-იდანაა. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის ღერძზე თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. აფსიდი დარბაზისგან გამოყოფილია მხრებით.

ბ. კუპრეიშვილი.

221. ᲬᲛ. ᲜᲘᲜᲝᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სკოლასთან. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია, გეგმით სწორკუთხა (7,2×5,3 მ). ნაგებია ნატეხი ქვით. დაზიანებულია: ჩაქცეულია კამარა, კონქი. ამჟამად შენობა ადგილ. მოსახლეობის მიერ მოწყობილი ხის სახურავითაა გადახურული.

შენობას ორი შესასვლელი აქვს – სამხრ-იდან და დას-იდან. კარები გარედან შეისრულთაღიანია, შიგნიდან – სწორკუთხა. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის ღერძზე ვიწრო, ოთხკუთხა სარკმელია გაჭრილი. სარკმლის სამხრ-ით და ჩრდ-ით თითო ოთხკუთხა ნიშაა, ხოლო ქვემოთ, კედელზე, მიდგმულია ოთხკუთხა ტრაპეზი.

ბ. კუპრეიშვილი.

ᲨᲘᲮᲘᲐᲜᲘ

(ნასოფლარი)
იხ. სოფ. ენისელი

ᲫᲘᲙᲐᲐᲜᲘ

222. ᲫᲘᲙᲐᲐᲜᲘ, ს ო ფ ე ლ ი, ისტ. ძ. მდებარეობს სოფ. ახალსოფლიდან ჩრდ.-აღმ-ით, ალაზანის ვაკეზე. წერილობით წყაროებში იხსენიება XVIII ს. 70-იან წლებიდან. ჭიკაანი, გაგაზთან ერთად, კახეთის უკიდურესს აღმ. სასაზღვრო ხაზს წარმოადგენდა. ქართლისა და კახეთის შიდა სოფლებისგან განსხვავებით, იგი დაუცველი სოფელი იყო. რაიმე სათავდაცვო ნაგებობა მას არ ჰქონია. ჭიკაანს ხშირად ესხმოდნენ თავს ლეკები. თავის მხრივ, ჭიკაანლებიც აწყობდნენ თავდასხმებს ჭარელ ლეკებზე.

სოფელში მისდევდნენ მეცნიერებას.

გ. აფრასიძე.

ბიბლ.: 48.

223. ᲙᲕᲘᲠᲐᲪᲮᲝᲕᲚᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, სასაფლაოზე. თარიღ-

დება XVI ს-ით. ეკლ. გუმბათიანია, ჩახაზული ჯვრის ტიპის (14,5×12 მ). ნაგებია აგურით. შიგნიდან და გარედან შეთეთრებულია.



223. გეგმა

1982 წ. ძეგლზე სარესტ. სამუშაოები ჩაატარა სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნომ (პროექტის ავტორი, არქიტ.-რესტავრატორი ზ. ქუფარაშვილი). ინტერიერში მოიხსნა გვიანდ. ბათქაში, აღდგა ლავგარდნის და აქა-იქ კედლების ჩამოშლილი ნაწილები. ეკლ. გადაიხურა კრამიტით.

შენობას სამი შესასვლელი აქვს: დას-იდან და სამხრ-იდან – ჯვრის მკლავებში, ხოლო ჩრდიდან – დას. კუთხის ნაწილში. კარები შიგნით თარაზული თავითაა, გარედან – შეისრულთავიანი.

აღმ-ით გეგმით არასრული ნახევარწრის აფსიდია, რ-ის წინ მოკლე ბემაა. აფსიდში გაჭრილია ნახევარწრიულთაღოვანი სარკმელი. თითო მსგავსი სარკმელი ჯვრის დანარჩენ მკლავებშია, თითო-თითო კი – დას. კუთხის ნაწილების დას. კედელში. რვა მაღალი, თაღოვანი სარკმელი კი გუმბათის ყელშია გაჭრილი.

საკურთხევლის გვერდებზე სამკვეთლო და სადიაკვნეა. ორივე სათავსი აღმ-ით დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით და დას. კედელში გაჭრილი კარით ეკლესიის ძირითად სივრცეს უკავშირდება. სამკვეთლო სწორკუთხა კარით ბემასთანაცაა დაკავშირებული. სათავსებს შეისრული კამარები ხურავს.

ეკლესიის შიდა სივრცის შემქმნელი ჯვრის მკლავები გადახურულია შეისრული კამარებით. თითოეული მკლავის კამარას შუაში აქვს საბჯენი თაღი. სამხრ., დას. და ჩრდ. მკლავებში თაღები კონსოლებზეა დაყრდნობილი, აღმ. მკლავში კი – პილასტრებზე.

დას. კუთხის ნაწილები შეისრული კამარებითაა გადახურული, რ-თა ჭუსლები კედლის ზედაპირიდან ოდნავ გამოშვერილია. ორივე ნაწილი მიმდებარე მკლავებს თითო შეისრული თაღით უკავშირდება.

ეკლესიის ჯვრის მკლავების გადაკვეთაზე აღმართულია შიგნიდან წრიული, ხოლო გარედან რვაწახნაგა გუმბათი, რ-იც საკურთხევლის კუთხეებსა და დასით მდგომ ორ დაბალ, შეგარცხლებულ, მრგვალ ბოძს ეყრდნობა. გუმბათქვეშა ოთხიჭე თაღი შეისრულია (ჩრდ. თაღის ნახევარწრიული ფორმა გვიანდ. რემონტით შედგება). საკურთხევლის კუთხეებთან თაღები ყურდნობა პილასტრებს.

გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის ყელის წრიულ საფუძველზე გადასვლა განხორციელებულია აფრებით.

ეკლესიის თითოეული ფასადი, შეღრმავებული თაღოვანი არეებით, შიდა აღნაგობის შესაბამისად, დაყოფილია სამ-სამ ნაწილად. შუა არეები, ოთხივე ფასადზე, ნახევარწრიული თაღითაა დასრულებული, ხოლო გვერდითები, განივ ფასადებზე – შეისრულთაღოვანია, გრძივ ფასადებზე კი – სწორკუთხა. აღმ. ფასადის შუა არეში, ქვემოთ, საკურთხევლის სარკმელია, ზემოთ კი, წყობის შეღრმავებით, გამოსახულია მოხრდილი ჯვარი. გვერდით არეებზე სამკვეთლოსა და სადიაკვნის სარკმლები ნასმულია საფეხურით შეღრმავებულ, სწორკუთხა ნარხოში, რ-იც ქვემოთ გახსნილია და ბოლოებით დაკავშირებულია მის გვერდებზე არსებულ, ოდნავ დაბალ, შეისრულთაღოვან შეღრმავებასთან. ორივე



223. გრძივი ჭრილი, ხედი ჩრდ-კენ

სარკმლის ზემოთ თითო შეღრმავებული ჯვარია.

დას. ფასადი აგებულებით აღმ-ის მსგავსია, მაგრამ მასზე სარკმლები, აღმ. ფასადთან შედარებით, მნიშვნელოვნად მაღლაა განლაგებული და ჯვარი მხოლოდ შუა არეშია გამოსახული. ცენტრ. სარკმლის ქვემოთ, სწორკუთხა შეღრმავებაა, როგორც ჩანს, წარწერიანი ქვის ფილის ჩასასმელად. ფასადზე შესასვლელი ჩასმულია სწორკუთხა შეღრმავებაში, რ-იც დასრულებულია აგურის ხერხულა ფრიზით. ფასადის გვერდის არეებშიც სარკმლები სწორკუთხა მოჩარჩოებაშია ჩასმული. აქაც, მათ გვერდებზე, თითო, დაბალი, შეისრულთაღოვანი შეღრმავებაა. ორივე არეში, შეღრმავებების ფუძის დონეზე, გამოყვანილია განიერი, პორიზ. ზოლურა – ორ-ორი საფეხურით.

სამხრ. ფასადის მორთულობა შუა არეში, ისეთივე მარტივია, როგორც აღმ-ისა. გვერდით, შედარებით დაბალი არეების ზემოთა ნაწილში, ერთ მთლიან ზოლადაა გამოყოფილი კუთხით დაწყობილი აგურის ორი რიგი და მის ქვემოთ ურთიერთდაკავშირებული სამი მცირე, შეისრული ნიშა.

მსგავსი გაფორმება აქვს ჩრდ. ფასადსაც. ოღონდ აქ შესასვლელი სიმეტრიის ღერძიდან ფასადის დას. მონაკვეთშია გადატანილი.



223. ინტერიერი, ხედი აღმ-კენ

ჯვრის ოთხივე მკლავის გვერდითი ფასადები გაფორმებულია გვერდიგვერდ განლაგებული სამ-სამი, დაბალი, შეისრულთაღოვანი ნიშით, რ-თა თაღები ჩასმულია საფეხურით შეღრმავებულ სწორკუთხა არეში.

გუმბათის ყელის წიბოებს, მთელ სიმაღლეზე, ლეკალური აგურით ნაწყობი ლილვი აუყვება. თითოეულ წახნაგზე შეისრული თაღით დასრულებული, განიერი, შე-



223. ხედი სამხრ-დას-იდან

ღრმავებული არეა, რ-ის ზემოთ პორიზ. ლილვით, გამოყოფილია დაბალი, სწორკუთხა, შუაში რომბისმაგვარი შეღრმავების მქონე არე.

ფასადები დასრულებულია ხერხულა ლავგარდნით.

ეკლ. გადახურულია ღარისებრი კრამიტით.

თ. დვალი.

ბიბლ.: 27; 323; 335.

224. კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფლის მიდამოებში. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ნაგებობა სათავდაცვოა, გეგმით სწორკუთხა, სამხრ-იდან ჩრდისაკენ ოდნავ წაგრძელებული. ნაგებია ნატეხი ქვით კირის ხსნარზე. დაზიანებულია; შემორჩენილია სამი სართულის სიმაღლეზე. ჩაქცეულია სართულშუა ხის გადახურვა. პირველი სართული ამოვსებულია მიწით.

კოშკში შესასვლელი აღმ-ითაა – მეორე სართულის დონეზე, კარი თაღოვანია. სართულის კედლებზე შემორჩენილია ნიშები და სათოფურები. მესამე სართულის აღმ და დას. კედლებში ჩანს სარკმლების კვალი.

მ. აბაშიძე.

225. კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფლის მიდამოებში. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

კოშკი სათავდაცვოა, გეგმით ოთხკუთხა (5,5×5 მ). ნაგებია ნატეხი ქვით კირის ხსნარზე. შემორჩენილია სამი სართულის სიმაღლეზე. ჩანგრეულია ხის სარ-

თულშუა გადახურვა (ჩანს კოჭების ბუდეები).



225. II სართულის გეგმა

შესასვლელები მეორე სართულის აღმ. (ამჟამად ამოშენებულია) და დას. კედლებშია. სართულის აღმ., დას. და ჩრდ. კედლებში ორ-ორი ორმაგი სათოფურია მოწყობილი. სამხრ. კედელში კი ერთი ორმაგი და ერთი ცალმაგი სათოფური. მესამე სართულის ოთხივე კედელში ორმაგი სათოფურებია გაჭრილი. სამხრ. კედელში ჩანს სარკმლის კვალი.

კოშკის მეოთხე სართულის კედლებიდან მხოლოდ მცირე ნაწილებიღა შემორჩა.

მ. აბაშიძე.

226. კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფლის მიდამოებში. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით. კოშკი გეგმით თითქმის კვადრატულია (5,5×5,2 *მ*). ნაგებია რიყის ქვითა და კირის ხსნარით. დაზიანებულია – შემორჩენილია სამი სართულის სიმაღლეზე. მონგრეულია სამხრ.-აღმ. კუთხე. ნანგრევულია სართულშუა გადახურვები, პირველი სართული ამოვსებულია ქვებითა და მიწით.

შესასვლელი მეორე სართულზე, ჩრდ-ითაა. კარი თაღოვანია (დას. წირთხლი მონგრეულია). სართულის აღმ., დას. და სამხრ. კედლებში გაჭრილია ორ-ორი ცალმაგი სათოფური. ჩრდ. კედელში კი – ერთი ცალმაგი სათოფური. მესამე სართულის ჩრდ. კედელზე ჩანს სარკმლის კვალი.

მ. აბაშიძე.

227. ნაგებობის ნაშთი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის მიდამოებში. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით. თითქმის მთლიანად დანგრეულია. შემორჩენილი კედლების მაქს. სიმ. 1,6 *მ*-ია, სისქე – 0,8 *მ*.

ნაგებობა გეგმით სწორკუთხაა, წაგრძელებულია აღმ-იდან დას-ისაკენ (11,2×7,7 *მ*). შენობა



227. გეგმა

ნაგები ყოფილა ნატეხი ქვის სწორი რიგებით. ერთადერთი შესასვლელი დას-იდანაა. კარი გარედან თაღოვანია, შიგნიდან კი, თარაზულადაა გადახურული. ინტერიერი განივი, კაპიტ. კედლით (შემორჩენილია ჩრდ. ნაწილის ნაშთი) ორ არათანაბარ ნაწილად იყო გაყოფილი. მათგან აღმ-ისა თითქმის სამჯერ უფრო დიდია.

მ. აბაშიძე.

228. უსანეთის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის მიდამოებში, წიწკანაანთ სერზე. თარიღდება განვით. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია (7×4,8 *მ*), ნაგებია ყორე ქვითა და კირის ხსნარით. მოგვიანებით მისთვის დას-იდან მიუდგამთ ნატეხი ქვითა და აგურით ნაშენი ორსართულიანი სამრეკლო.

ძ. დაზიანებულია: ჩამოშლილია ეკლესიის საბურავი და ლავგარდნის მნიშვნელოვანი ნაწილი, დაბზარულია ეკლესიის კედლები, სამრეკლოს მეორე სართულის კედლების ზედა ნაწილები, ალაგ-ალაგ, მონგრეულია

ეროვნული

ერთადერთი შესასვლელი ეკლესიას დას-იდან აქვს – სამრეკლოს პირველი სართულიდან. კარი გარედან თაღოვანია, შიგნიდან – თარაზულადაა გადახურული.

აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის ღერძზე ვიწრო, ოთხკუთხა სარკმელია გაჭრილი. სარკმლის სამხრ-ით და ჩრდ-ით მოწყობილია თითო სწორკუთხა, სამალაყიანი ნიშა. ერთი ნახევარწრიულთაღოვანი სარკმელი სამხრ. კედლის აღმ. ნაწილშია. აღმ. სარკმლის ქვემოთ, კედელზე, მიშენებულია კუბური ფორმის ტრაპეზი. აფსიდი გადახურულია წესიერი ფორმის კონქით, რ-ის ნახევარწრიული თაღი აფსიდის მხრებს ეყრდნობა. საკურთხეველი დარბაზისგან გამოყოფილი იყო ქვის კანკელით (შემორჩენილია მცირე ნაწილი).

შიგნით ეკლ. გადახურულია ქარგილზე სხმული ნახევარცილინდრული კამარით.

სამრეკლო ნატეხი ქვითა და აგურითაა ნაგები. მისი პირველი სართული გეგმით კვადრატულია (4×4 *მ*). სართულის ჩრდ. კედლის დას. ნაწილში გაჭრილია გარედან თაღით, ხოლო შიგნიდან თარაზულად გადახურული



228. გეგმა

შესასვლელი. დას. კედელში კი – ნახევარწრიულთაღოვანი სარკმელი. სართული გადახურულია დადაბლებული პროპორციების მქონე გუმბათოვანი კამარით.

სამრეკლოს მეორე სართული, შიგნიდან და გარედან, რვაწახნაგოვანი ფანჩატურია, რ-ის თი-

თოეულ წახნაგში თითო ვიწრო, მაღალი სარკმელია გაჭრილი.

ჯ. გიორგობიანი.

229. ჟვანჭაანთ ციხე, კ ო შ - კ ი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის მიდამოებში. თარიღდება XVIII ს-ით.

ნაგებია ნატეხი და ყორე ქვით კირის ხსნარზე. დანგრეულია. კოშკი, როგორც ჩანს, ექვსართულიანი ყოფილა. შემორჩენილია ჩრდ. ნაწილი. ჩაშლილია სართულშუა გადახურვები. ჩანს კოჭების საყრდენი ბუდეები. პირველი სართულის დიდი ნაწილი ამოვსებულია მიწით. მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე სართულის კედლებში ნიშები და სათოფურებია მოწყობილი. მეორე სართულის აღმ. კედელში ბუხრის კვალია. მეხუთე სართულის ჩრდ. კედლის შუაში გაჭრილია განიერი, თაღოვანი სარკმელი, რ-ის ზევით, მეექვსე სართულის დონეზე, კიდევ ერთი ღიობის (სარკმელი, სათოფური?) წირთხლი ჩანს.

ბ. კუპრეიშვილი.

230. ციხე, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, ციხეებად წოდებულ ადგილზე. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

შენობა გეგმით სამხრ-იდან ჩრდ-ისკენ ოდნავ წაგრძელებული სწორკუთხედია (7,5×5,3 *მ*), ნაგებია რიყის ქვითა და კირის ხსნარით. ძლიერ დაზიანებულია: შემორჩენილი კედლების სიმ. 2,5-3 *მ*-ია; შიგნითა კედლებს საპირე წყობა დიდ ფართობზე ჩამოშლილი აქვს. ერთადერთი შესასვლელი სამხრ. კედლის შუაშია. კარი გარედან შეისრული თაღითაა გადახურული, შიგნიდან კი – თარაზულად. ნაგებობის შიდა სივრცე განივი კედლით (1,5 *მ* სიმაღლეზე შემორჩენილია დას. ნახევარი და აღმ. ნახევრის ნაშთი) გაყოფილი იყო ორ არათანაბარ ნაწილად, რ-თაგან ჩრდ-ისა თითქმის ოთხჯერ უფრო დიდია. სამხრ. ნაწილში, ჩრდ.-დას. კუთხეში, გვერდში ჩასასვლელი ხვრელია მოწყობილი.

შენობის აღმ. კედელი გარედან გამაგრებულია მძლავრი კონტრფორსით, რ-საც ნისკარტისებრი მოყვანილობა აქვს.

ციხის ახლოს შემორჩენილია კიდევ ორი, თითქმის მთლიანად დანგრეული, მცენარეებით დაფარული ნაგებობა. ორივე რიყის ქვით [illegible]ფილა ნაგები. ორივე შენობისგან, ალაგ-ალაგ, კედლის ფრაგმენტებილაა შემორჩენილი (მაქს. სიმ. 1,5 *მ*) და გასუფთავების გარეშე მათი გეგმარება არ ირკვევა.

პ. კიკაჩეიშვილი.

231. ციხე-ბალავანი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის აღმ-ით, 3 *კმ*-ზე, ვაკეზე. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით. ნაგებია ნატეხი და რიყის ქვის სწორხაზოვანი რიგებით.

ციხის გეგმა კვადრატს მიახლოებული სწორკუთხედია (დაახლ. 75×70 *მ*), რ-ის ოთხივე კუთხეში მდგარა ცილინდრული კოშკი.

ძ. თითქმის მთლიანად დანგრეულია. შემორჩენილია ჩრდ.-დასის კოშკი (შიდა დიამ. – 4,7 *მ*) და მასთან დაკავშირებული კედლების მცირე ნაწილები, სამხრ.-დასის კოშკის ნაშთი, გალავნის სამხრ. კედელი და აღმ. კედლის მცირე ნაწილი.

ბ. კუპრეიშვილი.

ბიბლიოგრაფია

1. ა ბ დ უ შ ე ლ ი შ ვ ი ლ ი მ., ფეკრების სამაროვნის რამდენიმე ორმოსამარხის დათარიღებისათვის. – *კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები*, ტ. 4, თბ., 1980.
2. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი თ., გურჯაანში აღმოჩენილი ბიზანტიური ოქროს ფული. – *ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე*, 1954, ტ. 18 B.
3. ა ლ ე ქ ს ი ძ ე ზ., წარწერა შორენკეცზე ხორანთიდან. – კრ.: *ხორნაბუჯი*, I, თბ., 2011.
4. ა ლ ხ ა ზ ა შ ვ ი ლ ი ნ., ვანნაძიანის სამონასტრო კომპლექსის გუმბათიანი ტაძარი ყველაწმინდა. – *ძეგლის მეგობარი*, 1986, № 2.
5. ა ლ ხ ა ზ ა შ ვ ი ლ ი ნ., მზის სიმბოლიკა ვანნაძიანის მონასტრის „ყველაწმინდას“ გუმბათიანი ტაძრის მთავარი ნაგის განათების სისტემაში. – ამონაბეჭდი ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი VI საერთაშორისო სიმპოზიუმზე წაკითხული მოხსენებიდან, თბ., 1989.
6. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი შ., ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1961.
7. არხილიანი. – (თხზულებათა სრული კრებული), ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედ., ტ. 1-2, თბ., 1936-37.
8. ა რ ჯ ე ვ ა ნ ი ძ ე ი., თბილისიდან ალაზნის ველისაკენ, თბ., 1958.
9. ა ს ა თ ი ა ნ ი ნ., ზილიხის ყორღანი № 2. – *არქეოლოგიური კრებული*, I, თბ., 1994.
10. ა ს ა თ ი ა ნ ი ნ., საადგილმამულო ურთიერთობისა და სათავადოების არსებობის საკითხისათვის XVI-XVII სს. კახეთის სამეფოში. – *თსუ-ის შრომები*, ტ.77, თბ., 1959.
11. აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი საქართველოს შესახებ (გერმანულიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გ. გელაშვილმა), თბ., 2005.
12. ა ფ ა ქ ი ძ ე ა., ბაკურციხის არქეოლოგიური ძეგლები (ძვ. წ. XIII-X სს.). – სადისერტაციო ნაშრომი ისტ. მეცნ. კანდ. სამეცნ. ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1941.
13. ა ფ რ ა ს ი ძ ე გ., საქართველოს შუა საუკუნეების ქალაქები (XI-XIII სს.), თბ., 1984.
14. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი ი., ნაზარლების სამაროვანზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალის გეოლოგია-მინერალოგიური კვლევის შედეგები. – კრ.: *ხორნაბუჯი*, I, თბ., 2011.
15. ბ ა დ რ ი ძ ე შ., მშრომელი ჭორებისკოპოსის ინსტიტუტის საკითხისათვის კახეთის სამთავროში. – *მაცნე* (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), 1964, № 1.
16. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ნ., თხზულებანი, თბ., 1968.
17. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი თ., კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, რედ. [illegible]
18. ბ ა ხ ტ ა ძ ე ნ., ნეკრესის მონასტრის მემორიალური სამლოცველოს არქეოლოგიური კვლევის შედეგები. – *ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე*, 2010.
19. ბ ა ხ ტ ა ძ ე ნ., ნეკრესის მონასტრის მემორიალური სამლოცველოს დათარიღებისათვის. – *სამხრეთ კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები*, თბ., 2010.
20. ბ ა ხ ტ ა ძ ე ნ., ნეკრესის ნაქალაქარზე გამოვლენილი ჭაბუკაურის ბაზილიკის დათარიღებისათვის. – *ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში*, № 19, თბ., 2009.
21. ბ ა ხ ტ ა ძ ე ნ., ნეკრესის სამების ხუროთმოძღვრული კომპლექსის ფუნქციისა და დათარიღებისათვის. – კრ.: *ხორნაბუჯი*, I, თბ., 2011.
22. ბ ა ხ ტ ა ძ ე ნ., თ ე ვ დ ო რ ა შ ვ ი ლ ი ნ., ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი გ., ნეკრესი (ცნობარი მომლოცველთა და მოგზაურთათვის), ნეკრესი, 2010.
23. ბ ე რ ი ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი, ახალი ქართლის ცხოვრება. – წგ.: ქართლის ცხოვრება (ს. ყაუხჩიშვილის გამოც.), ტ. 2, თბ., 1959.
24. ბ ე რ ი ტ ა შ ვ ი ლ ი ი., შუაბრინჯაოს ხანის ყორღანული სამარხი ნაზარლების სამაროვნიდან. – კრ.: *ხორნაბუჯი*, I, თბ., 2011.
25. ბ ე რ ი ძ ე ვ., თბილისის ხუროთმოძღვრება, 1801-1917 წლები, თბ.:
    ა) ტ. 1, 1960;
    ბ) ტ. 2, 1963.
26. ბ ე რ ი ძ ე ვ., XVI-XVIII საუკუნეების ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება, თბ., 1994.
27. ბ ე რ ი ძ ე ვ., XVI-XVIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1983.
28. ბ ე რ ი ძ ე ვ., ძველი ქართული ხუროთმოძღვრება. თბ., 1974.
29. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბ., 1966.
30. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ.:
    ა) წგ. 1, 1964;
    ბ) წგ. 2, 1965;
    გ) წგ. 3, 1966;
    დ) წგ. 4, 1967;
    ე) წგ. 5, 1971;
    ვ) წგ. 6, 1973;
    ზ) წგ. 7, 1974;
    თ) წგ. 9, 1979.
31. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., ფეოდალური ურთიერთობებიდან XV ს-ში. – *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის*, ნაკვ. I, თბ., 1937.

32. ბერძენიშვილი ნ., ქვის ხანის ადამიანის პირველი ნაკვალევის აღმოჩენა გურჯაანის რაიონში. – გურჯაანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისა და ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის გაერთიანებული I სამეცნიერო სესია (სამუშაო გეგმა და მოხსენებათა თეზისები), თბ., 1965.

33. ბერძენიშვილი ნ., დონდუა ვ., დუმბაძე მ., მელიქიშვილი გ., მესხია შ., რატიანი პ., საქართველოს ისტორია, ტ. I, თბ., 1958.

34. ბერძნიშვილი მ., საქართველოს სახელმწიფო საზღვრები XIII ს-ის დამდეგს. – *საქართველო რუსთაველის ხანაში*, თბ., 1968.

35. ბუგიანიშვილი თ., გარე კახეთის ზეგანის ქვედა პალეოლითის ხანის ძეგლები. – *მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის*, ტ. VIII, თბ., 1979.

36. ბუგიანიშვილი თ., ქვედა პალეოლითი, *საქართველოს არქეოლოგია*, I, თბ., 1991.

37. ბუგიანიშვილი თ., ქვედა პალეოლითის ხანის ახალი მასალები კახეთიდან. – *მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის*, ტ. VI, თბ., 1974.

38. ბუგიანიშვილი თ., ქვის ხანის ძეგლები კახეთში. – გურჯაანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისა და ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის III გაერთიანებული სამეცნიერო სესია (მოხსენებათა მოკლე შინაარსები), თბ., 1971.

39. ბუგიანიშვილი თ., დედაბრიშვილი შ., ფიცხელაური კ., რამიშვილი რ., უზუნაშვილი მ., ჩიკოიძე ც., ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის 1968 წლის საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიებისადმი მიძღვნილი XVIII სამეცნიერო სესიის მოხსენებათა მოკლე ანგარიშები, თბ., 1969.

40. ბუნუკური ნ., კაჭრეთის ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულის გორასამარხი. – კრ.: *არქეოლოგიური ძიებანი* (ახალგაზრდა მკვლევართა IV და V სამეცნიერო სესიის მასალები), თბ., 1985.

41. გაბაშვილი ვ., ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII სს., თბ., 1958.

42. გაგოშიძე დ., ნეკრესის მონასტრის „ღმრთისმშობლის მიძინების" ეკლესია. XVI საუკუნის მოხატულობის საკონსერვაციო სამუშაოების პირველი ეტაპი. – *ძველი ხელოვნება დღეს*, 2012, № 3.

43. გველესიანი გ., გარეკახეთის ზოგადი ეკონომიკური გეოგრაფიული დახასიათება. – *საქართველოს მეცნ. აკადემიის ახალშენის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები*, წ. 7, თბ., 1955.

44. გვერდწითელი რ., წყაროდაბალის წმ. გიორგის ეკლესია ჭერემში. – *საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის წელიწდეული*, თბ., 1999-2001.

45. გვრიტიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ტ. I, თბ., 1962.

46. გიორგაძე მ., „მამა-დავითის" ეკლესია სოფ. ჭერემთან. – *ძეგლის მეგობარი*, 1984, № 67.

47. გიორგობიანი კ., დვალი თ., ვანნაძიანის „ყველაწმინდას" გუმბათოვანი ტაძრის რესტავრაციის შესახებ. – *ძეგლი მეგობარი*, 1984, № 65.

48. გიულდენშტედტი ი., მოგზაურობა საქართველოში (გ. გულაშვილის გამოც.), თბ.:
ა) ტ. I, 1962;
ბ) ტ. 2, 1964.

49. გოთუა ლ.,გრემ-ქალაქის ახალი სიცოცხლე. – *ძეგლის მეგობარი*, 1967, № 10-11.

50. გოლიაძე ვ., ასურულ მამათა სამშობლო და საქართველო, თბ., 1991.

51. გორგიჯანიძე ფარსადან, როსტომ მეფის ცხოვრება (ზ. ჭიჭინაძის გამოც.), თბ., 1913.

52. გორგიჯანიძე ფარსადან, საქართველოს ისტორია (ს. კაკაბაძის გამოც.). – *საისტორიო მოამბე*, 1925, [ტ.] 2.

53. დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია (თ. ლომოურის გამოც.),თბ., 1941.

54. დათიშვილი ჰ., საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და მშრომელთა განმანთავისუფლებელი ბრძოლა XIX საუკუნის პირველ ათწლეულში, თბ., 1976.

55. დათუნაშვილი ნ., ნეკრესის ღმრთისმშობლის მიძინების ტაძრის მხატვრობა. – *საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე* 2010, № 1.

56. დედაბრიშვილი შ., ადრე და შუა ბრინჯაოს ხანის ძეგლები. – *კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები*, ტ. I, თბ., 1969.

57. დედაბრიშვილი შ., 1964 წლის კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის დაზვერვითი სამუშაოების შედეგები. – ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის XIV სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1964 წლის საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი (მოკლე ანგარიშები), თბ., 1965.

58. დ ე დ ა ბ რ ი შ ვ ი ლ ი შ., აღმოსავლეთ საქართველოს ენეოლითის საკითხისათვის. – გურჯაანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისა და ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის III გაერთიანებული სამეცნიერო სესია, (მოხსენებათა მოკლე შინაარსები), თბ., 1971.

59. დ ე დ ა ბ რ ი შ ვ ი ლ ი შ., ბრინჯაოს ხანის ადრეული ძეგლები კახეთიდან. – გურჯაანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისა და ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის გაერთიანებული I სამეცნიერო სესია (სამუშაო გეგმა და მოხსენებათა თეზისები), თბ., 1965.

60. დ ე დ ა ბ რ ი შ ვ ი ლ ი შ, რ უ ს ი შ ვ ი ლ ი რ., სადულას ველის შუა ბრინჯაოს ხანის № 2 გორასამარხი – *კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები*, ტ. 6, თბ., 1984.

61. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I. ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIII სს.), ტ. II, ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1940.

62. დ ო ლ ა ქ ი ძ ე მ., ილარიონ ქართველის ცხოვრების ძველი რედაქციები, თბ., 1974.

63. ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ (გერმანულიდან თარგმნა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო გ. გელაშვილმა), თბ., 2005.

64. ე ლ ი ზ ბ ა რ ა შ ვ ი ლ ი ი., ნეკრესი, თბ., 1986.

65. ე ლ ი ზ ბ ა რ ა შ ვ ი ლ ი ი., ს უ რ ა მ ე ლ ა შ ვ ი ლ ი მ., ჩ ა ნ ჩ ხ უ ნ ა შ ვ ი ლ ი ც., ჭ უ რ ღ უ ლ ი ა ხ., არქიტექტურის რესტავრაცია საქართველოში, თბ., 2012.

66. ე ლ ი ზ ბ ა რ ა შ ვ ი ლ ი ი., ჭ უ რ ღ უ ლ ი ა ხ., კოტე მარჯანიშვილისა და ნიკოლოზ ჭავჭავაძის სახლები ყვარელში. – ჟურნ.: *საქართველოს სიძველენი*, № 13, თბ., 2009.

67. ე ნ უ ქ ი ძ ე თ., ახალშეძენილი ერთი საბუთის შესახებ (ერეკლე II სიგელი). – *ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე*, 1953, ტ. 17 B.

68. ვ ა რ ა ზ ა შ ვ ი ლ ი ჯ., მდ. ივრის ზეგნის კატაკომბური სამარხების დათარიღებისათვის. – ჟურნ: *ამირანი*, XIX, მთიულეთი-თბილისი, 2008.

69. ვ ა რ ა ზ ა შ ვ ი ლ ი ჯ., ძვ. წ. IV ათასწლეულის შუა ხანების მასალები იორ-ალაზნის აუზიდან. – *კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები*, ტ. 4, თბ., 1980.

70. ვ ა ნ ნ ა ძ ე მ., ლევან კახთა მეფე და მისი შვილი პორტრეტი კახეთსა და საბერძნეთში. – ჟურნ.: *ლიტერატურა და ხელოვნება*, № 5-6, თბ., 1992.

71. ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – წგ.: ქართლის ცხოვრება (ს. ყაუხჩიშვილის გამოც.), ტ. IV, თბ., 1973.

72. ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ცხოვრება, ნაწ. 2 (ზ. ჭიჭინაძის გამოც.), თბ., 1913.

73. ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ცხორება და ქმნულება მეფეთა ქართლისათა. – წგ.: ქართლის ცხოვრება (ს. ყაუხჩიშვილის გამოც.), ტ. IV, თბ., 1973.

74. ზ ა ქ ა რ ა ი ა პ., კახეთის საფორტიფიკაციო ნაგებობანი, თბ., 1962.

75. ზ ა ქ ა რ ა ი ა პ., ნაქალაქარ გრემის არქიტექტურა, თბ., 1975.

76. ზ ა ქ ა რ ა ი ა პ., საქართველოს ძველი ქალაქები და ციხეები, თბ., 1973.

77. ზ ა ქ ა რ ა ი ა პ., საქართველოს ძველი ციხესიმაგრეები, თბ., 1988.

78. ზ ა ქ ა რ ა ი ა პ., ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი არქიტექტურა XI-XVIII სს., თბ., 1981.

79. ზ ა ქ ა რ ა ი ა პ., ქართულ ციხესიმაგრეთა ისტორია, თბ., 2002.

80. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ე., არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წგ. I, ტფ., 1907.

81. თ ე მ უ რ ა ზ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ახალი ისტორია, თბ., 1983.

82. თ ო დ რ ი ა თ., ქიზიყის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. – *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული*, № 6, თბ., 1982.

83. თ ო ფ ჩ ი შ ვ ი ლ ი რ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მიგრაცია XVII-XX სს-ში, თბ., 1984.

84. თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი დ., ნ ა ც ვ ლ ი შ ვ ი ლ ი ნ., ხ ო შ ტ ა რ ი ა დ., მშენებელი ოსტატები შუა საუკუნეების საქართველოში, თბ., 2012.

85. ი ა შ ვ ი ლ ი ნ., საქართველოს სსრ ტერიტორიის ტიპიზაციისათვის. – *კომიმის ინსტიტუტის შრომები*, ტ. 1, თბ., 1946.

86. ი ვ ა ნ ე ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ენციკლოპედიური ლექსიკონი (მთ. რედ. რ. მეტრეველი), თბ., 2002.

87. ი ო ა ნ ე ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, ახალი ისტორია, თბ., 1986.

88. ი ო ა ნ ე ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, კალმასობა, თბ:
ა) ტ. 1, 1936;
ბ) ტ. 2, 1948.

89. ი ო ა ნ ე ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, ქართლ-კახეთის აღწერა (თ. ენუქიძის და გ. ბედოშვილის გამოც.), თბ., 1986.

90. ი ო ა ნ ე ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, შემოკლებითი აღწერა საქართველოს შინა მცხოვრებთა თაეადთა და აზნაურთა გვარებისა, თბ., 1997.

91. იოსელიანი პ., ცხოვრება მეფისა გიორგი მეათცამეტისა, თბ., 1978.
92. ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ (სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვლ. უთურიძემ), თბ., 1969.
93. კაკაბაძე პ., გარეკახეთის მრეწველობის განვითარება და განლაგება. – *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები*, ტ. 7, თბ., 1955.
94. კაკაბაძე ს., ვახტანგ გორგასალი და მისი ხანა, თბ., 1994.
95. კაკაბაძე ს., საქართველოს ისტორია. ახალი საუკუნის ეპოქა (1500-1810), თბ., 1922.
96. კაკაბაძე ს., ქართული სახელმწიფოებრივი გენეზისის საკითხები. – *საისტორიო მოამბე*, 1924, I.
97. კაპანაძე დ., ზარაფხანათა და მოხეტების გამომშვები ცენტრების ლოკალიზაციისათვის ძველ საქართველოში. – *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე*, 1959, №4.
98. კაპანაძე მ., აკაკიანთხევის შუაბრინჯაოს ხანის № 1 გორასამარხი. – *კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები*, ტ. 4. თბ., 1980.
99. კაპანაძე მ., ივრისპირების შუა ბრინჯაოს ხანის სამაროვანი. – კრ.: *არქეოლოგიური ძიებანი* (ახალგაზრდა მკვლევართა IV და V სამეცნიერო სესიის მასალები), თბ., 1985.
100. კაპანაძე მ., ივრისპირების ბრინჯაოს ხანის სამაროვნები (სადუა, ფურცხლეფალი). – *კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები*, ტ. 6, თბ., 1984.
101. კახეთი, თბ., 2005.
102. კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, თბ.:
    ა) ტ. 1, 1969;
    ბ) ტ. 2, 1979;
    გ) ტ. 3, 1978;
    დ) ტ. 4, 1980;
    ე) ტ. 5, 1982;
    ვ) ტ. 6, 1984.
103. კვეზერელი-კოპაძე ნ., საქართველოს ძველი ხიდები, თბ., 1972.
104. კვიჟინაძე კ., ბრინჯაოს ორთითები და ფარი ბადიაურიდან. – საქართველოს მეცნ. აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა XIII სამეცნიერო კონფერენცია (მოხსენებათა შემოკლებული ტექსტები), თბ., 1962.
105. კიკვიძე ა., გლეხთა აჯანყება კახეთში 1812 წელს, თბ., 1941.
106. კიკნაძე გ., სანდრო ახმეტელის თბ., 1967.
107. კობაიძე ლ.,ჩალიანთხევის სამაროვანი „A“. – *კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები*, ტ. 6, თბ., 1984.
108. კოპალიანი ვ., ამიერკავკასიის ხალხთა ურთიერთობის წარსულიდან, თბ., 1962.
109. ლაღიაშვილი გ., არქეოლოგიური გათხრები „ამიდასტურის“ წმინდა გიორგის სახელობის ტაძართან, თბ., 2011.
110. ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა. – წგ.: ქართლის ცხოვრება (ს. ყაუხჩიშვილის გამოც.), ტ. I, თბ., 1955.
111. ლეონტი მროველი, წამება წმიდისა და დიდებულისა მოწამისა არჩილისი. – წგ.: ქართლის ცხოვრება (ს. ყაუხჩიშვილის გამოც.), ტ. I, თბ., 1955.
112. ლობჟანიძე გ., ნარკვევები ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, I, თბ., 1998.
113. ლომთათიძე გ., საქართველოს მოსახლეობის კულტურა და ყოფა I-XIII სს., თბ., 1977.
114. ლომთათიძე გ., უჯარმა, თბ., 1961.
115. ლომოური თ., თამარის ფულების განძი. – *თსუ-ის შრომები*, ტ. 1, 1936.
116. ლომოური თ., ქოდალოს განძი. – *საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე*, 1947, ტ. 14 B.
117. ლომოური ნ., ძველი საქართველოს სავაჭრო გზის საკითხისათვის. – *ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები*, ტ. 4, თბ., 1958.
118. ლორთქიფანიძე მ., ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება (IX-X სს.), თბ., 1963.
119. მაისურაძე ბ., იორ-ალაზნის ზემო დინების გვიანბრინჯაო-რკინის ხანის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1993.
120. მაისურაძე ბ., აბდუშელიშვილი მ., არქეოლოგიური გათხრები წითელწყაროს რაიონში. – *ძეგლის მეგობარი*, 1984, № 4.
121. მაისურაძე ბ., რუსიშვილი რ., შირაქის ექსპედიცია 1989-91 წლებში. – წგ.: საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1989-1992 წლებში (მოკლე ანგარიშები), თბ., 2004.
122. მაისურაძე ბ., ფანცხავა ლ., შილდის სამლოცველო (კატალოგი) – *კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები*, ტ. 7, თბ., 1984.

123. მ ა მ ა ი ა შ ვ ი ლ ი ნ., ადრეფეოდალური ხანის ძეგლი ალაზნის ველიდან. – ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, მიძღვნილი კახეთის სიძველეთა შესწავლისა და დაცვისათვის (მოხსენებათა მოკლე შინარსი), ყვარელი, 1977.

124. მ ა მ ა ი ა შ ვ ი ლ ი ნ., ბეჭანბაღის ორმოსამარხი. – *კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები*, ტ. 4, თბ., 1980.

125. მ ა მ ა ი ა შ ვ ი ლ ი ნ., სკვითურინვენტარიანი სამარხები იორ-ალაზნის აუზიდან. – *კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები*, ტ. 4, თბ., 1980.

126. მ ა მ ა ი ა შ ვ ი ლ ი ნ., ქალაქი ჭერემი, თბ., 2004.

127. მ ა მ ა ი ა შ ვ ი ლ ი ნ., ციხე-ქალაქი ჭერემი. – *ძეგლის მეგობარი*, 1987, № 3.

128. მ ა მ ა ი ა შ ვ ი ლ ი ნ., ჭერემის არქეოლოგიური ძეგლები. – *ძეგლის მეგობარი*, 1984, № 66.

129. მ ა მ ა ი ა შ ვ ი ლ ი ნ., ჭერემის ნაქალაქარი, საქართველო ვახტანგ გორგასლის ეპოქაში, თბ., 1999.

130. მ ა მ ა ი ა შ ვ ი ლ ი ნ., ფ ი ც ხ ე ლ ა ურ ი კ., დ ე დ ა ბ რ ი შ ვ ი ლ ი შ., კახეთის არქეოლოგიური ექსპედიცია. – წგ.: საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1973 წელს, II, თბ., 1974.

131. მ ა მ ა ი ა შ ვ ი ლ ი ნ., ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ქ., ადრე შუა საუკუნეთა ხანის სამარხი სოფ. დარჩეთიდან. – *ძიებანი* (ო. ლორთქიფანიძის სახ. არქეოლოგიური ცენტრის ჟურნ.), 2006, № 17D 19.

132. მ ა მ ა ი ა შ ვ ი ლ ი ნ., ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ქ., ჭერემის გვიანრომაული ხანის სამაროვანი. – *კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები*, ტ. 6, თბ., 1984.

133. მ ა მ უ ლ ა შ ვ ი ლ ი ა., გრემის სარწყავი არხი. – *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე*, 1941, ტ. 11B.

134. მ ა მ უ ლ ა შ ვ ი ლ ი ა., კახეთის ძველი აბანოები. – *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე*, 1947, ტ. 14 B.

135. მ ა ნ ს ვ ე ტ ა შ ვ ი ლ ი ი., მოგონებანი, ნახული და გაგონილი (კლ. ასათიანის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით), ტფ., 1936.

136. მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის (გამოსაცემად მოამზადეს ზ. ალექსიძემ და შ. ბურჯანაძემ), ნაწ. 1, თბ., 1964.

137. მასალები საქართველოს სოფლების ისტორიისათვის, ნაკვ. 4, თბ., 1990.

138. მ ა ძ ღ ა რ ა შ ვ ი ლ ი ა., ფერისმანის გარემო, თბ., 1992.

139. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი გ., ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიის ქრონოლოგიის საკითხისათვის, თბ., 1967.

140. მ ე ლ ი ქ ს ე თ - ბ ე გ ი ლ.,არქეოლოგიური მოგზაურობა გარეკახეთსა და ჭერმის ხეობაში. – გაზ. *სახალხო საქმე*, 1920, IX, № 927.

141. მ ე ნ ა ბ დ ე ც. გვიანბრინჯაოს ორმოსამარხები კოდისხევიდან. – *კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები*, ტ. 4, თბ., 1980.

142. მ ე ს ხ ი ა შ., საისტორიო ძიებანი, ტ. 2, თბ., 1983.

143. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი რ., ნარკვევები ფეოდალური საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1972.

144. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი რ., წინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1973.

145. მ ე უ ნ ა რ გ ი ა ნ., გვიანრომაული ხანის სამარხები ადგილ სადუდადან. – კრ.: *არქეოლოგიური ძიებანი* (ახალგაზრდა მკვლევართა VII-VIII სამეცნიერო სესიის მასალები), თბ., 1990.

146. მ ი რ ი ა ნ ა შ ვ ი ლ ი გ., ნეკრესი. – „ივერია“, № 203, 1888.

147. მ ო ს უ ლ ი შ ვ ი ლ ი ი., ვეჯინის პეტრე და პავლე მოციქულების ეკლესიის აღდგენითი სამუშაოები. – *საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს სამეცნიერო შრომების წელიწდეული*, III, თბ., 1997-98.

148. მ ო ს უ ლ ი შ ვ ი ლ ი ი., „ვეჯინის ციხის“ კომპლექსი. – *საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის სამეცნიერო შრომების წელიწდეული*, IV-V, თბ., 1999-2001.

149. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი დ., კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები XII-XIII სს-ში. – *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული*, ტ. 3, თბ., 1967.

150. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი დ., საქართველო IV-VIII საუკუნეებში, თბ., 2003.

151. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ.:
ა. [ნაწ.] 1, 1977;
ბ. [ნაწ.] 2, 1980.

152. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი დ., ქიზიყის ძველი ისტორია, თბ., 1977.

153. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი დ., ხორნაბუჯი. – *ხორნაბუჯი*, I, თბ., 2011.

154. ნ ი ო რ ა ძ ე გ., ალაზნის ველის გათხრები, თბ., 1940.

155. ნ ი ო რ ა ძ ე გ., წითელწყაროს არქეოლოგიური ძეგლები. – *ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე*, 1950, ტ. 16 B.

156. ნ უ ც უ ბ ი ძ ე ა., ალაზნის ველის ძვ. წ. XIV-XII სს. არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1981.

157. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი პ., ჰამბავნი ქართლისანი (ე. ცაგარეიშვილის გამოც.), თბ., 1981.

158. პ ა პ უ ა შ ვ ი ლ ი თ., IX-XII სს. ჰერეთის პოლიტიკური ისტორიიდან, *მაცნე* (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), 1967, № 3.

159. პ ა პ უ ა შ ვ ი ლ ი თ., ჰერეთის ისტორიის საკითხები (უძველესი დროიდან XII ს. I მეოთხედამდე), თბ., 1970.

160. პირთა ანოტირებული ლექსიკონი. XI-XVII საუკუნეების ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, ტ. III (მასალები შეკრიბეს და გამოსაცემად მოამზადეს: ა. ბაქრაძემ, ლ. რატიანმა და გ. ოთხმეზურმა, ტომი შეადგინეს დ. კლდიაშვილმა და მ. სურგულაძემ), თბ., 2006.

161. ქ ო რ დ ა ნ ი ა თ., ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, I, ტფ., 1892 (გარეკანზე: 1893)..

162. ქ ო რ დ ა ნ ი ა თ., ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, წგ. 2, ტფ., 1897.

163. რ უ ს ი შ ვ ი ლ ი რ., 1933-1988 წლებში გამოქვეყნებული კახეთის არქეოლოგიური ძეგლებისადმი მიძღვნილი მასალების ბიბლიოგრაფია. – *გარეჯი (კახეთის არქეოლოგიური კვლევა-ძიების შრომები*, VIII), თბ., 1988.

164. რ უ ს ი შ ვ ი ლ ი რ., სადუღას ველის შუა ბრინჯაოს ხანის გორასამარხი № 2. – ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენცია (მოკლე ანგარიშები), თბ., 1981.

165. რ უ ს ი შ ვ ი ლ ი რ., შ ა ი ს უ რ ა ძ ე ბ., ადრებრინჯაოს ხანის ყორღანული სამარხები შირაქის ტერიტორიიდან. – *მაცნე* (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), 1989, № 4.

166. ს ა ბ ა შ ვ ი ლ ი მ., საქართველოს სსრ ნიადაგები, თბ., 1965.

167. საქართველო. ენციკლოპედია, ტ. I, თბ., 1997.

168. საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959.

169. საქართველოს არქეოლოგია, I. ქვის ხანა, თბ., 1991.

170. საქართველოს არქეოლოგია, II. ნეოლითი - ადრებრინჯაოს ხანა, თბ., 1992.

171. საქართველოს ისტორია. სახელმძღვანელო VIII-XI კლასებისათვის (ნ. ბერძენიშვილის რედ.), თბ., 1958.

172. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ.:
ა) ტ. 2, 1973;
ბ) ტ. 3, 1979;
გ) ტ. 4, 1973;
დ) ტ. 5, 1970;
ე) ტ. 7, 1976;

173. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ.:
ა. [ნაწ.] 1, 1977;
ბ. [ნაწ.] 2, 1980.

174. ს ი ნ ა უ რ ი ძ ე მ., აკლდამა ხორნაბუჯის მიდამოებიდან. – *ძველის მეგობარი*, 1967, № 9.

175. ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ლექსიკონი ქართული, თბ.:
ა) 1, 1991;
ბ) 2, 1993.

176. ტ ა ბ ა ტ ა ძ ე კ., ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV სს. მიჯნაზე, თბ., 1974.

177. უ გ რ ე ლ ი ძ ე ნ.,კაჭრეთში აღმოჩენილი სამარხი. – *მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის*, ტ. I, თბ., 1955.

178. უ ზ უ ნ ა შ ვ ი ლ ი მ., არქეოლოგიური გათხრები სოფ. შრომაში (ვაჩნაძიანი).– გურჯაანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისა და ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის III გაერთიანებული სამეცნიერო სესია (მოხსენებათა მოკლე შინაარსები), თბ., 1971.

179. უ კ ლ ე ბ ა დ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი მხარეების ლანდშაფტები და ფიზიკურ-გეოგრაფიული რაიონები, წგ. 2, თბ., 1974.

180. უ კ ლ ე ბ ა დ., აღმოსავლეთ საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული დარაიონება, თბ., 1968.

181. ფ ა ნ ც ხ ა ვ ა ლ., შ ა ი ს უ რ ა ძ ე ბ., ბრინჯაოს ანთროპომორფული ფიგურები შილდის სამლოცველოდან. – *ჟურნ. ძიებანი*, თბ., 2001.

182. ფ ი ც ხ ე ლ ა უ რ ი კ., არქეოლოგიური დაზვერვები ხიდნადისა და წითელწყაროს რაიონებში 1961 წელს. – საქართველოში 1961 წელს ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, თბ., 1962.

183. ფ ი ც ხ ე ლ ა უ რ ი კ., აღმოსავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაოს ხანის მატერიალური კულტურის გენეზისისა და პერიოდიზაციის საკითხები. – *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე*, 1972, № 3.

184. ფ ი ც ხ ე ლ ა უ რ ი კ., აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წ. XV-VII სს.), თბ., 1973.

185. ფ ი ც ხ ე ლ ა უ რ ი კ., ბაკურციხის გორასამარხი. – *კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული*, თბ., 2001.

186. ფ ი ც ხ ე ლ ა უ რ ი კ., იორ-ალაზნის აუზის გვიანბრინჯაო-რკინის ხანის ნამოსახლართა ტოპოგრაფიის პრინციპები. – *კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები*, ტ. 6, თბ., 1984.

187. ფ ი ც ხ ე ლ ა უ რ ი კ., იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა უძველესი კულტურა (წინაანტიკური ხანის არქეოლოგიური მასალების მიხედვით), თბ., 1965.

188. ფ ი ც ხ ე ლ ა უ რ ი კ., კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1963 წ. მუშაობის შედეგები. – ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის XII სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1963 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი (მოხსენებათა თეზისები), თბ., 1964.

189. ფ ი ც ხ ე ლ ა უ რ ი კ., კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე სამუშაოების ზოგიერთი შედეგები. – *მაცნე* (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), 1971, № 1.

190. ფ ი ც ხ ე ლ ა უ რ ი კ., კახეთი საუკუნეების მიღმა. – კახეთი, თბ., 2005.

191. ფ ი ც ხ ე ლ ა უ რ ი კ., მნიშვნელოვანი არქეოლოგიური აღმოჩენა კახეთში. – ხორნაბუჯი, I, თბ., 2011.

192. ფ ი ც ხ ე ლ ა უ რ ი კ., ნაზარლების სამაროვნის მორფოლოგია. – *ხორნაბუჯი*, I, თბ., 2011.

193. ფ ი ც ხ ე ლ ა უ რ ი კ., ძვ. წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის პირველი ნახევრის საკულტო ტაძარი სოფ. მელაანიდან. – გურჯაანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისა და ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის I გაერთიანებული სამეცნიერო სესია (მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები), თბ., 1965.

194. ფ ი ც ხ ე ლ ა უ რ ი კ., დ ე დ ა ბ რ ი შ ვ ი ლ ი შ., ახალი საკურადღებო არქეოლოგიური აღმოჩენები კახეთში. – *ძეგლის მეგობარი*, 1975, № 39.

195. ფ ი ც ხ ე ლ ა უ რ ი კ., დ ე დ ა ბ რ ი შ ვ ი ლ ი შ., კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე მუშაობის წინასწარი შედეგები. – *ძეგლის მეგობარი*, 1973, № 33.

196. ფ ი ც ხ ე ლ ა უ რ ი კ., დ ე დ ა ბ რ ი შ ვ ი ლ ი შ., სადუღას ველის გორასამარხები. – ჟურნ. *მეცნიერება და ტექნიკა*, 1972, № 6.

197. ფ ი ც ხ ე ლ ა უ რ ი კ., ვ ა რ ა ზ ა შ ვ ი ლ ი ვ., ზეიანის გორასამარხი № 1. – *გორევნა (კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები*, VIII), თბ., 1988.

198. ფ ი ც ხ ე ლ ა უ რ ი კ. ტ ე ქ ს ტ ი ს ა ვ ი თ ა რ ი ლ ი ვ., ენამთის მრავალფენიანი ნამოსახლარი. – *ხორნაბუჯი*, I, თბ., 2011.

199. ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., თბ.:
   ა) ტ. 1, 1955;
   ბ) ტ. 2, 1959;
   გ) ტ. 4, 1973.

200. ქართლ-კახეთის თავადთა და აზნაურთა ოჯახები (ფოტოტიპური გამოცემა ზ. ჭუმბურიძის რედაქციით), თბ., 2005.

201. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I. ქართული ისტორიული საბუთები. IX-XIII სს. (შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა), ნ. შოშიაშვილის რედ., თბ., 1984.

202. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბ.:
   ა) ტ. 1, 1975;
   ბ) ტ. 2, 1977;
   გ) ტ. 4, 1979;
   დ) ტ. 5, 1980;
   ე) ტ. 6, 1983;
   ვ) ტ. 7, 1984;
   ზ) ტ. 8, 1984;
   თ) ტ. 10, 1986;
   ი) ტ. 11, 1987.

203. ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედ., თბ.:
   ა) ტ. 2, 1965;
   ბ) ტ. 3, 1970;
   გ) ტ. 4, 1972;
   დ) ტ. 5, 1974;
   ე) ტ. 6, 1977;
   ვ) ტ. 7, 1980;
   ზ) ტ. 8, 1985.

204. ქართული წარწერების კორპუსი,I. ლაპიდარული წარწერები (შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა), თბ., 1980.

205. ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, თბ., 1955.

206. ქ უ ფ ა რ ა შ ვ ი ლ ი ზ., წვეროდაბალი. – *საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს სამეცნიერო შრომების წელიწდეული*, I, თბ., 1995.

207. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი თ., ბერძნული წარწერები საქართველოში, თბ., 2009.

208. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი თ., საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, თბ., 2004.

209. ყ ი ფ ი ა ნ ი გ., ნეკრესის „დიდი კვადრატი". – *კალმოსი* (ილიას სახელმწ. უნივერსიტეტის პუმანიტარულ კვლევათა ჟურნალი), თბ., 2009.

210. ყ ი ფ ი ა ნ ი გ., სამუხ-ელდარის ველის ნაქალაქარი (სადაზვერვო არქეოლოგიური ექსპედიციის წინასწარული მონაცემები). – *ხორნაბუჯი*, I, თბ., 2011.

211. შ ა ი შ მ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ივ., კამბეჩოვანი, ხორნაბუჯი, ქიზიყი. – *ძეგლის მეგობარი*, 1968, № 17.

212. შ ა ნ ი ძ ე ა., ფ უ თ უ რ ი ძ ე გ., სამეწოვანი წარწერა გრემში. – *ენიმკის მოამბე*, 1940, ტ. 5-6.

213. შ ე ნ გ ე ლ ი ა ნ., სელჩუკები და საქართველო XII ს-ში, თბ., 1968.

214. ნ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი გ., ქართული საერო ხუროთმოძღვრების რამდენიმე ნიმუში. – *ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე*, 1923, ტ. 3.

215. ნ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი გ., ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. 1, ტფ., 1936.

216. ნ ხ ე ი ძ ე დ., მაკო საფაროვა-აბაშიძე, თბ., 1963.

217. ნ ხ ე ი ძ ე თ., საუფლისწულო მამულები კახეთში, თბ., 1968.

218. ნ ხ ე ი ძ ე სეხნია, საქართველოს ცხოვრება (ზ. ჭიჭინაძის გამოც.), ტფ., 1913.

219. ც ი ნ ც ა ძ ე ი., ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X-XVI სს.), თბ., 1956.

220. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები (ილ. აბულაძის რედ.), თბ.:
ა) წგ. 1, 1963;
ბ) წგ. 2, 1967.

221. ჭ ა ნ ი შ ვ ი ლ ი გ., გურჯაანის რაიონის სოფ. ვეჯინის „ცხრასაყდრების" სამონასტრო კომპლექსი. – *საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს სამეცნიერო შრომების წელიწდეული*, II, თბ., 1996.

222. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი გ., დუბის საყდარი. – *ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე*, 1989, ტ. 40 B.

223. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი გ., კახეთის ერთი უცნობი არქიტექტურული ძეგლის შესახებ (ვაზოვანი). – *ძეგლის მეგობარი* 1986, № 2.

224. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი ლ.,არეში, თბ., 1991.

225. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი ლ.,არეშის ნაქალაქარის გათხრები. – *საქართველოს სახელმწ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები*, ტ. 3, თბ., 1974.

226. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი ლ.,არეშის ნაქალაქარის არქეოლოგიური გათხრები. – *საქართველოს სახელმწ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები*, ტ. 5, თბ., 1977.

227. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი ლ.,ახალსოფლის (გავაზის) არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის მუშაობის შედეგები. – *საქართველოს სახელმწ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები*, ტ. 2, თბ., 1971.

228. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი ლ.,ახალსოფლის ნაქალაქარის გათხრები. – *საქართველოს სახელმწ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები*, ტ. 3, თბ., 1974.

229. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი ლ., კახეთის ქალაქები (XIV-XVII სს.), თბ., 1980.

230. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი ლ.,ნეკრესის უძველესი ქართული წარწერები და ქართული დამწერლობის ისტორიის საკითხები, თბ., 2004.

231. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი ლ.,ნეკრესის წარმართული სამლოცველოები, თბ., 2000.

232. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი ლ.,ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, თბ.:
ა) ტ. 1, 1968;
ბ) ტ. 2, 1970.

233. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი ლ., ძველი გავაზი, თბ., 1975.

234. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი ლ., კ ი კ ნ ა ძ ე გ., ა ფ ხ ა ზ ა ვ ა ნ., ბ ა ხ ტ ა ძ ე ნ., არეშის ნაქალაქარის გათხრები (1978-1979 წწ.). – *საქართველოს სახელმწ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები*, ტ. 7, თბ., 1980.

235. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი ლ.,კ ი კ ნ ა ძ ე გ.,ა ფ ხ ა ზ ა ვ ა ნ., ბ ა ხ ტ ა ძ ე ნ., გ ო ც ა ძ ე კ., არეშის ექსპედიციის შედეგები (1980-81 წწ.). – *საქართველოს სახელმწ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები*, ტ. 8, თბ., 1986.

236. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი ლ.,მ ჭ ე დ ლ ი შ ვ ი ლ ი ბ., ა ფ ხ ა ზ ა ვ ა ნ., არეშის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში. – *საქართველოს სახელმწ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები*, ტ. 6, თბ., 1978.

237. ხ ა ტ ი ა შ ვ ი ლ ი მ., სანაგირის ბაზილიკის ზოგიერთი თავისებურება. – ქართული ხელოვნების ისტორიის საკითხები. ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენცია, თბ., 1995.

238. ხ ა ჩ ი ა შ ვ ი ლ ი ქ., დიმიტრი მაჩხაანელი. – *მნათობი*, 1972, № 5.

239. ხ ე რ ხ ე უ ლ ი ძ ე ომან, მეფობა ირაკლი მეორისა, მეფის თეიმურაზის ძისა. – წგ.: საქართველოს ცხოვრება (ზ. ჭიჭინაძის გამოც.), ტფ., 1913.

240. ხ ი მ შ ი ა შ ვ ი ლ ი კ., ახლად აღმოჩენილი ტეტრაკონქი სანაგირის სამონასტრო კომპლექსში. – ჟურნ. *ძველი ხელოვნება დღეს*, 2011 (ინტერნეტპუბლიკაცია).

241. ხ უ ს კ ი ვ ა ძ ე ი., ქართულ ეკლესიათა გვიანი შუა საუკუნეების „ხალხური" მოხატულობანი, თბ., 2003.

242. ჯავახიშვილი ივ., მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, წგ. I, თბ., 1946.

243. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, თბ.:
ა) წგ. 1, 1960;
ბ) წგ. 2, 1965;
გ) წგ. 3, 1966;
დ) წგ. 5, 1986.

244. ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, კარი I. სახელმწიფო სამართალი. –თხზ. ტომებ ტომად, ტ. VII, თბ., 1984.

245. ჯალაღანია ირ., სახანური და ბიზანტიური ფულის განძი წითელწყაროდან. – *ძეგლის მეგობარი*, 1980, № 53.

246. ჯალაღანია ირ., საქართველოს სამონეტო განძები, I, თბ., 1976.

247. ჯალაღანია ირ., ქუფური მონეტების მიმოქცევა VIII-X სს. საქართველოში. – *მაცნე* (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), 1973, № 4.

248. ჯალაღანია ირ., ქუფური მონეტების ტოპოგრაფია საქართველოში, თბ., 1972.

249. ჯამბურია გ., სათავადოთა საკითხისათვის. – კრ: *საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები*, I, თბ., 1970.

250. ჯანაშია ს., საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, შრომები, ტ. I, თბ., 1949.

251. ჯანაშია ს., საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIII ს-მდე. – შრომები, ტ. 2, თბ., 1952.

252. ჯაოშვილი ვ., გარეკახეთის მოსახლეობა და მთავარი დასახლებული პუნქტები. – *ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები*, ტ. 7, თბ., 1955.

253. ჯიქია ვ., გლეხთა მღელვარება სოფელ ზიარში 1842 წ. – *საისტორიო მოამბე*, 1961, წგ. 13-14.

254. ჰახანრუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ (სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვ. ფუთურიძემ), თბ., 1966.

255. Алхазашвили Н., Вопросы реставрации купольного храма Квела-Цминда Вачнадзианского монастыря. – IV международный симпозиум по грузинскому искусству, Тб., 1983.

256. Археология Кавказа, I, Тб., 2006.

257. Барнавели Т. В., Надписи на исторических памятниках Кахетии, Тб.,1962.

258. Белокуров С. А., Сношения России с Кавказом, вып. 1. 1578-1613 гг., М., 1889.

259. Бердзенишвили Н. А., Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII-XVI вв. – მის წგ.: საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1965.

260. Беридзе В., Грузинская архитектура с древнейших времен до начала XX века, Тб., 1967.

261. Бугианишвили Т. В., Палеолитические памятники Иоро-Алазанского бассейна. – *Труды Кахетской археологической экспедиции*, т. 1, Тб., 1969.

262. Варазашвили В. В., Раннеземледельческая культура из Иоро-Алазанского бассейна, Тб., 1992.

263. Ватейшвили Дж. Л., Из истории грузино-русского боевого содружества против иранской агрессии (Какабетское сражение 1800 г.). – *Мацне*. (Серия истории, археологии, этнографии и истории искусства), 1972, № 4.

264. Вачнадзе М., Некоторые особенности и хронологическая последовательность группы кахетских росписей XVI века. – II международный симпозиум по Грузинскому искусству, Тб., 1977.

265. Гордеев Д. П., Краткий отчет о командировках в Кахетию и Горийский уезд летом 1917 г. – *Известия Кавказского отделения Московского археологического общества*, вып. 5, Тфл.,1919.

266. Дедабришвили Ш. Ш., Культура эпохи ранней бронзы Иоро-Алазанского бассейна (Диссертация на соискание ученой степени кандидата исторических наук), Тб., 1970.

267. Дедабришвили Ш. Ш., Курганы Алазанской долины. – *Труды Кахетской археологической экспедиции*, т. 2, Тб., 1979.

268. Дедабришвили Ш. Ш., Памятники эпохи ранней и средней бронзы. – *Труды Кахетской археологической экспедиции*, т. 1.,Тб., 1969.

269. Дедабришвили Ш. Ш., Пицхелаури К.Н., Курганы урочища Садуга. – Тезисы докладов СПИПАИ 1971. Археол. секция, М., 1972.

270. Джалагания И. Л., Иноземная монета в денежном обращении Грузии V-XIII вв., Тб., 1979.

271. Закарая П. П., Древние города и крепости Грузии, Тб., 1982.

272. Закарая П. П., Древние крепости Грузии, Тб., 1969.

273. Иоселиани Пл. И., Города существовавшие и существующие в Грузии, Тфл., 1850.

274. Иоселиани Пл. И., Краткая история Грузинской церкви, Тфл., 1843.

275. Иоселиани Пл. И., Путевые записки по Кахетии 1845 г., Тфл., 1846.

276. К и к н а д з е В., Памятники древности Телавского уезда Тифлисской губернии. – *СМОМПК* («Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа»), вып. 7, Тфл., 1880.
277. М а й с у р а д з е В. Г., Куро-араксские курганы на территории Шираки, Ереван, 2003.
278. М а й с у р а д з е В. Г., Ширакская археологическая экспедиция в 1988 году. – В сб.: *ПАИ* (Полевые археологические исследования), Тб., 1997.
279. М а й с у р а д з е В.Г., А б д у ш е л и ш в и л и М. А., Ширакская экспедиция в 1984-85 гг. – В сб.: *ПАИ* (Полевые археологические исследования), Тб., 1987; в 1986 году, Тб., 1991.
280. М а й с у р а д з е В.Г., И н а н и ш в и л и Г. М., Аэроархеология в Шираки. – *Дзиебани*, 1999, № 4.
281. М а й с у р а д з е В.Г., И н а н и ш в и л и Г. М., Результаты химико-технологического анализа металлического инвентаря Шилдского святилища и его место в системе производства цветных металлов в позднебронзовой эпохе Центрального Закавказья. – *Дзиебани*, 2003, № 10.
282. М а м а и а ш в и л и Н. Ф., Город Череми и археология. – I научная конференция *ЦАИ* (Краткое содержание докладов), Тб.,1999.
283. М а м а и а ш в и л и Н. Ф., Монастырский комплекс Цверодабали. – Археология, этнология, фольклористика Кавказа, Тб., 2007.
284. М а м а и а ш в и л и Н. Ф., Раннесредневековый город Череми. – Научная конференция по археологии Кавказа: "Средневековые города и городская жизнь Кавказа" (Тезисы докладов), Тб.,1988.
285. М а м а и а ш в и л и Н. Ф., Раскопки на городище Череми. – В сб.: *ПАИ* (Полевые археологические исследования) в 1984-85 гг., Тб., 1987.
286. М а м а и а ш в и л и Н.Ф., Раскопки Черемской цитадели. – В сб.: *ПАИ* (Полевые археологические исследования) в 1987 году, Тб., 1995.
287. М а м а и а ш в и л и Н. Ф., П и ц х е л а у р и К. Н., Новшества в археологических культурах II-I тыс. до н. э. в Иоро-Алазанском бассейне. – *Дзиебани*, 2001, № 6.
288. М а м а и а ш в и л и Н. Ф., П и ц х е л а у р и К. Н., Д е д а б р и ш в и л и Ш. Ш., Краткий отчет о полевой работе Кахетской археологической экспедиции. – В сб.: *ПАИ* (Полевые археологические исследования) в 1973 году, Тб., 1974.
289. М а р к о в Е. А., Очерки Кавказа. Картины кавказской жизни, природы и истории, СПб. – М., 1913.
290. Материалы по истории грузино-русских взаимоотношений, изд. М. Полиевктова, Тб., 1937.
291. М а х а р а д з е З. Э., Курган № 1 долины Дилича. – *ჯნ: არქეოლოგიური ძიებანი*, Тб., 1986.
292. М е л и к и ш в и л и Г. А., К истории древней Грузии, Тб.,1959.
293. М е л и т а у р и К. Н., Крепости дофеодальной и раннефеодальной Грузии, Тб.:
a) [т.] 1, 1969.
b) [т.] 2, 1971.
294. М е с х и а Ш. А., Города и городской строй феодальной Грузии (XVII-XVIII вв.), Тб., 1959.
295. П а н ц х а в а Л. Н., М а й с у р а д з е В. Г., Бронзовые антропоморфные фигурки из святилища Шилда. – *Дзиебани* , 1999, № 4.
296. П а х о м о в Е. А., Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа, вып. 1, Баку, 1926; вып. 4, Баку, 1949.
297. П и о т р о в с к и й Б. Б., Археология Закавказья с древнейших времен до I тысячелетия до н. э., Л., 1949.
298. П и ц х е л а у р и К. Н., Археологические исследования 1990-2004 гг. в Кахети (Итоги и перспективы). – *Археология Кавказа*, 1, Тб., 2006.
299. П и ц х е л а у р и К. Н., Восточная Грузия в конце бронзового века. – *Труды Кахетской археологической экспедиции*, т. 3, Тб., 1979.
300. П и ц х е л а у р и К. Н., Наиден древний грузинский город Хоранта. – Археология, этнология, фолклористика Кавказа, Тб., 2011.
301. П и ц х е л а у р и К. Н., Новые находки Кахетской археологической экспедиции. – В сб.: *ПАИ* (Полевые археологические исследования) в 1978 году, Тб.,1981.
302. П и ц х е л а у р и К. Н., Новый очаг древневосточной цивилизации на Кавказе. – Археологическая конференция Кавказа, I (Краткое содержание докладов), Тб., 1998.
303. П и ц х е л а у р и К. Н., Об археологической культуре Центрального и Восточного Закавказья конца II-I половины I тыс. до н.э. – Материалы сессии, посвященной итогам археологических и этнографических исследований 1964 г. в СССР (Тезисы докладов), Баку, 1965.
304. П и ц х е л а у р и К. Н., Отчет Кахетской археологической экспедиции. – В сб.: *ПАИ* (Полевые археологические исследования) в 1976 году, Тб.,1979.
305. П и ц х е л а у р и К. Н., Раскопки святилищ в Мели-геле. – *Советская археология*, 1968, № 3.
306. П и ц х е л а у р и К. Н., Д е д а б р и ш в и л и Ш. Ш., Работы Кахетской археологической экспедиции в зоне строительства Верхне-Ала-

занской системы (1965-1966 гг). – *Труды Кахетской археологической экспедиции*, т. 1, Тб., 1969.

307. Пицхелаури К. Н., Дедабришвили Ш. Ш., Бугианишвили Т. В., и др., Отчет Кахетской археологической экспедиции. – В сб.: *ПАИ* (Полевые археологические исследования) в 1976 году, Тб., 1979.
308. Пицхелаури К. Н., Дедабришвили Ш. Ш., Майсурадзе В. Г. и др., Отчет о полевых работах Кахетской археологической экспедиции. – В сб.: *ПАИ* (Полевые археологические исследования) в 1977 году, Тб.,1980.
309. Пицхелаури К.Н., Мамаиашвили Н.Ф., Майсурадзе В. Г., и др., Кахетская археологическая экспедиция. – В сб.: *ПАИ* (Полевые археологические исследования) в 1981 году, Тб., 1984.
310. Посольство князя Мышецкого и дьяка Ключарева в Кахетию в 1640-1643 гг. Изд. документов М. А. Полиевктова, I, Тфл., 1928.
311. Привалова Е., Роспись церкви "Вознесения" - "Амаглеба" в Озаани. – *ქართული ხელოვნება*, 1987, ტ. 9.
312. Пурцеладзе Д., Грузинские церковные гуджары, Тфл., 1881.
313. Рамишвили Р. М., Джорбенадзе В. А., Начало археологических исследований в Хорнабуджи (Тезисы докладов, посвященных итогам полевых археологических исследований в СССР в 1970 году), Тб.,1971.
314. Рамишвили Р. М., Джорбенадзе В. А., Полихромная керамика из раскопок в Кветера и Хорнабуджи (Восточная Грузия). – Материалы I симпозиума по проблеме "Полихромная поливная керамика Закавказья. Истоки и пути распространения", Тб.,1985.
315. Сабинин М., Польные жизнеописания святых Грузинской церкви, ч. 2, С-Петербург, 1871.
316. Северов Н. П., Вачнадзиани. – *ძველი საქართველო*: Памятники грузинского зодчества, М., 1947.
317. Сихарулидзе Э. К., Национальный герой Италии, Тб., 1974.
318. Хаханов А., Материалы по археологии Кавказа, М., 1898.
319. Цицишвили И. Н., Истоки грузинского зодчества, Тб., 1955.
320. Чикоидзе Ц. Н., Поселения Шида Картли (Похораулеби, Артозани, Маркаани), *Грузинские селения*, II, Тб., 2003.
321. Чилашвили Л. А., Некресская молельня. – I научная конференция ЦАИ (Краткое содержание докладов), Тб., 1999.
322. Чилашвили Л. А., Языческие святилища Некреси, Тб., 2000.
323. Чубинашвили Г. Н., Архитектура Кахетии, Тб., 1959.
324. Чубинашвили Г. Н., Иранские влияния в памятниках архитектуры Грузии. – III Международный конгресс по иранскому искусству и археологии, Ленинград, сентябрь 1935. Доклады. М.– Л., 1939.
325. Чубинашвили Г. Н., К вопросу о начальных формах Христианского храма. – *ძველი საქართველო*: Вопросы истории искусства, т. 1, Тб., 1970.
326. Чубинашвили Н. Г., Шашианис Самеба, Тб., 1988.
327. Шевякова Т. С., Монументальная живопись раннего средневековья Грузии. – Альбом, Тб., 1983.
328. Шмерлинг Р. О., Малые формы в архитектуре средневековой Грузии, Тб., 1962.
329. Alpago-Novello A., Beridze V., Lafontaine-Dosogne J., Hybsch E., Ieni G, Kauchtschischwili N., Art and Architecture in Medieval Georgia, Louvain-la-Neuve, 1980.
330. Bertram J-K., P´ic´xelauri K., Vorbericht zu den Ausgrabungsarbeiten in Udabno (Ostgeorgien) im Jahre 2005[1]. – *Archäologische Mitteilungen aus Iran und Turan*, Band 37, Berlin, 2005.
331. Furtwängler Andreas E. (mit Beiträgen von Knauβ F., und Egold A.), Gumbati (Archäologische Expedition in Kachetien 1994). – *Eurasia Antiqua* (Zeitschrift für Archäologie Eurasiens), Band 1, Mainz am Rhein, 1995.
332. Furtwängler Andreas E., Knauβ F., Ausgrabungen in den Siedlungen Gumbati und Ciskaraant-Gora (Archäologische Expedition in Kachetien 1996), mit Beiträgen von Löhr H., und Motzenbäcker I. – *Eurasia Antiqua* (Zeitschrift für Archäologie Eurasiens), Band 3, Mainz am Rhein, 1997.
333. Furtwängler Andreas E., Knauβ F., Motzenbäcker I., Ausgrabungen in Širaki (Archäologische Expedition in Kachetien 1997), mit Beiträgen von Gagošidze J., und Kvavadze E. – *Eurasia Antiqua* (Zeitschrift für Archäologie Eurasiens), Band 4, Mainz am Rhein, 1998.
334. Furtwängler Andreas E., Knauβ F., Motzenbäcker I., Ausgrabungen in Širaki (Archäologische Expedition in Kachetien 1998). – *Eurasia Antiqua* (Zeitschrift für Archäologie Eurasiens), Band 5, Mainz am Rhein, 1999.
335. Georgian Architecture (A documented photo-archival collection on microfiche with 47,000 photographs for the study of Early and Late Medieval Christian Architectural Arts of Georgia and its histo-

rical area of settlement), vol. 3. Kakhethi, Leiden: Inter Documentation Company (IDC), 1997.

336. Korfmann M., Pizcheluri K., Bertram J.-K., Kastl G., Vorbericht zur 3. Grabungskampagne am Didi Gora im Jahre 1999, mit Beiträgen von Uerpmann H-P., Uerpmann M., Kvavadze E. – *Studia Troica*, Band 12, Mainz am Rhein, 2000.

337. Korfmann M., P´ic´xelauri K., Bertram J.-K., Kastl G., Erster Vorbericht zu den Vermessungs-und Ausgrabungsarbeiten in Udabno (Ostgeorgien) 2000-2004. Mit Beiträgen von Hübner Ch., Giese St., Grubert A., und Maus B. – *Archäologische Mitteilungen aus Iran und Turan*, Band 35-36, Berlin, 2003-2004.

338. Mamaiašvili N., Zur Chronologie und Topographie der Stadt Čeremi. – *Georgica*, Heft 17, Konstanz, 2001.

339. Mansfeld G., Pizchelauri K., Die zweite Grabungskampagne auf dem Tqisbolo Gora in Kachetien (August-Oktober 1992). – *Georgica*, Heft 16, Konstanz, 1993.

340. Mepisashvili R., Tsintsadze V., The Arts of Ancient Georgia, Leipzig, 1979.

341. Mepisaschwili R., Zinzadse W., Georgien (Wehrbauten und Kirchen), Leipzig, 1986.

342. Orthmann W., Picxelauri K., Qvavaʒe D., Ausgrabungen in Ananauri 1999. – *Georgica*, Heft 23, Konstanz, 2000.

343. Picchelauri K., Waffen der Bronzezeit aus Ost-Georgien. – *Archäologie in Eurasien*, Band 4, Espelkamp, 1997.

344. Picxelauri K., Orthmann W., Neue archäologische Funde in Kachetien. – *Georgica*, Heft 17, Konstanz, 1993.

345. Pitskhelauri K., South Caucasian Ancient Civilisation in Gareji Desert (Udabno). – *Mauerschau*, Band 2, Remshalden-Grunbach 2002.

346. Pizchelauri K., Die Entwicklungsstufen staatlicher Strukturen im zentralen teil Südkaukasiens. –*Georgica*, Heft 34, Konstanz, 2011.

347. Pizchelauri K., Jungbronzezeitliche bis ältereisenzeitliche Heiligtümer in Ost-Georgien. – *Materialen zur allgemeinen und Vergleichenden Archäologie*, Band 12, München 1984.

348. Pizchelauri K., & Pizchelauri K., Übersicht metallurgischer Entwicklungen von der Bronze – bis zur Eisenzeit in Ostgeorgien. – *Der Anschnitt* (Zeitschrift für Kunst und Kultur im Bergbau), Beiheft 15, Bochum, 2002.

349. Pizchelauri Konstantin, Pizchelauri Kote, Zur Entwicklung der Bronzeäxte im 3. und im 2. Jahrtausend v. Chr. in Zentral-Transkaukasien, Georgien – Schätze aus dem Land des goldenen Vlies, Bochum, 2001.

შემოკლებები:

აგვ. – აგვისტო
ადგილ. – ადგილობრივი
ადმ. – ადმინისტრაციის, ადმინისტრაციული
ადმ-ტერ. – ადმინისტრაციულ-ტერიტორიული
ადმ. ც. – ადმინისტრაციული ცენტრი
ადრინდ. – ადრინდელი
ავტონ. – ავტონომიური
ათ. – ათასი
ათასწლ. – ათასწლეული
ამხ-ბა – ამხანაგობა (სახელწოდებასთან)
ანტ. – ანტიკური
აო – ავტონომიური ოლქი (სახელწოდებასთან)
აპრ. – აპრილი
არაბ. – არაბული
არქ. – არქაული
არქეოლ. – არქეოლოგიური, არქეოლოგიისა
არქიტ. – არქიტექტორი (გვართან), არქიტექტურისა, არქიტექტურული
ასომთ. – ასომთაერული
აღმ. – აღმოსავლური
აღმ. – აღმოსავლეთი (მხაზღვრულად)
ახ. – ახალი
ახლანდ. – ახლანდელი
ახ. წ. – ახალი წელთაღრიცხვით (თარიღთან)
ბერძნ. – ბერძნული
ბიბლ. – ბიბლიოგრაფია
ბიზანტ. – ბიზანტიული, ბიზანტიისა, ბიზანტიური
ბ-კა – ბიბლიოთეკა
ბურჯ. – ბურჟუაზიისა, ბურჟუაზიული
გა'ხ. – გა'ხვთი (სახელწოდებასთან)
განვით. – განვითარებული
განმათ. – განმათავისუფლებელი
განკ-ბა – განკოფილება
გეოგრ. – გეოგრაფიისა, გეოგრაფიული
გვაროვნ. – გვაროვნული
გვიანდ. – გვიანდელი
გრაფ. – გრაფიკისა, გრაფიკული
გუბ. – გუბერნია (სახელწოდებასთან)
დაახლ. – დაახლოებით
დას. – დასავლეთი (მხაზღვრულად)
დასახლ. – დასახლება, დასახლებული
დაწ. – დაწყებითი (სკოლა)
დეკ. – დეკემბერი
დეკორატ. –დეკორატიული
დეკორაც. – დეკორაციული
დემოკრ. – დემოკრატიული
დიამ. – დიამეტრი
ეგზ. – ეგზემპლარი
ეთნ. – ეთნოგრაფიული
ეკლ. – ეკლესია (მხოლოდ სახელობით ბრუნვაში)
ეკონ. –ეკონომიკისა, ეკონომიური, ეკონომიკური
ელინისტ. – ელინისტური
ეროვნ. – ეროვნული
ექსპედ. – ექსპედიცია, ექსპედიციისა
ვერტ. – ვერტიკალური
ზ. დ. – ზღვის დონიდან (ციფრობრივ მონაცემებთან)
ზოგადსაგანმან. – ზოგადსაგანმანათლებლო (სკოლა)
თბილ. – თბილისის
თებ. – თებერვალი
იანვ. – იანვარი
იელ. – იელისი
ივნ. – ივნისი
ილ. – ილუსტრაცია
ინდუსტრ. – ინდუსტრიისა, ინდუსტრიული
ინ-ტი – ინსტიტუტი
ისტ. – ისტორიისა, ისტორიული
კავკ. – კავკასიელი, კავკასიისა, კავკასიური
კათოლ. – კათოლიკური
კაპიტ. – კაპიტალური
კაპიტალ. – კაპიტალისტური
კერამ. – კერამიკისა, კერამიკული
კვადრ. – კვადრატული
კოლ-ბა – კოლმეურნეობა
კოლექტ. – კოლექტიური
კოლხ. – კოლხური
კომპლ. – კომპლექსი
კომპოზიც. – კომპოზიციური
კონსტრ. – კონსტრუქციისა, კონსტრუქციული
კულტ. – კულტურული (სახელწოდებასთან), კულტურისა
კულტ-საგანმან. – კულტურულ-საგანმანათლებლო
ლათ. – ლათინური
ლიტ. – ლიტერატურა (ბიბლიოგრაფიაში)
ლიტ-რა – ლიტერატურა (ტექსტში)
მარცხ. – მარცხენა
მარჯვ. – მარჯვენა
მაქს. – მაქსიმალური
მდ. – მდინარე (სახელწოდებასთან)
მეზობ. – მეზობლური
მეურნ. – მეურნეობა
მეცნ. – მეცნიერებისა, მეცნიერული
მინერ. – მინერალური
მინიმ. – მინიმალური
მონუმ. – მონუმენტური
მოსახლ. – მოსახლეობა
მოქ. – მოქალაქე (გვართან)
მოქანდ. – მოქანდაკე (გვართან)
მოხატ. – მოხატულობა (მხოლოდ სახ. ბრუნვაში)
მრეწვ. – მრეწველობა, მრეწველობისა
მუზ. – მუზეუმი
მუნიციპ – მუნიციპალიტეტი
მუს. – მუსიკალური (სკოლა)
მცხ. – მცხოვრები
მწვ. – მწვერვალი (სახელწოდებასთან)
მხარეთმც. – მხარეთმცოდნეობა, მხარეთმცოდნეობის
მხედრ. – მხედრული
ნამდვ. გვარი – ნამდვილი გვარი
ნახ. – ნახაზი
ნახ. – ნახევარი (I ნახ., II ნახ.)
ნოემბ. – ნოემბერი
ოქტ. – ოქტომბერი
პარტ. – პარტიული
პედ. – პედაგოგიკისა, პედაგოგიური
პლასტ. – პლასტიკური
პოლიტ. – პოლიტიკური
პოლიტექ – პოლიტექნიკური
პრიმიტ. – პრიმიტიული
პროფ. – პროფესორი (გვართან)
პროფ. – პროფესიული
ჟურნ. – ჟურნალი (სახელწოდებასთან)
რ. – რუკა
რ-ებიც – რომლებიც (მოკლდება ყველა ბრუნვაში)
რეგ. – რეგიონი
რვგ. – რევოლუციისა, რევოლუციური
რეკონსტრ. – რეკონსტრუქცია, რეკონსტრუქციისა
რელიგ. – რელიგიისა, რელიგიური
რესპ. – რესპუბლიკა, რესპუბლიკისა, რესპუბლიკური
რ-იც – რომელიც (მოკლდება ყველა ბრუნვაში)
რკ-გზ. სადგ. – რკინიგზის სადგური
რ-ნი – რაიონი
რ-ნული – რაიონული
რ-შიც – რომელშიც
რ. ც. – რაიონის ცენტრი
ს., სს. – საუკუნე, საუკუნეები (თარიღთან)
საავტ. – საავტომობილო
საბჭ. – საბჭოთა
საგანმან. – საგანმანათლებლო
სადგ. – სადგური (საკუთარ სახელთან)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საეკლ. – საეკლესიო
საზ. – საზოგადო, საზოგადოებრივი
საზ-ბა – საზოგადოება
საკოლმ. – საკოლმეურნეო
სამედ. – სამედიცინო
სამეცნ. – სამეცნიერო
სამეცნ.-კვლ. – სამეცნიერო-კვლევითი
სამრეწვ. – სამრეწველო
სამშენ. – სამშენებლო
სამხ. – სამხედრო
სამხრ. – სამხრეთი (მსაზღვრელად)
სამხრ.-აღმ. – სამხრეთ-აღმოსავლეთი (მსაზღვრელად)
სამხრ.-დას. – სამხრეთ-დასავლეთი (მსაზღვრელად)
სარესტ. – სარესტავრაციო
სას.-სამ. – სასოფლო-სამეურნეო
სასულ. – სასულიერო
სასწ. – სასწავლო, სასწავლებელი
სატრანსპ. – სატრანსპორტო
საქ. – საქართველოს (სსრ-თან)
საქართვ. – საქართველოს
საშ. – საშუალო
საცხოვრ. – საცხოვრებელი
საწ. – საწარმოო
სახ. – სახელობისა
სახელმწ. – სახელმწიფო (საზღვრულთან)
სახვ. – სახვითი (საზღვრულთან)
ს-დ. – სოციალ-დემოკრატიული (პარტია, ჯგუფი)
სექტ. – სექტემბერი
სიგ. – სიგანე (რიცხობრივ მონაცემებთან)
სიგრ. – სიგრძე (რიცხობრივ მონაცემებთან)
სიმ. – სიმაღლე (რიცხობრივ მონაცემებთან)
სოფ. – სოფელი (სახელწოდებასთან)
სოფ. მეურნ. – სოფლის მეურნეობა
სოც. – სოციალური
სოციალ. – სოციალისტური
სპეც. – სპეციალური
სტილისტ. – სტილისტური
სუბალპ. – სუბალპური
სურ. – სურათი
ტემპ-რა – ტემპერატურა
ტერიტ. – ტერიტორია, ტერიტორიული
ტექ – ტექნიკისა, ტექნიკური
ტრად. – ტრადიციისა, ტრადიციული
ტფ. – ტფილისი, ტფილისის
უნ-ტი – უნივერსიტეტი
უღელტ. – უღელტეხილი
უცხ. – უცხოური
ფ. – ფოტოსურათი
ფართ. – ფართობი
ფედერ. – ფედერაციისა, ფედერაციული
ფეოდ. – ფეოდალური
ფ-კა – ფაბრიკა
ქ. – ქალაქი (სახელწოდებასთან)
ქართ. – ქართული
ქართვ. – ქართველი
ქ-ნა – ქარხანა
ქრისტ. – ქრისტიანული
ქრონოლ. – ქრონოლოგიური
ყოფ. – ყოფილი
ჩრდ. – ჩრდილოეთი, ჩრდილო (მსაზღვრელად)
ჩრდ.-აღმ. – ჩრდილო-აღმოსავლეთი (მსაზღვრელად)
ჩრდ.-დას. – ჩრდილო-დასავლეთი (მსაზღვრელად)
ც. – ცალი
ცენტრ. – ცენტრალური
ძ. – ძეგლი
ძვ. – ძველი
ძვ. წ. – ძველი წელთაღრიცხვით (თარიღთან)
წ., წწ. – წელი, წლები (თარიღთან)
წლ. – წლიური
წმ. – წმინდა (სახელთან)
წყალსაც. – წყალსაცავი (სახელწოდებასთან)
ხალხ. – ხალხური
ხელმძღვ. – ხელმძღვანელი
ხელოვნ. – ხელოვნების
ჰორიზ. – ჰორიზონტალური

ᲡᲘᲓᲘᲓᲔᲗᲐ ᲔᲠᲗᲔᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲙᲚᲔᲑᲔᲑᲘ

კვ კმ – კვადრატული კილომეტრი
კვ მ – კვადრატული მეტრი
კმ – კილომეტრი
კუბ მ – კუბური მეტრი
მ – მეტრი
სმ – სანტიმეტრი
ჰა – ჰექტარი

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲛᲝᲙᲚᲔᲑᲔᲑᲘ

აკც – არქეოლოგიური კვლევის ცენტრი ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტისა; 1977 წ-იდან დამოუკიდებელი დაწესებულება, 2003 წ-იდან – ო. ლორთქიფანიძის სახ. არქეოლოგიური კვლევის ცენტრი; 2006 წ-იდან – საქართველოს ეროვნული მუზეუმის ო. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის კვლევის ცენტრი

ენიმკი – აკად. ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი

იაე ინ-ტი – ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, 1977 წ-იდან ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი; 2006 წ-იდან – ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

იკბძ დაცვისა და გამოყენების მთ. სამმ. – საქართვ. ისტორიის, კულტურის და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველო; 2000-იდან – საქართვ. ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი

საერთაშ. საქველმოქმედო ფონდი „ქართუ“ – საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ქართუ“

საქართვ. ეროვნ. მუზეუმი – საქართველოს ეროვნული მუზეუმი

საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. სახლი – საქართველოს ეროვნული მუზეუმის გურჯაანის ისტორიულ-ეთნოგრაფიული სახლი

საქართვ. ისტ. ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდი – საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდი

საქართვ. კულტ. მემკვიდრეობის დაცვის ეროვნ. სააგენტო – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნო – სპეციალური სამეცნიერო-სარესტავრაციო საწარმოო სახელოსნო; 1990 წ-იდან – ინსტიტუტი "საქრესტავრაცია"; 1997 წ-იდან ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის რესტავრაციის ცენტრი

ქხი ინ-ტი – გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი: 2006-იდან – გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი

საძიებლები

პ ი რ თ ა

ა

აარონი, წმინდანი – 427*
აბას I, იხ. შაჰ-აბას I
აბასიანი ხალიფები – 414
აბაღა, ილხანთა ყაენი, XIII ს. – 21
აბაშიძეები, ფეოდ. საგვარეულო კახეთში – 143
აბაშიძე ვახო, მსახიობი – 339
აბაშიძე იოანე, კახთ აბაშიძე, ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური და სახოგადო მოღვაწე, კრწანისის ომის გმირი, XVII ს-ის II ნახევარი. რომორც კახეთის მკვიდრს უწოდებდნენ კახთ აბაშიძეს – 114
აბდია, წინასწარმეტყველი – 375
აბიბოს ნეკრესელი, ასურელი მამა, წმ. მღვდელმოწამე, VI ს. – 18, 416, 417
აბრამიშვილი შ., რესტავრატორი – 429, 433
აბათოშვილები, თავადები, ჯანნაძეების განაყოფები – 57
ადარნასე პატრიკი, პერეთის მთავარი – 353
ავალიშვილები, ფეოდ. საგვარეულო საქართველოში. კახეთში დამკვიდრდნენ XVII ს-ში – 227
ავბიორბი, გიორგი II, კახეთის მეფე 1511-1513 წწ. – 23
აკერკი, აგრონომი, სოფ. კარდანახში დიმიტრი აფხაზის სახახლის ბაღის გამშენებელი – 172
ამირანაშვილი ა., მწერალი – 339
ანანიაშვილი ალ., ეთნოგრაფი – 339
ანანური, ციხე-ქალაქი, XVI ს. – 19
ანდრონიკაშვილები, თავადები, ჯანნაძეების განაყოფები – 57
ანდრონიკაშვილები, უნდრონიკაშვილები, თავადთა საგვარეულო კახეთში – 50, 52, 57, 90, 143, 163, 175, 179, 183, 192, 193, 198, 199, 203, 213, 215
ანდრონიკაშვილები (უნდრონიკაშვილები) ალექსანდრე და პაატა, მამა-შვილი, სოფ. ვაჩნაძიანში სახახლის ამგებნი – 62
ანდრონიკაშვილი აბელ, კახეთის სამეფოს პოლიტ. და სამხ. მოღვაწე, მეფე გიორგი XII-ის მინბაში – 38, 203
ანდრონიკაშვილი ივანე მალხაზის ძე, კავალერიის გენერალ-მაიორი – 52
ანდრონიკე, იოანე ბაგრატიონის მიხედვით ანდრონიკაშვილების წინაპარი – 199
ანტონ მარტყოფელი, ასურელი მამა, VI ს. – 18
ანტონ II, კათალიკოსი, ერისკაცობაში თეიმურაზ ბაგრატიონი, ერეკლე II-ის ვაჟი – 53, 104, 145, 250
არიშიანების საგვარეულო, პერი დიდებულები – 405
არშაკ მორჩანის ძე, ქართლის მეფე, ძვ. წ. I ს-ის დასასრული – 416
არჩილი, ქართლის ერისმთავარი, VIII ს. – 19
არჩილ II, კახეთის მეფე 1664-1675 წწ. – 25, 39, 363
ალექსი-მესხიშვილი ლ., არქიტექტორი – 339
ალხაზაშვილი ნ., არქიტექტორი – 213
ამბაკუმი, წინასწარმეტყველი – 375
ამბროსი ნეკრესელი, ერისკაცობაში მიქაძე, XVIII ს-ის მე-2 ნახ. და XIX ს-ის დამდეგის საეკლესიო მოღვაწე – 450
ამილახვარი იე., სოფ. ახალსოფლის ღვთისმშობლის ეკლესიის განმაახლებელი – 360
ამილახვრები, თავადთა საგვარეულო ქართლის სამეფოში, საამილახვროს მფლობელები – 163
ამილბარი, სახლთუხუცესი – 145
ამინი, ხალიფა, IX ს. – 414
ამირანაშვილი შ., მეცნიერი, ხელოვნებათმცოდნე – 369
ანა დედოფალი, კახეთის მეფის ალექსანდრე I-ის მეუღლე, XV ს. – 363, 467
ანანია წინასწარმეტყველი – 375
ანდრიაშვილი აკაკი, კომპოზიტორი, ფოლკლორისტი – 354
ანდრონიკაშვილები, უნდრონიკაშვილები, თავადთა საგვარეულო კახეთში – 50, 52, 57, 90, 143, 163, 175, 179, 183, 192, 193, 198, 199, 203, 213, 215
ანდრონიკაშვილები (უნდრონიკაშვილები) ალექსანდრე და პაატა, მამა-შვილი, სოფ. ვაჩნაძიანში სახახლის ამგებნი – 62
ანდრონიკაშვილი აბელ, კახეთის სამეფოს პოლიტ. და სამხ. მოღვაწე, მეფე გიორგი XII-ის მინბაში – 38, 203
ანდრონიკაშვილი ივანე მალხაზის ძე, კავალერიის გენერალ-მაიორი – 52
ანდრონიკე, იოანე ბაგრატიონის მიხედვით ანდრონიკაშვილების წინაპარი – 199
ანტონ მარტყოფელი, ასურელი მამა, VI ს. – 18
ანტონ II, კათალიკოსი, ერისკაცობაში თეიმურაზ ბაგრატიონი, ერეკლე II-ის ვაჟი – 53, 104, 145, 250
არიშიანების საგვარეულო, პერი დიდებულები – 405
არშაკ მორჩანის ძე, ქართლის მეფე, ძვ. წ. I ს-ის დასასრული – 416
არჩილი, ქართლის ერისმთავარი, VIII ს. – 19
არჩილ II, კახეთის მეფე 1664-1675 წწ. – 25, 39, 363
ასაბაშვილები გიორგი და მიქელ-მონ, სოფ. შილდის ღვთაების ეკლესიის ამგებნი – 462
ასაბაშვილი ლევან, დედას ლეჟანა, სახალხო არმიის მეთაური – 450
ასამი, ქართლის პირველი ერისმთავრის გუარამ ბაგრატიონის ძმა – 265
ასლანიშვილი ელ., ანთროპოლოგი – 157
ასურელი მამები, სირიიდან ნამოსული საეკლესიო მოღვაწეთა ჯგუფი, VI ს. – 18
ასურაბერი, ქართლის მეფე III ს-ის I ნახევარში, ფარნავაზიანთა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი, უჯარმის ციხე-ქალაქის ამშენებელი – 18
აფხაზთა საგვარეულო, მომდინარეობს გვარიდან – აფხაზი – 172
აფხაზი ალექსანდრე სვიმონის ძე – სოფ. ახალსოფლის დამაარსებელი – 354
აფხაზი, აფხაზეთიდან კახეთში გადმოსახლებული საგვარეულო – 57
აფხაზი დიმიტრი – სოფ. კარდანახში სახახლის მფლობელი – 41, 172
აფხაზი კონსტანტინე (კოტე), ხაზ. პოლიტ. და სამხ. მოღვაწე – 163, 172, 173
აფხაზი ნიკოლოზ, კარდანახის სახახლის უკანასკნელი მფლობელი – 172
აფხაზიშვილები – 163, 219
აღა-მაჰმად-ხანი, ირანის შაჰი XVIII ს. – 27
აღმაშენებელი დავით, იხ. დავით აღმაშენებელი
ალნაშვილი ლადო, ხაზ. მოღვაწე, პედაგოგი – 450, 452
ალსართან I, კახეთ-პერეთის მეფე, XI ს. – 266
ალსართან II, კახეთ-პერეთის სამეფოს უკანასკნელი მეფე, XII ს. – 20
ახვლედიანი ე., მხატვარი – 338

ბ

ბაბაშვილები, სოფ. ახალსოფლის მცხოვრებნი – 354, 358
ბაბრატიონთა დინასტია, საქართველოს სამეფო დინასტია IX ს. – 1801 წ. – 28
ბაბრატ III, გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს პირველი მეფე – 975–1014 წწ. – 20

* ყველგან მითითებულია გვერდი, სადაც ნახსენებია პიროვნება

ბაბრატ IV, ერთიანი საქართველოს მეფე 1027–1072 წწ. – 20
ბაბრატ მუხრანბატონი, ქართლის სამეფოს პოლიტ. მოღვაწე XVI ს. I ნახ-ში, ბაგრატიონთა მუხრანბატონების შტოს და სათავადოს ფუძემდებელი – 20
ბაკურაძე კ., მოქანდაკე – 263
ბაკურაძე ნ., არქიტექტორი – 364
ბარათაშვილები, ფეოდალური საგვარეულო XV-XIX სს. საქართველოში – 163
ბარბაძაძეები, სოფ. ჭერემში კოზმანის სალოცავის მლოცველები – 235
ბარუძი, წინასწარმეტყველი – 375
ბარძიმაშვილი გ., სოფ. გრემის მკვიდრი – 391
ბატონიშვილი გრიგოლ იოანეს ძე – 227
ბაწელაშვილი ს., სოფ. საბუის მკვიდრი – 436
ბახტაძე ნ., არქეოლოგი – 341, 343, 417, 424, 425, 433
ბებურიშვილები, თავადები, ეჭნაძეების განაყოფები – 57, 163
ბეითელმანი, სოფ. კალაურის მკვიდრი (ნაპირელის ქალიშვილი) – 104
ბენაშვილები, სოფ ზემო მაჩხაანის მცხოვრებნი – 278
ბერიტაშვილი ივ., მეცნიერი, ფიზიოლოგიის სკოლის ფუძემდებელი საქართველოში – 47
ბერიძე თ., არქიტექტორი – 433
ბერი ხორნაბუჯელი, კამბეჩოვანის ერისთავი, XIII ს-ის 40-50-იან წწ. – 267
ბერძა, ოქროს ურდოს ყაენი – 21, 250, 267, 316
ბერძენიშვილი მ., მოქანდაკე – 51
ბიბილაშვილი ნ., მხატვარი – 48
ბიძინაშვილი ზ., სოფ. მელაანის მცხოვრები – 185
ბოდბელი ეპისკოპოსი – 57, 143, 163, 199, 219
ბოდბელი მიტროპოლიტი – 143, 183, 203
ბოსტაშვილები, სოფ. ზემო მაჩხაანის მცხოვრებნი – 278
ბოტცენბეკერი ი., გერმანელი არქეოლოგი – 294
ბოგობიძე მ., რესტავრატორი – 62
ბოგორიშვილი, სოფ. ბალდოყიანის მცხოვრები – 361
ბუბიანიშვილი თ., არქეოლოგი – 52, 103, 141, 143, 223, 241, 253, 312, 320, 324
ბურდულები, სოფ. ზემო ქედის მცხოვრებნი — 289
ბუჯიაშვილი ლ., ქ. ყვარლის მცხოვრები – 336

გ

გაბრიელ მთაწმიდელი – 369, 373, 375, 427
გაბრიძე დ., რესტავრატორი – 429, 434
გაბრიძე ი., არქეოლოგი – 314
გაერთიანებული საქართველოს მეფეები – 20
განძის ამირა – 353
გარდაბოსი, ქართველთა ეთნარქის ქართლოსის ძე – 8
გაუხარაშვილი, კარდანახელი გლეხი – ი. ჭავჭავაძის ლიტერატურული გმირის – კაკო ყაჩაღის პროტოტიპი – 172
გაფრინდაული ზეზვა, თუშების მეთაური ბახტრიონის აჯანყების (1660 წ) დროს – 25
გაჩიოსი, ქართველთა ეთნარქის ქართლოსის ძე – 8
გედეონი, წინასწარმეტყველი – 375
გელაშვილი მ., არქიტექტორ-რესტავრატორი – 213, 364, 424, 433
გვერდწითელი რ., არქიტექტორ-რესტავრატორი – 168, 169, 172, 246
გიორგი, ალქსანდრე II-ის უმცროსი ვაჟი – 24
გიორგი, კახეთის მეფის დავით I-ის ძმა – 267
გიორგი I, საქართველოს მეფე 1014-1027 წწ. – 20
გიორგი I, ქართლში გიორგი VIII, კახეთის ბაგრატიონთა დინასტიის ფუძემდებელი, კახეთის მეფე 1466-76 წწ. – 21, 22, 23, 46, 363, 378
გიორგი II, ალექსიორგი, კახეთის მეფე 1511-13 წწ. – 23
გიორგი II, საქართველოს მეფე 1072-1089 წწ. – 122, 353
გიორგი III, საქართველოს მეფე 1156-1184 წწ. – 115, 353
გიორგი IV ლაშა, საქართველოს მეფე 1213-1223 წწ. – 42, 107, 303
გიორგი V ბრწყინვალე, საქართველოს მეფე 1314-46 წწ. – 21
გიორგი XII, ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე, 1798-1800 წწ. ლიტ-ში ზოგჯერ გიორგი XIII-ის სახელითაც იხსენიება – 27, 203
გიორგი რუსი, იური ბოგოლუბსკი, თამარ მეფის პირველი ქმარი – 267
გიორგობიანი კ., არქიტექტორი – 213
გიულდენშტედტი ი., გერმანელი მეცნიერი, მოგზაური – 241, 330
გოგიტაშვილები, სოფ. ფსოფელის სათავადო სახლის წარმომადგენლები – 199
გოგოლაური, ბახტრიონის აჯანყების გმირი, ფშაველთა რაზმის მეთაური – 25
გოგოხურები, სოფ. გამარჯვების მცხოვრებნი – 271
გოდერძი, შტორის (ტურის) ერისთავი – 467, 468
გორგასალი ჯახტანგ, იხ. ვახტანგ გორგასალი
გრიგოლ კახეთის მთავარი – 19
გრიგოლ ხურამელი, ქართლის ერისთავი – 353
გრიგოლ ჰერეთის ერისთავი – 18
გუარამი (გვარამი), ქართლის პირველი ერისმთავარი – 265
გუგელიშვილი გიორგი, სახულიერო პირი – 269
გუგულაშვილი ა., მუკუზნელი ქველმოქმედი – 193
გულიაშვილი ლ.,მხატვარი – 298, 338, 351
გულოშვილი, სოფ. გავაზის მცხოვრები – 361
გურგენ მეფე, ქართლის მეფე VI ს-ის 20-იან წლებში – 19
გურული კობა, მხატვარი – 298, 351

დ

დავითაშვილი კ., სოფ. ახალსოფლის მცხოვრები – 355
დავით აღმაშენებელი, ერთიანი საქართველოს მეფე 1089-1125 წწ. – 20, 36
დავით გარეჯელი, ერთ-ერთი ასურელი მამა, VI ს. – 18
დავითი, კახეთის მთავარი 1465–66 წწ. – 21
დავით I, კახეთის მეფე 1601-02 წწ. – 267, 363
დავით II (იმამყული-ხანი), კახეთის მეფე 1703-22, ერეკლე I-ის ძე – 25, 143, 163, 450
დავით VII (ულუ), საქართველოს მეფე 1247-70 წწ. – 21, 107, 267
დავით X, ქართლის მეფე 1505-25 წწ. – 23
დავით სოსლანი, თამარ მეფის მეორე ქმარი, ქართველთა ლაშქრის მთავარსარდალი ყველა დიდ ბრძოლაში – 115
დანიელ წინასწარმეტყველი – 304, 373, 375

დანიელი, წინასწარმეტყველი – 303, 375
დარბაშაშვილი ბ., მხატვარი – 48
დაუდხან უნდილაძე, განჯა-ყარაბაღის ბეგლარბეგი 1628-33 წწ. – 25
დაჩი უჯარმელი, ქართლის მეფე VI ს-ის დამდეგს, ვახტანგ გორგასლის ძე – 18, 265, 416
დე ბლიახი, არქიტექტორი – 103
დედაბრიშვილი შ., არქეოლოგი – 177, 276, 281, 390
დემეტრე, ერისთავი კახეთისა და კუხეთისა – 18
დემეტრე II, თავდადებული, საქართველოს მეფე 1271-89 წწ. – 43
დვალი თ., არქიტექტორი – 213
დიმიტრი, კახთა მეფის ალექსანდრე I-ის შვილი – 23
დიშმა ალექსანდრე (შამა) ფრანგი მწერალი – 313, 325
დიღაშვილი სოლომონ, ქართველი განმანათლებელი, ფილოსოფოს-ლოგიკოსი – 28
დოშენტი, ქართლის კათალიკოსი, 1660-1676 წწ. – 250
დოსითეოს ნაკრესელი, ნეკრესის ეპისკოპოსი – 53
დუშანაონები, მონღოლური სამხ.-ადმ. ერთეულის - დუმნის მმართველები – 21

ე

ებარსლან ბაკურციხელი, პოლიტ. მოღვაწე XIII ს-ში – 21
ებრის-აფხაზეთის მეფეები – 20
ეზეკიელი, წინასწარმეტყველი – 375
ელია წინასწარმეტყველი – 303, 375
ელიზბარ ძნის ერისთავი, ბახტრიონის აჯანყების (1660 წ.) ერთ-ერთი მეთაური – 25
ელისე წინასწარმეტყველი – 303, 313, 375
ენდრონიკაშვილები, ანდრონიკაშვილები, ენდრონიკაანი, კახეთის თავადები – 62, 121
ენოქი, წინასწარმეტყველი – 375
ერასტოშვილები, საგვარეულო, ანდრონიკაშვილების განაყოფები – 143, 175, 215
ერეკლე I, ქართლის მეფე 1688-1703 წწ. კახეთის მეფე (ნაზარალი ხანი) 1703-1709 წწ. – 25
ერეკლე II, კახეთის მეფე 1744-1762 წწ., ქართლ-კახეთის მეფე 1762-1798 წწ. – 26, 27, 57, 90, 104, 133, 143, 145, 179, 183, 192, 219, 227, 314, 318, 330, 346, 363, 436
ერისთავი მიხეილ, სამხ. პირი XIX ს. – 450
ერისთავი რაფიელ, მწერალი, საზ. მოღვაწე – 436
ესაია წინასწარმეტყველი – 304
ეფთიმე, გარეჯის მონასტრის წინამძღვარი – 38

ვ

ვარაზაშვილი ვ., არქეოლოგი – 176, 253, 270, 271, 275, 308, 321, 323
ვარაზვარდი, კამბეჩოვანის მთავარი VI ს-ის II ნახ-ში – 265
ვაჟა-ფშაველა, ქართველი პოეტი – 260, 289
ვარაპრან II, ირანის შაჰი III ს. – 434
ვახე ბურგენის ძე, ხორნაბუჯის ერისთავი – 266
ვახნაძე ახათ, მეფე გიორგი VIII-ის მელვინეთუხუცესი – 210
ვახნაძეები, კახეთის თავადთა საგვარეულო – 57, 90, 145, 163, 179, 180, 219
ვაჩნაძე ნატო, კინომსახიობი – 47, 62
ვახვახიშვილები, კახეთის ფეოდალები – 450, 455, 469
ვახტანგ ბორგასალი, ვახტანგ I, ქართლის მეფე დაახლ. V ს-ის 40-იანი წწ.- 502 წ. –18, 237, 238, 240, 241, 265, 268, 416
ვახტანგ V, შაჰნავაზი, ქართლის მეფე 1658-75 წწ. – 25
ვახტანგ VI, ქართლის მეფე 1716-1724 წწ. – 163
ვახუშტი ბატონიშვილი (ბაგრატიონი), გეოგრაფი, ისტორიკოსი, კარტოგრაფი – 23, 57, 90, 121, 163, 237, 306, 316, 416, 467

ზ

ზაალ არაბეს ერისთავი, XVIII ს. – 25
ზაალი, სოფ. ჯიმითის მოურავი – 250
ზაქარაია პ., არქიტექტორი – 363, 389
ზაქარია, წინასწარმეტყველი – 375
ზენონ იქალთოელი, ერთ-ერთი ასურელი მამა, VI ს. – 18
ზუზაძე დ., არქიტექტორი – 252, 257
ზურაბიშვილები, თავადთა საგვარეულო – 57, 143, 199, 205, 227

თ

თაბორი, კათალიკოსი 1744-64 წწ.) – 416
თამარ მეფე, ერთიანი საქართველოს მეფე 1184-1213 წწ. – 42, 115, 263, 298, 303, 450
თარგამოსი, კავკასიის ხალხთა ეთნარქი – 316
თარღუს შამხალი – 346
თბილისის ამირა – 353
თევდორე სტრატილატი – 374
თევდორე ტირონი – 374
თეიმურაზ დავითის ძე – 24
თეიმურაზ I, კახეთის მეფე 1606-1648 წწ. ქართლ-კახეთის მეფე 1625-1682 წწ. – 24, 25, 163, 191, 267, 354, 363, 364
თეიმურაზ II, კახეთის მეფე 1709-1715 წწ., კახეთის გამგებელი 1733-1744 წწ., ქართლის მეფე 1744-1762 წწ. – 26, 48, 74, 145, 183, 192, 198, 203, 227, 241, 250, 330, 346, 417
თემურ ლენგი, შუა აზიელი მხედართმთავარი, 8-ჯერ ილაშქრა საქართველოში – 21, 36, 250, 405, 416
თინათინ დედოფალი, ლევან ალექსანდრეს ძის მეულლე – 363, 398
თომა, მოციქული – 373, 428
თორთლაძე ო., არქიტექტორი – 307, 433, 453
თორღვა, ჰანკის ერისთავი, XIIIს. – 21, 267
თოფაძე გ., ბიზნესმენი – 228
თრდატი, მეფე, IV ს. – 416, 417, 422
თუმანიშვილი დიმიტრი, მდივან-მწიგნობარი – 104
თუმოვი სანდრო, მოხსენიებულია ახაშენის სვეტიცხოველის ეკლესიის მხედრულ წარწერაში – 56

ი

იაკობი, წინასწარმეტყველი – 375
იანჭოშვილი ნ., მხატვარი – 298
იასე, სოფ. ჯიმითის იასაული – 250
ივანე IV მრისხანე, რუსეთის პირველი მეფე – 23
ილია, წინასწარმეტყველი – 313
იმამყული-ხანი, იხ. დავით II
ინანაშვილი ხ., კალატოზი – 103
ინგოროყვა პ., მეცნიერი, ლიტერატურათმცოდნე – 316

იოანე, არჩილ ერისმთავრის შვილი, VIII ს. – 19
იოანე ბატონიშვილი, ბაგრატიონი, სახელმწ. მოღვაწე, მეცნიერ-ენციკლოპედისტი, 1718-1730 წწ. – 74, 90, 163, 199, 219, 346
იოანე ზედაზნელი, ერთ-ერთი ასურელი მამა, VI ს. – 30
იოანე ღვთისმეტყველი – 375
იობი, წინასწარმეტყველი – 374
იონა, წინასწარმეტყველი – 303
იოსებ ალავერდელი, ერთ-ერთი ასურელი მამა, VI ს. – 18
იოსელიანი პ., ისტორიკოსი, XIX ს. – 203
ირაკლი, ბიზანტიის იმპერატორი – 308
ირაკლი-კონსტანტინე, ბიზანტიის იმპერატორის ირაკლის ძე – 308
ირაკლიონი – ბიზანტიის იმპერატორის ირაკლის ძე – 308
ისაკ თოლობელის ძე, მეხხი აზნაური – 266
ისკანდერ მუნში, ირანელი ისტორიკოსი – 265
იუდა – 305, 428
იულონ ერეკლეს ძე, ქართლ-კახეთის სამეფო ტახტის პრეტენდენტი – 23

კ

კაკაბაძე ს., ისტორიკოსი, ფილოლოგი – 316
კაკის სულთანი – 346
კალანდაძე, ბიზნესმენი – 60
კალმახელიძე გ., არქიტექტორი – 172
კახეთის დედოფალი – 107
კახელი დიდებულები – 192
კახთ აბაშიძე, იხ. აბაშიძე იოანე
კახიძე მედეა, პოეტი – 354
კახოსი, ქართველთა ეთნარქის ქართლოსის ძე – 8
კვირიკე I, კახეთის მთავარი (ქორეპისკოპოსი), 892-918 წწ. – 122, 353, 405
კვირიკე III, კახთა და რანთა (ჰერეთის) მეფე, 1010-1037 წწ. – 20
კვირიკე IV, კახეთ-ჰერეთის მეფე, 1084-1102 წწ. – 20
კიკაბიძე გ., მოქანდაკე – 51
კიკნაძე თ., მოქანდაკე – 263
კილაძე ჟ., მოქანდაკე – 263
კოლონკელისძენი, იხ. მახატლისძენი – 266
კონსტანტინე III, „აფხაზთა სამეფოს" (დას. საქართველოს) მეფე, 893-922 წწ. – 122
კონსტანტინე, კახეთის მეფე, 1605წ. – 24, 363, 374
კონჯოშვილი რ., სოფ. საბუის მკვიდრი – 436
კონჯოშვილი პეტრე, ალავერდის ეპისკოპოსი – 436
კოსტანტი, აფხაზთა მეფე – 405
კოტეტიშვილი გ., არქეოლოგი – 364
კუხოსი, ქართველთა ეთნარქის ქართლოსის ძე – 8

ლ

ლაისტი არტურ, გერმანელი მწერალი, პუბლიცისტი, მთარგმნელი – 173
ლაშა გიორგი, იხ. გიორგი IV ლაშა
ლევან ბატონიშვილი, ერეკლეს ძე, ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტ. მოღვაწე, 1756-1781 წწ – 122
ლევანი, კახეთის მეფე, 1520-1574 წწ. – 23, 38, 250, 369, 426, 428
ლეკიშვილები, სოფ. კალაურის მცხოვრებნი – 104
ლეონ აღმშენებელი, კახეთის მეფე – 374
ლეონტი მროველი, საეკლესიო მოღვაწე, რუისის ეპისკოპოსი, XI ს. – 8, 16, 18, 416
ლერმონტოვი მ., რუსი პოეტი – 325
ლიპარიტი, კლდეკარის ერისთავი, XI ს. – 20
ლობაური ქეთევან, სოფ. შილდის მცხოვრები – 393
ლომიძე ა., არქიტექტორი – 363
ლომიძე ვ., ახალსოფლის მცხოვრები – 359
ლომოური ივანე – სოფ. შილდის ღვთაების ეკლესიის ერთ-ერთი ამგები – 462
ლუარსაბ I, ქართლის მეფე 1534–1556 წწ. – 191, 192
ლუკიანე, საეკლესიო მოღვაწე, წმ. დავით გარეჯელის მოწაფე – 36

მ

მადინათ ას-სალამი – 414
მათარსა, ალექსანდრე II-ის კარის მდივანი – 367
მათე, მახარებელი – 375
მაისურაძე ბ., არქეოლოგი – 271, 292, 294, 312, 319, 320, 322, 400, 461
მაისურაძე გ., პედაგოგი – 47, 103
მალიქშაჰი, სულთანი XI ს. –122
მამაიაშვილი ნ., არქეოლოგი – 237, 247
მამა მიქაელი, სოფ. გურჯაანის მთავარანგელოზის ეკლესიის წინამძღვარი, და მოხატველი 2005-06 წწ-ში – 64
მამა ნიკოლოზ [illegible] სასულიერო პირი – 314
მამარდაშვილები, სოფ. ვაზისუბნის მცხოვრებნი – 76
მამუკიშვილი ლ., სოფ. შილდის მკვიდრი – 462
მამულაშვილი ა., არქეოლოგი – 363
მამუკაშვილები, ფეოდალთა საგვარეულო – 74, 192
მარზაპანი, სასანიანთა ირანის უმაღლესი მოხელე დაპყრობილ ქვეყნებში – 416
მარიამი, ნიკო ფიროსმანაშვილის უფროსი და – 298
მარკოზი, მახარებელი – 375
მარტყოფის მონასტერი – 199
მარჯანიშვილი ალექსანდრე ანდრიას ძე, კ. მარჯანიშვილის მამა – 337
მარჯანიშვილი ვლადიმერ, კ. მარჯანიშვილის ძმა – 338
მარჯანიშვილი თამარ, დედა თამარი, იუვენალია (იუბენალია), სასულიერო პირი, კ. მარჯანიშვილის და – 337
მარჯანიშვილი კოტე, რეჟისორი – 329, 330, 337, 338
მარჯანიშვილი ნინო, კ. მარჯანიშვილის და – 337
მარჯანიშვილი სოფიო, კოტე მარჯანიშვილის და – 337
მაღალაშვილები, საგარეჯოს მოურავეთაგანნი – 250
მაღალაშვილი ნ., არქეოლოგი – 246
მაღალაშვილი ქ., მხატვარი – 298, 351
მაღლაძე ამილბარ, სოფ. ჯიმითში სვეტიცხოვლის ტაძრის კუთვნილი მამულების სახლთუხუცესი – 53, 250
მაყაშვილი იოანე, ბოდბელი მიტროპოლიტი – 43
მაჩაბელი ივანე, მთარგმნელი, საზ. მოღვაწე – 339
მაცხოვარი – 371
მახარაძე ზ., არქეოლოგი – 292
მახატლისძენი, კოლონკელისძენი, ხორნაბუჯელი, ფეოდალთა საგვარეულო XI-XIII სს-ში, კამბეჩოვანის ცენტრის – ხორნაბუჯის პატრონები, ერისთავები – 266, 267, 306
მახატლისძე სადირა, ხორნაბუჯის ერისთავი – 267

მენელსაცხებლე დედანი – 375, 428
მენთეშაშვილი იოსებ, მხარეთმცოდნე, პედაგოგი – 307
მერკვილაძე გიორგი, სპორტის დამსახურებული მოღვაწე – 450
მესვეტე – 305, 372, 373
მესტუმრე ჯიქური, მოხელე დაყით ულუს კარზე – 267
მესხი ნ., ინჟინერ-კონსტრუქტორი – 213
მეუფე დავითი, ბოდბელი ეპისკოპოსი – 314
მეფისნაცვალი – 263
მეხრეშვილები, უსანეთის ეკლესიის ამგები საგვარეულო – 309
მთავარანგელოზები – 356, 370, 374, 375
მთავარანგელოზი – 125, 303, 306, 428
მთვარელიშვილი ვ., სოფ. ვაზისუბნის მცხოვრები – 86
მიზანაშვილები, სოფ. ახაშენის მცხოვრებნი – 56
მითრა, ინდოირანული ღვთაება – 422, 425, 434
მინდორაშვილი ნ., არქიტექტორ-რესტავრატორი – 48, 49, 59, 63, 64, 88, 107, 109, 183, 218, 230, 232, 416, 434
მირვანოზი, მირიან მეფის მამამძუძე – 416
მირიანი, ქართლის პირველი ქრისტიანი მეფე, IV ს. – 18, 416
მიტიანაშვილი იოანე, დეკანოზი, სოფ. ველისციხეში წმ. მარიამის ეკლესიის აღმდგენელ-გამამშვენიერებელი 1889-90 წწ-ში – 113
მიტროპოლიტი სერგი (ნეკურიშვილი), ნეკრესის და პერეთის ეპარქიების მმართველი – 417
მიქელ მთავარანგელოზი – 302, 369, 373, 375, 427
მკრტჩ ზაქარიას ძე, მეფე ალექსანდრე II-ის კარის მდივანი – 367
მოსე, წინასწარმეტყველი – 427
მოსულიშვილი ი., არქიტექტორი – 51, 86, 92, 103, 115, 121, 129, 139, 165, 198, 215
მოურავისშვილი პაატას მეუღლე – 199
მოურავიშვილები, თავად ანდრონიკაშვილების განაყოფები – 163, 183, 199, 203
მოციქულები – 304, 305
მოციქული – 303
მოწოდლიძე, სოფ. ჯიმითში საგლეხო ახალშენის მფლობელი – 250
მშრვან-ქრუ, ომაიანთა დინასტიიდან უკანასკნელი ხალიფა, 734-744 წწ-ში ომაიანთა ნაცვალი ამიერკავკასიაში – 316
მუსხელიშვილი დ., ისტორიკოსი – 467
მღვდელმთავარი ნიკოლოზი – 369
მცხეთოსი, ქართველთა ეთნარქი – 8
მჭედლიშვილი ვ., არქიტექტორი – 263

ნ

ნადირ-შაჰი, ირანის შაჰი, XVIII ს. – 26
ნადირაშვილები, სოფ. საბუის მესაკუთრენი – 436
ნაზარალი-ხანი, ერეკლე I, კახეთის მეფე 1703-1709 წწ. – 250
ნაზარიშვილები, ფეოდალთა საგვარეულო – 74, 192
ნათანაელი, წინასწარმეტყველი – 375
ნაპირელი, სოფ. კალაურის მკვიდრი – 104
ნაპირელი ალ., კალაურის მკვიდრი – 145
ნაუმი, წინასწარმეტყველი – 375
ნახუცრიშვილი კ., არქიტექტორი – 352
ნეკრესელი, მღვდელმთავარი – 417
ნემსაძე თ., არქიტექტორი – 121, 343, 351
ნეჩველოდოვები – 325
ნეჩველოდოვი გ., ნიქეგოროდის დრაგუნთა პოლკის ოფიცერი – 325
ნიკოლაძე გ., არქიტექტორი – 347, 351, 453, 360
ნიკოლოზ ალავერდელი – 250, 369
ნიკოლოზ II, რუსეთის უკანასკნელი იმპერატორი, 1894-1917 – 260
ნინოწმინდელი ეპისკოპოსი – 74, 145, 227
ნიორაძე გ., არქეოლოგი – 270
ნინოშვილი ი., პოეტი, XX ს. – 47
ნუხსალბები, ხუნძახის ბატონი, XVIII ს. – 26, 346
ნუხის ხანი – 346

ო

ომარ ხანი ავარიელი – 27, 192
ონანაშვილები, თავად ვაჩნაძეების განაყოფები – 163, 219
ორბელაძე ვ., არქიტექტორი – 434
ორბელიანი გრიგოლ, პოეტი, ხან. მოღვაწე – 263
ორბელიანი დიმიტრი, გენერალი – 436, 450
ოსე, წინასწარმეტყველი – 375
ოცხელი პ., მხატვარი – 338

პ

პაპლე მოციქული – 373
პაულუსი, მთავარმართებელი, XIX ს. – 227
პეტრე მოციქული – 305, 372, 373
პიკასო პაბლო, მხატვარი – 298
პილატე, ბიბლიური პერსონაჟი – 305
პროკოპი, წმ. მეომარი – 374
პროტოსვინგელოზი სალოცავი – 369
პუშკინი ა., რუსი პოეტი – 325

ჟ

ჟამთააღმწერელი, XIV ს-ის ანონიმი ქართველი ისტორიკოსი – 107

რ

რამიშვილი დ., არქიტექტორი – 252, 257
რამიშვილი რ., არქეოლოგი – 268
რატიანი ზ., ისტორიკოსი – 250
რევი მირიანის ძე, კახეთისა და კუხეთის მმართველი – 18, 434
რომაელი ლეგიონერი – 17
როსტომ ხანი, ქართლ-კახეთის მეფე 1648-56 წწ. – 25, 354
რომაძიშვილები, ბაკურციხის წინაუბნის მფლობელები – 57
რუსთველი ეპისკოპოსი – 175, 226, 227, 250 363
რუსიშვილები, კახეთის ფეოდალები – 450
რუსუდანი, საქართველოს მეფე, 1222-1245 წწ. – 21
რჩეულიშვილი გ., არქეოლოგი – 92

ს

სააკაძე გიორგი, დიდი მოურავი, პოლიტიკური, სამხ. მოღვაწე, 1580-1629 – 24, 25, 267
საბა, მონასტრის წინამძღვარი – 369, 375
საბა, სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკოგრაფი, დიპლომატი – 175
საბარეჯოს სახლთუხუცესი – 250
სალამური, მთავარანგელოზი – 197

სალომე, ქართლის მეფის რევ მირიანის ძის ცოლი – 18
სამარიტელი დედაკაცი – 125
სამოელ დონაური, ქორეპისკოპოსი – 353
სარაჯიშვილი დავით, საქართველოში კონიაკის წარმოების ფუძემდებელი, 1848-1911 წ. – 41, 59
საფაროვა-აბაშიძე მაკო (მარიამ), მსახიობი – 339, 354
სადრაშვილი რ., სოფ. შილდის მკვიდრი – 470
სელიმ-ხანი – 2
სერაბლი, მთავარანგელოზი – 197
სვეტიცხოვლის წინამძღვარი – 53
სიმენსები ვალტერ და ოტო, ძმები, ფირმა „სიმენსის" დამაარსებლები – 263
სოლომონი, წინასწარმეტყველი – 375
სოსლანი დავით, თამარ მეფის მეორე ქმარი, ქართველთა ლაშქრის სარდალი ყველა დიდ ბრძოლაში – 115
სოფონია, წინასწარმეტყველი – 375
სპანდიარიშვილები, ფეოდალები – 219
სტეფანე, სოფ. საბუის წმ. შიოს ეკლესიის მშენებელი – 443
სტეფანე ხირსელი, ერთ-ერთი ასურელი მამათაგანი VI ს. – 18, 313
სტეფანოზი, ქართლის ერისმთავარი – 416
სულაძეები – სოფ. ვანნაძიანის მცხოვრებლები – 104
სულიწმიდა – 428
სურხაი ხანი, დაღესტნის ხანი – 346

ტ

ტოტლებენი, რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი – 26
ტუსიშვილი საბა, მიტროპოლიტი – 39, 74, 145

უ

უზუნაშვილი მ., არქეოლოგი – 59, 253, 254
უზუნ-ჰასანი, აყ-ყოიუნლუს თურქმანთა სახელმწიფოს გამგებელი, XV ს. – 23

ფ

ფადლონი, განძის ამირა, XI ს. – 266
ფავნელი, ქართლის ფეოდალი – 353
ფარნავაზი, ქართლის (იბერიის) სამეფოს პირველი მეფე და ფარნავაზიანთა დინასტიის დამაარსებელი, ძვ. წ. IV ს. მიწურული III ს. I ნახ. – 18
ფარნავაზიანთა დინასტია, ქართლის (იბერიის) სამეფო დინასტია, ძვ. წ. IV ს. მიწურული – ახ. წ. VI ს. 20-იანი წწ. – 18
ფარნაჯომი, ქართლის (იბერიის) IV მეფე, ძვ. წ. II ს. 70-იანი წლები – 18
ფეიქარ ხანი, კახეთის მმართველი, შაჰის ნაცვალი 1616 წ-იდან – 24, 267
ფიროსმანაშვილი ნიკო, მხატვარი – 262
ფიცხელაური კ., არქეოლოგი – 52, 58, 72, 139, 140, 141, 142, 176, 177, 183, 184, 185, 186, 191, 222, 223, 237, 241, 253, 254, 265, 270, 271, 272, 273, 274, 275, 276, 281, 282, 289, 290, 291, 292, 293, 294, 299, 307, 311, 312, 313, 316, 318, 319, 320, 321, 323, 324
ფოკა, ბიზანტიის იმპერატორი, VII ს. – 73
ფრინველთუხუცესი – 227
ფურტვენგლერი ა., არქეოლოგი – 291, 318
ფურცელაძეები – 119

ქ

ქართლის მეფენი – 19
ქართლოსი, ქართველთა ეთნარქი – 8
ქაჯაია გ., არქიტექტორი – 263
ქეთევან დედოფალი, წმინდანი, თეიმურაზ I-ის დედა – 24, 191, 363
ქიზიყის მოურავები – 57, 219
ქრისტე – 125, 197, 302, 305, 306, 357, 375, 427, 428, 442
ქსნის ერისთავები შალვა და ელიზბარი, ბახტრიონის აჯანყების (1660 წ.) მეთაურები – 25
ქუმსიაშვილები, სოფ. ბაკურციხის მცხოვრებნი – 59
ქურდიანი გ., მოქანდაკე – 48, 263
ქურდიანი ჰ., არქიტექტორი – 48
ქუჩარაშვილი ზ., არქიტექტორ-რესტავრატორი – 80, 240, 249, 331, 442, 447, 472

ღ

ღვთისმშობელი – 125, 303, 304, 356, 370, 371, 373, 374, 375, 427, 428
ღვთისმშობელი ნიკოპეა – 304
ღვინიაშვილი თ., მოქანდაკე – 352

ყ

ყაზბეგი ალექსანდრე – 339
ყაზიყუმუხის ხანი – 346
ყანჩელი ნ., არქიტექტორ-რესტავრატორი – 364, 464
ყარაბუდაღიშვილები, ფეოდალთა საგვარეულო – 183
ყაუხჩიშვილი თ., მეცნიერი – 376
ყაფლანიშვილი ვახტანგ დიმიტრის ძე, მეფე ერეკლეს სიძე, კახეთის 1812 წ. აჯანყების დროს იბრძოდა რუსების მხარეს – 227
ყაფლანიშვილი, საბარათიანოს ჯარის მეთაური 1719 წ. – 163
ყვარყვარე II, სამცხე-საათაბაგოს ათაბაგი 1451-98 წწ. – 21
ყიფიანი გ., არქიტექტორი, არქეოლოგი – 434
ყიფიანი დ., საზ. მოღვაწე – 339
ყურაშვილი აბესალომ, გვირაბმშენებელი – 450

შ

შალვა ქსნის ერისთავი, ბახტრიონის აჯანყების (1660 წ.) ერთ-ერთი მეთაური – 25
შალიკაშვილი სვიმონ, გენერალ-მაიორი – 129
შალიკაშვილი ჯონ (მალხაზ), აშშ-ს არმიის გენერალი – 47, 50
შამხალი – 346
შაჰ-აბას I, ირანის შაჰი XVII ს. – 24, 25, 38, 191, 241, 250, 265, 267, 354, 363, 417
შაჰ ისმაილ I – 23, 287
შაჰ-ნადირი, იხ. ნადირ შაჰი
შაჰნავაზი, იხ. ვახტანგ V
შაჰ სეფი I – 25
შელიავა ნ., არქიტექტორი – 364
შერემეტიევი, გრაფი – 172
შივა, ინდოეთის უზენაესი ღვთაება – 420
შილდელი (მინდიაშვილი) მერი, ქართული საესტრადო ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენელი – 450
შტორის ერისთავი – 467

ჩ

ჩაბალაშვილი ვ., სოფ. საბუის მკვიდრი – 436
ჩახრუხაძე, პოეტი, „თამარიანის" ავტორი – 100
ჩიქაშუა ნ., არქიტექტორი – 139, 194, 230
ჩირინაშვილი გ., მხატვარი – 51

ჩიფაშვილი სარდიონ, სოფ. დარჩეთის მცხოვრები – 73
ჩოლოყაშვილები, ფეოდალები – 250
ჩოლოყაშვილი ბიძინა, ბახტრიონის ავჯანყების ერთ-ერთი მეთაური – 25
ჩოლოყაშვილი ქაიხოსრო (ქაქუცა), 1924 წ. ავჯანყების მეთაური – 28
ჩუბინაშვილი გიორგი, ხელოვნების ისტორიკოსი, ქართული ხელოვნებათმცოდნეობის ფუძემდებელი – 30, 137, 237, 242, 369, 398, 422, 425
ჩუბინაშვილი ნ., ხელოვნების ისტორიკოსი – 240, 246
ჩუბინიძე ისიდორე, მეჭვევრე ხელოსანი – 145
ჩუმლაყელები – 227

ც

ცაბარჭილი ალექსანდრე, მეცნიერი, ფილოლოგი, ისტორიკოსი – 339
ცინცაძე ვ., არქიტექტორი – 433
ცქიტიშვილი გ., არქეოლოგი – 404
ცხადაძე რ., არქიტექტორ-რესტავრატორი – 364, 424, 433

ძ

ძამსაშვილები, სოფ. ვანნაძიანში თეთრი გიორგის ნიშის ამგებნი – 96

წ

წანარები, ქართული (კახური) ტომი, განსაკუთრებით დაწინაურდნენ VIII-IX სს-ში – 19, 20
წანართა არხონტი – 19
წერეთელი აკაკი, პოეტი, საზ. მოღვაწე – 104, 339
წერეთელი გიორგი, მწერალი – 339
წინასწარმეტყველები – 371, 373, 374, 375
წინასწარმეტყველი – 303, 304, 371
წმინდანები:
აბიბო – 416
ათანასე – 371
ათანასე ათონელი – 373
ათანასე ალექსანდრიელი – 371
ათლიესი – 372
ამბაკუმი – 375
ანასტასია – 372, 375
ანბოდი – 372
ანდრონიკე – 373
ანტონი – 375, 428
ანტონ მარტყოფელი, ერთ-ერთი ასურელი მამათაგანი, VI ს. – 36
აპექსიმი – 372
არსენი – 375
ბარბარა – 372
ბარბარე – 428
ბართლომე, მეუდაბნოე – 375
ბარუქი – 371
ბასილი – 371, 372
ბაქუ – 428
ბერები – 428
ბონიფაციუსი – 375
გიორგი – 139, 161, 267, 289, 306, 335, 357, 372
გრიგოლ ღვთისმეტყველი – 371, 372
გუ[ო]რია – 372
დავით თესალონიკელი – 375
დავითი – 36
დამიანე – 373
დანიელი – 375
დემეტრე – 428
დიკენდიე – 374
დიკტორი – 374
დიმიტრი – 306
დიონისე – 371
დოდო, დავით გარეჯელის მოწაფე – 42
ეგნატე – 375
ევგენია – 372
ევდოკია – 375
ევსტათი, ესტატე – 375
ევსტრატი – 372, 375
ევფინიოსი – 376
ეზეკიელი – 375
ეკატერინე – 428
ელენე – 374
ეპრაქსია – 374
ერეკლე – 371
ერმილე – 373
ეფრემი – 375
ექვთიმე, წინასწარმეტყველი – 375
ზოსიმე მახარებელი – 375
თევდორე სტრატილატი – 428
თევდორე ტირონი – 428
იაკობ სპარსი – 372
ილარიონ ქართველი, ქართველი სასულიერო მოღვაწე, IX ს. – 36
იოანე ნათლისმცემელი – 371
იოანე ოქროპირი – 371, 372
იოანე ღვთისმეტყველი – 376
იონიკე – 372
ისააკი – 371
ისიდორე – 374
კლავდი – 371
კოზმანი – 374
კო[უ]რიკე – 374
ლაზარე – 125, 371, 428
ლუკა – 375
მათე, მახარებელი – 375
მაკარი – 428
მარდარი – 373
მარიამ მეგვიპტელი – 376
მარინე – 43
მარკოზი, მახარებელი – 376
მეთოდე – 375
მინა – 374
მიქაელი – 372
ნესტორი, წინასწარმეტყველი – 375
ნიკიტა – 372
ნიკიფორე – 375
ნიკოდიმე – 371
ნიკოლოზ მცირე – 373
ნილოსი – 371
ნინო – 18, 43
ონოფრე მეუდაბნოე – 376, 428
პავლე თიბელი – 375
პანტელეიმონი – 372
პარასკევა – 372
პახუმი – 376
პელაგია – 374
პერსელი – 374
პეტრე – 370
რომანოზ მგალობელი –371
საბა – 375, 428
სერგი – 374, 428
სილიბისტრო – 376
სიმონი – 372
სისინი – 371
სოფია – 374
სპირიდონი – 375
სტეფანე – 304
ტარახოსი, წინასწარმეტყველი – 375
ფოტინე – 374
ფოტინი – 372
ხაბიბო – 372

ჭ

ჭავჭავაძე ალექსანდრე, პოეტი – 28, 133, 227
ჭავჭავაძე გარსევან, ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტ. მოღვაწე, დიპლომატი, XVIII ს-ის II ნახ. – 133
ჭავჭავაძე დავით, ალ. ჭაქჭავაძის ვაჟი – 133
ჭავჭავაძეები – 41, 90, 215, 234, 340
ჭავჭავაძე ელისაბედ, ქ. მარჯანიშვილის დედა – 337
ჭავჭავაძე ზურაბ ნიკოლოზის ძე, ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელი – 341
ჭავჭავაძე ილია, ქართველი მწერალი, პუბლიცისტი, საზ. მოღ-

გეოგრაფიული და ეთნიკური სახელწოდებანი

ა

აბრეშუმის გზა – 363*
აბრიჩაი, მდ. – 22
ავანისხევი (გავაზისწყალი), მდ. – 353, 354, 355, 356, 358, 361, 362
ავარიელები – 328
აზერბაიჯანლები – 262
აზერბაიჯანი – 10, 30, 37, 260, 270, 318
აზია – 8
ათანაანთ მიწები, ადგილი სოფ. კარდანახში – 163
ათონის მთა – 376, 428, 436
აკაკიანთხევი, ადგილი სოფ. ზემო მანხაანში – 276
აკვანაძეღი – 130
აკშრა, სოფელი თელავის მუნიციპ-ში, თემის საკრებულოს ცენტრი – 30
აკშრისხევი, მდ. – 91, 103
ალავერდის ეპარქია – 107
ალავერდის საეპისკოპოსო – 22, 241
ალაზანი, მდ. – 8, 9, 16, 46, 57, 58, 107, 133, 192, 260, 261, 265, 270, 316, 318, 319, 328, 329, 362, 467, 468
ალაზნის ვაკე – 46, 48, 107, 238, 328, 329, 330, 471
ალაზნის ველი – 8, 14, 15, 17, 261, 265, 267, 268, 270, 276, 312, 313, 319, 353, 354, 432
ალბანეთი – 107, 316, 353, 405
ალბანელები – 316
ალგეთი, მდ. – 16
ალესილების ძეღი – 316
ალვანი (ზემო და ქვემო ალვანის ძვ. სახელწოდება), სოფელი ახმეტის მუნიციპ-ში, თემის საკრებულოს ცენტრი – 39
ალმატი, სოფელი ყვარლის მუნიციპ-ში – 352
ამიერკავკასია – 26
არაბები – 19, 265
არაბთა ლაშქრობები – 405
არაბი, მდ. – 8, 16, 18, 22

ბ

ბაბაეშვილი, სოფ. გავაზის მცხოვრები – 362
ბალად ობნ-ნაზიდი, არაბი სარდალი, ქართ. წყაროებით ბალად არაბი – 353
ბახტაშვილი გ., სოფ. გრემის მკვიდრი – 393
ბიხაძე ზაქარა, მექვეერე ხელოსანი – 145
ბორნაბუჯის ერისთავები – 467
ბოსრო, ვაჩნაძიანელების ფალავანი – 104
ბოსრო I ანუშრვანი, სასანიანთა დინასტიის წარმომადგენელი, VI ს. – 307
ბოსრო II ფარვიზი, სასანიანთა დინასტიის წარმომადგენელი, VI ს. – 307
ბოსრო, სპარსთა მეფე – 107
ბოშარაული ნადირა, ბახტრიონის აჯანყების ერთ-ერთი მეთაური – 25

გ

გაგახოშვილთა ფეოდალური საგვარეულოს თავკაცები – 267
გაგახოშვილი ივ., ისტორიკოსი, საზ. მოღვაწე – 8, 163, 175, 176, 363
გალალეღინი, ხვარაზმშაჰი, XIII ს. – 250
განდიერები, კახეთის თავადები – 90
განდიერი გიორგი როსების ძე, პოლკოვნიკი – 102
განდიერი დავით, 1615 წ. კახეთის აჯანყების მეთაური – 24
განდიერი ლევან, ეკლესიის განმაახლებელი და სასახლის აშენები სოფ. ვაჩნაძიანში – 41, 102, 103
განდიერიშვილები – 250
განიაშვილი იოსებ, სოფ. კალაურის მცხოვრები – 148
გაშარიძე ა., რეჟოლუციონერი – 260
გაშარიძე გ., არქიტექტორი –51
გაშარიძე უ., მხატვარი – 351
გედი მაჭელი, შტორის ერისთავის – გოდერძის დისწული – 467
გობაძე ნ., არქიტექტორი – 165
გორგენაძე ბ., არქიტექტორი – 351
გორჯაძე ბარბარე, მწერალი – 436
გორჯაძეები, კახეთის თავადები – 90
გოხაძე ზ., მოქანდაკე – 48
გუანშერი, არჩილ ერისმთავრის ვაჟი – 19
გუანშერი, ისტორიკოსი, XI ს. – 18, 107, 237

ჰ

ჰარუნ არ-რაშიდი, აბასიანთა დინასტიის ხალიფა, VIII-IX სს. – 414
ჰერი დიდებულები, არიშიანები – 405
ჰერ-კახთა ერისთავნი – 450
ჰეროდე, იუდეველთა მეფე – 371
ჰეროს მარგამოსის ძე – 316
ჰორმიზდ IV, ირანის შაჰი – 307
ჰუსეინ ხანი – 199

---

* მითითებულია გვერდი, სადაც ნახსენებია გეოგრაფიული ან ეთნიკური სახელი ან მუნიციპალიტეტის ნომერი (რომაული ციფრი) და ძეგლის ნომერი (არაბული ციფრი)

არაშენდა, სოფელი გურჯაანის მუნიციპ-ში, თემის საკრებულოს ცენტრი – 15, 46, 51, 183
არბოშიკი, სოფ. დედოფლისწყაროს მუნიციპ-ში,თემის საკრებულოს ცენტრი – 260
არგვეთის საერისთაო – 18
არგოხი, სოფელი ახმეტის მუნიციპ-ში – 41
არეულები, ადგილი ტარიბნის ტაფობზე – 319
არეში, მდ. – 405, 406, 407, 408, 410, 411, 412
არეში (არიში) ნაქალაქარი – იხ. მთისძირი
ართანა, სოფელი თელავის მუნიციპ-ში – 36
არიში, ისტ. სოფელი – 353, 405
არმენიელები – 316
არღვის ხეობა – 265
არხილოსკალო, სოფ. დედოფლისწყაროს მუნიციპ-ში,თემის საკრებულოს ცენტრი – 260, 270, 274, 289
ასაკიდისთავისწვერი, მწვერვალი კავკასიონის მთავარ ქედზე – 328
ასტრახანი – 23, 363
ატხაზეთი – 20, 50, 57
აღდგომა, სოფ. შიხიანის მეორე სახელი – 397
აღმოსავლეთ ამიერკავკასია – 25, 270, 363
აღმოსავლეთ კავკასიონის მთიანეთი – 416
აღმოსავლეთ კახეთი – 25
აღმოსავლეთ საქართველო – 10, 24, 46, 328, 330
აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი – 260, 289
აშშ, ამერიკის შეერთებული შტატები – 50
ახალი შუამთა – 37
ახალსოფელი, სოფელი თელავის მუნიციპ-ში,თემის საკრებულოს ცენტრი – 328, 329, 344, 353, 354, 471; III. 050
ახატელი, სოფელი თელავის მუნიციპ-ში – 38
ახაშენი, სოფელი გურჯაანის მუნიციპ-ში, თემის საკრებულოს ცენტრი – 46, 53, 192, 249; I. 018
ახაშენის სამოურავო – 46
ახმეტა,ქალაქი, მუნიციპ-ის ცენტრი – 329, 403, 449
ახმეტის მუნიციპალიტეტი – 8, 328
ახტალა, ტალახით სამკურნალო კურორტი ქ. გურჯაანში – 48
ახშანი, სოფელი ახმეტის მუნიციპ-ში – 30, 39
აჯიოურის ტბა – 22

ბ

ბადიური, ნასოფლარი – 91
ბაზარი, ისტ. ქალაქი – 363
ბაზარი, სოფ. გაგაზის უბანი – 22, 36, 37, 354
ბაზარხევი, მშრალი ხევი – 281
ბაკურციხე, სოფელი გურჯაანის მუნიციპ-ში, თემის საკრებულოს ცენტრი – 15, 46, 48, 57, 74, 121, 163; I. 025
ბაკურციხისხევი, მდ. – 223
ბალვენასხევი, მდ. – 148
ბალღოჯიანი, სოფ. ყვარლის მუნიციპ-ში, თემის საკრებულოს ცენტრი – 328, 329, 361
ბალხი – 414
ბარდა (ბარდაული) – 25, 353, 354
ბასრა – 414
ბაძო – 263
ბაძის ხეობა – 117
ბეზარაანთ შუბანი, სოფ. გურჯაანის ერთ-ერთი უბანი – 62
ბელაქანი – 24
ბენაანთ შუბანი, სოფ. ზემო მაჩხაანის ერთ-ერთი უბანი – 278
ბერშანაული, ნასოფლარი – 141, 142
ბერძნები – 262
ბეჩას კაკლები, ადგილი სოფ. მთისძირში – 408
ბზაობორა, ადგილი ქ. ყვარლის მიდამოებში – 339
ბია, ადგილი სოფ. ფხოველში – 199
ბიზანტია – 20
ბიზანტიელები – 19
ბილენთა, მთა – 261
ბოდბე, სოფ. სიღნაღის მუნიციპ-ში – 30
ბოდბის ეპარქია – 57
ბოდბის საეპისკოპოსო – 22, 241
ბოდე, სოფ. ბოდბის ძვ. სახელწოდება – 18
ბოლია, მდ. ინწობის მარჯვ. შენაკადი – 364, 387, 395
ბოლნისი, ქალაქი, ბოლნისის მუნიციპ-ის ცენტრი – 51
ბორჩალო, ისტ. მხარე ქვემო ქართლში – 57
ბოსტნისხევი, მდ. მღვრიეხევის მარჯვ. შენაკადი – 91
ბოჭობორის ნასოფლარი – III. 186
ბოჭორმა – 19, 34
ბრიმაწყალი, ადგილი სოფ. ზემო კაჭრეთში – 140
ბურიანისწვერის ქედი – 328
ბურსა, მდ. – 328, 329, 330
ბუძიანთ ნავენახარი, ადგილი სოფ. შილდაში – 461
ბულამოედანი, ელდარის დაბლობის სამხრ.-აღმ. ნაწილი – 261
ბუშელაშვილების შუბანი, სოფ. შილდის ერთ-ერთი უბანი – 457

გ

გადრეკილი, სოფელი (ყოფ. მახარაძე, დღეგანდელი ზემო კაჭრეთი) გურჯაანის მუნიციპ-ში – 183, 250
გავაზი, სოფელი ყვარლის მუნიციპ-ში, თემის საკრებულოს ცენტრი – 8, 328, 353, 354, 361, 363, 405, 471
გავაზისწყალი, მდ. – 353
გალესიონის მთა – 371
გამარჯვება, სოფელი დედოფლისწყაროს მუნიციპ-ში,თემის საკრებულოს ცენტრი – 260, 261, 265, 270
განბური, ნასოფლარი – 91
განკიდული სერი – 276
განძა – 20
განჯის სახანო – 26
გარდაბანი – 19
გარდაბნის ქვეყანა – 8
გარეკახეთი (მდ. იორის შუა წელი) – 8, 36, 46, 107, 241, 250
გარეკახეთის ზეგანი – 46
გარეჯის მრავალმთა – 12
გაურჯისხევი – 48
გაღმა მხარე (მდ. ალაზნის მარცხ. სანაპიროზე მდებარე ტერიტორიის ძვ. სახელწოდება) – 8, 467
გენათსაყდრები, ადგილი სოფ. ჯიმითში – 250
გეორგიევსკი – 26
გილანი, ისტ. ოლქი ირანში – 363
გიორგიანთ ხოდაბანი, ადგილი სოფ. დარჩეთში – 72
გიორღას მუხა, ადგილი სოფ. მელაანში – 184
გირბალი, კავკასიონის სამხრ. კალთის განშტოება – 328
გოგოჩაური, ადგილი სოფ. ჯიმითში – 250
გომბორი – 41
გომბორის ქედი – 9, 46, 48, 74, 90, 122, 142, 145, 148, 163, 175, 179, 183, 191, 203, 215, 219, 226, 237, 261
გომები, ადგილი სოფ. ვაზისუბანში – 75
გორიელები, ადგილი სოფ. ბაკურციხეში – 58
გოძიანთული, ადგილი ქ. გურჯაანში – 48, 49

ბოხების მთა – 263
ბრეში, სოფელი ყვარლის მუნიციპ-ში, თემის საკრებულოს ცენტრი – 328, 390
ბრეში, ნაქალაქარი – 8, 22, 23, 24, 25, 36, 38, 39, 354, 363, 364, 365, 366, 367, 368, 369, 376, 380, 381, 383, 384, 385, 386, 388, 389; III. 079
ბრძელი ძეძი, ადგილი სოფ. შილდის მიდამოებში – 453
ბრძელი ჭალა, სოფ. ყვარლის მუნიციპ-ში – 397
ბუდარეხი – 38
ბურემანი, გურჯაანის სახეცვლილი ფორმა – 48
ბურჯაანი, ქალაქი, გურჯაანის მუნიციპ-ის ცენტრი – 31, 38, 46, 47, 48, 49, 90, 91, 145, 176, 179, 186, 193, 203, 215, 229, 329; I. 001
ბურჯაანი, სოფ. გურჯაანის მუნიციპ-ში, თემის საკრებულოს ცენტრი – 46, 62
ბურჯაანის მუნიციპალიტეტი – 8, 9, 46, 172, 328
ბურჯაანის რაიონი – 46
ბუჯიაურები, ადგილი სოფ. ვანნაძიანში – 94, 95, 96, 100, 106

დ

დაბალმთიანეთი – 261
დავითბარეჯის უდაბნო – 9, 10
დავითიანი, ადგილი სოფ. ვაზისუბანში – 74, 79, 80
დამასკო – 414
დანდისი, ადგილი სამუხის (ელდარის) ველზე, იორ-ალაზნის შესართავთან – 318
დარბა, ნასოფლარი – 250, 252, 255
დარბაზოვანი, სოფ. გავაზის უბანი – 354
დარიალი – 19
დარუბანდი – 354
დარჩეთი, სოფელი გურჯაანის მუნიციპ-ში – 46, 72
დასავლეთ საქართველო – 24, 27, 107, 122
დაღესტანი – 227, 241, 346, 441, 353, 354
დაღესტან-ლეკეთი – 260
დაღესტნელი ფეოდალები – 363
დაღესტნის ავტონომიური რესპუბლიკა – 328
დაღესტნის მთები – 405
დედოფლისწყარო (ყოფ. წითელწყარო), ქალაქი, მუნიციპ-ის ცენტრი – 41, 47, 260, 262, 263, 265, 271, 273, 274, 292; II. 001
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, ადმ.-ტერიტ. ერთეული ადმ. საქართველოში – 8, 12, 260, 262, 263
დედოფლისწყაროს პლატო – 265
დვინი – 241
დიდგვერდი, ადგილი სოფ. ქვემო ქედის ჩრდ-ით – 320
დიდგორა, მწვერვალი კავკასიონის მთავარ ქედზე – 328
დიდველი, ადგილი სოფ. ვაზისუბნის მიდამოებში – 89
დიდთელები, ადგილი სოფ. მუკუზანში – 191
დიდი მინდორი, ადგილი სოფ. ახალსოფელში – 355
დიდი ტინები, ადგილი სოფ. ზიარში – 143
დიდი შირაძე – 271
დიდი შირაძის ველი – 271, 274, 275, 292, 320
დიდი შირაძის ტაფობი – 261
დიდოეთი – 22, 467
დიდწრუბელის ტბა – 46
დოლოგოპი, ადგილი ქ. ყვარლის მახლობლად – 333
დუბე, ადგილი ყვარლის განაპირას – 331
დურგლიანთ მიწები, აგილი სოფ. ზიარში – 143
დურუჯი, მდ. ალაზნის მარცხ. შენაკადი – 328, 329, 330, 333
დურუჯის (კუდიგორის) წყალსაცავი – 330
დურუჯი, ულელტეხილი – 328
დურუჯის ხეობა – 328, 330
დურძუკეთი – 8
დუშეთი, ქალაქი, დუშეთის მუნიციპ-ის ცენტრი – 27

ე

ებრისი – 18
ებრისის საერისთავო – 18
ებრისისწყალი, მდ. – 316
ევროპა – 8
ელდარის დაბლობი – 261
ელდარის სერი – 261
ელიის მთა – 313
ენამთა, ადგილი ალაზნის ველზე – 312
ენამთის ხევი – 313
ენისელი, სოფელი ყვარლის მუნიციპ-ში, თემის საკრებულოს ცენტრი – 328, 329, 349, 397, 471
ენძება, უბანი სოფ. მთისძირში – 412
ენძელებისმთების ძეძი – 328
ერევნის სახანო – 26
ერწუხი, ადგილი – 20

ვ

ვაზისუბანი, სოფელი გურჯაანის მუნიციპ-ში, თემის საკრებულოს ცენტრი – 30, 46, 74, 75, 052
ვაზიანი, მდ. – 335
ვაკესარბაზელი, ადგილი სოფ. შილდის მახლობლად – 460
ვანთა, სოფელი თელავის მუნიციპ-ში – 39
ვარაზმანავარი, ადგილი ტარიბნის ტაფობში – 319
ვარდისბორა, ადგილი სოფ. მთისძირთან – 405
ვარცანა, ნასოფლარი სოფ. შილდის მახლობლად – 33, 453, 458
ვასიტი – 414
ვაშლოვნის ნაკრძალი – 9
ვაჩნაძიანი, სოფ. გურჯაანის მუნიციპ-ში, საკრებულოს ცენტრი – 31, 39, 46, 47, 90, 196, 207; I. 088
ვაჩნაძიანნი, ვაჩნაძეების საგვარეულო მამულების საერთო დასახელება – 90
ვაჩნაძიანისხევი, მდ. ალაზნის შენაკადი – 46
ველისციხე, სოფელი გურჯაანის მუნიციპ-ში, თემის საკრებულოს ცენტრი – 39, 46, 47, 107, 192, 226, 237, 238, 329, 444, 450; I. 112
ველისციხის სამოურავო – 46
ველხვისციხე, ნასოფლარი, ქ. ყვარლის მახლობლად – 330
ველისხევი, ნასოფლარი სოფ. შილდის მახლობლად – 403, 450, 452, 453, 459
ვენახი, სოფელი გურჯაანის მუნიციპ-ში, თემის საკრებულოს ცენტრი – 8, 38, 46, 114, 122, 179, 241
ვენახის საერისთავო – 46
ვენახისხევი, მდ. – 114, 115, 117, 130, 132

ზ

ზაპოროჟიელი კაზაკები – 260
ზემაანი, სოფელი გურჯაანის მუნიციპ-ში, მუკუზნის თემის საკრებულო – 31, 46, 47, 133, 192
ზემაანი, ნასოფლარი – 456
ზემნის კიდურები, ადგილი მდ. უჩარის მარცხ. ნაპირზე – 336
ზემო ალვანი, სოფელი ახმეტის მუნიციპ-ში, თემის საკრებულოს ცენტრი – 38
ზემო კაბრეთი (ყოფ. მახარაძე), სოფელი გურჯაანის მუნიციპ-ში – 46, 139

ზემო მაჩხაანი, სოფელი დედოფლისწყაროს მუნიციპ-ში, თემის საკრებულოს ცენტრი – 260, 276
ზემო შბანი, სოფ. ბაკურციხის ერთ-ერთი უბანი – 59
ზემო ძედი, სოფელი დედოფლისწყაროს მუნიციპ-ში,თემის საკრებულოს ცენტრი – 260, 273, 274, 275, 276, 289
ზემო ხოდაშენი, სოფელი ახმეტის მუნიციპ-ში – 35, 36
ზიარი, სოფელი გურჯაანის მუნიციპ-ში – 9, 46, 142, 199, 203; I. 154
ზიარელნი, სოფ. ზიარის მცხოვრებლები – 143
ზილჩის ველი, ადგილი მდ. იორის ზეგანზე – 292
ზილჩის სერი – 261
ზილჩის ძვაბული – 320
ზინობიანი, სოფელი ყვარლის მუნიციპ-ში – 328, 329, 404

თ

თადიანთ შბანი, სოფ. ვაზისუბნის ერთ-ერთი უბანი – 86
თავწყარო, სოფელი დედოფლისწყაროს მუნიციპ-ში – 12, 260, 294
თარაძი, ნასოფლარი – 38
თბილისი – 16, 24, 27, 47, 48, 176, 179, 184, 186, 262, 263, 330
თბილისის ბუბერნია – 260, 328
თეთრი გიორგის მკლავი, ადგილი სოფ. სანავარდოს სამხრეთ – 444
თელავი, ქალაქი, თელავის მუნიციპ-ის ცენტრი – 8, 20, 25, 27, 29, 47, 48, 74, 179, 184, 329, 363, 416, 450
თელავის მაზრა – 328, 330
თელავის მუნიციპალიტეტი – 8, 46, 328
თელავის ჭურე, მთა – 406
თელათწყალი, ადგილი ზემო მაჩხაანში – 288
თელეთხევი – 270
თერბაანი, ადგილი ქ. ყვარლის მახლობლად – 334
თიანეთი – 8, 19, 39, 450
თურძმანები – 24, 25
თურძ-ოსმალები – 354, 450
თურძ-სელჩუკები – 20, 21, 353
თუშეთი – 22
თუშ-ფშავ-ხევსურეთი – 8, 23
თხილიანისწყლები, მდ. – 447

ი

იბერები – 316
იბერია – 17
იბერიის სამეფო – 416
იელგორა, ადგილი დურუჯის ხეობაში – 330
ირუსალიმი – 428, 436
ივრის აუზი – 14
ივრის ველი – 265
ივრის ზეგანი – 9, 12, 292, 324
ივრისპირა ვაკე – 282, 324
ივრისპირეთი – 21, 254, 261
ივრის კლატო – 321
ივრის ხეობა – 9, 14, 15
ილხანების სახელმწიფო – 203
ილხანთა სამეფო – 21
იმედიანთ შბანი, სოფ. გავაზის ერთ-ერთი უბანი – 361
იმერეთი – 24, 25, 145
ინდოეთი – 26, 227
იწრობა, მდ. – 329, 363, 364, 369, 380, 383, 387, 390, 392, 393, 394, 397, 400, 401, 436, 437, 443
იწრობის ხეობა – 328
იონის დეპარტამენტი – 47
იორ-ალაზნის აუზი – 10, 12, 17, 19
იორი, მდ. – 8, 10, 16, 52, 143, 177, 253, 254, 261, 263, 270, 276, 281, 282, 314, 316, 318, 319, 321, 323, 324
ირანი – 19, 23, 24, 25, 26, 27, 354, 363, 416
ისპაჯანი – 25
იულდა, მდ. – 354

კ

კაბაშრის ხევი – 239
კადირდალი (ყალადარი) – 275
კაკაკავიანთ წყარო, ადგილი სოფ. კარდანახში – 164
კაკასია – 8, 9, 10, 14, 23, 24, 273,
კაკასიის მთავარი ძედი – 22
კაკასიის მთები – 18
კაკასიის მთიანეთი – 8, 23
კაკასიონი – 353
კაკასიონის მთავარი ძედი – 328
კაკ-ენისელი, ნეკრესის სამღვდელმთავრო ტერიტორია – 417
კალაშრი, სოფელი გურჯაანის მუნიციპ-ში, თემის საკრებულოს ცენტრი – 46, 90, 145, 196, 207; I. 162
კალაშრის სამოშრავო – 46
კალაშრისხევი, მდ. – 98, 162
კამბეჩოვანი, საქართველოს ერთ-ერთი ისტ. პროვინცია, კახეთის სამეფოს საერისთავო – 16, 21, 260, 265, 266, 267
კამბეჩოვანი, ისტ. ქალაქი – 268
კამბეჩოვანის მინდორი – 267
კანაანთ შბანი, სოფ. ვაზისუბნის ერთ-ერთი უბანი – 86
კარალისხევი მდ. – 141, 255
კარდანახი, სოფელი-გურჯაანის მუნიციპ-ში, თემის საკრებულოს ცენტრი – 39, 46, 57, 163; I. 174
კასრისწყლის ტაფობი – 261
კაწარეთი, ნასოფლარი – 29
კაპრეთი, სოფელი გურჯაანის მუნიციპ-ში, თემის საკრებულოს ცენტრი – 46, 47, 175, 250, 262; I. 193
კაპრეთის ველი – 52
კაპრეთის რაიონი – 46
კახები – 17
კახეთი – 8, 9, 10, 11, 12, 13, 15, 17, 19, 18, 20, 21, 23, 24, 25, 26, 28, 29, 33, 37, 38, 46, 53, 57, 122, 197, 199, 238, 265, 266, 267, 314, 330, 346, 358, 363, 378, 405, 417, 441, 450, 471
კახეთის კავკასიონის სამხრ. კალთა – 328, 436, 450
კახეთის მთა – 8
კახეთის მოსახლეობა – 330
კახეთის ოლქი – 46, 261
კახეთის სამეფო – 20, 22, 25, 38, 107, 163, 175, 183, 203, 215, 219, 260, 266, 363, 417
კახეთის სამთავრო – 19, 20, 353
კახელები – 24, 25, 107, 163, 227, 353, 363
კახი – 363
კახის რაიონი – 30
კახთუბნისხევი, მდ. – 65, 68
კახწყარი, სოფელი გურჯაანის მუნიციპ-ში – 46
კეჭის შბანი, სოფ. ყვჯინის ერთ-ერთი უბანი – 116
კვეტერა – 34, 39
კვირიას ბორა – 236
კვირიკეს ბორა – 237
კიკოს ტბა, ადგილი სოფ. ფხოველში – 199
კისისხევი, სოფელი თელავის მუნიციპ-ში, საკრებულოს ცენტრი – 31, 354
კლარჯეთი – 18
კლარჯეთის საერისთავო – 18
კოდისწყალი – 129, 271, 319
კოდისხევი, მშრალი ხევი – 116, 281
კოლაბი, სოფელი გურჯაანის მუნიციპ-ში, თემის საკრებულოს ცენტრი – 46, 179; I. 201
კონდოლი, სოფელი თელავის მუნიციპ-ში, თემის საკრებულოს ცენტრი – 29, 241
კონსტანტინეპოლი – 267

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოპალე, სოფ. გავაზის ერთ-ერთი უბანი – 354, 358
კოშკები, ადგილი სოფ. მელაანში – 183
კოწახურის სერი – 261
კოწახურის ძელი – 318, 319, 324
კოხტასთავი – 21
კოჯორი, სოფელი ახმეტის მუნიციპ-ში – 17
კუდიბერის (დურუჯის) წყალსაცავი – 330
კუდიბერის მთა – 341
კუდიბერის ძელი – 328
კუსწყაროს წყალსაცავი – 329, 330
კუშატანი, სოფელი ყვარლის მუნიციპ-ში, თემის საკრებულოს ცენტრი – 328, 404
კუხები – 17
კუხეთი – 8, 18, 19

ლ

ლაბოლეხი, ქალაქი, ლაგოდეხის მუნიციპ-ის ცენტრი– 41, 57, 329, 359
ლაბოლეხის მუნიციპალიტეტი – 8, 9, 46, 328
ლაკბე, მდ. იორის მარცხ. შენაკადი – 52, 143, 184, 250
ლაკბისხევი – 186
ლანჯაურის ძელი – 328
ლაფანყური, სოფელი თელავის მუნიციპ-ში, – 390
ლაფიანხევი – 250
ლეკები – 25, 26, 27, 57, 163, 183, 192, 199, 328, 330, 336, 354, 412, 417, 422, 434, 441, 450, 471
ლეკისწყალი, მდ. – 261
ლემიაური, ადგილი სოფ. ვაზისუბანში – 79
ლემისციხე, ისტ. სოფელი ქ. ყვარლის მახლობლად – 330
ლეპოტის ხევი – 18

მ

მახანდარანი – 24
მაკუნტებლისმორა, ადგილი სოფ. კარდანახში – 165
მამა დავითის ეკლესიის უბანი (ჭერემის ნაქალაქარის ერთ-ერთი უბანი) – 240
მანავი – 38
მარტყოფი – 36
მარტყოფის ველი – 24
მასხარა, მდ. – 395
მატანი – 29, 31, 36, 38
მალალაური, ადგილი სოფ. ბაკურციხეში – 60
მაღიმისწყალი, მდ. – 40
მაჭელი, მაჭის ერისთავი – 467
მაჭისწყალი, მდ. – 467
მელაანი, სოფელი გურჯაანის მუნიციპ-ში, თემის საკრებულოს ცენტრი – 15, 38, 46, 183, 241; I. 207
მელიღელე – 15, 185, 186, 189
მესოპოტამია – 10
მზექალაშვილების უბანი, ერთ-ერთი უბანი ქ. ყვარელში – 330
მთავარანგელოზთა მთა – 367
მთიელები – 289
მთისძირი, (ისტ. არეში, არიში, 1944 წ-მდე ხაშალხუტი), სოფ. ყვარლის მუნიციპ-ში,თემის საკრებულოს ცენტრი – 328, 405; III. 131
მინგეჩაური – 316
მირზაანი, სოფელი დედოფლისწყაროს მუნიციპ-ში, ზემო მაზაანის თემის საკრებულოში – 260, 262, 294
მირზაანის ტბა – 263
მიქელ-გაბრიელის მთა – 467
მიწნის ციხე, ადგილი მდ. ალაზნის მარჯვ. ნაპირას – 299
მლაშე ტბა – 313
მლაშეწყალი, მდ. – 261
მოვაკანი – 316
მომთაბარე ტომები – 24
მონღოლები – 21, 36, 241, 316, 353
მოსკოვი – 23, 28
მტკვარი, მდ. – 8, 10, 21, 22, 316
მუგუთა, ადგილი სოფ. საბუის მახლობლად – 437
მუკუზანი, სოფელი გურჯაანის მუნიციპ-ში, თემის საკრებულოს ცენტრი – 46, 47, 74, 191, 192; I. 228
მულანლო – 133
მუშაძი, უღელტეხილი – 328
მუხიანის ტბე – 172
მუხრანი – 192
მუჯამადია – 414
მღვრიეხევი, მდ. ალაზნის მარჯვ. შენაკადი – 46, 79, 81, 164
მშრალი ხევი – 281, 294, 308, 312, 316, 317, 390, 468
მცირე ალაზანი (იორი) მდ. – 316
მცონარახევი – 79
მცხეთა – 17, 18, 175, 416
მცხეთის საკათალიკოსო – 363
მცხეთის სვეტიცხოვლის საკათალიკოსო – 250
მცხეთის ჯვრისანა – 175
მწარე ღელე, მდ. – 261
მწარეწყალი, მშრალი ხევი – 281, 319
მწარეწყლისხევი – 319

ნ

ნაბაზრალი, ადგილი სოფ. გავაზში – 355
ნაგებები, ადგილი ნეკრესის ნაქალაქარში – 419, 420
ნაგომრებისთავის ბორა – 311
ნაგომრებისთავის ტაფობი – 261
ნაგომრებისხევი – 311
ნადარბაზევი, ადგილი სოფ. მუკუზანში – 193
ნაძიკარი, ადგილი სოფ. ჯიმითის მიდამოებში – 250
ნახარლების მთიანეთი – 272, 273, 274
ნახარლების სერი – 261, 272
ნაზვრევი ბორა, ადგილი ნეკრესის ნაქალაქართან – 416, 421, 433, 434
ნათლისმცემლის ხევი – 80
ნანიანი, სოფელი გურჯაანის მუნიციპ-ში, თემის საკრებულოს ცენტრი – 46, 52, 196
ნაპირი, ნასოფლარი – 250, 251
ნასადგომარი, ადგილი სოფ. ზიარში – 142
ნასხლაკები, ადგილი სოფ. კაჭრეთში – 141
ნატბეური, ტაფობი – 261
ნატკორა, ნასოფლარი – 29
ნაშარეული, სოფელი თელავის მუნიციპ-ში, თემის საკრებულოს ცენტრი – 133
ნაცვლიანთ უბანი, სოფ. ჩუმლაყის ერთ-ერთი უბანი – 229
ნახიფევანის სახანო – 26
ნეკრესი, ნაქალაქარი – 18, 39, 265, 416, 419, 422, 428, 434, 450
ნეკრესის ეპარქია – 417
ნეკრესის საეპისკოპოსო – 22, 416, 417
ნელქარისი (ნეკრესი), ისტ. ქალაქი – 416
ნიკოანთ მშრე, ადგილი ქ. ყვარლის მახლობლად – 334
ნიკორაციხე, მთა – 261
ნინიკასციხე, მწვერვალი კავკასიონის მთავარ ქედზე – 328
ნინოწმინდა, სოფელი საგარეჯოს მუნიციპ-ში,საკრებულოს ცენტრი – 39, 250
ნინოწმინდის საეპისკოპოსო – 22, 241
ნიწურაანთ ახო, ადგილი სოფ. ზიარში – 143
ნიწურაანთ ბორა, ადგილი სოფ. ზიარში – 250

ნუკრიანი, სოფელი სიღნაღის მუნიციპ-ში, – 107

ო

ოზაანი, სოფელი დედოფლისწყაროს მუნიციპ-ში, თემის საკრებულოს ცენტრი – 260, 262, 299, 304
ოზანაშვილების უბანი – 310
ოლე, მდ. – 319
ოლეს მინდორი – 281
ომაიანი ხალიჩები – 414
ორი ძმა, მთა – 261, 265
ოსები – 328
ოსმალეთი – 23, 24, 25, 26
ოსმალო – 330
ოქროს ურდო – 21
ოქრხის საერისთავო – 18

პ

პანკისი – 467
პანტიშარისხევი, მდ. – 261
პატარა ტარიბნის ვაკე-ტაფობი – 261
პატარა ტბა – 261
პატარა ჭურე, ადგილი მდ. ალაზნის მარჯვ. ნაპირას – 270
პატარა შირაქი, ტაფობი – 261, 262
პატარა შირაქის ველი – 275, 311
პატარძეული, სოფელი საგარეჯოს მუნიციპ-ში, თემის საკრებულოს ცენტრი – 17
პერსეპოლისი – 17
პეტერბურგი – 28
პირდაპირმიწეები, ადგილი სოფ. ზიარში – 142
პირიქითა ხევსურეთი – 22
პოლონეთი – 50

ჟ

ჟალეთი – 30, 41, 192, 266
ჟებოტა, სოფელი თიანეთის მუნიციპ-ში – 36

რ

რაჭა-ლეჩხუმი – 28
რეხა, სოფელი წალკის მუნიციპ-ში – 416
რობიტაანთ უბანი, სოფ. ზემო მაჩხაანის ერთ-ერთი უბანი – 285
რომის იმპერია – 19
რუისპირი, სოფელი თელავის მუნიციპ-ში, თემის საკრებულოს ცენტრი – 39, 41
რუსები – 107, 192, 203, 227, 260, 263, 289, 314
რუსეთი – 23, 24, 25, 26, 27, 46, 260, 314, 330
რუსეთის იმპერია – 263
რუსეთის მთავრობა – 441
რუსეთის ფედერაცია – 328
რუსეთის ჯარი – 260, 263
რუსთავი – 16, 21
რუსთავის (მარტყოფის) საეპისკოპოსო – 226
რუსი ელჩები – 369, 397
რუსი მოღვაწეები – 325
რუსი ოკუპანტები – 27
რუსი პოეტები – 325
რცხილის ხერი – 222

ს

საბათლო, სოფელი დედოფლისწყაროს მუნიციპ-ში, თემის საკრებულოს ცენტრი – 260
საბერე, ადგილი სოფ. დარჩეთში – 72
საბუე, სოფელი ყვარლის მუნიციპ-ში, თემის საკრებულოს ცენტრი – 328, 436; III. 150
საბუელები – 436
საგარეჯო, ქალაქი, საგარეჯოს მუნიციპ-ის ცენტრი – 38, 145, 250
საგარეჯო (გარეჯის მამული) – 250
საგარეჯოს მუნიციპალიტეტი – 8, 46
სადუღას გორა – 254
სადუღას ველი – 177
სადუღას ტბა – 254
სავაჩნაძო, ვაჩნაძეების საგვარეულო ადგილ-მამულების საერთო სახელები – 90
სათიბგორის ძედი – 328
საინგილო – 417
სამარყანდი – 414
სამება, სოფ. გავაზის უბანი – 354
სამების საეპისკოპოსო – 22
სამების ხერი – 331
სამთავისი – 416
სამთავრო – 416
სამთაწყარო, სოფელი დედოფლისწყაროს მუნიციპ-ში, თემის საკრებულოს ცენტრი – 260, 312
სამრეკლო, სოფელი დედოფლისწყაროს მუნიციპ-ში, თემის საკრებულოს ცენტრი – 260, 275, 276, 312
სამუხის ველი – 294, 316, 317
სამშვილდის საერისთავო – 18
სამცხე-ჯავახეთი – 26
სამხრ. კავკასია – 8, 10, 12, 13, 14, 17
სანავარდო, სოფელი ყვარლის მუნიციპ-ში, [illegible] საკრებულოში – 444
სასანური ირანი – 234, 307
საფრანგეთი – 47, 50
საქართველო – 8, 10, 17, 18, 19, 20, 21, 27, 28, 34, 36, 40, 47, 53, 163, 183, 192 197, 234, 241, 266, 304, 314, 318, 330, 363, 369, 428, 443, 450
საქართველოს სსრ – 261, 328
საძოლავის მინდორი – 178
სადანძილე, ადგილი სოფ. ჭერემში – 237
სადირაულები, ადგილი სოფ. კარდანახში – 165
საყარაულოს ძედი – 328
საშამხლო – 23
საცხენე, სოფელი ყვარლის მუნიციპ-ში – 445
საწერემლო – 240
სახატისხევი (მშრალი ხევი) – 271
საჯიხვისთავი, მწვერვალი – 328
საჯიხვის ძედი – 328
სეფიანები – 363
სეფიანთა ირანი – 23
სენენოვკა (სემჩინოვკა), სოფ. სამრეკლოს ერთ-ერთი უბანი – 260, 314
სვანეთი – 28
სირია – 36
სიღნაღი – 27, 47
სიღნაღის მაზრა – 260, 261
სიღნაღის მუნიციპალიტეტი – 8, 46, 260
სიღნაღის რ-ნი – 261
სკვითური ტომები – 15, 183
სომხები – 26, 260, 262, 328
სომხეთი – 10, 353
სპარსეთი – 23
სპარსეთის ათაბაგი – 267
სპარსეთის იმპერია – 19
სპარსელები – 18, 240, 267, 416
სპარსთა სპასპეტი – 265
სსრკ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი – 28

ტ

ტარიბნის ველი – 9, 261, 318
ტარიბნის ტაფობი – 318, 319, 324
ტიბაანი, სოფელი სიღნაღის მუნიციპ-ში – 17, 29
ტიმოთესუბანი, სოფ. ბორჯომის მუნიციპ-ში – 306
ტური, საერისთავო – 468
ტყეტბა – 8

შ

შდაბნო – 262
შუხნდარა, სოფ. გამარჯვების ძვ. სახელწოდება – 261
შუხნდარის მთა – 260, 261
შუხნდარისხევი – 270, 271
შკანშბანი, ადგილი სოფ. ჭერემში – 240
შკანჭალა, ნასოფლარი – III. 208
შლუნჯიანი, ადგილი სოფ. ვანნაძიანში – 105
შრიამშბანი, სოფ. ჯახისუბნის ძვ. სახელწოდება – 74, I. 052
შრმუშეთი, ადგილი სოფ. ზიარში – 142
შახელო ხევი (ჭაჭუნის აღკვეთილში) – 324
შჩარა, მდ. – 336
შჯარმა, სოფელი საგარეჯოს მუნიციპ-ში – 8, 18, 19, 107, 237, 238

ფ

ფალახოსროიანი, ადგილი სოფ. ვანნაძიანში – 106
ფასანაური, დაბა დუშეთის მუნიციპ-ში – 27
ფაფრის მინდორი – 107
ფაფრისხევი, მდ. ალაზნის შენაკადი – 53
ფაშაანი, ნასოფლარი სოფ. შილდას მახლობლად – 450, 462
ფეფრებისბოლო, ადგილი სოფ. მელაანში – 184
ფერეიდანი – 24
ფიროსმანაანთ შბანი, ერთ-ერთი უბანი სოფ. მირზაანში – 298
ფიროსმანი, სოფელი დედოფლისწყაროს მუნიციპ-ში, – 260
ფიხნიანი, სოფელი ახმეტის მუნიციპ-ში – 38
ფონა, სოფელი ლაგოდეხის მუნიციპ-ში – 39
ფოხალასთავის ძედი – 328
ფურცელწყალი, ადგილი სოფ. ზემო მაჩხაანის საკარგულებში – 282
ფუძნარი – 35
ფშაველი, სოფელი თელავის მუნიციპ-ში – 329
ფშაველები – 321
ფშაველების ნაბინავარი, ადგილი სოფ. ვახისუბანში – 75
ფშავ-ხევსურები – 27
ფშავ-ხევსურეთი – 25
ფხოველი, სოფელი გურჯაანის მუნიციპ-ში – 46, 138; I. 237

ქ

ქალიაქცანა, ადგილი ნეკრესის ნაქალაქარის მახლობლად, კლდოვან ხერხე – 419
ქალიაქცანის მთა – 422, 434
ქართველები – 24, 25, 26, 50, 57, 107, 163, 227, 265, 318, 325
ქართველი მთიელები – 260
ქართველი მხატვრები – 263
ქართლი – 17, 19, 20, 23, 24, 25, 26, 27, 46, 53, 57, 175, 227, 265, 330, 346, 353, 363, 405, 416, 471
ქართლის საერისთაოს – 19
ქართლის სამეფო – 18, 19, 23
ქართლ-კახეთის სამეფო – 27, 114, 260
ქვაბები, მთა – 261
ქვაწერისწყალი, მდ. – 356
ქვემო ქედი, სოფ. დედოფლისწყაროს მუნიციპ-ში, თემის საკრებულოს ცენტრი – 17, 260, 320, 289
ქვიშახევი – 447
ქვიშახევისა და თხილიანისწყლების გამყოფი მთა – 447
ქიზიყი – 16, 27, 57, 143, 163, 219, 267, 450
ქირმანი – 414
ქისტაური, სოფელი ახმეტის მუნიციპ-ში –36
ქოდალო (ქოდალა), სოფელი გურჯაანის მუნიციპ-ში – 38, 46, 203; I. 253
ქოჩები, ტბა – 261
ქსანი, მდ. – 8, 19
ქუმბათი, ადგილი სიღნაღის მუნიციპ-ში – 17
ქუმისხევი, წყალსაცავი – 261
ქუმსიაშვილების შბანი, სოფ. ბაკურციხის უბანი – 60
ქურთები – 328
ქუშა – 414

ღ

ღვინიაანთ შბანი, ნასოფლარ ჩალაუბნის ერთ-ერთი უბანი – 221
ღლიღვეთი – 8
ღორისწყალი, მდ. – 319

ყ

ყადორის ულელტეხილი – 328, 437, 441
ყაზახი – 318
ყალადარი (კადირდალი), მთა – 261, 275, 291
ყანლის ხერი – 261
ყარაბაღი – 25
ყარაბაღის სახანო – 24
ყარალაანთ ნასახლარი, ადგილი სოფ. მუკუზანში – 193
ყაშაჩაი – 22
ყარაღაჯი – 263, 265
ყაჯრის ხერი
ყვარელი, ქალაქი, ყვარლის მუნიციპ-ის ცენტრი – 47, 328, 329, 330, 344, 349, 354, 359, 363, 416, 417, 444, 449; III. 001
ყვარლის მუნიციპალიტეტი – 46, 328, 329, 450
ყვარლის რ-ნი – 330
ყვარლის წყალსაცავი – 329
ყიზილბაში – 330
ყინწვისი – 306
ყიტაანი, სოფელი გურჯაანის მუნიციპ-ში – 46, 215
ყორეანი, ნასოფლარი – 334, 337
ყუმი – 30
ყუმურისხევი, მდ. – 261

შ

შავი ბუბე, ადგილი სოფ. არბოშიკის მიდამოებში – 269
შავი მთა – 292, 320
შარიხევი, მდ. ალაზნის მარცხ. შენაკადი – 329, 353
შაძი – 23
შაძრიანი, სოფელი ყვარლის მუნიციპ-ში – 328, 329, 445
შაშიანი, სოფ. გურჯაანის მუნიციპ-ში, თემის საკრებულოს ცენტრი – 46, 74, 145, 215; I. 259
შაშიანის სამოშრავო – 46
შაშიანისხევი, მდ. ალაზნის შენაკადი – 46
შაშიან-კალაური – 145, 250
შაშიან-კალაურის თემი – 215
შემახა – 354, 363
შიბლიანი, სოფელი საგარეჯოს მუნიციპ-ში – 241, 250
შიგნიკახეთი, მდ. ალაზნის მარჯვ. სანაპირო – 8, 328
შიდა კახეთი – 107, 241
შილდა, სოფელი ყვარლის მუნიციპ-ში, თემის საკრებულოს ცენტრი – 15, 328, 393, 403, 450, 458; III. 180
შირაძე – 17, 260, 264, 289
შირაძის ვაკე – 261
შირაძის ველი – 16, 260, 263, 275, 276, 291
შირაძის პლატო – 15, 290
შირვანი – 21, 23, 24
შიხიანი, ნასოფლარი – 37, 38, 397, 471
შლარტიღელე – 141
შორიხევი, მდ. ლაკბის მარცხ. შენაკადი – 143
შრომა, სოფ. ვანნაძიანის ძვ. სახელი – 90

შრომანაული, ადგილი სოფ. ჯიმითში – 251
შუაგორი, ნასოფლარი – 469
შტორის ხევი – 467

ჩ

ჩაბურგულა, მდ. – 330
ჩაბურგულას წყალსაცავი – 329, 330
ჩადუნიანისთავის ძეძი – 328
ჩათმა, ადგილი ჩობანდადის სერის ძირში – 321
ჩათმის ტაფობი – 321
ჩალაუბანი, ნასოფლარი – 222, 223, 224, 226
ჩალაუბანი, სოფელი გურჯაანის მუნიციპ-ში, თემის საკრებულოს ცენტრი – 46, 47, 219; I. 266
ჩალაუბნისხევი, მდ. ალაზნის მარჯვ. შენაკადი – 46, 57
ჩალიანხევი, მდ. ლაკბის მარცხ. შენაკადი – 184, 191
ჩალხევი, მთა – 261
ჩანკაანი, ადგილი სოფლების ზემო ქედსა და სამრეკლოს შორის – 275, 276
ჩაჩაანთ უბანი, უბანი სოფ. ვედისციხეში –113
ჩელეთი – 8
ჩელთი, მდ. ალაზნის მარცხ. შენაკადი – 194, 329, 450, 455, 460, 464, 467, 469
ჩელთისთავისწვერი, მწვერვალი კავკასიონის მთავარ ქედზე – 328
ჩელთის ხეობა – 328
ჩერძეზები – 23
ჩვიდმეტკეძტრიანები, ადგილი ისტ. სოფ. არეშში – 410
ჩობანდადის სერი – 261, 321
ჩრდ. კავკასიის ხალხები – 330
ჩუმლაყი, სოფელი გურჯაანის მუნიციპ-ში, საკრებულოს ცენტრი – 46, 48, 143, 226; I. 284
ჩუმლაყის სამოურავო – 46

ც

ცარსკი კოლოდეცი, ნავთობის ყოფილი ჭაბურღილის ადგილი დედოფლისწყაროში — 263
ცენტრალური ამიერკავკასია – 13, 270
ცივ-გომბორის ქედი – 222, 241, 250
ცივის (პერეთის) მთა – 121, 265
ციხეები, ადგილი სოფ. ჭიკაანის სამხრ-ით – 475
ციხენაბრევები, ადგილი სოფ. შილდის მიდამოებში – 460
ციხისუბანი, ადგილი, სოფ. ახაშენში – 53
ციხისწერდა, ადგილი სოფ. გრძელი ჭალის მახლობლად – 397
ცლუნკაანი, ყოფილი სოფელი, ამჟამად სოფ. ოზაანის ერთ-ერთი უბანი – 309
ცხენოგამია, ადგილი სოფ. ფხოველში – 201
ცხვრის გზა – 405
ცხრაკვანა, დგილი სოფ. მუკუზანში – 193

ძ

ძალისისხევი – 23
ძველი გაჭაზი – 30, 328
ძველი ჩალაუბანი, ნასოფლარი – 219
ძირკოკი, სოფელი გურჯაანის მუნიციპ-ში, თემის საკრებულოს ცენტრი – 46, 230
ძირკოკისხევი – 122

წ

წანარები – 20
წარაფები, ადგილი სოფ. კარდანახში – 165
წახური – 22
წვეროდაბლის ბორცვი – 237, 238, 241
წვეროდაბლის უბანი – 240
წითელგორი, სოფელი ლაგოდეხის მუნიციპ-ში – 9
წითელგორისთავის ძეძი – 328
წითელი საბათლო, სოფ. საბათლოს ძველი სახელი – 260
წითელწყარო, სოფელი დედოფლისწყაროს ძველი სახელი – 263, 325
წილიანახევი – 65, 79, 80
წინა აზია – 12
წინანდალი, სოფ. თელავის მუნიციპ-ში, თემის საკრებულოს ცენტრი – 28, 38, 133
წინკლდეები, ადგილი ქ. ყვარლის მიდამოებში – 334, 335, 346
წისქვილისუბანი, უბანი სოფ. ვაზისუბანში – 74
წიწკანაანთ სერი – 474
წნორი – 47, 163, 312
წუნდის საერისთავო – 18

ჭ

ჭაბუკაური, ადგილი ნაქალაქარ ნეკრესში – 417, 422
ჭანდარი, სოფელი გურჯაანის მუნიციპ-ში, თემის საკრებულოს ცენტრი – 46, 47, 231
ჭანქვაურაანთ მიდამო – 474
ჭარ-ბელაძანი – 25, 260, 346
ჭარელი ლეკები – 471
ჭარი – 346
ჭაჭუნა, ადგილი ნათმის ტაფობში, მდ. იორის მარცხ. ნაპირას – 323
ჭაჭუნის აღკვეთილი – 261
ჭაჭუნის ჭაკე – 261, 321
ჭერემი, სოფელი გურჯაანის მუნიციპ-ში, თემის საკრებულოს ცენტრი – 9, 17, 18, 39, 46, 107, 233, 237, 238, 265, 416
ჭერმის ეპარქია – 74, 198, 203
ჭერმის საეპისკოპოსო – 22, 142, 145, 183, 198, 241
ჭერმისხევი, მდ. ალაზნის მარჯვ. შენაკადი – 46, 53, 107, 193, 216, 233, 237, 239, 241, 243
ჭიკაანი, სოფელი ყვარლის მუნიციპ-ში, თემის საკრებულოს ცენტრი – 37, 328, 329; III. 222
ჭიკაანლები – 471
ჭინჭარიანი, ადგილი სოფ. საბუეთან – 436
ჭოლთი (ყოფილი ლენინოვკა), სოფელი დედოფლისწყაროს მუნიციპ-ში – 260
ჭოლთი (ხორნაბუჯი) ციხე-ქალაქი – 265, 267

ხ

ხარისთავი, ნასოფლარი – 249
ხარჭაშნის საეპისკოპოსო – 22
ხაშალხეტი, სოფ. მთისძირის ძვ. სახელი – 405
ხევი – 8
ხევისუბანი, სოფ. გურჯაანის ერთ-ერთი უბანი – 64
ხვარაზმელები – 267
ხვინგიანხევი – 142
ხირსა – 32
ხორანთა, ისტორიული ქალაქი – 260, 316
ხორასანი – 24
ხორნაბუჯელები, კამბეჩოვანის ერისთავები – 266, 267
ხორნაბუჯი, სოფელი დედოფლისწყაროს მუნიციპ-ში,თემის საკრებულოს ცენტრი – 18, 107, 237, 238, 260, 267, 325, 416, 467
ხორნაბუჯი, ჰოეთი, შუა საუკუნეების ციხე-ქალაქი – 265, 266, 267, 268, 316
ხუბარა, მწვერვალი კავკასიონის მთავარ ქედზე – 328
ხუციხევი, მდ. – 223

ჯ

ჯამბალი, ადგილი – 174
ჯანდარის ტბა – 10
ჯეირანთველის ტაფობი – 261
ჯიმითი, სოფელი გურჯაანის მუნიციპ-ში, თემის საკრებულოს ცენტრი – 9, 38, 46, 145, 250; I. 312
ჯიმითის სამოურავო – 46
ჯიმითისხევი – 250

ჰ

ჰალე, ქალაქი (გერმანიაში) – 290, 291, 294, 318
ჰერები – 17
ჰერეთი – 8, 18, 20, 21, 46, 122, 238, 260, 265, 266, 353
ჰერეთის ეპარქია – 262, 417
ჰერეთის ლაშქარი – 405
ჰერეთის სამეფო – 250, 266
ჰერეთის სამთავრო 20, 122, 266
ჰერეთის ძელი – 250
ჰერეთის (ცივი) მთა – 265
ჰერეთი (ხორანთა), ისტ. ქალაქი – 316

ძ ე გ ლ თ ა
(სახელიანი ძეგლები)

ა

აბაშის ციხე – III. 002*
აბაშიძეების კოშკი – I. 119, 132
აბულის მარანი, ეკლესია – III. 181
ადამაანთ ციხე – გვ. 39
ათანაანთ ციხე, კოშკი – I. 175
აკაკიანთხევის ნამოსახლარი – II. 040
აკაკიანთხევის სამაროვანი – II. 041
ალავერდი – გვ. 24, 25, 34, 40; II. 066; გვ. 436
ამაღლების ტაძარი – გვ. 262
ამაღლების ეკლესია – გვ. 33, 38, 41, 42, 124, 130; I. 013, 229; II. 074
ამაღლების წმ. გიორგის ეკლესია – III. 182
ამიდასტურის წმ. გიორგის ეკლესია – გვ. 91, 92; I. 089
ანანაურის გორასამარხები – გვ. 11
არმათიონი, ეკლესია – II. 042
ასონიანთ ეკლესია – I. 238
ასტრაბადის ციხე – გვ. 25
ალექსანდრე სვიმონის ძე აფხაზის საფლავი – III. 051
აღდგომის ეკლესია – გვ. 37, 128, 129, 130, 329; I. 134; III. 003
აღდგომის ეკლესიის კომპლექსი – III. 113
აღნიაანთ ციხე, კოშკი – III. 183
აღნიაანთ ციხე II, კოშკი – III. 184
ლადო აღნიაშვილის სახლი – III. 185
ახალი შუამთის ეკლესია – გვ. 37
ახატელის წმ. გიორგის ეკლესია – გვ. 37
ახშანის გორისჯვრის ეკლესია – 29

ბ

ბაბაანთ კოშკი და ეკლესია – III. 052
ბაზაანთ კოშკი და ეკლესია – III. 052
ბაკურის კოშკი – I. 026
ბახთალოს (ყოფ. [illegible]) ეკლესია – გვ. 37
ბახტრიონის ციხე – გვ. 25
ბებრიჭამია საყდარი – I. 053
ბექიკოს საყდარი – I. 194
ბერაანთ ციხე – გვ. 39
ბერთუბნის ეკლესია – გვ. 41
ივანე ბერიტაშვილის მუზეუმი – I. 120
ბოსტანაანთ კოშკი – II. 010
ბოჭორმის ციხე – გვ. 39
ბოჭორმის წმ. გიორგის ეკლესია – გვ. 41
ბუზრიაანთ კოშკი – III. 187

გ

გარეტყის გორა (ნამოსახლარი) – იხ. ნამოსახლარი გარეტყის გორა
გარეჯის მრავალმთის მონასტრები – გვ. 41
გიშის ციხე – გვ. 20
გომართის ეკლესია, კომპლექსი – I. 090
გომართის წმ. გიორგის ეკლესია – I. 027
გორამიწის სამაროვანი (ბაკურციხე I) – I. 028
გორასამარხი ტარიბანა – II. 096
გორისჯვრის ეკლესია – გვ. 30, 38
გოხების სამლოცველო – გვ. 15, II. 002
გრემი (ნაქალაქარი) – II. 079
გრძელი გუბეების სამაროვანი – III. 114
გუდარეხის მონასტრის სამრეკლო – გვ. 38
გურჯაანის ყველაწმინდა – გვ. 31

დ

დავითგარეჯი, ეკლესია – III. 053
დავითგარეჯის მონასტრები – გვ. 18, 36, 203, 250, 363
დავითგარეჯის უდაბნო – გვ. 15, 36
დავითის ლავრა – გვ. 36
დამბადებლის ეკლესია – II. 011
დანდისის ბრძოლა – გვ. 318
დედათა მონასტერი – 331
დიდგორი (ნამოსახლარი) – იხ. ნამოსახლარი დიდგორი
დიდი ლაკბე (სადგომი) – იხ. სადგომი დიდი ლაკბე

* მითითებულია გვერდი, სადაც ნახსენებია ძეგლი ან მუნიციპალიტეტის ნომერი (რომაული ციფრი) და ძეგლის ნომერი (არაბული ციფრი)

დიდი რუი (სარწყავი სისტემა) – გვ. 15
დიდი სალოცავი, ეკლესია – III. 004
დიდი ტინები (სადგომი) – იხ. სადგომი დიდი ტინები
დუბის ღვთისმშობლის ეკლესია – III. 005

ე

ელიას ეკლესია – I. 058, 177, 240, III. 152
ელია წინასწარმეტყველის ეკლესია – I. 146
ენამთის გორასამარხი – II. 088
ენძება, ეკლესია – 412
ერელაანთ საყდარი – გვ. 31, 42
ერწოს სიონი – გვ. 40
ერწუხის ღმე – გვ. 20

ვ

ვაზოვანის ეკლესია – III. 014
ვაისწყლის ნამოსახლარი – გვ. 14
ვარამაანთ საყდარი, ღვთისმშობლის ეკლესია – I. 258
ვარცანის მონასტერი – გვ. 453
ვარცანის ღვთისმშობლის ეკლესია – გვ. 32; III. 191
ნატო ვაჩნაძე-ანდრონიკაშვილის სახლ-მუზეუმი – I. 041
ვაჩნაძიანთ ციხე, კოშკი – I. 202
ვაჩნაძიანის ქველაწმინდა – გვ. 32, I. 256
ვახვახიშვილების კოშკი და ეკლესია – III. 192
ვედრებისას წმ. გიორგის ეკლესია – გვ. 37
ვეძინის (ვეჯინის) ციხე – გვ. 353
ვეჯინის ციხე, პერეთის ციხე – გვ. 39, 119; I. 134

ზ

ზაძარდა, ეკლესია – III. 118
ზებაანის ღვთისმშობელი, ეკლესია – III. 193
ზებნის კიდურები, გორანამოსახლარი – III. 015
ზედაზნის ციხე – გვ. 20
ზედუბნის წმ. გიორგის ეკლესია – I. 269
ზედციხოველის ეკლესია – I. 285
ზიარი (სახელოსნო) – იხ. სახელოსნო ზიარი
ზურიას საყდარი – I. 094
ზღშურდლის ეკლესია, წმ. გიორგის ეკლესია – II. 025
ზღუდრის წმ. გიორგის ეკლესია – I. 002

თ

თავწმინდა გიორგის ეკლესია – III. 060
თამარის გორანამოსახლარი – II. 089
თამარის ეკლესია, ფრთამოქცეული საყდარი – I. 059
თამარის ციხე – გვ. 265
თარსა გალავანი, ეკლესია – III. 085
თბილისის ციხე – გვ. 25
თეთრი გიორგის ეკლესია – გვ. 34
თეთრი გიორგის ნაშთი – I. 095
თეთრი ქვები (სადგომი) – იხ. სადგომი თეთრი ქვები
თელავის ციხე – გვ. 39
თელეთის ეკლესია – I. 014
თელეთის წმ. გიორგის ეკლესია – I. 096
თორდვას ციხე – გვ. 23, 39, 267
თუშის ციხე, კოშკი – III. 061

ი

იოანე მახარებლის ეკლესია – I. 042
იოანე ნათლისმცემლის ეკლესია – III. 119
იოანე ღვთისმეტყველის ეკლესია – I. 292
იყალთოს მონასტერი – გვ. 31

კ

კადირდაღის (ყალადარის) ნამოსახლარები – II. 035
კავთის ეკლესია – II. 068
კარალიხევი (სადგომი) – იხ. სადგომი კარალიხევი
კასრიწყლის გორასამარხები – II. 026
კაწარეთის სამება – გვ. 29
კვეტერის ეკლესია – გვ. 34
კვეტერის ციხე – გვ. 34, 39
კვირაცხოველის ეკლესია – გვ. 37, 329; I. 043, 060, 113, 125, 155, 163, 241, 260, 317; II. 069; III. 016, 062, 120, 153, 172, 223
კვირიკეს ეკლესია – I. 242, 299
კოდისხევის სამაროვანი – II. 012
კოზმანის სალოცავი – I. 300
კოკალეს ეკლესია – III. 121
კოკალეს წმ. გიორგი, სამლოცველო – III. 063
კორდღმიანის ეკლესია – I. 164
კოწახურები (სადგომი) – იხ. სადგომი კოწახურები
კოშლიაანთ კოშკი – I. 061
კრწანისის ბრძოლა – გვ. 27
კუნტურის საყდარი – გვ. 35
კურტანიძეულის წმ. მარინეს ეკლესია – გვ. 35

ლ

ლავრის სამონასტრო კომპლექსი – გვ. 9, 36
ლაკბისხევის სადგომი – I. 210
ლამარის დიდსალოცავი, ეკლესია – III. 019
ლამარის ნაშთი – III. 020
ლამარის ჯვარი, ეკლესია – III. 201
ლიტინის ეკლესია – I. 301
ლომისგორის წმ. გორგის ეკლესია – III. 045
ლომისის ეკლესია – I. 243
ლომისის წმ. გიორგის ეკლესია – გვ. 260
ლომისის წმ. გიორგის ნაშთი – II. 055

მ

მაიაკის ნამოსახლარი – I. 211
მამა დავითის ეკლესია – გვ. 29; I. 302
მამაშაურის ეკლესია – I. 100
მამისაანთ საყდარი – I. 114
მარაბდის ბრძოლა – გვ. 24
მარტყოფის ბრძოლა – გვ. 24
მარტყოფის კოშკი-სვეტი – გვ. 35
მარტყოფის ღვთაების ტაძარი – გვ. 226
კოტე მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმი – III. 022
მატნის ცხრაკარას მონასტრის ბაზილიკა – გვ. 29
მაცხოვრის ეკლესია – III. 157
მელიღელე (სადგომი) – იხ. სადგომი მელიღელე
მელიღელე I (სამლოცველო) – იხ. სამლოცველო (მელიღელე I)
მელიღელე II (სამლოცველო) – იხ. სამლოცველო (მელიღელე II)
მეტალურგიული სახელოსნო – II. 102
მთავარანგელოზთა ეკლესია – გვ. 220; I. 062, 166, 204, 261, 286, 293; II. 044; გვ. 429, 433

მთავარანგელოზთა ეკლესიის კომპლექსი – გვ. 329, 364, 384, III. 087
მთავარანგელოზის ეკლესია – I. 147, 205, 235
მთისძირის განძი – III. 141
მთიულეთის აჯანყება – გვ. 27
მიქელ-გაბრიელის ეკლესია – გვ. 369
მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესია – I. 044
მიჯნის საყდარი – I. 063
მოდველაურის ეკლესია – I. 257
მოჭრილი გორა (ნამოსახლარი) – იხ. ნამოსახლარი მოჭრილი გორა
მუზუთის წმ. გიორგის ეკლესია – III. 158
მუხრანის ციხე – გვ. 23
მწარეწყლის სამაროვანი – II. 045
მჭედლიანთ საყდარი, წმ. გიორგის ეკლესია – I. 234

ნ

ნაგომარებისთავის ნამოსახლარი – II. 083
ნაგომარებისთავის სადგომი – II. 084
ნადარბაზევი – I. 101
ნადიკარი (ნამოსახლარი) – იხ. ნამოსახლარი ნადიკარი
ნაზარლების ნამოსახლარები და სამაროვანი – II. 027
ნათლისმცემლის ეკლესია – გვ. 29, 30, 36, 39, 40, 78, 148, I. 045, 129, 182, 244; III. 024, 159, 160, 203
ნათლისმცემლის ეკლესიის კომპლექსი – I. 064; III. 103
ნათლისმცემლის მონასტერი – I. 168
ნამოსახლარი ბარეტყის გორა I. 271
ნამოსახლარი დიდგორი – I. 272
ნამოსახლარი მოჭრილი გორა – I. 273
ნამოსახლარი ნადიკარი – I. 320
ნამოსახლარი სანგლის სერი – I. 274
ნამოსახლარი სადანძილე – I. 304
ნამოსახლარი ხოსროს გორა – I. 275
ნატბეურის ნამოსახლარი გორა – II. 101
ნატკორის ეკლესია – გვ. 29
ნეკრესი (ნელქარი, ნელქარისი) ნაქალაქარი – გვ. 29; III. 143
ნეკრესის მონასტერი – გვ. 417
ნეკრესის სამონასტრო კომპლექსი – გვ. 29, 32, 39, 43, 329; III. 148
ნინოწმინდის საეპისკოპოსო ტაძარი – გვ. 30
ნინოწმინდის სამრეკლო – გვ. 37
იოსებ ნონეშვილის სახლ-მუზეუმი – I. 183
იოსებ ნონეშვილის ძეგლი – I. 003

ო

ოლეს სამაროვანი – II. 047
ონაანთ საყდარი – I. 185
ორმოცები, ეკლესია – III. 161
ორმოცი მოწამის ეკლესია – გვ. 31; I. 072, 287
ორსაყდრები, ეკლესია – II. 064; III. 205
ორსაყდრები, ნაეკლესიარი – III. 204

პ

პალატები – I. 102
პანკისის ციხე – გვ. 40
პაპა და შვილიშვილი (ქანდაკება) – I. 004
პეტრე და პავლე მოციქულების ეკლესია – III. I. 131
პეტრე-პავლეს ეკლესია – III. 104

ჟ

ჟალეთის ბაზილიკა – გვ. 30

რ

რვაბვერდა ნაგებობა – III. 088
რცხილის სერის ნამოსახლარი და სამაროვანი – I. 276

ს

საბაწმინდის ეკლესია – გვ. 31, 166
საბაწმინდის მონასტერი – გვ. 32, 35; I. 186
სადგომები (ჭაჭუნა I, II, III) – II. 113
სადგომი დიდი ლაკბე – I. 157
სადგომი დიდი ტინები – I. 158
სადგომი თეთრი ქვები – I. 277
სადგომი კარალიხევი – I. 150
სადგომი კოწახურები – II. 114
სადგომი მელიღელე – I. 015
სადგომი სადუღაგორა – I. 322
სადგომი უსახელო ბორცვი – I. 323
სადგომი ხუციშვილი – I. 278
სადგომ-სახელოსნო სასიღნაღოღელე – I. 016
სადუღას ველის გორასამარხები – I. 197
სადუღას ნამოსახლარი – I. 324
სადუღას სამაროვანი – I. 325
საეპისკოპოსო ტაძრის კომპლექსი – I. 307
სავაჭრო უბნის აბანო – III. 089
სამგლე სერის ნამოსახლარი – I. 215
სამება (ციხე-დარბაზი ნაქალაქარ გრემში) – იხ. ციხე-დარბაზი სამება
სამების ეკლესია – I. 008, 021, 032, 080, 236, 262, 308; II. 077; III. 067, 173
სამების ეკლესიის კომპლექსი – III. 025;
სამეფო აბანო – III. 090
სამთავისის ტაძარი – გვ. 416
სამთავროს ტაძარი – გვ. 416
სამკარიანი, წმ. გიორგის ეკლესია – I. 087
სამლოცველო (მელიღელე I) – I. 217
სამლოცველო (მელიღელე II) – I. 218
სამუკაანთ წმ. გიორგის ეკლესია – III. 026
სამყინაურის ეკლესია – I. 169
სანაგირის ღვთისმშობლის ეკლესია – I. 081
სანგლის სერი (ნამოსახლარი) – იხ. ნამოსახლარი სანგლის სერი
დავით სარაჯიშვილის საცხოვრებელი სახლი – I. 033
სასანთლიანთგორის ნამოსახლარი – II. 018
სასიღნაღოღელე (სადგომ-სახელოსნო) – იხ. სადგომ-სახელოსნო სასიღნაღოღელე
სადანძილე (ნამოსახლარი) – იხ. ნამოსახლარი სადანძილე
საყარაულო, წმ. გიორგის ეკლესია – III. 093
საყდრისგორის ნამოსახლარი – I. 219
საყდრისყურის ეკლესია – III. 142
სანინო, სანინო (ეკლესია სოფ. ზემო ხოდაშნის მახლობლად) – გვ. 35
სახარის ჯვარი, ეკლესია – III. 207

სახელოსნო ზიარი – I. 159;
საჯოგეხევის ნამოსახლარი – II. 048
სვეტიცხოვლის ეკლესია – გვ. 91; I. 022, 233
სიონის ნამოსახლარი – გვ. 10
სიონის ტაძარი – გვ. 27
სისონაანთ კოშკი – III. 027
სკვითურინვენტარიანი სამარხები – I. 326
სკლინტიანი საყდარი, კოშკი – I. 209

ტ

ტარიბანა (გორახამარხი) – იხ. გორახამარხი ტარიბანა
ტარიელაანთ საყდარი – გვ. 35
ტატიას საყდარი – I. 009
ტახტიშერდას ნამოსახლარი – გვ. 12; II. 065
ტინის ხერის ნამოსახლარები და სამაროვანი – I. 279
ტშრის (შტორის) ციხის კომპლექსი – გვ. 467, 468

უ

უდაბნოს ნამოსახლარები – გვ. 14
უნაგჯერდის ეკლესია – I. 171
უსანეთის ეკლესია – I. 106, 160; III. 028. 228
უსანეთის ნაეკლესიარი – II. 078
უსახელო ბორცვი (სადგომი) – იხ. სადგომი უსახელო ბორცვი
უსახელო ბორის ნამოსახლარი – II. 059
უჯარმის ციხე – გვ. 39

ფ

ფალახოსროიანის ეკლესია – I. 107
ფაშაანის ღვთისმშობლის ეკლესია – III. 209
ფევრების სამაროვანი – I. 220
ფერისცვალების ეკლესია – I. 188
ნიკო ფიროსმანაშვილის სახლ-მუზეუმი – II. 071
ფრთამოქცეული საყდარი, თამარის ეკლესია – I. 059
ფურცელაძეების ეკლესია – I. 132
ფურცელწყლის ნამოსახლარი – II. 049
ფურცელწყლის სამაროვანი – II. 050
ფუძნარის ეკლესია – გვ. 35

ქ

ქართული მხედრული ისტორიის მუზეუმი ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილის სახელობის – I. 010
ქაშუეთის ეკლესია – გვ. 38; I. 140
ქვაშვეთის ეკლესია – I. 048, 245
ქისტაურის კოშკი-სვეტი – გვ. 3

ღ

ღვთაების ეკლესია – გვ. 29, 38; I. 189; III. 029, 210
ღვთისმშობლის ეკლესია – გვ. 329, 464; I. 034, 081 (სანაგირის), 082, 083, 108, 115, 161, 190, 199, 221, 222, 254, 258 (ვარამაანთ), 263, 264, 280, 295, 327; III. 030, 068, 069, 105, 130, 162, 175, 191 (ვარცანის)
ღვთისმშობლის ეკლესიის კომპლექსი – III. 211
ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია – გვ. 29, 431, 433, I. 049 (ყველაწმინდა), 084
ღვთისმშობლის მონასტერი (ვარცანის) – გვ. 453
ღვთისმშობლის ნიში – II. 013
ღვთისმშობლის შობის ეკლესია – გვ. 421, 425, 433, 434

ყ

ყალორის ციხე – III. 163
ყალაღარის (კადირდალის) ნამოსახლარები – II. 035
ყარაჯაანთ ეკლესია – III. 076
ყვავის საყდარი – I. 023, 109
ყვავიჭამია, ეკლესია – III. 031
ყვანწაანთ ციხე, კოშკი – III. 229
ყვარლის ბრძოლა – გვ. 330
ყვარლის ციხე – გვ. 26, 329, 330; III. 032
ყველაწმინდა, ეკლესია – გვ. 135, 196, 296, 297; I. 049 (ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია), 085, 133, 142, 246, 256 (ყველაწმინდა), 289, 328; II. 051, 072, 079; 080; III. 033, 039, 077, 123
ყველაწმინდა, სამონასტრო კომპლექსი – I. 142
ყველაწმინდის მონასტერი – I. 256
ყოყოჩაანთ საყდარი – I. 281
ყოჩისთავის ეკლესია – III. 106
ყუმის ეკლესია – გვ. 30

შ

შანას საყდარი – I. 225
შილდის ბრძოლა – გვ. 436
შილდის ციხე – გვ. 329
შიომღვიმის მონასტერი – გვ. 353
შუაბორის ციხე, კოშკი – III. 213
შუამთის მონასტერი – გვ. 74, 363
შტორის (ტურის) ციხის კომპლექსი – III. 212

ჩ

ჩალიანის სამაროვანი – I. 224
ჩალიანხევის გორასამარხი – II. 036
ჩალიანხევის ნამოსახლარი – II. 037
ჩამადაანთგორის ნამოსახლარი – II. 008
ჩანქაანის გორანამოსახლარი – II. 038
ჩანქაანის ნამოსახლარები – II. 039

ც

ცალგჯერდა, ეკლესია – III. 034
ცისკარაანთ გორის ნამოსახლარი – II. 060
ციხე-დარბაზი სამება – III. 098
ციხისწყლის საყდრის კოშკი – – I. 288
ციხისჯვარი, ციხესიმაგრე – III. 036
ცხენისჭამიას ეკლესია – I. 248
ცხრაკარა, ეკლესია III. 037
ცხრაკარა, სასახლე – გვ. 39
ცხრასაყდრის სამონასტრო კომპლექსი – I. 135

ძ

ძელ-ძლიერი, ნაეკლესიარი – III. 216
ძველი ბაბაზის ტეტრაკონქი – გვ. 32
ძველი შუამთის მონასტრის ბაზილიკა – გვ. 29, 31, 34, 41

წ

წამებულის ეკლესია – I. 249, 290
წვეროდაბლის წმ. გიორგის ეკლესია – გვ. 246; I. 310
წითელი საყდარი – III. 168

წმ. ბარბარეს ეკლესია – გვ. 170, 240, 241; I. 035, 036, 117, 225, 250, 282, 296;
III. 046, 071
წმ. გიორგის ეკლესია – I. 002 (ზლუდრის), 024, 027 (გომართის), 037, 086, 087 (სამკარიანი), 089 (ამიდასტური), 096 (თელეთის), 110, 136, 143, 172, 192 (ჯამბალის), 200, 226, 234 (მჭედლიაანთ საყდარი), 255, 265, 269 (ზედუბნის), 283, 290 (წამებულის), 297, 309, გვ. 249, 310 (წეროდაბლის), 311 (ხარისთავის), 329; II. 015 (ხომხელის), 025 (ზემურდლის), 052; III. 026 (სამუკაანთ), 045 (ლომისგორის), 060 (თავწმინდა), 063 (კოპალეს), 078, 093 (საყარაულო), 107, 108, 158 (მუგუთის), 164, 169, 177, 178 (ჭალის), 182 (ამაღლების), 217, 218, 219
წმ. ელიას ეკლესია – I. 191, 251; II. 053; III. 047, 071, 124
წმ. ელიას სამლოცველო – II. 092
წმ. ესტატეს ეკლესია – I. 051
წმ. თევდორეს ეკლესია – III. 048
წმ. იოსებ ალავერდელის ეკლესია – II. 066
წმ. კვირიკეს ეკლესია – II. 014
წმ. მარიამის ეკლესია – I. 111, 118, 206, 291
წმ. მარინეს ეკლესია – გვ. 35, 135, 138, 238, I. 227, 252; III. 049
წმ. მღვდელმოწამე აბიბოს ნეკრესელის ტაძარი – გვ. 433
წმინდანების ეკლესია – III. 220
წმ. ნიკოლოზის ეკლესია – გვ. 36, 38, 166; III. 109
წმ. ნინოს ეკლესია – გვ. 29, 30, 42; I. 054, 137, 173; III. 221
წმ. სამების საკათედრო ტაძარი – გვ. 48
წმ. სერაფიმის (საროველის) ეკლესია – II. 093
წმ. სტეფანეს ეკლესია – გვ. 29, 32, I. 138; II. 081; III. 110
წმ. შიოს ეკლესია – გვ. 41; III. 165
წყაროსთავი, ეკლესია – III. 038
წყლის კოშკი – გვ. 129, I. 134

ჭ

ჭაბუკაშრის ეკლესია – გვ. 29
ჭავჭავაძეების საგვარეულო კოშკი – გვ. 351
ილია ჭავჭავაძის სახელმწ. სახლ-მუზეუმი – III. 039
ილია ჭავჭავაძის ძეგლი – III. 041
ნიკო (დიდი ნიკო) ზურაბის ძე ჭავჭავაძის სახლი – III. 040
ჭალის წმ. გიორგის ეკლესია – III. 178
ჭაჭუნა (I, II, III) – იხ. სადგომები (ჭაჭუნა I, II, III)
ჭერმის ციხე – გვ. 107, 238
ჭიკაანის კვირაცხოვლის ეკლესია – გვ. 37
ჭოეთის ციხე – გვ. 267
ჭოეთი, ხორნაბუჯი – II. 009
ჭრელი საყდარი – II. 082
ჭურის ციხე – III. 179

ხ

ხალხთა მეგობრობის მუზეუმი – II. 115
ხარების ეკლესია – გვ. 42
ხარისთავის წმ. გიორგის ეკლესია – I. 311
ხატის გორა, ნამოსახლარი – II. 108
ხმალა, ეკლესია – III. 166
ხომხელის წმ. გიორგის ეკლესია – II. 015
ხორანთა, პერეთი, ნაქალაქარი – II. 095
ხორნაბუჯის ციხე – გვ. 40, 262, 267
ხორნაბუჯი, ჭოეთი, შუა საუკუნეების ციხე-ქალაქი, ისტ. კამბეჩოვანის ცენტრი – II. 009
ხოსროს გორა (ნამოსახლარი) – იხ. ნამოსახლარი ხოსროს გორა
ხუცისხევი (სადგომი) – იხ. სადგომი ხუცისხევი

ჯ

ჯამბალის წმ. გიორგის ეკლესია – I. 192
ჯანდიერაანთ ციხე – გვ. 39
ჯანიანთ საყდარი – I. 139
ჯარისკაცის მამა (ქანდაკება) – გვ. 51
ჯვარპატიოსნის ეკლესია – III. 042, 043
ჯვარცმული საძართველო, მემორიალი – გვ. 263
ჯორჯაძეების ციხე-დარბაზის კომპლექსი – III. 167

ჰ

ჰერეთი (ხორანთა) – II. 095
ჰერეთის ციხე, ვეჯინის ციხე – I. 134

ქრონოლოგიური (ეკლესიების)

ადრინდელი შუა საუკუნეები (IV-VII სს)

I. 008, 023, 050, 072, 084, 087, 089, 114, 115, 139, 142, 168, 169, 171, 172, 173, 245, 256, 262, 301, 302, 305, 310;
II. 092;
III. 005, 009, 014, 042, 069, 110, 132, 133, 134, 136, 137, 138, 139, 140, 142, 144, 145, 148, 172, 174, 188, 203, 211

გარდამავალი ხანა (VII ს-ის ნახევრიდან X ს-ის ნახევრამდე)

I. 009, 049, 062, 100, 109, 135, 136, 138, 164, 255, 256;
II. 074;
III. 025, 037, 060, 068, 135, 148, 152, 159, 169, 191, 212

განვითარებული შუა საუკუნეები (X ს-ის ნახევრიდან XIII-XIV საუკუნეთა მიჯნაზე)

I. 038, 053, 055, 059, 060, 063, 064, 085, 086, 117, 131, 146, 186, 223, 236, 243, 256, 258, 268, 283, 307, 311, 313;
II. 025;
III. 006, 008, 011, 012, 031, 034, 055, 056, 098, 106, 228

გვიანდელი შუა საუკუნეები (XIV-XVIII სს.)

I. 013, 022, 024, 027, 030, 032, 034, 036, 042, 051, 080, 090, 091, 092, 094, 106, 107, 110, 129, 132, 140, 155, 161, 176, 177, 185, 190, 191, 200, 205, 221, 230, 234, 242, 246, 248, 250, 263, 265, 267, 280, 281, 283, 285, 289, 291, 293, 295, 296, 308, 309, 327, 329;
II. 051, 053, 064, 066, 068, 072, 077, 082;
III. 003, 004, 007, 010, 013, 026, 038, 046, 052, 053, 054, 063, 070, 076, 078, 104, 107, 108, 109, 115, 117, 118, 119, 120, 123, 124, 129, 130, 151, 157, 160, 161, 162, 166, 173, 174, 175, 177, 187, 189, 192, 193, 201, 205, 207, 217, 218, 219, 221

შუა საუკუნეები (IV-XVIII სს.)

I. 002, 014, 032, 035, 043, 058, 081, 082, 083, 093, 108, 111, 113, 116, 125, 133, 134, 135, 137, 143, 147, 166, 173, 182, 188, 189, 192, 194, 206, 222, 225, 227, 229, 231, 238, 239, 240, 241, 244, 249, 251, 252, 257, 260, 261, 269, 282, 286, 287, 290, 292, 297, 300, 314, 315, 317, 328;
II. 011, 014, 015, 042, 044, 052, 054, 067, 069, 070, 078, 079, 080, 081;
III. 016, 019, 023, 027, 028, 029, 030, 033, 044, 045, 047, 048, 049, 057, 058, 059, 062, 067, 071, 080, 081, 082, 083, 084, 085, 087, 093, 101, 103, 105, 111, 113, 116, 121, 124, 137, 153, 158, 164, 167, 168, 178, 181, 182, 190, 202, 204, 209, 212, 216, 223

XIX ს.

I. 021, 044, 054, 064, 118, 160, 204, 226, 235, 254, 264, 299;
II. 003, 055, 093;
III. 024, 077, 210, 220

XX ს.

I. 095, 096, 163, 199;
III. 077

მოხატული ეკლესიები და ეკლესიები, რომლებშიც შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები ან კვალი

I. 044, 081, 134, 142, 172, 236, 256;
II. 074;
III. 010, 012, 013, 025, 028, 060, 063, 087, 113, 142, 148, 159, 191, 205, 212

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

რედაქციისაგან 5

შესავალი 8

გურჯაანის მუნიციპალიტეტი 46

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი 260

ყვარლის მუნიციპალიტეტი 328

ბიბლიოგრაფია 476

შემოკლებები 488

საძიებლები 490

წიგნის ტექსტობრივი მასალის რედაქტირება:

ლალი მოწონელიძე (შესავალი, გურჯაანის მუნიციპალიტეტი), თამარ რუსიშვილი (შესავალი,დედოფლისწყაროს და ყვარლის მუნიციპალიტეტები)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვადასხვა დროს ძეგლები აზომეს, ნახაზები შეადგინეს ან განაახლეს:

ნოდარ ბახტაძემ, კაცია გიორგობიანმა†, თეიმურაზ დევიშვილმა, თამაზ დვალმა, გიორგი მარსაგიშვილმა, ნოდარ მინდორაშვილმა, ირაკლი მოსულიშვილმა, ზინაიდა ქუფარაშვილმა, დავით ჯინჭარაძემ, ზაზა ჯინჭარაძემ და სხვ.

ძეგლები ფოტოგრაფიულად გადაიღეს:

გიორგი ბაგრატიონმა, ედუარდ გიგილაშვილმა†, ნელი გოგეჯიშვილმა, თამაზ დვალმა, თამაზ მარქოზაშვილმა, გელა მთივლიშვილმა, ამირან კლდიაშვილმა, თეიმურაზ პოპიაშვილმა, ვაჟა ჩერქეზიშვილმა

გამოყენებულია აგრეთვე ნახაზები და ფოტოსურათები, რომლებიც დაცულია:

გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნულ ცენტრში, საქართველოს ეროვნულ მუზეუმში და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში

ტექსტობრივი მასალა კომპიუტერში შეიტანა ყამარ გლიაძემ

მუნიციპალიტეტების რუკა-სქემები შეადგინა ზაზა გულაშვილმა

ნახაზები და ფოტოსურათები კომპიუტერით დაამუშავა თამაზ დვალმა

ბიბლიოგრაფიის სისტემატიზაცია და რედაქტირება:
ნოდარ გიოშვილი, თამაზ დვალი, ლალი მოწონელიძე, თამარ რუსიშვილი

საძიებლები შეადგინეს ლალი მოწონელიძემ და თამარ რუსიშვილმა

ტექნიკური რედაქცია და დიზაინი – თამაზ დვალი

ლიტერატურული კონტროლი – ნელი ძაფიანიძე

რედაქცია უანგარო დახმარებისთვის დიდ მადლობას მოახსენებს ბატონებს: ლალი ანდრონიკაშვილს, ნუგზარ ანდღულაძეს, ნიკოლოზ აფხაზს, გიორგი ბაგრატიონს, ბაკურ ბაქრაძეს, თეიმურაზ ბერიძეს, ნოდარ ბახტაძეს, იოსებ ბერიტაშვილს, იულონ გაგოშიძეს, ნელი გოგეჯიშვილს, მიხეილ გელაშვილს, ალექსანდრე დავითაშვილს, ნინო დათუნაშვილს, ფლერ დევდარიანს, თამარ დვალს, ვაჟა ვარაზაშვილს, დიმიტრი თუმანიშვილს, კახა კახაძეს, ვასილ კეკელიშვილს, ბაადურ ქუპრეიშვილს, ილია ლაშქარაშვილს, თამაზ მარქოზაშვილს, ნოდარ მინდორაშვილს, გიორგი პაპუაშვილს, რუსუდან რუსიშვილს, ქრისტინე საბაშვილს, კიაზო ფიცხელაურს, გურამ ჩიფიანს, კახა ხიმშიაშვილს

წიგნი დააკაბადონა პაატა ძორძიამ

წიგნი გადაეცა დასაბეჭდად ინდ. საწარმოს "ალექსანდრე ელონტი"
ქაღალდის ზომა 70X100 1/16. ქაღალდი ოფსეტური.
ბეჭდვა ოფსეტური. ნაბეჭდი თაბახი 33, ტირაჟი 500.

მისამართი: წერეთლის 112

ISBN 978-99928-20-43-8

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა